UDC(უაკ) 27-246+27-273
ა-984

„ახალი აღთქმაჲ“


„ახალი აღთქმაჲ“ – წმიდა გიორგი მთაწმინდელის ხელაქციის ჯიტიჯულად დადგენილი ტექსტი „გამოცხადებაჲ“ – თარგმანი წმიდისა ექვთიმე მთაწმინდელისა

წარმოდგენილი წიგნი სხვე შესაბამისობაშია მართლმადიდებლის სწავლა-მოძღვრებასთან. იგი განმეორებითი და შევსებული გამოცემაა 2003 წლის მსგავსი დასახელების ნაშრომისა. ამდენად, იგი გამართულია მინაარსობრივად და სტილისტურად.

წიგნი განკუთვნილია ჩოგორც სასულიერო სემინარიების სტუდენტებისათვის, ასევე დაინტერესებული მკითხველისათვის. წარმოდგენილი ნაშრომით ახალი აღთქმის კანონიკური ხელაქციის ოცდაშვიდივე წიგნს დართული აქვს ზოგადი ცნობები ავტორთა, წიგნთა შექმნის, მათი ნამდვილობის და კანონიკურად ცნობის ისტორიის შესახებ. ასევე, ნაშრომში მუხლობრივადაა მოხმობილი ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებანი მაცხოვრის განკაცებისა და მისი მოღვაწეობის შესახებ, აქვე დართულია სახარებათა სიმფონია-ლექსიკონი, ჩუკები და სხვა. ყოველივე ეს კი, ვფიქრობთ, ძალიან დიდ დახმარებას გაუწევს მკითხველს, ჩაწვდეს წმინდა წერილის სულს და სიღრმისეულად გაიაზროს სახარებისეული სწავლა-მოძღვრების სიბრძნე.

დეკანოზი გიორგი გუგუშვილი
თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის
ბიბლეისტიკის კათედრის გამგე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე გამოსახულია
ბეშქენ ოპიზარის მიერ შესრულებული ბერძნის ოთხთავის
მოოქროვილი ვერცხლის ყდის მოჭედილობა
„ჯვარცმა“ და „ვედრება“, XII ს.



ISBN 978-9941-0-5655-0



წმიდაჲ ოთხთავი

სახარებაჲ მათესი

სახარებაჲ მარკოზისი

სახარებაჲ ლუკაჲსი

სახარებაჲ იოვანესი



მათე მახარებელი. მესტიის ოთხთავი. 1030 წ.

შესხმა წმიდისა მახარებელისა მატთესი, ქმნილი სოფრონის* მიერ

მატთე, რომელსა ეწოდა ლევი მეზუერე, პირველად აღჰსწერა წმიდაჲ სახარებაჲ ქრისტესი ჰურიასტანს, მათთჳს რომელთა აქუნდა წინა-დაცუეთილება წიგნითა, და სიტყჳთა ებრაულითა, და ესე არა ვინ უწყის, შემდგომად მისსა ვის მიერ ითარგმნა ელლინურისა ენითა. ხოლო ებრაული იგი მის მიერ აღწერილი არს კესარიას პანფილიისას საუნჯეთა შინა წიგნთასა, მარტვირიოსის მიერ დაცული, და მე ეგრეთ ვგონებ, ვითარმედ აწცა აქუნდესთ იგი ნაზარეველთა მათ ჰურიათა, რომელნი არიან საზღუართა მათ სირიისათა და მიენიჭა წიგნი ესე ნაზარეველთა აღწერად, რამეთუ ყოველთა მიერ ადვილ სასმენელ არს სახარებაჲ ესე. ხოლო მახარებელმან ამან ზოგი რაოდენიმე თავით თჳსით,და ზოგი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს მიერ უწყებული აღჰსწერა და დასხნა მოწამედ უპირველესთა წიგნთა, რამეთუ ამან არა ინება სამ-მეოცდა-ათთა მოციქულთა სიტყუათა შედგომა, რაჲთა კუალად ენითა ელლინურითა გარდაეწერა, არამედ ებრაულად აღსწერნა. არიან წმიდასა ამას წიგნსა შინა ორნი სიტყუანი, რომელნი ჰსწამებენ მისთჳს, ესე არს, ვითარმედ ეგჳპტით უწოდე ძესა ჩემსა და მეორე, ნაზარეველ ეწოდოს.

**სოფრონ იერუსალიმელი პატრიარქი (638-644; ხსენება 11 მარტს).*

სახარებაჲ მათეს თავისაჲ

1

1. წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი.
2. აბრაჰამ შვა ისაკ; ისაკ შვა იაკობ; იაკობ შვა იუდა და ძმანი მისნი;
3. ხოლო იუდა შვა ფარეზ და ზარა თამარისგან; და ფარეზ შვა ესრომ; ესრომ შვა არამ;
4. არამ შვა ამინადაბ; ამინადაბ შვა ნაასონ; ნაასონ შვა სალმონ;
5. სალმონ შვა ბოოს რექაბისგან; ბოოს შვა იობედ რუთისგან; იობედ შვა იესე;
6. იესე შვა დავით მეფე; დავით მეფემან შვა სოლომონ ურიაჲს ცოლისაგან;
7. სოლომონ შვა რობოამ; რობოამ შვა აბია; აბია შვა ასა;
8. ასა შვა იოსაფატ; იოსაფატ შვა იორამ; იორამ შვა ოზია;
9. ოზია შვა იოათამ; იოათამ შვა აქაზ; აქაზ შვა ეზეკია;
10. ეზეკია შვა მანასე; მანასე შვა ამონ; ამონ შვა იოსია;
11. იოსია შვა იექონია და ძმანი მისნი ტყუეობასა მას ბაბილოვნელთასა.
12. შემდგომად ტყუეობისა მის ბაბილოვნისა იექონია შვა სალათიელ; სალათიელ შვა ზორობაბელ; ზორობაბელ შვა აბიუდ;
13. აბიუდ შვა ელიაკიმ; ელიაკიმ შვა აზორ;
14. აზორ შვა საღუკ; საღუკ შვა აქიმ; აქიმ შვა ელიუდ;
15. ელიუდ შვა ელეაზარ; ელეაზარ შვა მატთან; მატთან შვა იაკობ;
16. იაკობ შვა იოსებ, ქმარი მარიამისი, რომლისაგან იშვა იესუ, რომელსა ჰრქჳან ქრისტე.
17. ყოველი ნათესავი აბრაჰამისითგან ვიდრე დავითისამდე ნათესავი ათოთხმეტ; და დავითისითგან ვიდრე ტყუენეაღმდე ბაბილოვნისა ნათესავი ათოთხმეტ; და ტყუენვითგან ბაბილოვნისაჲთ ვიდრე ქრისტესამდე ნათესავი ათოთხმეტ.
18. ხოლო იესუ ქრისტეს შობაჲ ესრეთ იყო, რამეთუ: თხოვილ იყო დედაჲ მისი მარიამ იოსებისა და ვიდრე შერთვაღმდე მათა იპოვა იგი მიდგომილ სულისაგან წმიდისა.
19. ხოლო იოსებ, ქმარი ამისი, მართალი იყო და არა უნდა განმხილებაჲ მისი, იზრახა ფარულად განტევებაჲ მისი.
20. და ვითარ იგი ამას განიზრახვიდა ოდენ, აჰა ანგელოზი უფლისაჲ ჩუენებით გამოუჩნდა მას და ჰრქუა: იოსებ, ძეო დავითისო, ნუ გეშინინ მიყვანებად მარიამისა, ცოლისა შენისა,რა-

მეთუ რომელი-იგი მისგან იშვეს, სულისაგან წმიდისა არს.
21. შვეს ძე, და უწოდიან სახელი მისი იესუ, რამეთუ მან იკსნეს ერი თჳსი ცოდვათა მათთაგან.
22. ესე ყოველი იქმნა, რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ პირითა წინაწარმეტყუელისაჲთა თქუმული:
23. აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე, და უწოდიან სახელი მისი ემმანუელ, რომელ არს თარგმანებით: ჩუენ თანა ღმერთი.
24. განიღჳძა იოსებ ძილისა მისგან და ყო ეგრე, ვითარცა უბრძანა მას ანგელოზმან უფლისამან, და წარიყვანა ცოლი თჳსი.
25. და არა იცოდა იგი, ვიდრემდე შვა ძე იგი მისი პირმშოჲ და უწოდა სახელი მისი იესუ.

2

1. ხოლო იესუჲს შობასა ბეთლემს ჰურიასტანისასა, დღეთა ჰეროდე მეფისათა, აჰა მოგუნი აღმოსავალით მოვიდეს იერუსალჵმდ და იტყოდეს:
2. სადა არს, რომელი-იგი იშვა მეუფე ჰურიათაჲ? რამეთუ ვიხილეთ ვარსკულავი მისი აღმოსავალით და მოვედით თაყუანის-ცემად მისა.
3. ვითარცა ესმა ესე ჰეროდეს მეფესა, შეძრწუნდა, და ყოველი იერუსალჵმი მის თანა.
4. და შეკრიბნა ყოველნი მღდელთ-მოძღუარნი და მწიგნობარნი ერისანი და იკითხვიდა მათგან: სადა უკუე შობად არს ქრისტე?
5. ხოლო მათ ჰრქუეს მას: ბეთლემს ჰურიასტანისასა, რამეთუ ესრეთ წერილ არს წინაწარმეტყუელისა მიერ:
6. და შენ, ბეთლემ, ქუეყანაჲ ეგე იუდაჲსი, არასადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდაჲსთა, რამეთუ შენგან გამოეიდეს წინამძღუარი, რომელმან დამწყსოს ერი ჩემი ისრაჱლი.
7. მაშინ ჰეროდე იდუმალ მოუწოდა მოგუთა მათ და გამოიკითხა მათგან ჟამი იგი გამოჩინებულისა მის ვარსკულავისაჲ.
8. და წარაელინნა იგინი ბეთლემდ და ჰრქუა: მიეედით და გამოიკითხეთ ჭეშმარიტად ყრმისა მისთჳს და რაჟამს ჰპოოთ იგი, მითხართ მე, რაჲთა მეცა მივიდე და თაყუანის-ვსცე მას.
9. ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე მეფისა მისგან, წარვიდეს. და აჰა ვარსკულავი იგი, რომელი იხილეს აღმოსავალით, წინა-უძღოდა მათ, ვიდრემდე მოვიდა და დააღგრა ადგილსა მას, რომელსა იყო ყრმაჲ იგი.
10. ხოლო მათ ვითარცა იხილეს ვარსკულავი იგი, განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად.
11. და ვითარცა შეეიდეს სახ-

ლსა მას, იხილეს ყრმაჲ იგი მარიამის თანა, დედისა თჳსისა, და დაჳარდეს და თაყუანის-ცეს მას; და აღაღეს საუნჯეთა მათთა და შეწირეს მისა ძღუენი: ოქროჲ, გუნდრუკი და მური.

12. და მოიღეს ბრძანებაჲ ჩუენებით, რაჲთა არა მიაქციონ ჰეროდესა, არამედ სხჳთ გზით წარვიდენ სოფლად თჳსა.

13. და ვითარცა განეშორნეს იგინი, აჰა ანგელოზი უფლისაჲ გამოუჩნდა ჩუენებით იოსებს და ჰრქუა: აღდეგ და წარიყვანე ყრმაჲ ესე და დედაჲ მაგისი და იელტოდე ეგჳპტედ და იყავ მუნ, ვიდრემდე გრქუა შენ, რამეთუ ეგულების ჰეროდეს მოძიებაჲ ყრმისა მაგის და წარწყმედად ესე.

14. ხოლო იგი აღდგა და წარიყვანა ყრმაჲ იგი და დედაჲ მისი ღამე და წარვიდა ეგჳპტედ და იყო მუნ, ვიდრე აღსრულებადმდე ჰეროდესა.

15. რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, თქუმული წინაწარმეტყუელისა მიერ: ეგჳპტით უწოდე ძესა ჩემსა.

16. მაშინ ვითარცა იხილა ჰეროდე, რამეთუ მოიკიცხა მოგუთა მათგან, განრისხნა ფრიად, წარაელინნა და მოსწყჳდა ყოველი ყრმები, რომელნი იყვნეს ბეთლემს და ყოველთა საზღვართა მისთა ორით წლითგანი და უდარესი, მსგავსად მის ჟამისა, ვითარცა გამოიკითხა მოგუთა მათგან.

17. მაშინ აღესრულა თქუმული იგი იერემია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყჳს:

18. ქმაჲ ჰრამაჲთ ისმა გოდებისა და ტირილისა და ტყებისაჲ მრავალი; რაქელ სტიროდა შვილთა თჳსთა და არა უნდა ნუგეშინის-ცემის, რამეთუ არა არიან.

19. ხოლო რაჟამს აღესრულა ჰეროდე, აჰა ანგელოზი უფლისაჲ გამოეცხადა ჩუენებით იოსებს ეგჳპტეს

20. და ჰრქუა: აღდეგ და წარიყვანე ყრმაჲ ესე და დედაჲ მაგისი და წარვედ ქუეყანად ისრაჱლისა, რამეთუ მოსწყდეს, რომელნი ეძიებდეს სულსა მაგის ყრმისასა.

21. ხოლო იგი აღდგა და წარმოიყვანა ყრმაჲ იგი და დედაჲ მისი და მოვიდა ქუეყანად ისრაჱლისა.

22. და ვითარცა ესმა, რამეთუ არქელაოს მეფობს ჰურიასტანს ჰეროდეს წილ, მამისა თჳსისა, შეეშინა მისლვად მუნ და ბრძანებაჲ მოიღო ჩუენებით და წარვიდა კერძოთა გალილეაჲსათა.

23. და მივიდა და დაეშენა ქალაქსა შინა, რომელსა ჰრქჳან ნაზარეთ, რაჲთა აღესრულოს თქუმული წინაწარმეტყუელისა მიერ, ვითარმედ ნაზარეველ

ეწოდოს.

3

1. მათ დღეთა შინა მოვიდა იოვანე ნათლის-მცემელი ქადაგებად უდაბნოსა მას ჰურიასტანისასა
2. და იტყოდა: შეინანეთ, რამეთუ მოასლებულ არს სასუფეველი ცათაჲ.
3. რამეთუ ესე არს, რომელ-იგი თქუმულ არს ესაია წინაწარმეტყუელისა მიერ და იტყჳს: ქმაჲ ღაღადებისაჲ უდაბნოსა მზედა: განჰმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი.
4. ხოლო თავადსა იოვანეს ემოსა სამოსლად მისა თმისაგან აქლემისა და სარტყელი ტყავისაჲ წელთა მისთა; ხოლო საზრდელად მისა იყო მკალი და თაფლი ველური.
5. მაშინ განვიდოდა მისა იერუსალიმი და ყოველი ჰურიასტანი და გარემო სოფლები იორდანისაჲ.
6. და ნათელს-იღებდეს იორდანესა შინა მისგან და აღუვარებდეს ცოდვათა მათთა.
7. და ვითარცა იხილნა მრავალნი ფარისეველნი და სადუკეველნი, მომავალნი ნათლის-ღებად მისგან, ჰრქუა მათ: ნაშობნო იქედნეთანო: ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლაჲ მერმისა მისგან რისხვისა?
8. ყავთ უკუე ნაყოფი, ღირსი სინანულისაჲ,
9. და ნუ ჰგონებთ და იტყჳთ თავით თჳსით: მამაჲ გჳვის ჩუენ აბრაჰამი. რამეთუ გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: შემძლებელ არს ღმერთი აღდგინებად ქვათა ამათგან შვილად აბრაჰამისა.
10. რამეთუ აწვე ესერა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს. ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას.
11. მე უკუე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა სინანულად. ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერეს ჩემსა არს, რომლისა ვერ შემძლებელ ვარ ჯამლთა მისთა ტჯრთად. მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა.
12. რომლისა ნიჩაბი კელთა მისთა, განწმიდოს კალოჲ თჳსი და შეკრიბოს იფქლი საუნჯესა, ხოლო ბზე დაწუას ცეცხლითა მით უშრეტითა.
13. მაშინ მოვიდა იესუ გალილეაჲთ იორდანედ იოვანესა ნათლის-ღებად მისგან.
14. ხოლო იოვანე აყენებდა მას და ეტყოდა: მე მიკმს შენ მიერ ნათლის-ღებაჲ, და შენ ჩემდა მოხუალა?
15. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: აცადე აწ, რამეთუ ესრეთ შეუნის ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე. მაშინ მიუშუა მას.

16. და ნათელ-იღო იესუ. და მეყსეულად აღმოვიდა რაჲ წყლისა მისგან, და აჰა განესუნეს მას ცანი, და იხილა სული ღმრთისაჲ, გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მოვიდა და დაადგრა მას ზედა.
17. და ჰმაჲ იყო ზეცით და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ.

4

1. მაშინ იესუ აღმოიყვანა უდაბნოდ სულისაგან გამოცდად ეშმაკისაგან.
2. და იმარხა ორმეოცი ღღე და ორმეოცი ღამე და მერმე შეემშია,
3. მოუჴდა მას გამომცდელი იგი და ჰრქუა: უკუეთუ შენ ხარ ძე ღმრთისაჲ, თქუ, რაჲთა ქვანი ესე პურ იქმნენ.
4. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა: წერილ არს, რამეთუ: არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყჳთა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა.
5. მაშინ წარიყვანა იგი ეშმაკმან მან წმიდასა ქალაქსა და დაადგინა იგი სართულსა მას ზედა ტაძრისასა
6. და ჰრქუა მას: უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, გარდაიგდე თავი შენი ამიერ ქუეყანად, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: ანგელოზთა მისთაჲა უბრძანებიეს შენთჳს, და ჴელთა მათთა ზედა აღგიპყრან შენ, ნუსაჲა წარსცე ქვასა ფერჴი შენი.
7. ჰრქუა მას იესუ: კუალად წერილ არს: არა განსცადო უფალი ღმერთი შენი.
8. კუალად წარიყვანა იგი ეშმაკმან მთასა ფრიად მაღალსა და უჩუენნა მას ყოველნი სუფევანი სოფლისანი და დიდებაჲ მათი
9. და ჰრქუა მას: ესე ყოველი მიგცე შენ, უკუეთუ დაჰვარდე და თაყუანის-მცე მე.
10. მაშინ ჰრქუა მას იესუ: წარვედ ჩემგან მართლუკუნ, სატანა, რამეთუ წერილ არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე.
11. მაშინ დაუტევა იგი ეშმაკმან მან, და ანგელოზნი მოვიდეს და ჰმსახურებდეს მას.
12. ხოლო ესმა რაჲ იესუს, ვითარმედ იოვანე მიეცა, განეშორა და წარვიდა გალილეად.
13. და დაუტევა ნაზარეთი და მოვიდა და დაემკჳდრა კაპერნაუმს, საზღვართა გაბულონისთა და ნეფთალემისთა,
14. რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყჳს:
15. ქუეყანაჲ ზაბულონისი და ქუეყანაჲ ნეფთალემისი, გზაჲ ზღჳსაჲ წიაღ-იორდანესა, გალილეაჲ წარმართთაჲ.

16. ერი რომელი სხდა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი, და რომელნი სხდეს სოფელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა, ნათელი აღმოუბრწყინდა მათ.
17. მიერითგან იწყო იესუ ქადაგებად და სიტყუად: შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ.
18. და იქცეოდა რაჲ იესუ ზღუს-კიდესა მას გალილეაჲსასა, იხილნა ორნი ძმანი: სიმონ, რომელსა ეწოდა პეტრე, და ანდრეა, ძმაჲ მისი, ითხეველიდეს რაჲ სათხეველითა ზღუასა მას, რამეთუ იყვნეს მესათხეველე.
19. და ჰრქუა მათ: მოვედით და შემომიდეგით მე, და გყვნე თქუენ მესათხეველე კაცთა.
20. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს ბადე მათი და შეუდგეს მას.
21. და წარმოვიდა მიერ და იხილნა სხუანი ორნი ძმანი: იაკობ ზებედესი და იოვანე, ძმაჲ მისი, ნავსა შინა ზებედეს თანა, მამისა მათისა, გან-რაჲ-აგებდეს ბადეთა მათთა, და უწოდა მათ.
22. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს ნავი და იგი და მამაჲ მათი და მისდევდეს მას.
23. და მოჰვლიდა იესუ ყოველსა გალილეასა და ასწავებდა შესაკრებელთა შორის მათთა და ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისასა და განჰკურნებდა ყოველსა სენსა და ყოველსა უძლურებასა ერსა შორის.
24. და განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა ქუეყანასა ასურასტანისასა. და მოჰგურიდეს მას ყოველთა ბოროტად სნეულთა თითო-სახეთაგან სენთა და გუემითა შეპყრობილთა და ეშმაკეულთა და ცისად-ცისად გუემულთა და განრღუეულთა, და განკურნნა იგინი.
25. და მისდევდა მას ერი მრავალი გალილეაჲთ და ათქალაქით და იერუსალჱმით და ჰურიასტანით და წიაღ-იორდანით.

5

1. და ვითარცა იხილა იესუ ერი იგი, აღვიდა მთასა და დაჯდა იგი მუნ. და მოუკდეს მას მოწაფენი მისნი.
2. და აღაღო პირი თჳსი, ასწავებდა მათ და ეტყოდა:
3. ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ.
4. ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნნენ.
5. ნეტარ იყვნენ მშჯდნი, რამეთუ მათ დაიმკჳდრონ ქუეყანაჲ.
6. ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის სიმართლისათჳს, რამეთუ იგინი განძღენ.
7. ნეტარ იყვნენ მოწყალენი,

რამეთუ იგინი შეიწყალნენ.
8. ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.
9. ნეტარ იყვნენ მშჳდობის-მყოფელნი, რამეთუ იგინი ძენი ღმრთისად იწოდნენ.
10. ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათჳს, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ.
11. ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გყუედრიდენ და გდევნიდენ და თქუან ყოველი სიტყუაჲ ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუვით ჩემთჳს.
12. გიხაროდენ და მსიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა, რამეთუ ეგრევე დევნნეს წინაწარმეტყუელნი უწინარეს თქუენსა.
13. თქუენ ხართ მარილნი ქუეყანისანი. უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რაჲთა-მე დაიმარილოს? არღარა შემძლებელ არნ მერმე, არამედ განგდებად გარე და დათრგუნვად კაცთა მიერ.
14. თქუენ ხართ ნათელნი სოფლისანი. ვერ კელ-ეწიფების ქალაქსა დაფარვად, მთასა ზედა დაშენებულსა.
15. არცა აღანთიან სანთელი და დადგიან ქუეშე კჳმირსა, არამედ სასანთლესა ზედა, და ჰნათობნ იგი ყოველთა, რომელნი იყვნიან სახლსა შინა.
16. ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და აღიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა.
17. ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დაკსნად სჯულისა გინა წინაწარმეტყუელთა; არა მოვედ დაკსნად, არამედ აღსრულებად.
18. ამენ გეტყჳ თქუენ: ვიდრემდე წარკდეს ცაჲ და ქუეყანაჲ, იოტაჲ ერთი გინა რქაჲ ერთი არა წარკდეს სჯულისაგან და წინაწარმეტყუელთა, ვიდრემდის ყოველივე იქმნეს.
19. უკუეთუ ვინმე დაჰკსნეს ერთი მცნებათა ამათგანი უმცირესთაჲ და ასწავოს ესრეთ კაცთა, უმცირეს ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა; ხოლო რომელმან ყოს და ასწავოს, ამას დიდ ერქუას სასუფეველსა ცათასა.
20. ხოლო გეტყჳ თქუენ: უკუეთუ არა აღემატოს სიმართლე თქუენი უფროჲს მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეხჳდეთ სასუფეველსა ცათასა.
21. გესმა, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ: არა კაც-ჰკლა; ხოლო რომელმან მოკლას, თანა-მდებ არს სასჯელისა.
22. ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ რომელი განურისხნეს ძმასა თჳსსა ცუდად, თანა-მდებ არს სასჯელისა; და რომელმან

ჰრქუას ძმასა თჳსსა რაკა, თა-
ნა-მდებ არს იგი კრებულისა-
გან განსლვად; და რომელმან
ჰრქუას ძმასა თჳსსა ცოფ, თანა-
-მდებ არს იგი გეჰენიასა მას
ცეცხლისასა.
23. უკუეთუ შესწირეიდე შესა-
წირაესა საკურთხეველსა ზედა
და მუნ მოგეკსენოს შენ, ვითარ-
მედ ძმაჲ შენი გულ-ძჯრ რაჲმე
არს შენთჳს,
24. დაუტევე შესაწირაეი იგი
წინაშე საკურთხეველსა მას და
მიეველ და დაეგე პირველად ძმა-
სა შენსა და მაშინ მოეველ და
შეწირე შესაწირავი შენი.
25. იყავ კეთილად მცნობელ წი-
ნამოსაჯულისა მის შენისა აღ-
რე, ვიდრემდე ხარ მის თანა
გზასა ზედა, ნუუკუე მიგცეს შენ
წინამოსაჯულმან მან შენმან
მსაჯულსა და მსაჯულმან – მსა-
ხურსა, და საპყრობილედ შეჰ-
ვარდე.
26. ამენ გეტყჳ შენ: ვერ გამოხ-
ვიდე მიერ, ვიდრე არა მისცე
უკუანაჲსკნელი კოდრატი.
27. გესმა, რამეთუ ითქუა: არა
იმრუშო.
28. ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რა-
მეთუ ყოველი რომელი ხედვი-
დეს დედაკაცსა გულის-თქუმად
მას, მუნვე იმრუშა მის თანა
გულსა შინა თჳსსა.
29. უკუეთუ თუალი შენი მარ-
ჯუენე გაცთუნებდეს შენ, აღმო-
იღე იგი და განაგდე შენგან,
რამეთუ უმჯობეს არს შენდა,
რაჲთა წარწყმდეს ერთი ასო-
თა შენთაგანი, ვიდრე არა ყო-
ველი გუამი შენი შთაერდომად
გეჰენიასა.
30. და უკუეთუ მარჯუენე კელი
შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუ-
ეთე იგი და განაგდე შენგან,
რამეთუ უმჯობეს არს შენდა,
რაჲთა წარწყმდეს ერთი ასო-
თა შენთაგანი, და არა ყოველი
გუამი შენი შთავარდეს გეჰენი-
ასა.
31. თქუმულ არს, რამეთუ რო-
მელმან განუტეოს ცოლი თჳსი,
მიეცინ მას განსატევებელი.
32. ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რა-
მეთ უ ყოველმან რომელმან გა-
ნუტეოს ცოლი თჳსი თჳნიერ
სიტყჳსა სიძვისა, მან ამრუშა
იგი; და რომელმან განტეეებუ-
ლი შეირთოს, მანცა იმრუშა.
33. კუალად გესმა, რამეთუ ით-
ქუა პირველთა მათ მიმართ:
არა ცილი ჰფუცო, არამედ მის-
ცე უფალსა ფიცი შენი.
34. ხოლო მე გეტყჳ თქუენ არა
ფუცვად ყოვლადვე ნუცა ცასა,
რამეთუ საყდარი არს ღმრთი-
საჲ;
35. ნუცა ქუეყანასა, რამეთუ კუ-
არცხლბეკი არს ფერჴთა მის-
თაჲ; ნუცა იერუსალჵმსა, რამე-
თუ ქალაქი არს მეუფისა დიდი-
საჲ.
36. ნუცა თავსა შენსა ჰფუცავ,
რამეთუ ვერ ძალ-გიც ერთისა-

ცა თმისა განსპეტაკებად გინა დაშავებად.
37. არამედ იყავნ სიტყუაჲ თქუენი ჰო ჰე და არაჲ არა. ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგან არს.
38. გესმა, რამეთუ თქუმულ არს: თუალი თუალისა წილ და კბილი კბილისა წილ.
39. ხოლო მე გეტყჳ თქუენ: არა წინა-აღდგომად ბოროტისა, არამედ რომელმან გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენესა, მიუპყარ მას ერთკერძოჲცა.
40. და რომელსა უნდეს სასჯელად და მიღებად კუართი შენი, მიუტევე მას სამოსელიცა შენი.
41. და რომელი წარგიქცევდეს შენ მილიონ ერთ, მივლე მის თანა ორიცა.
42. და რომელი გთხოვდეს შენ, მიეც; და რომელსა უნდეს სესხებად შენგან, ნუ გარე-მიიქცევი.
43. გესმა, რამეთუ თქუმულ არს: შეიყუარო მოყუასი შენი და მოიძულო მტერი შენი.
44. ხოლო მე გეტყჳ თქუენ: გიყუარდედ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ.
45. რაჲთა იყვნეთ თქუენ შვილ მამისა თქუენისა ზეცათაჲსა, რამეთუ მზე მისი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა, და წჳმს მართალთა ზედა და ცრუთა.
46. უკუეთუ გიყუარდენ მოყუარენი ხოლო თქუენნი, რაჲ სასყიდელი გაქუს? რამეთუ მეზუერეთაცა ეგრეთვე ყვიან.
47. და უკუეთუ მოიკითხვიდეთ მეგობართა ხოლო თქუენთა, რასა უმეტეს იქმთ? ნუ მეზუერეთაცა ეგრეთვე ყვიანა?
48. იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს.

6

1. ეკრძალენით ქველის-საქმესა თქუენსა, რაჲთა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათა; უკუეთუ არა, სასყიდელი არა გაქუნდეს მამისა თქუენისაგან ზეცათაჲსა.
2. ხოლო რაჟამს იქმოდი ქველის-საქმესა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა, ვითარცა-იგი ორგულთა ყვიან შესაკრებელთა მათთა და უბანთა ზედა, რაჲთა იდიდნენ კაცთაგან. ამენ გეტყჳ თქუენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი.
3. ხოლო შენ რაჟამს ჰყოფდე ქველის-საქმესა, ნუ სცნობს მარცხენაჲ შენი, რასა იქმოდის მარჯუენაჲ შენი.
4. რაჲთა იყოს ქველის-საქმე შენი ფარულად; და მამამან

შენმან, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად.
5. და რაჟამს ილოცვიდე, არა იყო ეგრე, ვითარცა-იგი ორგულნი, რამეთუ უყუარნ შესაკრებელთა შორის და უბანთა გედა დგომაჲ და ლოცვაჲ, რაჲთა უჩუენონ კაცთა. ამენ გეტყჳ თქუენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი.
6. ხოლო შენ რაჟამს ილოცვიდე, შეეედ საუნჯესა შენსა და დაჰკაშ კარი შენი და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად; და მამაჲ შენი რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად.
7. და რაჟამს ილოცვიდეთ, ნუ მრავალსა იტყჳთ, ვითარცა-იგი წარმართთაგანნი, რამეთუ ჰგონებედ, ვითარმედ მრავლისმეტყუელებითა მათითა ისმინოს მათი.
8. ხოლო თქუენ ნუ ემსგავსებით მათ, რამეთუ იცის მამამან თქუენმან, რაჲ-იგი გიკმს თქუენ, ვიდრე თხოვაღმდე თქუენდა მისგან.
9. ხოლო თქუენ ესრეთ ილოცევდით: მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი,
10. მოვედინ სუფევაჲ შენი, იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა.
11. პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს
12. და მომიტევენ ჩუენ თანა-ნაღებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანა-მღებთა მათ ჩუენთა,
13. და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიკსნენ ჩუენ ბოროტისაგან, რამეთუ შენი არს სუფევაჲ და ძალი და დიდებაჲ საუკუნეთა მიმართ. ამენ.
14. რამეთუ უკუეთუ მიუტევნეთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქუენცა მამამან თქუენმან ზეცათამან.
15. ხოლო უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმან მოგიტევნეს თქუენ შეცოდებანი თქუენნი.
16. და რაჟამს იმარხვიდეთ, ნუ იყოფით, ვითარცა-იგი ორგულნი, მწუხარე, რამეთუ განირყუნიან პირნი მათნი, რაჲთა ეჩუენნენ კაცთა მმარხველად. ამენ გეტყჳ თქუენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი.
17. ხოლო შენ რაჟამს იმარხვიდე, იცხე თავი შენი და დაიბანე პირი შენი,
18. რაჲთა არა ეჩუენო კაცთა მმარხველად, არამედ მამასა შენსა დაფარულად; და მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ.
19. ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა ქუეყანასა ზედა, სადა მღილმან და მჭამელმან განრყუნის, და სადა მპარავთა დათხარიან

და განიპარიან.
20. ხოლო თქუენ იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა, სადა არცა მღილმან, არცა მჭამელმან განრყუნის, და სადა არცა მპარავთა დათხარიან და განიპარიან.
21. რამეთუ სადაცა არნ საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი.
22. სანთელი გუამისაჲ არს თუალი. უკუეთუ თუალი შენი განმარტებულ იყოს, ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს.
23. უკუეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს. უკუეთუ ნათელი იგი შენ შორის ბნელ არს, ბნელი იგი რაოდენ-მე?
24. ვერვის ქელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუაჲ იგი შეიყუაროს, ანუ ერთისაჲ მის თავს-იდვას და ერთი იგი შეურაცხ-ყოს. ვერ ქელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაჲსა.
25. ამისთჳს გეტყჳ თქუენ: ნუ ჰზრუნავთ სულისა თქუენისათჳს, რაჲ სჭამოთ და რაჲ ჰსუათ; ნუცა ჯორცთა თქუენთათჳს, რაჲ შეიმოსოთ. ანუ არა სული უფროჲს არს საზრდელისა და გუამი — სამოსლისა?
26. მიჰხედენით მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და მამაჲ თქუენი ზეცათაჲ ზრდის მათ. არა-მე უფროჲს თქუენ უმჯობეს სართა მფრინველთა?
27. ანუ ვინ-მე თქუენგანი ზრუნვიდეს და შეუძლოს შეძინებად ჰასაკსა თჳსსა წყრთა ერთ?
28. და სამოსლისათჳს რაჲსა ჰზრუნავთ? განიცადენით შრომაანნი ველისანი, ვითარ-იგი აღორძნდის! არა შურებინ, არცა სთავნ.
29. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ არცაღა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა მისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი.
30. უკუეთუ თივაჲ იგი ველისაჲ, რომელი დღეს არს და ხვალე თორნესა შთაეგზნის, ღმერთმან ესრეთ შემოსის, არა-მე უფროჲს თქუენა, მცირედ-მორწმუნენო?
31. ნუ ჰზრუნავთ და იტყჳთ, რაჲ ვჭამოთ, ანუ რაჲ ვსუათ, ანუ რაჲ შევიმოსოთ?
32. რამეთუ ამას ყოველსა წარმართნი ეძიებენ, რამეთუ იცის მამამან თქუენმან, რაჲ გიკმს ამათ ყოველთაგანი.
33. ხოლო თქუენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ.
34. ნუ ჰზრუნავთ ხვალისათჳს, რამეთუ ხვალემან იზრუნოს თავისა თჳსისა. კმა არს ღღისა მის სიბოროტე თჳსი.

7

1. ნუ განიკითხავთ, რაჲთა არა განიკითხნეთ,
2. რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ.
3. ანუ რაჲსა სედაე წუელსა თუალსა შინა ძმისა შენისასა და ძურესა თუალსა შინა შენსა არა განიცდი?
4. ანუ ვითარ ჰრქუა ძმასა შენსა: მაცადე, და აღმოგიღო წუელი თუალისაგან შენისა, და აჰა ეგერა ძურე თუალსა შინა შენსა!
5. ორგულო, აღმოიღე პირველად ძურე თუალისაგან შენისა და მაშინ იხილო აღმოღებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა.
6. ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერკითა მათითა და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ.
7. ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით და ჰპოოთ; ირეკდით, და განგეღოს თქუენ.
8. რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს, მოიღოს; და რომელი ეძიებდეს, პოვოს; და რომელი ირეკდეს, განეღოს.
9. ანუ ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა სთხოვდეს ძე თჳსი პურსა, ნუ ქვაჲ მისცესა მას?
10. გინა თუ თევზსა სთხოვდეს, ნუ გუელი მისცეს მას?
11. უკუეთუ თქუენ, უკეთურთა, იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შეილთა თქუენთა, რაოდენ უფროჲსღა მამამან თქუენმან ზეცათამან მოსცეს კეთილი, რომელნი სთხოვდენ მას!
12. ყოველი რომელი გინდეს თქუენ, რაჲთა გიყონ კაცთა, ეგრეცა თქუენ ჰყვით მათა მიმართ, რამეთუ ესრეთ არს სჯული და წინაწარმეტყუელნი.
13. შეეედით იწროჲსაგან ბჭისა, რამეთუ ერცელ არს ბჭე და ფართო არს გზაჲ, რომელსა მიჰყაეს წარსაწყმედელად, და მრავალნი ელენან მას ზედა.
14. ვითარ-იგი იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაჲ, რომელი მიიყვანებს ცხორებასა, და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოებენ მას.
15. ეკრძალენით ცრუ-წინაწარმეტყუელთაგან, რომელნი მოეიდოდიან თქუენდა სამოსლითა ცხოვართაჲთა, ხოლო შინაგან იყუნენ მგელ მტაცებელ.
16. ნაყოფთა მათთგან იცნნეთ იგინი. ნუუკუე შეკრიბიან ეკალთაგან ყურძენი ანუ კუროჲსთავთაგან ლეღჳ?
17. ესრეთ ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღის, ხოლო ხემან ხენეშმან ნაყოფი ხენეში გამოიღის.

18. ვერ კელ-ეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად და არცა სესა ხენეშსა ნაყოფი კეთილი ყოფად.
19. ყოველმან ხემან რომელმან არა ყოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას.
20. ნაყოფთა სამე მათთაგან იცნნეთ იგინი.
21. არა ყოველმან რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო, და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ.
22. მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა: უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ეწინაწარმეტყუელებდითა და სახელითა შენითა ეშმაკნი განვასხენით და სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ექმნენით?
23. მას ჟამსა ვრჰქუა მათ, ვითარმედ: არა გიცნი თქუენ, განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი.
24. ყოველმან რომელმან ისმინნეს სიტყუანი ესე ჩემნი და ყენეს იგინი, ვამსგავსო იგი კაცსა გონიერსა, რომელმან აღაშენა სახლი თჳსი კლდესა ზედა.
25. და გარდამოჴდა წჳმაჲ, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი და ეკუეთნეს სახლსა მას, და არა დაეცა, რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა.
26. და ყოველმან რომელმან ისმინნეს სიტყუანი ესე ჩემნი და არა ყენეს იგინი, ემსგავსოს იგი კაცსა ცოფსა, რომელმან აღაშენა სახლი თჳსი ქჳშასა ზედა.
27. და გარდამოჴდა წჳმაჲ, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი და ეკუეთნეს სახლსა მას, და დაეცა. და იყო დაცემაჲ იგი მისი დიდ ფრიად.
28. და იყო რაჟამს დაასრულნა იესუ სიტყუანი ესე, განუკჳრდებოდა ერსა მას მოძღურებაჲ იგი მისი,
29. რამეთუ იყო სწავლაჲ იგი მისი მათა მიმართ, ვითარცა-იგი ვის კელმწიფებაჲ აქუნ, და არა ვითარ-იგი მწიგნობარნი მათნი და ფარისეველნი.

8

1. და გარდამოვიდოდა რაჲ იგი მიერ მთით, მოსდეედა მას ერი მრავალი.
2. და აჰა ესერა კეთროვანი ვინმე მოუჴდა, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: უფალო, უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც განწმედაჲ ჩემი.
3. და მიყო კელი თჳსი იესუ, შეახო მას და ჰრქუა: მნებავს, განწმიდენი! და მეყსეულად განწმიდნა იგი კეთროვნებისა მისგან. .
4. და ჰრქუა მას იესუ: იხილე, ნუვის უთხრობ, არამედ წარვედ და უჩუენე თავი შენი მღდელსა

და შეწირე შესაწირავი შენი, რომელი ბრძანა მოსე საწამებელად მათა.
5. და შე-რაჲ-ვიდა იგი კაპერნაუმდ, მოუკდა მას ასისთაეი, ევედრებოდა მას
6. და ეტყოდა: უფალო, მონაჲ ჩემი დაცემულ არს სახლსა შინა ჩემსა განრღუეული და ფრიად იგუემების.
7. ჰრქუა მას იესუ: მე მოვიდე და განვკურნო იგი.
8. მიუგო ასისთაემან მან და ჰრქუა: უფალო, არა ღირს ვარ მე, რაჲთამცა სართულსა ჩემსა ქუეშე შემოხუედ, არამედ სიტყჳთ ხოლო თქუ, და განიკურნოს მონაჲ იგი ჩემი.
9. რამეთუ მეცა კაცი ვარ ქელმწიფებასა ქუეშე და მქონან ჩემ ქუეშე ერისაგანნი; და ეჰრქუ მას: წარვედ! და წარეიდის; და სხუასა: მოვედ! და მოეიდის; და მონასა ჩემსა: ქმენ ესე! და ქმნის.
10. ესმა რაჲ ესე იესუს, დაუკჳრდა და ჰრქუა ერსა მას, რომელნი მისდევდეს მას: ამენ გეტყჳ თქუენ: არცაღა ისრაწლსა შორის ესოდენი სარწმუნოებაჲ ვპოვე.
11. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ: მრავალნი მზისა-აღმოსავალით და დასავალით მოვიდოდიან და ინაკ-იდგმიდენ აბრაჰამის თანა და ისაკის თანა და იაკობის თანა სასუფეველსა ცათასა.
12. ხოლო ძენი იგი სასუფეველისანი განითხინენ ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.
13. და ჰრქუა იესუ ასისთავსა მას: წარვედ და, ვითარცა გრწმენა, გეყაენ შენ და განიკურნა მონაჲ იგი მისი მას ჟამსა შინა.
14. და მოვიდა იესუ სახლსა პეტრესსა და იხილა სიდედრი იგი მისი, დაერდომილი მკურვალებითა.
15. და შეახო კელსა მისსა, და დაუტევა იგი მკურვალებამან, აღდგა და ჰმსახურებდა მას.
16. და ვითარცა შემწუხრდა, მოჰგუარეს მას ეშმაკეულები მრავალი, და განასხა სულები იგი სიტყჳთა და ყოველნი, რომელნი ბოროტად სნეულ იყვნეს, განკურნნა.
17. რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელ თქუა: მან უძლურებანი ჩუენნი მიიხუნა და სნეულებანი ჩუენნი იტჯრთნა.
18. ვითარცა იხილა იესუ ერი მრავალი გარემო მისა, უბრძანა წიაღსლვაჲ მიერ კერძო.
19. და მოუკდა მას ერთი მწიგნობარი და ჰრქუა: მოძღუარ, მიგდევდე შენ, ვიდრეცა ხჯდიდი.
20. ჰრქუა მას იესუ: მელთა კურელი უჩნს და მფრინველთა

ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს.
21. და სხუამან მოწაფეთა მისთაგანმან ჰრქუა მას: უფალო, მიბრძანე მე პირველად მისლვად და დაფლვად მამისა ჩემისა.
22. ხოლო იესუ ჰრქუა მას: შენ მომდევდი მე და აცადენ მკუდარნი დაფლვად თჳსთა მკუდართა.
23. და აღვიდა იგი ნავსა, და მისდევდეს მოწაფენი მისნი.
24. და აჰა ესერა აღძრვაჲ იყო დიდი ზღუასა შინა ვიდრე დაფარვადმდე ნავისა ღელვათაგან. ხოლო თავადსა ეძინა.
25. და მოუკდეს მას მოწაფენი მისნი და აღადგინეს იგი და ეტყოდეს: უფალო, მიჴსნენ ჩუენ, რამეთუ წარვწყმდებით.
26. და თავადმან ჰრქუა მათ: რაჲსა შეშინდით, მცირედ-მორწმუნენო? მაშინ აღდგა და შეჰრისხნა ქართა მათ და ზღუასა და იქმნა მეყსეულად დაყუდება დიდ.
27. ხოლო კაცთა მათ უკჳრდა და იტყოდეს: რაბამ ვინმე არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ზღუაჲ ერჩიან მას?
28. და ვითარცა მოვიდა იგი მიერ კერძო სოფელსა მას გერგესეველთასა, შეემთხჳნეს მას ორნი ეშმაკეულნი, რომელნი გამოვიდოდეს საფლავებისაგან, ფრიად ბოროტნი, ვიდრეღა ვერვის ქელ-ეწიფებოდა წარსლვაჲ მიერ გზით.
29. და ღაღად-ყვეს და იტყოდეს: რაჲ ძეს ჩუენი და შენი, იესუ, ძეო ღმრთისაო? რამეთუ მოხუედ აქა უწინარეს ჟამისა ტანჯვად ჩუენდა.
30. და იყო შორს მათგან კოლტი ღორთაჲ მძოვარი.
31. ხოლო ეშმაკნი იგი ევედრებოდეს მას და ეტყოდეს: უკუეთუ განგუასხამ ჩუენ, მიბრძანე ჩუენ მისლვად კოლტსა იმას ღორთასა.
32. და ჰრქუა მათ: მიევედით! ხოლო იგინი განვიდეს კაცთა მათგან და მიიმართეს კოლტსა მას ღორთასა. და მიიმართა ყოველმან მან კოლტმან ღორთამან კბოდესა მას ზღუასა და მოსწყდეს იგინი წყალთა მათ შინა.
33. ხოლო მწყემსნი იგი იქცტოდეს და წარვიდეს ქალაქად და უთხრეს ყოველივე ეშმაკეულთა მათთჳს.
34. მაშინ ყოველი იგი ქალაქი გამოვიდა შემთხუევად იესუჲსა. და იხილეს იგი და ევედრებოდეს, რაჲთა წარვიდეს საზღვართა მათთაგან.

9

1. და შევიდა ნავსა და წიაღკდა და მოვიდა თჳსად ქალაქად.
2. მაშინ მოართუეს მას გან-

რღუეული ცხედარსა ზედა მდებარე. და იხილა იესუ სარწმუნოებაჲ მათი და ჰრქუა განრღუეულსა მას: ნუ გეშინინ, შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი.
3. და აჰა ესერა მწიგნობართაგანთა ეიეთმე თქუეს გულთა შინა მათთა, ეითარმედ: ესე გმობს.
4. იცნოდა იესუ ზრახეანი მათნი და ჰრქუა მათ: რაჲსა თქუენ ბოროტსა ჰზრახავთ გულთა შინა თქუენთა?
5. რაჲ უადვილეს არს სიტყუად: მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი, ანუ სიტყუად: აღდეგ და ვიდოდე?
6. ხოლო რაჲთა უწყოდით, რამეთუ ქელმწიფებაჲ აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა, მაშინ ჰრქუა განრღუეულსა მას: აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახედ შენდა!
7. და იგი მეყსეულად აღდგა და წარვიდა სახედ თჳსა.
8. იხილა რაჲ ესე ერმან მან, დაუკჳრდა და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან მოსცა ესევითარი ქელმწიფებაჲ კაცთა.
9. და წარვიდოდა მიერ იესუ, იხილა კაცი, რომელი ჴდა საზუერესა, მატთეოს სახელი მისი, და ჰრქუა მას: მომდევდი მე. და აღდგა და მისდევდა მას.
10. და იყო ჴდა რაჲ იგი ინაკით სახლსა შინა, და მრავალნი მეზუერენი და ცოდვილნი თანა-სხდეს ინაკით იესუჲს თანა და მოწაფეთა მისთა თანა.
11. და ვითარცა იხილეს ფარისეველთა მათ, ჰრქუეს მოწაფეთა მისთა: რაჲსათჳს მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჭამს მოძღუარი თქუენი?
12. ხოლო იესუს ვითარცა ესმა, ჰრქუა მას: არა უკჳმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა.
13. ხოლო თქუენ წარვედით და ისწავეთ, რაჲ არს: წყალობაჲ მნებაეს და არა მსხუერპლი. რამეთუ არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა.
14. მაშინ მოუკდეს მას მოწაფენი იოვანესნი და ეტყოდეს: რაჲსათჳს ჩუენ და ფარისეველნი ვიმარხავთ ურიად, ხოლო მოწაფენი შენნი არა იმარხვენ?
15. ჰრქუა მათ იესუ: კელ-მე-ეწიფებისა ძეთა სიძისათა გლოვად, ვიდრემდე მათ თანა არს სიძე? მოვლენან დღენი, რაჟამს ამაღლდეს მათგან სიძე იგი, და მაშინ იმარხვიდენ.
16. არავინ დაადგის სადგმელი უმურკნველი სამოსელსა ძუელსა, რამეთუ აღიღის საკსებაჲ სამოსლისა მისგან, და უფროჲსი განხეთქილებაჲ იქმნის.
17. არცა შთაასხიან ღჳნოჲ ახალი თხიერთა ძუელთა, რაჲთა

არა განსთქდენ თხიერნი, და ღუნოჲ დაითხიოს, და თხიერნი წარწყმდენ. არამედ შთაასხიან ღუნოჲ ახალი თხიერთა ახალთა, და ორნივე დაიმარხნიან.

18. და ვითარცა იგი ამას ეტყოდა მათ, მაშინ მოუკდა მას მთავარი ერთი, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა, ვითარმედ: ასული ჩემი აწღა აღესრულა; არამედ მოვედ და დასდევ კელი შენი მას ზედა, და ცხოვნდეს.

19. და აღდგა იესუ და შეუდგა მას, და მოწაფენი მისნი მის თანა.

20. და აჰა ესერა დედაკაცი ვინმე, რომელი იყო სისხლისა დინებასა ათორმეტ წელ, მოუკდა ზურგით და შეახო ფესუსა სამოსლისა მისისასა.

21. რამეთუ იტყოდა გულსა თჳსსა, ვითარმედ: შე-ხოლო თუ-ეახო სამოსელსა მისსა, ვცხოვნდე.

22. ხოლო იესუ მიექცა, იხილა იგი და ჰრქუა მას: ნუ გეშინინ, ასულო, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. და განიკურნა დედაკაცი იგი მიერ ჟამითგან.

23. და მოვიდა იესუ სახლსა მის მთავრისასა და იხილა მუნ მგოსნები და ერი კრებული და შფოთი

24. და ჰრქუა მათ: განეშორენით, რამეთუ არა მომკუდარ არს ეგე, არამედ სძინავს. ხოლო იგინი ეკიცხეედეს მას.

25. და რაჟამს გამოასხა ერი იგი, შევიდა და უპყრა კელი მისი და აღადგინა ქალი იგი.

26. და განჴდა ჰამბავი მისი ყოველსა მას ქუეყანასა.

27. და წარმო-რაჲ-ვიდოდა მიერ იესუ, მოსდევდეს მას ორნი ბრმანი, ღაღადებდეს და იტყოდეს: შემიწყალენ ჩუენ, ძეო დავითისო!

28. და ვითარცა შევიდა იესუ სახლსა, მოუკდეს მას ბრმანი იგი, და ჰრქუა მათ იესუ: გრწამსა, ვითარმედ ძალ-მიც ესე ყოფად? ჰრქუეს მას: ჰე, უფალო.

29. მაშინ შეახო თუალთა მათთა და ჰრქუა მათ: სარწმუნოებისა თქუენისაებრ გეყავნ თქუენ!

30. და მეყსეულად აღეხუნეს თუალნი მათნი. და შეჰრისხნა მათ იესუ და ჰრქუა: იხილეთ, ნუმცა ვინ უწყის.

31. ხოლო იგინი გამოვიდეს და მიმოდადვეს იგი ყოველსა მას ქუეყანასა.

32. და ვითარცა-იგი გამო-ოდენ-ვიდეს, მოჰგუარეს მას კაცი ყრუჲ და ეშმაკეული.

33. და ვითარცა განჴადა ეშმაკი იგი, იტყოდა ყრუჲ იგი. და დაუკჳრდებოდა ერსა მას და იტყოდეს: არასადა ისრაჱლსა მორის ესრეთ გამოჩნდა.

34. ხოლო ფარისეველნი იტყოდეს: მთავრითა ეშმაკთაჲთა

განასხამს ეშმაკთა.
35. და მოჰვლიდა იესუ ქალაქებსა ყოველსა და დაბნებსა და ასწავებდა შესაკრებელთა შორის მათთა და ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისასა და განჰკურნებდა ყოველთა სენთა და ყოველთა უძლურებათა ერსა შორის.
36. და ვითარცა იხილა ერი იგი, შეეწყალნეს იგინი, რამეთუ იყვნეს დამაშურალ და დაცუნებულ, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი.
37. მაშინ ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი – მცირედ.
38. ევედრენით უფალსა სამკალისასა, რაჲთა გამოავლინნეს მოქმედნი სამკალსა თჳსსა.

10

1. და მოუწოდა ათორმეტთა მოწაფეთა თჳსთა და მისცა მათ ჴელმწიფებაჲ სულთა ზედა არა-წმიდათა, რაჲთა განასხმიდენ მათ და განჰკურნებდენ ყოველთა სენთა და ყოველთა უძლურებათა.
2. ხოლო ათორმეტთა მათ მოციქულთა სახელები ესე არს: პირველად სიმონ, რომელსა ეწოდა პეტრე, და ანდრეა, ძმაჲ მისი, იაკობ ზებედესი და იოვანე, ძმაჲ მისი,
3. ფილიპე და ბართლომე, თომა და მატთეოს მეზუერე, იაკობ ალფესი და ლებეოს, რომელსა ეწოდა თადეოს,
4. სიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი, რომელმანცა განსცა იგი.
5. ესე ათორმეტნი წარაველინნა იესუ, ამცნო მათ და ჰრქუა: გზასა წარმართთასა ნუ მიხუალთ და ქალაქსა სამარიტელთასა ნუ შეხუალთ,
6. არამედ მიეედით უფროჲს ხოლო ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაჱლისათა.
7. და მი-რაჲ-ხჯდეთ, ქადაგებდით და იტყოდეთ, ვითარმედ: მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ.
8. უძლურთა განჰკურნებდით, მკუდართა აღადგინებდით, კეთროვანთა განსწმედდით, ეშმაკთა განასხემდით; უსასყიდლოდ მიგიღებიეს, უსასყიდლოდ მისცემდით.
9. ნუ მოიგებთ ოქროსა, ნუცა ვეცხლსა, ნუცა რვალსა სარტყელთა თქუენთა,
10. ნუცა ვაშკარანსა გზასა ზედა, ნუცა ორსა სამოსელსა, ნუცა ჯამლთა, ნუცა კუერთხსა, რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა.
11. რომელსა ქალაქსა ანუ დაბასა შეხჯდეთ, გამოიკითხეთ; ვინ ღირს იყოს, მუნ დაადგერით ვიდრე გამოსლვაძდე.
12. და შე-რაჲ-ხჯდოდით სახლსა

მას, მოიკითხეთ იგი და თქუთ: მშჳდობაჲ სახლსა ამას!
13. და უკუეთუ სახლი იგი ღირს იყოს, მოვიდეს მშჳდობაჲ თქუენი მას ზედა; უკუეთუ არა ღირს იყოს, მშჳდობაჲ თქუენი თქუენდავე მოიქეცინ.
14. და უკუეთუ არავინ შეგიწყნარნეს თქუენ და არცა ისმინნეს სიტყუანი თქუენნი, გამო-რაჲ-ხჳდოდით მიერ სახლით გინა მიერ ქალაქით, განიყარეთ მტუერი ფერჴთა თქუენთაჲ.
15. ამენ გეტყჳ თქუენ: უმოლხინეს იყოს ქუეყანაჲ იგი სოდომისაჲ და გომორისაჲ დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე ქალაქი იგი.
16. აჰა მე მიგავლინებ თქუენ, ვითარცა ცხოვართა, შორის მგელთა. იყვენით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი.
17. ეკრძალებოდეთ კაცთაგან, რამეთუ მიგცემდენ თქუენ კრებულსა და შორის შესაკრებელთა მათთა გტანჯვიდენ თქუენ.
18. და წინაშე მთავართა და მეფეთა მიგიყვანნენ თქუენ ჩემთჳს საწამებელად მათდა და წარმართთა.
19. და რაჟამს მიგცნენ თქუენ, ნუ ჰზრუნავთ, ვითარ ანუ რასა იტყოდით, რამეთუ მოგეცეს თქუენ მას ჟამსა შინა, რასა-იგი იტყოდით.
20. რამეთუ არა თქუენ იყვნეთ მეტყუელნი, არამედ სული მამისა თქუენისაჲ, რომელი იტყოდის თქუენ შორის.
21. რამეთუ მისცეს ძმამან ძმაჲ სიკუდილდ და მამამან — შვილი; და აღდგენ შვილნი მამა-დედათა ზედა და მოჰკლვიდენ მათ.
22. და იყვნეთ თქუენ მოძულებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათჳს. ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს.
23. რაჟამს გდევნიდენ თქუენ ამიერ ქალაქით, მიივლტოდეთ სხუად. ამენ გეტყჳ თქუენ: ვერ დაასრულოთ ქალაქები ისრაჱლისაჲ, ვიდრემდის ძე კაცისაჲ მოვიდეს.
24. არა არს მოწაფე უფროჲს მოძღურისა თჳსისა, არცა მონაჲ უფროჲს უფლისა თჳსისა.
25. კმა არს მოწაფისა მის, უკუეთუ იყოს, ვითარცა მოძღუარი თჳსი, და მონაჲ იგი, ვითარცა უფალი თჳსი. უკუეთუ სახლისა უფალსა ბელზებულით ჰხადოდეს, რაოდენ უფროჲს სახლეულთა მისთა?
26. ნუუკუე გეშინინ მათგან, რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს, და არცა საიდუმლოჲ, რომელი არა გამოცხადნეს.
27. რომელი გარქუ თქუენ ბნელსა შინა, თქუენ თქუთ ნათელსა შინა; და რომელი ყურთა გესმა,

ქადაგებდით ერდოთა ზედა.
28. და ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყჳდნენ კორცნი, ხოლო სულისა ვერ კელ-ეწიფების მოკლვად. არამედ გეშინოდენ მისა უფროჲს, რომელი შემძლებელ არს სულისა და კორცთა წარწყმედად გეჰენიასა შინა.
29. ანუ არა ორი სირი ასარის განისყიდებისა? და ერთიცა მათგანი არა დავარდების ქუეყანასა ზედა თჳნიერ მამისა თქუენისა.
30. ხოლო თქუენნი თავისა თმანიცა ყოველნი განრაცხილ არიან.
31. ნუ გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ თქუენ.
32. ყოველმან რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა.
33. და რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ-ვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა.
34. ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ მე მიფუენად მშჳდობისა ქუეყანასა ზედა; არა მოვედ მიფუენად მშჳდობისა, არამედ მახჳლისა.
35. რამეთუ მოვედ განყოფად კაცისა მამისაგან თჳსისა და ასული – დედისაგან თჳსისა და სძალი – დედამთილისაგან თჳსისა.
36. და მტერ იყვნენ კაცისა სახლეულნი თჳსნი.
37. რომელსა უყუარდეს მამაჲ ანუ დედაჲ უფროჲს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს; და რომელსა უყუარდეს ძე ანუ ასული უფროჲს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს.
38. და რომელმან არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს.
39. რომელმან მოიპოოს სული თჳსი, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თჳსი ჩემთჳს, მან პოოს იგი.
40. რომელმან შეგიწყნარნეს თქუენ, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი.
41. რომელმან შეიწყნაროს წინაწარმეტყუელი სახელად წინაწარმეტყუელისა, სასყიდელი წინაწარმეტყუელისაჲ მიიღოს; და რომელმან შეიწყნაროს მართალი სახელად მართლისა, სასყიდელი მართლისაჲ მიიღოს.
42. და რომელმან ასუას ერთსა მცირეთაგანსა სასუმელი ერთი წყალი გრილი სახელად მოწფისა, ამენ გეტყჳ თქუენ, არა წარუწყმდეს სასყიდელი მისი.

11

1. და იყო რაჟამს დაასრულნა იესუ ბრძანებანი ესე ათორმეტ-

თა მიმართ მოწაფეთა მისთა, წარვიდა მიერ ქადაგებად და სწავლად ქალაქებსა მათსა.
2. ხოლო იოვანეს რაჲ ესმნეს საპყრობილესა შინა საქმენი ქრისტესნი, მიავლინნა ორნი მოწაფენი თჳსნი
3. და ჰრქუა: შენ ხარა მომავალი იგი, ანუ სხუასა მოველოდით?
4. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: მიეცით და უთხართ იოვანეს, რომელი გესმის და ჰხედავთ:
5. ბრმანი აღიხილვენ, მკელობელნი ვლენან, კეთროვანნი განწმდებიან, და ყრუთა ესმის, და მკუდარნი აღდგებიან და გლახაკთა ეხარების.
6. და ნეტარ არს, რომელი არა დაბრკოლდეს ჩემდა მომართ.
7. და ვითარცა ესენი წარვიდეს, იწყო იესუ სიტყუად ერსა მას იოვანესთჳს: რაჲსა გამოხუედით უდაბნოდ ხილვად? ლერწმისა, ქარისაგან შერყეულისა?
8. არამედ რაჲსა გამოხუედით ხილვად? კაცისა, ჩჩულითა სამოსლითა შემოსილისა? აჰა ესერა რომელნი ჩჩულითა სამოსლითა შემოსილ არიან, სახლთა შინა სამეუფოთა არიან.
9. არამედ რაჲსა გამოხუედით ხილვად? წინაწარმეტყუელისა? ჰე, გეტყჳ თქუენ, და უმეტეს წინაწარმეტყუელისა.
10. რამეთუ ესე არს, რომლისათჳს წერილ არს: აჰა ესერა წარვაველინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა, რომელმან განჰმზადნეს გზანი შენნი წინაშე პირსა შენსა.
11. ამენ გეტყჳ თქუენ: არა აღდგომილ არს ნაშობთაგანი დედათაჲ უფროჲს იოვანეს ნათლის-მცემელისა; ხოლო უმცირესი სასუფეველსა ცათასა უფროჲს მისა არს.
12. რამეთუ ღღითგან იოვანე ნათლის-მცემელისაჲთ ვიდრე აქამომდე სასუფეველი ცათაჲ იიძულების; და რომელნი აიძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი.
13. რამეთუ ყოველნი წინაწარმეტყუელნი და სჯული ვიდრე იოვანესამდე წინაწარმეტყუელებდეს.
14. და უკუეთუ გნებავს შეწყნარების, იგი არს ელია, რომელი მოვალს.
15. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!
16. აწ ვის ვამსგავსო ნათესავი ესე? მსგავს არს ყრმათა, რომელნი სხენედ უბანთა და მოუწესედ მოყუასთა თჳსთა
17. და ეტყჳედ მათ: გისტჳნევედით თქუენ, და არა ჰროკევედით, გიგოდებდით, და არა იტყებდით.
18. რამეთუ მოვიდა იოვანე, არცა ჭამდა, არცა სუმიდა, და იტყჳან, ვითარმედ: ეშმაკეულ არს.
19. მოვიდა ძე კაცისაჲ, ჭამს და

სუამს, და იტყჳან: აჰა კაცი მჭამელი და ღჳნის-მსუმელი, მეგობარი მეზუერეთა და ცოდვილთაჲ. და განმართლდა სიბრძნე შვილთაგან თჳსთა.

20. მაშინ იწყო იესუ ყუედრებად ქალაქებისა მის, სადა-იგი იქმნნეს უმრავლესნი ძალნი მისნი, რამეთუ არა შეინანეს:

21. ვაჲ შენდა, ქორაზინ, და ვაჲ შენდა, ბეთსაიდა! რამეთუ ტჳროსს თუმცა და სიდონს იქმნნეს ძალნი, რომელნი იქმნნეს თქუენ შორის, მაშინვე სამემცა ძაძითა ნაცარსა ზედა მსხდომარეთა შეინანეს.

22. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ ტჳროსი და სიდონი უმოლხინეს იყოს დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე თქუენ.

23. ხოლო შენ, კაპერნაუმ, ნუ ცადმდე აჰმაღლდები, არამედ ჯოჯოხეთადმდე შთაჰკდე, რამეთუ სოდომს თუმცა იქმნნეს ძალნი, რომელნი იქმნნეს შენ შორის, ჰგიანმცა დღენდელად დღედმდე.

24. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ ქუეყანაჲ იგი სოდომისაჲ უმოლხინეს იყოს დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე შენ.

25. მას ჟამსა შინა იტყოდა იესუ და თქუა: აღგიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩჳლთა.

26. ჰე, მამაო, რამეთუ ესრეთ სათნო-იყო შენ წინაშე.

27. ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ; და არავინ იცის ძე, გარნა მამამან; არცა მამაჲ ვინ იცის, გარნა ძემან, და რომლისაჲ უნდეს ძესა გამოცხადების.

28. მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტჳრთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ.

29. აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშჳდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოოთ განსუენებაჲ სულთა თქუენთაჲ.

30. რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტჳრთი ჩემი სუბუქ არს.

12

1. მას ჟამსა შინა წარვიდოდა იესუ დღესა შაბათსა ყანობირსა მათსა. ხოლო მოწაფეთა მისთა შეემშია და იწყეს მუსრვად თავსა კუვილისასა და ჭამად.

2. ხოლო ფარისეველთა მათ იხილეს რაჲ, ჰრქუეს მას: აჰა მოწაფენი შენნი იქმან, რომელი არა ჯერ-არს შაბათსა შინა საქმედ.

3. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: არა აღმოგიკითხავსა, რაჲ-იგი ყო დავით, ოდეს-იგი შეემშია და მისთანათა მათ?

4. ვითარ-იგი შევიდა სახლსა ღმრთისასა და პურნი იგი შესაწირავთანი შეჭამნა, რომელ-

თაჲ არა ჯერ-იყო ჭამად მისა, არცა მისთანათა მათ, გარნა მღდელთა ხოლო?
5. ანუ არა აღმოგიკითხავსა შჯულსა, რამეთუ შაბათთა შინა მღდელთა ტაძარსა მას შინა შაბათი შეურაცხ-ყვიან და უბრალო იყენიან?
6. ხოლო გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: ტაძრისა უფროჲს არს აქა.
7. უკუეთუმცა გეცნა, რაჲ არს: წყალობაჲ მნებავს და არა მსხუერპლი, არამცა დასაჯენით უბრალონი.
8. უფალ არს ძე კაცისაჲ შაბათსაცა.
9. და წარმოვიდა მიერ იესუ და მოვიდა შესაკრებელსა მათსა.
10. და იყო მუნ კაცი ერთი, რომელსა კელი განკმელ ედგა. ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს: უკუეთუ ჯერ-არს შაბათსა კურნებაჲ? რაჲთამცა შეასმინეს იგი.
11. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა ედგას ცხოვარი ერთი და შთავარდეს იგი დღესა შაბათსა ჯურღმულსა, არა-მე უპყრასა და აღმოიქუას იგი?
12. რაოდენ უმჯობეს არს კაცი ცხოვრისა? ამისთჳს ჯერ-არს შაბათსა შინა კეთილისა საქმე.
13. მაშინ ჰრქუა იესუ კაცსა მას: განირთხ კელი შენი! და მან განირთხა კელი, და კუალად მოეგო ცოცხალი, ვითარცა ერთი იგი.
14. ხოლო ფარისეველნი იგი გამოვიდეს და ზრახვა-ყვეს მისთჳს, რაჲთა წარწყმიდონ იგი. ხოლო იესუ გულისჴმა-ყო და განეშორა მიერ და წარვიდა.
15. და მისდევდა მას ერი მრავალი, და განკურნნა იგი ყოველნი.
16. და ამცნო მათ, რაჲთა არა გამოაცხადონ იგი.
17. რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყჳს:
18. აჰა ესერა ძე ჩემი, რომელი მე სათნო-ვიყავ, საყუარელი ჩემი, რომელი სთნავს სულსა ჩემსა. დავდვა სული ჩემი მის ზედა, და სამართალი წარმართთა მიუთხრას.
19. არა ჰკდებოდის, არცა ღაღადებდეს, არცა ესმეს ვის უბანთა ზედა ჴმაჲ მისი.
20. ლერწამი შემუსრვილი არა განტეხოს და პატრუკი მბნდჳნვარე არა დაშრიტოს, ვიდრემდე გამოიღოს ძლევად სასჯელი.
21. და სახელსა მისსა წარმართნი ესვიდენ.
22. მაშინ მოჰგუარეს მას ეშმაკეული ბრმაჲ და ყრუჲ, და განკურნა იგი, ვითარმედ ყრუჲ იგი და ბრმაჲ ხედვიდა და იტყოდა.
23. და განუკჳრდებოდა ერსა მას და იტყოდეს: ნუუკუე ესე არს ძე დავითისი?
24. ხოლო ფარისეველთა მათ

ვითარცა ესმა ესე, იტყოდეს: ესე არა განასხამს ეშმაკთა, გარნა ბელზებულითა, მთავრითა მით ეშმაკთაჲთა.
25. იცოდნა იესუ ზრახვანი იგი გულისა მათისანი და ჰრქუა მათ: ყოველი მეუფებაჲ, რომელი განეყოფილ-ეს თავსა თჳსსა, მოოჯრდის; და ყოველი ქალაქი გინა სახლი, რომელი განეყოფილ-ეს თავსა თჳსსა, ვერ დაემტკიცოს.
26. და უკუეთუ ეშმაკი ეშმაკსა განჰკდის, თავსა თჳსსა განეყოფილ-ეს; ვითარ დამტკიცნეს მეუფებაჲ მისი?
27. და უკუეთუ მე ბელზებულითა განვასხამ ეშმაკთა, ძენი თქუენნი რაჲთა განასხმენ? ამისთჳს იგინიცა მსაჯულ თქუენდა იყვნენ.
28. უკუეთუ მე სულითა ღმრთისაჲთა განვასხამ ეშმაკთა, მო-სამე-იწია თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისაჲ.
29. ანუ ვითარ ვის კელ-ეწიფების სახლსა ძლიერისასა შესლვად და ჭურჭელი მისი გამოტყუენვად, უკუეთუ არა პირველად შეკრას ძლიერი იგი და მაშინღა სახლი მისი იავარ-ყოს.
30. რომელი არა არს ჩემ თანა, იგი მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს.
31. ამისთჳს გეტყჳ თქუენ: ყოველი ცოდვაჲ და გმობაჲ მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობაჲ არა მიეტეოს კაცთა.
32. და რომელმან თქუას სიტყუაჲ ძისა კაცისათჳს, მიეტეოს მას; ხოლო რომელმან თქუას სულისა წმიდისათჳს, არა მიეტეოს მას არცა ამას სოფელსა, არცა მერმესა მას.
33. ანუ ყავთ ხე იგი კეთილ და ნაყოფიცა მისი კეთილ; ანუ ყავთ ხე იგი სენეშ და ნაყოფიცა მისი ხენეშ; რამეთუ ნაყოფისაგან ხე იგი საცნაურ არს.
34. ნაშობნო იქედნეთანო, ვითარ კელ-გეწიფების კეთილისა სიტყუად, რამეთუ თქუენ უკეთურნი ხართ? რამეთუ ნამეტავისაგან გულისა პირი იტყჳნ.
35. კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გამოიღის კეთილი, და ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გამოიღის ბოროტი.
36. ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ: ყოველი სიტყუაჲ უქმი რომელსა იტყოდიან კაცნი, მისცენ სიტყუაჲ მისთჳს ღესა მას სასჯელისასა.
37. რამეთუ სიტყუათა შენთაგან განჰმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო.
38. მაშინ მი-ვიეთმე-უგეს მწიგნობართაგან და ფარისეველთა და ჰრქუეს: მოძღუარ, გუნებავს შენგან სასწაულისა ხილვად.
39. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ნათესავი ბოროტი

და მემრუშე სასწაულსა ეძიებს, და სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იგი იონა წინაწარმეტყუელისაჲ.
40. რამეთუ ვითარცა-იგი იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ დღე და სამ ღამე, ეგრეთ იყოს ძე კაცისაჲ გულსა ქუეყანისასა სამ დღე და სამ ღამე.
41. კაცნი იგი ნინეველნი აღდგენ სასჯელსა მას ნათესავისა ამის თანა და დასჯიდენ მათ, რამეთუ შეინანეს ქადაგებასა მას იონაჲსსა; და აჰა ესერა უფროჲს იონაჲსსა არს აქა.
42. დედოფალი იგი სამხრისაჲ აღდგეს სასჯელსა მას ნათესავისა ამის თანა და დასაჯოს იგი, რამეთუ მოვიდა კიდით ქუეყანისაჲთ სმენად სიბრძნესა სოლომონისსა; და აჰა ესერა უფროჲს სოლომონისსა არს აქა.
43. ხოლო რაჟამს სული იგი არაწმიდაჲ განვიდის კაცისაგან, მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა და ეძიებნ განსუენებასა და არა პოვის.
44. მაშინ თქჳს: მივიქცე სახელ ჩემდა, ვინაჲცა გამოვედ; და მო-რაჲ-ვიდის, პოვის იგი მოცალე, განშუენებული და შემკული.
45. მაშინ წარვიდის და მოიყვანნის მის თანა სხუანი შჳდნი სულნი, უბოროტესნი მისა, და მოვიდის და დაემკჳდრის მუნ. და იქმნის უკუანაჲსკნელი კაცისაჲ მის უძჯრეს პირველისა. ესრეთ ეყოს ნათესავსა ამასცა უკეთურსა.
46. და იყო ვიდრე იგი ეტყოდაღა ერსა მას, აჰა ესერა დედაჲ მისი და ძმანი მისნი დგეს გარე და ეძიებდეს მას სიტყუად.
47. მაშინ ჰრქუა ვინმე მას: აჰა დედაჲ შენი და ძმანი შენნი დგანან გარეშე და უნებს რაჲმე სიტყუად შენდა.
48. ხოლო იესუ მიუგო მეტყუელსა მას და ჰრქუა: ვინ არს დედაჲ ჩემი, ანუ ვინ არიან ძმანი ჩემნი?
49. და მიყო ქელი მისი მოწაფეთა მიმართ თჳსთა და თქუა: აჰა დედაჲ ჩემი და ძმანი ჩემნი!
50. რამეთუ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ, იგი არს ძმაჲ და დაჲ და დედაჲ ჩემი.

13

1. მას დღესა შინა გამოვიდა იესუ სახლისა მისგან და დაჯდა იგი ზღჳს-კიდესა.
2. და შეკრბა მისა ერი მრავალი, ვიდრე შესლვადმდე მისა ნავად და დაჯდომად. და ყოველი იგი ერი ზღჳს-კიდესა დგა.
3. და ეტყოდა მათ მრავალსა იგავით და ჰრქუა: ესერა გამოვიდა მთესვარი თესვად.
4. და თესვასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა ზედა. და

მოვიდეს მფრინველნი ცისანი და შეჭამეს იგი.
5. და სხუაჲ დავარდა კლდოვანსა ზედა, სადა არა იყო მიწაჲ ფრიად; და მეყსეულად აღმოსცენდა,და რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისაჲ,
6. მზე რაჲ აღმოჰკდა, დასცხა, და რამეთუ ძირნი არა დაებნეს, განკმა.
7. და სხუაჲ იგი დავარდა ეკალთა შორის, და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი.
8. და რომელიმე დავარდა ქუეყანასა კეთილსა და მოსცემდა ნაყოფსა: რომელიმე ასსა,რომელიმე სამეოცსა, რომელიმე ოც და ათსა.
9. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!
10. და მოუკდეს მოწაფენი და ჰრქუეს მას: რაჲსათჳს იგავით ეტყჳ მათ?
11. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ სასუფეველისა ცათაჲსაჲ, ხოლო მათდა არა მიცემულ არს.
12. რამეთუ რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს, და რომელღა-იგი აქუს, მო-ვე-ეღოს მას.
13. ამისთჳს იგავით ვეტყჳ მათ, რამეთუ ხედვენ და არა ხედვენ, ესმის და არა ესმის, არცა გულისჴმა-ყვიან.
14. და აღესრულების მათ ზედა წინაწარმეტყუელებაჲ იგი ესაიაჲსი: სმენით გესმოდის და არა გულისჴმა-ჰყოთ, ხედვით ხედვიდეთ და არა იხილოთ.
15. რამეთუ განჴრქნა გული ერისაჲ ამის, და ყურითა მძიმედ ისმინეს, და თუალნი მათნი დაიწუხნეს, ნუუკუე იხილონ თუალითა და ყურითა ისმინონ და გულითა გულისჴმა-ყონ და მოიქცენ,და მე განვკურნნე იგინი.
16. ხოლო თუალნი თქუენნი ნეტარ არიან, რამეთუ სედვენ, და ყურნი თქუენნი, რამეთუ ესმის.
17. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მართალთა გული-უთქუმიდა ხილვაჲ, რომელსა თქუენ ხედავთ, და არა იხილეს, და სმენად, რომელი გესმის, და არა ესმა.
18. ხოლო თქუენ ისმინეთ იგავი ესე მთესვარისაჲ.
19. ყოველსა რომელსა ესმეს სიტყუაჲ სასუფეველისაჲ და არა გულისჴმა-ყოს, მოვიდის უკეთური იგი და მისტაცის დათესული იგი გულისაგან მისისა: ესე არს, რომელი-იგი გზასა ზედა დაეთესა.
20. ხოლო რომელი-იგი კლდოვანსა ზედა დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინის და მეყსეულად სიხარულით მიიღის იგი.

21. ხოლო ძირი არა აქუნ გულსა თჳსსა, არამედ საწუთო არნ. და რაჟამს არნ ჭირი ანუ დევნაჲ სიტყჳსა მისთჳს, მეყსეულად დაჰბრკოლდის იგი.
22. ხოლო რომელი-იგი ეკალთა შორის დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინის, და ზრუნვამან ამის სოფლისამან და საცთურმან სიმდიდრისამან შეაშთვის სიტყუაჲ იგი, და უნაყოფო იქმნის.
23. ხოლო რომელი-იგი ქუეყანასა კეთილსა დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინა და გულისჴმა-ყო, რომელმან გამოიღო ნაყოფი და ყო რომელმანმე ასი, რომელმანმე სამეოცი და რომელმანმე ოც და ათი.
24. სხუაჲ იგავი დაუდგა მათ და ჰრქუა: ემსგავსა სასუფეველი ღმრთისაჲ კაცსა, რომელმან დასთესა თესლი კეთილი აგარაკსა თჳსსა.
25. და ვითარცა დაიძინეს კაცთა მათ, მოვიდა მტერი მისი და დასთესა ღუარძლი შორის იფქლსა მას და წარვიდა.
26. და ოდეს აღმოსცენდა ჯეჯლი იგი და ნაყოფი გამოიღო, მაშინ გამოჩნდა ღუარძლი იგი.
27. მოვიდეს მონანი იგი და უთხრეს სახლისა უფალსა მას და ჰრქუეს: უფალო, ანუ არა თესლი კეთილი დასთესეა აგარაკსა შენსა? ვინაჲ აღმოსცენდა ღუარძლი?
28. ხოლო მან ჰრქუა: მტერმან კაცმან ყო იგი. ხოლო მონათა მათ ჰრქუეს მას: გნებავსა, რაჲთა მივიდეთ და გამოვარჩიოთ იგი?
29. ხოლო მან ჰრქუა მათ: არა, ნუუკუე შეკრებასა ღუარძლისასა აღმოჰფხურათ იფქლიცა.
30. აცადეთ იგი თანა-აღორძინებად ურთიერთას, ვიდრე ჟამადმდე მკისა, და ჟამსა მკისასა უბრძანო მომკალთა მათ: შეკრიბეთ პირველად ღუარძლი იგი და შეკართ ძნეულად, რაჲთა დაიწუას იგი, ხოლო იფქლი იგი შეკრიბეთ საუნჯესა ჩემსა.
31. სხუასა იგავსა ეტყოდა მათ და ჰრქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ მარცუალსა მდოგჳსასა, რომელი მოიღო კაცმან და დასთესა თჳსსა მტილსა,
32. რომელი უმცირეს არს ყოველთა თესლთა, ხოლო რაჟამს აღორძნდის, უფროჲს ყოველთა მხალთა არნ იგი, და იქმნის იგი სე დიდ, ვიდრემდის მოვიდიან მფრინველნი ცისანი და დააღგრიან რტოთა მისთა.
33. მერმე სხუასა იგავსა ეტყოდა მათ და ჰრქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ ცომსა, რომელი მოიღო დედაკაცმან და შეჰრთო იგი ფქვილსა სამსა საწყაულსა, ვიდრემდე აღაფუვნა იგი ყოველად.
34. ამას ყოველსა ეტყოდა იესუ

იგავით ერსა მას და თჳნიერ იგავისა არარას ეტყოდა მათ.
35. რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი წ҃ინაწ҃არმეტყუელისა მიერ თქუმული: აღვაღო. იგავით პირი ჩემი და ვიტყოდი დაფარულთა დასაბამითგან სოფლისაჲთ.
36. მაშინ დაუტევა იესუ ერი იგი და მოვიდა სახლსა. და მოუჴდეს მას მოწ҃აფენი მისნი და ჰრქუეს: გამოგჳთარგმანე ჩუენ იგავი იგი ღუარძლისაჲ და აგარაკისაჲ.
37. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: რომელი სთესავს თესლსა კეთილსა, ძე კაცისაჲ არს;
38. ხოლო აგარაკი იგი ესე სოფელი არს; ხოლო თესლნი იგი კეთილნი ესე არიან ძენი სასუფეველისანი, და ღუარძლნი იგი არიან ძენი უკეთურისანი.
39. ხოლო მტერი იგი, რომელმან დასთესა იგი, ეშმაკი არს; და მკაჲ იგი არს აღსასრული ამის სოფლისაჲ; და მომკალნი იგი არიან ანგელოზნი.
40. ვითარცა-იგი შეკრიბიან ღუარძლი და ცეცხლითა დაწ҃ჯან, ეგრეთ იყოს აღსასრული ამის სოფლისაჲ.
41. რამეთუ მოავლინნეს ძემან კაცისამან ანგელოზნი თჳსნი, და შეკრიბნენ სუფევისაგან მისისა ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უსჯულოებისანი
42. და შესთხინენ იგინი საკუმილსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.
43. მაშინ მართალნი გამობრწ҃ყინდენ, ვითარცა მზე, სასუფეველსა მამისა მათისასა. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!
44. კუალად მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ საუნჯესა დაფარულსა ყანასა შინა, რომელი პოვა კაცმან და დამალა და სიხარულითა მით მისთჳს წ҃არვიდა და განყიდა ყოველი, რაჲცა აქუნდა, და მოიყიდა აგარაკი იგი.
45. მერმე მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა ვაჭარსა, რომელი ეძიებს კეთილთა მარგალიტთა.
46. და პოის რაჲ ერთი მარგალიტი მრავალ-სასყიდლისაჲ, წ҃არვიდა და განყიდა ყოველივე, რაჲცა ედვა, და მოიყიდა იგი.
47. მერმე მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ სათრომელსა ბადესა, რომელი სდვიან ზღუასა, რომელმან ყოველთაგან თევზთა შეკრიბის.
48. და ოდეს აღივსის, გამოიღიან იგი ზღჳს-კიდესა და დაასხიან და შეკრიბიან კეთილი იგი ჭურჭელსა, ხოლო ჯერკუალი იგი გარე განსთხიიან.
49. ესრეთ იყოს აღსასრული

ამის სოფლისაჲ: რამეთუ გამოვიდენ ანგელოზნი და განაშორნენ უკეთურნი იგი შორის მართალთა
50. და შესთხინენ იგინი შორის საკუმილსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.
51. ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: გულისჴმა-ჰყავთა ესე ყოველი? ხოლო მათ ჰრქუეს მას: ჰე, უფალო.
52. და ჰრქუა მათ: ამისთჳს ყოველი მწიგნობარი, დამოწაფებული სასუფეველსა ცათასა, მსგავს არს იგი კაცსა სახლისა უფალსა, რომელმან გამოიღის საუნჯისაგან თჳსისა ძველი და ახალი.
53. და იყო რაჟამს დაასრულნა იესუ იგავნი ესე, წარეიდა მიერ.
54. და მოვიდა მამულად თჳსად და ასწავებდა მათ შესაკრებელთა შორის მათთა, ვიდრემდის განუკჳრდებოდა მათ და იტყოდეს: ვინაჲ არს ამისა სიბრძნე ესე და ძალი?
55. ანუ არა ესე არს ხუროჲსა მის ძე? ანუ არა დედასა მისსა ჰრქჳან მარიამ? და ძმანი მისნი იაკობ და იოსებ და სიმონ და იუდა?
56. და დანი მისნი არა ყოველნი ჩუენ შორის არიანა? ვინაჲ უკუე არს ამისა ესე ყოველი?
57. და დაჰბრკოლდებოდეს მისთჳს. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არა არს წინაწარმეტყველი შეურაცხ, გარნა სოფელსა თჳსსა და სახლსა შინა თჳსსა.
58. და არა ქმნა მუნ ძალნი მრავალნი ურწმუნოებისა მათისათჳს.

14

1. მას ჟამსა შინა ესმა ჰეროდეს, ოთხთა მათ სამთავეროთა მთავარსა, ჰამბავი იესუჲსი,
2. და ჰრქუა მონათა თჳსთა: ესე არს იოვანე ნათლის-მცემელი, იგი აღდგომილ არს მკუდრეთით, და მისთჳს იქმნებიან ძალნი ესე მის თანა.
3. რამეთუ ამან ჰეროდე შეიპყრა იოვანე და შებორკილა იგი და საპყრობილესა შეაყენა ჰეროდიაჲსთჳს, ცოლისა ფილიპეს, ძმისა თჳსისა.
4. რამეთუ ეტყოდა მას იოვანე, ვითარმედ: არა ჯერ-არს შენდა, ვითარმცა გესუა იგი ცოლად.
5. და უნდა ღათუ მისი მოკლვაჲ, არამედ ეშინოდა ერისა მის, რამეთუ ვითარცა წინაწარმეტყველი ეპყრა მათ იგი.
6. და ვითარცა შობისა დღენი იყვნეს ჰეროდესნი, როკეიდა ასული ჰეროდიაჲსი შორის, და სთნდა ჰეროდეს როკვაჲ იგი მისი.
7. რომლისათჳს ფიცით აღუთქუა მას მიცემად,რაჲცა ითხოვოს.
8. ხოლო იგი წინაჲსწარ ბირე-

ბულ იყო დედისაგან თჳსისა და ჰრქუა: მომეც მე აქა ლანკნითა თავი იოვანესი, ნათლის-მცემელისაჲ.
9. და შე-ღათუ-წუხნა მეფე იგი, არამედ ფიცისა მისთჳს და მის თანა მეინაკეთა ბრძანა მიცემად იგი მას.
10. და მიავლინა და მოჰკუეთა თავი იოვანესი საპყრობილესა შინა.
11. და მოართუეს თავი მისი ლანკნითა და მისცეს ქალსა მას, და მან მიართუა დედასა თჳსსა.
12. და მოვიდეს მოწაფენი მისნი და წარიღეს გუამი მისი და დაჰფლეს იგი და მოვიდეს და უთხრეს იესუს.
13. ესმა რაჲ ესე იესუს, განეშორა მიერ ნავითა და წარვიდა უდაბნოსა აღგილსა თჳსაგან. და ვითარცა ესმა ერსა მას, მისდევდეს მას მკჳრცხლ ქალაქებისაგან.
14. და გამოვიდა იესუ და იხილა ერი მრავალი და შეეწყალნეს იგინი და განკურნნა სნეულნი მათნი.
15. და ვითარცა შემწუხრდა, მოუკდეს მოწაფენი მისნი და ჰრქუეს მას: უდაბნო არს აღგილი ესე, და ჟამი გარდასულ არს; განუტევე ერი ესე, რაჲთა წარვიდენ გარემო დაბნებსა და იყიდონ თავისა თჳსისა საზრდელი.
16. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არა უკმს მათ წარსლვაჲ; თქუენ ეცით მაგათ ჭამადი.
17. ხოლო მათ ჰრქუეს მას: არა გუაქუს აქა, გარნა ხუთი პური და ორი თევზი.
18. ჰრქუა მათ იესუ: მომართჳთ მე იგი აქა!
19. და უბრძანა ერსა მას დასხდომაჲ თიეასა ზედა. და მოიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი, აღიხილნა ზეცად და აკურთხა და განტეხა და მისცნა პურნი იგი მოწაფეთა თჳსთა, და მოწაფეთა მათ მისცეს ერსა მას.
20. და ჭამეს ყოველთა და განძღეს; და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი ათორმეტი გოდორი სავსე.
21. ხოლო იყვნეს, რომელთა-იგი ჭამეს, მამანი ხოლო ხუთ ათას, თჳნიერ ყრმებისა და დედებისა.
22. და მეყსეულად აიძულა მოწაფეთა შესლვად ნავსა და წინა-წარძღუანვად მისა წიაღკერძო, ვიდრემდე განუტეოს ერი იგი.
23. და ვითარცა განუტევა ერი იგი, აღვიდა მთასა ლოცვად თჳსაგან. და შე-რაჲ-მწუხრდა, მარტოჲ იყო მუნ.
24. ხოლო ნავი იგი განშორებულ იყო ქუეყანით მრავალ უტევან და იგუემებოდა ღელვათაგან, რამეთუ იყო ქარი იგი პირით კერძო.
25. და მეოთხესა საკუმილავსა

ღამისასა მოვიდა მათა იესუ სლვით ზღუასა მას ზედა.
26. ხოლო მოწაფეთა ვითარცა იხილეს, ვიდოდა რაჲ ზღუასა მას ზედა, შეძრწუნდეს და თქუეს: ვითარმედ: საოცარ რაჲმე არს, და შიშისაგან ღაღად-ყვეს.
27. მეყსეულად ეტყოდა მათ იესუ და ჰრქუა: კაძნიერ იყვენით, მე ვარ, ნუ გეშინინ!
28. მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: უფალო, უკუეთუ შენ ხარ, მიბრძანე მე მისლვად შენდა წყალთა ამათ ზედა.
29. ხოლო მან ჰრქუა: მოვედ! და გარდამოვიდა პეტრე ნავით და ვიდოდა წყალთა მათ ზედა და მოვიდოდა იესუჲსა.
30. და ვითარცა იხილა ქარი იგი ძლიერი, შეეშინა და იწყო დანთქმად, ღაღატ-ყო და თქუა: უფალო, მიკსენ მე!
31. და მეყსეულად განყო კელი იესუ და უპყრა მას და ჰრქუა: მცირედ-მორწმუნეო, რაჲსა შეორგულდი?
32. და ვითარცა აღვიდეს იგინი ნავსა მას შინა, დაცხრა ქარი იგი.
33. ხოლო რომელნი-იგი ნავსა მას შინა იყვნეს, მოუკდეს და თაყუანის-სცეს მას და ეტყოდეს: ჭეშმარიტად ძე ღმრთისაჲ ხარ შენ.
34. და განვიდეს და მივიდეს მიერ ქუეყანასა მას გენესარეთისასა.
35. და იცნეს იგი კაცთა მათ მის ადგილისათა და წარავლინნეს ყოველსა მას სანახებსა და მოართუეს მას ყოველი ბოროტად ენებული
36. და ევედრებოდეს მას, რაჲთა შე-ხოლო-ახონ ფესუსა სამოსლისა მისისასა. და რაოდენთა შეახეს, ცხონდეს.

15

1. მაშინ მოუკდეს იესუს იერუსალჵმით ფარისეველნი და მწიგნობარნი და ეტყოდეს:
2. რაჲსათჳს მოწაფენი შენნი გარდაჰვლენ მოძღურებასა ხუცესთასა? რამეთუ არა დაიბანნიან კელნი, რაჟამს პურსა ჭამედ.
3. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: და რაჲსათჳს თქუენცა გარდახუალთ მცნებასა ღმრთისასა მოძღურებითა თქუენითა?
4. რამეთუ ღმერთმან თქუა: პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა; და რომელმან თქუას ბოროტი მამისათჳს გინა დედისა, სიკუდილით მოკუედინ.
5. ხოლო თქუენ სთქუთ: რომელმან ჰრქუას მამასა თჳსსა გინა დედასა თჳსსა: ნიჭი, რომელი ჩემგან სარგებელ გეყო,
6. და არა პატივ-სცეს მამასა ანუ დედასა თჳსსა, ესევითართა დაუმტკიცებელ ჰყავთ მცნებაჲ ღმრთისაჲ მოძღურებითა თქუენითა.

7. ორგულნო, კეთილად წინაწარმეტყუელებდა თქუენთჳს ესაია და თქუა:
8. მახლობელ არს ჩემდა ერი ესე პირითა მათითა და ბაგითა მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან;
9. ამაოდ მმსახურებენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძღურებასა და მცნებასა კაცთასა.
10. და მოუწოდა ერსა მას და ეტყოდა: ისმინეთ და გულისყმა-ყავთ:
11. არა თუ პირით შემავალი შეაგინებს კაცსა, არამედ პირით გამომავალი შეაგინებს კაცსა.
12. მაშინ მოუკდეს იესუს მოწაფენი მისნი და ჰრქუეს მას: უწყია, რამეთუ ფარისეველთა რაჲ ესმა სიტყუაჲ იგი, დაჰბრკოლდეს?
13. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ყოველი ნერგი, რომელი არა დაჰნერგა მამამან ჩემმან ზეცათამან, ძირითურთ აღიფხურას.
14. უტეევნით ეგე, რამეთუ ბრმანი არიან და წინამძღუარნი ბრმათანი. ხოლო ბრმაჲ ბრმასა თუ წინა-უძღჳნ, ორნიეე მთხრებლსა შთაცჳიან.
15. მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: გამოგჳთარგმანე ჩუენ იგავი ესე.
16. ხოლო იესუ ჰრქუა მას: თქუენცა უგულისკმოვე ხართა?
17. და არა გიცნობიეს, რამეთუ ყოველი, რომელი შეეალს პირით, მუცლად შეეალს და განსავალით განეალს?
18. ხოლო გამომავალი პირით გულისაგან გამოეალს და იგი შეაგინებს კაცსა.
19. რამეთუ გულისაგან გამოელენ გულის-სიტყუანი ბოროტნი, კაცის-კლვანი, მრუშებანი, სიძეანი, პარეანი, ცილის-წამებანი, გმობანი.
20. ესენი არიან, რომელნი შეაგინებენ კაცსა, ხოლო უბანელითა კელითა ჭამაჲ არა შეაგინებს კაცსა.
21. და წარეიდა მიერ იესუ და მიეიდა ადგილთა ტჳროსისა და სიდონისათა.
22. და აჰა ესერა დედაკაცი ქანანელი საზღვართა მათგან გამოვიდა, ღაღადებდა და იტყოდა: შემიწყალე მე, უფალო, ძეო დავითისო, რამეთუ ასული ჩემი ბოროტად ეშმაკეულ არს.
23. ხოლო იესუ არა მიუგო მას სიტყუაჲ. და მოუკდეს მოწაფენი იესუს და ჰრქუეს მას: განუტეევე ესე, რომელი ღაღადებს და შეგჳდგს ჩუენ.
24. ჰრქუა მათ იესუ: არა ვიდრე მოელინებულ ვარ, გარნა ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაჱლისათა.
25. ხოლო იგი მოუკდა და თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: უფალო, შემიწყალე მე!

26. სოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მას: არა კეთილ არს მოღებად პური შვილთაგან და დაგებად ძაღლთა.
27. ხოლო მან ჰრქუა: ჰე, უფალო, რამეთუ ძაღლნიცა ჭამედ ნაბიჭვევისაგან, რომელ გარდამოცუენ ტაბლისაგან უფალთა მათთაჲსა.
28. მაშინ მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ჱ დედაკაცო! დიდ არს სარწმუნოებაჲ ეგე შენი; გეყავნ შენ, ვითარცა გნებავს. და განიკურნა ასული იგი მისი მიერ ჟამითგან.
29. და წარვიდა მიერ იესუ და მოვიდა ზღუს-კიდესა მას გალილეაჲსასა და აღვიდა მთასა და დაჯდა მუნ.
30. და მოუკდა მას ერი მრავალი, რომელთა ჰყვა მათ თანა მკელობლები, ბრმები, ყრუნი, ქუეწარმძრომელნი და სხუანი მრავალნი თითო-სახეთაგან სენთა შეპყრობილნი. და დასხნეს იგინი ფერჴთა თანა მისთა, და განკურნნა იგინი,
31. ვიდრე უკჳრდაცა ერსა მას, ხედვიდეს რაჲ, ვითარ-იგი ყრუნი იტყოდეს, და მკელობელნი ვიდოდეს, და ღრეკილნი განიკურნებოდეს, და ბრმანი ხედვიდეს; და აღიდებდეს ღმერთსა ისრაჱლისასა.
32. ხოლო იესუ მოუწოდა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: მეწყალის ერი ესე, რამეთუ აჰა ესერა სამი დღე არს, და მელიან მე და არარაჲ აქუს, რაჲმცა ჭამეს; და განტევებაჲ მათი უზმათაჲ არა მნებავს, ნუუკუე დაცჳვენ გზასა ზედა.
33. ჰრქუეს მას მოწაფეთა მისთა: ვინაჲ არს ჩუენდა უდაბნოსა ზედა პური ესოდენი, ვითარმცა განძღა ერი ესოდენი?
34. ჰრქუა მათ იესუ: რაოდენი პური გაქუს? ხოლო მათ ჰრქუეს მას: შჳდი პური და მცირედ თევზი.
35. და უბრძანა ერსა მას დასხდომაჲ ქუეყანასა ზედა.
36. და მოიღო შჳდი იგი პური და თევზნი, ჰმადლობდა, განტეხა და მისცემდა მოწაფეთა, და მოწაფენი მისცემდეს ერსა მას.
37. ჭამეს ყოველთა და განძღეს; და აღიღეს ნეშტი იგი ნამუსრევი შჳდი სფურიდი სავსე.
38. ხოლო რომელთა-იგი ჭამეს, იყვნეს ოთხ ათას მამანი ხოლო, თჳნიერ ყრმებისა და დედებისა.
39. და განუტევა ერი იგი და აღვიდა იესუ ნავსა და მოვიდა საზღვართა მაგდალოჲსათა.

16

1. და მოუკდეს მას ფარისეველნი და საძუკეველნი, გამოსცდიდეს მას და ეტყოდეს, რაჲთა სასწაული ზეცით უჩუენოს მათ.
2. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: შე-რაჲ-მწუხრდის, სთქუთ: ყუდრო იყოს, რამეთუ

წითს ცაჲ.
3. და განთიად სთქუთ: ზამთარი იყოს, რამეთუ კსინავს მწუხარედ ცაჲ. ორგულნო, პირი სამე ცისაჲ იცით ცნობად, ხოლო სასწაულნი ჟამთანი ვერ გიცნობიეს გულისკმის-ყოფად.
4. ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს, და სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იონა წინაწარმეტყუელისაჲ. და დაუტევნა იგინი და წარვიდა.
5. და მო-რაჲ-ვიდეს მოწაფენი მისნი მიერ წიაღ, და დააივიწყდა მათ პური მიღებად.
6. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: იხილეთ და ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთაჲსა და სადუკეველთაჲსა.
7. ხოლო იგინი განიზრახვიდეს გულსა თჳსსა და იტყოდეს, ვითარმედ: პური არა მოვიღეთ.
8. გულისკმა-ყო იესუ და ჰრქუა მათ: რაჲსა ჰზრახავთ გულთა შინა თქუენთა, მცირედ-მორწმუნენო, რამეთუ პურნი არა მოიხუენით?
9. არა გიცნობიეს, არცა მოიკსენეთ ხუთთა მათ პურთაჲ და ხუთ ათასთაჲ მათ, და რაოდენი გოდორი აღიღეთ?
10. და არცა შჳდთა მათ პურთაჲ და ოთხ ათასთაჲ მათ, და რაოდენი სფურიდი აღიღეთ?
11. ვითარ არა გიცნობიეს, რამეთუ არა პურისათჳს გარქუ თქუენ: ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთაჲსა და სადუკეველთაჲსა?
12. მაშინ გულისკმა-ყვეს, რამეთუ არა ჰრქუა მათ კრძალეაჲ ცომისაგან პურისა, არამედ მოძღურებისაგან ფარისეველთაჲსა და სადუკეველთაჲსა.
13. მო-რაჲ-ვიდა იესუ ადგილთა მათ კესარიაჲ ფილიპესთა, ჰკითხვიდა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა: რაჲ თქჳან კაცთა ძისა კაცისა ყოფად?
14. ხოლო მათ ჰრქუეს: რომელთამე იოანე ნათლის-მცემელი, რომელთამე ელია და სხუათა იერემია გინა ერთი წინაწარმეტყუელთაგანი.
15. ხოლო მან ჰრქუა მათ: თქუენ ვინ გგონიე მე ყოფად?
16. მიუგო სიმონ-პეტრე და ჰრქუა მას: შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ.
17. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ნეტარ ხარ შენ, სიმონ, ბარ იონა, რამეთუ კორცთა და სისხლთა არა გამოგიცხადეს, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან.
18. და მე გეტყჳ შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას.
19. და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი; და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა;

და რომელი განჰკსნა ქუეყანასა ზედა, კსნილ იყოს იგი ცათა შინა.
20. მაშინ ამცნო მოწაფეთა თჳსთა, რაჲთა არავის უთხრან, ვითარმედ იგი არს იესუ ქრისტე.
21. მიერითგან იწყო იესუ უწყებად მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: ჯერ-არს მისა იერუსალჵმ აღსლვაჲ და ფრიად ვნებაჲ მღდელთ-მოძღუართაგან და მწიგნობართა და მოხუცებულთა, და მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად.
22. და მოუკდა მას პეტრე და იწყო ბრალობად მისა და ჰრქუა: შენდობა იყავნ შენდა, უფალო, არა იყოს ეგრე.
23. ხოლო თავადი მიექცა პეტრეს და ჰრქუა: წარვედ ჩემგან, სატანა, საცთურ ჩემდა ხარ, რამეთუ არა ჰგრახაე ღმრთისასა, არამედ კაცთასა.
24. მაშინ ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი და შემომიდეგინ მე.
25. რამეთუ უკუეთუ ვისმე უნდეს სული თჳსი განრინებად, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თჳსი ჩემთჳს, მან პოოს იგი.
26. რამეთუ რაჲ სარგებელ ეყოს კაცსა, უკუეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თჳსი იზღვიოს? ანუ რაჲ მისცეს კაცმან ნაცვალად სულისა თჳსისა?
27. რამეთუ მოსლვად არს ძჱ კაცისაჲ დიდებითა მამისა თჳსისაჲთა ანგელოზთა მისთა თანა, და მაშინ მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ.
28. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ: არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ ძე კაცისაჲ, მომავალი სუფევითა თჳსითა.

17

1. და შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანნა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე, ძმაჲ მისი, და აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა თჳსაგან.
2. და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად, და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე. ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი.
3. და აჰა ეჩუენნეს მათ მოსე და ელია მის თანა, და თანა-ზრახ-ვიდეს.
4. მიუგო პეტრე და ჰრქუა იესუს: უფალო, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ. და, თუ გნებავს, ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა და ერთი მოსესა და ერთი ელიაჲსა.
5. და ვიდრეღა იგი ამას იტყოდა, აჰა ესერა ღრუბელი ნათლისაჲ აგრილობდა მათ, და აჰა

კმაჲ იყო ღრუბლით გამო და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ.
6. და ესმა რაჲ ესე მოწაფეთა, დავარდეს პირსა ზედა თჳსსა და შეეშინა ფრიად.
7. და მოუკდა მათ იესუ, შეახო კელი და პრქუა: აღდეგით და ნუ გეშინინ!
8. და აღ-რაჲ-იხილნეს თუალნი მათნი, არავინ იხილეს, გარნა იესუ ხოლო მარტოჲ.
9. და გარდამო-რაჲ-ვიდოდეს იგინი მიერ მთით, ამცნო მათ იესუ და პრქუა: ნუეის უთხრობთ ხილვასა ამას, ვიდრემდის ძე კაცისაჲ მკუდრეთით აღდგეს.
10. და ჰკითხეს მას მოწაფეთა მისთა და ეტყოდეს: ვითარ უკუე იტყჳან მწიგნობარნი, ვითარმედ: ელიაჲსი ჯერ-არს პირველად მოსლვაჲ?
11. ხოლო იესუ მიუგო და პრქუა მათ: ელია მოვიდეს პირველად და კუალად-აგოს ყოველი.
12. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ ელია აწვე მოვიდა, და არა იცნეს იგი, არამედ უყვეს მას, რაოდენი უნდა. და ეგრეთვე ძესაცა კაცისასა ეგულების ვნებად მათგან.
13. მაშინ გულისკმა-ყვეს მოწაფეთა, რამეთუ იოვანე ნათლის-მცემელისათჳს პრქუა მათ.
14. და ვითარცა მოვიდეს იგინი ერისა მის, მოუკდა მას კაცი ერთი, მუკლნი დაიდგნა მის წინაშე და ეტყოდა:
15. უფალო, შეიწყალე ძე ჩემი, რამეთუ ცისად-ცისად ბოროტად იგუემების, რამეთუ მრავალ-გზის შთავარდის იგი ცეცხლსა და მრავალ-გზის წყალსა.
16. და მოვჰგუარე იგი მოწაფეთა შენთა, და ვერ შეუძლეს განკურნებად მისა.
17. მიუგო იესუ და პრქუა მას: ჲ ნათესავი ურწმუნოჲ და გულარძნილი, ვიდრემდის ვიყო თქუენ თანა? ვიდრემდის თავს-ვიდებდე თქუენსა? მომგუარეთ მე იგი აქა!
18. და ვითარცა მოჰგუარეს, შეჰრისხნა მას იესუ, და განვიდა მისგან ეშმაკი იგი. და განიკურნა ყრმაჲ იგი მიერ ჟამითგან.
19. მაშინ მოუკდეს იესუს მოწაფენი თჳსაგან და ჰრქუეს მას: რაჲსათჳს ჩუენ ვერ შეუძლეთ განკდად მისა?
20. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ურწმუნოებისა თქუენისათჳს. ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ, ვითარცა მარცუალი მდოგჳსაჲ, ჰრქუათ მთასა ამას: მიიცვალე ამიერ იქი, და მიიცვალოს, და არარაჲ შეუძლებელ იყოს თქუენ მიერ.
21. ხოლო ესე ნათესავი არარაჲთ განვალს, გარნა ლოცვითა და მარხვითა.

22. და ვითარცა იქცეოდეს იგინი გალილეას, ჰრქუა მათ იესუ, ვითარმედ: ეგულების ძესა კაცისასა მიცემაღ ქელთა კაცთასა,
23. და მოკლან იგი, და მესამესა დღესა აღდგეს. ხოლო იგინი შეწუხნეს ფრიად.
24. და ვითარცა მოვიდეს იგინი კაპერნაუმდ, მოუკდეს მას, რომელნი-იგი დიდრაქმასა შეჰკრებდეს, და ჰრქუეს პეტრეს: მოძღუარმან თქუენმან არა მოგუცესა ხარკი?
25. ხოლო მან ჰრქუა: ჰე. და ვითარცა შევიდა იგი სახიდ, უსწრო მას იესუ და ჰრქუა: რასა ჰგონებ შენ, სიმონ: მეფენი ქუეყანისანი ვიეთგან მიიღებენ ხარკსა ანუ ბუერსა: შვილთაგან ანუ უცხოთაგან?
26. ჰრქუა მას პეტრე: უცხოთაგან. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: აწ უკუე თავისუფალ სამე არიან შვილნი.
27. ხოლო რაჲთა არა დავაბრკოლნეთ იგინი, წარვედ ბღუად და შთააგდე სამჭედური, და რომელი პირველად აღმოკდეს თევზი, აღიღე და აღუღე პირი მისი და ჰპოო მის შორის სტატირი, მოიღე იგი და მიეც მათ შენთჳს და ჩემთჳს.

18

1. მას ჟამსა შინა მოუკდეს იესუს მოწაფენი და ეტყოდეს: ვინმე უფროჲს იყოს სასუფეველსა ცათასა?
2. და მოუწოდა იესუ ყრმასა და დაადგინა შორის მათსა
3. და ჰრქუა: ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ არა მოიქცეთ და იქმნნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხჳდეთ სასუფეველსა ცათასა.
4. რამეთუ რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, ვითარცა ყრმაჲ ესე, იგი უფროჲს იყოს სასუფეველსა ცათასა.
5. და რომელმან შეიწყნაროს ერთი ყრმაჲ ესევითარი სახელითა ჩემითა, მე შემიწყნარებს.
6. და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი ჩემდა მომართ მორწმუნეთაჲ, უმჯობეს არს მისა, დამო-თუ-იკიდოს წისქჳლი ვირით საფქველი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ბღუსასა.
7. ვაჲ სოფლისა ამის საცთურთა მათგან, რამეთუ უნებლიაღ ცა მომავალ არიან საცთურნი; ხოლო ვაჲ მის კაცისა, რომლისაგან მოვიდეს საცთური.
8. უკუეთუ ქელი შენი ანუ ფერკი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთენ იგი და განაგდენ შენგან: უმჯობეს არს შენდა შესლვაჲ ცხორებასა მკელობელისა გინა უკელოჲსაჲ, ვიდრე ორნი ქელნი და ორნი ფერკნი თუ გესხნენ და შთაჰვარდე ცეცხლსა მას საუკუნესა.
9. და უკუეთუ თუალი შენი გაც-

თუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან: უმჯობეს არს შენდა ერთ-თუალისაჲ შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორთა თუალთა სხმასა და შთაგდებად გეჰენიასა ცეცხლისასა.

10. ეკრძალენით, ნუუკუე ვინმე შეურაცს-ჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი. გეტყჳ თქუენ, რამეთუ ანგელოზნი მათნი ცათა შინა მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა.

11. რამეთუ მოვიდა ძე კაცისაჲ ცხორებად წარწყმედულისა.

12. ვითარ ჰგონებთ თქუენ: კაცსა თუ ვისმე ედგას ასი ცხოვარი და შესცთეს ერთი მათგანი, არა-მე დაუტეენესა ოთხმეოც და ათცხრამეტნი იგი მთათა ზედა და წარვიდეს და მოიძიოს შეცთომილი იგი?

13. და რაჟამს პოოს იგი, ამენ გეტყჳ თქუენ: უფროჲს უხაროდის მის ზედა, ვიდრე ოთხმეოც და ათცხრამეტთა მათ, რომელნი არა შეცთომილ იყუნეს.

14. ესრეთ არა არს ნებაჲ მამისა თქუენისა ზეცათაჲსაჲ, რაჲთა წარწყმდეს ერთი მცირეთა ამათგანი.

15. ხოლო უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მიეედ და ამხილე მას, რაჟამს შენ და იგი ხოლო იყუნეთ მარტონი. უკუეთუ ისმინოს შენი, შეიძინე ძმაჲ იგი შენი.

16. ხოლო უკუეთუ არა ისმინოს, მიიყვანე შენ თანა ერთი ანუ ორი სხუაჲ, რაჲთა პირითა ორისა და სამისა დამოწამისაჲთა დაემტკიცოს ყოველი სიტყუაჲ.

17. ხოლო უკუეთუ მათიცა არა ისმინოს, უთხარ კრებულსა; ხოლო უკუეთუ კრებულისაჲცა არა ისმინოს, იყავნ იგი შენდა, ვითარცა მეზუერე და წარმართი.

18. ამენ გეტყჳ თქუენ: რაოდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რაოდენი განჰკსნათ ქუეყანასა ზედა, კსნილ იყოს იგი ცათა შინა.

19. კუალად ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ ორნი თქუენგანნი შეითქუნენ ქუეყანასა ზედა ყოველისათჳსცე საქმისა, რომელიცა ითხოონ, ეყოს მათ მამისა ჩემისაგან ზეცათაჲსა.

20. რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მუნ ვარ მე შორის მათსა.

21. მაშინ მოუკდა მას პეტრე და ჰრქუა: უფალო, რაოდენ-გზის შემცოდოს ძმამან ჩემმან, და მიუტეო მას? ვიდრე შჳდ-გზისამდეა?

22. ჰრქუა მას იესუ: არა გეტყჳ შენ ვიდრე შჳდ-გზისამდე, არამედ ვიდრე სამეოც და ათ შჳდ-გზის.

23. ამისთჳს ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ კაცსა მეუფესა, რომელმან ინება სიტყჳსა განგებაჲ მონათა თჳსთა თანა.
24. და ვითარცა იწყო განგებად, წარმოუდგინეს მას ერთი თანა-მდები ბევრისა ტალანტისაჲ.
25. და ვითარ არარაჲ აქუნდა მას, რაჲმცა მისცა, უბრძანა უფალმან მისმან განსყიდაჲ ცოლისა მისისაჲ და შვილთა მისთაჲ და რაჲცა აქუნდა მას, და გარდაკდად იგი.
26. დავარდა უკუე მონაჲ იგი, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: სულგრძელ იქმენ ჩემ ზედა, უფალო, და ყოველივე მიგცე შენ.
27. შეეწყალა უფალსა მისსა მონაჲ იგი და განუტევა იგი და თანა-ნადებიცა იგი მიუტევა მას.
28. და ვითარცა გამოვიდა მიერ მონაჲ იგი, პოვა ერთი მის თანა მონაჲ, რომელსა თანა-ედვა მისი ასი დრაჰკანი; შეიპყრა იგი და შეაშთობდა მას და ეტყოდა: მომეც, რაჲცა-იგი თანა-გაც.
29. შეუვრდა მას მოყუასი იგი მისი და ევედრებოდა მას და ეტყოდა: სულგრძელ იქმენ ჩემ ზედა, და ყოველივე მიგცე შენ.
30. ხოლო მან არა ისმინა მისი, არამედ წარვიდა და შეაგდო იგი საპყრობილესა, ვიდრემდე მისცეს მას თანა-ნადები იგი.
31. ხოლო იხილეს რაჲ მის თანა მონათა მათ საქმე ესე, შეწუხნეს ფრიად; და მივიდეს და აუწყეს უფალსა მათსა ყოველივე იგი, რაჲცა იქმნა.
32. მაშინ მოუწოდა მას უფალმან მისმან და ჰრქუა მას: მონაო ბოროტო, ყოველივე თანა-ნადები შენი მიგიტევე შენ, რამეთუ მევედრებოდე მე.
33. არა ჯერ-იყო შენდაცა, რაჲთამცა შეიწყალე შენ შენ თანა მონაჲ იგი, ვითარცა მე შენ შეგიწყალე?
34. და განურისხნა უფალი იგი მისი და მისცა იგი ჯელთა მტანჯველთასა, ვიდრემდის გარდაიკადოს ყოველი იგი თანა-ნადები მისი.
35. ეგრეთცა მამამან ჩემმან ზეცათამან გიყოს თქუენ, უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცად-კაცადმან ძმასა თჳსსა ყოველითა გულითა თქუენითა ცთომანი მათნი.

19

1. და იყო ვითარცა დაასრულნა იესუ სიტყუანი ესე, წარვიდა გალილეაჲთ და მივიდა საზღვართა ჰურიასტანისათა, წიაღ-იორდანესა.
2. და მისდევდა მას ერი მრავალი, და განკურნნა იგინი მუნ.
3. მაშინ მოუკდეს მას ფარისეველნი, გამოსცდიდეს მას და ეტყოდეს: უკუეთუ ჯერ-არს კაცისა განტევებაჲ ცოლისა თჳსი-

საჲ ყოელისათჳს ბრალისა?
4. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: არა აღმოგიკითხავსა, რამეთუ რომელმან დაჰბადა დასაბამსა, მამაკაცად და დედაკაცად შექმნნა იგინი?
5. და თქუა: ამისთჳს დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და შეეყოს ცოლსა თჳსსა, და იყვნენ ორნივე იგი ერთ ჴორც.
6. ეითარმედ არღარა არიან ორ, არამედ ერთ ჴორც. აწ უკუე რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებს.
7. ხოლო მათ ჰრქუეს მას: რაჲსათჳს უკუე მოსე ამცნო წიგნი განტევებისაჲ მიცემად და განტეევებად?
8. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ, რამეთუ: მოსე გულ-ფიცხელობისა თქუენისათჳს გიბრძანა განტევებაჲ ცოლთა თქუენთაჲ, ხოლო დასაბამსა არა ეგრე იყო.
9. ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ: რომელმან განუტეოს ცოლი თჳსი თჳნიერ სიძვისა და სხუაჲ შეირთოს, იმრუშებს; და რომელმან განტევებული შეირთოს, იგიცა იმრუშებს.
10. ჰრქუეს მას მოწაფეთა მისთა: უკუეთუ ესოდენი ბრალი არს კაცისაჲ დედაკაცისა თანა, არა შეჰგავს ქორწინებაჲ.
11. ჰრქუა მათ იესუ: არა ყოველთა დაიტიონ სიტყუაჲ ეგე, არამედ რომელთადა მიცემულ არს.
12. რამეთუ არიან საჭურისნი, რომელნი მუცლითგან დედისა თჳსისაჲთ საჭურისნი იშენეს; და არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს; და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თჳსნი სასუფეველისათჳს ცათაჲსა. რომელი შემძლებელ არს დატევნად, დაიტიენ.
13. მაშინ მოჰგუარეს მას ყრმები, რაჲთამცა ქელი დასდვა მათ ზედა და აკურთხნა იგინი, ხოლო მოწაფენი პრისხვიდეს მათ.
14. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართაჲ არს სასუფეველი ცათაჲ.
15. და დაასხნა მათ ზედა ქელნი. და ეითარცა წარვიდა მიერ,
16. აჰა მო-ვინმე-უკდა მას და ჰრქუა: მოძღუარო სახიერო, რაჲ კეთილი ექმნე, რაჲთა მაქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ?
17. ხოლო იესუ ჰრქუა მას: რაჲსა მეტყჳ მე სახიერით? არავინ არს სახიერი, გარნა მხოლოჲ ღმერთი. ხოლო უკუეთუ გნებავს ცხორებასა შესლვაჲ, დაიმარხენ მცნებანი.
18. ჰრქუა მას: რომელნი? ხოლო იესუ ჰრქუა მას, ვითარმედ: არა კაც-ჰკლა, არა იპარო, არა იმრუშო, არა ცილი სწამო;

19. პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა და შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი.
20. ჰრქუა მას ჭაბუკმან მან: ესე ყოველი დამიმარხავს სიყრმით ჩემითგან. რაჲღა მაკლს მე?
21. ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ გნებავს, რაჲთა სრულ იყო, წარვედ და განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიდეგ მე.
22. და ვითარცა ესმა სიტყუაჲ ესე ჭაბუკსა მას, წარვიდა მწუხარე, რამეთუ იყო იგი მდიდარ ფრიად.
23. ხოლო იესუ ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მდიდარი ძნიად შევიდეს სასუფეველსა ცათასა.
24. და მერმე გეტყჳ თქუენ: უადვილეს არს აქლემი განსლვად კურელსა ნემსისა, ვიდრე მდიდარი შესლვად სასუფეველსა ცათასა.
25. ვითარცა ესმა ესე მოწაფეთა მისთა, განუკჳრდებოდა ფრიად და იტყოდეს: და ვის-მე კელ-ეწიფების ცხოვნებად?
26. მიჰხედა იესუ და ჰრქუა მათ: კაცთაგან შეუძლებელ არს ესე, ხოლო ღმრთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს.
27. მაშინ მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: აჰა ესერა ჩუენ ყოველი დაუტევეთ და შეგიდეგით შენ; რაჲ-მე იყოს ჩუენდა?
28. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ თქუენ, რომელნი-ეგე შემომიდეგით მე, მერმესა მას შობასა, რაჟამს დაჯდეს ძე კაცისაჲ საყდართა დიდებისა თჳსისათა, დასხდეთ თქუენცა ათორმეტთა საყდართა განსჯად ათორმეტთა ტომთა ისრაჱლისათა.
29. და ყოველმან, რომელმან დაუტევა სახლი გინა ძმანი ანუ დანი ანუ მამაჲ ანუ დედაჲ ანუ ცოლი ანუ შვილნი ანუ აგარაკნი სახელისა ჩემისათჳს, ას წილად მიიღოს და ცხორებაჲ საუკუნოჲ დაიმკჳდროს.
30. ხოლო მრავალნი იყვნენ პირველნი უკუანა, და უკუანანი წინა.

20

1. რამეთუ მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა სახლისა უფალსა, რომელი განვიდა განთიად დაქირავებად მუშაკთა ვენაჯსა თჳსსა.
2. და აღუთქუა მათ სასყიდელი თითოეულსა დრაჰკანი დღესა შინა და წარავლინნა იგინი ვენაჯსა თჳსსა.
3. და განვიდა იგი მესამესა ჟამსა და პოვნა სხუანი, მდგომარენი უბანთა ზედა უქმად,
4. და ჰრქუა მათ: წარვედით თქუენცა ვენაჯსა ჩემსა და, რაჲ-იგი იყოს სამართალი, მიგ-

ცე თქუენ.
5. ხოლო იგინი წარვიდეს. და მერმე განვიდა მეექუსესა და მეცხრესა ჟამსა და ყო ეგრეთვე.
6. ხოლო მეათერთმეტესა ჟამსა განვიდა და პოვნა სხუანი მდგომარენი და ჰრქუა მათ: რაჲსა სდეგით თქუენ აქა დღე ყოველ უქმად?
7. ხოლო მათ ჰრქუეს მას, ვითარმედ: არავინ დამიდგინნა ჩუენ. ჰრქუა მათ: წარვედით თქუენცა ვენაკსა ჩემსა და, რაჲ-იგი იყოს სამართალი, მიიღოთ.
8. და ვითარცა შემწუსრდა, ჰრქუა უფალმან საენაკისამან ეზოჲს-მოძღუარსა თჳსსა: მოუწოდე მუშაკთა მათ და მიეც მათ სასყიდელი; იწყე უკუანაჲსკნელთაგან, ვიდრე პირველთამდე.
9. მოვიდეს მეათერთმეტისა ჟამისანი იგი და მიიღეს თითოჲ დრაჰკანი.
10. მოვიდეს პირველისანიცა იგი და ჰგონებდეს, ვითარმედ უფროჲსი მიიღონ, და მიიღეს მათცა თითოჲ დრაჰკანი.
11. ხოლო მი-რაჲ-იღეს, დრტჳნვიდეს სახლისა უფლისა მისთჳს
12. და იტყოდეს, ვითარმედ: უკუანაჲსკნელთა მათ ერთი ხოლო ჟამი დაყვეს, და სწორ ჩუენდა ჰყვენ იგინი, რომელთა ვიტჯრთეთ სიმძიმე დღისაჲ და სიცხე.
13. ხოლო მან მიუგო ერთსა მათგანსა და ჰრქუა: მოყუასო, არარას გავნებ შენ, ანუ არა ერთი დრაჰკანი აღგითქუ შენ?
14. მიიღე შენი და ეიდოდე. ხოლო მე მნებავს უკუანაჲსკნელსა ამას მიცემად, ვითარცა შენ.
15. ანუ არა ჯერ-არსა ჩემდა, რაჲცა მინდეს, ყოფად ჩემსა ზედა? არამედ თუალი შენი ეიდრემე ბოროტ არს, ხოლო მე სახიერ ვარ.
16. ესრეთ იყვნენ წინანი უკუანა, და უკუანანი წინა, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ, და მცირედნი რჩეულ.
17. და ვითარცა აღვიდოდა იესუ იერუსალჵმდ, წარიყვანნა ათორმეტნი იგი მოწაფენი თჳსაგან და მგზავრ ეტყოდა მათ:
18. აჰა ესერა აღვალთ იერუსალჵმდ, და ძე კაცისაჲ მიეცეს მღდელთ-მოძღუართა და მწიგნობართა, და დასაჯონ იგი სიკუდილად.
19. და მისცენ იგი წარმართთა კიცხევად და ტანჯვად და ჯუარ-ცუმად, და მესამესა დღესა აღდგეს.
20. მაშინ მოუკდა იესუს დედაჲ ძეთა ზებედესთაჲ ძეთა მისთა თანა, თაყუანის-სცემდა მას და ითხოვდა რასმე მისგან.
21. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: რაჲ გნებავს? ჰრქუა მას: თქუ, რაჲთა დასხდენ ორნი ესე ძენი ჩემნი ერთი მარჯუენით შენსა

და ერთი მარცხენით შენსა სასუფეველსა შენსა.
22. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა იცით, რასა ითხოვთ. ძალ-ᲂ-გიცა შესუმად სასუმელი, რომელი მე მეგულების შესუმად, ანუ ნათლის-ღებაჲ, რომელი მე ნათელ-ვიღო, ნათლის-ღებად? ხოლო მათ ჰრქუეს: ძალ-გუც.
23. ჰრქუა მათ იესუ: სასუმელი სამე ჩემი შესუათ და ნათლის-ᲂ-ღებაჲ, რომელი მე ნათელ-ვიღო, ნათელ-იღოთ, ხოლო დაჯდომაჲ მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა არს ჩემი მიცემად, არამედ ვიეთდა განმზადებულ არს მამისა მიერ ჩემისა.
24. ვითარცა ესმა ესე ათთა მათ, განრისხნეს ორთა მათ ძმათათჳს.
25. ხოლო იესუ მოუწოდა მათ და ჰრქუა: უწყითა, რამეთუ მთავარნი წარმართთანი უფლებენ მათ ზედა, და დიდ-დიდნი კელმწიფებენ მათ ზედა?
26. ხოლო თქუენ შორის არა ეგრეთ იყოს, არამედ რომელსა უნებს თქუენ შორის დიდ ყოფაჲ, იყავნ თქუენდა მსახურ;
27. და რომელსა უნებს თქუენ შორის წინა ყოფაჲ, იყოს იგი თქუენდა მონა.
28. ვითარცა ძე კაცისაჲ არა მოვიდა, რაჲთამცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემად სული თჳსი საკრად მრავალთათჳს.
29. და ვითარცა გამოვიდოდეს იგინი იერიქოჲთ, მისდეედა მას ერი მრავალი.
30. და აჰა ესერა ორნი ბრმანი სხდეს გზასა ზედა. და ვითარცა ესმა, ვითარმედ იესუ წარმოვალს, კმობდეს და იტყოდეს: შემიწყალენ ჩუენ, უფალო, ძეო დავითისო!
31. ხოლო ერი იგი ჰრისხეიდა მათ, რაჲთა დაღუმნენ. ხოლო იგინი უფროჲს ღაღადებდეს: შემიწყალენ ჩუენ, უფალო, ძეო დავითისო!
32. და დადგა იესუ, მოუწოდა მათ და ჰრქუა: რაჲ გნებავს, და გიყო თქუენ?
33. ჰრქუას მას: უფალო, რაჲთა აღეხილნეთ თუალნი ჩუენნი.
34. შეეწყალნეს იგინი იესუს და შეახო თუალთა მათთა, და მეყსეულად აღიხილნეს და შეუდგეს მას.

21

1. და ვითარცა მიეახლნეს იერუსალჵმდ და მოვიდეს ბეთბაგედ და ბეთანიად, მთასა მას ზეთისხილთასა, მაშინ წარავლინა იესუ ორნი მოწაფეთა მისთაგანნი.
2. და ჰრქუა მათ: წარვედით დაბასა მაგას, რომელ არს წინაშე თქუენსა, და მეყსეულად ჰპოოთ ვირი დაბმული და კიცჳ მის თანა; აჰკსენით და მომგუარეთ მე იგი.

3. და უკუეთუ ვინმე გრქუას რაჲმე თქუენ, არქუთ, ვითარმედ: უფალსა უკმან ეგე, და მეყსეულად მოავლინნეს იგინი.
4. ესე ყოველი იქმნა, რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი წინაწარმეტყუელისაჲ, რომელ თქუა:
5. არქუთ ასულსა სიონისასა: აჰა ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა მშჯდი და ზე ზის იგი ვირსა და კიცუსა, ნაშობსა კარაულისასა.
6. ხოლო მოწაფენი იგი წარვიდეს და ყვეს ეგრეთ, ვითარცა უბრძანა მათ იესუ.
7. და მოჰგუარეს ვირი იგი და კიცჳ მის თანა და დაასხეს მას ზედა სამოსელი, და დაჯდა მას ზედა.
8. ხოლო უმრაელესი იგი ერი დაუფენდა სამოსელსა მათსა გზასა ზედა, და სხუანი მოჰკაფდეს რტოებსა ხეთაგან და დაუფენდეს გზასა ზედა.
9. და ერი იგი, რომელი წინა-უვიდოდა და რომელი უკუანა შეუდგა, ღაღადებდეს და იტყოდეს: ოსანა ძესა დავითისსა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა! გუაცხოვნენ ჩუენ, რომელი ხარ მაღალთა შინა!
10. და ვითარცა შევიდა იგი იერუსალჱმ, შეიძრა ქალაქი იგი ყოველი და იტყოდეს: ვინ არს ესე?
11. ხოლო ერი იგი ეტყოდა: ესე არს წინაწარმეტყუელი იესუ ნაზარეთით გალილეაჲსაჲთ.
12. და შევიდა იესუ ტაძარსა მას ღმრთისასა და გამოასხა ყოველი იგი განმსყიდელი და ყოველი, რომელი იყიდდა ტაძარსა მას შინა, და ტაბლები იგი მეკერმეთაჲ მათ დაამჯუა და დასასხდომელები იგი ტრედის-მოფარდულთაჲ მათ დაუქცია.
13. და ჰრქუა მათ: წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს, ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა.
14. და მოუკდეს მას ბრმანი და მკელობელნი ტაძარსა მას შინა, და განკურნნა იგინი.
15. და ვითარცა იხილეს მღდელთ-მოძღუართა მათ და მწიგნობართა, რომელ-იგი ქმნა სასწაულნი, და ყრმები იგი, რომელ ღაღადებდეს ტაძარსა მას შინა და იტყოდეს: ოსანა ძესა დავითისსა,
16. განრისხნეს და ჰრქუეს მას: გესმისა, რასა-ესე იტყჳან? ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ჰე; არასადა აღმოგიკითხავსა, ვითარმედ: პირითა ყრმათა ჩჩჳლთა მწოვართაჲთა დაამტკიცე ქებაჲ?
17. დაუტევნა იგინი და განვიდა გარე ქალაქით ბეთანიად და იქცეოდა მუნ.
18. და განთიად, მო-რაჲ-ვიდოდა ქალაქად, შეემშია.
19. და იხილა ლეღჳ ერთი გზასა

ზედა და მოვიდა მისა და არარაჲ პოვა მას შინა, გარნა ფურცელი სოლო. და ჰრქუა მას: ნუღარა იყოფინ ნაყოფი შენგან საუკუნოდ! და განკმა ლეღჳ იგი მეყსეულად.

20. ვითარცა იხილეს მოწაფეთა მათ, დაუკჳრდა და იტყოდეს: ვითარ მეყსეულად განკმა ლეღჳ იგი!

21. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ და არა შეორგულდეთ, არა სოლო ლეღჳსაჲ ამის ჰყოთ, არამედ ჰრქუათ თუ მთასა ამას: აღიფხუერ ამიერ და შთავარდი ზღუასა! — იყოს ეგრე.

22. და ყოველსა რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქუენ.

23. და მო-რაჲ-ვიდა იგი ტაძრად, მოუკდეს მას მღდელთ-მოძღუარნი იგი და მოსუცებულნი ერისანი, ვითარ-იგი ასწავებდა ერსა, და ჰრქუეს მას: რომლითა კელმწიფებითა ამას იქმ, და ვინ მოგცა შენ კელმწიფებაჲ ესე?

24. და მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: გკითხო მეცა თქუენ სიტყუაჲ ერთი, რომელი უკუეთუ მითხრათ მე, მეცა გითხრა თქუენ, რომლითა კელმწიფებითა ვიქმ ამას.

25. ნათლის-ცემაჲ იოვანესი ვინაჲ იყო: ზეცით ანუ კაცთაგან? სოლო იგინი განიზრახვიდეს თჳსაგან და იტყოდეს: უკუეთუ ვთქუათ: ზეცით იყო, გურქუას ჩუენ: რაჲსათჳს უკუე არა გრწმენა მისი?

26. და უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგან, გუეშინის ერისა ამის, რამეთუ ყოველთავე ვითარცა წინაწარმეტყუელი უპყრიეს იოვანე.

27. და მიუგეს იესუს და ჰრქუეს: არა უწყით. ჰრქუა მათ მანცა: არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა კელმწიფებითა ვიქმ ამას.

28. აწ ვითარ ჰგონებთ თქუენ? კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე; მოვიდა პირველისა მის და ჰრქუა: შვილო, წარვედ დღეს და იქმოდე ვენაკსა ჩემსა.

29. სოლო მან მიუგო და ჰრქუა: არა მნებავს. ხოლო უკუანაჲსკნელ შეინანა და წარვიდა.

30. და მოუკდა მეორესა მას და ჰრქუა ეგრეთვე. სოლო მან მიუგო და ჰრქუა: წარვიდე, უფალო; და არა წარვიდა.

31. ვინ ორთა ამათგანმან ყო ნებაჲ მამისა თჳსისაჲ? ჰრქუეს მას: პირველმან მან. ჰრქუა მათ იესუ: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მეზუერენი და მეძავნი წინა-გიძღოდიან თქუენ სასუფეველსა ღმრთისასა.

32. რამეთუ მოვიდა თქუენდა იოვანე გზითა სიმართლისაჲთა, და არა გრწმენა მისი, ხოლო მეზუერეთა და მეძავთა ჰრწმე-

ნა მისი; ხოლო თქუენ იხილეთ და არა შეინანეთ უკუანაჲსკნელ, რაჲთამცა გრწმენა მისი.
33. სხუაჲ იგაჲი ისმინეთ: კაცი ვინმე იყო სახლისა უფალი, რომელმან დაასხა ვენაკი და ბღუდე გარე-მოსდეა მას და ქმნა მას შინა საწნესელი და აღაშენა გოდოლი და მისცა იგი მოქმედთა საქმედ და წარვიდა.
34. და რაჟამს მოიწია ჟამი ნაყოფთაჲ, მიავლინნა მონანი მისნი მოქმედთა მათ მოღებად ნაყოფისა მისისა.
35. და შეიპყრნეს მოქმედთა მათ მონანი იგი მისნი, რომელთამე სცეს, რომელნიმე მოსწყჳდნეს და რომელთამე ქვაჲ დაჰკრიბეს.
36. კუალად წარაელინნა სხუანი მონანი, უმრაელესნი პირველთასა, და მათცა ეგრეთვე უყვეს.
37. ხოლო უკუანაჲსკნელ მიუვლინა მათ ძე თჳსი და თქუა: შე-ხოლო თუ-იკდიმონ ძისაგან ჩემისა.
38. ხოლო ქუეყანის მოქმედთა მათ ვითარცა იხილეს ძე იგი მისი, და თქუეს გულსა მათსა: ესე არს მკჳდრი, მოვედით და მოვკლათ იგი და დავიპყრათ სამკჳდრებელი მისი.
39. და შეიპყრეს იგი და განიყვანეს გარეშე ვენაკისა მის და მოკლეს.
40. რაჟამს უკუე მოვიდეს უფალი საენაკისაჲ მის, რაჲ-მე უყოს ქუეყანის-მოქმედთა მათ?
41. პრქუეს მას: ბოროტნი იგი ბოროტად წარწყმიღნეს და ვენაკი იგი მისცეს სხუათა ქუეყანის-მოქმედთა, რომელთა მოსცენ მას ნაყოფი ჟამსა თჳსსა.
42. პრქუა მათ იესუ: არასადა აღმოგიკითხაესა წიგნთა შინა: ლოდი, რომელ შეურაცს-ყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა. უფლისა მიერ იყო ესე და არს საკჳრველ წინაშე თუალთა ჩუენთა.
43. ამისთჳს გეტყჳ თქუენ, ეითარმედ: მიგეღოს თქუენგან სასუფეველი ღმრთისაჲ და მიეცეს ნათესავსა, რომელნი პყოფდენ ნაყოფსა მისსა.
44. და რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განანქრიოს იგი.
45. და ესმნეს რაჲ მღდელთ-მოძღუართა მათ და ფარისეველთა იგავნი ესე მისნი, ცნეს, რამეთუ მათთჳს თქუნა.
46. და ეძიებდეს მას შეპყრობად და ეშინოდა ერისა მისგან, რამეთუ ვითარცა წინაწარმეტყუელი აქუნდა მათ იგი.

22

1. და მერმე მიუგო მათ იესუ იგავით და პრქუა:
2. ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ კაცსა მეუფესა, რომელმან ყო

ქორწილი ძისა თჳსისაჲ.
3. და წარაელინნა მონანი თჳსნი მოწოდებად ჩინებულთა მათ ქორწილსა მას, და არა ინებეს მოსლვად.
4. კუალად წარაელინნა სხუანი მონანი და ჰრქუა: არქუთ ჩინებულთა მათ: აჰა ესერა პური ჩემი მზა-მიყოფიეს, ბუარაკები და უსხები ჩემი დაკლულ არიან, და ყოველივე მზა არს, მოვედით ქორწილსა ამას.
5. ხოლო მათ უღებ-ყვეს და წარვიდეს: რომელიმე თჳსსა აგარაკსა, რომელიმე სავაჭროსა თჳსსა.
6. ხოლო სხუათა შეიპყრნეს მონანი იგი მისნი, აგინნეს და მოსწყჳდნეს.
7. ხოლო მეუფე იგი განრისხნა, ესმა რაჲ ესე, და მიავლინა ერი თჳსი და მოსრნა კაცის-მკლველნი იგი და ქალაქი იგი მათი მოწუა ცეცხლითა.
8. მაშინ ჰრქუა მონათა თჳსთა: ქორწილი ესე მზა არს, ხოლო ჩინებულნი იგი არა ღირს იყვნეს.
9. წარვედით მებოძირთა გზათასა და რაოდენიცა ჰპოოთ, მოუწოდეთ ქორწილსა ამას.
10. და განვიდეს მონანი იგი მისნი გზათა ზედა და შეკრიბეს ყოველი, რაოდენი პოეს ბოროტი და კეთილი. და აღივსო ქორწილი იგი მეინაკითა.
11. ხოლო შე-რაჲ-ვიდა მეუფე იგი ხილვად მეინაკეთა მათ, იხილა მუნ კაცი, რომელსა არა ემოსა სამოსელი საქორწინე.
12. და ჰრქუა მას: მოყუასო, ვითარ შემოხუედ აქა, რამეთუ არა გმოსიეს სამოსელი საქორწინე? ხოლო იგი დუმნა.
13. მაშინ ჰრქუა მეუფემან მან მსახურთა თჳსთა: შეუკრენით მაგას კელნი და ფერჴნი და განაგდეთ ეგე ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.
14. რამეთუ მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ – რჩეულნი.
15. მაშინ წარვიდეს ფარისეველნი იგი და მრახვა-ყვეს, რაჲთა სიტყჳთა საფრჴე უგონ მას.
16. და მიუვლინნეს მოწაფენი მათნი ჰეროდიანთა თანა და ჰრქუეს: მოძღუარ, ვიცით, რამეთუ ჭეშმარიტ ხარ შენ და გზასა ღმრთისასა ჭეშმარიტად ასწავებ და არა ჰზრუნაე არავისთჳს, რამეთუ არა თუალ-აღებ პირსა კაცისასა.
17. აწ მარქუ ჩუენ, რაჲ გნებავს შენ: ჯერ-არსა მიცემაჲ ხარკისაჲ კეისრისა ანუ არა?
18. გულისკმა-ყო იესუ უკეთურებაჲ მათი და ჰრქუა: რაჲსა გამომცდით მე, ორგულნო?
19. მიჩუენეთ დრაჰკანი იგი ხარკისაჲ! ხოლო მათ მოართუეს მას დრაჰკანი.
20. ჰრქუა მათ იესუ: ვისი არს

ხატი ესე ანუ ზედაწერილი?
21. ჰრქუეს მას: კეისრისაჲ. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა.
22. და ესმა რაჲ ესე, დაუკჳრდა და დაუტეევეს იგი და წარვიდეს.
23. მას დღესა შინა მოუჲდეს მას სადუკეველნი, რომელნი იტყოდეს, ვითარმედ: არა არს აღდგომაჲ. ჰკითხეს მას
24. და ეტყოდეს: მოძღუარ, მოსე ესრეთ თქუა: უკუეთუ ვინმე მოკუდეს და არა ესუას შვილი, ესიძენ ძმაჲ მისი ცოლსა მისსა და აღუდგინენ თესლი ძმასა თჳსსა.
25. იყვნეს უკუე ჩუენ შორის შჳდნი ძმანი. და პირველმან მან შეირთო და მოკუდა, და არა დაშთა თესლი, და დაუტევა ცოლი თჳსი ძმასა თჳსსა.
26. ეგრეთვე მეორემან და მესამემან ვიდრე მეშჳდემდე.
27. ხოლო უკუანაჲსკნელ ყოველთასა მოკუდა დედაკაცია იგი.
28. აწ უკუე აღდგომასა მას ვისა შჳდთა მათგანისა იყოს იგი ცოლად, რამეთუ ყოველთა ესუა იგი?
29. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: სცთებით, რამეთუ არა იცნით წიგნნი, არცა ძალი ღმრთისაჲ,
30. რამეთუ აღდგომასა მას არცა იქორწინებოდიან, არცა განჰქორწინებდენ, არამედ, ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი, იყვნენ ცათა შინა.
31. ხოლო აღდგომისათჳს მკუდართაჲსა არა აღმოგიკითხაესა თქუმული იგი ღმრთისამიერი, რომელსა იტყჳს:
32. მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი და ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი? არა არს ღმერთი — ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ცხოველთაჲ.
33. და ესმა რაჲ ესე ერსა მას, დაუკჳრდებოდა მოძღურებაჲ იგი მისი.
34. ხოლო ფარისეველთა რაჲ ესმა, რამეთუ დაუყო პირი სადუკეველთა მათ, შეკრბეს ერთად.
35. და ჰკითხა ერთმან მათგანმან სჯულის-მოძღუარმან, გამოსცდიდა მას და ეტყოდა:
36. მოძღუარ, რომელი მცნებაჲ უფროჲს არს სჯულსა შინა?
37. ხოლო იესუ ჰრქუა მას: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოველითა გულითა შენითა და ყოველითა სულითა შენითა და ყოველითა გონებითა შენითა.
38. ესე არს დიდი და პირველი მცნებაჲ.
39. და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი.
40. ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინაწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან.
41. შეკრებულ რაჲ იყვნეს ფა-

რისეველნი იგი, ჰკითსა მათ იესუ
42. და ჰრქუა: ვითარ ჰგონებთ თქუენ ქრისტესთჳს, ვისი ძე არს? ხოლო მათ ჰრქუეს: დავითისი.
43. ჰრქუა მათ იესუ: ვითარ უკუე დავით სულითა ჰხადის მას უფლად და იტყჳს:
44. ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერჴთა შენთა?
45. უკუეთუ დავით სულითა უფლად ხადის მას, ვითარ ძე მისი არს?
46. და ვერვის ეძლო სიტყჳს-მიგებად მისა, არცაღა ვინ იკადრა მიერ დღითგან კითხვად მისა არღარაჲ.

23

1. მაშინ ეტყოდა იესუ ერსა მას და მოწაფეთა თჳსთა
2. და ჰრქუა: საყდართა მოსესთა დასხდეს მწიგნობარნი და ფარისეველნი.
3. ყოველსა უკუე რაოდენსა გეტყოდიან თქუენ დამარხვად, დაიმარხეთ და ყავთ, ხოლო საქმეთა მათთაებრ ნუ იქმთ, რამეთუ თქჳან და არა ყვიან.
4. რამეთუ შეკრიან ტჳრთი მძიმე და ძნიად სატჳრთავი და დასდვიან მჯართა ზედა კაცთასა, ხოლო მათ თითითაცა მათითა არა უნებენ შეძრვად იგი.
5. და ყოველსა საქმესა მათსა იქმან საჩუენებელად კაცთა; განივრცნიან საცონი მათნი და განიდიდნიან ფესუნი სამოსელთა მათთანი.
6. უყუარს ზემოჯდომაჲ სერსა ზედა და პირველდაჯდომაჲ შესაკრებელთა შორის
7. და მოკითხვაჲ უბანთა ზედა, და რაჲთა ხადოდიან კაცნი: რაბი, რაბი!
8. ხოლო თქუენ ნუ იწოდებით რაბბი, რამეთუ ერთი არს მოძღუარი თქუენი – ქრისტე, ხოლო თქუენ ყოველნი ძმანი ხართ.
9. და მამით ნუვის ხადით ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთი არს მამაჲ თქუენი, რომელ არს ცათა შინა.
10. ნუცა გერქუმინ თქუენ წინამძღუარ, რამეთუ ერთი არს წინამძღუარი თქუენი – ქრისტე.
11. ხოლო უდიდესი თქუენი იყავენ თქუენდა მსახურ.
12. ხოლო რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს.
13. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ შესჭამთ სახლებსა ქურივთასა და მიზეზით განგრძობილად ილოცვიდით. ამისთჳს მიიღოთ უმეტესი სასჯელი.
14. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ დაჰჴშავთ სასუფეველ-

სა ცათასა წინაშე კაცთა; თქუენ შე-არა-ხუალთ და შემაუალთა უტეეებთ არა შესლეაღ.
15. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მიმოხუალთ ზღუასა ზედა და კმელსა, რაჲთა ჰყოთ ერთი ვინმე მწირ; და რაჟამს არნ, ჰყვით იგი ნაშობ გეჰენიისა ორ წილ თქუენსა.
16. ვაჲ თქუენდა, წინამძღუარნო ბრმანო, რომელთა სთქუთ, ვითარმეღ: რომელმან ფუცოს ტაძარსა ამას, არარაჲ არს; ხოლო რომელმან ფუცოს ოქროსა მას ტაძრისასა, ჯერ-არს.
17. ცოფნო და ბრმანო, რომელი უფროჲს არს: ოქროჲ ანუ ტაძარი, რომელი განსწმენდს ოქროსა მას?
18. და სთქუთ: რომელმან ფუცოს საკურთხეველსა, არარაჲ არს: ხოლო რომელმან ფუცოს შესაწირავსა მას, რომელ არს საკურთხეველსა ზედა, ჯერ-არს.
19. ცოფნო და ბრმანო, რომელი უდიდეს არს: შესაწირავი ანუ საკურთხეველი, რომელი განსწმედს შესაწირავსა მას?
20. რამეთუ რომელმან ფუცოს საკურთხეველსა, ფუცავს მას და ყოველსა, რომელი არს მას ზედა.
21. და რომელმან ფუცოს ტაძარსა, ფუცავს მას და რომელი დამკჳდრებულ არს მას შინა.
22. და რომელმან ფუცოს ცასა, ფუცავს საყდარსა ღმრთისასა და რომელი ზის მას ზედა.
23. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ ათეულსა მიიღებთ პიტნაკისასა და ცერეცოჲსასა და ძირაკისასა და დაგიტეებიეს უმძიმესი შჯულისაჲ: სამართალი და წყალობაჲ და სარწმუნოებაჲ. ესე ჯერ-იყო საქმედ და იგი არა დატეებაღ.
24. წინამძღუარნო ბრმანო, რომელნი დასწურავთ ბურნაკსა, ხოლო აქლემსა შთანსთქამთ!
25. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ განსწმედთ გარეშესა სასუმლისასა და პაროფსიდისასა, ხოლო შინაგან საესე არიან ნატაცებითა და არაწმიდებითა.
26. ფარისეველო ბრმაო, განწმიდე პირეელად შინაგანი იგი სასუმელისაჲ და პაროფსიდისაჲ, რაჲთა იყოს გარეშეცა იგი მისი წმიდა.
27. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მიმსგაესებულ ხართ საფლავთა განჯოზილთა, რომელნი ჩანედ გარეშე შუენიერ, ხოლო შინაგან საესე არიედ ძუალებითა მკუდართაჲთა და ყოველითა არაწმიდებითა.
28. ეგრეცა თქუენ გარეშე სჩანთ წინაშე კაცთა მართალ, ხოლო შინაგან საესე ხართ ორგულებითა და უსჯულოებითა.

29. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ აშენებთ საფლავთა წინაწარმეტყუელთასა და შეამკობთ სამარებსა მართალთასა,
30. და იტყჳთ: უკუეთუმცა ეიყვენით დღეთა მათ მამათა ჩუენთასა, არამცა ვიყვენით მათ თანა გიარ სისხლსა მას წინაწარმეტყუელთასა.
31. ვინაჲცა ეწამებით თავთა თჳსთა, რამეთუ ნაშობნი ხართ მკლეელთა წინაწარმეტყუელთანი.
32. და აწ თქუენცა აღავსეთ საწყაული მამათა თქუენთაჲ.
33. გუელნო, ნაშობნო იქედნეთანო, ვითარ-მე განერნეთ სასჯელსა მას გეჰენიისასა?
34. ამისთჳს აჰა ესერა მე მოვაელინნე თქუენდა წინაწარმეტყუელნი, ბრძენნი და მწიგნობარნი, და მათგანნი მოსწყჳდნეთ და ჯუარს-აცუნეთ, და მათგანნი სტანჯნეთ შესაკრებელთა შორის თქუენთა და სდევნიდეთ ქალაქითი ქალაქად,
35. რაჲთა მოიწიოს თქუენ ზედა ყოველი სისხლი მართალი, დათხეული ქუეყანასა ზედა, სისხლითგან აბელ მართლისაჲთ, ვიდრე სისხლადმდე ზაქარიაჲსა, ძისა ბარუქისა, რომელი მოჰკალთ შორის ტაძრისა და საკურთხეველისა.
36. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მოიწიოს ესე ყოველი ნათესავსა ამას ზედა.
37. იერუსალჱმ, იერუსალჱმ, რომელმან მოსწყჳდენ წინაწარმეტყუელნი და ქვაჲ დაჰკრიბე მოვლინებულთა შენ ზედა, რაოდენ-გზის ვინებე შეკრებაჲ შვილთა შენთაჲ, ვითარცა სახედ შეიკრიბნის მფრინველმან მართუენი თჳსნი ქუეშე ფრთეთა თჳსთა, და არა ინებეთ!
38. აჰა ესერა დაეტეოს თქუენგან სასლი თქუენი ოკრად.
39. რამეთუ გეტყჳ თქუენ: არღარა მიხილოთ მე ამიერითგან, ვიდრემდე სთქუათ: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა.

24

1. და გამოვიდა იესუ ტაძრისა მისგან და წარვიდოდა. და მოუკდეს მას მოწაფენი მისნი და უჩუენებდეს შენებულსა მას ტაძრისასა.
2. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არა ჰხედავთა ამას ყოველსა? ამენ გეტყჳ თქუენ: არა დაშთეს აქა ქვაჲ ქვასა ზედა, რომელი არა დაირღუეს.
3. და ვითარცა დაჯდა იგი მთასა მას ზეთისხილთასა, მოუკდეს მას მოწაფენი თჳსაგან და ეტყოდეს: მითხარ ჩუენ, ოდეს იყოს ესე, და რაჲ არს სასწაული იგი შენისა მის მოსლვისაჲ და აღსასრული ამის სოფლი-

საჲ?
4. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ეკრძალენით, ნუ ვინმე გაცთუნეს თქუენ,
5. რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა და იტყოდიან, ვითარმედ: მე ვარ ქრისტე, და მრავალთა აცთუნებდენ.
6. და გესმოდიან ბრძოლანი და ჰამბავნი ბრძოლათანი, იხილეთ და ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე ყოველი ყოფად, არამედ არღა არს აღსასრული.
7. რამეთუ აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მეუფებაჲ მეუფებასა ზედა, და იყვნენ სიყმილნი და სრვანი და ძრვანი ადგილად-ადგილად.
8. ხოლო ეს ყოველი დასაბამი სალმობათაჲ არს.
9. მაშინ მიგცნენ თქუენ ჭირსა და მოგწყჳდნენ თქუენ, და იყვნეთ თქუენ მოძულებულ ყოველთაგან წარმართთა სახელისა ჩემისათჳს.
10. და მაშინ დაჰბრკოლდებოდიან მრავალნი და ურთიერთას შინა-განსცემდენ და სძულობდენ ურთიერთას.
11. და მრავალნი ცრუ-წინაწარმეტყუელნი აღდგენ და აცთუნებდენ მრავალთა.
12. და განმრაველებითა უსჯულოებისაჲთა განკმეს სიყუარული მრავალთაჲ.
13. ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოენდეს.
14. და იქადაგოს სახარებაჲ ესე სასუფეველისაჲ ყოველსა სოფელსა საწამებელად ყოველთა წარმართთა, და მაშინ მოიწიოს აღსასრული.
15. რაჟამს იხილოთ საძაგელი იგი მოოკრებისაჲ, თქუმული დანიელ წინაწარმეტყუელისა მიერ, მდგომარე აღგილსა წმიდასა, რომელი აღმოიკითხეიდეს, გულისჴმა-ყაენ.
16. მაშინ რომელნი ჰურიასტანს იყუენენ, იელტოდედ მთად.
17. და რომელი ერდოსა ზედა იყოს, ნუ გარდამოვალნ აღებად რასმე სახლისაგან თჳსისა.
18. და რომელი ველსა გარე იყოს, ნუ უკუნიქცევინ აღებად სამოსლისა თჳსისა.
19. ხოლო ვაჲ მიდგომილთა და რომელნი აწოებდენ მათ დღეთა შინა!
20. არამედ ილოცევედით, რაჲთა არა იყოს სიელტოლაჲ თქუენი ზამთარსა შინა გინა შაბათსა.
21. რამეთუ იყოს მაშინ ჭირი დიდი, რომელი არა იყო დასაბამითგან სოფლისაჲთ, ვიდრე აქამდე, არცაღა ყოფად არს.
22. და უკუეთუმცა არა შემოკლდეს დღენი იგი, არამცა განერა ყოველი კორციელი, ხოლო რჩეულთა მათთჳს შემოკლდენ დღენი იგი.
23. მაშინ უკუეთუ ვინმე გრქუას თქუენ: აჰა აქა არს ქრისტე გი-

ნა თუ იქი, ნუ გრწამნ.
24. რამეთუ აღდგენ ქრისტე-
-მტყუვარნი და ცრუ-წინაწარ-
მეტყუელნი და ჰყოფდენ სასწა-
ულებსა დიდ-დიდსა და ნიშებსა,
ვიდრე ცთუნებაჲმდე, უკუეთუმ-
ცა ვითარ შეუძლეს, რჩეულთა
მათცა.
25. აჰა ესერა წინაჲსწარ გარ-
ქუ თქუენ.
26. უკუეთუ გრქუან თქუენ: აჰა
უდაბნოსა არს, ნუ განსუალთ;
აჰა ესერა საუნჯეთა შინა არს,
ნუ გრწამნ.
27. რამეთუ, ვითარცა ელვაჲ
რაჲ გამობრწყინდის მზისა-აღ-
მოსავალით და ჩანნ ვიდრე და-
სავალადმდე, ეგრეთ იყოს მოს-
ლვაჲ ძისა კაცისაჲ.
28. რამეთუ სადაცა იყოს მძორი,
მუნცა შეკრბეს ორბები.
29. ხოლო მეყსეულად შემდგო-
მად ჭირისა მის მათ დღეთაჲსა
მზე დაბნელდეს, და მთოვარე-
მან არა გამოსცეს ნათელი თჳ-
სი, და ვარსკულავნი დამოცჳვენ
ზეცით, და ძალნი ცათანი შეიძ-
რნენ.
30. და მაშინ გამოჩნდეს სასწა-
ული ძისა კაცისაჲ ცათა შინა,
და მაშინ იტყებდენ ყოველნი
ტომნი ქუეყანისანი და იხილონ
ძე კაცისაჲ მომავალი ღრუბელ-
თა ზედა ცისათა ძალითა და
დიდებითა მრაველითა.
31. და წარავლინნეს ანგელოზ-
ნი თჳსნი საყჳრითა კმისა დი-
დისაჲთა და შეკრიბნეს რჩე-
ულნი მისნი ოთხთაგან ქართა
კიდითგან ცათაჲთ, ვიდრე კი-
დედმდე მათა.
32. ხოლო ლეღჳსაგან ისწა-
ვეთ იგავი: ვითარცა-იგი რაჟამს
რტონი მისნი დაჩჩჳან, და ფურ-
ცელი გამოვალნ, უწყოდეთ, რა-
მეთუ ახლოს არს გაფხული.
33. ეგრეცა თქუენ, ოდეს იხი-
ლოთ ესე ყოველი, უწყოდეთ,
რამეთუ ახლოს არს, კართა ზე-
და.
34. ამენ გეტყჳ თქუენ: არა წარ-
კდეს ნათესაჲი ესე, ვიდრემდე
ესე ყოველი იქმნეს.
35. ცანი და ქუეყანაჲ წარკდენ,
ხოლო სიტყუანი ჩემნი არა
წარკდენ.
36. ხოლო დღისა მისთჳს და ჟა-
მისა არავინ იცის, არცა ანგე-
ლოზთა ცისათა, გარნა მამამან
მხოლომან.
37. ვითარცა-იგი დღეთა მათ
ნოესთა, ეგრეთ იყოს მოსლ-
ვაჲ ძისა კაცისაჲ.
38. რამეთუ ვითარცა-იგი იყვნეს
დღეთა მათ შინა პირველ
წყლით-რღუნისათა: ჭამდეს და
სუმიდეს, იქორწინებდეს და გან-
ჰქორწინებდეს მუნ დღედმდე,
ვიდრემდე შევიდა ნოე კიდობ-
ნად.
39. და ვერ ცნეს, ვიდრემდე მო-
იწია წყლით-რღუნაჲ იგი და
წარიღო ყოველი. ესრეთ იყოს
მოსლვაჲცა ძისა კაცისაჲ.

40. მაშინ ორნი იყვნენ ველსა გარე: ერთი წარიყვანოს, და ერთი დაეტეოს.
41. ორნი ფქვიდენ ფქვილსა: ერთი წარიტაცოს, და ერთი დაეტეოს.
42. იღჳძებდით უკუე, რამეთუ არა იცით, რომელსა ჟამსა უფალი თქუენი მოვიდეს.
43. ხოლო ესემცა იცით: უკუეთუმცა უწყოდა სახლისა უფალმან, რომელსა საკუმილავსა მპარავი მოსლვად არს, იღჳძებდამცა და არა უტევა დათხრად სახლისა თჳსისა.
44. ამისთჳს თქუენცა იყვენით განმზადებულ, რამეთუ რომელსა ჟამსა არა ჰგონებდეთ, ძე კაცისაჲ მოვიდეს.
45. ვინ-მე არს სარწმუნოჲ იგი მონაჲ და ბრძენი, რომელი დაადგინოს უფალმან თჳსმან მონათა თჳსთა ზედა მიცემად საზრდელი მათი ჟამსა თჳსსა.
46. ნეტარ არს მონისა მის, რომლისაჲ მოვიდეს უფალი მისი და პოოს იგი ესრეთ მოქმედი.
47. ამენ გეტყჳ თქუენ, ვითარმედ ყოველთა ზედა მონაგებთა მისთა დაადგინოს იგი.
48. ხოლო უკუეთუ თქუას ბოროტმან მან მონამან გულსა თჳსსა: ჰყოვნის უფალი ჩემი მოსლვად,
49. და იწყოს გუემად მისთანათა მათ მონათა და ჭამდეს და სუმიდეს მომთრეალეთა თანა,
50. მოვიდეს უფალი იგი მონისაჲ მის დღესა, რომელსა არა მოელოდის, და ჟამსა, რომელი არა უწყოდის,
51. და ორგან განკუეთოს იგი და ნაწილი მისი დადვას ორგულთა თანა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.

25

1. მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს ლამპარნი თჳსნი და განეიდეს მიგებებად სიძისა.
2. ხოლო ხუთნი მათგანნი იყვნეს ბრძენნი და ხუთნი — სულელნი.
3. მიიხუნეს სულელთა მათ ლამპარნი მათნი და არა მიიღეს მათ თანა ზეთი.
4. ხოლო ბრძენთა მათ მიიღეს მათ თანა ზეთი ჭურჭელთა მათთა ლამპართა მათთა თანა.
5. და დაყოვნებასა მას სიძისასა მიერულა ყოველთა და დაიძინეს.
6. ხოლო შუვა-ღამეს ოდენ ღაღადებაჲ იყო, ვითარმედ: აჰა ესერა სიძე მოვალს, გამოვედით მიგებებად მისა.
7. მაშინ აღდგეს ყოველნი იგი ქალწულნი და აღიგნეს ლამპარნი მათნი.
8. ხოლო სულელნი იგი ეტყოდეს ბრძენთა მათ: მეცით ჩუენ

ზეთისაგან თქუენისა, რამეთუ ლამპარნი ჩუენნი დაშრტებიან.
9. მიუგეს ბრძენთა მათ და ჰრქუეს: ნუუკუე ვერ კმა-გუეყოს ჩუენ და თქუენ, არამედ უფროჲსღა წარვედით სავაჭროდ და იყიდეთ თავისა თქუენისა.
10. და ვითარცა წარვიდეს იგინი სყიდად, მოვიდა სიძე იგი, და განმზადებულნი იგი შევიდეს სიძისა თანა ქორწილსა მას, და დაეკშა კარი.
11. შემდგომად მათსა მოვიდეს სხუანიცა იგი ქალწულნი და იტყოდეს: უფალო, უფალო, განგჳღე ჩუენ!
12. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ: არა გიცნი თქუენ.
13. იღჳძებდით უკუე, რამეთუ არა იცით დღე იგი, არცა ჟამი, რომელსა შინა ძე კაცისაჲ მოვიდეს.
14. ვითარცა-იგი რაჟამს წარვალნ კაცი და მოუწესის მონათა თჳსთა და მისცის მათ მონაგები თჳსი;
15. და რომელსამე მისცა ხუთი ქანქარი და რომელსამე ორი ქანქარი და რომელსამე ერთი, კაცად-კაცადსა მსგავსად ძალისა თჳსისა, და მეყსეულად წარვიდა.
16. ხოლო წარვიდა, რომელმან-იგი ხუთი ქანქარი მიიღო, აქმნია მას გედა და შესძინა სხუაჲღა ხუთი ტალანტი.
17. ეგრეთვე, რომელმან-იგი ორი მიიღო, შესძინა სხუაჲ ორი.
18. ხოლო რომელმან-იგი ერთი მიიღო, წარვიდა და მოთხარა და დაჰფლა ქუეყანასა ვეცხლი იგი უფლისა თჳსისაჲ.
19. შემდგომად მრაველისა ჟამისა მოვიდა უფალი იგი მათ მონათაჲ და სიტყუაჲ ყო მონათა მათ თანა.
20. და წარმოდგა, რომელმან-იგი ხუთი ქანქარი მიიღო, და მოართუა მას სხუაჲღა ხუთი ქანქარი და ჰრქუა: უფალო, ხუთი ქანქარი მომეც მე, აჰა ესერა სხუაჲღა ხუთი ქანქარი შევსძინე.
21. ჰრქუა მას უფალმან მისმან: კეთილ, მონაო სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შეველ სიხარულსა უფლისა შენისასა.
22. მოვიდა იგიცა, რომელსა ორი ქანქარი მიეღო, და ჰრქუა: უფალო, ორი ქანქარი მომეც მე, აჰა სხუაჲ ორი ტალანტი შევსძინე.
23. ჰრქუა მას უფალმან მისმან: კეთილ, მონაო სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შეველ სიხარულსა უფლისა შენისასა.
24. მოვიდა იგიცა, რომელსა ერთი ქანქარი მიეღო, და ჰრქუა:

უფალო, უწყოდე, რამეთუ ფიცხელი კაცი ხარ შენ: მოიმკი, სადა არა დასთესი, და შეიკრიბი, სადა არა განგიბნევიედ.
25. და შემეშინა, წარვედ და დავმალე ქანქარი იგი შენი ქუეყანასა. აჰა ესერა შენი შენ თანა არს.
26. მიუგო უფალმან მისმან და ჰრქუა მას: ბოროტო მონაო და მეძგარო! უწყოდე, რამეთუ მოვიმკი, სადა არა დავსთესი, და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიედ.
27. ჯერ-იყო შენდა დადებად ვეცხლი ჩემი სავაჭროსა, და მო-მცა-ვედ და მოვიღე ჩემი იგი აღნაგდგინებითურთ.
28. მოუღეთ მაგას ქანქარი ეგე და მიეცით მას, რომელსა აქუს ათი ქანქარი.
29. რამეთუ ყოველსა, რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს და რომელღა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ეღოს მისგან. და ამას რაჲ იტყოდა, კმა-ყო: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!
30. და უკმარი ეგე მონაჲ განკაღეთ ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.
31. ხოლო რაჟამს მოვიდეს ძე კაცისაჲ დიდებითა თჳსითა, და ყოველნი ანგელოზნი მისნი მის თანა, მაშინ დაჯდეს საყდართა დიდებისა თჳსისათა;
32. და შეკრბენ წინაშე მისა ყოველნი ნათესავნი, და განარჩინეს იგინი ურთიერთას, ეითარცა-იგი მწყემსმან რაჲ განარჩინის ცხოვარნი თიკანთაგან,
33. და დააღგინნეს ცხოვარნი მარჯუენით მისა და თიკანნი — მარცხენით.
34. მაშინ ჰრქუას მეუფემან მარჯუენითთა მათ მისთა: მოეედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკუდრეთ განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაჲთ.
35. რამეთუ მშიოდა, და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და მასუთ მე; უცხო ვიყავ, და შემიწყნარეთ მე;
36. შიშუელ ვიყავ, და შემმოსეთ მე; სნეულ ვიყავ, და მომხედეთ მე; საპყრობილეს ვიყავ, და მოხუედით ჩემდა.
37. მაშინ მიუგონ მას მართალთა მათ და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი და გამოგზარდეთ? ანუ წყურიელი და გასუთ შენ?
38. ოდეს გიხილეთ შენ უცხოდ და შეგიწყნარეთ? ანუ შიშუელი და შეგმოსეთ შენ?
39. ოდეს გიხილეთ შენ უძლური ანუ საპყრობილესა და მოვედით შენდა?
40. და მიუგოს მეუფემან მან და ჰრქუას მათ: ამენ გეტყჳ თქუენ: რაოდენი უყაეთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა,

იგი მე მიყავთ.
41. მაშინ ჰრქუას მარცხენითთა მათცა: წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათჳს და ანგელოზთა მისთათჳს,
42. რამეთუ მშიოდა, და არა მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და არა მასუთ მე;
43. უცხო ვიყავ, და არა შემიწყნარეთ მე; შიშველ ვიყავ, და არა შემმოსეთ მე; უძლურ ვიყავ და საპყრობილესა, და არა მოხუედით ჩემდა.
44. მაშინ მიუგონ მათცა და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი ანუ წყურიელი, ანუ უცხოებასა, ანუ შიშულობასა, ანუ უძლურებასა, ანუ საპყრობილესა და არა გმსახურეთ შენ?
45. მაშინ მიუგოს მან და ჰრქუას მათ: ამენ გეტყჳ თქუენ: რაოდენი არა უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა, მე არა მიყავთ.
46. და წარვიდეს ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი – ცხორებასა საუკუნესა.

26

1. და იყო რაჟამს დაასრულნა იესუ ყოველნი ესე სიტყუანი, ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა:
2. უწყითა, რამეთუ შემდგომად ორისა დღისა ვნებაჲ იყოს, და ძე კაცისაჲ მიეცეს ჯუარ-ცუმად?
3. მაშინ შეკრბეს მღდელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი და მოხუცებულნი ერისანი ეზოსა მას კაიაფა მღდელთ-მოძღურისასა
4. და ზრახვა-ყვეს, რაჲთა იესუ ზაკუვით შეიპყრან და მოკლან.
5. ხოლო იტყოდეს: ნუ დღესასწაულსა ამას, რაჲთა არა შფოთი იქმნეს ერსა შორის.
6. სოლო იესუ იყო რაჲ ბეთანიას, სახლსა სიმონ კეთროვნისასა,
7. მოუჴდა დედაკაცი, რომელსა აქუნდა ალაბასტრი ნელსაცხებლისა მრავალ-სასყიდლისაჲ, და დაასხა თავსა მისსა ინაკით მჯდომარესა.
8. ხოლო იხილეს რაჲ მოწაფეთა, განრისხნეს და იტყოდეს: რაჲსათჳს იყო წარწყმედაჲ ნელსაცხებელისაჲ ამის?
9. რამეთუ შესაძლებელ იყო ესე განსყიდად დიდძალის და მიცემად გლახაკთა.
10. ხოლო იესუ გულისკმა-ყო და ჰრქუა მათ: რაჲსა შრომასა შეამთხუევთ დედაკაცსა მაგას? რამეთუ საქმე კეთილი ქმნა ჩემდა მომართ.
11. რამეთუ გლახაკნი მარადის თქუენთანა არიან, ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ვარ.
12. რამეთუ დამასხა მაგან ნელსაცხებელი ესე კორცთა ჩემთა და დასაფლველად ჩემდა ყო.

13. ამენ გეტყჳ თქუენ: სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე ყოველსა სოფელსა, ითქუმოდის, რომელიცა ესე ყო მაგან საკსენებელად მაგისა.
14. მაშინ წარვიდა ერთი იგი ათორმეტთაგანი, რომელსა ერქუა იუდა ისკარიოტელი, მღდელთ-მოძღუართა მათ
15. და ჰრქუა: რაჲ გნებავს მოცემად ჩემდა, და მე მიგცე იგი? ხოლო მათ მიუწონეს მას ოც და ათი ვეცხლი.
16. და მიერითგან ეძიებდა ჟამსა მარჯუესა, რაჲთა მისცეს იგი მათ.
17. ხოლო პირველსა მას დღესა უცომოებისასა მოუჴდეს მოწაფენი იესუს და ჰრქუეს მას: სადა გნებავს, და მოგიმზადოთ შენ ჭამად პასქაჲ ესე?
18. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: წარვედით ქალაქად კაცისა ვისამე და არქუთ მას: მოძღუარი ეგრეთ იტყჳს: ჟამი ჩემი ახლოს არს, შენ თანა ვყო პასქაჲ ესე მოწაფითურთ ჩემით.
19. და ყვეს ეგრეთ მოწაფეთა, ვითარცა უბრძანა მათ იესუ, და მოუმზადეს პასქაჲ იგი.
20. და ვითარცა შემწუხრდა, ინაჲით-ჯდა იესუ ათორმეტთა მათ თანა.
21. და ვითარცა ჭამდეს იგინი, ჰრქუა იესუ: ამენ გეტყჳ თქუენ: ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე.
22. და იგინი შეწუხნეს ფრიად, და იწყეს კაცად-კაცადმან მათმან სიტყუად: ნუუკუე მე ვარ, უფალო?
23. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: რომელმან მთამოყოს ჩემ თანა ჴელი პინაკსა ამას, ამან მიმცეს მე.
24. ძე სამე კაცისაჲ წარვალს, ვითარცა წერილ არს მისთჳს, ხოლო ვაჲ კაცისა მის, რომლისა მიერ ძე კაცისაჲ მიეცეს. უმჯობეს იყო მისა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი.
25. მიუგო იუდა, რომელმანცა მისცა იგი, და თქუა: ნუუკუე მე ვარ, მოძღუარ? ჰრქუა მას იესუ: შენ სთქუ.
26. და ვითარცა ჭამდეს იგინი, მოიღო იესუ პური და ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: მიიღეთ და ჭამეთ: ესე არს კორცი ჩემი.
27. და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგანი ყოველთა:
28. ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, მრავალთათჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა.
29. ხოლო გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: არღარა ვსუა მე ამიერითგან ნაყოფისაგან ამის ვენაკისა, ვიდრე მუნ დღედმდე, რაჟამს-იგი ვსუა თქუენ თანა ახალი სასუფეველსა მამისა ჩემისასა.

30. და გალობაჲ წართქუეს და განვიდეს მთასა მას ზეთისხილთასა.
31. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: თქუენ ყოველნი დაბრკოლებად ხართ ჩემდა მომართ ამას ღამესა, რამეთუ წერილ არს: დავსცე მწყემსი, და განიბნინენ ცხოვარნი სამწყსოჲსა მისისანი.
32. ხოლო შემდგომად აღდგომისა ჩემისა წინა-წარგიძღუე თქუენ გალილეას.
33. მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: დაღათუ ყოველნი დაჰბრკოლდენ შენდა მომართ, ხოლო მე არასადა დავჰბრკოლდე.
34. ჰრქუა მას იესუ, ამენ გეტყჳ შენ, რამეთუ ამას ღამესა, ვიდრე ქათმისა კმობაღმდე, სამ-გზის უვარ-მყო მე.
35. ჰრქუა მას პეტრე: დაღაცათუ ჯერ-იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა, არასადა უვარ-გყო შენ. და ეგრეთვე მსგავსად ყოველნი მოწაფენი იტყოდეს.
36. მაშინ მოვიდა იესუ მათ თანა აღგილსა, რომელსა ჰრქჳან გეთსიმანია, და ჰრქუა მათ: დასხედით მანდა, ვიდრემდე მივიდე იქი და ვილოცო.
37. და წარიყვანნა პეტრე და ორნი ძენი ზებედესნი და იწყო მწუხარებად და ურვად.
38. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილდმდე; დააღგერით აქა და იღჳძებდით ჩემ თანა.
39. და წარვიდა მცირედ და დავარდა პირსა ზედა თჳსსა, ილოცვიდა და იტყოდა: მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარმკედინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ.
40. და მოვიდა მოწაფეთა თანა და პოვნა იგინი მძინარენი და ჰრქუა პეტრეს: ესოდენ ვერ უძლეთ ჟამ ერთ მღჳძარებად ჩემ თანა?
41. იღჳძებდით და ილოცევდით, რაჲთა არა შეხჳდეთ განსაცდელსა; სული გულს-მოდგინე არს, ხოლო კორცნი უძლურ.
42. კუალად მეორედ წარვიდა და ილოცვიდა და თქუა: მამაო ჩემო, უკუეთუ ვერ შესაძლებელ არს სასუმელი ესე თანა-წარსლვად ჩემდა, რაჲთამცა არა შევსჳ იგი, იყავნ ნებაჲ შენი.
43. და მოვიდა და კუალად პოვნა იგინი მძინარენი, რამეთუ იყვნეს თუალნი მათნი დამძიმებულ.
44. და დაუტევნა იგინი და კუალად წარვიდა მესამედ და ილოცვიდა და მასვე სიტყუასა იტყოდა.
45. მაშინ მოვიდა მოწაფეთა და ჰრქუა მათ: დაიძინეთ ამიერითგან და განისუენეთ. აჰა ესერა მოახლებულ არს ჟამი, და ძე კაცისაჲ მიეცემის ქელთა ცოდვილთასა.

46. აღდეგით, წავიდეთ ამიერ. აჰა ესერა მოიწია მიმცემელი ჩემი.
47. და ვიდრე იგი იტყოდაღა, აჰა ესერა იუდა, ერთი იგი ათორმეტთაგანი, მოვიდა, და მის თანა ერი მრავალი მახჯლებითა და წათებითა მღდელთ-მოძღუართაგან და მოხუცებულთა ერისათა.
48. ხოლო მიმცემელსა მას მისსა მიეცა სასწაულად და ჰრქუა: რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს, შეიპყართ იგი.
49. და მეყსეულად მოუჴდა იესუს და ჰრქუა: გიხაროდენ, მოძღუარ! და ამბორს-უყო მას.
50. ხოლო იესუ ჰრქუა მას: მოყუასო, რომლისათჳსცა მოსრულ ხარ? მაშინ მოუჴდეს და დაასხნეს ქელნი მათნი იესუს ზედა და შეიპყრეს იგი.
51. და აჰა ერთმან იესუჲსთანამან მიყო ქელი და იჴადა მახჯლი და სცა მონასა მღდელთ-მოძღურისასა და წარჰკუეთა ყური მისი.
52. მაშინ ჰრქუა მას იესუ: მიაქციე მახჯლი ადგილსავე თჳსსა, რამეთუ ყოველთა რომელთა აღიღონ მახჯლი, მახჯლითა წარწყმდენ.
53. ანუ ჰგონებ, ვითარმედ ვერ ძალ-მიც ვედრებად მამისა ჩემისა, და წარმომიდგინოს მე აწ აქა უმრავლესი ათორმეტთა გუნდთა ანგელოზთაჲ?
54. და ვითარ-მე აღესრულნენ წერილნი, რამეთუ ესრეთ ჯერ-არს ყოფად?
55. მას ჟამსა ჰრქუა იესუ ერსა მას: ვითარცა ავაზაკსა გედა გამოხუედით მახჯლითა და წათებითა შეპყრობად ჩემდა; დღითი-დღე თქუენ თანა ტაძარსა მას შინა ვჯედ და გასწავებდ, და არა შემიპყართ მე.
56. ხოლო ესე ყოველი იქმნა, რაჲთა აღესრულნენ წიგნნი წინაწარმეტყუელთანი. მაშინ მოწაფეთა ყოველთა დაუტეეს იგი და ივლტოდეს.
57. ხოლო მათ შეიპყრეს იესუ და მიიყვანეს კაიაფაჲსა მღდელთ-მოძღურისა, სადა-იგი მწიგნობარნი და მოხუცებულნი ერისანი შეკრებულ იყვნეს.
58. ხოლო პეტრე მისდევდა მას შორით, ვიდრე ეზოდმდე მღდელთ-მოძღურისა, და შევიდა შინა და დაჯდა მსახურთა თანა ხილვად აღსასრულისა.
59. ხოლო მღდელთ-მოძღუარნი იგი და მოხუცებულნი და ყოველი კრებული ეძიებდეს ცრუ-მოწამეთა იესუჲსთჳს, რაჲთამცა მოკლეს იგი,
60. და არა ჰპოებდეს; და მრავალნი მოსრულ იყვნეს ცრუ-მოწამენი, და არა პოვნეს. ხოლო უკუანაჲსკნელ მო-ვინმე-ვიდეს ორნი
61. და თქუეს, ვითარმედ: ამან ესრეთ თქუა: ძალ-მიც დარღუე-

ვად ტაძარი ესე ღმრთისაჲ და მესამესა დღესა აღშენებად.
62. მაშინ აღდგა მღდელთ-მოძღუარი იგი და ჰრქუა მას: არარას მიუგება, რასა-ესე შეგწამებენ შენ?
63. სოლო იესუ დუმნა. მაშინ მღდელთ-მოძღუარმან მან ჰრქუა მას: გაფუცებ შენ ღმრთისა ცხოველისა, რაჲთა მითხრა ჩუენ, უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ?
64. ჰრქუა მას იესუ: შენ სთქუ. ხოლო გეტყჳ თქუენ: ამიერითგან იხილოთ ძე კაცისაჲ მჯდომარე მარჯუენით ძლიერებასა და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა.
65. მაშინ მღდელთ-მოძღუარმან მან დაიპო სამოსელი თჳსი და თქუა, ვითარმედ: გმო; აწ უკუე რაჲსაღა გჳკმან მოწამენი? აჰა ესერა გესმა გმობაჲ მაგისი.
66. რაჲ გნებავს თქუენ? ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს: თანა-მდებ არს სიკუდილისა.
67. მაშინ ჰნერწყუვიდეს პირსა მისსა და კურთითა სცემდეს თავსა მისსა, და რომელნიმე ყურიმალსა სცემდეს
68. და ეტყოდეს: გჳწინაწარმეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე, ვინ არს, რომელმან გცა შენ?
69. ხოლო პეტრე ჯდა გარეშე ეზოსა შინა. მოუკდა მას ერთი მკევალი და ჰრქუა მას: და შენცა იყავ იესუჲს თანა, გალილეველისა.
70. ხოლო მან უარ-ყო წინაშე ყოველთასა და ჰრქუა: არა ვიცი, რასა იტყჳ.
71. და ვითარცა გამოვიდა იგი გარეშე ბჭეთა, იხილა იგი სხუამან და ჰრქუა მუნ მდგომარეთა მათ: ესეცა იყო იესუჲს თანა, ნაზარეველისა.
72. და მერმეცა უარ-ყო პეტრე ფიცით და თქუა, ვითარმედ: არა ვიცი კაცი იგი.
73. და შემდგომად მცირედისა მოუკდეს მუნ მდგომარენი იგი პეტრეს და ჰრქუეს მას: ჭეშმარიტად შენცა მათგანი ხარ, და რამეთუ სიტყუაჲცა შენი გამოგაჩინებს შენ.
74. მაშინ იწყო შეჩუენებად და ფიცად, ვითარმედ: არა ვიცი კაცი იგი. და მეყსეულად ქათამმან იყივლა.
75. და მოეკსენა პეტრეს სიტყუაჲ იგი იესუჲსი, რომელი ჰრქუა მას, ვითარმედ: ვიდრე ქათმისა კმობადმდე სამ-გზის უარ-მყო მე. და გამოვიდა გარე და ტიროდა მწარედ.

27

1. და ვითარცა განთენა, მრახვა-ყვეს ყოველთა მღდელთ-მოძღუართა და მოხუცებულთა ერისათა იესუჲსთჳს, რაჲთა მოკლან იგი.
2. და შეკრეს იგი და მიიყვანეს და მისცეს იგი პონტიელსა პი-

ლატეს მთავარსა.
3. მაშინ ვითარცა იხილა იუდა, რომელმანცა მისცა იგი, რამეთუ დაისაჯა, შეინანა და მიაქცია ოც და ათი იგი ვეცხლი მღდელთ-მოძღუართა მათ მიმართ და მოხუცებულთა
4. და თქუა: ვცოდე, რამეთუ მიგეც სისხლი მართალი. ხოლო მათ ჰრქუეს მას: ჩუენდა რაჲ? შენ იხილე!
5. და დააბნია ვეცხლი იგი ტაძარსა მას შინა და განეშორა და წარეიდა და შიშთვილ-იბა.
6. ხოლო მღდელთ-მოძღუართა მათ მოიღეს ვეცხლი იგი და თქუეს: არა ჯერ-არს ესე დადებად სიწმიდესა, რამეთუ სასყიდელი სისხლისაჲ არს.
7. და ზრახეა-ყვეს და მოიყიდეს მითა აგარაკი იგი მეკეცისაჲ საფლავად უცხოთა.
8. ამისთჳს ეწოდა აგარაკსა მას აგარაკი სისხლისაჲ ვიდრე აქა დღედმდე.
9. მაშინ აღესრულა თქუმული იგი იერემია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყჳს: და მოვიღე ოც და ათი იგი ვეცხლი, სასყიდელი განსყიდულისაჲ მის, რომელი მოიყიდეს ძეთაგან ისრაჱლისათა,
10. და მისცეს იგი აგარაკისათჳს მეკეცისა, ვითარცა მიბრძანა მე უფალმან.
11. ხოლო იესუ დადგა წინაშე მთავრისა მის. და ჰკითხა მას მთავარმან მან და ჰრქუა: შენ ხარა მეუფჱ ჰურიათაჲ? ხოლო იესუ ჰრქუა მას: შენ იტყჳ.
12. და შესმენასა მას მღდელთ-მოძღუართასა და მოხუცებულთასა არარაჲ მიუგო.
13. მაშინ ჰრქუა მას პილატე: არა გესმისა, რაოდენსა-ესე შეგწამებენ შენ?
14. და არარაჲ მიუგო მას არცა ერთისა სიტყჳსათჳს, ვიდრემდე უკჳრდაცა მთავარსა მას ფრიად.
15. ხოლო დღესასწაულთა ჩუეულ იყო მთავარი იგი, და მიუტევის ერსა მას ერთი პყრობილი, რომელიცა უნებნ მათ.
16. ხოლო ჰყვა ვინმე მაშინ პყრობილი შესწავებული, რომელსა ერქუა ბარაბა.
17. და ვითარ შეკრებულ იყვნეს იგინი, ჰრქუა მათ პილატე: ვინ გნებავს ორთა ამათგანი, და მიგიტეო თქუენ: ბარაბა ანუ იესუ, რომელსა ჰრქჳან ქრისტე?
18. რამეთუ უწყოდა, ვითარმედ შურითა მისცეს იგი.
19. და ვითარცა დაჯდა პილატე საყდართა ზედა, მიუვლინა მას ცოლმან მისმან და ჰრქუა მას: არარაჲ ძეს შენი და მართლისა მაგის კაცისაჲ, რამეთუ მრავალი მევნო მე დღეს ჩუენებით მაგისთჳს.
20. ხოლო მღდელთ-მოძღუართა მათ და მოხუცებულთა არწმუნეს ერსა მას, რაჲთა გამო-

ითხოონ ბარაბა, ხოლო იესუ წარწყმიდონ.
21. მიუგო მთავარმან მან და ჰრქუა მათ: ვინ გნებაეს ორთა ამათგანი, და მიგიტეო თქუენ? ხოლო მათ ჰრქუეს: ბარაბა.
22. ჰრქუა მათ პილატე: რაჲ უკუე უყო იესუს, რომელსა ჰრქჳან ქრისტე? ჰრქუეს მას ყოველთა: ჯუარს-ეცუნ.
23. ხოლო მთავარმან ჰრქუა მათ: და რაჲ ბოროტი უქმნიეს? ხოლო იგინი უმეტეს ღაღადებდეს და იტყოდეს: ჯუარს-ეცუნ.
24. ვითარცა იხილა პილატე, რამეთუ არარას არგებს, არამედ უფროჲსღა შფოთი იქმნების, მოითხოვა წყალი და დაიბანნა კელნი წინაშე ერისა მის და თქუა: უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისისა, თქუენ იხილეთ.
25. და მიუგო ყოველმან ერმან და ჰრქუეს: სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა.
26. მაშინ მიუტევა მათ ბარაბა, ხოლო იესუს შოლტითა სცა და მისცა მათ, რაჲთა ჯუარს-ეცუას.
27. მაშინ ერისაგანთა მათ მთავრისათა წარიყვანეს იესუ ტაძრად და შეკრიბეს მის ზედა ნათესაები იგი ყოველი.
28. და განძარცუეს იგი და ქლამინდი მეწამული შეჰმოსეს მას.
29. და შეთხზეს გჳრგჳნი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და ლერწამი მისცეს მარჯუენესა კელსა მისსა და მუკლნი დაიდგნეს მის წინაშე, ემღერდეს მას და ეტყოდეს: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო!
30. და ჰნერწყუეიდეს მას და მოიღეს ლერწამი და სცემდეს თავსა მისსა.
31. და ოდეს განკიცხეს იგი, განსძარცუეს მას ქლამინდი იგი და შეჰმოსეს მას თჳსივე სამოსელი და წარიყვანეს იგი, რაჲთა ჯუარს-აცუან.
32. და ვითარცა გამოვიდეს იგინი მიერ, პოვეს კაცი კჳრინელი, სახელით სიმონ. ესე წარიქციეს პაპრაკად, რაჲთა აღიღოს ჯუარი მისი.
33. და მოვიდეს ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან გოლგოთა, რომელ არს თხემისა ადგილი.
34. და მისცეს მას ძმარი ნავღლითა აღზავებული. და გემოჲ რაჲ იხილა, არა უნდა სუმის.
35. და ვითარცა ჯუარს-აცუეს იგი, განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს წილი, რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი წინაწარმეტყუელისა მიერ, რომელსა იტყჳს: განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი.
36. და სხდეს მუნ და სცვიდეს მას.
37. და დასდვეს თავსა მისსა ზედა ბრალი მისი დაწერილი: ესე არს იესუ, მეუფე ჰურიათაჲ.

38. მაშინ ჯუარს-აცუნეს მის თანა ორნი ავაზაკნი: ერთი მარჯუენით მისა და ერთი მარცხენით.
39. ხოლო თანა-წარმავალნი იგი ჰგმობდეს მას, ყრიდეს თავთა მათთა
40. და იტყოდეს: რომელი დაჰსხნიდ ტაძარსა ამას და მესამესა დღესა აღაშენებდ, იცხენ თავი თჳსი; უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, გარდამოჯედ მაგიერ ჯუარით!
41. ეგრეთვე მღდელთ-მოძღუარნი იგი ემღერდეს მწიგნობართა თანა და მოხუცებულთა და ფარისეველთა და იტყოდეს:
42. სხუანი აცხოვნნა, თავი თჳსი ვერ ძალ-უც ცხოვნებად. უკუეთუ მეუფჱ ისრაჱლისაჲ არს, გარდამოჯედინ აწ მაგიერ ჯუარით, და გურწმენეს იგი.
43. უკუეთუ ესვიდა ღმერთსა, იცხენინ იგი, უკუეთუ ჰნებავს იგი, რამეთუ თქუა, ვითარმედ: ძე ღმრთისაჲ ვარი მე.
44. ეგრეთვე ავაზაკნი იგი, მის თანა ჯუარ-ცუმულნი, აყუედრებდეს მას.
45. ხოლო მექუსით ჟამითგან დაბნელდა ყოველი ქუეყანაჲ, ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე.
46. და მეცხრესა ოდენ ჟამსა ჴმა-ყო იესუ ჴმითა დიდითა და თქუა: ილი, ილი! ლიმა საბაქთანი? ესე არს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რაჲსათჳს დამიტევე მე?
47. და რომელთამე მუნ მდგომარეთა ესმა ესე და იტყოდეს, ვითარმედ: ელიას უჴმობს ესე.
48. და მეყსეულად მირბიოდა ერთი მათგანი და მოიღო ღრუბელი და აღაესო ძმრითა და დაადგა ლერწამსა და ასუმიდა მას.
49. ხოლო სხუანი ეტყოდეს: აცადეთ, და ვიხილოთ უკუეთუ ელია მოვიდეს ჴსნად მისა.
50. ხოლო იესუ კუალად ჴმა-ყო ჴმითა დიდითა და განუტევა სული.
51. და აჰა კრეტსაბმელი იგი ტაძრისაჲ მის განიპო ორად ზეითგან, ვიდრე ქუემდე, და ქუეყანაჲ შეიძრა და კლდენი განსთქდეს,
52. და საფლავნი აღეხუნეს, და მრავალნი გუამნი შესუენებულთა წმიდათანი აღდგეს
53. და გამოვიდეს საფლავით მათით და, შემდგომად აღდგომისა მისისა, შევიდეს წმიდასა ქალაქსა და გამოეცხადნეს მრავალთა.
54. ხოლო ასისთავმან მან და მისთანათა, რომელნი სცვიდეს იესუს, იხილეს რაჲ ძრვაჲ იგი და რაჲ-იგი იქმნა, შეეშინა ფრიად და იტყოდეს: ჭეშმარიტად ძე ღმრთისაჲ იყო ესე.
55. იყვნეს მუნ დედანიცა მრავალნი, რომელნი შორით ხედვიდეს, რომელნი შეუდგეს იე-

სუს გალილეაჲთ და ჰმსახურებდეს მას.
56. რომელთა თანა იყო მარიამ მაგდალენელი და მარიამ იაკობისი და იოსეს დედაჲ და დედაჲ ძეთა ზებედესთაჲ.
57. და ვითარცა შემწუხრდა, მოვიდა კაცი მდიდარი არიმათიაჲთ, სახელით იოსებ, რომელ იგიცა მოწაფე ყოფილ იყო იესუჲსა.
58. ესე მოვიდა პილატესა და გამოითხოვა გუამი იესუჲსი. მაშინ პილატე უბრძანა მიცემად გუამი იგი მისი.
59. და მოიღო გუამი იგი მისი იოსებ და წარგრაგნა იგი ამრენაკსა წმიდასა
60. და დადვა იგი ახალსა მისსა საფლაესა, რომელი გამოეკუეთა კლდისაგან, და მიაგორეა ლოდი დიდი კარსა მას საფლავისასა და წარვიდა.
61. იყო მუნ მარიამ მაგდალენელი და სხუაჲ იგი მარიამ, და სხდეს წინაშე საფლავსა მას.
62. ხოლო ხვალისაგან, რომელ არს შემდგომად პარასკევისა, შეკრბეს მღდელთ-მოძღუარნი იგი და ფარისეველნი პილატესა
63. და ჰრქუეს: უფალო, მოვიჯსენეთ, რამეთუ მან მაცთურმან თქუა, ვიდრე ცოცხალღა იყო, ვითარმედ შემდგომად სამისა დღისა აღვდგეო.
64. აწ უკუე ბრძანე დაკრძალვად საფლავი იგი, ვიდრე მესამედ დღედმდე, ნუუკუე მოვიდენ მოწაფენი მისნი და წარიპარონ იგი და უთხრან ერსა, ვითარმედ: აღდგა მკუდრეთით. და იყოს უკუანაჲსკნელი საცთური უძჯრეს პირველისა.
65. ჰრქუა მათ პილატე: გაქუს თქუენ დასი; წარვედით და დაჰკრძალეთ, ვითარცა იცით.
66. ხოლო იგინი წარვიდეს და დაჰკრძალეს საფლავი იგი და დაჰბეჭდეს ლოდსა მას დასისა თანა.

28

1. ხოლო მწუხრი შაბათთასა, რომელი განთენდებოდა ერთშაბათად, მოვიდა მარიამ მაგდალენელი და სხუაჲ იგი მარიამ ხილვად საფლავისა მის.
2. და აჰა ძრვაჲ იყო დიდი, რამეთუ ანგელოზი უფლისაჲ გარდამოჯდა ზეცით, მოვიდა და გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა და დაჯდა მას ზედა.
3. ხოლო იყო ხილვა მისი, ვითარცა ელვაჲ, და სამოსელი მისი სპეტაკ, ვითარცა თოვლი.
4. ხოლო საშინელებისაგან მისისა შეძრწუნდეს მცველნი იგი და იქმნნეს, ვითარცა მკუდარნი.
5. მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა დედათა მათ: ნუ გეშინინ თქუენ; ვიცი, რამეთუ იესუს ნაზარეველსა ჯუარ-ცუმულსა ეძიებთ.

6. არა არს აქა, რამეთუ აღდგა, ვითარცა თქუა. მოეედით და იხილეთ აღგილი, საღა დაიდეა უფალი.
7. და აღრე წარეედით და უთხართ მოწაფეთა მისთა, ვითარმეღ: აღდგა მკუდრეთით და აჰა წინა-გიძღჳს თქუენ გალილეას, მუნ ისილოთ იგი. აჰა ესერა გარქუ თქუენ.
8. ხოლო იგინი გამოეიდეს აღრე მიერ საფლავით შიშითა და სისარულითა დიდითა, მირბიოდეს თსრობად მოწაფეთა მისთა.
9. და ვითარ-იგი მიეიდოდეს თსრობად მოწაფეთა მისთა, და აჰა იესუ შეემთხჳა მათ და ჰრქუა: გისაროდენ! ხოლო იგინი მოვიდეს და შეუერდეს ფერკთა მისთა და თაყუანის-სცეს მას.
10. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: ნუ გეშინინ, წარეედით და უთხართ ძმათა ჩემთა, რაჲთა წარეიდენ გალილეას და მუნ მისილონ მე.
11. და ესენი ვითარცა წარვიდეს, აჰა ესერა დასისა მისგანნი შეეიდეს ქალაქად და უთხრეს მღდელთ-მოძღუართა მათ ყოველი ესე, რაჲცა იქმნა.
12. ხოლო იგინი შეკრბეს მოსუცებულთა თანა და ბრახჳა-ყვეს, ვეცხლი დიდძალი მისცეს ერისაგანთა მათ
13. და ჰრქუეს: ესრეთ თქუთ, ეითარმეღ: მოწაფენი მისნი ღამე მოვიდეს და წარიპარეს იგი, ვიდრე ჩუენ მეძინა.
14. უკუეთუ ესმეს ესე მთავარსა მას, ჩუენ ვარწმუნოთ და თქუენ უზრუნველ-გყენეთ.
15. ხოლო მათ მიიღეს ვეცხლი იგი და ყეეს ეგრე, ვითარცა ისწავეს მათგან. და განითქუა სიტყუაჲ ესე ჰურიათა შორის, ვიდრე ღღენღელად ღღედმდე.
16. ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილეას, მთასა მას, სადაცა უბრძანა მათ იესუ.
17. იხილეს იგი და თაყუანის-სცეს მას; ხოლო რომელნიმე შეორგულდეს.
18. მოუკდა მათ იესუ, ეტყოდა და ჰრქუა: მომეცა მე ყოველი კელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა.
19. წარეედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა,
20. და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ. და აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა ღღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა.



მარკოზ მახარებელი. მეცხიის ოთხთავი. 1030 წ.

შესხმა სოფრონის მიერ, წმიდისა მარკოს მახარებელისა

მარკოს, მოწაფე ქრისტესი, და მომთხრობელი, რაოდენიცა ესმა წმიდისა პეტრეს მიერ ქადაგებაჲ, და მოუწოდეს ძმათა ჰრომთა, აღწერად მცირისა სახარებისა, და ვითარცა იხილა წმიდამან პეტრე გულის კმა-ჰყო, რამეთუ ჭეშმარიტი იყო, თჳთ მანცა დაამტკიცა და წარჰსცა ყოველთა ეკკლესიათა, ვითარცა ჩუენ გუწერს კლიმი იერაპოლის ეპისკოპოსი მეექუსესა სიტყუასა შინა მარკოსისათჳს, და ვითარცა წერილ-არს პირველსა კათოლიკესა მეხუთესა თავსა ეპისტოლისა შინა პეტრესსა, ჰსწერს მოკითხვას თქუენ რჩეულთა ბაბილონისათა ძე ჩემი მარკოს, მერმე მიიღო, და დასწერა წმიდაჲ სახარებაჲ და წარვიდა ეგჳპტედ, რამეთუ ამან წმიდამან მარკოს პირეელად ჰქადაგა ალექსანდრიასა შინა სახარებაჲ ქრისტესი, და აღაშენა ეკკლესიაჲ მუნ, ესრეთ ღუაწლითა წამებისათა განჰბრწყინდა, ყოველნი მხილუელნი მისნი მოსურნე იქმნენ მრავალთა ჭირთა თავს-დებად ქრისტესთჳს, რომლისათჳსცა ფილოსოფოსი ფილონ მოიხილვიდა ეკკლესიათა ალექსანდრიისათა, რამეთუ ჯერეთ არა დამცხრალ იყო ურიაობასა ზედა დგომაჲ მათი; დაჰსწერეს კეთილსა სწაელასა ნათესავთა მიმართ თჳსთა, ვითარცა წმიდა ლუკა ჰსწერს იერუსალიმელთათჳს, რაოდენიცა რა გაქუნდესთ არა განყოფილ, არამედ იყავნ სამოგადო; ესრეთ ფილონ ფილოსოფოსი მიჰსწერს ნათესავთა თჳსთა, და ჰსწაელის ვითარცა წმიდა მარკოს ასწავებდა სარწმუნოებასა ქრისტესსა ერთა მორწმუნეთა; მიიცუალა დროსა ნერონის მეფობისასა წელსა მერუესა, და დაეფლა ალექსანდრიას, და მის წილ დაიდგინა ანანია.

სახარებაჲ მარკოზის თავი

1

1. დასაბამი სახარებისაჲ იესუ ქრისტჱსი, ძისა ღმრთისაჲ.
2. ვითარცა წერილ არს ესაია წინაწარმეტყუელსა: აჰა ესერა მე წარვავლინო ანგელოზი ჩემი წინაშე პირსა შენსა, რომელმან განჰმზადნეს გზანი შენნი წინაშე შენსა.
3. კმაჲ ღაღადებისაჲ უდაბნოსა: განჰმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი.
4. იყო იოვანე უდაბნოსა და ნათელ-სცემდა და ქადაგებდა ნათლის-ცემასა სინანულისასა მისატევებელად ცოდვათა.
5. და განვიდოდა მისა ყოველი სოფლები ჰურიასტანისაჲ და იერუსალჱმელნი და ნათელს-იღებდეს მისგან ყოველნი იორდანესა მდინარესა და აღუვარებდეს ცოდვათა მათთა.
6. ხოლო ემოსა იოვანეს სამოსლად თმისაგან აქლემისა, და სარტყელი ტყავისაჲ წელთა მისთა, და ჭამდა იგი მკალსა და თაფლსა ველურსა,
7. ქადაგებდა და იტყოდა: ესერა მოვალს უძლიერესი ჩემსა შემდგომად ჩემსა, რომლისა ვერ ღირს ვარ განკსნად საბელსა კამლთა მისთასა.
8. მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა, ხოლო მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა.
9. და იყო მათ დღეთა შინა მოვიდა იესუ ნაზარეთით გალილეაჲსაჲთ და ნათელ-იღო იოვანესგან იორდანესა.
10. და მეყსეულად აღმოსლვასა მისსა მიერ წყლით იხილნა ცანი განხუმულნი და სული ღმრთისაჲ გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მის ზედა.
11. და კმაჲ იყო ზეცით: შენ ხარ ძე ჩემი საყუარელი, შენ სათნო-გიყავ.
12. და მეყსეულად სულმან განიყვანა იგი უდაბნოდ.
13. და იყო მუნ ორმეოც დღე და გამოიცადებოდა ეშმაკისაგან და იყო მკეცთა თანა, და ანგელოზნი ჰმსახურებდეს მას.
14. და შემდგომად მიცემისა იოვანესა მოვიდა იესუ გალილეად, ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისა ღმრთისასა
15. და იტყოდა, ვითარმედ: აღსრულებულ არს ჟამი და მოახლებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ; შეინანეთ და გრწმენინ სახარებისაჲ.
16. ხოლო ვიდოდა რაჲ გღუსკიდესა მას გალილეაჲსასა, იხილნა სიმონ და ანდრეა, ძმაჲ მისი, ითხევლიდეს რაჲ გღუასა მას ზედა, რამეთუ იყვნეს იგინი მესათხეველე.
17. და ჰრქუა მათ იესუ: მოვე-

დით და შემომიდეგით მე, და გყვნე თქუენ მესათხეველე კაცთა.
18. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევნეს ბაღენი მათნი და მისდევდეს მას.
19. და მცირედ წარვიდა და იხილა იაკობ ზებედესი და იოვანე, ძმაჲ მისი, და იგინი განაგებდეს ბაღეთა ნაესა შინა.
20. და უწოდა მათ. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს ზებედე, მამაჲ მათი, ნავსა შინა მუშაკთა მისთა თანა და მისდევდეს მას.
21. და შეიდეს კაპერნაუმდ. და მეყსეულად დღესა შაბათსა შეიდა შესაკრებელსა მათსა და ასწავებდა მათ.
22. და განუკჳრდებოდა ერსა მას მოძღურებაჲ იგი მისი, რამეთუ ასწავებდა მათ, ვითარცა-იგი ვის აქუნ კელმწიფებაჲ, და არა ვითარ-იგი მწიგნობარნი მათნი.
23. და იყო კრებულსა მას შინა მათსა კაცი, რომლისა თანა იყო სული არაწმიდაჲ, ღაღატ-ყო
24. და თქუა: ეჰა, რაჲ არს ჩუენი და შენი, იესუ ნაზარეველო? მოსრულ ხარ წარწყმედად ჩუენდა. გიცით შენ, ვინ ხარ, წმიდაჲ ეგე ღმრთისაჲ.
25. შეჰრისხნა მას იესუ და ჰრქუა: პირი დაიყავ და განვედ მაგისგან!
26. და დასცა იგი სულმან მან არაწმიდამან, და კმა-ყო კმითა დიდითა და განვიდა მისგან.
27. და დაუკჳრდებოდა ყოველთა, ვიდრე გამოძიებადმდე ურთიერთას, და იტყოდეს: რაჲ-მე არს მოძღურებაჲ ესე ახალი, რამეთუ კელმწიფებით სულთაცა არაწმიდათა უბრძანებს, და ერჩიან მას?
28. და განჴდა პამბავი მისი ყოველსა მას სოფლებსა გალილეაჲსასა.
29. და მიერ შესაკრებელით გამოვიდა და მოვიდა სახლსა სიმონისსა და ანდრეაჲსსა იოვანეს და იაკობის თანა.
30. ხოლო სიდედრი სიმონისი დაერდომილ იყო მკურვალებითა. და უთხრეს იესუს მისთჳს.
31. და მოვიდა და უპყრა კელი მისი და აღადგინა იგი; და მეყსეულად დაუტევა იგი მკურვალებამან მან, და აღდგა და ჰმსახურებდა მათ.
32. და ვითარ შემწუხრდებოდა, და მზე დაჰვიდოდა, მოჰყვანდეს მისა ყოველნი სნეულნი და ეშმაკეულნი.
33. და ყოველი ქალაქი შეკრებულ იყო წინაშე კართა.
34. და განკურნნა ყოველნი ბოროტთაგან სენთა და თითო-სახეთაგან სნეულებათა და ეშმაკნი მრავალნი განასხნა და არა უტევებდა სიტყუად ეშმაკთა მათ, რამეთუ იცოდეს იგი, ვითარმედ ქრისტე არს.

35. და განთიად რიჟურაჟუს ოდენ [ნიად] აღდგა და გამოვიდა მიერ და განვიდა უდაბნოსა ადგილსა და მუნ ილოცვიდა.
36. და მისდევდეს მას სიმონ და მისთანანი.
37. და პოვეს იგი და ჰრქუეს მას, ვითარმედ: ყოველნი გეძიებენ შენ.
38. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: მოვედით და წარვიდეთ მახლობელსა დაბნებსა და ქალაქებსა, რაჲთა მუნ უქადაგოთ, რამეთუ ამისთჳს მოვიცლინე.
39. და ქადაგებდა შესაკრებელთა მათთა და ყოველსა გალილეასა და ეშმაკთა განასხმიდა.
40. მაშინ მოუკდა მას ერთი განკეთროვნებული, ევედრებოდა მას და მუკლნი დაიდგნა და ეტყოდა: უჟალო, უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც განწმედად ჩემდა.
41. ხოლო იესუს შეეწყალა იგი, განყო კელი, შეახო მას და ჰრქუა: მნებავს, განწმიდენი!
42. და ვითარცა ესე თქუა, მეყსეულად განეყარა მას კეთროვნებაჲ იგი, და განწმიდნა იგი
43. და შეჰრისხნა მას და მეყსეულად გამოაძო იგი
44. და ჰრქუა მას: იხილე, ნუვის უთხრობ, არამედ მიევედ და უჩუენე თავი შენი მღდელსა და შეწირე განწმედისა შენისათჳს, რომელი-იგი ბრძანა მოსე საწამებელად მათა.
45. ხოლო იგი გამოვიდა მიერ და იწყო ქადაგებად ფრიად და მიმოდაღებად სიტყჳსა მის, ვითარმედ ვერღარა კელ-ეწიფა მას ცხადად ქალაქად შესლვაღ, არამედ გარე უდაბნოთა აღგილთა იყოფჳოდა. და მოვიდოდეს მისა ყოელით კერძო.

2

1. და შევიდა კუალად კაპერნაუმდ შემდგომად მცირედთა დღეთა; და ესმა, რამეთუ სახლსა შინა არს.
2. და მეყსეულად შეკრბა მუნ სიმრავლე ერისაჲ, ვიდრემდე ვერღარა იტევდა წინაშე კართა მათ, და ეტყოდა მათ სიტყუასა.
3. და მოვიდეს მისა და მოაქუნდა განრღუეული, ზე-კიდებული ოთხთაგან.
4. და ვითარ ვერ შეუძლეს მიახლებად მისა ერისა მისგან, აღსძარცუეს სართული სახლისაჲ მის, სადა იგი იყო, და აღიღეს და გარდაუტევეს ცხედარი იგი, რომელსა ზედა იდვა განრღუეული იგი.
5. და იხილა იესუ სარწმუნოებაჲ იგი მათი და ჰრქუა განრღუეულსა მას: შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი!
6. ხოლო იყუნეს ვინმე მუნ მსხდომარენი მწიგნობართაგანნი და ზრახვიდეს გულთა შინა მათთა და იტყოდეს,
7. ვითარმედ: ესე გმობასა იტ-

ყჳს; ვის კელ-ეწიფების მიტევებად ცოდვათა, გარნა მხოლოსა ღმერთსა?
8. ხოლო იესუ მეყსეულად გულისკმა-ყო სულითა, რამეთუ ესრეთ ბრახვენ გულთა შინა მათთა, და ჰრქუა მათ: რასა მაგას ჰზრახავთ გულთა შინა თქუენთა?
9. რაჲ უადვილეს არს სიტყუად განრღუეულისა ამის: მიგეტევნენ ცოდვანი შენნი, ანუ თქუმად: აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე?
10. ხოლო რაჲთა უწყოდით, რამეთუ კელმწიფებაჲ აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა, და ჰრქუა განრღუეულსა მას:
11. შენ გეტყჳ: აღდეგ და აღიღე ცხედარი შენი და წარეედ სახიდ შენდა!
12. და მეყსეულად აღდგა იგი და აღიღო ცხედარი თჳსი და გამოვიდა წინაშე ყოველთასა, ვითარმედ განუკჳრდებოდაცა ყოველთა და ადიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს, ვითარმედ: არასადა ესრეთ ვიხილეთ.
13. და კუალად განვიდა ზღჳს-კიდესა, და ყოველი ერი მოვიდოდა მისა, და მუნ ასწავებდა მათ.
14. და წარ-რაჲ-ვიდოდა, იხილა ლევი ალფესი, მჯდომარე საბუერესა ზედა, და ჰრქუა მას: მომდევდი მე. და აღდგა და მისდევდა მას.
15. და იყო ვითარცა ინაჯით-ჯდა იგი სახლსა შინა მისსა, და მრავალნი მეზუერენი და ცოდვილნი სხდეს იესუჲს თანა და მოწაფეთა მისთა თანა, რამეთუ იყვნეს მუნ მრავალნი და მისდევდეს მას.
16. და მწიგნობართა მათ და ფარისეველთა ვითარცა იხილეს იგი, რამეთუ მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჭამს, ეტყოდეს მოწაფეთა მისთა: რაჲსათჳს მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჭამს და სუამს?
17. და ესმა ესე იესუს და ჰრქუა მათ: არა უკმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად.
18. და იყვნეს მოწაფენი იოვანესნი და ფარისეველთანი მარხვასა შინა. და მოვიდეს მისა და ჰრქუეს მას: რაჲსათჳს მოწაფენი იოვანესნი და ფარისეველთანი იმარხვენ და მოწაფენი შენნი არა იმარხვენ?
19. ჰრქუა მათ იესუ: ვერ კელ-ეწიფების ძეთა სიძისათა, ვიდრე სიძე იგი მათ თანა არს, მარხვად.
20. არამედ მოვლენან დღენი, ოდეს ამაღლდეს სიძე იგი მათგან, და მაშინ იმარხვიდენ მას დღესა შინა.
21. არავინ სადგმელი ახალი დაადგის სამოსელსა ძუელსა;

უკუეთუ არა, მოაპის მისგან ცოცხალიცა იგი ახალმან მან ძუელისაჲ მის, და უძჯრესად განიპის.
22. და არავინ შთაასხის ღუნოჲ ახალი თხიერთა ძუელთა, რაჲთა არა განხეთქნეს ღუნომან ახალმან თხიერნი იგი, და ღუნოჲ დაითხიოს, და თხიერნი წარწყმდენ; არამედ ღუნოჲ ახალი თხიერთა ახალთა შთაასხიან.
23. და იყო ვითარ-იგი თანა-წარჰვიდოდა შაბათსა ყანებისაგან, და მოწაფეთა მისთა იწყეს გზასა სლვაჲ და მუსრვად თავსა კუვილისასა.
24. ხოლო ფარისეველნი იგი ეტყოდეს მას: იხილე, რასა ზმენ მოწაფენი შენნი შაბათსა შინა, რომელი არა ჯერ-არს ყოფად!
25. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არასადა აღმოგიკითხავსა, რაჲ-იგი ყო დავით, რაჟამს-იგი უჯმდა და შეემშია მას და მისთანათა?
26. ვითარ-იგი შევიდა სახლსა ღმრთისასა აბიათარ მღდელთ-მოძღურისა ზე და პურნი იგი შესაწირავთანი შეჭამნა და სცა მისთანათაცა, რომელთაჲ არა ჯერ-არს ჭამად, გარნა მღდელთა ხოლო?
27. და ეტყოდა მათ: შაბათი კაცისათჳს დაებადა, და არა თუ კაცი შაბათისათჳს.
28. ვინაჲცა უფალ არს ძე კაცისაჲ შაბათისაცა.

3

1. და მერმე შევიდა შესაკრებელსა. და იყო მუნ კაცი, რომელსა კელი განჴმელ ედგა.
2. და უმზირდეს მას, უკუეთუ შაბათსა განკურნოს იგი, რაჲთა შეასმინონ იგი.
3. და მას ჟამსა ჰრქუა იესუ კაცსა მას, რომელსა კელი განჴმელ ედგა: აღდეგ და წარმოდეგ შორის!
4. და ჰრქუა მათ იესუ: ჯერ-არს შაბათსა შინა კეთილისა საქმე ანუ ბოროტისაჲ? სულისა ცხოვნებაჲ ანუ მოკლვაჲ? ხოლო იგინი დუმნეს.
5. და მიმოიხილა მათა რისხვით და მწუხარედ სიბრმისათჳს გულთა მათთაჲსა და ჰრქუა კაცსა მას: განირთხ კელი შენი! და მან განირთხა, და კუალად მოეგო კელი იგი, ვითარცა ერთი იგი.
6. და ვითარცა გამოვიდეს მიერ ფარისეველნი იგი ჰეროდიანელთა თანა, ზრახვა-ყვეს მისთჳს, რაჲთა წარწყმიდონ იგი.
7. ხოლო იესუ მოწფითურთ განეშორა მათგან და მოვიდა ზღჳს-კიდედ. და მრავალი ერი შეუდგა მას გალილეაჲთ და ჰურიასტანით,
8. იერუსალჱმით და იდუმიაჲთ, წიაღ-იორდანით და ტჳროსით კერძო და სიდონით. ესმა მრა-

ვალსა სიმრავლესა, რაოდენსა-იგი იქმოდა, და მოვიდეს მისა.
9. და ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, რაჲთა ნავი განუმზადონ მას ერისა მისთჳს, რაჲთა არ შეაიწრონ იგი.
10. რამეთუ მრავალთა განჰკურნებდა, ვითარმედ ზედაცა დაესხმოდა მას ერი იგი, რაჲთა შე-ოდენ-ეხნენ. და რაოდენთა აქუნდა უძლურებაჲ და შეეხნეს, განიკურნებოდეს.
11. და სულები იგი არაწმიდაჲ ხედვიდეს მას და შეუვრდებოდეს, ღაღადებდეს და იტყოდეს: შენ ხარ ძე ღმრთისაჲ.
12. და ფრიად შეჰრისხნა მათ იესუ, რაჲთა არა გამოაცხადონ იგი.
13. და აღვიდა მთასა და მოუწოდა, რომელთაჲ უნდა მას; და მოვიდეს მისა.
14.და ყვნა ათორმეტნი იგი, რაჲთა იყვნენ მის თანა და წარავლინნეს იგინი ქადაგებად
15. და რაჲთა აქუნდეს კელმწიფებაჲ განსხმად ეშმაკთა.
16. და დასდვა სახელები: სიმონს პეტრე,
17. და იაკობ ზებედესი და იოვანე, ძმაჲ იაკობისი; და დასდვა მათ სახელები ბანერგეს, რომელ არს: ძენი ქუხილისანი;
18. ანდრეა და ფილიპე, ბართლომე და მატთეოს, თომა და იაკობ ალფესი, თადეოს და სიმონ კანანელი
19. და იუდა ისკარიოტელი, რომელმანცა მისცა იგი.
20. და მოვიდეს სახლსა, და შეკრბა კუალად მისა ერი, ვიდრემდის ვერ კელ-ეწიფებოდა მათ ვერცაღა პურისა ჭამად.
21. და ესმა მის კერძოჲსათა და გამოვიდეს შეპყრობად მისა, რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: განკრთომილ არს.
22. და მწიგნობარნი იგი, რომელნი იერუსალჵმით შთამოსრულ იყვნეს, იტყოდეს, ვითარმედ: ბელზებული მის თანა არს, და მთავრითა ეშმაკთაჲთა განასხამს ეშმაკთა.
23. და მოუწოდა მათ და იგავით ეტყოდა: ვითარ კელ-ეწიფების ეშმაკსა ეშმაკისა განკდად?
24. და უკუეთუ მეუფებაჲ მეუფებასა განეელთას, ვერ კელ-ეწიფების დამტკიცებად მეუფებაჲ იგი.
25. და უკუეთუ სახლი სახლსა განეელთას, ვერ კელ-ეწიფების სახლი იგი დამტკიცებად.
26. და უკუეთუ ეშმაკი თავსა თჳსსა ზედა აღდგომილ არს და განყოფილ არს, ვერ კელ-ეწიფების დამტკიცებად. არამედ აღსასრული აქუს.
27. და არცა ვის კელ-ეწიფების შესლვად სახლსა ძლიერისასა და ჭურჭელი მისი გამოტყუენვად, არა თუ პირველად ძლიერი იგი შეკრას და მაშინღა სახლი მისი გამოტყუენოს.

28. ამენ გეტყჳ თქუენ, ვითარმედ ყოველივე მიეტეოს ძეთა კაცთა ცოდვანი და გმობანი, რაოდენსაცა ჰგმობდენ;
29. ხოლო რომელმან თქუას გმობაჲ სულისა წმიდისათჳს, არა აქუს მიტევებაჲ უკუნისამდე, არამედ თანა-მდებ არს საუკუნოჲსა სასჯელისა.
30. რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: სული არაწმიდაჲ არს მის თანა.
31. მოვიდეს უკუე ძმანი მისნი და დედაჲ მისი და გარეშე დგეს და მოუვლინეს მას და გამოხადოდეს.
32. და სხდა გარემო მისა ერი მრავალი; და ვითარცა ჰრქუეს მას: აჰა დედაჲ შენი და ძმანი შენნი გარე დგანან და გეძიებენ შენ,
33. მიუგო იესუ და ჰრქუა: ვინ არს დედაჲ ჩემი ანუ ძმანი ჩემნი?
34. და მიმოისილა გარემო მისა მოწაფეთა თჳსთა მსხდომარეთა და ჰრქუა: აჰა დედაჲ ჩემი და ძმანი ჩემნი!
35. რამეთუ რომელმან ყოს ნებაჲ ღმრთისაჲ, ესე არს ძმაჲ ჩემი და დაჲ ჩემი და დედაჲ ჩემი.

4

1. მერმე კუალად იწყო სწავლად ბღჳს-კიდესა; და შეკრბა მისა ერი მრავალი, ვიდრე შესლვადმდე მისა ნავად, და დაჯდა იგი ნავსა მას ბღუასა შინა; და ყოველი იგი ერი ბღჳს-კიდესა ქუეყანასა შედა დგა.
2. და ასწავებდა მათ იგავით ფრიად და ეტყოდა მათ სწავლასა მას მისსა:
3. ისმინეთ ესე: გამოვიდა მთესვარი თესვად.
4. და იყო თესვასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა ზედა, მოვიდეს მფრინველნი და შეჭამეს იგი.
5. და სხუაჲ დავარდა კლდოვანსა ზედა, სადა არა იყო მიწაჲ ფრიად, და მეყსეულად აღმოსცენდა, და რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისაჲ,
6. და ვითარცა მზე აღმოჰკდა და დასცხა, და რამეთუ ძირნი არა დაებნეს, განჴმა.
7. და სხუაჲ დავარდა ეკალთა შორის; და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი, და ნაყოფი ვერ გამოიღო.
8. და სხუაჲ დავარდა ქუეყანასა კეთილსა და მოსცემდა ნაყოფსა, აღმოვიდოდა და აღორძნდებოდა და მოაქუნდა ოცდაათეული, სამოცეული და ასეული.
9. და ეტყოდა: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!
10. და ოდეს იყო იგი თჳსაგან, ჰკითხეს მას მოწაფეთა მისთა: რაჲ არს იგავი ესე?
11. ხოლო იგი ეტყოდა მათ: თქუენდა მოცემულ არს ცნობად

საიდუმლოჲ იგი სასუფეველისა ღმრთისაჲ, ხოლო გარეშეთა მათ – ყოველივე იგავით სიტყუად.
12. რაჲთა ხედვით ხედვიდენ და არა იხილონ და სმენით ესმოდის და ვერ გულისკმა-ყონ, ნუუკუე მოიქცენ და მიეტეოს მათ ცოდვაჲ მათი.
13. და ჰრქუა მათ: არა იცითა იგავი ესე? და ვითარ უკუე ყოველნი იგავნი გულისკმა--ჰყვნეთ?
14. რომელი-იგი სთესავს, სიტყუასა მას სთესავს.
15. ხოლო ესენი არიან, რომელნი-იგი გზასა ზედა, სადა-იგი დაეთესის სიტყუაჲ; და რაჟამს ისმინიან, მეყსეულად მოვიდის ეშმაკი და მიუღის მათ სიტყუაჲ იგი გულთაგან მათთა.
16. და ესენი არიან კლდოვანსა მას დათესულნი, რომელთა-იგი რაჟამს ისმინიან სიტყუაჲ, მეყსეულად სიხარულით მიიღიან;
17. და რამეთუ არა უბნ ძირი მათ შორის, არამედ საწუთო არიედ; და რაჟამს მოიწიის ჭირი ანუ დევნულებაჲ სიტყჳსა მისთჳს, მეყსეულად დაჰბრკოლდიან.
18. და რომელნი ეკალთა შორის დაეთესნეს, ესენი არიან, რომელთა სიტყუაჲ იგი ისმინიან,
19. და ზრუნვანი ამის სოფლისანი და საცთური სიმდიდრისაჲ შეუკდის, და შეაშთვიან სიტყუაჲ იგი, და უნაყოფო იქმნის.
20. და ესენი არიან, რომელნი კეთილსა ქუეყანასა დაეთესნეს, რომელთა ისმინიან სიტყუაჲ იგი და შეიწყნარიან და ნაყოფი გამოიღიან ოცდაათეული და სამოცეული და ასეული.
21. და ეტყოდა მათ: ნუ სანთელი მოიღიან და კჳრისა ქუეშე შედგიან ანუ ცხედარსა ქუეშე დაღგიან? ანუ არა სასანთლესა ზედა დადგიან?
22. რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, არცა იყოს საიდუმლოდ, არამედ რაჲთა განცხადებულად მოვიდეს.
23. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!
24. და ეტყოდა მათ: იხილეთ, რაჲ-ესე გესმის: რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ და ზედა დაგერთოს თქუენ, რომელთა-ეგე გესმის.
25. რამეთუ რომელსა აქუნდეს, მიეცეს მას, და რომელსა არა აქუნდეს და რომელღა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ეღოს მას.
26. და ეტყოდა მათ: ესრეთ არს სასუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა-იგი კაცმან დასთესის თესლი ქუეყანასა
27. და დაიძინის; და აღდგის ღამე და დღე, და თესლი იგი აღმოსცენდის და განორძნდებინ, ვითარ-იგი მან არა უწყინ,

28. რამეთუ თჳსით თავით ქუეყანაჲ ნაყოფსა გამოიღებს: პირველად წუელი, მერმე თავი, მაშინღა სავსე იფქლი თაესა მას შინა.
29. და რაჟამს მოსცის ნაყოფი, მეყსეულად მოავლინის მანგალი, რამეთუ მოიწია მკაჲ.
30. და ეტყოდა: რასა ვამსგავსოთ სასუფეველი ღმრთისაჲ? ანუ რომელი იგავი მოვიღოთ მისთჳს?
31. ვითარცა მდოგჳსა მარცუალი, რომელი დაეთესის ქუეყანასა, რამეთუ უმცირეს არს იგი ყოველთა თესლთა, რომელნი არიან ქუეყანასა ზედა.
32. და ოდეს დაეთესის, და აღმოჴდის და იქმნის იგი უფროჲს ყოველთა მხალთა და გამოიხუნის რტონი დიდ-დიდნი, ვითარმედ შესაძლებელ არნცა ქუეშე საგრილსა მისსა მფრინველთა ცისათა დადგრომად.
33. და ესევითარითა იგავითა ეტყოდა მათ სიტყუასა, ვითარცა შემძლებელ იყვნეს იგინი სმენად.
34. და თჳნიერ იგავისა არარას ეტყოდა მათ; ხოლო თჳსაგან მოწაფეთა გამოუთარგმანის იგი ყოველი.
35. მას დღესა შინა ვითარცა შემწუხრდა, ჰრქუა მათ: წიაღვჴედეთ მიერ კერძო.
36. და დაუტეევეს ერი იგი და წარიყვანეს იგი მოწაფეთა, ვითარცა იყო ნაესა მას შინა, და სხუაჲცა ნავები, რომელ იყო მის თანა.
37. და იყო მეყსეულად ბორბალი ქარისაჲ დიდი და ღელვასა მას შთაასხმიდა ნაესა, ვითარმედ აღ-ცა-იესებოდა ნავი იგი.
38. და თავადი იყო პირით კერძო თავსა მის ნავისასა და ეძინა. და განაღჳძებდეს მას და ეტყოდეს: მოძღუარ, არას ჰზრუნავ, რამეთუ წარვწყმდებით?
39. და აღდგა და შეჰრისხნა ქარსა მას და ბღუასა და ჰრქუა: დადუმენ და პირი დაიყაე! და დასცხრა ქარი იგი, და იქმნა დაყუდება დიდ.
40. და ჰრქუა მათ: რაჲსა ესოდენ მოშიშ ხართ? ვითარ არა გაქუს სარწმუნოებაჲ?
41. და შეეშინა მათ შიშითა დიდითა და იტყოდეს ურთიერთას: ვინ-მე არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ბღუაჲცა ერჩიან მას?

5

1. და მოვიდეს წიაღ ბღუასა მას, სოფელსა მას ღადარინელთასა.
2. და ვითარცა გამოვიდა იგი ნავით, მეყსეულად მოეგებვოდა მას საფლავებისაგან კაცი, რომლისა თანა იყო არაწმიდაჲ სული,
3. რომელსა საყოფლადვე აქუნდა საფლავები და არცაღა ჯაჭუებითა ვის კელ-ეწიფა შეკრვად იგი.

4. რამეთუ მრავალ-გზის ჯაჭ-
ჯთა და ბორკილითა შეკრულ
იყო იგი და განხეთქის და შე-
მუსრის, და არავის ეძლო დაყე-
ნებად მისა.
5. და მარადის ღამე და დღე
საფლავებსა და მთათა გარე
იქცევინ, ღაღადებნ და დაიკოდნ
თავსა თჳსსა ლოდითა.
6. და ვითარცა იხილა მან იესუ
შორით, მორბიოდა და თაყუა-
ნის-სცა,
7. ღაღადებდა ჴმითა დიდითა
და იტყოდა: რაჲ ძეს ჩემი და
შენი, იესუ, ძეო ღმრთისა მაღ-
ლისაო? გაფუცებ შენ ღმერთსა,
ნუ მტანჯავ მე.
8. რამეთუ ეტყოდა მას იესუ:
სული ეგე არაწმიდაჲ, განვედ
კაცისა მაგისგან!
9. და ჰკითხა მას: რაჲ არს სა-
ხელი შენი? და ჰრქუა მას: ლე-
გეონ არს სახელი ჩემი, რამეთუ
მრავალ ვართ.
10. და ევედრებოდა მას ფრიად,
რაჲთა არა განასხნეს იგინი გა-
რეშე სოფელსა.
11. და იყო მუნ კოლტი ღორთაჲ
დიდძალი, მთასა გარე მძოვარი.
12. და ევედრებოდეს მას ყო-
ველნი იგი ეშმაკნი და ეტყო-
დეს: მიმავლინენ ჩუენ ღორებსა
იმას, რაჲთა მათა შევიდეთ.
13. და უბრძანა მათ. და განვი-
და სულები იგი არაწმიდაჲ კა-
ცისა მისგან და შეეიდა ღორებ-
სა მას. და მიიმართა კოლტმან
მან ღორებისამან კბოდესა მას
ზღუად, რამეთუ იყვნეს ვითარ
ორ ათას, და დაიშთენეს ზღუა-
სა მას შინა.
14. ხოლო მწყემსნი იგი მათნი
იელტოდეს და უთხრეს ქალაქ-
სა და დაბნებსა. და გამოვიდეს
ხილვად, რაჲ-ძი არს, რომელი-
-იგი იქმნა.
15. და მოვიდეს იესუჲსა და იხი-
ლეს ეშმაკეული იგი მჯდომარე,
შემოსილი და გონიერი, რომ-
ლისა თანა-იგი ყოფილ იყო ლე-
გეონი, და შეეშინა.
16. და უთხრობდეს მათ, რო-
მელთა-იგი ეხილვა, ვითარ-იგი
იქმნა ეშმაკეულისა მისთჳს და
ღორებისა მისთჳს.
17. და ევედრებოდეს მას, რაჲ-
თა წარვიდეს საზღვართა მათ-
თაგან.
18. და აღ-რაჲ-ვიდა იესუ ნავსა,
ევედრებოდა მას, რომელი-იგი
იყო პირველ ეშმაკეული, რაჲ-
თა მის თანა იყოს.
19. და არა უტევა იგი, არამედ
ჰრქუა მას: წარვედ სახიდ შენ-
და თჳსთა შენთა თანა და უთხ-
არ მათ, რაოდენი გიყო შენ
უფალმან და შეგიწყალა.
20. და წარვიდა იგი და იწყო
ქადაგებად ათქალაქსა მას, რა-
ოდენი უყო მას იესუ; და ყო-
ველთა უკჳრდა.
21. და წიაღკდა რაჲ კუალად
იესუ მიერ კერძო, შეკრბა მისა
ერი დიდძალი. და იყო ზღუს-კი-

დესა.
22. და აჰა მო-ვინმე-ვიდა მისა ერთი შესაკრებლის-მთავარი, სახელი მისი იაროს; იხილა იგი და შეუვრდა ფერჯთა მისთა
23. და ეველრებოდა მას ფრიად და ეტყოდა, ვითარმედ: ასული ჩემი აღესრულების, რაჲთა მოხჳდე და დაასხნე კელნი მას ზედა, და განერეს და ცხოვნდეს.
24. და წარვიდა იესუ მის თანა. და მისდევდა მას ერი მრავალი და შეაურვებდეს მას.
25. და დედაკაცი ვინმე იყო მუნ, რომელი იყო წყაროჲთა სისხლისაჲთა გუემულ ათორმეტ წელ.
26. და ფრიად ენებულ იყო იგი მრავალთაგან მკურნალთა და წარეგო ყოველივე მისი, და არარაჲ სარგებელ ეყო, არამედ უფროჲსად უძჯრესად მოვიდა.
27. და ვითარცა ესმა იესუჲსთჳს, მოუკდა მას ერსა მას შორის ზურგით კერძო და შეახო სამოსელსა მისსა,
28. რამეთუ იტყოდა გულსა შინა თჳსსა: დაღათუ სამოსელსა ოდენ მისსა შევეხო, ვცხონდე.
29. და ვითარცა შეეხო, მეყსეულად განკმა წყაროჲ იგი სისხლისაჲ მის, და ცნა კორცთაგან, რამეთუ განიკურნა გუემულებისაგან.
30. ხოლო იესუ გულისკმა-ყო მეყსეულად თავით თჳსით განსრული იგი ძალი მისგან, მოიქცა ერისა მის და თქუა: ვინ შემახო სამოსელსა ჩემსა?
31. ხოლო მოწაფენი მისნი ეტყოდეს მას: ხედავ ერსა ამას, რამეთუ შეგაჭირვებენ შენ, და შენ იტყჳ: ვინ შემახო მე?
32. და მიმოხედვიდა, რაჲთა იხილოს, რომელმან ესე ყო.
33. ხოლო დედაკაცსა მას შეეშინა და ძრწოდა, უწყოდა, რაჲ-იგი იქმნა მის ზედა, მოვიდა და შეუვრდა მას და უთხრა მას ყოველივე ჭეშმარიტი.
34. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: ასულო, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ, წარვედ მშჯდობით და იყავ შენ ცოცხალ გუემულებისაგან შენისა.
35. და ვითარ იგი ამას იტყოდა, მოვიდეს შესაკრებელის-მთავრისანი მის და ეტყოდეს: ასული შენი აღესრულა, რაჲსაღა აშრომებ მოძღუარსა?
36. ხოლო იესუს ვითარ ესმნეს სიტყუანი ესე, რომელსა ეტყოდეს, ჰრქუა შესაკრებელთ-მთავარსა მას: ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ ხოლო.
37. და არავინ უტევა მიდევნებად მის თანა, გარნა პეტრე და იაკობ და იოვანე, ძმაჲ იაკობისი.
38. და მოვიდა სახლსა მას შესაკრებელთ-მთავრისასა და იხილა შფოთი და ტირილი და ღაღადებაჲ ფრიადი.
39. და შევიდა და ჰრქუა მათ:

რაჲსა აღშფოთებულ ხართ და სტირთ? ყრმაჲ ეგე არა მომკუდარ არს, არამედ სძინავს.
40. და იგინი ჰბასრობდეს მას. ხოლო თავადმან გამოასხა ყოველი იგი შფოთი და მიიყვანა მამაჲ მის ყრმისაჲ და დედაჲ და მოწაფენი მისნი და შეეიდა, სადა-იგი იდვა მკუდარი იგი ყრმაჲ.
41. და უპყრა კელი ყრმისაჲ მის და ჰრქუა მას: ტალითა კუმი! რომელ არს თარგმანებით: შენ გეტყჳ, ყრმაო, აღდეგ!
42. და მეყსეულად აღდგა ქალი იგი და იწყო სლვად, რამეთუ იყო იგი ათორმეტის წლის ოდენ. და განუკჳრდებოდა მათ განკჳრვებითა დიდითა ფრიად.
43. და ამცნებდა მათ ფრიად, რაჲთა არავინ აგრძნას ესე, და უბრძანა მათ, რაჲთა სცენ მას ჭამადი.

6

1. და გამოვიდა მიერ და მოვიდა თჳსა მამულად, და მოსდევდეს მას მოწაფენი მისნი.
2. და იყო შაბათი, და იწყო შესაკრებელსა მათსა სწავლად მათა. და მრავალთა, რომელთა ესმოდა, განუკჳრდებოდა და იტყოდეს: ვინაჲ არს ესე ამისა? ანუ რაჲ არს სიბრძნე ესე მოცემული ამისა, და ძალნი ესოდენნი, კელთაგან ამისთა რომელნი იქმნებიან?
3. ანუ არა ესე არსა ხუროჲსაჲ მის და ძე მარიამისი და ძმაჲ იაკობისი და იოსესი, იუდაჲსი და სიმონისი, და დანი მისნი ყოველნი ჩუენ თანა არიან? და დაჰბრკოლდებოდეს მისა მიმართ.
4. ხოლო იესუ ეტყოდა: არა არს წინაწარმეტყუელი შეურაცს, გარნა თჳსსა სოფელსა და ნათესავთა შორის მისთა და სახლსა შინა თჳსსა.
5. და არა ქმნა მუნ ძალი არცა ერთი, გარნა მცირედთა სნეულთა კელი დასდვა და განკურნნა იგინი.
6. და დაუკჳრდა ურწმუნოებაჲ იგი მათი და მიმოიქცეოდა გარემო სოფლებსა მას და ასწავებდა მათ.
7. და მოუწოდა ათორმეტთა მათ და იწყო წარვლინებად მათა ორ-ორისა და მისცემდა კელმწიფებასა სულთა ბედა არაწმიდათა.
8. და ამცნებდა მათ, რაჲთა არარაჲ მიიღონ გზასა გედა, გარნა კუერთხი ხოლო: ნუცა ვაშკარანი, ნუცა პური, ნუცა სარტყელსა რვალი.
9. და რაჲთა ესხნენ სანდალნი, და ნუცა შემოსად ორი სამოსელი.
10. და ეტყოდა მათ: ვიდრეცა შეხჳდეთ სახლსა, მუნ დაადგერით, ვიდრე მიერ გამოსლვადმდე.

11. და რაოდენთა არა შეგიწყნარნენ თქუენ და არცა ისმინონ თქუენი, გამო-რაჲ-ხჯდოდით მიერ, განიყარეთ მტუერი ფერკთაგან თქუენთა საწამებელად მათა. ამენ გეტყჳ თქუენ: უმოლსინეს იყოს სოდომისა და გომორისა დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე ქალაქისა მის.
12. და გამოვიდეს და ქადაგებდეს, რაჲთა შეინანონ.
13. და ეშმაკნი მრავალნი განასხნეს და სცხებდეს ზეთსა მრავალთა სნეულთა და განჰკურნებდეს.
14. და ესმა ჰეროდეს მეფესა, რამეთუ განცხადნა სახელი მისი, და იტყოდა, ვითარმედ: იოვანე ნათლის-მცემელი მკუდრეთით აღდგომილ არს, და მისთჳს იქმნებიან ძალნი მის თანა.
15. და სხუანი იტყოდეს: ელია არს გინა ვითარცა ერთი წინაწარმეტყუელთაგანი პირველთაჲ.
16. ესმა რაჲ ჰეროდეს, თქუა, ვითარმედ: რომელსა მე თავი მოვჰკუეთე იოვანეს, იგი აღდგომილ არს მკუდრეთით.
17. რამეთუ ამან ჰეროდე მიავლინა და შეიპყრა იოვანე და შებორკილა იგი და შესუა საპყრობილედ ჰეროდიადაჲსთჳს, ცოლისა ფილიპესა, ძმისა მისისა, რამეთუ იგი შეირთო ცოლად.
18. რამეთუ ეტყოდა იოვანე ჰეროდეს, ვითარმედ: არა ჯერ-არს შენდა, ვითარმცა ცოლად გესუა ძმის-ცოლი შენი.
19. ხოლო ჰეროდიას გულსა დაედვა მისთჳს და უნდა მოკლვაჲ მისი და ვერ კელ-ეწიფა.
20. რამეთუ ჰეროდეს ეშინოდა იოვანესა და იცოდა იგი, რამეთუ კაცი მართალი და წმიდაჲ არს, და სცვიდა მას და ისმინის მისი და მრავალსა პატივსა უყოფდა და ჯეროვნად ისმენდა მისსა.
21. და ვითარცა იყო დღე მარჯუჱ, ოდეს ჰეროდე ქამსა შობისა მისისასა სერი უმზადა მთავართა მისთა და ათასისთაჳთა მისთა და აზნაურთა გალილეაჲსათა,
22. და შევიდა ასული ჰეროდიაჲსი და როკვიდა; და სთნდა ჰეროდეს და მის თანა მეინაკეთა. და ჰრქუა ჰეროდე მეფემან ქალსა მას: მთხოვე, რაჲცა გნებავს, და მიგცე შენ.
23. და ეფუცა მას, ვითარმედ: რაჲცა ითხოო, მიგცე შენ, ვიდრე ბოგაძდე მეფობისა ჩემისა.
24. ხოლო იგი გამოვიდა და ჰკითხა დედასა თჳსსა, ვითარმედ: რაჲ ვითხოო? ხოლო მან ჰრქუა მას: თავი იოვანე ნათლის-მცემელისაჲ.
25. და შევიდა ქალი იგი მსწრაფლ მეფისა და ჰრქუა: მნებავს, რაჲთა აწვე მომცე მე ლაკნითა თავი იოვანე ნათ-

ლის-მცემელისაჲ.
26. და მწუხარე იქმნა ჰეროდე მეფე, ხოლო ფიცისა მისთჳს და მის თანა მეინაკეთა არა ინება შეურაცხ-ყოფაჲ ქალისაჲ მის.
27. და მეყსეულად წარაველინა მეკრძლე მისი და უბრძანა მოღებად თავი მისი.
28. ხოლო იგი წარვიდა და მოჰკუეთა თავი საპყრობილესა შინა და მოიღო თავი მისი ფეშხუენითა და მისცა ქალსა მას, და ქალმან მან მიართუა დედასა თჳსსა.
29. და ესმა მოწაფეთა მისთა, მოვიდეს და შემოსეს გუამი მისი და დაჰფლეს საფლავსა.
30. და მოვიდეს და შემოკრბეს მოციქულნი იესუჲსა და უთხრეს მას ყოველი, რაოდენი ქმნეს და ასწავეს.
31. და ჰრქუა მათ იესუ: მოვედით თქუენ თჳსაგან უდაბნოსა ადგილსა და განისუენეთ მცირედ. რამეთუ იყვნეს მომავალნი და წარმავალნი მრავალ და არცაღა პურისა ჭამად აცალებდეს.
32. და წარვიდეს უდაბნოსა ადგილსა ნავითა თჳსაგან.
33. და იხილა ერმან მან, წარ-ღა-ვიდოდეს, და გულისკმა-ყვეს მრავალთა, და მკჳრცხლ ყოველისაგან ქალაქებისა შეკრბა მუნ და მოვიდეს მათა.
34. და გამოვიდა იესუ და იხილა ერი მრავალი და შეეწყალნეს იგინი, რამეთუ იყვნეს, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი. და იწყო სწავლად მათდა ფრიად.
35. და ვითარ მრავალი ჟამი წარსრულ იყო, მოვიდეს მოწაფენი მისნი და ეტყოდეს მას, ვითარმედ: უდაბნო არს ადგილი ესე, და ჟამი არსღა ფრიად.
36. განუტევე ერი ესე, რაჲთა წარვიდენ გარემო სოფლებსა და სანახებსა და იყიდონ თავისა მათისა საზრდელი, რამეთუ რაჲმცა ჭამეს, არა აქუს.
37. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ეცით თქუენ მაგათ ჭამადი. ხოლო მათ ჰრქუეს მას: წარვიდეთ და ვიყიდოთ ორასისა დრაჰკნისა პური და ესცეთ მათ ჭამადი.
38. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: რაოდენი გაქუს პური? მიეედით და იხილეთ. და იხილეს და ჰრქუეს: ხუთი პური და ორი თევზი.
39. და უბრძანა მან დასხდომაჲ მათ ყოველთაჲ პურისმტედ-პურისმტედ მწუანვილსა ზედა თივისასა.
40. და დასხდა მწყობრად-მწყობრად ას-ასი და ერგასის-ერგასისი.
41. და მოიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი და აღიხილნა ზეცად და აკურთხა და დამუსრა პური იგი და მისცემდა მოწაფეთა თჳსთა, რაჲთა დაუგონ

მათ; და ორი იგი თევზი ეგრეთვე განუყო ყოველთა.
42. და ჭამეს ყოველთა და განძღეს.
43. და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი ათორმეტი გოდორი სავსებით; და თევზისა მისგანცა.
44. და იყვნეს, რაოდენთა-იგი ჭამეს, ვითარ ხუთ ათას კაცნი.
45. და მეყსეულად აიძულა მოწაფეთა შესლვად ნავსა, რაჲთა წინა-წარუძღუენ მას წიაღკერძო ბღუასა მას ბეთსაიდად, ვიდრემდე განუტეოს მან ერი იგი.
46. და უჯმნა მათ და აღვიდა მთასა ლოცვად.
47. და ვითარცა შემწუხრდა, იყო ნავი იგი შუა ოდენ ბღუასა მას, და იგი თავადი – მარტოჲ ქუეყანასა.
48. და იხილნა იგინი, რამეთუ იურვოდეს სლვასა მას ნავისასა, რამეთუ იყო ქარი იგი პირით კერძო მათსა. და მეოთხესა საკუმილავსა ღამისასა მოვიდა მათა იესუ სლვით ბღუასა ზედა და უნდა თანა-წარსლვად მათგან.
49. ხოლო მათ ვითარცა იხილეს იგი, ვიდოდა რაჲ ბღუასა ზედა, ჰგონებდეს, ვითარმედ საოცარი რაჲმე არს და ღაღად-ყვეს.
50. რამეთუ ყოველთა იხილეს იგი და შეძრწუნდეს. და მეყსეულად ეტყოდა მათ და ჰრქუა: გულ-პყრობილ იყვენით, მე ვარ, ნუ გეშინინ!
51. და აღვიდა მათ თანა ნავსა, და დასცხრა ქარი იგი; და უმეტესად დაუკჳრდებოდა მოწაფეთა მისთა.
52. რამეთუ ვერ გულისკმა-ყვეს პურთა მათ ზედა, რამეთუ იყვნეს გულნი მათნი დასულებულ.
53. და წიაღკდეს და მოვიდეს ქუეყანად გენესარეთად.
54. და ვითარ გამო-ოდენ-ვიდეს მიერ ნავით, მეყსეულად იცნეს იგი კაცთა მათ მის ადგილისათა.
55. და მიმორბიოდეს ყოველსა მას სოფლებსა და იწყეს მოღებად ყოველთა სნეულთა ცხედრებითა, სადაცა ესმის, ვითარმედ მუნ არს.
56. და ვიდრეცა შევიდოდა დაბნებსა და ქალაქებსა და აგარაკებსა, უბანთა ზედა დასდგმიდეს უძლურთა მათთა და ევედრებოდეს მას, რაჲთა ფესუსა ოდენ სამოსლისა მისისასა შეახონ. და რაოდენნი შეეხებოდეს, ცხონდებოდეს.

7

1. და შეკრბეს მისა ფარისეველნი და რომელნიმე მწიგნობართაგანნი, რომელნი მოსრულ იყვნეს იერუსალჵმით.
2. და იხილნეს ვინმე მოწაფეთა მისთაგანნი შეგინებულითა

კელითა, ესე იგი არს, უბანელითა კელითა ჭამდეს პურსა, და ჰგმობდეს.
3. რამეთუ ფარისეველთა და ყოველთა ჰურიათა, უკუეთუ არა იდაყუთგან დაიბანნიან კელნი, არა ჭამიან, რამეთუ ეპყრა მათ მოცემული იგი მოძღურებაჲ ხუცესთაჲ.
4. და უბანთაგან რაჲ შევიდიან, უკუეთუ არა იბანნიან, არა ჭამიან და სხუაჲცა მრავალი არს, რომელი მოელო პყრობად: განრცხაჲ სასუმლებისაჲ და სტამნებისაჲ და ქუაბებისაჲ და ცხედრებისაჲ.
5. მაშინ ჰკითხეს მას ფარისეველთა მათ და მწიგნობართა: რაჲსათჳს მოწაფენი შენნი არა ვლენან მოძღურებისაებრ ხუცესთაჲსა, არამედ უბანელითა კელითა ჭამენ პურსა?
6. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ, რამეთუ: კეთილად თქუა ესაია წინაწარმეტყუელმან თქუენ ორგულთათჳს, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: ერი ესე ბაგითა მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან.
7. ამაოდ მმსახურებენ მე, ასწავებენ მცნებასა და მოძღურებასა კაცთასა.
8. და დაგიტევებიეს მცნებაჲ ღმრთისაჲ და გიპყრიეს მოძღურებაჲ კაცთაჲ: განრცხაჲ სასუმლებისაჲ და სტამნებისაჲ, და სხუასა ესეეითარსა მრავალსა ჰყოფთ.
9. და ეტყოდა მათ: კეთილად შეურაცს-ჰყოფთ მცნებასა ღმრთისასა, რაჲთა მოძღურებაჲ თქუენი დაამტკიცოთ.
10. რამეთუ მოსე თქუა: პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა; და რომელმან ბოროტი თქუას მამისათჳს გინა დედისათჳს, სიკუდილით მოკუედინ.
11. ხოლო თქუენ სთქუთ: უკუეთუ ჰრქუას კაცმან მამასა ანუ დედასა კორბან, რომელ არს ნიჭი, რომელი რაჲ ჩემგან სარგებელ გეყოს,
12. და არა უტევებთ მათ მამასა და დედასა ყოფად.
13. და დაუმტკიცებელ გიყოფიეს სიტყუაჲ ღმრთისაჲ მოძღურებითა მაგით თქუენითა, რომელსა ასწავებთ, და მსგავსსა ამათსა მრავალსა ჰყოფთ.
14. და მოუწოდა ყოველსა მას ერსა და ეტყოდა მათ: ისმინეთ ჩემი ყოველთა და გულისჴმა-ყავთ.
15. არარაჲ არს კაცისა გარეთ შემავალი მისა, რომელმანმცა შეაგინა იგი; არამედ რომელი გამოვალს მისგან, იგი არს, რომელი შეაგინებს კაცსა.
16. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!
17. და ოდეს შევიდა სახიდ ერისა მისგან, ჰკითხეიდეს მას მოწაფენი მისნი იგავისა მისთჳს.

18. და ჰრქუა მათ: ეგრეთვე თქუენცა უგულისკმოვე ხართა და არა გიცნობიეს, რამეთუ ყოველი გარეშე შემავალი კაცსა არა შეაგინებს?
19. რამეთუ არა შევალს გულსა, არამედ მუცლად და განსავალით განვალს და განსწმედს ყოველსა ჭამადსა.
20. და იტყოდა, ვითარმედ: კაცისაგან გამომავალი შეაგინებს კაცსა,
21. რამეთუ შინაგან გულისაგან კაცთაჲსა გამოვლენან გულის-სიტყუანი ბოროტნი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, კაცისკლვანი,
22. ანგაჰრებანი და უკეთურებანი, ზაკუანი, არაწმიდებანი, თუალ-ბოროტებანი, გმობანი, ამპარტავანებანი, უგუნურებანი.
23. ესე ყოველნი ბოროტნი შინაგან გამოვლენ და შეაგინებენ კაცსა.
24. და მიერ აღდგა და წარვიდა საზღვართა ტჳროსისა და სიდონისათა და შევიდა სახლსა და არა უნდა, რაჲთამცა აგრძნა ვინმე, და ვერ კელ-ეწიფა დაფარვად.
25. რამეთუ ესმა ვისმე დედაკაცსა მისთჳს, რომელსა ესუა ასული სულითა არაწმიდითა ურეული, და მოვიდა და შეუვრდა ფერჴთა მისთა..
26. ხოლო დედაკაცი იგი იყო წარმართი, ნათესავით ასური ფინიკელი, გღჳს-კიდით, და ევედრებოდა მას, რაჲთა განკადოს ეშმაკი იგი ასულისაგან მისისა.
27. ხოლო იესუ ჰრქუა მას: მაცადე პირველად განძღებად შვილთა, რამეთუ არა კეთილ არს მოღებაჲ პურისაჲ შვილთაგან და დაგებად ძაღლთა.
28. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: უფალო, რამეთუ ძაღლნიცა ტაბლასა ქუეშე ჭამედ ნამუსრევისაგან შვილთაჲსა.
29. ხოლო იესუ ჰრქუა მას: მაგის სიტყჳსათჳს ვიდოდე! განსრულ არს ეშმაკი ასულისაგან შენისა.
30. და წარვიდა დედაკაცი იგი სახიდ თჳსა და პოვა, რამეთუ ეშმაკი იგი განსრულ იყო, და ასული იგი მისი შემოსილი, მჯდომარე ცხედარსა ზედა.
31. და მერმე კუალად გამოვიდა საზღვართაგან ტჳროსისა და სიდონისათა და მოვიდა ზღუასა მას გალილეაჲსასა, შორის საზღვართა ათქალაქისათა.
32. და მოართუეს მას ყრუჲ და ძნიად მეტყუელი და ევედრებოდეს მას, რაჲთა კელი დასდვას მას ზედა.
33. და განიყვანა ერისა მისგან თჳსაგან და დაასხნა თითნი მისნი ყურთა მისთა და ჰნერწყუა და შეახო ენასა მისსა
34. და აღიხილნა ზეცად და სულთ-ითქუნა და ჰრქუა მას:

ეფუათა! რომელ არს: განეხუენით!
35. და მეყსეულად განეხუნეს მას სასმენელნი, და განჰკსნდა კრულებაჲ ენისა მისისაჲ, და იტყოდა მართლად.
36. და ამცნო მათ, რაჲთა არავის უთხრან. და რაოდენ იგი ამცნებდა მათ, იგინი უფროჲს მიმოდასდებდეს.
37. და უმეტესად განუკჳრდებოდა და იტყოდეს: ყოველსავე კეთილსა იქმს: ყრუთა ასმენს და უტყუთა ატყუებს.

8

1. მათ დღეთა შინა მერმე კუალად ერი მრავალი იყო და არარაჲ აქუნდა, რაჲმცა ჭამეს; მოუწოდა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ:
2. მეწყალის მე ერი ესე, რამეთუ სამი დღე არს, ვინაჲთგან მელიან მე, და არარაჲ აქუს, რაჲ ჭამონ.
3. და უკუეთუ განუტეენე უზმანი ვანად მათა, დაჰკსნდენ გზასა ზედა, რამეთუ რომელნიმე მათგანნი შორით მოსრულ არიან.
4. და მიუგეს მოწაფეთა მისთა და ჰრქუეს: ვინაჲ ძალ-გჳც განძღებად აქა პურითა ესოდენისა ერისა უდაბნოსა ზედა?
5. და ჰკითხა მათ: რაოდენი გაქუს პური? ხოლო მათ ჰრქუეს: შჳდი.
6. და უბრძანა ერსა მას დასხდომაჲ ქუეყანასა და მოიღო შჳდი იგი პური, ჰმადლობდა და განტეხა და მისცემდა მოწაფეთა თჳსთა, რაჲთა დაუგონ მათ; და დაუგეს ერსა მას.
7. და აქუნდა თეეზიცა მცირედ, და იგიცა აკურთხა და უბრძანა მან დაგებად.
8. და ჭამეს და განძღეს; და აღიღეს ნეშტი იგი ნამუსრევი შჳდი სჳრიდი.
9. და იყუენეს, რომელთა-იგი ჭამეს, ეითარ ოთხ ათას ოდენ; და განუტეენა იგინი.
10. და მეყსეულად შევიდა იესუ ნავსა მოწაფეთა მისთა თანა და წარვიდა ადგილთა მაგდალოჲსათა.
11. და გამოვიდეს ფარისეველნი და იწყეს გამოძიებად მის თანა და ითხოვდეს მისგან სასწაულსა ზეცით და გამოსცდიდეს მას.
12. და სულთ-ითქუნა სულითა თჳსითა და თქუა: რაჲ არს ნათესავი ესე, რამეთუ ეძიებს სასწაულსა? ამენ გეტყჳ თქუენ: არა ეცეს ნათესავსა ამას სასწაული.
13. და დაუტეენა იგინი და კუალად შევიდა ნავსა და წარვიდა მიერ კერძო.
14. და დაავიწყდა მიღებად პური, და ერთი ხოლო პური აქუნდა მათ ნავსა შინა.
15. და ამცნებდა მათ იესუ და

ეტყოდა: იხილეთ და ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთაჲსა და ცომისაგან ჰეროდიანთაჲსა.
16. ხოლო იგინი განიზრახვიდეს ურთიერთას და იტყოდეს, ვითარმედ: პური არა გუაქუს.
17. და გულისჴმა-ყო იესუ და ჰრქუა მათ: რაჲსა ჰზრახავთ გულთა თქუენთა, მცირედ-მორწმუნენო, რამეთუ პური არა გაქუს? არა გიცნობიეს, არცა მოიჴსენეთ, რამეთუ დაბრმობილნი გულნი გქონან თქუენ?
18. თუალ გასხენ და არა ხედავთ, და ყურ გასხენ და არა გესმის, არცა გიცნობიეს, არცა მოიჴსენეთ?
19. ოდეს-იგი ხუთი პური განვტეხე ხუთ ათასთათჳს, და რაოდენი გოდორი სავსე ნამუსრევითა აღიღეთ? ხოლო მათ ჰრქუეს: ათორმეტი.
20. და ოდეს-იგი შჳდი ოთხ ათასთა, რაოდენი სფჳრიდი ნამუსრევი აღიღეთ? და მათ ჰრქუეს: შჳდი.
21. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ვითარ არა გულისჴმა-ჰყავთ?
22. და მოვიდა ბეთსაიდად, და მოჰგუარეს მას ბრმაჲ და ევედრებოდეს მას, რაჲთა შეახოს მას.
23. და უპყრა კელი მისი და განიყვანა იგი გარეშე დაბასა და ჰნერწყუა თუალთა მისთა და დასდვა კელი მისი და ჰკითხა მას, რასა-ძი ჰსედავს?
24. და აღიხილნა და იტყოდა: ვხედავ კაცთა, ვითარცა ხეთა, მიმომავალთა.
25. და მერმე კუალად დაასხნა კელნი თუალთა მისთა და აღუხილნა; და მან აღიხილნა და კუალად მოეგო და ხედვიდა ბრწყინვალედ ყოველთა.
26. და წარაველინა იგი სახიდ თჳსა და ჰრქუა: წარვედ სახიდ შენდა; და დაბაღ რაჲ შეხჳდე, ნურას ვის უთხრობ დაბასა შინა.
27. და გამოვიდა იესუ და მოწაფენი მისნი დაბნებსა მას კესარია ფილიპესსა, და გზასა ზედა ჰკითხვიდა მოწაფეთა თჳსთა და ეტყოდა მათ: რაჲ თქჳან კაცთა ჩემთჳს ყოფაჲ?
28. ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს მას: იოვანე ნათლის-მცემელი, და სხუათა: ელია, და სხუათა: ერთი წინაწარმეტყუელთაგანი.
29. ჰრქუა მათ იესუ: თქუენ რაჲ სთქუთ ჩემთჳს, ვინ ვარ მე? მიუგო მას პეტრე და ჰრქუა: შენ ხარ ქრისტე.
30. და შეჰრისხნა მათ, რაჲთა არავის უთხრან მისთჳს.
31. და იწყო სწავლად მათა, ვითარმედ: ჯერ-არს ძისა კაცისაჲ ფრიად ვნებაჲ და შეურაცხყოფად მოხუცებულთაგან და მღდელთ-მოძღუართა და მწიგნობართა და მოკლვად და მე-

სამესა დღესა აღდგომად.
32. და განცხადებულად სიტყუასა ამას ეტყოდა. და გან-რე-იყვანა იგი პეტრე და იწყო ბრალობად მისა ამის სიტყუსათჳს.
33. ხოლო თავადი მიექცა და იხილნა მოწაფენი თჳსნი, შეჰრისხნა პეტრეს და ჰრქუა მას: წარვედ ჩემგან მართლუკუნ, ეშმაკო, რამეთუ არა ჰზრახავ ღმრთისასა, არამედ კაცთასა.
34. და მოუწოდა ერსა მას მოწაფეთა მისთა თანა და ჰრქუა მათ: რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსლვაჲ, უვარ-ყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი და შემომიდეგინ მე.
35. რამეთუ რომელსა უნდეს სულისა თჳსისა განრინებაჲ, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თჳსი ჩემთჳს გინა სახარებისათჳს, მან აცხოენოს იგი.
36. რაჲ სარგებელ არს კაცისა, უკუეთუ შეიძინოს სოფელი ესე ყოველი და სული თჳსი იზღვიოს?
37. ანუ რაჲ მისცეს კაცმან ნაცვალად სულისა თჳსისა?
38. რამეთუ რომელსა-იგი სირცხჳლ უჩნდეს ჩემი და სიტყუათა ჩემთაჲ, ნათესავსა ამას მემრუშესა და ცოდვილსა, ძემანცა კაცისამან არცხჳნოს მას, რაჟამს მოვიდეს დიდებითა მამისა თჳსისაჲთა ანგელოზთა თანა წმიდათა.

9

1. და ეტყოდა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ სასუფეველი ღმრთისაჲ, მომავალი ძალითა.
2. და შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანნა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე და აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა თჳსაგან მარტონი და იცვალა სხუად ხატად წინაშე მათსა.
3. და სამოსელი მისი იქმნა ბრწყინვალე და სპეტაკ, ვითარცა თოლი, რომელ ყოველსავე მმურკნვალსა ქუეყანასა ზედა ვერ კელ-ეწიფების ეგრეთ განსპეტაკებად.
4. და ეჩუენა მათ მოსე ელიაჲს თანა, და იყვნეს იესუჲს თანა და მრახჳდეს.
5. და მიუგო პეტრე და ჰრქუა იესუს: რაბი, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ; ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენთჳს, ერთი მოსესთჳს და ერთი ელიაჲსთჳს.
6. რამეთუ არა იცოდა, რაჲმცა მიუგო, რამეთუ იყვნეს შეშინებულ.
7. და იყო ღრუბელი და აგრილობდა მათ, და ჴმაჲ იყო ღრუბლით გამო და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, მაგისი ისმინეთ.
8. და მეყსეულად მიმოიხილეს

და არავინ იხილეს, გარნა იესუ ხოლო მათ თანა.
9. და გარდამო-რაჲ-ვიდოდეს მიერ მთით, ამცნო მათ, რაჲთა არავის უთხრან, რაჲ-იგი იხილეს, გარნა ოდეს ძე კაცისაჲ მკუდრეთით აღდგეს.
10. და სიტყუაჲ იგი დაიმარხეს თავისა თჳსისა თანა და გამოეძიებდეს ურთიერთას, ვითარმედ: რაჲ არს იგი: ოდეს მკუდრეთით აღდგეს?
11. და ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს: ვითარ-მე იტყჳან მწიგნობარნი: ელიაჲსი ჯერ-არს პირველად მოსლვაჲ?
12. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ელია მოვიდეს და კუალად-აგოს ყოველი; და ვითარ წერილ არს ძისა კაცისათჳს, რაჲთა ფრიად ევნოს და შეურაცხ იქმნეს.
13. არამედ გეტყჳ თქუენ, რამეთუ ელია მოვიდა, და უყვეს მას, რაოდენი უნდა, ვითარცა წერილ არს მისთჳს.
14. და მოვიდა მოწაფეთა მისთა თანა, იხილა ერი გარემო მათსა, და მწიგნობარნი გამოეძიებდეს მათ თანა.
15. და მეყსეულად ყოველმან ერმან იხილა იგი და დაუკჳრდა და მორბიოდეს და მოიკითხეს იგი.
16. და ჰკითხა მწიგნობართა მათ და ჰრქუა: რასა გამოეძიებთ ურთიერთას?
17. და მი-ვინმე-უგო მას ერთმან მის ერისაგანმან და ჰრქუა: მოძღუარ, მოვიყვანე ძე ჩემი შენდა, რომლისა თანა არს სული უტყუებისაჲ.
18. და სადაცა დააპყრის იგი, დააკუეთის, და პეროინ და იღრჭენნ კბილთა და განკმებინ. და უთხარ მოწაფეთა შენთა, რაჲთამცა განკურნეს, და ვერ შეუძლეს.
19. მიუგო იესუ და ჰრქუა: ჲ ნათესავი ურწმუნოჲ! ვიდრემდე ვიყო თქუენ თანა? ვიდრემდე თავს-ვიდებდე თქუენსა? მომგუარეთ მე იგი აქა!
20. და მოჰგუარეს იგი მას. და იხილა რაჲ იგი, მეყსეულად სულმან არაწმიდამან დააკუეთა იგი; და და-რაჲ-ეცა ქუეყანასა, გორვიდა და პეროოდა.
21. და ჰკითხა იესუ მამასა მისსა: რაოდენი ჟამი აქუს, ვინაჲთგან შეემთხჳა ესე? ხოლო მან ჰრქუა: სიყრმითგან.
22. და მრავალ-გზის ცეცხლსა შთააგდო ეგე და წყალსა, რაჲთამცა წარწყმიდა ეგე. არამედ რაჲ ძალ-გიც, შემეწიე ჩუენ და წყალობა-ყავ ჩუენთჳს.
23. ხოლო იესუ ჰრქუა მას: უკუეთუ ძალ-გიც რწმუნებად, ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა.
24. და მეყსეულად კმა-ყო მამამან მის ყრმისამან და თქუა ცრემლით: მრწამს, უფალო, შე-

მეწიე ურწმუნოებასა ჩემსა.
25. და ვითარცა იხილა იესუ, რამეთუ შეკრბებოდა ერი მის ზედა, შეჰრისხნა სულსა მას და ჰრქუა უტყუსა და ყრუსა სულსა: მე გიბრძანებ შენ: განეედ მაგისგან და ნუღარა შესუალ მაგისა!
26. და ღაღატ-ყო და ფრიად გორვიდა და განვიდა მისგან; და იქმნა იგი, ვითარცა მკუდარი, ვითარმედ მრავალნი იტყოდესცა, ვითარმედ: მოკუდა.
27. ხოლო იესუ უპყრა კელი მისი და აღადგინა იგი, და აღდგა.
28. და ვითარცა შევიდა იესუ სახიდ, მოწაფეთა მისთა თჳსაგან ჰკითხეს მას: რაჲსათჳს ჩუენ ვერ შეუძლეთ განძებად მას?
29. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: ესე ნათესავი ვერ შესაძლებელ არს განსლვად, გარნა ლოცვითა და მარხვითა.
30. და მიერ განვიდეს და წარმოჰვლიდეს გალილეასა; და არა უნდა, რაჲთამცა აგრძნა ვინ.
31. რამეთუ ასწაებდა მოწაფეთა თჳსთა და ეტყოდა მათ, რამეთუ: ძე კაცისაჲ მიეცემის კელთა კაცთასა, და მოკლან იგი; და მო-რაჲ-კუდეს, მესამესა დღესა აღდგეს.
32. ხოლო იგინი უმეცარ იყვნეს სიტყუასა ამას და ეშინოდა კითხვად მისა.
33. და მოვიდა კაპერნაუმდ. და ვითარცა შევიდა იგი სახლსა, და ჰკითხეიდა მათ, რასა-იგი იცილებოდეს ურთიერთას გზასა გედა.
34. ხოლო იგინი დუმნეს, რამეთუ ურთიერთას იტყოდეს გზასა გედა, ვითარმედ: ჩუენგანი ვინ-მე უდიდეს იყოს?
35. და დაჯდა და მოუწოდა ათორმეტთა მათ და ჰრქუა: ეის უნდეს თქუენგანსა პირველ ყოფაჲ, იყოს იგი ყოველთა მრწემ და ყოველთა მსახურ.
36. და მოიყვანა ყრმაჲ და დააღგინა იგი შორის მათსა და მკლავთა მიიქუა იგი და ჰრქუა მათ:
37. რომელმან ერთი ამათგანი ყრმაჲ შეიწყნაროს სახელისა ჩემისათჳს, მე შემიწყნაროს; და რომელმან მე შემიწყნაროს, არა მე შემიწყნაროს, არამედ მომავლინებელი ჩემი.
38. მიუგო მას იოვანე და ჰრქუა: მოძღუარ, ვიხილეთ ვინმე, რომელი სახელითა შენითა ეშმაკთა განასხმიდა, რომელი ჩუენ არა შეგჳდეს, და ვაყენებდით მას, რამეთუ არა შემიდეს ჩუენ.
39. ხოლო თავადმან ჰრქუა: ნუ აყენებთ მას, რამეთუ არავინ არს, რომელმან ქმნეს ძალი სახელითა ჩემითა და კელ-ეწიფოს ბოროტის-სიტყუად ჩემდა.
40. რამეთუ რომელი არა ჩუენდა მტერ არს, იგი ჩუენ კერძო

არს.
41. რომელმან გასუას თქუენ სასუმელი წყლისაჲ სახელად ჩემდა, რამეთუ ქრისტესნი ხართ, ამენ გეტყჳ თქუენ, არა წარუწყმდეს სასყიდელი მისი.
42. და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთაგანი მორწმუნეთაჲ ჩემდა მომართ, უმჯობეს არს მისა, გამო-თუმცა-იბა ქედსა მისსა წისქჳლის ქვაჲ ვირით საფქველი და შთავარდა ზღუასა.
43. და უკუეთუ დაგაბრკოლებდეს კელი შენი, მოიკუეთე იგი: უმჯობეს არს შენდა უკელოჲსაჲ შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორთა კელთა სხმასა და შესლვად გეჰენიასა, ცეცხლსა მას უშრეტსა.
44. სადა იგი მატლი მათი არა მოაკლდების, და ცეცხლი არა დაშრტების.
45. და უკუეთუ ფერჯი შენი დაგაბრკოლებდეს შენ, მოიკუეთე იგი: უმჯობეს არს შენდა მკელობელისაჲ შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორითა ფერჯითა შთაგდებად გეჰენიასა, ცეცხლსა მას უშრეტსა.
46. სადა-იგი მატლი მათი არა დაესრულების, და ცეცხლი არა დაშრტების.
47. და უკუეთუ თუალი შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი: უმჯობეს არს შენდა ერთითა თუალითა შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა, ვიდრე ორითა თუალითა შთაგდებად გეჰენიასა ცეცხლისა უშრეტისასა.
48. სადა-იგი მატლი მათი არა დაესრულების, და ცეცხლი არა დაშრტების.
49. რამეთუ ყოველივე ცეცხლითა დაიმარილოს, და ყოველი შესაწირავი მარილითა დაიმარილოს.
50. კეთილ არს მარილი; ხოლო უკუეთუ მარილი უმარილო იქმნეს, რაჲთაღა შეინელოს იგი? გაქუს თავისა თქუენისა მარილი და მშჳდობით იყვენით ურთიერთას.

10

1. და აღდგა მიერ იესუ და მოვიდა საზღვართა ჰურიასტანისათა, წიაღ-იორდანესა, და შეკრბებოდა მისა კუალად ერი, და, ვითარცა ჩუეულ იყო, კუალად ასწავებდა მათ.
2. ხოლო ფარისეველნი იგი მოუჴდეს და ჰკითხვიდეს მას: უკუეთუ ჯერ-არს კაცისა ცოლისა თჳსისა განტევებაჲ? და გამოსცდიდეს მას.
3. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ვითარ გამცნო თქუენ მოსე?
4. ხოლო მათ ჰრქუეს: მოსე ბრძანა წიგნი განშორებისაჲ მიცემად და განტევებად.
5. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: გულ-ფიცხელობისა თქუენისა-

თჳს დაწერა მოსე მცნებაჲ ეგე.
6. ხოლო დასაბამითგან დაბადებისაჲთ მამაკაცად და დედაკაცად შექმნნა იგინი ღმერთმან და თქუა:
7. ამისთჳს დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და შეეყოს ცოლსა თჳსსა.
8. და იყვნენ ორნივე იგი ერთ ჯორც, ვითარმედ არღარა არიან ორ, არამედ ერთ ჯორც.
9. რომელნი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებნ.
10. და მერმე სახლსა რაჲ შინა იყო, კუალად მისვე სიტყჳსათჳს ჰკითხვიდეს მას მოწაფენი მისნი.
11. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: უკუეთუ განუტეოს ქმარმან ცოლი თჳსი და შეირთოს სხუაჲ, მან იმრუშა.
12. და ცოლი თუ განვიდეს ქმრისაგან და შეერთოს სხუასა, მანცა იმრუშა.
13. და მოჰგურიდეს მას ყრმებსა, რაჲთა ჴელი დასდვას მათ; ხოლო მოწაფენი აყენებდეს მათ, რომელნი-იგი მოჰგურიდეს.
14. ვითარცა იხილა იესუ, შეჯრისხნა მათ და ჰრქუა: აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვაჲ ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართაჲ არს სასუფეველი ცათაჲ.
15. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ: რომელმან არა შეიწყნაროს სასუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა ყრმაჲ, ვერ შევიდეს მას.
16. და შეიტკბობდა მათ და დაასხმიდა მათ ზედა ჴელთა და აკურთხეედა მათ.
17. და ვითარცა გამოვიდა იგი გზასა, ესერა მდიდარი ვინმე მორბიოდა მისა და მუჴლნი დაიდგნა მის წინაშე, ევედრებოდა მას და ეტყოდა: მოძღუარო სახიერო, რომელი საქმე ვქმნე, რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოჲ დავიმკჳდრო?
18. ხოლო იესუ ჰრქუა მას: რაჲსა მეტყჳ მე სახიერით? არავინ არს სახიერ, გარნა ღმერთი მხოლოჲ.
19. მცნებანი იცნი: ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა სწამებ, ნუ დააკლებ კეთილის ყოფაჲ, პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა.
20. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მას: ესე ყოველი ეყავე სიჭაბუკით ჩემითგან. რაჲღა მაკლს მე?
21. ხოლო იესუ მიჰხედა და შეუყუარდა იგი და ჰრქუა მას: უკუეთუ გნებავს სრულ ყოფაჲ, ერთიღა გაკლს შენ: წარვედ და, რაოდენი გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა, აღიღე ჯუარი და მოვედ და შემომიდეგ მე.
22. ხოლო იგი შეწუხნა ამის სიტყჳსათჳს და წარვიდა მწუხარე, რამეთუ აქუნდა მონაგები ფრიად.

23. და მიმოიხილა იესუ და ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: ძნიად შევიდენ სასუფეველსა ღმრთისასა, რომელთა აქუს საფასე.
24. ხოლო მოწაფეთა დაუკჳრდებოდა სიტყუასა ამას ზედა, ხოლო იესუ კუალად მიუგო და ჰრქუა მათ: რაოდენ ძნელ არს, რომელნი საფასეთა ესვენ, შესლვაჲ სასუფეველსა ღმრთისასა!
25. უადვილეს არს აქლემი კურელსა ნემსისასა განსლვად, ვიდრე მდიდარი შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა.
26. ხოლო მათ უმეტესად განუკჳრდებოდა და იტყოდეს ურთიერთას: და ვის ძალ-უც ცხორებად?
27. მიჰხედა მათ იესუ და ჰრქუა: კაცთა მიერ შეუძლებელ არს, არამედ არა ღმრთისაგანცა, რამეთუ ყოველივე შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ.
28. იწყო პეტრე სიტყუად მისა და ჰრქუა: აჰა ესერა ჩუენ დაუტევეთ ყოველივე და შეგიდეგით შენ.
29. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ: არავინ არს, რომელმან დაუტევა სახლი გინა ძმანი, გინა დანი, გინა მამაჲ, გინა დედაჲ, გინა ცოლი, გინა შვილნი, გინა აგარაკნი ჩემთჳს და სახარებისა ამისთჳს,
30. უკუეთუ არა მოიღოს ასი წილი აწ ჟამსა ამას სახლი და ძმანი და დანი, მამაჲ და დედაჲ და შვილნი და აგარაკნი შემდგომად დევნისა და საუკუნესა მას მომავალსა ცხორებაჲ საუკუნოჲ.
31. ხოლო მრავალნი იყვნენ პირველნი უკუანაჲსკნელ, და უკუანაჲსკნელნი პირველ.
32. და იყვნეს გზასა ზედა და აღვიდოდეს იერუსალჵმდ; და იესუ წინა-უძღოდა მათ, და დაუკჳრდებოდა მოწაფეთა. ხოლო იგინი მისდევდეს მას და ეშინოდა. და წარმოიყვანნა კუალად ათორმეტნი იგი და იწყო თხრობად მათა მერმისა მისთჳს, რომელი შემთხუევად იყო მისა,
33. ვითარმედ: აჰა ესერა აღვალთ იერუსალჵმდ, და ძე კაცისაჲ მიეცეს მღდელთ-მოძღუართა და მწიგნობართა, და დასაჯონ იგი სიკუდილდ და მისცენ იგი წარმართთა;
34. და ეკიცხევდენ მას და ტანჯონ და ჰნერწყუვიდენ მას და მოკლან იგი, და მესამესა დღესა აღდგეს.
35. და მოვიდეს მისა იაკობ და იოვანე, ძენი ზებედესნი, და ჰრქუეს: მოძღუარ, გუნებავს, რაჲთა, რომელი გთხოოთ, მიყო ჩუენ.
36. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: რაჲ გნებავს ჩემგან, რაჲ-

თა გიყო თქუენ?
37. ხოლო მათ ჰრქუეს მას: მომეც ჩუენ, რაჲთა ერთი მარჯუენით შენსა და ერთი მარცხენით შენსა დავსხდეთ დიდებასა შენსა.
38. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არა იცით, რასა ითხოვთ. ძალ-გიცა სასუმელსა რომელსა მე შევსუამ, შესუმად, და ნათლის-ღებასა რომელსა მე ნათელ-ვიღებ, ნათლის-ღებად?
39. ხოლო მათ ჰრქუეს მას: ძალ-გუც. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: სასუმელი სამე, რომელსა მე ვსუამ, სუათ, და ნათლის-ღებაჲ, რომელი მე ნათელ-ვიღო, ნათელ-იღოთ,
40. ხოლო დაჯდომაჲ მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა არს ჩემი მიცემად, არამედ ვიეთდა განმზადებულ არს.
41. და ესმა რაჲ ესე ათთა მათ, იწყეს რისხვად იაკობისა და იოვანესა.
42. ხოლო იესუ მოუწოდა და ჰრქუა მათ: უწყითა, რამეთუ რომელნი-იგი ჰგონებედ მთავრად წარმართთა, უფლებედ მათ ზედა, და დიდ-დიდნი მათნი კელმწიფებედ მათ ზედა?
43. ხოლო არა ეგრე იყოს თქუენ შორის, არამედ რომელსა უნდეს დიდ ყოფაჲ თქუენ შორის, იყოს თქუენდა მსახურ;
44. და რომელსა უნდეს თქუენ შორის პირველ ყოფაჲ, იყოს ყოველთა მონა.
45. და რამეთუ ძე კაცისაჲ არა მოვიდა, ვითარმცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემად სული თჳსი საკსრად მრავალთა.
46. და მოვიდეს იერიქოდ. და ვითარცა გამოვიდოდა იესუ და მოწაფენი მისნი იერიქოჲთ და ერი მრავალი მათ თანა, ძე ტიმესი ბარტიმეოს, ბრმაჲ, ჯდა გზასა თანა მთხოელად.
47. და ესმა რაჲ, რამეთუ იესუ ნაზარეველი არს, იწყო ღაღადებად და სიტყუად: იესუ, ძეო დავითისო, შემიწყალე მე!
48. და ჰრისხვიდეს მას მრავალნი, რაჲთა დადუმნეს; ხოლო იგი უფროჲს ღაღადებდა: ძეო დავითისო, შემიწყალე მე!
49. დადგა იესუ და ბრძანა მოწოდებაჲ მისი. და მოუწოდდეს ბრმასა მას და ეტყოდეს: ნუ გეშინინ, აღდეგ, გიწესს შენ.
50. ხოლო მან დააბნია სამოსელი თჳსი და აღდგა და მოვიდა მისა.
51. მიუგო და ჰრქუა მას იესუ: რაჲ გნებავს, და გიყო შენ? ხოლო ბრმამან მან ჰრქუა მას: რაბი, რაჲთა, აღვიხილნე თუალნი ჩემნი.
52. ხოლო იესუ ჰრქუა მას: გუალე, ვიდოდე, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. და მეყსეულად აღიხილნა და მისდევდა მას გზასა ზედა.

11

1. და რაჟამს მიეახლნეს იერუსალჵმდ, ბეთბაგედ და ბეთანიად, მთასა თანა ზეთისხილთასა, წარავლინა ორნი მოწაფეთაგანნი
2. და ჰრქუა მათ: წარვედით დაბასა მაგას, რომელ არს წინაშე თქუენსა; და შე-რაჲ-ხჯდით მას შინა, ჰპოოთ კიცჯ დაბმული, რომელსა კაცი არღა დაჯდომილ არს, აჰჴსენით იგი და მომგუარეთ.
3. და უკუეთუ ვინმე გრქუას რაჲ თქუენ, არქუთ, ვითარმედ: უფალსა უკმს ეგე, და მეყსეულად მოავლინოს იგი აქა.
4. ხოლო იგინი წარვიდეს და პოვეს კიცჯ იგი დაბმული კართა თანა გარეშე შესავალთა და აჰჴსნეს იგი.
5. ხოლო მუნ მდგომარენი ვინმე ეტყოდეს მათ: რასა ჰზამთ და აღჰჴსნით კიცუსა მაგას?
6. ხოლო მათ ჰრქუეს, ვითარცა-იგი უბრძანა მათ იესუ; და მიუტევეს მათ.
7. და მოიყვანეს კიცჯ იგი იესუჲსა და დაასხეს მას ზედა სამოსელი მათი, და დაჯდა მას ზედა.
8. და მრავალნი სამოსელსა მათსა დაუფენდეს გზასა ზედა, და სხუანი მოჰკაფდეს რტოთა ხეთაგან და დაუფენდეს გზასა ზედა.
9. და რომელნი წინა-უძღოდეს და რომელნი უკუანა შეუდგეს, ღაღადებდეს და იტყოდეს: ოსანა მაღალთა შინა! კურთხეულ არს მომავალი მეუფე სახელითა უფლისაჲთა!
10. კურთხეულ არს მოსლვაჲ მეუფისა დავითის, მამისა ჩუენისაჲ! გუაცხოვნენ ჩუენ, რომელი ხარ მაღალთა შინა!
11. და შევიდა იესუ იერუსალჵმდ და ტაძარსა მას და მიმოხედვიდა ყოველსა, რამეთუ მწუხრი იყო ჟამი იგი. და განვიდა ბეთანიად ათორმეტთა თანა.
12. და ხვალისაგან, ვითარ გამოვიდეს იგინი ბეთანიაჲთ, შეემშია.
13. და იხილა ლეღჯ ერთი შორით, რომელსა ესხა ფურცელი, და მოვიდა, უკუეთუმცა რაჲმე პოვა მას შინა. და მოვიდა რაჲ მისა, არარაჲ პოვა, გარნა ფურცელი ხოლო, რამეთუ არა იყო ჟამი ლეღჯსაჲ.
14. და ჰრქუა მას: ნუღარამცა ვინ ჭამს უკუნისამდე შენგან ნაყოფსა. და ესმოდა ესე მოწაფეთა მისთა.
15. და მოვიდეს იერუსალჵმდ, და შევიდა იესუ ტაძარსა მას და იწყო გამოსხმად განმსყიდელთა მათ და მომსყიდელთა მიერ ტაძრით; და ტაბლები იგი მეკერმეთაჲ მათ და დასასხდომელები იგი მსყიდელთაჲ მათ ტრედისათაჲ დაუმკუა.
16. და არა უტევებდა, რაჲთა

გან-ვინმე-იღოს ჭურჭელი მიერ ტაძრით.
17. და ასწაევებდა და ეტყოდა, ვითარმედ: წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს ყოველთა მიერ წარმართთა, ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა.
18. და ესმა ესე მღდელთ-მოძღუართა მათ და მწიგნობართა და ეძიებდეს, ვითარმცა წარწყმიდეს იგი; და ეშინოდა მისა, რამეთუ ყოველი ერი განკჳრვებულ იყო მოძღურებასა მას მისსა.
19. და ვითარცა იყო მწუხრი, განვიდოდა გარეშე ქალაქსა.
20. და ვითარცა თანა-წარჰვიდოდეს განთიად, იხილეს ლეღჳ იგი განკმელი ძირითგან.
21. და მოეკსენა პეტრეს და ჰრქუა მას: რაბი, აჰა ლეღჳ იგი, რომელსა სწყევე, განკმა.
22. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ:
23. გაქუნდიან სარწმუნოებაჲ ღმრთისაჲ. ამენ გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: რომელმან ჰრქუას მთასა ამას: აღიფხუარ და შთავარდი ბღუად! და არა შეორგულდეს გულსა თჳსსა, არამედ ჰრწმენეს, რამეთუ რომელი თქუას, იქმნეს, და იყოს ეგრე.
24. ამისთჳს გეტყჳ თქუენ: ყოველსა რომელსა ლოცვასა შინა ითხოვდეთ, გრწმენინ, რამეთუ მოიღოთ, და გეყოს თქუენ.
25. და რაჟამს სდგეთ ლოცვასა შინა, მიუტეეთ, უკუეთუ გაქუნდეს რაჲმე ბოროტი ვისთჳსმე, რაჲთა მამამანცა თქუენმან, რომელ არს ცათა შინა, მოგიტეენეს შეცოდებანი თქუენნი.
26. ხოლო უკუეთუ თქუენ არა მიუტეენეთ, არცა მამამან თქუენმან, რომელ არს ცათა შინა, მოგიტეენეს შეცოდებანი თქუენნი.
27. და მოეიდეს კუალად იერუსალჱმ. და ვითარცა იქცეოდა იგი ტაძარსა მას შინა, მოეიდეს მისა მღდელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი და მოხუცებულნი
28. და ეტყოდეს მას: რომლითა კელმწიფებითა იქმ ამას, და ვინ მოგცა შენ კელმწიფებაჲ ესე, რაჲთა ამას იქმოდი?
29. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: გკითხო მეცა თქუენ სიტყუაჲ ერთი, და თქუენ მომიგეთ მე, და მე გითხრა თქუენ, რომლითა კელმწიფებითა ვიქმ ამას:
30. ნათლის-ცემაჲ იოვანესი ზეცით იყო ანუ კაცთაგან? მითხართ მე.
31. ხოლო იგინი განიბრახვიდეს თჳსაგან და იტყოდეს: უკუეთუ ვთქუათ: ზეცით იყო, გურქუას ჩუენ: რაჲსათჳს უკუე არა გრწმენა მისი?
32. და უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგან, გუეშინის ერისა ამის, რამეთუ ყოველთა იცოდეს იოვანე,

ვითარმედ ჭეშმარიტად წინაწარმეტყუელი იყო.
33. და მიუგეს და ჰრქუეს მათ იესუს: არა ვიცით. და მიუგო მათ იესუ და ჰრქუა: არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა კელმწიფებითა ამას ვიქმ.

12

1. და იწყო იგავით მათა სიტყუად: კაცმან ვინმე დაასხა ვენაკი და ზღუდე გარე-მოსდვა და ქმნა საწნესელი და აღაშენა გოდოლი და მისცა იგი ქუეყანის-მოქმედთა და წარვიდა.
2. და მიავლინა ქუეყანის-მოქმედთა მათ მიმართ ყამსა ნაყოფისასა მონაჲ, რაჲთა მოიღოს ნაყოფი ვენაკისაჲ მის.
3. ხოლო მათ შეიპყრეს და გუემეს იგი და წარავლინეს ცალიერი.
4. მერმე კუალად წარავლინა სხუაჲ მონაჲ, და მასცა კუალად გამო-ვე-ეწყვნეს, გუემეს და წარავლინეს გინებული.
5. და კუალად სხუაჲ მიავლინა, და იგიცა მოკლეს; და სხუანი მრავალნი – რომელთამე სტანჯვიდეს და რომელთამე მოჰკლვიდეს.
6. უკუანაჲსკნელ, ერთი ძე ესუა საყუარელი თჳსი, მიავლინა მათა, რამეთუ თქუა, ვითარმედ: შეიკდიმონ ძისა ჩემისათჳს.
7. ხოლო ქუეყანის-მოქმედთა მათ თქუეს ურთიერთას: ესე არს მკუდრი მისი, მოვედით და მოვკლათ იგი, და ჩუენდა იყოს სამკუდრებელი ესე.
8. და შეიპყრეს იგი და მოკლეს და გამოაგდეს იგი მიერ სავენაკით.
9. აწ რაჲ უყოს მათ უფალმან მის ვენაკისამან? მოვიდეს და მოსრნეს ქუეყანის-მოქმედნი იგი და ვენაკი იგი მისცეს სხუათა.
10. არცაღა ესე წიგნი აღმოგიკითხავსა: ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა?
11. უფლისა მიერ იყო ესე და არს საკჳრველ წინაშე თუალთა ჩუენთა.
12. და ეძიებდეს მას შეპყრობად და ეშინოდა ერისა მისგან, რამეთუ ცნეს, ვითარმედ მათთჳს თქუა იგავი იგი. და დაუტევეს იგი და წარვიდეს.
13. და მი-ვინმე-ავლინნეს მისა ფარისეველნი და ჰეროდიანნი, რაჲთა მოინადირონ იგი სიტყჳთა.
14. ხოლო იგინი მოვიდეს და ჰკითხვიდეს მას: მოძღუარ, ვიცით, რამეთუ ჭეშმარიტ ხარ და არარაჲ ზრუნვაჲ გაქუს ვისთჳსვე, რამეთუ არა ხედავ პირსა კაცისასა, არამედ ჭეშმარიტად გზასა ღმრთისასა ასწავებ. ჯერ-არსა ხარკი მიცემად კეისარსა ანუ არა? მივსცეთ ანუ არა მივსცეთ?

15. ხოლო თაეადმან იცოდა ორგულებაჲ მათი და ჰრქუა მათ: რაჲსა გამომცდით მე? მომართუთ მე დრაჰკანი, რაჲთა ეიხილო.
16. ხოლო მათ მოართუეს. და ჰრქუა მათ: ეისი არს ხატი ესე და გედაწერილი? ხოლო მათ ჰრქუეს: კეისრისაჲ.
17. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა. და დაუკჳრდა ამას გედა და წარეიდეს.
18. და მოეიდეს მისა საღუკეველნი, რომელნი იტყჳან, ვითარმედ: აღდგომაჲ არა არს, და ჰკითხეიდეს მას და ეტყოდეს:
19. მოძღუარ, მოსე ესრეთ დამიწერა ჩუენ: უკუეთუ ეისმე მოუკუდეს ძმაჲ და ესუას მას ცოლი, და შვილი არა დაშთეს, რაჲთა შეირთოს ძმამან მისმან ცოლი იგი მისი და აღუდგინოს თესლი ძმასა თჳსსა.
20. აწ შჳდნი ძმანი იყუნეს ჩუენ შორის. და პირველმან შეირთო ცოლი და მოკუდა, და არა დაშთა შვილი.
21. და მეორემან შეირთო იგი და მოკუდა, და არა დაშთა შვილი. და მესამემან ეგრეთვე,
22. ვიდრე მეშჳდედმდე, და არა დაუშთა შვილი. უკუანაჲსკნელ ყოველთასა მოკუდა დედაკაცი იგი.
23. აწ უკუე აღდგომასა მას, ოდეს აღდგენ, ეისა მათგანისა იყოს იგი ცოლ, რამეთუ შჳდთავე მათ ესუა იგი ცოლად?
24. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა ამისთჳს სცთებითა, რამეთუ არა იცნით წიგნნი, არცა ძალი ღმრთისაჲ?
25. რამეთუ რაჟამს მკუდრეთით აღდგენ, არცა იქორწინებოდიან, არცა განჰქორწინებდენ, არამედ იყვნენ ვითარცა ანგელოზნი ცათა შინა.
26. ხოლო ამისთჳს, რამეთუ აღდგენ მკუდარნი, არა აღმოგიკითხაესა წიგნსა მოსესსა, მაყულოვანსა ზედა ვითარ-იგი ღმერთი ეტყოდა მას და ჰრქუა: მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი, ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი?
27. არა არს ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ღმერთი ცხოველთაჲ. ხოლო თქუენ ფრიად სცთებით.
28. და მოეიდა მისა ერთი მწიგნობართაგანი, ესმოდა რაჲ მათი, ვითარ-იგი გამოეძიებდეს მის თანა, იცოდა, რამეთუ კეთილად მიუგო მათ, ჰკითხა მას მანცა, ვითარმედ: რომელი არს ყოველთა პირველი მცნებაჲ?
29. ხოლო იესუ ჰრქუა მას: პირველი ყოველთა მცნებათაჲ ესე არს: ისმინე, ისრაჱლ: უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს;
30. და შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შე-

ნითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოველითა გონებითა შენითა და ყოველითა ძალითა შენითა. ესე არს პირველი მცნებაჲ.
31. და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი. უფროჲს ამათსა სხუაჲ მცნებაჲ არა არს.
32. ჰრქუა მას მწიგნობარმან მან: კეთილად, მოძღუარ, ჭეშმარიტად სთქუ, რამეთუ ერთ არს ღმერთი, და არავინ არს სხუაჲ მისა გარეშე;
33. და შეყუარებად იგი ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა და ყოველითა გულისჴმის-ყოფითა, და შეყუარებად მოყუასი, ვითარცა თავი თჳსი; უფროჲს არს ესე ყოველთა მსხუერპლთა და შესაწირავთა.
34. და იხილა იესუ, რამეთუ გონიერად მიუგო, ჰრქუა მას: არა შორს ხარ სასუფეველისაგან ღმრთისა. და არღარავინ იკადრა კითხვად მისა.
35. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ და ასწავებდა ტაძარსა მას შინა: ვითარ უკუე იტყჳან მწიგნობარნი, ვითარმედ: ქრისტე ძე არს დავითისი?
36. რამეთუ თჳთ იგი დავით იტყჳს სულითა წმიდითა: ჰრქუა უფალმა უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერჴთა შენთა.
37. თჳთ იგი დავით ჰხადის მას უფლით, და ვითარ ძჱ მისი არს? და მრავალი ერი ისმენდა მისსა ტკბილად.
38. და ეტყოდა მათ სწავლასა მას შინა მისსა: ეკრძალენით მწიგნობართა მათგან, რომელთა ჰნებავს სამკაულითა სლვაჲ და მოკითხვაჲ უბანთა გედა,
39. და გემოჯდომაჲ კრებულსა შორის და პირველ ინაკით-ჯდომაჲ სერსა გედა,
40. რომელნი შესჭამენ სახლებსა ქურივთასა და მიზეზით მყოვარ ჟამ ილოცევენ, რომელთა მიიღონ უმეტესი სასჯელი.
41. და დაჯდა იესუ წინაშე ფასის-საცავსა მას და ხედვიდა, ვითარ-იგი ერი დასდებდა რვალსა ფასის-საცავსა მას. და მრავალთა მდიდართა დადვეს ფრიად.
42. და მოვიდა ერთი ქურივი გლახაკი და დასხნა ორნი მწულილნი, რომელ არს კოდრანტე.
43. და მოუწოდა იესუ მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ ქურივმან ამან გლახაკმან უფროჲს ყოველთასა დადვა ფასის-საცავსა ამას.
44. რამეთუ ყოველთა ნამეტავისაგან მათისა დადვეს, ხოლო ამან ნაკლულევანებისაგან თჳსისა ყოველი, რაჲცა აქუნდა,

დადეა საცხორებელი თჳსი.

13

1. და გამო-რაჲ-ვიდოდა იგი ტაძრით, ჰრქუა მას ერთმან მოწაფემან მისმან: მოძღუარ, იხილე, რაბამი ქვები არს და რაბამი შენებულებაჲ!
2. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ხედავა ამათ დიდ-დიდთა შენებულთა? არა დაშთეს ქვაჲ ქვასა ზედა, რომელი არა დაირღუეს.
3. და დაჯდა რაჲ იგი მთასა მას ზეთისხილთასა წინაშე ტაძარსა მას, ჰკითხვიდეს მას თჳსაგან პეტრე და იაკობ და იოვანე და ანდრეა:
4. მითხარ ჩუენ, ოდეს ყოფად არს ესე, და რაჲ იყუნენ სასწაულნი, ოდეს ესე ყოველნი აღესრულნენ?
5. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ეკრძალენით, ნუუკუე ვინმე გაცთუნნეს თქუენ.
6. რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა და იტყოდიან, ვითარმედ: მე ვარ, და მრავალთა აცთუნებდენ.
7. რაჟამს გესმოდიან ბრძოლანი და ჰამბავნი ბრძოლათანი, ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე ყოფად, არამედ არღა არს აღსასრული.
8. რამეთუ აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მეუფებაჲ მეუფებასა ზედა, და იყვნენ ძრვანი აღგილ-აღგილ, და იყუნენ სიყმილნი და შფოთნი. ესე ყოველი დასაბამი სალმობათაჲ არს.
9. ხოლო ეკრძალენით თქუენ თავთა თქუენთა, რამეთუ მიგცემდენ თქუენ შესაკრებელთა და კრებულთა შორის გტანჯიდენ თქუენ და წინაშე მეფეთა და მთავართა წარსდგეთ ჩემთჳს საწამებელად მათა და ყოველთა წარმართთა.
10. ხოლო პირველად ჯერ-არს ქადაგებად სახარებაჲ ესე.
11. და რაჟამს მიგიყვანნენ თქუენ მიცემად მათა, ნუ წინაჲსწარ ჰზრუნაეთ, ნუცა იწურთით, რასა იტყოდით; არამედ რაჲ-იგი მოგეცეს თქუენ მას ჟამსა შინა, მას იტყოდეთ, რამეთუ არა თქუენ ხართ მეტყუელნი, არამედ სული წმიდაჲ.
12. ხოლო მისცეს ძმამან ძმაჲ სიკუდილად და მამამან შვილი, და აღდგენ შვილნი მამა-დედათა ზედა და მოჰკლეიდენ მათ.
13. და იყვნეთ თქუენ მოძულებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათჳს; ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს.
14. ხოლო ოდეს იხილოთ საძაგელი იგი მოოკრებისაჲ, თქუმული დანიელ წინაწარმეტყუელისაჲ, მდგომარე, სადა-იგი არა ჯერ-არს, — რომელი-იგი აღმოიკითხვიდეს, სცნობდინ, —

მაშინ რომელნი იყვნენ ჰურიასტანს, იელტოდედ მთად.
15. და რომელი ერდოსა ზედა იყოს, ნუ გარდამოვალნ სახიდ და ნუცა შევალნ აღებად რაჲსამე სახლისაგან თჳსისა.
16. და რომელი ველსა გარე იყოს, ნუ უკუნიქცევინ აღებად სამოსლისა თჳსისა.
17. ხოლო ვაჲ მუცელ-ქუმულთა და რომელნი აწოებდენ მათ დღეთა შინა!
18. არამედ ილოცევდით, რაჲთა არა იყოს სივლტოლაჲ თქუენი ზამთარსა.
19. რამეთუ იყვნენ დღენი იგი ჭირისანი, რომელი არასადა იქმნა ესევითარი დასაბამითგან, რომელ დაჰბადა ღმერთმან, ვიდრე აქამომდე, და არცაღა იყოს.
20. და არა თუმცა ღმერთმან შეამოკლნა დღენი იგი, არამცა ცხოვნდა ყოველი კორციელი; არამედ რჩეულთა მათთჳს, რომელნი გამოირჩინა, შეამოკლნა დღენი იგი.
21. მაშინ უკუეთუ ვინმე გრქუას თქუენ: აჰა აქა არს ქრისტე გინა იქი, ნუ გრწამნ.
22. რამეთუ აღდგენ ქრისტე-მტყუვარნი და ცრუ-წინაწარმეტყუელნი და ჰყოფდენ სასწაულებსა და ნიშებსა, რაჲთა აცთუნნენ, უკუეთუმცა შეუძლეს, რჩეულთაცა.
23. ხოლო თქუენ იხილეთ და ეკრძალენით, აჰა ესერა წინაჲსწარ გითხარ თქუენ ყოველი.
24. არამედ მათ დღეთა შინა შემდგომად ჭირისა მის მზე დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თჳსი;
25. და ვარსკულავნი ზეცით გარდამოცჳვენ, და ძალნი, რომელნი იყვნენ ცათა შინა, შეიძრნენ.
26. და მაშინ იხილონ ძე კაცისაჲ, მომავალი ღრუბელთა ზედა ძალითა და დიდებითა მრავლითა.
27. და მაშინ წარავლინნეს ანგელოზნი მისნი და შეკრიბნეს რჩეულნი თჳსნი ოთხთაგან ქართა კიდითგან ქუეყანისაჲთ, ვიდრე კიდედმდე ცისა.
28. ხოლო ლეღჳსაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს-იგი რტონი მისნი დაჩჩჳან, და გამოვალნ ფურცელი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული.
29. ეგრეცა თქუენ, რაჟამს იხილოთ ესე ყოველი ყოფილი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს, კართა ზედა.
30. ამენ გეტყჳ თქუენ: არა წარკდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იქმნას.
31. ცანი და ქუეყანაჲ წარკდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არასადა წარკდენ.
32. ხოლო დღისა მისთჳს და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცათა შინა, არცა ძემან,

არამედ მამამან.
33. არამედ იხილეთ და მღჳძარე იყვენით და ილოცევდით, რამეთუ არა იცით, ოდეს იყოს ჟამი იგი.
34. ვითარცა-იგი კაცმან გზად წარმავალმან დაუტევის სახლი თჳსი და მისცის მონათა თჳსთა კელმწიფებაჲ და კაცად-კაცადსა საქმე თჳსი და მეკარესა ამცნის, რაჲთა მღჳძარე იყოს.
35. იღჳძებდით უკუე, რამეთუ არა იცით, ოდეს-იგი უფალი სახლისაჲ მის მოვიდეს: მწუხრი ანუ შუვა-ღამეს, ანუ ქათმისა კმობასა, ანუ განთიად.
36. ნუუკუე მოვიდეს მეყსეულად და გპოვნეს თქუენ მძინარენი.
37. ხოლო რომელსა ესე გეტყჳთ თქუენ, ყოველთა გეტყჳ: მღჳძარე იყვენით.

14

1. ხოლო იყო პასქაჲ იგი, რომელ არს ვნებაჲ, და უცომოებაჲ, შემდგომად ორისა დღისა. და ეძიებდეს მღდელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი იესუს, ვითარმცა გაკუვით შეიპყრეს იგი და მოკლეს.
2. ხოლო იტყოდეს: ნუ დღესასწაულსა ამას, ნუუკუე შფოთი იქმნეს ერისაჲ.
3. და ვითარცა იყო იესუ ბეთანიას, სახლსა სიმონ კეთროვნისასა და ინაკით-ჯდა იგი, მოვიდა დედაკაცი და აქუნდა ალაბასტრითა ნელსაცხებელი ნარდისა სარწმუნოჲსაჲ, მრავალ- -სასყიდლისაჲ, და შემუსრა ალაბასტრი იგი და დაასხა თავსა მისსა.
4. იყუნეს ვინმე, რომელნი დრტჳნვიდეს ურთიერთას და იტყოდეს: რაჲსათჳს იქმნა წარწყმედაჲ ნელსაცხელებელისაჲ ამის?
5. რამეთუ შესაძლებელ იყო ესე განსყიდად უფროჲს სამასისა დრაჰკნისა და მიცემად გლახაკთა. და ჰრისხვიდეს მას.
6. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: აცადეთ მაგას, რაჲსა შრომასა შეამთხუევთ? რამეთუ საქმე კეთილი ქმნა ჩემ თანა.
7. რამეთუ გლახაკნი მარადის თქუენ თანა არიან. უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც კეთილის-ყოფად მათა, ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ვარ.
8. რომელი აქუნდა, ყო, უსწრო ნელსაცხებელითა ცხებად კორცთა ჩემთა დასაფლავად ჩემდა.
9. ამენ გეტყჳ თქუენ: სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე ყოველსა სოფელსა, და რომელცა-ესე ქმნა, ითქუმოდის საკსენებელად მაგისა.
10. და იუდა ისკარიოტელი, ერთი ათორმეტთაგანი, წარვიდა მღდელთ-მოძღუართა მათ მიმართ, რაჲთა მისცეს იგი მათ.
11. ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე მისგან, განიხარეს და

აღუთქუეს მას მიცემად ვეცხლი. და ეძიებდა, ვითარმცა ჟამსა მარჯუესა მისცა იგი მათ.

12. და პირველსა მას დღესა უცომოებისასა, ოდეს პასექსა მას დაჰკლეიდეს, ჰრქუეს იესუს მოწაფეთა მისთა: სადა გნებაეს, წარვიდეთ და მოგიმზადოთ შენ, რაჲთა სჭამო ვნებაჲ ესე?

13. და წარაელინნა ორნი მოწაფეთა მისთაგანნი და ჰრქუა მათ: წარვედით ქალაქად, და შეგემთხჳოს თქუენ კაცი, რომელსა ლაგუნითა წყალი ზე ედგას, და შეუდეგით მას, ვიდრეცა შევიდეს.

14. და არქუთ სახლისა უფალსა მას, ვითარმედ: მოძღუარი იტყჳს: სადა არს სავანე, სადა-იგი პასექი მოწაფეთა ჩემთა თანა ეჭამო?

15. და მან გიჩუენოს თქუენ ქორი დიდი დაგებული და მომზადებული; მუნ მზა-მიყავთ ჩუენ.

16. და გამოვიდეს მოწაფენი მისნი და მოვიდეს ქალაქად და პოვეს ეგრეთ, ვითარცა ჰრქუა მათ იესუ, და მოჰმზადეს ვნებაჲ იგი.

17. და ვითარცა მწუხრი იყო, მოვიდა ათორმეტთა მათ თანა.

18. და ვითარ ინაჳთ-სხდეს და ჭამდეს, ჰრქუა იესუ: ამენ გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე, რომელი ჭამს ჩემ თანა.

19. ხოლო მათ იწყეს მწუხარებად და სიტყუად მისა თითოეულმან: ნუუკუე მე ვარ? და სხუამან თქჳს: ნუუკუე მე ვარ?

20. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: ერთმან ათორმეტთაგანმან, რომელმან შთამოყოს პინაკსა ამას კელი ჩემ თანა, იგი მიმცემს მე.

21. ძე სამე კაცისაჲ წარვალს, ვითარცა წერილ არს მისთჳს, ხოლო ვაჲ არს მის კაცისა, რომლისაგან ძე კაცისაჲ მიეცემის; უკეთეს იყო მისა, უკუეთუმცა არა შობილ იყო კაცი იგი.

22. და ჭამდეს რაჲ იგინი, მოიღო იესუ პური, აკურთხა, განტეხა და მისცა მათ და ჰრქუა: მიიღეთ და ჭამეთ, რამეთუ ესე არს ჴორცი ჩემი.

23. და მოიღო სასუმელი, ჰმადლობდა და მისცა მათ, და სუეს მისგან ყოველთა.

24. და ჰრქუა მათ: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა შჯულისაჲ, მრავალთათჳს დათხეული.

25. ხოლო ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ არღარა ესუა ნაყოფისა ამისგან ამის ვენაკისა, ვიდრე მუნ ღეღმდე, რაჟამს-იგი ესუა ახალი სასუფეველსა ღმრთისასა.

26. და გალობაჲ წართქუეს და განვიდეს მთასა მას ზეთისხილთასა.

27. და ჰრქუა მათ იესუ, ვითარმედ: ყოველნი დაბრკოლებად

ხართ ჩემდა მომართ ღამესა ამას, რამეთუ წერილ არს: დავსცე მწყემსი, და განიბნინენ ცხოვარნი სამწყსოჲსა მისისანი.
28. არამედ შემდგომად აღდგომისა ჩემისა წარგიძღუე თქუენ გალილეად.
29. ხოლო პეტრე ჰრქუა მას: დაღათუ ყოველნი დაჰბრკოლდენ, არამედ მე არასადა დაჰბრკოლდე.
30. ჰრქუა მას იესუ: ამენ გეტყჳ შენ, ვითარმედ: შენ დღეს ამას ღამესა, ვიდრე ქათმისა მეორედ კმობაღმდე, სამ-გზის უვარ-მყო მე.
31. ხოლო პეტრე უმეტესღა უფროჲს იტყოდა: დაღაცათუ იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა, არასადა უვარ-გყო შენ. და ეგრეთვე მსგავსად ყოველნი იტყოდეს.
32. და მოვიდეს დაბასა, რომლისაჲ სახელი გეთსამანიაჲ. და ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: დასხედით აქა, ვიდრემდე ვილოცო.
33. და წარიყვანნა პეტრე და იაკობ და იოვანე მის თანა, იწყო დასულებად და ურვად.
34. და ჰრქუა მათ: მწუხარე არს სული ჩემი, ვიდრე სიკუდილადმდე; დააღგერით აქა და იღუძებდით.
35. და წარვიდა მცირედ და დავარდა ქუეყანასა და ილოცვიდა: უკუეთუ შესაძლებელ არს, რაჲთა თანა-წარჰკდეს ჟამი იგი მისგან.
36. და იტყოდა: აბბა მამაო, ყოველივე შესაძლებელ არს შენ მიერ თანა-წარსლვად სასუმელი ესე ჩემგან. არამედ არა რაჲ-იგი მე მნებავს, არამედ რაჲცა შენ გნებავს.
37. და მოვიდა და პოვნა იგინი მძინარენი და ჰრქუა პეტრეს: სიმონ, გძინავსა? და ვერ უძლე ჟამ ერთ მღუძარებად ჩემ თანა?
38. იღუძებდით და ილოცევდით, რაჲთა არა შესჯდეთ განსაცდელსა. სული გულს-მოდგინე არს, ხოლო კორცნი უძლურ.
39. და კუალად წარვიდა და ილოცვიდა და იგივე სიტყუაჲ თქუა.
40. და მოიქცა კუალად და პოვნა იგინი მძინარენი, რამეთუ იყვნეს თუალნი მათნი დამძიმებულ, და არარაჲ იცოდეს, რაჲმცა მიუგეს მას.
41. და მოვიდა მესამედ და ჰრქუა მათ: დაიძინეთ ამიერითგან და განისუენეთ. მოიწია დასასრული, და მოვიდა ჟამი. აჰა ესერა მიეცემის ძე კაცისაჲ კელთა ცოდვილთასა.
42. აღდეგით და წარვიდეთ ამიერ. აჰა ესერა მიმცემელი ჩემი მოახლებულ არს.
43. და მეყსეულად, ყიდრე იგი იტყოდაღა, მოვიდა იუდა ისკარიოტელი, ერთი ათორმეტთა-

განი,და მის თანა ერი მრავალი მახულებითა და წათებითა მღდელთ-მოძღუართაგან და მწიგნობართა და მოხუცებულთა.
44. ხოლო მიეცა მათა სასწაული მიმცემელსა მას მისსა და ჰრქუა მათ: რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს, შეიპყართ იგი და წარიყვანეთ კრძალულად.
45. და მეყსეულად მოვიდა და მოუჯდა მას და ჰრქუა: რაბი! რაბი! და ამბორს-უყო მას.
46. ხოლო მათ დაასხნეს მას ზედა კელნი და შეიპყრეს იგი.
47. და ერთმან ვინმე წინაშე მდგომელმან იჯადა მახჯლი და სცა მონასა მღდელთ-მოძღურისასა და წარჰკუეთა მას ყური მისი.
48. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოხუედით თქუენ მახჯლითა და წათებითა შეპყრობად ჩემდა.
49. დღითი-დღე თქუენ თანა ვიყავ ტაძარსა შინა, გასწავებდ, და არა შემიპყართ მე; არამედ რაჲთა აღესრულნენ წიგნნი.
50. მაშინ მოწაფეთა მისთა ყოველთა დაუტევეს იგი და იელტოდეს.
51. და ერთი ვინმე ჭაბუკი მისდევდა მას და შეემოსა არდაგი შიშულივ. ხოლო სხუათა მათ ჭაბუკთა შეიპყრეს იგი.
52. და მან დაუტევა არდაგი და იელტოდა მათგან შიშუელი.
53. და მიიყვანეს იესუ კაიაფაჲს მღდელთ-მოძღურისა. და შეკრბეს ყოველნი მღდელთ-მოძღუარნი და მწიგნობარნი და მოხუცებულნი.
54. ხოლო პეტრე შორით მისდევდა მას, ვიდრე შინა ეზოდმდე მღდელთ-მოძღურისა, და დაჯდა იგი მსახურთა თანა და ტფებოდა წინაშე ნათელსა ცეცხლისასა.
55. ხოლო მღდელთ-მოძღუარნი იგი და ყოველი კრებული ეძიებდეს იესუჲსთჳს მოწამეთა, რაჲთა მოკლან იგი, და არა ჰპოებდეს.
56. რამეთუ მრავალნი ცრუსა წამებდეს მისთჳს, და სწორ არა იყვნეს წამებანი მათნი.
57. და სხუანი ვინმე აღდგეს და ცრუსა წამებდეს მისთჳს და იტყოდეს,
58. ვითარმედ: ჩუენ გუესმა მაგისგან სიტყუაჲ, ვითარმედ: მე დავარღჳ ტაძარი ესე კელით-ქმნული და მესამესა დღესა აღვაშენო სხუაჲ, კელით-უქმნელი.
59. და არცა ესრეთ ერთ იყვნეს წამებანი მათნი.
60. და აღდგა მღდელთ-მოძღუარი იგი შორის და ჰკითხა იესუს და ჰრქუა: არარას მიუგება რასა-ესე შეგწამებენ შენ?
61. ხოლო იესუ დუმნა და არარაჲ მიუგო მათ. და მერმე ჰკი-

თხეიდა მას მეორედ მღდელთ-მოძღუარი იგი და ეტყოდა: შენ ხარა ქრისტე, ძე კურთხეულისაჲ?
62. ხოლო იესუ მიუგო მას, ვითარმედ: მე ვარ. და ამიერითგან იხილოთ ძე კაცისაჲ მარჯუენით მჯდომარე ძლიერებათა და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა.
63. ხოლო მღდელთ-მოძღუარმან მან დაიპო სამოსელი თჳსი და თქუა: რაჲსაღა გჳკმან მოწამენი?
64. გესმა ყოველთა გმობაჲ მაგისგან. ვითარ გნებავს თქუენ? მაშინ ყოველთა დასაჯეს იგი თანა-მდებად სიკუდილისა.
65. და იწყეს ვიეთმე ნერწყუვად მისა და დაბურვად პირსა მისსა და კურთითა ცემად მისა და ეტყოდეს: გჳწინაწარმეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე, ვინ არს, რომელმან გცა შენ? და მსახურთა მათ მოიყვანეს იგი ყურიმლის ცემად.
66. და იყო რაჲ პეტრე ეზოსა მას შინა, მოვიდა ერთი მკევალთაგანი მღდელთ-მოძღურისათაჲ.
67. და ვითარცა იხილა იგი, ტფებოდა რაჲ, მიჰხედა მას და ჰრქუა: და შენცა იყავ იესუჲს თანა ნაზარეველისა.
68. ხოლო მან უარ-ყო და თქუა: არა ვიცი და არცა უწყი, რასა-ეგე იტყჳ შენ. და გამოვიდა პეტრე გარეშესა მას ეზოსა, და ქათამმან ჴმა-ყო.
69. და კუალად იხილა იგი მკევალმან მან და იწყო სიტყუად წინაშე მდგომარეთა მათ, ვითარმედ: ესეცა მათგანიევ არს.
70. ხოლო მან კუალად უარ-ყო. და შემდგომად მცირედისა ჟამისა წინაშე მდგომელნი იგი ეტყოდეს პეტრეს: ჭეშმარიტად მათგანი ხარ და რამეთუ გალილეველ ხარ, და სიტყუაჲცა შენი გამოგაჩინებს.
71. ხოლო პეტრე იწყო შეჩუენებად და ფიცად, ვითარმედ: არა ვიცი კაცი ესე, რომელსა იტყჳთ.
72. და მეყსეულად მეორედ ქათამმან იყივლა. და მოეკსენა პეტრეს სიტყუაჲ იგი, რომელი ჰრქუა მას იესუ, ვითარმედ: პირველ ქათმისა ჴმობადმდე მეორედ სამგზის უარ-მყო მე. და იწყო ტირილად.

15

1. და მეყსეულად განთიად ბრახვა-ყვეს მღდელთ-მოძღუართა მათ მოხუცებულთა თანა და მწიგნობართა და ყოველმან კრებულმან. და შეკრეს იესუ და წარიყვანეს და მისცეს იგი პილატეს.
2. და ჰკითხა მას პილატე და ჰრქუა: შენ ხარა მეუფე ჰურიათაჲ? ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მას: შენ იტყჳ.
3. და შეასმენდეს მას მღდელთ-

-მოძღუარნი იგი ფრიად.
4. ხოლო პილატე კუალად ჰკითხა მას და ჰრქუა: არარას მიუგებ? აჰა რაოდენსა შეგწამებენ შენ!
5. ხოლო იესუ არარაჲ მიუგო, ვიდრემდის უკჳრდაცა პილატეს.
6. და რაჲ დღესასწაულ მიუტევის მათ ერთი პყრობილი, რომელიცა გამოითხოიან.
7. ხოლო იყო ვინმე ბარაბა მეშფოთეთა თანა კრული, რომელთა შფოთსა შინა კაცი ეკლა.
8. და ღაღატ-ყო ერმან მან გამოთხოვად მისა, ვითარცა-იგი მიჰმადლის მათ მარადის.
9. ხოლო პილატე მიუგო და ჰრქუა მათ: გნებავსა, რაჲთა მიგიტეო თქუენ მეუფჱ ჰურიათაჲ?
10. რამეთუ იცოდა, ვითარმედ შურითა მისცეს იგი მღდელთ-მოძღუართა მათ.
11. ხოლო მღდელთ-მოძღუართა მათ აღძრეს ერი იგი, რაჲთა ბარაბა მიუტეოს მათ.
12. ხოლო პილატე მერმეცა მიუგო და ჰრქუა მათ: და რაჲ უკუე გნებავს ყოფად, რომელსა-ესე იტყჳთ მეუფედ ჰურიათად?
13. ხოლო მათ კუალად ღაღატ-ყვეს და ჰრქუეს: ჯუარს-აცუ ეგე.
14. ხოლო პილატე ეტყოდა მათ: რაჲ ბოროტი უქმნიეს? და იგინი უმეტესად ღაღადებდეს და იტყოდეს: ჯუარს-აცუ ეგე.
15. ხოლო პილატეს უნდა ერისა მის მომადლებაჲ, მიუტევა მათ ბარაბა, ხოლო იესუს სცა შოლტითა და მისცა მათ, რაჲთა ჯუარს-აცუან.
16. ხოლო სტრატიოტთა მათ შეიყვანეს იგი შინაგან ეზოსა მას, რომელ არს ტაძარი, და შეკრიბეს ყოველიე იგი თესლები.
17. და შეჰმოსეს მას ძოწეული და დაადგეს შეთხზული ეკალთაგან გჳრგვინი.
18. და იწყეს მოკითხვად მისა და იტყოდეს: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო!
19. და სცემდეს მას თავსა ლერწმითა და ჰნერწყუეიდეს მას და დაიდგნიან მუკლნი და თაყუანის-სცემედ მას.
20. და ოდეს განკიცხეს იგი, განსძარცუეს მას ძოწეული იგი და შეჰმოსეს თჳსივე სამოსელი და განიყვანეს იგი, რაჲთა ჯუარს-აცუან.
21. და პაჰრაკად წარიყვანეს თანა-წარმავალი სიმონ ვინმე კჳრინელი, მომავალი ველით, მამაჲ ალექსანდრესი და როფესი, რაჲთა აღიღოს ჯუარი მისი.
22. და მოიყვანეს იგი გოლგოთას, ადგილსა, რომელ არს გამოთარგმანებით: თხემისა ადგილი.
23. და მისცემდეს მას სუმად შემურვილსა ღჳნოსა, ხოლო მან არა მიიღო.
24. და ჯუარს-აცუეს იგი და გა-

ნიყოფდეს სამოსელსა მისსა და განიგდებდეს მას ზედა წილსა, ვინ-ძი რაჲ აღიღოს.
25. ხოლო იყო ჟამი მესამე, და ჯუარს-აცუეს იგი.
26. და იყო მედაწერილი ბრალისა მისისაჲ ესრეთ დაწერილ: ესე არს მეუფჱ ჰურიათაჲ.
27. და მის თანა ჯუარს-აცუნეს ორნი ავაზაკნი: ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით მისა.
28. და აღესრულა წერილი იგი, რომელი იტყჳს, ვითარმედ: უსჯულოთა თანა შეირაცხა.
29. და თანა-წარმავალნი იგი ჰგმობდეს მას და ყრიდეს თავთა და იტყოდეს: ეჰა, რომელი დაარღუეედ ტაძარსა ამას და მესამესა დღესა აღაშჱნებდ,
30. იჯსენ თავი თჯსი და გარდამოჯედ მაგიერ ჯუარით.
31. ეგრეთვე მღდელთ-მოძღუარნი იგი იმღერდეს მწიგნობართა თანა და იტყოდეს: სხუანი აცხოენნა, თავი თჯსი ვერ ძალ-უც ცხოვნებად ქრისტესა, მეუფესა ისრაჱლისასა!
32. გარდამოჯედინ აწ ჯუარით, რაჲთა ვიხილოთ და გურწმენეს. და მის თანა ჯუარ-ცუმულნიცა იგი ეგრეთვე აყუედრებდეს მას.
33. და ვითარცა იყო ჟამი მეექუსე, ბნელი იყო ყოველსა ქუეყანასა, ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე.
34. და მეცხრესა ჟამსა კმა-ყო იესუ კმითა დიდითა და თქუა: ელოი, ელოი, ლიმა საბაქთანი? რომელ არს თარგმანებით: ღმერთო, ღმერთო ჩემო, რაჲსათჯს დამიტეობ მე?
35. და რომელთამე წინაშე მდგომელთა ესმა და იტყოდეს: აჰა ელიას ხადის.
36. და მირბიოდა ერთი და აღავსო ღრუბელი ძმრითა და დაადგა ლერწამსა და ასუმიდა და იტყოდა: უტეეეთ, ვიხილოთ, უკუეთუ მოვიდეს ელია გარდამოჯსნად მაგისა.
37. ხოლო იესუ კმა-ყო კმითა დიდითა და განუტეეა სული.
38. და კრეტსაბმელი იგი ტაძრისაჲ მის განიპო ორად მეითგან, ვიდრე ქუედმდე.
39. და ვითარცა იხილა ასისთაემან მან, რომელი დგა წინაშე მისსა, რამეთუ ესრეთ ღაღატ-ყო და განუტეეა სული, თქუა: ჭეშმარიტად კაცი ესე ძე ღმრთისაჲ იყო.
40. ხოლო იყვნეს დედანიცა, რომელნი შორით ხედვიდეს, რომელთა თანა იყო მარიამ მაგდალენელი და მარიამ იაკობისი მცირისაჲ და იოსეს დედაჲ და სალომე,
41. რომელნი, ოდეს იგი იყო გალილეას, შეუდგეს მას და ჰმსახურებდეს, და სხუანი მრავალნი, რომელნი მის თანა აღსრულ იყვნეს იერუსალჱმდ.
42. და ვითარცა შემწუხრდებო-

და,— რამეთუ პარასკევი იყო, რომელ არს უწინარეს შაბათისა, —
43. მოვიდა იოსებ არიმათიელი, შუენიერი მბრახვალი,რომელი--იცა მოელოდა სასუფეველსა ღმრთისასა, იკადრა და შევიდა პილატესა და მოითხოვა გუამი იესუჲსი.
44. ხოლო პილატე დაუკჳრდა, უკუეთუ აწვე მოკუდა, და მოუწოდა ასისთავსა მას და ჰკითხა, უკუეთუ აღრევე მოკუდა.
45. და ისწავა ასისთავისა მისგან ესე და მიჰმადლა გუამი იგი მისი იოსებს.
46. და მან იყიდა არდაგი და გარდამოჰკსნა იგი ჯუარისა მისგან და წარგრაგნა იგი არდაგითა მით და დადვა იგი საფლავსა, რომელი იყო გამოკუეთილ კლდისაგან, და მიაგორვა ლოდი კარსა ზედა მის საფლავისასა.
47. იყო მუნ მარიამ მაგდალენელი და მარიამ იოსესი და ხედვიდეს, სადა-იგი დასდებდეს მას.

16

1. და ვითარცა გარდაჴდა შაბათი იგი, მარიამ მაგდალენელმან და მარიამ იაკობისმან და სალომე იყიდეს ნელსაცხებელი, რაჲთა მოვიდენ და სცხონ მას.
2. და ნიად განთიადსა მას ერთსა შაბათისასა მოვიდეს საფლავსა მას ზედა მერმეცა აღმოსლვასა ოდენ მზისასა
3. და იტყოდეს ურთიერთას: ვინ გარდაგუგორეოს ჩუენ ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა?
4. და მიჰხედეს და ისილეს,რამეთუ გარდაგორეებულ იყო ლოდი იგი, რომელი იყო დიდ ფრიად.
5. და შე-რაჲ-ვიდეს საფლავსა მას,ისილეს ჭაბუკი მჯდომარე მარჯუენით კერძო, შემოსილი სამოსლითა სპეტაკითა, და განჰკრთეს.
6. ხოლო მან ჰრქუა მათ: ნუ განჰკრთებით! იესუს ეძიებთ ნაზარეველსა, ჯუარ-ცუმულსა; აღდგა, არა არს აქა. აჰა აღგილი, სადა დადვეს იგი.
7. არამედ წარვედით და უთხართ მოწაფეთა მისთა და პეტრეს, ვითარმედ: აჰა ეგერა წინა-გიძღუს თქუენ გალილეას, მუნ იხილოთ იგი, ვითარცა გრქუა თქუენ.
8. და მათ ვითარცა ესმა ესე, გამოვიდეს და იელტოდეს მიერ საფლავით, რამეთუ შეძრწუნებულ იყვნეს და დაკჳრვებულ და არარაჲ ვის უთხრეს, რამეთუ ეშინოდა.
9. ხოლო აღ-რაჲ-დგა განთიად პირველსა მას შაბათსა, ეჩუენა პირველად მარიამს მაგდალენელსა, რომლისაგან განსრულ იყვნეს შჯდნი ეშმაკნი.

10. იგი წარვიდა და უთხრა მის თანა მყოფთა მათ, რომელნი იგლოვდეს და ტიროდეს.
11. და მათ რაჲ ესმა, რამეთუ ცხოველ არს და ეჩუენა, მათ არა ჰრწმენა.
12. ხოლო ამისა შემდგომად ორთა მათგანთა სლვასა შინა გამოეცხადა სხჳთა სახითა, მი-
-რაჲ-ვიდოდეს დაბასა.
13. და იგინი მოვიდეს და უთხრეს სხჳათა მათ, და არცა მათი ჰრწმენა.
14. უკუანაჲსკნელ მსხდომარეთა ათერთმეტთა მათ ეჩუენა და აყუედრა ურწმუნოებაჲ მათი და გულ-ჭიცხელობაჲ, რამეთუ რომელთა იგი ისილეს აღდგომილი, მათი არა ჰრწმენა.
15. და ჰრქუა მათ: წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაჲ ესე ყოველსა დაბადებულსა.
16. რომელსა ჰრწმენეს და ნათელ-იღოს, ცხოვნდეს; და რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს.
17. ხოლო სასწაული მორწმუნეთა მათ ესე შეუდგეს: სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასმიდენ, ენათა ახალთა იტყოდიან.
18. გუელთა შეიპყრობდენ; დაღათუ სასიკუდინე რაჲმე სჳან, არარაჲ ავნოს მათ; სნეულთა ზედა კელსა დასდებდენ, და განცოცხლდებოდიან.
19. ხოლო უფალი შემდგომად სიტყუათა ამათ მათდა მიმართ ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით ღმრთისა.
20. ხოლო იგინი გამოვიდეს და ქადაგებდეს ყოველსა ქუეყანასა უფლისა შეწევნითა და სიტყჳსა ამის დამტკიცებითა მის მიერ, რომელნი-იგი შეუდგეს მას სასწაულნი.



ლუკა მახარებელი. მესტიის ოთხთავი. 1030 წ.

შესხმა წმიდისა მახარებელისა ლუკასი სოფრონის მიერ

ლუკა მახარებელი არს ნათესავით ანტიოქელი, მკურნალობისა ქელოვნებითა განსწაელული. დაჰსწერა სახარებაჲ სწაელათა მიერ პეტრე მოციქულისათა, და საქმენი მოციქულთანი აღჰსწერნა ვითარცა პაელე მოციქულისა მიერ ესწავა, და წმიდათა მოციქულთა თანა მოუკლებელად იქცეოდა, არამედ პაელე მოციქულისა თანა უმეტესად ვითარცა მოიხსენებს დიდი მოციქული პაელე ეპისტოლესა შინა თჳსსა და იტყჳს: მოგიკითხაეს ყოველთა ლუკა მკურნალი სიყუარულითა უფლისაჲთა. და მიიცუალა ეფესოს და დაეფლა მუნვე, და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოისუნეს წმიდანი ნაწილნი მისნი კონსტანტინეპოლს, ანდრიასა და ტიმოთეს თანა მოციქულთა ჟამსა კონსტანტინე მეფისა, ძისა დიდისა კონსტანტინესა.

სახარებაჲ ლუკაჲსი თავი

1

1. ვინაჲთგან უკუე მრავალთა კელ-ყვეს აღწერად მითხრობისა საქმეთათჳს გულსავსე-
-ქმნილთა ჩუენ შორის,
2. ვითარცა-იგი მომცეს ჩუენ, რომელნი დასაბამითგან თჳთ-
-მხილველ და მსახურ ყოფილ იყვნეს სიტყჳსა მის,
3. ჯერ-მიჩნდა მეცა, რომელი შეუდეგ პირველითგან ყოველითა ჭეშმარიტებითა შემდგომითი შემდგომად მიწერად შენდა, მკნეო ღმრთის-მოყუარეო თეოფილე,
4. რაჲთა სცნა, რომელთათჳს-
-იგი ისწავე სიტყუათა მათ კრძალულებაჲ.
5. იყო დღეთა მათ ჰეროდე მეფისა ჰურიასტანისათა მღდელი ვინმე, რომლისა სახელი ზაქარია, შემდგომად დღითი-დღედ მსახურებისა მის აბიაჲსა, და ცოლი მისი ასულთაგან აჰრონისთაჲ, და სახელი მისი ელისაბედ.
6. და იყვნეს ორნივე ესე წინაშე ღმრთისა მართალ და ვიდოდეს ყოველთა მცნებათა სიმართლისა უფლისათა უბიწონი.
7. და არა ესუა მათ შვილი, რამეთუ ელისაბედ იყო ბერწ, და ორნივე გარდასრულ იყვნეს დღეთა მათთა.
8. და იყო მღდელობასა მას მის-

სა, წესსა მას დღითი-დღედისა მისისასა წინაშე ღმრთისა,
9. მსგავსად ჩუეულებისა მღდელობისა ჰხუდა მას საკუმეველისა კუმევაჲ და შევიდა ტაძარსა უფლისასა.
10. და ყოველი სიმრავლე ერისაჲ ილოცვიდა გარეშე ჟამსა მას საკუმეველისა კუმევისასა.
11. და ეჩუენა მას ანგელოზი უფლისაჲ, მდგომარე მარჯუენით საკურთხეველისა მის საკუმეველთაჲსა.
12. და შეძრწუნდა ზაქარია, იხილა რაჲ იგი, და შიში დაეცა მას ზედა.
13. ჰრქუა მას ანგელოზმან მან: ნუ გეშინინ, ზაქარია, რამეთუ შეისმნეს ვედრებანი შენნი, და ცოლმან შენმან ელისაბედ გიშვეს შენ ძე, და უწოდი სახელი მისი იოვანე.
14. და იყოს შენდა სიხარულ და მხიარულება, და მრავალთა შობასა მისსა განიხარონ.
15. რამეთუ იყოს დიდ წინაშე უფლისა და ღჳნოჲ და თაფლუჭი არა სუას და სულითა წმიდითა აღივსოს მიერვე დედის მუცლით მისითგან.
16. და მრავალნი ძეთა ისრაჱლისათაგანნი მოაქცინეს უფლისა, ღმრთისა მათისა.
17. და იგი თავადი პირველად განვიდეს წინაშე მისსა სულითა და ძალითა ელიაჲსითა მოქცევად გულნი მამათანი შვილთა მიმართ და ურჩნი გონებითა მართალთაჲთა განმზადებად უფლისა ერი მომზადებული.
18. და ჰრქუა ზაქარია ანგელოზსა მას: რაჲთა ვცნა ესე, რამეთუ მე მოხუცებულ ვარ, და ცოლი ჩემი გარდასრულ არს დღეთა მისთა?
19. მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა: მე ვარ გაბრიელ, წინაშე მდგომელი პირსა ღმრთისასა, და მოვივლინე სიტყუად შენდა და ხარებად ამას.
20. და აჰა იყო შენ დადუმებულ და ვერ შემძლებელ სიტყუად, ვიდრე დღედმდე ყოფად ამისა ამისთჳს, რამეთუ არა გრწმენეს სიტყუანი ჩემნი, რომელნი აღესრულნენ ჟამსა თჳსსა.
21. და დგა ერი იგი და ელოდა ზაქარიას და უკჳრდა დაყოვნებაჲ იგი მისი ტაძარსა მას შინა.
22. და გამო-რაჲ-ვიდა, ვერ ეძლო სიტყუად მათდა, და ცნეს, რამეთუ ჩუენებაჲ რაჲმე იხილა ტაძარსა მას შინა; და იგი წამ-უყოფდა მათ და დააღგრა უტყუად.
23. და ვითარცა აღესრულნეს დღენი იგი მსახურებისა მისისანი, წარვიდა სახიდ თჳსა.
24. და შემდგომად დღეთა მათ მიუღგა ელისაბედ, ცოლი მისი, და იფარვიდა თავსა თჳსსა ხუთ თუე და იტყოდა,
25. ვითარმედ: ესრეთ მიყო მე უფალმან დღეთა ამათ, რომელ-

თა მოხედვა-ყო მოსპოლვად ყუედრებაჲ ჩემი კაცთა შორის.
26. და თუესა მეექუსესა მოიელინა გაბრიელ ანგელოზი ღმრთისა მიერ ქალაქად გალილეაჲსა, რომლისა სახელი ნაზარეთ,
27. ქალწულისა, თსოილისა ქმრისა, რომლისა სახელი იოსებ, სახლისაგან და ტომისა დავითისა, და სახელი ქალწულისაჲ მის მარიამ.
28. და შევიდა ანგელოზი იგი მისა და ჰრქუა: გიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენ თანა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის.
29. ხოლო მან რაჲ იხილა, შეძრწუნდა სიტყუასა მას მისსა ზედა და განიზრახვიდა: ვითარ-მე არს მოკითხვაჲ ესე?
30. და ჰრქუა მას ანგელოზმან მან: ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა.
31. და აჰა ესერა შენ მუცლად-იღო და ჰშვე ძე და უწოდი სახელი მისი იესუ.
32. ესე იყოს დიდ და ძე მაღლის ეწოდოს, და მისცეს მას უფალმან ღმერთმან საყდარი დავითის, მამისა თჳსისაჲ,
33. და მეუფებდეს სახლსა ზედა იაკობისსა საუკუნოდ, და სუფევისა მისისაჲ არა იყოს დასასრულ.
34. ჰრქუა მარიამ ანგელოზსა მას: ვითარ-მე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი?
35. მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა მას: სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა, და ძალი მაღლისაჲ გფარვიდეს შენ; ამისთჳსცა შობილსა მას წმიდა ეწოდოს და ძე მაღლის.
36. და აჰა ელისაბედ, ნათესავი შენი, იგიცა მიდგომილ არს ძესა სიბერესა თჳსსა, და ესე მეექუსე თუე არს მისი, რომელსა იგი ერქუა ბერწ.
37. რამეთუ არა შეუძლებელ არს წინაშე ღმრთისა ყოველი სიტყუაჲ.
38. ჰრქუა მას მარიამ: აჰა მკევალი უფლისაჲ; მეყავნ მე სიტყჳსაებრ შენისა! და წარვიდა მისგან ანგელოზი იგი.
39. და აღდგა მარიამ მათ დღეთა შინა და წარვიდა მთად კერძო მსწრაფლ ქალაქად იუდაჲსა.
40. და შევიდა სახლსა ზაქარიაჲსსა და მოიკითხა ელისაბედ.
41. და იყო ეითარცა ესმა ელისაბედს მოკითხვაჲ მარიამისი, ჰკრთებოდა ყრმაჲ იგი მუცელსა მისსა. და აღივსო სულითა წმიდითა ელისაბედ
42. და კმა-ყო კმითა დიდითა და თქუა: კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისაჲ!
43. და ვინაჲ ჩემდა ესე, რაჲთა მოვიდეს დედაჲ უფლისა ჩემი-

საჲ ჩემდა?
44. რამეთუ აჰა ესერა ვითარცა იყო კმაჲ მოკითხვისა შენისაჲ ყურთა მომართ ჩემთა, ჰკრთებოდა ყრმაჲ ესე სიხარულით მუცელსა ჩემსა.
45. და ნეტარ არს, რომელსა ჰრწმენეს, რამეთუ იყოს აღსრულებაჲ თქუმულთაჲ მათ მისა მიმართ უფლისა მიერ.
46. და თქუა მარიამ: ადიდებს სული ჩემი უფალსა,
47. და განიხარა სულმან ჩემმან ღმრთისა მიმართ, მაცხოვრისა ჩემისა,
48. რამეთუ მოხედნა სიმდაბლესა ზედა მკევლისა თჳსისასა; რამეთუ აჰა ესერა ამიერითგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი;
49. რამეთუ ყო ჩემ თანა დიდებული ძლიერმან, და წმიდა არს სახელი მისი,
50. და წყალობაჲ მისი ნათესავითი ნათესავადმდე მოშიშთა მისთა ზედა;
51. ყო სიმტკიცე მკლავითა თჳსითა; განაბნინა ამპარტავანნი გონებითა გულთა მათთაჲთა;
52. დაამკუნა ძლიერნი საყდართაგან და აღამაღლნა მდაბალნი;
53. მშიერნი აღავსნა კეთილითა და მდიდარნი განავლინნა ცუდნი;
54. შეეწია ისრაჱლსა, მონასა თჳსსა, მოკსენებად წყალობისა.
55. ვითარცა ეტყოდა მამათა ჩუენთა აბრაჰამსა და ნათესავსა მისსა საუკუნოდ.
56. და დააღგრა მარიამ ელისაბედის თანა სამ თუე და წარვიდა სახიდ თჳსა.
57. ხოლო ელისაბედისნი აღიესნეს ქამნი შობისა მისისანი, და შვა ძე.
58. და ესმა გარემოთა და ნათესავთა, რამეთუ განადიდა უფალმან წყალობაჲ თჳსი მის თანა, და მის თანა იხარებდეს.
59. და იყო მერვესა დღესა და მოვიდეს წინადაცუეთად ყრმისა მის და რაჲთამცა უწოდეს მას სახელად მამისა მისისა ზაქარია.
60. და მიუგო დედამან მისმან და ჰრქუა: არა, არამედ ეწოდოს მაგას იოვანე.
61. და ჰრქუეს მას, ვითარმედ: არავინ არს ნათესავსა შენსა, რომელსა ჰრქჳან სახელი ეგე.
62. და წამ-უყოფდეს მამასა მისსა, რაჲ-ძი უნდეს სახელის-დებად მისა.
63. და მოითხოვა ფიცარი და დაწერა და თქუა: იოვანე არს სახელი მისი. და დაუკჳრდა ესე ყოველთა.
64. და მეყსეულად აღეღო პირი მისი და ენაჲ, და იტყოდა და აკურთხევდა ღმერთსა.
65. და იყო შიში დიდი ყოველთა ზედა გარემო მკჳდრთა მისთა; და ყოველთა მათ მთით

კერძოთა ჰურიასტანისათა მიმოითქუმოდეს ყოველნი ესე სიტყუანი.
66. და დაიდვეს გულსა, რომელთა ესმოდა ესე, და იტყოდეს: რაჲ-მე იყოს ყრმაჲ ესე? და კელი უფლისაჲ იყო მის ზედა.
67. და მამაჲ მისი ზაქარია აღიესო სულითა წმიდითა, წინაწარმეტყუელებდა და თქუა:
68. კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაჱლისაჲ, რამეთუ მოჰხედნა და ყო ჴსნაჲ ერისა თჳსისაჲ;
69. და აღმიდგინა ჩუენ რქაჲ ცხორებისაჲ შორის სახლსა მას დავითის, მონისა თჳსისასა;
70. ვითარცა ეტყოდა პირითა წმიდათაჲთა საუკუნითგან წინაწარმეტყუელთა მისთაჲთა,
71. ცხორებასა მტერთა ჩუენთაგან და ჴელისაგან ყოველთა მოძულეთა ჩუენთაჲსა;
72. ყოფად წყალობისა მამათა ჩუენთა თანა და მოჴსენებად აღთქუმისა წმიდისა მისისა;
73. ფიცით, რომელ ეფუცა აბრაჰამსა, მამასა ჩუენსა, მოცემად ჩუენდა
74. უშიშად ჴსნად ჴელთაგან მტერთა ჩუენთაჲსა,
75. მსახურებად მისა ღირსებით და სიმართლით წინაშე მისსა ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩუენისათა.
76. და შენ, ყრმაო, წინაწარმეტყუელ მაღლის იწოდო, რამეთუ წარსძღუე შენ წინაშე პირსა უფლისასა განმზადებად გზათა მისთა,
77. მიცემად მეცნიერებაჲ ცხორებისაჲ ერსა თჳსსა მოტევებითა ცოდვათა მათთაჲთა,
78. მოწყალებითა წყალობისა ღმრთისა ჩუენისაჲთა, რომელთა მიერ მომხედნა ჩუენ აღმოსავალმან მაღლით
79. გამოჩინებად მათ ზედა, რომელნი სხენან ბნელსა შინა და აჩრდილთა სიკუდილისათა, და წარმართებად ფერჴთა ჩუენთა გზასა მშჳდობისასა.
80. ხოლო ყრმაჲ იგი აღორძნდებოდა და განმტკიცნებოდა სულითა. და იყო უდაბნოს, ვიდრე გამოცხადებაჲდმდე მისა ისრაჱლისა მიმართ.

2

1. და იყო მათ დღეთა შინა გამოჴდა ბრძანებაჲ აგუსტოს კეისრისაგან აღწერად ყოველისა სოფლისა.
2. ესე აღწერაჲ პირველი იყო მთავრობასა ასურეთს კჳრინესსა.
3. და წარვიდოდეს ყოველნი აღწერად კაცად-კაცადი თჳსსა ქალაქსა.
4. აღმოვიდა იოსებცა გალილეაჲთ, ქალაქით ნაზარეთით, ჰურიასტანად, ქალაქად დავითისა, რომელსა ჰრქჳან ბეთლემ, რამეთუ იყო იგი სახლისაგან და

ტომისა დავითისა,
5. აღწერად მარიამის თანა, რომელი მითხოვილ იყო მისა, და იყო იგი მიდგომილ.
6. და იყო ვიდრე იყვნესღა იგინი მუნ, აღივსნეს დღენი იგი შობისა მისისანი.
7. და შვა ძე იგი მისი პირმშოჲ და შეხჯა იგი სახუეელითა და მიაწვინა იგი ბაგასა, რამეთუ არა იყო მათა აღგილ სავანესა მას.
8. და მწყემსნი იყვნეს მასვე სოფელსა, ველთა დგებოდეს და კუმილვიდეს საკუმილავსა ღამისასა სამწყსოსა მათსა.
9. და აჰა ანგელოზი უფლისაჲ დააღგრა მათ ზედა, და დიდებაჲ უფლისაჲ გამოუბრწყინდა მათ, და შეეშინა მათ შიშითა დიდითა.
10. და ჰრქუა მათ ანგელოზმან მან უფლისამან: ნუ გეშინინ, რამეთუ აჰა ესერა გახარებ თქუენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოელისა ერისა:
11. რამეთუ იშვა დღეს თქუენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი, ქალაქსა დავითისსა.
12. და ესე იყოს თქუენდა სასწაულად: ჰპოოთ ყრმაჲ იგი შეხუეული და მწოლარე ბაგასა.
13. და მეყსეულად იყო ანგელოზისა მის თანა სიმრავლე ერთა ცისათაჲ, აქებდეს ღმერთსა და იტყოდეს:
14. დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშუდობაჲ, და კაცთა შორის სათნოებაჲ.
15. და იყო ვითარცა აღვიდეს ანგელოზნი იგი ზეცად, მწყემსთა მათ თქუეს ურთიერთას: განვიდეთ ჩუენ ვიდრე ბეთლემადმდე და ვისილოთ სიტყუაჲ ესე, რომელი იყო ჩუენდა მომართ, რომელი-იგი უფალმან მაუწყა ჩუენ.
16. და მოვიდეს მსწრაფლ და პოვეს მარიამ და იოსებ და ყრმაჲ იგი, მწოლარე ბაგასა.
17. და ვითარცა იხილეს, გულისკმა-ყვეს სიტყუაჲ იგი, რომელი ითქუა მათა მიმართ ყრმისა მისთჳს.
18. და ყოველთა, რომელთა ესმოდა, უკჳრდა სიტყუაჲ იგი მწყემსთაჲ მათ მათდა მიმართ.
19. ხოლო მარიამს დაემარხნეს სიტყუანი ესე და დაედვა გულსა თჳსსა.
20. და მიიქცეს და წარვიდეს მწყემსნი იგი, ადიდებდეს და აქებდეს ღმერთსა ამას ყოველსა ზედა, რომელი ესმა და იხილეს, ვითარცა-იგი ითქუნეს მათდა მიმართ.
21. და ვითარცა აღესრულნეს დღენი იგი რვანი წინადაცუეთისა მისისანი, და უწოდეს სახელი მისი იესუ, რომელ-იგი ეწოდა ანგელოზისა მისგან, ვიდრე ყოფადმდე მისა მუცელსა დედისა თჳსისასა.

22. და რაჟამს აღესრულნეს დღენი იგი განწმედისა მათისანი სჯულისა მისებრ მოსესისა, აღმოიყვანეს ყრმაჲ იგი იერუსალჱმდ წარდგინებად წინაშე უფლისა,
23. ვითარცა წერილ არს შჯულსა უფლისასა, რამეთუ: ყოველმან წულმან რომელმან განაღოს საშოჲ, წმიდა უფლისა ეწოდოს;
24. და მიცემად შესაწირავი, ვითარცა თქუმულ არს სჯულსა უფლისასა, ორნი გურიტნი ანუ ორნი მართუენი ტრედისანი.
25. და აჰა იყო კაცი იერუსალჱმს, რომლისა სახელი სჳმეონ. და კაცი ესე მართალი იყო და მოშიში უფლისაჲ და მოელოდა ნუგეშინის-ცემასა ისრაჱლისასა; და სული წმიდაჲ იყო მის ზედა.
26. და იყო მისა უწყებულ სულისაგან წმიდისა არა ხილვად სიკუდილი, ვიდრემდე იხილოს ცხებული უფლისაჲ.
27. და მოვიდა სულითა წმიდითა ტაძრად უფლისა. და შეყვანებასა მას მამა-დედისა მიერ ყრმისა მის იესუჲსა ყოფად მათა მსგავსად ჩუეულებისა მისებრ შჯულისა მისა მიმართ,
28. და ამან მიიქუა იგი მკლავთა თჳსთა ზედა და აკურთხევდა ღმერთსა და თქუა:
29. აწ განუტევე მონაჲ შენი, მეუფეო, სიტყჳსაებრ შენისა მშჳდობით,
30. რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი,
31. რომელ განუმზადე წინაშე პირსა ყოელისა ერისასა,
32. ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაჱლისა.
33. და იყვნეს იოსებ და დედაჲ მისი დაკჳრებულ სიტყუათა მათ ზედა მისთჳს.
34. და აკურთხნა იგინი სჳმეონ და ჰრქუა მარიამს, დედასა მისსა: აჰა ესერა ესე დგას დაცემად და აღდგინებად მრავალთა ისრაჱლსა შორის და სასწაულად სიტყჳს-საგებელად.
35. და თჳთ შენსაცა სულსა განვიდეს მახჳლი, რაჲთა განცხადნენ მრავალთაგან გულთა მრახვანი.
36. და იყო ანნა წინაწარმეტყუელი, ასული ფანოელისი, ტომისაგან ასერისა. ესე გარდასრულ იყო დღეთა მრავალთა და ცხორებულ იყო ქმრისა თანა შჯდ წელ სიქალწულითგან თჳსით.
37. და ესე იყო ქურივ ვითარ ოთხმეოც და ოთხის წლის, რომელი არა განეშორებოდა ტაძრისა მისგან მარხვითა და ვედრებითა და მსახურებითა ღამე და დღე.
38. ესე მასვე ჟამსა შინა მოიწია და აღუვარებდა ღმერთსა და ეტყოდა მისთჳს ყოველთა, რო-

მელნი მოელოდეს გამოკსნასა იერუსალჱმს შინა.
39. და ვითარცა აღასრულეს მის გედა ყოველივე მსგავსად შჯულისა უფლისა, მოიქცეს და წარვიდეს გალილეად, ქალაქად თჳსა – ნაზარეთად.
40. ხოლო ყრმაჲ იგი აღორძნდებოდა და განმტკიცნებოდა სულითა და აღივსებოდა სიბრძნითა, და მადლი ღმრთისაჲ იყო მის გედა.
41. და აღმოვიდიან მამა-დედანი მისნი წლითი წლად იერუსალჱმდ დღესასწაულსა მას პასექისასა.
42. და იყო რაჲ იგი ათორმეტის წლის, აღმოვიდეს იგინი იერუსალჱმდ, ვითარცა ჩუეულ იყვნეს, დღესასწაულსა მას.
43. და აღასრულნეს დღენი იგი, და წარსლვასა მას მათსა დაშთა იესუ ყრმაჲ იერუსალჱმს, და არა უწყოდეს იოსებ და დედამან მისმან,
44. ჰგონებდეს მისა, ვითარმედ მოგზაურთა თანა არს იგი. და მოვიდეს დღისა ერთისა გზასა და ეძიებდეს მას ნათესავთა შორის და მეცნიერთა
45. და არა პოეს იგი. და მოიქცეს იგინი იერუსალჱმდვე და ეძიებდეს მას.
46. და იყო შემდგომად სამისა დღისა პოეს იგი ტაძარსა მას შინა მჯდომარე შორის მოძღუართა, ისმენდა მათსა და ჰკითხვიდა მათ.
47. განუკჳრდებოდა მათ ყოველთა, რომელთა ესმოდა მისი გულისჴმის-ყოფაჲ იგი და სიტყჳს-მიგებაჲ მისი.
48. და იხილეს იგი და განუკჳრდა. ჰრქუა მას დედამან მისმან: შვილო, რაჲ ესე მიყავე ჩუენ ესრეთ? აჰა ესერა მე და მამაჲ შენი ერორინებთ და გეძიებთ შენ.
49. და მან ჰრქუა მათ: და რაჲსა მეძიებთ მე? არა უწყითა, რამეთუ მამისა ჩემისა თანა ჯერ-არს ჩემი ყოფაჲ?
50. და მათ ვერ გულისჴმა-ყვეს სიტყუაჲ იგი, რომელი ჰრქუა მათ.
51. და წარვიდა მათ თანა და მოვიდა ნაზარეთად და იყო დამორჩილებულ მათდა. ხოლო დედასა მისსა დაემარხნეს ყოველნი ესე სიტყუანი გულსა თჳსსა.
52. და იესუ წარემატებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა და მადლითა წინაშე ღმრთისა და კაცთა.

3

1. წელსა მეათხუთმეტესა ტიბერიის კეისრისასა, მთავრობასა პონტიელისა პილატესსა ჰურიასტანს, და მეოთხედ მთავრობასა გალილეას ჰეროდესსა, ხოლო ფილიპეს, ძმისა მისისა მეოთხედ მთავრობასა იტურე-

ას და ტრაქონელთა სოფელსა, და ლჯსანისსა მეოთხედ მთავრობასა აბილინესა,
2. მღდელთ-მოძღურებასა ანნაჲსსა და კაიაფაჲსსა იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იოვანეს მიმართ, ძისა ზაქარიაჲსა, უდაბნოს.
3. და მოჰველიდა ყოველსა მას გარემო სოფლებსა იორდანისასა და ქადაგებდა ნათლის-ცემასა სინანულისასა მისატევებელად ცოდვათა.
4. ვითარცა წერილ არს წიგნსა მას სიტყუათა ესაია წინაწარმეტყუელისათა და იტყჳს: კმაჲ ღაღადებისაჲ უდაბნოსა: განჰმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი.
5. ყოველი კევნები აღმოივსოს, და ყოველნი მთანი და ბორცუნი დამდაბლდენ; და იყოს გულარძნილი იგი მართალ და ფიცხელი იგი გზად წრფელად.
6. და იხილოს ყოველმან კორციელმან მაცხოვარებაჲ ღმრთისაჲ.
7. და ეტყოდა განმავალსა მას მისა ერსა ნათლის-ღებად მისგან: ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლაჲ მერმისა მისგან რისხვისა?
8. ყავთ უკუე აწ ნაყოფი, ღირსი სინანულისაჲ, და ნუ ჰგონებთ და იტყჳთ გულთა თქუენთა: მამაჲ გჳვის ჩუენ აბრაჰამი. გეტყჳ თქუენ, რამეთუ ძალ-უც ღმერთსა აღდგინებად ქვათა ამათგან ნაშობად აბრაჰამისა.
9. რამეთუ აწვე ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს; ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას.
10. და ჰკითხვიდეს მას ერი იგი და ეტყოდეს: და რაჲ-მე უკუე ვყოთ?
11. მიუგო და ჰრქუა მათ: რომელსა აქუნდეს ორი სამოსელი, მიეცინ, რომელსა არა აქუნდეს; და საზრდელიცა ეგრეთვე მსგაჳსად ყავნ.
12. მოვიდეს მისა მეზუერენიცა ნათლის-ღებად და ჰრქუეს მას: მოძღუარ, ჩუენ რაჲ-მე ვყოთ?
13. ხოლო მან ჰრქუა მათ: ნურარას უფროჲს განწესებულისა თქუენისა იქმთ.
14. ჰკითხვიდეს მას მკედრად განწესებულნიცა იგი და ეტყოდეს: და ჩუენ რაჲ-მე ვყოთ? და მან ჰრქუა მათ: ნუვის აჰჩრევებთ, ნუცა ცილსა შესწამებთ და კმა-გეყავენ როჭიკი თქუენი.
15. და ვითარცა მოელოდა ერი იგი, და განიზრახვიდეს ყოველნი გულთა მათთა იოვანესთჳს, ნუუკუე იგი არს ქრისტე,
16. მიუგო ყოველთა იოვანე და ეტყოდა: მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა, ხოლო მოვალს უძლიერესი ჩემსა, რომლისა არა ვარ ღირს კამლთა მისთა ტჳრთვად; მან ნათელ-გცეს თქუენ სული-

თა წმიდითა და ცეცხლითა.
17. რომლისა ნიჩაბი კელთა შინა მისთა, განწმიდოს კალოჲ თჳსი და შეკრიბოს იფქლი საუნჯესა თჳსსა, ხოლო ბზე დაწუას ცეცხლითა უშრეტითა.
18. და ფრიად სხუასაცა მრავალსა ჰლოცვიდა და ახარებდა ერსა მას.
19. ხოლო ჰეროდე, ოთხთა სამთავროთა მთავარმან, რამეთუ ამხილებდა მას ჰეროდიაჲსთჳს, ცოლისა ფილიპეს, ძმისა მისისა, და ყოელისა მისთჳს, რომელი ქმნა ბოროტი ჰეროდე,
20. შესძინა ესეცა მას ყოველსა ზედა და შეაყენა იოვანე საპყრობილესა.
21. და იყო ნათლის-ღებასა მას ყოელისა ერისასა და იესუცა ნათელ-იღო და ილოცვიდა; და განეხუნეს ცანი,
22. და გარდამოჴდა სული წმიდაჲ კორციელითა ხილვითა, ვითარცა ტრედი, მის ზედა; და ჴმაჲ იყო ზეცით და თქუა: შენ ხარ ძე ჩემი საყუარელი, შენ სათნო-გიყავ.
23. და თავადსა იესუს ეწყო ოდენ ყოფად მეოცდაათესა წელსა, რომელი საგონებელ იყო ძედ იოსებისა, ელისა,
24. მატათანისა, ლევისა, მელქისა, იანესა, იოსებისა,
25. მატათისა, ამოსისა, ნაომისა, ესლისა, ნაგესა,
26. მაათისა, მატათისა, სემისა, იოსებისა, იუდაჲსა,
27. იონანისა, რესაჲსა, ზორობაბელისა, სალათიელისა, ნერისა,
28. მელქისა, ადდისა, კოსამისა, ელმოდადისა, ერისა,
29. იოსისა, ელიეზერისა, იორამისა, მატტათისა, ლევისა,
30. სჳმეონისა, იუდაჲსა, იოსებისა, იონანისა, ელიაკიმისა,
31. მელეაჲსა, მაინანისა, მატათანისა, ნათანისა, დავითისა,
32. იესესა, იობედისა, ბოოსისა, სალმუნისა, ნაასონისა,
33. ამინადაბისა, არამისა, ესრომისა, ფარეზისა, იუდაჲსა,
34. იაკობისა, ისაკისა, აბრაჰამისა, თარაჲსა, ნაქორისა,
35. სერუქისა, რაგაუისა, ფალეგისა, ებერისა, სალაჲსა,
36. კაინანისა, არფაქსადისა, სემისა, ნოესა, ლამექისა,
37. მათუსალაჲსა, ენუქისა, იარედისა, მალელეილისა, კაინანისა,
38. ენოსისა, სეითისა, ადამისა და ღმრთისა.

4

1. ხოლო იესუ, სავსე სულითა წმიდითა, მოიქცა იორდანით, და მოჰყვანდა სულსა უდაბნოდ.
2. და ორმეოც ღღე გამოიცადებოდა ეშმაკისაგან და არარაჲ ჭამა მათ ღღეთა შინა. და აღ-რაჲ-ესრულნეს ღღენი იგი, შეემშია.
3. და ჰრქუა მას ეშმაკმან მან:

უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, არქუ ქვათა ამათ, რაჲთა იქმნენ პურ.
4. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: წერილ არს: არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოველითა სიტყჳთა ღმრთისაჲთა.
5. და აღიყვანა იგი მთასა მაღალსა და უჩუენნა მას ყოველნი სუფევანი სოფლისანი გამოხატვითა ჟამთაჲთა.
6. და ჰრქუა მას ეშმაკმან მან: შენ მიგცე ამის ყოველისა კელმწიფებაჲ და დიდებაჲ მათი, რამეთუ ჩემდა მოცემულ არს, და რომლისა მინდეს, მივსცე იგი;
7. უკუეთუ შენ თაყუანის-მცე ჩემ წინაშე, იყოს შენდა ესე ყოველი.
8. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: წარვედ მართლუკუნ ჩემგან, ეშმაკო; წერილ არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე.
9. და მოიყვანა იგი იერუსალჵმდ და დააღგინა იგი ფრთესა მას ზედა მის ტაძრისასა და ჰრქუა მას: უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, გარდაიგდე თავი შენი ამიერ ქუეყანად,
10. რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: ანგელოზთა მისთაჲსა უბრძანებიეს შენთჳს დაცვად შენდა,
11. კელთა მათთა ზედა აღგიპყრან შენ, ნუსაჲდა წარსცე ქვასა ფერკი შენი.
12. მიუგო იესუ და ჰრქუა მას, რამეთუ: თქუმულ არს: არა განსცადო უფალი ღმერთი შენი.
13. და აღასრულნა ყოველნი განსაცდელნი ეშმაკმან მან და განეშორა მას ვიდრე ჟამადმდე.
14. და მოიქცა იესუ ძალითა სულისა წმიდისაჲთა გალილეად; და ჰამბავი განჴდა მისთჳს ყოველსა მას გარემო სოფლებსა.
15. და იგი თავადი ასწავებდა შესაკრებელთა მათთა და იდიდებოდა ყოველთაგან.
16. და მოვიდა ნაზარეთად, სადაცა აღზრდილ იყო, და შევიდა, ვითარცა ჩუეულ იყო იგი, დღესა შაბათსა შესაკრებელსა მათსა.
17. და მოსცეს მას წიგნი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ, და აღდგა კითხვად და განყო წიგნი იგი და პოვა ადგილი, რომელსა წერილ იყო:
18. სული უფლისაჲ ჩემ ზედა, რომლისათჳს მცხო მე მახარებელად გლახაკთა, მომავლინა მე განკურნებად შემუსრვილთა გულითა, ქადაგებად ტყუეთა განტევებისა და ბრმათა ახილვად, განვლინებად მომსრვალთა განტევებითა,
19. და ქადაგებად წელიწადი უფლისაჲ შეწყნარებული.
20. და შეყო წიგნი იგი და მისცა მსახურსა და დაჯდა; და თუ-

ალნი ყოვლისა კრებულისანი მას ხედვიდეს.
21. და იწყო სიტყუად მათა, ვითარმედ: დღეს აღესრულა წერილი ესე ყურთა მომართ თქუენთა.
22. და ყოველნი ეწამებოდეს მას და უკჳრდა სიტყუათა ამათ ზედა მისთა მადლისათა, რომელნი გამოვიდოდეს პირისაგან მისისა, და იტყოდეს: ანუ არა ესე არსა ძე იოსებისი?
23. და თავადმან ჰრქუა მათ: მრქუათ სამე იგავი ესე: მკურნალო, განიკურნე თავი შენი. და ჰრქუეს მას: რაოდენი გუესმა საქმე კაპერნაუმს, ქმენ აქაცა, მამულსა შენსა.
24. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ არავინ წინაწარმეტყუელი შეწყნარებულ არს თჳსსა მამულსა.
25. ხოლო ჭეშმარიტად გეტყჳ თქუენ, რამეთუ მრავალნი ქურიენი იყვნეს დღეთა მათ ელიაჲსთა ისრაჱლსა შორის, ოდეს-იგი დაეკშა ცაჲ სამ წელ და ექუს თუე, რაჟამს-იგი იყო სიყმილი დიდი ყოველსა ქუეყანასა.
26. და არავისა მათგანისა მიიველინა ელია, გარნა სარეფთად, სიდონისა, დედაკაცისა ქურიესა.
27. და მრავალნი კეთროვანნი იყვნეს ისრაჱლსა შორის ელისეს ზე, წინაწარმეტყუელისა, და არავინ მათგანი განიკურნა, გარნა ნემან ასური.
28. და აღივსნეს ყოველნი გულის-წყრომითა, რომელნი-იგი იყვნეს შესაკრებელსა მას შინა, ესმოდა რაჲ ესე.
29. და აღდგეს და განაძეს იგი გარეშე ქალაქისა მისგან და მოიყვანეს იგი ვიდრე წუერადმდე მის მთისა, რომელსა ზედა ქალაქი იგი მათი დაშენებულ იყო, რაჲთა გარდააგდონ იგი.
30. ხოლო თავადმან განვლო შორის მათსა და წარვიდა.
31. და შთავიდა კაპერნაუმდ, ქალაქსა გალილეაჲსასა, და ასწავებდა მათ შაბათსა შინა.
32. და უკჳრდა მოძღურებაჲ იგი მისი, რამეთუ კელმწიფებით იყო სიტყუაჲ იგი მისი.
33. და იყო შესაკრებელსა მათსა კაცი, რომლისა თანა იყო სული არაწმიდაჲ, და ღაღატ-ყო კმითა დიდითა:
34. ეჰა, რაჲ არს ჩუენი და შენი, იესუ ნაზარეველო? მოხუედ წარწყმედად ჩუენდა; გიცი შენ, ვინ ხარ, წმიდაჲ ეგე ღმრთისაჲ.
35. და შეჰრისხნა მას იესუ და ჰრქუა: პირი დაიყავ და განვედ მაგისგან! და დასცა იგი შორის მათსა ეშმაკმან მან და განვიდა მისგან და არაჲ ავნო მას.
36. და იყო განკჳრვებაჲ მათ ყოველთა ზედა და ზრახვიდეს ურთიერთას და იტყოდეს: რაჲ

არს სიტყუაჲ ესე, რამეთუ ჴელმწიფებითა და ძალითა უბრძანებს სულთა არაწმიდათა, და განვლენ?
37. და მიმოეფინებოდა ჰამბავი მისთჳს ყოველთა მათ ადგილთა გარემო მის სოფლებისათა.
38. და აღდგა მის კრებულისაგან და შევიდა სახლსა სიმონისსა; ხოლო სიდედრი სიმონისი შეპყრობილ იყო სიცხითა დიდითა. და უთხრეს მას მისთჳს.
39. და დაადგა მას ზედა და შეპრისსნა სიცხესა მას. და მეყსეულად დაუტევა იგი, და აღდგა და ჰმსახურებდა მათ.
40. და დასლეასა ოდენ მზისასა ყოველთა რაოდენთა აქუნდა უძლურები თითო-სახეთაგან სენთა, მოიყვანნეს მისა. ხოლო თავადმან კაცად-კაცადსა მათსა დასდვა ჴელი და განკურნა იგინი.
41. და განვიდოდეს ეშმაკნი მრავალთაგან, ღაღადებდეს და იტყოდეს, ვითარმედ: შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ. და არა უტევებდა მათ სიტყუად, რამეთუ იცოდეს, ვითარმედ იგი არს ქრისტე.
42. და ვითარცა განთენა, გამოვიდა მიერ და წარვიდა უდაბნოსა ადგილსა, და ერი იგი ეძიებდა მას და მოვიდეს მისა და იყენებდეს მას, რაჲთამცა არა წარვიდა მათგან.
43. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ, ვითარმედ: სხუათაცა ქალაქთა ჯერ-არს ჩემდა ხარებად სასუფეველი ღმრთისაჲ, რამეთუ ამისთჳს მოვიველინე.
44. და ქადაგებდა ყოველთა შესაკრებელთა გალილეაჲსათა.

5

1. და იყო ვითარ ერი იგი დაესხმოდა მას სმენად სიტყუასა ღმრთისასა, და თავადი დგა კიდესა თანა ტბისა მის გენესარეთისასა.
2. და იხილნა ორნი ნავნი, მდგომარენი კიდესა მის ტბისასა, ხოლო მესათხეველნი იგი გამოვიდეს ნავისა მისგან და განჰრცხიდეს ბადეთა.
3. და შევიდა ერთსა მას ნავსა, რომელი იყო სიმონისი, და უბრძანა მათ ქუეყანით შე-რე-დგინებაჲ მცირედ და დაჯდა და ასწავებდა ნავით გამო ერსა მას.
4. და ვითარცა დასცხრა სიტყუად, ჰრქუა სიმონს: შეავლინე ღრმად და სდევით ბადე თქუენი ნადირობად.
5. მიუგო სიმონ და ჰრქუა: მოძღუარ, ღამე ყოველ დავშუერით და არარაჲ მოვიღეთ, ხოლო სიტყჳთა შენითა გარდაუტეოთ ბადე.
6. და ესე რაჲ ყვეს, შეაყენეს თევზისა სიმრავლე დიდი, და განსთქდებოდეს ბადენი მათნი.

7. და წამს-უყოფდეს, რომელნი-
-იგი იყვნეს ერთსა მას ნავსა,
რაჲთა მოვიდენ და შეეწინენ
მათ. და მოვიდეს და აღავსნეს
ორნივე იგი ნავნი, ვიდრემდე
დაინთქმოდეს იგინი.
8. და ვითარცა იხილა სიმონ-
-პეტრე, შეუვრდა მუკლთა იე-
სუჲსთა და ჰრქუა მას: განვედ
ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი
ვარ, უფალო.
9. რამეთუ განკჳრვებამან შეი-
პყრა იგი და ყოველნი მისთანა-
ნი ნადირობასა მას თევზისასა,
რომელი შეაყენეს.
10. ეგრეთვე იაკობ და იოვანე,
ძენი ზებედესნი, რომელნი იყ-
ვნეს ზიარნი სიმონისნი. და იე-
სუ ჰრქუა სიმონს: ნუ გეშინინ,
სიმონ! ამიერითგან იყო კაცთა
მონადირე.
11. და გამოადგინეს ნავი იგი
ქუეყანად და დაუტევეს ყოველი
და მისდევდეს მას.
12. და იყო ვითარცა შევიდა იგი
ერთსა ქალაქთაგანსა, და აჰა
კაცი სავსე კეთროვნებითა. ვი-
თარცა იხილა მან იესუ, დავარ-
და პირსა ზედა თჳსსა, ეევედ-
რებოდა მას და ეტყოდა: უფა-
ლო, უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც
განკურნებად ჩემდა,
13. და განყო კელი, შეახო მას
და ჰრქუა: მნებავს, განწმიდენი!
და მეყსეულად განეშორა კეთ-
როვნებაჲ იგი მისგან.
14. და თავადმან ამცნო მას,
რაჲთა არავის უთხრას, არა-
მედ: წარვედ და უჩუენე თავი
შენი მღდელსა და შეწირე გან-
წმედისა შენისათჳს, ვითარცა
უბრძანა მოსე, საწამებელად
მათა.
15. და უფროჲსად მიმოედებო-
და მისთჳს სიტყუაჲ იგი. და
შეკრბებოდა ერი მრავალი სმე-
ნად და განკურნებად უძლურე-
ბათა მათთაგან მის მიერ.
16. ხოლო თავადი განეშორის
უდაბნოდ და ილოცავნ.
17. და იყო ერთსა შინა დღესა,
და თავადი იესუ ასწავებდა
მათ. და სხდეს მუნ ფარისეველ-
ნი და სჯულის-მოძღუარნი, რო-
მელნი მოსრულ იყვნეს ყოე-
ლისაგან დაბნებისა გალილეაჲ-
სა და ჰურიასტანისა და იერუ-
სალჱმისა, და ძალი ღმრთისაჲ
იყო განკურნებად მათდა.
18. და აჰა ესერა კაცთა მოაქუნ-
და ცხედრითა კაცი, რომელი
იყო განრღუეულ, და უნდა შე-
ღებაჲ მისი და დადგმაჲ წინაშე
მისა.
19. და ვერ პოეს, ვინაჲმცა შეი-
ღეს იგი ერისა მისგან; აღკდეს
ერდოსა ზედა და აღიღეს კეცი
და შთაუტევეს კაცი იგი ცხედ-
რითურთ წინაშე იესუჲსა.
20. და იხილა რაჲ სარწმუნოე-
ბაჲ მათი, ჰრქუა მას: კაცო, მი-
გეტევნენ ცოდვანი შენნი.
21. და იწყეს განმრახვად მწიგ-
ნობართა მათ და ფარისეველ-

თა და იტყოდეს: ვინ არს ესე, რომელი იტყჳს გმობასა? ვის კელ-ეწიფების მიტევებაჲ ცოდვათაჲ, გარნა მხოლოსა ღმერთსა?
22. გულისკმა-ყვნა იესუ გულის-ზრახვანი მათნი, მიუგო და ჰრქუა მათ: რასა ეგრე ჰზრახავთ გულთა თქუენთა?
23. რაჲ უადვილეს არს სიტყუად: მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი, ანუ რქუმად: აღდეგ და ვიდოდე?
24. არამედ რაჲთა უწყოდით, რამეთუ კელმწიფებაჲ აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა, და ჰრქუა განრღუეულსა მას: შენ გეტყჳ, აღდეგ და აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახედ შენდა!
25. და მეყსეულად აღდგა წინაშე მათსა და აღიღო ცხედარი, რომელსა ზედა იდვა, და წარვიდა სახედ თჳსა და ადიდებდა ღმერთსა.
26. განკჳრვებამან შეიპყრნა ყოველნი და ადიდებდეს ღმერთსა. და შიში დაეცა მათ ზედა და იტყოდეს, რამეთუ: ვიხილეთ უდიდებულესი დიდებაჲ დღეს.
27. და ამისა შემდგომად გამოვიდა და იხილა მეზუერე, სახელით ლევი, მჯდომარე საზუერესა ზედა, და ჰრქუა მას: მომდევდი მე.
28. და მან დაუტევა ყოველი და აღდგა და მისდევდა მას.
29. და დაუმზადა ლევი პური დიდი იესუს სახლსა შინა თჳსა. და იყო კრებული დიდი მეზუერეთაჲ და სხუათაჲ, რომელნი იყენეს მათ თანა ინაკით-მსხდომარენი.
30. და დრტჳნვიდეს ფარისეველნი და მწიგნობარნი მათნი მოწაფეთა მისთა თანა და იტყოდეს: რაჲსათჳს მეზუერეთა და ცოდვილთა თანა სჭამთ და ჰსუამთ?
31. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა უკმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ რომელნი ბოროტსა სენსა შინა არიან.
32. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა, რაჲთა შეინანონ.
33. ხოლო მათ ჰრქუეს მას: რაჲსათჳს მოწაფენი იოვანესნი იმარხვენ ზედაჲს-ზედა და ევედრებასა ჰყოფენ, და ეგრეთვე ფარისეველთანი, ხოლო მოწაფენი შენნი ჭამენ და სუმენ?
34. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ნუუკუე კელ-ეწიფების ძეთა სიძისათა, ვიდრემდე სიძე მათ თანა არს, რაჲთა ამარხვებდეს მათ?
35. ხოლო მოელენან დღენი, და ოდეს ამაღლდეს მათგან სიძე იგი, მაშინ იმარხვიდენ მათ დღეთა შინა.
36. და ეტყოდა მათ იგავითცა, ვითარმედ: არავინ სადგმელი სამოსლისა ახლისაჲ დაადგის სამოსელსა ძუელსა, რაჲთა არა

ახალიცა იგი განაპოს; და ძუელსა მას ვერ შეჰგავს სადგმელი ახლისა სამოსლისაჲ.
37. და არავინ შთაასხის ღუნოჲ ახალი თხიერთა ძუელთა, რაჲთა არა განხეთქნეს ღუნომან ახალმან თხიერნი იგი, და ღუნოჲ დაითხიოს, და თხიერნი წარწყმდენ.
38. არამედ ღუნოჲ ახალი თხიერთა ახალთა ჯერ-არს შთასხმად, და ორნივე დაიმარხნენ.
39. და არავინ სუამნ ღუნოსა ძუელსა და მეყსეულად ჰნებავნ ახალი, რამეთუ თქუს: ძუელი უმჯობეს არს.

6

1. და იყო შაბათსა მეორე-პირველსა და განვიდოდა თავადი თესულისაგან ყანისა. ხოლო მოწაფენი მისნი მოსჭრიდეს თავსა კუვილისასა, მუსრვიდეს ქელითა და ჭამდეს.
2. ხოლო რომელთამე ფარისეველთა ჰრქუეს მათ: რაჲსა ჰზამთ შაბათსა შინა, რომელი არა ჯერ-არს?
3. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არცაღა ესე აღმოგიკითხავსა, რომელ-იგი ყო დავით, ოდეს-იგი შეემშია მას და მისთანათა,
4. ვითარ-იგი შევიდა ტაძარსა ღმრთისასა და პურნი იგი შესაწირავისანი შეჭამნა და სცა მისთანათაცა, რომელთაჲ არა ჯერ-არს ჭამაჲ, გარნა მღდელთაჲ ხოლო?
5. და ეტყოდა მათ: უფალ არს ძე კაცისაჲ შაბათისაცა.
6. და იყო სხუასაცა შაბათსა, და შთავიდა თავადი შესაკრებელსა მათსა და ასწავებდა მათ. და იყო მუნ კაცი, რომელსა ქელი მისი მარჯუენე განქმელ ედგა.
7. უმზირდეს მას მწიგნობარნი და ფარისეველნი, უკუეთუმცა შაბათსა განკურნა, რაჲთა პოონ, ვითარმცა შეასმინეს იგი.
8. ხოლო თავადმან იცნოდა გრახვანი მათნი და ჰრქუა კაცსა მას, რომელსა ქელი განქმელ ედგა: აღდეგ და წარმოდეგ შორის! ხოლო იგი აღდგა და დადგა შორის.
9. და იესუ ჰრქუა მათ: გკითხო თქუენ სიტყუაჲ: რაჲ ჯერ-არს შაბათსა: კეთილისა საქმე ანუ ბოროტისა ყოფაჲ? სულისა ცხორებაჲ ანუ მოკლვაჲ?
10. და მიხედა მათ ყოველთა და ჰრქუა კაცსა მას: განირთხ ქელი შენი! ხოლო მან განირთხა, და მოეგო ქელი მისი, ვითარცა სხუაჲ იგი.
11. ხოლო იგინი აღივსნეს მანკიერებითა და განიზრახვიდეს ურთიერთას, უკუეთუმცა უყვეს რაჲ იესუს.
12. და იყო მათ დღეთა შინა და განვიდა თავადი მთად კერძო ლოცვად და ღამესა ათევდა ლოცვითა ღმრთისა მიმართ.
13. და ვითარცა განთენა დღე,

მოუწოდა მოწაფეთა თჳსთა და გამოირჩინა ათორმეტნი მათგანნი, რომელთაცა მოციქულად უწოდა:
14. სიმონ, რომელსა უწოდა პეტრე, და ანდრეა, ძმაჲ მისი, იაკობ და იოვანე, ფილიპე და ბართლომე,
15. მატთეოს და თომა და იაკობ ალფესი და სიმონ, რომელსა ერქუა მოშურნე,
16. და იუდა იაკობისი და იუდა ისკარიოტელი, რომელი-იგი იქმნა განმცემელ.
17. და გარდამოვიდა მათ თანა და დადგა ადგილსა ველსა, და ერი იგი მოწაფეთა მისთაჲ, და სხჳსა ერისა სიმრავლე ფრიადი ჰურიასტანით და იერუსალჵმით და ზღჳს-კიდისაჲ, ტჳროსით და სიდონით,
18. რომელნი მოსრულ იყვნეს სმენად მისგან და განკურნებად სნეულებათაგან მათთა; და ურეილნი იგი სულთაგან არაწმიდათა განიკურნებოდეს.
19. და ყოველი იგი ერი ეძიებდა შეახლებად მისა, რამეთუ ძალნი გამოვიდოდეს მისგან და განჰკურნებდეს ყოველთა.
20. და თავადმან აღიხილნა თუალნი მისნი მოწაფეთა მიმართ და ეტყოდა: ნეტარ ხართ გლახაკნი სულითა, რამეთუ თქუენი არს სასუფეველი ღმრთისაჲ;
21. ნეტარ ხართ თქუენ, რომელთა გშიის აწ, რამეთუ განსძღეთ; ნეტარ ხართ, რომელნი სტირთ აწ, რამეთუ იცინოდით;
22. ნეტარ იყვნეთ, რაჟამს მოგიძულნენ თქუენ კაცთა და ოდეს გამოგასხნენ თქუენ და გაყუედრებდენ და განჯადონ სახელი თქუენი, ვითარცა ბოროტთაჲ, ძისათჳს კაცისა.
23. გიხაროდენ მას დღესა შინა და მხიარულ იყვენით, რამეთუ აჰა ესერა სასყიდელი თქუენი მრავალ არს ცათა შინა, რამეთუ ესრეთვე უყოფდეს წინაწარმეტყუელთა მამანი მათნი.
24. ხოლო ვაჲ თქუენდა, მდიდარნო, რამეთუ მიგიღებიეს ნუგეშინის-ცემაჲ თქუენი.
25. ვაჲ თქუენდა, განმაძღარნო აწ, რამეთუ გშიოდის; ვაჲ თქუენდა, რომელნი იცინით აწ, რამეთუ იგლოვდეთ და სტიროდით.
26. ვაჲ თქუენდა, რაჟამს კეთილსა გეტყოდიან თქუენ კაცნი, რამეთუ ეგრეთვე უყოფდეს ცრუ-წინაწარმეტყუელთა მამანი მათნი.
27. არამედ თქუენ გეტყჳ, რომელთა-ეგე გესმის: გიყუარდედ მტერნი თქუენნი და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა.
28. და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და ილოცევდით მათთჳს, რომელნი გმძლაერობდენ თქუენ.
29. რომელმან გცეს ყურიმალსა შენსა, მიუპყარ ერთკერძოჲცა;

და რომელი მიგიღებდეს შენ სამოსელსა შენსა, კუართსაცა შენსა ნუ აყენებ.
30. ყოველი რომელი გთხოვდეს, მიეც; და რომელი მიგიღებდეს შენ, ნუ მოჰკდი.
31. და ვითარცა-იგი თქუენ გნებავს, რაჲთა გიყონ კაცთა, და თქუენცა ეგრეთვე მსგავსად უყოფდით მათ.
32. და უკუეთუ გიყუარდენ თქუენ მოყუარენი თქუენნი, რაჲ არს მადლი თქუენდა? რამეთუ ცოდვილნიცა მოყუარეთა მათთა ჰყუარობენ.
33. და უკუეთუ კეთილის-მყოფელთა თქუენთა კეთილსა უყოფდეთ, რომელი მადლი არს თქუენდა? რამეთუ ცოდვილნიცა ამას ჰყოფენ.
34. და უკუეთუ ავასხებდეთ მათ, რომელთაგან ესავთ კუალად მოღებასა, რომელი მადლი არს თქუენდა? რამეთუ ცოდვილნიცა ცოდვილთა ავასხებენ, რაჲთა მოიღონ სწორი.
35. ხოლო თქუენ გიყუარდედ მტერნი თქუენნი და კეთილსა უყოფდით და ავასხებდით და ნურარას უსასო ჰყოფთ, და იყოს სასყიდელი თქუენი მრავალ, და იყვნეთ ძე მაღლის, რამეთუ იგი თავადი ტკბილ არს უმადლოთათჳსცა და უკეთურთა.
36. იყვენით თქუენ მოწყალე, ვითარცა მამაჲ თქუენი მოწყალე არს.
37. ნუ განიკითხავთ და არა განიკითხნეთ; და ნუ დასჯით და არა დაისაჯნეთ; მიუტევეთ და მოგეტევნენ.
38. მიეცით, და მოგეცეს თქუენ. საწყაული კეთილი და შეხრილი და დატენილი და ზედაგარდათხეული მოგცენ წიაღთა თქუენთა; მითვე საწყაულითა, რომლითა მიუწყოთ, კუალად მოგეწყოს თქუენ.
39. ეტყოდა მათ იგავსაცა: ნუ კელ-ეწიფების ბრმასა ბრმისა წინა-ძღუანებად? არა-მეა ორნივე ჯურღმულსა შთაცჳენ?
40. არა არს მოწაფე უფროჲს მოძღურისა თჳსისა, ხოლო განკრძალული იგი ყოველი იყაენ, ვითარცა მოძღუარი თჳსი.
41. რაჲსა ჰხედავ წუელსა თუალსა შინა ძმისა შენისასა და ჯრესა თუალსა შინა თჳსსა არა განიცდი?
42. ანუ ვითარ კელ-გეწიფების რქუმად ძმასა შენსა: ძმაო, მიტევე, და აღმოგიღო წუელი თუალისაგან შენისა, და შენ ჯრესა თუალსა შინა შენსა არა ხედავ? ორგულო, აღმოიღე პირველად ჯრე თუალისაგან შენისა და მერმე იხილო აღმოღებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა.
43. რამეთუ არა არს ხე კეთილი, რომელმან გამოიღოს ნაყოფი ხენეში; არცა კუალად ხე ხენეში,

რომელმან ყვის ნაყოფი კეთილი.
44. რამეთუ თითოეული ხჱ თჳსისაგან ნაყოფისა საცნაურ არნ; რამეთუ არა ეკალთაგან შეკრიბიან ლეღჳ, არცა მაყუალთაგან მოისთულიან ყურძენი.
45. კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გულისა თჳსისა გამოიღის კეთილი, და ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გულისა თჳსისა გამოიღის ბოროტი; რამეთუ ნამეტავისაგან გულისა იტყჳნ პირი მისი.
46. რაჲსა მეტყჳთ მე: უფალო, უფალო! და არა ჰყოფთ, რომელსა მე გეტყჳ თქუენ?
47. ყოველი რომელი მოვალს ჩემდა და ისმენს სიტყუათა ჩემთა და ჰყოფს მათ, გიჩუენო თქუენ, ვისა იყოს მსგავს.
48. მსგავს არს იგი კაცსა, რომელი აშენებს სახლსა, რომელმან მოთხარა და დააღრმო და დადვა საფუძველი კლდესა ზედა; და დიდროაჲ რაჲ იყო, ეკუეთა მდინარე იგი სახლსა მას და ვერ შეუძლო შეძრვად მისა, რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა.
49. ხოლო რომელმან ისმინა და არა ყოს, მსგავს არს იგი კაცსა, რომელმან აღაშენა სახლი მიწასა ზედა თჳნიერ საფუძველისა, რომელსა ეკუეთა მდინარე, და მეყსეულად დაეცა; და იყო დაცემაჲ სახლისაჲ მის დიდ.

7

1. და ვითარცა დაასრულნა იესუ სიტყუანი ესე სასმენელთა მიმართ ერისათა, შევიდა კაპერნაუმს.
2. და ასისთავისა ვისმე მონაჲ სნეულ იყო და მიახდა აღსრულებად, რომელი იყო მისა პატიოსან.
3. და ესმა მას იესუჲსთჳს და მიავლინნა მისა მოხუცებულნი ჰურიათანი ვედრებად მისა, რაჲთა მოვიდეს და განკურნოს მონაჲ იგი მისი.
4. ხოლო რომელნი იგი მიივიდეს იესუჲსა, ჰლოცვიდეს მას მსწრაფლ და ეტყოდეს, ვითარმედ: ღირს არს, რომელი-ესე ჰყო მისთჳს,
5. რამეთუ უყუარს ნათესავი ჩუენი და შესაკრებელი მან აღმიშენა ჩუენ.
6. და იესუ წარვიდა მათ თანა. ხოლო თავადი ვითარ მიახლებულ იყო სახლსა მას, მიუვლინა ასისთავმან მან მეგობარნი და ჰრქუა: უფალო, ნუ მოშურები, რამეთუ არა ვარ ღირს, რაჲთა სართულსა სახლისა ჩემისასა შემოხჳდე.
7. რომლისაგან არცა თავით ჩემით ღირს მიჩნდა მისლვად შენდა; არამედ სიტყჳთ ხოლო თქუ, და განიკურნოს მონაჲ ესე ჩემი.

8. რამეთუ მეცა კაცი ვარ კელ-
მწიფებასა ქუეშე განწესებული
და მქონან ჩემ ქუეშე ერისა-
-კაცნი; და ვჰრქჳ მას: წარვედ!
და წარვიდის; და სხუასა: მო-
ვედ! და მოვიდის; და მონასა
ჩემსა: ყავ ესე! და ყვის.
9. ხოლო ვითარცა ესმა ესე
იესუს, დაუკჳრდა სარწმუნოე-
ბაჲ მისი, მიექცა ერსა მას და
ჰრქუა: ამენ გეტყჳ თქუენ, არცა-
ღა ისრაჱლსა შორის ვპოვე
ესევითარი სარწმუნოებაჲ.
10. და მიიქცეს, რომელნი-იგი
მოსრულ იყვნეს, სახიდ მისა და
პოვეს მონაჲ იგი მისი ცოცხა-
ლი.
11. და იყო ამისა შემდგომად და
წარვიდოდა ქალაქად, რომელ-
სა ჰრქჳან ნაინ, და თანა-უვი-
დოდეს მას მოწაფენი მისნი და
ერი მრავალი.
12. და ვითარ მიეახლა ბჭეთა
ქალაქისათა, და აჰა ესერა გა-
მოაქუნდა მკუდარი, ძე მხოლოდ-
-მობილი დედისა თჳსისაჲ, და
იგი იყო ქურივ; და ერი მრავა-
ლი იყო ქალაქისაჲ მის თანა.
13. და იხილა დედაკაცი იგი
იესუ და შეეწყალა იგი და
ჰრქუა მას: ნუ სტირ!
14. და მივიდა ცხედარსა მას და
შეახო. ხოლო რომელთა აქუნ-
და ცხედარი იგი, დადგეს. და
ჰრქუა მას: ჭაბუკო, შენ გეტყჳ,
აღდეგ!
15. და მე წარმოჴდა მკუდარი
იგი და იწყო სიტყუად; და მისცა
იგი დედასა თჳსსა.
16. და შიში დაეცა მათ ყოველ-
თა მედა, და ადიდებდეს ღმერ-
თსა და იტყოდეს, ვითარმედ:
წინაწარმეტყუელი დიდი აღდ-
გომილ არს ჩუენ შორის, და
რამეთუ მოხედნა ღმერთმან
ერსა თჳსსა.
17. და განეფინა სიტყუაჲ ესე
ყოველსა ჰურიასტანსა მისთჳს
და ყოველსა მას გარემო სოფ-
ლებსა.
18. და უთხრეს იოვანეს მოწა-
ფეთა მისთა ამის ყოელისათჳს.
19. და მოუწოდა იოვანე ორთა
მოწაფეთა თჳსთა და მიავლინ-
ნა იესუჲსა და ჰრქუა: შენ ხარა
მომავალი, ანუ სხუასა მოვე-
ლოდით?
20. და მი-რაჲ-ვიდეს მისა კაცნი
იგი, ჰრქუეს: იოვანე ნათლის-
-მცემელმან მომავლინნა ჩუენ
შენდა და თქუა: შენ ხარა მომა-
ვალი, ანუ სხუასა მოველოდით?
21. მას ჟამსა შინა განკურნნა
მრავალნი სნეულებათაგან და
სალმობათა და სულთაგან უკე-
თურთა და მრავალთა ბრმათა
მიჰმადლა ხედვაჲ.
22. და მიუგო და ჰრქუა მათ
იესუ: მიეედით და უთხართ იო-
ვანეს, რაჲ-ესე იხილეთ და გეს-
მა: ბრმანი აღიხილვენ, მკელო-
ბელნი ვლენან, კეთროვანნი
განწმდებიან, ყრუთა ესმის, მკუ-
დარნი აღდგებიან, და გლახაკ-

თა ეხარების.
23. და ნეტარ იყოს, რომელი არა დაჰბრკოლდეს ჩემდა მომართ.
24. და ვითარცა წარვიდეს მოციქულნი იგი იოვანესნი, იწყო სიტყუად იესუ ერისა მის მიმართ იოვანესთჳს: რაჲსა გამოხუედით უდაბნოდ ხილვად? ლერწმისა, ქარისაგან შერყეულისა?
25. არამედ რაჲსა გამოხუედით ხილვად? კაცისა, სამოსლითა ჩჩჳლითა მოსილისა? აჰა ესერა რომელნი სამოსლითა დიდებულითა და საშუებლითა არიან, სამეუფოთა შინა არიან.
26. არამედ რაჲსა გამოხუედით სილვად? წინაწარმეტყუელისა? ჰე, გეტყჳ თქუენ, და უმეტეს წინაწარმეტყუელისა.
27. რამეთუ ესე არს, რომლისათჳს-იგი წერილ არს: აჰა ესერა მე წარვაელინო ანგელოზი ჩემი წინაშე პირსა შენსა, რომელმან განჰმზადნეს გზანი შენნი წინაშე შენსა.
28. რამეთუ გეტყჳ თქუენ: უფროჲსი შობილთა შორის დედათაჲსა იოვანე ნათლის-მცემელისა წინაწარმეტყუელი არავინ არს, ხოლო უმცირესი სასუფეველსა ღმრთისასა უფროჲს მისა არს.
29. და ყოველსა ერსა ესმა და მეზუერეთა, განამართლეს ღმერთი და ნათელ-იღეს ნათლის-ცემითა იოვანესითა.
30. ხოლო ფარისეველთა და სჯულის-მოძღუართა ზრახვაჲ ღმრთისაჲ შეურაცხ-ყვეს თავისა თჳსისა, რამეთუ არა ნათელ-იღეს მისგან.
31. ვის ვამსგავსნე კაცნი ამის ნათესავისანი, და ვისა არიან მსგავს?
32. მსგავს არიან ყრმათა, უბანთა ზედა მსხდომარეთა, რომელნი მოუწესედ მოყუასთა მათთა და ეტყჳენ: გისტჳნეედით თქუენ, და არა პროკეედით; გიგოდებდით თქუენ, და ჳრა სტიროდეთ.
33. რამეთუ მოვიდა იოვანე ნათლის-მცემელი, არცა ჭამდა პურსა, არცა სუმიდა ღჳნოსა, და იტყჳთ: ეშმაკეულ არს.
34. მოვიდა ძე კაცისაჲ, ჭამს და სუამს, და იტყჳთ: აჰა კაცი მჭამელი და მსუმელი ღჳნისაჲ და მეგობარი მეზუერეთა და ცოდვილთაჲ.
35. და განმართლდა სიბრძნე ყოველთაგან შვილთა თჳსთა.
36. ეველრებოდა ვინმე მას ფარისეველთაგანი, რაჲთა ჭამოს პური მის თანა; და შევიდა სახლსა მის ფარისეველისასა და დაჯდა.
37. და იყო დედაკაცი ვინმე ქალაქსა მას შინა, რომელი იყო ცოდვილ. ესმა, რამეთუ არს იგი სახლსა შინა მის ფარისეველისასა, მოიღო ალაბასტრი ნელ-

საცხებელისაჲ
38. და დაჲგა ფერჴთა თანა მისთა, ტიროდა და იწყო დალტობად ცრემლითა ფერჴთა მისთა და თმითა თავისა მისისაჲთა წარჰჴოცდა და ამბორს-უყოფდა ფერჴთა მისთა და სცხებდა ნელსაცხებელსა.
39. ვითარცა იხილა ფარისეველმან მან, რომელმანცა-იგი ხადა მას, თქუა გულსა თჳსსა: ესე უკუეთუმცა იყო წინაწარმეტყუელი, უწყოდამცა, ვინ და რაბამი დედაკაცი შეეხების მას, რამეთუ ცოდვილ არს.
40. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: სიმონ, მაქუს რაჲმე შენდა სიტყუად. ხოლო მან თქუა: მოძღუარ, იტყოდე!
41. და თქუა: ორნი თანამდებნი იყვნეს მასესხებელისა ვისნიმე: ერთსა თანა-ედვა ხუთასი დრაჰკანი, ხოლო ერთსა მას – ერგასისი.
42. და ვითარ არარაჲ აქუნდა მათ, ორთავე მიუტევა. აწ თქუ შენ: ვინ უფროჲს შეიყუაროს იგი?
43. მიუგო სიმონ და თქუა: მე ეგრე ვჰგონებ, ვითარმედ რომელსაცა-იგი უფროჲსი მიუტევა. ხოლო თავაღმან თქუა: სამართლად საჯე.
44. და მიექცა დედაკაცსა მას და სიმონს ეტყოდა: ხედავა ამას დედაკაცსა? შემოვედ სახლსა შენსა, წყალი ფერჴთა ჩემთა არა მეც, ხოლო ამან ცრემლითა დაალტენა ფერჴნი ჩემნი და თმითა თჳსითა წარჰჴოცნა;
45. ამბორის-ყოფაჲ არა მომეც მე, ხოლო ესე, ვინაჲთგან შემოვიდა, არა დასცხრების ამბორის-ყოფითა ფერჴთა ჩემთაჲთა;
46. ზეთი თავსა ჩემსა არა მცხე, ხოლო ამან ნელსაცხებელი სცხო ფერჴთა ჩემთა.
47. რომლისა მაღლისათჳს გეტყჳ შენ: მიეტევნენ მაგას ცოდვანი მაგისნი მრავალნი, რამეთუ შეიყუარა ფრიად. ხოლო რომელსა მცირედი მიეტეოს, მცირედცა შეიყუაროს.
48. და ჰრქუა მას: მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი!
49. და იწყეს თანა-მეინაკეთა მათ სიტყუად გულთა შინა მათთა: ვინ არს ესე, რომელი ცოდვათა მიუტევებს?
50. ჰრქუა დედაკაცსა მას: სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. გუალე, ვიდოდე მშჳდობით!

8

1. და იყო ამისა შემდგომად თავადი ვიდოდა ქალაქად-ქალაქად და დაბად-დაბად, ქადაგებდა და ახარებდა სასუფეველსა ღმრთისასა; და ათორმეტნი მოწაფენი მის თანა.
2. და დედანი ვინმე, რომელნი განკურნებულ იყვნეს სულთაგან არაწმიდათა და უძლურე-

ბათა: მარიამ, რომელსა ერქუა მაგდალენელი, რომლისაგან შჯდნი ეშმაკნი განსრულ იყვნეს,
3. იოანნა, ცოლი ქოზაჲსი, ეზოჲს-მოძღურისა ჰეროდესი, და სუსანნა და სხუანი მრაჳალნი, რომელნი ჰმსახურებდეს მას ნაყოფთაგან მათთა.
4. ხოლო რომელნი-იგი მის თანა იყვნეს ერნი მრაჳალნი და ქალაქად-ქალაქად რომელნი მოვიდოდეს მისა, ეტყოდა მათ იგავით:
5. გამოვიდა მთესვარი თესვად თესლისა თჳსისა; და თესვასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა გედა და დაითრგუნა, და მფრინველთა ცისათა შეჭამეს იგი.
6. და სხუაჲ დავარდა კლდესა გედა, აღმოსცენდა და განჴმა, რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისაჲ.
7. და რომელიმე დავარდა შორის ეკალთა; და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთევეს იგი.
8. და სხუაჲ დავარდა ქუეყანასა კეთილსა და აღმოსცენდა და ყო ნაყოფი ასი წილი. ამას ეტყოდა ჴმითა: რომელსა ასსენ ყურნი სმენად, ისმინენ.
9. ჰკითხვიდეს მას მოწაფენი მისნი, ვითარმედ: რაჲ არს იგავი ესე?
10. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ სასუფეველისა ღმრთისაჲ, ხოლო სხუათა – იგავით, რაჲთა ხედვიდენ და ვერ იხილონ და ესმოდის და ვერ გულისჴმა-ყონ.
11. ხოლო იგავი იგი ესე არს: თესლი იგი არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ.
12. ხოლო გზასა გედა იგინი არიან, რომელთა ესმის, მერმე მოვიდის ეშმაკი და მოუღის სიტყუაჲ იგი გულისაგან მათისა, რაჲთა არა ჰრწმენეს და ცხონდენ.
13. ხოლო რომელ-იგი კლდესა გედა, – რომელთა-იგი რაჟამს ისმინიან, სიხარულით შეიწყნარიან სიტყუაჲ იგი, და ამათ ძირი არა უბნ, რომელთა-იგი ჟამ ერთ ჰრწამნ და ჟამსა განსაცდელისასა განდგიან.
14. ხოლო რომელი-იგი ეკალთა შინა დავარდა, ესე არიან, რომელთა ისმინიან სიტყუაჲ და გრუნვისაგან და სიმდიდრისა და გემოთაგან ამის სოფლისათა ვლენედ და შეაშთვიან და არა ნაყოფიერ იქმნიან.
15. ხოლო რომელი-იგი კეთილსა ქუეყანასა დაეთესა, ესე არიან, რომელთა გულითა კეთილითა და სახიერითა ისმინიან სიტყუაჲ და შეიკრძალიან და ნაყოფი გამოიღიან მოთმინებითა.
16. არავინ სანთელი აღანთის და დაფარის ჭურჭლითა, გინა

ქუეშე ცხედარსა შედგიან, არამედ სასანთლესა გედა დადგიან, რაჲთა შემავალნი იგი ნათელსა ხედვიდენ.
17. რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს,არცა საიდუმლოჲ, რომელი არა საცნაურ იყოს და ცხადად მოვიდეს.
18. იხილეთ უკუე, ვითარ-ეგე ისმენთ: რომელსა აქუნდეს, მიეცეს მას, და რომელსა არა აქუნდეს,და რომელღა-იგი ჰგონიეს, ვითარმედ აქუს, მო-ვე-ეღოს მას.
19. მოვიდეს მისა დედაჲ და ძმანი მისნი და ვერ ეძლო შემთხუევად მისა ერისა მისგან.
20. უთხრეს მას და ეტყოდეს: დედაჲ შენი და ძმანი შენნი გარე დგანან და ხილვაჲ შენი ჰნებავს.
21. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: დედაჲ ჩემი და ძმანი ჩემნი ესე არიან, რომელთა სიტყუაჲ ღმრთისაჲ ისმინონ და ყონ იგი.
22. და იყო ერთსა შინა ღღესა და თავადი შევიდა ნავსა, და მოწაფენი მისნი მის თანა, და ჰრქუა მათ: განვიდეთ წიაღკერძო ტბასა მას; და აღვიდეს.
23. და მი-რაჲ-ვიდოდეს იგინი ნავითა, მიეძინა. და გარდამოჯდა არმური ქარისაჲ ტბასა მას ზედა, და აღივსებოდა ნავი იგი, და იურვოდეს.
24. და მოვიდეს და განაღჳძეს და ეტყოდეს: მოძღუარ, მოძღუარ, წარვწყმდებით. ხოლო თავადი აღდგა და შეჰრისხნა ქარსა მას და ღელვასა წყალთასა; და დასცხრეს და იყო დაყუდებაჲ დიდი.
25. და ჰრქუა მათ: სადა არს სარწმუნოებაჲ თქუენი? ხოლო მათ შეეშინა და დაუკჳრდა და იტყოდეს ურთიერთას: ვინ-მე არს ესე, რამეთუ ქართაცა უბრძანებს და წყალთა, და ერჩიან მას?
26. და განვიდეს სოფელსა მას გადარინელთასა, რომელ არს წიაღკერძო გალილეასა.
27. და ვითარცა განვიდეს იგინი ქუეყანად, მო-ვინმე-ეგებეოდა კაცი ქალაქისაგან, რომლისა თანა იყვნეს ეშმაკნი; და მრავალ ჟამ სამოსელი არა შეემოსა და სახლსა შინა არა იყოფოდა, არამედ საფლავებსა.
28. და ვითარცა იხილა მან იესუ, ღაღატ-ყო და შეუერდა ფერკთა მისთა და კმითა დიდითა იტყოდა: რაჲ ძეს ჩემი და შენი, იესუ, ძეო ღმრთისა მაღლისაო? გევედრები, ნუ მტანჯავ მე.
29. რამეთუ უბრძანა სულსა მას არაწმიდასა განსლვად კაცისა მისგან; რამეთუ მრავალ-გზის წარიტაცის იგი, და შებორკილიან იგი ჯაჭჳთა და საკრველითა და სცვედ და განხეთქნის საკრველნი და იდევნებინ ეშმაკისა მისგან უდაბნოთა.

30. ჰკითსა მას იესუ: რაჲ არს სახელი შენი? ხოლო მან ჰრქუა: ლეგეონ, რამეთუ ეშმაკნი მრავალნი შესრულ იყვნეს მისა.
31. და ეევედრებოდეს მას, რაჲთა არა უბრძანოს მათ უფსკრულთა შთასლვაჲ.
32. და იყო მუნ კოლტი ღორთაჲ მრავალი, მძოვარი მთასა ზედა; და ეევედრებოდეს მას, რაჲთა უბრძანოს მათ ღორებსა მას შესლვაჲ. და თავადმან უბრძანა მათ.
33. და გამოვიდეს ეშმაკნი იგი კაცისა მისგან და შევიდეს ღორთა მათ. და მიიმართა ყოველმან მან კოლტმან კბოდესა მას ტბად და დაიშთვნეს.
34. ვითარცა იხილეს მწყემსთა მათ საქმე ესე, იველტოდეს და შევიდეს და უთხრეს ქალაქსა და დაბნებსა.
35. და გამოვიდეს ხილვად, რომელი-იგი იქმნა, და მოვიდეს იესუჲსა და იხილეს კაცი იგი მჯდომარე, რომლისაგან ეშმაკნი იგი განსრულ იყვნეს, შემოსილი და გონიერი, ფერკთა თანა იესუჲსთა, და შეეშინა.
36. რამეთუ უთხრეს, რომელთა-იგი ეხილვა, ვითარ-იგი ცხოვნდა ეშმაკეული.
37. და ეევედრებოდეს მას ყოველი იგი სიმრავლე გარემო სოფლებისაჲ მის გადარინელთაჲსაჲ, რაჲთა წარვიდეს მათგან, რამეთუ შიშითა დიდითა შეპყრობილ იყვნეს. ხოლო თავადი შევიდა ნავსა და მიიქცა მუნვე.
38. ეევედრებოდა მას კაცი იგი, რომლისაგან ეშმაკნი განსრულ იყვნეს, რაჲთა იყოს მის თანა. ხოლო თავადმან განუტევა იგი და ჰრქუა:
39. მიიქეც სახიდ შენდა და მიუთხარ, რაოდენი გიყო შენ ღმერთმან. და წარვიდა ყოველსა მას ქალაქებსა და ქადაგებდა, რაჲ-იგი ყო მისთჳს იესუ.
40. და იყო მიქცევასა მას იესუჲსსა მუნვე შეიწყნარა იგი ერმან მან, რამეთუ ყოველნიენი მოელოდეს მას.
41. და აჰა ესერა მოვიდა კაცი, და სახელი მისი იაიროს, და ესე მთავარი იყო შესაკრებელისაჲ; და დავარდა ფერკთა თანა იესუჲსთა და ეევედრებოდა მას, რაჲთა შევიდეს სახლსა მისსა.
42. რამეთუ ასული მარტოჲ ესუა მას, რომელი იყო ათორმეტის წლის, და იგი მოკუდებოდა. და მისლვასა მას მისსა ერი იგი შეკრბებოდა მისა.
43. და იყო ვინმე დედაკაცი წყაროჲთა სისხლისაჲთა ათორმეტით წლითგან, რომელსა ყოველი მონაგები მისი წარეგო მკურნალთა ზედა, და ვერვის განეკურნა.
44. და მოვიდა ზურგით კერძო და შეახო ფესუსა სამოსლისა

მისისასა. და მეყსეულად დასცხრა წყაროჲ იგი სისხლისა მისისაჲ.
45. და თქუა იესუ: ვინ შემახო მე? და ვითარცა უვარ-ჰყოფდეს ყოველნი, ჰრქუა პეტრე და მისთანათა: მოძღუარ, ერნი გარე მოგადგან და შეგაიწრებენ შენ, და შენ იტყჳ: ვინ შემახო მე?
46. ხოლო იესუ ჰრქუა: შე-ვინმე-მახო მე, რამეთუ მე ვცან ძალი, განსრული ჩემგან.
47. და იხილა რაჲ დედაკაცმან მან, რამეთუ არა დაეფარა, მოვიდა ძრწოლით და შეუვრდა მას და, რომლისა ბრალისათჳს შეახო, უთხრა წინაშე ყოვლისა ერისა, და ვითარ-იგი მეყსეულად განიკურნა.
48. ხოლო იესუ ჰრქუა მას: ნუ გეშინინ, ასულო, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ, ვიდოდე მშჳდობით!
49. და ვითარ იგი ეტყოდა ოდენ, მო-ვინმე-ვიდა შესაკრებელის-მთავრისაჲ მის და ჰრქუა მას, ვითარმედ: ასული შენი მოკუდა, ნუ დააშრობ მოძღუარსა.
50. ხოლო იესუს ვითარცა ესმა, ჰრქუა მას: ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ, და ცხონდეს იგი.
51. და ვითარცა მოვიდა იესუ სახლსა მას, არაჲინ უტევა შესლვად მის თანა, გარნა პეტრე და იაკობ და იოვანე და მამაჲ და დედაჲ მის ყრმისაჲ.
52. სტიროდეს მას ყოველნი და ეტყებდეს. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ნუ სტირთ, რამეთუ ყრმაჲ ეგე არა მომკუდარ არს, არამედ სძინავს.
53. ხოლო იგინი ჰბასრობდეს მას, უწყოდეს, რამეთუ მომკუდარ იყო.
54. და თავადმან გამოასხა ყოველი და უპყრა კელი ყრმისაჲ მის და ჴმა-უყო: ყრმაო, აღდეგ!
55. და მოიქცა სული მისი, და მეყსეულად აღდგა. და უბრძანა, რაჲთა სცენ მას ჭამადი.
56. და განუკჳრდებოდა მამა-დედათა მისთა. ხოლო თავადმან ამცნო მათ, რაჲთა არავის უთხრან საქმე იგი.

9

1. და მოუწოდა იესუ ათორმეტთა მათ მოწაფეთა თჳსთა და მისცა მათ ძალი და კელმწიფებაჲ ყოველთა ბედა ეშმაკთა და სენთა განკურნებაჲ.
2. და წარავლინნა იგინი ქადაგებად სასუფეველსა ღმრთისასა და განკურნებად უძლურთა.
3. და ჰრქუა მათ: ნურარაჲ გაქუნ გზასა ბედა, ნუცა კუერთხი, ნუცა ვაშკარანი, ნუცა პური, ნუცა ვეცხლი, ნუცა ორი სამოსელი გაქუნ.
4. და რომელსაცა სახლსა შეხჳდეთ, მუნ დაადგერით და მიერ გამოვედით.
5. და რაოდენთა არა შეგიწყნარნენ თქუენ, გამო-რაჲ-ხჳდო-

დით მიერ ქალაქით, მტუერი ფერჴთა თქუენთაგან განიყარეთ საწამებელად მათა.
6. და გამო-რაჲ-ვიდეს, მიმოვიდოდეს დაბნებსა მას და ახარებდეს და განჰკურნებდეს სნეულთა ყოველთა აღგილთა.
7. ესმნეს ჰეროდეს მეოთხედ მთავარსა ყოველნი იგი საქმენი, რომელნი მის მიერ იქმნებოდეს, და განიბრახვიდა, რამეთუ იტყოდეს ვინმე, ვითარმედ: იოვანე ნათლის-მცემელი აღდგომილ არს მკუდრეთით.
8. ხოლო რომელნიმე იტყოდეს: ელია გამოჩნდა; და სხუანი იტყოდეს: წინაწარმეტყუელი ვინმე პირველთაგანი აღდგომილ არს.
9. ხოლო ჰეროდე თქუა: იოვანეს მე თავი მოვჰკუეთე, ხოლო ესე ვინ არს, რომლისათჳს ესე ვითარი მესმის, არა ვიცი. და უნდა ხილვაჲ მისი.
10. და მოიქცეს მოციქულნი და უთხრეს იესუს, რაოდენი ქმნეს. და წარიყვანნა იგინი და განეშორა თჳსაგან აღგილსა უდაბნოსა ქალაქისასა, რომელსა ჰრქჳან ბეთსაიდაჲ.
11. ხოლო ერმან მან აგრძნა და მისდევდეს მას. და შეიმთხჳნა იგინი და ეტყოდა მათ სასუფეველისათჳს ღმრთისა, და რაოდენთა უკმდა განკურნებაჲ, განჰკურნებდა.
12. და ვითარცა იწყო დღემან მიდრეკად, მოვიდეს ათორმეტნი იგი და ჰრქუეს მას: განუტევე ერი ესე, რაჲთა წარვიდენ გარემო დაბნებსა და აგარაკებსა და დააღგრენ მუნ და პოონ საზრდელი თავისა მათისაჲ, რამეთუ აქა უდაბნოსა აღგილსა ვართ.
13. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: თქუენ ეცით მაგათ ჭამადი. და მათ ჰრქუეს: არა არს ჩუენ თანა უფროჲს, გარნა ხუთი კუეზაჲ პური და ორი თევზი; გარნა თუ ჩუენ წარვიდეთ და უყიდოთ ყოველსა ამას ერსა საზრდელი?
14. რამეთუ იყვნეს კაცნი იგი ვითარ ხუთ ათას ოდენ. ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: დასხით კაცები ეგე პურისმტეღ-პურისმტეღ ერგასეული.
15. და მათ ყვეს ეგრე და დასხეს ყოველი იგი ერი.
16. ხოლო თავადმან მოიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი და აღიხილნა თუალნი ზეცად და აკურთხნა იგინი და დამუსრა და მისცემდა მოწაფეთა, რაჲთა დაუგონ ერსა მას.
17. და ჭამეს და განძღეს ყოველნი; და აღიღეს, რომელ-იგი დაუშთა მათ ნამუსრევი, ათორმეტი გოდორი.
18. და იყო ლოცვასა მას მისსა თჳსაგან მის თანა იყვნეს მოწაფენი. ჰკითხვიდა მათ და ჰრქუა: ვინ ეჰგონიე მე ერსა ამას და

რაჲ თქუან ჩემთჳს ყოფად?
19. ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს: იოვანე ნათლის-მცემელი; და სხუათა – ელია; და რომელნიმე იტყჳან: წინაწარმეტყუელი ვინმე პირველთაგანი აღდგომილ არს.
20. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: თქუენ ვინ გგონიე მე? მიუგო პეტრე და ჰრქუა: ცხებული ღმრთისაჲ.
21. ხოლო თავადმან შეჰრისხნა მათ და ამცნო, რაჲთა არავის უთხრან ესე.
22. და ჰრქუა მათ, ვითარმედ: ჯერ-არს ძისა კაცისაჲ ფრიად ენებაჲ და შეურაცხ-ყოფაჲ მოხუცებულთაგან და მღდელთ-მოძღუართა და მწიგნობართა და მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად.
23. და იტყოდა ყოველთა მიმართ: რომელსა უნებს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი და მომდევდინ მე.
24. რამეთუ რომელსა უნდეს განრინებად სულისა თჳსისა, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თჳსი ჩემთჳს, მან პოოს იგი.
25. რაჲ სარგებელ არს კაცისა, შე-თუ-იძინოს სოფელი ყოველი და თავი თჳსი წარიწყმიდოს, გინა იზღვიოს?
26. რომელსა სირცხჳლ უჩნდეს ჩემდა მომართ და სიტყუათა ჩემთაჲ, ამას ძემანცა კაცისამან არცხჳნოს, ოდეს მოვიდეს დიდებითა თჳსითა და მამისაჲთა და წმიდათა ანგელოზთაჲთა.
27. გეტყჳ თქუენ: არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ ვიდრემდე იხილონ სასუფეველი ღმრთისაჲ.
28. და იყო შემდგომად სიტყუათა ამათ ვითარ რვა ოდენ დღე, და წარიყვანნა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე და აღვიდა მთასა ლოცვად.
29. და იყო ლოცვასა მას მისსა ხილვაჲ პირისა მისისაჲ სხუა, და სამოსელი მისი სპეტაკ და ელვარე.
30. და აჰა ესერა ორნი კაცნი მის თანა მრახჳდეს, რომელნი იყვნეს მოსე და ელია.
31. რომელნი გამოჩნდეს დიდებითა და იტყოდეს განსლვასა მას მისსა, რომელი ეგულებოდა აღსრულებად იერუსალჷმს.
32. ხოლო პეტრე და მისთანანი დამძიმებულ იყვნეს ძილითა; ხოლო გან-რაჲ-იღჳძეს, იხილეს დიდებაჲ მისი და ორნი კაცნი მის თანა მდგომარენი.
33. და იყო განშორებასა მას მათსა მისგან ჰრქუა პეტრე იესუს: მოძღუარ, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ, და ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა და ერთი მოსესა და ერთი ელიაჲ-

სა,– რამეთუ არა იცოდა, რასა იტყოდა.
34. და ვითარცა ამას იტყოდა, აჰა ღრუბელი აგრილობდა მათ, და შეეშინა მათ შესლვად ღრუბელსა მას.
35. და ქმაჲ იყო ღრუბლით გამო: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, ამისი ისმინეთ.
36. და ესე რაჲ იყო ქმაჲ, იპოვა იესუ მარტოჲ. და მათ დაიდუმეს და არაჲ ვის უთხრეს მათ დღეთა შინა, რომელ-იგი იხილეს.
37. და იყო მერმესა დღესა გარდამოსლვასა მათსა მიერ მთით მოეგებოდა მას ერი მრავალი.
38. და აჰა კაცმან ვინმე ღაღატ-ყო ერსა მას შორის და თქუა: მოძღუარ, გევედრები შენ, მოიხილე ძესა ზედა ჩემსა, რამეთუ ესე ხოლო მარტოჲ მივის.
39. და სულმან უკეთურმან შეიპყრის იგი, და მეყსეულად ღაღატ-ყვის, და დააკუეთის იგი, და პეროინ, და ძნიად განეშორის მისგან და შემუსრის იგი.
40. და ვევედრე მოწაფეთა შენთა, რაჲთამცა განაშორეს იგი, და ვერ შეუძლეს.
41. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა: ჰ ნათესავი ურწმუნოჲ და გულარძნილი! ვიდრემდე ვიყო თქუენ თანა და თავს-ვიდებდე თქუენსა? მომგუარე მე აქა ძე შენი!
42. და ვიდრე იგი მოვიდოდა, დააკუეთა იგი ეშმაკმან მან და აძრწოლებდა მას. შეჰრისხნა იესუ სულსა მას არაწმიდასა და განკურნა ყრმაჲ იგი და მისცა მამასა თჳსსა.
43. და განუკჳრდებოდა ყოველთა დიდებასა მას ზედა ღმრთისასა, და ყოველნი დაკჳრებულ იყვნეს ყოველსა მას ზედა, რომელსა იქმოდა იესუ. ხოლო იესუ ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა.
44. დაისხენით თქუენ სიტყუანი ესე ყურთა თქუენთა, რამეთუ ძე კაცისაჲ მიცემად არს კელთა კაცთასა.
45. ხოლო იგინი უმეცარ იყვნეს სიტყუასა ამას ზედა, და იყო დაფარულ მათგან, რაჲთა ვერ გულისკმა-ყონ იგი, და ეშინოდა მათ კითხვად მისა სიტყჳსა ამისთჳს.
46. შევიდა მათდა გულის-სიტყუაჲცა: ვინ-ძი უდიდეს იყოს შორის მათსა?
47. ხოლო იესუ იცნოდა გულის-ზრახვანი მათნი და მოიყვანა ყრმაჲ და დააყენა იგი წინაშე მათსა.
48. და ჰრქუა მათ: რომელმან შეიწყნაროს ესე ყრმაჲ სახელითა ჩემითა, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი. ხოლო უმცირესი თქუენ ყოველთა შორის იგი არს დიდ.
49. მიუგო იოვანე და ჰრქუა: მოძღუარ, ვიხილეთ ვინმე, რო-

მელი სახელითა შენითა ეშმაკთა განასხმიდა, და ჩუენ ვაყენებდით მას, რამეთუ არა შემოგუდგს ჩუენ.

50. ჰრქუა მას იესუ: ნუ აყენებთ, რამეთუ რომელი არა არს ჩუენდა მტერ, იგი ჩუენ კერძო არს.

51. და იყო აღსრულებასა მას დღეთა ამაღლებისა მისისათა და თავადმან დაამტკიცა პირი თჳსი აღსლვად იერუსალჵმდ.

52. და წარაელინნა მოციქულნი წინაშე მისა. და იგინი წარვიდეს და შევიდეს დაბასა სამარიტელთასა, რაჲთა მო-რაჲმე-უმზადონ მას.

53. და არა შეიწყნარნეს იგინი, რამეთუ პირი მისი იყო მისლვად იერუსალჵმდ.

54. ვითარცა იხილეს მოწაფეთა მისთა იაკობ და იოვანე, თქუეს: უფალო, გნებავსა, რაჲთა ვთქუათ, და ცეცხლი გარდამოკჳდეს ზეცით და აკოცნეს იგინი, ვითარცა ელია ყო?

55. მიექცა იესუ და შეჰრისხნა მათ და ჰრქუა: არა იცითა, რომლისა სულისანი ხართ თქუენ?

56. რამეთუ ძე კაცისაჲ არა მოვიდა წარწყმედად სულსა კაცთასა, არამედ ცხორებად. და წარვიდეს სხუასა დაბასა.

57. და იყო სლვასა მას მათსა გზასა ზედა ჰრქუა ვინმე მას: მიგდევდე შენ, ვიდრეცა მიხუალ.

58. ჰრქუა მას იესუ: მელთა კურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს.

59. ხოლო სხუასა ჰრქუა: შენ მომდევედი მე. და მან ჰრქუა: უფალო, მიბრძანე მე პირველად მისლვად და დაფლვად მამისა ჩემისა.

60. ჰრქუა მას იესუ: აცადენ მკუდარნი დაფლვად თჳსთა მკუდართა, ხოლო შენ წარვედ და მიმოსდევ სასუფეველი ღმრთისაჲ.

61. ჰრქუა მას სხუამან: მეცა მიგდევდე შენ, უფალო, ხოლო პირველად მიბრძანე მე ჯმნაჲ სახლეულთა ჩემთაგან.

62. ჰრქუა მას იესუ: არავინ დასდვის კელი საკნველსა და ხედავნ იგი გარეუკუნ და წარმართებულ არნ სასუფეველსა ღმრთისასა.

10

1. და ამისა შემდგომად გამოირჩინა უფალმან სხუანი სამეოც და ათნი და წარაელინნა იგინი ორ-ორი წინაშე მისსა ყოველსა ქალაქებსა და დაბნებსა, ვიდრეცა ეგულებოდა მას მისლვად.

2. და ეტყოდა მათ: სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ. ეევედრენით უკუე უფალსა

სამკალისასა, რაჲთა მოაველინნეს მუშაკნი სამკალსა თჳსსა.
3. წარვედით! აჰა ესერა მიგავლინებ თქუენ, ვითარცა კრავთა შორის მგელთა.
4. ნუ წარგაქუნ ბალანტი, ნუცა ვაშკარანი, ნუცა შესასხმელი ფერჴთაჲ და ნუცა ვის გზასა ზედა მოიკითხავთ.
5. და რომელსაცა სახლსა შეხჳდეთ, პირველად თქუთ: მშჳდობაჲ სახლსა ამას!
6. და უკუეთუ იყოს მუნ ძე მშჳდობისაჲ, განისუენოს მის ზედა მშჳდობამან თქუენმან, უკუეთუ არა – თქუენდავე მოიქცეს.
7. მასვე სახლსა შინა იყვენით, ჭამდით და სუემდით მათ თანა, რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა, ნუ მიხუალთ სახლითი სახლად.
8. და რომელსა ქალაქსა შეხჳდეთ, და შეგიწყნარნენ თქუენ, ჭამდით წინა-დაგებულსა თქუენსა
9. და განჰკურნებდით მას შინა უძლურთა და ეტყოდეთ მათ: მოახლებულ არს თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისაჲ.
10. და რომელსა ქალაქსა შეხჳდეთ, და არა შეგიწყნარნენ თქუენ, გამო-რაჲ-ხჳდოდით უბანთა მისთა, არქუთ მათ:
11. აჰა ესერა მტუერი რომელ აღეკრა ფერჴთა ჩუენთა ქალაქისაგან თქუენისა, განვიყრით თქუენ ზედა; გარნა ესემცა უწყით, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ.
12. გეტყჳ თქუენ: სოდომელთაჲ უმოლხინეს იყოს მას დღესა შინა, ვიდრე ქალაქისა მის.
13. ვაჲ შენდა, ქორაზინ, და ვაჲ შენდა, ბეთსაიდა, რამეთუ ტჳროსს და სიდონს თუმცა იქმნნეს ძალნი, რომელ იქმნნეს თქუენ შორის, პირველვემცა ძაძითა და ნაცარსა ზედა მსხდომარეთა შეინანეს.
14. ხოლო ტჳროსი და სიდონი უმოლხინეს იყოს სასჯელსა მას, ვიდრე თქუენ.
15. და შენ, კაპერნაუმ, ნუ ცადმდე აჰმაღლდები, არამედ ჯოჯოხეთადმდე შთაჰკდე.
16. რომელმან თქუენი ისმინოს, ჩემი ისმინა; და რომელმან თქუენ შეურაცხ-გყენეს, მე შეურაცხ-მყოფს; და რომელმან მე შეურაცხ-მყოს, შეურაცხ-ჰყოფს მომავლინებელსა ჩემსა.
17. და მოიქცეს სამეოც და ათნი იგი სიხარულითა და იტყოდეს: უფალო, ეშმაკნიცა დაგუემორჩილებიან სახელითა შენითა.
18. ჰრქუა მათ იესუ: ვხედევდ ეშმაკსა, ვითარცა ელვასა, ზეცით გარდამოვრდომილსა.
19. აჰა მიგცემ თქუენ კელმწიფებასა დათრგუნვაღ გუელთა და ღრიაკალთა და ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა, და თქუენ არარაჲ გეენოს.

20. ხოლო ამას გედა ნუ გიხარინ, რამეთუ სულნი უკეთურნი დაგემორჩილებიან, არამედ გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქუენი დაიწერა ცათა შინა.
21. მას ჟამსა შინა იხარებდა იესუ სულითა და თქუა: აღგიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩჳლთა. ჰე, მამაო, რამეთუ ესრეთ სათნო-იყო შენ წინაშე.
22. და მიექცა მოწაფეთა და ჰრქუა: ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ, და არავინ იცის, ვინ არს მამაჲ, გარნა ძემან; და არცა ვინ იცის, ვინ არს ძე, გარნა მამამან; და ვისა უნდეს ძესა გამოცხადების, გამოუცხადოს.
23. და მიექცა მოწაფეთა მისთა თჳსაგან და ჰრქუა: ნეტარ არიან თუალნი, რომელნი ხედვენ, რომელსა თქუენ ხედავთ, და ესმის, რომელი თქუენ გესმის.
24. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ: მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მეფეთა უნდა ხილვაჲ, რომელსა თქუენ ხედავთ, და ვერ იხილეს, და სმენად, რომელი თქუენ გესმის, და ვერ ესმა.
25. და აჰა ესერა სჯულის-მეცნიერი ვინმე აღდგა და გამოსცდიდა იესუს და ეტყოდა: მოძღუარ, რაჲ ვქმნე, რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოჲ დავიმკჳდრო?
26. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: სჯულსა ვითარ წერილ არს? ვითარ აღმოიკითხავ?
27. ხოლო მან ჰრქუა: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოველითა გულითა შენითა და ყოველითა სულითა შენითა და ყოველითა ძალითა შენითა და ყოველითა გონებითა შენითა, და მოყუასი შენი — ვითარცა თავი თჳსი.
28. ჰრქუა მას იესუ: მართლ მოიგე, მაგას იქმოდე და სცხონდე.
29. ხოლო მას უნდა განმართლებად თავი თჳსი და ჰრქუა იესუს: და ვინ არს მოყუას ჩემდა?
30. მიუგო იესუ და ჰრქუა: კაცი ვინმე გარდამოვიდოდა იერუსალჵმით იერიქოდ, და ავაზაკნი დაესხნეს, განძარცუეს იგი, დაწყლეს და წარვიდეს და დაუტევეს მწყდარი.
31. ხოლო დამთხუევით მღდელი ვინმე შთავიდოდა მასვე გზასა და იხილა იგი და თანა-წარჰკდა.
32. და ეგრეთვე ლევიტელი მასვე აღგილსა მივიდა და იხილა იგი და თანა-წარჰკდა.
33. მერმე სამარიტელი ვინმე წარვიდოდა, მოვიდა მასვე აღგილსა, იხილა იგი და შეეწყალა.
34. და მოვიდა მისა და შეუხჯა წყლული იგი და დაასხა ზეთი და ღჳნოჲ და აღსუა იგი კარა-

ულსა თჳსსა და მოიყვანა იგი ყოველთასა მას სადგურსა და იღუაწა იგი.
35. და ხვალისაგან, გამო-რაჲ-ვიდოდა, ორი დრაჰკანი მისცა ყოველთა სადგურისა მოღუაწესა მას და ჰრქუა: იღუაწე ეგე და, სხუაჲ თუ რაჲმე წარაგო უმეტესი, მო-რაჲ-ვიდე, მიგცე შენ.
36. ვინ უკუე ამათ სამთაგანი გგონიეს შენ მოყუას მისა, რომელ იგი შეევარდა ავაზაკთა მათ?
37. ხოლო მან თქუა: რომელმან ყო წყალობაჲ მის თანა. ჰრქუა მას იესუ: ვიდოდე და ჰყოფდ შენცა ეგრეევე.
38. და იყო ვითარცა წარვიდეს ესენი, და თავადი შეევიდა დაბასა რომელსამე. და იყო ვინმე მუნ დედაკაცი, რომლისა სახელი მართა, და შეიყვანა თავადი სახიდ თჳსა.
39. და იყო დაჲ მისი, რომელსა ერქუა მარიამ, რომელი დაჯდა ფერჴთა თანა იესუჲსთა და ისმენდა სიტყუათა მისთა.
40. ხოლო მართა მიმოდაბრუნვიდა მრავლისა მსახურებისათჳს, ზედა მიადგა და ჰრქუა: უფალო, არა იღუწი, რამეთუ დამან ჩემმან მარტოჲ დამიტევა მე მსახურებად. არქუ მას, რაჲთა შემეწეოდის მე.
41. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: მართა, მართა! ზრუნავ და შფოთხარ მრავლისათჳს,
42. აქ ერთისაჲ არს საკმარ. ხოლო მარიამ კეთილი ნაწილი გამოირჩია, რომელი არასადა მიეღოს მისგან.

11

1. და იყო ადგილსა რომელსამე თავადი ილოცვიდა. და ვითარცა დასცხრა ლოცვისაგან, ჰრქუა ვინმე მას მოწაფეთაგანმან: უფალო, გუასწავე ლოცვაჲ, ვითარცა იოვანე ასწავა მოწაფეთა თჳსთა.
2. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: რაჟამს ილოცვიდეთ, თქუთ: მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევაჲ შენი, იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა.
3. პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღითი-დღედ.
4. და მომიტევენ ჩუენ ცოდვანი ჩუენნი, და რამეთუ ჩუენცა მიუტევებთ ყოველთა თანა-მდებთა ჩუენთა, და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიჰსნენ ჩუენ ბოროტისაგან.
5. და ეტყოდა მათ: ვის თქუენგანსა ესუას მეგობარი და მივიდეს მისა შუაღამეს და ჰრქუას მას: მეგობარო, მავასხენ მე სამნი პურნი,
6. რამეთუ მეგობარი მოვიდა ჩემდა გზით, და არარაჲ მაქუს, რაჲ დაუგო მას.

7. მან მიუგოს შინაჲთ გამო და ჰრქუას: ნუ შრომასა შემამთხუევ მე, რამეთუ კარი დაკ-
შულ არს, და ყრმანი ჩემნი ჩემ თანა არიან სარეცელსა ზედა; ვერ ძალ-მიც აღდგომად და მიცემად შენდა.
8. გეტყჳ თქუენ: დაღაცათუ არა ეძლოს მას აღდგომად და მიცემად, რამეთუ არს იგი მეგობარ მისა, წყინებისა მისთჳს მისისა აღდგეს და მისცეს, რაოდენი უკ-
მდეს მას.
9. ხოლო მე გეტყჳ თქუენ: ითხოვდით და მოგეცეს თქუენ, ეძიებდით და ჰპოოთ, ირეკდით და განგეღოს თქუენ,
10. რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს, მოიღოს, და რომელი ეძიებდეს, პოოს, და რომელი ირეკდეს, განეღოს.
11. ვის უკუე თქუენგანსა მამასა სთხოვდეს ძე პურსა, ნუუკუე ქვაჲ მისცეს მას? გინა თუ თევზსა სთხოვდეს, ნუუკუე თევზისა წილ გუელი მისცესა მას?
12. გინა თუ კუერცხსა სთხოვდეს, ნუუკუე ღრიაკალი მისცესა მას?
13. უკუეთუ თქუენ უკეთურთა იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუენთა, რაოდენ უფროჲს მამამან ზეცით მოსცეს სული წმიდაჲ, რომელნი სთხოვდენ მას.
14. და კაცისა ვისგანმე განაძო ეშმაკი, რომელი იყო ყრუჲ. და იყო განსლვასა მას ეშმაკისასა იტყოდა ყრუჲ იგი. და უკჳრდა ყოველსა მას ერსა.
15. ხოლო რომელთამე მათგანთა თქუეს: ბელზებულითა, მთავრითა მით ეშმაკთაჲთა, განასამს ეშმაკთა.
16. და სხუანი ვინმე გამოცდით სასწაულსა ზეცით ითხოვდეს მისგან.
17. ხოლო თავადმან იცნოდა ზრახვანი მათნი და ჰრქუა მათ: ყოველი მეუფებაჲ, რომელი თავსა თჳსსა განეველთის, მოოჴრდის, და სახლი სახლსა ზედა დაეცის.
18. და უკუეთუ ეშმაკი თავსა თჳსსა განეველთა, ვითარ დამტკიცნეს მეუფებაჲ მისი? რამეთუ იტყჳთ ჩემთჳს, ვითარმედ ბელზებულითა განვასხამ ეშმაკთა.
19. უკუეთუ მე ბელზებულითა განვასხამ ეშმაკთა, ძენი თქუენნი რაჲთა განასხმენ? ამისთჳს იგინივე მსაჯულ გექმნნენ თქუენ.
20. უკუეთუ მე თითითა ღმრთისაჲთა განვასხამ ეშმაკთა, მო-
სამე-წეენულ არს თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისაჲ.
21. რაჟამს ძლიერი შეჭურვილი სცვიდეს ეზოსა თჳსსა, მშჳდობით არნ მონაგები მისი.
22. და ოდეს უძლიერესი მისი ზედა-მოუჴდის, სძლის მას და საჭურველი მისი მოუღის, რო-

მელსა-იგი ესვიდა, და ნატყუენავი მისი განუყვის.
23. რომელი არა არს ჩემ თანა, მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს.
24. რაჟამს სული არაწმიდაჲ განვიდის კაცისაგან, მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა და ეძიებნ განსუენებასა და არა პოვის, თქჳს: მივიქცე სახლსავე ჩემსა, ვინაჲცა გამოვედ.
25. და მოვიდის და პოვის იგი განშუენებული და შემკული.
26. მაშინ წარვიდის და მოიყვანნის სხუანი შჳდნი სულნი, უბოროტესნი მისსა, და შევიდის და დაიმკჳდრის მას შინა, და იქმნის უკუანაჲსკნელი კაცისაჲ მის უძჯრეს პირველისა.
27. და იყო ვიდრე იტყოდაღა იგი ამას, აღ-ვინმე-იღო დედაკაცმან კმაჲ ერსა მას შორის და ჰრქუა მას: ნეტარ არს მუცელი, რომელმან გიტჯრთა შენ, და ძუძუნი, რომელთა სწოვდი.
28. ხოლო თავადმან თქუა: არამედ ნეტარ არიან, რომელთა ისმინონ სიტყუაჲ ღმრთისაჲ და დაიმარხონ იგი.
29. და ვითარცა შეკრბებოდა ერი იგი, იწყო სიტყუად მათდა: ნათესავი ესე ნათესავი ბოროტი არს, სასწაულსა ითხოვს, და სასწაული არა ეცეს მას, არამედ სასწაული იონა წინაწარმეტყუელისაჲ.
30. ვითარცა-იგი ექმნა იონა სასწაულ ნინეველთა, ეგრეთ ეყოს ძე კაცისაჲ ნათესავსა ამას.
31. დედოფალი იგი სამხრისაჲ აღდგეს სასჯელსა მას კაცთა თანა ამის ნათესავისათა და დასჯიდეს მათ, რამეთუ მოვიდა კიდით ქუეყანისაჲთ სმენად სიბრძნესა სოლომონისსა; და აჰა ესერა უფროჲს სოლომონისსა არს აქა.
32. კაცნი იგი ნინეველნი აღდგენ სასჯელსა მას ნათესავისა ამის თანა და დასჯიდენ მათ, რამეთუ შეინანეს ქადაგებასა მას იონაჲსსა; და აჰა ესერა უფროჲს იონაჲსსა არს აქა.
33. არავინ აღანთის სანთელი და დადგის ფარულად გინა ჴუმირსა ქუეშე, არამედ სასანთლესა ზედა, რაჲთა შემავალნი ხედვიდენ ნათელსა.
34. სანთელი გუამისაჲ არს თუალი; ოდეს თუალი შენი განმარტებულ იყოს, ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს. და უკუეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს.
35. იხილე, ნუუკუე ნათელი იგი შენ შორის ბნელ იყოს.
36. უკუეთუ ყოველი გუამი შენი ნათელ არს და არარაჲ აქუნდეს ადგილი რაჲმე ბნელისაჲ, იყოს იგი ყოვლად ნათელ, ვითარცა-იგი სანთელი ელვითა განგანათლოს შენ.

37. და ვითარცა იტყოდა ამას თავადი, ჰლოცეიდა ვინმე ფარისეველი, რაჲთა პური ჭამოს მის თანა; და შეეიდა და დაჯდა.
38. ხოლო ფარისეველმან მან ვითარცა იხილა, უკჳრდა, რამეთუ პირველად არა იბანა, ვიდრე სადილობაჲმდე.
39. ჰრქუა მას უფალმან: აწ თქუენ, ფარისეველთა, გარეშე სასუმლისაჲ და პინაკისაჲ განსწმიდით, და შინაგანი თქუენი სავსე არს ნატაცებითა და უკეთურებითა.
40. ორგულნო, ანუ არა რომელმან-იგი გარეშე შექმნა, მანვე შინაგანი შექმნა?
41. გარნა ესე, რომელი ჯერ-არს, მიეცით მოწყალებაჲ, და აჰა თქუენი ყოველი წმიდა არს.
42. არამედ ვაჲ თქუენდა, ფარისეველნო, რამეთუ ათეულსა აღიღებთ პიტნაკისა და ტეგანისასა და ყოვლისა მხლისასა და თანა-წარჰვალთ სამართალსა და სიყუარულსა ღმრთისასა. ესე ჯერ-იყო ყოფად და იგი არა დატევებად.
43. ვაჲ თქუენდა, ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ გიყუარს თქუენ მჯდომაჲ შესაკრებელთა შორის და მოკითხვაჲ უბანთა ზედა.
44. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ ხართ, ვითარცა საფლავნი უჩინონი, და კაცნი ზედა ვლენან და არა იციან.
45. მიუგო შჯულის-მეცნიერმან ვინმე და ჰრქუა მას: მოძღუარ, მაგას რაჲ იტყჳ, ჩუენცა გუაგინებ.
46. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: თქუენდაცა, სჯულის-მეცნიერთა, ვაჲ არს, რამეთუ აღჰკიდით კაცთა ტჳრთი ძნიად სატჳრთავი და თქუენ ერთითაცა თითითა არა შეახით ტჳრთსა მას.
47. ვაჲ თქუენდა, რამეთუ აშენებთ საფლავებსა წინაწარმეტყუელთასა, ხოლო მამათა თქუენთა მოსწყჳდნეს იგინი.
48. ეწამებით სამე და თანა-სათნო-ეყოფვით საქმესა მამათა თქუენთასა, რამეთუ მათ მოსწყჳდნეს იგინი, და თქუენ საფლავთა მათთა აშენებთ.
49. ამისთჳსცა-იგი სიბრძნემან ღმრთისამან თქუა: მოვავლინნე მათა წინაწარმეტყუელნი და მოციქულნი, და მათგანნი მოსწყჳდნენ და დევნნენ.
50. რაჲთა იძიოს სისხლი ყოველთა წინაწარმეტყუელთაჲ, დათხეული დასაბამითგან სოფლისაჲთ ნათესავისა ამისგან,
51. სისხლითგან აბელისით, ვიდრე სისხლადმდე ზაქარიაჲსა, რომელი წარწყმდა შორის საკურთხეველისა მის და ტაძრისა. ჰე, გეტყჳ თქუენ, იძიოს ნათესავისა ამისგან.
52. ვაჲ თქუენდა, სჯულის-მოძღუარნო, რამეთუ დაჰმალენით

კლიტენი მეცნიერებისანი; თქუენ არა შეხუალთ და შემავალთა აყენებთ.
53. და ვითარ-იგი თავადი ეტყოდა მათ ამას წინაშე ყოვლისა მის ერისა, იწყეს მწიგნობართა მათ და ფარისეველთა განბრახვად ბოროტისა და უძნდა სიტყუაჲ იგი და ჰგმობდეს მას მრაველისა მისთჳს სიტყჳსა.
54. და უმზირდეს მას პოენად რასმე სიტყუასა პირისაგან მისისა, რაჲთა შეასმინონ იგი.

12

1. რომელთა ზედა შეკრებულ იყო ბეერეული ერი, ვიდრემდე დასთრგუნეიდეს ურთიერთას. იწყო პირველად სიტყუად მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა: ეკრძალენით თავთა თქუენთა ცომისაგან ფარისეველთაჲსა, რომელ არს ორგულებაჲ.
2. ხოლო არარაჲ არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, და დამალული, რომელი არა საცნაურ იყოს.
3. ამისთჳს რომელი ბნელსა შინა სთქუათ, ნათელსა შინა ისმეს, და რომელსა ყურსა ეტყოდით საუნჯეთა შინა, იქადაგოს ერდოთა ზედა.
4. ხოლო გეტყჳ თქუენ, მეგობართა ჩემთა: ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყჳდნენ კორცნი და ამისა შემდგომად ვერარაჲ აქუს უმეტესი, რაჲ გიყონ თქუენ.
5. ხოლო გიჩუენო თქუენ, ვისა გეშინოდის: გეშინოდენ მისა, რომელსა შემდგომად მოწყუედისა კელ-ეწიფების შთაგდებად გეჰენიასა. ჰე, გეტყჳ თქუენ, მისა გეშინოდენ.
6. ანუ არა ხუთი სირი განისყიდების ორის ასარის? და ერთიცა მათგანი არა არს დაფარულ წინაშე ღმრთისა.
7. არამედ თმანიცა თაეისა თქუენისანი ყოველნი განრაცხილ არიან. ნუკუე გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ.
8. ხოლო გეტყჳ თქუენ: ყოველმან რომელმან აღიაროს ჩემდა მომართ წინაშე კაცთა, ძემანცა კაცისამან აღიაროს იგი წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა.
9. და რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ იქმნეს იგიცა წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა.
10. და ყოველმან რომელმან თქუას სიტყუაჲ ძისა მიმართ კაცისა, მიეტეოს მას, ხოლო სულისა წმიდისა მგმობარსა არა მიეტეოს.
11. და ოდეს შეგიყვანნენ თქუენ შესაკრებელთა და წინაშე მთავართა და კელმწიფეთა, ნუ ჰზრუნავთ, ვითარ, ანუ რაჲ სიტყუაჲ მიუგოთ, ანუ რაჲ სთქუათ,
12. რამეთუ სულმან წმიდამან გასწაოს თქუენ მას ჟამსა შინა,

რაჲ-იგი სთქუათ.
13. ჰრქუა ვინმე მას მის ერისაგანმან: მოძღუარ, არქუ ძმასა ჩემსა, რაჲთა განმეყოს მე სამკჳდრებელსა.
14. სოლო თავადმან ჰრქუა მას: კაცო, ვინ დამადგინა მე მსაჯულად და განმყოფელად თქუენდა?
15. და ეტყოდა მათ: ეკრძალენით და დაიცევენით თავნი თქუენნი ყოვლისაგან ანგაჰრებისა, რამეთუ არა ნამეტნავისაგან ვისამე არნ ცხორებაჲ მისი ნაყოფთა მისთაგან.
16. და ეტყოდა მათ იგავსაცა და ჰრქუა მათ: კაცისაჲ ვისიმე მდიდრისაჲ ნაყოფიერ იყო აგარაკი.
17. და განიზრახვიდა გულსა შინა თჳსსა და თქუა: რაჲ-მე ვყო, რამეთუ არა მაქუს, სადა შევიკრიბო ნაყოფი ჩემი?
18. და თქუა: ესე ვყო: დავარღჳნე საუნჯენი ჩემნი და უფროჲსნი აღვაშენნე და შევიკრიბო მუნ ყოველი ნაყოფი და კეთილი ჩემი.
19. და ეჰრქუა სულსა ჩემსა: სულო, გაქუს მრავალი კეთილი დაუნჯებული მრავალთა წელთა: განისუენე, ჭამე და სუ და იხარებდ.
20. ჰრქუა მას ღმერთმან: უგუნურო, ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან; ეგე, რომელ მოიმზადე, ვისა იყოს?
21. ეგრეცა რომელი იუნჯებდეს თავისა თჳსისა და არა ღმრთისა მიერ განმდიდრდებოდის.
22. და ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: ამისთჳს გეტყჳ თქუენ: ნუ ჰზრუნავთ სულისა თქუენისა, რაჲ სჭამოთ, და ნუცა კორცთა თქუენთა, რაჲ შეიმოსოთ.
23. რამეთუ სული უფროჲს არს საზრდელისა და კორცნი სამოსლისა.
24. განიცადენით ყორანნი, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან, რომელთა არა აქუს საუნჯე, ანუ სადა შეიკრიბონ, და ღმერთი ბრდის მათ. რაოდენ თქუენ უმჯობეს ხართ მფრინველთა?
25. ვინ-მე უკუე თქუენგანი ბრუნვიდეს და შეუძლოს შებინებად ჰასაკსა თჳსსა წყრთა ერთ?
26. უკუეთუ არცა უმცირესსა შემძლებელ ხართ, რაჲსაღა სხუასა მას ჰზრუნავთ?
27. განიცადენით შროშანნი, ვითარ-იგი აღორძნდის: არცა შურების, არცა სთავს, ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ: არცა სოლომონ ყოველსა დიდებასა თჳსსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი.
28. უკუეთუ ველსა გარე, რომელი დღეს თივა არს და ხვალე თორნესა შთაეგდნეს, ღმერთმან ესრეთ შემოსის, რაოდენ უფროჲს თქუენ, მცირედ-მორწმუნენო?

29. და თქუენ ნუ ეძიებთ, რაჲ სჭამოთ და რაჲ პსუათ, და ნუცა განსცხრებით,
30. რამეთუ ამას ყოველსა ნათესაენი სოფლისანი ეძიებენ, ხოლო მამამან თქუენმან იცის, რაჲ გიკმს ამათ ყოველთაგანი.
31. გარნა ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ.
32. ნუ გეშინინ მცირესა მაგას სამწყსოსა, რამეთუ სათნო-იყო მამამან თქუენმან ზეცათამან მოცემად თქუენდა სასუფეველი.
33. განყიდენით მონაგებნი თქუენნი და მიეცით ქველის-საქმე და ყავთ თავისა თქუენისა საფასე, რომელი არა დაძუელდეს, და საუნჯე მოუკლებელი ცათა შინა, სადა-იგი მპარავი არა მიეხების, არცა მღილმან განრყუნის.
34. სადაცა არს საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი.
35. იყუნედ წელნი თქუენნი მორტყმულ და სანთელნი თქუენნი აღნთებულ.
36. და თქუენ ემსგაესენით კაცთა მათ, რომელნი მოელიედ უფალსა თჳსსა, ოდეს მოვიდეს ქორწილისაგან, რაჲთა, რაჟამს მოვიდეს და ირეკოს, მეყსეულად განუღონ მას.
37. ნეტარ იყუნენ იგი მონანი, რომელთაჲ მოვიდეს უფალი მათი და პოვნეს იგინი მღჳძარენი. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მოირტყნეს და დასხნეს იგინი, წარმოუდგეს და ჰმსახურებდეს მათ.
38. დაღათუ მეორესა საკუმილავსა და მესამესა მოვიდეს და პოვნეს ესრეთ, ნეტარ იყუნენ იგინი.
39. ხოლო ესემცა უწყით: უკუეთუმცა იცოდა სახლისა უფალმან, რომელსა ჟამსა მპარავი მოვალს, იღჳძებდამცა და არა უტევა დათხრად სახლისა თჳსისა.
40. და თქუენცა იყვენით განმზადებულ, რამეთუ ჟამსა, რომელსა არა ჰგონებდეთ, ძე კაცისაჲ მოვიდეს.
41. ჰრქუა მას პეტრე: უფალო, ჩუენდა მომართ ხოლო იტყჳ იგავსა ამას, ანუ სჳათა ყოველთა მიმართ?
42. და ჰრქუა იესუ: ვინ-მე არს მნე იგი სარწმუნოჲ და გონიერი, რომელი დაადგინოს უფალმან მონათა თჳსთა ზედა მიცემად იფქლი ჟამსა თჳსსა?
43. ნეტარ არს იგი მონაჲ, რომლისაჲ მოვიდეს უფალი მისი და პოოს იგი ესრეთ მოქმედი.
44. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ ყოველთა ზედა მონაგებთა მისთა დაადგინოს იგი.
45. უკუეთუ თქუას მონამან მან გულსა შინა თჳსსა: ყოენის უფალი ჩემი მოსლვად, და იწყოს გუემად მონათა და მკეალთა და ჭამად და სუმად და

დათრობად,
46. მოვიდეს უფალი იგი მონისაჲ მის დღესა, რომელსა არა მოელოდის, და ჟამსა, რომელი არა იცის, და ორგან განკუეთოს იგი და ნაწილი მისი დადვას ურწმუნოთა თანა.
47. ხოლო მონამან რომელმან იცის ნებაჲ უფლისა თჳსისაჲ და არა განემზადოს ნებისაებრ მისისა, იტანჯოს იგი ფრიად.
48. ხოლო რომელმან არა იცის და ქმნეს რაჲმე ღირსი ტანჯვისაჲ, იგუემოს მცირედ, რამეთუ ყოველსა რომელსა მიეცა დიდად, დიდადცა იძიოს მისგან, და რომელსა მიეცა ფრიად, უმეტესი მოჰკადონ მას.
49. ცეცხლისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა და რაჲ მნებავს, რაჲთა აწვე აღეგზნეს!
50. ხოლო ნათლის-ღებაჲ მაქუს ნათლის-ღებად და ვითარ შეურევებულ ვარ, ვიდრემდე აღესრულოს!
51. ეგრე ჰგონებთ, ვითარმედ მშვიდობისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა? არა, გეტყჳ თქუენ, არამედ განყოფაჲ.
52. რამეთუ იყვნენ ამიერითგან ხუთნი სახლსა შინა ერთსა განყოფილ: სამნი ორთაგან და ორნი სამთაგან.
53. განყოფად მამაჲ ძისაგან და ძე მამისაგან; და დედაჲ ასულისაგან და ასული დედისაგან; დედამთილი ძის-ცოლისაგან მისისა და სძალი დედამთილისაგან.
54. ეტყოდა იესუ ერსაცა მას: რაჟამს იხილოთ ღრუბელი აღმომავალი დასავალით, მეყსეულად სთქჳთ, ვითარმედ: წჳმაჲ მოაქუს, და არნ ეგრეთ.
55. და რაჟამს სამხრით ქარი ქრინ, სთქჳთ, ვითარმედ: სიცხე იყოს, და არნ ეგრეთ.
56. ორგულნო, პირი სამე ქუეყანისაჲ და ცისაჲ იცით გამოცდად, ხოლო ჟამი ესე ვითარ არა გამოიცადეთ?
57. ანუ რაჲსა თავით თჳსით არა სჯით სამართალსა?
58. რამეთუ ოდეს მიხუალ მოსაჯულისა შენისა თანა მთავრისა წინაშე გზასა ზედა, მიეც საქმარი განთავისუფლებად მისგან, ნუუკუე მიგიყვანოს შენ მსაჯულისა, და მსაჯულმან მიგცეს შენ მეხარკესა, და მეხარკემან მიგცეს შენ საპყრობილედ.
59. გეტყჳ შენ: ვერ გამოხჳდე მიერ, ვიდრემდე უკუანაჲსკნელიცა იგი მი-ვე-სცე მწულილი.

13

1. მო-ვინმე-სრულ იყვნეს მას ჟამსა ოდენ და უთხრეს მას გალილეველთა მათთჳს, რომელთაჲ-იგი სისხლი პილატე შეჰრია მსხუერპლთა მათთა.
2. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ეგრე გგონიეს, ვითარმედ გალილეველნი ესე უფროჲს ყო-

ველთა გალილეველთა იყენეს ცოდვილ, რამეთუ ესეეითარი ეენო მათ?
3. გეტყჳ თქუენ: არა; არამედ უკუეთუ არა შეინანოთ, ეგრევე სახედ ყოველნი წარსწყმდეთ.
4. ანუ იგი, რომელ ათრევამეტთა ზედა სილოამს გოდოლი დაეცა და მოსწყჳდნა იგინი, ჰგონებთ, ვითარმედ იგინი სოლო თანა-მდებ იყენეს უფროჲს ყოველთა კაცთა, რომელნი მკჳდრ არიან იერუსალჱმს?
5. გეტყჳ თქუენ: არა; არამედ უკუეთუ არა შეინანოთ, ყოველნივე ეგრეთ წარსწყმდეთ.
6. და ეტყოდა მათ იგავსა ამას: ლელჳ ეისმე ედგა ნერგი საევნაკესა თჳსსა, მოვიდა და ეძიებდა ნაყოფსა მისგან და არა პოვა.
7. და ჰრქუა ვენაკისა-მოქმედსა მას: ესერა სამი წელი არს, ვინაჲთგან მოვალ და ვეძიებ ნაყოფსა ლელჳსა ამას შინა და არა ვჰპოვებ. მოჰკუეთე ეგე, რაჲსათჳს ქუეყანაჲცა დაუპყრიეს უქმად?
8. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: უფალო, უტევე ეგე ამასცა წელსა, ვიდრემდე მოუთოკნო მას გარემო და სკორე დაუდვა,
9. ყოს ხოლო თუ ნაყოფი; უკუეთუ არა, მერმე მოჰკუეთე იგი.
10. და ასწაევებდა მათ იესუ შესაკრებელსა ერთსა შაბათსა შინა.
11. და აჰა ესერა დედაკაცი იყო, რომლისა თანა იყო სული უძლურებისაჲ ათრევამეტ წლითგან; და იყო იგი დაღონებულ და ვერ ეძლო ზე ახილვად ყოველითურთ.
12. იხილა იგი იესუ, მოუწოდა და ჰრქუა მას: დედაკაცო, განტევებულ ხარ უძლურებისაგან შენისა.
13. და დაასხნა მას ზედა კელნი, და მეყსეულად აღემართა და ვიღოდა და ადიდებდა ღმერთსა.
14. მიუგო შესაკრებლის-მთავარმან მან რისხვით, რამეთუ შაბათსა განკურნა იგი იესუ, და ეტყოდა ერსა მას: ექუსნი დღენი არიან, რომელთა შინა ჯერ-არს საქმედ; მათ შინა მომავალნი განიკურნებოდეთ და ნუ დღესა შაბათსა.
15. მიუგო მას იესუ და ჰრქუა: ორგულო, კაცად-კაცადმან თქუენმან არა აჰკსნისა შაბათსა შინა კარი გინა ვირი ბაგათაგან მათთა და წარიბის და ასჳს მას წყალი?
16. ხოლო ესე ასული აბრაჰამისი იყო, რომელი შეეკრა ეშმაკსა, აჰა ესერა ათრევამეტი წელი არს; არა ჯერ-იყოა განკსნად საკრეელთაგან მისთა დღესა შაბათსა?
17. და ამას რაჲ იტყოდა თავადი, ჰრცხუენოდა ყოველთა წინა-აღმდგომთა მისთა; და ყო-

ველსა მას ერსა უხაროდა ყოველთა მათ ზედა დიდებულებათა მისთა, რომელნი იქმნებოდეს მის მიერ.
18. და იტყოდა: რასა ვამსგავსო სასუფეველი ღმრთისაჲ და ვისა მსგავს არს იგი?
19. მსგავს არს იგი მარცუალსა მდოგჳსასა, რომელი მოიღო კაცმან და დასთესა იგი მტილსა თჳსსა; და აღორძნდა და იქმნა იგი ხე დიდ, და მფრინველთა ცისათა დაიმკჳდრეს რტოთა მისთა.
20. მერმე კუალად თქუა: რასა ვამსგავსო სასუფეველი ღმრთისაჲ?
21. ვამსგავსო იგი ცომსა, რომელი მოიღო დედაკაცმან და შეჰრთო იგი ფქვილსა სამსა საწყაულსა, ვიდრემდე აღაფუენოს ყოველი.
22. და მიმოვიდოდა ქალაქებსა და დაბნებსა და ასწავებდა და წარიგზავნებოდა იერუსალჵმდ.
23. და ჰრქუა ვინმე მას: უფალო, უკუეთუ მცირედ არიან ცხორებულნი? ხოლო თავადმან ჰრქუა მათ:
24. იღუაწეთ შესლვად იწროჲსა მისგან კარისა. ხოლო გეტყჳ თქუენ: მრავალნი ეძიებდენ შესლვად და ვერ უძლონ.
25. ვინაჲთგან აღდგეს სახლისა უფალი და დაჰკმას კარი, და გარეშე სდგეთ და იწყოთ რეკად კარსა და იტყოდით: უფალო, უფალო, განგჳღე ჩუენ! მოგიგოს და გრქუას თქუენ: არა გიცნი თქუენ, ვინანი ხართ.
26. მაშინ იწყოთ სიტყუად: ვჭამდით წინაშე შენსა და ვსუემდით, და უბანთა ჩუენთა ზედა გუასწავებდ.
27. და გრქუას: არა გიცნი, ვინანი ხართ, განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი.
28. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ, რაჟამს იხილოთ აბრაჰამი, ისაკი და იაკობი და ყოველნი წინაწარმეტყუელნი სასუფეველსა ღმრთისასა და თქუენ განსხმულნი გარეშე.
29. და მოვიდოდიან მზისა-აღმოსავალით და მზისა-დასავალით, ჩრდილოჲთ და სამხრით და ინაჯ-იდგმიდენ სასუფეველსა ღმრთისასა.
30. და აჰა ესერა არიან უკუანაჲსკნელნი, რომელნი იყვნენ პირველ, და არიან პირველნი, რომელნი იყვნენ უკუანაჲსკნელ.
31. მას ღესა შინა მო-ვინმე-ეიდეს იესუჲსა ფარისეველნი და ეტყოდეს მას: განვედ და წარვედ ამიერ, რამეთუ ჰეროდე გეძიებს შენ მოკლვად.
32. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: მივედით და არქუთ მელსა მას: აჰა ესერა განვასხამ ეშმაკთა და კურნებათა აღვასრულებ დღეს და ხვალე, და ზეგე აღვესრულები.

33. რამეთუ ჯერ-არს ჩემდა დღეს და ხვალე და მეგე წარსლვად, რამეთუ ვერ ეგების წინაწარმეტყუელი გარეშე იერუსალჱმსა წარწყმედად.
34. იერუსალჱმ, იერუსალჱმ, რომელმან მოსწყჳდენ წინაწარმეტყუელნი და ქვაჲ დაჰკრიბე მოვლინებულთა შენდა, რაოდენ-გზის მინდა შეკრებაჲ შვილთა შენთაჲ, ვითარცა სასედ მფრინველმან თჳსნი მართუენი ფრთეთა ქუეშე, და არა ინებეთ!
35. აჰა ესერა დაუტევნეთ თქუენ სახლნი თქუენნი ოკრად. გეტყჳ თქუენ: არღარა მიხილოთ მე ამიერითგან, ვიდრემდე სთქუათ: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა.

14

1. და იყო მო-რაჲ-ვიდა იესუ სახლსა ვისმე მთავრისა ფარისეველისასა დღესა შაბათსა ჭამად პურისა, და იგინი უმზირდეს მას.
2. და აჰა ესერა იყო ვინმე კაცი წყლით მანკიერი წინაშე მისსა.
3. მიუგო იესუ და ჰრქუა სჯულის-მოძღუართა მათ და ფარისეველთა: უკუეთუ ჯერ-არს შაბათსა განკურნებაჲ?
4. ხოლო იგინი დუმნეს. და მოიყვანა კაცი იგი, განკურნა და განუტევა.
5. და ჰრქუა მათ: ვისი თქუენგანისაჲ შეილი გინა კარი შთავარდეს ჯურღმულსა, არა-მე მეყსეულად აღმოიქუას იგი დღესა შაბათსა?
6. და ვერარაჲ მიუგეს მას ამისთჳს.
7. და ეტყოდა ჩინებულთა მათ იგავსა და შეასწაევებდა, ვითარ-იგი გემოჯდომასა ირჩეედეს, და ეტყოდა მათ:
8. რაჟამს გსადოს ვინმე ქორწილსა, ნუ დასჯდები პირველსა საინაკესა, ნუუკუე უპატიოსნესი შენსა იყოს ჩინებული მისგან;
9. და მოეიდეს, რომელმან-იგი შენ და მას გსადა, და გრქუას შენ: ადგილ-ეც ამას! მაშინ იწყო სირცხჳლით უკუანაჲსკნელსა ადგილსა დაპყრობად.
10. არამედ ოდეს გსადოს ვინმე, მიევედ და დაჯედ უკუანაჲსკნელსა ადგილსა, რაჲთა მოვიდეს, რომელმან-იგი გხადა შენ, და გრქუას: მეგობარო, აღმოგუალე გემოკერძო! მაშინ იყოს შენდა დიდება წინაშე ყოველთა მეინაკეთა შენთა თანა.
11. რამეთუ ყოველმან რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, იგი დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, ამაღლდეს.
12. ეტყოდა მასცა, რომელმან-იგი ხადა მას: ოდეს ჰყოფდე სამხარსა გინა სერსა, ნუ ჰხდი მეგობართა შენთა, ნუცა ძმათა

შენთა, ნუცა ნათესავთა შენთა. ნუცა მოძმეთა მდიდართა, ნუუკუე მათცა კუალად გხადონ შენ, და გექმნეს შენ მოსაგებელ.
13. არამედ ოდეს ჰყოფდე შენ სამხარსა, ჰხადე გლახაკთა უმეცართა, მკელობელთა და ბრმათა,
14. და ნეტარ იყო, რამეთუ არარაჲ აქუს, რაჲმცა მოგაგეს შენ, და მოგეგოს შენ აღდგომასა მას მართალთასა.
15. ესმა ვისმე მის თანა მეინაკესა ესე, და ჰრქუა მას: ნეტარ არს, რომელმან ჭამოს პური სასუფეველსა ღმრთისასა!
16. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: კაცმან ვინმე ყო პური დიდი და მოუწოდა მრავალთა.
17. და წარავლინა მონაჲ თჳსი ჟამსა პურისასა, რაჲთა ჰრქუას ჩინებულთა მათ მოსლვად, რამეთუ: აჰა ესერა პური ჩემი მზა არს ყოველი.
18. და იწყო თითოეულმან ყოველმან ჯმნად. პირველმან მან ჰრქუა მას: აგარაკი ვიყიდე და უნებელი ზედა-მაც მისლვად და ხილვად იგი. გლოცავ შენ, განმიტევე, ჯმნულმცა ვარ შენგან.
19. და სხუამან თქუა: უღლეული ჴართაჲ ვიყიდე ხუთი და მივალ გამოცდად მათა. გლოცავ შენ, ჯმნულმცა ვარ.
20. და მერმე სხუამან ჰრქუა: ცოლი შევირთე და მის გამო ვერ კელ-მეწიფების მოსლვად.
21. და მოვიდა მონაჲ იგი და უთხრა ესე უფალსა თჳსსა. მაშინ განრისხნა სახლისა უფალი იგი და ჰრქუა მონასა მას თჳსსა: განვედ აღრე უბანთა და ყურეთა ქალაქისათა და გლახაკთა და უცხოთა და ბრმათა და მკელობელთა შემოხადე აქა.
22. და თქუა მონამან მან: უფალო, იქმნა ბრძანებაჲ შენი, და ადგილი არსღა.
23. და ჰრქუა უფალმან მან მონასა მას: განვედ გზათა ზედა და ფოლოცთა და აიძულე შემოსლვად, რაჲთა აღივსოს სახლი ჩემი.
24. ხოლო გეტყჳ თქუენ: არავინ მათ კაცთაგანმან გემოჲ იხილოს სერობისა ამის ჩემისაჲ, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ.
25. და შეკრბებოდა მისა ერი მრავალი; მიექცა და ჰრქუა მათ:
26. რომელი მოვალს ჩემდა და არა მოიძულოს მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და ცოლი და შვილნი და ძმანი და დანი და მერმე კუალად სულიცა თჳსი, ვერ კელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა.
27. და რომელმან არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, ვერ კელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა.
28. ვის-მე უკუე თქუენგანსა უნდეს გოდოლი შენებად, არა-მეა პირველად დაჯდეს და აღირაც-

ხოს,რაოდენი წარაგოს,უკუეთუ აქუს,რაჲთა კმა-ეყოს მას აღსრულებადმდე.
29. ნუუკუე დადვას საფუძველი და ვერ შეუძლოს აღსრულებად მისა, და ყოველნი რომელი ხედვიდენ მას, იწყონ კიცხეევად მისა
30. და თქუან,ვითარმედ: კაცმან ამან იწყო შენებად და ვერ შეუძლო აღსრულებად.
31. ანუ რომელი მეფე მივალნ სხჯსა მეფისა ბრძოლად, არა-მე პირველად დაჯდის და განიზრახის, უკუეთუ შემძლებელ არს ათითა ათასითა შემთხუევად ოცითა ათასითა მომავალსა მის გედა?
32. უკუეთუ არა, ვიდრე შორსღა არნ, მოციქული მიუვლინის და მოიკითხის იგი მშჯდობით.
33. ეგრეცა ყოველმანვე თქუენგანმან რომელმან არა იჯმნეს ყოვლისაგან მონაგებისა თჯისა, ვერ კელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა.
34. კეთილ არს მარილი. უკუეთუ მარილი იგი განქარდეს,რაჲთა დაიმარილოს?
35. არცა ქუეყანასა, არცა სკორესა სარგებელ არს, არამედ გარე განდვან იგი. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ესმოდენ!

15

1. და იყვნეს ყოველნი მეზუერენი და ცოდვილნი მახლობელად მისა და ისმენდეს მისსა.
2. და დრტჯნვიდეს ფარისეველნი და მწიგნობარნი და იტყოდეს, ვითარმედ: ესე ცოდვილთა შეიწყნარებს და მათ თანა ჭამს და სუამს.
3. და ეტყოდა მათ იგავსა ამას და ჰრქუა:
4. ვის თქუენგანსა კაცსა ედგას ასი ცხოვარი და წარუწყმდეს მას ერთი მათგანი,არა-მე დაუტევნესა ოთხმეოც და ათცხრამეტნი იგი უდაბნოსა ზედა და წარვიდეს წარწყმედულისა მისთჯს, ვიდრემდე პოოს იგი?
5. და პოოს რაჲ, დაისუას იგი მჯართა თჯსთა ზედა სიხარულით;
6. და მო-რაჲ-ვიდეს იგი სახედ თჯსა, მოუწოდოს მეგობართა და მოძმეთა და ჰრქუას მათ: ჩემ თანა გიხაროდენ, რამეთუ ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული.
7. გეტყჯ თქუენ: ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთისათჯს ცოდვილისა, რომელმან შეინანოს, ვიდრეღა არა ოთხმეოც და ათცხრამეტთა მათ მართალთა, რომელთა არა უკმს სინანული.
8. გინა დედაკაცსა რომელსა აქუნდა დრაქმაჲ ათი და წარწყმიდის ერთი, არა-მე აღანთისა სანთელი და მოჰმართის სახლი და ეძიებნ გულს-მოდგინედ, ვიდრემდე პოის იგი?

9. და პოის რაჲ, მოუწოდის მეგობართა და მოძმეთა და ჰრქჳს მათ: ჩემ თანა გიხაროდენ, რამეთუ ეპოვე დრაქმაჲ იგი, რომელი წარვწყმიდე.
10. გეტყჳ თქუენ: ესრეთ იყოს სიხარული წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა ერთსა ბედა ცოდვილსა, რომელმან შეინანოს.
11. მერმე იტყოდა და თქუა: კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე.
12. და ჰრქუა უმრწემესმან მან მამასა თჳსსა: მამაო, მომეც მე, რომელი მხუდების ნაწილი სამკჳდრებელისაჲ. და განუყო მათ საცხორებელი იგი.
13. და შემდგომად არა მრავალთა დღეთა შეიკრიბა ყოველი უმრწემესმან მან ძემან და წარვიდა შორსა სოფელსა და მუნ განაბნია ნაყოფი იგი მისი, რამეთუ ცხოვნდებოდა იგი არაწმიდებით.
14. და ვითარცა წარაგო მან ყოველიეე მისი, იყო სიყმილი ძლიერი მას სოფელსა, და იწყო მან მოკლებად.
15. და მივიდა და შეუდგა ერთსა მოქალაქესა მის სოფლისასა, ხოლო მან წარავლინა იგი ველად თჳსა ძოვნად ღორთა.
16. და გული-ეტყოდა განძღებად მუცლისა რქისა მისგან, რომელსა ჭამედ ღორნი, და არავინ სცის მას.
17. და მოეგო რაჲ თავსა თჳსსა, თქუა: რაოდენთა სასყიდლით-
-დადგინებულთა მამისა ჩემისათა ჰმატს პური, და მე აქა სიყმილითა წარვწყმდები.
18. აღვდგე და წარვიდე მამისა ჩემისა და ვჰრქუა მას: მამაო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა,
19. და არღარა ღირს ვარ მე წოდებად ძედ შენდა, არამედ მყავ მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი.
20. და აღდგა და მოვიდა იგი მამისა თჳსისა. და ვიდრე შორს იყო, იხილა იგი მამამან მისმან და შეეწყალა. და მირბიოდა იგი და დავარდა ქედსა ზედა მისსა და ამბორს-უყოფდა მას.
21. და ჰრქუა მას ძემან მან: მამაო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა და არღარა ვარ მე ღირს წოდებად ძედ შენდა.
22. ჰრქუა მამამან მისმან მონათა თჳსთა: გამოიღეთ სამოსელი პირველი და შეჰმოსეთ მას და შეაცუთ ბეჭედი კელსა მისსა და კამლნი ფერკთა მისთა.
23. და მოიბთ ზუარაკი იგი ჭამებული და დაკალთ, და ვჭამოთ და ვიხარებდეთ,
24. რამეთუ ძე ესე ჩემი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედულ იყო და იპოვა. და იწყეს განცხრომად.
25. და იყო ძე იგი მისი უხუცესი ველსა გარე. და ვითარცა მოვიდოდა და მოეახლა სახლსა მას,

ესმა კმაჲ სიხარულისა და განცხრომისაჲ.
26. და მოუწოდა ერთსა მონათაგანსა და ჰკითხვიდა, ვითარმედ: რაჲ არს ესე?
27. ხოლო მან ჰრქუა მას, რამეთუ: ძმაჲ შენი მოსრულ არს, და მამამან შენმან დაკლა ზუარაკი იგი ჭამებული, რამეთუ ცოცხლებით მოვიდა იგი.
28. ხოლო იგი განრისხნა და არა უნდა შინა შესლვაჲ. ხოლო მამაჲ მისი გამოვიდა და ჰლოცვიდა მას.
29. და მან მიუგო და ჰრქუა მამასა თჳსსა: აჰა ესერა ესოდენნი წელნი გმონენ შენ და არასაღა მცნებასა შენსა გარდავჰკედ, და მე არასაღა მომეც ერთი თიკანი, რაჲთამცა მეგობართა ჩემთა თანა ვიხარე.
30. და ოდეს ძე ესე შენი მოვიდა, რომელმან შეჭამა საცხორებელი შენი მეძავთა თანა, დაუკალ მას ზუარაკი იგი ჭამებული.
31. ხოლო მან ჰრქუა მას: შვილო, შენ მარადის ჩემ თანა ხარ, და ჩემი ყოველი შენი არს.
32. ხოლო აწ მხიარულებაჲ და სიხარული ჯერ-არს, რამეთუ ძმაჲ ესე შენი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედულ იყო და იპოვა.

16

1. და ეტყოდა მოწაფეთაცა: კაცი ვინმე იყო მდიდარი, რომელსა ესუა მნე. და ესე შეასმინეს მას, ვითარმედ განაბნია ნაყოფი მისი.
2. და მოუწოდა და ჰრქუა მას: რაჲ არს ესე, რომელ მესმის შენთჳს? მომეც მე სიტყუაჲ სამნოჲსა შენისაჲ, რამეთუ არღარა კელ-გეწიფების ამიერითგან მნეობაღ.
3. ხოლო მნემან მან თქუა გულსა თჳსსა: რაჲ ეყო, რამეთუ უფალი ჩემი მიმიღებს სამნოსა ჩემსა? საქმედ არა ძალ-მიც, თხოვაღ მრცხუენის.
4. უწყი, რაჲ ეყო, რაჲთა, რაჟამს გარდავედგე მნეობისაგან, შემიწყნარონ მე სახლთა მათთა.
5. და მოუწოდა კაცაღ-კაცაღსა თანა-მდებსა უფლისა თჳსისასა და ჰრქუა პირველსა მას: რაოდენი თანა-გაც უფლისა ჩემისაჲ?
6. და მან თქუა: ასი საწნეხელი ზეთისაჲ. და ჰრქუა მას: მიიღე კელით-წერილი შენი და დაჯედ აღრე და დაწერე ერგასისი.
7. მერმე სხუასა ჰრქუა: შენ რაოდენი თანა-გაც? ხოლო მან თქუა: ასი სათოელი იფქლისაჲ. ჰრქუა მასცა: მიიღე კელით-წერილი შენი და დაწერე ოთხმეოცი.
8. და აქო უფალმან მნე იგი სიცრუვისაჲ, რამეთუ გონიერად ყო. რამეთუ ძენი ამის სოფლი-

სანი უგონიერეს არიან უფროჲს ძეთა ნათლისათა ნათესავსა შორის მათსა.
9. და მე გეტყჳ თქუენ: ისხენით თავისა თქუენისა მეგობარნი მამონაჲსა მისგან სიცრუვისა, რაჲთა, რაჟამს მოაკლდეთ თქუენ ამიერ, შეგიწყნარნენ თქუენ საუკუნეთა მათ საყოფელთა.
10. სარწმუნოჲ იგი მცირესა ზედა და მრავალსა ზედაცა სარწმუნო არს; და რომელი მცირესა ზედა ცრუ არს, მრავალსაცა ზედა ცრუ არს.
11. უკუეთუ სიცრუვისა ამას მამონასა საწმუნო არა იქმნნეთ, ჭეშმარიტი იგი ვინ გარწმუნოს თქუენ?
12. და უკუეთუ სხჳსასა ამას სარწმუნო არა იქმნნეთ, თქუენი იგი ვინ მოგცეს თქუენ?
13. არავის მონასა კელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და ერთი შეიყუაროს, და ანუ ერთისაჲ თავს-იდვას და ერთი შეურაცხ-ყოს. ვერ კელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაჲსა.
14. ესმოდა ესე ყოველი ფარისეველთაცა, რამეთუ ვეცხლის-მოყუარე იყვნეს და შეურაცხ-ჰყოფდეს მას.
15. და ეტყოდა მათ: თქუენ ხართ, რომელნი განიმართლებთ თავთა თჳსთა წინაშე კაცთა, სოლო ღმერთმან იცნის გულნი თქუენნი, რამეთუ კაცთა შორის მაღალი საძაგელ არს წინაშე ღმრთისა.
16. რამეთუ სჯული და წინაწარმეტყუელნი ვიდრე იოვანესამდე: მიერითგან სასუფეველი ღმრთისაჲ ეხარების, და ყოველივე მისა მიმართ იძულების.
17. უადვილეს არს ცისა და ქუეყანისა წარსლვაჲ, ვიდრეღა სჯულისა ერთი რქაჲ დავრღომად.
18. ყოველმან რომელმან განუტეოს ცოლი თჳსი და სხუაჲ შეირთოს, მან იმრუშა; და რომელმან განტევებული ქმრისაგან შეირთოს, მანცა იმრუშა.
19. კაცი ვინმე იყო მდიდარი და იმოსებოდა ძოწეულითა და ბისონითა და იხარებდა დღითი-დღე ბრწყინვალედ.
20. გლახაკი ვინმე იყო, სახელით ლაზარე, დავრღომილი წინაშე ბჭეთა მისთა და ქუე ძურებოდა.
21. და გული-ეტყოდა განძღებად ნამუსრევისაგან გარდამოცუენებულისა ტაბლისაგან მის მდიდრისა. არამედ ძაღლნიცა მოვიდოდეს და ჰლოშნიდეს წყლულსა მას მისსა.
22. და იყო სიკუდილი გლახაკისაჲ მის და მიიყვანა იგი ანგელოზთაგან წიაღთა აბრაჰამისთა. მოკუდა მდიდარიცა იგი და დაეფლა.

23. და ჯოჯოხეთს შინა აღიხილნა თუალნი თჳსნი, იყო რაჲ იგი ტანჯვასა შინა, და იხილა აბრაჰამი შორით და ლაზარე წიაღთა მისთა.
24. და მან კმა-ყო და თქუა: მამაო აბრაჰამ, შემიწყალე მე და მოაელინე ლაზარე. რაჲთა დაუწოს მწუერვალი თითისა მისისაჲ წყალსა და განმიგრილოს ენაჲ ჩემი, რამეთუ ვიტანჯები მე ალითა ამით ცეცხლისაჲთა.
25. ხოლო აბრაჰამ ჰრქუა მას: შვილო, მოიკსენე, რამეთუ მიიღე კეთილი შენი ცხორებასა შენსა, და ლაზარე ეგრევე მსგავსად ბოროტი. და აწ ესერა აქა ესე ნუგეშინის-ცემულ არს, ხოლო შენ იტანჯები.
26. და ამას ყოველსა თანა შორის ჩუენსა და შენსა დანახეთქი დიდი დამტკიცებულ არს, რაჲთა, რომელთა უნდეს წიაღსლვად ამიერ თქუენდა, ვერ კელ-ეწიფოს, არცა მაგიერ ჩუენდა წიაღმოსლვად.
27. ხოლო მან ჰრქუა: გლოცავ შენ, მამაო, მიავლინე ეგე სახლსა მამისა ჩემისასა,
28. რამეთუ მისხენ ხუთნი ძმანი, რაჲთა აუწყოს მათ, და არა მოვიდენ იგინიცა ადგილსა ამას სატანჯველისასა.
29. ჰრქუა მას აბრაჰამ: ჰქონან მოსე და წინაწარმეტყუელნი, მათი ისმინონ.
30. ხოლო მან თქუა: არა, მამაო აბრაჰამ, არამედ უკუეთუ ვინმე მკუდრეთით აღდგეს და მიეიდეს, მათ შეინანონ.
31. ჰრქუა მას აბრაჰამ: უკუეთუ მოსესი და წინაწარმეტყუელთაჲ არა ისმინონ, არცაღა, მკუდრეთით თუ ვინმე აღდგეს, ჰრწმენეს მათ.

17

1. ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: შეუგეანებელ არს საცთურისა არა მოსლეაჲ, ხოლო ვაჲ, ვისგან მოვიდეს!
2. უადვილეს არს მისა, უკუეთუმცა ლოდი ვირით საფქველისაჲ ზედა ედვა ქედსა მისსა და შთავრდომილ იყო ზღუასა, ვიდრე არა დაბრკოლებად ერთსა ამას მცირეთაგანსა.
3. არამედ ეკრძალენით თავთა თქუენთა. უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, შეჰრისხენ მას; და უკუეთუ შეინანოს, მიუტევე მას.
4. დაღათუ შჯდ-გზის დღესა შინა შეგცოდოს და შჯდ-გზის მოაქციოს და გრქუას შენ: შევინანე, მიუტევე მას.
5. და ჰრქუეს მოციქულთა უფალსა: შემძინე ჩუენ სარწმუნოებაჲ!
6. ჰრქუა მათ იესუ: უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ, ვითარცა მარცუალი მდოგჳსაჲ, არქუთმცა ლეღუსულელსა ამას: აღიფხუერ და დაენერგე ზღუა-

სა შინა, ისმინამცა თქუენი.
7. ვის-მე თქუენგანსა მონაჲ ესუას მკნველი გინა მწყემსი, რომელიმცა მოვიდა ველით, და მეყსეულად ჰრქუა მას: წარმოკედ და დაჯედ!
8. ანუ არა-მე ჰრქუასა მას: მზა-მიყავ მე, რაჲთა ვისერო, და მოირტყენ და მმსახურებდ მე, ვიდრემდე ვჭამო და ვსუა, და ამისა შემდგომად ჭამე და სუ შენცა?
9. ნუუკუე მადლ-იპყრასა მონისაჲ მის, რამეთუ ყო ბრძანებაჲ მისი? არა ვჰგონებ.
10. ეგრეცა თქუენ, ოდეს ჰყოთ ბრძანებული თქუენდა, თქუთ, ვითარმედ: მონანი ვართ უკმარნი; რომელი თანა-გუედვა ყოფად, ვყავთ.
11. და იყო მისლვასა მას მისსა იერუსალჵმდ და თავადი განვიდოდა შორის სამარიასა და გალილეასა.
12. და შე-რაჲ-ვიდა იგი დაბასა რომელსამე, მოეგებვოდეს მას ათნი კეთროვანნი კაცნი, რომელნი დადგეს შორს.
13. და მათ აღიმაღლეს ჴმაჲ მათი და იტყოდეს: იესუ მოძღუარ, შემიწყალენ ჩუენ!
14. და თავადმან ვითარცა იხილნა იგინი, ჰრქუა მათ: წარვედით და უჩუენენით თავნი თქუენნი მღდელთა. და იყო ვითარცა წარ-ოდენ-ვიდეს იგინი მისგან, განწმიდნეს კერთოვნებისა მისგან.
15. ხოლო ერთმან მათგანმან იხილა, რამეთუ განიკურნა, მოიქცა და ჴმითა დიდითა აღიდებდა ღმერთსა.
16. და დავარდა წინაშე ფერჴთა იესუჲსთა და ჰმადლობდა მას. და ესე იყო სამარიტელი.
17. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: არა ათნივე განიკურნნესა? და ცხრანი იგი სადა არიან?
18. ვერ იპოვნეს ეგოდენ, რაჲთამცა მოიქცეს და მისცეს დიდებაჲ ღმერთსა, გარნა უცხო-თესლი ხოლო ესე?
19. და ჰრქუა მას: აღდეგ და წარვედ! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ.
20. ჰკითხეს მას ფარისეველთა: ოდეს მოიწიოს სასუფეველი ღმრთისაჲ? მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა მოვიდეს სასუფეველი ღმრთისაჲ ზმნით:
21. არცა თქუან: აჰა აქა, ანუ იქი. აჰა ეგერა სასუფეველი ღმრთისაჲ შორის თქუენსა არს.
22. და ჰრქუა მოწაფეთა: მოვლენან დღენი, ოდეს გული-გითქუმიდეს თქუენ დღეთაჲსა ძისა კაცისათა ხილვად და არა იხილოთ.
23. და გრქუან თქუენ: აჰა აქა არს, და: აჰა იქი არს, — ნუ განხუალთ, ნუცა შეუდგთ.
24. რამეთუ ვითარცა ელვაჲ რაჲ ელავენ ქუეშე ცისაჲთგან, ვიდრე ქუეშე ცისამდე ბრწყი-

ნავნ, ესრეთ იყოს ძე კაცისაჲ დღეთა მისთა.
25. ხოლო პირველად ჯერ-არს მისა ფრიად ვნებად და შეურაცხ-ყოფად ნათესავისა ამისგან.
26. და ვითარცა-იგი იყო დღეთა მათ ნოესთა, ეგრეთ იყოს დღეთა მათ ძისა კაცისათა:
27. ჭამდეს და სუმიდეს, იქორწინებოდეს და განჰქორწინებდეს ვიდრე დღედმდე შესლვად ნოესა კიდობნად. და მოიწია წყლით-რღუნაჲ და წარწყმიდნა ყოველნი.
28. და ეგრევე ვითარცა-იგი იყო დღეთა ლოთისთა: ჭამდეს და სუმიდეს, იყიდდეს და განჰყიდდეს, ნერგსა ასხმიდეს და აშენებდეს;
29. და რომელსა დღესა განვიდა ლოთ სოდომით, აწუმა ცეცხლი და წუნწუბაჲ ზეცით და წარწყმიდნა ყოველნი.
30. ესრეთვე იყოს დღე იგი, ოდეს ძე კაცისაჲ გამოჩნდეს.
31. მას დღესა შინა რომელი იყოს ერდოსა ზედა და ჭურჭელი მისი სახლსა შინა, ნუ გარდამოვალნ აღებად მისა; და რომელი ველსა გარე იყოს, ნუ გარე-მოიქცევინ კუალად.
32. მოიკსენეთ ცოლისა მის ლოთისი.
33. რომელსა უნდეს სულისა თჳსისა განრინებაჲ, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს, მან აცხოვნოს იგი:
34. გეტყჳ თქუენ: მას ღამესა ორნი იყვნენ ერთსა ცხედარსა: ერთი იგი წარიტაცოს, და ერთი იგი დაეტეოს.
35. ორნი ფქვიდენ ერთად: ერთი იგი წარიტაცოს, და ერთი იგი დაშთეს.
36. ორნი იყუნენ ველსა; ერთი იგი წარიტაცოს, და ერთი იგი დაშთეს.
37. და მიუგეს და ჰრქუეს მას: ვიდრე, უფალო? ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: სადაცა კორცი, მუნცა ორბები შეკრბეს.

18

1. ეტყოდა მათ იგავსაცა, ვითარ-იგი ჯერ-არს მათა მარადის ლოცვაჲ და რაჲთა არა ეწყინებოდის ლოცვასა შინა.
2. და იტყოდა: მსაჯული ვინმე იყო ქალაქსა შინა, ღმრთისა არა ეშინოდა და კაცთაგან არა ჰრცხუენოდა.
3. და ქურიე ვინმე იყო მასვე ქალაქსა შინა. და მოეიდის მისა და ეტყჳნ: მისაჯე მე წინამოსაჯულისაგან ჩემისა.
4. და არა ისმინის მისი, ვიდრე რომლად ჟამადმდე. ამისა შემდგომად თქუა გულსა შინა თჳსსა: დაღათუ ღმრთისა არა მეშინის და კაცთაგან არა მრცხუენის,
5. ამისთჳს, რამეთუ შრომასა შემამთხუევს მე მარადის ქური-

ვი ესე, უსაჯო მას, რაჲთა არა მარაღის მოვიდოდის და მაწყინებდეს მე.
6. და ჰრქუა მათ უფალმან: ისმინეთ, რასა-იგი მსაჯული სიცრუვისაჲ იტყჳს.
7. ხოლო ღმერთმან არა-მე ყოსა შურის-გებაჲ რჩეულთა მისთაჲ, რომელნი ღაღადებენ მისა დღე და ღამე, და სულგრძელ არს მათ ზედა?
8. გეტყჳ თქუენ: ყოს შურის-გებაჲ მათთჳს ადრე. ხოლო მო-რაჲ-ვიდეს ძე კაცისაჲ, პოვოს-მეა სარწმუნოებაჲ ქუეყანასა ზედა?
9. თქუა ვიეთამე მიმართ იგავი ესე, რომელნი ესვენ თავთა თჳსთა, ვითარმედ მართალ არიან, და შეურაცხ-ჰყოფენ სხუათა,
10. ვითარმედ: ორნი კაცნი აღვიდოდეს ლოცვად ტაძარსა მას: ერთი ფარისეველი და ერთი მეზუერე.
11. ფარისეველი იგი წარდგა და ამას ილოცვიდა თჳსაგან: ღმერთო, გმადლობ შენ, რამეთუ არა ვარ, ვითარცა სხუანი კაცნი, მტაცებელ, ცრუ და მემრუშე, გინა ვითარცა ესე მეზუერე,
12. ვიმარხავ ორ-გზის შაბათსა შინა და ათეულსა შევსწირავ ყოვლისაგან მონაგებისა ჩემისა.
13. ხოლო მეზუერე იგი შორს დგა და არა იკადრებდა თუალთაცა მე ახილვად, არამედ იცემდა მკერდსა და იტყოდა: ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას.
14. გეტყჳ თქუენ: გარდამოვიდა ესე განმართლებული სახედ თჳსა, ვიდრე ფარისეველი იგი, რამეთუ ყოველმან რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, იგი დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს.
15. მოჰგურიდეს მას ყრმებსაცა, რაჲთა მიეახლნენ მას. და ვითარცა იხილეს მოწაფეთა, აყენებდეს მათ.
16. ხოლო იესუ მოუწოდა მათ და ჰრქუა: აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართაჲ არს სასუფეველი ღმრთისაჲ.
17. ამენ გეტყჳ თქუენ: რომელმან არა შეიწყნაროს სასუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა ყრმაჲ, ვერ შევიდეს მას შინა.
18. და ჰკითხა ვინმე მას მთავარმან და ჰრქუა: მოძღუარო სახიერო, რაჲ საქმე ვქმნე, რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოჲ დავიმკჳდრო?
19. ჰრქუა მას იესუ: რაჲსა მეტყჳ მე სახიერით? არავინ არს სახიერ, გარნა მხოლოჲ ღმერთი.
20. მცნებანი იცნი: ნუ იმრუშებ, ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ

ცილსა სწამებ, პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა.
21. ხოლო მან თქუა: ეგე ყოველი დავიმარხე სიყრმით ჩემითგან.
22. ესმა რაჲ ესე იესუს, ჰრქუა მას: ერთიღა გაკლს შენ: ყოველი, რაჲცა გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიდეგ მე.
23. და ვითარცა ესმა ესე მას, მწუხარე იქმნა, რამეთუ იყო იგი მდიდარ ფრიად.
24. ვითარცა იხილა იგი იესუ, რამეთუ შეწუხნა, თქუა: ვითარ ძნიად შევიდენ სასუფეველსა ღმრთისასა, რომელთა აქუნდეს საფასე!
25. უადვილეს არს მანქანისა საბელი კურელსა ნემსისასა განსლვად, ვიდრე მდიდარი შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა.
26. ხოლო რომელთა-იგი ესმა, ჰრქუეს მას: და ვის კელ-ეწიფების ცხორებად?
27. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ.
28. ჰრქუა მას პეტრე: აჰა ესერა ჩუენ დაუტევეთ ყოველი და შეგიდეგით შენ.
29. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ არავინ არს, რომელმან დაუტევა სახლი გინა მამაჲ, გინა დედაჲ, გინა ძმანი, გინა ცოლი, გინა შვილნი სასუფეველისათჳს ღმრთისა,
30. რომელმან არა მიიღოს მრავალი წილი ჟამსა ამას და საუკუნესა მომავალსა ცხორებაჲ საუკუნოჲ.
31. და წარიყვანნა ათორმეტნი იგი და ჰრქუა მათ: აჰა ესერა აღვალთ იერუსალჵმდ, და აღესრულნენ ყოველნი წერილნი წინაწარმეტყუელთანი ძესა ზედა კაცისასა:
32. რამეთუ მიეცეს კელთა წარმართთასა, და ეკიცხეედენ მას, და იგინოს, და ჰნერწყუვიდენ
33. და ტანჯონ და მოკლან იგი, და მესამესა დღესა აღდგეს.
34. და მათ არარაჲ გულისკმა--ყვეს ესე, არამედ იყო სიტყუაჲ იგი დაფარულ მათგან, და არა იცოდეს თქუმული იგი.
35. და იყო ვითარცა მიეახლნეს იერიქოდ, ბრმაჲ ვინმე ჯდა გზასა ზედა მთხოველად.
36. ვითარცა ესმა, ვითარმედ ერი წარმოვალს, იკითხვიდა: რაჲ-მე არს ესე?
37. უთხრეს მას, ვითარმედ: იესუ ნაზარეველი წარმოვალს.
38. და მან ღაღატ-ყო და თქუა: იესუ, ძეო დავითისო, შემიწყალე მე!
39. ხოლო რომელნი წინა-უძღოდეს, ჰრისხვიდეს მას, რაჲთა დადუმნეს. ხოლო იგი უფროჲს ღაღადებდა და იტყოდა: იესუ, ძეო დავითისო, შემიწყალე მე!

40. და დადგა იესუ და ბრძანა მოწოდებაჲ მისი. და ვითარცა მოეახლა იგი, ჰკითხა მას:
41. რაჲ გნებავს, და გიყო შენ? ხოლო მან ჰრქუა: უფალო, რაჲთა აღვისილნე თუალნი.
42. ხოლო იესუ ჰრქუა მას: აღიხილენ! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ.
43. და მეყსეულად აღიხილნა და მისდევდა მას და აღიდებდა ღმერთსა. და ყოველმან ერმან იხილეს და აქებდეს ღმერთსა.

19

1. და შევიდა და განვიდოდა იერიქოჲთ.
2. და აჰა ესერა კაცი ვინმე, და სახელი მისი ზაქე. და იყო იგი მთავარი მეზუერეთაჲ, და ესე იყო მდიდარ ფრიად.
3. და უნდა ხილვაჲ იესუჲსი, ვინ-ძი არს, და ვერ უძლო ხილვად ერისა მისგან, რამეთუ ჰასაკითა იყო მცირე.
4. და წარრბიოდა წინა და აღკდა ლეღუსულელსა, რაჲთა იხილოს იგი, რამეთუ მიერ წარსლვად იყო.
5. და მოვიდა ადგილსა მას, მიხედა იესუ და ჰრქუა მას: ზაქე, ისწრაფე და გარდამოჯედ, რამეთუ დღეს სახლსა შინა შენსა ჯერ-არს ჩემი ყოფაჲ.
6. და ისწრაფა და გარდამოჯდა და შეიყვანა იგი სიხარულით.
7. და იხილეს ყოველთა და დრტჳნვიდეს და იტყოდეს, ვითარმედ: ცოდვილისა კაცისა თანა შევიდა დადგომად.
8. აღდგა ზაქე და ჰრქუა უფალსა: აჰა, უფალო, ზოგი ნაყოფთა ჩემთაჲ მივსცე გლახაკთა; და უკუეთუ ვისმე ცილი დაესდევ, მივაგო ოთხი წილი.
9. ჰრქუა მას იესუ: დღეს იქმნა ცხორებაჲ სახლისაჲ ამის, რამეთუ ესეცა შვილი აბრაჰამისი არს.
10. რამეთუ მოვიდა ძე კაცისაჲ მოძიებად და ცხორებად წარწყმედულისა.
11. და ვითარცა ესმოდა ესე ერსა მას, შესძინა და თქუა იგავი ამისთჳს, რამეთუ მოახლოებულ იყო იგი იერუსალჵმსა, და ჰგონებდეს იგინი, ვითარმედ მეყსეულად გამოჩნდეს სასუფეველი ღმრთისაჲ.
12. და ჰრქუა მათ: კაცი ვინმე აზნაური წარვიდა შორსა სოფელსა მოღებად თავისა თჳსისა მეუფებისა და მოქცევად.
13. და მოუწოდა ათთა მონათა თჳსთა და მისცა მათ ათი მნაჲ და ჰრქუა მათ: ვაჭრობდით ამას, ვიდრემდე მოვიდე.
14. ხოლო მოქალაქეთა მისთა სძულდა იგი და მიავლინნეს მოციქულნი შემდგომად მისა და ჰრქუეს მას: არა გუნებავს მაგისი მეუფებაჲ ჩუენ ზედა.
15. და იყო მოქცევასა მას მისსა, მო-რაჲ-აქუნდა მეუფებაჲ თჳსი,

და ბრძანა მოწოდებაჲ მათ მონათაჲ, რომელთადა მიეცა ვეცხლი იგი,რაჲთა უწყოდის,რაჲ-ი-გი ივაჭრეს.
16. და მოვიდა პირველი იგი და ჰრქუა: უფალო, შენმან ვეცხლმან ათი სხუაჲ შესძინა სასწორი.
17. ჰრქუა მას: კეთილ, სახიერო მონაო, რამეთუ მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, იყავ შენ ქალაქთა.
18. და მოვიდა მეორე იგი და ჰრქუა: უფალო, ვეცხლმან შენმან სხუაჲღა ხუთი სასწორი ყო.
19. ჰრქუა მასცა: და შენცა იყავ ხუთთა ზედა ქალაქთა.
20. და მესამე იგი მოვიდა და ჰრქუა: უფალო, აჰა ვეცხლი შენი, რომელი მაქუნდა დაკრძალული სუდარსა,
21. რამეთუ შემეშინა,ვითარმედ კაცი ხარ სასტიკი: მოიღი,საღა არა დასდევი, და მოიმკი,საღა არა დასთესი.
22. ჰრქუა მას: პირისა შენისაგან გსაჯო შენ, მონაო ბოროტო; იცოდე, რამეთუ მე კაცი ვარ სასტიკი: მოვიღი, სადა არა დავდევი,და მოვიმკი, სადა არა დავსთესი.
23. და რაჲსათჳს არა დასდევ ვეცხლი ჩემი სავაჭროსა,და მოსულ-ვედ მე და ვახშითურთ ვქმენ იგი?
24. და ჰრქუა წინაშე მდგომელთა მათ: მოუღეთ ვეცხლი იგი და მიეცით, რომელსა-იგი აქუს ათი სასწორი ვეცხლი.
25. და მათ ჰრქუეს მას: უფალო, აქუს ათი სასწორი.
26. გეტყჳ თქუენ,ვითარმედ: ყოველსა რომელსა აქუნდეს,მიეცეს; ხოლო რომელსა არა აქუნდეს და რომელღა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ეღოს მისგან.
27. ხოლო მტერნი იგი ჩემნი, რომელთა-იგი არა უნდა მეუფებაჲ ჩემი მათ ზედა,მომგუარენით მე აქა და მოსწყჳდენით წინაშე ჩემსა.
28. და ვითარცა ესე წართქუა, ვიდოდა წინაშე მათსა და აღვიდოდა იერუსალჱმდ.
29. და იყო ვითარცა მიეახლა ბეთბაგედ და ბეთანიად, მთასა თანა, რომელსა ჰრქჳან ზეთისხილთაჲ, წარავლინნა ორნი მოწაფეთაგანნი.
30. და ჰრქუა მათ: წარვედით წინაშე დაბასა მაგას, რომელსა შეხჳდეთ და ჰპოოთ კიცჳ დაბმული, რომელსა კაცი არღავინ დაჯდომილ არს; აჰკსენით და მომგუარეთ მე.
31. და უკუეთუ ვინმე გკითხვიდეს: რაჲსათჳს აჰკსნით? ესრეთ არქუთ, ვითარმედ: უფალსა უკმს ეგე.
32. და ვითარცა წარვიდეს, რომელნი-იგი მიაელინნა, პოვეს ეგრეთ, ვითარცა-იგი ჰრქუა მათ.
33. და აღ-რაჲ-ჰკსნიდეს იგინი

კიცუსა მას, ჰრქუეს მათ უფალთა მათ მისთა: რაჲსათჳს აჰკსნით კიცუსა მაგას?
34. ხოლო მათ ჰრქუეს, ვითარმედ: უფალსა უკმს ეგე.
35. და მოჰგუარეს იგი იესუს და დაასხეს სამოსელი კიცუსა მას, და დაჯდა იესუ მას ზედა.
36. და ვითარ შეეიდოდა იგი, დაუფენდეს სამოსელსა მათსა გზასა ზედა.
37. და ვითარცა მიიწია იგი შთასავალსა მას მთისა მის ზეთისხილთაჲსა, იწყო ყოველმან სიმრავლემან მოწაფეთამან სიხარულით ქებად ღმრთისა კმითა დიდითა ყოველთა მათთჳს, რომელნი იხილნეს ძალნი,
38. და იტყოდეს: კურთხეულ არს მომავალი მეუფე სახელითა უფლისაჲთა! მშჳდობაჲ ცათა ზედა და დიდებაჲ მაღალთა შინა!
39. და ფარისეველნი ვინმე ერისა მისგანნი ეტყოდეს მას და ჰრქუეს: მოძღუარ, შეჰრისხენ მოწაფეთა შენთა!
40. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: გეტყჳ თქუენ: დაღათუ ესენი დუმნენ, ქვანი ღაღადებდენ.
41. და ვითარცა მიეახლა, იხილა ქალაქი იგი და ტიროდა მას ზედა
42. და იტყოდა, ვითარმედ: უკუეთუმცა გეცნა შენ დღესა ამას მშჳდობად შენდა! ხოლო აწ დაეფარა თუალთაგან შენთა.
43. რამეთუ მოვლენან დღენი შენ ზედა, და მოგადგან შენ მტერთა შენთა ლაშქარი და გარე-მოგადგენ შენ და შეგკრიბონ შენ ყოელით კერძო
44. და დაგარღჳონ შენ, და შეილნი შენნი შენ შორის დაეცნენ, და არა დაშთეს ქვაჲ ქვასა ზედა შენ შორის ამისთჳს, რამეთუ არა გულისჴმა-ჰყავ ჟამი მოხედვისა შენისაჲ.
45. და ვითარცა შეეიდა ტაძარსა მას, იწყო გამოსხმად მსყიდელთა მათ და მომსყიდელთა
46. და ჰრქუა მათ: წერილ არს: სახლი ჩემი სახლ სალოცველ არს, ხოლო თქუენ ჰყავთ იგი ქუაბ ავაზაკთა.
47. და იყო მუნ და ასწავებდა დღითი-დღედ ტაძარსა მას შინა. ხოლო მღდელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი და მთავარნი ერისანი ეძიებდეს მას წარწყმედად.
48. და ვერარას ჰპოებდეს, რაჲ უყონ მას, რამეთუ ყოველი ერი დამორჩილებულ იყო სმენად მისგან.

20

1. და იყო მათ დღეთა შინა, ასწავებდა რაჲ ერსა მას და ახარებდა ტაძარსა შინა, გედა-მიუჴდეს მღდელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი მოხუცებულითურთ,

2. ეტყოდეს მას და ჰრქუეს: გუთხარ ჩუენ, რომლითა კელმწიფებითა ამას იქმ, ანუ ვინ მოგცა შენ კელმწიფებაჲ ესე?
3. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: გკითხო თქუენ მეცა სიტყუაჲ ერთი, და მითხართ მე:
4. ნათლის-ცემაჲ იოვანესი გეცით იყო ანუ კაცთაგან?
5. ხოლო იგინი შეიზრახნეს ურთიერთას და იტყოდეს: უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ: ზეცით იყო, მრქუას ჩუენ: რაჲსათჳს არა გრწმენა მისი?
6. და უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგან, ყოველმან ერმან ქვაჲ დამკრიბოს ჩუენ, რამეთუ სარწმუნო არს იოვანე წინაწარმეტყუელად.
7. და მიუგის და ჰრქუეს: არა ვიცით, ვინაჲ იყო.
8. და იესუ ჰრქუა მათ: არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა კელმწიფებითა ამას ვიქმ.
9. და იწყო იგავით სიტყუად მათა: კაცმან ვინმე დაასხა ვენაკი და მისცა იგი მოქმედთა და წარვიდა მრავალთა ჟამთა.
10. და ჟამსა თჳსსა მიუვლინა მოქმედთა მათ მონაჲ, რაჲთა ნაყოფისა მისგან მოსცენ მას. ხოლო მოქმედთა მათ სცეს და ტანჯეს და წარაველინეს იგი ცალიერი.
11. და შესძინა მიელინებად სხუაჲ მონაჲ. ხოლო მათ იგიცა გუემეს და წარაველინეს ცუდი.
12. მერმე კუალად მიაელინა მესამე. ხოლო მათ შეიპყრეს და დასდეეს მას წყლულებაჲ და გამოაძეს იგი.
13. და თქუა უფალმან მის ვენაკისამან: რაჲ ვყო? მიეაველინო ძე ჩემი საყუარელი, ვინ უწყის, შეიკდიმონ.
14. ხოლო ვითარცა იხილეს იგი ქუეყანის-მოქმედთა მათ, გრახვა-ყეეს ურთიერთას და თქუეს; ესე არს მკჳდრი, მოვედით და მოვკლათ იგი, რაჲთა ჩუენდა იყოს სამკჳდრებელი.
15. და განიყვანეს იგი გარეშე სავენაკესა მას და მოკლეს. აწ რაჲ უყოს მათ უფალმან სავენაკისამან?
16. მოვიდეს და წარწყმიდნეს ქუეყანის-მოქმედნი იგი და მისცეს ვენაკი იგი სხუათა. ხოლო მათ ესმა ესე და თქუეს: ნუ იყოფინ.
17. ხოლო თავადმან მიხედა მათ და ჰრქუა: ვითარ არს წერილი ესე: ლოდი, რომელ შეურაცხ-ყეეს მაშენებელთა, იგი იქმნა თავ კიდეთა?
18. ყოველი, რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განანქრიოს იგი.
19. და უნდა მღდელთ-მოძღუართა მათ და მწიგნობართა დასხმად კელთა მათთა მას ჟამსა შინა და ეშინოდა ერისა მის, რამეთუ გულისკმა-ყეეს, ვითარ-

მეღ მათთჳს თქუა იგავი ესე.
20. და მზირ-უყევეს მას და მიაჴლინნეს მზირნი ორგულნი, რომელნი მართლად იტყოდეს თავითა თჳსთა, რაჲთა პოონ რაჲმე სიტყუაჲ მის თანა და მისცენ იგი მთავრობასა და ქელმწიფებასა მთავრისასა.
21. და ჰკითხეს მას და ეტყოდეს: მოძღუარ, ვიცით, რამეთუ მართალსა იტყჳ და ასწავებ და არავის თუალ-აღებ პირსა, არამეღ ჭეშმარიტად გზასა ღმრთისასა ასწავებ.
22. ჯერ-არსა კეისრისა ხარკისა მიცემად ანუ არა?
23. და ვითარცა გულისჴმა-ყო გაკულებაჲ იგი მათი, ჰრქუა მათ: რაჲსა გამომცდით მე?
24. მიჩუენეთ მე დრაჰკანი! ხოლო მათ უჩუენეს. და ჰრქუა: ვისი არს ხატი და ზედაწერილი? სოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს: კეისრისაჲ.
25. და იესუ ჰრქუა მათ: აწ უკუე მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა.
26. და ვერარაჲ პოვეს მისთჳს სიტყუს-გებაჲ წინაშე ერისა მის. და უკჳრდა სიტყუს-მიგებაჲ იგი მისი და დადუმნეს.
27. მო-ვიდეს მე-უკლეს მას მას ჟამსა შინა საღუკეველნი, რომელნი აცილობენ, ვითარმეღ აღდგომაჲ არა არს, და ჰკითხეს მას და ეტყოდეს:
28. მოძღუარ, მოსე ესრეთ დაგიწერა ჩუენ: უკუეთუ ვისმე ძმაჲ მოუკუდეს და ესუას მას ცოლი და იგი უშვილო იყოს, რაჲთა შეირთოს ცოლი იგი მისი ძმამან მისმან და აღუდგინოს თესლი ძმასა თჳსსა.
29. შჳდნი უკუე ძმანი იყვნეს ჩუენ შორის. და პირველმან მან შეირთო ცოლი და მოკუდა უშვილოჲ.
30. და მეორემან და მესამემან,
31. და მოსწყდეს უშვილონი. და ეგრეთვე ვიდრე მეშჳდედმდე, და არა დაშთა შვილი.
32. შემდგომად მათ ყოველთაჲსა მოკუდა დედაკაცია იგი.
33. აწ უკუე აღდგომასა მას მკუდართასა ვისა მათგანისა იყოს ცოლ, რამეთუ შჳდთავე მათ ესუა იგი ცოლად?
34. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ნაშობნი ამის სოფლისანი იქორწინებიან და განჰქორწინებენ;
35. ხოლო რომელნი-იგი ღირს იქმნნენ საუკუნესა მას მიმთხუევად და აღდგომასა მას მკუდრეთით, არცა იქორწინებოდიან, არცა განჰქორწინებდენ,
36. არცაღა მერმე სიკუდილად კელ-ეწიფების, რამეთუ სწორ ანგელოზთა არიან და ძენი ღმრთისანი და აღდგომისანი არიან.
37. სოლო რამეთუ აღდგენ მკუდარნი, მოსეცა აუწყა მაყულოვანსა მას ბედა, ვითარცა-იგი იტყჳს უფალსა ღმერთსა აბრა-

ჰამისსა და ღმერთსა ისაკისსა და ღმერთსა იაკობისსა.
38. რამეთუ არა არს ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ცხოველთაჲ, რამეთუ ყოველნი ცხოველ არიან მის წინაშე.
39. მი-ვიეთმე-უგეს მწიგნობართა და ჰრქუეს: მოძღუარ, კეთილად სთქუ.
40. და ეერღარა იკადრეს კითხვად მისა მიერითგან. და ჰრქუა მათ უფალმან:
41. ვითარ უკუე იტყჳან ქრისტესა ძედ დავითისა?
42. რამეთუ თჳთ იგი დავით იტყჳს წიგნსა ფსალმუნთასა: ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა,
43. ვიდრემდე დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერჴთა შენთა.
44. თჳთ იგი დავით უფლით სადის, და ვითარ ძე მისი არს?
45. და ვითარცა ესმოდა ესე, ყოველსა მას ერსა, ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა:
46. ეკრძალენით მწიგნობართაგან, რომელთა ჰნებაეს სამოსლითა სლვაჲ და რომელთა უყუარს უბანთა ზედა მოკითხვაჲ და პირველაძჯდომაჲ კრებულსა შორის და ზემოჯდომაჲ პურსა ზედა,
47. რომელნი შესჭამენ სახლებსა ქურივთასა და მიზეზით განგრძობილად ილოცვედ. ამათ მოიღონ უმეტესი სასჯელი.

21

1. და მიჰხედა და იხილა, რომელნი-იგი დასდებდეს შესაწირაესა ფასის-საცავსა მას მდიდარნი.
2. და იხილა ვინმე ქურიეი გლახაკი, რომელმან დადეა ორი მწულილი,
3. და თქუა: ჭეშმარიტად გეტყჳ თქუენ, რამეთუ ქურივმან ამან გლახაკმან უმეტეს ყოველთასა შეწირა,
4. რამეთუ ამათ ყოველთა ნამეტავისაგან მათისა დადევეს შესაწირავსა ამას ღმრთისასა, ხოლო ამან ნაკლულევანებისაგან თჳსისა ყოველი, რაჲცა აქუნდა საცხორებელი, შეწირა.
5. და რომელნიმე იტყოდეს ტაძრისათჳს, ვითარმედ: ქვითა კეთილითა და პატიოსნითა შენებულ არს; და თქუა იესუ:
6. ხედავთა ამას? მოვლენან დღენი, რომელთა შინა არა დაშთეს ქვაჲ ქვასა ზედა, რომელი არა დაირღუეს.
7. ჰკითხეს მას მოწაფეთა: მოძღუარ, ოდეს უკუე იყოს ესე, და რაჲ არს სასწაული, რაჟამს ესე ყოფად არს?
8. ხოლო თავადმან თქუა: იხილეთ, ნუუკუე სცთეთ, რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა და იტყოდიან, ვითარმედ: მე ვარ. და ჟამი მოწევნულ არს, არამედ ნუ მიხუალთ შედგომად მათდა.

9. და ოდეს გესმოდიან ბრძოლანი და შფოთნი, ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე პირველად ყოუად, და არღა მეყსეულად იყოს აღსასრული.
10. მაშინ ეტყოდა მათ: აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მეუფებაჲ მეუფებასა ზედა;
11. და იყვნენ ძრვანი დიდ-დიდნი ადგილ-ადგილ, სიყმილნი და სრვანი; საშინელებანი ზეცით და სასწაულნი დიდ-დიდნი იყვნენ.
12. ხოლო ამათ ყოველთა წინა დაგასხნენ თქუენ ზედა კელნი მათნი და გდევნიდენ და მიგცნენ თქუენ შესაკრებელთა და საპყრობილეთა და მეფეთა წინაშე და მთავართა მიგიყვანნენ სახელისა ჩემისათჳს.
13. და გექმნეს თქუენ ესე საწამებელ.
14. დაისხენით ესე გულთა თქუენთა, რაჲთა არა წინაჲსწარ იწურთიდეთ, რაჲ სიტყუაჲ მიუგოთ,
15. რამეთუ მე მოგცე თქუენ პირი და სიბრძნე, რომელსა ვერ უძლონ წინა-აღდგომად და სიტყჳს-გებად ყოველთა წინა-აღმდგომთა თქუენთა.
16. რამეთუ მიეცნეთ თქუენ მამა-დედათაგან და ძმათა და მეგობართა და ნათესავთა, და მოჰკლვიდენ თქუენგანთა.
17. და იყვნეთ თქუენ მოძულებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათჳს.
18. და თმაჲ თაჳსა თქუენისაჲ არა წარწყმდეს.
19. და მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი.
20. რაჟამს იხილოთ იერუსალჵმსა გარე-მოდგომილი ერი მჴედრებისაჲ, მაშინ გულისჴმა-ყოთ, რამეთუ მოახლებულ არს მოოჴრებაჲ მისი.
21. მაშინ რომელნი იყვნენ ჰურიასტანს, იელტოდედ მთად; და რომელნი იყვნენ შორის მისა, განიელტოდედ; და რომელნი ველსა იყვნენ, ნუ შევლენედ მუნ.
22. რამეთუ დღენი შურის-გებისანი ესე არიან, რაჲთა აღესრულნენ ყოველნი წერილნი.
23. ხოლო ვაჲ მუცელ-ქუმულთა და რომელნი აწოებდენ მათ ღეთა შინა, რამეთუ იყოს მაშინ ჭირი დიდი ქუეყანასა ზედა და რისხვაჲ ერსა ამას ზედა.
24. და დაეცნენ პირითა მახჳლისაჲთა და წარიტყუენნენ ყოველთა მიერ წარმართთა; და იერუსალჵმი დათრგუნვილ იყოს წარმართთაგან, ვიდრემდე აღესრულნენ ჟამნი წარმართთანი.
25. და იყოს სასწაული მზესა შინა და მთოვარესა და ვარსკულავთა, და ქუეყანასა ზედა შეკრებაჲ თესლებისაჲ განკურვებითა ოხრისაჲთა ზღუისაგან და ძრვისა;

26. სულითა კაცთაჲთა შიშისაგან და მოლოდებისა მომავალისა ზედა სოფელსა ამას, რამეთუ ძალნი ცათანი შეიძრნენ.
27. და მაშინ იხილონ ძე კაცისაჲ, მომავალი ღრუბელთა ძალითა და დიდებითა მრაველითა.
28. და ვითარცა იწყოს ამან ყოველმან ყოფად, აღიხილენით თუალნი და აღიპყრენით თავნი თქუენნი, რამეთუ მოწევნულ არს გამოკსნაჲ თქუენი.
29. და ეტყოდა მათ იგავსა: იხილეთ ლეღჳ და ყოველნი ხენი.
30. რაჟამს გამოვალნ ფურცელი, თჳთ უწყოდით, რამეთუ ახლოს არს მაჟხული.
31. ეგრეცა თქუენ, რაჟამს იხილოთ ესე ყოველი ყოფილი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს სასუფეველი ღმრთისაჲ.
32. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ: არა წარკჳდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იყოს.
33. ცანი და ქუეყანაჲ წარკჳდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარკჳდენ.
34. ეკრძალენით თავთა თქუენთა, ნუუკუე დამძიმდენ გულნი თქუენნი შუებითა და მთრვალობითა და ზრუნვითა ამის სოფლისაჲთა, და მეყსეულად მოიწიოს თქუენ ზედა დღე იგი.
35. რამეთუ ვითარცა საფრკე მოუკდეს მსხდომარეთა ზედა პირსა ყოვლისა ქუეყანისასა.
36. იღჳძებდით უკუე ყოველსა ჟამსა და ეველრებოდეთ, რაჲთა ღირს იქმნნეთ განრინებად ამის ყოელისაგან, რომელი ყოფად არს, და დადგომად წინაშე ძისა კაცისა.
37. და იყოფეოდა თავადი ტაძარსა მას შინა ღღისი და ასწავებდა; ხოლო ღამე განეიდის და იქცევენ მთასა მას, რომელსა ჰრქუან ზეთისხილთაჲ.
38. და ყოველმან ერმან აღიმსთჳს მისა ტაძარსა მას შინა სმენად სიტყუათა მისთა.

22

1. და მოახლებულ იყო ღღესასწაული იგი უცომოებისაჲ, რომელსა ჰრქუან პასქაჲ.
2. და ეძიებდეს მას მღდელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი, რაჲთამცა მოკლეს იგი, ხოლო ეშინოდა ერისა მის.
3. და შეუკდა ეშმაკი იუდას, რომელსა ერქუა ისკარიოტელ. და იყო იგი რიცხჳსაგან ათორმეტთაჲსა.
4. და მივიდა, ეზრახა მღდელთ-მოძღუართა და მწიგნობართა და ერისა წინამძღუართა, ვითარმცა იგი მისცა მათ.
5. ხოლო მათ განიხარეს და აღუთქუეს მას ვეცხლი მიცემად.
6. და აღუვარა მათ და ეძიებდა ჟამსა მარჯუესა, რაჲთა მისცეს იგი მათ თჳნიერ ერისა.
7. მოიწინეს ღღენი იგი უცომოებისანი, ოდეს ღირდა პასქაჲ

იგი დაკლვაღ.
8. და წარავლინნა პეტრე და იოვანე და ჰრქუა მათ: წარვედით და მომიმზადეთ ჩუენ პასქაჲ, რაჲთა ვჭამოთ.
9. ხოლო მათ ჰრქუეს: სადა გნებავს, და მოგიმზადოთ?
10. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: აჰა ეგერა შესლვასა ოდენ თქუენსა ქალაქად შეგემთხჳოს თქუენ კაცი, რომელსა ლაგჳნი წყლითა ზე ეღგას; შეუდეგით მას სახიდ, ვიდრეცა შევიდეს.
11. და არქუთ სახლისა უფალსა მას: გეტყჳს შენ მოძღუარი: სადა არს სავანე, რომელსა პასქაჲ ესე მოწაფეთა ჩემთა თანა ვჭამო?
12. და მან გიჩუენოს თქუენ ქორი დაგებული დიდი; მუნ მზა-მიყავთ ჩუენ.
13. და წარვიდეს და პოვეს ეგრე, ვითარცა-იგი ჰრქუა მათ, და მოუმზადეს პასქაჲ იგი.
14. და ოდეს იყო ჟამი, დაჯდა, და ათორმეტნი მოციქულნი მის თანა.
15. და ჰრქუა მათ: გულის-სიტყჳთ გული-მითქუმიდა პასექსა ამას ჭამად თქუენ თანა ვიდრე ვნებაღმდე ჩემდა.
16. ხოლო გეტყჳ თქუენ: არღარა ვჭამო ამიერითგან, ვიდრემდე აღესრულოს სასუფეველსა შინა ღმრთისასა.
17. და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა და თქუა: მიიღეთ და განიყავთ თავისა თქუენისა.
18. ხოლო გეტყჳ თქუენ: ამიერითგან არღარა ვსუა ნაყოფისაგან ვენაკისა, ვიდრემდე სასუფეველი ღმრთისაჲ მოვიდეს.
19. და მოიღო პური, ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მათ და თქუა: ესე არს კორცი ჩემი თქუენთჳს მიცემული, ამას ჰყოფდით მოსაკსენებელად ჩემდა.
20. ეგრეთვე სასუმელი შემდგომად სერობისა და თქუა: ესე სასუმელი – ახალი სჯული სისხლისა ჩემისაჲ თქუენთჳს დათხეული.
21. ხოლო აჰა კელი განმცემელისა ჩემისაჲ ჩემ თანა ტაბლასა ზედა.
22. ძე სამე კაცისაჲ, მსგავსად განჩინებულისა მისისა, წარვალს, ხოლო ვაჲ არს კაცისა მის, ვის მიერ მიეცემის იგი!
23. და მათ იწყეს გამოძიებად ურთიერთას: ვინ-მე არს მათგანი, რომელსა ეგულების ესე ყოფად?
24. და იყო ცილობაჲცა მათ შორის, ვითარმედ: ვინ-მე იყოს დიდ მათ შორის?
25. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: მეფენი წარმართთანი უფლებენ მათ ზედა, და რომელთა კელმწიფებაჲ აქუნ მათ ზედა, ქველის-მოქმედ ჰრქჳან.
26. ხოლო თქუენ არა ეგრე იყვნეთ, არამედ უდიდესი იგი თქუენ შორის იყავნ მრწემ, და

წინამძღუარი იგი – ვითარცა მსახური.
27. ვინ არს უფროჲსი: რომელი ინაკით-ზის ანუ რომელი ჰმსახურებს? ანუ არა რომელ-იგი ინაკით-ზის? ხოლო მე ვარ შორის თქუენსა ვითარცა მსახური.
28. და თქუენ ხართ, რომელნი დაადგერით ჩემ თანა განსაცდელთა შინა ჩემთა.
29. და მე აღგითქუამ თქუენ, ვითარცა მე აღმითქუა მამამან ჩემმან, სასუფეველსა,
30. რაჲთა სჭამდეთ და სუმიდეთ ტაბლასა ზედა ჩემსა სასუფეველსა შინა ჩემსა და დასხდეთ ათორმეტთა საყდართა და სჯიდეთ ათორმეტთა ტომთა ისრაჱლისათა.
31. და თქუა უფალმან: სიმონ, სიმონ, აჰა ესერა ეშმაკმან გამოგითხოენა თქუენ აღცრად, ვითარცა იფქლი.
32. ხოლო ეევედრე მამასა ჩემსა შენთჳს, რაჲთა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი, და შენ ოდესმე მიიქეც და განამტკიცენ ძმანი შენნი.
33. ხოლო მან თქუა: უფალო, მე შენ თანა მზა ვარ საპყრობილედ და სიკუდილად მისლვად.
34. ხოლო თავადმან თქუა: გეტყჳ შენ, პეტრე: არღა ეყიელოს ქათამსა დღეს, ვიდრემდე სამ-გზის უვარ-მყო, ვითარმედ არა მიცი მე.
35. და ჰრქუა მათ: ოდეს-იგი წარგაელინენ თქუენ თჳნიერ ბალანტისა და ვაშკარანისა და ფერჯთა-შესასხმელთა, ნუ გაკლდა რაჲმა თქუენ? ხოლო მათ ჰრქუეს: არარაჲ გუაკლდა.
36. და მერმე ჰრქუა მათ: არამედ აწ რომელსა აქუნდეს საქუთჲ, აღიღენ; ეგრეთვე მსგავსად ვაშკარანიცა; და რომელსა არა აქუნდეს, განყიდენ სამოსელი თჳსი და იყიდენ მახჳლი.
37. გეტყჳ თქუენ: ესე ხოლოღა წერილი ჯერ-არს ჩემ ზედა აღსრულებად, ვითარმედ: უსჯულოთა თანა შეირაცხა, და რამეთუ ჩემთჳს აღსასრული იყოს.
38. ხოლო მათ ჰრქუეს: უფალო, აჰა ესერა არიან აქა ორ დანაკ. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: კმა არს.
39. და გამოვიდა მიერ და წარვიდა, ვითარცა ჩჳეულებაჲ აქუნდა, მთასა მას ზეთისხილთასა, და მისდევდეს მას მოწაფენიცა მისნი.
40. და მი-რაჲ-ვიდა აღგილსა მას, ჰრქუა მათ: ილოცევდით, რაჲთა არა შეჯდეთ განსაცდელსა.
41. და თავადი განეშორა მათგან ვითარ ქვის-სატყორცებელ ოდენ და დაიდგა მუკლნი, ილოცვიდა
42. და იტყოდა: მამაო, უკუეთუ გნებავს თანა-წარსლვად სასუმელი ესე ჩემგან, ხოლო ნუ ნე-

ბაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ შენი იყავნ!
43. და ეჩუენა მას ანგელოზი ზეცით, განაძლიერებდა მას.
44. და იყო იგი ღუაწლსა შინა, უმეტესღა ილოცვიდა. და იქმნა ოფლი მისი, ვითარცა ცუარი სისხლისაჲ გარდამომავალი ქუეყანასა ზედა.
45. და აღდგა მიერ ლოცვისაგან და მოვიდა მოწაფეთა თჳსთა და პოვნა იგინი მძინარენი მწუხარებისა მისგან.
46. და ჰრქუა მათ: რაჲსა გძინავს? აღდეგით, ილოცევდით, რაჲთა არა შეხჳდეთ განსაცდელსა.
47. და ვიდრე იგი ამას იტყოდაღა, აჰა ერი და, რომელსა ერქუა იუდა ისკარიოტელი, ერთი ათორმეტთაგანი, წინა-უძღოდა მათ და მიეახლა იესუს ამბორის-ყოფად მისა, რამეთუ ესე სასწაული მიეცა მათა და ჰრქუა: რომელსა მე ამბორს--უყო, იგი არს.
48. ხოლო იესუ ჰრქუა მას: იუდა, ამბორის-ყოფითა მისცემა ძესა კაცისასა?
49. იხილეს რაჲ მისთანათა მათ საქმე ესე, ჰრქუეს მას: უფალო, უკუეთუ მოვსრნეთ ესენი მახჳლითა?
50. და სცა ვინმე მათგანმან ერთმან მონასა მღდელთ-მოძღურისასა და წარჰკუეთა ყური მისი მარჯუენე.
51. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: აცადეთ აქამომდე, და შეახო ყური მისსა და განკურნა იგი.
52. ჰრქუა იესუ მოსრულთა მათ მის ზედა მღდელთ-მოძღუართა და ერისთავეთა ტაძრისათა და ხუცესთა: ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოსრულ ხართ მახჳლითა და წათებითა.
53. დღითი-დღე ვიყავ მე თქუენ თანა ტაძარსა მას შინა, და არა განჰყავთ ჴელი ჩემ ზედა; არამედ ესე არს ჟამი თქუენი და ჴელმწიფებაჲ ბნელისაჲ.
54. და ვითარცა შეიპყრეს იგი, წარიყვანეს და შეიყვანეს სახლსა მღდელთ-მოძღურისასა. ხოლო პეტრე მისდევდა შორით.
55. და აღაგზნეს ცეცხლი შორის ეზოსა მას და გარე მოასხდეს იგინი; დაჯდა პეტრეცა შორის მათსა.
56. და იხილა იგი მჴევალმან ვინმე მჯდომარე ნათელსა მას, მიჰხედა მას და თქუა: ესეცა მის თანა იყო.
57. ხოლო მან უვარ-ყო და თქუა: დედაკაცო, არა ვიცი იგი.
58. და მცირედრე შემდგომად იხილა იგი სხუამან და თქუა: და შენცა მათთანაჲ ხარ. ხოლო პეტრე თქუა: კაცო, არა ვარ მათთანაჲ.
59. და ვითარცა წარკდა ჟამი ერთი, სხუაჲ ვინმე დაამტკიცებ-

და და იტყოდა: ჭეშმარიტად ესეცა მის თანაცე იყო, და რამეთუ გალილეველ არს.
60. ხოლო პეტრე პრქუა მას: კაცო, არა ვიცი, რასა იტყჳ. და მეყსეულად, ვიდრე იტყოდაღა იგი ამას, ქათამმან იყივლა.
61. და მოიქცა უფალი და მიხედა პეტრეს. და მოეკსენა პეტრეს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, რომელ პრქუა მას, ვითარმედ: ვიდრე ქათმისა კმობაღმდე სამ-გზის უვარ-მყო მე.
62. და განვიდა გარე და ტიროდა მწარედ.
63. ხოლო კაცთა მათ რომელთა შეეპყრა იესუ, ეკიცხევდეს მას და სცემდეს.
64. და დაჰბურეს მას თავსა და სცემდეს პირსა და ჰკითხვიდეს და ეტყოდეს: წინაწარმეტყუელებდ, ვინ არს, რომელმან გცა შენ.
65. და სხუასა მრავალსა სიტყუასა ჰგმობდეს და იტყოდეს მისთჳს.
66. და ვითარცა განთენა დღე, შეკრბეს მოხუცებულნი ერისანი, მღდელთ-მოძღუარნი და მწიგნობარნი და აღიყვანეს იგი საკრებულოსა მას მათსა
67. და ეტყოდეს: უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, მითხარ ჩუენ. პრქუა მათ იესუ: უკუეთუ გითხრა თქუენ, არაეე გრწმენეს ჩემი;
68. და უკუეთუ გკითხო თქუენ, ვერაჲეე მომიგოთ მე გინა განმიტეოთ.
69. ამიერითგან იყოს ძე კაცისაჲ მჯდომარე მარჯუენით ძლიერებასა ღმრთისასა.
70. და პრქუეს მას ყოველთა: შენ უკუე ხარა ძე ღმრთისაჲ? პრქუა მათ იესუ: თქუენ იტყჳთ, ვითარმედ მე ვარ.
71. და მათ თქუეს: რაჲსაღა გჳქმან მოწამენი? რამეთუ ჩუენ თჳთ გუესმის პირისაგან მაგისასა.

23

1. და აღდგა ყოველი იგი სიმრავლე მათი და მოიყვანეს იგი პილატესა.
2. და იწყეს შესმენად მისა და იტყოდეს: ესე ვპოეთ, რამეთუ გარდააქცეედა ნათესავსა ჩუენსა და აყენებდა ხარკსაცა მიცემად კეისრისა და იტყოდა თავსა თჳსსა ქრისტედ და მეუფე ყოფად.
3. და ჰკითხა მას პილატე და პრქუა: შენ ხარა მეუფე ჰურიათაჲ? ხოლო თავადმან პრქუა მას: შენ იტყჳ.
4. ხოლო პილატე პრქუა მღდელთ-მოძღუართა და ერსა მას: არარას ბრალსა ვჰპოებ კაცისა ამის თანა.
5. ხოლო იგინი უფროჲს განძლიერდებოდეს და იტყოდეს, ვითარმედ: აღაშფოთებს ერსა და ასწავებს ყოველსა ჰურიასტან-

სა, უწყიეს გალილეაჲთ ვიდრე აქამომდე.
6. ხოლო პილატეს რაჲ ესმა გალილეაჲ, ჰკითხა მათ: უკუეთუ გალილეაჲთ არს კაცი ესე?
7. და გულისჴმა-ყო, რამეთუ ჴელმწიფებისაგან ჰეროდესისა არს; მიუძღუანა იგი ჰეროდეს, რამეთუ იყო იგიცა მაშინ იერუსალჵმს მათ დღეთა შინა.
8. ხოლო ჰეროდე ვითარცა იხილა იესუ, განისარა ფრიად, რამეთუ უნდა მისი ხილვაჲ მრავლით ჟამითგან ამისთჳს, რამეთუ ესმოდა მისთჳს და სწადდა სილვად რაჲსამე სასწაულისა ყოფასა მისგან.
9. და ჰკითხვიდა მას სიტყჳთა მრაელითა, ხოლო თავადმან არარაჲ მიუგო მას.
10. დგეს მღდელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი და განკრძალულად შეასმენდეს მას.
11. ხოლო ჰეროდე შეურაცხ-ყო იგი და ერმან მისმან, და განკიცხეს იგი და შეჰმოსეს მას სამოსელი ბრწყინვალე და მიუძღუანეს პილატეს.
12. და იქმნნეს მეგობარ პილატე და ჰეროდე ურთიერთას მას დღესა შინა, რამეთუ პირველ მტერ იყვნეს იგინი.
13. ხოლო პილატე მოუწოდა მღდელთ-მოძღუართა მათ და მთავართა და ერსა მას
14. და ჰრქუა მათ: მომგუარეთ მე კაცი ესე, ვითარცა გარდამაქცეველი ერისაჲ, და მე წინაშე თქუენსა განვიკითხე და არარაჲ ვპოე ბრალი კაცისა ამის თანა, რასა-იგი შეასმენდით მას.
15. და არცა ჰეროდე, რამეთუ მიუძღუანე მას, და აჰა არარაჲ ღირსი სიკუდილისაჲ საქმე არს მის თანა.
16. ვსწაელო იგი და განუტევო.
17. რამეთუ უნებელად ედებოდა მას განტევებად დღესასწაულსა მას ერთი.
18. ღაღატ-ყვეს ყოველმან მან სიმრავლემან და იტყოდეს: აღიღე ეგე და მოგჳტევე ჩუენ ბარაბა,
19. რომელი შფოთისა ყოფასა ქალაქსა შინა და კაცის-კლვისათჳს შეგდებულ იყო საპყრობილესა.
20. კუალად უკუე მოუწოდა მათ პილატე რამეთუ უნდა განტევებაჲ იესუჲსი.
21. ხოლო იგინი ღაღადებდეს და იტყოდეს: ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ ეგე!
22. ხოლო მან მესამედ ჰრქუა მათ: რაჲ ბოროტი უქმნიეს ამას? არარაჲ ბრალი სიკუდილისაჲ ვპოე ამის თანა. ვსწაელო ეგე და განუტევო.
23. ხოლო იგინი ზედა დაესხმოდეს კმითა დიდითა და გამოითხოვდეს მას ჯუარ-ცუმად. და განძლიერდებოდეს კმანი მათნი და მღდელთ-მოძღუართანი.
24. მაშინ პილატე საჯა თხოვი-

საებრ მათისა
25. და მიუტევა მათ ბარაბა, რომელი-იგი შფოთისათჳს და კაცის-კლეისა შეგდებულ იყო საპყრობილესა, რომელსაცა ითხოვდეს, ხოლო იესუ მისცა ნებასა მათსა.
26. და ვითარცა წარიყვანეს იგი, შეიპყრეს სიმონ ვინმე კჳრინელი, მომავალი ველით, და დასდვეს მას ზედა ჯუარი იგი, და მიაქუნდა შემდგომად იესუჲსა.
27. და შეუდგა მას სიმრავლე ერისაჲ და დედებისაჲ, რომელნი ეტყებდეს და სტიროდეს მას.
28. მიექცა მათ იესუ და ეტყოდა: ასულნო იერუსალჵმისანო, ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ თავთა თქუენთა სტიროდეთ და შვილთა თქუენთა,
29. რამეთუ აჰა ესერა მოელენან დღენი, რომელთა შინა თქუან: ნეტარ არიან ბერწნი და მუცელნი, რომელთა არა შვნეს, და ძუძუნი, რომელთა არა განზარდნეს.
30. მაშინ იწყონ სიტყუად მთათა: დამეცენით ჩუენ ზედა! და ბორცუთა: დამფარენით ჩუენ!
31. რაჲმეთუ უკუეთუ ნედლსა ხესა ესრეთ უყოფენ, კმელსა მას რაჲ-მე ეყოს?
32. მაშინ მოჰყვანდეს სხუანიცა ორნი ძჳრის-მოქმედნი მოკლვად მის თანა.
33. და ვითარცა მოჰყვანდეს ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან თხემისა ადგილი, და მუნ ჯუარს-აცუეს იგი და ძჳრის-მოქმედნიცა იგი მის თანა, რომელიმე მარჯუენით და რომელიმე მარცხენით მისა ჯუარს-აცუნეს.
34. ხოლო იესუ იტყოდა: მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან. ხოლო განრაჲ-იყოფდეს სამოსელსა მისსა, განიგდეს წილი.
35. და დგა ერი იგი და ხედვიდა. ხოლო შეურაცხ-ჰყოფდეს მას მთავარნიცა იგი მათ თანა და იტყოდეს: სხუანი აცხოვნა, იცხოვნენ თავიცა თჳსი, უკუეთუ ეგე არს ქრისტე, რჩეული ღმრთისაჲ.
36. ემღერდეს მას ერის-კაცნიცა იგი, მოუკდიან მას და ძმარი მოართჳან.
37. და ეტყჳდ: შენ თუ ხარ მეუფე ჰურიათაჲ, იკსენ თავი შენი.
38. ხოლო იყო ზედაწერილიცა, რომელი დაწერილ იყო მას ზედა წიგნითა ბერძულითა და ჰრომაელებრითა და ებრაელებრითა, ვითარმედ: ესე არს იესუ, მეუფჱ ჰურიათაჲ.
39. ხოლო ერთი იგი დამოკიდებულთაგანი ძჳრის-მოქმედი ჰგმობდა მას და ეტყოდა: შენ თუ ხარ ქრისტე, იკსენ თავი შენი და ჩუენცა.
40. მიუგო ერთმან მან მოყუასმან, შეჰრისხნა მას და ეტყოდა: არცაღა გეშინის შენ ღმრთისა,

რამეთუ მასვე სასჯელსა შინა ხარ?
41. და ჩუენ სამართლად ღირსი, რომელი ვქმენით, მოგუეგებისს, ხოლო ამან არარაჲ უჯეროჲ ქმნა.
42. და ეტყოდა იესუს: მომიჯსენე მე, უფალო, ოდეს მოხჳდე სუფევითა შენითა.
43. ხოლო იესუ ჰრქუა მას: ამენ გეტყჳ შენ: დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა.
44. და იყო ჟამი მეექუსე, და ბნელი იყო ყოველსა ქუეყანასა ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე.
45. და დაბნელდა მზე, და განიპო კრეტსაბმელი ტაძრისაჲ მის შორის.
46. და ჴმა-ყო ჴმითა დიდითა იესუ და თქუა: მამაო, ჴელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა. და ესე რაჲ თქუა, განუტევა სული.
47. და ვითარცა იხილა ასისთავმან მან საქმე ესე, აღიდებდა ღმერთსა და იტყოდა: ჭეშმარიტად კაცი ესე მართალი იყო.
48. და ყოველნი მათ თანა მოსრულნი და რომელთა იხილეს ხილვაჲ ესე და საქმენი ესე, იცემდეს მკერდსა მათსა და წარვიდოდეს.
49. და დგეს ყოველნი მეცნიერნი მისნი შორით; და დედანი, რომელნი შეუღგეს მას გალილეაჲთ, და ხედვიდეს მას.
50. და აჰა ესერა კაცი, სახელით იოსებ, მზრახვალი, იყო კაცი სახიერი და მართალი;
51. ესე არა თანა-შერთულ იყო ზრახვასა მათსა და საქმესა. იყო იგი არიმათიაჲთ, ქალაქისაგან ჰურიათაჲსა, რომელი-იგიცა მოელოდა სასუფეველსა ღმრთისასა.
52. ესე მივიდა პილატესა და მოითხოვა გუამი იგი იესუჲსი
53. და გარდამოჰკსნა იგი და შეჰმოსა მას არდაგი და დადვა იგი საფლავსა გამოკუეთილსა კლდისაგან, სადა არავინ დადებულ იყო.
53. და ღღე იგი იყო პარასკევი, შაბათად განთენდებოდა.
54. შეუდგეს მას დედანიცა, რომელნი მის თანა მოსრულ იყვნეს გალილეაჲთ, და იხილეს საფლავი და ვითარ დასდებდეს გუამსა მისსა.
55. და წარვიდეს და მოჰმზადეს საკუმეველი სულნელი და ნელსაცხებელი და შაბათი იგი და-და-იდუმეს მცნებისა მისთჳს.

24

1. ხოლო ერთსა მას შაბათსა, ცისკარსა მსთუად მოვიდეს საფლავსა მას და მოაქუნდა, რაჲ-იგი მოემზადა სულნელი და ნელსაცხებელი, და სხუანი ვინმე მათ თანა.
2. და პოვეს ლოდი იგი გარდაგორვებული საფლავისა მისგან.

3. და შე-რაჲ-ვიდეს შინა, არა პოვეს გუამი იგი უფლისა იესუჲსი.
4. და იყო განჳრახვასა მას მათსა ამისთჳს, და აჰა ესერა ორ კაც ზედა მოადგეს მათ სამოსლითა ელვარითა.
5. და ვითარ შეშინებულ იყვნეს იგინი და დაედრიკნეს პირნი მათნი ქუეყანად, ჰრქუეს მათ: რაჲსა ეძიებთ ცხოველსა მას მკუდართა თანა?
6. არა არს აქა, არამედ აღდგა. მოიკსენეთ, ვითარ-იგი ეტყოდა თქუენ, ვიდრე იყოღა იგი გალილეას,
7. და თქუა, ვითარმედ: ჯერ-არს ძისა კაცისაჲ მიცემად ჴელთა კაცთა ცოდვილთასა და ჯუარ-ცუმად და მესამესა დღესა აღდგომად.
8. და მოეჴსენნეს სიტყუანი მისნი.
9. და მიიქცეს საფლავით და უთხრეს ესე ყოველი ათერთმეტთა მათ და სხუათა ყოველთა.
10. ხოლო იყვნეს მაგდალენელი მარიამ და იოანნა და მარიამ იაკობისი და სხუანი მათ თანა, რომელნი უთხრობდეს მოციქულთა ამას.
11. და უჩნდეს სიტყუანი მათნი, ვითარცა სიჩქურისანი, მათ წინაშე და არა ჰრწმენა მათი.
12. ხოლო პეტრე აღდგა და მირბიოდა საფლავად და შთახედნა საფლავსა მას და იხილნა ტილონი იგი ხოლო მდებარენი და წარვიდა თჳსაგან და დაუკჳრდა საქმე ესე.
13. და აჰა ორნი მათგანნი მოვიდოდეს მასვე ღღესა შინა დაბასა, რომელი შორავს იერუსალჵმსა სამეოც უტევან, რომლისა სახელი ემმაოს.
14. და ესენი ჰრახვიდეს ურთიერთას ყოვლისა ამისთჳს, რომელი იქმნა.
15. და იყო ჰრახვასა მას მათსა და გამოძიებასა, და თავადი იესუ მიეახლა მათ და თანა-უვიდოდა.
16. ხოლო თუალნი მათნი შეპყრობილ იყვნეს, რაჲთა ვერ იცნან იგი.
17. და ჰრქუა მათ: რაჲ არიან სიტყუანი ესე, რომელთა იცილობით ურთიერთას სლვასა შინა და ხართ თქუენ მწუხარე?
18. მიუგო ერთმან მათგანმან, რომლისა სახელი კლეოპა, და ჰრქუა მას: შენ ხოლო მწირ ხარ იერუსალჵმს და არა სცანა, რაჲ-ესე იქმნა მას შინა ამათ ღღეთა?
19. და მან ჰრქუა მათ: რომელი? ხოლო მათ ჰრქუეს: იესუჲსთჳს ნაზარეველისა, რომელი იყო კაცი წინაწარმეტყუელი, ძლიერი საქმითა და სიტყჳთა მისითა წინაშე ღმრთისა და ყოველისა ერისა;
20. ვითარ-იგი მისცეს მღელთ-

-მოძღუართა და მთავართა ჩუენთა სასჯელსა სიკუდილისასა და ჯუარს-აცუეს იგი.
21. ხოლო ჩუენ ვესავთ, ეითარმედ იგი არს, რომელმან იჴსნეს ისრაჱლი; და ამას ყოველსა თანა ესე მესამე დღე არს, ეინაჲთგან ესე იქმნა.
22. არამედ დედათაცა ეიეთმე ჩუენგანთა დამაკჳრვნეს ჩუენ, ეითარ-იგი მივიდეს ცისკარსა საფლაესა მას
23. და არა პოვეს გუამი მისი. მოვიდეს და თქუეს, ეითარმედ ხილვაჲცა ანგელოზთაჲ იხილეს, რომელთა ჰრქუეს მათ, ეითარმედ: ცხოველ არს იგი.
24. და მი-ეინმე-ვიდეს ჩუენგანნიცა საფლაეად და პოვეს ეგრე, ეითარცა დედათა მათ თქუეს, ხოლო იგი თავადი ვერ იხილეს.
25. ხოლო მან ჰრქუა მათ: ჱ უცნობელნო და მძიმენო გულითა სარწმუნოებისათჳს ყოველსა ზედა, რომელსა იტყოდეს წინაწარმეტყუელნი!
26. ანუ არა ესრეთ ჯერ-იყო ენებად ქრისტესა და შესლვად დიდებასა თჳსსა?
27. და იწყო მოსესითგან და წინაწარმეტყუელთა და გამოუთარგმანებდა მათ ყოველთაგან წიგნთა მისთჳს.
28. და მიეახლნეს დაბასა მას, ვიდრეცა ვიდოდეს. ხოლო თავადმან მიჰგჳ-ყო უშორესადრე წარსლვაჲ.
29. ხოლო იგინი აიძულებდეს მას და ეტყოდეს: დააღგერ ჩუენ თანა, რამეთუ მწუხრ არს, და მიდრეკილ არს ღღე. და შევიდა დაღგომად მათ თანა.
30. და იყო ინაკით-ჯდომასა მას მისსა მათ თანა მოიღო პური, აკურთხა და განტეხა და მისცემდა მათ.
31. ხოლო მათ თუალნი მათნი განეხუნეს და იცნეს იგი. და თავადი მიეფარა მათგან.
32. და იგინი იტყოდეს ურთიერთას: ანუ არა გულნი ჩუენნი განკურეებულ იყვნეს ჩუენ შორის, ვითარ-იგი მეტყოდა ჩუენ გზასა ზედა და ვითარ-იგი გამომითარგმანებდა ჩუენ წიგნთა?
33. და აღდგეს მასვე ჟამსა შინა და მოიქცეს იერუსალჵმდ და პოვნეს კრებულად ათერთმეტნი იგი და სხუანი მათთანანი,
34. იტყოდეს რაჲ, ვითარმედ: ნანდჳლეე აღდგა უფალი და ეჩუენა სიმონს.
35. და იგინი უთხრობდეს გზისასა მას და ვითარ იგი გამოეცხადა მათ განტეხასა მას პურისასა.
36. და ვითარ იგინი ამას იტყოდეს ოდენ, და თავადი იესუ დადგა შორის მათსა და ჰრქუა მათ: მშჳდობაჲ თქუენ თანა!
37. ხოლო იგინი შეძრწუნდეს და შეეშინა, ეგონა, ვითარმედ სული რაჲმე იხილეს.

38. და თავადმან პრქუა მათ: რაჲსა შეძრწუნებულ ხართ, და რაჲსათჳს გულის-სიტყუანი მრავალნი მოელენან გულთა თქუენთა?
39. იხილენით კელნი ჩემნი და ფერკნი, რამეთუ თავადი მე ვარ; კელი შემახეთ მე და იხილეთ, რამეთუ სულსა ჴორც და ძუალ არა ასხენ, ვითარცა-ესე მე მხედავთ, რამეთუ მასხენ.
40. და ესე რაჲ თქუა, უჩუენნა მათ კელნი და ფერკნი მისნი.
41. და ვიდრე-იგი არღა პრწმენა მათ სისარულისა მისგან და საკჳრველებისა, პრქუა მათ იესუ: გაქუს რაჲა აქა ჭამადი?
42. ხოლო მათ მიუპყრეს მას თევზისა მწურისა ნახევარი და თაფლისაგან გოლი.
43. და ჭამა წინაშე მათსა და მოიღო ნეშტი იგი და მისცა მათ
44. და პრქუა: ესე იგი სიტყუანი არიან, რომელთა გეტყოდე თქუენ, ვიდრე-იგი ვიყავღა თქუენ თანა, ვითარმედ: ჯერ-არს აღსრულებად ყოველი წერილი შჯულსა მოსესსა და წინაწარმეტყუელთასა და ფსალმუნთა ჩემთჳს.
45. მაშინ განუხუნა გონებანი მათნი გულისჴმის-ყოფად წიგნთა
46. და პრქუა მათ, რამეთუ: ეს-რეთ ჯერ-იყო ვნებაღ ქრისტესა და აღდგომაღ მკუდრეთით მესამესა დღესა.
47. და ქადაგებაღ სახელითა მისითა სინანული და მოტევებაჲ ცოდვათაჲ ყოველთა მიმართ წარმართთა, იწყეთ იერუსალჵმით,
48. რამეთუ თქუენ ხართ მოწამე ამის ყოელისა.
49. და აჰა ესერა მე მოგიელინო თქუენ აღთქუმაჲ იგი მამისა ჩემისაჲ. ხოლო თქუენ დასხედით ქალაქსა ამას შინა იერუსალჵმსა, ვიდრემდე შეიმოსოთ ძალი მაღლით.
50. და განიყვანნა იგინი გარე ვიდრე ბეთანიადმდე და აღიპყრნა კელნი თჳსნი და აკურთხნა იგინი.
51. და იყო კურთხევასა მას იესუჲსსა მათა მიმართ განეშორა მათგან და აღვიდოდა ზეცად.
52. და იგინი თაყუანის-სცემდეს მას და მოიქცეს იერუსალჵმდ სიხარულითა დიდითა.
53. და იყოფვოდეს ტაძარსა მას შინა მარადის, აქებდეს და აკურთხევდეს ღმერთსა. ამენ.



იოვანე მახარებელი პროხორესთან ერთად.
მესტიის ოთხთავი. 1030 წ.

შესხმა წმიდისა მახარებელისა იოანესი, თქმული სოფრონის მიერ

იოვანე მახარებელი ძმ ზებედესი და ძმაჲ იაკობისი, ფრიად საყუარელ-იყო უფლისა ჩუენისა იესოსა. ესე იაკობ ძმად უფლისად წოდებული რომელსა წარეკუეთა თაჳი მისი ჰეროდეს მიერ, შემდგომად ვნებისა უფლისა. ხოლო ამან იოვანე შემდგომად სამთა მათ მახარებელთასა აღჰსწერა თჳსი სახარებაჲ, ვედრებითა ეპისკოპოსთა ასიისათა, რამეთუ მას ჟამსა გამოჰსჩნდეს მწვალებელნი კირინთუსანი, და კუალად ემეიონისტელთანი, რომელნიცა იტყოდეს: ქრისტე არა შობილ-არს მარიამისგან. ამის გამო საყუარელმან მან უფლისამან იოვანე იწყო პირველად სიტყუანი შობისანი. კუალად სხუასაცა მიზეზისა სიტყუასა იტყჳან რომელნიმე ფილოსოფოსნი, ვითარმედ წარიკითხა იოვანემ სახარებანი მატთესნი, მარკოსისნი და ლუკასნი, განიხილნა და გულის-ჴმა-ჰყო, და კუალად ამან უმეტესად დაამტკიცა, ხოლო ერთი მხოლოდ ოდენ თჳთ დაჰსწერა შეპყრობა დიდებულისა ნათლისმცემელისა იოვანესი, და საპყრობილესა შეყენება, და უდიდებულეს წარჰსწერა მახარებელთა მათგან ვითარცა გეაუწყებს სახარებაჲ მისი. ამისთჳსცა არა სწორ-არს სხუათა მათ სახარებათა თქმული მისი, არამედ უფროსად ცხადად წარმოაჩენს და ერცლად ცხად ჰყოფს. და კუალად დაჰსწერა ეპისტოლჱ ერთი, რომელიცა იტყჳს პირველად, რომელი იყო პირველითგან რომელი გუესმა, და იგი ეპისტოლე ყოველთა მიერ ეკკლესიათა შეწყნარებულ არს. და კუალად არიან სხუანიცა ორნი ეპისტოლენი რომელთა თავნი იტყჳან: მოხუცებული და რჩეული უფლისა. და მეორისა ესრეთ: გაიოზს საყუარელსა: და ამა ეპისტოლესა ეწოდებიან ვიდრე აქამომდე იოანე მოხუცებულისა წიგნად. რამეთუ იტყჳან ვიეთნიმე ვითარმედ ორნი საფლავნი არიან მახარებელისა იოვანესნი, ამისთჳსცა პაპიას რომელი ესმა თქმული მისი აღმოვიკითხეთ რომელსა იტყჳს შემდგომად ნერონისა მეათოთხმეტესა წელსა, და კუალად დომენტიანემან მეორედ ტყუე-ჰყო პატმოს შინა და მუნვე აღჰსწერა გამოცხადებაჲ თჳსი, რომელიცა დაჰსწერეს მოწამემან იუსტინე და ირინეოს. ხოლო ოდეს განიყუანეს სოფლისა ამისგან უკეთური დომენტიანე ერთი თჳსთა მრაველისა მის სიბოროტისა მისისათჳს, მაშინ განთავისუფლდა იოვანე და მივიდა ეფესოდ და იყო მუნ ვიდრე ტრაიანეს მეფობადმდე და აღაშენა და განამრავლნა ეკკლესიანი ყოველთა ასიასა შინა და შემდგომად ვნებისა უფლისა დაჰყო წელნი სამეოცდა-რვანი, და მიიცუალა ეფესოს შინა.

სახარებაჲ იოვანეს თავი

1

1. პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი.
2. ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა.
3. ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თჳნიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი-რაჲ იქმნა.
4. მის თანა ცხორებაჲ იყო და ცხორებაჲ იგი იყო ნათელ კაცთა.
5. და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია.
6. იყო კაცი მოვლინებული ღმრთისა მიერ, და სახელი მისი იოვანე.
7. ესე მოვიდა მოწამედ, რაჲთა წამოს ნათლისა მისთჳს, რაჲთა ყოველთა ჰრწმენეს მისგან.
8. არა თუ იგი იყო ნათელი, არამედ რაჲთა წამოს ნათლისა მისთჳს.
9. იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად.
10. სოფელსა შინა იყო, და სოფელი მის მიერ შეიქმნა, და სოფელმან იგი ვერ იცნა.
11. თჳსთა თანა მოვიდა, და თჳსთა იგი არა შეიწყნარეს.
12. ხოლო რაოდენთა-იგი შეიწყნარეს, მოსცა მათ კელმწიფებაჲ შვილ ღმრთისა ყოფად რომელთა ჰრწამს სახელი მისი.
13. რომელნი არა სისხლთაგან, არცა ნებითა კორცთაჲთა, არცა ნებითა მამაკაცისაჲთა, არამედ ღმრთისაგან იშვნეს.
14. და სიტყუაჲ იგი კორციელ იქმნა და დაემკჳდრა ჩუენ შორის, და ვიხილეთ დიდებაჲ მისი, დიდებაჲ ვითარცა მხოლოდ-შობილისაჲ მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა.
15. იოვანე წამა მისთჳს, ღაღატ-ყო და თქუა: ესე არს, რომლისათჳს-იგი ვთქუ: რომელი ჩემსა შემდგომად მოვალს, ჩემსა უწინარეს იყო, რამეთუ პირველ ჩემსა არს.
16. და სავსებისაგან მისისა ჩუენ ყოველთა მოვიღეთ, და მადლი მადლისა წილ.
17. რამეთუ სჯული მოსესგან მოეცა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტებაჲ ქრისტეს იესუჲს მიერ იქმნა.
18. ღმერთი არავინ სადა იხილა; მხოლოდ-შობილმან ძემან, რომელი იყო წიაღთა მამისათა, მან გამოთქუა.
19. და ესე არს წამებაჲ იოვანესი, ოდეს მიავლინნეს მისა ჰურიათა იერუსალჱმთ მღდელნი და ლევიტელნი, რაჲთა ჰკი-

თხონ მას, ვითარმედ: შენ ვინ ხარ?
20. და აღიარა და არა უარ-ყო; აღიარა, ვითარმედ: მე არა ვარ ქრისტე.
21. და მათ ჰკითხეს მას: და უკუე ვინ სარ შენ? ელია ხარა? და მან თქუა: არა ვარ; წინაწარმეტყუელი იგი ხარა შენ? და მიუგო: არა.
22. და ჰრქუეს: გუარქუ ჩუენ, ვინ ხარ შენ, რაჲთა სიტყუაჲ მიევართუათ მომაელინებელთა ჩუენთა, რასა იტყჳ შენთჳს?
23. და თქუა: მე —კმაჲ ღაღადებისაჲ უდაბნოსა: განჰმზადენით გზანი უფლისანი, ვითარცა თქუა ესაია წინაწარმეტყუელმან.
24. და მიელინებულნი იგი იყვნეს ფარისეველთაგანნი.
25. ჰკითხეს მას და ჰრქუეს: და რაჲსათჳს ნათელ-სცემ, უკუეთუ არა ხარ შენ ქრისტე, არცა ელია, არცა წინაწარმეტყუელი იგი?
26. მიუგო იოვანე და ჰრქუა მათ: მე ნათელ-ვსცემ წყლითა, ხოლო შორის თქუენსა დგას, რომელი თქუენ არა იცით,
27. რომელი ჩემსა შემდგომად მოსლვად არს, რომელი პირველ ჩემსა იყო, რომლისა არა ღირს ვარ მე, რაჲთა განვჰჴსნე საბელნი ჴამლთა მისთანი.
28. ესე ბეთაბრას იყო, წიაღ-იორდანესა, სადა-იგი იყო იოვანე და ნათელ-სცემდა.
29. ხვალისაგან იხილა იოვანე იესუ, მომავალი მისა, და თქუა: აჰა ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი.
30. ესე არს, რომლისათჳს-იგი ვთქუ: შემდგომად ჩემსა მოვალს კაცი, რომელი პირველ ჩემსა იყო, რამეთუ უპირატეს ჩემსა არს.
31. და მე არა ვიცოდე იგი, არამედ რაჲთა გამოეცხადოს ისრაჱლსა, ამისთჳს მოვედ მე წყლითა ნათლის-ცემად.
32. და წამა იოვანე და თქუა, რამეთუ: ვიხილე სული ღმრთისაჲ, ვითარცა ტრედი, გარდამომავალი ზეცით,და დაადგრა მას ზედა.
33. და მე არა ვიცოდე იგი, არამედ რომელმან მომაელინა მე ნათლის-ცემად წყლითა, მან მრქუა მე: რომელსა ზედა იხილო სული გარდამომავალი და დადგრომილი მის ზედა, იგი არს, რომელმან ნათელ-გცეს სულითა წმიდითა.
34. და მე ვიხილე და ვწამე, რამეთუ ესე არს ძე ღმრთისაჲ.
35. ხვალისა ღე დგა კუალად იოვანე და მოწაფეთა მისთაგანნი ორნი.
36. და მიჰხედა იესუს. ვიდოდა რაჲ იგი, და თქუა: აჰა ტარიგი ღმრთისაჲ.
37. და ესმა მისი ორთა მათ მოწაფეთა, იტყოდა რაჲ ამას, და

მისდევდეს იესუს.
38. მოექცა იესუ და იხილნა იგინი, მი-რაჲ-სდევდეს მას, და ჰრქუა მათ: რასა ეძიებთ? ხოლო მათ ჰრქუეს მას: რაბი (რომელი ითარგმანების „მოძღუარ“), სადა იყოფი?
39. ჰრქუა მათ: მოვედით და იხილეთ. და მივიდეს და იხილეს, სადა იყოფოდა, და მის თანა დააღგრეს მას ღღესა შინა. ჟამი იყო ვითარ მეათე.
40. იყო ანდრია, ძმაჲ სიმონ-პეტრესი, ერთი ორთაგანი, რომელთა ესმა იოვანესგან, და მისდევდეს მას.
41. პოვა ამან პირველად ძმაჲ თჳსი სიმონ და ჰრქუა მას: ვპოეთ მესია, რომელ არს თარგმანებით „ქრისტე“.
42. ამან მოიყვანა იგი იესუჲსა. მიხედა მას იესუ და ჰრქუა: შენ ხარ სიმონ, ძე იონაჲსი, შენ გეწოდოს კეფა, რომელი ითარგმანების „კლდე“.
43. ხვალისაგან უნდა იესუს განსლვაჲ გალილეად და პოვა ფილიპე და ჰრქუა მას იესუ: მომდევდი მე.
44. ხოლო იყო ფილიპე ბეთსაიდაჲთ, ქალაქისაგან ანდრეაჲსა და პეტრესა.
45. პოვა ფილიპე ნათანაელ და ჰრქუა მას: რომელი-იგი დაწერა მოსე სჯულსა და წინაწარმეტყუელთა, ვპოეთ: იესუ, ძე იოსებისი, ნაზარეთით.
46. და ჰრქუა მას ნათანაელ: ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილისა რაჲსამე ყოფად? ჰრქუა მას ფილიპე: მოვედ და იხილე.
47. იხილა რაჲ იესუ ნათანაელ, მომავალი მისა, და თქუა მისთჳს: აჰა ჭეშმარიტად ისრაიტელი, რომლისა თანა გაკუეაჲ არა არს.
48. ჰრქუა მას ნათანაელ: ვინაჲ მიცი მე? მიუგო იესუ და ჰრქუა მას: პირველ ფილიპეს კმობადმდე შენდა, იყავ რაჲ ლეღუსა ქუეშე, გიხილე შენ.
49. მიუგო მას ნათანაელ და ჰრქუა: რაბი, შენ ხარ ძე ღმრთისაჲ, შენ ხარ მეუფე ისრაჱლისაჲ.
50. მიუგო იესუ და ჰრქუა მას, რამეთუ: გარქუ შენ, ვითარმედ: გიხილე შენ ლეღუსა ქუეშე, და გრწამს. უფროჲსი ამათსა იხილო.
51. და ჰრქუა მათ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: ამიერითგან იხილნეთ ცანი განხუმულნი და ანგელოზნი ღმრთისანი, აღმავალნი და გარდამომავალნი ძესა ზედა კაცისასა.

2

1. და მესამესა ღღესა ქორწილი იყო კანას გალილეაჲსასა, და მუნ იყო დედაჲ იესუჲსი.
2. მიჰხადეს იესუს და მოწაფეთა მისთა ქორწილსა მას.
3. და ვითარ მოაკლდა ღუნოჲ,

ჰრქუა იესუს დედამან მისმან: ღუნოჲ არა აქუს.
4. ჰრქუა მას იესუ: რაჲ არს ჩემდა და შენდა, დედაკაცო? არღა მოწევნულ არს ჟამი ჩემი.
5. ჰრქუა დედამან მისმან მსახურთა მათ, ვითარმედ: რაჲცა გრქუას თქუენ, ყავთ!
6. იყვნენ მუნ სარწყულნი ქვისანი ექუსნი მდგომარენი, მსგავსად განწმენდისა მის ჰურიათაჲსა. რომელთა შთაისხიან საწყაული ორ-ორი გინა სამ-სამი.
7. და ჰრქუა მათ იესუ: აღავსენით სარწყულნი ეგე წყლითა! და მათ აღავსნეს იგინი პირის-პირ.
8. და ჰრქუა მათ: აღმოავსეთ აწ და მოართჳთ პურისა უფალსა! ხოლო მათ მოართუეს.
9. და ვითარცა გემოჲ იხილა პურისა უფალმან წყალი იგი, რომელი ღუნო იქმნა, და არა უწყოდა, ვინაჲ იყო, გარნა მსახურთა მათ უწყოდეს, რომელთა აღავსნეს წყლითა, მოუწოდა პურისა უფალმან მან სიძესა
10. და ჰრქუა მას: ყოველმან კაცმან კეთილი ღუნოჲ პირველად წარმოდგის და, ოდეს დაითრვნიან, მაშინ უჯერესიცა. ხოლო შენ დაჰმარხე ღუნოჲ კეთილი აქამომდე.
11. ესე ქმნა დასაბამად სასწაულთა იესუ კანას გალილეაჲსასა და გამოუცხადა დიდებაჲ თჳსი, და პრწმენა მისი მოწაფეთა მისთა.
12. ამისა შემდგომად შთავიდა იესუ კაპერნაუმდ, იგი და დედაჲ მისი და ძმანი მისნი და მოწაფენი მისნი მის თანა, და მუნ დააღგრა არა მრავალ ღე.
13. და მოახლებულ იყო პასექი იგი ჰურიათაჲ, და აღვიდა იესუ იერუსალჱმდ.
14. და პოვნა ტაძარსა მას შინა მოფარდულნი ბროხათანი და ცხოვართანი და ტრედთანი და მეკერმენი მსხდომარენი.
15. და შექმნა შოლტი საბლისაჲ და ყოველი იგი გამოასხა ტაძრით: ბროხაჲ და ცხოვარი: და კერმის-მსყიდელთა მათ დაუთხია კერმაჲ და ტაბლები იგი დაუმკუა.
16. და ტრედის-მოფარდულთა მათ ჰრქუა: აღიღეთ ესე ამიერ და ნუ ჰყოფთ სახლსა მამისა ჩემისასა სახლ სავაჭრო.
17. და მოეკსენა მოწაფეთა მისთა, რამეთუ წერილ არს: შურმან სახლისა შენისამან შემჭამა მე.
18. მიუგეს ჰურიათა და ჰრქუეს მას: რასა სასწაულსა მიჩუენებ ჩუენ, რამეთუ ამას იქმ?
19. მიუგო იესუ და ჰრქუა: დაჰკსენით ტაძარი ესე, და მესამესა ღესა აღვადგინო ეგე.
20. ჰრქუეს მათ ჰურიათა: ორმეოც და ექუსსა წელსა აღეშენა ტაძარი ესე, და შენ სამთა ღე-

თა აღადგინო იგი?
21. ხოლო იგი იტყოდა ტაძრისათჳს გუამისა თჳსისა.
22. და ოდეს აღდგა მკუდრეთით, მოეკსენა მოწაფეთა მისთა, რამეთუ ამისთჳს იტყოდა, და ჰრწმენა წიგნისაჲ და სიტყუაჲ იგი, რომელი ჰრქუა მათ იესუ.
23. და ოდეს იყო იგი იერუსალჵმს პასქასა მას დღესასწაულსა, მრავალთა ჰრწმენა სახელისა მისისაჲ, რამეთუ ხედვიდეს სასწაულთა მისთა, რომელთა იქმოდა.
24. ხოლო თჳთ იესუ არა არწმუნებდა მათ თავით თჳსით, რამეთუ ყოველთა იცოდეს იგი.
25. და რამეთუ არა უკმდა, რაჲთა წამოს ვინმე კაცისა მისთჳს, რამეთუ მან თჳთ იცოდა, რაჲ იყო კაცისა მის თანა.

3

1. იყო ვინმე კაცი ფარისეველთაგანი, სახელით ნიკოდიმოს, მთავარი ჰურიათაჲ.
2. ესე მოვიდა იესუჲსა ღამე და ჰრქუა მას: რაბი, უწყით, რამეთუ ღმრთისა მიერ მოსრულ ხარ მოძღურად, რამეთუ ვერვის კელ-ეწიფების სასწაულთა ამათ საქმედ, რომელთა შენ იქმ, უკუეთუ არა ღმერთი იყოს მის თანა.
3. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ამენ, ამენ გეტყჳ შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ კელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ცათაჲ.
4. ჰრქუა მას ნიკოდიმოს: ვითარ კელ-ეწიფების კაცსა ბერსა შობად? ნუუკუე შესაძლებელ არს მუცელსა დედისა თჳსისასა შესლვად მეორედ და შობად?
5. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ამენ, ამენ გეტყჳ შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ კელ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა.
6. შობილი იგი ჴორცთაგან ჴორცი არს, და შობილი იგი სულისაგან სული არს.
7. ნუ გიკჳრნ, რამეთუ გარქუ შენ ესე: ჯერ-არს თქუენდა მეორედ შობაჲ.
8. სულსა ვიდრეცა უნებნ, ქრინ, და ჴმაჲ მისი გესმის, არამედ არა იცი, ვინაჲ მოვალს და ვიდრე ვალს. ესრეთ არს ყოველი შობილი სულისაგან.
9. მიუგო ნიკოდიმოს და ჰრქუა მას: ვითარ შესაძლებელ არს ყოფად ესე?
10. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: შენ ხარ მოძღუარი ისრაჱლისაჲ და ესე არა იცი?
11. ამენ, ამენ გეტყჳ შენ, რამეთუ: რომელი ვიცით, ვიტყჳთ, და რომელი ვიხილეთ, ვწამებთ, და წამებასა ჩუენსა არა შეიწყნარებთ.
12. უკუეთუ ქუეყანისაჲ გითხარ

თქუენ, და არა გრწამს, ვითარ უკუე ზეცისაჲ გითხრა თქუენ, და გრწმენეს?
13. და არავინ აღჴდა ზეცად, გარნა რომელი-იგი გარდამოჴდა ზეცით — ძე კაცისაჲ, რომელი არს ზეცათა შინა.
14. და ვითარცა-იგი მოსე აღამაღლა გუელი უდაბნოს, ეგრეთ ჯერ-არს ამაღლებაჲ ძისა კაცისაჲ.
15. რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ.
16. რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თჳსი მხოლოდ-შობილი მოსცა მას, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ.
17. რამეთუ არა მოაველინა ღმერთმან ძე თჳსი სოფლად, რაჲთა დასაჯოს სოფელი, არამედ რაჲთა აცხოვნოს სოფელი მის მიერ.
18. რომელსა ჰრწმენეს მისი, არა დაისაჯოს; ხოლო რომელსა არა ჰრწმენეს, აწვე დასჯილ არს, რამეთუ არა ჰრწმენა სახელისა მიმართ ძისა ღმრთისა მხოლოდ-შობილისა.
19. და ესე არს სასჯელი, რამეთუ ნათელი მოვიდა სოფლად, და შეიყუარეს კაცთა ბნელი, ვიდრე ნათელი, რამეთუ იყუნეს საქმენი მათნი ბოროტ.
20. რამეთუ ყოველი რომელი ბოროტსა იქმს, სძულს მას ნათელი და არა მოეალს ნათელსა, რაჲთა არა ემხილნენ საქმენი მისნი.
21. ხოლო რომელი იქმნ ჭეშმარიტებასა, მოეალს ნათლად,რაჲთა ცხად იყვნენ საქმენი მისნი, რამეთუ ღმრთისა მიერ ქმნულ არიან.
22. ამისა შემდგომად მოვიდა იესუ და მოწაფენი მისნი ქუეყანად ჰურიასტანისა და მუნ იყოფოდა მათ თანა და ნათელ-სცემდა.
23. იყო იოვანეცა და ნათელ-სცემდა ენონს, მახლობელად სალიმსა, რამეთუ წყალნი ფრიად იყვნეს მუნ, და მოვიდოდეს და ნათელს-იღებდეს მისგან.
24. რამეთუ არღა შევრდომილ იყო იოვანე საპყრობილედ.
25. და იყო გამოძიებაჲ მოწაფეთაგან იოვანესთა ჰურიათა თანა განწმედისათჳს.
26. და მოვიდეს იოვანესა და ჰრქუეს მას: რაბი, რომელი-იგი იყო შენ თანა წიაღ-იორდანესა, რომლისათჳს შენ სწამე, აჰა იგი ნათელ-სცემს, და ყოველნი მიელენან მისა.
27. მიუგო იოვანე და ჰრქუა მათ: ვერ კელ-ეწიფების კაცსა მოღებაღ თავით თჳსით არცა ერთი რაჲ, უკუეთუ არა არს მოცემულ მისა ზეცით.

28. თქუენ თჳთ მეწამებით მე, რამეთუ ვთქუ: არა ვარ მე ქრისტე, არამედ მოვლინებულ ვარ წინაშე მისა.
29. რომელსა აქუნდეს სძალი, იგი სიძე არს; ხოლო მეგობარი სიძისაჲ რომელი დგას და ესმის მისი, სიხარულით უხარის ჴმითა სიძისაჲთა. ესე უკუე სიხარული ჩემი აღსრულებულ არს.
30. მისა ჯერ-არს აღორძინებად, ხოლო ჩემდა მოკლებად.
31. ზეგარდამომავალი იგი ყოველთა ზედა არს. და რომელი არს ქუეყანით, ქუეყანისაგანი არს და ქუეყანისასა იტყჳს, ხოლო ზეცით მომავალი ყოველთა ზედა არს.
32. და რომელი იხილა და ესმა, ამას წამებს, და წამებასა მისსა არავინ მიიღებს.
33. რომელმან მიიღო წამებაჲ მისი, დაჰბეჭდა, რამეთუ ღმერთი ჭეშმარიტ არს.
34. და რომელი მოავლინა ღმერთმან, სიტყუათა ღმრთისათა იტყჳს, რამეთუ არა ზომით მოსცა ღმერთმან სული.
35. მამასა უყუარს ძე და ყოველივე მოსცა ჴელთა მისთა.
36. რომელსა ჰრწმენეს ძე, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, ხოლო რომელი ურჩ იყოს ძისა, არა იხილოს ცხორებაჲ, არამედ რისხვაჲ ღმრთისაჲ დაღგრომილ არს მის ზედა.

4

1. ვითარცა გულისჴმა-ყო უფალმან, რამეთუ ესმა ფარისეველთა, ვითარმედ იესუს უმრავლესნი მოწაფენი უსხენ და ნათელ-სცემს, ვიდრე იოვანეს,
2. რამეთუ თჳთ იესუ არა ნათელ-სცემდა, არამედ მოწაფენი მისნი,
3. დაუტევა ჰურიასტანი და წარვიდა გალილეად.
4. ხოლო თავადი განსლვად იყო სამარიაჲთ.
5. და მივიდა ქალაქსა სამარიტელთასა, რომელსა ჰრქჳან სუქარ, მახლობელად დაბასა, რომელი მისცა იაკობ იოსებს, ძესა თჳსსა.
6. და იყო მუნ წყაროჲ იაკობისი. ხოლო იესუ, მაშურალი გზისა სლვისაგან, ჯდა წყაროსა მას ზედა. ჟამი იყო ვითარ მეექუსე.
7. მოვიდა დედაკაცი სამარიაჲთ ვსებად წყლისა. ჰრქუა მას იესუ: მასუ მე წყალი.
8. რამეთუ მოწაფენი მისნი წარსრულ იყვნეს ქალაქად, რაჲთა საზრდელი იყიდონ.
9. ჰრქუა მას დედაკაცმან მან სამარიტელმან: ვითარ, შენ ჰურიაჲ ხარ და ჩემგან წყალსა ითხოვ, სამარიტელისა დედაკაცისაგან? რამეთუ არა შეეხნიან ჰურიანი სამარიტელთა.
10. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: უკუეთუმცა იცოდე შენ ნიჭი

ღმრთისაჲ და ვინ არს, რომელი გეტყჳს შენ: „მეც მე წყალი, რაჲთა ვსუა“, შენმცა სთხოვე მას,და გცამცა წყალი ცხოველი.
11. ჰრქუა მას დედაკაცმან მან: უფალო, არცა საესებელი გაქუს, და ჯურღმული ესე ღრმა არს. ვინაჲ გაქუს შენ წყალი ცხოველი?
12. ნუუკუე შენ უფროჲს ხარა მამისა ჩუენისა იაკობისა, რომელმან ესე ჯურღმული მომცა ჩუენ? და იგი თავადი ამისგან სუმიდა და ძენი მისნი და საცხოვარი მისი.
13. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ყოველი რომელი სუმიდეს წყლისა ამისგან, სწყუროდის კუალადცა.
14. ხოლო რომელმან სუას წყლისა მისგან,რომელი მე მივსცე მას, არღარა სწყუროდის უკუნისამდე,არამედ წყალი რომელი მე მივსცე მას, იქმნეს მის შორის წყარო წყლის, რომელი ვიდღდის ცხორებად საუკუნოდ.
15. ჰრქუა დედაკაცმან მან: უფალო, მეც მე წყალი ესე, რაჲთა არა მწყუროდის, არცაღა მოვიდე აქა ვსებად.
16. ჰრქუა მას იესუ: წარვედ და მოხადე ქმარსა შენსა და მოვედ აქა.
17. მიუგო დედაკაცმან მან და ჰრქუა: არა მივის ქმარი. ჰრქუა მას იესუ: კეთილად სთქუ, ვითარმედ: არა მივის ქმარი.
18. რამეთუ ხუთ ქმარ გესხნეს, და აწ რომელი გივის, არა არს ქმარი შენი; ესე ჭეშმარიტი სთქუ.
19. ჰრქუა მას დედაკაცმან მან: უფალო, ვსედავ, რამეთუ წინაწარმეტყუელი ხარ შენ.
20. მამანი ჩუენნი მთასა ამას თაყუანის-სცემდეს, და თქუენ იტყჳთ, ვითარმედ: იერუსალჵმს არს ადგილი,სადა ჯერ-არს თაყუანის-ცემაჲ.
21. ჰრქუა მას იესუ: დედაკაცო, გრწმენინ ჩემი, რამეთუ მოვალს ჟამი, ოდეს არცა ამას მთასა,არცა იერუსალჵმს თაყუანის-სცემდეთ მამასა.
22. თქუენ თაყუანის-სცემთ, რომელი არა იცით, ხოლო ჩუენ თაყუანის-ვსცემთ, რომელი ვიცით, რამეთუ ცხორებაჲ ჰურიათაგან არს.
23. არამედ მოვალს ჟამი, და აწვე არს, ოდეს ჭეშმარიტნი თაყუანის-მცემელნი თაყუანის--სცემდენ მამასა სულითა და ჭეშმარიტებითა, რამეთუ მამაჲცა ეგევითართა ეძიებს თაყუანის--მცემელთა მისთა.
24. სულ არს ღმერთი, და თაყუანის-მცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანა-აც თაყუანის-ცემაჲ.
25. ჰრქუა მას დედაკაცმან მან: ვიცი, რამეთუ მესია მოვალს, რომელსა ჰრქჳან ქრისტე. ოდეს მოვიდეს იგი,მითხრას ჩუენ ყოველი.

26. ჰრქუა მას იესუ: მე ვარ, რომელი გეტყჳ შენ.
27. და ამას ოდენ სიტყუასა ზედა მოვიდეს მოწაფენი მისნი და უკჳრდა, რამეთუ დედაკაცისა თანა იტყოდა. და არავინ ჰრქუა მას: რასა ეძიებ, ანუ რასა იტყჳ მის თანა?
28. დაუტევა უკუე სარწყული იგი მისი დედაკაცმან მან და წარვიდა ქალაქად და უთხრა კაცთა მათ:
29. მოეედით და იხილეთ კაცი, რომელმან მითხრა მე ყოველი, რაჲცა ექმენ. ნუუკუე იგი არს ქრისტე?
30. გამოვიდეს ქალაქით და მოვიდოდეს მისა.
31. და ვიდრე-იგი მოვიდოდეს, ამას ოდენ სიტყუასა ეტყოდეს მას მოწაფენი და ჰრქუეს: რაბი, ჭამე!
32. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: მე ჭამადი მაქუს ჭამად, რომელი თქუენ არა იცით.
33. იტყოდეს მოწაფენი ურთიერთას: ნუუკუე მო-ვინმე-ართუა მას ჭამადი?
34. ჰრქუა მათ იესუ: ჩემი ჭამადი არს, რაჲთა ვყო ნებაჲ მომაელინებელისა ჩემისაჲ და აღვასრულო საქმე მისი.
35. არა თქუენ იტყჳთა, ვითარმედ: ოთხღა თუე არიან, და მოვალს მკაჲ? აჰა ესერა მე გეტყჳ თქუენ: აღიხილენით თუალნი თქუენნი და იხილეთ ყანები, რამეთუ სპეტაკ არიან სამკალად აწვე.
36. და მომკალმან სასყიდელი თჳსი მოიღოს და შეკრიბოს ნაყოფი ცხორებად საუკუნოდ, რაჲთა მთესვარსა და მომკალსა ერთბამად უხაროდის მის თანა.
37. რამეთუ ამით არს ჭეშმარიტ სიტყუაჲ იგი, ვითარმედ სხუაჲ არს მთესვარი, და სხუაჲ არს მომკალი.
38. მე წარგავლინებ თქუენ მკად, რომელსა თქუენ არა დაშუერით, სხუნი დამაშურალ არიან, და თქუენ შრომილსა მათსა შემოხუედით.
39. ხოლო ქალაქისა მისგანთა მრავალთა ჰრწმენა მისა მიმართ, სამარიტელთა მათ, სიტყჳთა მის დედაკაცისაჲთა, რამეთუ წამებდა, ვითარმედ: ყოველივე მითხრა მე, რაოდენი ვქმენ.
40. და ვითარცა მოვიდეს მისა სამარიტელნი იგი, ევედრებოდეს მას, რაჲთა დააღგრეს მათ თანა. და დააღგრა მუნ ორ ღღე.
41. და უფროჲსსა სიმრავლესა ჰრწმენა სიტყუათა მისთაჲ.
42. და ეტყოდეს დედაკაცსა მას, ვითარმედ: არღარა სიტყჳთა შენითა გურწამს, რამეთუ ჩუენ თჳთ გუესმა მისგან და უწყით, რამეთუ ესე არს ჭეშმარიტად მაცხოვარი სოფლისაჲ, ქრისტე.

43. შემდგომად ორისა მის დღისა გამოვიდა მიერ და წარვიდა გალილეად.
44. რამეთუ თავადი იესუ წამებდა, ვითარმედ: წინაწარმეტყუელსა თჳსსა სოფელსა პატიჳ არა აქუს.
45. ოდეს მიიდა გალილეად, შეიწყნარეს იგი გალილეველთა, რამეთუ ყოველი ეხილვა,რაოდენი ქმნა იერუსალჱმს დღესასწაულსა მას და რამეთუ იგინიცა მოსრულ იყვნეს დღესასწაულსა მას.
46. მოვიდა იესუ მერმეცა კანად გალილეაჲსა,სადა-იგი ქმნა წყალი ღჳნოდ. და იყო ვინმე სამეუფოჲთ მოსრული კაცი, რომლისა ძე სნეულ იყო კაპერნაუმს.
47. ამას ესმა, ვითარმედ: იესუ მოსრულ არს ჰურიასტანით გალილეას; მოვიდა მისა და ეევედრებოდა რაჲთა მიჳდეს მის თანა და განკურნოს ძე იგი მისი, რომელი მიახდა სიკუდიდ.
48.ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ არა იხილოთ სასწაულები და ნიშები, არა გრწმენეს.
49. ჰრქუა მას სამეუფოჲსა კაცმან მან: უფალო, მოვედ პირველად მოსიკუდილადმდე ძისა ჩემისა.
50. ჰრქუა მას იესუ: ვიდოდე, ცოცხალ არს ძე შენი. და ჰრწმენა კაცსა მას სიტყუაჲ იგი, რომელი ჰრქუა მას იესუ, და წარვიდა.
51. და ვითარცა მი-ოდენ-ვიდოდა იგი, მონანი მისნი მოეგებეოდეს მას და უთხრეს და ჰრქუეს, ვითარმედ: ძე შენი ცოცხალ არს.
52. ჰკითხვიდა მათ: რომელსა ჟამსა უმოლხინეს იქმნა? ჰრქუა მას: გუშინ მეშჳდესა ჟამსა ოდენ დაუტევა იგი მკურვალებამან.
53. მოეკსენა მამასა მის ყრმისასა, რამეთუ მას ჟამსა ოდენ ჰრქუა მას იესუ, ვითარმედ: ძე შენი ცოცხალ არს. და ჰრწმენა მას და ყოველთა სახლეულთა მისთა.
54. ესე კუალად მეორე სასწაული ქმნა იესუ, მო-რაჲ-ვიდა ჰურიასტანით გალილეად.

5

1. ამისა შემდგომად იყო დღესასწაული ჰურიათაჲ,და აღვიდა იესუ იერუსალჱმდ.
2. და არს იერუსალჱმს ცხოვართა საბანელსა მას ტბაჲ, რომელსა ჰრქჳან ებრაელებრ ბითჱზდა, და ხუთ სტოვა იყო.
3. ამას შინა ისხა სიმრავლე უძლურთაჲ, ბრმები, მკელობლები განკმელები, რომელნი მოელიედ წყლისა მის აღმრღუევასა.
4. რამეთუ ანგელოზი წლითი წლად გარდამოვიდოდა საბანელსა მას და აღამრღჳს წყალი იგი; და რომელიცა პირველ

შთავიდის აღმრღუევასა მას წყლისასა, განიკურნის, რომლითაცა შეპყრობილ არნ სნეულებითა.

5. იყო ვინმე მუნ კაცი, რომელსა ოც და ათრვამეტი წელი დაეყო უძლურებასა შინა.

6. ესე იხილა იესუ მდებარე და გულისჴმა-ყო, რამეთუ მრავალი წელი აქუს უძლურებასა შინა. ჰრქუა მას იესუ: გნებავსა, რაჲთა განიკურნო?

7. მიუგო უძლურმან მან და ჰრქუა: უფალო, კაცი არა მაქუს, რაჲთა, რაჟამს წყალი ეს აღიმრღუეს, და შთა-მცა-მაგდო საბანელსა ამას. ვიდრე მე მოვიდოდი, სხუაჲ უწინარეს ჩემსა შთავიდის და განიკურნის.

8. ჰრქუა მას იესუ: აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე!

9. და მეყსეულად განცოცხლდა კაცი იგი და აღიღო ცხედარი თჳსი და წარვიდა. ხოლო იყო შაბათი დღე იგი.

10. ეტყოდეს მას ჰურიანი იგი: შაბათი არს, და არა ჯერ-არს შენდა აღებად ცხედარი შენი.

11. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: რომელმან-იგი განმკურნა მე, მან მრქუა: აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე!

12. ჰკითხვიდეს უკუე მას ჰურიანი იგი და ჰრქუეს: ვინ არს კაცი იგი, რომელმან გრქუა შენ: აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე?

13. ხოლო განკურნებულმან მან არა უწყოდა, ვინ არს, რამეთუ იესუ მიეფარა, რამეთუ ერი იყო ადგილსა მას.

14. ამისსა შემდგომად პოვა იგი იესუ ტაძარსა მას შინა და ჰრქუა მას: აჰა ცოცხალ იქმენ, ნუღარა სცოდავ, რაჲთა არა უძჯრესი რაჲმე გეყოს შენ.

15. წარვიდა კაცი იგი და უთხრა ჰურიათა მათ, ვითარმედ: იესუ არს, რომელმან განმკურნა მე.

16. და ამისთჳს სდევნიდეს ჰურიანი იგი იესუს და ენება მოკლვაჲ მისი, რამეთუ ამას იქმოდა შაბათთა შინა.

17. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: მამაჲ ჩემი მოაქამომდე იქმს, და მეცა ვიქმ.

18. ამისთჳს უფროჲს ხოლო ეძიებდეს ჰურიანი იგი მოკლვად იესუს, რამეთუ არა ხოლო თუ შაბათსა დაჰჴსნიდა, არამედ ღმერთსაცა მამად თჳსა იტყოდა და თავსა თჳსსა სწორ ჰყოფდა ღმრთისა.

19. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: არა ქელ-ეწიფების ძესა კაცისასა საქმედ თავით თჳსით არცა ერთი რაჲ, უკუეთუ არა იხილოს რაჲმე მამისაგან საქმე, რამეთუ რაჟდენსა-იგი მამაჲ იქმს, მას ძე ეგრეთვე მსგავსად იქმს.

20. რამეთუ მამასა უყუარს ძე და ყოველსავე უჩუენებს მას, რაოდენსაცა იგი იქმს, და უფ-

როჲსიცა ამისა უჩუენოს მას საქმე, რაჲთა თქუენ გიკჳრდეს.
21. რამეთუ ვითარცა-იგი მამაჲ აღადგინებს მკუდართა და აცხოვნებს, ეგრეცა ძე, რომელთაჲ ჰნებავს, აცხოვნებს.
22. არცაღა მამაჲ სჯის არავის, არამედ ყოველი სასჯელი მოსცა ძესა,
23. რაჲთა ყოველნი პატივ-სცემდენ ძესა, ვითარცა იგი პატივ-სცემენ მამასა, რამეთუ რომელმან არა პატივ-სცეს ძესა, მან არა პატივ-სცა მამასა, რომელმან მოავლინა იგი.
24. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ რომელმან სიტყუანი ჩემნი ისმინნეს და ჰრწმენეს მომავლინებელი ჩემი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, და სასჯელსა იგი არა შევიდეს, არამედ გარდაიცვალოს იგი სიკუდილისაგან ცხორებად.
25. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მოვალს ჟამი, და აწ̃ვე არს, ოდეს მკუდართა ისმინნეს სიტყუანი ძისა ღმრთისანი; და რომელთა ისმინნენ, ცხონდენ.
26. რამეთუ ვითარცა-იგი მამასა აქუს ცხორებაჲ თავისა თჳსისა თანა, ეგრეცა ძესა მოსცა, რაჲთა აქუნდეს ცხორებაჲ თავისა თჳსისა თანა.
27. და კელმწ̃იფებაჲ მოსცა მას სასჯელისაცა ყოფად, რამეთუ ძე კაცისაჲ არს.
28. ნუ გიკჳრნ ესე, რამეთუ მოვალს ჟამი, რომელსა ყოველნი რომელნი ისხნენ საფლავებსა, ისმინონ ჴმისა მისისაჲ.
29. და გამოვიდოდიან კეთილის-მოქმედნი აღდგომასა ცხორებისასა, ხოლო ბოროტის-მოქმედნი აღდგომასა სასჯელისასა.
30. არა კელ-მეწ̃იფების მე საქმედ თავით თჳსით არარაჲ, არამედ ვითარცა მესმის, ესჯი, და სასჯელი ჩემი მართალ არს, რამეთუ არა ვეძიებ ნებასა ჩემსა, არამედ ნებასა მომავლინებელისა ჩემისა მამისასა.
31. უკუეთუ მე ვწ̃ამებდე თავისა ჩემისათჳს, წ̃ამებაჲ ჩემი არა არს ჭეშმარიტ.
32. სხუაჲ არს, რომელი წ̃ამებს ჩემთჳს, და უწ̃ყი, რამეთუ ჭეშმარიტ არს წ̃ამებაჲ მისი, რომელსა წ̃ამებს ჩემთჳს.
33. თქუენ მიავლინეთ იოვანესა, და წ̃ამა ჭეშმარიტი.
34. ხოლო მე წ̃ამებაჲ კაცისაგან არა მოვიღო, არამედ ამას ვიტყჳ, რაჲთა თქუენ სცხონდეთ.
35. იგი იყო სანთელი აღნთებული და საჩინოჲ, ხოლო თქუენ ინებეთ ჟამ ერთ სიხარული ნათელსა მისსა.
36. ხოლო მე მაქუს წ̃ამებაჲ უფროჲს იოვანესსა, რამეთუ საქმენი რომელნი მომცნა მე მამამან, რაჲთა აღვასრულნე იგინი, ესევე საქმენი წ̃ამებენ ჩემთჳს, რომელთა მე ვიქმ, რამეთუ მა-

გამან მომაელინა მე.
37. და რომელმან მომაელინა მე, გამამან, მან წამა ჩემთჳს. თქუენ არცა კმაჲ მისი გესმა სადამე, არცა სატი მისი იხილეთ.
38. და სიტყუაჲ მისი არა არს თქუენ თანა დადგრომილ, რამეთუ რომელი-იგი მოაელინა ღმერთმან, ესე თქუენ არა გრწამს.
39. გამოეძიებდით წიგნთა, რამეთუ თქუენ ჰგონებთ, ვითარმედ გაქუს ცხორებაჲ საუკუნოჲ მათ შინა; და იგინი არიან, რომელნი წამებენ ჩემთჳს.
40. და თქუენ არა გნებავს მოსლვად ჩემდა, რაჲთა ცხორებაჲ გაქუნდეს.
41. დიდებაჲ კაცთაგან არა მოვიღო.
42. არამედ გიცნი თქუენ, რამეთუ სიყუარული ღმრთისაჲ არა გაქუს თავთა შინა თქუენთა.
43. მე მოვედ სახელითა მამისა ჩემისაჲთა, და არა შემიწყნარებთ. უკუეთუ სხუაჲ მოვიდეს სახელითა თჳსითა, იგი შეიწყნაროთ.
44. ვითარ უკუე კელ-გეწიფების თქუენ რწმუნებად, რამეთუ დიდებასა ურთიერთას მიიღებთ და დიდებასა მხოლოჲსა ღმრთისასა არა ეძიებთ.
45. ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მე შეგასმინნე თქუენ მამასა ჩემსა; არს შემასმენელი თქუენი მოსე, რომელსა თქუენ ესავთ.
46. უკუეთუმცა გრწმენა მოსესი, გრწმენამცა ჩემიცა, რამეთუ მან ჩემთჳს დაწერა.
47. უკუეთუ მისთა წიგნთაჲ არა გრწამს, ჩემთა სიტყუათაჲ ვითარ-მე გრწმენეს?

6

1. ამისა შემდგომად წიაღქდა იესუ წიაღ ზღუასა მას გალილეაჲსასა, რომელ არს ტიბერიაჲსაჲ.
2. და მისდევდა მას ერი მრავალი, რამეთუ სედვიდეს სასწაულთა მათ, რომელთა იქმოდა უძლურთა ზედა.
3. და აღვიდა იესუ მთასა და მუნ დაჯდა მოწაფითურთ თჳსით.
4. და იყო მოახლებულ პასქაჲ, ღღესასწაული იგი ჰურიათაჲ.
5. აღიხილნა თუალნი თჳსნი იესუ და იხილა, რამეთუ მრავალი ერი მოვალს მისა. ჰრქუა ფილიპეს: ვინაჲ ვიყიდოთ პური, რაჲთა ჭამონ ამათ?
6. ამას რაჲ ეტყოდა, გამოსცდიდა მას, ხოლო თჳთ უწყოდა, რაჲ ეგულებოდა ყოფად.
7. ჰრქუა ფილიპე: ორასისა დრაჰკნისა პური ვერ კმა არს ამათა, რაჲთა კაცად-კაცადმან მცირედ რაჲმე მიიღოს.
8. ჰრქუა მას ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან, ანდრეა, ძმამან სიმონ-პეტრესმან:
9. არს აქა ყრმაჲ, რომელსა აქუს ხუთი პური ქრთილისაჲ

და ორი თევზი, არამედ ესე რაჲ არს ესოდენთა წინაშე?
10. ჰრქუა მათ იესუ: დასხით კაცები ესე. და იყო თივაჲ ფრიად ადგილსა მას, და დასხდა კაცები იგი, რიცხჳთ ვითარ ხუთ ათას ოდენ.
11. და მოიხუნა იესუ პურნი იგი და ჰმადლობდა და მისცემდა მოწაფეთა, და მოწაფენი მისცემდეს ერსა მას, რომელნი-იგი დასხდეს. ეგრეცა თევზთა მათგანი, რაოდენი-იგი უნდა მათ.
12. და ვითარცა განძღეს, ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: შეკრიბეთ ნეშტი ეგე ნამუსრევი, რაჲთა ნუმცა რაჲ წარწყმდების.
13. ხოლო მათ შეკრიბეს და აღავსეს ათორმეტი გოდორი ნამუსრევითა ხუთთა მათ პურთაგან ქრთილისათა, რომელ--იგი დაუშთა მათ, რომელთა--იგი ჭამეს.
14. ხოლო კაცთა მათ ვითარცა იხილეს სასწაული იგი, რომელ ქმნა იესუ, იტყოდეს: ესე არს ჭეშმარიტად წინაწარმეტყუელი, რომელი მოსრულ არს სოფლად.
15. ხოლო იესუ გულისჴმა-ყო, რამეთუ მოვიდოდეს წარტაცებად, რაჲთამცა ყვეს იგი მეფე, და განეშორა და წარვიდა მთად იგი ხოლო მარტოჲ.
16. და ვითარცა შემწუხრდა,შთავიდეს მოწაფენი მისნი ზღუად.
17. და შევიდეს ნავსა და მოვიდოდეს წიაღ ზღუასა მას კაპერნაუმდ. და ვითარ შე-ოდენ-რიქუდებოდა, და არღა მოსრულ იყო მათა იესუ.
18. და ზღუაჲ იგი ქარისაგან დიდისა აღძრეოდა.
19. და შე-ოდენ-სრულ იყვნეს ვითარ ოც და ხუთ უტევან გინა ოც და ათ, იხილეს იესუ, ვიდოდა რაჲ ზღუასა ზედა; და მოეახლა რაჲ ნაესა მას, შეეშინა მათ.
20. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: მე ვარ, ნუ გეშინინ!
21. უნდა მათ, რაჲთამცა შეიყვანეს იგი ნაესა მას. და მეყსეულად იპოვა ნავი იგი ქუეყანასა მას, ვიდრეცა მივიდოდეს.
22. ხვალისაგან ერი იგი რომელ დგა წიაღ ზღუასა მას, უწყოდეს, რამეთუ სხუაჲ ნავი არა იყო მუნ, გარნა ერთი იგი ხოლო, რომელსა შესრულ იყვნეს მოწაფენი იესუჲსნი, და რამეთუ არა შეევიდა იესუ მოწაფეთა თანა ნავსა მას, არამედ მოწაფენი ხოლო მისნი შევიდეს.
23. მოვიდეს უკუე სხუანიცა ნავნი ტიბერიით, მახლობელად ადგილსა მას, სადა-იგი ჭამეს პური, რომელი-იგი აკურთხა უფალმან და ჰმადლობდა.
24. ვითარცა იხილა ერმან მან, ვითარმედ იესუ არა მუნ არს, არცა მოწაფენი მისნი, მოადგინეს მათ ნავები იგი და მოვიდეს კაპერნაუმდ და ეძიებდეს იესუს.

25. და პოვეს იგი წიაღ ზღუასა მას და ჰრქუეს მას: რაბი, ოდეს მოსუედ აქა?
26. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: მეძიებთ მე, არა თუ რამეთუ იხილენით სასწაულნი,არამედ რამეთუ სჭამეთ პურთა მათგან და განსძელით.
27. იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ საზრდელსა, რომელი ჰგიეს ცხორებად საუკუნოდ,რომელი ძემან კაცისამან მოგცეს თქუენ, რამეთუ ამას მამამან დაჰბეჭდა, ღმერთმან.
28. ჰრქუეს მას: რაჲ ვყოთ, რაჲთა ვიქმოდით საქმესა ღმრთისასა?
29. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ესე არს საქმე ღმრთისაჲ,რაჲთა გრწმენეს, რომელი-იგი მან მოაელინა.
30. და მათ ჰრქუეს მას: რასა სასწაულსა იქმ, რაჲთა ვიხილოთ და გურწმენეს შენი? რასა იქმ?
31. მამანი ჩუენნი ჭამდეს მანანასა უდაბნოსა ზედა, ვითარცა წერილ არს: პური ზეცით მოსცა მათ ჭამად.
32. ჰრქუა მას იესუ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: არა მოსე მოგცა თქუენ პური ზეცით, არამედ მამან ჩემმან მოგცა თქუენ პური ჭეშმარიტი ზეცით.
33. რამეთუ პური ღმრთისაჲ არს, რომელი გარდამოჴდა ზეცით და მოსცა ცხორებაჲ სოფელსა.
34. ჰრქუეს მას: უფალო, მარადის მომეც ჩუენ პური ესე.
35. ჰრქუა მათ იესუ: მე ვარ პური ცხორებისაჲ; რომელი მოვიდეს ჩემდა, არა შიოდის, და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, არასადა სწყუროდის.
36. არამედ გარქუ თქუენ, ვითარმედ: მიხილეთ მე და არა გრწამს.
37. ყოველი რომელი მომცა მე მამან ჩემმან, ჩემდა მოვიდეს; და რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაძო გარე.
38. რამეთუ გარდამოვჴედ ზეცით, არა რაჲთა ვყო ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისა მამისაჲ.
39. ხოლო ესე არს ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისა მამისაჲ, რაჲთა ყოველი რომელი მომცა მე, არა წარვწყმიდო მისგან, არამედ აღვაღგინო იგი უკუანაჲსკნელსა მას დღესა.
40. რამეთუ ესე არს ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისაჲ, რაჲთა ყოველი რომელი ხედვიდეს ძესა და ჰრწმენეს მისი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, და მე აღვაღგინო იგი უკუანაჲსკნელსა მას დღესა.
41. დრტჳნვიდეს მისთჳს ჰურიანი იგი, რამეთუ თქუა: მე ვარ პური იგი, რომელი ზეცით გარ-

დამოვკედ,
42. და იტყოდეს: არა ესე არსა იესუ, ძე იოსებისი, რომლისა მამაჲ და დედაჲ ჩუენ ვიცით? ვითარ უკუე იტყჳს ესე, ვითარმედ: ზეცით გარდამოვკედ?
43. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ნუ სდრტჳნაეთ ურთიერთას.
44. ვერვის კელ-ეწიფების მოსლვად ჩემდა, უკუეთუ არა მამამან, მომავლინებელმან ჩემმან, მოიყვანოს იგი ჩემდა, და მე აღვადგინო იგი უკუანაჲსკნელსა მას დღესა.
45. წერილ არს წინაწარმეტყუელთა შინა, ვითარმედ: იყვნენ ყოველნი ღმრთივ სწავლულ. ყოველსა რომელსა ესმეს მამისა ჩემისაგან და ისწავოს, მოვიდეს ჩემდა.
46. არა თუ მამაჲ ვის უხილავს, არამედ რომელი-იგი არს ღმრთისაგან, ამან იხილა მამაჲ.
47. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: რომელსა ჰრწმენეს ჩემი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ.
48. მე ვარ პური ცხორებისაჲ.
49. მამათა თქუენთა ჭამეს მანანაჲ უდაბნოსა და მოსწყდეს.
50. ესე არს პური, რომელი ზეცით გარდამოჴდა; უკუეთუ ვინმე ჭამოს მისგანი, არა მოკუდეს.
51. მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით გარდამოვკედ. უკუეთუ ვინმე ჭამდეს ამის პურისაგან, არა მოკუდეს, არამედ ცხოვნდეს უკუნისამდე. და პური, რომელი მე მიესცე, ჴორცი ჩემი არს, რომელსა მე მიესცემ ცხორებისათჳს სოფლისა.
52. იღაღვიდეს ურთიერთას პურიანი იგი და იტყოდეს: ვითარ-მე კელ-ეწიფების ამას მოცემად ჩუენდა ჴორცი თჳსი ჭამად?
53. ჰრქუა მათ იესუ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ არა სჭამოთ ჴორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხორებაჲ თავთა შორის თქუენთა.
54. ხოლო რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ, და მე აღვაღგინო იგი უკუანაჲსკნელსა მას დღესა.
55. რამეთუ ჴორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასუმელი არს.
56. და რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს, და მე მის თანა.
57. ვითარცა მომავლინა მე ცხოველმან მამამან, და მეცა ცხოველ ვარ მამისა თანა; და რომელი ჭამდეს ჩემგან, იგიცა ცხონდეს ჩემ მიერ.
58. რამეთუ ესე არს პური, რომელი ზეცით გარდამოჴდა. არა ეგრეთ, ვითარ-იგი ჭამეს მამათა თქუენთა მანანაჲ და მოსწყდეს. ხოლო რომელი ჭამდეს ამას

პურსა, ცხონდეს უკუნისამდე.
59. ესე თქუა შესაკრებელსა შორის და ასწავებდა კაპერნაუმს.
60. მრავალთა უკუე მოწაფეთა მისთაგანთა ესმა ესე და იტყოდეს: ფიცხელ არს სიტყუაჲ ესე. ვის კელ-ეწიფების სმენად მისა?
61. იცოდა იესუ თავით თჳსით, რამეთუ დრტჳნვენ მოწაფენი მისნი ამისთჳს, და ჰრქუა მათ: ესე დაგაბრკოლებსა თქუენ?
62. უკუეთუ იხილოთ ძე კაცისაჲ აღმავალი, სადაცა იყო პირველ?
63. სული არს განმაცხოველებელ, ხოლო კორცნი არად სარგებელ არიან; სიტყუათა რომელთა გეტყჳ თქუენ, სულ არიან და ცხორება.
64. არამედ არიან ვინმე თქუენგანნი, რომელთა არა ჰრწამს. რამეთუ იცოდა იესუ პირველითგან, თუ ვინ არიან იგინი, რომელთა არა ჰრწამს, ანუ ვინ არს მიმცემელი მისი.
65. და ეტყოდა: ამისთჳს გარქუ თქუენ: ვერვის კელ-ეწიფების მოსლვად ჩემდა, უკუეთუ არა არს მოცემულ მისა მამისაგან ჩემისა.
66. ამის გამო მრავალნი მოწაფეთა მისთაგანნი უკუნიქცეს და არღარა ვიდოდეს მის თანა.
67. ჰრქუა იესუ ათორმეტთა მათ: ნუუკუე თქუენცა გნებავს წარსლვის?
68. მიუგო მას სიმონ-პეტრე და ჰრქუა: უფალო, ვისა მივიდეთ ჩუენ? რამეთუ სიტყუანი ცხორებისა საუკუნოჲსანი გქონან შენ.
69. და ჩუენ გურწმენა და გუცნობიეს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ.
70. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა-მე ათორმეტნი გამოგირჩიენა? და ერთი თქუენგანი ეშმაკი არს.
71. ხოლო იტყოდა იუდას სიმონისსა, ისკარიოტელსა, რომელი იყო ერთი ათორმეტთაგანი, რამეთუ ამას ეგულებოდა მიცემაჲ მისი.

7

1. ამისა შემდგომად იქცეოდა იესუ გალილეას და არა უნდა მისლვად ჰურიასტანს, რამეთუ ეძიებდეს მას ჰურიანი იგი მოკლვად.
2. ხოლო იყო მახლობელ დღესასწაული იგი ჰურიათაჲ, რომელ არს კარეობისაჲ.
3. ჰრქუეს მას ძმათა მისთა: გარდაგუალე ამიერ და წარეველ ჰურიასტანად, რაჲთა მოწაფეთაცა შენთა იხილნენ საქმენი შენნი, რომელთა იქმ.
4. რამეთუ არავინ ფარულად რასმე იქმნ და ეძიებნ, რაჲთამცა განცხადებულ იყო. უკუეთუ ამას იქმ, გამოუცხადე თავი შენი სოფელსა.
5. რამეთუ არცაღა ძმათა მის-

თა ჰრწმენა მისი.
6. ჰრქუა მათ იესუ: ჟამი ჩემი არღა მოწევნულ არს, ხოლო ჟამი თქუენი ოდესვე განმზადებულ არს.
7. ვერ კელ-ეწიფების სოფელსა მოძულებად თქუენდა, ხოლო მე ვსძულ, რამეთუ ვწამებ მისთჳს, ვითარმედ საქმენი მისნი ბოროტ არიან.
8. თქუენ აღვედით დღესასწაულსა ამას, ხოლო მე არა აღვალ დღესასწაულსა ამას, რამეთუ ჟამი ჩემი არღა აღსრულებულ არს.
9. ესე ჰრქუა მათ და დაადგრა გალილეას.
10. და ვითარცა აღვიდეს ძმანი მისნი დღესასწაულსა მას, მაშინ თავადიცა იესუ აღვიდა არა განცხადებულად, არამედ ვითარცა ფარულად.
11. ხოლო ჰურიანი იგი ეძიებდეს მას დღესასწაულსა მას და იტყოდეს: სადა-მე არს იგი?
12. და იყო მრავალი დრტჳნეაჲ მისთჳს ერსა შორის. რომელნიმე იტყოდეს: კეთილ არს; ხოლო სხუანი იტყოდეს: არა, არამედ აცთუნებს ერსა.
13. და არავინ განცხადებულად იტყოდა მისთჳს შიშისათჳს ჰურიათაჲსა.
14. და ვითარცა დღესასწაული იგი განჰღენ-ზოგებულ იყო, აღვიდა იესუ ტაძრად და ასწავებდა.
15. უკჳრდა ჰურიათა მათ და იტყოდეს: ვითარ უკუე ამან წიგნი იცის უსწაველელად?
16. მიუგო იესუ და ჰრქუა: ჩემი ესე მოძღურებაჲ არა არს ჩემი, არამედ მომაველინებელისა ჩემისაჲ.
17. უკუეთუ ვინმე ნებასა მისსა ჰყოფდეს, ცნას მან მოძღურებაჲ ესე, ვითარ რაჲ არს: ღმრთისაგან არს, ანუ მე თაჳით თჳსით ვიტყჳ.
18. რომელი თაჳით თჳსით იტყჳნ, დიდებასა თაჳსა თჳსისასა ეძიებნ; ხოლო რომელი ეძიებნ დიდებასა მომაველინებელისა თჳსისასა, იგი ჭეშმარიტ არს, და სიცრუჱ არა არს მის თანა.
19. ანუ არა მოსე მოგცა თქუენ სჯული? და არავინ თქუენგანი ჰყოფს სჯულსა, რაჲსათჳს მეძიებთ მე მოკლვად?
20. მიუგო ერმან მან და ჰრქუა: ეშმაკი არს შენ თანა. ვინ გეძიებს შენ მოკლვად?
21. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ერთი საქმე ექმენ თქუენ შორის, და ყოველთა გიკჳრს.
22. ამისთჳს მოსე მოგცა თქუენ წინადაცუეთაჲ. არა თუ მოსესგან არს, არამედ მამათაგან, და შაბათსა წინადაიცჳთის კაცმან.
23. უკუეთუ წინადაცუეთილებაჲ მოიღის კაცმან შაბათსა, რაჲთა არა განქარდეს სჯული მოსესი, მე მაბრალებთა, რამეთუ ყოველადვე განვაცოცხლე კაცი შა-

ბათსა შინა?
24. ნუ სჯით თუალ-ღებით, არამედ სამართალი სასჯელი საჯეთ.
25. იტყოდეს ვინმე იერუსალიმელთაგანნი: არა ესე არსა, რომელსა ეძიებდეს მოკლვად?
26. აჰა ესერა განცხადებულად ეტყჳს, და არარას ეტყჳან მას. ნუუკუე ჭეშმარიტად ცნეს მთავართა მათ, ეითარმედ ესე არს ჭეშმარიტად ქრისტე?
27. არამედ ესე ვიცით, ვინაჲ არს. ხოლო ქრისტე ოდეს მოვიდეს, არავინ უწყოდის, თუ ვინაჲ არს.
28. ღაღად-ყო იესუ ტაძარსა მას შინა, ასწავებდა და ეტყოდა: მეცა მიცით და იცით, ვინაჲ ვარ; და თავით ჩემით არა მოსრულ ვარ, და არს ჭეშმარიტ, რომელმან-იგი მომაველინა მე, რომელი თქუენ არა იცით.
29. ხოლო მე ვიცი იგი, რამეთუ მის მიერ ვარ, და მან მომაველინა მე.
30. ეძიებდეს მას შეპყრობად, და არავინ დაასხნა მას კელნი, რამეთუ არღა მოწევნულ იყო ჟამი მისი.
31. და მრავალთა ერისა მისგანთა პრწმენა მისა მიმართ და იტყოდეს: ქრისტე ოდეს მოვიდეს, ნუუკუე უმრავლესნი სასწაულნი ქმნნესა, რომელნი ამან ქმნა?
32. და ესმა ფარისეველთა ერისა მის დრტჳნვაჲ მისთჳს. და მიაველინნეს მღდელთ-მოძღუართა მათ და ფარისეველთა მსახურნი, რაჲთა შეიპყრან იგი.
33. და თქუა იესუ: მცირედ ჟამ თქუენ თანა ვარ და წარვეალ მომავლინებელისა ჩემისა.
34. მეძიებდეთ მე და არა მპოვოთ; და სადა-იგი მე ვიყო, თქუენ ვერ ძალ-გიც მოსლვად.
35. იტყოდეს ურთიერთას ჰურიანი იგი: ვიდრე-მე ეგულების ამას წარსლვად, და ჩუენ არა ვპოოთ იგი? ნუუკუე განთესულთა მათ წარმართთასა ეგულების მისლვად და სწავლად მუნ წარმართთა?
36. რაჲ არს სიტყუაჲ ესე, რომელსა იტყჳს: მეძიებდეთ მე და არა მპოოთ, და სადა მე ვიყო, თქუენ ვერ კელ-გეწიფების მოსლვად?
37. და დასასრულსა მას დიდისა მის დღესასწაულისასა დადგა იესუ, ღაღატ-ყო და თქუა: უკუეთუ ვისმე სწყუროდის, მოვედინ ჩემდა და სუემდინ.
38. და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ვითარცა თქუა წიგნმან, მდინარენი მუცლისა მისისაგან დიოდიან წყლისა ცხოველისანი.
39. ესე თქუა სულისა მისთჳს, რომელი მიღებად იყო მორწმუნეთა მათ მისა მიმართ, რამეთუ არღა მოცემულ იყო სული წმიდაჲ, რამეთუ იესუ არღა იყო დიდებულ.

40. მრავალთა ერისა მისგანთა ისმინეს სიტყუაჲ ესე და იტყოდეს: ესე არს ჭეშმარიტად წინაწარმეტყუელი.
41. სხუანი იტყოდეს: ესე არს ქრისტე; ხოლო სხუანი იტყოდეს: ნუუკუე გალილეაჲთ მოსლვად არსა ქრისტე?
42. არა წიგნი იტყჳსა, ვითარმედ თესლისაგან დავითისა და ბეთლემით დაბით, სადა იყო დავით, მოვიდეს ქრისტე?
43. და განწეალებაჲ იყო მისთჳს ერსა შორის.
44. და რომელთამე მათგანთა უნდა შეპყრობაჲ მისი, და არავინ მიყვნა კელნი მის ზედა.
45. მოვიდეს მსახურნი იგი მღდელთ-მოძღუართანი და ფარისეველთანი, და ჰრქუეს მათ: რად არა მოიყვანეთ იგი?
46. მიუგეს მსახურთა მათ და ჰრქუეს: არასადა ვინ იტყოდა კაცი ესრეთ, ვითარ ესე კაცი.
47. მიუგეს ფარისეველთა მათ და-ჰრქუეს: თქუენცა ნუუკუე შე--ვე-ცთომილ ხართა?
48. ნუუკუე მთავართაგანთა ვინმე ჰრწმენაა მისი ანუ ფარისეველთა?
49. არამედ ერსა ამას, რომელმან არა იცის სჯული, დაწყეულ არიან.
50. ჰრქუა მათ ნიკოდიმოს, რომელი-იგი მოსრულ იყო პირველ მისა, იყო ერთი მათგანი:
51. ნუუკუე სჯული ჩუენი დასჯის კაცსა, უკუეთუ არა პირველად ისმინოს მისგან და ცნას, რასა იქმს?
52. მიუგეს მათ და ჰრქუეს მას: ნუ შენცა გალილეაჲთ ხარ? გამოიძიე და იხილე, რამეთუ გალილეაჲთ წინაწარმეტყუელი არა აღდგომილ არს.
53. და წარვიდა კაცად-კაცადი სახიდ თჳსად.

8

1. ხოლო იესუ წარვიდა მთასა მას ზეთისხილთასა.
2. და განთიად კუალად მოვიდა ტაძრად, და ყოველი ერი მოვიდოდა მისა მიმართ, და დაჯდა და ასწავებდა მათ.
3. ხოლო მწიგნობართა მათ და ფარისეველთა მოიყვანეს მისა დედაკაცი, რომელი ცხადად ერსა ზედა დაეპყრა მრუშებასა, და დაადგინეს იგი შორის.
4. და ჰრქუეს მას, რამეთუ გამოსცდიდეს: მოძღუარ, ესე დედაკაცი ცხადად მრუშებასა დაეპყრა.
5. და მოსე ამცნო სჯულსა შინა ჩუენსა ესევითართა ქვისა დაკრებაჲ. შენ უკუე რასა იტყჳ?
6. ხოლო ესე თქუეს და გამოსცდიდეს მას, რაჲთა აქუნდეს შესმენად მისა. ხოლო იესუ ქუეყანად დაღრკა და თითითა ქუეყანასა წერდა და არარას ეტყოდა.
7. და ვითარ მყოვარ დგეს და

ჰკითხვიდეს მას, აღემართა ზე და ჰრქუა მათ: ვინ უცოდველ არს თქუენგანი, პირველად მან დაუტეევენ ქვაჲ მაგას ზედა.
8. და კუალად ქუე დაღრკა და წერდა ქუეყანასა.
9. ხოლო მათ ვითარცა ესმა, მხილებულნი სჯნიდისისაგან, განვიდოდეს თითოჲ; იწყეს მოხუცებულითგან, ვიდრემდის დაშთა თავადი მარტოჲ, და დედაკაცი იგი დგა შორის.
10. ხოლო იესუ აღემართა და არავინ იხილა, გარნა დედაკაცი იგი და ჰრქუა მას: სადა არიან შემასმენელნი შენნი? არავინ განგიკითხა შენ?
11. ხოლო მან ჰრქუა: არავინ, უფალო! ხოლო იესუ ჰრქუა მას: არცა მე განგიკითხავ შენ; წარვედ და ამიერითგან ნუღარა სცოდავ.
12. მერმეცა ეტყოდავე იესუ და ჰრქუა მათ: მე ვარ ნათელი სოფლისაჲ. რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხორებისაჲ.
13. ჰრქუეს მას ფარისეველთა: შენ თავისა შენისათჳს სწამებ, და წამებაჲ შენი არა არს ჭეშმარიტ.
14. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: დაღაცათუ მე ვწამო თავისა ჩემისათჳს, ჭეშმარიტ არს წამებაჲ ჩემი, რამეთუ ვიცი, ვინაჲ მოსრულ ვარ და ვიდრე მივალ; ხოლო თქუენ არა იცით, ვინაჲ მოვედ და ვიდრე ვაჲ.
15. თქუენ კორცთაებრ სჯით, ხოლო მე არავის ვსჯი.
16. უკუეთუ ვსჯიდე მე, სასჯელი ჩემი ჭეშმარიტ არს, რამეთუ არა ვარ მარტოჲ, არამედ მე და მომავლინებელი ჩემი მამაჲ.
17. რამეთუ სჯულსაცა თქუენსა წერილ არს, ვითარმედ: ორისა კაცისა წამებაჲ ჭეშმარიტ არს.
18. მე ვარ, რომელი ვწამებ ჩემთჳს, და წამებს ჩემთჳს მომავლინებელი ჩემი მამაჲ.
19. ჰრქუეს მას ჰურიათა მათ: სად არს მამაჲ შენი? მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არცა მე მიცით, არცა მამაჲ ჩემი, უკუეთუმცა მიცოდეთ მე, მამაჲცამცა ჩემი იცოდეთ.
20. ამას სიტყუასა ეტყოდა ფასის-საცავსა მას თანა და ასწავებდა ტაძარსა შინა. და არავინ შეიპყრა იგი, რამეთუ არღა მოსრულ იყო ჟამი მისი.
21. მერმე ჰრქუა მათ იესუ: მე წარვაჲ, და მეძიებდეთ მე და არა მპოოთ და ცოდვათა შინა თქუენთა მოსწყდეთ; და ვიდრე-იგი მე მივალ, თქუენ ვერ კელ-გეწიფების მოსლვად.
22. იტყოდეს ურთიერთას ჰურიანი იგი: ნუუკუე მოიკლავს თავსა თჳსსა, რამეთუ იტყჳს: ვიდრე-იგი მე მივალ, თქუენ ვერ კელ-გეწიფების მოსლვად?
23. და ეტყოდა მათ იესუ: თქუენ

ქუეყანისაგანნი ხართ, ხოლო მე
ზეცისაგანი ვარ; თქუენ ამის
სოფლისაგანნი ხართ, ხოლო მე
არა ამის სოფლისაგანი ვარ.
24. გარქუ თქუენ, ვითარმედ:
მოსწყდეთ ცოდვათა შინა თქუ-
ენთა; უკუეთუ არა გრწმენეს
ჩემი, რამეთუ მე ვარ, მოსწყ-
დეთ ცოდვათა შინა თქუენთა.
25. ეტყოდეს მას: და შენ ვინ
სარ? ჰრქუა მათ იესუ: პირეე-
ლად, რამეთუ მე გეტყჳ თქუენ.
26. მრავალი მაქუს თქუენდა
სიტყუად და განკითხად, არა-
მედ რომელმან მომავლინა მე,
ჭეშმარიტ არს, და რაჲ-იგი მეს-
მა მისგან, მას ვიტყჳ სოფელსა
ამას შინა.
27. ხოლო მათ არა ცნეს, რამე-
თუ მამასა თჳსსა უთხრობდა
მათ.
28. მერმე ჰრქუა მათ იესუ:
ოდეს აღამაღლოთ ძე კაცისაჲ,
მაშინ სცნათ, რამეთუ მე ვარ და
თავით ჩემით არას ვიქმ, არა-
მედ ვითარცა მასწავა მე მამა-
მან, მასცა ვიტყჳ.
29. და რომელმან მომავლინა
მე, ჩემ თანა არს; არა დამიტე-
ვა მე მარტოჲ მამამან, რამეთუ
მე სათნოებასა მისსა ვიქმ მა-
რადის.
30. ამას რაჲ ეტყოდა, ჰრწმენა
მრავალთა მისი.
31. და ეტყოდა იესუ მორწმუნე-
თა მათ მისთა ჰურიათა: უკუე-
თუ თქუენ დაადგრეთ სიტყუათა
ჩემთა, ჭეშმარიტად მოწაფენი
ჩემნი ხართ.
32. და სცნათ ჭეშმარიტი, და
ჭეშმარიტებამან განგათავისუფ-
ლნეს თქუენ.
33. მიუგეს ჰურიათა მათ და
ჰრქუეს მას: ჩუენ ნათესაენი აბ-
რაჰამისნი ვართ და არასადა
ვის ვჰმონებდით; ეითარ-ეგე
შენ იტყჳ, ვითარმედ: განსთავი-
სუფლდეთ?
34. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ:
ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, რამე-
თუ: ყოველმან რომელმან ქმნეს
ცოდვაჲ, მონაჲ არს იგი ცოდვი-
საჲ.
35. და მონამან არა დაიმკჳ-
დროს სახლსა შინა უკუნისამდე,
ხოლო ძემან დაიმკჳდროს უკუ-
ნისამდე.
36. უკუეთუ ძემან განგათავი-
სუფლნეს, ჭეშმარიტად თავისუ-
ფალ იყვნეთ.
37. უწყი, რამეთუ ნათესაენი აბ-
რაჰამისანი ხართ, არამედ მეძი-
ებთ მე მოკლვად, რამეთუ სიტ-
ყუაჲ ჩემი ვერ დაეტევის თქუენ
შორის.
38. მე რომელი ვიხილე მამი-
სა ჩემისა თანა, მას ვიტყჳ; და
თქუენ რომელი იხილეთ მამისა
თქუენისა თანა, მას ჰყოფთ.
39. მიუგეს და ჰრქუეს მას: მა-
მაჲ ჩუენი აბრაჰამი არს. მიუ-
გო იესუ და ჰრქუა მათ: უკუე-
თუმცა შვილნი აბრაჰამისნი იყ-
ვენით, საქმეთამცა აბრაჰამის-

თა იქმოდეთ.
40. ხოლო აწ მეძიებთ მე მოკლვად, კაცსა, რომელი ჭეშმარიტსა გეტყჳ თქუენ, რომელი მესმა ღმრთისაგან. ესე აბრაჰამ არა ქმნა.
41. ხოლო თქუენ იქმთ საქმესა მამისა თქუენისასა. ჰრქუეს მას: ჩუენ სიძვით არა შობილ ვართ, ერთი მამაჲ ვიცით – ღმერთი.
42. ჰრქუა მათ იესუ: უკუეთუმცა ღმერთი მამაჲ თქუენი იყო, გიყუარდიმცა მე, რამეთუ ღმრთისაგან გამოვედ და მოსრულ ვარ, რამეთუ არა თავით თჳსით მოსრულ ვარ, არამედ მან მომაველინა მე.
43. რაჲსათჳს სიტყუანი ჩემნი არა იცნით? რამეთუ ვერ ძალ-ჳც სიტყუათა ჩემთა სმენად.
44. თქუენ მამისა ეშმაკისანი ხართ და გულის-თქუმათა მამისა თქუენისათა გნებაჲს ყოფად; რამეთუ იგი კაცის-მკლველი იყო დასაბამითგან და ჭეშმარიტებასა არა დააღგრა, რამეთუ ჭეშმარიტებაჲ არა არს მის თანა. ოდეს იტყჳნ ტყუვილსა, თჳსისაგან გულისა იტყჳნ, რამეთუ მტყუვარ არს, და რამეთუ მამაჲცა მისი მტყუვარი არს.
45. ხოლო მე ჭეშმარიტსა გეტყჳ თქუენ, და არა გრწამს ჩემი.
46. ვინ თქუენგანმან მამხილოს მე ცოდვისათჳს? უკუეთუ ჭეშმარიტსა გეტყჳ თქუენ, რაჲსათჳს არა გრწამს ჩემი?
47. რომელი ღმრთისაგან არს, სიტყუათა ღმრთისათა ისმენს; ამისთჳს არა ისმენთ თქუენ, რამეთუ არა ხართ ღმრთისაგან.
48. მიუგეს ჰურიათა მათ და ჰრქუეს მას: არა კეთილად ვთქუთა, ვითარმედ სამარიტელ ხარ შენ, და ეშმაკნი არს შენ თანა?
49. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ჩემ თანა ეშმაკი არა არს, არამედ პატივ-ვსცემ მამასა ჩემსა, და თქუენ მაგინებთ მე.
50. ხოლო მე არა ვეძიებ დიდებასა ჩემსა; არს, რომელი ეძიებს და სჯის.
51. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ ვინმე სიტყუაჲ ჩემი დაიმარხოს, სიკუდილი არა იხილოს უკუნისამდე.
52. ჰრქუეს მას ჰურიათა: აწ გჳცნობიეს, რამეთუ ეშმაკეულ ხარ: აბრაჰამ მოკუდა და წინაწარმეტყუელნიცა, და შენ იტყჳ: უკუეთუ ვინმე სიტყუაჲ ჩემი დაიმარხოს, არა იხილოს გემოჲ სიკუდილისაჲ უკუნისამდე.
53. ნუუკუე შენ უფროჲს ხარა მამისა ჩუენისა აბრაჰამისა, რომელი მოკუდა, და წინაწარმეტყუელნი მოსწყდეს? შენ ვის ჰყოფ თავსა შენსა?
54. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: უკუეთუ მე ვაღიდებდე თაესა ჩემსა, დიდებაჲ ჩემი არარაჲ არს; არამედ არს მამაჲ ჩემი, რომელი მადიდებს მე, რომე-

ლი თქუენ სთქუთ, ვითარმედ: ღმერთი ჩუენი არს იგი.
55. და არა იცით იგი, ხოლო მე ვიცი იგი. და უკუეთუ ვთქუა, ვითარმედ: არა ვიცი იგი, ვიყო მცა მსგავს თქუენდა მტყუეარ, არამედ ვიცი იგი და სიტყუასა მისსა ვიმარსაე.
56. აბრაჰამს, მამასა თქუენსა, უხაროდა, რაჲთა იხილოს დღე ესე ჩემი, იხილა და განიხარა.
57. ჰრქუეს მას ჰურიათა მათ: ერგასის წლის არღა ხარ და შენ აბრაჰამი გიხილავსა?
58. ჰრქუა მათ იესუ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: პირველ აბრაჰამის ყოფაჲდმე მე ვარ.
59. აღიღეს ქუები ჰურიათა მათ, რაჲთა დაჰკრიბონ მას. ხოლო იესუ დაეფარა და განვიდა ტაძრით, განელო შორის მათსა და წარვიდა ესრეთ.

9

1. და ვითარცა წარვიდოდა იესუ, იხილა კაცი, ბრმაჲ შობითგან.
2. ჰკითხვიდეს მოწაფენი მისნი და ეტყოდეს: რაბი, ვინ ცოდა: ამან ანუ მშობელთა ამისთა, რამეთუ ბრმაჲ იშეა?
3. ჰრქუა მათ იესუ: არცა ამან ცოდა, არცა მშობელთა ამისთა, არამედ რაჲთა გამოცხადნეს საქმე ღმრთისაჲ მაგას ზედა.
4. და ჩემდა ჯერ-არს საქმედ საქმესა მომავლინებელისა ჩემისასა, ვიდრე ღღე არსღა; მოვალს ღამე, ოდეს ვერვის ქელ-ეწიფოს საქმედ.
5. ვიდრემდე ვარ სოფელსა შინა, ნათელი ვარ სოფლისაჲ.
6. და ესე ვითარცა თქუა, ჰნერწყუა ქუეყანასა და შექმნა თიკაჲ ნერწყჳსაგან და სცხო თიკაჲ იგი თუალთა მის ბრმისათა.
7. და ჰრქუა მას: წარეედ და დაიბანე საბანელსა მას სილოამისასა, რომელი ითარგმანების „მოელინებულად“. წარვიდა კაცი იგი და დაიბანა, მოვიდა და ხედვიდა.
8. ხოლო მოძმენი და რომელთა ეხილვა იგი პირველ, რამეთუ მთხოველი იყო, იტყოდეს: არა ესე არსა, რომელი ზინ და ითხოენ?
9. სხუანი იტყოდეს: ესე არს; ხოლო რომელნიმე იტყოდეს: არა, არამედ მსგაესი მისი არს; ხოლო იგი იტყოდა: მე ვარ.
10. ჰკითხვიდეს მას: ვითარ აღგეხილნეს თუალნი შენნი?
11. მან მიუგო და ჰრქუა მათ: კაცსა რომელსა ჰრქჳან იესუ, თიკაჲ შექმნა და მცხო თუალთა ჩემთა და მრქუა მე: წარეედ საბანელსა მას სილოამისასა და დაიბანე. მიევედ და დავიბანე და აღვიხილენ.
12. ჰრქუეს მას: სადა არს იგი? ხოლო მან ჰრქუა მათ: არა უწყი.
13. იყო შაბათი, ოდეს-იგი თიკაჲ შექმნა იესუ და აღუხილნა

თუალნი მისნი.
14. მოიყვანეს იგი წინაშე ფარისეველთა, რომელ-იგი პირველად ბრმაჲ იყო.
15. კუალად ჰკითხვიდეს მას ფარისეველნიცა იგი: ვითარ აღიხილნე? ხოლო მან ჰრქუა მათ: თიჯაჲ დამდვა თუალთა ჩემთა, და დავიბანე და აწ ვხედავ.
16. იტყოდეს ვინმე ფარისეველთაგანნი: ესე კაცი არა არს ღმრთისაგან, რამეთუ შაბათსა არა იმარხავს. სხუანი იტყოდეს: ვითარ კელ-ეწიფების კაცსა ცოდვილსა ესევითარისა სასწაულისა საქმედ? და ცილობაჲ იყო მათ შორის.
17. ჰრქუეს მას, რომელი-იგი პირველ ბრმაჲ იყო: შენ რასა იტყჳ მისთჳს, რამეთუ აღგიხილნა თუალნი შენნი? ხოლო მან ჰრქუა მათ: წინაწარმეტყუელი არს.
18. არა ჰრწმენა ჰურიათა მისთჳს, ვითარმედ ბრმაჲ იყო და აღიხილნა თუალნი, ვიდრემდე მოუწოდეს მამა-დედათა მისთა, რომელმან-იგი აღიხილნა,
19. ჰკითხვიდეს მათ და ჰრქუეს: ესე არსა ძჱ იგი თქუენი, რომლისაჲ თქუენ სთქუთ, ვითარმედ: ბრმაჲ იშვა? აწ უკუე ვითარ ხედავს?
20. მიუგეს მამა-დედათა მისთა და ჰრქუეს: უწყით, რამეთუ ესე არს ძჱ ჩუენი და რამეთუ ბრმაჲ იშვა.
21. ხოლო აწ ვითარ ხედავს, ჩუენ არა ვიცით; ანუ ვინ აღუხილნა მაგას თუალნი, ჩუენ არა უწყით; მაგას ჰკითხეთ, ჰასაკი აქუს, ეგე თავისა თჳსისათჳს იტყოდენ.
22. ამისთჳს ესე თქუეს მშობელთა მისთა, რამეთუ ეშინოდა ჰურიათაგან, რამეთუ შეთქუმულ იყვნეს ჰურიანი, რაჲთა აღ-თუ ვინმე-იაროს იგი ქრისტედ, კრებულისაგან განკაღონ იგი.
23. ამისთჳს თქუეს მამა-დედათა მისთა, ვითარმედ: ჰასაკი აქუს, მაგას ჰკითხეთ.
24. მოუწოდეს კაცსა მას მეორედ, რომელი-იგი პირველ ბრმაჲ იყო, და ჰრქუეს მას: მიეც დიდებაჲ ღმერთსა; ჩუენ უწყით, რამეთუ კაცი ესე ცოდვილი არს.
25. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: ცოდვილი თუ არს, მე არა უწყი; ხოლო ერთი ესე უწყი, რამეთუ ბრმაჲ ვიყავ და აწ ვხედავ.
26. მერმე ჰრქუეს მას: რაჲ გიყო შენ? ვითარ აღგიხილნა თუალნი შენნი?
27. მიუგო და ჰრქუა მათ: გარქუ თქუენ პირველვე, და არა გესმა; რაჲსაღა გნებავს კუალად სმენად? ანუ თქუენცა გნებავს მოწაფე ყოფად მისა?
28. ხოლო იგინი აგინებდეს მას და ჰრქუეს: შენ ხარ მოწაფე მისი, ხოლო ჩუენ მოწაფენი მოსესნი ვართ.

29. უწყით, რამეთუ მოსეს ეტყოდა ღმერთი, სოლო ესე არა ვიცით, ვინაჲ არს.
30. მიუგო კაცმან მან და ჰრქუა მათ: საკჳრველი ესე არს, რამეთუ თქუენ არა იცით, ვინაჲ არს და მე აღმიხილნა თუალნი.
31. ესე უწყი, რამეთუ ცოდვილისაჲ არა ისმინის ღმერთმან, არამედ უკუეთუ ვინმე არს ღმრთის-მსახურ და ნებასა ღმრთისასა ჰყოფს, ამისი ისმინის ღმერთმან.
32. საუკუნითგან არასადა ისმა, ვითარმცა აღ-ეინმე-უხილნა თუალნი შობითგან ბრმისანი.
33. უკუეთუმცა არა იყო ესე ღმრთისაგან, ვერმცა რას შემძლებელ იყო საქმედ.
34. მიუგეს და ჰრქუეს მას: ცოდვათა შინა შობილ ხარ შენ ყოვლად და შენ გუასწავებ ჩუენ? და განჰაძეს იგი გარე.
35. ესმა იესუს, რამეთუ განაძეს იგი გარე, პოვა იგი და ჰრქუა მას? შენ გრწამსა ძე ღმრთისაჲ?
36. მან მიუგო და ჰრქუა: ვინ არს იგი, უფალო, რაჲთა მრწმენეს იგი?
37. ჰრქუა მას იესუ: იხილე იგი, და რომელი იტყჳს შენ თანა, იგი არს.
38. ხოლო მან ჰრქუა მას: მრწამს, უფალო, და თაყუანის-სცა მას.
39. და თქუა იესუ: სჯად სოფელსა ამას მოსრულ ვარ მე, რაჲთა, რომელნი არა ხედჳდეს, ხედჳდენ; და რომელნი ხედჳდეს, დაბრმენ.
40. ესმა ესე ფარისეველთაგანთა, რომელნი იყვნეს მის თანა, და ჰრქუეს: ნუუკუე ჩუენცა ბრმანი ვართა?
41. ჰრქუა მათ იესუ: უკუეთუმცა ბრმანი იყვენით, ცოდვაჲმცა არა გაქუნდა; ხოლო აწ იტყჳთ, ვითარმედ: ვხედავთ, და ცოდვანი თქუენნი ჰგიან.

10

1. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: რომელი არა შევალს კარით ეზოსა ცხოვართასა, არამედ სხჳთ კერძო შევალს, იგი მპარავი არს და ავაზაკი.
2. ხოლო რომელი შევალს კარით, მწყემსი არს ცხოვართაჲ.
3. ამას მეკარემანცა განუღის, და ცხოვართა ჴმისა მისისაჲ ისმინიან, და თჳსთა ცხოვართა უწესნ სახელით და განიყვანნის იგინი.
4. და ოდეს თჳსნი იგი ყოველნი განიყვანნის, წინაშე მათსა ვიდოდის, და შეუდგენ მას ცხოვარნი იგი, რამეთუ იციან ჴმაჲ მისი.
5. ხოლო უცხოსა არა შეუდგენ, არამედ იელტოდიან მისგან, რამეთუ არა იციან ჴმაჲ უცხოჲსაჲ მის.
6. ამას იგავსა ეტყოდა მათ იესუ, და მათ არა გულისჴმა-ყვეს,

რასა-იგი ეტყოდა მათ.
7. ხოლო იესუ მერმეცა ჰრქუა მათ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: მე ვარ კარი ცხოვართაჲ.
8. ყოველნი რომელნი ჩემსა პირველად მოვიდეს, მპარავნი იყვნეს და ავაზაკნი, არამედ არა ისმინეს მათი ცხოვართა.
9. მე ვარ კარი: ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხონდეს; შევიდეს და გამოვიდეს და საძოვარი პოოს.
10. ხოლო მპარავი იგი არა მოვიდის, არამედ რაჲთა იპაროს და დაკლას და წარწყმიდოს. ხოლო მე მოვედ, რაჲთა ცხორებაჲ აქუნდეს და უმეტესი აქუნდეს.
11. მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დაღჳის ცხოვართათჳს.
12. ხოლო სასყიდლით-დაღჳნებულმან და რომელი არა არნ მწყემსი, რომლისა არა არიედ ცხოვარნი თჳსნი, იხილის რაჲ მგელი მომავალი, დაუტევნის ცხოვარნი და ივლტინ, და მგელმან წარიტაცნის იგინი და განაბნინის.
13. რამეთუ სასყიდლით-დაღჳნებული არნ და არარაჲ სჭირნ მას ცხოვართათჳს.
14. მე ვარ მწყემსი კეთილი და ვიცნი ჩემნი იგი, და მიციან ჩემთა მათ.
15. ვითარცა მიცის მე მამამან, ვიცი მეცა მამაჲ და სულსა ჩემსა დაჳსდებ ცხოვართათჳს.
16. და სხუანიცა ცხოვარნი მიღგან, რომელნი არა არიან ამის ეზოჲსაგანნი, იგინიცა ჯერ-არიან მოყუანებად ჩემდა, და ჴმისა ჩემისაჲ ისმინონ და იყვნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს.
17. ამისთჳს უყუარ მე მამასა, რამეთუ მე დაჳსდებ სულსა ჩემსა, რაჲთა კუალად მოვიღო იგი.
18. არაჲინ მიმიღოს იგი ჩემგან, არამედ მე დაჳსდებ მას თავით ჩემით. ქელ-მეწიფების დადებად მისა და ქელ-მეწიფების კუალად მოღებად მისა. ესე მცნებაჲ მომიღებიეს მამისა ჩემისაგან.
19. და იყო განწჳალებაჲ კუალად ჰურიათა მათ შორის ამის სიტყჳსათჳს.
20. და იტყოდეს მრავალნი მათგანნი: ეშმაკეულ არს და ცბის. რაჲსა ისმენთ მისსა?
21. და სხუანი იტყოდეს: ესე სიტყუანი არა ეშმაკეულისანი არიან: ნუუკუე ეშმაკსა ქელ-ეწიფების ბრმისა თუალთა ახილვად?
22. და იყო მაშინ სატფურებაჲ იერუსალჵმს; ზამთარი იყო.
23. და იქცეოდა იესუ ტაძარსა მას შინა და სტოასა სოლომონისსა.
24. გარე მოადგეს მას ჰურიანი იგი და ეტყოდეს: ვიდრემდის სულთა ჩუენთა წარგუკდი? უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, გუთხარ ჩუენ განცხადებულად.

25. მიუგო იესუ და ჰრქუა: გარქუ თქუენ, და არა გრწამს; საქმეთა რომელთა ვიქმ სახელითა მამისა ჩემისაჲთა, ესენი წამებენ ჩემთჳს.
26. და თქუენ არა გრწამს ჩემი, რამეთუ არა ხართ ცხოვართა ჩემთაგანნი, ვითარცა გარქუ თქუენ.
27. ცხოვართა ჩემთა ჴმისა ჩემისაჲ ისმინიან, და მე ვიცნი იგინი, და მომდევდენ მე.
28. და მე ცხორებაჲ საუკუნოჲ მივსცე მათ, და არა წარწყმდენ უკუნისამდე, და არავინ მიმტაცნეს იგინი კელთაგან ჩემთა.
29. მამაჲ ჩემი, რომელმან მომცნა იგინი, უფროჲს ყოველთასა არს, და არავის კელ-ეწიფების მიტაცებად მათა კელთაგან მამისა ჩემისათა.
30. მე და მამაჲ ჩემი ერთ ვართ.
31. აქუნდა კუალად ქვები ჰურიათა მათ, რაჲთამცა დაჰკრიბეს მას.
32. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: მრავალი საქმე კეთილი გიჩუენე თქუენ მამისა ჩემისა მიერ; რომლისა მათგანისა საქმისათჳს ქვასა დამკრებთ მე?
33. მიუგეს ჰურიათა და ჰრქუეს მას: კეთილისა საქმისათჳს ქვასა არა დაგკრებთ შენ, არამედ გმობისათჳს, და რამეთუ კაცი ხარ შენ და გიყოფიეს თავი შენი ღმერთ.
34. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა წერილ არსა სჯულსა, ვითარმედ: მე ვთქუ: ღმერთნი სამე ხართ?
35. უკუეთუ იგინი თქუნა ღმრთად, რომელთა მიმართ იყო სიტყუაჲ ღმრთისაჲ, და ვერ კელ-ეწიფების დაკსნად წერილი.
36. და რომელი-იგი მამამან წმიდა-ყო და მოაველინა სოფლად, თქუენ იტყჳთ, ვითარმედ: გმობს, რამეთუ ეთქუ, ვითარმედ: ძე ღმრთისაჲ ვარი მე.
37. უკუეთუ არა ვიქმ საქმესა მამისა ჩემისასა, ნუ გრწამნ ჩემი.
38. უკუეთუ ვიქმ, დაღაცათუ ჩემი არა გრწამს, საქმენი გრწმენედ, რაჲთა სცნათ და უწყოდით, რამეთუ მამაჲ ჩემ თანა არს, და მე მამისა თანა.
39. ეძიებდეს კუალად შეპყრობად მას, და განვიდა კელთაგან მათთა.
40. და წიაღჴდა მიერ იორდანესა, აღგილსა მას, სადა ნათელ-სცემდა პირველად იოვანე, და დააღგრა მუნ.
41. და მრავალნი მოვიდოდეს მისსა და იტყოდეს, ვითარმედ: იოვანე სასწაული არარაჲ ქმნა; ხოლო ყოველი, რომელი თქუა იოვანე ამისთჳს, ჭეშმარიტი იყო.
42. და მრავალთა პრწმენა მისი მუნ.

11

1. იყო ვინმე უძლური ლაზარე ბეთანიაჲთ, დაბისაგან მარიამისა და მართაჲსა, დისა მისისა.
2. ესე იყო მარიამ, რომელმან სცხო ნელსაცხებელი უფალსა და თმითა თჳსითა წარჰკოცნა ფერკნი მისნი, რომლისაჲ ძმაჲ მისი ლაზარე სნეულ იყო.
3. მიუელინეს იესუს დათა მისთა და ჰრქუეს: უფალო, აჰა რომელი გიყუარს, სნეულ არს.
4. სოლო ვითარცა ესმა იესუს, თქუა: ესე სნეულებაჲ არა არს სასიკუდინე, არამედ დიდებისათჳს ღმრთისა, რაჲთა იდიდოს ძე ღმრთისაჲ მისგან.
5. უყუარდა იესუს მართა და დაჲ მისი და ლაზარე.
6. ვითარცა ესმა, რამეთუ სნეულ არს, მაშინ და-ღა-აღგრა ადგილსა მას, სადაცა იყო, ორ დღე.
7. მერმე ამისა შემდგომად ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: გუალეთ, წარვიდეთ კუალად ჰურიასტანად.
8. ჰრქუეს მას მოწაფეთა: მოძღუარ, აწღა გეძიებდეს შენ ჰურიანი ქვისა დაკრებად, და კუალად მუნვე მიხუალა?
9. ჰრქუა მათ იესუ: არა ათორმეტნი ჟამნი არიანა დღისანი? უკუეთუ ვინმე ვიდოდის დღისი, არა წარსცეს ფერკი, რამეთუ ნათელსა ამის სოფლისასა სედავს.
10. და უკუეთუ ვინმე ვიდოდის ღამესა შინა, უბრკუმეს მას, რამეთუ ნათელი არა არს მას შინა.
11. ესე თქუა და ამისა შემდგომად ჰრქუა მათ: ლაზარე, მეგობარმან ჩემმან, დაიძინა, არამედ მე მივიდე და განვაღჳძო იგი.
12. ჰრქუეს მას მოწაფეთა: უფალო, უკუეთუ დაიძინა, ცხონდეს.
13. ხოლო იესუ ჰრქუა სიკუდილისა მისისათჳს, და მათ ეგონა, ვითარმედ მძინარებისათჳს ძილისა თქუა.
14. მაშინ ჰრქუა მათ იესუ განცხადებულად: ლაზარე მოკუდა.
15. და მე მისარის თქუენთჳს, რაჲთა გრწმენეს ჩემი, რამეთუ არა ვიყავ მუნ. არამედ მოგუალეთ, მივიდეთ მისა.
16. ჰრქუა უკუე თომა, რომელსა ერქუა მარჩბივ, მისთანათა მათ მოწაფეთა: მოგუალეთ, მივიდეთ, რაჲთა მოვსწყდეთ ჩუენცა მის თანა.
17. და ვითარცა მოვიდა იესუ ბეთანიად, პოვა იგი, რამეთუ ოთხი დღე აქუნდა საფლავსა შინა.
18. ხოლო იყო ბეთანიაჲ მახლობელ იერუსალჵმსა ვითარ ათხუთმეტ ოდენ უტევან.
19. და მრავალნი ჰურიათაგანნი მოსრულ იყვნეს მართაჲსა და მარიამისა, რაჲთა ნუგეშინის-სცენ მათ ძმისა მათისათჳს.

20. ხოლო მართას ვითარცა ესმა, რამეთუ იესუ მოვალს, მიეგებვოდა მას, ხოლო მარიამ სახლსა შინა ჯდა.
21. ჰრქუა მართა იესუს: უფალო, უკუეთუმცა აქა იყავე, არამცა მომკუდარ იყო ძმაჲ იგი ჩემი.
22. არამედ და აწცა უწყი, ვითარმედ: რაჲცა-იგი სთხოო ღმერთსა, მოგცეს შენ ღმერთმან.
23. ჰრქუა მას იესუ: აღდგეს ძმაჲ შენი.
24. ჰრქუა მას მართა: უწყი, რამეთუ აღდგეს აღდგომასა მას უკუანაჲსკნელსა დღესა.
25. ჰრქუა მას იესუ: მე ვარ აღდგომაჲ და ცხორებაჲ. რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მო-ღათუ-კუდეს, ცხოვნდესვე.
26. და ყოველი რომელი ცოცხალ არს და ჰრწმენეს ჩემი, არა მოკუდეს იგი უკუნისამდე. გრწამსა ესე?
27. ჰრქუა მას მართა: ჰე, უფალო, მრწამს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ, მომავალი სოფლად.
28. და ვითარცა ესე თქუა, წარვიდა და მოუწოდა მარიამს, დასა თჳსსა, იდუმალ და ჰრქუა მას: მოძღუარი მოსრულ არს და გიწჳსს შენ.
29. ხოლო მას ვითარცა ესმა, აღდგა აღრე და მივიდოდა მისა.
30. რამეთუ არღა მოსრულ იყო იესუ დაბად, არამედ მუნღა იყო ადგილსა მას, სადაცა მიეგებოდა მას მართა.
31. ხოლო ჰურიანი იგი, რომელნი იყვნეს მის თანა სახლსა შინა და ნუგეშინის-სცემდეს მათ, ვითარცა იხილეს მარიამ, რამეთუ აღრე აღდგა და გამოვიდა, მისდევდეს მას, ჰგონებდეს, ვითარმედ საფლავად მივალს ტირილად მისა.
32. ხოლო მარიამ ვითარცა მოვიდა, სადა-იგი იყო იესუ, ვითარცა იხილა იგი, დავარდა ფერჴთა მისთა თანა და ჰრქუა მას: უფალო, უკუეთუმცა აქა ყოფილ იყავე, არამცა მომკუდარ იყო ძმაჲ იგი ჩემი.
33. ხოლო იესუ ვითარცა იხილა იგი, რამეთუ ტიროდა, და მის თანა მოსრულნი იგი ჰურიანიცა ტიროდეს, შეძრწუნდა სულითა, ვითარცა რისხვით,
34. და ჰრქუა მათ: სადა დასდევით იგი? ჰრქუეს მას: მოვედ და იხილე.
35. და ცრემლოოდა იესუცა.
36. იტყოდეს უკუე ჰურიანი იგი: აჰა ვითარ სამე უყუარდა იგი!
37. ვიეთნიმე მათგანნი იტყოდეს: არამცა ეძლო ამას, რომელმან აღუხილნა თუალნი ბრმასა, ყოფად რაჲმე, რაჲთამცა ესეცა არა მოკუდა?
38. ხოლო იესუ კუალად, ვითარცა განრისხებული თავსა შორის თჳსსა, მოვიდა საფლავსა

მას. ხოლო იყო ქუაბი, და ლოდი ზედა ედვა მას.
39. ჰრქუა მათ იესუ: აღიღეთ ლოდი ეგე. ჰრქუა მას მართა, დამან მის მკუდრისამან: უფალო, ყროდისღა, რამეთუ მეოთხე დღე არს.
40. ჰრქუა მას იესუ: არა გარქუ შენ, ვითარმედ: უკუეთუ გრწმენეს, იხილო დიდებაჲ ღმრთისაჲ?
41. აღიღეს უკუე ლოდი იგი, საცა მდებარე იყო მკუდარი იგი. ხოლო იესუ აღიხილნა თუალნი ზეცად და თქუა: მამაო, გმადლობ შენ, რამეთუ ისმინე ჩემი.
42. და მე ვიცი, რამეთუ მარადის ისმენ ჩემსა, არამედ ერისა ამისთჳს, რომელი გარე მომადგს მე, ვთქუ, რაჲთა ჰრწმენეს, რამეთუ შენ მომავლინე მე.
43. და ესე ვითარცა თქუა, ჴმითა დიდითა ღაღატ-ყო: ლაზარე, გამოეედ გარე!
44. და გამოვიდა მკუდარი იგი, შეკრული ქელით და ფერკით სახუევლითა, და პირი მისი დაბურეილ იყო სუდარითა. ჰრქუა მათ იესუ: განჰკსენით ეგე და უტეევეთ, ვიდოდის.
45. მრავალთა უკუე ჰურიათაგანთა, რომელნი მოსრულ იყვნეს მარიამისა და მართაჲსა, იხილეს, რომელი-იგი ქმნა იესუ, და ჰრწმენა მისა მიმართ.
46. ხოლო რომელნიმე მათგანნი წარვიდეს და უთხრეს ფარისეველთა მათ, რაჲ-იგი ქმნა იესუ.
47. და შეკრბეს მღდელთ-მოძღუართა მათ და ფარისეველთა კრებული და იტყოდეს: რაჲ-მე ვყოთ, რამეთუ კაცი ესე მრავალსა სასწაულსა იქმს?
48. უკუეთუ დაუტეოთ იგი ესრეთ, ყოველთა ჰრწმენეს მისა მიმართ, და მოვიდენ ჰრომნი და მიგჳღონ ჩუენ ადგილიცა ჩუენი და ნათესავიცა.
49. ერთმან ვინმე მათგანმან, კაიაფა, რომელი იყო მღდელთ-მოძღუარი მის წელიწადისაჲ, ჰრქუა მათ: თქუენ არა იცით არცა ერთი,
50. არცა განგიზრახავს, რამეთუ უმჯობეს არს ჩუენდა, რაჲთა ერთი კაცი მოკუდეს ერისათჳს, და არა ყოველი ნათესავი წარწყმდეს.
51. ესე თავით თჳსით არა თქუა, არამედ მღდელთ-მოძღუარი იყო მის წელიწადისაჲ და წინაწარმეტყუელა, რამეთუ ეგულებოდა იესუს მოსიკუდიდ ნათესავთათჳს.
52. და არა ხოლო ნათესავთათჳს, არამედ რაჲთა შეილნიცა ღმრთისანი განბნეულნი შეკრიბნეს ერთად.
53. მიერ ღიითგან შეიზრახნეს ჰურიანი, რაჲთა მოკლან იგი.
54. ხოლო იესუ არღარა განცხადებულად ვიდოდა ჰურიათა შორის, არამედ წარვიდა მიერ

სოფელსა, მასლობელად უდაბნოსა, ქალაქსა, რომელსა ჰრქჳან ეფრაიმ, და მუნ დააღგრა მოწუითურთ თჳსით.
55. ხოლო იყო მასლობელ პასექი იგი ჰურიათაჲ, და აღვიდეს მრავალნი იერუსალჱმდ სოფლებისაგან უწინარეს მის პასექისა, რაჲთა განიწმიდნენ თავნი თჳსნი.
56. ხოლო ჰურიანი ეძიებდეს იესუს და იტყოდეს ურთიერთას, დგეს რაჲ ტაძარსა შინა: ვითარ ჰგონებთ თქუენ, არა-მე მოვიდესა დღესასწაულსა ამას?
57. რამეთუ მიეცა მცნებაჲ მღდელთ-მოძღუართა მათ და ფარისეველთა, რაჲთა, უკუეთუ ვინმე უწყოდის, სადა არს, აუწყოს მათ, რაჲთა შეიპყრან იგი.

12

1. ხოლო იესუ უწინარეს ექუსისა დღისა ვნებისა მის მოვიდა ბეთანიად, სადა-იგი იყო ლაზარე მომკუდარ, რომელი-იგი აღადგინა მკუდრეთით.
2. და მოუმზადეს მას მუნ სერი, და მართა ჰმსახურებდა მას, ხოლო ლაზარე იყო ერთი მეინაკეთაგანი მის თანა.
3. ხოლო მარიამ მოიღო ლიტრაჲ ერთი ნელსაცხებელი ნარდისა სარწმუნოჲსაჲ მრავალ-სასყიდლისაჲ და სცხო ფერჴთა იესუჲსთა და თმითა თჳსითა წარჰკოცნა ფერკნი მისნი, და სახლი იგი ყოველი აღიესო სულნელებითა მის ნელსაცხებელისაჲთა.
4. თქუა ვინმე ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან, იუდა სიმონისმან, ისკარიოტელმან, რომელსა ეგულებოდა მიცემაჲ მისი:
5. რაჲსათჳს ნელსაცხებელი ესე არა განისყიდა სამასის დრაჰკნის და მიეცა გლახაკთა?
6. ხოლო ესე თქუა, არა თუ გლახაკთაჲ რაჲმე ზრუნვაჲ ედვა გულსა მისსა, არამედ რამეთუ მპარაჲი იყო და გუაღრუცი იგი მას აქუნდა და შთასადებელი იგი მას ჰკიდავნ.
7. და თქუა იესუ: უტევე მაგას, დღედ დაფლვისა ჩემისა დამიმარსა ეგე.
8. რამეთუ გლახაკნი მარადის თქუენ თანა არიან, ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ვარ.
9. აგრძნა უკუე ყოველმან ერმან ჰურიათამან, რამეთუ იესუ მუნ არს; მოვიდეს არა ხოლო თუ იესუჲსთჳს, არამედ რაჲთა ლაზარეცა იხილონ, რომელი--იგი აღადგინა მკუდრეთით.
10. ხოლო ზრახვა-ყვეს მღდელთ--მოძღუართა მათ, რაჲთა ლაზარეცა მოკლან.
11. რამეთუ მრავალნი ჰურიათაგანნი მისთჳს მოვიდოდეს და ირწმუნებდეს იესუჲსსა.
12. ხვალისაგან ერი მრავალი რომელ-იგი მოსრულ იყვნეს დღესასწაულსა მას, რამეთუ ეს-

მა,ვითარმედ იესუ მოვალს იერუსალჵმდ,
13. მოიღეს რტოები დანაკისკუდთაგან და განვიდეს მიგებებად მისა, ღაღადებდეს და იტყოდეს: ოსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა, მეუფე ისრაჵლისაჲ!
14. და პოვა იესუ ვირი და დაჯდა მას ზედა, ვითარცა წერილ არს:
15. ნუ გეშინინ, ასულო სიონისაო! აჰა ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა და ზე ვის იგი კიცუსა ვირისასა.
16. ხოლო ესე არა ეცნა მოწაფეთა მისთა პირველად,არამედ ოდეს იდიდა იესუ, მაშინ მოეჯსენა, რამეთუ ესრეთ წერილ იყო მისთჯს, და ესე უყვეს მას.
17. და ეწამებოდა მას ერი იგი, რომელი იყო მის თანა, რაჟამს ლაზარეს უწოდა საფლავით და აღაღგინა იგი მკუდრეთით.
18. ამისთჯსცა მიეგებეოდა მას ერი იგი,რამეთუ ესმინა,ვითარმედ ესე სასწაული ქმნა იესუ.
19. ხოლო ფარისეველთა მათ თქუეს ურთიერთას: ხედავთა, რამეთუ არა ირგებთ არარას? აჰა ესერა სოფელი ყოველი მივიდა შედგომად მისა.
20. იყვნეს ვინმე წარმართთაგანნიცა აღმოსრულთა მათგანნი, რაჲთა თაყუანის-სცენ დღესასწაულსა მას.
21. ესენი მოვიდეს ფილიპესა, რომელი-იგი იყო ბეთსაიდაჲთ გალილეაჲსაჲთ, და ეტყოდეს მას: უფალო, გუნებავს იესუჲსი სილვაჲ.
22. მივიდა ფილიპე და ჰრქუა ანდრეას; და მოვიდეს ანდრეა და ფილიპე და ჰრქუეს იესუს.
23. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: მოიწია ჟამი, რაჲთა იდიდოს ძე კაცისაჲ.
24. ამენ,ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ არა მარცუალი იფქლისაჲ დავარდეს ქუეყანასა და მოკუდეს, იგი მარტოჲ ხოლო ეგოს; ხოლო უკუეთუ მოკუდეს, მრავალი ნაყოფი გამოიღოს.
25. რომელსა უყუარდეს სული თჯსი, წარიწყმიდოს იგი; და რომელსა სძულდეს სული თჯსი ამას სოფელსა, ცხორებად საუკუნოდ დაიმარხოს იგი.
26. უკუეთუ ვინმე მე მმსახურებდეს, მე შემომიდეგინ; და სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახური ჩემი იყოს. და უკუეთუ ვინმე მე მმსახურებდეს, პატივ-სცეს მას მამამან ჩემმან.
27. აწ სული ჩემი შეძრწუნებულ არს და რაჲ-მე ვთქუა? მამაო, მიჰსენ მე ჟამისა ამისგან. არამედ ამისთჯს მოვედ ჟამსა ამას.
28. მამაო, ადიდე ძე შენი. მოიწია მისა ჴმაჲ ზეცით: და ვადიდე და კუალადცა ვადიდო.
29. ხოლო ერი იგი, რომელი დგა და ესმა, იტყოდეს, ვითარმედ: ქუსილი იყო; ხოლო სსუა-

ნი იტყოდეს: ანგელოზი ეტყოდა მას.
30. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა ჩემთჳს იყო კმაჲ ესე, არამედ თქუენთჳს.
31. აწ არს სასჯელი ამის სოფლისაჲ, აწ მთავარი იგი ამის სოფლისაჲ განვარდეს გარე.
32. და მე ოდეს ავმაღლდე ქუეყანით, ყოველნი მოვიზიდნე ჩემდა.
33. ხოლო ამას რაჲ იტყოდა, აუწყებდა, რომლითა სიკუდილითა ეგულებოდა სიკუდილად.
34. მიუგო მას ერმან მან და ჰრქუა: ჩუენ გუასმიეს სჯულისაგან, ვითარმედ ქრისტე უკუნისამდე ეგოს. და შენ ვითარ იტყჳ, ვითარმედ: ჯერ-არს ამაღლებაჲ ძისა კაცისაჲ? ვინ არს ესე ძე კაცისაჲ?
35. ჰრქუა მათ იესუ: მცირედ ჟამ ნათელი თქუენ თანა არს. ვიდოდეთ, ვიდრე ნათელი გაქუსღა, რაჲთა არა გეწიოს თქუენ ბნელი, რამეთუ რომელი ვალნ ბნელსა, არა უწყინ, ვიდრე ვალნ.
36. ვიდრე ნათელი გაქუს, გრწმენინ ნათელი, რაჲთა ძე ნათლის იყვნეთ. ამას ეტყოდა იესუ და წარვიდა და დაეფარა მათგან.
37. და ესოდენნი სასწაულნი ქმნნა წინაშე მათსა, და არა ჰრწმენა მისა მიმართ.
38. რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყჳს: უფალო, ვის-მე პრწმენა სასმენელი ჩუენი? და მკლავი უფლისაჲ ვის გამოეცხადა?
39. ამისთჳს ვერ ჰრწმენა, რამეთუ მერმეცა თქუა ესაია:
40. დაუბრმეს მათ თუალნი მათნი, რაჲთა ვერ იხილონ თუალითა, და დაუსულბეს გულნი მათნი, რაჲთა არა გულისჴმა-ყონ გულითა და მოიქცენ, და მე განვკურნნე იგინი.
41. ესე თქუა ესაია, ოდეს-იგი იხილა დიდებაჲ მისი და იტყოდა მისთჳს.
42. ხოლო მთავართაგანთაცა მრავალთა პრწმენა მისა მიმართ, არამედ ფარისეველთათჳს ვერ აღიარეს, რაჲთა არა კრებულისაგან განასხნენ.
43. რამეთუ შეიყუარეს დიდებაჲ კაცთაჲ უფროჲს, ვიდრე დიდებაჲ ღმრთისაჲ.
44. ხოლო იესუ ღაღატ-ყო და თქუა: რომელსა ეჰრწმენე მე, არა მე ვჰრწმენე, არამედ მომაველინებელი ჩემი.
45. და რომელმან მიხილა მე, იხილა მომაველინებელი ჩემი.
46. მე ნათელი სოფლად მოვიელინე, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ბნელსა შინა არა დააღგრეს.
47. და რომელმან ისმინნეს სიტყუანი ჩემნი და არა ჰრწმენენ, მე არა ესაჯო იგი, რამეთუ არა მოვედ მე სჯად სოფლისა, არა-

მედ რაჲთა ვაცხოვნო სოფელი.
48. სოლო რომელმან შეურაცხ-
-მყოს და არა შეიწყნარნეს სი-
ტყუანი ჩემნი, აქუს მსაჯული
თჳსი: სიტყუასა რომელსა ვიტ-
ყოღე, მან საჯოს იგი უკუანაჲს-
კნელსა ღღესა.
49. რამეთუ მე თავითი თჳსით
არარას ვიტყოღე, არამედ რო-
მელმან მომაჳლინა მე, მამამან,
მან მომცა მე მცნებაჲ, რაჲ
ეთქუა და რასა ვიტყოდი.
50. და უწყი, რამეთუ მცნებაჲ
მისი ცხორება საუკუნო არს. და
რომელსა ვიტყჳ მე, ვითარცა
მამცნო მე მამამან, ეგრეცა
ვიტყჳ.

13

1. და უწინარეს ღღესასწაუ-
ლისა მის პასექისა იცოდა იესუ,
რამეთუ მოიწია ჟამი მისი, რაჲ-
თა განვიდეს ამიერ სოფლით
და მივიდეს მამისა, რამეთუ შე-
იყუარნა თჳსნი იგი ამას სო-
ფელსა შინა და სრულიად შეი-
ყუარნა იგინი.
2. და ვითარცა სერობაჲ იგი
იყო, და ეშმაკი შესრულ იყო
გულსა იუდაჲსსა, სიმონ ისკა-
რიოტელისასა, რაჲთა განსცეს
იგი.
3. იცოდა იესუ, რამეთუ ყოვე-
ლივე მოსცა მას მამამან ჴელ-
თა მისთა, და რამეთუ ღმრთი-
საგან გამოვიდა და ღმრთისა
მივალს.
4. აღდგა სერობისა მისგან და
დადვა სამოსელი თჳსი და მოი-
ღო არდაგი და მოირტყა იგი.
5. და მოიღო წყალი და შთაას-
სა საბანელსა მას და იწყო ბა-
ნად ფერჴთა მოწაფეთა თჳსთა
და წარჰკოცდა არდაგითა მით,
რომელი მოერტყა.
6. და მოვიდა სიმონ-პეტრესა.
ჰრქუა მას პეტრე: უფალო, შენ
დამბანა ფერჴთა ჩემთა?
7. მიუგო იესუ და ჰრქუა მას:
რომელსა მე ვიქმ, არა იცი აწ,
სოლო სცნა ამისა შემდგომად.
8. ჰრქუა მას პეტრე: არა დამ-
ბანნე ფერჴნი ჩემნი უკუნისამ-
დე. ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ
არა დაგბანნე შენ ფერჴნი, არა
გაქუნდეს ნაწილი ჩემ თანა.
9. ჰრქუა მას სიმონ-პეტრე: უფა-
ლო, ნუ სოლო ფერჴნი ჩემნი,
არამედ ჴელნიცა და თავიცა ჩე-
მი.
10. ჰრქუა მას იესუ: განბანილსა
მას არა უკმს, გარნა ფერჴნი
ხოლო დაბანად, რამეთუ ყოვ-
ლად წმიდა არს იგი, და თქუენ-
ცა წმიდა სართ, არამედ არა
ყოველნი.
11. რამეთუ იცოდა იესუ მიმცე-
მელი იგი. ამისთჳს თქუა, ვი-
თარმედ: არა ყოველნი წმიდა
ხართ.
12. და ოდეს დაჰბანნა ფერჴნი
მათნი, მოიღო სამოსელი თჳსი
და ინაჯ-იდგა და მერმე ჰრქუა
მათ: უწყითა, რაჲ-ესე გიყავ

თქუენ?
13. თქუენ მსაღით მე: მოძღუარო და უფალო, და კეთილად სთქუთ, რამეთუ ვარ.
14. უკუეთუ მე დაგბანენ ფერჴნი, უფალმან და მოძღუარმან, და თქუენცა თანა-გაც ურთიერთას დაბანად ფერჴთა.
15. რამეთუ სახე მიგეც თქუენ, რაჲთა, ვითარცა-ესე მე გიყავ თქუენ, ეგრეთვე თქუენცა ჰყოფდეთ.
16. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: არა არს მონაჲ უფროჲს უფლისა თჳსისა, არცა მოციქული უფროჲს მომავლინებელისა თჳსისა.
17. ესე თუ სცნათ, ნეტარ ხართ, უკუეთუ ჰყოფდეთ ამას.
18. არა თქუენ ყოველთათჳს ვიტყჳ, რამეთუ მე გიცნი, რომელნი გამოგირჩიენ, არამედ რაჲთა წერილნი იგი აღესრულნენ: რომელი ჭამდა ჩემ თანა პურსა, აღიღო ჩემ ზედა ბრჭალი მისი.
19. ამიერითგან გეტყჳ თქუენ ვიდრე ყოფაღმდე, რაჲთა, რაჟამს იყოს, გრწმენეს თქუენ, რამეთუ მე ვარ.
20. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ ვინმე შეიწყნაროს, რომელი მე მივავლინო, მე შემიწყნარებს; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნარებს მომავლინებელსა ჩემსა.
21. ესე თქუა იესუ და შეძრწუნდა სულითა და წამა და თქუა: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, ვითარმეღ: ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე.
22. ხედვიდეს უკუე ურთიერთას მოწაფენი და არა იცოდეს, ვისთჳს იტყოდა.
23. და იყო ერთი მოწაფეთა მისთაგანი მიყრდნობილ წიაღთა თანა იესუჲსთა, რომელი-იგი უყუარდა იესუს.
24. წამ-უყენა მას სიმონ-პეტრე, რაჲთა ჰკითხოს, ვინ არს, რომლისათჳს იტყჳს?
25. ხოლო იგი მიეყრდნა მკერდსა იესუჲსსა და პრქუა მას: უფალო, ვინ არს?
26. მიუგო იესუ და პრქუა: რომელსა მე დაეაწო პური და მივსცე, იგი არს. და დააწო პური იგი და მისცა იუდას სიმონისსა, ისკარიოტელსა.
27. და შემდგომად მიღებისა იუდაჲსა პურისა მის, შევიდა მისა ეშმაკი. და პრქუა მას იესუ: რომელი გეგულების საქმედ, ყავ აღრე.
28. ესე უკუე არავინ ცნა ინაკით-მჯდომარეთაგანმან იესუჲს თანა, რაჲსათჳს პრქუა მას.
29. რამეთუ რომელნიმე ჰგონებდეს: ვინაჲთგან გუაღრუცი იგი იუდას აქუნდა, ვითარმეღ პრქუა მას იესუ: იყიდე, რაჲ-იგი გჯჳმდეს ღღესასწაულსა ამას, გჳნა თუ მიცემად რაჲმე გლახაკთა.

30. სოლო მან მიიღო პური იგი და მეყსეულად განვიდა. და იყო ღამე.
31. და ვითარცა განვიდა იუდა, თქუა იესუ: აწ იდიდა ძე კაცისაჲ, და ღმერთიცა იდიდა მის თანა.
32. უკუეთუ ღმერთი იდიდა მის თანა, ღმერთმანცა ადიდოს იგი თავისა თჳსისა თანა და მეყსეულად ადიდოს იგი.
33. შვილნო, მცირედ ჟამ თქუენ თანა ვარ. და მეძიებდეთ მე და, ვითარცა-იგი ვარქუ ჰურიათა, ვითარმედ: ვიდრე-იგი მე მივალ, თქუენ ვერ კელ-გეწიფების მოსლვად, და აწ თქუენ გეტყჳ.
34. მცნებასა ახალსა მიგცემ თქუენ, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ, რაჲთა თქუენცა იყუარებოდით ურთიერთას.
35. ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას.
36. ჰრქუა მას სიმონ-პეტრე: უფალო, ვიდრე ხუალ? ჰრქუა მას იესუ: ვიდრე-იგი მე მივალ, შენ ვერ ძალ-გიც მოსლვად აწ, სოლო მერმე მომდევდე მე.
37. ჰრქუა მას პეტრე: უფალო, რაჲსა ვერ ძალ-მიც მიდევნებად შენდა? აწ სული ჩემი შენთჳს დაჲდვა.
38. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: სული შენი ჩემთჳს დასდვაა? ამენ, ამენ გეტყჳ შენ: არღარა ეყიელოს ქათამსა, ვიდრემდის უვარ-მყო მე სამ-გზის.

14

1. ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი, გრწმენით ღმრთისაჲ და გრწმენით ჩემდა მომართ.
2. სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიან. უკუეთუ არა, გარქუმცა თქუენ, ვითარმედ: მე წარვიდე და განგიმზადო თქუენ ადგილი.
3. და უკუეთუ წარვიდე და განგიმზადო თქუენ ადგილი, კუალად მოვიდე და წარგიყვანნე თქუენ თავისა ჩემისა თანა, რაჲთა, სადაცა მე ვიყო, მუნცა თქუენ იყვნეთ.
4. და ვიდრე-იგი მე მივალ, უწყით და გზაჲცა იგი იცით.
5. ჰრქუა მას თომა: უფალო, არა ვიცით, ვიდრე ხუალ, და ვითარ შემძლებელ ვართ გზისა მის ცნობად?
6. ჰრქუა მას იესუ: მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭეშმარიტებაჲ და ცხორებაჲ; არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ.
7. უკუეთუმცა მიცოდეთ მე, მამაჲცამცა ჩემი იცოდეთ. ამიერითგან იცით იგი და გისილავს იგი.
8. ჰრქუა მას ფილიპე: უფალო, მიჩუენე ჩუენ მამაჲ შენი, და კმა არს ჩუენდა.
9. ჰრქუა მას იესუ: ესოდენ ჟამ

თქუენ თანა ვარ, და არა მიცი მე, ფილიპე? რომელმან მიხილა მე, იხილა მამაჲ ჩემი, და შენ ეითარ მეტყჳ მე: მიჩუენე ჩუენ მამაჲ შენი?
10. არა გრწამსა, რამეთუ მე მამისა თანა ვარ, და მამაჲ ჩემ თანა არს? სიტყუათა, რომელთა გეტყჳ თქუენ, თავით ჩემით არა გეტყჳ, არამედ მამაჲ ჩემი რომელი ჩემ თანა არს, იგი იქმს საქმესა.
11. გრწამსა, რამეთუ მე მამისა თანა ვარ, და მამაჲ ჩემ თანა არს? უკუეთუ არა, საქმეთა ამათგან გრწმენინ ჩემი.
12. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: რომელსა ჰრწმენეს ჩემი, საქმესა რომელსა მე ვიქმ, მანცა ქმნეს და უფროჲსიღა ამისსა ქმნეს, რამეთუ მე მამისა მივალ.
13. და რაჲცა ითხოვოთ სახელითა ჩემითა, იგი ვყო, რაჲთა იდიდოს მამაჲ ძისა თანა.
14. და უკუეთუ რაოდენი ითხოვოთ სახელითა ჩემითა, მე ვყო.
15. უკუეთუ გიყუარ მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხენით.
16. და მე ეჰკითხო მამასა ჩემსა, და სხუაჲ ნუგეშინის-მცემელი მოგიელინოს თქუენ, რაჲთა თქუენ თანა დააღგრეს უკუნისამდე.
17. სული იგი ჭეშმარიტებისაჲ, რომელი სოფელსა ვერ კელ-ეწიფების მიღებად, რამეთუ არა ჰხედავს მას, არცა იცის იგი, ხოლო თქუენ იცით იგი, რამეთუ თქუენ თანა არს და თქუენ თანა იყოს.
18. არა დაგიტევნე თქუენ ობლად, მოვიდე თქუენდა.
19. მცირედღა, და სოფელი ესე არა მხედვიდეს, ხოლო თქუენ მხედვიდეთ მე, რამეთუ მე ცხოველ ვარ, და თქუენცა ცხოველ იყვნეთ.
20. მას დღესა შინა სცნათ თქუენ, რამეთუ მე მამისა ჩემისა თანა, და თქუენ ჩემ თანა, და მე თქუენ შორის.
21. რომელსა აქუნდეს მცნებანი ჩემნი და დაიმარხნეს იგინი, იგი არს, რომელსა უყუარ მე. ხოლო რომელსა უყუარდე მე, საყუარელ იყოს მამისა ჩემისა მიერ, და მეცა შევიყუარო იგი და გამოუცხადო მას თავი ჩემი.
22. ჰრქუა მას იუდა, არა ისკარიოტელმან: უფალო, რაჲ არს, რამეთუ ჩუენ გამოგუცხადებ თავსა შენსა და არა სოფელსა?
23. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამამანცა ჩემმან შეიყუაროს იგი, და მოვიდეთ მისა და მის თანა დავადგრეთ.
24. ხოლო რომელსა არა უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი არა დაიმარხნეს; და სიტყუანი, რომელ გესმიან, არა ჩემნი არიან, არამედ მომავლინებელისა ჩემისა მამისანი.

25. ამას გეტყოდე თქუენ, რამეთუ თქუენ თანა ვიყავ.
26. ხოლო ნუგეშინის-მცემელი იგი სული წმიდაჲ რომელი მოაველინოს სახელითა ჩემითა მამამან, მან გასწაოს თქუენ ყოველი და მოგაკსენოს თქუენ ყოველი, რაოდენი გარქუ თქუენ.
27. მშუდობასა დაგიტევებ თქუენ, მშუდობასა ჩემსა მიგცემ თქუენ; არა ვითარ სოფელმან მისცის, მიგცემ თქუენ. ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი, ნუცა ეშინინ.
28. გესმა, რამეთუ გარქუ თქუენ: წარვალ და მოვიდე თქუენდა. უკუეთუმცა გიყუარდი მე, გიხაროდამცა, რამეთუ მივალ მამისა ჩემისა, რამეთუ მამაჲ ჩემი უფროჲს ჩემსა არს.
29. და აწ გარქუ თქუენ, ვიდრე ყოუადმდე, რაჲთა, რაჟამს იყოს, გრწმენეს.
30. არღარა მრავალსა ვიტყოდი თქუენ თანა, რამეთუ მოვალს მთავარი იგი ამის სოფლისაჲ და ჩემ თანა პოოს არარაჲ.
31. არამედ რაჲთა ცნას სოფელმან, რამეთუ მიყუარს მე მამაჲ, და ვითარცა მამცნო მე მამამან, ეგრეცა ეყო. აღდეგით და წარვიდეთ ამიერ.

15

1. მე ვარ ვენაკი ჭეშმარიტი, და მამაჲ ჩემი მოქმედი არს.
2. ყოველმან რტომან რომელი ჩემ თანა არს და არა მოიღოს ნაყოფი, აღიღოს იგი; და ყოველმან რომელმან მოიღოს ნაყოფი, განწმიდოს იგი, რაჲთა უფროჲსი ნაყოფი გამოიღოს.
3. ხოლო თქუენ აწვე წმიდა ხართ სიტყჳთა მით, რომელსა გეტყოდე თქუენ.
4. დაადგერით თქუენ ჩემ თანა, და მე თქუენ თანა: ვითარცა-იგი ნასხლევსა ვერ კელ-ეწიფების ნაყოფისა გამოღებად თავით თჳსით, უკუეთუ არა ეგოს ვენაკსა მედა, ეგრეთვე არცა თქუენ, უკუეთუ არა დაადგრეთ ჩემ თანა.
5. მე ვარ ვენაკი, და თქუენ რტონი. რომელი დაადგრეს ჩემ თანა, და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი, რამეთუ თჳნიერ ჩემსა არარაჲ ძალ-გიც ყოუად არცა ერთი.
6. უკუეთუ ვინმე არა დაადგრეს ჩემ თანა, განვარდეს გარე, ვითარცა ნასხლევი, და განჰმეს, და შეკრიბონ იგი და ცეცხლსა დაასხან, და დაიწუას.
7. უკუეთუ დაადგრეთ ჩემ თანა, და სიტყუანი ჩემნი თქუენ თანა ეგნენ, რაჲცა გინდეს, ითხოვეთ, და გეყოს თქუენ.
8. ამით იდიდოს მამაჲ ჩემი, რაჲთა ნაყოფი მრავალი გამოიღოთ და იყვნეთ ჩემდა მოწაფე.
9. ვითარცა შემიყუარა მე მამამან, მეცა შეგიყუარენ თქუენ,

დაადგერით სიყუარულსა ჩემსა ზედა.
10. უკუეთუ მცნებანი ჩემნი დაიმარხნეთ, ჰგიეთ სიყუარულსა ზედა ჩემსა, ვითარცა მე მცნებანი მამისა ჩემისანი დავიმარხენ და ვჰგიე სიყუარულსა ზედა მისსა.
11. ამას გეტყოდე თქუენ, რაჲთა სისარული ჩემი თქუენ თანა ეგოს, და სისარული თქუენი სავსებით იყოს.
12. რამეთუ ესე არს მცნებაჲ ჩემი, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ.
13. უფროჲსი ამისსა სიყუარული არავის აქუს, რაჲთა სული თჳსი დადვას მეგობართა თჳსთათჳს.
14. თქუენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკუეთუ ჰყოთ, რომელსა-ესე გამცნებ თქუენ.
15. არღარა გეტყჳ თქუენ მონაჲ, რამეთუ მონამან არა იცინ, რასა იქმნ უფალი მისი. ხოლო თქუენ გარქუ მეგობრად, რამეთუ ყოველი, რაოდენი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწყე თქუენ.
16. არა თქუენ გამომირჩიეთ მე, არამედ მე გამოგირჩიენ თქუენ და დაგადგინენ თქუენ, რაჲთა თქუენ წარსჳდეთ და ნაყოფი გამოიღოთ, და ნაყოფი თქუენი ეგოს საესებით, რაჲთა, რაჲ-იგი სთხოოთ მამასა ჩემსა სახელითა ჩემითა, მოგცეს თქუენ.
17. ამას გამცნებ თქუენ, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას.
18. უკუეთუ სოფელი გძულობს თქუენ, უწყოდეთ, რამეთუ პირველად მე მომიძულა.
19. უკუეთუმცა სოფლისაგანნი იყვენით, სოფელიმცა თჳსთა ჰყუარობდა; რამეთუ არა სოფლისაგანნი ხართ თქუენ, არამედ მე გამოგირჩიენ თქუენ სოფლისაგან, ამისთჳს სძულთ თქუენ სოფელსა.
20. მოიკსენეთ სიტყუაჲ იგი, რომელ გარქუ თქუენ: არა არს მონაჲ უფროჲს უფლისა თჳსისა. უკუეთუ მე მდევნეს, თქუენცა გდევნნენ; უკუეთუ სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, თქუენნიცა დაიმარხნენ.
21. არამედ ესე ყოველი გიყონ თქუენ სახელისა ჩემისათჳს, რამეთუ არა იციან მომაველინებელი ჩემი.
22. უკუეთუმცა არა მოვედ და ვეტყოდე მათ, ცოდვაჲმცა არა აქუნდა; ხოლო აწ მიზეზი არა აქუს ცოდვათა მათთათჳს.
23. რომელსა ვსძულდე მე, მამაჲცა ჩემი სძულს.
24. უკუეთუმცა არა ექმნენ საქმენი იგი მათ შორის, რომელნი სხუამან არავინ ქმნა, ცოდვაჲმცა არა აქუნდა. ხოლო აწ მიხილეს და მომიძულეს მეცა და მამაჲცა ჩემი.
25. არამედ რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი, რომელი სჯულსა

მათსა წერილ არს, რამეთუ: მომიძულეს მე ცუდად.
26. ხოლო რაჟამს მოვიდეს ნუგეშინის-მცემელი იგი, რომელი მე მოვავლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისაჲ, რომელი მამისაგან გამოვალს, მან წამოს ჩემთჳს.
27. და თქუენცა მოწამე სართ, რამეთუ დასაბამითგან ჩემ თანა ხართ.

16

1. ამას გეტყოდე თქუენ, რაჲთა არა დაჰბრკოლდეთ.
2. კრებულისაგან განგასხნენ თქუენ. არამედ მოვალს ჟამი, რაჲთა ყოველმან რომელმან მოგწყჳდნეს თქუენ, ჰგონებდეს, ვითარმედ მსხუერპლი შეწირა ღმრთისა.
3. და ესე გიყონ თქუენ, რამეთუ არა იციან მომავლინებელი ჩემი მამაჲ, არცა მე.
4. არამედ ამას გეტყოდე თქუენ, რაჲთა რაჟამს მოიწიოს ჟამი იგი, მოიკსენოთ მათი, რამეთუ მე გარქუ თქუენ. ესე პირველითგან არა გარქუ თქუენ, რამეთუ თქუენ თანა ვიყავ.
5. ხოლო აწ მივალ მომავლინებელისა ჩემისა, და არავინ თქუენგანი მკითხავს მე, ვითარმედ: ვიდრე ხუალ?
6. არამედ ამას რაჲ გეტყოდე თქუენ, მწუხარებამან აღავსნა გულნი თქუენნი.
7. არამედ მე ჭეშმარიტსა გეტყჳ თქუენ: უმჯობეს არს თქუენდა, რაჲთა მე წარვიდე; უკუეთუ მე არა წარვიდე, ნუგეშინის-მცემელი იგი არა მოვიდეს თქუენდა; უკუეთუ მე წარვიდე, მოვავლინო იგი თქუენდა.
8. და მოვიდეს იგი და ამხილოს სოფელსა ცოდვისათჳს და სიმართლისათჳს და სასჯელისათჳს:
9. ცოდვისათჳს ესრეთ, რამეთუ არა ჰრწმენა ჩემდა მომართ;
10. ხოლო სიმართლისათჳს, რამეთუ მე მამისა ჩემისა მივალ, და არღარა მხედვიდეთ მე;
11. ხოლო სასჯელისათჳს, რამეთუ მთავარი იგი ამის სოფლისაჲ დასჯილ არს.
12. ფრიადღა მაქუს სიტყუაჲ თქუენდა, არამედ აწ არღარა ძალ-გიც ტჳრთვად.
13. ხოლო ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისაჲ, გიძღოდის თქუენ ჭეშმარიტებასა ყოველსა, რამეთუ არა იტყოდის თავით თჳსით, არამედ რაოდენი-რაჲ ესმეს, იტყოდის და მომავალი იგი გითხრას თქუენ.
14. მან მე მადიდოს, რამეთუ ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ.
15. ყოველი, რაოდენი აქუს მამასა, ჩემი არს; და ამისთჳს გარქუ თქუენ, რამეთუ: ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ.
16. მცირედღა, და არღარა მხედ-

ვიდეთ მე; და კუალად მცირედღა, და მიხილოთ მე, რამეთუ მე მივალ მამისა ჩემისა.
17. თქუეს უკუე მოწაფეთა მისთა ურთიერთას: რაჲ არს, რომელსა-ესე მეტყჳს ჩუენ: მცირედღა. და არღარა მხედვიდეთ მე; და კუალად მცირედღა, და მიხილოთ მე, და რამეთუ მე მივალ მამისა ჩემისა?
18. და იტყოდეს უკუე: რაჲ არს ესე „მცირედ“? არა უწყით, რასა იტყჳს.
19. გულისჴმა-ყო იესუ, რამეთუ უნდა კითხვის, და ჰრქუა მათ: ამისთჳს გამოეძიებთა ურთიერთას, რამეთუ ვთქუ: მცირედღა, და არღარა მხედვიდეთ მე; და კუალად მცირედ, და მიხილოთ მე?
20. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ სტიროდით და ჰგოდებდეთ თქუენ, ხოლო სოფელსა უსაროდის, და თქუენ სწუხდეთ, არამედ მწუსარებაჲ თქუენი სიხარულად გარდაიქცეს.
21. დედაკაცი რაჟამს შობნ, მწუხარე არნ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი. ხოლო რაჟამს შვის ყრმაჲ, არღარა მოეკსენის ჭირი იგი სიხარულითა მით, რამეთუ იშვა კაცი სოფელსა შინა.
22. ხოლო თქუენ აწ ჭირი გაქუს. და მერმე კუალად გისილნე თქუენ, და უხაროდის გულთა თქუენთა, და სიხარული თქუენი არავინ მიგიღოს თქუენგან.
23. და მას დღესა შინა მე არარაჲ მკითხოთ. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ: რაოდენიცა-რაჲ სთხოოთ მამასა სახელითა ჩემითა, მოგცეს თქუენ.
24. აქამომდე არარაჲ გითხოვიეს სახელითა ჩემითა. ითხოვდით და მოიღოთ, რაჲთა სიხარული თქუენი სავსებით იყოს.
25. ამას იგავით გეტყოდე თქუენ. ხოლო მოვალს ჟამი, ოდეს არღარა იგავით გეტყოდი თქუენ, არამედ განცხადებულად მამისა ჩემისათჳს გითხრა თქუენ.
26. მას დღესა შინა ითხოოთ სახელითა ჩემითა, და არა გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: მე ვჰკითხო მამასა ჩემსა თქუენთჳს.
27. რამეთუ თჳთ მამასა ჩემსა უყუართ თქუენ, რამეთუ თქუენ მე შემიყუარეთ და გრწმენა, რამეთუ მე ღმრთისაგან გამოვედ.
28. გამოვედ მამისაგან და მოვედ სოფლად და კუალად დაუტეობ სოფელსა და მივალ მამისა.
29. ჰრქუეს მას მოწაფეთა მისთა: აჰა აწ განცხადებულად იტყჳ და იგავსა არცა ერთსა რას იტყჳ.
30. და აწ უწყით ჩუენ, რამეთუ ყოველივე იცი და არა გიკმს, რაჲთა გკითხოს ვინმე. ამის გამო გურწამს, რამეთუ ღმრთისაგან გამოხუედ.
31. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: აწ სამე გრწამს?

32. აჰა მოვალს ჟამი და მოწევნულ არს, რამეთუ განიბნინეთ კაცად-კაცადი თჳსად ადგილად და მე მარტოჲ დამიტეოთ; და არა ვარ მე მარტოჲ, არამედ მამაჲ ჩემი ჩემ თანა არს.
33. ამას გეტყოდე თქუენ, რაჲთა ჩემ თანა მშჳდობაჲ გაქუნდეს. სოფელსა ამას ჭირი გაქუს, არამედ ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა.

17

1. ამას იტყოდა იესუ და აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად და თქუა: მამაო, მოიწია ჟამი ჩემი, აღიდე ძე შენი, რაჲთა ძემანცა შენმან გაღიდოს შენ.
2. ვითარცა-ესე მოეც მას ქელმწიფებაჲ ყოველთა ჴორციელთაჲ, რაჲთა ყოველი რომელი მოეც მას, მისცეს მათ ცხორებაჲ საუკუნოჲ.
3. და ესე არს ცხორებაჲ საუკუნოჲ, რაჲთა გიცოდიან შენ მხოლოჲ ჭეშმარიტი ღმერთი და რომელი მოავლინე იესუ ქრისტე.
4. მე გაღიდე შენ ქუეყანასა ზედა, საქმე აღვასრულე, რომელი მომეც მე, რაჲთა ვყო.
5. და აწ მაღიდე მე, მამაო, თავისა შენისა თანა დიდებითა მით, რომელი მაქუნდა წინაშე შენსა უწინარეს სოფლის დაბადებისა.
6. გამოუცხადე სახელი შენი კაცთა, რომელნი მომცენ მე სოფლისა ამისგან; შენნი იყუნეს, და მე მომცენ იგინი, და სიტყუაჲ შენი დაუმარხავს.
7. და აწ უცნობიეს, რამეთუ ყოველი, რომელი მომეც მე, შენგან არს.
8. რამეთუ სიტყუანი, რომელნი მომცენ მე, მიესცენ მათ, და მათ მიიხუნეს და ცნეს ჭეშმარიტად, რამეთუ შენგან გამოვედ, და ჰრწმენა, რამეთუ შენ მომავლინე მე.
9. მე მათთჳს გკითხავ; არა თუ სოფლისათჳს გკითხავ, არამედ მათთჳს, რომელნი მომცენ მე, რამეთუ შენნი არიან.
10. და ჩემი ყოველი შენი არს, და შენი ჩემი არს, და დიდებულ ვარ მე მათ შორის.
11. და არღარა ვარ მე სოფელსა ამას, და ესენი სოფელსა შინა არიან, და მე შენდა მოვალ. მამაო წმიდაო, დაიცევენ ესენი სახელითა შენითა, რომელნი მომცენ მე, რაჲთა იყვნენ ერთობით, ვითარცა ჩუენ.
12. ოდეს ვიყავ მათ თანა სოფელსა შინა, მე ვსცევდ მათ სახელითა შენითა; რომელნი მომცენ მე, დავიცევენ, და არავინ მათგანი წარწყმდა, გარნა ძე იგი წარწყმედისაჲ, რაჲთა წერილი აღესრულოს.
13. ხოლო აწ შენდა მოვალ და ამას ვიტყჳ სოფელსა შინა, რაჲთა აქუნდეს მათ სიხარული ჩე-

მი საესებით.
14. მე მივსცენ მათ სიტყუანი შენნი, და სოფელმან მოიძულნა იგინი, რამეთუ არა არიან სოფლისა ამისგანნი, ვითარცა მე არა ვარ სოფლისა ამისგან.
15. არა ვიტყჳ, რაჲთა აღისუნე იგინი სოფლისაგან, არამედ რაჲთა დაიცვნე იგინი ბოროტისაგან.
16. სოფლისაგანნი არა არიან, ვითარცა მე არა სოფლისაგანი ვარ.
17. წმიდა-ყევნ ესენი ჭეშმარიტებითა, რამეთუ სიტყუაჲ შენი ჭეშმარიტ არს.
18. ვითარცა მომავლინე მე სოფლად, მეცა წარვავლინებ მათ სოფლად.
19. და მათთჳს წმიდა-ვჰყოფ თავსა ჩემსა, რაჲთა იგინიცა იყვნენ წმიდა ჭეშმარიტებით.
20. და არა ამათთჳს ხოლო გკითხავ, არამედ ყოველთათჳს, რომელთა ჰრწმენეს სიტყჳთა მათითა ჩემდა მომართ.
21. რაჲთა ყოველნი ერთ იყვნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო, და მე შენდამი, რაჲთა იგინიცა ჩუენ შორის ერთ იყვნენ, რაჲთა სოფელსა ჰრწმენეს, რამეთუ შენ მომავლინე მე.
22. და მე დიდებაჲ, რომელი მომეც მე, მივეც მათ, რაჲთა იყვნენ ერთ, ვითარცა ჩუენ ერთ ვართ.
23. მე მათ შორის, და შენ ჩემ თანა, რაჲთა იყვნენ სრულ ერთობითა, და რაჲთა უწყოდის სოფელმან, რამეთუ შენ მომავლინე მე და შეიყუარენ იგინი, ვითარცა მე შემიყუარე.
24. მამაო, რომელნი-ესე მომცენ მე, მნებავს, რაჲთა, სადაცა მე ვიყო, იგინიცა ჩემ თანა იყვნენ, რაჲთა ხედვიდენ დიდებასა ჩემსა, რომელი მომეც მე, რამეთუ შემიყუარე მე უწინარეს სოფლის დაბადებისა.
25. მამაო მართალო, და სოფელმან შენ არა გიცნა, ხოლო მე გიცან შენ, და მათცა ცნეს, რამეთუ შენ მომავლინე მე.
26. და ვაუწყე სახელი შენი და ვაუწყო, რაჲთა სიყუარულითა მით რომლითა შემიყუარე მე, მათ შორის იყოს, და მე მათ თანა.

18

1. ესე თქუა იესუ და გამოვიდა მოწფითურთ თჳსით წიაღ ქეესა მას ნაძოვანსა, სადაცა-იგი იყო მტილი, რომელსა შევიდა თავადი და მოწაფენი მისნი.
2. იცოდა იუდაცა, მიმცემელმან მისმან, აღგილი იგი, რამეთუ მრავალ-გზის შესრულ იყო მუნ იესუ მოწფითურთ თჳსით.
3. ხოლო იუდა წარიყვანა ერი და მღდელთ-მოძღუართა და ფარისეველთაგან მსახურნი და მოვიდა მუნ სანთლებითა და ლამპრებითა და საჭურველითა.

4. სოლო იესუ იცოდა ყოველი იგი მომავალი მის ზედა, გამოვიდა და ჰრქუა მათ: ვის ეძიებთ?
5. მიუგეს და ჰრქუეს მას: იესუს ნაზარეველსა. ჰრქუა მათ იესუ: მე ვარ. დგა იუდაცა, მიმცემელი იგი მისი, მათ თანა.
6. და ვითარცა ჰრქუა მათ: მე ვარ, გარეუკუნიქცეს და დაეცნეს ქუეყანასა.
7. მერმე კუალად ჰკითხა მათ: ვის ეძიებთ? და მათ ჰრქუეს მას: იესუს ნაზარეველსა.
8. ჰრქუა მათ იესუ: გარქუ თქუენ, ვითარმედ: მე ვარ. უკუეთუ მე მეძიებთ, უტევენით ესენი, წარვიდენ.
9. რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი, რომელი თქუა, ვითარმედ: რომელნი მომცენ მე, არა წარვწყმიდე მათგანი არცა ერთი.
10. ხოლო სიმონ-პეტრეს აქუნდა მახჳლი, აღმოიჯადა იგი და სცა მონასა მღდელთ-მოძღურისასა და წარჰკუეთა ყური მისი მარჯუენე. ხოლო იყო სახელი მონისაჲ მის მალქოზ.
11. ჰრქუა იესუ პეტრეს: დადევ მახჳლი ქარქაშსა! სასუმელი, რომელი მომცა მე მამამან, არა შევსუაა იგი?
12. ხოლო კრებულმან მან და ათასისთავმან და მსახურთა მათ ჰურიათამან შეიპყრეს იესუ და შეკრეს იგი.
13. და მიიყვანეს იგი პირველად ანნაჲსა, რამეთუ იყო სიმამრი კაიაფაჲსი, რომელი იყო მღდელთ-მოძღუარი მის წელიწდისაჲ.
14. სოლო ესე კაიაფა იყო, რომელმან აბრასა ჰურიათა, ვითარმედ: უმჯობეს არს კაცისა ერთისა სიკუდილი ერისათჳს.
15. მისდევდა იესუს სიმონ-პეტრე და სხუაჲ იგი მოწაფე. სოლო მოწაფჱ იგი ერთი მეცნიერ იყო მღდელთ-მოძღურისა და შევიდა იესუჲს თანა ეზოსა მღდელთ-მოძღურისასა.
16. ხოლო პეტრე დგა კარსა თანა გარეშე. განვიდა ერთი იგი მოწაფე, რომელი იყო მეცნიერ მღდელთ-მოძღურისა, და ჰრქუა მეკარესა მას დედაკაცსა და შეიყვანა პეტრე.
17. ჰრქუა მკეეალმან მან მეკარემან პეტრეს: ნუუკუე შენცა მოწაფეთაგანი ხარ მის კაცისათაჲ? ხოლო პეტრე თქუა: არა ვარ.
18. დგეს მონანი იგი და მსახურნი მღდელთ-მოძღუართანი და ნაკუერცხალი აღეგზნა, რამეთუ ყინელი იყო, და ტფებოდეს. დგა მათ თანა პეტრეცა და ტფებოდა.
19. ხოლო მღდელთ-მოძღუარმან მან ჰკითხა იესუს მოწაფეთა მისთათჳს და მოძღურებისა მისისათჳს.
20. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: მე განცხადებულად ვეტყოდე სოფელსა და მე მარადის ვას-

წაევებდ შესაკრებელსა და ტაძარსა შინა, სადა-იგი ყოველადვე ჰურიანი შეკრბიან, სოლო ფარულად არარას ეტყოდე.
21. რაჲსა მკითხავ მე? ჰკითსე მათ, რომელთა ესმოდა, რასა ვასწაევებდ მათ. აჰა ამათ იციან, რასა-იგი ვეტყოდე მათ.
22. და ვითარცა ესე თქუა იესუ, ერთმან მსასურთაგანმან მუნ მდგომარემან სცა ყურიმალსა იესუს და ჰრქუა: ესრეთ სიტყუას-უგება მღდელთ-მოძღუარსა?
23. ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ ბოროტსა ვიტყოდე, წამე ბოროტისათჳს: უკუეთუ კეთილსა, რაჲსათჳს მცემ?
24. და მიაველინა იგი ანა კრული კაიაფაჲსა მღდელთ-მოძღურისა.
25. ხოლო სიმონ-პეტრე დგა და ტფებოდა. ჰრქუეს მას მუნ მდგომარეთა მათ: ნუუკუე შენცა მოწაფეთა მისთაგანი ხარ? სოლო მან უვარ-ყო და თქუა: არა ვარ.
26. ჰრქუა მას ერთმან მონათაგანმან მღდელთ-მოძღურისამან – ნათესაჲი იყო მისი, რომელსა-იგი პეტრე წარჰკუეთა ყური – არა მე გისილეა მტილსა მას შინა მის თანა?
27. და კუალად უვარ-ყო პეტრე და მეყსეულად ქათამმან იყივლა.
28. და მოიყვანეს იესუ კაიაფაჲსით ტაძრად. და იყო განთიად. და იგინი არა შეეიღეს ტაძრად, რაჲთა არა შეიგინნენ, არამედ რაჲთა ჭამონ პასექი.
29. გამოვიდა პილატე მათა გარე და ჰრქუა მათ: რასა შესმენასა მოიღებთ კაცისა ამის ზედა?
30. მიუგეს და ჰრქუეს მას: უკუეთუმცა არა ბოროტის-მოქმედი იყო, არამცა მიგეცით შენ ეგე.
31. ჰრქუა მათ პილატე: მიიყვანეთ ეგე თქუენ და სჯულისა თქუენისაებრ განიკითხეთ ეგე. ჰრქუეს მას ჰურიათა მათ: ჩუენდა არაეისი ჯერ-არს მოკლვაჲ.
32. რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი იესუჲსი, რომელ თქუა და აუწყებდა, რომლითა სიკუდილითა ეგულებოდა მოსიკუდიდ.
33. კუალად უკუე შეეიდა პილატე ტაძრად და შესადა იესუს და ჰრქუა მას: შენ სარა მეუფჱ ჰურიათაჲ?
34. ჰრქუა მას იესუ: შენ თაეით თჳსით იტყჳ მაგას, ანუ სხუათა გითხრეს ჩემთჳს?
35. მიუგო პილატე და ჰრქუა მას: ნუუკუე მე ჰურიაჲ ვარა? ნათესაეთა შენთა და მღდელთ-მოძღუართა მოუცემისარ შენ ჩემდა. რაჲ გიქმნიეს?
36. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: მეუფებაჲ ჩემი არა ამის სოფლისაგანი არს. უკუეთუმცა ამის სოფლისაგანი იყო მეუფებაჲ ჩემი, მსახურნიმცა ჩემნი იღუწიდეს ჩემთჳს, რაჲთა არამცა

მიევეცი ჰურიათა. ხოლო აწ მეუფებაჲ ჩემი არა არს ამიერ სოფლით.
37. ჰრქუა მას პილატე: უკუეთუ მეუფჱ სარ შენ? ჰრქუა მას იესუ: შენ იტყჳ, რამეთუ მეუფე ვარ მე. მე ამისთჳს შობილ ვარ და ამისთჳს მოვიელინე სოფლად, რაჲთა ეწამო ჭეშმარიტი. ყოველი რომელი ჭეშმარიტებისაგან იყოს, ისმინოს ქმისა ჩემისაჲ.
38. ჰრქუა მას პილატე: რაჲ არს ჭეშმარიტებაჲ? და ვითარცა ესე თქუა, კუალად გამოვიდა და ჰრქუა ჰურიათა მათ: მე არცა ერთსა ბრალსა ვჰპოებ ამის თანა.
39. ხოლო არს ჩუეულებაჲ თქუენი, რაჲთა ერთი მიგიტეო თქუენ ღესასწაულსა ამას. გნებავსა, რაჲთა მიგიტეო თქუენ მეუფჱ ჰურიათაჲ?
40. კუალად უკუე ღაღატ-ყვეს ყოველთა და თქუეს: ნუ ეგე, არამედ ბარაბა. და იყო ესე ბარაბა ავაზაკი.

19

1. მაშინ მოიყვანა პილატე იესუ და ტანჯა იგი.
2. და ერისაგანთა მათ შეთხზეს გჳრგჳნი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და სამოსელი ძოწეული შეჰმოსეს მას.
3. და მოვიდიან მისა და ეტყჳედ მას: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო! და სცემდეს ყურიმალსა.
4. გამოვიდა უკუე კუალად გარე პილატე და ჰრქუა მათ: აჰა გამოვიყვანო იგი გარე თქუენდა, რაჲთა სცნათ, რამეთუ მის თანა არცა ერთი ბრალი ვპოე.
5. გამოვიდა იესუ გარე, და ეგა ეკლისა იგი გჳრგჳნი და ძოწეული სამოსელი. და ჰრქუა მათ პილატე: აჰა კაცი იგი!
6. და ვითარცა იხილეს იგი მღდელთ-მოძღუართა მათ და მსახურთა, ღაღად-ყვეს და თქუეს: ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ ეგე! ჰრქუა მათ პილატე: მოიყვანეთ ეგე თქუენ და ჯუარს-აცუთ, რამეთუ მე მაგის თანა ბრალსა არარას ვჰპოებ.
7. მიუგეს ჰურიათა და ჰრქუეს მას: ჩუენ სჯული გუაქუს, და სჯულისა ჩუენისაებრ თანა-აც სიკუდილი, რამეთუ თავი თჳსი ძედ ღმრთისა ყო.
8. ვითარცა ესმა სიტყუაჲ ესე პილატეს, უფროჲს შეეშინა.
9. და შევიდა კუალად მუნვე ტაძრად და ჰრქუა იესუს: ვინაჲ ხარ შენ? ხოლო იესუ სიტყუაჲ არა მიუგო მას.
10. ჰრქუა მას პილატე: მე არას მეტყჳ? ანუ არა უწყია, რამეთუ კელმწიფებაჲ მაქუს ჯუარ-ცუმად შენდა და კელმწიფებაჲ მაქუს განტევებად შენდა?
11. ჰრქუა მას იესუ: არა გაქუს კელმწიფებაჲ ჩემი არცა ერთი, უკუეთუმცა არა მოცემულ იყო

შენდა ზეგარდამო. ამისთჳს მიმცემელსა ჩემსა შენდა უდიდესი ცოდვაჲ აქუს.
12. ამის გამო პილატეს უნდა განტევებაჲ მისი, ხოლო ჰურიანი იგი ღაღადებდეს და იტყოდეს: უკუეთუ ეგე განუტეო, არა ხარ მოყუარე კეისრისაჲ, რამეთუ ყოველი, რომელი მეუფედ იტყჳნ თავსა თჳსსა, სიტყუას-უგებენ კეისარსა.
13. ხოლო პილატეს რაჲ ესმა სიტყუაჲ ესე, გამოიყვანა იესუ გარე და დაჯდა იგი საყდართა ზედა, ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან ქვაფენილ, ხოლო ებრაელებრ კაპპათა.
14. და იყო პარასკევი პასქაჲსაჲ, და ჟამი იყო მეექუსე. ჰრქუა პილატე ჰურიათა მათ: აჰა მეუფჱ თქუენი!
15. ხოლო იგინი ღაღადებდეს და იტყოდეს: აღიღე, აღიღე და ჯუარს-აცუ ეგე! ჰრქუა მათ პილატე: მეუფე თქუენი მე ჯუარს-ვაცუაა? მიუგეს მღდელთ-მოძღუართა მათ და ჰრქუეს: არა გჳვის ჩუენ მეუფჱ, გარნა კეისარი.
16. მაშინ მისცა იგი მათ, რაჲთა ჯუარს-ეცუას. ხოლო მათ წარიყვანეს იესუ.
17. და ეკიდა თუთ ჯუარი თჳსი, და განვიდა ადგილსა მას თხემისასა, რომელსა ჰრქჳან ებრაელებრ გოლგოთა.
18. და მუნ ჯუარს-აცუეს იგი და მის თანა სხუანი ორნი ამიერ და იმიერ და შორის იესუ.
19. და დაწერა პილატე ფიცარი და დასდვა ჯუარსა მას ზედა. და იყო წერილი ესრე: იესუ ნაზარეველი, მეუფჱ ჰურიათაჲ.
20. ესე ფიცარი მრავალთა ჰურიათა აღმოიკითხეს, რამეთუ მახლობელ იყო ქალაქსა ადგილი იგი, სადა ჯუარს-აცუეს იესუ. და იყო წერილი ებრაელებრ და ჰრომაელებრ და ბერძლ.
21. ეტყოდეს უკუე პილატეს მღდელთ-მოძღუარნი იგი ჰურიათანი: ნუ დასწერ მეუფედ ჰურიათა, არამედ ვითარმედ მან თქუა: მეუფჱ ჰურიათაჲ ვარი მე.
22. ჰრქუა მათ პილატე: რომელი დავწერე, დავწერე.
23. და ერისაგანთა მათ, რომელთა ჯუარს-აცუეს იესუ, მოიღეს სამოსელი მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად, თითოეულმან ერისაგანმან ნაწილი. ხოლო კუართი იგი, რამეთუ იყო უკერველ, ზეით გამოქსოვილ ყოვლად,
24. თქუეს უკუე ურთიერთას: არა განვხიოთ ესე, არამედ წილ-ვიგდოთ ამას ზედა, ვისაცა იყოს, რაჲთა აღესრულოს წერილი იგი: განიყვეს სამოსელი ჩემი თავისა მათისა და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი. ერისაგანთა მათ ესე ყვეს.

25. ხოლო დგეს ჯუარსა მას თანა იესუჲსსა დედაჲ მისი და დაჲ დედისა მისისაჲ, მარიამ კლეოპაჲსი და მარიამ მაგდალენელი.
26. ხოლო იესუ ვითარცა იხილა დედაჲ თჳსი და მოწაფე იგი, რომელი უყუარდა, წინაშე მდგომარენი, ჰრქუა დედასა თჳსსა: დედაკაცო, აჰა ძე შენი!
27. და მერმე მოწაფესა მას ჰრქუა: აჰა დედაჲ შენი! და მიერითგან წარიყვანა იგი მოწაფემან მან თჳსთა თანა.
28. ამისა შემდგომად ისილა იესუ,რამეთუ ყოველივე აღსრულებულ არს. და რაჲთა აღესრულოს წერილი იგი, თქუა: მწყურის.
29. დგა მუნ ჭურჭელი ძმრითა სავსე. და მათ ღრუბელი აღავსეს ძმრითა მით უსუპსა თანა და დაადგეს ლერწამი და მიუპყრეს პირსა მისსა.
30. და ოდეს მიიღო ძმარი იგი იესუ, თქუა: ესეცა წერილი აღსრულებულ არს. და მიიდრიკა თავი და განუტევა სული.
31. ხოლო ჰურიათა მათ,რამეთუ პარასკევი იყო, რაჲთა არა დაადგრეს გუამი მისი ჯუარსა ზედა შაბათაღმდე,რამეთუ იყო დიდ დღე იგი შაბათისაჲ მის, ჰკითხეს პილატეს,რაჲთა წჳნი მათნი განუტეხნენ და გარდამოიხუნენ.
32. მოვიდეს ერისაგანნი იგი და პირველისანი მის განუტეხნეს წჳნი, და ერთისაჲ მის ეგრეთვე, რომელნი ჯუარ-ცუმულ იყენეს მის თანა.
33. ხოლო მო-რაჲ-ვიდეს იესუჲსა და ისილეს იგი, რამეთუ მომკუდარ იყო, არა განუტეხნეს წჳნი მისნი.
34. არამედ ერთმან ერისაგანმან ლახურითა უგუმირა გუერდსა მისსა, და მეყსეულად გარდამოჴდა სისხლი და წყალი.
35. და რომელმან იხილა, წამა, და ჭეშმარიტ არს წამებაჲ მისი, და მან უწყის, რამეთუ ჭეშმარიტსა იტყჳს, რაჲთა თქუენცა გრწმენეს.
36. რამეთუ იყო ესე, რაჲთა წერილი აღესრულოს, ვითარმედ: ძუალი მისი არა შეიმუსროს.
37. და სხუაჲ წერილი იტყჳს: იხილონ, რომელსა-იგი უგუმირეს.
38. ამისა შემდგომად ჰკითხა პილატეს იოსებ, რომელი იყო არიმათიაჲთ, რამეთუ იყო იგი მოწაფე იესუჲსი ფარულად, შიშისათჳს ჰურიათაჲსა, რაჲთა აღიღოს გუამი იესუჲსი. და უბრძანა მას პილატე. მოვიდა და აღიღო გუამი მისი.
39. მოვიდა ნიკოდიმოსცა, რომელი-იგი მოსრულ იყო იესუჲსა ღამე პირველ, და მოიღო აღრეული მურისა და ალოჲსაჲ ვითარ ასი ლიტრაჲ.
40. და მოიღეს გუამი იესუჲსი

და შეგრაგნეს იგი ტილოებითა სულნელთა მათ თანა, ვითარცა ჩუეულებაჲ არს ჰურიათა დაფლვისაჲ.
41. იყო ადგილსა მას, სადა ჯუარს-ეცუა, მტილი, და მტილსა მას შინა საფლავი ასალი, რომელსა არავინ დადებულ იყო.
42. მუნ დადევეს გუამი იესუჲსი პარასკევისათჳს ჰურიათაჲსა, რამეთუ მახლობელ იყო საფლავი იგი.

20

1. ერთსა მას შაბათსა მოვიდა მარიამ მაგდალენელი განთიად, ვიდრე ბნელღა იყო, საფლავსა მას ზედა და იხილა ლოდი იგი აღებული კარისა მისგან საფლავისა.
2. რბიოდა და მოვიდა სიმონ-პეტრესა და სხჳსა მის მოწაფისა, რომელი უყუარდა იესუს, და ჰრქუა მათ: აღიღეს უფალი საფლავისაგან, და არა უწყი, სადა დადევეს იგი.
3. გამოვიდა პეტრე და სხუაჲ იგი მოწაფჱ და მოვიდოდეს საფლავად.
4. რბიოდეს ორნივე ზოგად. ხოლო სხუაჲ იგი მოწაფე წინა რბიოდა უადრეს პეტრესსა და მოვიდა პირველად საფლავად.
5.და შთასედნა საფლავსა მას და იხილნა ტილონი იგი ხოლო მდებარენი და შინა არა შევიდა.
6. მოვიდა სიმონ-პეტრეცა შემდგომად მისა და შევიდა საფლავად და იხილნა ტილონი იგი მდებარენი,
7. და სუდარი იგი, რომელი იყო თავსა მისსა არა ტილოთა თანა მდებარე, არამედ თჳსაგან შეკეცილი ერთსა ადგილსა.
8. მაშინ შევიდა სხუაჲცა იგი მოწაფე, რომელი მოვიდა პირველად პეტრესა საფლავად. და იხილეს და პრწმენა.
9. რამეთუ არღა იცოდეს წერილისაჲ, ვითარმედ: ჯერ-არს მისი მკუდრეთით აღდგომაჲ.
10. წარვიდეს უკუე კუალად თჳსაგან მოწაფენი იგი.
11. ხოლო მარიამ დგა გარეშე საფლავსა მას თანა და ტიროდა. და ვითარ ტიროდა, შთახედნა საფლავსა მას
12. და იხილნა ორნი ანგელოზნი, სპეტაკითა მოსილნი, მსხდომარენი ერთი თავით და ერთი ფერჴით, სადა-იგი იდვა გუამი უფლისა იესუჲსი.
13. და ჰრქუეს მას ანგელოზთა მათ: დედაკაცო, რაჲსა სტირ? ხოლო მან ჰრქუა მათ, რამეთუ: აღიღეს უფალი ჩემი საფლავით, და არა უწყი, სადა დადევეს იგი.
14. ესე რაჲ თქუა, მიიქცა გარე და იხილა იესუ მდგომარე და არა უწყოდა, რამეთუ იესუ არს.
15. ჰრქუა მას იესუ: დედაკაცო, რაჲსა სტირ? ვის ეძიებ? მას ეგონა, ვითარმედ მემტილე იგი არს, და ჰრქუა მას: უფალო, უკუ-

ეთუ შენ აღიღე იგი, მითხარ მე, სადა დასდევ, და მე წარმოვიღო იგი.
16. ჰრქუა მას იესუ: მარიამ! მიიხილა მან გარე და ჰრქუა მას ებრაელებრ: რაბბუნი! რომელსა ჰრქჳან მოძღუარ, და მირბიოდა შემთხუევად მისა.
17. ჰრქუა მას იესუ: ნუ შემომესები მე, რამეთუ არღა აღსრულ ვარ მამისა ჩემისა; წარვედ ძმათა ჩემთა და არქუ მათ: აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა.
18. მოვიდა მარიამ მაგდალენელი თხრობად მოწაფეთა მისთა, რამეთუ იხილა უფალი და ესრეთ ჰრქუა მას.
19. და ვითარცა შემწუხრდა ღღე იგი ერთშაბათისაჲ მის, და კარნი იგი დაკშულ იყვნეს, სადა-იგი იყვნეს მოწაფენი შეკრებულ შიშისათჳს ჰურიათაჲსა, მოვიდა იესუ და დადგა შორის მათსა და ჰრქუა მათ: მშჳდობაჲ თქუენ თანა!
20. და ვითარცა ესე თქუა, უჩუენნა მათ კელნი თჳსნი და გუერდი მისი. და განიხარეს მოწაფეთა, იხილეს რაჲ უფალი.
21. ჰრქუა მათ იესუ კუალად: მშჳდობაჲ თქუენ თანა! ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ.
22. და ვითარცა ესე თქუა, შეჰბერა მათ და ჰრქუა: მიიღეთ სული წმიდაჲ.
23. უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ; და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ.
24. ხოლო თომა, ერთი იგი ათორმეტთაგანი, რომელსა ერქუა მარჩბივ, არა იყო მათ თანა, ოდეს-იგი მოვიდა იესუ.
25. უთხრობდეს მას სხუანი იგი მოწაფენი, ვითარმედ: ვიხილეთ ჩუენ უფალი. ხოლო მან ჰრქუა მათ: უკუეთუ არა ვიხილო კელთა მისთა სახე იგი სამშჭუალთაჲ და დავსხნე თითი ჩემი აღგილსა მას სამშჭუალთასა და დავსდვა კელი ჩემი გუერდსა მისსა, არასადა მრწმენეს.
26. და შემდგომად რვისა ღღისა კუალად იყვნეს მოწაფენი მისნი შინაგან, და თომაცა მათ თანა. და შევიდა იესუ კართა კშულთა და დადგა შორის მათსა და ჰრქუა მათ: მშჳდობაჲ თქუენ თანა!
27. მერმე ჰრქუა თომას: მოყვენ თითნი შენნი და იხილენ კელნი ჩემნი და მოიღე კელი შენი და დამდევ გუერდსა ჩემსა და ნუ იყოფი ურწმუნო, არამედ გრწმენინ;
28. მიუგო თომა და ჰრქუა: უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!
29. ჰრქუა მას იესუ, რამეთუ: მიხილე და გრწამს; ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვჰრწმენე.

30. მრავალნი სხუანიცა სასწაულნი ქმნნა იესუ წინაშე მოწაფეთა თჳსთა, რომელნი არა დაწერილ არიან წიგნსა ამას.
31. ხოლო ესე დაიწერა, რაჲთა გრწმენეს, რამეთუ იესუ არს ქრისტე, ძჱ ღმრთისაჲ და რაჲთა გრწმენეს და ცხორებაჲ გაქუნდეს სახელითა მისითა.

21

1. ამისა შემდგომად კუალად გამოუცხადა თავი თჳსი იესუ მოწაფეთა თჳსთა ზღუასა მას ზედა ტიბერიისასა. ხოლო გამოუცხადა ესრეთ:
2. იყუნეს ზოგად სიმონ-პეტრე და თომა, რომელსა ერქუა მარჩბიე, და ნათანაელ, რომელი იყო კანაჲთ გალილეაჲსაჲთ, და ძენი ზებედესნი და სხუანი მოწაფეთაგანნი ორნი.
3. ჰრქუა მათ სიმონ-პეტრე: წარვიდე სათხეველობაჲ. ჰრქუეს მას: მოვიდეთ ჩუენცა შენ თანა. განვიდეს და შევიდეს ნავსა. და მას ღამესა არარაჲ იპყრეს.
4. და ვითარცა განთენდებოდა, დგა იესუ კიდესა ზედა, და არა უწყოდეს მოწაფეთა, ვითარმედ უფალი არს.
5. ჰრქუა მათ იესუ: ყრმანო, საჭმელი ნუ გაქუს რაჲმა? მიუგეს და ჰრქუეს მას: არა.
6. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: სდევით ბაღე ეგე მარჯუენით კერძო ნავისა მაგის და პპოოთ. ხოლო მათ სდევეს ბაღე იგი და ვერღარა ეძლო გამოთრევაჲ სიმრაელისა მისგან თევზთაჲსა.
7. ჰრქუა პეტრეს მოწაფემან მან, რომელი უყუარდა იესუს, ვითარმედ: უფალი არს. ხოლო სიმონ-პეტრეს ვითარცა ესმა, ვითარმედ უფალი არს, მოირტყა შესამოსელი თჳსი, რამეთუ შიშუელი იყო, და შთაიგდო თავი თჳსი ზღუად.
8. ხოლო სხუანი მოწაფენი ნავითა მოვიდოდეს, რამეთუ არა შორს იყვნეს ქუეყანისაგან, არამედ ორას წყრთა ოდენ, და გამოითრევდეს ბაღესა მას თევზითა სავსესა.
9. და ვითარცა გამოჴდეს ქუეყანად, იხილეს ნაკუერცხალი მდებარე და თევზი მას ზედა და პური.
10. ჰრქუა მათ იესუ: მოიღეთ თევზთა მათგანი, რომელ იპყართ.
11. აღვიდა სიმონ-პეტრეცა და გამოითრევდა ბაღესა მას ქუეყანად, სავსესა დიდ-დიდითა თევზითა, რომელი იყო ას ერგასის და სამ. ესოდენ იყო, და არა განსთქდა ბაღე იგი.
12. ჰრქუა მათ იესუ: მოვედით და ისადილენით, და არავინ იკადრა მოწაფეთაგანმან კითხვაჲ მისა, ვითარმედ: შენ ვინ ხარ? იცოდეს ყოველთა, რამე-

თუ უფალი არს.
13. მოვიდა იესუ და მოიღო პური იგი და მისცა მათ, და თევზი იგი ეგრეთვე.
14. ესე სამ-გზის გამოეცხადა იესუ მოწაფეთა თჳსთა, აღ-რაჲ--დგა მკუდრეთით.
15. და ოდეს ისადილნეს, ჰრქუა სიმონ-პეტრეს იესუ: სიმონ იონაჲსო, გიყუარ მეა უფროჲს ამათსა? ჰრქუა მას პეტრე: ჰე, უფალო, შენ უწყი, რამეთუ მიყუარ შენ. ჰრქუა მას იესუ: აძოენ კრავნი ჩემნი.
16. ჰრქუა მას მერმეცა მეორედ: სიმონ იოანაჲსო, გიყუარ მეა? ჰრქუა მას პეტრე: ჰე, უფალო, შენ იცი, რამეთუ მიყუარ შენ. ჰრქუა მას იესუ: დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი.
17. კუალად ჰრქუა მას იესუ მესამედ: სიმონ იონაჲსო, გიყუარ მეა? შეწუხნა პეტრე, რამეთუ ჰრქუა მას მესამედ: გიყუარ მე? და ჰრქუა მას: უფალო, შენ ყოველი უწყი და ყოველი იცი, რამეთუ მიყუარ შენ. ჰრქუა მას იესუ: დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი.
18. ამენ, ამენ გეტყჳ შენ: ოდეს იყავ ჭაბუკ, შეირტყი თავით თჳსით და ხჳდოდი, ვიდრეცა გნებაენ. ხოლო რაჟამს დაჰბერდე, განიპყრნე კელნი შენნი, და სხუამან შეგარტყას შენ და წარგიყვანოს, ვიდრეცა შენ არა გინდეს.
19. ხოლო ესე თქუა და აუწყებდა, რომლითა სიკუდილითა აღიდოს ღმერთი. და ეითარცა ესე თქუა, ჰრქუა მას: შემომიდეგ მე.
20. მოიქცა პეტრე და იხილა მოწაფე იგი, რომელი უყუარდა იესუს, მისდევდა რაჲ, რომელი--იგი მიეყრდნა სერობასა, მას მკერდსა მისსა და ჰრქუა მას: უფალო, ვინ არს, რომელი მიგცემს შენ?
21. ესე ვითარცა იხილა პეტრე, ჰრქუა იესუს: უფალო, ხოლო ესე რაჲ?
22. ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ მინდეს ყოფაჲ მაგისი, ვიდრემდე მოვიდე, შენდა რაჲ? შენ მე შემომიდეგ.
23. და განჴდა სიტყუაჲ ესე ძმათა შორის, ვითარმედ: მოწაფე იგი არა მოკუდეს. და არა ჰრქუა მას იესუ, ვითარმედ: არა მოკუდეს, არამედ: უკუეთუ მინდეს მაგისი ყოფაჲ ვიდრე მოსლვად ჩემდამდე, შენდა რაჲ?
24. ესე არს მოწაფე იგი, რომელი წამებს ამათთჳს და რომელმან დაწერა ესე. და უწყით, რამეთუ ჭეშმარიტ არს წამებაჲ მისი.
25. და არიან სხუანიცა მრავალ, რომელ ქმნნა იესუ, რომელნი თუმცა დაიწერებოდეს თითოეულად, არცაღა ვჰგონებ, ვითარმცა სოფელსა ამან დაიტია აღწერილი წიგნები.

საქმე წმიდათა მოციქულთაჲ
ალწერილი ლუკა მახარებელისაჲ



ლუკა მახარებელი. გელათის ოთხთავი. XII ს.

უწყებანი მოციქულთა საქმეთა აღწერილი მოციქულისა და მახარებელისა ლუკას მიერ შეძგომად წელთა მრავალთა უფლისა ჩენებისა

წიგნსა ამას საქმე მოციქულთა ეწოდების, ვინაჲთგან საქმენი მოციქულთანი თანა უპყრიეს, მოთხრობილ არს ლუკა მახარებელისა, ვითარმედ იყო ნათესავით უკუე ანტიოქელი, და ქელოვნებით მკურნალი, სოლო ვიდოდა მოციქულთა თანა, და უფროჲსღა პავლესთანა და მაუწყებელი ჭეშმარიტებისა აღწერს, და მოგვითხრობს ვითარმედ ღრუბლისა მიერ შეწყნარებით ამაღლდა უფალი, და სულისა წმიდისა მოფენასა მეერგასესა დღესა მოციქულთა ზედა, და ყოველსა ქმნილსა მათ შინა, მუნ, დადგინებასა მატჲასსა იუდაჲს წილ განმცემელისა, და გამორჩევისათვის შჳდთა დიაკონთასა, და ჩინებისათვის პავლესსა, და რაოდენი ევნო, და რაოდენი სასწაული ქმნეს მოციქულთა და საკჳრველთ მოქმედებაჲ აღასრულეს ლოცვითა და ქრისტეს მიმართ სარწმუნოებითა, სოლო სახელები ესენი არიან: სიმონ რომელსა ეწოდა პეტრე და ანდრია ძმაჲ მისი, იაკობ და იოვანე, ფილიპე, და ბართლომე, თომა, და მატთე მეზვერე, იაკობ ალფესი, და სიმონ კანანელი, და იუდა იაკობისა, და მატათა, რომელი აღირაცხა ათერთმეტთა მოციქულთა მიმართ იუდას წილ განმცემელისა, ხოლო რომელნი დაიდგინნეს დიაკონად, სახელები ესენი არიან: სტეფანე, ფილიპე, პროხორე, ნიკანორა, ტიმონა, პარმენა და ნიკოლაოზ. შემდგომად ამისა მიიღო ყოფა პავლეცა ჭურმან, ხოლო ამათ მოციქულთა სასწაულნი და ნიშნი, რომელ ქმნეს, არიან ესენი:

საქმე წმიდათა მოციქულთაჲ თავი

1

1. პირველი ესე სიტყუაჲ ეყავ ყოველთათჳს, ჱ ღმრთის მოყუარეო, რომელთა იწყო იესუ ყოფად და სწაველად
2. ვიდრე დღედ, რომლადმდე ამცნებდა მოციქულთა სულითა წმიდითა, რომელნი გამოირჩინა, ამაღლდა,
3. რომელთაცა წარუდგინა თავი თჳსი ცხოველი შემდგომად ვნებისა თჳსისა მრავალითა სახითა, ორმეოცთა დღეთა ეჩუენებოდა მათ და ეტყოდა სასუფეველისათჳს ღმრთისა,
4. და თანა-ექცეოდა მათ და ამცნებდა: იერუსალჱმით ნუ განეშორებით, არამედ მოელოდეთ აღთქუმასა მამისასა, რომელი გესმა ჩემგან.
5. რამეთუ იოანე ნათელ-სცემდა წყლითა, ხოლო თქუენ ნათელ-იღოთ სულითა წმიდითა არა მრავალთა ამათ დღეთა შემდგომად.
6. ხოლო რომელნი-იგი შეკრებულ იყვნეს, ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს: უფალო, უკუეთუ ამათ ჟამთა კუალად მოაგოა სასუფეველი ისრაჱლსა?
7. ხოლო მან ჰრქუა მათ: არა თქუენი არს ცნობაჲ ჟამთა და წელთაჲ, რომელნი-იგი მამამან დასხნა თჳსითა კელმწიფებითა,
8. არამედ მოიღოთ ძალი მოსლვასა სულისა წმიდისასა თქუენ ზედა, და იყვნეთ ჩემდა მოწამე იერუსალჱმს და ყოველსა ჰურიასტანსა და სამარიასა და ვიდრე დასასრულადმდე ქუეყანისა.
9. და ესე ეითარცა თქუა, ამაღლდა, ხედვიდეს რაჲ იგინი, და ღრუბელმან შეიწყნარა იგი თუალთაგან მათთა.
10. და ვითარცა ხედვიდეს იგინი ზეცად აღსლვასა მისსა, და აჰა ესერა ორ კაც ზედა მოადგეს მათ სამოსლითა სპეტაკითა,
11. და ჰრქუეს მათ: კაცნო გალილეველნო, რაჲსა სდგათ და ჰხედავთ ზეცად? ესე იესუ, რომელი ამაღლდა თქუენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად.
12. მაშინ მოიქცეს იერუსალჱმდ მთისა მისგან, რომელსა ჰრქჳან ზეთის ხილთაჲ, რომელ არს მახლობელ იერუსალჱმსა შაბათის გზა ოდენ.
13. და ოდეს შევიდეს, აღკდეს ქორსა მას, სადაცა იყოფოდეს პეტრე და იოვანე, იაკობ და ანდრეა, ფილიპე და თომა, ბართლომე და მატთეოს, იაკობ ალფესი და სიმონ მოშურნე და იუდა იაკობისი.
14. ესე ყოველნი იყვნეს განკრძალულ ლოცვასა და ვედრებასა ერთბამად დედებითურთ

და მარიამ დედით იესუჲსით და ძმებითურთ მისით.
15. და ამათ დღეთა შინა აღდგა პეტრე შორის მოწაფეთა და თქუა
16.(იყო რიცხჳ ერისაჲ მის ერთბამად ვითარ ას და ოც ოდენ): კაცნო ძმანო, ჯერ-იყო აღსრულებად წერილი, რომელი-იგი წინაჲსწარ თქუა სულმან წმიდამან პირითა დავითისითა იუდაჲსთჳს, რომელი ექმნა წინამძღუარ შემპყრობელთა მათ იესუჲსთა,
17. რამეთუ აღრაცხილ იყო ჩუენ თანა, და სუედრებულ წილი მსახურებისაჲ ამის.
18. ამან მოიგო დაბაჲ იგი სასყიდლითა მით სიცრუვისაჲთა და განსივნა და განსთქდა შორის, და განიბნინეს ყოველნი ნაწლევნი მისნი.
19. და საცნაურ იქმნა ყოველთა მკჳდრთა იერუსალჱმისათა, ვიდრეცა ეწოდაცა დაბასა მას თჳსითა სიტყჳთა მათითა აკელდამა, ესე იგი არს დაბაჲ სისხლისაჲ.
20. რამეთუ წერილ არს წიგნსა მას ფსალმუნთასა: იყავნ სამკჳდრებელი მისი ოკერ და ნუ იყოფინ მკჳდრი მას შინა, და განსაგებელი მისი სხუამან მიიღენ.
21. ჯერ-არს უკუე ჩუენ თანა შეკრებულთა ამათ კაცთაჲ ყოველსა ჟამსა, რომელსა შემოვიდა და განვიდა ჩუენდა უფალი იესუ,
22. იწყო ნათლის-ცემითგან იოვანესით ვიდრე დღედმდე ამაღლებისა მისისა ჩუენგან მოწამედ აღდგომისა მისისა ჩუენ თანა ყოფად ერთი ამათგანი.
23. და დაადგინნეს ორნი: იოსებ, რომელსა ერქუა ბარსაბა და მერმე ეწოდა იოსტოს, და მატათია.
24. და ილოცვიდეს და თქუეს: შენ უფალო, ყოველთა გულთა მეცნიერო, გამოაჩინე ერთი ამათ ორთაგანი, რომელიცა გამოირჩიე,
25. მიღებად წილი მსახურებისაჲ ამის და მოციქულებისაჲ, რომლისაგან განვიდა იუდა მისლვად ადგილსა თჳსსა.
26. და მისცნეს წილნი მათ. და გამოუკდა წილი მატათიას და თანა-აღირაცხა ათერთმეტთა მოციქულთა.

2

1. და აღსრულებასა მას დღისა მეერგასისასა, იყვნეს ყოველნი ერთბამად ურთიერთას,
2. და იყო მეყსეულად ზეცით ოხრაჲ, ვითარცა მოწევნაჲ ქარისა სასტიკისაჲ, და აღავსო ყოველი იგი სახლი, სადა-იგი იყვნეს მსხდომარე.
3. და ეჩუენნეს მათ განყოფანი ენათანი ვითარცა ცეცხლისანი, და დააღგრა თითოეულად კა-

ცად-კაცადსა მათსა ზედა.
4. და აღივსნეს ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყუად უცხოთა ენათა, ვითარცა სული იგი მოსცემდა მათ სიტყუად.
5. ხოლო იყვნეს იერუსალჵმს დამკუდრებულნი ჰურიანი, კაცნი ღმრთის მოშიშნი ყოველთაგან თესლთა, რომელნი არიან ცასა ქუეშე.
6. და იყო რაჲ კმაჲ ესე, შეკრბა სიმრაელე ერისაჲ და შეშფოთნეს, რამეთუ ესმოდა თჳთოეულსა კაცად-კაცადსა მათსა თჳსი სიტყუაჲ მათი, იტყოდეს რაჲ იგინი.
7. განჰკრთეს ყოველნი და დაუკჳრდა ერთსა-ერთისა თანა და იტყოდეს: ანუ არა ესე ყოველნი არიანა, რომელნი იტყჳან გალილეველ?
8. და ვითარ ჩუენ გუესმის კაცად-კაცადსა თჳსი სიტყუაჲ ჩუენი მათგან, რომელნი ვართ
9. პართნი და უჟიკნი და ელამიტელნი და მკუდრნი შუა მდინარისანი ჰურიასტანისანი და კაბადუკიაჲსანი, პონტოჲსანი და ასიაჲსანი,
10. ფრიგჳაჲსანი და პამფულიისანი, ეგჳპტისანი და ადგილისა ლუბიისანი, კჳრინით კერძონი და მოსრულნი ჰრომნი, ჰურიანი და მწირნი,
11. კრიტელნი და არაბიელნი, გუესმის, იტყჳან რაჲ ჩუენითა ენითა დიდებასა ღმრთისასა?!
12. ხოლო განჰკრთეს ყოველნი და გამოეძიებდეს ერთი-ერთისა თანა და იტყოდეს: რაჲმე ჰნებავს ამას ყოფად?
13. ხოლო სხუანი ეკიცხეედეს და იტყოდეს, ვითარმედ: ტკბილითა განსავსე არიან.
14. ხოლო პეტრე დაღგა შორის ათერთმეტთა მათ და აღიმაღლა ჴმაჲ თჳსი და ეტყოდა მათ: კაცნო ჰურიანო და ყოველნი რომელნი დამკუდრებულ ხართ იერუსალჵმს! ესე თქუენდა ცხად იყავნ და ყურად-იხუენით სიტყუანი ჩემნი,
15. რამეთუ არა, ვითარ თქუენ ჰგონებთ, ვითარმედ ამათ სთრავს, რამეთუ არს ჟამი ღღისაჲ ამის მესამე.
16. არამედ ესე არს თქუმული იგი იოელ წინაწარმეტყუელისა მიერ:
17. და იყოს უკუანაჲსკნელთა ღღეთა, – იტყჳს უფალი ღმერთი, – მიეჰფინო სულისაგან ჩემისა ყოველსა ზედა კორციელსა და წინაწარმეტყუელებდენ ძენი თქუენნი და ასულნი თქუენნი და ჭაბუკნი თქუენნი ხილვასა იხილვიდენ და მოხუცებულთა თქუენთა ჩუენებით განვეცხადო,
18. და მონათა ჩემთა ზედა და მკევალთა ჩემთა ზედა მათ ღღეთა შინა მიეჰფინო სულისაგან ჩემისა და წინაწარმეტყუელებდენ.

19. და ვსცე ნიშებ ცათა შინა და სასწაულ ქუეყანასა ზედა, სისხლი და ცეცხლი და არმური კუამლისაჲ;
20. მზე გარდაიქცეს ბნელად და მთოვარე სისხლად პირველ ვიდრე მოწევნაღმდე დღისა მის უფლისა დიდისა და განჩინებულისა.
21. და იყოს ყოველმან რომელმან ჰხადოს სახელსა უფლისასა, ცხოვნდეს.
22. კაცნო ისრაიტელნო, ისმინენით სიტყუანი ესე: იესუ ნაზარეველი, კაცი განჩინებული ღმრთისა მიერ თქუენდა მიმართ, ძალითა და ნიშებითა და სასწაულებითა, რომელნი-იგი ქმნა ღმერთმან მის მიერ შორის თქუენსა, ვითარცა-იგი თქუენცა უწყით,
23. ესე განჩინებულითა გრახვითა და წინაჲსწარ ცნობითა ღმრთისაჲთა განცემითა კელთა უსჯულოთაჲთა მიიყვანეთ და შეჰმსჭუალეთ და მოჰკალთ,
24. რომელი-იგი ღმერთმან აღადგინა და დაჰსნნა სალმობანი სიკუდილისანი, რამეთუ ვერ შესაძლებელ იყო დაყენებაჲ მისი მის მიერ.
25. რამეთუ დავით იტყუს მისთჳს: წინაჲსწარ ვხედევდ უფალსა, წინაშე ჩემსა არს მარადის, რამეთუ მარჯულ ჩემსა არს, რაჲთა არა შევიძრა,
26. ამისთჳს განიხარა გულმან ჩემმან და გალობდა ენაჲ ჩემი, უფროჲს კორცთაცა ჩემთა დაიმკჳდრონ სასოებით.
27. რამეთუ არა დაუტეო სული ჩემი ჯოჯოხეთს და არცა სცე წმიდასა შენსა ხილვად განსახრწნელი,
28. მაუწყენ მე, უფალო, გზანი ცხორებისანი და აღმავსო მე სიხარულითა პირისა შენისაჲთა.
29. კაცნო ძმანო, ჯერ-არს თქუმად განცხადებულად თქუენდა მიმართ მამათმთავრისა დავითისთჳს, რამეთუ აღესრულა და დაეფლა, და საფლავი მისი არს ჩუენ შორის ვიდრე მოდღენდელად დღედმდე.
30. წინაწარმეტყუელი უკუე იყო და იცოდა, რამეთუ ფიცით ეფუცა მას ღმერთი ნაყოფისაგან მუცლისა მისისა კორციელად აღდგინებად ქრისტე და დაჯდომად საყდართა მისთა.
31. წინაჲსწარ იცოდა და იტყოდა აღდგომისათჳს ქრისტესისა, რამეთუ არა დაშთა სული მისი ჯოჯოხეთს, არცა კორცთა მისთა იხილეს განსახრწნელი.
32. ესე იესუ აღადგინა ღმერთმან, რომლისა ვართ ჩუენ ყოველნი მოწამე;
33. მარჯუენითა უკუე მისითა ამაღლდა და აღთქუმაჲ სულისა წმიდისაჲ მოიღო მამისაგან და მოჰფინა, რომელსა-ესე აწ თქუენ ხედავთ და გესმის.

34. რამეთუ არა დავით ამაღლდა ზეცად, ვითარცა იტყჳს იგივე, ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა,
35. ვიდრემდის დაესხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერჴთა შენთა.
36. განცხადებულად უკუე უწყოდეს ყოველმან სახლმან ისრაჱლისამან, რამეთუ უფალ და ცხებულ ყო იგი ღმერთმან, ესე იესუ, რომელი თქუენ ჯუარს-აცუთ.
37. ესმა რაჲ ესე, შეინანეს გულითა და პრქუეს პეტრეს და სხუათა მათ მოციქულთა: რაჲმე ვყოთ, კაცნო ძმანო?
38. ხოლო პეტრე ჰრქუა მათ: შეინანეთ და ნათელ-იღეთ კაცად-კაცადმან თქუენმან სახელითა უფლისა იესუ ქრისტესითა მისატევებელად ცოდვათა, და მიიღოთ ნიჭი სულისა წმიდისაჲ.
39. რამეთუ თქუენი არს აღთქუმაჲ და შვილთა თქუენთაჲ და ყოველთა შორიელთაჲ, რაოდენთა მოუწოდის უფალმან ღმერთმან ჩუენმან.
40. და სხჳთაცა მრაელითა სიტყჳთა უწამებდა, ჰლოცვიდა მათ და ეტყოდა: ცხოვნდით ნათესავისა ამის დრკუჲსაგან.
41. და რომელთა-იგი სიხარულით შეიწყნარეს სიტყუაჲ მისი, ნათელ-იღეს და შეეძინნეს მას დღესა შინა სულნი ვითარ სამ ათასნი ოდენ.
42. და იყვნეს განკრძალულ მოძღურებასა მას მოციქულთასა და ზიარებასა და განტეხასა პურისასა და ლოცვასა.
43. და იყო ყოველსა ზედა სულსა შიში, და მრაჳალნი ნიშები და სასწაულები მოციქულთა მიერ იქმნებოდა.
44. ყოველნივე მორწმუნენი იყვნეს ერთბამად, და აქუნდა ყოველივე ზოგად.
45. და დაბნებსა და მონაგებსა განჰყიდდეს და განუყოფდეს მას ყოველთა, ვითარცა ვის რაჲ უკმდა.
46. და დღითი-დღედ განკრძალულ იყვნეს ტაძარსა მას შინა, აკურთხევდეს სახლ-მდაბრ პურსა, მიიღებდეს საზრდელსა მხიარულითა და განმარტებულითა გულითა,
47. აქებდეს ღმერთსა, და აქუნდა მადლი ყოველისა მიმართ ერისა. ხოლო უფალი შესძინებდა ცხოვნებულთა დღითი-დღედ ეკლესიასა.

3

1. პეტრე და იოვანე აღვიდოდეს ტაძარსა მას ჟამსა ოდენ ლოცვისასა, ცხრა ჟამს.
2. და კაცი ვინმე იყო მკელობელი დედის მუცლითგან თჳსით, რომელი-იგი აღიკიდიან და დასჯან დღითი-დღედ ბჭეთა თანა მის ტაძრისათა, რომელთა ერქუა შუენიერ, თხოვად ქვე-

ლის-საქმისა შემავალთაგან ტაძრად,
3. რომელმან ისილა პეტრე და იოვანე, შე-რაჲ-ვიდოდეს ტაძრად, და ითხოვდა ქველის-საქმესა მათგან.
4. მიჰხედა მას პეტრე იოვანეთურთ და ჰრქუა: მოისილე ჩუენდა.
5. ხოლო იგი ჰხედვიდა მათ და ელოდა მოღებად რასმე მათგან.
6. ჰრქუა მას პეტრე: ვეცხლი და ოქროჲ არა მაქუს ჩუენ, ხოლო რომელი მაქუს, გცეთ შენ სასელითა იესუ ქრისტე ნაზარეველისაჲთა: აღდეგ და ვიდოდე!
7. და უპყრა კელი მარჯუენე მისი და აღადგინა. და მეყსეულად განუმტკიცნეს ფერკნი მისნი და კოჭნი.
8. და ხლდომით აღდგა და ვიდოდა, და შევიდა მათ თანა ტაძარსა მას, და ვიდოდა და სლდებოდა და აქებდა ღმერთსა.
9. და ისილა იგი ყოველმან ერმან, ვიდოდა რაჲ და აქებდა ღმერთსა;
10. იცოდეს იგი, რამეთუ იგი იყო, რომელი ქველის-საქმისათჳს გინ ბჭეთა თანა შუენიერთა ტაძრისათა. და აღივსნეს იგინი შიშითა და საკჳრველებითა, რომელი იქმნა მის ზედა.
11. და ვითარ-იგი ეპყრა განკურნებულსა მას მკელობელსა პეტრე და იოვანე, შეკრბებოდა მათა ყოველი ერი სტოასა მას, რომელსა ჰრქჳან სოლომონისი, საკჳრველებისა მისთჳს.
12. ვითარცა ისილა პეტრე, ჰრქუა ერსა მას: კაცნო ისრაიტელნო, რაჲსა გიკჳრს ამას ზედა? ანუ ჩუენ რაჲსა გუხედაეთ ვითარცა თჳსითა ძალითა გინა ღმრთის მსახურებითამცა გუექმნა სლვაჲ მაგისი?
13. ღმერთმან აბრაჰამისმან და ისაკისმან და იაკობისმან, ღმერთმან მამათა ჩუენთამან ადიდა ძე თჳსი იესუ, რომელი თქუენ მიეცით და უარ-ჰყაეთ წინაშე პილატესა, რომელმან საჯა განტევებაჲ მისი.
14. ხოლო თქუენ წმიდაჲ იგი და მართალი უარ-ჰყაეთ და ითხოვეთ კაცი იგი კაცის მკლველი მიმადლებად თქუენდა.
15. ხოლო წინამძღუარი იგი ცხორებისაჲ მოჰკალთ, რომელი ღმერთმან აღადგინა მკუდრეთით, რომლისა ვართ ჩუენ მოწამე.
16. და სარწმუნოებითა სახელისა მისისაჲთა, ამას რომელსა ჰხედავთ და იცით, განამტკიცა სახელმან მისმან. და სარწმუნოებამან მის მიერმან მოსცა მას სიცოცხლე ესე წინაშე თქუენ ყოველთა.
17. და აწ უწყი, ძმანო, რამეთუ უმეცრებით ჰქმენით, ვითარცა-

-იგი მთავართა თქუენთა.
18. ხოლო ღმერთმან რომელი-
-იგი წინაჲსწარ აღუთქუა პირი-
თა ყოველთა წინაწარმეტყუ-
ელთა თჳსთაჲთა ვნებაჲ ქრის-
ტესი, აღასრულა ესრეთ.
19. შეინანეთ უკუე და მოიქე-
ცით, რაჲთა აღიკოცნენ ცოდვა-
ნი თქუენნი,
20. რაჲთა, რაჟამს მოიწინენ
ჟამნი განსუენებისანი პირისა-
გან უფლისა, და მოაველინოს,
რომელსა-იგი კელი შეჰყავთ
თქუენ, ქრისტე იესუ,
21. რომლისა-იგი ჯერ-არს გეშ-
თა შეწყნარებაჲ ვიდრე ჟამად-
მდე კუალად-გებისა ყოველთა,
რომელთა იტყოდა ღმერთი სა-
უკუნითგან პირითა ყოველთა
წმიდათა წინაწარმეტყუელთა
მისთაჲთა.
22. რამეთუ მოსე თქუა მამათა
მიმართ, ვითარმედ: წინაწარ-
მეტყუელი აღგიდგინოს თქუენ
უფალმან ღმერთმან ძმათაგან
თქუენთა, ვითარცა-ესე მე; მისი
ისმინეთ ყოელისა მისებრ, რო-
მელსა გეტყოდის თქუენ.
23. და იყოს ყოველმან სულმან
რომელმან არა ისმინოს მის
წინაწარმეტყუელისაჲ, მოისპოს
იგი ერისაგან.
24. და ყოველნი წინაწარმეტყუ-
ელნი სამოელისითგან და შემ-
დგომითი-შემდგომად რაოდენ-
ნი იტყოდეს და წინაჲსწარ
უთხრობდეს დღეთა ამათ.
25. რამეთუ თქუენ ხართ შვილ-
ნი წინაწარმეტყუელთანი და
აღთქუმისანი, რომელი-იგი აღუ-
თქუა ღმერთმან მამათა ჩუენ-
თა და პრქუა აბრაჰამს, ეი-
თარმედ: ნათესაჲისა შენისა მი-
მართ იკურთხეოდიან ყოველნი
ტომნი ქუეყანისანი.
26. თქუენ პირველად აღგიდგი-
ნა ღმერთმან ძე თჳსი იესუ,
რომელი-იგი მოაველინა მაკურ-
თხეველად თქუენდა, რაჲთა
მოიქცეთ კაცად-კაცადი უკეთუ-
რებისაგან თქუენისა.

4

1. და ვიდრე ეტყოდეს-ღა იგინი
ერსა მას, მოიწინეს მათ გედა
მღდელნი იგი და ერისთაჲი იგი
ტაძრისაჲ მის და სადუკეველნი,
2. ლმობილნი და მკსინვარენი
სწავლისა მისთჳს ერისა და
მითხრობისა იესუჲს მიერ აღ-
დგომისათჳს მკუდრეთით,
3. და დაასხნეს მათ გედა კელნი
მათნი და მისცნეს იგინი დამარ-
ხვად ხვალისა, რამეთუ შემწუხ-
რდებოდა.
4. და მრავალთა, რომელთა ეს-
მა სიტყუაჲ იგი მათი, პრწმენა;
და იყო რიცხჳ იგი მორწმუნე-
თაჲ მათ ვითარ ხუთ ათას
ოდენ.
5. და იყო ხვალისაგან შეკრე-
ბაჲ მთავართა მათთაჲ და ხუ-
ცესთაჲ და მწიგნობართაჲ იე-
რუსალჱმს,

6. და ანა მღდელთ-მოძღუარი და კაიაფა, და იოვანე და ალექსანდრე და რაოდენნი იყვნეს ნათესავისაგან მღდელთ-მოძღუართაჲსა.
7. და დააყენნეს იგინი შორის მათსა და ჰკითხვიდეს: რომლითა ძალითა, ანუ რომლითა სახელითა ჰქმენით თქუენ ესე?
8. მაშინ პეტრე აღიესო სულითა წმიდითა და ჰრქუა მათ: მთავარნო ერისანო და მოხუცებულნო ისრაჱლისანო,
9. უკუეთუ ჩუენ დღეს განვიკითხვით ქველის-საქმესა ზედა კაცისა უძლურისასა, რომლითა ესე ცხონდა,
10. ცხად იყავნ თქუენ ყოველთა და ყოელისა ერისა ისრაჱლისა, ვითარმედ სახელითა იესუ ქრისტე ნაზარეველისაჲთა, რომელი თქუენ ჯუარს-აცუთ, რომელი-იგი ღმერთმან აღადგინა მკუდრეთით, ამის მიერ დგას ესე წინაშე თქუენსა ცოცხალი.
11. ესე არს ლოდი იგი, რომელი შეურაცხ იქმნა თქუენ მიერ მაშენებელთა, რომელი იქმნა თაე საკიდურთა,
12. და არავინაჲ არს სხჳთ ცხორებაჲ და არცაღა არს სახელი სხუაჲ ცასა ქუეშე მოცემული კაცთა, რომლითამცა ჯერ-იყო ცხორებაჲ ჩუენდა.
13. ხოლო იგინი ხედვიდეს რაჲ პეტრესსა მას განცხადებულებასა და იოვანესსა, და უწყოდეს, რამეთუ კაცნი უწიგნონი არიან და უმეცარნი, დაუკჳრდა, იცოდნეს იგინი, რამეთუ იესუჲს თანა იყვნეს.
14. და კაცსა მას ხედვიდეს მათ თანა მდგომარესა განკურნებულსა და ვერ ეძლო მათა ცილობად.
15. და ბრძანეს განსლვაჲ მათი გარეშე კრებულისაგან, იტყოდეს ურთიერთას
16. და თქუეს: რაჲ-მე უყოთ კაცთა ამათ, რამეთუ სასწაული განცხადებული იქმნა მათ მიერ, ყოველთა შორის მკუდრთა იერუსალჱმისათა ჩანს და ვერ კელ-გუეწიფების უარის-ყოფად?
17. არამედ რაჲთა არა უფროჲს განითქუას ერსა შორის, შინებით უთქუმიდეთ მათ, რაჲთა არა უთხრობდენ სახელითა ამით არავის კაცსა.
18. და მოუწოდეს მათ და ამცნეს ყოველითურთ არა სიტყუაჲ, არცა სწავლაჲ სახელითა იესუჲსითა.
19. ხოლო პეტრე და იოვანე მიუგეს და ჰრქუეს მათ: უკუეთუ სამართალ არს წინაშე ღმრთისა თქუენი სმენაჲ უფროჲს, ანუ ღმრთისაჲ, საჯეთ.
20. რამეთუ ჩუენ ვერ კელ-გუეწიფების, რომელი-იგი გუესმა და ვიხილეთ, ვითარმცა არა ვიტყოდეთ.
21. ხოლო იგინი ამას ზედა უთ-

ქუმიდეს-ეე და განუტევნეს, რამეთუ ვერ ჰპოებდეს, ვითარმცა ტანჯნეს იგინი ერისა მისთჳს, რამეთუ ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა საქმისა მისთჳს.

22. რამეთუ უმეტეს ორმეოცისა წლისა იყო კაცი იგი, რომელსა ზედა იქმნა სასწაული ესე კურნებისაჲ.

23. ხოლო ესენი, ვითარცა განუტევნეს მათ, მოვიდეს თჳსთა თანა და უთხრეს მათ, რაჲ-იგი მღდელთ-მოძღუართა და მოხუცებულთა პრქუეს მათ.

24. ხოლო მათ, ვითარცა ესმა ესე, აღიღეს ერთბამად კმაჲ ღმრთისა მიმართ და თქუეს: უფალო ღმერთო, შენ ხარ, რომელმან ჰქმენ ცანი და ქუეყანაჲ და ზღუაჲ და ყოველი, რაჲ არს მათ შინა,

25. რომელმან მამისა ჩუენისა დავით მონისა შენისა პირითა სთქუ სულისა მიერ წმიდისა: რად აღიძრნეს წარმართნი და ერმან იზრახა ცუდი?

26. მოვიდეს მეფენი ქუეყანისანი და მთავარნი შეკრბეს ერთად უფლისათჳს და ცხებულისა მისისათჳს.

27. რამეთუ შეკრბეს ჭეშმარიტად ქალაქსა ამას წმიდასა ძესა შენსა ზედა იესუს, რომელსა შენ სცხე, ჰეროდე და პონტიელი პილატე თესლებითურთ ერისა თანა ისრაჱლისა,

28. საქმედ, რაოდენი კელმან შენმან და ბრახჳამან შენმან წინაჲსწარ განაჩინა ყოფად.

29. და აწცა, უფალო, მოხედენ თქუმასა ამას მათსა ზედა და მოეც მონათა შენთა ყოელითა განცხადებულებითა სიტყუად სიტყჳსა შენისა,

30. განრთხმად კელი შენი კურნებად და სასწაულებისა და ნიშებისა ყოფად სახელითა წმიდისა ძისა შენისა იესუჲსითა.

31. და ლოცვასა მათსა შეიძრა ადგილი იგი, სადა იყუენეს შეკრებულ, და აღივსნეს ყოველნი სულითა წმიდითა და იტყოდეს სიტყუასა მას ღმრთისასა განცხადებულად.

32. ხოლო სიმრაველისა მის მორწმუნეთაჲსა იყო გული და გონებაჲ ერთ, და არცა ერთმან ვინ თქჳს მონაგები მისი თჳსად, არამედ იყო ყოველივე მათდა ზოგად.

33. და ძალითა დიდითა ჰყოფდეს მოციქულნი წამებასა მას აღდგომისასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა. და მაღლი დიდი იყო მათ ყოველთა ზედა,

34. და არავინ იყო ნაკლ̈ულეან მათ შორის, რამეთუ რომელნი-იგი პოვნიერ იყუენეს სახლებისა გინა დაბნებისა, განჰყიდდეს და მოაქუნდა სასყიდელი განსყიდულთაჲ მათ

35. და დასდებდეს ფერჴთა თანა მოციქულთასა, და მიეცემოდა კაცად-კაცადსა, რაჲცა ვის უკ-

მდა.
36. ხოლო იოსებ, რომელსა ეწოდა ბარნაბა მოციქულთა მიერ, რომელი გამოითარგმანების ძე ნუგეშინის-ცემისაჲ, ლევიტელი კუპრელი ნათესავით,
37. ამას აქუნდა დაბაჲ და განყიდა იგი და მოიღო ფასი და დადვა ფერჴთა თანა მოციქულთასა.

5

1. კაცი ვინმე იყო ანანია სახელით, საპფირის თანა ცოლისა მისისა განყიდა დაბაჲ
2. და გამოაკუა სასყიდლისა მისგან,— უწყოდა ესე ცოლმანცა მისმან,— და მოიღო ზოგი რაოდენიმე და დადვა ფერჴთა თანა მოციქულთასა.
3. ხოლო პეტრე ჰრქუა მას: ანანია, რაჲსათჳს აღავსო გული შენი ეშმაკმან ცრუებად სულისა წმიდისა და გამოკუებად სასყიდელსა მის დაბისასა?
4. ანუ არა, იყო რაჲ, შენი იყო და, გან-რაჲ-ჰყიდე, კელმწიფებასვე შენსა იყოა? და რაჲსათჳს დაიდევ საქმე ესე გულსა შენსა? არა ეცრუე შენ კაცთა, არამედ ღმერთსა.
5. ვითარცა ესმნეს სიტყუანი ესე ანანიას, დაეცა და სულნი წარჰკდეს. და დაეცა შიში დიდი ყოველთა, რომელთა ესმა ესე.
6. და აღდგეს ჭაბუკნი და შემოსეს იგი და განიღეს და დაჰფლეს.
7. და იყო ეითარ სამისა ოღენ ჟამისა დაყოენება, და ცოლმან მისმან არა უწყოდა საქმე ესე, და შეეიდა.
8. ჰრქუა მას პეტრე: მითხარ მე, უკუეთუ ესოდენის განპყიდეთ დაბაჲ იგი? ხოლო მან ჰრქუა: ჰე, ეგოდენის.
9. ჰრქუა მას პეტრე: რაჲსათჳს ესრეთ შეითქუენით თქუენ განცდად სულსა უფლისასა? ანუ არა აჰა ესერა ფერჴნი დამფლველთა ქმრისა შენისათანი კართა ზედა დგანან და განგიღონ შენცა?
10. და დაეცა მეყსეულად ფერჴთა თანა მისთა და სულნი წარჰკდეს. შეეიდეს ჭაბუკნი იგი და პოვეს იგი მომკუდარი და განიღეს და დაჰფლეს ქმრისა მისისა თანა.
11. და იყო შიში დიდი ყოველსა მას ზედა კრებულსა და ყოველთა, რომელთა ესმა ესე.
12. ხოლო კელითა მოციქულთაჲთა იქმნებოდა სასწაულები და ნიშები მრავალი ერსა შორის და იყვნეს ყოველნი ერთბამად სტოასა მას სოლომონისსა.
13. ხოლო სხუათა მათ ვერვის ძალ-ედვა შეხებად მათდა, რამეთუ ადიდებდა მათ ერი იგი.
14. უფროჲს-ღა შეეძინებოდეს მორწმუნენი უფალსა, სიმრავე-

ლე მამათაჲ და დედათაჲ,
15. ვითარმედ უბანთაცა გედა გამოაქუნდეს უძლურნი და დასდგმიდეს ცსედრებითა და საკაცებითა, რაჲთა მოსლვასა მას პეტრესსა აჩრდილი ოდენ ვისმე მისი შეადგეს მათგანსა.
16. და შეკრბებოდა სიმრავლე გარემო ქალაქებისაჲ იერუსალ҃მს და მოაქუნდეს უძლურნი და შეპყრობილნი სულთაგან არაწ҃მიდათა და განიკურნებოდეს ყოველნი.
17. აღდგა მღდელთ-მოძღუარი იგი და ყოველნი მისთანანი, რომელ-იგი იყო წ҃ვალებაჲ საღუკეველთაჲ, აღიესნეს შურითა.
18. და დაასხნეს კელნი მათნი მოციქულთა გედა და შესხნეს იგინი საპყრობილესა შინა დამარსვად სვალისამდე.
19. ხოლო ანგელოზ҃მან უფლისამან ღამე განუხუნა კარნი საპყრობილისანი და გამოიყვანნა იგინი და ჰრქუა:
20. მიედით და დადეგით და ეტყოდეთ ტაძარსა შინა ერსა მას ყოველთა მათ სიტყუათა ამის ცხორებისათა.
21. ხოლო მათ ეითარცა ესმა ესე, შეიდეს ცისკარს ოდენ ტაძრად და ასწ҃აებდეს. მაშინ მოვიდა მღდელთ-მოძღუარი იგი და მისთანანი, და მოუწ҃ოდეს შესაკრებელსა მას და ყოველთა მოხუცებულთა ძეთა ისრაჱლისათა, და მიაელინნეს საპყრობილედ მოყუანებად მოციქულთა.
22. ხოლო მი-რაჲ-ვიდეს მსახურნი იგი, არა პოენეს იგინი საპყრობილესა შინა და მოიქცეს იგინი
23. და უთხრეს მათ და ჰრქუეს, ვითარმედ: საპყრობილე იგი ვპოეთ დაკ҃ული ყოვლითა კრძალულებითა და მცველნი იგი მდგომარენი წ҃ინაშე კართა; ხოლო გან-რაჲ-ვაღეთ, შინა არავინ ვპოეთ.
24. და ვითარცა ესმნეს სიტყუანი ესე ერისთაესა მას ტაძრისასა და მღდელთ-მოძღუართა, განიზრახვიდეს მათთჳს, ვითარმედ: რაჲმე იქმნა ესე?
25. მო-ვინმე-ვიდა და უთხრა მათ და ჰრქუა, ვითარმედ: აჰა ეგერა კაცნი იგი, რომელნი თქუენ შესხენით საპყრობილესა, არიან ტაძარსა შინა, დგანან და ასწ҃ავებენ ერსა.
26. მაშინ წ҃არვიდა ერისთაჳი იგი მსახურთა თანა და მოიყვანნა იგინი არა ძლით, რამეთუ ეშინოდა ერისა მის, ნუუკუე ქვაჲ დაჰკრიბონ.
27. და ვითარცა მოიყვანნეს იგინი დააყ҃ენნეს შორის კრებულსა და ჰკითხვიდა მათ მღდელთ-მოძღუარი იგი
28. და ჰრქუა: არა მცნებით გამცენით თქუენ, რაჲთა არღარა ასწ҃ავებდეთ სახელითა ამით, და აჰა ესერა აღგიესიეს იერუ-

სალმი მოძღურებითა თქუენითა და ენებავს მოწევნაღ ჩუენ ზედა სისხლი კაცისაჲ ამის?
29. მიუგო პეტრე და მოციქულთა და ჰრქუეს: მორჩილებაჲ ჯერ-არს ღმრთისაჲ უფროჲს ვიდრე კაცთაჲ.
30. ღმერთმან მამათა ჩუენთამან აღადგინა იესუ, რომელსა--იგი თქუენ კელნი შეასხენით და დამოჰკიდეთ ძელსა;
31. ესე ღმერთმან წინამძღურად და მაცხოვრად აღამაღლა მარჯუენითა თჳსითა მიცემად სინანული ისრაჱლსა და მოტევებაჲ ცოდეათაჲ,
32. და ჩუენ ვართ მოწამე მისა სიტყუათა ამათ და სული წმიდაჲ, რომელ მოსცა ღმერთმან მორწმუნეთა მისთა.
33. ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე, განიხერხებოდეს და განიზრახვიდეს მოკლვასა მათსა.
34. ხოლო აღ-ვინმე-დგა კრებულსა მას შორის ფარისეველი, სახელით გამალიელ, სჯულის მოძღუარი, პატიოსანი ყოველსა ერსა შორის, და ბრძანა მცირედ გარე განყვანებაჲ მოციქულთაჲ,
35. და ჰრქუა მათ: კაცნო ისრაიტელნო, ეკრძალენით თავთა თქუენთა კაცთა ამათგან, რაჲ გეგულების ყოფად?
36. რამეთუ უწინარეს ღეთა ამათ აღდგა თევდა და იტყოდა თავსა თჳსსა, ვითარმედ არს ვინმე, რომელსა მისდევდეს კაცნი რიცხჳთ ვითარ ოთხას ოდენ, რომელ იგიცა მოისპო, და ყოველნი მორჩილნი მისნი განიბნინეს და იქმნნეს ვითარცა არარაჲ.
37. ამისა შემდგომად აღდგა იუდა გალილეველი ღეთა მათ სოფლის წერისათა და განიდგინა ერი მრავალი შემდგომად მისსა; და იგიცა წარწყმდა და ყოველნი მორჩილნი მისნი განიბნინეს.
38. და აწცა გეტყჳ თქუენ: განეშორენით კაცთა ამათგან და უტევენით იგინი. რამეთუ, უკუეთუ არს კაცთაგან ბრახვაჲ ესე გინათუ საქმე ესე, დაჰკსნდეს;
39. ხოლო უკუეთუ ღმრთისაგან არს, ვერ კელ-გეწიფების დაჯსნად მისა, ნუუკუე ღმრთის მოლალეცა იპოვნეთ. ხოლო იგინი ერჩდეს მას.
40. და მოუწოდეს მოციქულთა, ტანჯნეს იგინი და ამცნეს, რაჲთა არღარა იტყოდიან სახელითა იესუჲსითა, და განუტევნეს იგინი.
41. ხოლო იგინი წარვიდეს პირისაგან მის კრებულისა და უხაროდა, რამეთუ ღირს იქმნნეს სახელისა მისისათჳს გინებად.
42. და ყოველსა დღესა ტაძარსა მას შინა და სახლსა არა დასცხრებოდეს მოძღურებითა და სახარებითა იესუ ქრისტესითა.

6

1. ამათ დღეთა შინა განმრავლებასა მას მოწაფეთასა იყო დრტჳნვაჲ ბერძენთაჲ ებრაელთა მიმართ, რამეთუ უგულებელს-იქმნებოდა მსახურებაჲ იგი დღითი-დღედი ქურიეთა მათთაჲ.
2. მაშინ მოუწოდეს ათორმეტთა მათ სიმრავლესა მას მოწაფეთასა და ჰრქუეს: არა სათნო არს ჩუენდა დატეებაჲ სიტყჳსა ღმრთისაჲ და მსახურებაჲ ტაბლებსა.
3. აწ გამოირჩიენით, ძმანო, კაცნი თქუენგანნი, რომელნი წამებულ იყვნენ შჯდნი, სავსენი სულითა წმიდითა და სიბრძნითა, რომელნი დავადგინნეთ საქმარსა ამას ზედა,
4. ხოლო ჩუენ ლოცეასა და მსახურებასა ამის სიტყჳსასა განვეკრძალნეთ.
5. და სათნო უჩნდა სიტყუაჲ ესე წინაშე ყოელისა მის სიმრავლისა. და გამოირჩიეს სტეფანე, კაცი სავსე სარწმუნოებითა და სულითა წმიდითა, და ფილიპე და პროხორონ და ნიკანორა და ტიმონა და პარმენა და ნიკოლაოს, მწირი ანტიოქელი,
6. და დაადგინნეს წინაშე მოციქულთა და ილოცეს, და დაასხნეს მათ ზედა ქელნი მათნი.
7. და სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ აღორძნდებოდა და განმრავლდებოდა რიცხჳ იგი მოწაფეთაჲ იერუსალჱმს შინა ფრიად და მრაჳალი ერი მღდელთაჲ მათ ერჩდა სარწმუნოებასა.
8. ხოლო სტეფანე საესე იყო მადლითა და ძალითა, იქმოდა სასწაულებსა და ნიშებსა დიდ-დიდსა ერსა შორის.
9. აღ-ვინმე-დგეს კრებულისა მისგან, რომელსა ჰრქჳან ლიბირტიმელთაჲ და კჳრინელთაჲ და ალექსანდრელთაჲ და კილიკიაჲთ და ასიაჲთ, და გამოეძიებდეს სტეფანეს თანა სიტყუასა,
10. და ვერ შეუძლებდეს წინა დადგომად სიბრძნითა მით და სულითა წმიდითა, რომლითა იტყოდა იგი.
11. მაშინ აბირნეს ვინმე კაცნი, რომელნი იტყოდეს, ვითარმედ: გუესმნეს მაგისგან სიტყუანი გმობისანი, რომელთა იტყოდა მოსესთჳს და ღმრთისა.
12. და აღძრეს ერი იგი და მოხუცებულნი და მწიგნობარნი და ზედა მიადგეს და აღიტაცეს იგი და მოიყვანეს წინაშე კრებულისა,
13. და წარმოადგინნეს მოწამენი ცრუნი, რომელთა თქუეს: კაცი ესე არა დასცხრების სიტყუად სიტყუათა გმობისათა ადგილისა ამისთჳს წმიდისა და სჯულისა,
14. რამეთუ გუესმა მაგისგან, იტყოდა რაჲ, ვითარმედ: იესუ ნაზარეველმან ამან დაარღჳოს

ადგილი ესე და ცვალოს სჯული, რომელი მომცა ჩუენ მოსე.
15. და მისხედეს მას ყოველთა, რომელნი სხდეს კრებულსა შინა, და ისილეს პირი მისი ვითარცა პირი ანგელოზისაჲ.

7

1. ჰრქუა მას მღდელთ-მოძღუარმან მან: უკუეთუ ესე ესრეთ არსა?
2. სოლო მან თქუა: კაცნო, ძმანო და მამანო, ისმინეთ ჩემი! ღმერთი დიდებისაჲ ეჩუენა მამასა ჩუენსა აბრაჰამს, ვიდრე იყო-ღა იგი შუა მდინარეს, პირველ დამკჳდრებისა მისისა ქარანს შინა, და ჰრქუა მას:
3. გამოვედ ქუეყანისაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა და მოვედ ქუეყანად, რომელი მე გიჩუენო შენ.
4. მაშინ გამოვიდა ქუეყანისაგან ქალდეველთაჲსა და დაეშენა ქარანს შინა. და მიერ შემდგომად სიკუდილისა მამისა მისისა დაამკჳდრა იგი ქუეყანასა ამას, რომელსა-ესე აწ თქუენ დამკჳდრებულ ხართ.
5. და არა სცა მას სამკჳდრებელი მას შინა, არცა ფერკის წარსადგმელ, და აღუთქუა მიცემად მას იგი სამჳდრებელად და ნათესავსა მისსა შემდგომად მისსა. და არა ესუა მას შეილი.
6. ეტყოდა მას ღმერთი ესრეთ, ვითარმედ: მწირ იყოს ნათესავი შენი ქუეყანასა უცხოსა, და დაიმონებდენ მათ და ძჳრსა უყოფდენ ოთხას წელ.
7. და ნათესავი იგი, რომელსა ჰმონებდენ, ესაჯო მე, თქუა უფალმან, და ამისა შემდგომად გამოვიდენ და მმსახურებდენ მე ქუეყანასა ამას.
8. და მოსცა მას სჯული წინა-დაცუეთისაჲ, და მან შვა ისაკი და წინა-დასცჳთა მას მერვესა დღესა, და ისაკმან — იაკობსა, და იაკობმან — ათორმეტთა მათ მამათმთავართა.
9. და მამათმთავარნი იგი ეშურებოდეს იოსებს და განყიდეს იგი ეგჳპტეს. და იყო ღმერთი მის თანა.
10. და განარინა იგი ყოველთაგან ჭირთა მისთა და მოსცა მას მადლი და სიბრძნე წინაშე ფარაო მეფისა მეგჳპტელთაჲსა და დააღგინა იგი მთავრად ეგჳპტესა ზედა და ყოველსა ზედა სახლსა მისსა.
11. იყო სიყმილი ეგჳპტეს და ყოველსა ქუეყანასა ქანანისასა და ჭირი დიდი, და არა ჰპოებდეს საზრდელსა მამანი ჩუენნი.
12. ხოლო ესმა იაკობს, ვითარმედ არს საზრდელი ეგჳპტეს, წარავლინნა მამანი ჩუენნი პირველად.
13. და მეორესა ჯერსა გამოეცხადა იოსებ ძმათა თჳსთა. და განეცხადა ფარაოს ნათესავი იოსებისი.

14. და მიაველინა იოსებ და მოუწოდა მამასა თჳსსა იაკობს და ყოველსა ნათესაესა მისსა, სულსა სამეოც და ათსუთმეტსა.
15. და შთავიდა იაკობ ეგჳპტედ და აღესრულა იგი და მამანი ჩუენნი.
16. და მოისუნეს იგინი სჳქემდ და დაისხნეს საფლავსა მას, რომელ მოიგო აბრაჰამ სასყიდლითა ვეცხლისაჲთა ძეთაგან ემორისთა სჳქემს.
17. და ვითარცა მოეახლა ჟამი იგი აღთქუმისაჲ, რომლისათჳს ეფუცა ღმერთი აბრაჰამს, აღორძნდა ერი იგი და განმრაელდა ეგჳპტეს შინა,
18. ვიდრემდის აღდგა სხუაჲ მეფე ეგჳპტესა ზედა, რომელმან არა იცოდა იოსები.
19. ესე ჰმძლავრობდა ნათესავსა ჩუენსა და ბოროტსა უყოფდა მამათა ჩუენთა და გარე-განუთხევდა ყრმათა მათთა, რაჲთა არა ცხოვნდენ,
20. რომელსა ჟამსა იშვა მოსე. და იყო იგი მკჳრცხლ წინაშე უფლისა და იზარდებოდა სამ თუე სახლსა შინა მამისა თჳსისასა.
21. და ვითარცა განაგდეს იგი გარე, აღიქუა იგი ასულმან ფარაოჲსმან და განზარდა იგი თავისა თჳსისა შვილად.
22. და განისწავლა მოსე ყოველითა სიბრძნითა მეგჳპტელთაჲთა და იყო იგი ძლიერ სიტყჳთა და საქმითა მისითა,
23. და ვითარცა აღესრულნეს ორმეოცნი წელნი ჟამთა მისთანი, მოუჴდა გულსა მისსა მისედვად ძმათა თჳსთა ძეთა ისრაჱლისათა,
24. და იხილა ვინმე დაწუნებული, ერეოდა, და ყო შურისგებაჲ დაწუნებულისა მისთჳს და მოკლა მეგჳპტელი იგი.
25. ჰგონებდა, ვითარმედ გულისკმა-ყონ ძმათა მისთა, რამეთუ კელითა მისითა მოსცეს მათ ღმერთმან ცხორებაჲ, ხოლო მათ არა გულისკმა-ყვეს.
26. კუალად მეორესა დღესა იხილნა ვინმე მოლალენი, და დააგებდა მათ მშჳდობად და ჰრქუა: კაცნო, თქუენ ძმანი ხართ, რაჲსათჳს ავნებთ ურთიერთას?
27. ხოლო რომელი-იგი ავნებდა მოყუასსა, აჭენა მას და ჰრქუა: ვინ დაგადგინა შენ მთავრად და მსაჯულად ჩუენ ზედა?
28. ანუ ჩემიცა მოკლვაჲ გნებავს, ვითარ-იგი მოჰკალ გუშინ მეგჳპტელი იგი?
29. და ივლტოდა მოსე სიტყჳთა ამით და მწირობდა იგი ქუეყანასა მადიამისასა, სადა-იგი ესხნეს ორ ძე.
30. და ვითარცა აღესრულნეს ორმეოცნი წელნი, ეჩუენა მას უდაბნოსა მთისა სინისასა ანგელოზი უფლისაჲ ალითა ცეცხლისაჲთა მაყულოვნით.

31. სოლო მოსე იხილა რაჲ, დაუკჳრდა სილვაჲ იგი. და ვითარ მიეიდოდა განცდად, იყო მისა მიმართ კმაჲ უფლისაჲ:
32. მე ვარ ღმერთი მამათა შენთაჲ, ღმერთი აბრაჰამისი, ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი. შეძრწუნდა მოსე და ვერ ეძლო განცდად.
33. ჰრქუა მას უფალმან: წარიკაღენ სანდალნი ფერკთაგან შენთა, რამეთუ აღგილი ეგე, რომელსა ზედა სდგა, ქუეყანაჲ წმიდა არს,
34. ხილვით ვიხილე ჭირი ერისა ჩემისაჲ, რომელ არს ეგჳპტეს და სულ-თქუმანი მათნი მესმნეს და გარდამოვჴედ განრინებად მათა, და აწ მოვედ და მიგავლინო შენ ეგჳპტედ.
35. ესე მოსე, რომელი უარ-ყვეს და თქუეს: ვინ დაგადგინა შენ მთავრად და მსაჯულად ჩუენ ზედა, ესე ღმერთმან მთავრად და მჴსნელად მოუვლინა კელითა მის ანგელოზისაჲთა, რომელი ეჩუენა მაყულოვანსა მას შინა.
36. ამან გამოიყვანნა იგინი და ქმნა ნიშები და სასწაულები ქუეყანასა მას ეგჳპტისასა და ზღუასა მას მეწამულსა და უდაბნოსა ზედა ორმეოც წელ.
37. ესე არს მოსე, რომელმან-იგი ჰრქუა ძეთა ისრაჱლისათა, ვითარმედ: წინაწარმეტყუელი აღგიდგინოს თქუენ უფალმან ღმერთმან თქუენმან ძმათაგან თქუენთა ვითარცა ესე მე, მისი ისმინეთ.
38. ესე არს, რომელი იყო კრებულსა მას თანა უდაბნოსა ზედა ანგელოზისა მის თანა, რომელი ეტყოდა მას მთასა სინასა და მამათა ჩუენთა, რომელმან შეიწყნარნა სიტყუანი იგი ცხორებისანი მოცემად ჩუენდა.
39. რომელთაჲ არა ინებეს დამორჩილებად მამათა მათ ჩუენთა, არამედ განიშორნეს და მიიქცეს გულითა მათითა ეგჳპტედ.
40. ეტყოდეს აჰრონს: მიქმნენ ჩუენ ღმერთნი, რომელნი წინა მიძღოდიან ჩუენ, რამეთუ მოსე ესე, რომელმან გამომიყვანნა ჩუენ ქუეყანით ეგჳპტით, არა ვიცით, თუ რაჲ შეემთხჳა მას.
41. და ქმნეს კბოჲ მათ დღეთა შინა და შეწირეს მსხუერპლი კერპისა მის და იხარებდეს ქმნულსა კელთა მათთასა.
42. მიაქცინა და მისცნა იგინი ღმერთმან მსახურებად ძალთა ცისათა, ვითარცა წერილ არს წიგნსა წინაწარმეტყუელთასა: საკლველებსა ნუ და მსხუერპლებსა შესწირეედით ჩემდა უდაბნოსა ზედა ორმეოც წელ, სახლო ისრაჱლისაო?
43. და აღიღეთ კარავი იგი მოლოქისი და ვარსკულავი ღმრთისა თქუენისა რემფაჲსი, კერპნი იგი, რომელ ჰქმნენით

თაყუანის-საცემელად, და მიგ-
კაღნე თქუენ მიერ კერძო ბაბი-
ლოვნსა.
44. კარავი იგი საწამებელი იყო
მამათა ჩუენთა თანა უდაბნო-
სა ზედა, ვითარცა-იგი უბრძანა,
რომელი-იგი ეტყოდა მოსეს
საქმედ მისა მსგავსად სატისა
მის, რომელი-იგი ესილვა,
45. რომელცა-იგი შემოიღეს მა-
მათა ჩუენთა შემდგომითი-შემ-
დგომად იესუჲს თანა დამჴდრე-
ბასა მას წარმართთასა, რო-
მელნი-იგი მოსრნა ღმერთმან
პირისაგან მამათა ჩუენთაჲსა
ვიდრე დღეთადმდე დავითისთა,
46. რომელმან პოა მადლი წი-
ნაშე ღმრთისა და ითხოა პოე-
ნად საყოფელი ღმრთისა იაკო-
ბისი.
47. ხოლო სოლომონცა უშენა
მას სახლი.
48. არამედ არა თუ მაღალი იგი
კელით ქმნულთა ტაძართა ში-
ნა დამკჳდრებულ არს, ვითარ-
ცა წინაწარმეტყუელი იტყჳს:
49. ცანი საყდარნი ჩემნი და ქუ-
ეყანაჲ კუარცხლბეკი არს ფერ-
კთა ჩემთაჲ. ვითარი სახლი მი-
შენოთ მე, თქუა ღმერთმან, ანუ
რაჲ-მე აღგილი იყოს განსასუე-
ნებელისა ჩემისაჲ?
50. ანუ არა კელმან ჩემმან შექ-
მნა ესე ყოველი?
51. ქედ-ფიცხელნო და წინა-დაუ-
ცუეთელნო გულითა და სასმე-
ნელითა, თქუენ მარაღის სულ-
სა წმიდასა ანტაკრად წინა-
-აღუდგებით, ვითარცა მამანი
თქუენნი, ეგრეცა თქუენ.
52. რომელნიმე წინაწარმეტ-
ყუელთაგანნი არა დევნნეს მა-
მათა მათ თქუენთა? და მოსწყ-
ჳდნეს, რომელნი წინაჲსწარ
უთხრობდეს მოსლვასა მას
მართლისასა, რომლისა-იგი
თქუენ აწ შინა-განმცემელ და
მკლველ იქმნენით,
53. რომელთა მოიღეთ სჯული
ბრძანებისაებრ ანგელოზთაჲსა
და არა დაიმარხეთ.
54. ხოლო მათ ვითარცა ესმო-
და ესე, განისერხებოდეს გული-
თა მათითა და იღრჭენდეს მის
ზედა კბილთა მათთა.
55. ხოლო იგი საესე იყო სული-
თა წმიდითა, ახედნა ცაღ და
ისილა დიდებაჲ ღმრთისაჲ და
იესუ, მდგომარე მარჯუენით
ღმრთისა.
56. და თქუა: აჰა ესერა ვხედავ
ცათა განხუმულთა და ძესა კა-
ცისასა, მარჯუენით ღმრთისა
მდგომარესა.
57. ხოლო მათ კმითა მაღლითა
ღაღად-ყვეს და კელნი ყურთა
შეისხნეს და მიჰმართეს ერთბა-
მად მის ზედა;
58. და განიყვანეს გარეშე ქა-
ლაქსა და ქვასა დაჰკრებდეს.
და მკლველნი იგი დასდებდეს
სამოსელსა მათსა ფერკთა თა-
ნა ჭაბუკისა ეისთამე, რომელსა
სახელი ერქუა საულე.

59. და ქვასა დაჰკრებდეს სტეფანეს. ხოლო იგი ილოცვიდა და იტყოდა: უფალო იესუ ქრისტე, შეიეგდრე სული ჩემი.
60. დაიდგნა მუკლნი და კმითა დიდითა თქუა: უფალო, ნუ შეურაცხ ამათ ცოდვასა ამას. და ესე ეითარცა თქუა, დაიძინა.

8

1. ხოლო საულე იყო თანა-ჯერმჩინებელ მოკლვასა მისსა.
იყო მას დღესა შინა დეენულებაჲ დიდი ეკლესიათა მათ ზედა, რომელნი იყვნეს იერუსალჱმს. და ყოველნივე განიბნინეს სოფლებსა მას ჰურიასტანისასა და სამარიაჲსასა, თჳნიერ ხოლო მოციქულთა.
2. და შემოსეს სტეფანე კაცთა ღმრთის მოშიშთა და ყვეს ტყებაჲ დიდი მის ზედა.
3. ხოლო საულე ფრიად მავნებელ იყო ეკლესიათა მიმართ, სახლებსა შევიდოდა და ითრევდა მამებსა და დედებსა და მისცემდა საპყრობილედ.
4. და რომელნი-იგი მიმოდაიბნინეს, ვიდოდეს და ახარებდეს სიტყუასა მას ცხორებისასა.
5. ფილიპე შთავიდა ქალაქსა მას სამარიტელთასა და უქადაგებდა მათ ქრისტესა.
6. და ერჩდა ერი იგი სიტყუათა მათ ფილიპესთა ერთბამად სმენად მათდა და ხილვად სასწაულებსა მას, რომელსა იქმოდა.
7. რამეთუ მრავალთა რომელთა თანა იყო სულები არაწმიდები, ღაღადებდენ კმითა მაღლითა და განვიდიან. და მრავალნი განრღუეულნი და მკელობელნი განიკურნებოდეს.
8. და იყო სიხარული დიდი ქალაქსა მას შინა.
9. კაცი ვინმე იყო, რომელსა სახელი ერქუა სიმონ, წინაჲთვე იყო ქალაქსა მას შინა, ჰგრძნებდა და განაკჳრვებდა ნათესავსა მას სამარიტელთასა.
10. რომელსა ხედვიდეს ყოველნი, მცირითგან ვიდრე დიდამდე, და იტყოდეს, ვითარმედ: ესე არს ძალი ღმრთისაჲ დიდი.
11. ხოლო ერჩდეს მას, რამეთუ მრავლით ჟამითგან გრძნებითა განეკჳრვნეს იგინი.
12. და რაჟამს ჰრწმენა ფილიპესი, სახარებაჲ სასუფეველისათჳს ღმრთისა და სახელისათჳს იესუ ქრისტესისა, ნათელს-იღებდეს მამანი და დედანი.
13. და სიმონსცა თჳთ ჰრწმენა ვე და ნათელ-იღო, და იყო დადგრომილ ფილიპეს თანა. და ჰხედვიდა სასწაულებსა და ძალთა დიდთა, რომელნი-იგი იქმნებოდეს, და დაუკჳრდებოდა.
14. ესმა რაჲ უკუე მოციქულთა, რომელნი იყვნეს იერუსალჱმს, რამეთუ შეიწყნარეს სამარიას სიტყუაჲ ღმრთისაჲ, მიავლინნეს მათდა პეტრე და იოვანე,

15. რომელნი-იგი ვითარცა მიეიდეს, ლოცვა-ყვეს მათთჳს, რაჲთა მიიღონ სული წმიდაჲ.
16. რამეთუ მუნამდე არა იყო არცა ერთსა მათგანსა ზედა მოწევნულ სული წმიდაჲ, გარნა ბანილ ხოლო იყვნეს სახელითა უფლისა იესუჲსითა.
17. მაშინ დაასხმიდეს კელთა მათ ზედა, და მიაქუნდა სული წმიდაჲ.
18. ვითარცა იხილა სიმონ, რამეთუ კელთ-დასხმითა მით მოციქულთაჲთა მოეცემის სული წმიდაჲ, მიუპყრა მათ ფასი
19. და ჰრქუა: მომეცით მეცა კელმწიფებაჲ ესე, რაჲთა, რომელსაცა დაეასხნე კელნი, მიაქუნდეს სული წმიდაჲ. ჰრქუა მას პეტრე:
20. ვეცხლი ეგე შენი შენთანავე იყავნ წარსაწყმედელად შენდა, რამეთუ ნიჭსა მას ღმრთისასა ჰგონებ ფასითა მოპოვნებად.
21. არა გიც შენ ნაწილი, არცა სამკჳდრებელი სიტყუასა ამას შინა, რამეთუ გული შენი არა არს წრფელ წინაშე ღმრთისა.
22. მეინანე უკუე უკეთურებისა ამისგან შენისა და ეეღრე უფალსა, მი-ხოლო თუ-გეტეოს შენ უსჯულოებაჲ ეგე გულისა შენისაჲ,
23. რამეთუ სიმწარედ ნაღლისა და თანა შეკრულ ცოდვისა გხედავ შენ, რამეთუ ხარ.
24. მიუგო სიმონ და ჰრქუა: ილოცეთ თქუენ ჩემთჳს უფლისა მიმართ, რაჲთა არა მოეიდეს ჩემ ზედა, რომელი-იგი თქუენ სთქუთ.
25. ხოლო მათ მიმოდააწესეს წამებაჲ იგი სიტყჳსაჲ მის და იტყოდეს სიტყუასა მას უფლისასა, და მოიქცეს იერუსალჵმდ და მრავალსა დაბნებსა სამარიტელთასა ახარებდეს.
26. ანგელოზი უფლისაჲ ეტყოდა ფილიპეს და ჰრქუა: აღდეგ და მიეედ შენ სამხრით კერძო, გზასა მას, რომელი შთაეალს იერუსალჵმით გაზაღ. ესე არს უდაბნოჲ.
27. და აღდგა და წარეიდა. და აჰა ესერა კაცი ჰინდოჲ საჭურისი ძლიერი კანდაკესი დედოფლისა მის ჰინდოეთისაჲ, რომელი იყო ყოველსა ზედა საფასესა მისსა, რომელი-იგი მოსრულ იყო თაყუანის-ცემად იერუსალჵმდ,
28. და მოქცეულ იყო და ჯდა იგი ეტლთა ზედა მისთა და იკითხვიდა წიგნსა ესაია წინაწარმეტყუელისასა.
29. ჰრქუა სულმან წმიდამან ფილიპეს: მიეედ და შეეახლე შენ ეტლთა იმათ.
30. და მივიდა ფილიპე და ისმენდა მისსა, ვითარ-იგი იკითხვიდა ესაია წინაწარმეტყუელსა; და ჰრქუა: უწყი-მეა, რასა-ეგე იკითხავ?
31. ხოლო მან ჰრქუა: და ვი-

თარ-მე მეძლოს უწყებად, არა თუ ვისმე იყოს წინამძღუარ ჩემდა? და პლოცვიდა ფილიპეს აღსლვად და დაჯდომად მის თანა.

32. ხოლო თაეი საკითხაეისაჲ მის, რომელსა იკითხვიდა, იყო ესე: ვითარცა ცხოვარი კლვად მიიგუარა და ვითარცა ტარიგი წინაშე მრისუველისა უკმობელად, ესრეთ არა აღაღებს პირსა თჳსსა.

33. სიმდაბლითა თჳსითა სასჯელი მისი მიეღო. ხოლო თესლ-ტომი მისი ვინ-მე მიუთხრას, რამეთუ აღებულ არს ქუეყანით ცხორებაჲ მისი.

34. მიუგო საჭურისმან მან და ჰრქუა ფილიპეს: გეეედრები შენ, ვისთჳს იტყჳს წინაწარმეტყუელი ამას, თაეისა თჳსისათჳს, ანუ სხჳსა ვისთჳსმე?

35. აღაღო პირი თჳსი ფილიპე და იწყო თხრობად მისა და ხარებად წიგნთაგან იესუჲსთჳს.

36. და ვითარცა მი-ოდენ-ვიდოდეს მგზავრ, მოვიდეს წყალსა ერთსა გედა და ჰრქუა საჭურისმან მან: აჰა წყალი, რაჲღა ყენება არს ჩემდა ნათლის-ღებად?

37. ჰრქუა მას ფილიპე: გრწამს თუ ყოელითა გულითა შენითა, ჯერ-არს. მიუგო და ჰრქუა მას: მრწამს, რამეთუ ძე ღმრთისაჲ არს იესუ ქრისტე.

38. და უბრძანა დადგინებაჲ ეტლთაჲ მათ. და შთაჴდეს ორნივე წყალსა, ფილიპე და საჭურისი იგი, და ნათელ-სცა მას.

39. და ვითარცა აღმოჴდეს წყლით, სული წმიდაჲ მოვიდა საჭურისსა მას ზედა; და სულმან უფლისამან წარიტაცა ფილიპე, და მერმე არღარა იხილა იგი საჭურისმან მან, და ვიდოდა გზასა თჳსსა სისარულით.

40. და ფილიპე იპოა აზოტით კერძო, მიმოვიდოდა და ახარებდა ყოველსა მას ქალაქებსა ვიდრე მოსლვადმდე მისა კესარიად.

9

1. ხოლო საელე უფროჲსად განრისხნებოდა და საესე იყო გულის წყრომითა და კლვითა მოწაფეთა მათ ზედა უფლისათა, მოუჴდა მღდელთ-მოძღუარსა მას

2. და ითხოა მისგან წიგნები დამასკოდ სხუათა მიმართ კრებულთა, რაჲთა მივიდეს და, თუ ვინმე პოენეს ამის მოძღურებისა გზასა, მამები ანუ დედები, კრულნი მოიყვანნეს იერუსალჱმდ.

3. და მი-ოდენ რაჲ-ვიდოდა იგი და მიეახლნეს დამასკესა, მეყსეულად იყო გარემოჲს მისსა ბრწყინვალებაჲ ნათლისაჲ ზეცით გარდამო.

4. და იგი დაეცა ქუეყანასა ზედა და ესმა კმაჲ, რომელმან ჰრქუა

მას: საულ, საულ, რაჲსა მდევნი მე? ფიცხელ არს შენდა წისნაჲ დეზისაჲ.
5. მან მიუგო და ჰრქუა: შენ ვინ ხარ, უფალო? ჰრქუა მას: მე ვარ იესუ, რომელსა შენ მდევნი.
6. არამედ აღდეგ და შეევედ ქალაქად, და მუნ გეთხრას შენ, რაჲ-იგი ღირდეს შენდა საქმედ.
7. და კაცნი იგი, რომელნი იყვნეს მის თანა, დგეს დაკჳრვებულნი. სმენით ესმოდა კმაჲ იგი, ხოლო ხედვიდეს ვერარას.
8. აღდგა საულე ქუეყანით, თუალნი ეხილვნეს და ხედვიდა ვერარას. უპყრეს კელი მისთანათა მათ და შეიყვანეს დამასკოდ.
9. და წარკდეს სამნი დღენი, და არარას ხედვიდა და არცა ჭამა და არცა სუა.
10. ხოლო იყო ვინმე მოწაფე დამასკეს შინა, სახელით ანანია. და ჰრქუა მას უფალმან ჩუენებით: ანანია! და მან ჰრქუა: აქა ვარ, უფალო.
11. ჰრქუა მას უფალმან: აღდეგ შენ აღრე და მიეედ უბანსა მას, რომელსა ჰრქჳან მართალი, და მოიძიე ტაძართა მათ იუდაჲსთა საელე სახელით, ტარსელი, რამეთუ აჰა ეგერა ილოცავს მუნ.
12. და იხილა მან ჩუენებით კაცი სახელით ანანია, რომელი შეევიდა და დაასხნა კელნი მას ზედა, რაჲთა აღიხილნეს.
13. მიუგო ანანია და ჰრქუა: უფალო, მასმიეს მრავალთაგან მის კაცისათჳს, რაოდენი ძჳრი შეაჩუენა წმიდათა შენთა იერუსალჵმს შინა,
14. და აქაცა მოუღებიეს კელმწიფებაჲ მღდელთ-მოძღუართაგან შეკრვად ყოველთა, რომელნი ხადიან სახელსა შენსა.
15. ჰრქუა მას უფალმან: მიეედ შენ, რამეთუ მე ჭური რჩეული მიპოენიეს იგი, რაჲთა ზე აქუნდეს სახელი ჩემი წინაშე ყოველთა წარმართთა, და მეფეთა და მთავართა, ძეთა ისრაჵლისათა.
16. და მე უჩუენო მას რაოდენი ღირდეს მისა ვნებად სახელისა ჩემისათჳს.
17. აღდგა ანანია და წარვიდა და შეევიდა ტაძართა მათ და დაასხნა მის ზედა კელნი მისნი და ჰრქუა: საულ ძმაო, უფალმან მომაელინა მე, იესუ, რომელი გეჩუენა შენ გზასა მას, რომელსა მოხჳდოდე, რაჲთა აღიხილნე თუალნი შენნი და აღიესო სულითა წმიდითა.
18. და მყის გარდამოვარდეს თუალთაგან მისთა ვითარცა ნაქურცენნი და მეყსეულად აღიხილნა და აღდგა და ნათელ-იღო.
19. და მოიღო საზრდელი და განძლიერდა. და იყო მუნ მოწაფეთა მათ თანა დამასკოს დღე რაოდენმე;

20. და მეყსეულად შესაკრებელთა შინა ქადაგებდა ქრისტესა, ვითარმედ: ესე არს ძე ღმრთისაჲ.
21. და დაუკჳრდებოდა ყოველთა, რომელთა ესმოდა და იტყოდეს: არა ესე არსა, რომელი-იგი ტყუენიდა იერუსალჱმს შინა, რომელნი ხადოდეს სახელსა იესუჲსსა, და აქაცა მისთჳს მოსრულ იყო, რაჲთა კრულნი აღიყვანნეს იგინი მღდელთ-მოძღუართა თანა?
22. ხოლო საულე უფროჲს განძლიერდებოდა და შეჰკრებდა ჰურიათა, რომელნი მყოფ იყენეს დამასკეს შინა, და გულისჴმა-უყოფდა, ვითარმედ: ესე არს ქრისტე.
23. ვითარცა აღესრულნეს დღენი მრაჳალნი, განიზრახეს ჰურიათა მათ მოკლვაჲ მისი.
24. და ეუწყა საულეს ძჯრის ზრასვაჲ მათი, რამეთუ სცვიდეს ბჭეთა ღღე და ღამე, რაჲთამცა ვითარ მოკლეს იგი.
25. და მოიყვანეს იგი მოწაფეთა ღამე და ზღუდით გარდაუტევეს იგი სჭურიდითა.
26. და მი-რაჲ-ვიდა საულე იერუსალჱმდ, აზმნობდა შედგომად მოწაფეთა მათ; და ყოველთა ეშინოდა მისგან, რამეთუ არა ჰრწმენა, ვითარმედ არს იგი მოწაფე.
27. ხოლო ბარნაბა წარმოიყვანა იგი და მოჰგუარა მოციქულთა და უთხრა მათ, ვითარ-იგი გზასა ზედა ისილა უფალი და რამეთუ ეტყოდა მას და ვითარ-იგი დამასკეს შინა განეცხადა სახელითა იესუჲსითა.
28. და იყო მათ თანა და შევიდოდა იერუსალჱმს და განეცხადებოდა სახელითა უფლისა და იესუჲსითა.
29. ეტყოდა და გამოეძიებდა ბერძლ მეტყუელთა მათ თანა, ხოლო იგინი განიზრახვიდეს მოკლვასა მისსა.
30. და ვითარმცა აჳრძნეს ესე ძმათა, წარიყვანეს კესარიად და წარგზავნეს იგი ტარსუნდ.
31. ხოლო ეკლესიანი იგი ყოველთა მათ აღგილთა ჰურიასტანისათა და გალილეაჲსათა და სამარიაჲსათა ეგნეს მშჯდობით, შენნი და წარმართებულნი შიშსა უფლისასა, და ნუგეშინის-ცემითა სულისა წმიდისაჲთა განმრავლდებოდეს.
32. და იყო, იქცეოდა რაჲ პეტრე ყოველთა მათ აღგილთა, შთავიდა წმიდათა მათცა, რომელნი მკჳდრ იყვნეს ლჳდიას.
33. და პოა მუნ კაცი ვინმე, რომელსა სახელი ერქუა ენეა, რეა წლითგან ქუემდებარე ცხედარსა ზედა, რომელი იყო განრღუეულ.
34. და ჰრქუა მას პეტრე: ენეა, განგკურნებს შენ უფალი იესუ ქრისტე, აღდეგ და გარდაყარენ სარეცელნი შენნი. და მეყსეუ-

ლად აღდგა.
35. და იხილეს იგი ყოველთა მკჳდრთა ლუდიისათა და სარონისათა, რომელთა-იგი მოაქციეს უფლისა.
36. სოლო იოპეს შინა იყო ვინმე დედაკაცი დამოწაფებული, რომელსა სახელი ერქუა ტაბითა, რომელი გამოითარგმანების ქურციკ. ესე სავსე იყო ქველის საქმითა და წყალობითა, რომელსა-იგი იქმოდა.
37. და იყო მათ დღეთა შინა დასნეულებაჲ მისი და სიკუდილი. ხოლო დაბანეს იგი და დადვეს ქორსა მას შინა.
38. რამეთუ ახს ლუდიაჲ იოპესა, ესმა მოწაფეთა, ეითარმედ პეტრე მუნ არს, და მიაელინნეს მისა ორნი კაცნი და ჰლოცვიდეს, ვითარმედ: ნუ გცონის მოსლვად ვიდრე ჩუენდამდე.
39. და აღდგა პეტრე და წარვიდა მათ თანა; რომელი ვითარცა მივიდა აღიყვანეს ქორსა მას ზედა. და გარე მოადგა მას ქურიევები იგი, ყოველნი ტიროდეს და უჩუენებდეს კუბასტებსა და სამოსლებსა, რაოდენსა იქმოდა, მათ თანა რაჲ იყო ტაბითა.
40. ხოლო პეტრე განაელინნა გარე ყოველნი და მოიდრიკნა მუკლნი და ილოცა. და მოექცა გუამსა მას და ჰრქუა: ტაბითა, აღდეგ. და მან მეყსეულად აღიხილნა თუალნი თჳსნი და, იხილა რაჲ პეტრე, წარმოჯდა.
41. ხოლო მან მისცა მას კელი და აღადგინა იგი და მოუწოდა წმიდათა მათ და ქურიევთა და წარუდგინა იგი ცოცხალი.
42. აგრძნა ესე ყოველმან იოპემან და პრწმენა მრავალთა უფალი.
43. და იყო იგი მრავალ დღე დადგრომილ იოპეს შინა სიმონ ვისმე მეპრაგაკისა თანა.

10

1. კაცი ვინმე იყო კესარიას შინა სახელით კორნილეოს, ასისთავი, ტომისაგან, რომელსა ჰრქჳან იტალიკე,
2. კეთილად მსახური და მოშიში უფლისაჲ ყოველითურთ სახლეულით თჳსით, იქმოდა ქველის საქმესა მრავალსა ერსა მას შორის და ეეედრებოდა ღმერთსა მარადის.
3. იხილა მან ჩუენებით განცხადებულად ეითარ მეცხრესა ოდენ ჟამსა მის დღისასა, რამეთუ ანგელოზი უფლისაჲ მოვიდა მისა და ჰრქუა მას: კორნელიე!
4. და მან მიხედა მას და ზარი განჰკდა და ჰრქუა მას: რაჲ არს, უფალო? ხოლო მან ჰრქუა მას: ლოცვანი შენნი და ქველის საქმენი შენნი აღვიდეს საკსენებელად შენდა წინაშე უფლისა.
5. და აწ მიავლინენ შენ იოპედ

კაცნი და მოუწოდე სიმონს, რომელსა პრქჳან პეტრე.
6. ამისი ვანი არს სიმონის ეისმე თანა მეპრაგაკისა, რომლისა ტაძარი ასს ზღუასა.
7. და ეითარცა წარვიდა ანგელოზი იგი, რომელი ეტყოდა მას, მოუწოდა ორთა მონათა მისთა და ერის კაცსა, კეთილად მსახურსა, წინაშე მდგომელსა მისსა,
8. და უთხრა მათ ესე ყოველი და წარავლინნა იგინი იოპედ.
9. და ხვალისაგან მი-რაჲ-ვიდოღეს იგინი გზასა ზედა, ქალაქსა მიეახლნეს, აღჴდა პეტრე ერღოსა ზედა ლოცვად ჟამსა მეექუსესა,
10. რამეთუ შეემშია და უნდა პირისა ჭსნაჲ. და ვიდრე იგინი უმზადებდეს მას, იყო მის ზედა განკჳრვებაჲ,
11. და ხედვიდა ცათა განხუმულთა და გარდამომავალსა ჭურჭელსა რასმე, ეითარცა ტილოსა დიდსა ოთხთაგან კიდეთა ზე დამოკიდებულსა ზეცით ქუეყანად,
12. რომელსა შინა იყო ყოველი ოთხფერკი და ქუეწარმავალი და მკეცი ქუეყანისაჲ და მფრინველნი ცისანი.
13. და იყო ჴმაჲ მისა მიმართ: აღდეგ პეტრე, დაკალ და ჭამე.
14. მიუგო პეტრე და პრქუა: ნუ იყოფინ, უფალო, რამეთუ არასადა შეგინებული და არაწმიდაჲ შესრულ არს პირსა ჩემსა.
15. და მერმე კუალად მეორედ ჴმაჲ იყო მისა მიმართ და თქუა: რომელი-იგი ღმერთმან წმიდა ყო, შენ ნუ შეგინებულ გიჩნს.
16. ხოლო ესე იყო სამ გზის, და კუალად ამაღლდა ჭურჭელი იგი მუნვე ზეცად.
17. და ეითარ-იგი განიზრახვიდა პეტრე გულსა თჳსსა, ეითარმედ რაჲ-მე იყოს ხილვაჲ ესე, რომელი ეჩუენა მას, და აჰა ესერა კაცნი იგი, რომელნი კორნელეოსისგან მოვლინებულ იყვნეს, იკითხვიდეს სახლსა სიმონისსა და მოკიდეს და დადგეს ბჭეთა ზედა მისთა.
18. და მოსადეს და ჰკითხეიდეს, უკუეთუ სიმონისი, რომელსა ჰრქჳან პეტრე, ვანი აქა არსა?
19. ხოლო პეტრე, ვიდრეღა იგი გულის ზრახვად და ჩუენებისა მისთჳს, ჰრქუა მას სულმან წმიდამან: აჰა ეგერა სამნი კაცნი გეძიებენ შენ;
20. არამედ აღდეგ და გარდაგუალე და მიეედ მათ თანა და ნურარას ორგულებ, რამეთუ მე მომიჳლინებიან იგინი.
21. გარდამოვიდა პეტრე კაცთა მათ თანა, მოვლინებულთა კორნილიოსის მიერ, და ჰრქუა: აჰა ესერა მე ვარ, რომელსა თქუენ მეძიებთ. აწ რაჲ არს მიზეზი, რომლისათჳს მოსრულ ხართ?

22. ხოლო მათ ჰრქუეს: კორნილიოს ასისთავმან, კაცმან მართალმან და მოშიშმან ღმრთისამან, რომელი წამებულ არს ყოველისაგან ნათესაჲსა ჰურიათაჲსა, ბრძანებაჲ მოიღო ანგელოზისაგან წმიდისა მიყვანებად შენდა სახლსა თჳსსა და სმენად შენგან სიტყუათა.
23. ხოლო მან შეუწოდა მათ და მუნ დაიყენნა და ისტუმრნა იგინი და ხვალისაგან აღდგა პეტრე და განვიდა მათ თანა, და ვიეთნიმე ძმათაგანნიცა იოპით მიჰყვეს მის თანა.
24. და ხვალისაგან შევიდეს კესარიად, ხოლო კორნილეოს მოელოდა მათ, შემოეკრიბა თესლ-ტომი მისი და საყუარელნი მეგობარნი მისნი.
25. და იყო შესლვასა მას პეტრესსა, მოეგებოდა მას კორნილიე და შეუვრდა ფერჴთა მისთაჲ და თაყუანის-სცა მას.
26. ხოლო პეტრე აღადგინა იგი და ჰრქუა მას: აღდეგ, რამეთუ მეცა თავადი კაცივე ვარ.
27. და იტყოდეს თანად, და შე-რაჲ-ვიდა შინა, პოვნა მუნ მრავალნი შემოკრებულნი.
28. და ჰრქუა მათ პეტრე: თქუენ თჳთ უწყით, ვითარმედ არა ჯერ-არს კაცისა ჰურიისა მიახლებად წარმართთა, ანუ შეხებად უცხო თესლთა; და მე მიჩუენა ღმერთმან, რაჲთა არავინ კაცი შევჰრაცხო ბილწად და არაწმიდად.
29. ამისთჳს უცილობელად შემოვედ თქუენდა, მოვედ რაჲ. აწ უკუე მაუწყეთ, რომლისა სიტყჳსათჳს მომხადეთ მე.
30. ჰრქუა მას კორნილიოს: მეოთხით დღითგან ვიდრე აქა ჟამადმდე ვიყავ მარხული და მეცხრესა ჟამსა ვილოცევდ რაჲ სახლსა შინა ჩემსა, და აჰა ესერა დადგა კაცი წინაშე ჩემსა სამოსლითა ბრწყინვალითა
31. და მრქუა მე: კორნილიე, შეისმეს ლოცვანი შენნი, და ქველის საქმენი შენნი მოიკსენნეს წინაშე ღმრთისა.
32. აწ მიაელინე შენ იოპედ და მოუწოდე სიმონს, რომელსა ჰრქჳან პეტრე: ამას ვანი დაუც სახლსა სიმონის ვისმე მეპრატაკისასა, ზღუს კიდით კერძო, რომელი მოვიდეს და გეტყოდის შენ.
33. და მუნთქუესვე წარმოვავლინენ შენდა და შენ კეთილად ჰყავ, რამეთუ მოხუედ. აწ ესერა ჩუენ ყოველნი მოსრულ ვართ წინაშე ღმრთისა სმენად ყოველისა ბრძანებულისა შენდა უფლისა მიერ.
34. აღაღო პეტრე პირი თჳსი და თქუა: ჭეშმარიტად ვიცი, რამეთუ არა არს თუალთ-ღება ღმრთისა თანა,
35. არამედ ყოველთა შორის თესლთა, რომელსა ეშინის მისა და იქმს სიმართლესა, სათნო

მისა არს.
36. სიტყუაჲ იგი, რომელი მოუელინა ძეთა ისრაჱლისათა მასარებელად მშჳდობისა იესუ ქრისტეს მიერ, ესე თავადი არს უფალი ყოველთაჲ.
37. თქუენ თუთ უწყით სიტყუაჲ იგი, რომელი იყო ყოველსა ზედა ჰურიასტანსა, რომელმან-იგი იწყო გალილეაჲთ შემდგომად ნათლის-ცემისა, რომელსა-იგი ქადაგებდა იოვანე:
38. იესუს ნაზარეველსა, რომელსა-იგი სცხო ღმერთმან სულითა წმიდითა და ძალითა, რომელი-იგი მოვიდა ქველის მოქმედად და განკურნებად ყოველთა მიმძლავრებულთა ეშმაკისათა, რამეთუ ღმერთი იყო მის თანა.
39. და ჩუენ მოწამე ვართ ყოველთათჳს, რომელნი ქმნნა სოფელსა მას ჰურიასტანისასა და იერუსალჱმს შინა, რომელცა-იგი მოკლეს დამოკიდებითა ძელსა ზედა.
40. ესე ღმერთმან აღადგინა მესამესა დღესა და მისცა მას განცხადებულებაჲ,
41. არა ყოელისა ერისაჲ, არამედ მოწამეთა ამათ, რჩეულთა წინაჲსწარე ღმრთისა მიერ, ჩუენ, რომელნი მის თანა ვჭამდით და ვსუემდით შემდგომად მკუდრეთით აღდგომისა მისისა.
42. და მამცნო ჩუენ ქადაგებად ერისა და წამებად, რამეთუ იგი თავადი არს განჩინებული ღმრთისა მიერ, მსაჯული ცხოველთა და მკუდართაჲ.
43. ამას ყოველნი წინაწარმეტყუელნი ეწამებიან მოტევებასა ცოდვათასა მოღებად სახელითა მისითა ყოველთა, რომელთა ჰრწმენეს მისა მიმართ.
44. და ვიდრე-იგი იტყოდა-ღა პეტრე სიტყუათა ამათ, მოვიდა სული წმიდაჲ და დააღგრა ყოველთა ზედა, რომელთა ესმოდა სიტყუაჲ იგი,
45. და დაუკჳრდა წინა-დაცუეთილებისაგანთა მორწმუნეთა, რაოდენნი-იგი შევიდეს პეტრეს თანა, რამეთუ წარმართთაცა ზედა ნიჭი იგი სულისა წმიდისაჲ მიფენილ არს,
46. რამეთუ ესმოდა მათი, იტყოდეს რაჲ ენათა, და აღიდებდეს ღმერთსა. მაშინ მიუგო პეტრე და ჰრქუა:
47. წყლისაგან ნუ რაჲ ყენებაჲ არსა არა ნათლის-ცემაჲ ამათი, რომელთა-ესე სული წმიდაჲ მიიღეს, ვითარცა-იგი ჩუენ?
48. და უბრძანა მათ ნათლის-ღებად სახელითა იესუ ქრისტესითა. მაშინ ევედრნეს მას, რაჲთა დააღგრეს მათ თანა ღე რაოდენმე.

11

1. ხოლო ესმა მოციქულთა მათ და ძმათა, რომელნი იყვნეს ჰურიასტანს, ვითარმედ წარმართ-

თაცა შეიწყნარეს სიტყუაჲ ღმრთისაჲ.
2. და რაჟამს აღვიდა პეტრე იერუსალჵმდ, ერიღებოდეს მას წინა-დაცუეთილებისაგანნი ძმანი,
3. და იტყოდეს, ვითარმედ: კაცთა მიმართ წინა-დაუცუეთელთა შეხუედ და მათ თანა სჭამე.
4. სოლო პეტრე იწყო და მიუთხრა მათ შემდგომითი-შემდგომად და ჰრქუა:
5. მე ვიყავ ქალაქსა შინა იოპესა და, ვილოცეედ რაჲ, ვიხილე განკჳრვებასა ჩემსა ჩუენებაჲ, რამეთუ გარდამოვიდოდა ჭურჭელი რაჲმე, ვითარცა ტილოჲ დიდი, ოთხთაგან კიდეთა დამოკიდებული ზეცით, და მოვიდა ვიდრე ჩემდამდე,
6. რომელსა მიეხედენ და განვიცდიდი, და ვიხილე მას შინა ოთხფერჲ ქუეყანისაჲ და მკეცნი და ქუეწარმავალნი და მფრინველნი ცისანი,
7. და მესმა კმაჲ, რომელი მეტყოდა მე: აღდეგ, პეტრე, დაკალ და ჭამე.
8. და მე ეთქუ: ნუ იყოფინ, უფალო, რამეთუ ბილწი რაჲვე გინა არაწმიდაჲ არასადა შესრულ არს პირსა ჩემსა.
9. მომიგო მე კმამან მან მეორედ ზეცით: რომელი ღმერთმან წმიდა ყო, შენ ნუ ბილწ გიჩნ.
10. ესე იყო სამ გზის და კუალად აღმაღლდა ყოველი იგი ზეცად.
11. და აჰა მუნქუესვე სამნი კაცნი მოიწინეს ბჭეთა მის სახლისათა, რომელსა-იგი შინა ვიყავ, მოვლინებულნი ჩემდა კესარიაჲთ.
12. და მრქუა მე სულმან წმიდამან მისლვად მათ თანა და არარას ორგულებად. მოვიდეს ჩემ თანა ექუსნიცა ესე ძმანი და შევედით სახლსა მის კაცისასა.
13. და მითხრა ჩუენ, ვითარ-იგი იხილა ანგელოზი ღმრთისაჲ სახლსა შინა თჳსსა მდგომარე, რომელმან ჰრქუა მას: მიავლინე იოპედ და მოიყვანე შენ სიმონ, რომელსა ჰრქჳან პეტრე,
14. რომელმან-იგი გრქუნეს შენ სიტყუანი, რომლითა სცხონდე შენ და ყოველი სახლი შენი,
15. და ვითარცა ვიწყე მე სიტყუად, მოვიდა სული წმიდაჲ მათ ზედა, ვითარცა-იგი ჩუენ ზედა პირველად.
16. და მომეკჳსენა მე სიტყუაჲ უფლისაჲ, რომელ თქუა, ვითარმედ: იოვანე ნათელ-სცემდა წყლითა, ხოლო თქუენ ნათელ-იღოთ სულითა წმიდითა.
17. აწ უკუეთუ სწორი ნიჭი მისცა მათ ღმერთმან, ვითარცა ჩუენ, რომელთა-ესე გურწმენა უფალი იესუ ქრისტე, მე რაჲ ძალ-მედვა ყენებად ღმრთისა?
18. ვითარცა ესმა ესე, დადუმნეს და აღიდებდეს ღმერთსა და იტ-

ყოდეს: უკუეთუ ნანდჳლევე წარმართითაცა მისცა ღმერთმან სინანული იგი ცხორებისაჲ.
19. და რომელნი-იგი მიმოდაიბნინეს ჭირისა მისგან, რომელი იყო სტეფანეს ზედა, მივიდეს ვიდრე ფინიკედმდე და კჳპრედ და ანტიოქიად, არარას ეის ეტყოდეს სიტყუასა, გარნა ჰურიათა მათ სოლო.
20. სოლო იყუნეს ვინმე მათგანი კაცნი კჳპრელნი და კჳრინელნი, რომელნი შევიდეს ანტიოქიად და იტყოდეს ბერძლ მეტყუელთა მათ მიმართ და ახარებდეს უფალსა იესუს.
21. და იყო ქელი უფლისაჲ მათ თანა განკურნებად, და მრავალსა რიცხუსა ჰრწმენა და მოიქცეს უფლისა.
22. ესმა სიტყუაჲ ესე ყურთა კრებულისათა, რომელნი იყვნეს იერუსალჵმს მათთჳს და მიაელინეს ბარნაბა, რაჲთა განვიდეს ვიდრე ანტიოქიადმდე,
23. რომელი-იგი მოვიდა და იხილა მადლი იგი ღმრთისაჲ და განისარა და ჰლოცვიდა ყოველთა გულს-მოდგინებითა გულისაჲთა დადგრომად უფლისა მიმართ.
24. რამეთუ იყო კაცი იგი სახიერ და სავსე სულითა წმიდითა და სარწმუნოებითა. და შეეძინა ერი მრავალი უფალსა.
25. და გამოვიდა ბარნაბა ტარსუნდ მოძიებად საელესა, და პოა და მოიყვანა ანტიოქიად.
26. და იყო მათი წელიწად ერთ შეკრებაჲ ეკლესიად და სწავლად ერისა მრავლისა და წოდებად პირველად ანტიოქიას შინა მოწაფეთა მათ ქრისტეანედ.
27. ამათ დღეთა შინა გამოვიდეს იერუსალჵმით წინაწარმეტყუელნი ანტიოქიად.
28. და აღდგა ერთი მათგანი, რომელსა სახელი ერქუა აღაბოს, რომელი-იგი აუწყებდა სულითა წმიდითა, ვითარმედ: სიყმილი დიდი ყოფად არს ყოველსა ზედა სოფელსა, რომელი-იგი იყო დღეთა მათ კლავდის კეისრისათა.
29. ხოლო მოწაფეთა მათ, ვითარცა კელ-რაჲ ეის-ეწიფებოდა, ბრძანეს თჳთოეულმან მათმან სამსახურებელად მიძღუანებად ძმათა მათ, რომელნი-იგი მყოფ იყვნეს ჰურიასტანს,
30. რომელცა-იგი ყვეს და წარუძღუანეს ხუცესთა მათ მიმართ კელითა ბარნაბაჲსითა და სავლესითა.

12

1. მას ჟამსა შინა კელი მიყო ჰეროდე მეფემან ძჳრის ყოფად რომელთამე ეკლესიისაგანთა
2. და მოკლა იაკობ, ძმაჲ იოვანესი, მახჳლითა.
3. და ვითარცა იხილა, რამეთუ სათნო უჩნდა ჰურიათა მათ,

შესძინა შეპყრობაჲ პეტრესიცა. სოლო იყუნეს ღღენი იგი უცომოებისანი.

4. და შე-რაჲ-იპყრა იგი, შესუა საპყრობილესა და მისცა იგი ოთხთა ოთხეულთა ერისაგანთა ცვად. ესრეთ ეგულებოდა, რაჲთა შემდგომად გაგიკისა აღიყვანოს იგი და მისცეს ერსა მას.

5. და პეტრე ცუულ იყო საპყრობილესა მას შინა. სოლო ლოცვაჲ გულს-მოდგინედ იყოფოდა ეკლესიათა მიერ ღმრთისა მიმართ მისთჳს.

6. რაჟამს უკუე ეგულებოდა ჰეროდეს გამოყვანებად და მიცემად კელთა მათთა, მას ღამესა ეძინა პეტრეს შორის ორთა ერისაგანთა, შეკრულსა ჯაჭჳთა მრჩობლითა, და მკუმილნი იგი წინაშე კართა სცვიდეს საპყრობილესა მას.

7. და აჰა ანგელოზი უფლისაჲ ზედა მოადგა, და ნათელი გამობრწყინდა სახლსა მას შინა, და სცა გუერდსა პეტრესსა, და განაღუძა იგი და ჰრქუა მას: აღდეგ აღრე. და დასცუენეს ჯაჭუნი იგი კელთაგან მისთა.

8. ჰრქუა მას ანგელოზმან მან: მოირტყ და შეისხენ სანდალნი შენნი. და მან ყო ეგრეთ. და ჰრქუა მას: შეიმოსე სამოსელი შენი და შემომიდეგ მე.

9. და განვიდა და შეუდგა მას, და არა უწყოდა, ვითარმედ ჭეშმარიტ არს, რომელი-იგი იყო ანგელოზისა მისგან; ეგრე ჰგონებდა, ვითარმედ ჩუენებასა ისილაეს.

10. და ვითარ განელეს მათ პირველი საკუმილავი და მეორე, მიიწინეს იგინი ბჭეთა მათ რკინისათა, რომელი შეეიღოდა ქალაქად, რომელცა-იგი თჳთ განეღო მათ. და ვითარცა განელეს იგი, წარელეს უბანი ერთი, და მეყსეულად განეშორა მისგან ანგელოზი იგი.

11. და პეტრე მოეგო გონებასა თჳსსა და თქუა: აწ უწყი ჭეშმარიტად, რამეთუ მოაელინა ღმერთმან ანგელოზი თჳსი და განმარინა მე კელთაგან ჰეროდესთა და ყოელისაგან მოლოდებისა ერისა მის ჰურიათაჲსა.

12. გულსა მოეგონა და მოვიდა სახლსა მარიამისსა, დედისა მის იოვანესსა, რომელსა ერქუა მარკოს, სადა-იგი იყუნეს მრავალნი შეკრებულ და ილოცევიდეს.

13. და ვითარცა ჰრეკა პეტრე კარსა ბჭისასა, გამოვიდა მკევალი ერთი სმენად, რომელსა სახელი ერქუა როდი.

14. და ვითარცა იცნა კმაჲ იგი პეტრესი, სიხარულითა არა განუღო მას კარი, არამედ შინა შერბიოდა და უთხრა, ვითარმედ: პეტრე კართა ზედა დგას.

15. ხოლო მათ ჰრქუეს: ჰბორგი. და იგი დაამტკიცებდა, ვითარ-

მედ: ესრეთ არს. ხოლო იგინი იტყოდეს, ვითარმედ: ანგელოზი მისი არს.
16. და პეტრე ჰრეკდა კარსა მას ზედაჲს-ზედა. ხოლო გან-რაჲ--უღეს, იხილეს იგი და განჰკრთეს.
17. მან კელი განუყარა მათ, რაჲთა დაღუმნენ. და მიუთხრა მათ, ვითარ-იგი უფალმან გამოიყვანა საპყრობილით, და ამცნო: უთხართ ესე იაკობს და ძმათა ყოველთა. და განვიდა და წარეიდა სხუასა ადგილსა.
18. და ვითარცა განთენა, არა მცირედი შებრუნებაჲ იყო ერის კაცთაჲ მათ, ვითარმედ: რაჲმე იქმნა პეტრე?
19. და ჰეროდე ეძიებდა მას და არა პოა. მაშინ განიკითხნა მცუელნი იგი და ბრძანა მოკლვაჲ მათი. და მოვიდა მიერ ჰურიასტანით და კესარიას იქცეოდა.
20. ხოლო იყო ჰეროდე გულ--მწყრალ ტჳრელთა და სიდონელთათჳს. და იგინი მოსრულ იყვნეს ერთბამად მისა და ქეელის მეტყუელ იყოფდეს ვლასტონს, რომელი იყო სასუენებელსა ზედა მეფისასა, და ითხოვდეს მშჳდობასა, რამეთუ ქუეყანაჲ იგი მათი იზარდებოდა სამეუფოჲსაგან მისისა.
21. და დღესა ერთსა დაწესებულსა ჰეროდე შეიმოსა სამოსელი სამეუფოჲ და დაჯდა საყდართა ზედა და გრასვიდა მათდა მიმართ.
22. და ერი იგი ღაღადებდა: ღმრთისა ჴმაჲ არს და არა კაცისაჲ.
23. და მეყსეულად სცა მას ანგელოზმან უფლისამან ამისთჳს, რამეთუ არა მისცა დიდებაჲ ღმერთსა, და იქმნა იგი მატლთა შესაჭმელ და სულნი წარჰკდეს.
24. რამეთუ სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ აღორძნდებოდა და განმრაელდებოდა.
25. ბარნაბა და საულე მოიქცეს იერუსალჵმით ანტიოქიად-ვე, ვითარ-იგი აღასრულეს მსახურებაჲ მათი; თანა წარიყვანეს იოვანეცა, რომელსა წოდებულ იყო მარკოზ.

13

1. იყვნეს ანტიოქიას შინა მსგაესად კრებულისა მის წინაწარმეტყუელნი და მოძღუარნი: ბარნაბა და სჳმეონ, რომელსა--იგი ერქუა ნიგერ, და ლუკიოს კჳრინელი და მანაინ, რომელი--იგი იყო ძუძუჲს-მტე ჰეროდე მეფისაჲ, და საულე.
2. და ვიდრე-იგი ჰმსახურებდეს უფალსა და იმარხვიდეს, ჰრქუა მათ სულმან წმიდამან: გამომირჩიენით მე ბარნაბა და საულე საქმესა, რომელსა მე უწოდი მათ.
3. მაშინ იმარხეს და ილოცეს და დაასხნეს მათ ზედა კელნი

მათნი და განუტევნეს.
4. ესენი უკუე ვითარცა წარიგზავნნეს სულისა მიერ წმიდისა, შთავიდეს სელევკიად, და მიერ ნავითა წიაღკდეს კჳპრედ.
5. და შე-რაჲ-ვიდეს სალამინდ, უთხრობდეს სიტყუასა მას ღმრთისასა შესაკრებელსა მას შორის ჰურიათასა; თანა ჰყვანდა იოვანეცა მსახურად.
6. და ვითარცა მოჳლეს ყოველი იგი ჭალაკი ვიდრე პაფოდმდე, პოვეს კაცი ვინმე მოგჳ, ცრუ წინაწარმეტყუელი, ჰურიაჲ, რომლისა სახელი ბარიისუ,
7. რომელი-იგი იყო მთავრისა მის ანთჳპატისა თანა სერგისა პაჳლესა, კაცისა გონიერისა. ამან მოუწოდა ბარნაბას და საჳლეს, და ეძიებდა მათგან სმენად სიტყუასა ღმრთისასა.
8. ხოლო უკდებოდა მათ ელჳმას, მოგჳ იგი, რამეთუ ესრეთ გამოითარგმანების სახელი მისი, და ეძიებდა გარდაქცევასა ანთჳპატისასა სარწმუნოებისაგან.
9. ხოლო საჳლე, რომელ არს პაჳლე, აღივსო სულითა წმიდითა, მიხედა მას
10. და ჰრქუა: ჱ სავსეო ყოვლითა ზაკუეითა და ყოველითა მანკიერებითა, შვილო ეშმაკისაო და მტერო ყოვლისა სიმართლისაო, არა დასცხრეა გარდაქცევად გზათა მათ უფლისათა წრფელთა?
11. და აწ ესერა კელი უფლისაჲ შენ ზედა, და იყო შენ ბრმა და ვერ სედვიდე მზესა ვიდრე ჟამადმდე. და მეყსეულად დაეცა მის ზედა არმური და ბნელი, და მიმოვიდოდა და ეძიებდა მძღუარსა.
12. მაშინ ვითარცა იხილა ანთჳპატმან მან, რაჲ-იგი იქმნა, ჰრწმენა განკჳრეებულსა მოძღურებასა მას ზედა უფლისასა.
13. წარ-რაჲ-ვიდეს პაფოჲთ პაჳლე და მისთანანი იგი, წიაღ-კდეს პერგედ პამფილიაჲსა. ხოლო იოვანე განეშორა მათგან და მიიქცა მუნვე იერუსალჱმდ.
14. და იგინი განვიდეს პერგით და მივიდეს ანტიოქიად პისიდიისა, და შევიდეს შესაკრებელსა მათსა დღესა შაბათსა და დასხდეს.
15. და ვითარცა აღმოიკითხეს სჯული და წინაწარმეტყუელნი, მიაჳლინნეს მათდა შესაკრებელის მთავართა მათ და ჰრქუეს: კაცნო ძმანო, უკუეთუ არს თქუენ თანა სიტყუაჲ ნუგეშინის-ცემისაჲ ერისა ამის მომართ, იტყოდეთ.
16. აღდგა პაჳლე და განუყარა კელი, რაჲთა დადუმნენ, და თქუა: კაცნო ისრაიტელნო და რომელნი მოშიშნი ღმრთისანი ხართ, ისმინეთ!
17. ღმერთმან ამის ერისამან გამოირჩინა მამანი ჩუენნი და ერი იგი აღამაღლა ჟამსა მას

მწირობისასა ქუეყანასა მას ეგუპტისასა, და მკლავითა მაღლითა გამოიყუანნა იგინი მიერ.
18. და ზრდიდა მათ უდაბნოსა ზედა ორმეოცისა წლისა ჟამთა,
19. და დაარღუნა ნათესავნი შჳდნი ქუეყანასა მას ქანანისასა და დაუმკჳდრა მათ ქუეყანაჲ იგი მათი.
20. და შემდგომად ამისა ვითარ ოთხას ერგასის წელ ოდენ მოსცა მათ მსაჯულებ მიდღედმდე სამოელ წინაწარმეტყუელისა.
21. მიერითგან ითხოვეს მეფე, და მოსცა მათ ღმერთმან საულ, ძე კისისი, კაცი ნათესავისაგან ბენიამენისა, ორმეოც წელ.
22. და ვითარცა გარდაცვალა იგი, აღუდგინა მათ დავით მეფედ, რომელსა-იგი თავადი ეწამა, და თქუა: ვპოვე დავით ძე იესესი, კაცი გულითადი ჩემი, რომელმან ყოს ყოველი ნებაჲ ჩემი.
23. მისისა მის ნათესავისაგან ღმერთმან აღთქუმისა მისებრ აღუდგინა ისრაჱლსა მჴსნელი იესუ,
24. რომელსა წინაჲსწარ ქადაგებდა იოვანე წინაშე პირსა შემოსლვისა მისისასა ნათლის-ღებასა სინანულისასა ყოველისა მიმართ ერისა ისრაჱლისა.
25. ვითარცა აღასრულებდა იოვანე სრბასა თჳსსა, იტყოდა: ვინ-იგი გგონიე მე ყოფად, მე არა იგი ვარ, არამედ ესერა მოვალს შემდგომად ჩემსა, რომლისა-იგი არა ვარ ღირს განკსნად კამლთა ფერჴთა მისთასა.
26. კაცნო ძმანო და ძენო ნათესავისა მის აბრაჰამისნო, და თქუენ შორის რომელთა ეშინის ღმრთისა, თქუენთჳს სიტყუაჲ იგი ცხორებისაჲ მოიელინა.
27. რამეთუ რომელნი-იგი მკჳდრ არიან იერუსალჱმს შინა და მთავარნი იგი მათნი ამას უმეცარ იქმნნეს და კმათა მათ წინაწარმეტყუელთასა, რომელნი-იგი ყოველთა შაბათთა აღმოიკითხვოდეს, საჯეს და აღასრულეს.
28. და არცა ერთი ბრალი სიკუდილისაჲ უპოეს და მოითხოვეს პილატესგან მოკლვად იგი.
29. და ვითარ-იგი აღასრულეს ყოველივე, რომელი მისთჳს წერილ იყო, გარდამოჰკსნეს იგი ძელისაგან და დადვეს საფლავსა.
30. ხოლო ღმერთმან აღადგინა იგი მკუდრეთით,
31. რომელი-იგი ეჩუენა დღეთა მრავალთა მათ, რომელნი-იგი მის თანა აღმოსრულ იყვნეს გალილეაჲთ იერუსალჱმდ, რომელნი-იგი აწ არიან მოწამე მისა ერისა მიმართ.
32. და ჩუენ თქუენ გახარებთ მამათა მიმართ ქმნილსა მას აღთქუმასა, რამეთუ ესე ღმერთმან აღუსრულა შვილთა მათ-

თა და ჩუენ აღგუჲდგინა იესუ.
33. ვითარცა ფსალმუნსა მეორესა წერილ არს, ვითარმედ: ძე ჩემი სარი შენ და მე დღეს მიშობიე შენ.
34. ხოლო რამეთუ აღადგინა იგი მკუდრეთით და არღარა ეგულებოდა მიქცევაჲ განსასრწნელად, ესრეთ თქუა, ვითარმედ: მიგცე თქუენ წმიდაჲ იგი დავითისი სარწმუნოჲ.
35. რომლისათჳს სხუასაცა აღგილსა იტყჳს: არა სცე წმიდასა შენსა ხილვად განსასრწნელი.
36. რამეთუ დავით ნათესავსა შინა თჳსსა ჰმსახურა და ნებითა ღმრთისაჲთა შეისუენა და შეეძინა მამათა თჳსთა და იხილა განსასრწნელი.
37. ხოლო რომელი ღმერთმან აღადგინა, არა იხილა განსასრწნელი.
38. უწყებულ უკუე იყავნ ესე თქუენდა,კაცნო ძმანო, რამეთუ ამის მიერ თქუენ მოტევებაჲ ცოდვათაჲ გესარების;
39. და ყოველთა მათგან, რომელთაგან ვერ უძლეთ სჯულითა მით მოსესითა განმართლებად, ამის მიერ ყოველსა რომელსა ჰრწმენეს, განმართლდების.
40. იხილეთ, ნუუკუე მოიწიოს თქუენ გედა თქუმული იგი წინაწარმეტყუელთა შინა, ვითარმედ:
41. იხილეთ შეურაცხის-მყოფელთა მაგათ და გიკჳრდინ და განირყუნენით, რამეთუ საქმესა ვიქმ მე დღეთა თქუენთა, საქმესა რომელი-იგი არა გრწმენეს, უკუეთუ ვინმე გითხრას თქუენ.
42. და ვითარცა ეგულებოდა მათ განსლვაჲ შესაკრებელისაგან ჰურიათაჲსა, პლოცვიდეს მათ წარმართნი და ეეჲდრებოდეს მერმესაცა შაბათსა თსრობად მათდა სიტყუათა ამათ.
43. და ვითარცა განუტეევეს კრებული იგი, მისდევდეს მათ მრავალნი ჰურიათაგანნი და მორწმუნეთა მათ მწირთაგანნი პაველეს და ბარნაბას, სოლო იგინი ეტყოდეს მათ და არწმუნებდეს მტკიცედ დადგრომად მადლსა მას ზედა ღმრთისასა.
44. და მერმესა მას შაბათსა კნინღა-და ყოველი იგი ქალაქი შეკრბა სმენად სიტყუასა მას უფლისასა.
45. ხოლო იხილეს რაჲ ჰურიათა მათ ეგოდენი იგი ერი, აღიესნეს შურითა და მჯდომად აღუდგეს სიტყუათა მათ პაველესთა და ჰგმობდეს მათ.
46. განეცხადნეს ბარნაბა და პაველე და თქუეს: თქუენდა ჯერ-იყო პირველად რქუმად სიტყუაჲ ესე ღმრთისაჲ. ხოლო ვინაჲთგან განიშორებთ მას და არა ღირსად გისჯიან თავნი თჳსნი ცხორებისა საუკუნოჲსა აჰა ესერა მივიქცევით წარმარ-

თთა მიმართ.
47. რამეთუ ესრეთ მამცნო ჩუენ უფალმან, ვითარმედ: დაგადგინე შენ ნათლად წარმართთა, რაჲთა იყო შენ მაცხოვრად კიდით კიდედმდე ქუეყანისა.
48. ესე რაჲ ესმოდა წარმართთა, უხაროდა და აღიდებდეს სიტყუასა მას უფლისასა. და პრწმენა, რაოდენნიცა იყვნეს დაწესებულ ცხორებასა საუკუნესა.
49. და მიმოეფინებოდა სიტყუაჲ იგი უფლისაჲ ყოველსა მას სოფელსა.
50. ხოლო ჰურიათა მათ განარისხნეს მსახურნი იგი დედანი აზნაურნი და მთავარნი იგი მის ქალაქისანი და აღადგინეს დევნაჲ პავლეს და ბარნაბაჲს ზედა და განდევნნეს იგინი საზღვრით მათით.
51. ხოლო მათ განიყარეს მტუერი ფერჴთა მათთაჲ მათ ზედა და მივიდეს იკონიად.
52. და მოწაფენი იგი აღივსებოდეს მაღლითა და სულითა წმიდითა.

14

1. იყო იკონიას შინა მსგავსად წესისა შესლვასა მათსა შესაკრებელსა ჰურიათასა და სიტყუად ესრეთ, ვიდრე რწმუნებადმდე ჰურიათა და წარმართთა მრავალსა სიმრავლესა.
2. ხოლო რომელნი ურწმუნონი ჰურიანი იყვნეს, აღაზრჳნნეს და განაბოროტნეს სულნი წარმართთანი ძმათა ზედა.
3. მრავალ ჟამ იქცეოდეს იგინი განცხადებულად უფლისა მიმართ, რომელი ეწამებოდა მათ სიტყჳთა მით მადლისა მისისაჲთა და მოსცემდა სასწაულებსა და ნიშებსა ყოფად კელითა მათითა.
4. მაშინ განიწვალა სიმრავლე იგი მის ქალაქისაჲ, და რომელნიმე იყვნეს ჰურიათა თანა და რომელნიმე მოციქულთა თანა.
5. და ვითარ შეითქუნეს ჰურიანი და წარმართნი მთავრებით მათითურთ ზედა მისლვად და გინებად და ქვისა დაკრებად მათდა,
6. განეშორნეს და მიიელტოდეს ქალაქებსა „ლუკაონისასა – ლუსტრად და დერბედ და გარემო სოფლებსა,
7. და მუნ ასარებდეს.
8. და კაცი ვინმე იყო ლუსტრას შინა, უძლური ორითავე ფერკითა, და ჯდა მკელობელი დედის მუცლით მისითგან, რომელსა არასადა ევლო.
9. ამას ესმნეს სიტყუანი პავლესნი, იტყოდა რაჲ, ვითარ მიჰხედა მას პავლე და იხილა, რამეთუ აქუნდა სარწმუნოებაჲ საცხორებელად მისა,
10. ჰრქუა მას დიდითა ჴმითა: შენ გეტყჳ სახელითა უფლისა იესუ ქრისტესითა: აღდეგ ფერ-

კთა შენთა გედა მართლ. და აღსლდნა და იწყო სლვაღ.
11. სოლო ერმან მან იხილა რაჲ, რომელი-იგი ქმნა პაელე, აღიმაღლეს კმაჲ მათი კმითა მით ლუკაონებრითა და იტყოდეს: ღმერთნი მსგაესებულ არიან კაცთა და გარდამოსრულ არიან ჩუენდა.
12. და სადოდეს ბარნაბას დიოს კერპით და პაელეს — ერმით, რამეთუ პაელე იყო წინამძღუარ სიტყჳსა მის.
13. სოლო მღდელმან მან დიოს კერპისამან, რამეთუ იყო იგი მთავარი მის ქალაქისაჲ, კუროები და გჳრგჳნები ბჭეთა გედა ქალაქისათა მოიღო ერისა მის თანა და ეგულებოდა ზორვაღ.
14. ესმა რაჲ ესე მოციქულთა ბარნაბას და პაელეს, დაიპეს სამოსელი მათი და შეკდეს ერსა მას შორის, ღაღადებდეს და იტყოდეს:
15. კაცნო, რასა იქმთ ამას? რამეთუ ჩუენცა კაცნივე ვართ მსგავსნი თქუენნი და გახარებთ თქუენ, რაჲთა ამაოებათა ამათგან მოიქცეთ ღმრთისა ცხოველისა, რომელმან ქმნა ცაჲ და ქუეყანაჲ, ზღუაჲ და ყოველი, რაჲ არს მათ შინა,
16. რომელმან-იგი წარსრულთა მათ ნათესავთა მიუშუა ყოველსა მას თესლებსა სლვაღ გზასა ნებისა მათისასა,
17. და არავე უწამებელად დაუტევა ქეელის მოქმედებაჲ იგი მისი, ზეცით გარდამო მოცემაღ თქუენდა წჳმაჲ და ჟამნი ნაყოფის გამომღებელნი, განძღებაღ საზრდელითა და სიხარულითა გულთა თქუენთა.
18. და ესე რაჲ წართქუეს, ძნიად დააცხრეეს ერი იგი არა ზორვაღ მათდა, არამედ კაცად-კაცადი წარსლვაღ ვანაღ თჳსა.
19. მოიწინეს ანტიოქიაჲთ და იკონიაჲთ ჰურიანი და, ვიდრე-იგი ეტყოდეს მათ განცსაღებულად, არწმუნეს ერსა მას განშორებაღ მათგან, რამეთუ იტყოდეს, ვითარმეღ: არარას ჭეშმარიტსა იტყჳან, არამედ ყოველსა ტყუიან. და ქვაჲ დაჰკრიბეს პაელეს და განითრიეს იგი გარეშე ქალაქსა მას. ეგრე ჰგონებდეს, ვითარმეღ მომკუდარ არს იგი.
20. და ვითარ-იგი შემოკრბეს და გარე მოაღგეს მოწაფენი, აღდგა და შევიდა ქალაქაღ, ხოლო ხვალისაგან გამოვიდა ბარნაბაჲს თანა და მივიდეს დერბეღ.
21. და ასარებდეს ქალაქსა მას და დაიმოწაფნეს მრავალნი, და მივიდეს ლუსტრაღ და იკონიაღ და ანტიოქიაღ,
22. და განამტკიცებდეს სულსა მოწაფეთასა და ჰლოცვიდეს მათ, რაჲთა მტკიცეღ დგენ სარ-

წმუნოებასა შედა, და ვითარმეღ: მრაველითა ჭირითა ჯერ-არს ჩუენდა შესლეაჲ სასუფეველსა ღმრთისასა.

23. და უკურთხნეს მათ ეკლესიად-ეკლესიად ხუცესნი, და ლოცვითა და მარხვითა შეჰვედრნეს იგინი უფალსა, რომლისაცა მიმართ ჰრწმენა.

24. და განვლეს რაჲ პისიდიაჲ, მოვიდეს პამფილიად;

25. და იტყოდეს პერგეს შინა სიტყუასა მას ღმრთისასა და შთავიდეს ატალიად;

26. და მიერ ნავითა მიეიდეს ანტიოქიად, ვინაჲცა იგი შეევედრებულ იყუნეს მადლითა ღმრთისაჲთა საქმესა მას, რომელიცა აღასრულეს.

27. და მო-რაჲ-ვიდეს, შეკრიბეს კრებული იგი და უთხრეს მათ რაოდენი ყო ღმერთმან მათ თანა, და რამეთუ განუღო წარმართთა კარი სარწმუნოებისაჲ.

28. და მუნ იქცეოდეს ჟამთა არა მცირეთა მოწაფეთა მათ თანა.

15

1. და გარდამო-ვინმე-ვიდეს ჰურიასტანით და ასწავებდეს ძმათა, ვითარმეღ: არა თუ წინა-დაიცუთოთ სჯულითა მოსესითა, ვერ ძალ-გიც ცხორებად.

2. და ვითარ-იგი იყო კდომაჲ და გამოძიებაჲ არა მცირედი პაველესი და ბარნაბაჲსი მათდა მიმართ, ბრძანეს აღსლვაჲ პაველესი და ბარნაბაჲსი და სხუათა ვიეთმე მათგანთაჲ მოციქულთა მიმართ და ხუცესთა იერუსალჱმდ ამის ცილობისათჳს.

3. და იგინი წარმოგზავნნეს კრებულისა მისგან. და გან-რაჲ-ჰვლიდეს ფინიკესა და სამარიასა, მიუთხრობდეს მათ მოქცევასა წარმართთასა და ჰყოფდეს სიხარულსა დიდსა ყოველთა შორის ძმათა.

4. და მო-რაჲ-ვიდეს იერუსალჱმდ, შეწყნარებულ იქმნეს კრებულისა მისგან და მოციქულთა და სუცესთა, და მიუთხრეს მათ რაოდენი-რაჲ ღმერთმან ყო მათ თანა, და რამეთუ განუღო წარმართთა კარი სარწმუნოებისაჲ.

5. აღ-ვინმე-დგეს დასისა მისგან ფარისეველთაჲსა მორწმუნენი და იტყოდეს, ვითარმეღ: ჯერ-არს წინა-დაცუეთად მათდა და მცნებად, რაჲთა დაიმარხონ სჯული მოსესი.

6. შეკრბეს მოციქულნი და ხუცესნი ხილვად სიტყჳსა ამისთჳს.

7. და ვითარ იყო მრავალი გამოძიებაჲ, აღდგა პეტრე და ჰრქუა მათ: კაცნო ძმანო, თქუენ უწყით, რამეთუ პირველით დღითგან თქუენ შორის გამორჩია ღმერთმან პირითა ჩემითა სმენად წარმართთა სიტყუაჲ იგი სახარებისაჲ და რწმუნებად;

8. და გულთ მეცნიერი ღმერთი ეწამა მათ და მისცა მათ სული წმიდაჲ, ვითარცა-იგი ჩუენ;
9. და არარაჲ განიკითხა შორის ჩუენსა და მათსა და სარწმუნოებითა განწმიდნა გულნი მათნი.
10. აწ უკუე რაჲსათჳს გამოსცდით ღმერთსა დადებად უღლისა ქედსა გედა მოწაფეთასა, რომლისა-იგი ვერცა მამათა ჩუენთა, ვერცა ჩუენ შეუძლეთ ტჳრთვად?
11. არამედ მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა გურწამს ჩუენ ცხორებაჲ, ვითარცა სახედ-იგი მათ.
12. და დადუმნა ყოველი იგი სიმრავლე და ისმენდეს ბარნაბაჲსსა მის და პაელწსსა მითხრობასა, რაოდენი ქმნა ღმერთმან ნიშები და სასწაულები წარმართთა შორის მათ მიერ.
13. და შემდგომად დადუმებისა მათისა მიუგო იაკობ და ჰრქუა: კაცნო ძმანო, ისმინეთ ჩემი:
14. სჳმეონ მიგითხრა, ვითარ-იგი ღმერთმან მოხედნა პირველად მიყვანებად წარმართთაგან ერი სახელისათჳს მისისა;
15. და მას შეეტყუებიან სიტყუანი იგი წინაწარმეტყუელთანი, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ:
16. ამისა შემდგომად მოვაქციო და აღვაშენო კარავი იგი დავითისი დაცემული, და დამჯობილი იგი მისი აღვჰმართო და აღვაშენო,
17. რაჲთა გამოიძიონ ნეშტთა კაცთა უფალი და ყოველთა წარმართთა, რომელთა გედა წოდებულ არს სახელი ჩემი მათ გედა, თქუა უფალმან,
18. რომელმან ქმნა ესე ყოველი საცნაური საუკუნითგან.
19. ამისთჳს მე ესრეთ ვსჯი და ჯერ-მიჩნს, რომელნი წარმართთაგანნი მოქცეულ არიან ღმრთისა მიმართ, რაჲთა არა ეაურეებდეთ მათ,
20. არამედ მიწერად მათდა, რაჲთა განეყენნენ იგინი ჭამად ნაზორევისაგან კერპთაჲსა და სიძვისაგან, დამშთვარისა და სისხლისა, და რაჲთა, რაოღენი მათ არა უნებს, რაჲთამცა ეყო, იგინი სხუასა ნუ უყოფენ.
21. რამეთუ მოსეს პირველთა ნათესავთაჲთგან ქალაქად-ქალაქად ქადაგნი იგი მისნი დაედგინნეს, რომელნი-იგი ამას აღმოიკითხვიდეს ყოველთა შაბათთა შესაკრებელთა შორის მათთა.
22. მაშინ ჯერ-იჩინეს მოციქულთა და ხუცესთა ყოველითურთ კრებულით და გამოარჩინეს კაცნი მათგანნი მიელინებად ანტიოქიად პავლეს და ბარნაბაჲს თანა იუდა, რომელსა ეწოდა ბარსაბა, და შილა, კაცნი შერაცხილნი ძმათა შორის;
23. და დაწერეს კელითა მათი-

თა ესრეთ: მოციქულნი და ხუცესნი და ძმანი, რომელნი-ეგე ანტიოქიაჲთ და ასურეთით და კილიკიაჲთ კერძო ძმანი ხართ წარმართთაგანნი, გიკითხაეთ. გიხაროდენ!

24. ვინაჲთგან გუესმა ჩუენ, რამეთუ ჩუენგანნი ვინმე განვიდეს და აღგრძნეს თქუენ სიტყუთა და აღაშფოთებდეს სულთა თქუენთა და გეტყოდეს წინა-დაცუეთად და დამარხვად სჯულსა, რომელთაჲა ჩუენ არაჲ გუემცნო.

25. აწ უკუე ჯერ-გუჩნდა კრებულსა ყოველსა ერთბამად გამორჩეულად კაცთაჲ მაგათ და მიელინებაჲ თქუენდა პაელეს თანა და ბარნაბაჲს თანა, საყუარელთა ჩუენთა,

26. კაცთა, რომელთა-იგი სულნი თჳსნი მისცნეს სახელისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა.

27. წარმო-უკუე-გუელინებიან იუდა და შილა, და მათცა სიტყუთ გითხრან ესეე.

28. რამეთუ ჯერ-უჩნდა სულსა წმიდასა და ჩუენცა, რაჲთა არარაჲ უმეტესი ტჳრთი დაედვათ თქუენ ზედა, გარნა რომელნი-ესე სასწრაფო არიან:

29. განშორებად თქუენდა ნაკერპავისაგან და სისხლისა, დამშთვარისა და სიძვისა, და რაოდენი არა გნებაეს, რაჲთა გეყოს თქუენ, სხუასა ნუ უყოფთ, რომელთაგან დაიმარხენით თავნი თჳსნი, კეთილსა იქმოდეთ და ცოცხლებით იყუენით!

30. იგინი ვითარცა წარმოემართნეს, მოვიდეს ანტიოქიად. და შეკრიბეს კრებული იგი და მისცეს წიგნი კელთა მათთა.

31. და ვითარცა აღმოიკითხეს, განიხარეს ნუგეშინის-ცემასა მას ზედა.

32. იუდა და შილა, რამეთუ იგინი წინაწარმეტყუელნი იყუენეს, მრაველითა სიტყჳთა ნუგეშინის-სცეს ძმათა მათ და დაამტკიცნეს.

33. და დაყუეს მუნ ჟამი მრავალი და წარიგზაენნეს მშჳდობით ძმათაგან მოციქულთა მიმართ.

34. ჯერ-იჩინა შილა დადგრომაჲ მუნვე.

35. ხოლო პაელე და ბარნაბა იქცეოდეს ანტიოქიას შინა და ასწაებდეს და ახარებდეს სხუათაცა მრავალთა თანა სიტყუასა მას უფლისასა.

36. შემდგომად დღეთა რაოდენთამე ჰრქუა პაელე ბარნაბას: მივიქცეთ და მოვიხილნეთ ძმანი ჩუენნი ყოველთა ქალაქთა, რომელთა შინა ვქადაგეთ სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, ვითარ-ძი არიან.

37. ბარნაბას უნდა, რაჲთამცა იოვანე თანა წარიყვანა, რომელსა ერქუა მარკოს.

38. ხოლო პაელე ჰლოცვიდა,

რაჲთა რომელი-იგი განეყენა მათ პანფილიაჲთ და არა შეუდგა მათ საქმესა მას, არა თანა-წარყვანებად იგი.
39. იყო უკუე მკსინეარებაჲ მათ შორის ვიდრე განშორებადმდე მათა ურთიერთას; ბარნაბა თანა წარიყვანა მარკოზ და განვიდა ნავითა კუპრედ.
40. ხოლო პაველე გამოირჩია შილა და განვიდა, და მიეცა მადლითა ღმრთისაჲთა ძმათაგან,
41. და მიმოვიდოდა ასურეთსა და კილიკიასა და განამტკიცებდა ეკლესიათა.

16

1. მიიწია იგი დერბედ და ლუსტრად. და აჰა ესერა მოწაფე ვინმე იყო მუნ, სახელით ტიმოთეოს, ძე ღედაკაცისა ჰურიისა მორწმუნისაჲ და მამისა წარმართისაჲ,
2. რომელი იწამებოდა ლუსტრელთაგან და იკონიელთა ძმათა.
3. ამისი სათნო-უჩნდა პაველეს მის თანა განსლვაჲ. და მოიყვანა და წინა-დასცუთა მას ჰურიათა მათთჳს, რომელნი იყვნეს მათ ადგილთა, რამეთუ უწყოდეს ყოველთა, ვითარმედ წარმართი იყო მამაჲ მისი.
4. და ვითარცა განჰვლიდეს ქალაქებსა მას, ასწავებდეს მათ დამარხვად მოძღურებათა მათ, დამტკიცებულთა მოციქულთაგან და ხუცესთა, რომელნი-იგი იყვნეს იერუსალჱმს შინა.
5. ხოლო ეკლესიანი იგი განმტკიცნებოდეს სარწმუნოებითა და შეეძინებოდა რიცხუსა მას დღითი-დღედ.
6. და მოვლეს ფრიგჲაჲ და გალატელთა სოფელი და დაყენებულ იქმნეს სულისა მიერ წმიდისა სიტყუად სიტყჳსა მის ასიას შინა,
7. მო-რაჲ-ვიდეს იგინი მისუნღ, აზმნობდეს წარსლვად ბითჳნიად, და არა უტევა მათ სულმან უფლისამან.
8. და ვითარ თანა-წარჰკლეს მისუნს, შთავიდეს ტროადად.
9. და ჩუენებასა ღამისასა ეჩუენა პაელეს: კაცი ვინმე იყო მაკედონელი, დგა და ევედრებოდა მას და ეტყოდა: წიაღ მოგუალე მაკედონიად და შემეწიე ჩუენ.
10. და ვითარცა ჩუენებაჲ იგი იხილა პაელე, ვისწრაფეთ მეყსეულად განსლვად მაკედონიად, გულისჴმა-ეყავთ, რამეთუ მუნ მიჩინნა ჩუენ უფალმან ხარებად მათდა.
11. აღვკედით ნავსა ტროადას და მართლ მივისწრაფეთ სამუთრაკედ, და ხვალისაგან — ახალქალაქად,
12. და მიერ ფილიპედ, რომელი-იგი არს პირველი ნაწილი მაკედონიისაჲ, ქალაქი კოლონიაჲ. ხოლო ვიყვენით მას ქალაქ-

სა შინა და ვიქცეოდეთ დღეთა რაოდენთამე.

13. და დღესა შაბათითასა განვედით გარეშე ქალაქსა მას, მდინარის კიდესა, სადა-იგი საგონებელ იყო ლოცვისა შეწირვაჲ; და დავსხედით და ვეტყოდეთ დედათა მათ, რომელნი მოსრულ იყვნეს.

14. და დედაკაცი ერთი სახელით ლუდია, ძოწეულის მოფარდული ქალაქისა თუატირისაჲ, მსახური ღმრთისაჲ იყო მუნ და ესმოდა, რომლისა-იგი უფალმან განუღო გული მორჩილებად სიტყუათა პაულეს მიერ თქუმულთა.

15. და ვითარცა ნათელ-იღო მან და სახლმან მისმან, გულოცვიდა და იტყოდა: უკუეთუ შეგირაცხიე მე მორწმუნედ უფლისა, შემოვედით ეანად ჩემდა და მუნ დაადგერით. და გუაიძულა ჩუენ.

16. და იყო, ვითარ წარვიდოდეთ ჩუენ ლოცვად, მკეთალი ვინმე წინა შემემთხუა ჩუენ, რომლისა თანა იყო სული პითონი, რომელ არს მისნობისაჲ, რომლისაგან სარეწავი დიდძალი შეუვიდოდა უფალთა მისთა მისნობითა მისითა.

17. ესე მისდევდა პაულეს და ჩუენ, კმობდა და იტყოდა: ესე კაცნი მონანი არიან ღმრთისა მაღლისანი, რომელნი გასარებენ თქუენ გზათა ცხორებისათა.

18. და ამას ჰყოფდა დღეთა მრავალთა. განრისხნა პაულე და მიექცა სულსა მას უკეთურსა და ჰრქუა: გამცნებ შენ სახელითა იესუ ქრისტესითა განსლვად მაგისგან. და განვიდა მასვე ჟამსა.

19. ვითარცა იხილეს უფალთა მის ღედაკაცისათა, რამეთუ განსრულ იყო სასოებაჲ სარეწავისა მათისაჲ, შეიპყრნეს პაულე და შილა და მიჰიდვიდეს მათ ურაკპარაკად მთაეართა მათთა.

20. და მიჰგუარნეს იგინი ერისთაეთა მათ და ჰრქუეს: ესე კაცნი აღსძრვენ ქალაქსა ამას ჩუენსა, ჰურიანი არიან

21. და მითხრობენ სჯულსა, რომელი არა ჯერ-არს ჩუენდა თავს-დებად, არცა ქმნად, რამეთუ ჩუენ კაცნი ჰრომნი ვართ.

22. და შეკრბებოდა ერი მათ ზედა. და ერისთავთა მათ მოაპეს სამოსელი მათი და უბრძანეს კუერთხითა ცემაჲ.

23. და ვითარ მრავალი წყლულებაჲ დასდვეს მათ ზედა, შესხნეს იგინი საპყრობილესა, და ამცნეს საპყრობილის მცველსა მას კრძალულად დაცვაჲ მათი;

24. და მან, ვითარცა ესევითარი მცნებაჲ მოიღო მათგან, შესხნა იგინი უშინაგანესსა საპყრობილესა და ფერკნი მათნი დაპკრძალნა კუნდსა შინა.

25. და შუა ღამეს ოდენ პაულე

და შილა ილოცვიდეს და უგალობდეს ღმერთსა; და ისმენდეს მათსა სსუანი იგი პყრობილნი.
26. მეყსეულად ძრვაჲ იყო დიდი, ვიდრემდე საპყრობილე იგი საფუძველითურთ შეიძრა, და მუნქუესვე ყოველნი კარნი განეკუნეს, და ყოველთა კრულებანი განიკსნნეს.
27. და ვითარ განეღჳძა საპყრობილის მცველსა მას და იხილნა კარნი საპყრობილისანი განსუმულნი, იკადა მახჳლი და ეგულებოდა განგურემაჲ თავისა თჳსისაჲ. ეგრე ჰგონებდა, ვითარმედ განლტოლვილ არიან ყოველნი პყრობილნი.
28. ჴმა-უყო მას ჴმითა დიდითა პაველე და ჰრქუა: ნუ რას შეიმთხუევ ბოროტსა თავსა შენსა, რამეთუ ჩუენ ყოველნი აქა ვართ.
29. ხოლო მან მოითხოა სანთელი და შეისწრაფა შინა, და ძრწოლაჲ შეედვა და შეუვრდა პაველეს და შილას
30. და გამოიყვანნა იგინი გარე და ჰრქუა: უფალნო, რაჲ მიღირს მე ყოფაღ, რაჲთა ვცხონდე?
31. ხოლო მათ ჰრქუეს: გრწმენინ უფალი იესუ ქრისტე, და სცხონდე შენ და ყოველი სახლი შენი.
32. და ეტყოდეს მას სიტყუასა მას უფლისასა, და ყოველთა სახლეულთა მისთა.
33. და წარიყვანნა იგინი მასვე ჟამსა ღამისასა და განბანნა იგინი ნაგუემთა მათგან. და ნათელ-იღო მან და მისთა ყოველთა;
34. მეყსეულად აღიყვანნა იგინი სახედ თჳსა და დაუგო მათ ტაბლაჲ. და უსაროდა მას ყოველითურთ სახლეულით, რომელთა პრწმენა ღმერთი.
35. და ვითარცა განთენა, მოუელინნეს ერისთავეთა მათ მტარეალნი და ჰრქუეს: განუტევენ კაცნი ეგე, რომელნი მიუცენით პყრობილად.
36. მიუთხრნა სიტყუანი ესე მესაპყრობილეთ-მოძღუარმან მან პაელეს და ჰრქუა, ვითარმედ: ერისთავეთა მათ უბრძანებიეს განტევებაჲ თქუენი. აწ უკუე განვედით და წარეედით მშჳდობით!
37. ხოლო პაელე ჰრქუა მათ: გუგუემნეს ჩუენ ურაკპარაკთა ზედა კაცნი უბიწონი ჰრომნი და შემსხნეს საპყრობილესა ცუდაღ, და აწ ფარულად განგჳყვანებენ ჩუენ. არა ეგრე,არამედ თჳთ მოვიდენ და მათ განმიყვანნენ ჩუენ.
38. მიუთხრეს მტარეალთა მათ ესე ყოველი ერისთავეთა მათ. და მათ ზარი განჰკდა, ესმა რაჲ, ვითარმედ ჰრომნი არიან.
39. და მოვიდეს და ჰლოცვიდეს მათ. და გამოიყვანნეს იგინი

საპყრობილით და ეეედრებოდეს განსლეაჲ ქალაქისა მისგან.
40. იგინი ვითარ გამოვიდეს მიერ საპყრობილით, მივიდეს და შევიდეს სახლსა ლუდიაჲსასა და იხილნეს ძმანი და ნუგეშინის-სცეს მათ და გამოვიდეს.

17

1. და ვითარცა მოელეს ამფიპოლი და აპოლონიაჲ, მოვიდეს იგინი თესალონიკედ, სადა-იგი იყო შესაკრებელი ჰურიათაჲ.
2. და ვითარცა ჩუეულ იყო პაელე, შეევიდა მათა და სამსა შაბათსა ეტყოდა მათ წიგნთაგან,
3. გამო·უთარგმანებდა მათ და წინა-დაუდებდა, რამეთუ ქრისტესა ჯერ-იყო ვნებაჲ და აღდგომაჲ მკუდრეთით და ვითარმედ: ესე არს იესუ ქრისტე, რომელსა მე გახარებ თქუენ.
4. და რომელთამე მათგანთა ჰრწმენა და შეუდგეს პაელეს და შილას მორწმუნეთა წარმართთა სიმრავლე მრავალი და დედათა მთაყართა არა მცირედთაჲ.
5. ხოლო შური აღიღეს, რომელნი-იგი ურწმუნონი ჰურიანი იყუნეს, და მოიყუანნეს სავაჭროთაგან კაცნი ვინმე ბოროტნი, და ერის კრება ყვეს და აღაშფოთებდეს ქალაქსა მათ ზედა. და ზედა მიადგეს სახლსა იასონისსა და ეძიებდეს მათ გამოყვანებაჲ ერსა წინაშე.
6. და ვითარცა არა პოვნეს იგინი, მიითრეედეს იასონს და სხუათა ვიეთმე ძმათა მთავართა წინაშე ქალაქისათა და ღაღადებდეს, ვითარმედ: რომელთა ყოველი სოფელი აღუშფოთებიეს, იგინი აქაცა მოსრულ არიან,
7. რომელნი შეუწყნარებიან იასონს, და ესე ყოველნი წინააღმდგომსა კეისრისა ბრძანებათასა იქმან, მეუფესა სხუასა იგყჯან ყოფად, იესუს.
8. აღაშფოთეს ერი იგი და მთავარნი ქალაქისანი, ესმოდა რაჲ ესე.
9. და მოჰკადეს თაეს-მდები იასონს, და მაშინ-ღა განუტევნეს იგინი.
10. ხოლო ძმათა მეყსეულად ღამე წარგზაენნეს პაელე და შილა ბერიად, რომელნი-იგი, ვითარცა მიიწინეს, შესაკრებელსა ხოლო ჰურიათასა შევიდეს.
11. რამეთუ ესენი უაგნაურეს იყვნეს თესალონიკელთა მათ, რომელთაცა შეიწყნარეს სიტყუაჲ იგი ყოელითა გულს-მოდგინებითა, მარადღე გამოეძიებდეს წიგნთაგან, უკუეთუ ესე ესრეთ არს.
12. მრავალთა უკუე მათგანთაცა ჰრწმენა, და წარმართთაგანთა დედათა მრავალთა წესიერთა და მამებსა არამცირედსა.

13. ხოლო ვითარცა აყრძნეს თესალონიკელთა მათ პურიათა, ვითარმედ ბერიასცა მიეთხრა პაულეს მიერ სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ, მოვიდეს მუნცა, აღსძრვიდეს და აღსტეხდეს ერსა მას.
14. მუნქუესვე განიყვანეს ძმათა მათ პაელე წარსლვად ზღჳთ კერძო; ხოლო შილა და ტიმოთე მუნვე დაღგეს.
15. და რომელთა-იგი მიჰყვანდა პაულე, წარიყვანეს იგი ვიდრე ათინაღმდე, და მოიღეს მცნებაჲ შილაჲს და ტიმოთეს მიმართ, რაჲთა აღრე მივიდენ მისა, და გამოვიდეს.
16. ვიდრე-იგი ათინას შინა ელოდა მათ პაულე, ეძჯნებოდა სულსა მისსა მის თანა, სედვიდა რაჲ კერპთ მსახურებასა მის ქალაქისასა.
17. ეტყოდა მარადის შესაკრებელსა შორის ჰურიათა და რომელნი ჰმსახურებდეს და უბანთა ზედა ყოველსა დღესა რომელთა-იგი შეემთხუეოდა.
18. რომელთამე ეპიკურელთა და სტოჲსა ფილოსოფოსთა სიტყუა-ყვეს მის თანა, და რომელნიმე იტყოდეს: რაჲ-მე ჰნებავს თესლის მეტყუელსა ამას სიტყუად? და რომელნიმე იტყოდეს: უცხოთა ეშმაკთა ჩანს მთხრობელ ესე, რამეთუ იესუს, და აღდგომასა ახარებდა მათ.
19. შეიპყრეს იგი და არიოპაგედ მიიყვანეს და ეტყოდეს: შემძლებელ ვართ ცნობაღ, რაჲ არს ასალი ესე შენ მიერ თქუმული მოძღურებაჲ?
20. რამეთუ უცხოსა რასმე ასმენ სასმენელთა ჩუენთა. მნებავს უკუე ცნობაღ, რაჲსა ჰნებავს ამას ყოფაღ.
21. ხოლო ათინელნი ყოველნი და რომელნი მოსრულ იყვნეს უცხონი, სხუაღ არაღ მოცალე იყვნეს, გარნა სიტყუაღ რაჲსამე და სმენაღ უახლესისა.
22. მაშინ დაღგა პაულე შორის არიოპაგისა და თქუა: კაცნო ათინელნო, ყოვლითურთ ვითარცა მრჩობლ ეშმაკეულთა გხედაე თქუენ.
23. რამეთუ, მიმო-რაჲ-ვიქცეოდე და მოვისილევედ სამსახურებელთა თქუენთა, ვპოვე ბომონიცა, რომელსა ზედა წერილ იყო: უცნაურსა ღმერთსა. აწ უკუე რომლისა-იგი უმეცარ ხართ და ჰმსახურებთ მას, მე გახარებ თქუენ,
24. ღმერთსა, რომელმან შექმნა სოფელი და ყოველი, რაჲ არს მას შინა. ესე ცისა და ქუეყანასაჲ არს უფალი, არა კელით ქმნულთა ტაძართა შინა დამკჳდრებულ არს,
25. არცა კაცობრიეთა კელთა მიერ იმსახურების, ვითარმცა მოქენე ვისამე იყო, რამეთუ იგი თავაღ მოსცემს ყოველთა ცხორებასა და სულსა ყოველით

კერძო.
26. და შექმნა ერთისაგან სისხლისა ყოველნი ნათესავნი კაცთანი დამკჳდრებად ყოველსაცე ზედა პირსა ქუეყანისასა, განაჩინნა დაწესებულნი ჟამნი და საზღვრის დადებანი დამკჳდრებისა მათისანი მოძიებად ღმრთისა;
27. და უკუეთუმცა ეინ ეძიებდა, პოამცა იგი, და რამეთუ არცა შორს არს კაცად-კაცადისაგან ჩუენისა,
28. რამეთუ მის მიერ ცხოველ ვართ და ვიქცევით და ვართ, ვითარცა-იგი ეინმე თქუენგანნი სიტყჳს მოქმედნი იტყჳან: რომლისა-იგი ნათესავცა ვართო.
29. აწ უკუე ვინაჲთგან ნათესაე ღმრთისა ვართ, არა გჳღირს, ვითარმცა ეპგონებდით ოქროსა გინა ვეცხლსა ანუ ანთრაკსა, გამოხატულსა ხუროებით განზრახვითა კაცთაჲთა, საღმრთოჲსა მის მსგავს ყოფად.
30. რამეთუ ჟამნი იგი უმეცრებისანი უგულებელს-ყვნა ღმერთმან და აწ ამცნებს ყოველთა კაცთა ყოველსა აღგილსა შენანებად;
31. ვითარცა-იგი დაამტკიცა დღე, რომელსა შინა ეგულების განკითხვაჲ სოფლისაჲ სიმართლით, კაცითა მით, რომელი განაჩინა სარწმუნოებაჲ, მოსცა ყოველთა, რამეთუ აღადგინა იგი მკუდრეთით.
32. ხოლო მათ ვითარცა ესმა აღდგომაჲ მკუდართაჲ, რომელნიმე ეკიცხევდეს და რომელთამე თქუეს: ვისმინოთ შენი ამისთჳს კუალადცა.
33. და ესრეთ გამოვიდა პაელე შორის მათსა.
34. ხოლო რომელნიმე კაცნი მისდევდეს მას და ჰრწმენა, რომელთა თანა იყო დიონოსიოს არიოპაგელი და დედაკაცი, სახელით დამარის, და სხუანი მათ თანა.

18

1. ამისა შემდგომად გამოვიდა პაელე ათინელთა მათგან და მოვიდა კორინთედ;
2. და პოა ეინმე ჰურიაჲ, სახელით აკჳლა, პონტოელი ნათესავით, რამეთუ მაშინ ოდენ მოსრულ იყო იგი იტალიაჲთ, და პრისკილა, ცოლი მისი, — რამეთუ ებრძანა კლავდის კეისარსა განშორებად ყოველნი ჰურიანი ჰრომით, — მოვიდა მათა
3. და, რამეთუ ერთი კელოენებაჲ იცოდეს, იყოფოდა მათ თანა და იქმოდა, რამეთუ იყვნეს კელოენებით მეპრატაკე.
4. და ეტყოდა შესაკრებელსა მას ყოველსა შაბათსა და არწმუნებდა ჰურიათა და წარმართთა.
5. და ოდეს მოვიდეს მაკედონიაჲთ შილა და ტიმოთე, აწუევდა

სული პაელეს და უწამებდა ჰურიათა მათ ქრისტე იესუს.
6. ხოლო იგინი ეითარ უკდებოდეს და ჰგმობდეს, განიყარა მათ ზედა სამოსელი თჳსი და ჰრქუა მათ: სისხლი თქუენი თავთა ზედა თქუენთა! უბრალომცა ვარ მე! ამიერითგან წარმართთა მიმართ მიეიდე.
7. და წარმოვიდა მიერ და შეიდა სახლსა ვისსამე, რომელსა სახელი ერქუა ტიტოს, ძისა იოსტოჲსსა, ღმრთის მსახურისა, რომლისა სახლი ეზღერებოდა შესაკრებელსა მას.
8. ხოლო კრისპოსს შესაკრებელის მთავარსა ჰრწმენა უფალი ყოელითურთ სახლეულით მისით, და მრავალნი კორინთელნი ისმენდეს და ჰრწმენა და ნათელს-იღებდეს.
9. ჰრქუა უფალმან ჩუენებით ღამე პაელეს: ნუ გეშინინ, არამედ იტყოდე და ნუ სდუმი,
10. რამეთუ მე ვარ შენ თანა, და არავინ შეუძლოს ბოროტის ყოფად შენდა, რამეთუ ერი მრავალი არს ჩემდა ქალაქსა ამას შინა.
11. და დაყო მუნ ერთ წელ და ექუს თუე და ასწაებდა მათ შორის სიტყუასა ღმრთისასა.
12. ხოლო გალიონ მთავარი იყო აქაიაჲსაჲ, ზედა მიუკდეს ყოველნი ჰურიანი ერთბამად პაელეს და მოიყვანეს საყდარსა წინაშე
13. და იტყოდეს, ეითარმედ: თჳნიერ სჯულისა ურჩ იქმს ესე კაცთა მსახურებად ღმრთისა.
14. და ვითარცა ეგულებოდა პაელეს აღებად პირისა, ჰრქუა გალიონ ჰურიათა მათ: უკუეთუმცა იყო შეცოდებათაგანი რაჲმე ძჯრის საქმე ბოროტი, ჰ ჰურიანო, სიტყჯსა მისებრმცა თაეს-ვიდევ თქუენი;
15. უკუეთუ ძიებაჲ რაჲმე არს სიტყჯსათჳს და სახელებისა და სჯულისა თქუენისა, თქუენ იხილეთ, რამეთუ მე მსაჯულ ეგე ვითართათჳს არა მნებავს ყოფად.
16. და განასხნა იგინი საყდრისაგან.
17. მაშინ შეიპყრეს ყოველთა წარმართთა სოსთენი, შესაკრებელის მთავარი, და სცემდეს საყდარსა წინაშე; და არარას გრუნვიდა ამათგანსა გალიონ.
18. ხოლო პაელე და-ეეღა-აღგრა მუნ მრავალ დღე ძმათა თანა, და მერმე იჯმნა და განვიდა ნავითა ასურეთად, და მის თანა პრისკილა და აკჳლა. ხოლო იკუეცა მან თმაჲ კენქრეს, რამეთუ აღთქუმაჲ აღეთქუა.
19. და მიიწია ეფესოდ, იგინი დაუტევნა მუნ, და იგი შეიდა შესაკრებელსა და ეზრახა ჰურიათა მათ.
20. და ვითარ იგინი ჰლოცვიდეს უმეტესსა-რე ჟამსა დაღგრომად მათ თანა, არა ინება,

21. არამედ იჯმნა მათგან და თქუა: ჯერ-არს ჩემდა ღესასწაულსა ამას მომავალსა იერუსალჱმს აღსრულებად და კუალად მოვიდე თქუენდა ნებითა ღმრთისაჲთა. შეეიდა ნავსა ეფესოჲთ.

22. და შთავიდა კესარიად. აღვიდა და მოიკითხა ეკლესიაჲ და შთავიდა ანტიოქიად,

23. და დაყო ჟამი რაოდენიმე, და განვიდა და მიმოვიდოდა შემდგომითი-შემდგომად გალატელთა სოფელსა და ფრიგუაჲსასა და განამტკიცებდა ყოველთა მოწაფეთა.

24. ჰურიაჲ ვინმე, აპოლო სახელით, ალექსანდრიელი ნათესავით, კაცი სიტყუა-მეცნიერი, მოვიდა ეფესოდ, ძლიერ იყო წიგნთაგან.

25. ესე იყო სწავლულ გზათა უფლისათა და მდუღარე სულითა, ეტყოდა და ასწაებდა ჭეშმარიტად იესუჲსთჳს, და იცოდა ნათლის-ცემაჲ ხოლო იოვანესი.

26. ამან იწყო განცხადებად შესაკრებელსა შორის. ესმა მისი აკულას და პრისკილას და მოიყვანეს იგი და უჭეშმარიტესად-რე უთხრეს მას გზაჲ იგი უფლისაჲ.

27. და ვითარ-იგი ეგულებოდა მას აქაიად წიაღ-სლვად, უბრძანეს ძმათა და მიუწერეს მოწაფეთა მათ შეწყნარებაჲ მისი, რომელი მივიდა და შეეწეოდა მორწმუნეთა მათ ფრიად მადლისა მის მიერ,

28. რამეთუ ძლიერად ჰურიათა მათ ამხილებდა ერსა წინაშე და უჩუენებდა წიგნთაგან, ვითარმედ არს ქრისტე იესუ.

19

1. იყო აპოლოჲსსა მას ყოფასა კორინთეს შინა პაელეს მოევლო ზემო კერძოჲ იგი აღგილი და მოიწია ეფესოდ და პოვნა ვინმე მოწაფეთაგანნი.

2. და ჰრქუა მათ: უკუეთუ სული წმიდაჲ მიგიღებიეს და გრწამს? ხოლო მათ ჰრქუეს მას: არამედ არცაღა არს, თუ სული წმიდაჲ გუასმიეს.

3. ჰრქუა მათ პაველე: რაჲთა უკუე ნათელ-გიღებიეს? და მათ ჰრქუეს: იოვანეს ნათლის-ცემითა.

4. ჰრქუა მათ პაველე: იოვანე ნათელ-სცემდა ნათლის-ცემასა სინანულისასა ერსა და ეტყოდა მომავალისა მისთჳს შემდგომად მისა, რაჲთა ჰრწმენეს, ესე იგი არს იესუ ქრისტე.

5. ხოლო მათ, ვითარცა ესმა, ნათელ-იღეს სახელითა უფლისა იესუ ქრისტჱსითა.

6. და დასხმითა კელთა პაელესთაჲთა მათ ზედა მოვიდა მათ ზედა სული წმიდაჲ, იტყოდეს ენათა და წინაწარმეტყუელებდეს.

7. ხოლო იყვნეს კაცნი იგი ყოველნიეე ათორმეტ.
8. შეეიდა უკუე შესაკრებელსა მას და კაღნიერად იქცეოდა სამ თუე, ეტყოდა და არწმუნებდა სასუფეველისათჳს ღმრთისა.
9. და ვითარ-იგი ვინმე განჭიცხნებოდეს და ურჩ იქმნებოდეს და ძჯრსა იტყოდეს გზისა მისთჳს წინაშე სიმრავლისა მის, განეყენა მათგან და განაშორნა მოწაფენი იგი და დღითი-ღღე ეტყოდა მათ სამწიგნობრესა მას ტჯრანეს ვისსამე.
10. და ესე იყო ორ წელ, ვიდრემდე ყოველთა დამკჳდრებულთა ასიისათა ესმა სიტყუაჲ უფლისა იესუჲსი, ჰურიათა და წარმართთა.
11. ხოლო ძალთა არა მცირეთა იქმოდა ღმერთი კელითა პავლესითა,
12. ვიდრეღა უძლურთაცა გედა მიაქუნდა ოფლისა მისისაგან ვარშამაგებითა და ოლარებითა, და განეყენებოდა მათ სენი იგი და სულები არაწმიდაჲ განვიდოდა.
13. იწყეს ვიეთმე მიმომავალთა ჰურიათა, მაფუცებელთა, სახელის-დებად სახელსა უფლისა იესუჲსსა მათ ზედა, რომელთა თანა იყო სულები უკეთურები, და იტყოდეს: გაფუცებთ თქუენ იესუს, რომელსა პავლე ქადაგებს.
14. იყვნეს ვინმე სკევაჲს მღდელთ-მოძღუარისა ჰურიისა შჳდნი ძენი, რომელნი ამას ჰყოფდეს.
15. მიუგო სულმან მან უკეთურმან და ჰრქუა მათ: იესუ ვიცი და პაელესთჳსცა მეცნიერ ვარ, ხოლო თქუენ ვინ ხართ?
16. და ახლდნა კაცი იგი, რომლისა თანა იყო სული არაწმიდაჲ, სძლო მათ და ერეოდა, ვიდრემდე შიშუელნი და წყლულნი ივლტოდეს მიერ სახლით.
17. და ესე განცხადებულ იქმნა ყოველთა მიმართ ჰურიათა და წარმართთა, რომელნი დამკჳდრებულ იყვნეს ეფესოს. და დაეცა შიში დიდი მათ ყოველთა ზედა და განდიდნებოდა სახელი უფლისა იესუჲსი.
18. და მრავალნი მორწმუნეთაგანნი მოვიდოდეს და აღუარებდეს საქმეთა მათთა.
19. და მრავალთა გრძნების მოქმედთა მოკრიბნეს წიგნები მათი და დასწუვიდეს წინაშე ყოველთასა, და აღრაცხეს სასყიდელი მათი და პოვეს ვეცხლი ხუთი ბევრი.
20. და ესრეთ მტკიცედ სიტყუაჲ იგი უფლისაჲ აღორძნებოდა და განმტკიცნებოდა.
21. ვითარცა აღესრულა ესე, დაიდვა პავლე გულსა თჳსსა, მო-რაჲ-ეელო მაკედონიაჲ და აქაიაჲ, მისლვად იერუსალჱმდე და თქუა, ვითარმედ: შემდგო-

მად მისლვისა ჩემისა მუნ ჯერ-არს ჩემდა პრომეცა ხილვად.
22. და მიაელინნა მაკედონიად ორნი მსახურნი მისნი, ტიმოთე და ერასტოს, ხოლო იგი დაადგრა ჟამ რაედენმე ასიას შინა.
23. იყო მას ჟამსა შინა შფოთი არა მცირედი გზისა მისთჳს,
24. რამეთუ დემეტრეოს ვინმე სახელით, ვეცსლის მჭედელი, იქმოდა ტაძართა ვეცსლისათა არტემისთა და მისცემდა ხუროთა მათ სარეწავსა არა მცირედსა,
25. რომელნი შეკრიბნა და ჰრქუა: კაცნო, იცით, რამეთუ ამის საქმისაგან არს სარეწავი ჩუენი;
26. და ხედავთ და გესმის, რამეთუ არა ხოლო თუ ეფესოსა, არამედ კნინღა-და ყოველსა ასიასა ამან პაელე არწმუნა და გარდააქცია ერი მრავალი და იტყჳს, ვითარმედ: არა არიან ღმერთნი კელით ქმნულნი.
27. და არა ხოლო ესე ჭირი არს ჩუენ ზედა აღგილად მხილებისა მოწევნად ჩუენდა, არამედ დიდისა ღმრთისა არტემის ტაძარიცა არაღეე შერაცხად ყოფად არს და დარღუევად სიმდიდრე მისი, რომელსა ყოველი სოფელი და ასიაჲ ჰმსახურებს.
28. მათ ვითარცა ესმა ესე, აღივსნეს გულის წყრომითა, ღაღადებდეს და იტყოდეს: დიდ არს არტემი ეფესელთაჲ!
29. და აღივსო ყოველი ქალაქი შფოთითა და მიიმართეს და მივიდეს ერთბამად სახილველსა მას, თანა წარიტაცნეს გაიოს და არისტარქოს მაკედონელნი, პაელეს თანა წარსრულნი.
30. ხოლო პაელეს ენება რაჲ შესლვად ერსა მას შორის, არა უტევეს მოწაფეთა.
31. და რომელნიმე ასიაჲსა მთავარნი მეგობარ იყვნეს მისა, მიაელინნეს მისა და ჰლოცვიდეს, რაჲთა არა მისცეს თავი თჳსი სახილველსა მას.
32. სხუანი უკუე სხუასა რასმე ღაღადებდეს, რამეთუ იყო კრებული იგი შეშფოთებულ და უმრავლესთა მათგანთა არა უწყოდეს, რაჲსათჳს შეკრებულ იყვნეს.
33. ხოლო ერისაგან წარმოადგინეს ალექსანდრე, რამეთუ ჰურიათა წარმოადგინეს იგი. ხოლო ალექსანდრე განუყარა კელი და უნდა სიტყჳს მიგებაჲ ერისაჲ მის.
34. მათ ვითარცა გულისჰმა-ყვეს, ვითარმედ ჰურიაჲ არს, იქმნა ერთი კმაჲ ყოველთაგან, ვიდრე ორ ჟამადმდე ღაღადებდეს და იტყოდეს: დიდ არს არტემი ეფესელთაჲ!
35. დააცხრვო მწიგნობარმან მან ერი იგი და ჰრქუა: კაცნო ეფესელნო, ვინ-მე არს კაცთაგანი, რომელმან არა იცის ეფესელთა ქალაქი, რამეთუ მსა-

ხური არს დიდისა არტემისი და დიოპეტისი?
36. და ესე უცილობელ არს, ჯერ-არს თქუენდა, რაჲთა დაწყნარებულ იყუნეთ და ნურარას იქმთ წარმდებებით.
37. რამეთუ მოიყვანენით კაცნი ესე, არცა ბაგინის მძარცუელ, არცა მგმობარ არიან ღმრთისა ჩუენისა.
38. უკუეთუ დემეტრიოსს და მის თანა ხუროთა მათ უც ვიეთ თანამე სიტყუაჲ, უბანთა ვაჭარნი მოიყვანნედ, და მთავარნი არიან, და აბრალებედ ურთიერთას.
39. უკუეთუ კულა სხჳსა რაჲსათჳსმე ეძიებთ, სჯულიერითა კრებითა განეგოს.
40. და რამეთუ ვიურვით ბრალობად შფოთისა ამისთჳსცა დღენდელისა, რამეთუ არარაჲ მიზეზი იყო, რომლისათჳსცა ვერცა სიტყჳს მიგებად კელ-მეწიფების შეკრებულისა ამისთჳს ერისა. და ესე ვითარცა თქუა, განუტევა კრებული იგი.

20

1. ხოლო შემდგომად დაცხრომისა მის შფოთისა, მოუწოდა პაელე მოწაფეთა მათ და ნუგეშინის-სცა და მოიკითხნა, და იჯმნა მათგან და განვიდა მისლვად მაკედონიად.
2. და ვითარცა მოვლო ადგილები იგი და ნუგეშინის-სცა მათ სიტყჳთა მრავლითა, წარვიდა ელადად.
3. და იყო მუნ სამ თთუე. იქმნა მისთჳს ძჳრის მზრახვაჲ პურიათაგან. ეგულებოდა რაჲ აღსლვაჲ ასურეთა, განიზრახა მიქცევაჲ მაკედონიათ.
4. და მის თანა ჰყვანდეს ვიდრე ასიადმდე სოსიპატრე პჳრესი, ბერიელი, და თესალონიკელი არისტარქოს და სეკუნდოს და გაიოს დერბელი და ტიმოთე და ასიელნი ტუქიკოს და ტროფიმოს.
5. ესენი წინა-წარგუძღუეს და გუელოდეს ჩუენ ტროადას შინა.
6. ხოლო ჩუენ ნავითა წარვედით შემდგომად დღეთა მათ უცომოებისათა ფილიპიაჲთ და მოვედით მათ თანა ტროადად მეხუთესა დღესა, და ვიყუენით ჩუენ მუნ შჳდ დღე.
7. და ერთსა მას შაბათსა შეკრებულ რაჲ იყვნეს მოწაფენი იგი განტეხად პურისა, ხოლო პაელე ეტყოდა მათ სიტყუასა მოძღურებისათა, რამეთუ განსლვად იყო ხვალისაგან, და განაგრძო სიტყუაჲ იგი ვიდრე შუა ღამედმდე.
8. იყვნეს სანთელნი მრავალნი ქორსა მას ზედა, სადა-იგი შეკრებულ ვიყუენით.
9. ხოლო ჯდა ჭაბუკი ვინმე ერთი, სახელით ევტუქოს, სარკუმელსა ზედა. და ვითარცა მიერულა მას ძილითა კშირითა

სიტყუასა მას პაელესსა მრავალ ჟამ, გარდავარდა მძინარე და დაეცა სამ სართულისა მისგან ქუეყანად და იღვა მკუდარი.

10. გარდაეიდა პაელე და დავარდა მას ზედა, შეიტკბო იგი და თქუა: ნუ აღშფოთნებით, რამეთუ სული მისი მის თანა არს.

11. აღდგა მიერ და აღვიდა, განტეხა პური და ჭამა, და მრავალ ჟამ ზრასვიდა-ღა ვიდრე განთენებადმდე და ესრეთ განვიდა.

12. ხოლო მოიყვანეს ყრმაჲ იგი ცოცხალი და ნუგეშინის-იცეს არა მცირედ.

13. ხოლო ჩუენ წინა წარუძღჳთ ნაეითა და აღვედით ასსონდ; მიერ გუეგულებოდა წარყვანებაჲ პაელესი, რამეთუ ეგრეთ განეწესა, რამეთუ მკჳრცხლ ეგულებოდა მოსლვაჲ.

14. ვითარცა მოვიდა ჩუენდა ასსონდ, წარმოვიყვანეთ იგი და მოვედით მიტჳლინდ.

15. და მიერ ნაეითა წარმოვედით და ხვალისაგან მივიწიენით წინაშე ქიონისა. და მიერ მიევედით სამონდ და დავადგერით ტრონგჳლიას შინა, და მეორესა დღესა მიევედით მელიტონდ.

16. ინება პაელე ეფესოჲსა თანა-წარსლვაჲ, რაჲთა არა დაეყოენოს მრავალ ჟამ ასიას შინა, რამეთუ ისწრაფდა, უკუეთუმცა შესაძლებელ იყო მისა, დღისა მის მეერგასისა ყოფად იერუსალჵმს.

17. ხოლო მელიტონით მიაველინა ეფესოდ და მოუწოდა ხუცესთა ეკლესიისათა.

18. და ვითარცა მოვიდეს მისა, ჰრქუა მათ: თქუენ იცით პირველ დღითგან, ვინაჲთგან შემოვედ ასიად, თუ ვითარ ვიყაე თქუენ თანა ყოველსა ჟამსა,

19. და ეპმონებდ უფალსა ყოვლითა სიმდაბლითა და მრავლითა ცრემლითა და განსაცდელითა, რომელნი შემემთხუეოდეს მე ძჯრის ზრახვათაგან ჰურიათაჲსა.

20. ვითარ-იგი არარაჲ დავაყენე უმჯობესი თქუენი, რომელიმცა არა გითხარ და გასწავე თქუენ ერსა წინაშე და სახლსა შინა.

21. და უწამებდ ჰურიათა და წარმართთა ღმრთისა მიმართ სინანულსა და სარწმუნოებასა უფლისა მიმართ ჩუენისა იესუ ქრისტესა.

22. და აწ ესერა კრული სულითა მივალ იერუსალჵმს და, მუნ თუ რაჲ შემთხუევად არს ჩემდა, არაჲ ვიცი;

23. გარნა სული წმიდაჲ ქალაქად-ქალაქად მიწამებს მე და მეტყჳს, რამეთუ კრულებანი და ჭირნი მელიან მე.

24. არამედ არარას ვზრუნავ ამისთჳს, არცა უპატიოსნეს სულისა ჩემისა შემირაცხიეს თავი

ჩემი, ვითარმცა არა აღვასრულე სრბაჲ ჩემი სიხარულით და მსახურებაჲ, რომელი მოვიღე უფლისა იესუ ქრისტესგან წამებად სახარებაჲ იგი მადლისა ღმრთისაჲ.
25. და აწ აჰა ესერა მე უწყი, რამეთუ არღარა იხილოთ პირი ჩემი თქუენ ყოველთა, რომელთა შორის ვიქცეოდე და ექადაგებდ სასუფეველსა ღმრთისასა.
26. ვინაჲცა გიწამებ თქუენ დღენდელსა ამას დღესა, რამეთუ უბრალო ვარ მე სისხლისაგან თქუენ ყოველთაჲსა.
27. რამეთუ არარაჲ დავაყენე, რომელიმცა არა გითხარ თქუენ ყოველივე ნებაჲ ღმრთისაჲ.
28. ეკრძალენით უკუე თავთა თქუენთა და ყოველსავე სამწყსოსა, რომელსა-ეგე თქუენ სულმან წმიდამან დაგადგინნა მოღუაწედ და მწყსად ეკლესიასა უფლისა ღმრთისასა, რომელი მოიგო სისხლითა თჳსითა.
29. და აჰა მე უწყი ესე, რამეთუ შემოვიღენ თქუენდა შემდგომად განსლვისა ჩემისა მგელნი მძიმენი, რომელნი არა ერიდებოდიან სამწყსოსა.
30. და თჳთ თქუენგანნი აღდგენ კაცნი, რომელნი იტყოდიან გულარძნილსა, რაჲთა განადგინნენ მოწაფენი შედგომად მათდა.
31. ამისთჳს იღჳძებდით და მოიკსენეთ, რამეთუ სამსა წელსა ღამით და ღიით არა დავსცხრებოდე ცრემლით სწავლასა კაცად-კაცადისა თქუენისასა.
32. და აწ შეგევედრებ თქუენ ღმერთსა, ძმანო, და სიტყუასა მას მადლისა მისისასა, რომელი შემძლებელ არს აღშენებად და მოცემად თქუენდა მკჳდრობისა ყოველთა შორის წმიდათა.
33. ვეცხლისა და ოქროჲსა და სამოსლისა არავისი გულმან მითქუა.
34. თქუენ თჳთ უწყით, რამეთუ საკმარსა მას ჩემსა და რომელნი იყვნეს ჩემ თანა, კელნი ესე ჩემნი ჰმსახურებდეს.
35. და ყოველივე გიჩუენე თქუენ, რამეთუ ესრეთ მშრომელთა მათდა ჯერ-არს შეწყნარებაჲ უძლურთაჲ მათ და მოკსენებად სუტყუაჲ იგი უფლისა იესუჲსი, რამეთუ თავადმან თქუა: ნეტარ არს მიცემაჲ უფროჲს ვიდრე მოღებისა.
36. და ესე რაჲ თქუა, დაიდგნა მუკლნი მათ ყოველთა თანა და ილოცა.
37. იყო ტირილი დიდი მათ ყოველთაჲ და მოეხჳნეს ქედსა პაულესსა, ამბორს-უყოფდეს მას
38. და ელმოდა უფროჲს-ღა სიტყჳსა მისთჳს, რომელი თქუა, ვითარმედ: არღარა იხილონ პირი მისი. და წარჰგზავნიდეს მას ნავად.

21

1. და ვითარცა იყო შესლვაჲ

ჩუენი, განვეშორენითი მათგან, მართლ წარმოვედით და მივიწიენით კონდ, და კუალად ხვალისაგან – როდეღ და მიერ – პატრად.

2. და ეპოვეთ ნავი, რომელი წიაღ-ვიდოდა ფინიკედ, აღვკედით და შევსხედით მას.

3. ხოლო აღ-რაჲ-ჩნდა კვპრე, დაუტევეთ იგი მარცხენით და მივიდოდეთ ასურეთა, და მივიწიენით ტჳრედ, რამეთუ მუნ გარდაყრად იყო ნავისა მის ტჳრთი.

4. და მოვიძიენით მოწაფენი და დავადგერით მუნ შჯდ დღე, რომელნი-იგი პავლეს ეტყოდეს სულითა, რაჲთამცა არა აღვიდა იერუსალჱმდ.

5. და ვითარცა აღვასრულენით ჩუენ დღენი იგი, გამოვედით და წარვიდოდეთ. და იგინი წარმგზაენიდეს ჩუენ სახლეულებითურთ და შვილით ვიდრე გარეშე ქალაქისა მის, და დაიდგნეს მუკლნი ზღუს კიდესა და ილოცეს.

6. და მოვიკითხენით ურთიერთას და აღვედით ნაესა, და იგინი მიიქცეს თჳსსა ადგილსა.

7. და ჩუენ ნაეითა წარმოვედით ტჳრეთ და მივიწიენით პტოლემაიდად, მოვიკითხენით ძმანი და დავადგერით მათ თანა ერთ დღე.

8. ხოლო ხვალისაგან გამოვედით მიერ და შევედით კესარიად და მივედით სახლსა ფილიპე მახარებელისასა, რომელი-იგი იყო შჯდთაგანი, და დავადგერით მის თანა.

9. ამისნი იყენეს ოთხნი ასულნი, ქალწულნი წინაწარმეტყუელნი.

10. და ვიყოფოდეთ რაჲ მუნ მრავალ დღე, გარდამო-ვინმე-ვიდა ჰურიასტანით წინაწარმეტყუელი, სახელით აგაბოს.

11. და მოვიდა ჩუენდა და აღიღო სარტყელი პავლესი და შეიკრნა ფერკნი და კელნი მისნი და თქუა: ამას იტყჳს სული წმიდაჲ: კაცისა რომლისაჲ არს სარტყელი ესე, ესრეთ შეკრან იერუსალჱმს ჰურიათა და მისცენ იგი კელსა წარმართთასა.

12. ხოლო ჩუენ ვითარცა გუესმა ესე, ვეევედრებოდეთ მას და მის ადგილისანი იგი, რაჲთამცა არა აღვიდა იგი იერუსალჱმდ.

13. მაშინ მოგჳგო პავლე და გურქუა: რასა იქმთ, სტირთ და შეაურვებთ გულსა ჩემსა? რამეთუ მე არა ხოლო შეკრვად, არამედ მოსიკუდიდცა მზა ვარ იერუსალჱმს სახელისათჳს უფლისა იესუჲსა.

14. ვითარ-იგი ვერ ვარწმუნეთ მას, დაეღუმენით და ვთქუთ: ნებაჲ უფლისაჲ იყავნ!

15. შემდგომად ამათ დღეთა განვემზადენით და აღვიდოდეთ იერუსალჱმდ.

16. მოვიდეს ჩუენ თანა მოწაფენი კესარიაჲთცა, მოვიყვანეთ

იგიცა, რომლისა თანა ვიყვენით, მნასონ კუპრელი, პირველი მოწაფე.
17. მი-რაჲ-ვედით ჩუენ იერუსალჵმდ, მხიარულად შემიწყნარნეს ჩუენ ძმათა.
18. ხოლო ხვალისაგან შევიდა პაელე ჩუენ თანა იაკობისა, რამეთუ ყოველნივე ხუცესნი მოვიდოდეს.
19. და მოიკითხვიდეს მას. და მიუთხრობდა კაცად-კაცადსა, რომელი-იგი ქმნა ღმერთმან წარმართთა შორის მსახურებითა მისითა.
20. ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე, ადიდებდეს ღმერთსა და ჰრქუეს მას: ჰხედავა, ძმაო, რაოდენნი ბევრნი არიან ჰურიათა შორის მორწმუნენი! და ყოველნივე მოშურნე სჯულისა არიან.
21. ესმა ვიეთგანმე შენთჳს, ვითარმედ განდგომასა ასწავებ მოსესგან, რომელნი-იგი წარმართთა შორის ჰურიანი არიან, და ეტყჳ, რაჲთა არა წინა-დასცჳთონ შვილთა მათთა და არცა ჩუეულებათა ვიდოდიან.
22. რაჲ უკუე არს? უეჭველად ერი შეკრებად არს, რამეთუ ესმა, ვითარმედ მოსრულ ხარ.
23. აწ უკუე ესე ყავ, რომელსა გეტყჳთ შენ: არიან ჩუენ შორის კაცნი ოთხნი, რომელთა ლოცვაჲ აქუს თავისა თჳსისაჲ.
24. ესენი წარიყვანენ და განწმდი მათ თანა და იკუეცე მათ თანა, რაჲთა დაიყჳნნენ თავნი მათნი და ცნან ყოველთა, ვითარმედ რომლისათჳს-იგი ესმა შენთჳს, არარაჲ არს, არამედ პვიე შენცა და იმარხაე სჯულსა.
25. ხოლო მორწმუნეთა წარმართთათჳს ჩუენ მიგწერეთ და უბრძანეთ, რაჲთა არარას ეგევითარსა იმარხვიდენ იგინი, არამედ რაჲთა ეკრძალნენ კერპთა კლულისაგან და სისხლისა დამშთვრისა და სიძვისა.
26. მაშინ პაელე წარიყვანნა კაცნი იგი მეორესა დღესა და მათ თანა განწმიდნა. და შევიდოდა ტაძარსა მითხრობად აღსრულებასა შჯდთა მათ დღეთა განწმედისათა, ვიდრემდის შეიწირა კაცად-კაცადისა მათისათჳს შესაწირავი.
27. ვითარცა აღესრულებოდეს შჯდნი იგი დღენი, რომელნი-იგი იყვნეს ასიაჲთ ჰურიანი, იხილეს იგი ტაძარსა შინა, შეაშფოთეს ყოველი იგი ერი და დაასხნეს მის ზედა კელნი მათნი
28. და ღაღადებდეს და იტყოდეს: კაცნო ისრაიტელნო, შემეწიენით ჩუენ! ესე არს კაცი იგი, რომელი ერისა ამისთჳს და სჯულისა და ადგილისა ამისთჳს ყოველთა ყოველსა ადგილსა ასწავებს. და მერმე კუალად წარმართნიცა შეიყვანნა ტაძრად და შეაგინა ადგილი ესე წმიდაჲ.

29. რამეთუ ესილვა წინაჲსწარ ტროფიმე ეფესელი მის თანა ქალაქსა შინა, რომლისასა ჰგონებდეს, ვითარმედ ტაძრად შეიყვანა იგი პაელე.
30. აღიძრა ყოველი იგი ქალაქი და იყო შეკრებაჲ ერისაჲ და შფოთი დიდი, და შეიპყრეს პაელე და გამოითრევდეს გარე ტაძრისა მისგან, და მეყსეულად დაეკშნეს კარნი.
31. და ვითარცა ეგულებოდა მოკლვაჲ მისი, მიიწია ჰამბავი ათასისთავისა მის გუნდისა, ვითარმედ ყოველი იერუსალჱმი შეკრებულ არს.
32. ხოლო მან მეყსეულად წარიყვანნა მკედარნი და ასისთავნი და მიიწია მათ ზედა. ხოლო მათ ვითარცა იხილეს ათასისთავი იგი და მკედარნი, დააცადეს ცემაჲ პაელესი.
33. მაშინ მიეახლა ათასისთავი იგი და გამოიყვანა იგი, და ბრძანა შეკრვაჲ მისი მრჩობლითა ჯაჭჳთა და ჰკითხვიდა: ვინ არს ანუ რაჲ უქმნიეს?
34. სხუანი იგი სხუასა რასმე კმობდეს ერსა შორის. და ვითარ-იგი ვერ გულისკმა-ყო გამოწულილვით შფოთისა მისგან, ბრძანა შეყვანებაჲ მისი ბანაკად.
35. და ვითარცა მიიწია იგი აღსავალსა მას, მე აქუნდა პაელე მკედართა მათ სიმრაელისა მისთჳს ერისა,
36. რამეთუ შეუდგა მას სიმრაელე იგი ერისაჲ და კმობდეს: აღიღე ეგე!
37. და ვითარცა შეჰყვანდა ბანაკად, ჰრქუა პაელე ათასისთავსა მას: უკუეთუ ჯერ-არს რაჲსამე ჩემდა სიტყუად შენდა მიმართ? ხოლო მან ჰრქუა: ბერძლ იცია?
38. ანუ არა-მე შენ სარა მეჯპტელი იგი, რომელმან უწინარეს დღეთა ამათ აღსძარ და განიყვანენ უდაბნოდ ოთხ ათასნი იგი კაცნი სიკარიელნი?
39. ჰრქუა მას პაელე: მე კაცი ვარ ჰურიაჲ, ტარსელი კილიკიისაჲ, არა უცნაურისა ქალაქისა მოქალაქე; და გევედრები შენ: მიბრძანე მე ერისა მიმართ სიტყუად.
40. და მან ვითარცა უბრძანა, დადგა პაელე აღსავალსა მას და განუყარა კელი ერსა მას; და ვითარ მრავალი დადუმებაჲ იყო, ეტყოდა მათ ებრაელებრითა სიტყუთა და ჰრქუა:

22

1. კაცნო, ძმანო და მამანო! ისმინეთ ჩემი თქუენდა მიმართისა სიტყუს გებისათჳს.
2. და ვითარცა ესმა, რამეთუ ებრაელებრითა სიტყუთა ეტყოდა მათ, უფროჲს დადუმება-სცეს. და თქუა:
3. მე კაცი ვარ ჰურიაჲ, შობილი ტარსუს კილიკიისასა, აღზრდი-

ლი ამას ქალაქსა შინა ფერჯთა თანა გამალიელისთა, განსწავლულ ზედამიწევნით მამულითა სჯულითა; მოშურნე ვიყავ ღმრთისათჳს, ვითარცა თქუენ ყოველნი ხართ დღეს.
4. რომელი ამას გზასა ესდევნიდ ვიდრე სიკუდილადმდე, შევჰკრეევდ და მივსცემდ საპყრობილედ მამათა და დედათა,
5. ვითარცა-ეგე მღდელთ-მოძღუარი მეწამების მე და ყოველნი მოხუცებულნი, რომელთაგან წიგნებიცა მოვიღე ძმათათჳს, რომელნი იყვნეს დამასკეს, და მივიდოდე მოყვანებად მუნ მყოფთა მათ კრულთა იერუსალჵმდ, რაჲთა იტანჯნენ.
6. იყო უკუე ჩემსა მას სლვასა და მიახლებასა დამასკისასა, შუა სამსრის, მეყსეულად ზეცით გამობრწყინდა ნათელი დიდი ჩუენ გედა.
7. და დავვარდი ქუეყანასა ზედა და მესმა ჴმაჲ, რომელმან მრქუა მე: საულ, საულ, რაჲსა მდევნი მე?
8. და მე მიუგე: ვინ ხარ, უფალო? და მრქუა მე: მე ვარ იესუ ნაზარეველი, რომელსა შენ მდევნი.
9. და რომელნი-იგი ჩემ თანა იყვნეს, ნათელი იგი იხილეს და შიში დაეცა მათ ზედა, ხოლო ჴმაჲ იგი არა ესმა, რომელი მეტყოდა მე.
10. და მე ვარქუ: რაჲ-მე ვყო, უფალო? ხოლო უფალმან მრქუა მე: აღდეგ და შეევედ დამასკედ, და მუნ გეთხრას შენ ყოველისათჳს, რომელი ბრძანებულ არს შენდა ყოფად.
11. და ვითარ-იგი მე არას ვსჯდეედი დიდებისა მისგან ნათლისა მის, ჴელის პყრობითა თანა მყოფთა მათ ჩემთაჲთა შეევედ დამასკედ.
12. ანანია ვინმე, კაცი ღმრთის მოშიში მსგავსად სჯულისა, წამებული ყოველთაგან მკჳდრთა დამასკისათა ჰურიათა,
13. მოვიდა ჩემდა, ზედა მომადგა და მრქუა მე: საულ ძმაო, აღიხილენ! და მე მასვე ჟამსა აღვიხილენ და მიეხედენ მას.
14. ხოლო მან მრქუა მე: ღმერთმან მამათა ჩუენთამან გამოგირჩია შენ ცნობად ნებისა მისისა და ხილვად მართლისა მის და სმენად ჴმაჲ პირისა მისისაჲ,
15. რამეთუ იყო მოწამე მისა ყოველთა მიმართ კაცთა, რომელი-იგი იხილე და გესმა.
16. და აწ ნურას ეურვი, აღდეგ და ნათელ-იღე და განიბანენ ცოდვანი შენნი და ხადოდე სახელსა მისსა.
17. ხოლო იყო მოქცევასა ჩემსა იერუსალჵმს და ლოცვასა ჩემსა ტაძარსა შინა, ვიყავ განკჳრვებასა შინა
18. და ვიხილე უფალი, და მრქუა მე: ისწრაფე და განვედ აღრე

იერუსალჵმით, რამეთუ არა თავს-იდვან წამებაჲ შენი ჩემთჳს.
19. და მე ვთქუ: უფალო, მათ თჳთ იციან, რამეთუ მე ვიყავ, რომელი მივსცემდ საპყრობილედ და ესტანჯევედ შესაკრებელსა შორის მორწმუნეთა შენთა.
20. და რაჟამს დაითხეოდა სისხლი მოწამისა შენისა სტეფანესი, მე ვიყავ გედამდგომელ და თანა-ჯერმჩინებელ მოკლვასა მისსა და მცველ სამოსელსა მკლველთა მისთასა.
21. და მრქუა მე: წარვედ, რამეთუ ნათესაჲთა შორიელთა მიგავლინო შენ.
22. ისმენდეს მისსა ვიდრე ამის სიტყჳსამდე და აღიღეს კმაჲ მათი და თქუეს: აღიღე ქუეყანით ეგევითარი ეგე, რამეთუ არა ღირს არს ცხორებად.
23. და ვითარცა ღაღადებდეს იგინი უმეტეს, და დაჰყრიდეს სამოსელსა მათსა, და მტუერსა ზე აღაფრქუევედეს ჰაერსა,
24. ბრძანა ათასისთავემან მან შეყვანებაჲ მისი ბანაკად და თქუა: ტანჯჳით განვიკითხო ეგე, რაჲთა ვცნა, რომლისა ბრალისათჳს ესრეთ კმობენ მისთჳს.
25. და ვითარცა განართხმიდეს მას ღუედებითა, ჰრქუა პაველე ასისთავსა მას ზედამდგომელსა: უკუეთუ კაცისა ჰრომისა და უბრალოჲსაჲ ჯერ-არს თქუენდა ტანჯვაჲ?
26. ესმა რაჲ ესე ასისთავსა მას, მოვიდა და უთხრა ათასისთავსა მას და ჰრქუა: ისილე, რაჲ გეგულების ყოფად, რამეთუ კაცი ესე ჰრომი არს.
27. მოუკდა ათასისთავი იგი და ჰრქუა პაველეს: მითხარ მე, ჰრომი ხარა შენ? ხოლო მან ჰრქუა: ჰე.
28. მიუგო ათასისთაემან მან: მე მრავლითა საფასითა მოქალაქობაჲ ესე მოვიპოვე. ხოლო პაველე ჰრქუა: მე შობილვე მას შინა ვარ.
29. მაშინ მეყსეულად განეშორნეს მისგან, რომელთა-იგი ეგულებოდა ტანჯვაჲ მისი, და ათასისთავსა მასცა შეეშინა, ცნა რაჲ, რამეთუ ჰრომი არს და რამეთუ მისა იყო შეეყრებულ.
30. ხვალისაგან უნდა გულისკმის-ყოფად უკძალულესად-რე, რაჲსათჳს-ძი შეასმენენ მას ჰურიანი იგი. განჴსნა იგი და ბრძანა შეკრებაჲ მღდელთ-მოძღუართაჲ და ყოელისა მის კრებულისაჲ, და მოიყვანა პაველე და დააყენა შორის მათსა.

23

1. მიჰხედა პაველე შესაკრებელსა მას და თქუა: კაცნო ძმანო, მე ყოველითა გონებითა კეთილითა ემოქალაქობდ ღმრთისა მიმართ ვიდრე აქა ღეღმდე.

2. ხოლო მღდელთ-მოძღუარმან ანანია უბრძანა წინაშე მდგომელთა მათ მისთა პირსა ცემაჲ მისი.
3. მაშინ პაელე ჰრქუა მას: ცემაჲ შენი ეგულების ღმერთსა, კედელო განგოზილო! და შენ ჰზი მსაჯულად ჩემდა მსგავსად სჯულისა, და უსჯულოდ ჰბრძანებ ცემად ჩემდა.
4. ხოლო წინაშე მდგომელთა მათ ჰრქუეს მას: მღდელთ-მოძღუარსა ღმრთისასა აგინება?
5. ჰრქუა მათ პაელე: არა ვიცოდე, ძმანო, ვითარმედ არს ეგე მღდელთ-მოძღუარ, რამეთუ წერილ არს: მთავარსა ერისა შენისასა არა ჰრქუა ბოროტი.
6. ვითარცა გულისჴმა-ყო პაელე, ვითარმედ ერთკერძოჲ იგი კრებული ფარისეველთაჲ არს და ერთკერძოჲ — სადუკეველთაჲ, ჴმა-ყო კრებულსა მას შორის: კაცნო ძმანო, მე ფარისეველი ვარ და ძე ფარისეველისაჲ, და სასოებისათჳს და აღდგომისა მკუდართაჲსა მე ვისაჯები.
7. ესე ვითარცა თქუა მან, იყო შუოთი სადუკეველთა და ფარისეველთაჲ და განიელთა სიმრავლე იგი.
8. რამეთუ სადუკეველნი იტყჳან: არა არს აღდგომაჲ, არცა ანგელოზი, არცა სული, ხოლო ფარისეველნი აღიარებენ ამას ყოველსა.
9. და იყო ღაღადებაჲ დიდი. და აღ-ვინმე-დგეს მწიგნობარნი კრებულისაგან ფარისეველთაჲსა, ილალვიდეს და იტყოდეს: არარას ბოროტსა ეპპოებთ კაცისა ამის თანა, გინა სული ეტყოდა მას, გინა ანგელოზი; ნუ ღმრთის მბრძოლ ვართ.
10. და ვითარ მრავალი შუოთი იყო, შეეშინა ათასისთავსა მას, ნუუკუე განიჭრას პაელე მათგან, უბრძანა მკედრობასა შთასლვაჲ და გამოტაცებაჲ მისი შორის მათსა და მიყვანებაჲ მისი ბანაკად.
11. ხოლო მეორესა ღამესა დაადგრა მას უფალი და ჰრქუა: ნუ გეშინინ, პაელე, რამეთუ, ვითარცა-ეგე სწამე ჩემთჳს იერუსალჵმს, ეგრეთცა ჯერ-არს შენდა პრომესცა შინა წამებაჲ.
12. და ვითარცა განთენა, ყვეს ვიეთმე ჰურიათა შეთქმულებაჲ, შეჩუენებულ ყენეს თავნი თჳსნი და თქუეს არა ჭამად, არცა სუმად, ვიდრემდე მოკლან პაელე.
13. ხოლო იყვნეს უმრაელეს ორმეოცისა, რომელთა შეთქმულებაჲ ესე ყვეს,
14. რომელნი მოუკდეს მღდელთ-მოძღუართა და ხუცესთა და ჰრქუეს: შეჩუენებით შეჩუენებულ ვყვენით თავნი თჳსნი არარაჲსა გემოჲს ხილვად, ვიდრემდე მოვკლათ პაველე.
15. აწ უკუე თქუენ აუწყეთ ათასისთავსა კრებულითურთ, რაჲ-

თა სვალე შთამოიყვანოს იგი თქუენდა, რეცა თუ გეგულების, უჭეშმარიტესად-რე გულისკმის-ყოფად მისთჳს, ხოლო ჩუენ ვიდრე მოახლებადმდე მისა განმზადებულ ვართ მოკლვად მისა.

16. ესმა დისწულსა პაელესსა სიტყუაჲ ესე, მივიდა და შევიდა ბანაკად და უთხრა პაელეს.

17. ხოლო პაელე მოუწოდა ასისთაესა ერთსა და ჰრქუა: ჭაბუკი ესე მიიყვანე ათასისთაეისა, რამეთუ უნებს რაჲმე თხრობად მისა.

18. ხოლო მან წარიყვანა იგი და მიიყვანა ათასისთავისა მის და ჰრქუა: კრულმან პაელე მიწოდა და მრქუა მე ჭაბუკისაჲ ამის მოყვანებად შენდა, რამეთუ აქუს რაჲმე სიტყუაჲ თხრობად შენდა.

19. უპყრა კელი ათასისთავმან და განიყვანა თჳსაგან და ჰკითხვიდა, ვითარმედ: რაჲ არს, რაჲ გიკმს თხრობად ჩემდა?

20. ხოლო მან თქუა, ვითარმედ: ჰურიანი შეითქუნეს, რაჲთა ითხოონ შენგან და პაელე შთაიყვანონ ხვალე კრებულსა მათსა, რეცა თუ უჭეშმარიტესად-რე კითხვად მისთჳს.

21. შენ უკუე ნუ ერჩი მათ, რამეთუ უმზირიან მას მათგანნი კაცნი უმრაველეს ორმეოცისა, რომელთა შეიჩუენნეს თავნი თჳსნი არა ჭამად, არცა სუმად, ვიდრემდე მოკლან პაელე, და აწ განმზადებულ არიან და ელიან შენსა ბრძანებასა.

22. ხოლო ათასისთაემან განუტევა ჭაბუკი იგი და ამცნო, რაჲთა არავის უთხრას, ვითარმედ: ესე მაუწყე მე.

23. და მოუწოდა ორთა ვიეთმე ასისთავთა და ჰრქუა: განჰმზადეთ ორასი ერისაგანი, რაჲთა მივიდენ კესარიადმდე, და მჴედარი სამეოც და ათი და ფაროსანი ორასი მესამით ჟამითგან ღამისაჲთ.

24. და საკედარი ერთი, რაჲთა აღსუან პავლე და მიიყვანონ იგი ფელიქს მთავრისა.

25. და მიწერა წიგნი, რომელსა წერილ იყო სახჱ ესევითარი:

26. კლავდიოს ლუსია მკნესა ფელიქს მთავარსა გახარებ.

27. კაცი ესე შეეპყრა ჰურიათა და ეგულებოდა მოკლვაჲ მაგისი, ზედა მიუკედ მჴედრებითურთ და განვარინე ეგე, ვცან-ღა, რამეთუ ჰრომი არს.

28. და მინდა გულისკმის-ყოფად ბრალი იგი, რომლისათჳს შეასმენდეს მას ჰურიანი, და შთაიყვანე იგი კრებულსა მათსა

29. და ვპოე, რამეთუ აბრალებდეს მას ძიებათათჳს სჯულისა მათისათა, და არარაჲ ღირსი სიკუდილისა გინა კრულებისა ბრალი იპოა მაგის თანა.

30. და ვითარცა მეუწყა, რამეთუ უმზირდეს ჰურიანი მოკლ-

ვაღ კაცისა მაგის, მუნქუესვე წარმოვაელინე შენდა. მიბრძანებიეს შემასმენელთა მათდაცა სიტყუად მაგისა შენ წინაშე. და ცოცხლებით იყავ!
31. ხოლო სტრატიოტთა მათ მსგავსად ბრძანებულისა მათისა წარიყვანეს პავლე და მიიყვანეს ღამე ანტიპატრიადმდე.
32. და ხვალისაგან განუტევნეს მკედარნი იგი მისლვად მის თანა, და იგინი მოიქცეს ბანაკად.
33. რომელნი-იგი მო-რაჲ-ვიდეს კესარიად, მისცეს წიგნი იგი მთავარსა მას და წარუდგინეს მას პაელეცა.
34. აღმოიკითხა იგი მთავარმან მან და პკითხა, თუ რომლისა სამთავროჲსაჲ არს. და ისწავა, რამეთუ კილიკიაჲთ არს, და ჰრქუა:
35. ვისმინო შენი, რაჟამს შემასმენელნიცა შენნი მოვიდენ. და უბრძანა ტაძარსა მას ჰეროდესსა დამარხვაჲ მისი.

24

1. შემდგომად ხუთისა დღისა შთავიდა მღდელთ-მოძღუარი ანანია ხუცესთა თანა და მეტყუელისა ვისმე ტერტჳლოჲს თანა, რომელთა აუწყეს მთავარსა მას პაელესთჳს.
2. და ვითარცა მოუწოდეს მას, იწყო ტერტჳლოს შესმენად მისა და თქუა:
3. მრავალსა მშჳდობასა შინა ვართ შენ ძლით და განგებულებასა, რომელ იქმნების ნათესავსა ამას შინა მოღუაწებითა შენითა, საღაეე და ყოველთა ადგილთა, შევიწყნარებთ, მკნეო ფელიქს, ყოელითა მადლობითა.
4. ხოლო რაჲთა არა უმეტეს დაგაშრო შენ, გლოცავ, რაჲთა შემოკლებულად ისმინო ჩუენი შენითა სახიერებითა.
5. რამეთუ ვპოეთ კაცი ესე ბილწი და შფოთის აღმძრეველი ყოველთა შორის ჰურიათა, რომელნი არიან ყოველსა სოფელსა, წინამძღუარი გალილეველთა წვალებისაჲ,
6. რომელმან ტაძარსაცა აზმნო შეგინებად, რომელიცა შევიპყართ და მსგავსად სჯულისა ჩუენისა ვინებეთ განკითხვაჲ.
7. მედა მოგჯდა ლუსია ათასისთავი და მრავალითა იძულებითა კელთაგან ჩუენთა წარიყვანა და შენ წინაშე წარმოაელინა.
8. და ბრძანა შემასმენელთაცა მისთაჲ შენ თანაეე მოსლვად რომლისა მიერ შეუძლო შენ განკითხვად და ცნობად ამის ყოელისა, რომელსა ჩუენ ვსწამებთ მაგას თანა.
9. ეწამებოდეს ჰურიანიცა და იტყოდეს, ვითარმედ: ესე ესრეთ არს.
10. მიუგო პავლე წამის ყოფითა მთავრისაჲთა და თქუა: მრავლით წლითგან გიცოდე შენ

მსაჯულად ამის ნათესაჲისა, გულს-მოდგინებით თავისა ჩემისათჳს სიტყუაჲ მიუგო.
11. რამეთუ შემძლებელ ხარ შენ გულისჴმის-ყოფად, არა უმრავლეს არს ჩემი ათორმეტისა დღისა, ვინაჲთგან აღვედ მე იერუსალჵმდ თაყუანის-ცემად.
12. და არცა ტაძარსა შინა მპოეს მე მეტყუელად ვის თანამე, ვინა თუ ამბოხისათჳს ერის კრებად, ვინა შესაკრებელთა შორის ანუ თუ ქალაქსა შინა,
13. არცა ძალ-უც შენ წინაშე ჩემ ზედა ამისა ჩინებად, რომლისათჳს-ესე აწ შემასმენენ მე.
14. ხოლო ამას აღგიარებ შენ, რამეთუ გზისა მისთჳს, რომელსა-ეგე იტყჳან წეალებად, ეს-რეთ ვჰმსახურებ მამათა ღმერთსა და მრწამს ყოელისა მისებრ, რომელი სჯულსა და წინაწარმეტყუელთა წერილ არს.
15. სასოებაჲ მაქუს ღმრთისა მიმართ, რომელსა ეგენიცა მოელიან, აღდგომაჲ ყოფად არს მკუდართაჲ, მართალთაჲცა და ცოდვილთაჲცა.
16. ამას ზედა ვიღუწი, დაუბრკოლებელი გონებაჲ მაქუს ღმრთისა მიმართ და კაცთა მარადის.
17. მრავლისა წლისა შემდგომად ქველის საქმისა ყოფად მოსრულ ვიყავ ნათესავისა ჩემისა და შესაწირავისა,
18. რომელსა შინა მპოეს მე განწმედილი ტაძარსა შინა არა ერითა, არცა შფოთითა.
19. ასიაჲთ ვინმე ჰურიათა, რომელთაჲ ჯერ-იყო შენ წინაშე მოსლვაჲ და შესმენად, რაჲ-იგი აქუს ჩემდა მომართ სიტყუაჲ.
20. ანუ მაგათ თჳთ თქუმად, რაჲ პოეს ჩემ თანა ბრალი, ვდეგ რაჲ-იგი კრებულსა შორის.
21. ანუ ერთისა მის სიტყჳსათჳს, რომელ ქმა-ვყავ მათ შორის, რაჲ-იგი ვდეგ, ვითარმედ: აღდგომისათჳს მკუდართაჲსა ვისაჯები დღეს თქუენ მიერ.
22. ესმა რაჲ ესე ფელიქსს, დრო-უყო მათ, ჭეშმარიტებით იცოდა გზისა მისთჳს და თქუა: რაჟამს ლუსია ათასისთავი მოვიდეს, მაშინ ვცნა თქუენთჳს.
23. და უბრძანა ასისთავსა მას დამარხვაჲ პავლესი და რაჲთა იყოს იგი მოლხინედ და ნუვისა ყენებად თჳსთა მისთა მსახურებისა ანუ შესლვად მის თანა.
24. ხოლო შემდგომად დღეთა რაოდენთამე მოვიდა ფელიქს დროსილაჲს თანა, ცოლისა თჳსისა, ჰურიისა, მოუწოდა პავლეს და ისმინა მისი იესუ ქრისტეს სარწმუნოებისათჳს.
25. და ვითარ-იგი იტყოდა სიმართლისათჳს და მოთმინებისა და სარჩელისათჳს მერმისა, შეეშინა ფელიქსს და ჰრქუა პავლეს: აწ ამას ჟამსა წარვედ, და ჟამსა მოცალესა მოგიწოდო შენ.
26. და ამას თანა ჰგონებდა, ვი-

თარმედ ფასი მოიღოს მან პაველესგან, რაჲთა განჰკსნას იგი. ამისთჳს ზედაჲსზედა მოუწოდნ და ზრასაენ მას.
27. ხოლო ვითარ ორი წელი აღესრულა, გარდაიდგინა ფელიქს და ნაცვალად მისა მოვიდა პორკიონი ფესტოს, და, რამეთუ ენება ფელიქსს მომადლებაჲ ჰურიათაჲ, დაუტევა პაველე კრულებათა შინა.

25

1. ფესტოს ვითარცა აღვიდა სამთავროსა თჳსსა, შემდგომად სამისა დღისა აღვიდა იერუსალჱმდ კესარიაჲთ.
2. აუწყეს მას მღდელთ-მოძღუარმან და მთავართა ჰურიათამან პაველესთჳს და ეევედრებოდეს მას.
3. და ითხოვდეს მადლისა მისთჳს, რაჲთა მოუწოდოს მას იერუსალჱმდ, და უმზირდეს გზასა ზედა მოკლვად.
4. ხოლო ფესტოს მიუგო და ჰრქუა მათ, ვითარმედ: დამარხულ არს პაველე კესარიას, და ვითარმედ: აღრე ჰნებავს მას განსლვაჲ იერუსალჱმით.
5. აწ უკუე რომელნი შემძლებელ არიან თქუენგანნი, ჩემ თანა შთამოვიდენ და, რაჲ-იგი არს უჯეროჲ კაცისა მის თანა, შესწამონ მას.
6. იქცეოდა იგი მუნ არა უმრავლეს ათისა დღისა, და შთავიდა კესარიად, და ხვალისაგან დაჯდა საყდართა ზედა და ბრძანა მოყვანებაჲ პაველესი.
7. და ვითარცა მოვიდა იგი, გარე მოადგეს მას იერუსალჱმით შთასრულნი იგი ჰურიანი, მრავალსა და მძიმესა ბრალსა დასდებდეს პაველეს ზედა, რომლისა ვერ ეძლო გამოჩინებად.
8. რამეთუ იგი სიტყუას-უგებდა მათ, ვითარმედ: არცა სჯულსა ჰურიათასა, არცა ტაძარსა, არცა კეისარსა რაჲ შევსცოდე.
9. ფესტოს უკუე უნდა მომადლებაჲ ჰურიათაჲ, მიუგო პაველეს და ჰრქუა: გნებავს იერუსალჱმდ აღსლვაჲ და მუნ ამისთჳს განკითხვაჲ ჩემ წინაშე?
10. ჰრქუა მას პაველე: საყდართა წინაშე კეისრისათა ვდგა, სადა ჯერ-არს ჩემი განკითხვაჲ, ჰურიათა არაჲ შევსცოდე, ვითარცა შენ უმჯობეს იცი.
11. უკუეთუ რასმე ვაენებ და ღირსი სიკუდილისაჲ მიქმნიეს, არა ვეელტი სიკუდილსა; უკუეთუ არარაჲ არს, რომელსა ესენი შემასმენენ მე, ვერვის კელ-ეწიფების მიმადლებაჲ ჩემი მათა, კეისარსა უღაღადებ.
12. მაშინ ფესტოს მრახვა-ყო თანამგრახველისა თჳსისა თანა და თქუა: კეისარსა უღაღადებ, კეისრისაცა წარხჳდე.
13. და ვითარცა დღენი რაოდენნიმე წარკდეს, აღრიპა მეფე და ბერენიკე მიიწინეს კესარიად

მოკითხვად ფესტოჲსა.
14. და ვითარ მრავალ ღღე იქცეოდეს მუნ, ფესტოს უთხრა მეფესა პაველესთჳს და ჰრქუა: კაცი ვინმე დაშთომილ არს ფელიქსისგან კრული,
15. რომლისათჳს, ვიყავ რაჲ იერუსალჱმს, მითხრეს მე მღდელთ-მოძღუართა და მოხუცებულთა ჰურიათა და ითხოვდეს მისთჳს სასჯელსა.
16. რომელთა მიუგე და ვარქუ, ვითარმედ: არა არს ჩუეულებაჲ ჰრომთაჲ მიმაღლებად ვისამე კაცისაჲ წარწყმედად, ვიდრემდე, რომელსა-იგი შეასმენდენ, პირისპირ აქუნდენ შემასმენელნი იგი, და აღგილი სიტყჳს-გებისაჲ მიიღოს ბრალისა მისთჳს.
17. და ვითარცა შემოკრბეს იგინი აქა, არცა ერთი რაჲ დროჲ ვყავ, ხვალისაგან დავჯედ საყდართა ზედა და ვბრძანე მოყვანებაჲ კაცისაჲ მის.
18. რომლისათჳს წარმოდგეს შემასმენელნი და არცა ერთი რაჲ ბრალი აჩინეს, რომელსა ვჰგონებდ მე ბოროტსა;
19. ძიებანი რაჲმე თჳსისა ეშმაკეულებისანი აქუნდეს მისა მიმართ და იესუჲს ვისთჳსმე მომკუდრისა, რომელსა იტყოდა პაველე ცხოველად.
20. და ვითარ ვერარას ვჰპოებდ მე ამის ძიებისათჳს, ვეტყოდე მას, უკუეთუმცა უნდა მისლვად იერუსალჱმდ და მუნ განკითხვად ამისთჳს.
21. ხოლო პაველე ღაღადებდა დამარხვად მისა, რაჲთა კეისარმანცა აგრძნეს, და ვბრძანე დამარხვაჲ მისი ვიდრემდე მიუძღუანო იგი კეისარსა.
22. მიუგო აღრიპა და ჰრქუა ფესტოსს: მინდა მეცა კაცისა მისგან სმენად. ხოლო მან ჰრქუა მას: ხვალე ისმინო მისი.
23. და ხვალისაგან მოვიდა აღრიპა და ბერენიკე მრავლითა საუცრებითა. და შევიდა განსაკითხავსა მას ათასისთაჳთა თანა და კაცთა მათ, მთავართა ქალაქისათა. და ვითარცა ბრძანა ფესტოს, მოიყვანეს პაველე.
24. და თქუა ფესტოს: აღრიპა მეფე და ყოველნი კაცნი, რომელნი ჩუენ თანა ხართ, ჰხედავთა ამას? ამისთჳს ყოველი სიმრავლე ჰურიათაჲ შემემთხჳა მე იერუსალჱმს და აქაცა ღაღადებდეს და იტყოდეს, ვითარმედ: არა ჯერ-არს ეგე ცხორებად ამიერითგან.
25. ხოლო მე გულისჴმა-ვყავ, ვითარმედ არაჲ ღირსი სიკუდილისაჲ უქმნიეს ამას; და ვითარ-იგი თჳთ ესე უღაღადებდა კეისარსა, ვსაჯე წარვლინებაჲ მისი.
26. რომლისათჳს განკრძალულად ვერარაჲ მაქუს, რაჲ მივწერო უფლისა ჩემისა; ამისთჳს მოვიყვანე ეგე თქუენ წინაშე

და უფროჲსღა შენ წინაშე, მეუე აღრიპა, რაჲთა განიკითხო ეგე, და უწყოდი, რაჲ მიეწერო.
27. რამეთუ უჯერო მიჩნს მე მიძღუანებაჲ პყრობილისაჲ და ბრალთაცა მისთა არა უწყებად.

26

1. სოლო აღრიპა ჰრქუა პაულეს: ბრძანებულ არს შენდა თაეისა შენისათჳს სიტყუად. მაშინ პაულე განყო კელი, მიუგებდა და თქუა:
2. ყოველთათჳს, რომელთა მაბრალებენ მე ჰურიანი, მეფე აღრიპა, შემირაცხიეს თაეი ჩემი ნეტარად, რამეთუ შენ წინაშე მეგულების დღეს სიტყუს-გებად უფროჲს-ღა.
3. რამეთუ მეცნიერ ხარ შენ ყოველთა მათ ჩუეულებათა და ძიებათა ჰურიათასა. ამისთჳს გეეედრები, სულგრძელებით ისმინე ჩემი.
4. ცხორებაჲ უკუე ჩემი სიყრმითგან, პირველითგან ყოფილი ნათესაესა შორის ჩემსა იერუსალჱმს შინა, იციან ყოველთა ჰურიათა.
5. წინაჲსწარეე მიცოდეს მე პირეელითგან, უკუეთუ უნდეს წამების, რამეთუ ჭეშმარიტისა მისებრ მსახურებისა სჯულისა ჩუენისა ვცხონდებოდე ფარისეველი.
6. და აწ სასოებისათჳს მამათა ჩუენთა აღთქუმულისა, რომელი იყო ღმრთისა მიერ, ეღგა და განვიკითხეი,
7. რომლისა მიმართ ათორმეტი ნათესაეი ჩუენი განკრძალული ღღე და ღამე პმსახურებს და ესაეს მიწეენასა, რომლისა სასოებისათჳს ვიბრალები ჰურიათაგან, მეუე აღრიპა.
8. რაჲ ურწმუნოებაჲ არს, განიკითხეთ-ღა თქუენ შორის, უკუეთუ ღმერთი მკუდართა აღაღგინებს?
9. მე უკუე მენება თაეით ჩემით სახელისათჳს იესუ ნაზარეველისა მრავლისა ძჯრისა საქმედ,
10. რომელი-იგი ვყაეცა იერუსალჱმს შინა: და მრაეალნი წმიდათაგანნი მე საპყრობილესა შეეაყენენ, რამეთუ კელმწიფებაჲ მოეიღე მღდელთ-მოძღუართაგან მოსრეად მათდა და მომეღო რიცხჳ.
11. და ყოველთა შესაკრებელთა შორის მრავალ გზის ესტანჯეედ მათ და ეაიძულებდ გმობად, უმეტესად-ღა ებორგდ მათ გედა და ვსდეენიდი ვიდრე გარემოთა ქალაქამდეცა.
12. რომელთა შინა მიეიდოდე მე დამასკედ კელმწიფებითა და ბრძანებითა მღდელთ-მოძღუართაჲთა.
13. შუა ღღე გზასა გედა ეიხილე მეფეო, გეცით გარდამო უბრწყინეალესი მზისაჲ, გამომიბრწყინდა მე ნათელი და ჩემ თანა მოგზაურთა მათ.

14. და ვითარცა ჩუენ ყოველნი ქუეყანად დაეცუენით, მესმა კმაჲ, რომელმან მრქუა მე ებრაელებრითა სიტყუთა: საულ, საულ, რაჲსა მდევნი მე? ფიცხელ არს შენდა წისნვაჲ დებისაჲ.
15. და მე ვარქუ: შენ ვინ ხარ, უფალო? ხოლო მან მრქუა მე: მე ვარ იესუ, რომელსა შენ მდევნი.
16. არამედ აღდეგ და დადეგ ფერჴთა შენთა გედა, რამეთუ ამისთჳს გეჩუენე შენ, რაჲთა დაგადგინო შენ მსახურად და მოწამედ, რომელი ისილე და რომელი გიჩუენო შენ,
17. განრინებად შენდა ერისაგან და ნათესაეთაგან, რომელთა მე მიგავლინო შენ,
18. ახილვად თუალთა მათთა და მოქცევად ბნელისაგან ნათლად და კელმწიფებისაგან ეშმაკისა ღმრთისა მიმართ მიღებად მათდა მიტევებაჲ ცოდვათაჲ და ნაწილი განწმედილთა შორის სარწმუნოებითა ჩემდა მომართ,
19. რომლისათჳს, მეფე აღრიპა, არა ვექმენ ურჩ ზეცისასა მას ჩუენებასა,
20. არამედ რომელნი იყვნეს დამასკეს შინა პირველად და იერუსალჵმს შინა და ყოველსა სოფელსა ჰურიასტანისასა და წარმართთა მიუთხრობდ სინანულსა და მოქცევად ღმრთისა მიმართ და ღირსი სინანულისა საქმე ქმნად.
21. ამისთჳს შემიპყრეს მე ჰურიათა ტაძარსა შინა და აჴმნობდეს მოკლვად ჩემდა.
22. შეწევნითა ღმრთისაჲთა, რომელსა ღირს ვიქმენ, ვიდრე აქა ღღედმდე ვდგა და უწამებ მცირესა და დიდსა, არარას გარეშესა ვიტყჳ წინაწარმეტყუელთა თქუმულისასა, რომელსა ეგულებოდა ყოფად, და მოსესსა,
23. ვითარმედ ენებად იყო ქრისტესა და ვითარმედ პირველ მკუდართა აღდგომისა ნათლისა ეგულების მითხრობად ერთა და ნათესავთა.
24. და ვითარ-იგი ამას ეტყოდა, ფესტოს დიდითა კმითა თქუა: ჰბორგი პაელე, რამეთუ მრავალნი წიგნნი შენნი სიცბილად მიგაქცეენ შენ.
25. ხოლო პაელე ჰრქუა: არა ვბორგი, მკნეო ფესტოს, არამედ ჭეშმარიტებისა და სიწმიდისა სიტყუათა ვიტყჳ.
26. რამეთუ მეცნიერ არს ამისთჳს მეფე, რომლისა მიმართცა კადნიერად ვიტყჳ, რამეთუ დაფარვად მისა რაჲსამე ამათგანისა არა ვირწმუნო, რამეთუ არცა დაფარულსა აღგილსა ქმნილ არს ესე.
27. გრწამსა, მეფე აღრიპა, წინაწარმეტყუელთაჲ? ვიცი, რამეთუ გრწამს.

28. ხოლო აღრიპა ჰრქუა პაულეს: მცირედ-ღა და მარწმუნო მე ქრისტეანე ყოფად.
29. ხოლო პაულე ჰრქუა მას: ვიღოცავ ღმრთისა მიმართ მცირეთათჳსცა და მრავალთა, არა ხოლო თუ შენდა, არამედ ყოველთა, რომელთა ესმის ჩემი დღეს ყოფად ესრეთ, ვითარცა მე ვარ, თჳნიერ კრულებათა ამათ.
30. და ვითარცა ესე თქუა მან, აღდგა მეფე და მთავარი და ბერენიკე და მათ თანა მსხდომარენი იგი,
31. წარეიდეს და იტყოდეს ურთიერთას, ვითარმედ: არარას სასიკუდინესა გინა კრულებათა საქმესა იქმს კაცი ესე.
32. ხოლო აღრიპა ჰრქუა ფესტოსს: განტეებად ღირდა კაცი ესე, უკუეთუმცა არა ღაღად-ეყო კეისრისა.

27

1. და ვითარცა განაჩინეს ნავითა წარსლვაჲ ჩუენი იტალიად, მისცეს პაულე და სხუანი ვინმე პყრობილნი ასისთავსა, სახელით იელიოსს, გუნდისა სევასტიელისაჲ.
2. შეეედით ნავსა ადრამიტჳნელსა, რომელი მიმავალ იყო ადგილთა მათ ასიაჲსათა, და, აღეკედით რაჲ, ჩუენ თანა იყო არისტარხოს მაკედონელი, თესალონიკელი.
3. და მეორესა დღესა შთაეედით სიდონდ. კაცთ მოყუარებაჲ აჩუენა იელიოს პაულესთჳს და უბრძანა მეგობართა თჳსთა თანა მისლვად და მოღუაწებისა მიმთხუევად.
4. და მიერ შევსსედით და თანა-წარელეთ კჳპრე წინააღმდგომებითა ქართაჲთა.
5. მაშინ უფსკრული იგი კილიკიისაჲ და პამფილიისაჲ განველეთ და შთაეედით მჳრა ქალაქად ლუკიისა.
6. და მუნ პოა ასისთავმან მან ნავი ალექსანდრიისაჲ, რომელი მიეიდოდა იტალიად, და შემსხნა ჩუენ მას შინა.
7. ხოლო მრავალთა დღეთა მძიმედ ეიდოდეთ და ძნიად მივიწიენით კნიდონდ, რამეთუ არა გჳტეებდა ჩუენ ქარი იგი, და თანაწარელეთ კრიტი სალმონით კერძო.
8. და ვითარცა ძლით წარმოვირჩიეთ იგი, მოეედით ადგილსა რასმე, რომელსა ერქუა ტბები კეთილი, რომელსა ეახლა ქალაქი ლასიაჲ.
9. და ვითარცა მრავალი ჟამი წარჴდა, და იყო-ღა ნავი საცთომელ სავალად, რამეთუ მარხვანი წარ-ოდენ-სრულ იყენეს, ამცნებდა მათ პაულე.
10. და ეტყოდა: კაცნო ძმანო, ეხედავ, რამეთუ ჭირი და ზღვეაჲ მრავალი ყოფად არს არა ხოლო თუ ტჳრთისა და ნავისაჲ,

არამედ თაენიცა ჩუენნი წარწყმედად არიან ნავისა თანა.
11. ხოლო ასისთაეი იგი მენაევეთ-მოძღუარსა მას და ნავის-უფალსა ერჩდა უფროჲს, ვიდრე-ღა პაელეს სიტყუათა.
12. და ვითარ უმარჯუ იყო ნავთსაღგური იგი დასაზამთრებლად, უმრაველსთა მათგანთა დაიდევს გულსა წარსლვად მიერ, უკუეთუმცა ვითარ უძლეს მისლვად ფინიკედ და მუნ დაზამთრებად ტბასა მას კრიტისასა, რომელი ხედვიდა ჩრდილოდ და სოფლად.
13. და ვითარ-იგი ქროდა ქარი სამხრისაჲ, ჰგონებდეს, ვითარმედ ნებისაებრ მათისა იყოს, აღდგეს ასონით და წარირჩევდეს კრიტით.
14. და შემდგომად არა მრაელისა ჟამისა იწყო ქროლად მის თანა ქარმან მან ბორბალმან, რომელსა ჰრქჳან ვრცელ ღელვა.
15. და ვითარ შეაცთუნა ნავი იგი და ვერ ეძლო პირსა მიქცევად ქარისა მის, მიუტევეთ და მიმოვაქუნდით.
16. ჭალაკსა რასმე თანა-წარვჰკედით რაჲ, რომელსა ერქუა კლაედი, ძლით შეუძლეთ დაპყრობად კუამალდისა,
17. რომელი აღიღეს და შესაწევნელად იკუმევდეს და შემოსწებეს ნაესა. ხოლო ეშინოდა, ნუუკუე კბოდოანსა განცჳვენ, გარდაუტევეს ჭურჭელი და ესრეთ მიმოაქუნდა.
18. და ვითარ დიდსა გამთარსა შინა ვიყვენით, ხვალისაგან გარდასდებდეს ტჳრთსა.
19. და მესამესა დღესა ჭურჭელი ნავისაჲ თჳსითა კელითა გარდააბნიეს.
20. ხოლო არცა მზე, არცა ვარსკულავი ჩნდა მრავალთა დღეთა, რამეთუ გამთარი დიდი იყო. მიერითგან წარვიწირეთ სასოებაჲ ყოველი ცხორებად ჩუენდა.
21. და ფრიადი უზმობაჲ იყო. მაშინ პაელე აღდგა შორის მათსა და თქუა: ჯერ-იყო, ჰ კაცნო, რაჲთამცა მერჩდით მე და არა წარხუედით კრიტით და შეიძინეთ ჭირი ესე და ზღევაჲ.
22. და აწცა გეტყჳ თქუენ, გულ-დებულ იყვენით, რამეთუ განკუებაჲ სულისაჲ არცა ერთისაჲ იყოს თქუენგან, თჳნიერ ხოლო ნავისა.
23. რამეთუ წარმომიდგა მე ამას ღამესა ანგელოზი ღმრთისაჲ, რომლისაჲ ვარ მე, რომელსაცა ვჰმსახურებ,
24. და მრქუა: ნუ გეშინინ, პაელე! კეისრისა ჯერ-არს შენდა წარდგომაჲ და აჰა ესერა მიგმადლნა შენ ღმერთმან ყოველნი, რომელნი არიან შენ თანა ნავსა მაგას.
25. ამისთჳს გულ-დებულ იყვენით, კაცნო, რამეთუ მრწამს

ღმრთისაჲ, რამეთუ ესრეთ იყოს, ვითარცა სასედ მეტყოდა მე.
26. ჭალაკსა რასმე განცუენებად ვართ ჩუენ.
27. სოლო ვითარცა მეათოთხმეტე ღამე მოიწია და მიმოვეტაცენით ჩუენ ანდრიასა შინა, შუა ღამეს ოდენ ჰგონებდეს მენავენი იგი მიწევნად რომელსამე სოფელსა.
28. და გარდაუტევეს საზომი და პოვეს ოც მკარ. და მცირედ და-რე-ყოენეს და კუალად მოზომეს და პოვეს ათსუთმეტი მკარი.
29. და ეშინოდა, ნუუკუე კბოდოანსა ადგილსა განცუენ, ბოლოჲთ კერძო ნავისა მის გარდასთხინეს ოთხნი კავნი და ილოცვიდეს განთენებასა.
30. ხოლო მენავეთა მათ ეგულებოდა სიელტოლაჲ ნავისა მისგან და გარდაუტევეს კუამალდი იგი ზღუად, მიზეზად რეცა თუ თავით კერძო ნავისა მის განჰმარტებენ კავთა.
31. მაშინ პაელე ჰრქუა ასისთავსა მას და ერის კაცთა: უკუეთუ ესენი არა იყენენ ნავსა შინა, თქუენ განრინებად ვერ კელ-გეწიფების.
32. მაშინ ერისგანთა მათ განუკუეთნეს საბელნი იგი კუამალდისანი და მიუშუეს იგი წარტაცებად ღელვათა.
33. და ვითარცა განთენდებოდა, ჰლოცვიდა ყოველთა პაელე მიღებად საზრდელისა და ჰრქუა: მეათოთხმეტე დღე არს დღეს, ვინაჲთგან უზმათა დაგიყოფიეს და არარაჲ მიგიღებიეს.
34. ამისთჳს გლოცაე თქუენ მიღებად საზრდელისა, რამეთუ ესე თქუენისა ცხორებისათჳს იქმნა, რამეთუ არავისი თქუენგანისაჲ თმაჲ ერთი თავისაჲ წარწყმედად არს.
35. და ესე ეითარცა თქუა, მოიღო პური, ჰმადლობდა ღმერთსა წინაშე ყოველთასა და განტესა და იწყო ჭამად.
36. გულს-მოდგინე იქმნეს ყოველნი და მათცა მიიღეს საზრდელი.
37. ხოლო ვიყუენით ნავსა მას შინა ყოველნი კაცნი ორას სამეოც და ათექუსმეტი სული.
38. და ვითარცა განძღეს საზრდელითა, აღუმცირებდეს ნავსა მას და გარდასდებდეს იფქლსა ზღუად.
39. და რაჟამს განთენა, ქუეყანაჲ იგი ვერ იცნეს, ყურესა რასმე განიცდიდეს, რომლისა იყო ზღუს-კიდე, საღა-იგი ეგულებოდა, უკუეთუმცა ვითარ შეუძლეს, განდგინებაჲ ნავისაჲ მის.
40. მოჰკსნნეს კავნიცა იგი და მიუტევნეს ზღუად, და მათ თანა მიუტევნეს შესაუღლველნიცა იგი საჭეთანი და აღუპყრეს აფრაჲ მცირე, და ქარით კერძო ეპყრა ზღუს-კიდით კერძო.

41. და ვითარცა შეცუვეს უმძაფრესსა აღგილსა, დაჰკიდეს ნავი იგი. და, რამეთუ თავით კერძოჲ იგი უმაგრესად დგა, ეგო უძრავად, სოლო ბოლოჲთ კერძო იგი დაირღუეოდა სიმძაფრითა ღელვაჲთა.
42. სოლო ერის კაცთა მათ ზრახვა-ყვეს, რაჲთა მოსწყჳდნენ პყრობილნი იგი, ნუუკუე გან-ვიმე-ცურდეს და იელტოდის.
43. ხოლო ასისთავსა მას უნდა განრინებაჲ პავლესი და დააბრკოლნა იგინი ზრახვისა მისგან და უბრძანა, რომელნი-იგი ცურვით შემძლებელ იყვნეს, განსლვაღ ქუეყანად,
44. და სხუანი იგი რომელნიმე ფიცრითა და რომელნიმე ჭურჭლითა ნაისაჲთა რომლითამე. და ესრეთ განვერენით ყოველნივე და გამოვედით ქუეყანაღ.

28

1. და გამო-რაჲ-ვკედით, მაშინ იცნეს, რამეთუ მელიტონი ერქუა ჭალაკსა მას.
2. ხოლო ბარბაროზთა მათ წინა-მიყვეს ჩუენ არა მცირედი კაცთ მოყუარებაჲ, რამეთუ აღაგზნეს ცეცხლი და შემიწყნარნეს ჩუენ ყოველნი წჳმისა მისგან და ყინელისა, რომელი იყო.
3. და ვითარ შეჰკრებდა პაველე ფრიადსა ქარქუეტსა და დაასხმიდა ცეცხლსა მას ზედა, იქედნე სიტფოჲსა მისგან გამოჴდა და მოეხჳა კელსა პაველესსა.
4. ვითარცა იხილეს ბარბაროზთა მათ გუელი იგი, დამოკიდებული კელსა მისსა, იტყოდეს ურთიერთას: კაცის-მკლველი სამე არს კაცი ესე, რომელი ზღუასა ღათუ განერა, სასჯელმან ცხორებაღ არა უტევა.
5. ხოლო მან კელი განყარა და შეაგდო გუელი იგი ცეცხლსა, და არარაჲ ბოროტი ევნო მას.
6. ხოლო იგინი ჰგონებდეს, ვითარმედ განსივნეს და დაეცეს მეყსეულად მკუდარი. და ვითარ-იგი მყოვარ ჟამ ჰგებდეს და ჰხედვიდეს, რამეთუ არარაჲ ბოროტი შეემთხჳა მას, მოიქცეს და იტყოდეს, ვითარმედ ღმერთი არს.
7. ხოლო აღგილთა მათ იყო სოფლები მთავრისა ვისიმე მის ჭალაკისაჲ, რომელსა სახელი ერქუა პოპლიოს, რომელმან შემიწყნარნა ჩუენ და სამ ღღე სიყუარულით მოწლედ მისტუმრნა.
8. და იყო მამაჲ პოპლიოჲსი სიცხითა და ნაწლეებითა სნეულ და მწოლარე, რომლისა შევიდა პავლე და ულოცა და დაასხნა მის ზედა კელნი მისნი და განკურნა იგი.
9. და ვითარცა ესე იქმნა, სხუანიცა, რომელნი იყვნეს ჭალაკსა მას შინა და აქუნდა უძლურებაჲ, მოვიდოდეს და განიკურნე-

ბოდეს ძალითა ღმრთისაჲთა,
10. რომელთაცა მრაელითა პატიეითა პატიე-გუცეს ჩუენ და წარსლვასა ჩუენსა აღგუაგნეს საგზლითა.
11. და შემდგომად სამისა თჳსა შევედით ნავსა, რომელსა დაეგამთრა მას ჭალაკსა ალექსანდრიაჲსასა, სახელით დიოსკორესსა.
12. და შთავედით სჳრაკოსად და დაეადგერით მუნ სამ დღე,
13. ვინაჲ-იგი მოელეთ და მოვიწიენით რეგონდ. და შემდგომად ერთისა დღისა იყო სამხრით ნიავი, და ორ დღე მოვედით პონტიოლს,
14. სადა-იგი ვპოენით ძმანი, და ნუგეშინის-ცემულ ვიქმნენით მათ გედა და დავადგერით მუნ შჳდ დღე. და ესრეთ მოვედით ჰრომედ.
15. და მიერ ძმათა ესმა ჩუენთჳს და გამოვიდეს შემთხუეად ჩუენდა ვიდრე აპპიოფორომდე და მესამედ ღუნის საფარდულად, რომელნი იხილნა რაჲ პაველე, ჰმადლობდა ღმერთსა და ნუგეშინის-იცა.
16. და ოდეს შევედით ჰრომედ, ასისთავმან მან მისცნა პყრობილნი იგი ერის მთავარსა მას, ხოლო პაველეს ებრძანა ყოფაჲ თჳსაგან მცველისა მისისა ერის კაცისა თანა.
17. და იყო შემდგომად სამისა დღისა მოუწოდა პაველე, რომელნი-იგი იყენეს მუნ ჰურიანი მთავარნი. და ეითარ მოკრბეს იგინი, ეტყოდა მათ: კაცნო ძმანო, მე არაჲ ბოროტი ექმენ ერისა მის თანა გინა სჯულისა მამულისა, და კრული იერუსალჱმით მიეეცი კელთა ჰრომთასა,
18. რომელთა განმიკითხეს მე და უნდა განტეებაჲ ჩემი, ამისთჳს რამეთუ არცა ერთი ბრალი სიკუდილისაჲ იყო ჩემ თანა.
19. და ეითარ-იგი სიტყუას-უგებდეს ჰურიანი, ვიიძულე ღაღადის-გდებაჲ კეისრისაჲ, არა თუ ეითარმცა შესმენაჲ რაჲმე მედეა ნათესავისა ჩემისაჲ.
20. ამის უკუე მიზეზისათჳს გლოცევედ თქუენ, რაჲთა მოხუდეთ და გიხილნე და გეტყოდი, რამეთუ სასოებისათჳს ისრაჱლისა ჯაჭჳ ესე შედა-მაც მე.
21. ხოლო მათ ჰრქუეს მას: ჩუენ არცა წიგნი მოგჳკდა შენთჳს ჰურიასტანით, არცა მო-ვინ-ვიდა ძმათაგანი და გუთხრა, გინა იტყოდა შენთჳს ბოროტსა.
22. ხოლო ამას გლოცავთ, რაჲთა ვისმინოთ შენი, ეითარ ჰზრახავ; ხოლო კლომისა ამისთჳს უწყებულ არს ჩუენდა, რამეთუ ყოველსა აღგილსა ცილობაჲ აღდგომილ არს.
23. და განუჩინეს მას დღე და მოვიდეს ვანად მისა მრავალნი, რომელთა ასწავებდა და მიუთხრობდა სასუფეველისათჳს

ღმრთისა და არწმუნებდა მათ იესუჲსთჳს სჯულისაგან მოსესა და წინაწარმეტყუელთა განთიადითგან ვიდრე მიმწუსრადმდე.
24. და რომელნიმე ერჩდეს სიტყუათა მათ და რომელნიმე არა ერჩდეს.
25. და შეუთქუმელ იყვნეს ურთიერთას და განვიდოდეს. თქუა პაელე სიტყუაჲ ერთი, ვითარმედ: კეთილად იტყოდა სული წმიდაჲ ესაიაჲს მიერ წინაწარმეტყუელისა მამათა თქუენთა მიმართ
26. და თქუა: მიევედ ერისა ამის და არქუ მათ: სმენით გესმოდის და არა გულისჴმა-ჰყოთ, და ხედვით ჰხედვიდეთ და არა იხილოთ.
27. რამეთუ განჭრქნა გული ერისაჲ ამის, და ყურითა მძიმედ ისმინეს და თუალნი მათნი დაიწუხნეს, ნუსადა იხილონ თუალითა და ყურითა ისმინონ და გულითა გულისჴმა-ყონ და მოიქცენ და განვკურნნე იგინი.
28. საცნაურ უკუე იყავნ თქუენდა, რამეთუ წარმართთათჳს მოიველინა მაცხოვარებაჲ ღმრთისაჲ, და მათცა ისმინონ.
29. და ესე რაჲ თქუა, წარვიდეს ჰურიანი იგი და ფრიადი გამოძიებაჲ აქუნდა თავთა შორის თჳსთა.
30. ხოლო პავლე დააღგრა მუნ ორ წელ ყოველად თჳსითა სასყიდლითა და შეიწყნარებდა ყოველთა, რომელნი მოვიდოდეს მისა.
31. ქადაგებდა სასუფეველსა ღმრთისასა და ასწავებდა უფლისა იესუ ქრისტჱსთჳს ყოველითა განცხადებულებითა დაუბრკოლებელად.



მოქვის ოთხთავი. 1300 წ.

კათოლიკე ებისტოლენი

იაკობისი

პეტრესი

იოვანესი

ოქდასი



იაკობ მოციქული. უბისის ფრესკა. XIII-XIV სს.

წმ. ეპისტოლე კათოლიკე საღმრთო მოციქულისა იაკობისა

ვინაჲთგან თუთ თავადი იაკობ ამას კათოლიკესა მიჰსწერს ათორმეტთა ტომთაგან განთესილთა, რომელთა ჰრწმენა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს მიმართ, ხოლო მიჰსწერს სამოძღურებელად ეპისტოლესა, და ასწაევებს განყოფილებისათჳს განსაცდელთასა, რომელი უკუე არს ღმრთისა მიერ, ანუ რომელი თჳსისაგან გულისა კაცთასა, და ეითარმედ არა სიტყუთა ოდენ, არამედ საქმითა ჯერ-არს ჩუენება სარწმუნოებისა, რამეთუ არა მსმენელნი ჰსჯულისანი განმართლდებიან, არამედ მყოფელნი განმართლდებიან, ხოლო მდიდართათჳს ამცნებს, რაჲთა არა უმჯობესი ეყოფოდეს მდიდართა მაღლი გლახაკთასა ეკლესიასა შინა, არამედ რაჲთა უფროჲსღა ამხილებდენ ვითარცა ამპარტავანთა, და მერმეღა ნუგეშინის-ჰსცემს ვნებულთა, და ამცნებს სულ-გრძელებად ვიდრე მოსლვადმდე ქრისტესსა, და ასწაევებს მოთმინებასა, უბრძანებს უძლურთა ზედა მოწოდებად ხუცესთა, რაჲთა ულოცონ მათ, და მოსწრაფე-იყუნენ მოქცეევად შეცდომილთა ჭეშმარიტებისა მიმართ, რამეთუ ყოფად არს ამისთჳს სასყიდელი ღმრთისა მიერ მოტეევება ცოდვათა, და ესრეთ აღასრულებს კათოლიკესა თჳსსა.

იაკობ მოციქულისა წიგნი კათოლიკე

1

1. იაკობ, ღმრთისა და უფლისა იესუ ქრისტეს მონაჲ, ათორმეტთა ნათესავთა, – გიხაროდენ!
2. ყოველივე სიხარულად შეჰრაცხეთ, ძმანო ჩემნო, რაჟამს განსაცდელსა შესცჳვეთ პირად-პირადსა;
3. უწყოდეთ, რამეთუ გამოცდილებამან მან სარწმუნოებისა თქუენისამან შექმნის მოთმინებაჲ,
4. ხოლო მოთმინებასა მას საქმე სრული აქუნდინ, რაჲთა იყუენეთ სრულ და ყოველად ცოცხალ და არარაჲთ ნაკლულევან.
5. სოლო უკუეთუ ვინმე თქუენგანი ნაკლულევან არს სულიერითა სიბრძნითა, ითხოვენ ღმრთისაგან, რომელმან-იგი მოსცის ყოველთა უხუად და არავის აყუედრის, და მოსცეს მას.
6. ითხოვდინ ხოლო სარწმუნოებით და ნუ ორგულებით, რამეთუ რომელი ორგულებდეს, მსგავს არს იგი ღელვასა ზღჳსასა, ქარითა აღძრულსა და მიმოტაცებულსა.
7. ნუ ჰგონებენ კაცი იგი, ვითარმედ მო-რაჲმე-იღოს ღმრთისაგან.
8. კაცი ორგული დაუდგრომელ-არს ყოველთა გზათა მისთა.
9. იქადოდენ ძმაჲ იგი მდაბალი ამაღლებასა თჳსსა,
10. ხოლო მდიდარი – დამდაბლებასა თჳსსა, რამეთუ ვითარცა ყუავილი თიეისაჲ, ეგრეთ წარკდეს.
11. რამეთუ აღმოჰხდა მზე სიცხითა თჳსითა და განაკმო თიეაჲ იგი და ყუავილი მისი დასცჳვა და შუენიერებაჲ პირისა მისისაჲ წარკდა. ეგრეცა მდიდარი სლვასა შინა თჳსსა დაჭნეს.
12. ნეტარ არს კაცი იგი, რომელმან დაუთმოს განსაცდელსა, რამეთუ გამოცდილ იქნეს და მოიღოს გჳრგჳნი ცხორებისაჲ, რომელი აღუთქუა ღმერთმან მოყუარეთა მისთა.
13. ნუვინ განცდილთაგანი იტყჳნ, ვითარმედ ღმრთისა მიერ განვიცადები, რამეთუ ღმერთი გამოუცდელ არს ბოროტისა და არავის განსცდის იგი.
14. არამედ კაცად-კაცადი განიცადების თჳსისაგან გულის თქუმისა, მიიზიდვის და სცთების.
15. მერმე გულის თქუმაჲ იგი მიუდგის და შვის ცოდვაჲ და ცოდვაჲ იგი სრულ-იქმნის და შვის სიკუდილი.
16. ნუ სცთებით, ძმანო ჩემნო საყუარელნო!
17. ყოველივე მოცემული კეთილი და ყოველივე ნიჭი სრუ-

ლი ზეგარდამო არს გარდამოსრულ მამისაგან ნათლისა, რომლისა თანა არა არს ცვალება, გისა თუ ქცევისა აჩრდილ.
18. მას უნდა და გუშვენა ჩუენ სიტყჳთა ჭეშმარიტებისაჲთა, რაჲთა ვიყუნეთ ჩუენ დასაბამ რაჲმე მისთა დაბადებულთა.
19. აწ უკუე, ძმანო ჩემნო საყუარელნო, იყავნ ყოველი კაცი მოსწრაფე სმენად, მძიმე სიტყუად, მძიმე გულის წყრომად.
20. რამეთუ გულის წყრომამან კაცისამან სიმართლე ღმრთისაჲ არა ქმნის.
21. ამისთჳს განიშორეთ ყოველი მწიკულეანებაჲ და მეტი იგი სიბოროტისაჲ, სიმშჳდით შეიწყნარეთ ნერგი იგი სიტყჳსაჲ, რომელი შემძლებელ არს ცხორებად სულთა თქუენთა.
22. და იყვენით მყოფელ სიტყჳსა მის და ნუ ხოლო მსმენელ და შეურაცხის-მყოფელ თავთა თჳსთა.
23. უკუეთუ ვინმე მსმენელ ხოლო იყოს სიტყჳსა მის და მყოფელ არა, ესევითარი იგი მსგავს არს კაცისა მის, რომელმან განიცადის პირი ქმნულებისა თჳსისაჲ სარკითა.
24. რამეთუ განიცადა თავი თჳსი და წარვიდა და მეყსეულად დაავიწყდა, რაბამ-რაჲ იყო.
25. ხოლო რომელმან მიჰხედა სჯულსა მას სრულსა აზნაურებისასა და დააღგრა მას, ესე არა მსმენელ და დამვიწყებელ იქმნა, არამედ მყოფელ საქმისა; ესე ნეტარ იყოს ქმნითა მით მისითა.
26. რომელსა ეგონოს თქუენ შორის, ვითარმედ ღმრთის მსახურ არს და არა აღჳრ-ასხმიდეს ენასა თჳსსა, არამედ აცთუნებდეს გულსა თჳსსა, ამისი ამაო არს მსახურებაჲ.
27. მსახურებაჲ წმიდაჲ და შეუგინებელი ღმრთისა მიერ და მამისა ესე არს: მიხედვაჲ ობოლთა და ქურივთაჲ ჭირსა შინა მათსა და შეუგინებელად დაცვაჲ თავისა თჳსისაჲ ამის სოფლისაგან.

2

1. ძმანო ჩემნო, ნუ თუალთ-ღებით, გაქუნ სარწმუნოებაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს დიდებისაჲ.
2. რამეთუ, უკუეთუ შევიდეს შესაკრებელსა თქუენსა კაცი ოქროჲსა ბეჭდითა და სამოსლითა ბრწყინვალითა, და შევიდეს გლახაკიცა სამოსელითა შეურაცხითა
3. და მიჰხედოთ მას, რომელსა-იგი ემოსოს სამოსელი ბრწყინვალე, და ჰრქუათ მას: შენ დაჯედ აქა კეთილად, და გლახაკსა მას ჰრქუათ: შენ დეგ იქი, ანუ დაჯედ აქა ქუეშე ფერჴთა ჩუენთა

4. და არა განიკითხენით თავთა შორის თქუენთა და იქმნენით მსაჯულ გულისა სიტყუთა ბოროტითა.
5. ისმინეთ, ძმანო ჩემნო საყუარელნო: ანუ არა გლახაკნი სოფლისანი გამოირჩინაა ღმერთმან, მდიდარნი სარწმუნოებითა და მკჳდრნი სასუფეველისანი, რომელ-იგი აღუთქუა მოყუარეთა თჳსთა?
6. ხოლო თქუენ შეურაცხ-ჰყაეთ გლახაკი. ანუ არა მდიდარნი გმძლავრობენა თქუენ, და იგინიეე მიგიზიდვენ თქუენ სამსჯავროდ?
7. არა იგინი ჰგმობენა კეთილსა მას სახელსა, რომელი წოდებულ არს თქუენ ზედა?
8. უკუეთუ სჯულსა აღასრულებთ სამეუფოსა, მსგავსად წერილისა: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი, კეთილად ჰყოფთ.
9. ხოლო უკუეთუ თუალთ-ღებით, ცოდვასა იქმთ და იმხილებით სჯულისაგან, ვითარცა გარდამავალნი სჯულისანი.
10. რამეთუ რომელმან ყოველი სჯული დაიმარხოს და სცთეს ერთითა, იქმნა იგი ყოვლისავე თანამდებ.
11. რამეთუ რომელმან-იგი თქუა: ნუ იმრუშებ, მანვე თქუა: ნუ კაც-ჰკლავ, ხოლო უკუეთუ იმრუშო არა და კაც-ჰკლა, იქმენ გარდამავალ სჯულისა.
12. ესრეთ იტყოდეთ და ესრეთ ჰყოფდით, ვითარცა სჯულისაგან ამნაურებისა განსჯადნი.
13. რამეთუ სასჯელი უწყალო არს მათთჳს, რომელთა არა ყონ წყალობაჲ; იქადოდეთ წყალობასა სასჯელისასა.
14. რაჲ სარგებელ არს, ძმანო ჩემნო, უკუეთუ ვინმე თქუას: სარწმუნოებაჲ მაქუს, და საქმენი არა ჰქონდინ? ნუ ძალ-უც-მეა სარწმუნოებასა ხოლო ცხოვნებად მისა?
15. რამეთუ უკუეთუ ძმაჲ გინა დაჲ შიშველ იყვნენ და ნაკლულევან მღღევრისა საბრდელისა
16. და ჰრქუას ვინმე თქუენგანმან: წარეველდით მშჳდობით, განძეღით და განტეფით, და არა სცეთ მათ საკმარი კორცთაჲ, რაჲ სარგებელ არს?
17. ეგრეთცა სარწმუნოებაჲ: უკუეთუ არა აქუნდენ საქმენი, მკუდარ არს იგი ხოლო.
18. არამედ თქუას თუ ვინმე: შენ სარწმუნოებაჲ გაქუს და მე საქმენი მქონან, მიჩუენე მე სარწმუნოებაჲ შენი საქმეთაგან შენთა, და მე გიჩუენო შენ საქმეთაგან ჩემთა სარწმუნოებაჲ ჩემი.
19. შენ გრწამს, ვითარმედ ერთ არს ღმერთი, კეთილად იქმ, და ეშმაკთაცა ჰრწამს და ძრწიან მისგან.
20. გნებავსა ცნობად, ჲ კაცო ამაოო, რამეთუ სარწმუნოებაჲ

თუნიერ საქმეთაჲსა მკუდარ არს?
21. აბრაჰამ, მამაჲ ჩუენი, არა საქმეთაგან განმართლდაა, რამეთუ შეწირა ისაკი, ძე თუსი, საკურთხეველსა ზედა?
22. ჰხედავა, რამეთუ სარწმუნოებაჲ შეეწია საქმეთა მისთა და საქმეთაგან სარწმუნოებაჲ იგი სრულ იქმნა?
23. და აღესრულა წერილი იგი, რომელი იტყუს: ჰრწმენა აბრაჰამსა ღმერთი, და შეერაცხა მას სიმართლედ, და მეგობარ ღმრთისა იწოდა.
24. ჰხედავთა, რამეთუ საქმეთაგან განმართლდების კაცი და არა სარწმუნოებისაგან სოლო?
25. ეგრეთვე და რააბცა, მეძავი, არა საქმეთაგან განმართლდაა, რამეთუ შეიწყნარნა მსტოარნი იგი და სხუთ გზით წარავლინა?
26. რამეთუ ვითარცა კორცნი თუნიერ სულისა მკუდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოებაჲ თუნიერ საქმეთასა მკუდარ არს.

3

1. ნუ მრავალნი ჰმოძღურით, ძმანო ჩემნო! უწყოდეთ, რამეთუ უდიდესი სასჯელი მოვიღოთ.
2. რამეთუ ფრიად ესცთებით ყოველნივე. რომელი სიტყუთ არა სცთებოდის, იგი სრული კაცი არს, შემძლებელ არს იგი აღჯრ-სხმად ყოველისავე გუამისა.
3. უკუეთუ ცხენსა აღჯრნი აღუსხნით დამორჩილებად ჩუენდა, იგი და ყოველი გუამი მისი მოვაქციით.
4. აჰა ესერა, ნავებიცა იგი დიდ-დიდები და ფიცხელთაგან ქართა მიმოტაცებულნი მოიქცევიან მცირისაგან საჭისა, ვიდრეცა-იგი ჰნებავნ მისლვაჲ მმართებელსა მას მათსა.
5. ეგრეცა, ენაჲ მცირე ასოჲ არს და დიდად მაღლოჲს. აჰა ესერა, მცირემან ცეცხლმან რაოდენი ნივთი აღაგზნის!
6. და ენაჲ ეგრეთვე ცეცხლ არს, სამკაული სიცრუისაჲ. ენაჲ დადგრომილ არს ასოთა შინა ჩუენთა, რომელი შეაგინებს ყოველსა გუამსა და აღაგზნებს ურმის თუალსა მას შესაქმისასა და აღგზნებულ არს გეჰენიისაგან.
7. რამეთუ ყოველივე ბუნებაჲ მკეცთა და მფრინველთაჲ და ქუეწარმავალთაჲ და მცურვალთაჲ დაიმწყსების და დამწყსილ არს ბუნებასა ქუეშე კაცთასა.
8. ხოლო ენაჲ კაცთაჲ ვერვის კელ-ეწიფების დამწყსად, დაუყრობელი ბოროტი, სავსე გესლითა მაკუდინებელითა,
9. რამეთუ მით ვაკურთხევთ ღმერთსა და მამასა. და მით ვსწყევთ კაცთა, რომელნი მსგაჯსად ღმრთისა შექმნულ არიან.
10. მიერვე პირით გამოვალს

კურთხეევაჲ და წყევაჲ. არა ჯერ-არს, ძმანო ჩემნო საყუარელნო, ესე ესრეთ ყოფად.
11. ნუუკუე წყაროჲსაგან მისვე თუალისა აღმოდინ ტკბილი და მწარე?
12. ეგების-მეა, ძმანო ჩემნო, ვითარმცა ლეღუმან ზეთის ხილი გამოიღო, გინა ვენაკმან ლეღჳ? ეგრეთვე ვერცა ერთი წყაროჲ მარილიანსა და ტკბილსა წყალსა აღმოცენებად.
13. ვინ არს ბრძენ და მეცნიერ თქუენ შორის, აჩუენენ კეთილად სლვისაგან საქმენი თჳსნი სიმშჳდითა სიბრძნისაჲთა.
14. ხოლო უკუეთუ შური მწარე გაქუნდეს და კდომაჲ გულთა შინა თქუენთა, ნუ იქადით და სტყუით ჭეშმარიტებასა ზედა.
15. არა არს ესე სიბრძნე ზეგარდამოსრული, არამედ ქუეყანისაჲ, მშჳნეიერი და საეშმაკოჲ.
16. რამეთუ სადა არს შური და კდომაჲ, მუნ შფოთი და ყოველი ბოროტისა საქმჱ.
17. ხოლო ზეგარდამოჲ სიბრძნე პირველად სიწმიდე არს და მერმე მშჳდობაჲ, სახიერებაჲ, მორჩილებაჲ, სავსე წყალობითა და ნაყოფითა საქმეთა კეთილთაჲთა განუკითხველ და შეუორგულებელ.
18. რამეთუ ნაყოფი სიმართლისაჲ დაითესვის მშჳდობით მათთჳს, რომელნი ჰყოფენ მშჳდობასა.

4


1. ვინაჲ არიან ბრძოლანი და ლალვანი თქუენ შორის? ანუ არა მიერვე გულის თქუმათაგან თქუენთა, რომელნი განწყობილ არიან ასოთა შინა თქუენთა?
2. გული გითქუამს და არა გაქუს, კაც-ჰკლავთ და იშურებით და ვერ ძალ-გიც მიმთხუევად, ილალვით და იბრძვით და არა გაქუს, რამეთუ არა ითხოვთ.
3. ითხოვთ და ვერ მიიღებთ, რამეთუ ბოროტად ითხოვთ, რაჲთა გულის თქუმათა შინა თქუენთა განიღინეთ.
4. მეძავნო და მემრუშენო, არა უწყითა, რამეთუ სიყუარული სოფლისაჲ ამის მტერობაჲ არს ღმრთისაჲ? აწ უკუე რომელსა უნდეს მეგობარ ყოფად ამის სოფლისა, მტერად ღმერთსა აღუდგების.
5. ანუ ჰგონებთა, ვითარმედ ცუდად იტყჳს წიგნი: საშურებელად ჰსურის სულსა, რომელი დამკჳდრებულ არს ჩუენ თანა?
6. უფროჲს მოცემად მადლი; ამისთჳს იტყჳს: ამპარტავანთა შეჰმუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი.
7. დაემორჩილენით ღმერთსა და წინა-აღუდეგით ეშმაკსა, და იელტოდის თქუენგან.
8. მიეახლენით ღმერთსა, და მოგეახლოს თქუენ. განიწმინდენით კელნი, ცოდეილნო, და

უბიწო ყევნითი გულნი, ორგულნო.
9. დამდაბლდით და ტიროდეთ და იგლოვდით. სიცილი თქუენი გლოვად გარდაიქეცინ და სიხარული თქუენი მწუსარებად.
10. დამდაბლდით წინაშე უფლისა, და აღგამაღლნეს თქუენ.
11. ნუ ძჯრსა იტყჯთ, ძმანო ჩემნო, ურთიერთას. რომელი ძჯრსა იტყოდის ძმისათჯს და განიკითხვიდეს ძმასა თჯსსა, განიკითხავს სჯულსა და სჯის სჯულსა; უკუეთუ სჯულსა ჰსჯი, არა ხარ მყოფელ სჯულისა, არამედ განმკითხველ.
12. ერთი არს სჯულის მდებელი და განმკითხველი, რომელი შემძლებელ არს ცხორებად და წარწყმედად. შენ ვინ ხარ, რომელი განიკითხავ მოყუასსა?
13. აწ უკუე თქუენცა, რომელნი-ეგე იტყჯთ: დღეს გინა ხვალე წარვიდეთ მას რომელსამე ქალაქსა და დავყოთ მუნ წელიწადი ერთი და ვივაჭროთ და შევიძინოთ.
14. რომელთა-ეგე არა იცით ხვალისაჲ, რამეთუ ვითარი არს ცხორებაჲ თქუენი? ვითარცა კუამლი ხართ, რომელი მცირედ ჟამ ჩანნ და მერმე განქარდის.
15. ამის წილ რომელი გიღირს თქუენ თქუმად: უკუეთუ უფალსა უნდეს და ვცხონდეთ და ვყოთ ესე გინა იგი.
16. ხოლო აწ იქადით სილაღითა თქუენითა, ყოველიეე სიქადული ესეეითარი ბოროტ არს.
17. რომელმან იცოდის კეთილი საქმე და არა ქმნეს, ცოდვა არს მისა.

5

1. აწ უკუე, თქუენცა, მდიდარნო, ტიროდეთ და გოდებდით უბადრუკებათა მათთჯს თქუენ ზედა მომავალთა.
2. სიმდიდრე თქუენი დალპოლეილ არს, სამოსელი თქუენი მღილთა დაუჭამიეს.
3. ოქროჲ თქუენი და ვეცხლი თქუენი დაგესლებულ არს და გესლი იგი მათი საწამებელად თქუენდა იყოს და შეშჭამდეს კორცთა თქუენთა ვითარცა ცეცხლი. დაიუნჯეთ დღეთა მათ უკუანაჲსკნელთა.
4. აჰა ესერა, სასყიდელი მოქმედთაჲ მათ, რომელთა განლეწეს ყანაჲ თქუენი, დაკლებული იგი თქუენგან ღაღადებს და ღაღადებაჲ იგი მომკალთაჲ მათ ყურთა უფლისა საბაოთისათა მიიწეეის.
5. იშუებდით ქუეყანასა ზედა და განსცხრებოდეთ. განჰზარდენით კორცნი თქუენნი ვითარცა დღედ დაკლვისა.
6. დასაჯეთ და მოჰკალთ მართალი იგი და არა წინა-აღგიდგა თქუენ.
7. სულ-გრძელ უკუე იქმნენით, ძმანო, ვიდრე მოსლვადმდე უფ-

ლისა. აჰა ესერა, მუშაკი მოელის პატიოსანსა ნაყოფსა ქუეყანისასა და სულ-გრძელ არს მას ზედა, ვიდრემდის მოიღოს წჯმაჲ მსთუაჲ და მცხუედი.
8. სულ-გრძელ იქმნენით თქუენცა, განიმტკიცენით გულნი თქუენნი, რამეთუ მოსლეაჲ უფლისაჲ მოასლებულ არს.
9. ნუ სულთ-ითქუამთ, ძმანო, ურთიერთას, რაჲთა არა განიკითხნეთ. აჰა ესერა, განმკითხველი წინაშე კართა დგას.
10. სახედ გაქუნდით, ძმანო ჩემნო, ძჯრის ხილეისა და სულ-გრძელებისა წინაწარმეტყუელნი, რომელნი იტყოდეს სახელითა უფლისაჲთა.
11. აჰა ესერა, ვჰნატრით მოთმინეთა მათ. მოთმინებაჲ იობისი გასმიეს და აღსასრული უფლისაჲ იხილეთ, რამეთუ მრავალ-მოწყალე არს და შემწყნარებელ.
12. ყოელისა წინა, ძმანო ჩემნო, ნუ ჰფუცავთ ნუცა ცასა, ნუცა ქუეყანასა, ნუცა სხუასა რომელსამე ფიცსა, არამედ იყაენ თქუენი ჰეჲ ჰე და არაჲ არა, რაჲთა არა ორგულებასა შესცჳვეთ.
13. შჯირდეს თუ ვისმე თქუენგანსა, ილოცევდინ, მოლხინე თუ ვინმე არს, გალობდინ.
14. უძლურ თუ ვინმე არს თქუენ შორის, მოუწოდენ ხუცესთა ეკლესიისათა და ილოცონ მის ზედა და სცხონ მას ზეთი სახელითა უფლისაჲთა.
15. და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი და აღადგინოს იგი უფალმან. დაღაცათუ ცოდვაჲ რაჲმე ექმნეს, მო-ვე-ეტეოს მას.
16. აღუარებდით ურთიერთას ცოდვათა და ულოცევდით ერთი-ერთსა, რაჲთა განიკურნნეთ, რამეთუ ფრიად შემძლებელ არს ლოცვაჲ მართლისაჲ შეწევნად.
17. ელია კაცივე იყო მსგავსი ჩუენი და ლოცვაჲ ილოცა არა წჯმად, და არა წჯმა ქუეყანასა ზედა სამ წელ და ექუს თუე.
18. და კუალად ილოცა და ცამან მოსცა წჯმაჲ და ქუეყანამან აღმოაცენა ნაყოფი თჯსი.
19. ძმანო, უკუეთუ ვინმე თქუენ შორის შესცთეს ჭეშმარიტებისაგან და თუ ვინმე მოაქციოს იგი,
20. უწყოდენ, რამეთუ რომელმან მოაქციოს ცოდვილი გზისაგან საცთურისა მისისა, იჯსნეს სული თჯსი სიკუდილისაგან და დაფაროს სიმრაველე ცოდვათაჲ.



მაცხოვარი და მოციქულთა დასი (პეტრე, ლუკა და ფილიპე). უბისის ფრესკა. XIII-XIV სს.

უწყებაჲ კათოლიკისა პეტრეს ეპისტოლისა პირველისა

პეტრე პირველსა კათოლიკესა თჳსსა მიუწერს სამოძღურებელად, განთესულთა მათ ჰურიათაგან მორწმუნე ქმნილთა ქრისტიანედ, ვინათგან ჰურიათაგან იჯმნეს განამტკიცებს მათ. პირველად უკუე ასწავებს, და უჩუენებს, რამეთუ ქრისტეს მიმართ სარწმუნოებაჲ წინასწარ-მეტყუელთა მიერ იქადაგა, და ამათ მიერ მოესწავა, სისხლითა მისითა გამოხსნაჲ, და მათ მიერ წარმართთა ეხარა ყოველიე, რომლისათჳს ჰსურიან ანგელოსთა ჭჳრობად, და მერმე განაგრახებს რაჲთა ღირსად ჩინებისა მის იქცეოდენ, და უბრძანებს, რაჲთა მეფეთა პატიე-ჰსცემდენ, და მამანი და დედანი მშჯღობით და სიწმიდით ჰსცხოვნდებოდენ, და წესიერებისაებრ ასწავებს მცირედ, მერმე აუწყებს, ვითარმედ ჯოჯოხეთსაცა იქმნა ქრისტეს მიერ ქადაგებაჲ ცხორებისა და აღდგომისა, რაჲთა პირველ-დაძინებულნიცა აღჰსდგენ, და განისაჯნენ კორცითა, ხოლო მაღლითა მით აღდგომისაჲთა ეგნენ, და ვითარმედ ყოველთა აღსასრული მოწევნულ არს და თანა-არს ყოველთა, რაჲთა მზა იყუნენ სიტყჳს-გებად მსაჯულისა, და ესრეთ აღასრულებს ეპისტოლესა.

პეტრე მოციქულისა წიგნი კათოლიკე პირველი

1

1. პეტრე, მოციქული იესუ ქრისტესი, რჩეულთა მწირთა, განთესულთა პონტოჲსა და გალატიისა, კაბადუკიისა, ასიისა და ბითუნიისათა,
2. წინაწარ ცნობითა ღმრთისა მამისაჲთა და სიწმიდითა სულისაჲთა დასამორჩილებელად და საპკურებელად სისხლისა იესუ ქრისტესისა. მაღლი თქუენ თანა და მშჳდობაჲ განმრაელდინ!
3. კურთხეულ არს ღმერთი და მამაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რომელმან-იგი მრავლითა მით წყალობითა თჳსითა კუალად გუშენა ჩუენ სასოებად ცხოელად აღდგომითა იესუ ქრისტესითა მკუდრეთით,
4. სამკჳდრებელად უხრწნელად და შეუგინებელად და დაუჭნობელად დამარხულთა ცათა შინა თქუენდა მიმართ,
5. რომელნი-ეგე ძალითა ღმრთისაჲთა მოცულ ხართ სარწმუნოებითა ცხორებასა მას განმზადებულსა გამოჩინებად ჟამსა მას უკუანაჲსკნელსა.
6. რომლითა გიხარის აწ მცირედ, უკუეთუ ჯერ-არს, რომელნი-ეგე შეწუხებულ იყვენით მრავალ-ფერთა შინა განსაცდელთა.
7. რაჲთა გამოცდილებაჲ იგი სარწმუნოებისა თქუენისაჲ უპატიოსნეს უფროჲს ოქროჲსა მის წარწყმედადისა, ცეცხლისა მიერ გამოცდილისა იპოოს საქებელად და დიდებად და პატივად გამოჩინებასა იესუ ქრისტესსა.
8. რომელი არა იცოდეთ და გიყუარს, რომელსა-იგი აწ არა ხედავთ და გრწამს, იხარებდით სიხარულითა გამოუთქუმელითა და დიდებულითა.
9. და მოიღოთ აღსასრულსა მას სარწმუნოებისა თქუენისასა ცხორებაჲ სულთაჲ.
10. რომლისა ცხორებისათჳს გამოიძიეს და გამოიკულიეს წინაწარმეტყუელთა, რომელნი თქუენ მაღლსა მას გიწინაწარმეტყუელებდეს,
11. გამოეძიებდეს, ოდეს ანუ რომელსა ჟამსა ეუწყებოდა მათ შორის სული ქრისტესი, წინაწარ უწამებდა მათ ქრისტესთა მათ ენებათა და მისსა შემდგომად დიდებათა მისთა.
12. რომელთა-იგი გამოეცხადა, რამეთუ არა თავთა თჳსთა, არამედ თქუენ გმსახურებდეს მას, რომელ-ესე აწ მიგეთხრა თქუენ მახარებელთა მათ თქუენთა მიერ სულითა წმიდითა მოვლინებულითა ზეცით, რომ-

ლისათჳს გული უთქუამს ანგელოზთა ხილვად.
13. ამისთჳს მოირტყენით წელნი გონებათა თქუენთანი, ფრთხილ იყუენით, სრულიად ესეოდით მოწევნულსა მას თქუენდა მადლსა გამოცსადებასა იესუ ქრისტესსა.
14. ვითარცა შვილნი მორჩილებისანი და ნუ თანა-სატ-ექმნებით პირველთა მათ უმეცრებისა თქუენისა გულის თქუმათა,
15. არამედ მწოდებელისა მისებრ თქუენისა წმიდისა და თქუენცა წმიდა იყუენით ყოველსავე შინა სლვასა თქუენსა.
16. რამეთუ წერილ არს: წმიდა იყუენით, რამეთუ მე წმიდა ვარ.
17. და უკუეთუ მამით ხადით მას, რომელი-იგი თუალ-უხუავად მსაჯული არს თითოეულისა საქმეთაჲ, შიშით მწირობისა მაგის თქუენისა ჟამნი აღასრულენით.
18. უწყოდეთ, რამეთუ არა განხრწნადითა ვეცხლითა გინა ოქროჲთა იჯსნენით თქუენ ამაოჲსა მისგან მამათა მოცემულისა სლვისა,
19. არამედ პატიოსნითა სისხლითა, ვითარცა ტარიგისა უბიწოჲსა და უმანკოჲსა ქრისტესითა,
20. წინაწარ უწყებულისა უწინარეს სოფლის დაბადებისა, ხოლო გამოჩინებულისა უკუანაჲსკნელთა ამათ ჟამთა თქუენთჳს;
21. რომელთა-ეგე მის მიერ გრწმენა ღმრთისა მიმართ, რომელმან-იგი აღადგინა იგი მკუდრეთით და მისცა მას დიდებაჲ, რაჲთა სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი და სასოებაჲ იყოს ღმრთისა მიმართ.
22. სულნი თქუენნი განიწმიდენით მორჩილებითა ჭეშმარიტებისაჲთა, სულითა ძმათ მოყუარებისათჳს შეუორგულებელ იყუენით გულითა წმიდითა, ურთიერთას იყუარებოდეთ განმარტებულად.
23. მეორედ შობილ ხართ არა თესლისაგან გახრწნადისა, არამედ უხრწნელისა, სიტყჳთა ღმრთისა ცხოველისაჲთა, რომელი-იგი ჰგიეს უკუნისამდე.
24. რამეთუ ყოველი კორცი თივაჲ არს და ყოველი დიდებაჲ კაცისაჲ, ვითარცა ყუავილი თივისაჲ: განჴმა თივაჲ იგი და ყუავილი მისი დასცუა.
25. ხოლო სიტყუაჲ ღმრთისაჲ ჰგიეს უკუნისამდე, ხოლო ესე არს იგი სიტყუაჲ, რომელი გეხარა თქუენ.

2

1. განიშორეთ უკუე ყოველი უკეთურებაჲ და ყოველი ბაკუაჲ და ორგულებაჲ და შური და ყოველივე ძჯრის სიტყუაჲ.
2. ვითარცა აწინდელ შობილთა ყრმათა, სიტყჳერისა მის უშა-

კუელისა სძისა გსუროდენ, რაჲთა მას შინა აპღორძნდეთ.
3. უკუეთუ გემოჲ გისილაეს, რამეთუ ტკბილ არს უფალი,
4. რომელსა-იგი მოუკედით ლოდსა ცხოველსა, რომელი-იგი კაცთაგან შეურაცს-იქმნა, ხოლო ღმრთისაგან რჩეულ და პატიოსან.
5. და თქუენცა, ვითარცა ლოდნი ცხოველნი აღეშენებოდეთ სახლად სულიერად, სამღდელოდ წმიდად, შესაწირაველად მსხუერპლთა სულიერთა, სათნოთა ღმრთისათა იესუ ქრისტეს მიერ.
6. რამეთუ წერილ არს წიგნსა შინა: აჰა ესერა, დაესდებ სიონს შინა ლოდსა საკიდურსა, რჩეულსა, პატიოსანსა და რომელსა ჰრწმენეს მისა მიმართ, არასადა ჰრცხუენეს.
7. თქუენდა უკუე არს პატივ, მორწმუნეთა მაგათ, ხოლო ურჩთათჳს — ლოდი, რომელ შეურაცს-ყვეს მაშენებელთა, იგი იქმნა თავ საკიდურთა და ლოდ შებრკოლების და კლდე საცთურების,
8. რომელნი შეჰბრკოლდებიან სიტყუასა მას ურჩებითა, რომელსაცა გედა დაესხნეს.
9. ხოლო თქუენ, ნათესავი რჩეული, სამეუფოჲ სამღდელოჲ, თესლი წმიდაჲ, ერი მოგებული, რაჲთა სათნოებათა მიუთხრობდეთ, რომელმან-იგი ბნელისაგან გიწოდნა თქუენ საკჳრველსა მას ნათელსა მისსა.
10. რომელნი-ეგე ოდესმე არა ერ, ხოლო აწ ერი ღმრთისაჲ, რომელნი-ეგე ოდესმე არა შეწყალებულ, ხოლო აწ შეიწყალენით.
11. საყუარელნო, გლოცავ თქუენ, ვითარცა მწირთა და წარმავალთა, განეშორენით გულის თქუმათაგან კორციელთა, რომელნი ეწყევებიან სულსა.
12. სლვაჲ თქუენი წარმართთა შორის გაქუნდინ კეთილი, რაჲთა, რომელითა-იგი ძჯრსა იგყოდიან თქუენთჳს, ვითარცა ძჯრის მოქმედთასა, კეთილთა საქმეთაგან შეიკდიმონ და აღიდებდენ ღმერთსა დღესა მას მოხედვისასა.
13. დაემორჩილენით უკუე ყოველსაცე კაცობრიესა დაბაღებულსა უფლისათჳს: გინა თუ მეფესა, რამეთუ ყოველთა ზედა არს;
14. გინა თუ მთავართა, ვითარცა მის მიერ მოვლინებულთა შურის მეძიებელად ბოროტის მოქმედთათჳს, ხოლო მაქებელად კეთილის მოქმედთათჳს.
15. რამეთუ ესრეთ არს ნებაჲ ღმრთისაჲ კეთილის მოქმედთათჳს დადუმებად უგუნურთა კაცთა უმეცრებასა.
16. ვითარცა აზნაურნი და ნუ ვითარცა საფარველად გაქუნ უკეთურებისა აზნაურებაჲ ეგე,

არამედ ვითარცა მონანი ღმრთისანი
17. ყოველთა პატივ-სცემდით, ძმათა ჰყუარობდით, ღმრთისა ეშინოდენ, მეფესა პატივ-სცემდით.
18. მონანი დაემორჩილენით ყოელითა მოშიშებითა თჳსთა უფალთა, ნუ ხოლო სახიერთა და ტკბილთა, არამედ უსახურთაცა.
19. რამეთუ ესე არს მადლი ღმრთისაგან: უკუეთუ გონებისაგან კეთილისა ღმრთისათჳს დაითმინნეს ვინმე მწუხარებანი, ევნებინ თუ სიცრუით.
20. რამეთუ რაჲ უმჯობეს არს, უკუეთუ სცოდვიდეთ და დაიქენჯნებოდით და მოითმენდეთ? არამედ უკუეთუ კეთილსა იქმოდით და ევნებოდის და მოითმენდეთ, ესე არს მადლი ღმრთისაგან.
21. და იჩინენითცა მებრ ამისთჳსვე, რამეთუ ქრისტემანცა იენო ჩუენთჳს და თქუენ დაგიტევა კელით წერილი, რაჲთა შეუდგეთ კუალთა მისთა;
22. რომელმან-იგი ცოდვაჲ არა ქმნა, არცა იპოვა ბაკუვაჲ პირსა მისსა;
23. რომელი-იგი ევნებოდა და იგი არავის აგინებდა, ევნებოდა და არავის უთქუმიდა, მიეცა მართალი იგი მსაჯულსა;
24. რომელმან ცოდვანი ჩუენნი აღიხუნა კორცითა თჳსითა ჯუარსა ზედა, რაჲთა ცოდვათა განვეშორნეთ და სიმართლით ვცხონდებოდით, რომლისა-იგი წყლულებითა განიკურნენით.
25. რამეთუ იყვენით, ვითარცა ცხოარნი შეცთომილნი, არამედ აწ მოიქეცით მწყემსისა მის მიმართ და მოღუაწისა სულთა თქუენთაჲსა.

3

1. ეგრეთვე ცოლნი დაემორჩილენით თჳსთა ქმართა, რაჲთა დაღათუ ვინმე ურჩ არიან სიტყჳსა მის, დედათა სლვისა მისგან თჳნიერად სიტყჳსა შეიძინნენ,
2. ხედვიდენ რაჲ იგინი შიშით წმიდასა მას სლვასა თქუენსა,
3. რომელი იყავნ არა გარეშითა მით განთხჳვითა თმათაჲთა და შესხმითა ოქროჲსაჲთა, გინა შემოსითა სამოსლისაჲთა, შემკობაჲ,
4. არამედ დაფარული იგი გულისა კაცი, უხრწნელითა მით მშჳდისა მის და მყუდროჲსა სულისა წესითა, რომელ არს წინაშე ღმრთისა ფრიად პატიოსან.
5. რამეთუ ესრეთვე ოდესმე წმიდანი იგი დედანი, რომელნი ესვიდეს ღმერთსა, შეიმკობდეს თავთა თჳსთა და დამორჩილებულ იყვნეს თჳსთა ქმართა,
6. ვითარცა-იგი სარრა ერჩდა აბრაჰამს და უწოდით ხადინ მას, რომლისა-იგი იქმნენით შვილ

კეთილის მოქმედ და ნუ გეშინინ ნუცა ერთისა შიშისა.
7. ქმარნი ეგრეთვე მსგავსად თანა-მკჳდრ იყვენით შენდობით, ვითარცა უუძლურესსა ჭურჭელსა, დედათა მისცემდით პატივსა, ვითარცა თანა-მკჳდრთა მადლისა ცხორებისათა, რაჲთა არა დაპბრკოლდებოდინ ლოცვასა თქუენსა.
8. ხოლო დასასრულსა ყოველნი ერთ-ბრახვა იყვენით, მოწყალე, ძმათ მოყუარე, შემწყნარებელ, მდაბალ.
9. ნუ მიაგებთ ბოროტსა ბოროტისა წილ, ნუცა გინებასა გინებისა წილ, არამედ წინააღმდგომსა აკურთხევდით და უწყოდეთ, რამეთუ ამისთჳს მებრ იჩინენით, რაჲთა კურთხევაჲ დაიმკჳდროთ.
10. რამეთუ რომელსა ჰნებავს სიყუარული ცხორებისაჲ და ხილვად დღენი კეთილისანი, დააცხრევენ ენაჲ თჳსი ბოროტისაგან და ბაგენი მისნი ნუ იტყჳედ მაკუეასა,
11. მოიქეცინ ბოროტისაგან, ქმენინ კეთილი, მოიძიენ მშჳდობაჲ და მისდევდინ მას,
12. რამეთუ თუალნი უფლისანი მართალთა ზედა და ყურნი მისნი ლოცვასა მათსა ზედა, ხოლო პირი უფლისაჲ მოქმედთა ზედა ბჳრისათა.
13. და ვინ-მე არს ბოროტის მყოფელ თქუენდა, უკუეთუ თქუენ კეთილის მობაძაე იქმნენით?
14. და დაღაცათუ გეენებოდის სიმართლისათჳს, ნეტარ ხართ, ხოლო შიშისა მის მათისაგან ნუ გეშინინ, ნუცა შესძრწუნდებით.
15. არამედ უფალი ღმერთი წმიდა ყავთ გულთა შინა თქუენთა; განმზადებულ იყვენით მარადის სიტყჳს მიგებად ყოელისა, რომელი ეძიებდეს თქუენგან სიტყუასა თქუენ შორის სასოებისა მისთჳს, სიმშჳდით და შიშით.
16. გონებაჲ გაქუნდინ კეთილი, რაჲთა, რომელნი-იგი ბჳრსა იტყოდიან თქუენთჳს, ეითარცა ბჳრის მოქმედთათჳს, პრცხუენოდის, რომელნი-იგი ჰმძლავრობდენ თქუენსა მას კეთილსა ქრისტეს მიერ სლვასა.
17. რამეთუ უმჯობეს არს კეთილსა თუ იქმოდით, ეგრე თუ ჯერ-უჩნდეს ნებასა ღმრთისასა ვნებაჲ თქუენი, ვიდრე-ღა არა ბოროტსა თუ იქმოდით.
18. რამეთუ ქრისტემანცა ერთ გზის ცოდვათა ჩუენთათჳს იევნო, მართალმან მან ცრუთათჳს, რაჲთა ჩუენ წარგუაღგინნეს ღმრთისა, მოკუდა ჯორცითა და ცხოველ იქმნა სულითა,
19. რომლითაცა საპყრობილესა მას სულთა მივიდა და ქადაგა.
20. რომელნი-იგი ურჩ ოდესმე იყვნეს, რაჟამს ერთ გზის თაეს-ედვა სულგრძელებასა მას ღმრთისასა ღღეთა მათ ნოეს-

თა, შემზადებასა მას კიდობნისასა, რომელსა შინა მცირედნი, ესე იგი არს რვანი სულნი განერნეს წყლისაგან.
21. რომლისა სასედ თქუენცა გაცხოენებს ნათლის-ღებაჲ, არა კორცთაგან განშორებაჲ მწინკულისაჲ, არამედ გონებისა კეთილისა ტრფიალებაჲ ღმრთისა მიმართ აღდგომითა იესუ ქრისტესითა,
22. რომელი არს მარჯუენით ღმრთისა, რომელი აღმაღლდა ზეცად და დაემორჩილნეს მას ანგელოზნი, კელმწიფებანი და ძალნი.

4

1. ქრისტემან რაჲ იენო ჩუენთჳს კორცითა და თქუენცა იგივე გონებაჲ შეიჭურეთ, რამეთუ რომელმან-იგი იენო კორცითა, დაცხრომილ არს ცოდვისაგან.
2. რაჲთა არღარა კაცთა გულის თქუმითა, არამედ ნებითა ღმრთისაჲთა ნეშტნი იგი ჟამნი კორცითა ცხორებად.
3. რამეთუ კმა არიან ჩუენდა წარსრულნიცა იგი ჟამნი ამის ცხორებისანი ნებისა მისებრ წარმართთაჲსა აღსრულებად, რომელნი-იგი ვლენან არაწმიდებითა გულის თქუმათაჲთა, მთრვალობითა, სიმღერითა, შუებითა და უჯეროჲთა კერპთ-მსახურებითა.
4. რომლისაგან უკჳრს არა სლვაჲ თქუენი მასვე არაწმიდებისა აღრეებასა და გჳმობენ.
5. რომელთა სიტყუაჲ მიუგონ მას, რომელი-იგი განმზადებულ არს განშჯად ცხოველთა და მკუდართა.
6. რამეთუ ამისთჳს ეხარა მკუდართა, რაჲთა ისაჯნენ კაცობრივ კორცითა და ცხონდენ ღმრთისა მიერ სულითა.
7. სოლო ყოველთაჲ აღსასრული მოახლებულ არს, განიწმიდენით უკუე და განიფრთხვეთ ლოცვად.
8. ყოვლისა წინა ურთიერთას სიყუარული განმარტებული გაქუნდინ, რამეთუ სიყუარულმან დაფარის სიმრავლე ცოდვათაჲ.
9. სტუმრის მოყუარე იყვენით ურთიერთას თჳნიერ დრტჳნვისა.
10. კაცად-კაცადმან, ვითარცა მიიღო მაღლი, ეგრეთვე ურთიერთას ამსახურებდით მას, ვითარცა კეთილნი მნენი მრავალ-ფერისა მის ნიჭისა ღმრთისანი.
11. რომელი იტყოდის, ვითარცა სიტყუათა ღმრთისათა; რომელი ჰმსახურებდეს, ვითარცა ძალისაგან, რომელსა მოსცემს ღმერთი, რაჲთა ყოველსა შინა იდიდებოდის ღმერთი იესუ ქრისტეს მიერ, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე, ამინ.
12. საყუარელნო, ნუ უცხო გიჩნს

თქუენ შორის განკურნებაჲ ეგე, რომელი იქმნების განსაცდელად თქუენ თანა, ვითარმცა უცხოჲ რაჲმე შეგემთხუეოდა თქუენ.

13. არამედ რაოდენ-ეგე ეზიარებით ენებათა ქრისტესთა, გიხაროდენ, რაჲთა გამოჩინებასაცა დიდებისა მისისასა გისაროდის და მსიარულ იყუნეთ.

14. უკუეთუ იყუედრებოდით სახელისათჳს ქრისტესისა, ნეტარ ხართ, რამეთუ დიდებისაჲ იგი და ღმრთისაჲ სული თქუენ ზედა განსუენებულ არს, რამეთუ ვითარ იგინი ჰგონებენ, იგმობვით, ხოლო ვითარ-იგი თქუენ გნებავს, იდიდებით.

15. ნუმცა ვის თქუენგანსა ევნების, ვითარცა კაცის-მკლეელსა, გინა მპარაესა, გინა ძჯრის მოქმედსა, გინა ვითარცა უცხოჲსა განმგესა.

16. ხოლო უკუეთუ ვითარცა ქრისტეანესა, ნუ ჰრცხუენინ, არამედ ადიდებდინ ღმერთსა ამით ნაწილითა.

17. რამეთუ ჟამმან დაწყებად საშჯელისა პირველად სახლისაგან ღმრთისა იწყოს, უკუეთუ კულა პირველად ჩუენგან, რაჲ-მე იყოს აღსასრული ურჩთა მათ სახარებისა ღმრთისათაჲ?

18. და უკუეთუ მართალი ძნიად განერეს, უღმრთოჲ იგი და ცოდეილი სადა-ღა იპოოს?

19. ამიერითგან რომელთაცა ევნებოდის ნებითა ღმრთისაჲთა ვითარცა სარწმუნოთა დამბადებელსა, შეპეედრნეღ სულნი თჳსნი კეთილის საქმითა.

5

1. ხუცესთა მათ თქუენ შორის ეჰლოცავ, ვითარცა თანა-ხუცესი და მოწამე ენებათა ქრისტესთაჲ, და მერმისა მის გამოჩინებადისა დიდებისა მიარი;

2. მწყსიდით თქუენ შორის სამწყოსა მას ღმრთისასა.

3. ნუცა ვითარმცა ეუულებოდეთ მნეთა მათ, არამედ სახე ექმნენით სამწყსოსა მას.

4. და გამოჩინებასა მას მწყემსთ-მთავრისასა მოიღოთ დაუჭნობელი იგი დიდებისა გჳრგჳნი.

5. ეგრეთვე ჭაბუკნი დაემორჩილენით მოხუცებულთა; და ყოველთავე ურთიერთას მორჩილებითა სიმდაბლე შეიმოსეთ, რამეთუ ღმერთი ამპარტავანთა შეპმუსრავს, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი.

6. და-უკუე-მდაბლდით წინაშე მტკიცესა კელსა ღმრთისასა, რაჲთა აღგამაღლნეს თქუენ ჟამსა თჳსსა.

7. ყოველიეე გრუნვაჲ თქუენი მიუტეველთ მას, რამეთუ იგი იღუ-

წის თქუენთჳს.
8. განიფრთხევთ, მღჳძარე იყევნით, რამეთუ წინა-მოსაჯული თქუენი ეშმაკი ვითარცა ლომი მყჳრალი მიმოეალს და ეძიებს, ვინმცა შთანთქა.
9. რომელსა წინა-აღუდეგით მტკიცენი სარწმუნოებითა, უწყოდეთ, იგივე ვნებათაჲ მათ ამას სოფელსა შინა ძმობასა მას თქუენსა აღასრულებდით.
10. ხოლო ღმერთმან ყოველისა მადლისამან, რომელმან გიჩინნა თქუენ საუკუნესა მას დიდებასა მისსა ქრისტე იესუჲს მიერ, მცირედ-ღა თუ გევნო, მანვე განგამტკიცენინ თქუენ, დაგამტკიცენინ, განგაძლიერენინ და დაგამყარენინ.
11. მისა დიდებაჲ და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე, ამინ.
12. სილოანეს მიერ, ძმისა თქუენისა, სარწმუნოჲსა, ვითარ ვჰგონებ, მცირედ მიგწერე, გლოცევდ და გიწამებდ, ვითარმედ ესე არს ჭეშმარიტი მადლი ღმრთისაჲ, რომელსაცა ზედა სდგათ.
13. გიკითხავს თქუენ, რომელ არს ბაბილოენს შინა რჩეულისა მის თანა და მარკოს, ძე ჩემი.
14. მოიკითხევდით ურთიერთას ამბორის-ყოფითა სიყუარულისაჲთა.
მშჳდობაჲ თქუენდა, ყოველნი რომელნი ხართ ქრისტე იესუჲს მიერ, ამინ.

წ წ ე ბ ა კ ა თ ო ლ ი კ ე ე პ ი ს ტ ო ლ ი ს ა პ ე ტ რ ე ს ი ქ ე ო რ ი ს ა

ამასაც იგიეე პეტრე მიჰსწერს, აწ მორწმუნეთა პურიათა, და წარმართთა, ხოლო არს სამოციქულო მოსახსენებელად პირველ მიწერილისაცა, და აუწყებს, ვითარმედ აღრე ყოფად არს განსლუაჲ მისი კორცთაგან, რაჲთა მოსწრაფე-იყუნენ მოკსენებად, ხოლო რომელთათჳს მიეთხრა მოძღურებაჲ, და პირველ უკუე სარწმუნოებისათჳს ასწავებს, და ასწავებს ვითარმედ წინასწარმეტყუელთა მიერ ესარა იგი, რამეთუ წინასწარ-მეტყუელებანი მაცხოვრისათჳს თქმულნი, არა არიან კაცობრივ, არამედ ღმრთისა მიერ ითქუნეს. მერმე ამცნებს, რაჲთა არა ერჩდენ მაცთურთა მეტყუელთა, რამეთუ იყოს წარწყმედაჲ მათი, ვითარცა ხოლო პირველ განდგომილთაცა ანგელოსთა იყო, და წინასწარ აუწყებს ვითარმედ მოიწიენენ ღღენი, რომელთა შინა მოკიცხარნი იქცეოდენ და ენებოს ცთუნებაჲ ვიეთმე, და იტყოდენ, ვითარმედ: ამაოდ ითქმის თქუენ შორის მოსლეა მაცხოვრისა, ვინათგან მარადის ითქმის და არა სადა მოვიდა, და ამათ ესეეითართაგან განშორებასა ამცნებს, და ასწავებს რაჲთა არა სულ-მოკლე-იქმნენ ყამთა განგრძობისათჳს, რამეთუ ყოველივე ჟამნი არა რა არიან წინაშე უფლისა, ვინაცა ერთი ღღე ვითარცა ათასი წელი იყოს, და ათასი წელი ვითარცა ერთი ღღე. და დაამტკიცებს ვითარმედ აღრე მოიწიოს ღღე იგი უფლისა, და ამცნებს და აჩუენებს და უბრძანებს ყოველთა მშა-ყოფად მისთჳს საქმეთა მიერ კეთილთა, და უყუარდენ რომელი მიჰსწერა პაელე მოციქულმან, და რაჲთა არა ერჩდენ რომელნი გარდააქცეენ მათ, რამეთუ ყოველთა საღმრთოთა წიგნთა გარდააქცეენ იგინი, და ასწავებს რაჲთა უწყოდენ საქმე კეთილისა და რაჲთა არა შეჰსცთენ ჭეშმარიტებისა სარწმუნოებისაგან, და ესრეთ აღასრულებს სამოციქულოსა თჳსსა.



პეტრე მოციქულისა წიგნი კათოლიკე მეორე

1

1. სჯმეონ-პეტრე, მონაჲ და მოციქული იესუ ქრისტესი, რომელთა-ეგე სწორი ჩუენდა პატიჲი ხუედრებულ არს სარწმუნოებაჲ სიმართლითა ღმრთისა ჩუენისა და მაცხოერისა იესუ ქრისტესითა.
2. მაღლი თქუენდა და მშჯდობაჲ განმრავლდინ მეცნიერებითა ღმრთისაჲთა და უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა!
3. რომელმან-იგი ყოველივე თჯსისა ღმერთეებისა ძალი საცხორებელად და ღმრთისა სამსახურებელად მოგუანიჭა ჩუენ მეცნიერებითა მისითა, რომელმან-იგი მიჩინნა ჩუენ თჯსსა მას დიდებასა და სათნოებასა;
4. რომელთაგან დიდ-დიდნი და პატიოსანნი აღთქუმანი ჩუენ მოგუანიჭნა, რაჲთა ამის მიერ იქმნეთ საღმრთოჲსა მის ბიარ ბუნებისა და ეელტოდით სოფლისა ამის გულის თქუმისა ხრწნილებასა.
5. და თქუენცა ესევე მოსრაფებაჲ ყოელითურთ მოიპოეთ და ყავთ სარწმუნოებასა შინა თქუენსა სათნოებაჲ და სათნოებასა შინა – მეცნიერებაჲ,
6. და მეცნიერებასა შინა – მარხვაჲ, მარხვასა შინა – მოთმინებაჲ, მოთმინებასა შინა – ღმრთის მსახურებაჲ
7. და ღმრთის მსახურებასა შინა – ძმათ მოყუარებაჲ და ძმათ მოყუარებასა შინა – სიყუარული.
8. რამეთუ ესე რაჟამს იყოს თქუენ თანა და გარდაგემატოს არა უქმად, არცა უნაყოფოდ იპოვნეთ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს მეცნიერებასა.
9. ხოლო რომლისა თანა ესე არა არს, ბრმა არს და ვერ ხედავს იგი, რამეთუ დააივწყდა განწმენდაჲ იგი პირეელთა მათ ცოდვათა მისთაჲ.
10. ამისთჯს, ძმანო, უფროჲსღა ისწრაფეთ, რაჲთა კეთილთაგან საქმეთა მტკიცე ჰყოთ ჩინებაჲ იგი თქუენი და რჩეულებაჲ; რამეთუ ამას რაჲ იქმოდით, არასადა სცთეთ ყოელადვე.
11. არამედ ესრეთ მდიდრად წარგემართოს თქუენ შესავალი იგი საუკუნესა მას სასუფეელსა უფლისა ჩუენისა და მაცხოერისა იესუ ქრისტესა,
12. რომლისათჯსცა არა უღებ ვიქმნე მარადის მოკსენებად თქუენდა ამისთჯს, დაღაცათუ იცით და მტკიცე ხართ მოწევნულსა ამას ზედა ჭეშმარიტებასა.
13. ხოლო სამართლად შემირაცხიეს, ვიდრე-ესე ვარ მე ამას საყოფელსა შინა განღჯებად თქუენდა მოკსენებითა.

14. უწყი, რამეთუ აღრე ყოფად არს დატევებაჲ საყოფლისა ამის ჩემისაჲ, ვითარცა-იგი უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან მაუწყა მე.
15. და ვისწრაფო, რაჲთა კაცად-კაცადსა თქუენსა აქუნდეს შემდგომად განსლვისა ჩემისა ამათი მოკსენებისა ყოფაჲ.
16. რამეთუ არა სიბრძნისა ზღაპართა შეუდგით და გაუწყეთ თქუენ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს ძალი და მოსლვაჲ, არამედ თჳთ-მხილველ ვიქმნენით მისისა მის დიდებულებისა.
17. რამეთუ მოიღო ღმრთისაგან მამისა პატივი და დიდებაჲ, ჴმაჲ, რომელი მოიწია მისსა ესევითარისაგან დიდად შუენიერებისა დიდებისა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ.
18. და ესე ჴმაჲ ჩუენ გუესმა ზეცით მოსრული მის გედა, მის თანა რაჲ ვიყუენით მთასა მას წმიდასა.
19. და მაქუს ჩუენ უმტკიცესი საწინაწარმეტყუელოჲ სიტყუაჲ; რომელი კეთილად ჰყოთ, ეკრძალნეთ, თუ ვითარცა სანთელსა მნთებარესა ადგილსა შინა წყუდიადსა, ვიდრემდის ღღე განათლდეს და მთიები აღმობრწყინდეს გულთა შინა თქუენთა.
20. ესემცა პირველად უწყით, რამეთუ ყოველი წინაწარმეტყუელებაჲ წიგნისაჲ თჳსისა თავისა სათარგმანებელ არა იქმნების.
21. რამეთუ არა ნებითა კაცთაჲთა მო-სადამე-იწია წინაწარმეტყუელებაჲ, არამედ წუევითა სულისა წმიდისაჲთა იტყოდეს წმიდანი ღმრთისა კაცნი.

2

1. იყვნეს ცრუ-წინაწარმეტყუელნი ერსა შორის, ვითარცა-იგი თქუენ შორისცა ყოფად არიან ცრუ-მოძღუარნი, რომელთა შემოიღონ წვალებაჲ წარწყმედისაჲ და განმათავისუფლებელსა მათსა უფალსა უარ-ჰყოფდენ და მოიზიდვიდენ თავისა მათისათჳს მსთუად წარწყმედასა.
2. და მრავალნი შეუდგენ მათსა მას არაწმიდებასა, რომელთაგან გზაჲ იგი ჭეშმარიტებისაჲ იგმებოდის.
3. და ანგაპრებითა და ტყუილისა სიტყჳთა თქუენ გვაჭრობდენ, რომელთა საშჯელი პირველითგან არა დასცხრების და წარსაწყმედელსა მათსა არა ჰრულის.
4. უკუეთუ ღმერთმან ანგელოზთა მათ შეცოდებულთა არა პრიდა, არამედ ჯაჭუებითა მით წყუდიადისაჲთა ტარტაროზსა შეაყენნა და მისცნა იგინი სატანჯველად და საშჯელად დამარხვად.

5. და პირველსა მას სოფელსა არაეე ჰრიდა, არამედ მიერვე ნოე,სიმართლისა ქადაგი, დაპმარხა და წყლით რღუნაჲ იგი უღმრთოთა სოფელსა ზედა მოაწია.
6. და ქალაქები იგი სოდომელთა და გომორეველთაჲ დაწუა და დააქცია და დასაჯა და სახედ მერმეთა მათ უღმრთოთა დადვა.
7. და მართალი ლოთ, დაწუნებული უშჯულოთა მათ სიბილწით მაეალთაგან, იკსნა.
8. რამეთუ ხედვითა და სმენითა მართალი იგი დამკუდრებულ რაჲ იყო მათ შორის, დღითი-დღედ სული იგი მისი მართალი უშჯულოთა მათ საქმეთაგან იტანჯებოდა.
9. იცის უფალმან ღმრთის მსახურთაჲ მათ განსაცდელთაგან კსნაჲ, ხოლო ცრუნი იგი დღესა მას საშჯელისასა ტანჯვასა შინა დაპმარხნეს.
10. უფროჲს-ღა, რომელნი-იგი კუალსა მას კორცთა გულის თქუმისასა სიბილწით შეუდგან და უფლებასა შეურაცხ-პყოფენ, კადნიერნი და თაეკედნი, დიდებათათჳს არა ძრწიან, არამედ ჰგმობენ.
11. საღა-ღა ანგელოზნი, რომელნი ძლიერებითა და ძალითა უფროჲს არიან, არა მოაწეევენ მათ ზედა საშჯელსა გმობისასა უფლისა მიერ.
12. ხოლო ესენი, ვითარცა პირუტყუნი საცხოარნი, შობილნი ბუნებით მოსასრეელად და განსარყუნელად, რომელთა-იგი უმეცარ არიან, ჰგმობენ, ხრწნილებასა მათსა შინა განიხრწნენ.
13. და მოიღონ სასყიდელი სიცრუისაჲ. გულის თქუმაჲ იგი შეურაცხიეს, ვითარცა დღე შუებისაჲ. შეგინებ-ულნი და ბილწნი იშუებენ საცთურსა შინა მათსა და თქუენ თანა-შეგცხრებიან.
14. თუალნი ასხენ სავსენი მრუშებითა და დაუცხრომელითა ცოდვითა და აცთუნებენ სულთა დაუმტკიცებელთა, გულნი ჰქონან წურთილნი ანგაჰრებითა, შვილნი წყევისანი.
15. დაუტეეს წრფელი იგი გზაჲ, შესცთეს და შეუდგეს გზასა მას ბალამ ბოსორელისასა,რომელმან-იგი სასყიდელი სიცრუისაჲ შეიყუარა.
16. მამხილებელად აქუნდა თჳსისა უშჯულოებისა კარაული უტყჳ, კაცობრიეითა კმითა მეტყუელი, რომელმან დააბრკოლა წინაწარმეტყუელისა იგი უგუნურებაჲ.
17. ესენი არიან წყარონი ურწყულნი, ღრუბელნი არმურისა მიერ მიმოტაცებულნი, რომელთათჳს წყუდიადი იგი ბნელი საუკუნოჲ დამარხულ არს.
18. რამეთუ გარდარეულად ამაოებისა ზრახეითა მიიზიდვენ

გულის თქუმასა კორცთა ბილწებისასა, რომელნი-იგი ჭეშმარიტებით ლტოლვილ არიან და რომელნი-იგი საცთურსა შინა იქცევიან.
19. თავისუფლებასა აღუთქუმენ მათ და იგინი თჳთ მონა არიან სრწნილებისა, რამეთუ რომლისაგანცა ვინ ძლეულ არნ, მისდაცა დამონებულ არნ.
20. რამეთუ რომელნი-იგი განერნეს შეგინებათაგან ამის სოფლისათა მეცნიერებითა უფლისა და მაცხოერისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, მათვე კუალად აღერინეს და იძლინეს, ექმნა მათ უკუანაჲსკნელი იგი უძჯრეს პირველისა.
21. უმჯობეს იყო მათდა, ეცნავე თუმცა არა გზაჲ იგი სიმართლისაჲ, ვიდრე ცნობასა და მართლუკუნ ქცევასა მოცემულისა მისგან მათდა წმიდისა მცნებისა.
22. შეემთხჯა მათ ჭეშმარიტისა მისებრ იგავისა: ძაღლი მიექცა ნათხევარსა თჳსსა და ღორი ინწუბა სანგორელსა მწჯრისასა.

3

1. აჰა ესერა, საყუარელნო, ამას მეორესა ებისტოლესა მიგსწერ თქუენდა, რომელთა მიერ განვაღჳძებ მოკსენებითა წადიერითა გონებასა თქუენსა
2. მოკსენებად პირველ თქუმულთა მათ სიტყუათა წმიდათა წინაწარმეტყუელთა მიერ და მოციქულთა მათ თქუენთა მცნებათა უფლისა მაცხოერისათა.
3. ესემცა პირველად უწყით, რამეთუ მოიწინენ უკუანაჲსკნელთა დღეთა მეკიცხეევარნი გულის თქუმისაებრ თჳსისა მავალნი
4. და იტყოდიან: სადა არს აღთქუმაჲ იგი მოსლვისა მისისაჲ? რამეთუ ვინაჲთგან მამათა შეისუენეს, ყოველივე ესრეთ პგიეს დასაბამითგან დაბადებისაჲთ.
5. რამეთუ დააივწყდეს მათ ესე ნებსით, ვითარმედ ცანი იყუნეს პირველითგან და ქუეყანაჲ წყალთაგან და წყალთა მიერ შეიქმნა სიტყჳთა ღმრთისაჲთა.
6. რომლისაგან მაშინდელი იგი სოფელი წყლითა წარირღუნა და წარწყმდა.
7. ხოლო აწ ცანი და ქუეყანაჲ მითვე სიტყჳთა დაუნჯებულ არიან, ცეცხლისა დამარხულნი დღედ საშჯელისა და წარწყმედისა უღმრთოთა კაცთაჲსა.
8. ერთიმცა ესე ნუ დაგაივწყდების, საყუარელნო, რამეთუ ერთი დღე უფლისა მიერ ვითარცა ათასი წელი და ათასი წელი ვითარცა ერთი დღე.
9. არა ყოენოს უფალმან აღთქუმისა მისგან, ვითარ-იგი ვიეთმე დაყოვნებად შეურაცხიეს, არამედ სულ-გრძელ არს თქუენთჳს, რამეთუ არავისი ჰნე-

ბაეს წარწყმედაჲ, არამედ ყოველთა სინანულად მოსლვაჲ.

10. ხოლო მოიწიოს დღე იგი უფლისაჲ, ვითარცა მპარავი ღამისაჲ, რომელსა შინა ცანი მძაფრიად წარკდენ და წესნი იგი დაიწუნენ და დაბზულენ და ქუეყანაჲ და მას შინა საქმენი დაიწუნენ.

11. რაჟამს ესე ყოველნი ესრეთ დაბზულებოდიან, რაბამთაჲ ჯერ-არს თქუენი ყოფაჲ წმიდითა ქცევითა და კეთილითა მსახურებითა,

12. და ისწრაფდეთ მოსლვასა მას დღისა მის ღმრთისასა, რომელსა შინა ცანი მკურვალენი დაიკსნენ და წესნი დაიწუნენ და დადნენ.

13. ახალთა ცათა და ახალსა ქუეყანასა მსგავსად აღთქუმისა მისისა მოველით, რომელსა შინა სიმართლე დამკუდრებულ არს.

14. ამისთჳს, საყუარელნო, ამას მოელოდეთ, და ისწრაფეთ შეუგინებელთა და უბიწოთა მისა პოვნად მშჳდობით.

15. და უფლისა ჩუენისა იგი სულ-გრძელებაჲ ცხორებად შეჰრაცხეთ, ვითარცა-იგი საყუარელმან ძმამან ჩუენმან პავლე, მსგავსად მოცემულისა მის მისდა სიბრძნისა მიწერა თქუენდა.

16. ვითარცა-იგი ყოველთა შინა წიგნთა მისთა იტყჳს ამისთჳს, რომელნი-იგი არიან ძნიად საცნაურ რაჲმე, რომელსა-იგი უსწაელელნი და დაუმტკიცებელნი გარდააქცევენ, ვითარცა სხუათა მათცა წიგნთა მსგავსად, მათისავე მის წარწყმედისა.

17. თქუენ უკუე, საყუარელნო, წინაჲსწარ რაჲ უწყით ესე, ეკრძალენით, რაჲთა არა უჯეროთასა მას საცთურსა თანა-აღერინეთ და განსცჳვეთ სიმტკიცისა მისგან თჳსისა.

18. არამედ აღორძნდებოდეთ მადლითა და მეცნიერებითა უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა. მისა დიდებაჲ აწ და დღეთა მათ საუკუნეთაჲსა. ამინ.



იესო ქრისტე და იოანე მოციქული. უბისის ფრესკა. XIII-XIV სს.

უწყება პირველისა კათოლიკე სამოციქულოჲსა იოანესი

ხოლო იოვანე მახარებელი, რომელმან აღჰსწერა სახარებაჲ, მანვე წარჰსცა ესეცა ეპისტოლე მორწმუნეთა მიმართ უფლისათა, მოსაკსენებელად, და პირველთა უკუე ვითარცა დაწყებასა სახარებისასა ეგრეთვე აქა ღმრთის-მეტყუელებს, სიტყუსათჳს ღმრთისა, და აუწყებს ვითარმედ მარადის არს იგი ღმრთისათანა და ასწავებს ვითარმედ მამაჲ ნათელი არს, რაჲთა ესრეთ ეჰსცნათ სიტყუსათჳს, ვითარმედ არს იგი ბრწყინვალებაჲ მამისაჲ, და ვი-

თარცა ღმრთისმეტყუელა ასწავებს, რამეთუ არა ასალ-არს სარწმუნოებაჲ ჩუენი და საიდუმლოჲ, არამედ პირველითგან და მარადის არს იგი. სოლო აწ გამოჰსჩნდა, უფლისა მიერ, რომელი-იგი არს ცხორებაჲ საუკუნოჲ, და ღმერთი ჭეშმარიტი, და მოსლვისა და გამოჩინებისა მისისა მიზეზად იტყჳს, ვითარმედ: ამისთჳს იქმნა რაჲთა დაჰჴსნნეს საქმენი ეშმაკთანი, და ჩუენ განგუათავისუფლნეს სიკუდილისაგან და ეშმაკისა, და რაჲთა ვჰსცნათ ჩუენ მამაჲ და თავადი ძე მისი უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, და დაჰსწერს ყოელისა მიმართ ჰასაკისა ესე იგი არს ყრმათა და ჭაბუკთა და მოხუცებულთა, რამეთუ ღმერთი საცნაურ-იქმნა, ხოლო ეშმაკისა საცთური იძლია, და სიკუდილი დაიკსნა, და მიერითგან ყოელისაე ეპისტოლისა მიერ სიყუარულისათჳს ასწავებს, რამეთუ ენება, რაჲთა ვიყუარებოდეთ ჩუენ ურთიერთარს ვინათგან ქრისტემანცა შემიყუარნა ჩუენ. ეგრეთვე იტყჳს განყოფილებისათჳს შიშისა და სიყუარულის, და შვილთა ღმრთისათა და შვილთა ეშმაკისათა და ცოდვისათჳს სასიკუდინოჲსა და არა სასიკუდინოჲსა და განყოფილებისათჳს სულთაჲსა და სხუათა განჰყოფს რომელი უკუე, სული არს ღმრთისაგან ანუ რომელნი მაცთურისაჲ, და თუ ვითარ ვჰსცნნეთ შვილნი ღმრთისანი ანუ თუ შვილნი ეშმაკისანი, და თუ რომლისა ცოდვისათჳს თანა-გუაძს ლოცვაჲ ცოდეილთაჲ და რომლისათჳს არა ჯერ-არს ლოცუად, და ვითარ რომელსა არა უყუარდეს მოყუასი თჳსი, არა არს იგი ღირს ჩინებისა არა ძალ-უძს თქმად ვითარმედ ქრისტესი არს, და ერთობასა ძისასა, მამისა თანა აჩუენებს, და ვითარმედ რომელმან უარჰყოს ძე, მას მამაჲცა უარ-უყოფიეს, და გვასწავებს ეპისტოლესა ამას შინა და იტყჳს, რაჲ არს თჳსება ანტი-ქრისტესი, ესე იგი არს, ვითარმედ რომელმან ჰსთქუას იესუჲსთჳს ვითარმედ არა არს ქრისტე, საცნაურ-ჰყოფს ვითარმედ ვინათგან იგი არა ქრისტე არს თაესა თჳსსა იტყჳს ქრისტედ მაცთური იგი, ხოლო ამცნებს ყოველისა ამის ეპისტოლისა მიერ, რაჲთა არა იურვიდენ მორწმუნენი უფლისანი, უკეთუ სძულობდენ მათ სოფელსა შინა, არამედ უფროსად უხაროდეს, რამეთუ სიძულილი სოფლისაჲ საცნაურ ჰყოფს მორწმუნეთა მათ ვითარმედ გესთა ქმნილ-არიან სოფლისა, და არიან იგინი მოქალაქე გეცათა, და დასასრულსა წიგნისასა კეალად მოაკსენებს და იტყჳს რამეთუ ძე ღმრთისაჲ არს ცხორებაჲ საუკუნოჲ და ღმერთი ჭეშმარიტი და რაჲთა მას ვმონებდეთ და დავიცუნეთ თავნი თჳსნი კერპთაგან.

იოვანე მოციქულისა წიგნი კათოლიკე პირველი

1

1. რომელი იყო პირველითგან, რომელი გუესმა და ვიხილეთ თუალითა ჩუენითა, რომელი ვიხილეთ და ქელნი ჩუენნი ჰმსახურებდეს სიტყუასა მას ცხორებისასა.
2. და ცხორებაჲ იგი გამოცხადნა და ჩუენ ვიხილეთ და ვწამებთ და გითხრობთ თქუენ ცხორებასა მას საუკუნესა, რომელი იყო მამისა თანა და გამოგუჩნდა ჩუენ;
3. რომელი გუესმა და ვიხილეთ, გითხრობთ თქუენ, რაჲთა თქუენცა ზიარებაჲ გაქუნდეს ჩუენ თანა და ზიარებაჲ ჩუენი მამისა თანა და ძისა მისისა თანა იესუ ქრისტესსა.
4. და ამას მიესწერ თქუენდა, რაჲთა სიხარული იგი ჩუენი სავსებით იყოს.
5. და ესე არს აღთქუმაჲ იგი, რომელი გუესმა მისგან და გითხრობთ თქუენ, რამეთუ ღმერთი ნათელ არს და ბნელი არა არს მის თანა არცა ერთ.
6. უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ ზიარებაჲ გუაქუს მის თანა და ჩუენ ბნელსა შინა ვიდოდით, ვტყუით და არა ვიქმთ ჭეშმარიტებასა.
7. ხოლო უკუეთუ ნათელსა შინა ვიდოდით, ვითარცა-იგი ნათელსა შინა არს, ზიარებაჲ გუაქუს ურთიერთას. და სისხლი იგი იესუ ქრისტეს, ძისა მისისაჲ განმწმედს ჩუენ ყოელისაგან ცოდვისა.
8. უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ ცოდვაჲ არა გუაქუს, თაეთა თჳსთა ვაცთუნებთ და ჭეშმარიტებაჲ არა არს ჩუენ თანა.
9. უკუეთუ აღვიარნეთ ცოდვანი ჩუენნი, სარწმუნო არს და მართალ, რაჲთა მოგჳტეენეს ჩუენ ცოდვანი ჩუენნი და განგუწმიდნეს ყოელისაგან სიცრუისა.
10. უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ არა ვცოდეთ, მტყუვრად გამოვაჩინებთ მას და სიტყუაჲ მისი არა არს ჩუენ შორის.

2

1. შვილნო ჩემნო, ამას მიესწერ თქუენდა, რაჲთა არა სცოდოთ და უკუეთუ ვინმე ცოდოს, ნუგეშინის-მცემელი გჳვის მამისა მიმართ ქრისტე იესუ მართალი.
2. და იგი არს მომტეეებელი ცოდვათა ჩუენთაჲ და არა ხოლო ცოდვათა ჩუენთაჲ, არამედ ყოელისა სოფლისათაჲ.
3. და ამით უწყით, რამეთუ ვიცით იგი, უკუეთუ მცნებათა მისთა ვიმარხეიდეთ.
4. რომელმან თქუას, ვითარმედ ვიცან იგი და მცნებათა მისთა

არა იმარხვიდეს, მტყუვარ არს და ჭეშმარიტებაჲ არა არს მის თანა.

5. სოლო რომელმან დაიმარხნეს სიტყუანი მისნი, ჭეშმარიტად სიყუარული ღმრთისაჲ აღსრულებულ არს მის თანა, ამით უწყით, რამეთუ მის თანა ვართ.

6. რომელმან თქუას მის თანა ყოფაჲ, თანა-აც, რაჲთა, ვითარცა-იგი თაჳადი ვიდოდა, ეგრეცა მისი სლვაჲ.

7. ძმანო, არა მცნებასა ახალსა მიესწერ თქუენდა, არამედ მცნებასა პირველსა, რომელი გაქუნდა დასაბამითგან. მცნებაჲ იგი პირველი არს სიტყუაჲ იგი, რომელი გესმა პირველითგან.

8. კუალად მცნებასა ახალსა მიესწერ თქუენდა, რომელი არს ჭეშმარიტ მის თანა და თქუენ შორის, რამეთუ ბნელი წარვალს და ნათელი იგი ჭეშმარიტი აწუე ჩანს.

9. რომელმან თქუას ნათელსა შინა ყოფაჲ და ძმაჲ თჳსი სძულდეს, იგი ბნელსა შინა არს ვიდრე აქამომდე.

10. ხოლო რომელსა უყუარდეს ძმაჲ თჳსი, იგი ნათელსა შინა არს და საცთური არა არს მის თანა.

11. ხოლო რომელსა სძულდეს ძმაჲ თჳსი, იგი ბნელსა შინა არს და ბნელსა შინა ვალს და არა იცის, ვიდრე ვალს, რამეთუ ბნელმან დაუბრმნა თუალნი მისნი.

12. მიესწერ თქუენდა, შვილნო, რამეთუ მიტეტევებიან თქუენ ცოდვანი თქუენნი სახელითა მისითა.

13. მიესწერ თქუენდა, მამანო, რამეთუ იცანთ პირველი იგი. მიესწერ თქუენდა, ჭაბუკნო, რამეთუ გიძლევიეს ბოროტისაგა. მიესწერ თქუენდა, ყრმანო, რამეთუ იცანთ მამაჲ.

14. მიეწერე თქუენდა, მამანო, რამეთუ იცანთ პირველი იგი. მიეწერე თქუენდა, ჭაბუკნო, რამეთუ ძლიერ ხართ და სიტყუაჲ ღმრთისაჲ თქუენ თანა დაღგრომილ არს და გიძლევიეს ბოროტისაგა.

15. ნუ გიყუარნ სოფელი ესე, ნუცა-ღა რაჲ არს სოფლისაჲ ამის. უკუეთუ ვისმე უყუარდეს სოფელი ესე, არა არს სიყუარული მამისაჲ მის თანა.

16. რამეთუ ყოველივე სოფელსა შინა ესე არს გულის თქუმაჲ ჴორცთაჲ და გულის თქუმაჲ თუალთაჲ და სილაღე ამის ცხორებისაჲ. და ესე არა არს მამისაგან, არამედ სოფლისაგანი არს.

17. და სოფელი ესე წარჴდეს და გულის თქუმაჲ მისი, ხოლო რომელმან ყოს ნებაჲ ღმრთისაჲ, იგი ეგოს უკუნისამდე.

18. ყრმანო, უკუანაჲსკნელი ჟამი არს, და ვითარცა-იგი გასმი-

ეს, ვითარმედ ანტიქრისტე მოვალს და აწცა ანტიქრისტენი მრავალნი არიან, ვინაჲცა უწყით, ვითარმედ უკუანაჲსკნელი ჟამი არს.
19. ჩუენგან განვიდეს, არამედ არა იყვნეს ჩუენგანნი, რამეთუ უკუეთუმცა ჩუენგანნი იყვნეს, და-მცა-დგრომილ იყვნეს ჩუენ თანა, არამედ რაჲთა ცხად იყვნენ, რამეთუ არა არიან ყოველნი ჩუენგან.
20. და თქუენცა ცხორებაჲ გაქუს წმიდისა მისგან და იცით ყოველიეე.
21. არა მიწერე თქუენდა, ვითარმედ არა იცით ჭეშმარიტებაჲ იგი, არამედ ვითარმედ იცით იგი და რამეთუ ყოველი ტყუვილი ჭეშმარიტებისაგან არა არს.
22. ვინ-მე არს მტყუარი იგი? ანუ არა, რომელმან უარ-ყოსა, ვითარმედ იესუ არა არს ქრისტე? ესე არს ანტიქრისტე, რომელმან უარ-ყოს მამაჲ და ძე.
23. ყოველმან რომელმან უარ-ყოს ძე, არცა მამაჲ არს მის თანა. ხოლო რომელმან აღიაროს ძე, მამაცა მის თანა არს.
24. თქუენ უკუე, რომელი-იგი გესმა პირველითგან, თქუენ თანა ეგენ. უკუეთუ თქუენ თანა ეგოს, რომელი-იგი გესმა პირველითგან, და თქუენცა ძისა თანა და მამისა ეგნეთ.
25. და ესე არს აღთქუმაჲ, რომელი-იგი მან აღმითქუა ჩუენ ცხორებაჲ საუკუნოჲ.
26. ესე მიწერე თქუენდა მაცთუნებელთა მათ თქუენთათჳს.
27. და თქუენცა ცხებულებაჲ იგი, რომელი მიიღეთ მისგან, თქუენ თანა ჰგიეს და არა გიკმს, ვითარმცა ვინ გასწავა თქუენ, არამედ თჳთ იგივე ცხებულებაჲ გასწაეებს თქუენ ყოვლისათჳს. და ჭეშმარიტ არს და არა არს ტყუეილ; და ვითარცა-იგი გასწავა თქუენ, ეგენით მას ზედა.
28. და აწ, შვილნო, ეგენით მას ზედა, რაჲთა, რაჟამს გამოცხადნეს, გუაქუნდეს კადნიერებაჲ და არა მრცხუენეს მისგან მოსლვასა მას მისსა.
29. უკუეთუ იცით, ვითარმედ მართალ არს, უწყოდეთ, რამეთუ ყოველმან რომელმან ყოს სიმართლე, მისგან შობილ არს.

3

1. იხილეთ, რაბამი სიყუარული მომცა ჩუენ მამამან, რაჲთა შვილ ღმრთისა ვიწოდნეთ. ამისთჳს სოფელმან არა გიცნის თქუენ, რამეთუ არცა იგი იცნეს.
2. საყუარელნო, აწ შვილნი ღმრთისანი ვართ და არღარა გამოჩინებულ არს, რაჲ ყოფად ვართ. გარნა ვიცით, რამეთუ უკუეთუ გამოცხადნეს, მსგავსად მისსა ვიყვნეთ, რამეთუ ვი-

ხილოთ იგი, ვითარცა იგი არს.
3. და ყოველსა რომელსა აქუნდეს სასოებაჲ ესე მისა მიმართ, განიწმიდოს თავი თჳსი, ვითარცა იგი წმიდა არს.
4. ყოველმან რომელმან ქმნეს ცოდვაჲ, მან უშჯულოებაჲცა ქმნეს და ცოდვაჲ იგი არს უშჯულობაჲ.
5. და იცით, რამეთუ იგი გამოჩნდა, რაჲთა ცოდვანი ჩუენნი აღიხუნეს და ცოდვაჲ მის თანა არა არს.
6. ყოველი რომელი მის თანა ეგოს, არცა ცოდოს და ყოველი რომელი ცოდვიდეს, მას არა უსილავს იგი, არცა იცის იგი.
7. შვილნო, ნუმცა ვინ გაცთუნებს თქუენ. რომელმან ქმნეს სიმართლე, იგი მართალ არს, ვითარცა იგი თავადიცა მართალ არს.
8. რომელმან ქმნეს ცოდვაჲ, იგი ეშმაკისაგან არს, რამეთუ დასაბამითგან ეშმაკი ცოდავს. ამისთჳს გამოცხადნა ძე ღმრთისაჲ, რაჲთა დაარღუნეს საქმენი ეშმაკისანი.
9. ყოველი რომელი შობილ არს ღმრთისაგან, მან ცოდვაჲ არა ქმნეს, რამეთუ თესლი მისი თანა დადგრომილ არს. და ვერ კელ-ეწიფების ცოდვაჲ, რამეთუ ღმრთისა მიერ შობილ არს.
10. ამის მიერ ცხად არიან შვილნი ღმრთისანი და შვილნი ეშმაკისანი. ყოველმან რომელმან არა ქმნეს სიმართლე, იგი არა არს ღმრთისაგან და რომელსა არა უყუარდეს ძმაჲ თჳსი.
11. რამეთუ ესე არს აღთქუმაჲ, რომელი გესმა პირველითგან, რაჲთა ვიყუარებოდით ურთიერთას.
12. არა ვითარცა-იგი კაინ, რომელი-იგი უკეთურისაგან იყო და მოკლა ძმაჲ თჳსი. და რაჲსათჳს-მე მოკლა იგი? რამეთუ საქმენი მისნი ბოროტ იყვნეს, ხოლო ძმისა მისისანი — მართალ.
13. ნუ გიკჳრნ თქუენ, ძმანო ჩემნო, რამეთუ გძულობს თქუენ სოფელი.
14. ჩუენ უწყით, რამეთუ მივიცვალენით სიკუდილისაგან ცხორებად, რამეთუ გუყუარან ძმანი. რომელსა არა უყუარდეს ძმაჲ, სიკუდილსა შინა დაჲგრომილ არს.
15. ყოველსა რომელსა სძულდეს ძმაჲ თჳსი, იგი კაცის-მკლველი არს და იცით, რამეთუ ყოველსა კაცის-მკლველსა არა აქუს ცხორებაჲ საუკუნოჲ მის თანა დადგრომილად.
16. ამით ვცნათ სიყუარული მისი, რამეთუ მან სული თჳსი ჩუენთჳს დაჲდვა და ჩუენცა თანა-გუაც ძმათათჳს სულთა ჩუენთა დაჲდებაჲ.
17. უკუეთუ ვისმე აქუნდეს საცხორებელი სოფლისაჲ ამის და

იხილოს ძმაჲ თჳსი, რომელსა ეკმარებოდის რაჲმე და დაჰკშნეს ნაწლევნი თჳსნი მისგან, ვითარ-მე ჰგიეს მის თანა სიყუარული ღმრთისაჲ?
18. შვილნო ჩემნო, ნუ ვიყუარებით სიტყჳთა სოლო, ნუცა ენითა, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებითა.
19. და ამით საცნაურ ვიყვნეთ, რამეთუ ჭეშმარიტებისაგანნი ვართ და წინაშე მისსა გულნი ჩუენნი გუერწმუნებიან.
20. რამეთუ უკუეთუ გუგმობდეს გული ჩუენი, უფროჲს არს ღმერთი გულისა ჩუენისა და იცის ყოველი.
21. საყუარელნო, უკუეთუ გული ჩუენი არა გუგმობდეს ჩუენ, განცხადებულებაჲ გუაქუს ღმრთისა მიმართ.
22. და რაჲცა-იგი ვითსოოთ, მოვიღოთ მისგან, რამეთუ მცნებათა მისთა ვიმარხავთ და სათნოებასა წინაშე მისსა ვჰყოფთ.
23. და ესე არს მცნებაჲ მისი, რაჲთა გურწმენეს სახელი ძისა მისისა იესუ ქრისტესი და ვიყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მომცა მცნებაჲ.
24. და რომელი იმარხვიდეს მცნებათა მისთა, მის თანა ჰგიეს და იგი თავადი მის თანა და ამით უწყით, რამეთუ ჰგიეს ჩუენ თანა სულისა მისგან, რომელი მომცა ჩუენ.

4

1. საყუარელნო, ნუ ყოველი სული გრწამნ, არამედ გამოიცადენით სულნი, უკუეთუ ღმრთისაგან იყვნენ, რამეთუ მრავალნი ცრუ-წინაწარმეტყუელნი განსრულ არიან სოფლად.
2. ამით უწყოდეთ სული ღმრთისაჲ: ყოველმან სულმან რომელმან აღიაროს იესუ ქრისტე კორციელად მოსრული, იგი ღმრთისაგან არს;
3. და ყოველმან სულმან რომელმან არა აღიაროს იესუ ქრისტე კორციელად მოსრული, იგი არა ღმრთისაგან არს. და ესე არს ანტიქრისტესთჳს, რომელ გასმიეს, ვითარმედ მოსლვად არს და აწცა სოფელსა შინა არს.
4. თქუენ ღმრთისაგან ხართ, შვილნო, და გიძლეიეს მათდა; რამეთუ უფროჲს არს, რომელი თქუენ შორის არს, ვიდრე-ღა რომელი-იგი სოფლისაგან.
5. იგინი სოფლისაგანნი არიან, ამისთჳსცა სოფლისასა იტყჳან და სოფელი ისმენს მათსა.
6. ჩუენ ღმრთისაგან ვართ; რომელმან იცოდის ღმერთი, მან ისმინოს ჩუენი და რომელი არა იყოს ღმრთისაგან, მან არა ისმინოს ჩუენი. ამის გამო ეცნათ სული ჭეშმარიტებისაჲ და სული მაცთურებისაჲ.
7. საყუარელნო, ვიყუარებოდით ურთიერთას, რამეთუ სიყუარუ-

ლი ღმრთისაგან არს და ყოველი, რომელსა უყუარდეს, ღმრთისაგან შობილ არს და იცის ღმერთი.
8. რომელსა არა უყუარდეს, მან არა იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყუარულისაჲ არს.
9. ამით გამოცხადნა სიყუარული ღმრთისაჲ ჩუენ შორის, რამეთუ ძე თჳსი მხოლოდ შობილი მოაელინა ღმერთმან სოფლად, რაჲთა ვცხონდეთ მის მიერ.
10. და ესე არს სიყუარული, არა რამეთუ ჩუენ შევიყუარეთ ღმერთი, არამედ რამეთუ მან ჩუენ შემიყუარნა და მოაელინა ძე თჳსი მლხინებელად ცოდვათა ჩუენთა.
11. საყუარელნო, უკუეთუ ღმერთმან ესრეთ შემიყუარნა, ჩუენცა თანა-გუაც ურთიერთას სიყუარული.
12. ღმერთი არავის სადა უსილავს. უკუეთუ ვიყუარებოდით ურთიერთას, ღმერთი ჩუენ შორის ჰგიეს და სიყუარული მისი ჩუენ შორის აღსრულებულ არს.
13. ამით უწყით, რამეთუ მის თანა ვჰგიეთ და იგი ჩუენ შორის, რამეთუ სულისა მისისაგან მომცა ჩუენ.
14. და ჩუენ ვიხილეთ და ვწამებთ, რამეთუ მამამან მოაელინა ძე მაცხოვრად სოფლისა.
15. რომელმან აღიაროს, ვითარმედ იესუ არს ძჱ ღმრთისაჲ, ღმერთი მის თანა ჰგიეს და იგი ღმრთისა თანა.
16. და ჩუენ ვცანთ და გურწმენა სიყუარული, რომელი აქუს ღმერთსა ჩუენდა მომართ. ღმერთი სიყუარული არს და რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა, ღმერთი მის თანა ჰგიეს და იგი ღმრთისა თანა.
17. ამით აღსრულებულ არს სიყუარული ჩუენ შორის, რაჲთა განცხადებულებაჲ გუაქუნდეს დღესა მას საშჯელისასა, რამეთუ ვითარცა იგი იყო, და ჩუენცა ვართ სოფელსა ამას შინა.
18. შიში არა არს სიყუარულსა თანა, არამედ სრულმან სიყუარულმან გარე განდევნის შიში, რამეთუ შიშსა ტანჯვაჲ აქუს, ხოლო მოშიში იგი არა სრულ არს სიყუარულსა ზედა.
19. ჩუენ გჳყუარს იგი, რამეთუ მან პირველად შემიყუარნა ჩუენ.
20. უკუეთუ ვინმე თქუას, ვითარმედ მიყუარს ღმერთი და ძმაჲ თჳსი სძულდეს, მტყუარ არს, რამეთუ რომელსა არა უყუარდეს ძმაჲ თჳსი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არა უხილავს, ვითარ ძალ-უც შეყუარებაღ?
21. და ესე მცნებაჲ მოვიღეთ მისგან, რაჲთა რომელსა უყუარდეს ღმერთი, უყუარდეს ძმაჲცა თჳსი.

5

1. ყოველსა რომელსა ჰრწმენეს, ვითარმედ იესუ არს ქრისტე, იგი ღმრთისაგან შობილ არს და ყოველსა რომელსა უყუარდეს მშობელი, უყუარს შობილიცა იგი მისგან.
2. ამით უწყით, რამეთუ გჳყუარან შვილნი ღმრთისანი, რაჟამს ღმერთი გჳყუარდეს და მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ.
3. რამეთუ ესე არს სიყუარული ღმრთისაჲ, რაჲთა მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ და მცნებანი მისნი მძიმე არა არიან.
4. რამეთუ ყოველი რომელი შობილ იყო ღმრთისაგან, სძლევს სოფელსა და ესე არს ძლევაჲ, რომლითა სძლევს სოფელსა სარწმუნოებაჲ ჩუენი.
5. რაჲ არს, რომლითა სძლევს სოფელსა, არამედ რომელსა ჰრწმენეს, ვითარმედ იესუ არს ძე ღმრთისაჲ?
6. ესე არს, რომელი მოვიდა წყლითა და სისხლითა, იესუ ქრისტე არა წყლითა სოლო, არამედ წყლითა და სისხლითაცა; და სული არს, რომელი წამებს, რამეთუ სული არს ჭეშმარიტებისაჲ.
7. და სამნი არიან, რომელნი წამებენ ცათა შინა: მამაჲ, სიტყუაჲ და სული წმიდაჲ; ესე სამნი ერთ არიან.
8. რამეთუ სამნი არიან, რომელნი წამებენ: სული და წყალი და სისხლი; და სამნიეე ესე ერთისა მიმართ არიან.
9. უკუეთუ წამებასა კაცთასა მოვიღებთ, წამებაჲ ღმრთისაჲ უფროჲს არს, რამეთუ ესე არს წამებაჲ ღმრთისაჲ, რომელი წამა ძისა მისისათჳს.
10. რომელსა ჰრწმენეს ძისა მიმართ ღმრთისა, აქუს წამებაჲ იგი თავსა შორის თჳსსა; რომელსა არა ჰრწმენეს ღმერთი, მტყუერად გამოაჩინა იგი, რამეთუ არა ჰრწმენა წამებაჲ იგი, რომელი წამა ღმერთმან ძისა მისისათჳს.
11. და ესე არს წამებაჲ, რამეთუ ცხორებაჲ საუკუნოჲ მომცა ჩუენ ღმერთმან და ესე ცხორებაჲ ძისა მისისა თანა არს.
12. რომელსა აქუნდეს ძე, აქუს ცხორებაჲცა. რომელსა არა აქუნდეს ძე ღმრთისაჲ, მას არცა ცხორებაჲ აქუს.
13. ესე მიწერე თქუენდა, მორწმუნეთა სახელისა მიმართ ძისა ღმრთისა, რაჲთა უწყოდით, რამეთუ ცხორებაჲ საუკუნოჲ გაქუს, რაჲთა გრწმენეს სახელისა მიმართ ძისა ღმრთისა.
14. და ესე არს განცხადებულებაჲ, რომელი მაქუს მისა მიმართ, რამეთუ უკუეთუ რაჲმე ვითხოოთ ნებისაებრ მისისა, ისმენს ჩუენსა.
15. რაჲცა-იგი ვითხოოთ და უწყით, რამეთუ მოვიღოთ თხოვაჲ იგი, რომელი ვითხოვეთ მისგან.

16. უკუეთუ ვინმე ისილოს ძმაჲ თჳსი, რომელი ცოდვიდეს ცოდვასა არა სასიკუდინესა, ითხოვოს და მოსცეს მას ცხორებაჲ, რომელნი-იგი ცოდვიდენ არა სასიკუდინედ; არს ცოდვაჲ სასიკუდინე, არა მისთჳს ვიტყჳ, რაჲთა ითხოოს.
17. ყოველივე სიცრუე ცოდვა არს და არს ცოდვაჲ არა სასიკუდინე.
18. ვიცით, რამეთუ ყოველი რომელი შობილ იყოს ღმრთისაგან, არა ცოდოს, არამედ რომელი-იგი შობილ იყოს ღმრთისაგან, დაიმარხოს თავი თჳსი და ბოროტი მას არა შეეხოს.
19. ვიცით, რამეთუ ღმრთისაგან ვართ და ყოველი სოფელი ბოროტსა გედა დგას.
20. ხოლო ვიცით, რამეთუ ძე ღმრთისაჲ მოვიდა და მომცა ჩუენ გონებაჲ, რაჲთა ვიცოდით ჩუენ ჭეშმარიტი ღმერთი და ვართ ჩუენ ჭეშმარიტისა თანა ძისა მისისა იესუ ქრისტესა. ესე არს ჭეშმარიტი ღმერთი, ცხორებაჲ საუკუნოჲ.
21. შვილნო, დაიცევენით თავნი თჳსნი კერპთაგან. ამინ.

წიგნი მეორისა კათოლიკე სახარებისა იოვანესი

ხოლო მეორესა ეპისტოლესა მიუწერს მოხუცებული დედოფალსა და შვილთა მისთა, და ესე არს მიზეზი ეპისტოლისაჲ ამის, რამეთუ ჰხედვიდა შვილთა მისთა კეთილად მავალად სარწმუნოებასა შინა, და მრავალთა მაცთურთა მიმომავალთა რომელნი იტყოდეს ვითარმედ არა არს მოსლუაჲ ქრისტესი ჯორცითა, ამისთჳს მიჰსწერს ეპისტოლესა ამას, და პირველად აქებს შვილთა მისთა და მერმე ასწავებს ვითარმედ არა ახალნი არიან ჩუენნი საიდუმლონი, და კუალად მიჰსწერს სიყუარულისათჳს, და რაჲთა ეგნენ მოძღურებასა შინა მიცემულსა მას მისგან და ასწავებს ანტი-ქრისტე ყოფად რომელი არა აღიარებს ჯორციელად მოსლვასა ქრისტესსა, ხოლო ამცნებს, რაჲთა ესე-ვითართა არავინ შეიწყნარებდეს სახლსა შინა. არცა სიტყუაჲ ესე-ვითართა განხსნისა და ესრეთ დაასრულებს ეპისტოლესა.

იოვანე მოციქულისა წიგნი კათოლიკე მეორე

1

1. მოხუცებული რჩეულსა დედოფალსა და შვილთა მისთა, რომელნი მიყუარან მე ჭეშმარიტებით და არა ხოლო მე, არამედ ყოველთაევე, რომელთა უცნობიეს ჭეშმარიტებაჲ.
2. ჭეშმარიტებისაგან, რომელი დამკუდრებულ არს ჩუენ შორის და ჩუენ თანა იყოს უკუნისამდე.
3. იყაენ თქუენ თანა მადლი, წყალობაჲ და მშუდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა და უფლისა მიერ იესუ ქრისტესა ძისა მისისა ჭეშმარიტებით და სიყუარულით.
4. განვიხარე ფრიად, რამეთუ ვპოენ შვილთაგან შენთა, რომელნი ვლენან ჭეშმარიტებით, ვითარცა-იგი მცნებაჲ მოვიღეთ მამისაგან.
5. და აწ გიკითხავ შენ, დედოფალო, არა ვითარცა მცნებასა ახალსა მიესწერ შენდა, არამედ რომელი მაქუნდა დასაბამითგან, რაჲთა ვიყუარებოდით ურთიერთას.
6. და ესე არს სიყუარული, რაჲთა ვიდოდით მცნებათაებრ მისთა, და ესე არს მცნებაჲ მისი, ვითარცა-იგი გესმა დასაბამითგან, რაჲთა მას შინა ხუდოდით.
7. რამეთუ მრავალნი მაცთურნი შემოვიდეს სოფლად, რომელნი არა აღიარებენ იესუ ქრისტესა კორციელად მოსრულსა; ესე არს მაცთური და ანტიქრისტე.
8. ეკრძალენით თავთა თქუენთა, რაჲთა არა წარეწყმიდოთ, რაჲ-იგი ექმენით, არამედ სასყიდელი სავსებით მოვიღოთ.
9. ყოველივე რომელი გარდაჰკდებოდის და არა ეგოს მოძღურებასა ზედა ქრისტესსა, მის თანა ღმერთი არა არს, ხოლო რომელი ეგოს მოძღურებასა ზედა ქრისტესსა, მის თანა ძეცა და მამაჲცა არს.
10. რომელი მოვიდეს თქუენდა და ესე მოძღურებაჲ არა მოაქუნდეს, ნუ შეიწყნარებთ მას სახლთა თქუენთა და „გიხაროდენ“ ნუ ეტყჳთ მას.
11. რამეთუ რომელმან ჰრქუას მას „გიხაროდენ“, ეზიარების საქმეთა მისთა ბოროტთა.
12. მრავალი მინდა მიწერად თქუენდა, არამედ არა ვინებე ქარტითა და მელნითა, რამეთუ ვესავე მოსლვად თქუენდა და პირისპირ სიტყუად, რაჲთა სიხარული იგი ჩუენი სავსებით იყოს.
13. გიკითხვენ შენ შვილნი დისა შენისა რჩეულისანი.

უწყებანი მესაძისა კათოლიკისა იოვანესა

სოლო არს ეპისტოლე ესე უცხოთ-მოყუარებისათჳს და პირველად უკუე აქებს გაიოზს ყოველთა მიერ წამებულსა უცხოთ-მოყუარებისათჳს, და ლოცავს რაჲთა მასვე გულს-მოდგინებასა ზედა ეგოს, რაჲთა შეიწყნარებდეს და წარმოგზავნიდეს ძმათა, ხოლო კუალად შესაწირავსა მისსა აქებს და ბრალეულ-ჰყოფს დიოტროფოსს რამეთუ არცა თჳთ მიჰსცემს გლასაკთა არამედ სხუათაცა აყენებს და მრავალსა სიცბილსა ჰგრასავს, ხოლო ესე-ითართა იგყჳს, რომელნი უცხო არიან ჭეშმარიტებისაგან და არა იციან ღმერთი ხოლო დიმიტრის ეწამების და ჰსწამებს მისთჳს დიდსა კეთილისა საქმესა.

იოვანე მოციქულისა წიგნი კათოლიკე მესაძე

1

1. მოხუცებული გაიოზს საყუარელსა, რომელი მიყუარს მე ჭეშმარიტებით.
2. საყუარელო, ყოვლისათჳს ვლოცავ შენ წარმართებად და მშჳდობად, ვითარცა-ეგე წარუმართებიეს სულსა შენსა.
3. რამეთუ ფრიად განვიხარე მომავალთაგან ძმათა, რომელნი წამებდეს ჭეშმარიტებისა შენისათჳს, ვითარ-იგი შენ ჭეშმარიტებით ხუალ.
4. სსუაჲ უფროჲსი სისარული ამისსა არა მაქუს, რაჲთა მესმოდის შვილთა ჩემთა ჭეშმარიტებით სლვაჲ.
5. საყუარელო, სარწმუნოდ ჰყოფ, რომელსა-ეგე იქმ ძმათა მიმართ და უცხოთა,
6. რომელთა წამეს სიყუარულისა შენისათჳს წინაშე ეკლესიათა, რომელთასა კეთილად ჰყოფ, წარ-რაჲ-ჰგზავნი მათ ღირსად ღმრთისა.
7. რამეთუ სახელისა მისისათჳს გამოვიდეს და არარაჲ გამოიღეს წარმართთაგან.
8. ხოლო ჩუენდა ჯერ-არს შეწყნარებაჲ ეგევითართაჲ მათ, რაჲთა თანა-შემწე ვექმნეთ ჭეშმარიტებასა.
9. მიეწერე ესე ეკლესიისა, არამედ მთავრობის მოყუარე იგი მათი დიოტროფე არა შემიწყნარებს ჩუენ.
10. ამისთჳს უკუეთუ მოვიდე, მოვაკსენნე მას საქმენი მისნი, რომელთა იქმს სიტყჳთა ბოროტითა, გუგმობს ჩუენ და არა

კმა-ყოფს ამას გედა, არამედ არცა იგი შეიწყნარებს ძმათა და რომელთა ჰნებავს შეწყნარების, მათცა აყენებს და კრებულისაგან განასხამს.

11. საყუარელო, ნუ ჰბაძავ ბოროტსა მას, არამედ კეთილსა, რამეთუ კეთილის მოქმედი ღმრთისაგან არს, სოლო ბოროტის მოქმედსა მას არა უსილავს ღმერთი.

12. დიმიტრი წამებულ არს ყოველთაგან და თჳთ მის ჭეშმარიტებისაგანცა და ჩუენცა ეწამებთ და იცით, რამეთუ წამებაჲ ჩუენი ჭეშმარიტ არს.

13. მრავალი მინდა მიწერაღ შენდა, არამედ არა მნებავს მელნითა და კალმითა მიწერაღ შენდა.

14. რამეთუ ვესავ აღრე ხილვასა შენსა და პირისპირ ვიტყოდით.

15. მშჳდობაჲ შენდა! გიკითხვენ შენ მეგობარნი. კითხვაჲ არქუ მოყუარეთა ჩუენთა სახელით.

უწყებანი ოდას კათოლიკისა, პირველი საბოლიქულოსა

ამას სამოციქულოსა დაპსწერს აწ მორწმუნეთა მიმართ ხოლო პურიათა და წარმართთა, რამეთუ მიზეზი სამოციქულოსა ესე არს, მაცთურნი რომელნიმე იტყოდეს, ვითარმედ არა სარგებელ არს კრძალვაჲ ცოდვისაგან, და უფალსა უარ-ჰყოფდეს, ამისთჳს იიძულა მიწერად და განკრძალვად ძმათა, და პირველად ლოცავს მათ რაჲთა იღუაწონ დადგრომად პირველ-მიცემულისა მათდა სარწმუნოებასა, ევრეთ ამხილებს და განაგდებს მათ, ვითარცა მაცთურთა, და ამცნებს მორწმუნეთა რაჲთა არცა ერთი მიარებაჲ აქუნდესთ ეგევითართათანა. და რაჲთა უწყოდენ, რამეთუ არა კმა-არს ჩინებაჲ მხოლო, უკუეთუ არა ღირსად ჩინებისა მის ვიქცეოდეთ, რამეთუ პირველიცა იგი ერი გამოიყუანა ეგჳპტით უფალმან, ვინათგან არა დაადგრენ სარწმუნოებასა მეღა, წარსწყმიდნა, და ანგელოზთა რომელთა არა დაიმარხეს წესიერებაჲ თჳსი, არა ჰრიდა, ჯერ-არს უკუე ეგევითართაგან განყოფად, რამეთუ მიქაელ მთავარანგელოზმანცა ვერ თავს-იდვა გმობაჲ იგი ეშმაკისაჲ, და იტყჳს ყოფად წარწყმედილთა მათ ვითარცა სოდომელთა, ევრეთღა, ასწავებს წესიერებისათჳს, და ილოცავს მათთჳს სარწმუნოების სიმტკიცისა მონიჭებად და აღასრულებს ეპისტოლესა.

ოდა მოციქულისა წიგნი კათოლიკე

1

1. იუდა, იესუ ქრისტეს მონაჲ და ძმაჲ იაკობისი, თქუენ, ღმრთისა მიერ მამისა განწმედილთა და იესუ ქრისტეს მიერ დამარხულთა ჩინებულთა,

2. წყალობაჲ თქუენ თანა და მშჳდობაჲ და სიყუარული განმრაველდინ!

3. საყუარელნო, ყოველივე სწრაფაჲ ვყაე მიწერად თქუენდა გოგადისათჳს ცხორებისა. ჯერ-მიჩნდა მიწერად თქუენდა და გლოცავ, იღუწიდით ერთ გზის მოცემულისა მისთჳს წმიდათა სარწმუნოებისა.

4. რამეთუ შემო-ეინმე-ვიდეს კაცნი, რომელნი პირველვე წერილ იყვნეს ამას საშჯელსა, უღმრთონი, რომელნი მაღლსა ღმრთისა ჩუენისასა გარდააქცევენ არაწმიდებად და მხოლოსა მფლობელსა ღმერთსა და უფალსა ჩუენსა იესუ ქრის-

ტესა უარ-ჰყოფენ.
5. მოკსენებაჲ თქუენი მნებავს, დაღათუ იცით ესე ყოველი, რამეთუ ღმერთმან ერთ გზის ერი იგი ქუეყანით ეგჳპტით იკსნა, ხოლო მეორედ ურწმუნონი იგი წარწყმიდნა.
6. ანგელოზნი იგი, რომელთა-იგი არა დაიმარხეს თჳსი იგი სამთავროჲ, არამედ დაუტევეს სამკჳდრებელი მათი საშჯელად დიდისა მის დღისა საკრველებითა მით სამარადისოჲთა, წყუდიადსა ქუეშე დაჰმარხნა.
7. ვითარცა სოდომოჲ და გომოროჲ და გარემოჲს მათსა ქალაქები იგი, რომელნი მათდავე სახედ ისიძეიდეს და მიდევნებულ იყვნეს შემდგომად კორცსა უცხოსა, წინა სხენან სახედ, ცეცხლისა საუკუნოჲსა საშჯელი მიუღებიეს.
8. ეგრეთვე მსგაესად ესენიცა საჩუენებელსა ისილვენ, კორცთა შეიბილწებენ, უფლებათა შეურაცხ-ჰყოფენ, დიდებათა ჰგმობენ.
9. ხოლო მიქაელ მთავარანგელოზი ოდეს-იგი ეშმაკსა მას ეშჯოდა და ეტყოდა მოსეს კორცთათჳს, ვერ იკადრა საშჯელი გმობისაჲ მოწევნად მის გედა, არამედ ჰრქუა: შეგრისხენინ შენ უფალმან!
10. გარნა ესენი, რაოდენი არა იციან, ჰგმობენ და რაოდენი ვითარცა პირუტყუთა ბუნებით იციან, მათ შინა განისრწნებიან.
11. ვაჲ მათდა, რამეთუ გზასა მას კაენისა ელენან და საცთურსა მას ბალამის სასყიდლისასა აღერინეს და ცილობითა მით კორესითა წარწყმდეს.
12. ესენი არიან, რომელნი სიყუარულთა მათ თქუენთა შებილწებულნი თანა-შეგცხრებიან და უშიშად თავთა თჳსთა ჰმწყსიან. ღრუბელნი ურწყულნი, ქარისაგან მიმოტაცებულნი, ხენი გამთრისანი უნაყოფონი, ორგზის მომწყდარნი, ძირითურთ მოჟსურილნი,
13. ღელვანი ზღჳსანი განძჳნებულნი, რომელნი პერად აღაჟრქუევენ თავისა თჳსისათჳს სირცხჳლსა, ვარსკულავნი ცთომილნი, რომელთათჳს წყუდიადი იგი ბნელისაჲ საუკუნოჲ დამარხულ არს.
14. წინაწარმეტყუელა მათთჳს მეშჳდემან ადამისითგან ენუქ და თქუა: აჰა ესერა, მოვიდა უფალი ბევრეულითა წმიდათა მისთაჲთა.
15. ყოფად სასჯელისა ყოველისათჳსე და მხილებად ყოველთა უღმრთოთა მათთა ყოველთათჳს საქმეთა უღმრთოებისა მათისათა, რომელ ურჩულოებდეს და ყოველთათჳს სიტყუათა ფიცხელთა, რომელთა იტყოდეს მისთჳს ცოდვილნი უღმრთონი.
16. ესენი არიან მდრტჳნავნი,

მაბრალობელნი, გულის თქუმისაებრ თჳსისა მავალნი და პირი მათი იტყჳს გარდარეულსა. თუალთ-აღებენ პირსა სარგებელისა მიზეზითა.

17. ხოლო თქუენ, საყუარელნო, მოიკსენენით სიტყუანი იგი, წინაწარ თქუმულნი მოციქულთა მიერ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა.

18. რამეთუ გეტყოდეს თქუენ, ვითარმედ უკუანაჲსკნელთა ჟამთა იყვნენ მოკიცხარნი გულის თქუმისაებრ თჳსისა მავალნი უღმრთოჲსა.

19.ესენი არიან, რომელნი განიშორებენ თავთა თჳსთა მშჯნველნი, რომელთა სულ არა აქუს.

20. ხოლო თქუენ, საყუარელნო, წმიდასა მას სარწმუნოებასა თქუენსა ზედა აღაშენებდით თავთა თქუენთა, სულითა წმიდითა ილოცევდით.

21. თავნი თქუენნი სიყუარულითა ღმრთისაჲთა დაიცევნით და მოელოდეთ წყალობასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა ცხორებად.


22. რომელთამე სწყალობდით შეუორგულებელად,

23. და რომელთამე იკსნიდით შიშითა და ვითარცა ცეცხლისაგან გამოიტაცებდით. გძულდინ კორცთაგანცა შეგინებული იგი სამოსელი.

24. ხოლო რომელი-იგი შემძლებელ არს დამარხვად თქუენდა შეუცოდებელად და დადგინებად წინაშე დიდებისა თჳსისა უბიწოთა სიხარულით.

25. მხოლოსა ბრძენსა ღმერთსა მაცხოვარსა ჩუენსა, დიდებაჲ და სიმდიდრე, სიმტკიცე და კელმწიფებაჲ უწინარეს ყოველთა საუკუნეთა და აწ და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ებისტოლენი წმიდისა მოციქულისა პავლესნი



პავლე მოციქულის მიარება. უბისის ფრესკა. XIII-XIV სს.

წმიდა პავლე მოციქულის ეპისტოლენი ქრონოლოგიისა და შინაარსის მიხედვით

ეპისტოლეს დასახელება	1 თეს.	2 თეს.	1 კორ.	2 კორ.	გალ.	რომ.	ფილიპ.	ფილიმ.	ეფეს.	კოლ.	ებრ.	1 ტიმ. ტიტე	2 ტიმ.
დაწერის წელი	52	53	57		57 ან 58	58	დაახლოებით 63				64	65-66	67
ღვთისმეტყველებითი შინაარსი	ესქატოლოგიური *		სოტეროლოგიური **				ქრისტეოლოგიური					სწავლა-მოძღვრებითი	
პავლე მოციქულის ცხოვრების პერიოდი	მეორე მოციქულებრივი მიმოსვლა		მესამე მოციქულებრივი მიმოსვლა				პირველი პატიმრობა რომში			პირველ და მეორე პატიმრობებს შორის			მეორე პატიმრობა რომში

* **ესქატოლოგია** – მოძღვრება ქვეყნის აღსასრულზე.
** **სოტეროლოგია** – სწავლება ცხონების შესახებ.

უწყებანი რომელი არს რომაელთა მიმართ ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პავლესი

ამას წარსცემს კორინთიდგან, არა ჯერეთღა ეხილუნეს იგინი, არამედ ასმიოდა მათთჳს, და სურვიელ იყო სილვასა მათსა, ღა პირველად აქებს სარწმუნოებასა მათსა, ვითარცა განთქმულსა ყოვლით კერძო, ღა მერმე აუწყებს ვითარმედ მრავალ-გზის თავით თჳსით ინება მისლვაჲ რომელ სურვილითა მათდა სწაელად და განმტკიცებად, ხოლო ვერღარა ეძლო მისლვად და ესრეთ სხუათა სამოძღურებელად შემზადებს ეპისტოლესა წოდებისათჳს წარმართთაჳმჱსა, ვითარმედ წინა-დაცუეთაჲ ვიდრე ჟამადმდე იყო, და აწ დასცხრა, და ვითარმედ ქრისტეს მიერ დაიკსნა შეცოდებაჲ ადამისი, და წარჰკდა აჩრდილი ჰსჯულისაჲ, და რამეთუ ჯეროვნად იქმნა წოდებაჲ წარმართთაჲ, ესრეთ უჩუენებს ყოველთა კაცთა თანა არს ბუნებითი ჰსჯული და ყოველთა თჳნიერ სწაელისა, ბუნებისა თჳთ დაბადებულისაგან ძალ-უძს ცნობად ღმრთისა, ვინაცა საშართლად ბრალეულ-ჰყოფს წარმართთა ვითარმედ ღმრთისა მიერ გამოეცხადათ მათ დაბადებულთაგან სოფლისათა ცნობაჲ მისი, და სამარადისოსა მის ძალისა მისისა, რომელ არს სიტყუაჲ მისი, რომლისა მიერ და რომლითა ყოველივე შეიქმნა, და მათ ვერ იცნეს დაბადებულთაგან, ვითარმედ არს დამბადებელი მათი ღმერთი, არამედ დაბადებულნი ღმერთ ჰყუნეს და ჰმსახურებდეს დაბადებულთა უფროს მისსა, ხოლო ბრალეულ-ჰყოფს ჰურიათა რამეთუ არა დაიმარხეს ჰსჯული არამედ უფროსღა გარდასლვითა ჰსჯულისათა, ღმრთისა უპატიეო-მყოფელ-იქმნნეს და ესრეთ ორთაევე, ჰურიათა და წარმართთა დიდად ბრალეულ-ჰყოფს და ამხილებს უსჯულოებისათჳს, რაჲთა უჩუენოს რამეთუ სწორ-იქმნნეს ყოველნი ცოდვილნი, და ვითარცა სწორად ბრალეულნი და ორნივე მოქენე იყუნეს მკსნელისა, ხოლო მაღლი და გამოკსნაჲ სწორებით იქმნა ჰურიათა მიმართ და წარმართთა ზედა, ჯეროვნად სამე იქმნა წოდებაჲ წარმართთაჲ და ვინათგან ჩინებაჲ წარმართთა იქმნა რომლისა მიერ და რომლითა დაჰსცხრა წინა-დაცუეთაჲ, და აჩრდილი მჯულისაჲ, რამეთუ იტყჳს აბრაამ არა წინადაცუეთასა შინა, არამედ პირველ წინა-დაცუეთისა განმართლდა, და ეწოდა აბრაამ, რამეთუ მამად მრავალთა ნათესავთა დაიდგინა შემდგომად სარწმუნოებისა რომელ არა წინა-დაცუეთილებასა შინა, ხოლო მოიღო შემდგომად განმართლებისა წინა-დაცუეთილებაჲცა კორცისაჲ, რაჲთა იყოს სასწაულად და

მაუწყებელად ქორციელად მისგან შობილთა, ხოლო დაჰსცხრა წინა-დაცუეთილება რაჟამს წარმართნი იქმნნეს შვილ აბრაამისა, რომელთა იწყეს სლვად სარწმუნოებისაებრ აბრაამისა რომელსა შინა განმართლდა ოღეს იყო წინა-დაუცუეთელებასა შინა რამეთუ ამის-თჳს ეწოდა აბრამ, ვინაჲთგან უწყებული მოვიდა, მაუწყებელნი ჯერროვნად დაჰსდუმნეს, ხოლო უკუეთუ წარმართნი იიძულებიან წინა--დაცუეთად, დაეცადნენ სახელისაგანცა აბრაამისა და ეწოდებოდენ აბრაამ, ხოლო უკუეთუმცა აბრაამ ღმრთისა მიერ სახელ-ედუა არა ჯერ-არს წინა-დაცუეთა წარმართთა, არამედ არცა მათი რომელნი კორციელად კუალად ჰურიანი არიან რაჲთა იყოს სახელი იგი განცხადებულ, და მამად მრავალთა ნათესაეთა ეწოდების, ვინაცა არღარად საკმარ არიან წინადაცუეთა, არცა სხუანი აჩრდილნი ჰსჯულისანი, რამეთუ არა მათ მიერ, არამედ სარწმუნოებისაგან განემართლდებით ყოველნივე ვითარცა აბრაამ, ესე-რაჲ ესრეთ აღსრულა, კუალად უჩუენებს რამეთუ სხუებრ შეუძლებელ არს მადლისა და კსნისა მიმთხუევა ისრაილთა და წარმართთა, არა თუ დაიკსნეს ცოდუა ადამისი პირველი რომელი ყოველთა ზედა მიეფინა, და სხვისა ვისგანმე მისი დაკსნაჲ უღონო არს თჳნიერ იესო ქრისტეს ძისა, ღმრთისა რომლისა მიერცა დასაბამსა წყევა იქმნა, რამეთუ სხუასა არავის კელ-ეწიფებოდა აღკოცაჲ შეცოდებისა მის, და იტყჳს, ვითარმედ სხუებრ ამისი ქმნა არა ეგებოდა თჳნიერ განკორციელებისა ძისა ღმრთისა, და იქმნეს კაც რაჲთა თაჳი თჳსი შეჰსწიროს ყოველთათჳს, და ყოველნივე იკსნნეს სიკუდილისაგან, და ვითარცა ერთისა კაცისა მიერ ცოდეაჲ სოფლად შემოჰკდა, ეგრეცა ერთითა კაცითა ქრისტე იესუსითა მადლი ყოველთა მიმართ იქმნეს, და ფრიადცა უმეტეს, და შემდგომად, ვითარცა კეთილი ეგოთ-მოძღუარი ჰურიათა უკუე ნუგეშინის-ჰსცემს არა გარდამაეალ ჰსჯულისა იქმნებოდეთ უკუეთუ ქრისტე გრწამსთ, ხოლო წარმართთა ამცნებს რაჲთა არა მაღლოდენ ისრაილთა ზედა, არამედ უწყოდენ, რამეთუ ვითარცა რგონი ძირთა ზედა ეგრეთ ესენი მას ზედა დაემყნეს, და ამად შემდგომად იწყებს ნუგეშინის-ცემად სიტყუათა მიერ სწაელად მათდა წესიერებისათჳს ცხოვრებისა და დაასრულებს ეპისტოლესა.

პავლე მოციქულისა წიგნი პრომაელთა მიმართ

1

1. პავლე, მონაჲ იესუ ქრისტესი, ჩინებული მოციქული, რჩეული სახარებასა მას ღმრთისასა,
2. რომელი-იგი წინაწარ აღუთქუა წინაწარმეტყუელთა მისთა მიერ წიგნთაგან წმიდათა
3. ძისა მისისათჳს, რომელი-იგი იშუა თესლისაგან დაჳითისა კორციელად,
4. რომელი-იგი გამოჩნდა ძედ ღმრთისა ძალითა და სულითა მით სიწმიდისაჲთა, აღდგომითა მით მკუდრეთით იესუ ქრისტეს უფლისა ჩუენისაჲთა,
5. რომლისაგან მოვიღეთ მადლი და მოციქულებაჲ დასამორჩილებელად სარწმუნოებისა ყოველთა წარმართთა სახელისა მისისათჳს,
6. რომელთა შორის ხართ თქუენცა, ჩინებულნი იესუ ქრისტესნი,
7. ყოველთა, რომელნი ხართ პრომეს შინა, საყუარელთა ღმრთისათა, ჩინებულთა წმიდათა, მადლი თქუენდა და მშჳდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა იესუ ქრისტესა!
8. პირველად ვჰმადლობ ღმერთსა ჩემსა ქრისტე იესუჲს მიერ თქუენ ყოველთათჳს, რამეთუ სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი განითქუმის ყოველსა სოფელსა,
9. რამეთუ მოწამე ჩემდა არს ღმერთი, რომელსა ვჰმსახურებ სულითა ჩემითა. სახარებითა ძისა მისისაჲთა, ვითარ უნაკლულოდ კსენებასა თქუენსა ვჰყოფ
10. მარადის ლოცვათა შინა ჩემთა. და ეეუღრები, რაჲთა აწ ღათუ სამე წარმემართოს მე ნებითა ღმრთისაჲთა მისლვად თქუენდა,
11. რამეთუ მსურის ხილვაჲ თქუენი, რაჲთა მი-რაჲმე-გცე თქუენ მადლი სულიერი დასამტკიცებელად თქუენდა.
12. ხოლო არს ესე თანა-ნუგეშინის-ცემა თქუენ შორის ურთიერთარსი იგი სარწმუნოებაჲ თქუენი და ჩემი.
13. არა მნებავს უმეცრებაჲ თქუენი, ძმანო, რამეთუ მრავალგზის მინდა მისლვად თქუენდა და დაეყენე მოაქამდე, რაჲთა თქუენ შორისცა ნაყოფი რაჲმე მაქუნდეს, ვითარცა სხუათა მათ შორის თესლთა.
14. წარმართთა და ბარბაროზთა, ბრძენთა და უგუნურთა თანა-მდებ ვარ.
15. და ესრეთ არს გულს-მოდგინებაჲ ჩემი, რაჲთა თქუენცა, რომელნი ხართ პრომს შინა, გახარო.
16. რამეთუ არა მრცხუენის მე სახარებაჲ იგი ქრისტესი, რამე-

თუ ძალი ღმრთისაჲ არს მაცსოერად ყოელისა მორწმუნისა, ჰურიისა პირველად და მერმე წარმართისა.

17. რამეთუ სიმართლე ღმრთისაჲ მას შინა გამოცსადნების სარწმუნოებითი სარწმუნოებად, ეითარცა წერილ არს: მართალი სარწმუნოებითა ცხონდეს.

18. რამეთუ გამოჩინებად არს რისხვაჲ ღმრთისაჲ ზეცით ყოველსა ზედა უღმრთოებასა და სიცრუესა კაცთასა, რომელთა ჭეშმარიტებაჲ სიცრუეით აქუნდა,

19. რამეთუ მეცნიერებაჲ იგი ღმრთისაჲ ცხად არს მათ შორის, რამეთუ ღმერთმანეე გამოუცხადა მათ.

20. რამეთუ უხილაჲი იგი მისი დაბადებითგან სოფლისაჲთ ქმნულთა მათ შინა საცნაურად ისილვების, და სამარადისოჲ იგი ძალი მისი და ღმრთეებაჲ, რაჲთა იყუნენ იგინი ვერ სიტყუს მიმგებელ,

21. რამეთუ იცოდეს ღმერთი, და არა ღმრთეებრ ადიდებდეს მას, გინა ჰმადლობდეს, არამედ ამაო იქმნეს გულის ზრახვითა მათითა, და დაუბნელდა უგულისკმოჲ იგი გული მათი.

22. იტყოდეს თავთა თჳსთა ბრძენ და განცოფნეს

23. და ცვალეს დიდებაჲ იგი უხრწნელისა ღმრთისაჲ მსგაესებად ხატისა მის განხრწნადისა კაცისა და მფრინველთა და ოთხფერჲთა და ქუეწარმავალთა.

24. ამისთჳსცა მისცნა იგინი ღმერთმან გულის თქუმასა გულთა მათთასა არაწმიდებად და გინებად კორცთა მათთა მათ თანა.

25. რომელთა-იგი გარდაცვალეს ჭეშმარიტებაჲ ღმრთისაჲ სიცრუედ და პატივ-სცემდეს და ჰმსახურებდეს დაბადებულთა, და არა დამბადებელსა, რომელი-იგი არს კურთხეულ უკუნისამდე. ამინ.

26. ამისთჳს მისცნა იგინი ღმერთმან ენებასა მას გინებისასა, რამეთუ დედათა მათთა გარდაცვალეს ბუნებისა იგი წესი არა-ბუნებად.

27. ეგრეთცა მამათა მათთა დაუტევეს ბუნებისა იგი წესი დედათაჲ, განკურდეს გულის თქუმითა მათითა ურთიერთას. მამანი მამათა თანა სარცხჳნელსა იქმოდეს და კუალად-საგებელი იგი, რომელი ჯერ-არნ საცთურისა მათისაჲ, ურთიერთას მიიღიან.

28. და ეითარცა არა გამოიცადეს ღმერთი, რაჲთამცა აქუნდა მეცნიერებით, მისცნა იგინი ღმერთმან გამოუცდელსა მას გონებასა საქმედ უჯეროჲსა;

29. აღსავსენი ყოველითა სიცრუითა,სიძვითა, უკეთურებითა, ანგაჰრებითა, ბოროტებითა, სავსე

შურითა, კაცის-კლვითა, კლომითა, ზაკუეითა, ბოროტის ჩუეულებითა,
30. ცუნდრუკებითა, ძჯრის მეტყუელ, ღმრთის შემაწუსებელ, მაგინებელ, ამპარტავან, ლაღ, მომპოვნებელ ბოროტისა, მამა-დედათა ურჩ,
31. უგულისკმო, უწესო, უყუარულ, უწირავ, უწყალო,
32. რომელთა სამართალი ღმრთისაჲ იცოდეს, რამეთუ ესევითარისა მოქმედნი ღირს არიან სიკუდილისა; არა ხოლო ამას იქმან, არამედ თანაცა სათნოეყოფეიან მოქმედთა მათ.

2

1. ამისთჳს ვერ სიტყჳს მიმგებელ სარ, ჲ კაცო, ყოველი, რომელიცა შჯი, რამეთუ რომლითა შჯი მოყუასსა, თავსა თჳსსა დაიშჯი, რამეთუ მასვე იქმ, რომელსაცა შჯი.
2. ესე უწყით, რამეთუ საშჯელი ღმრთისაჲ ჭეშმარიტ არს ესევითარისა მოქმედთათჳს.
3. ამას სამე ჰგონება, ჲ კაცო, რომელი შჯი ესევითარისა მოქმედთა მათ და იქმ მასვე. ეითარ-მე შენ განერე საშჯელსა ღმრთისასა?
4. ანუ სიმდიდრესა მას სიტკბოებისა მისისასა და თავს-დებასა და სულგრძელებასა შეურაცხ-ჰყოფ, ვერ გიცნობიეს, რამეთუ სიტკბოებაჲ ღმრთისაჲ სინანულად მოგიყვანებს შენ?
5. ხოლო სიფიცხლითა მაგით შენითა და შეუნანებელითა გულითა იუნჯებ თავისა შენისა რისხვასა დღესა მას რისხვისა და გამოჩინებისა და მართლმსაჯულობისა ღმრთისასა,
6. რომელმან მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მისთაებრ:
7. მოთმინეთა მათ საქმისა კეთილისათა – დიდებაჲ და პატივი და უხრწნელებაჲ, რომელნი ეძიებენ ცხორებასა საუკუნესა,
8. ხოლო კჳმისაგანთა მათ და ურჩთა ჭეშმარიტებისათა და მორჩილთა სიცრუისათა – რისხვაჲ და გულის წყრომაჲ.
9. ჭირი და იწროებაჲ ყოველსა ზედა სულსა კაცისასა, მოქმედსა ბოროტისასა, პურიასა პირველად და მერმე წარმართსა!
10. დიდებაჲ და პატივი და მშჯდობაჲ ყოველსა მოქმედსა კეთილისასა, ჰურიასა პირველად და მერმე წარმართსა!
11. რამეთუ არა არს თუალთ-ღებაჲ ღმრთისა თანა.
12. რამეთუ რომელთა-იგი უშჯულოდ შესცოდეს, უშჯულოდცა წარწყმდენ, და რომელთა შჯულსა შინა შესცოდეს, შჯულითაცა ისაჯნენ.
13. რამეთუ არა მსმენელნი შჯულისანი განმართლდნენ წინაშე ღმრთისა, არამედ მყოფელნი შჯულისანი განმართ-

ლდენ.
14. რამეთუ წარმართთა, რომელთა შჯული არა აქუნ, და ბუნებითსა მას შჯულსა ჰყოფდეს; ამათ რამეთუ შჯულ არა აქუს, თავისა თჳსისათჳს შჯულ არიან:
15. რომელნი გამოაჩინებენ საქმესა შჯულისასა, დაწერილსა გულთა შინა მათთა, თანა-მოწამებითა მათდა გონებისა მათისაჲთა და შორის ურთიერთას გულის სიტყუანი შეასმენდენ ანუ სიტყუას უგებდენ
16. დღესა მას, რომელსა შჯიდეს ღმერთი დაფარულსა მას კაცთასა მსგაესად სახარებისა მის ჩემისა იესუ ქრისტეს მიერ.
17. უკუეთუ შენ ჰურიაჲ სახელ-გედების და განისუენებ შჯულსა ზედა და იქადი ღმრთისა
18. და იცი ნებაჲ იგი და გამოიცდი უმჯობესსა მას და სწავლულ ხარ შჯულისაგან
19. და ესავ თავსა შენსა წინამძღურად ბრმათა, ნათლად, რომელნი არიან ბნელსა შინა,
20. მასწავლელად უგუნურთა, მოძღურად ჩჩჳლთა და გაქუს ხატი იგი მეცნიერებისაჲ და ჭეშმარიტებისაჲ შჯულსა შინა,
21. რომელი-ეგე ასწავებ მოყუასსა, თავსა თჳსსა არა ასწავებ; რომელი ქადაგებ არა-პარვასა, იპარავ;
22. რომელი იტყჳ არა-მრუშებასა, იმრუშებ; რომელსა გძაგან კერპნი, საკურთხეველსა სძარცუავ,
23. რომელი შჯულითა იქადი, გარდასლვითა მაგით შჯულისაჲთა ღმერთსა შეურაცხ-ჰყოფ.
24. რამეთუ სახელი ღმრთისაჲ თქუენთჳს იგმობების წარმართთა შორის, ვითარცა წერილ არს.
25. რამეთუ წინა-დაცუეთილებაჲ სარგებელ არს, უკუეთუ შჯულსა იმარხავ, ხოლო უკუეთუ გარდამავალ იყო შჯულისა, წინა-დაცუეთილებაჲ შენი წინა-დაუცუეთილება იქმნა.
26. აწ უკუე, უკუეთუ წინა-დაუცუეთელი იგი სიმართლესა შჯულისასა იმარხავს, არა-მე წინა-დაუცუეთელობაჲ იგი მისი წინა-დაცუეთილებად შეერაცხოს?
27. და გშჯიდეს ბუნებით წინა-დაცუეთელი იგი, შჯულისა აღმასრულებელი, შენ, რომელი-ეგე წიგნითა და წინა-დაცუეთითა შჯულისა გარდამავალ სარ!
29. რამეთუ არა რომელი-იგი ცხადად ჰურიაჲ არს, არცა რომელი ცხადად კორცითა წინა-დაცუეთილ,
30. არამედ რომელი ფარულად ჰურიაჲ არს და წინა-დაცუეთილებაჲ გულისაჲ აქუს სულითა, არა წიგნითა, რომლისა-იგი ქებაჲ არა კაცთაგან არს, არამედ ღმრთისაგან.

3

1. რაჲ-მე უკუე უმეტეს არს ჰურიისა მის, ანუ რაჲ-მე სარგებელი არს წინა-დაცუეთილებისაჲ?
2. ფრიად ყოელითაეე სახითა, პირეელად უკუე, რამეთუ ჰრწმენნეს სიტყუანი ღმრთისანი.
3. არამედ რაჲ? ურწმუნო თუ ვინმე იქმნეს, ნუუკუე ურწმუნოებამან მათმან სარწმუნოებაჲ ღმრთისაჲ განაქარეოსა?
4. ნუ იყოფინ! იყავენ ღმერთი მხოლოჲ ჭეშმარიტ, და ყოველი კაცი ცრუ, ვითარცა წერილ არს: რაჲთა განჰმართლდე სიტყუათა შენითა და სძლო შჯასა შენსა.
5. უკუეთუ სიცრუე ჩუენი სიმართლესა ღმრთისასა შეეტყუების, რაჲ-მე ვთქუათ? ნუუკუე სიცრუე არსა ღმრთისა თანა, რომელმან მოაველინის რისხეაჲ მისი? კაცობრიე ვიტყჳ.
6. ნუ იყოფინ! უკუეთუ არა, ვითარ საჯოს ღმერთმან სოფელი?
7. უკუეთუ ჭეშმარიტებაჲ ღმრთისაჲ ჩემითა მით სიცრუითა აღემატა სადიდებელად მისა, რაჲსაღა მე ვითარცა ცოდეილი ეისაჯები?
8. და არა ვითარცა ვიგმობეით, და ვითარცა იტყჳან ვინმე ჩუენდა სიტყუად, ვითარმედ ექმნეთ ბოროტი, რაჲთა მოგჳდეს ჩუენ კეთილი? რომელთა განკითხეაჲ საშჯელსა შინა არს?
9. აწ უკუე რაჲ წინა-მე-ვჰმატთა? არა სამე, რამეთუ წინა-წარვე ვაბრალეთ ჰურიათა და წარმართთა ყოველთა ცოღვასა ქუეშე ყოფაჲ.
10. ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: არაჲინ არს მართალ არცაღა ერთ,
11. არაჲინ არს გულისჴმის-მყოფელ, არაჲინ არს გამომეძიებელ ღმრთისა;
12. ყოველთაეე მიაქციეს ერთბამად და უკმარ იქმნეს; არაჲინ არს, რომელმანცა ქმნა სიტკბოებაჲ, არაჲინ არს მიერთადმდე.
13. სამარე ზეაღებულ არს კორკი მათი; ენითა მათითა ზაკუეიდეს; გესლი ასპიტთაჲ ბაგეთა მათთა,
14. რომელთაჲ პირი წყეეითა და სიმწარითა სავსე არს.
15. მალე არიან ფერჴნი მათნი დათხეეად სისხლისა;
16. შემუსრეაჲ და უბადრუკებაჲ არს გზათა მათთა;
17. და გზაჲ მშჯდობისაჲ არა იცნეს.
18. არა არს შიში ღმრთისაჲ წინაშე თუალთა მათთა.
19. ხოლო ესე უწყით, რამეთუ რაოდენსა შჯული იტყჳს, მათ ეტყჳს, რომელნი-იგი შჯულსა ქუეშე არიან, რაჲთა ყოველი პირი დაიყოს, და საშჯელსა თანა-მდებ იყოს ყოველი სოფე-

ლი ღმრთისა,
20. რამეთუ საქმეთაგან შჯულისათა არა განმართლდეს ყოველი კორციელი წინაშე მისა, რამეთუ შჯულისაგან არს გამოცნობაჲ ცოდვისაჲ.
21. ხოლო აწ თჳნიერ შჯულისა სიმართლე ღმრთისაჲ გამოჩინებულ არს წამებული შჯულისა მიერ და წინაწარმეტყუელთა,
22. სოლო სიმართლე ღმრთისაჲ სარწმუნოებითა იესუ ქრისტესითა ყოველთა მიმართ და ყოველთა ზედა მორწმუნეთა, რამეთუ არა არს განწვალება,
23. რამეთუ ყოველთავე შესცოდეს და დაკლებულ არიან დიდებისაგან ღმრთისა,
24. სოლო განმართლდებიან უსასყიდლოდ მადლითა მისითა და გამოჴსნითა მით იესუ ქრისტესითა.
25. რომელი-იგი წინაწარ განჰმზადა ღმერთმან სალხინებელად სარწმუნოებითა თჳსითა მით სისხლითა, გამოჩინებად სიმართლისა მისისა, მოტევებითა მით პირველთა ცოდვათაჲთა,
26. თავს-დებითა ღმრთისაჲთა, გამოჩინებად სიმართლისა მისისა ამათ ჟამთა, რაჲთა იყოს იგი მართალ და განმამართლებელ სარწმუნოებისაგან იესუჲსისა.
27. სადა უკუე არს სიქადული იგი? და-მე-ყენებულ არსა? რომლითა-მე შჯულითა? საქმეთაგან-მეა? არა, არამედ შჯულისაგან სარწმუნოებისა.
28. რამეთუ ვიტყჳთ განმართლებასა კაცისასა სარწმუნოებითა თჳნიერ საქმეთა შჯულისათა.
29. ანუ ჰურიათაჲ-მე სოლო არსა ღმერთი და არა წარმართთაჲცა? ჰე, წარმართთაჲცა.
30. ვინაჲთგან ერთ არს ღმერთი, რომელმან განამართლის წინა-დაცუეთილი სარწმუნოებითა და წინა-დაუცუეთელი მითვე სარწმუნოებითა.
31. აწ შჯულსა ნუ განვაქარებთა სარწმუნოებითა მით? ნუ იყოფინ. არამედ შჯულსა დავამტკიცებთ.

4

1. რაჲ-მე უკუე ვთქუათ? პოვა-მეა აბრაჰამ, მამაჲ იგი ჩუენი, კორციელად?
2. უკუეთუ აბრაჰამი საქმეთაგან განმართლდა, აქუს სიქადული, არამედ არა ღმრთისა მიმართ.
3. რასა უკუე იტყჳს წიგნი? ჰრწმენა აბრაჰამს ღმერთი და შეერაცხა მას სიმართლედ.
4. ხოლო მოქმედსა მას სასყიდელი იგი არა შეერაცხების მადლით, არამედ თანა-ნადებით.

5. ხოლო რომელი-იგი არა იქმნ და ჰრწამნ სოლო განმამართლებელი იგი უღმრთოჲსაჲ, შეერაცხების სარწმუნოებაჲ იგი მისი სიმართლედ.
6. ვითარცა-იგი დაეით იტყჳს ნეტარებასა მას კაცისასა, რომელსაცა-იგი შეურაცხა ღმერთმან სიმართლე თჳნიერ საქმისა;
7. ნეტარ არიან, რომელთა მიეტევნენ უშჯულოებანი და რომელთა დაეფარნენ ცოდვანი;
8. ნეტარ არს კაცი, რომელსა არა შეურაცხა უფალმან ცოდვაჲ.
9. აწ უკუე ნეტარებაჲ ესე წინა-დაცუეთილებასა ზედა არს ანუ წინა-დაუცუეთილებასაცა? რამეთუ ვიტყჳთ, ვითარმედ: შეერაცხა აბრაჰამს სარწმუნოებაჲ იგი მისი სიმართლედ.
10. ვითარ უკუე შეერაცხა? წინა-დაცუეთილებასაღა იყო ანუ წინა-დაუცუეთილებასა? არა წინა-დაცუეთილებასა, არამედ წინა-დაუცუეთილებასა.
11. და სასწაულად მოიღო წინა--დაცუეთილებაჲ იგი ბეჭდად სიმართლისად სარწმუნოებისა მის წინა-დაუცუეთილებასა მას შინა, რაჲთა იყოს იგი მამად ყოველთა მორწმუნეთა წინა--დაუცუეთელთა, რაჲთა შეერაცხოს მათცა სიმართლედ
12. და მამად წინა-დაცუეთილებისა არა წინა-დაცუეთილებისათა მათ ხოლო, არამედ რომელნი ჰგიან კუალთა მათ შედა წინა-დაუცუეთილებისა სარწმუნოებისათა მამისა ჩუენისა აბრაჰამისთა.
13. რამეთუ არა შჯულისაგან იყო აღთქუმაჲ იგი აბრაჰამისი ანუ ნათესაჲსა მისისაჲ, რაჲთა იყოს იგი მკჳდრ სოფლისა, არამედ სიმართლითა მით სარწმუნოებისაჲთა.
14. რამეთუ უკუეთუ შჯულისაგანნი იგი არიან მკჳდრნი, ცალიერ არს სარწმუნოებაჲ და განქარეებულ არიან აღთქუმანი იგი.
15. რამეთუ შჯული რისხვასა შეიქმს, ხოლო სადა არა არს შჯული, მუნ არცა შჯულისა გარდასლვაჲ.
16. ამისთჳს სარწმუნოებისაგან, რაჲთა მაღლით იყოს მტკიცე აღთქუმაჲ იგი ყოელისა ნათესაჲსა, არა შჯულისაგანთა ხოლო, არამედ სარწმუნოებისაგანთაცა აბრაჰამისთა, რომელ არს მამაჲ ჩუენ ყოველთაჲ,
17. ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: მამად მრავალთა თესლთა დაგადგინე შენ წინაშე პირსა, რომლისაჲ-იგი ჰრწმენა ღმრთისაჲ, რომელმან-იგი განაცხოველნის მკუდარნი და უწესენ არა-არსსა მას, ვითარცა არსსა.
18. რომელსა უსასოჲ იგი სასოებით ჰრწმენა, რაჲთა იყოს

იგი მამად მრავალთა თესლთა, მსგავსად თქუმულისა მის: ესრე იყოს ნათესავი შენი.
19. და არა მოუძლურდა იგი სარწმუნოებითა, არა განიცადა თავი თჳსი, – რამეთუ კნინღა და მკუდარ იყუნეს კორცნი მისნი, რამეთუ ას წლის სადამე იყო, – და მკუდრობაჲ იგი საშოჲსა სარაჲსი.
20. ხოლო აღთქუმასა მას ღმრთისასა არა შეორგულდა ურწმუნოებითა, არამედ განძლიერდა სარწმუნოებითა, მისცა დიდებაჲ ღმერთსა
21. და გულ-სავსე იქმნა, ეითარმედ რომელმან-იგი აღუთქუა, შემძლებელ არს ყოფადცა.
22. ამისთჳსცა შეერაცხა მას სიმართლედ.
23. ხოლო არა დაიწერა მისთჳს ხოლო, რამეთუ შეერაცხა მას სიმართლედ,
24. არამედ ჩუენთჳსცა, რომელთადა-ესე შერაცხვად არს, რომელთა გურწამს აღმადგინებელი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი მკუდრეთით,
25. რომელი მიეცა ცოდვათა ჩუენთათჳს და აღდგა განმართლებისა ჩუენისათჳს.

5

1. აწ უკუე განმართლებულ ვართ სარწმუნოებითა და მშუდობაჲ გუაქუს ღმრთისა მიმართ უფლისა ჩუენისა მიერ იესუ ქრისტესა,
2. რომლისაგანცა მოუკედით სარწმუნოებითა მადლსა ამას, რომლითაცა ვდგათ და ვიქადით სასოებითა დიდებისა ღმრთისაჲთა.
3. არა სოლო ესე, არამედ ვიქადითცა ჭირთა შინა, უწყით, რამეთუ ჭირი მოთმინებასა შეიქმს,
4. ხოლო მოთმინებაჲ – გამოცდილებასა, და გამოცდილებაჲ– სასოებასა.
5. ხოლო სასოებამან არა არცხჳნის, რამეთუ სიყუარული ღმრთისაჲ განფენილ არს გულთა შინა ჩუენთა სულითა წმიდითა, რომელი-იგი მოცემულ არს ჩუენდა.
6. რამეთუ ქრისტე, ვიდრე-იგი ჩუენ უძლურღა ვიყუენით, ჟამსა ოდენ უღმრთოთათჳს მოკუდა.
7. რამეთუ ძნიად ვინმე მართლისათჳს მოკუდის, სოლო კეთილისათჳს, ვინ უწყის, ნუუკუე და იკადრისცა ვინმე სიკუდილი.
8. ხოლო გამოაცხადა თჳსი იგი სიყუარული ჩუენდა მომართ ღმერთმან, რამეთუ ვიდრე-იგი ცოდეილღა ვიყუენით, ქრისტე ჩუენთჳს მოკუდა.
9. რაოდენ უკუე უფროჲს აწ, განმართლებულ რაჲ ვართ სისხლითა მისითა, განვერნეთ ჩუენ მის მიერ რისხჳისაგან!
10. უკუეთუ მტერ რაჲ ვიყუენით, დავეგენით ღმერთსა სიკუ-

დილითა ძისა მისისაჲთა, რაოდენ უფროჲს აწ, და-რაჲ-ვეგენით, ვცხონდეთ მაცხოვარებითა მისითა!

11. არა ესე ოდენ ხოლო, არამედ ვიქადითცა ღმრთისა მიმართ იესუ ქრისტეს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაგან აწ დაგებაჲ ესე მოვიღეთ.

12. ამისთჳს, ვითარცა-იგი ერთისა მის კაცისათჳს ცოდვაჲ სოფლად შემოჴდა და ცოდვისა ძლით — სიკუდილი, და ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკუდილი მოიწია, რომლითა ყოველთა შესცოდეს.

13. რამეთუ შჯულისა მოწევნადმდე ცოდვაჲ იყო სოფელსა შინა, სოლო ცოდვად არად შერაცხილ იყო თჳნიერ შჯულისა.

14. არამედ სუფევდა სიკუდილი ადამისითგან ვიდრე მოსესადმდე და მათ ზედაცა, რომელთა-იგი არა ეცოდა მსგაესად გარდასლვისა მის ადამისა, რომელი-იგი არს სახე მერმეთა მათ ჟამთაჲ.

15. არამედ არა ვითარ შეცოდებაჲ და ეგრეთცა მაძღი; რამეთუ უკუეთუ ერთისა მის შეცოდებითა მრავალნი მოსწყდეს, რაოდენ უფროჲს მაძღი იგი ღმრთისაჲ და ნიჭი იგი მაძღითა მით ერთისა მის კაცისა იესუ ქრისტესითა მრავალთაჲ მიმართცა აღემატა!

16. და არა ვითარცა ერთისა შეცოდებულისათჳს ნიჭი იგი, რამეთუ საშჯელი იგი ერთისა მისგან დასაშჯელად, ხოლო მაძღი იგი მრავალთაგან შეცოდებათა განსამართლებელად.

17. რამეთუ უკუეთუ ერთისა მის შეცოდებითა სიკუდილი სუფევდა ერთისა მისგან, რაოდენ უფროჲს, რომელნი-იგი უმეტესსა მას მაძღისასა და ნიჭსა სიმართლისასა მიიღებენ, ცხორებასა შინა სუფევდენ ერთისა მისგან იესუ ქრისტესა.

18. ვითარცა-იგი ერთისა მის შეცოდებისაგან ყოველთა კაცთა ზედა დასაშჯელად, ეგრეცა ერთისა მის სიმართლისათჳს ყოველთა კაცთა ზედა განსამართლებელად ცხორებისა.

19. რამეთუ ვითარცა-იგი ერთისა მის კაცისა ურჩებითა ცოდვილნი შემოჴდეს მრავალნი, ეგრეცა ერთისა მის კაცისა მორჩილებითა მართალნი შემოვიდენ მრავალნი.

20. რამეთუ შჯული შორის შემოვიდა, რაჲთა განმრაელდეს ცოდვაჲ, და სადა-იგი განმრაელდა ცოდვაჲ, მუნ უფროჲსად გარდაემატა მაძღი,

21. რაჲთა ვითარცა-იგი სუფევდა ცოდვაჲ სიკუდილსა შინა, ეგრეცა მაძღი სუფევდეს სიმართლისა მიერ ცხორებად საუკუნოდ ქრისტე იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა.

6

1. რაჲ-მე უკუე ვთქუათ აწ? და-
-მე-ვადგრეთა ცოდვასა მას ზე-
და, რაჲთა მაღლი განმრაველ-
დეს? ნუ იყოფინ!
2. რომელნი-ესე მოვკუედით
ცოდვითა, ვითარ უკუე მერმე
ვცხონდებოდით მას შინა?
3.ანუ არა უწყითა, რამეთუ რო-
მელთა-ესე ნათელ-ვიღეთ ქრის-
ტე იესუჲს მიერ, სიკუდილისა
მისისა მიმართ ნათელ-ვიღეთ?
4. და თანა-დავეფლენით მას
ნათლის-ღებითა მით სიკუდილ-
სა მისსა, რაჲთა ვითარცა-იგი
აღდგა ქრისტე მკუდრეთით დი-
დებითა მამისაჲთა, ეგრეცა ჩუ-
ენ განახლებითა ცხორებისაჲ-
თა ვიდოდით.
5. რამეთუ უკუეთუ თანა-ნერგ
ვექმნენით მსგავსებასა მას სი-
კუდილისა მისისასა, ეგრეთცა
აღდგომასა მას მისსა ვიყვნეთ.
6. ესე უწყით, რამეთუ ძუელი
იგი კაცი ჩუენი მის თანა ჯუ-
არს-ეცუა, რაჲთა განქარდეს
კორცი იგი ცოდვისაჲ, რაჲთა
არღარა ეჰმონებდეთ ჩუენ
ცოდვასა,
7. რამეთუ რომელი-იგი მოკუ-
და, განმართლებულ არს ცოდ-
ვისაგან.
8. უკუეთუ მოვკუდეთ ქრისტეს
თანა, გურწამს, რამეთუ მის
თანაცა ვცხონდეთ.
9. ესე უწყით, რამეთუ ქრისტე
აღდგა მკუდრეთით, არღარა
მოკუდეს, და სიკუდილი მის ზე-
და არღარა უფლებდეს.
10. რამეთუ რომელი-იგი მოკუ-
და,ცოდვითა მოკუდა ერთ-გზის,
ხოლო რომელი-იგი ცხოველ
არს, ცხოველ არს ღმრთისა.
11. ეგრეცა თქუენ შეჰრაცხენით
თავნი თქუენნი მკუდრად ცოდ-
ვისათჳს და ცხოველად ღმრთი-
სა ქრისტე იესუჲს მიერ უფლი-
სა ჩუენისა.
12. ნუ უკუე სუფევენ ცოდვაჲ მო-
კუდავთა მაგათ კორცთა თქუ-
ენთა მორჩილებად მისა გუ-
ლის-თქუმათა შინა მისთა,
13. ნუცა წარუდგინებთ ასოთა
მაგათ თქუენთა საჭურველად
სიცრუისა ცოდვასა, არამედ
წარუდგინენით თავნი თქუენნი
ღმერთსა, ვითარცა მკუდრე-
თით ცხოველნი, და ასონი ეგე
თქუენნი საჭურველად სიმარ-
თლისა ღმერთსა.
14. და ცოდვაჲ თქუენ ზედა არა
უფლებდეს, რამეთუ არა ხართ
შჯულსა ქუეშე, არამედ მადლ-
სა.
15. აწ უკუე რაჲ? ვცოდვიდეთ-
-მეა, რამეთუ არა ვართ შჯულ-
სა ქუეშე, არამედ მადლსა? ნუ
იყოფინ!
16. არა უწყითა, რამეთუ რო-
მელსა-იგი წარუდგინენით თავ-
ნი თჳსნი მონად მორჩილებისა,
მონანი ხართ, რომელსაცა-იგი
ერჩით; გინა თუ ცოდვასა სიკუ-
დილდ, ანუ მორჩილებად სი-

მართლესა?

17. ხოლო მადლი ღმერთსა, რამეთუ იყვენით მონა ცოდვისა და მორჩილ იქმნენით გულითა, რომელსაცა-იგი მიეცენით სახედ მოძღურებისა.

18. ხოლო აწ განთავისუფლებულ ხართ ცოდვისაგან, და დამონებულ ხართ სიმართლესა.

19. კაცობრივ ვიტყჳ უძლურებისათჳს კორცთა თქუენთაჲსა: ვითარცა-იგი წარუდგინენით ასონი ეგე თქუენნი მონებად არაწმიდებასა და უშჯულოებასა უშჯულოებად, ეგრეცა აწ წარუდგინენით ასონი ეგე თქუენნი მონებად სიმართლესა სიწმიდედ.

20. რამეთუ ოდეს-იგი მონანი იყვენით ცოდვისანი, თავისუფალ იყვენით სიმართლისაგან.

21. რაჲ უკუე ნაყოფი გაქუნდა მაშინ, რომლისათჳს აწ ეგერა გრცხუენის? რამეთუ აღსასრული მათი სიკუდილი არს.

22. ხოლო აწ განთავისუფლებულ ხართ ცოდვისაგან და დამონებულ ღმერთსა, და გაქუს ნაყოფი თქუენი სიწმიდედ, და აღსასრულსა – ცხორებაჲ საუკუნოჲ.

23. რამეთუ საგზალი ცოდვისაჲ სიკუდილი არს, ხოლო ნიჭი ღმრთისაჲ – ცხორებაჲ საუკუნოჲ ქრისტე იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა.

7

1. ანუ არა უწყითა, ძმანო, – რამეთუ მეცნიერთა მათ შჯულისათა ეეტყჳ, – ვითარმედ შჯული უფლებს კაცსა ზედა, რაოდენ ჟამ ცოცხალ არს იგი?

2. რამეთუ ქმრის ცოლი დედაკაცი სიკუდილადმდე ქმრისა შეკრულ არს შჯულითა; ხოლო უკუეთუ მოკუდეს ქმარი იგი, განთავისუფლებულ არს იგი შჯულისა მისგან ქმრისა.

3. აწ უკუე ცხორებასა ქმრისასა მემრუშედ ეწოდოს, შე-თუ-ეყოს ქმარსა სხუასა; ხოლო უკუეთუ მოკუდეს ქმარი მისი, თავისუფალ არს იგი შჯულისა მისგან, რაჲთა არა იყოს იგი მემრუშე, შე-თუ-ეყოს ქმარსა სხუასა.

4. ამისთჳს თქუენცა, ძმანო ჩემნო, მოჰკუედით შჯულისაგან კორცითა მით ქრისტესითა, რაჲთა იყენეთ თქუენ სხჳსა მის მკუდრეთით აღდგომილისა, რაჲთა ნაყოფი გამოვიღოთ ღმრთისა.

5. რამეთუ ვიდრე-იგი ვიყვენით კორცთა შინა, ვნებანი იგი ცოდვათანი შჯულისა მისგან იქმნებოდეს ასოთა შინა ჩუენთა, რაჲთა ნაყოფი გამოვიღოთ სიკუდილისა;

6. ხოლო აწ განთავისუფლებულ ვართ შჯულისა მისგან და მოვკუედით, რომლითა-იგი შეპყრობილ ვიყვენით, რაჲთა ვჰმონებდეთ ჩუენ განახლებუ-

ლითა სულითა და არა დაძუელებულითა წიგნითა.
7. რაჲ-მე უკუე ვთქუათ? შჯული ცოდვა-მე არსა? ნუ იყოფინ! არამედ ცოდვაჲ არა ვიცოდე, გარნა შჯულისაგან. რამეთუ გულის-თქუმაჲ არა ვიცოდე, უკუეთუმცა არა შჯული იტყოდა, ვითარმედ: ნუ გული-გითქუამნ.
8. მიზეზი უკუე პოვა ცოდვამან მცნებისა მისგან და შექმნა ჩემ თანა ყოველი გულის-თქუმაჲ, რამეთუ თჳნიერ შჯულისა ცოდვაჲ მკუდარ არს.
9. სოლო მე ცხოველ ვიყავ ოდესმე თჳნიერ შჯულისა, და ოდეს მოიწია მცნებაჲ იგი, ცოდვაჲ განცოცხლდა,
10. და მე მოვკუედ; და მეპოვა მე მცნებაჲ იგი, რომელი იყო საცხორებელად, იგივე სიკუდილად.
11. რამეთუ ცოდვამან მან მიზეზი მიიღო მცნებისა მისგან, მაცთუნა მე და მის მიერ მომკლა.
12. ამიერითგან შჯული წმიდა არს, და მცნებაჲ იგი წმიდა და მართალ და კეთილ.
13. აწ უკუე კეთილი იგი მე სიკუდილ მექმნაა? ნუ იყოფინ! არამედ ცოდვაჲ იგი, რაჲთა ჩნდეს ცოდვა კეთილითა მით, რომელი იქმნა ჩემდა სიკუდილ, რაჲთა იყოს გარდარეულად ცოდვილ ცოდვაჲ იგი მცნებისა მისგან.
14. ესე უწყით, რამეთუ შჯული სულიერ არს, ხოლო მე ჯორციელ ვარ და განფრდილ ცოდვასა შინა.
15. რამეთუ რომელსა-იგი ვიქმ, არა ვიცი; რამეთუ არა რომელი-იგი მე მნებავს, მას ვიქმ, არამედ რომელი-იგი მძულს, მას ვჰყოფ.
16. სოლო უკუეთუ, რომელი-იგი არა მნებავს, და მას ვჰყოფ, თანა-მოწამე ვარ შჯულისა, რამეთუ კეთილ არს.
17. აწ უკუე არღარა მე ვიქმ მას, არამედ რომელი-იგი დამკჳდრებულ არს ჩემ თანა ცოდვაჲ.
18. რამეთუ უწყი, ვითარმედ არარაჲ დამკჳდრებულ არს ჩემ თანა, ესე იგი არს, ჯორცთა შინა ჩემთა კეთილი, რამეთუ ნებაჲ იგი წინა მიც მე, ხოლო საქმედ კეთილისა მის არა ვჰპოებ.
19. რამეთუ არა რომელი-იგი მნებავს კეთილი, მას ვჰყოფ, არამედ რომელი-იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ.
20. ხოლო უკუეთუ რომელი-იგი მე არა მნებავს და მას ვჰყოფ, არღარა მე ვიქმ მას, არამედ რომელი-იგი დამკჳდრებულ არს ჩემ თანა ცოდვაჲ.
21. ვპოო-მეა შჯული, რომელსა უნდეს ჩემდა ყოფად კეთილისა, რამეთუ მე ბოროტი წინა მიც?
22. რამეთუ თანა-მნებავს მე შჯულსა ღმრთისასა შინაგანითა მით კაცითა.
23. და ვხედავ სხუასა შჯულსა

ასოთა შინა ჩემთა, რომელი-
-იგი წინა-განეწყვების შჯულსა
მას გონებისა ჩემისასა და წარ-
მტყუენავს მე შჯულითა მით
ცოდვისაჲთა, რომელი-იგი არს
ასოთა შინა ჩემთა.
24. უბადრუკი მე ესე კაცი! ვინ-
-მე მიჰსნეს კორცთა ამათგან
ამის სიკუდილისათა?
25. ხოლო ეპმადლობ ღმერთსა
ქრისტე იესუჲს მიერ უფლისა
ჩუენისა. აწ უკუე თავადი მე გო-
ნებითა ჩემითა ეპმონებ რჩულ-
სა ღმრთისასა, ხოლო კორცი-
თა შჯულსა ცოდვისასა.

8

1. არა-მე რაჲ დასაშჯელ არსა
აწ ქრისტე იესუჲს მიერ მათა,
რომელნი-იგი არა კორცთაებრ
ვლენან, არამედ სულისაებრ?
2. რამეთუ შჯულმან სულისა
ცხორებისამან ქრისტე იესუჲს
მიერ განმათავისუფლა მე შჯუ-
ლისა მისგან ცოდვისა და სიკუ-
დილისა.
3. რამეთუ შეუძლებელი იგი
შჯულისაჲ, რომლითა უძლურ
იყო კორცთა მათთჳს, ღმერთ-
მან ძე თჳსი მოაველინა, მსგავ-
სად კორცთა მათ ცოდვისათა
და ცოდვისათჳს, და საჯა ცოდ-
ვაჲ იგი კორცითა თჳსითა,
4. რაჲთა სიმართლე იგი შჯუ-
ლისაჲ აღესრულოს ჩუენ შო-
რის, რომელნი არა კორციე-
ლად ვიქცევით, არამედ სული-
ერად.
5. რამეთუ რომელნი-იგი კორ-
ციელად არიან, კორცთასა
ზრახენენ, ხოლო რომელნი-იგი
სულიერად არიან, – სულისასა.
6. რამეთუ ზრახვაჲ იგი კორ-
ცთაჲ სიკუდილ არს, ხოლო
ზრახვაჲ იგი სულისაჲ ცხორება
არს და მშჳდობა.
7. რამეთუ ზრახვაჲ იგი კორც-
თაჲ მტერობა არს ღმრთისა;
რამეთუ შჯულსა მას ღმრთისა-
სა ვერ დაემორჩილების და
ვერცა ძალ-უც.
8. რამეთუ რომელნი-იგი კორ-
ცთა შინა არიან, ღმრთისა სათ-
ნო-ყოფად ვერ ძალ-უც.
9. ხოლო თქუენ არა ხართ
კორცთა შინა, არამედ სულთა,
უკუეთუ სული ღმრთისაჲ დამ-
კჳდრებულ არს თქუენ შორის.
უკუეთუ ვისმე სული ქრისტესი
არა აქუს, იგი არა არს მისი.
10. უკუეთუ ქრისტე თქუენ შო-
რის არს, კორცნიმცა მკუდარ
არიან ცოდვისათჳს, ხოლო სუ-
ლი – ცხოველ სიმართლისათჳს.
11. უკუეთუ სული იგი აღმადგი-
ნებელისა იესუჲსი მკუდრეთით
მკჳდრ არს თქუენ შორის, რო-
მელმან-იგი აღადგინა ქრისტე
მკუდრეთით, განაცხოველნეს
მოკუდავნიცა ეგე კორცნი თქუ-
ენნი დამკჳდრებულისა მის მი-
ერ თქუენ შორის სულისა მი-
სისა.
12. აწ უკუე, ძმანო, თანა-გუაც

არა კორცთაჲ, რაჲთა კორციელად სცხონდებოდით.
13. რამეთუ უკუეთუ კორციელად სცხონდებოდით, მოსიკუდიდ სართ; ხოლო უკუეთუ სულითა კორცთა საქმესა მოაკუდინებდეთ, სცხონდეთ.
14. რამეთუ რომელნი სულითა ღმრთისაჲთა ვლენან, ესენი არიან ძენი ღმრთისანი.
15. რამეთუ არა მიგიღებიეს სული იგი მონებისაჲ, რაჲთამცა კუალად გეშინოდა, არამედ მიგიღებიეს სული იგი შვილებისაჲ, რომლითა ვღაღადებთ: აბბა, მამაო!
16. იგივე სული ეწამების სულსა ამას ჩუენსა, რამეთუ ვართ შვილნი ღმრთისანი.
17. ხოლო უკუეთუ შვილ, მკჳდრცა, მკჳდრ ღმრთისა თანა და თანა-მკჳდრ ქრისტესა. უკუეთუ მის თანა ვიენოთ, მის თანაცა ვიდიდნეთ.
18. რამეთუ მე ესრე მგონიეს, ვითარმედ ვერ ღირს არიან ვნებანი იგი ამის ჟამისანი მერმისსა მის თანა დიდებისა, რომელ გამოჩინებად არს ჩუენდა მომართ.
19. რამეთუ იჭჳ იგი დაბადებისაჲ გამოჩინებასა შვილთა ღმრთისათა მოელის,
20. რამეთუ ამაოებასა დაემორჩილა დაბადებული არა ნებსით, არამედ მის მიერ, რომელმან-იგი დაამორჩილა, სასოებით,
21. რამეთუ თჳთ იგიცა დაბადებული გან-ვე-თავისუფლდეს მონებისაგან სრწჳნილებისა აჲნაურებასა მას დიდებისა შვილთა ღმრთისათა.
22. უწყით, რამეთუ ყოველი დაბადებული თანა-კუნესის და თანა-ელმის მოაქამდე.
23. არა ხოლო თუ იგი, არამედ თჳთ ჩუენცა, რომელთა-ესე პირველი ნაყოფი სულისაჲ გუაქუს, თჳთ ჩუენცა თავთა შინა ჩუენთა ვკუნესით და შვილებასა მას მოველით, გამოჴსნასა მას კორცთა ჩუენთასა,
24. რამეთუ სასოებით ვცხონდებით. ხოლო სასოებაჲ ხილული არა არს სასოება, რამეთუ რომელსა-იგი ვინმე ხედავს, რასაღა-მე ესავენ?
25. ხოლო ჩუენ, რომელსა არა ვხედავთ, ვესავთ, რამეთუ მოთმინებით მოველით.
26. ეგრეთვე და სულიცა იგი თანა-შეეწევის უძლურებათა ჩუენთა, რამეთუ რაჲმცა იგი ვილოცეთ, ვითარ-იგი ჯერ-არს, არა ვიცით; არამედ თჳთ იგი სული მეოხ არს ჩუენთჳს სულ-თქუმითა მით უსიტყუელითა.
27. ხოლო რომელი-იგი გამომეძიებელი არს გულთაჲ, იცის, თუ რაჲ არს ბრახვაჲ იგი სულისაჲ, რამეთუ ღმრთისა მიმართ მეოხ არს წმიდათათჳს.
28. ესე უწყით, რამეთუ ღმრთის მოყუარეთა ყოველივე განე-

მარჯუების კეთილად, რომელნი-იგი ბრძანებით ჩინებულ არიან.
29. რამეთუ რომელნი-იგი წინაწარ იცნნა, წინაწარცა განაჩინნა თანა-მსგავსად ხატისა მის ძისა თჳსისა, რაჲთა იყოს იგი პირმშო მრავალთა შორის ძმათა;
30. სოლო რომელნი-იგი წინაწარ განაჩინნა, მათცა უწოდა; და რომელთა-იგი უწოდა, იგინიცა განამართლნა; და რომელნი-იგი განამართლნა, იგინიცა ადიდნა.
31. რაჲ-მე უკუე ეთქუათ ამისთჳს? უკუეთუ ღმერთი ჩუენ კერძო არს, ვინ არს ძჯრის მყოფელ ჩუენდა?
32. რომელმან-იგი ძესაცა თჳსსა არა ჰრიდა, არამედ ჩუენ ყოველთათჳს მისცა იგი, ეითარ უკუე არა მითურთ ყოველივე მოგუანიჭოს ჩუენ?
33. ვინ არს მაბრალობელ რჩეულთა მათ ღმრთისათა? ღმერთი არს განმამართლებელ.
34. და ვინ არს დამსჯელ? ქრისტე იესუ, რომელი მოკუდა, უფროჲსღა აღდგა; რომელი-იგი არს მარჯუენით ღმრთისა, რომელიცა-იგი მეოხ არს ჩუენთჳს.
35. ვინ განმაშორნეს ჩუენ სიყუარულსა მას ქრისტესსა: ჭირმან ანუ იწროებამან, დევნამან ანუ სიყმილმან, შიშულოებამან ანუ ურვამან ანუ მახჯლმან? ეითარცა წერილ არს:
36. რამეთუ შენთჳს მოვსწყდებით ჩუენ მარადღე და შეეირაცხებით ჩუენ, ვითარცა ცხოვარნი კლვადნი.
37. არამედ ამას ყოველსა გელა-ესძლევით ჩუენ მის მიერ, რომელმანცა-იგი შემიყუარნა ჩუენ,
38. რამეთუ მრწამს მე, ვითარმედ არცა სიკუდილმან, არცა ცხორებამან, არცა ანგელოზთა, არცა მთავრობათა, არცა ძალთა, არცა ამან სოფელმან, არცა მან სოფელმან,
39. არცა სიმაღლეთა, არცა სიღრმეთა, არცა სხუამან ღაბადებულმან შემიძლოს ჩუენ განყენებად სიყუარულსა ღმრთისასა, რომელ არს ქრისტე იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა.

9

1. ჭეშმარიტსა ვიტყჳ ქრისტეს მიერ და არა ვტყუი თანამოწამებითა ჩემდა გონებისა ჩემისაჲთა სულითა წმიდითა,
2. რამეთუ მწუხარება არს ჩემდა დიდ და მოუკლებელი სალმობაჲ გულისა ჩემისაჲ.
3. რამეთუ ვილოცევედ მე შეჩუენებულ-ყოფად თაესა ჩემსა ქრისტესგან ძმათა ჩემთათჳს და ნათესავთა ჩემთა კორციელად,
4. რომელნი-იგი არიან ისრაიტელნი, რომელთაჲ იყო შვილებაჲ და დიდებაჲ და აღთქუმანი

და შჯულის-დებანი და მსახურებანი და მითხრობანი;
5. რომელთანი იყვნეს მამანი და რომელთაგან ქრისტე კორციელად, რომელი-იგი არს ღმერთი ყოველთა ზედა, კურთხეულ უკუნისამდე. ამინ.
6. ხოლო არა ეგებოდა, ვითარმცა დავარდა სიტყუაჲ ღმრთისაჲ, რამეთუ არა ყოველნი ისრაჱლისაგანნი ესენი არიან ისრაჱლ,
7. არცა არიან ნათესავნი აბრაჰამისნი ყოველნი შვილ, არამედ „ისაკისგან გეწოდოს შენ ნათესაჲ“.
8. ესე იგი არს, არა თუ შვილნი კორცთანი ესენი არიან შვილ ღმრთის, არამედ შვილნი იგი აღთქუმისანი შერაცხილ არიან ნათესაჲად.
9. რამეთუ აღთქუმისაგან არს სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: ჟამსა ოდენ ამას მოვიდე, და ესუას სარრას ძე.
10. და არა ხოლო ესე, არამედ რებეკასცა ერთისაგან საწოლისა ესუა ისაკ მამისა ჩუენისა;
11. რამეთუ არღასადა შობილ იყვნეს, არცა ექმნა რაჲ კეთილი გინა ბოროტი, — რაჲთა რჩევით წინა-განმზადებაჲ იგი ღმრთისაჲ ეგოს
12. არა საქმეთაგან, არამედ მისგან, რომელმან-იგი უწოდა, — რამეთუ ჰრქუა მას, ვითარმედ: უხუცესმან პმონოს უმრწემესსა მას.
13. ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: იაკობი შევიყუარე, ხოლო ესავი მოვიძულე.
14. რაჲ-მე უკუე ვთქუათ? ნუ სიცრუვე-მე არსა ღმრთისა თანა? ნუ იყოფინ!
15. რამეთუ მოსეს ესრეთ ეტყჳს: შევიწყალო, რომელი-იგი შევიწყალო, და შევიწყნარო, რომელი-იგი შეეიწყნარო.
16. აწ უკუე არა რომელსა-იგი უნებს, არცა რომელი-იგი რბის, არამედ რომელი ეწყალის ღმერთსა.
17. რამეთუ ეტყჳს წიგნი ფარაოს, ვითარმედ: აღ-ეე ამისთჳს-გაღგინე შენ, რაჲთა გაჩუენო შენ ზედა ძალი ჩემი და რაჲთა განითქუას სახელი ჩემი ყოველსა ქუეყანასა.
18. აწ უკუე რომელი ჰნებავს, შეიწყალებს, და რომელი ჰნებავს, განაფიცხებს.
19. ნუუკუე მრქუა მე: და რაჲსაღა აბრალებს? რამეთუ ნებასა მისსა ვინ-მე წინა-აღუდგა?
20. აწ უკუე, ჱ კაცო, შენ ვინ ხარ, რომელი სიტყუას-უგებ ღმერთსა? ჰრქუა ნუ-მეა ქმნულმან შემოქმედსა: რაჲსათჳს ესრეთ შემქმენ მე?
21. ანუ არა კელ-ეწიფებისა მეკეცესა მას თიკისა მის მისვე შეზელილისაგან შესაქმედ რომელიმე პატიოსნად ჭურჭლად და რომელიმე უპატიოდ?

22. უკუეთუმცა უნდა ღმერთსა ჩუენებად რისხვაჲ თჳსი და უწყებად ძალი თჳსი, რომელ დაუთმენიეს მრავლითა სულგრძელებითა ჭურთა მათი ზედა რისხვისათა, განმზადებულთა წარსაწყმედელად,
23. და რაჲთა აჩუენოს სიმდიდრე იგი დიდებისა მისისაჲ ჭურთა მათ ზედა წყალობისათა, რომელნი-იგი წინაწარ განპმზადნა სადიდებელად,
24. რომელთაცა-ესე მიწოდნა ჩუენ არა ხოლო თუ პურიათაგან, არამედ წარმართთაგანცა?
25. ვითარცა ოსეს შინა იტყჳს: უწოდო არა ერსა ჩემსა ერად ჩემდა და არა საყუარელსა ჩემსა საყუარელად.
26. და იყოს ადგილსა მას, სადა-იგი ერქუა მათ: არა ერი ჩემი თქუენ, მუნ იწოდნენ ძედ ღმრთისა ცხოველისა.
27. ხოლო ესაია ღაღადებს ისრაჱლისათჳს: დაღათუ იყოს რიცხჳ იგი ძეთა ისრაჱლისათაჲ ვითარცა ქჳშაჲ ზღჳსაჲ, ნეშტი ოდენ ცხონდეს;
28. რამეთუ სიტყუაჲ აღმასრულებელი და შემოკლებული სიმართლესა შინა, ვითარმედ სიტყუაჲ შემოკლებულ ყოს უფალმან ქუეყანასა ზედა.
29. და ვითარცა-იგი წინაწარ თქუა ესაია: არა თუმცა უფალმან საბაოთ დამიტეა ჩუენ თესლი, ვითარცა სოდომელნიმცა შევიქმნენით და გომორელთამცა მიევემსგაესენით.
30. აწ უკუე რაჲ-მე ვთქუათ? რამეთუ წარმართნი, რომელნი არა სდეედეს სიმართლესა, ეწინეს სიმართლესა, ხოლო სიმართლესა სარწმუნოებისაგან.
31. ხოლო ისრაჱლი სდეედა შჯულსა მას სიმართლისასა და შჯულსა მას სიმართლისასა ვერ მისწუდა.
32. რაჲსათჳს-მე? რამეთუ არა სარწმუნოებისაგან, არამედ ვითარცა საქმეთაგან შჯულისათა, რამეთუ შეპბრკოლდეს ლოდსა მას შებრკოლებისასა.
33. ვითარცა წერილ არს: აჰა ესერა დავსდებ სიონს შინა ლოდსა შებრკოლებისასა და კლდესა საცთურებისასა; და ყოველსა რომელსა პრწმენის იგი, არასადა პრცხუენეს.

10

1. ძმანო, ნებაჲ გულისა ჩემისაჲ და ვედრებაჲ ჩემი ღმრთისა მიმართ ისრაჱლისათჳს არს საცხორებელად.
2. ვეწამები მათ, რამეთუ შური საღმრთოჲ აქუს, არამედ არა მეცნიერებით.
3. რამეთუ უმეცარ იყუნეს იგინი სიმართლისა მისგან ღმრთისა და თჳსსა მას სიმართლესა ეძიებდეს დამტკიცებად და სიმართლესა ღმრთისასა არა დაემორჩილნეს,

4. რამეთუ დასასრული შჯულისაჲ ქრისტე არს მაცხოვრად ყოველისა მორწმუნისა.
5. რამეთუ მოსე დასწერს სიმართლესა მას შჯულისაგანსა, ეითარმედ: რომელმან ქმნეს იგი კაცმან, ცხონდეს მას შინა.
6. სოლო სარწმუნოებისაგანი სიმართლე ესრეთ იტყჳს: ნუ იტყჳ გულსა შენსა: ვინ აღჳიდეს ზეცად? ესე იგი არს, ქრისტესი გარდამოყვანებაჲ.
7. ანუ: ვინ შთაჳიდეს უფსკრულად? ესე იგი არს, ქრისტესი მკუდრეთით აღმოყვანებაჲ.
8. არამედ რასა იტყჳს: მახლობელ შენდა არს სიტყუაჲ ეგე პირსა შენსა და გულსა შენსა, ესე იგი არს, სიტყუაჲ სარწმუნოებისაჲ, რომელსა ექადაგებთ,
9. ეითარმედ აღ-თუ-იარო პირითა შენითა უფალი იესუ, და გრწმენეს გულითა შენითა, რამეთუ ღმერთმან აღადგინა იგი მკუდრეთით, სცხონდე.
10. რამეთუ გულსა გრწამს სიმართლედ, ხოლო პირითა აღიარებ საცხორებელად.
11. რამეთუ იტყჳს წიგნი: ყოველსა რომელსა ჰრწმენეს მისა მიმართ, არასადა ჰრცხუენეს.
12. რამეთუ არა არს განწჳალება ჰურიისა და წარმართისა, რამეთუ თავადი არს უფალი ყოველთაჲ, რომელი განამდიდრებს ყოველთა, რომელნი ხადიან მას.
13. რამეთუ ყოველმან რომელმან სადოს სახელსა უფლისასა, ცხონდეს.
14. ეითარ უკუე ხადონ, რომლისა მიმართ არა ჰრწმენა? ანუ ეითარ-მე ჰრწმენეს, რომლისაჲ არა ისმინეს? ანუ ეითარ-მე ისმინონ თჳნიერ ქადაგებისა?
15. ანუ ეითარ-მე ქადაგებდენ, არა თუ წარაელინნენ? ეითარცა წერილ არს: ეითარ შუენიერ არიან ფერჴნი მახარებელთა მათ მშჳდობისათანი, რომელნი ასარებენ კეთილსა!
16. არამედ არა ყოველთა ისმინეს სახარებისაჲ მის, რამეთუ ესაია იტყჳს: უფალო, ვის-მე ჰრწმენა სასმენელი ჩუენი?
17. აწ უკუე სარწმუნოებაჲ სამე სმენისაგან არს, ხოლო სმენაჲ — სიტყჳთა ღმრთისაჲთა.
18. არამედ ვთქუა: ნუუკუე არა ესმაა? არამედ იტყჳს, ეითარმედ: ყოველსა ქუეყანასა განქდა ჴმაჲ მათი, და კიდეთა სოფლისათა — სიტყუანი მათნი.
19. არამედ ვიტყჳ: ნუუკუე ისრაჱლმან არა ცნაა? პირველად მოსე ეტყჳს: მე გაშურეო თქუენ არა ნათესავსა მას ზედა და ნათესავითა მით უგულისჴმოჲთა განგარისხნე თქუენ.
20. ხოლო ესაია იკადრებს და იტყჳს: ვეპოვე მათ, რომელნი მე არა მეძიებდეს, და განვეცხადე მათ, რომელნი მე არა მიკითხ-

ვიდეს.
21. ხოლო ისრაჱლისა მიმართ იტყჳს: ღღესა ყოველსა განეპყრენ კელნი ჩემნი ერისა მიმართ ურჩისა და მაცილობელისა.

11

1. ვიტყჳ უკუე: ნუ განიშორა-მეა ღმერთმან ერი თჳსი? ნუ იყოფინ და რამეთუ მეცა ისრაიტელი ვარ თესლისაგან აბრაჰამისა, ტომისაგან ბენიამენისა.
2. არა განიშორა ღმერთმან ერი თჳსი, რომელი-იგი წინაწარ იცნა. ანუ არა უწყითა ელიაჲსი, რასა-იგი იტყჳს წიგნი? ვითარ-იგი შეემთხუევის ღმერთსა შესმენად ისრაჱლისა და იტყჳს:
3. უფალო, წინაწარმეტყუელნი შენნი მოსწყჳდნეს და საკურთხეველნი შენნი დაარღჳნეს; და მე დაშთომილ ვარ მარტოჲ, და ეძიებენ სულსაცა ჩემსა.
4. არამედ რასა ეტყჳს მას ბრძანებაჲ იგი სიტყჳსაჲ მის? დამიტეებიეს თავისა ჩემისა შჳდ ათასი მამაკაცი, რომელთა არა მოუდრეკიან მუკლნი მათნი ბაალისა.
5. ეგრეცა უკუე და აწცა ჟამსა ამას ნეშტი რჩევით მადლითა მით იქმნა.
6. ხოლო უკუეთუ მადლით, არღარა საქმეთაგან; უკუეთუ არა, მადლი იგი არღარა შეირაცხების მადლად; უკუეთუ კულა საქმეთაგან, არღარა არს მადლი, ვინაჲთგან საქმე იგი არღარა არს საქმე.
7. აწ უკუე რაჲ? რომელსა ეძიებს ისრაჱლი, ამას ვერ მიემთხჳა. ხოლო რჩეულნი იგი მიემთხჳა, და სხუანი იგი დაბრმეს,
8. ვითარცა წერილ არს: მოსცა მათ ღმერთმან სული მწუსარებისაჲ, თუალნი, რაჲთა არა ხედვიდენ, და ყურნი, რაჲთა არა ესმოდის, ვიდრე ღღენღელად ღღედმდე.
9. და დაჳით იტყჳს: ექმენინ ტაბლაჲ მათი მათ წინაშე საბრკე და სანაღირო და მისაგებელ და საცთურ მათდა.
10. დაუბნელდედ თუალნი მათნი, რაჲთა არა ხედვიდენ, და ზურგი მათი მარადის შედრიკე!
11. ხოლო ვიტყჳ: ნუუკუე შეუბრკუმა, რაჲთა დაეცნენ? ნუ იყოფინ! არამედ მათითა მით შეცოდებითა ცხორებაჲ წარმართთაჲ იქმნა საშურებელად მათდა.
12. ხოლო უკუეთუ შეცოდებაჲ იგი მათი სიმდიდრე სოფლისა, და ძლეულებაჲ იგი მათი სიმდიდრე წარმართთა, რაოდენ უფროჲს საესებაჲ იგი მათი!
13. ხოლო თქუენ გეტყჳ, წარმართთა მაგათ: რაოდენ-ესე ვარ მე წარმართთა მოციქულ, მსახურებაჲ ესე ჩემი ვადიდო.
14. ეაშურო ხოლო თუ კორცთა

ჩემთა და ვაცხოვნნე ვინმე მათგანნი?
15. რამეთუ უკუეთუ განვრდომაჲ იგი მათი დაგება სოფლისა, რაოდენ-მე შეწყნარებაჲ მათი, არა თუ ცხორებაჲ მკუდართაგან?
16. ხოლო უკუეთუ დასაბამი იგი წმიდა არს, და თბეცა; და უკუეთუ ძირი იგი წმიდა არს, და რტონიცა მისნი.
17. ხოლო უკუეთუ რტოთა მათგანნი ვინმე გარდასტყდეს, ხოლო შენ ველური ზეთის ხილი იყავ და დაემყენ მათ ზედა და თანა-ზიარ ძირისა და სიპოხისა ზეთის ხილისა იქმენ,
18. ნუ ექადი რტოთა მათ. ხოლო უკუეთუ ექადი, არა თუ შენ ძირი იგი გიტჯრთაეს, არამედ ძირსა მას – შენ.
19. სთქუა უკუე: გარდასტყდეს რტონი იგი, რაჲთა მე დაევემყნა.
20. კეთილ! იგინი ურწმუნოებითა მათითა გარდასტყდეს, ხოლო შენ სარწმუნოებითა სდგა; ნუ ჰმაღლობ, არამედ გეშინოდენ!
21. უკუეთუ ღმერთმან ბუნებითთა მათ რტოთა არა ჰრიდა, ნუ-უკუე შენცა არა გრიდოს.
22. აწ უკუე იხილე სიტკბოებაჲ და სასტიკებაჲ ღმრთისაჲ: დაცემულთა მათ ზედა – სასტიკებაჲ, ხოლო შენ ზედა – სიტკბოებაჲ, უკუეთუ ეგო სიტკბოებასა მას ზედა; უკუეთუ არა, შენცა მო-ეე-ეკუეთო.
23. და იგინი, თუ არა დააღგრენ ურწმუნოებასა მათსა ზედა, და-ეე-ემყნნენ, რამეთუ შემძლებელ არს ღმერთი კუალად დამყნად მათდა.
24. უკუეთუ შენ ბუნებითისა მისგან მოეკუეთე ველურისა ზეთის ხილისა და გარეშე ბუნებისა დაემყენ კეთილსა ზეთის ხილსა, რაოდენ უფროჲს იგინი ბუნებითსა მას დაემყნნენ თჳსსავე მას ზეთის ხილსა!
25. არა მნებავს უმეცრებაჲ თქუენი, ძმანო, საიდუმლოჲსაჲ ამის, – რაჲთა არა იყვნეთ თავით თჳსით ბრძენ, – რამეთუ სიბრმე ჟამად-ჟამად შეჰყოა ისრაჱლსა, ვიდრემდე სავსებაჲ იგი წარმართთაჲ შემოჴდეს.
26. და ესრეთ ყოველი ისრაჱლი ცხონდეს, ვითარცა წერილ არს: მოვიდეს სიონით მჴსნელი და მოაქციოს უღმრთოებისაგან იაკობი.
27. და ესე არს ჩემ მიერი იგი მათდა მიმართ აღთქუმაჲ, რაჟამს მოვსპნე ცოდვანი მათნი.
28. სახარებისა მისგან – მტერ თქუენდა, ხოლო რჩეულებისა მისგან – საყუარელი მამათათჳს.
29. რამეთუ შეუნანებელ არიან მადლნი იგი და ჩინებანი ღმრთისანი.
30. რამეთუ ვითარცა-იგი თქუენცა ოდესმე ურჩ ექმნენით ღმერთსა, ხოლო აწ შეიწყალე-

ნით მათითა მით ურჩებითა,
31. ეგრეთვე ესენი ურჩ ექმნნეს აწ თქუენისა შეწყალებისათჳს, რაჲთა იგინიცა შეიწყალნენ.
32. რამეთუ შეაყენნა ღმერთმან ყოველნივე ურჩებასა, რაჲთა ყოველნი შეიწყალნეს.
33. ჲ სიღრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისაჲ! ვითარ გამოუძიებელ არიან განკითხვანი მისნი და გამოუკულეველ არიან გზანი მისნი!
34. რამეთუ ვინ ცნა გონებაჲ უფლისაჲ? ანუ ვინ თანა-მბრახველ ეყო მას?
35. ანუ ვინ წინაწარ მი-რაჲმე-სცა მას და კუალად მიეგო მას?
36. რამეთუ მისგან და მის მიერ და მისა მიმართ არს ყოველი. მისა დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

12

1. გლოცავ თქუენ, ძმანო, მოწყალებათათჳს ღმრთისათა, წარუდგინენით კორცნი ეგე თქუენნი მსხუერპლად ცხოველად, წმიდად, სათნოდ ღმრთისა მეტყუელი ეგე მსახურებაჲ თქუენი.
2. და ნუ თანა-ხატ ექმნებით სოფელსა ამას, არამედ შეიცვალენით განახლებითა მით გონებისა თქუენისაჲთა, რაჲთა გამოიცადოთ თქუენ, რაჲ-იგი არს ნებაჲ ღმრთისაჲ: კეთილი, სათნოჲ და სრული.
3. რამეთუ ვეტყჳ მადლითა ღმრთისაჲთა, რომელი მოცემულ არს ჩემდა ყოველსა მას, ვინცა-იგი არს თქუენ შორის: ნუ უფროჲს ბრძნობენ უმეტეს წესისა მის, არამედ ბრძნობდინ სიწმიდესა კაცად-კაცადი, ვითარცა ღმერთმან განუყო საზომითა მით სარწმუნოებისაჲთა.
4. ვითარცა ერთსა მას გუამსა მრავალ ასოებ აქუს, სოლო ასოებსა მას ყოველსა არა იგიეე საქმე აქუს,
5. ეგრეთცა ჩუენ ყოველნი ერთ გუამ ვართ ქრისტეს მიერ, სოლო თჳთოეული ურთიერთას ასოებ ვართ.
6. ხოლო გუაქუს ჩუენ ნიჭები მადლისა მისებრ მოცემულისა ჩუენდა თითო-სახედ, გინა თუ წინაწარმეტყუელებაჲ საზომისაებრ სარწმუნოებისა,
7. გინა რომელი პმსახურებდეს მსახურებითა მით; გინა რომელი ასწაებდეს – სწაელითა მით;
8. გინა რომელი ნუგეშინის-სცემდეს – ნუგეშინის-ცემითა მით; რომელი მისცემდეს – უსუებით; რომელი ზედა-ადგებოდის – მოსწრაფებით; რომელი სწყალობდეს – მხიარულებით,
9. სიყუარულითა შეუორგულებელითა განეშორენით ბოროტსა და შეეყვენით კეთილსა;
10. ძმათ მოყუარებითა ურთიერთას მოწლედ მოსურნე იყვე-

ნით; პატივის-ცემასა ურთიერთსა უსწრობდით;
11. სწრაფასა ნუ მცონარე სართ; სულითა მღუღარე იყვენით; უფალსა ჰმონებდით;
12. სასოებასა გიხაროდენ; ჭირსა დაუთმობდით; ლოცვასა განკრძალულ იყვენით;
13. საკმარსა წმიდათასა ეზიარებოდეთ; სტუმრის მოყუარებასა შეუდეგით;
14. აკურთხევდით მდევართა თქუენთა; აკურთხევდით და ნუ სწყევეთ;
15. გიხაროდენ მოხარულთა თანა და ტიროდეთ მტირალთა თანა;
16. და მასვე ურთიერთას გრახევდით; ნუ მაღალსა მას ჰგრახავეთ, არამედ მდაბალსა მას შეეყენენით; ნუ იქმნებით ბრძენ თავით თუსით
17. და ნუცა ვინ ბოროტსა ბოროტისა წილ მიაგებთ; წინაწარ განიზრახევდით კეთილსა წინაშე ყოველთა კაცთა.
18. უკუეთუ შესაძლებელ არს თქუენ მიერ, ყოველთა კაცთა თანა მშჯდობასა ჰყოფდით.
19. ნუ თავით თუსით შურსა ეძიებთ, საყუარელნო, არამედ ეცით ადგილ რისხეასა, რამეთუ წერილ არს: ჩემი არს შურის-გებაჲ, და მე მივაგო, იტყჳს უფალი.
20. არამედ შიოდის თუ მტერსა შენსა, პური ეც მას; და, სწყუროდის თუ, ასუ მას; რამეთუ ესე რაჲ ჰყო, ნაკუერცხალი ცეცხლისაჲ შეჰკრიბო თავსა მისსა.
21. ნუ იძლევი ბოროტისაგან, არამედ სძლე კეთილითა მით ბოროტსა მას.

13

1. ყოველი სული კელმწიფებასა მას უმთავრესისასა დაემორჩილენ, რამეთუ არა არს კელმწიფებაჲ, გარნა ღმრთისაგან; და რომელნი-იგი არიან კელმწიფებანი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან.
2. ამიერითგან რომელი აღგებოდის კელმწიფებასა, ღმრთისა ბრძანებასა აღგების. ხოლო რომელნი-იგი აღგებოდიან, თავისა თჳსისა საშჯელი მიიღონ.
3. რამეთუ მთავარნი იგი არა არიან საშინელ კეთილის მოქმედთა, არამედ ბოროტის მოქმედთა. გნებავს თუ, რაჲთა არა გეშინოდის კელმწიფებისაგან? კეთილსა იქმოდე და მოიღო ქებაჲ მისგან,
4. რამეთუ ღმრთის მსახური არს შენდა კეთილისათჳს. ხოლო უკუეთუ ბოროტსა იქმოდი, გეშინოდენ, რამეთუ არა ცუდად კრმალ აბს; რამეთუ ღმრთის მსახურ არს შენდა, რისხეასათჳს შურის მეძიებელ ბოროტის მოქმედთათჳს.
5. ვინაჲცა ჯერ-არს დამორჩილებაჲ არა ხოლო რისხეი-

სათჳს, არამედ გონებისათჳსცა იჭჳსა.
6. ამისთჳს ხარკსაცა მისცემდით, რამეთუ მსახურნი ღმრთისანი არიან, ამისთჳსცა მოღუაწებასა განკრძალულ არიან.
7. მისცემდით უკუე ყოველთა თანა-ნადებსა: სახარკოსა—სარკი, საგუერესა — გუერი,საშინელსა — შიში, პატივსა — პატივი.
8. ნურაჲმცა ვისი თანა-გაც, გარნა ურთიერთას სიყუარული, რამეთუ რომელსა უყუარდეს მოყუასი თჳსი, მან შჯული აღასრულა,
9. ვითარმედ: არა იმრუშო, არა კაც-ჰკლა, არა იპარო, არა გული გითქუმიდეს, და სხუაჲ თუ რაჲმე მცნებაჲ არს, ამითვე სიტყჳთა აღესრულების, ვითარმედ: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი.
10. სიყუარულმან მოყუასსა თჳსსა ბოროტი არა უყოის; აღმასრულებელი შჯულისაჲ სიყუარული არს.
11. და ესე უწყოდეთ ჟამი, რამეთუ აწვე არს ჟამი განღჳძებად ჩუენდა ძილისაგან. აწ უმახლობელეს არს ჩუენდა ცხორებაჲ, ოდესღა-ესე გურწმენა.
12. ღამე იგი განგუეშორა, და დღე შემოგუეახლა; განვიშორნეთ უკუე საქმენი ბნელისანი და შეეიმოსოთ საჭურველი ნათლისაჲ.
13. და ვითარცა დღესა შინა, შუენიერად ვიდოდით ნუ სიმღერითა და მთრვალობითა, ნუ საწოლითა და ბილწებითა, ნუ კდომითა და შურითა,
14. არამედ შეიმოსეთ უფალი იესუ ქრისტე და კორცთა ზრახვასა ნუ ჰყოფთ გულის სათქუმელ.

14

1. და უძლური იგი სარწმუნოებითა შეიწყნარეთ, ნუ ორგულებით და გულის სიტყჳთა.
2. რომელსამე ჰრწამნ ჭამაღ ყოველი, ხოლო უძლური იგი მხალსა ჭამნ.
3. მჭამელი იგი არა-მჭამელსა მას ნუ შეურაცხ-ჰყოფნ, და არა-მჭამელი იგი მჭამელსა მას ნუ განიკითსავნ, რამეთუ ღმერთმან იგი შეიწყნარა.
4. შენ ვინ ხარ, რომელი განიკითხავ სხჳსა მონასა? თჳსისა უფლისა დგეს გინა თუ დაეცეს, დგეს სამე, რამეთუ შემძლებელ არს ღმერთი დადგინებად მისდა.
5. რომელიმე იმარხავნ დღე-გამოღებით და რომელიმე იმარხავნ ყოველსა დღესა; კაცად-კაცადი თჳსითა გონებითა გულ-საესე იყავნ.
6. რომელი-იგი ზრახვიდეს დღესა მას, უფლისად ზრახავს; და რომელი არა ზრახვიდეს დღესა მას, უფლისადვე არა ზრახავს; და რომელი ჭამს, უფლისად

ჭამს, რამეთუ ჰმადლობს ღმერთისა; და რომელი არა ჭამს, უფლისადვე არა ჭამს, და ჰმადლობს ღმერთისა.

7. რამეთუ არაეინ ჩუენგანი თავით თუსით ცოცხალ არს, და არაეინ თავით თუსით მოკუდების;

8. რამეთუ გინა თუ ცხოველ ვართ, უფლისად ცხოველ ვართ, და გინა თუ მოვსწყდებით, უფლისა მიერვე მოვსწყდებით; გინა თუ ცოცხალ ვიყვნეთ, გინა თუ მოვსწყდეთ, უფლისანი ვართ.

9. რამეთუ ამისთუსცა ქრისტე მოკუდა და აღდგა და ცხონდა, რაჲთა მკუდართაცა და ცოველთაცა ზედა უფლებდეს.

10. ხოლო შენ რაჲსა განიკითხავ ძმასა შენსა? ანუ თუ შენ რაჲსა შეურაცხ-ჰყოფ ძმასა შენსა? რამეთუ ყოველნივე წარდგომად ვართ წინაშე საყდართა ქრისტესთა.

11. რამეთუ წერილ არს: ცხოველ ვარ მე, იტყჳს უფალი, რამეთუ ჩემდა მოდრკეს ყოველი მუკლი, და ყოველმან ენამან აღუაროს ღმერთსა.

12. აწ უკუე კაცად-კაცადმან ჩუენმან თავისა თუსისათუს სიტყუაჲ მისცეს ღმერთსა.

13. ნუღარამცა ურთიერთას განვიკითხავთ, არამედ უფროჲსღა ესე განიკითხეთ, რაჲთა არა დაუდგათ შესაბრკოლებელი გინა საცთური ძმასა.

14. ვიცი და მრწამს უფლისა იესუჲს მიერ, რამეთუ არარაჲ შეგინებულ არს თაჳთ თუსით; გარნა თუ რომელი-იგი შე-ვინმე-ჰრაცხოს შეგინებულად, იგი არს შეგინებულ.

15. უკუეთუ საჭმლისათუს ძმაჲ შენი წუხდეს, არღარა სიყუარულით სუალ. ნუ საჭმლითა შენითა მას წარსწყმედ, რომლისათუს ქრისტე მოკუდა.

16. ნუმცა უკუე იგმობეის კეთილი იგი თქუენი.

17. რამეთუ არა არს სასუფეველი ღმრთისაჲ საჭმელ და სასუმელ, არამედ სიმართლე და მშჳდობა და სისარულ სულითა წმიდითა.

18. რამეთუ რომელი ამათ შინა ჰმონებდეს ქრისტესა, სათნო არს იგი ღმრთისა და რჩეულ კაცთა.

19. აწ უკუე მშჳდობასა შეუდგეთ და აღშენებასა ურთიერთარს.

20. ნუ ჭამადისათუს დაჰკსნი საქმესა ღმრთისასა. ყოველივე წმიდა არს, არამედ ბოროტ არს კაცისა, რომელი შებრკოლებისათუს ჭამდეს.

21. უმჯობეს არს არა-ჭამაჲ ჴორცისაჲ და არცა სუმაჲ ღუნისაჲ, არცა რომლითა ძმაჲ იგი შენი შეჰბრკოლდების გინა დაჰბრკოლდების ანუ მოუძლურდების.

22. შენ სარწმუნოებაჲ გაქუს? თავისა შენისათჳს გაქუნდინ წინაშე ღმრთისა. ნეტარ არს მისა, რომელმან არა განიკითხოს თავი თჳსი, რომელსა შინა გამოიცადოს.
23. ხოლო რომელი-იგი ორგულებდეს, დაღაცათუ ჭამოს, და-ვე-შჯილ არს, რამეთუ არა სარწმუნოებით ჭამს; და ყოველი, რომელი არა სარწმუნოებით არს, იგი ცოდვა არს.
24. ხოლო რომელი-იგი შემძლებელ არს დამტკიცებად თქუენდა სახარებისაებრ ჩემისა და ქადაგებისა ქრისტე იესუჲსა, გამოცხადებითა საიდუმლოჲსაჲთა, ჟამთა მათ საუკუნეთა დადუმებულსა,
25. ხოლო აწ გამოცხადებულსა წიგნთაგან საწინაწარმეტყუელოთა, ბრძანებითა საუკუნოჲსა ღმრთისაჲთა, დასამორჩილებელად სარწმუნოებისა, ყოველთა მიმართ წარმართთა უწყებულსა,
26. მხოლოსა ბრძენსა ღმერთსა, ქრისტე იესუჲს მიერ, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

15

1. ხოლო თანა-გუაც ჩუენ ძლიერთა უძლურებათა მათ უსუსურთასა ტჯრთვად და არა თავთა თჳსთა სათნო-ყოფად,
2. კაცად-კაცადი ჩუენი მოყუასსა სათნო-ეყოფოდენ კეთილისათჳს აღსაშენებელად.
3. და რამეთუ ქრისტჱცა არა თავსა თჳსსა სათნო-ეყო, არამედ ეითარცა წერილ არს: ყუედრებანი მაყუედრებელთა შენთანი დამეცნეს ჩემ ზედა.
4. რამეთუ რაოდენი-იგი წინაწარ დაიწერა, ჩუენდა სამოძღურებელად დაიწერა, რაჲთა მოთმინებითა მით და ნუგეშინის-ცემითა წიგნთაჲთა სასოებაჲ გუაქუნდეს.
5. ხოლო ღმერთმან მოთმინებისამან და ნუგეშინის-ცემისამან მოგჳეცინ თქუენ იგიეე ზრახვად ურთიერთარს ქრისტე იესუჲს მიერ,
6. რაჲთა ერთბამად ერთითა პირითა ადიდებდეთ ღმერთსა და მამასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა.
7. ამისთჳს შეიწყნარებდით ურთიერთარს, ეითარცა-იგი ქრისტემან შეგიწყნარნა თქუენ სადიდებელად ღმრთისა.
8. ხოლო ეიტყჳ იესუ ქრისტესსა, რამეთუ მსახურ იქმნა წინადაცუეთილებისა ჭეშმარიტებისათჳს ღმრთისა, დასამტკიცებლად აღთქუმასა მას მამათასა,
9. ხოლო წარმართნი – წყალობისათჳს სადიდებელად ღმრთისა, ეითარცა წერილ არს: ამისთჳს აღგიარო შენ წარმართთა შორის, უფალო, და სახელსა შენსა უგალობდე.

10. და კუალად იტყჳს: ისარებდით წარმართნი ერისა მისისა თანა.
11. და კუალად იტყჳს: უგალობდით უფალსა ყოველი თესლები, და აქებდით მას ყოველი ერი.
12. და მერმე ესაია იტყჳს: და იყოს ძირი იგი იესესი, და რომელი-იგი აღდგომად არს მთავრად წარმართთა; და მას წარმართნი ესვიდენ.
13. ხოლო ღმერთმან სასოებისამან აღგავსენინ თქუენ ყოველითა სიხარულითა და მშჳდობითა სარწმუნოებად და აღმატებად თქუენდა სასოებითა და ძალითა სულისა წმიდისაჲთა.
14. მრწამს მე, ძმანო ჩემნო, თქუენთჳს, ვითარმედ თქუენცა სავსე ხართ სახიერებითა და აღსავსე ყოველითა მეცნიერებითა და შემძლებელ ურთიერთასცა სწაელად.
15. უკადნიერესად-რე მივწერე თქუენდა, ძმანო, ზოგს-რე, რაჲთა მოგაკსენო თქუენ მადლითა მით, რომელი მოცემულ არს ჩემდა ღმრთისა მიერ,
16. რაჲთა ვიყო მე მსახურ იესუ ქრისტესა წარმართთა მიმართ, მღდელობის მოღუაწე სახარებისა მის ღმრთისა, რაჲთა იყოს მსხუერპლი იგი წარმართთაჲ შეწირულ და განწმედილ სულითა წმიდითა.
17. მაქუს უკუე სიქადული ქრისტე იესუს მიერ ღმრთისა მიმართ.
18. რამეთუ არა ვიკადრო რაჲსამე სიტყუად, რომელი-იგი არა ქმნა ქრისტემან ჩემ მიერ დასამორჩილებელად წარმართთა სიტყჳთა და საქმითა.
19. ძალითა სასწაულებისა და ნიშებისაჲთა, ძალითა სულისა ღმრთისაჲთა, რაჲთა მე იერუსალჳმითგან და გარემო ვიდრე ილირიკიადმდე აღვასრულო სახარებაჲ იგი ქრისტესი.
20. ხოლო ესრეთ პატივ-ცემულ ვარ სახარებად, არა თუ საღა სახელ-დებულ არს ქრისტე, რაჲთა არა სხუასა საფუძველსა ზედა ვაშენებდე,
21. არამედ ვითარცა წერილ არს: რომელთა არა თხრობილ არს მისთჳს, იხილონ, და რომელთა არა სმენილ არს, გულისჴმა-ყონ.
22. ამისთჳსცა დავეყენე მისლვად თქუენდა.
23. ხოლო აწ არღარა მაქუნდა მე ადგილი ამიერ კერძოთა ამათ ადგილთა, და მსურის მოსლვაჲ თქუენდა მრაელით წლითგან.
24. და უკუეთუ წარვიდოდი სპანიად, მოვიდე თქუენდა, რამეთუ ვესავე, ვითარმედ, მი-რაჲ-ვიდოდი მუნ, გიხილნე თქუენცა, და თქუენ მიერ წარვიგზავნო მუნ, უკუეთუ თქუენითა ხილვითა ზოგს-რაჲმე განვძღე პირველად.
25. ხოლო აწ ესერა წარვალ

იერუსალჱმდ მსახურებად წმიდათა.
26. რამეთუ ჯერ-იჩინეს მაკედონიამან და აქაჲამან ზიარებისა რაჲმე ყოფად გლახაკთა მათთჳს წმიდათა, რომელნი არიან იერუსალჱმს.
27. ჯერ-იჩინეს და თანამდებცა არიან მათა. რამეთუ უკუეთუ სულიერთა მათ თანა-ეზიარნეს წარმართნი, თანა-აც და კორციელთა მათ შინა მსახურებად მათდა.
28. ესე უკუე აღვასრულო და დავჰბეჭდო ნაყოფსა მას მათსა და წარვიდე თქუენ მიერ სპანიად.
29. ხოლო ესე უწყი, რამეთუ მო-რაჲ-ვიდოდი თქუენდა, სავსებითა მით კურთხევისა სახარებისა ქრისტესითა მოვიდე.
30. ხოლო გლოცავ თქუენ, ძმანო, უფლისა ჩუენისა მიერ იესუ ქრისტესა და სიყუარულითა მით სულისაჲთა, თანა-მოღუაწე მექმნენით მე ლოცვათა შინა ჩემთჳს ღმრთისა მიმართ,
31. რაჲთა განვერე ურჩთა მათგან ჰურიასტანს და რაჲთა მსახურებაჲ ჩემი იერუსალჱმს შეწირულ იყოს წმიდათა მიმართ,
32. რაჲთა მხიარულებით მოვიდე თქუენდა ნებითა ღმრთისაჲთა და თქუენ თანა განვისუენო.
33. ხოლო ღმერთი მშჳდობისაჲ იყავნ თქუენ ყოველთა თანა. ამინ.

16

1. შეგვედრებ თქუენ ფიბეს, დასა ჩუენსა, რომელი-იგი არს მსახურ ეკლესიისა მის კენქრელთაჲსა,
2. რაჲთა იგი შეიწყნაროთ უფლისა მიერ ღირსად წმიდათა და თანა-დაუდგეთ მას, რომელიცა რაჲმე საქმე უკმდეს თქუენგან, და რამეთუ იგიცა მრავალთა თანა-მდგომ ექმნა და თჳთ მეცა.
3. კითხვაჲ არქუთ პრისკილას და აკულას, თანა-შემწეთა ჩემთა ქრისტე იესუჲს მიერ,
4. რომელთა-იგი სულისა ჩემისათჳს ქედნი მათნი წარუპყრნეს, რომელთადა არა მე ხოლო მადლიერ ვარ, არამედ ყოველნი ეკლესიანი წარმართთანი,
5. და სახლად-სახლად კრებულნი მათნი. კითხვაჲ არქუთ ეპენეტოსს, საყუარელსა ჩემსა, რომელი-იგი არს პირველი ნაყოფი აქაჲაჲსაჲ ქრისტეს მიმართ.
6. კითხვაჲ არქუთ მარიამს, რომელი-იგი ფრიად დაშურა თქუენდა მიმართ.
7. კითხვაჲ არქუთ ანდრონიკეს და იუნიანს, ნათესავთა ჩემთა და თანა-ტყუეთა ჩემთა, რომელნი არიან შესწავებულ მოციქულთა შორის, რომელნი ჩემსა წინაჲთცა იყვნეს ქრისტეს მიერ.
8. კითხვაჲ არქუთ ამპლიას, სა-

ყუარელსა ჩემსა, უფლისა მიერ.
9. კითხვაჲ არქუთ ურბანოსს, თანა-შემწესა ჩუენსა ქრისტეს მიერ, და სტაქეს, საყუარელსა ჩემსა.
10. კითხვაჲ არქუთ აპელეს, რჩეულსა ქრისტეს მიერ. კითხვაჲ არქუთ არისტუულესგანთა მათ.
11. კითხვაჲ არქუთ ეროდიონს, ნათესავსა ჩემსა. კითხვაჲ არქუთ ნარკისოჲსგანთა მათ უფლისა მიერ.
12. კითხვაჲ არქუთ ტრჳფენას და ტრჳფოსას, რომელნი მაშურაღ არიან უფლისა მიერ. კითხვაჲ არქუთ პერსიდას, საყუარელსა, რომელი ფრიად დაშურა უფლისა მიერ.
13. კითხვაჲ არქუთ რუფოსს, რჩეულსა უფლისა მიერ, და დედასა მისსა და ჩემსა.
14. კითხვაჲ არქუთ ასჳნკრიტეს, ფლეგონს, ერმეს, პატრობას, ერმის და მათ თანათა მათ ძმათა.
15. კითხვაჲ არქუთ ფილოლოგეს და იულიას, ნირეას და დასა მისსა და ულუმპას და მათ თანათა მათ ყოველთა წმიდათა.
16. მოიკითხეედით ურთიერთას ამბორის-ყოფითა წმიდითა. გიკითხვენ თქუენ ეკლესიანი ქრისტესნი.
17. გლოცავ თქუენ, ძმანო, ეკრძალებოდეთ მათგან, რომელნი-იგი წვალებასა და საცთურსა იქმან გარეშე მის მოძღურებისა, რომელი თქუენ გისწავიეს, და განეშორენით მათგან.
18. რამეთუ ეგევითარნი იგი უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა არა პმონებენ, არამედ თჳსსა მუცელსა და ტკბილაღ მეტყუელებითა მით და კურთხევითა აცთუნნიან გულნი უმანკოთანი.
19. რამეთუ თქუენი ეგე მორჩილებაჲ ყოველთა მიერ განთქუმულ არს; მიხარის უკუე თქუენთჳს და მნებავს თქუენი, რაჲთა ბრძენ იყვნეთ კეთილისათჳს და უმანკო — ბოროტისათჳს.
20. ხოლო ღმერთმან მშჯდობისამან შემუსრენ ეშმაკი ქუეშე ფერჯთა თქუენთა აღრე. მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი თქუენ ყოველთა თანა.
21. გიკითხვენ თქუენ ტიმოთე, შემწე ჩემი, და ლუკიოს და იასონ და სოსიპატროს, ნათესავნი ჩემნი.
22. გიკითხავ თქუენ მე, ტერტიოს, რომელმან დავწერე წიგნი ესე უფლისა მიერ.
23. გიკითხაეს თქუენ გაიოს, მესტუმრე ჩემი და ყოელისა ეკლესიისაჲ. გიკითხავს თქუენ ერასტოს, მნე ქალაქისაჲ, და კუარტოს ძმაჲ.
24. მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი თქუენ ყოველთა თანა. ამინ.

უწყებაჲ რომელი არს კორინთელთა მიმართ საბოლოქულოსა პირველისა წიგნისა მოციქულისა პავლესი

ხოლო კორინთელთა მიმართ პირველსა წიგნსა მიჰსწერს ეფესოღგან ასიისა, რამეთუ ესმილვნეს იგინი და ესწავა და მოაკსენებს მათ სამოციქულოთა ამით, ხოლო მიზეზი ეპისტოლისა ამის ესე არს, რამეთუ კორინთელნი მრავალთა რათა მე ცილობათაგან განიწვალებოდეს გონებითა და იყუნეს მათ შორის ჴლომანი და განსეთქილებისა მათისათჳს უდებ-ჰყუეს რომელმან-იგი მამის-ცოლი შეირთოს, და სხუათა ენება განშორებაჲ ცოლთა თჳსთა მიზეზითა მოღუაწებისაჲთა, და რომელნიმე საკერპოთა შინა ჰსჭამდეს ვითარმცა არა რაჲ ბრალი აქუნდა ჭამად ნაბორევთაგან, ხოლო სხუანი სხუათა უკუე შეურაცს-ჰყოფდეს, ხოლო რომელნიმე ენათა იტყოდენ სხუათა და სხუათა და იქადოდეს, და აღდგომისათჳს მკუდართაჲსა ჰსცდებოდეს რამეთუ იტყოდეს კორცნი ესე არა აღდგებიანო. ამა ყოველთა მიზეზთათჳს მიუწერა ერმან კორინთელთამან მოციქულსა, და ესრეთ ყოველთა მიუწერს წიგნსა ამას და პირველად უკუე ჰსწამებს გონიერებასა მათსა და მეცნიერებასა, და აბრალებს ჴლომათა მათთჳს და განხეთქილებათა, და შემდგომად განაზრახებს რაჲთა სათნოებაჲ არა სიტყჳთა, არამედ საქმითა და ძალითა მოიგონ, მერმეღა შეჰრისხნა რომელმან მამის ცოლი შეირთო, ამცნო, რაჲთა არა აქუნდეს საშჯელი ურთიერთისა, და მერმე მიუწერს მათ პასუხსა რომლისათჳს იგი მიუწერს, ქორწინებისათჳს უკუე ასწავებს ვითარმედ განუყოფელ-არს მეუღლეობა, და ჟამ რაოდენმე მოიცლიდენ ლოცვისათჳს, და სიწმიდისა და ქალწულებისათჳის მისწერს რამეთუ არა იძულებით, არამედ ნებსით ყოფად ამისი ჯერ-არს, ეგრეთვე ნაკერპავთათჳს აუწყებს რაჲთა მეცნიერებით არა მიიღებდენ, არამედ სიყუარულით მოქალაქობდენ, ხოლო დააყენებს საკერპოთა შინა შესლვად, რაჲთა არა დააბრკოლონ მცირენი, ესრეთ მაღლთათჳს სულიერთა მიჰსწერს, რაჲთა არა განჰსწვალებდენ მაღლთა, არცა დააკნინებდენ, გინა განადიდებდენ რომელთა აქუნდეს იგი რამეთუ ყოველივე ერთისა სულისაგან არს, და აღდგომისათჳს ასწავებს ვითარმედ კორცი აღსდგების დაეთესეის ხრწნილებით ხოლო აღჰსდგების უხრწნელებით მაღლითა ქრისტესითა, ხოლო აღდგომასა დაამტკიცებს ამით, რამეთუ ქრისტეცა აღჰსდგა და აღსასრულსა მოძღურებისა სიტყუათასა წარმართებისა მიმართ წესიერებათასა მიჰსწერს და ქუელის საქმისათჳს წმიდათასა აუწყებ, ესრეთ აღასრულებს ეპისტოლესა თჳსსა.

პავლე მოციქულისა წიგნი კორინთელთა მეორე პირველი

1

1. პავლე, ჩინებული მოციქული იესუ ქრისტესი ნებითა ღმრთისაჲთა, და სოსთენე ძმაჲ,
2. ეკლესიასა ღმრთისასა, რომელი არს კორინთეს შინა, განწმედილთა ქრისტე იესუჲს მიერ, ჩინებულთა წმიდათა, ყოველთა თანა, რომელნი ხადიან სახელსა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, ყოველსა ადგილსა მათსა და ჩუენსა:
3. მადლი თქუენდა და მშჳდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა იესუ ქრისტესა.
4. ვჰმადლობ ღმერთსა ჩემსა მარადის თქუენთჳს მადლსა მას ზედა ღმრთისასა, მოცემულსა თქუენდა ქრისტე იესუჲს მიერ.
5. რამეთუ ყოვლითა განჰმდიდრდით მას შინა, ყოვლითა სიტყჳთა და ყოვლითა მეცნიერებითა,
6. ვითარცა წამებაჲ იგი ქრისტესი განმტკიცნა თქუენ შორის,
7. რაჲთა თქუენ არარაჲთ ნაკლულეან იყვნეთ არცა ერთითა მადლითა და მოელოდით გამოჩინებასა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა.
8. რომელმანცა დაგამტკიცნეს თქუენ ვიდრე აღსასრულადმდე უბრალონი ღღესა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა.
9. სარწმუნო არს ღმერთი, რომლისა მიერ იჩინენით ზიარებასა მას ძისა მისისასა იესუ ქრისტეს უფლისა ჩუენისასა.
10. ხოლო გლოცაე თქუენ, ძმანო, სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რაჲთა მასვე იტყოდით ყოველნი, და ნუ იყოფინ თქუენ შორის წვალება, არამედ იყვენით განმტკიცებულნი მითვე გონებითა და მითვე მეცნიერებითა.
11. რამეთუ მეუწყა მე თქუენთჳს, ძმანო ჩემნო, ქლოველთა მათგან, ვითარმედ კდომა რაჲმე არიან თქუენ შორის.
12. ხოლო ვიტყჳ ამას, რამეთუ კაცად-კაცადი თქუენი იტყჳს, ვითარმედ: მე პავლესი ვარ, ხოლო მე – აპოლოჲსი, ხოლო მე – კეფაჲსი, ხოლო მე – ქრისტესი.
13. განმე-ყოფილ არსა ქრისტე? ნუ პავლე ჯუარს-ეცუა თქუენთჳს? ანუ სახელისა მიმართ პავლესისა ნათელ-იღეთა?
14. ვჰმადლობ ღმერთსა, რამეთუ არავის თქუენგანსა ნათელ-ვეც, გარნა კრისპოსს და გაიოსს,
15. რაჲთა არავინ თქუას, ვითარმედ: სახელითა ჩემითა ნათელ-ვეც.
16. ხოლო ნათელ-ვეც სტეფანაჲსცა სახლსა, მერმე არა ვი-

ცი, უკუეთუ ვისმე ნათელ-ვეც სხუასა.
17. რამეთუ არა მომავლინა მე ქრისტემან ნათლის-ცემად, არამედ სახარებად, არა სიბრძნისა სიტყუთა, რაჲთა არა ცალიერ იყოს ჯუარი იგი ქრისტესი.
18. რამეთუ სიტყუაჲ იგი ჯუარისაჲ წარწყმედულთა მათთჳს სიცოფე არს, ხოლო ჩუენ ცხორებულთა ამათთჳს ძალ ღმრთისა არს.
19. რამეთუ წერილ არს: წარვწყმიდო სიბრძნე იგი ბრძენთაჲ და მეცნიერებაჲ იგი მეცნიერთაჲ შეურაცხ-ვყო.
20. სად არს ბრძენი? სადა არს მწიგნობარი? სადა არს გამომეძიებელი იგი ამის სოფლისაჲ? ანუ არა განაცოფა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისაჲ?
21. რამეთუ ვინაჲთგან სიბრძნითა მით ღმრთისაჲთა ვერ იცნა სოფელმან სიბრძნითა თჳსითა ღმერთი, ჯერ-ჰჩინა ღმერთმან ქადაგებითა მით სისულელისაჲთა ცხორებაჲ მორწმუნეთაჲ მათ.
22. ვინაჲთგან ჰურიანიცა სასწაულსა ითხოვენ, და წარმართნი სიბრძნესა ეძიებენ.
23. ხოლო ჩუენ ვქადაგებთ ქრისტესა ჯუარ-ცუმულსა: ჰურიათა სამე საცთურ და წარმართთა სისულელე.
24. ხოლო მათვე ჩინებულთა ჰურიათა და წარმართთა ქრისტე ღმრთისა ძალ არს და ღმრთისა სიბრძნე.
25. რამეთუ სულელი იგი ღმრთისაჲ უბრძნეს კაცთა არს, და უძლური იგი ღმრთისაჲ უძლიერეს კაცთა არს.
26. რამეთუ იხილეთ-ღა ჩინებულებაჲ ეგე თქუენი, ძმანო: არა მრავალნი ბრძენ არიანა კორციელად, არა მრავალნი ძლიერ არიანა, არა მრავალნი აზნაურ არიანა?
27. არამედ სულელნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, რაჲთა არცხჳნოს ბრძენთა და უძლურნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, რაჲთა არცხჳნოს ძლიერთა.
28. და უაზნონი იგი სოფლისანი და შეურაცხნი გამოირჩინა ღმერთმან და არა-არსნი იგი, რაჲთა არსნი იგი განაქარენეს;
29. რაჲთა არა იქადოს ყოველმან კორციელმან წინაშე ღმრთისა.
30. მისგან თქუენ ხართ ქრისტე იესუჲს მიერ, რომელი-იგი იქმნა ჩუენდა სიბრძნე ღმრთისა მიერ, სიმართლე, სიწმიდე და გამოჯნა.
31. რაჲთა, ვითარცა-იგი წერილ არს: რომელი-იგი იქადოდის, უფლისა მიერ იქადოდის.

2

1. და მე მო-რაჲ-ვედ თქუენდა, ძმანო, არა მოვედ მეტნობისა

სიტყუთა სიბრძნისაჲთა მითხრობად თქუენდა წამებაჲ იგი ღმრთისაჲ.

2. რამეთუ არარაჲ სსუაჲ დავიდევ გულსა ჩემსა უწყებად თქუენდა, გარნა ქრისტე იესუ და ესეცა ჯუარ-ცუმული.

3. და მე უძლურებასა შინა და შიშსა და ძრწოლასა მრავალსა ვიყავ თქუენდა მიმართ.

4. და სიტყუაჲ ჩემი და ქადაგებაჲ ჩემი არა რწმუნებითა კაცობრივისა სიბრძნისა სიტყუათაჲთა, არამედ გამოცსადებითა სულისაჲთა და ძალითა,

5. რაჲთა სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი არა იყოს სიბრძნითა კაცთაჲთა, არამედ ძალითა ღმრთისაჲთა.

6. სოლო სიბრძნესა ვიტყუთ სრულთა მათ მიმართ, ხოლო სიბრძნესა არა ამის სოფლისასა, არცა მთავართა მათ სოფლისათა, რომელნი განქარეებად არიან,

7. არამედ ვიტყუთ სიბრძნესა ღმრთისასა, საიდუმლოდ დაფარულსა მას, რომელი-იგი პირველადვე განაჩინა ღმერთმან უწინარეს საუკუნეთა საღიდებელად ჩუენდა.

8. რომელ-იგი არავინ მთავართაგანმან ამის სოფლისამან იცნა, რამეთუ უკუეთუმცა ეცნა, არამცა უფალი იგი დიდებისაჲ ჯუარს-ეცუა.

9. არამედ ვითარცა წერილ-არს: რომელი თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუკდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თჳსთა.

10. ხოლო ჩუენ ღმერთმან გამოგჳცსადა სულისა მიერ თჳსისა; რამეთუ სული ყოველსავე გამოეძიებს, და სიღრმესაცა ღმრთისასა.

11. რამეთუ ვინ-მე უკუე იცის კაცმან კაცისაჲ, გარნა სულმანვე კაცისამან, რომელი არს მის თანა? ეგრეცა ღმრთისაჲ არავინ იცის, გარნა სულმანვე ღმრთისამან.

12. ხოლო ჩუენ სული არა ამის სოფლისაჲ მოგჳღებიეს, არამედ სული იგი, რომელ არს ღმრთისაგან, რაჲთა ვიცოდით ღმრთისა მიერ მონიჭებული იგი ჩუენდა;

13. რომელსაცა-ესე ვიტყუთ არა სწაელულებითა კაცობრივისა სიბრძნისა სიტყუათაჲთა, არამედ სწაელითა სულისა წმიდისაჲთა სულიერთა სულიერად შევატყუებთ.

14. ხოლო მშჯნეიერი კაცი არა შეიწყნარებს სულსა ღმრთისაჲსა, რამეთუ სიცოფე უჩნს მას, და ვერ შემძლებელ არს ცნობად, რამეთუ სულიერად განიკითხვინ.

15. ხოლო სულიერი განიკითხავს ყოველსავე, და იგი არავისგან განიკითხვის.

16. რამეთუ ვინ ცნა გონებაჲ უფლისაჲ, რაჲთამცა აბრახა მას? ხოლო ჩუენ გონებაჲ ქრისტესი გუაქუს.

3

1. და მე, ძმანო, ვერ უძლე სიტყუად თქუენდა, ვითარცა სულიერთა, არამედ ვითარცა ჴორციელთა, ვითარცა ჩჩჳლთა ქრისტეს მიერ.
2. სძე გასუ თქუენ და არა საჭმელი, რამეთუ არღა გეძლო, არამედ არცაღა აწ გიძლავს,
3. რამეთუ წუთღა ჴორციელნი ხართ. რამეთუ სადაღა თქუენ შორის შური და კღომაჲ და განწჳალებანი, არა ჴორციელ-ნიღა ხართა და კაცობრივ იქცევით?
4. რამეთუ რაჟამს ვინმე იტყოდის,ვითარმედ: მე პაელესი ვარ, და სხუაჲ იტყოდის: მე აპოლოჲსი ვარ, არა ჴორციელ-ნიღა ხართა?
5. რამეთუ რაჲ არს პაელე? ანუ რაჲ არს აპოლო? არამედ მსახურნი, რომელთაგან თქუენ გრწმენა, და კაცად-კაცადსა ვითარცა უფალმან მისცა.
6. მე დავასხ, აპოლო მორწყო, ხოლო ღმერთმან აღაორძინა.
7. აწ უკუე არცა დამსხმელი რაჲ არს, არცა მომრწყველი, არამედ აღმაორძინებელი ღმერთი.
8. ხოლო დამსხმელი იგი და მომრწყველი ერთ არიან; და კაცად-კაცადმან თჳსი სასყიდელი მიიღოს თჳსისაებრ შრომისა.
9. რამეთუ ღმრთისა თანა-შემწენი ვართ; ღმრთისა ნამუშაკევნი, ღმრთისა აღშენებულნი ხართ.
10. მადლითა მით ღმრთისაჲთა, მოცემულითა ჩემდა, ვითარცა ბრძენმან ხუროთმოძღუარმან, საფუძველი დავდევ, ხოლო სხუაჲ იგი აშენებდინ. ხოლო კაცად-კაცადი ეკრძალენ, ვითარ-ძი აშენებდეს.
11. რამეთუ საფუძველი სხუაჲ ვერვის ქელ-ეწიფების დაღებად გარეშე მისსა, რომელი-იგი დადებულ არს, რომელ არს იესუ ქრისტე.
12. უკუეთუ ვინმე აშენებდეს საფუძველსა ამას ზედა ოქროსა, ვეცხლსა, ანთრაკთა პატიოსანთა, ძელსა, თიჳასა, ლერწამსა,
13. კაცად-კაცადისა იგი საქმე გამოცხადნეს, რამეთუ დღემან მან გამოაცხადოს, რამეთუ ცეცხლითა გამოჩინებად არს; და კაცად-კაცადისა იგი საქმე, ვითარ-რაჲ იყოს, ცეცხლმან გამოცადოს.
14. რომლისა-იგი საქმე ეგოს, რომელ აღაშენა, სასყიდელი მოიღოს.
15. რომლისა-იგი საქმე დაიწუეს, იზღეიოს; ხოლო იგი განეჴრეს და ეგრეთ განერეს, ვითარცა ცეცხლისაგან.

16. არა უწყითა, რამეთუ ტაძარნი ღმრთისანი ხართ, და სული ღმრთისაჲ დამკჳდრებულ არს თქუენ შორის?
17. რომელმან ტაძარი ღმრთისაჲ განსრწნეს, განსრწნეს იგიცა ღმერთმან; რამეთუ ტაძარი ღმრთისაჲ წმიდა არს, რომელ-ეგე ხართ თქუენ.
18. ნუეინ თავსა თჳსსა აცთუნებნ. უკუეთუ ვისმე ბრძენ ჰგონიეს თავი თჳსი თქუენ შორის ამას სოფელსა, სულელ იქმენინ, რაჲთა იყოს იგი ბრძენ.
19. რამეთუ სიბრძნე ამის სოფლისაჲ სიცოფე არს წინაშე ღმრთისა, რამეთუ წერილ არს: რომელმან შეპყრნის ბრძენნი სიცრაგითა მათითა.
20. და კუალად იტყჳს: უფალმან უწყნის ზრახვანი ბრძენთანი, რამეთუ არიან ამაო.
21. ეინაჲცა ნუეინ იქადინ კაცთაგანი, რამეთუ ყოველიეე თქუენი არს:
22. გინა თუ პაელე, გინა თუ აპოლო, გინა თუ კეფა, გინა თუ სოფელი, გინა თუ ცხორებაჲ, გინა თუ სიკუდილი, გინა თუ აწინდელი ჟამი, გინა თუ მერმე იგი ჟამი – ყოველიეე თქუენი არს.
23. ხოლო თქუენ – ქრისტესნი, ხოლო ქრისტე – ღმრთისაჲ.

4

1. ესრეთ შემრაცხენინ ჩუენ კაცმან, ვითარცა მსახურნი ქრისტესნი და მნენი საიდუმლოთა ღმრთისათანი.
2. ხოლო აქა ამიერითგან საძიებელ არს მნეთა მათ შორის, რაჲთა სარწმუნო ვინმე იპოოს.
3. სოლო ჩემდა საწუნელება არს, უკუეთუ თქუენ მიერ განვიკითხო გინა თუ კაცობრიეისაგან დღისა; არამედ არცაღა თავსა ჩემსა განვიკითხავ.
4. რამეთუ არარაჲ თავსა ჩემსა შემიცნობიეს, არამედ არა თუ ამით განემართლდები; ხოლო განმკითხველი ჩემი უფალი არს.
5. ამისთჳს ნუ წინაწარ ჟამსა რას განიკითხაეთ, ვიდრემდის მოვიდეს უფალი, რომელმანცა განანათლოს დაფარული იგი ბნელისაჲ და განაცხადნეს ზრახვანი იგი გულთანი, და მაშინ ქებაჲ იყოს კაცად-კაცადისაჲ ღმრთისა მიერ.
6. ხოლო ესე, ძმანო, სახედ დავდევ თავისა ჩემისა და აპოლოჲსა თქუენთჳს, რაჲთა ჩუენ მიერ ისწაოთ, არა უფროჲს წერილისა მის ზრახვად; რაჲთა არა ერთი-ერთსა ზედა განჰლაღნეთ მოყუსისათჳს.
7. რამეთუ ეინ განგიკითხავს შენ? ანუ რაჲ გაქუს, რომელი არა მიგიღებიეს? ხოლო უკუეთუ მიგიღებიეს, რაჲსა იქადი, ვითარცა არა-მიღებულსა?
8. აწვე განმაძღარ ხართ და აწვე განჰმსდიდრდით და თჳნიერ

ჩუენსა სუფევდით. და თუმცა სუფევდით, რაჲთა ჩუენცა თქუენ თანა ვსუფევდეთ!
9. რამეთუ ვჰგონებ, ვითარმედ ღმერთმან ჩუენ მოციქულნი უკუანაჲსკნელად გამოგუაჩინა ვითარცა სასიკუდინენი, რამეთუ სახილველ ვიქმნენით სოფლისა და ანგელოზთა და კაცთა.
10. ჩუენ სულელ ქრისტესთჳს, ხოლო თქუენ ბრძენ ქრისტეს მიერ; ჩუენ უძლურ, სოლო თქუენ ძლიერ; თქუენ დიდებულ, ხოლო ჩუენ გინებულ.
11. ვიდრე აქა ჟამადმდე გუშიისცა და გუწყურისცა, შიშველ ვართ და ვიქენჯნებით, და განუსუენებელ ვართ და ეშურებით,
12. რამეთუ ვიქმთ კელითა ჩუენითა. მაგინებელთა ჩუენთა ვაკურთხევთ; ვიდევნებით და თაეს-ვიდებთ;
13. მგმობართა ჩუენთა ულოცავთ, ვითარცა ნარჩევნი სოფლისანი შევიქმნენით, ყოველთა ნასხურ მოაქამდე.
14. არა საკდემელად თქუენდა მივსწერ ამას, არამედ ვითარცა შვილთა ჩემთა საყუარელთა გასწავებ.
15. რამეთუ დაღათუ ბევრ მჴარდულ გესხნენ ქრისტეს მიერ. არამედ არა მრავალ მამა, რამეთუ ქრისტე იესუჲს მიერ სახარებისა მისგან მე გშვენ თქუენ.
16. გლოცავ თქუენ, მობაძავ ჩემდა იყვენით.
17. ამისათჳს მივაელინე თქუენდა ტიმოთე, რომელ არს შვილი ჩემი საყუარელი და სარწმუნოჲ უფლისა მიერ, რომელმან მოგაკსენნეს თქუენ გზანი ჩემნი ქრისტეს მიერ, ვითარცაიგი ყოველთა აღგილთა ყოველთა ეკლესიათა ვასწავებ.
18. რაჲთა არა მოსლვასა მას ჩემსა თქუენდა განვიეთნიმეცლაღნენ.
19. ხოლო მოვიდე აღრე თქუენდა, უფალსა თუ უნდეს, და ვცნა არა სიტყუაჲ იგი განლაღებულთაჲ მათ, არამედ ძალი,
20. რამეთუ არა სიტყჳთა არს სასუფეველი ღმრთისაჲ, არამედ ძალითა.
21. რაჲ გნებაეს? კუერთხითა მოვიდე თქუენდა, ანუ სიყუარულითა და სულითა მშჯდობისაჲთა?

5

1. ყოველადვე ისმის, რაჲსა თქუენ შორის სიძვაჲ და ეგევითარი სიძვაჲ, რომელ არცა თუ წარმართთა შორის სახელ-ედების, ვითარმცა მამის ცოლი ვისმე ცოლად ესუა.
2. და თქუენ განლაღებულ ხართ და არა უფროჲსად იგლოვეთ, რაჲთა მოისპოს თქუენ შორის, რომელმან საქმე ესე

ქმნა.
3. რამეთუ მე შორს ღათუ ვარ კორცითა, ხოლო მახლობელ სულითა; და აწ ეგრეთ შემირაცხიეს, ვითარცა მანდა მყოფსა ეგევითარისა მისთჳს, რომელმან საქმე იგი ქმნა,
4. სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, შეკრებასა სულისა ჩემისა და თქუენისასა, ძალითურთ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა
5. მიცემად ეგევითარი იგი ეშმაკსა სატანჯველად კორცითა, რაჲთა სული ცხონდეს დღესა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა.
6. არა კეთილ არს სიქადული ეგე თქუენი; არა უწყითა, რამეთუ მცირემან ცომმან ყოველიეე შესუარული აღაფუენის?
7. განწმიდეთ უკუე ძუელი იგი ცომი, რაჲთა იყვნეთ ახალ თბე, ვითარცა-ეგე სართ უცომო, რამეთუ ზატიკად ჩუენთჳს დაიკლა ქრისტე.
8. რაჲთა ვზატიკობდეთ არა ცომითა მით ძუელითა, არცა ცომითა მით სიბოროტისა და უკეთურებისაჲთა, არამედ უცომოჲთა მით სიმართლისა და ჭეშმარიტებისაჲთა.
9. მოეწერე თქუენდა წიგნსა ამას შინა: ნუ თანა-აღერევით მეძავთა;
10. და არა თუ ყოველთა მეძავთა ამის სოფლისათა, გინა ანგაჰრთა, გინა მტაცებელთა, გინა კერპთ-მსახურთა; უკუეთუ არა, თანა-გაც სამე სოფლით გამოსლეაჲ.
11. ხოლო აწ მიეწერე თქუენდა: ნუ თანა-აღერევით, უკუეთუ ვინმე ძმაჲ სახელ-დებულ იყოს მეძავ ანუ ანგაჰრ, გინა კერპთ-მსახურ, გინა მაგინებელ, გინა მომთრეალე, ანუ მტაცებელ; ესევითარისა მის თანა არცაღა ჭამად.
12. რამეთუ რაჲ ძეს ჩემი და გარეშეთა მათ განკითხვაჲ? ანუ არა შინაგანნი იგი თქუენ განიკითხნეთა?
13. ხოლო გარეშენი იგი ღმერთმან განიკითხნეს; და მოსპოთ უკეთური იგი შორის თქუენსა.

6

1. იკადროს-მე ვინ თქუენ შორის, რომელსამცა საქმე აქუნდა მოყუსისა მიმართ, განშჯად ცრუთა წინაშე და არა უფროჲსღა წმიდათა წინაშე?
2. არა უწყითა, რამეთუ წმიდათა სოფელი განიკითხონ? და უკუეთუ თქუენგან განიკითხვის სოფელი, არა ჰღირთა სამშჯავროჲსა მის საწუნელისა?
3. არა უწყითა, რამეთუ ანგელოზნი განვიკითხნეთ, ნუუკუე ამის სოფლისაჲცა?
4. უკუეთუ ამის სოფლისა სამშჯავროჲ რაჲმე გაქუნდეს, შეურაცხნი იგი კრებულსა შორის,

ესენი დასხენით?
5. საკდემელად თქუენდა გეტყჳ: ეგოდენ არავინ არს თქუენ შორის ბრძენ, რომელმანცა შეუძლო განკითხვად შორის ძმისა თჳსისა?
6. არამედ ძმაჲ ძმისა თჳნა განისჯების, და ესე ურწმუნოთა წინაშე.
7. აწ უკუე ყოველითურთ ძლეულება არს თქუენდა ესე, რამეთუ საშჯელი გიც ურთიერთარს. რაჲსათჳს არა უფროჲსად თქუენ გევნების? რაჲსათჳს არა უფროჲსღა თქუენ მიგეხუეჭების?
8. არამედ თქუენ აგნებთ და მოჰხუეჭთ, და ამას ძმათა.
9. ანუ არა უწყითა, რამეთუ ცრუთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკჳდრონ? ნუ სცთებით: არცა მეძავთა, არცა კერპთმსახურთა, არცა მემრუშეთა, არცა ჩუკენთა, არცა მამათ-მავალთა, არც ანგაჰრთა,
10. არცა მპარაეთა, არცა მომთრეალეთა,არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკჳდრონ.
11. და ესრეთ ოდესმე იყვენით, არამედ განიბანენით, არამედ განიწმიდენით, არამედ განჰმართლდით სახელითა უფლისა იესუჲსითა და სულითა ღმრთისა ჩუენისაჲთა.
12. ყოველივე ჯერ-არს ჩემდა, არამედ არა ყოველი უმჯობეს არს; ყოველივე ჯერ-არს ჩემდა, არამედ მე არავისსა კელმწიფებასა დაევემორჩილო.
13. საზრდელი მუცლისათჳს და მუცელი საზრდელისათჳს; ხოლო ღმერთმან იგიცა და ესეცა განაქარეოს; ხოლო კორცნი ესე არა სიძვისათჳს, არამედ უფლისათჳს, და უფალი კორცთათჳს.
14. ხოლო ღმერთმან უფალიცა აღადგინა და ჩუენცა აღმადგინნეს ძალითა თჳსითა.
15. არა უწყითა, რამეთუ კორცნი ეგე თქუენნი ასონი ქრისტესნი არიან? აღ-უკუე-ეისუნეა ასონი იგი ქრისტესნი და ვყუნე ასო მეძავის? ნუ იყოფინ!
16. არა უწყითა, რამეთუ რომელი შეეყოს მეძავსა, ერთ კორც არიან? რამეთუ იტყჳს: იყვნენ ორნიე ერთ კორც.
17. ხოლო რომელი შეეყოს უფალსა, ერთ სულ არს.
18. ეელტოდეთ სიძვასა, ყოველი ცოდვაჲ, რომელი ქმნეს კაცმან, გარეშე კორცთა არს; ხოლო რომელი ისიძვიდეს, თჳსთა მიმართ კორცთა ცოდავს.
19. არა უწყითა, რამეთუ კორცნი ეგე თქუენნი ტაძარნი თქუენ შორის სულისა წმიდისანი არიან, რომელ-ეგე გაქუს ღმრთისაგან, და არა ხართ თჳსთა თავთანი?
20.რამეთუ სასყიდლით სყიდულ ხართ. ადიდეთ უკუე ღმერთი

კორციითა მაგით თქუენითა, [და სულითა მაგით თქუენითა], რომელი-იგი არს ღმრთისაჲ.

7

1. ხოლო რომლისათჳს-იგი მოსწერეთ ჩემდა, უმჯობეს არს კაცისა დედაკაცისა შე-ეე არა-ხებაჲ.
2. ხოლო სიძეისათჳს, კაცად-კაცადსა თჳსი ცოლი ესჯნ, და თჳთოეულსა თჳსი ქმარი ესჯნ.
3. ცოლსა ქმარი იგი თანა-ნადებსა პატიჳსა მისცემდინ, ეგრეთცა ცოლი – ქმარსა.
4. ცოლი თჳსთა კორცთა ზედა არა უფალ არს, არამედ ქმარი; ეგრეთცა და ქმარიცა თჳსთა კორცთა ზედა არა უფალ არს, არამედ ცოლი.
5. ნუ განეშორებით ურთიერთას, გარნა თუ შეთქუმით რაჲმე, ჟამ რაედენმე, რაჲთა მოიცალოთ ლოცვად და მარხვად; და კუალად ურთიერთასვე იყუენით, რაჲთა არა განგცადნეს თქუენ ეშმაკმან უთმინოებითა თქუენითა.
6. ხოლო ამას ვიტყჳ შენდობით, არა თუ ბრძანებით.
7. რამეთუ მნებავს ყოელისა კაცისა ყოფად, ვითარცა თავი ჩემი; არამედ კაცად-კაცადსა თჳსი მაღლი აქუს ღმრთისაგან, რომელსამე ესრეთ და რომელსამე ეგრეთ.
8. ვეტყჳ უქორწინებელთა მათ და ქურიეთა: კეთილ არს მათდა, უკუეთუ ეგნენ ესრეთ, ვითარცა მე.
9. ხოლო უკუეთუ ვერ დაითმენენ, იქორწინნედ; რამეთუ უმჯობეს არს ქორწინებაჲ, ვიდრე განკურვებაჲ.
10. ხოლო ქორწინებულთა მათ ვამცნებ არა მე, არამედ უფალი: ცოლსა ქმრისაგან არა განშორებად.
11. ხოლო უკუეთუ განეშოროს, ეგენ უქორწინებელად, გინა ქმარსაჲე დაეგენ; და ქმარი ცოლსა ნუ დაუტეჳებენ.
12. ხოლო სხუათა მათ ვეტყჳ მე, არა უფალი: უკუეთუ ძმასა ესმე ესუას ცოლი ურწმუნოჲ და მას ჯერ-უჩნდეს ყოფაჲ მის თანა, ნუ დაუტეობენ ცოლსა მას.
13. და დედაკაცსა თუ ესუას ქმარი ურწმუნოჲ და მას ჯერ-უჩნდეს ყოფაჲ მის თანა, ნუ დაუტეჳებენ ქმარსა მას.
14. რამეთუ განწმიდნების ქმარი იგი ურწმუნოჲ ცოლისა მისგან მორწმუნისა და განწმიდნების ცოლი იგი ურწმუნოჲ ქმრისა მისგან მორწმუნისა, უკუეთუ არა, შვილნიმცა თქუენნი არაწმიდა იყუნეს, ხოლო აწ წმიდა არიან.
15. ხოლო უკუეთუ ურწმუნოჲ იგი განეყენებოდის, განეყენენ; არა დამონებულ არს ძმაჲ იგი გინა დაჲ იგი ესევითართა მათ, რამეთუ მშჳდობასა გჳწოდნა

ჩუენ ღმერთმან.
16. რამეთუ რაჲ იცი, დედაკაცო, აცხოენო თუ ქმარი შენი? ანუ შენ რაჲ იცი, მამაკაცო, აცხოენო თუ ცოლი შენი?
17. არამედ კაცად-კაცადსა ეითარცა განუყო ღმერთმან, და კაცად-კაცადი, ეითარცა იჩინა უფალმან, ეგრეცა ვიდოდენ. და ესრეთვე ყოველთა ეკლესიათა უბრძანებ.
18. წინადაცუეთილი თუ ვინმე იჩინა, ნუ იურვინ; წინა-დაუცუეთელი თუ ვინმე იჩინა, ნუ წინა-დაიცუეთნ.
19. წინა-დაცუეთილებაჲ არარაჲ არს და წინა-დაუცუეთილებაჲ არარაჲვე არს, არამედ დამარხეაჲ მცნებათა ღმრთისათაჲ.
20. კაცად-კაცადი ჩინებითა მით, რომლითაცა იჩინა, მას ზედაცა ეგენ.
21. მონაჲ თუ იჩინე, ნურაჲ გეურევებინ; არამედ დაღათუ ძალ-გედვას განთავისუფლებად, უფროჲსღა იკუმიე.
22. რამეთუ რომელი უფლისა მიერ იჩინოს მონაჲ, უფლისა მიერ განთავისუფლებულ არს; ეგრეთცა აზნაური, რომელი იჩინოს, მონაჲ არს ქრისტესი.
23. სასყიდლით სყიდულ ხართ; ნუ იქმნებით მონა კაცთა.
24. კაცად-კაცადი რომლითაცა იჩინა, ძმანო, მას ზედაცა ეგენ ღმრთისა მიერ.
25. ხოლო ქალწულთათჳს ბრძანებაჲ უფლისა მიერ არა მაქუს; ხოლო ვაბრახებ, ეითარცა შეწყალებული უფლისა მიერ, სარწმუნო ყოფილ.
26. მე ეგრე ვჰგონებ, ეითარმედ: ესე კეთილ არს მოწევნულისა მისთჳს ურვისა, რამეთუ უმჯობეს არს კაცისა, ესრეთ თუ იყოს.
27. შე-თუ-ყოფილ ხარ ცოლსა, ნუ განუტეევებ; თავისუფალ თუ ხარ ცოლისაგან, ნუ ეძიებ ცოლსა.
28. იქორწინე თუ, არაჲ სცოდე; და თუ იქორწინოს ქალწული, არაჲ ცოდა. ჭირი კორცთაჲ თაეს-იდვიან ეგეეითართა მათ; ხოლო მე თქუენ გერიდები.
29. ხოლო ამას გეტყჳ, ძმანო, ჟამი ესე შემოკლებულ არს ამიერითგან; და რაჲთა რომელთა ესხნენ ცოლ, ესრეთ იყუნენ, ეითარმცა არა ესხნეს;
30. და რომელნი ტიროდინ, ეითარმცა არა ტიროდეს; და რომელთა უხაროდის, ეითარმცა არა უხარის; და რომელნი იყიდდენ, ეითარმცა არაჲ აქუნდა;
31. და რომელნი იმსახურებდენ სოფელსა ამას, ეითარმცა არა იმსახურებენ, რამეთუ წარმავალ არს ხატი ამის სოფლისაჲ.
32. და მნებავს თქუენი, რაჲთა უზრუნველ იყუნეთ. უქორწინებელი იგი ზრუნავს უფლისასა, ეითარ-ძი სათნო-ეყოს უფალსა,

33. ხოლო ქორწინებული ზრუნავს სოფლისასა, ვითარ-ძი სათნო-ეყოს ცოლსა.
34. განყოფილ არს დედაკაცია იგი და ქალწული. უქორწინებელი იგი ზრუნავს უფლისასა, რაჲთა იყოს წმიდა კორცითაცა და სულითაცა; ხოლო ქორწინებული ზრუნავს სოფლისასა, ვითარ-ძი სათნო-ეყოს ქმარსა.
35. ხოლო ამას თქუენისა უმჯობესისათჳს ვიტყჳ, არა რაჲთა საფრკე დაგიგო თქუენ, არამედ შუენიერად და კეთილად დადგრომად უფლისა მიმართ უზრუნველად.
36. უკუეთუ ვისმე სარცხჳნელ უჩნდეს ქალწულებაჲ თჳსი, იყოს თუ გარდასრულ, და ეგრეთ ჯერ-უჩნდეს ყოფად, რომელი უნდეს, ყავნ, არა ცოდაეს; იქორწინედ.
37. ხოლო რომლისასა დამტკიცებულ არს გულსა მისსა მტკიცედ და არა აქუს ურვაჲ და კელმწიფებაჲ აქუს თჳსსა ნებასა ზედა და ესე განაჩინა გულსა შინა თჳსსა დამარხვად თჳსი ქალწულებაჲ, კეთილად ჰყოფს.
38. და რომელმან იქორწინოს თჳსი იგი ქალწულებაჲ, კეთილად ჰყოფს. ხოლო რომელმან არა იქორწინოს, უმჯობესსა ჰყოფს.
39. დედაკაცი შეკრულ არს შჯულითა, რაოდენ ჟამ ცოცხალ არს ქმარი მისი. ხოლო უკუეთუ მოკუდეს ქმარი იგი, თაეისუფალ არს, უნდეს თუ ქორწინებაჲ, გარნა ხოლო უფლისა მიერ.
40. ხოლო უსანატრელეს არს, უკუეთუ ეგრეთ დააღგრეს ზრახებისა ჩემისაებრ. ეჰგონებ, ვითარმედ სული ღმრთისაჲ მაქუს მე.

8

1. ხოლო კერპთ-ნაზორეეთა მათთჳს ვიცით, რამეთუ ყოველთა მეცნიერებაჲ გუაქუს. მეცნიერებაჲ განალაღებს, ხოლო სიყუარული აღაშენებს.
2. უკუეთუ ვისმე ჰგონიეს, ვითარმედ იცის რაჲმე, არღასადა უცნობიეს, ვითარ-იგი ჯერ-არს ცნობაჲ.
3. ხოლო რომელსა უყუარს ღმერთი, იგი ცნობილ არს მის მიერ.
4. ხოლო ჭამისათჳს ნაკერპავთაჲსა უწყით, რამეთუ არავინ არს კერპ სოფელსა შინა, და ვითარმედ არავინ არს ღმერთ სხუაჲ, გარნა მხოლოჲ იგი ერთი ღმერთი.
5. რამეთუ დაღაცათუ არიან რაჲმე სახელ-დებულ ღმერთნი გინა თუ ცათა შინა, გინა თუ ქუეყანასა ზედა, ვითარცა არიან ღმერთნი მრავალ და უფალნი მრავალ,
6. არამედ ჩუენდა ერთ არს ღმერთი მამაჲ, რომლისაგან

არს ყოველი, და ჩუენ – მისა მიმართ. და ერთ არს უფალი იესუ ქრისტე, რომლისა მიერ არს ყოველი, და ჩუენ – მის მიერ.
7. არამედ არა ყოველთა თანა არს მეცნიერებაჲ; ხოლო რომელნიმე იჭჳთ ვიდრე აქამომდე კერპთასა მას ვითარცა ნაკერპავსა ჭამენ, და გონებაჲ იგი მათი უძლური შეიგინების.
8. ხოლო საჭმელმან ჩუენ არა წარგუადგინნეს ღმრთისა. რამეთუ დაღაცათუ ვჭამოთ, არაჲ გუემატოს; და არა თუ ვჭამოთ, არაჲ დაგუაკლდეს.
9. ხოლო ეკრძალენით, ნუუკუე კელმწიფებაჲ ეგე თქუენი დაბრკოლება ექმნეს უძლურთა მათ.
10. რამეთუ უკუეთუ ვინმე გიხილოს შენ, რომელსა გაქუს მეცნიერებაჲ, საკერპოსა შინა ინაკით-მჯდომარე, არა-მეა გონებაჲ იგი უძლურისაჲ მის აღეშენოს ნაკერპაჲისა მის ჭამად?
11. და წარწყმდეს ძმაჲ იგი უძლური შენითა მით მეცნიერებითა, რომლისათჳს ქრისტე მოკუდა.
12. ესრეთ რაჲ სცოდვიდეთ ძმათა მიმართ და ჰგუემდეთ გონებასა მათსა უძლურსა, ქრისტეს მიმართ სცოდავთ.
13. ამისთჳსცა, უკუეთუ საჭმელი დააბრკოლებდეს ძმასა ჩემსა, არა ვჭამო კორცი უკუნისამდე, რაჲთა არა ძმაჲ ჩემი დავაბრკოლო.

9

1. არა ვარა მოციქულ? არა ვარა აზნაურ? ანუ არა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე თუალითა ვიხილეა? ანუ არა ნამუშაკევნი ჩემნი თქუენ სართა უფლისა მიერ?
2. სხუათა ღათუ არა ვარ მოციქულ, არამედ თქუენდა ხოლო ვარ, რამეთუ ბეჭედნი ჩემისა მოციქულებისანი თქუენ ხართ უფლისა მიერ.
3. ჩემი სიტყჳს-გებაჲ ჩემთა მათ განმკითხველთაჲ ესე არს.
4. არა ნუ გუაქუსა კელმწიფებაჲ ჭამად და სუმად?
5. არა ნუ გუაქუსა კელმწიფებაჲ დათა მათ დედათა მიმოყვანებად, ვითარცა სხუათა მათ მოციქულთა და ძმათა უფლისათა და კეფას?
6. ანუ მე ხოლო და ბარნაბას არა გუაქუს ფლობაჲ საქმედ?
7. ვინ-მე საღა საგრობნ თჳსითა საგზლითა? ვინ დაასხის ვენაკი და ნაყოფისა მისისაგან არა ჭამის? ანუ ვინ მწყსინ სამწყსოსა და სძისა მისგან სამწყსოთაჲსა არა ჭამის?
8. ანუ კაცობრიე-მე ნუ ვიტყჳ ამას? ანუ არა შჯულიცა ამასვე იტყჳსა?
9. რამეთუ შჯულსა მოსესსა წერილ არს: არა შეუკრა პირი კარსა მლეწველსა. ნუუკუე კარ-

თაჲ რაჲმე ეურჩებოდა ღმერთისა?
10. არამედ ჩუენთჳს სამე იტყჳს, რამეთუ ჩუენთჳს დაიწერა. რამეთუ სასოებით თანა-აც კნეაჲ მჴნეველსა მას, და რომელი-იგი ლეწავნ სასოებითა მითევე, — შეკრებაჲ სასოებით.
11. უკუეთუ ჩუენ სულიერი დავსთესეთ თქუენ შორის, დიდ-მე რაჲ არსა, თქუენგან თუ კორციელი მოვიმკოთ ჩუენ?
12. უკუეთუ სხუანი ჴელმწიფებისაგან თქუენისა მიიღებენ, არა-მე უფროჲსღა ჩუენდა? არამედ არა ვინებეთ ჴელმწიფებაჲ ესე, რამეთუ ყოველსავე დაეითმენთ, რაჲთა არა დაბრკოლებაჲ რაჲმე ესცეთ სახარებასა მას ქრისტესსა.
13. არა უწყითა, რამეთუ რომელნი-იგი ბაგინსა ჰმსახურებენ, ბაგინისაგან ჭამიან? და რომელნი საკურთხეველსა წინაშე დგანედ, საკურთხეველისაგან ნაწილი განიღიან?
14. ეგრეცა უფალმან ბრძანა, რომელნი-იგი სახარებასა მიუთხრობენ, სახარებისაგან ცხორებაჲ.
15. ხოლო მე არარაჲ ეიკუმიე ამათგანი. და არა ამისთჳს მივწერე ესე, რაჲთა ესრეთ იყოს ჩემდა მომართ. რამეთუ უმჯობეს არს ჩემდა სიკუდილი უფროჲს, ვიდრეღა სიქაღული ჩემი, და-თუ ვინმე-აცუღოს იგი.
16. რამეთუ ვახარებ თუ, არა არს ჩემდა სიქაღულ, რამეთუ უნებელი ზედა-მაც მე, და ვაჲ არს ჩემდა, არა თუ ვახარებდე.
17. რამეთუ ნეფსით თუ ვიქმ ამას, სასყიდელი მაქუს, ხოლო უკუეთუ უნებლიეთ, სამნოჲ რწმუნებულ არს ჩემდა.
18. რაჲ-მე უკუე არს სასყიდელი ჩემი? რაჲთა ვახარებდე რაჲ, უსასყიდლოდ ვახარებდე სახარებასა მას ქრისტესსა, რაჲთა არარაჲ ვიმსახურო ჴელმწიფებითა ჩემითა სახარებასა მას შინა ჩემსა.
19. რამეთუ თავისუფალ ვიყავ ყოველთაგან და ყოველთა თავი ჩემი დავამონე, რაჲთა უმრაველსნი შევიძინნე.
20. ვიქმენ ჰურიათა თანა ვითარცა ჰურიაჲ, რაჲთა ჰურიანი შევიძინნე; შჯულსა ქუეშე მყოფთა თანა ვითარცა შჯულსა ქუეშე მყოფი, რაჲთა შჯულსა ქუეშე მყოფნი შევიძინნე;
21. უშჯულოთა თანა ვითარცა უშჯულოჲ, — არა უშჯულოჲ ვიყავ ღმრთისაჲ, არამედ შჯულიერი ქრისტესი, — რაჲთა უშჯულონი შევიძინნე;
22. ვიქმენ უძლურთა მათ თანა ვითარცა უძლური, რაჲთა უძლურნი იგი შევიძინნე; ყოველთა ვექმენ ყოვლად, რაჲთა ყოველნი ვაცხოენნე.
23. ხოლო ამას ვიქმ სახარებისა მისთჳს, რაჲთა თანა-ზიარ მისა

ვიქმნე.
24. არა უწყითა, რამეთუ რომელნი-იგი ასპარეზსა მას შინა რბიედ, ყოველნიე რბიედ, ხოლო ერთმან მიიღის ნიჭი? ეს რეთ რბიოდეთ, რაჲთა ეწინეთ.
25. ხოლო ყოველიე იგი მოღუაწე ყოველსაე მოითმენნ: იგინი უკუე სამე რაჲთა განსრწნადი გჳრგჳნი მოიღონ, ხოლო ჩუენ – უსრწნელი.
26. მე უკუე აწ ესრეთ ვრბი, ვითარცა არა უჩინოდ; ესრეთ ვიჭირვი, ვითარცა არა ჰაერსა ესცემ.
27. არამედ აღვიკრძალაე ჯორცთა ჩემთა და დავიმონებ, ნუუკუე სხუათა უქადაგებდე და მე გამოუცდელ ვიყო.

10

1. და არა მნებავს უმეცრებაჲ თქუენი, ძმანო, რამეთუ მამანი ჩუენნი ყოველნი ღრუბელსა ქუეშე იყვნეს და ყოველნი ზღუასა განჴდეს.
2. და ყოველთა მოსეს მიერ ნათელ-იღეს ღრუბლითა მით და ზღუთა;
3. და ყოველთა იგივე საზრდელი სულიერი ჭამეს;
4. და ყოველთა იგივე სასუმელი სულიერი სუეს; რამეთუ სუმიდეს იგინი სულიერისა მისგან კლდისა, რომელიცა შეუდგა; ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე.
5. არამედ არა მრავალნი მათგანნი სათნო-იყვნა ღმერთმან, რამეთუ დაეცნეს იგინი უდაბნოსა ზედა.
6. და ესენი სახე ჩუენდა იქმნეს, რაჲთა არა ვიყვნეთ ჩუენ გულის მთქუმელ ბოროტისა, ვითარცა-იგი მათ გული უთქუმიდა.
7. ნუცა კერპთ-მსახურ იქმნებით, ვითარცა-იგი მათგანნი ვინმე, ვითარცა წერილ არს: დასხდა ერი იგი ჭამად და სუმად და აღდგეს სიმღერად.
8. ნუცა ვისიძავთ, ვითარცა-იგი ვიეთმე მათგანთა ისიძევეს და დაეცნეს ერთსა შინა დღესა ოც და სამი ათასი.
9. ნუცა განვსცდით უფალსა, ვითარცა-იგი მათგანთა ვიეთმე გამოცადეს და გუელთა მიერ წარწყმდეს.
10. ნუცა ვდრტჳნავთ, ვითარცა-იგი მათგანნი ვინმე დრტჳნვიდეს და წარწყმდეს მომსრეველისა მისგან.
11. ესე ყოველნი სახენი შეემთხუეოდეს მათ; ხოლო დაიწერა სამოძღურებელად ჩუენდა, რომელთა ზედა აღსასრული ჟამთაჲ მოიწია.
12. ამიერითგან რომელი ჰგონებდეს დგომასა, ეკრძალენ, ნუუკუე დაეცეს.
13. განსაცდელი თქუენ არა შეგემთხჳა, გარნა კაცობრივ; ხოლო სარწმუნო არს ღმერთი, რომელმან არა გიტევნეს თქუ-

ენ განცდად უფროჲს ძალისა თქუენისა, არამედ ყოს განსაცდელსა თანა გამოყუანებაჲცა, რაჲთა შეუძლოთ დათმენად.
14. აწ უკუე, საყუარელნო ჩემნო, იელტოდეთ კერპთ-მსახურებისაგან.
15. ვითარცა ბრძენთა გეტყჳ თქუენ; გან-ღა-იკითსეთ, რომელსა-ესე გეტყჳ თქუენ:
16. სასუმელი ესე კურთხევისაჲ, რომელ ვაკურთხევთ, არა-მე ზიარებაჲ სისხლთა ქრისტესთაჲ არსა? პურსა ამას რომელსა განვსტეხთ, არა-მე ზიარებაჲ კორცთა ქრისტესთაჲ არსა?
17. რამეთუ ერთ პურ და ერთ კორც ჩუენ მრავალნი ესე ვართ, რამეთუ ყოველთა ერთისა მისგან პურისა მოგუაქუს.
18. იხილეთ-ღა ისრაჱლი კორციელად: ანუ არა რომელნი-იგი ჭამენ შესაწირაეთა მათ, ზიარ საკურთხეველისა მის არიანა?
19. რასა უკუე ვიტყჳ ამას, ვითარმედ კერპი იგი რაჲ არს, ანუ ნაგები იგი რაჲ არს?
20. არამედ, ვითარმედ რომელსა-იგი უგებენ წარმართნი, ეშმაკთა უგებენ და არა ღმერთსა; ხოლო მე არა მნებავს თქუენი ეშმაკთა ზიარებაჲ.
21. ვერ კელ-გეწიფების სასუმელი უფლისაჲ სუმად და სასუმელი ეშმაკთაჲ; ვერ კელ-გეწიფების ტაბლასა უფლისასა ზიარებაჲ და ტაბლასა ეშმაკთასა.
22. ანუ ვაშურებთ-მეა უფალსა? ნუუკუე უძლიერეს მისსა ვართ?
23. ყოველივე ჯერ-არს ჩემდა, არამედ არა ყოველი უმჯობეს არს; ყოველივე ჯერ-არს ჩემდა, არამედ არა ყოველი აღმაშენებელ არს.
24. ნუვინ თაჳისასა ხოლო ეძიებნ, არამედ მოყუსისასაცა თჳთოეული.
25. ყოველი, რომელი სამზარეულოს ისყიღებოდის, ჭამეთ და ნურარას განიკითხავთ იჭუსათჳს,
26. რამეთუ უფლისაჲ არს ქუეყანაჲ და სავსებაჲ მისი.
27. ხოლო უკუეთუ ვინმე გხადის თქუენ ურწმუნოთაგანი და გნებავს მისლვაჲ, ყოველივე წინა-დაგებული თქუენი ჭამეთ და ნურარას განიკითხავთ იჭუსათჳს.
28. ხოლო უკუეთუ ვინმე გითხრას თქუენ, ვითარმედ: ესე ნაკერპავი არს, — ნუ შჭამთ მის მაუწყებელისათჳს და იჭუსა,რამეთუ უფლისაჲ არს ქუეყანაჲ და სავსებაჲ მისი.
29. იჭუსა მას ვიტყჳ არა თავისა თჳსისასა, არამედ მოყუსისასა. რამეთუ რაჲსათჳს აზნაურებაჲ ჩემი განიკითხეის სხჳსა იჭუსაგან?
30. უკუეთუ მე მადლობით ვჭამ, რაჲსათჳს ვიგმობვი, რომლისათჳს-იგი მე ვჰმადლობ?

31. გინა თუ შჭამდეთ, გინა თუ სუმიდეთ, გინა თუ რასაცა იქმოდით, ყოველსავე სადიდებელად ღმრთისა იქმოდეთ.
32. დაუბრკოლებელ იყვენით ჰურიათა მიმართ და წარმართთა და ეკლესიათა ღმრთისათა,
33. ვითარცა მე ყოველითავე ყოველთა სათნო-ვეყოფი, რამეთუ არა ვეძიებ თავისა ჩემისა უმჯობესსა, არამედ მრავალთასა, რაჲთა ცხონდენ.

11

1. მობაძავ ჩემდა იქმნენით, ვითარცა მე ქრისტესა.
2. ხოლო გაქებ იქუენ, ძმანო, რამეთუ ჩემი ყოველივე გაჯსოეს, და ვითარცა-იგი მიგეც თქუენ, მოძღურებაჲ იგი შეიკრძალეთ.
3. და მნებავს თქუენი უწყებაჲ, რამეთუ ყოელისა მამაკაცისა თავ ქრისტე არს; ხოლო თავ დედაკაცისა — ქმარი; და თავ ქრისტესა — ღმერთი.
4. ყოველი მამაკაცი, რომელი ილოცვიდეს გინა თუ წინაწარმეტყუელებდეს თავ-დაბურვილად, არცხუენს თავსა თჯსსა.
5. და ყოველი დედაკაცი, რომელი ილოცვიდეს გინა წინაწარმეტყუელებდეს თავ-დაუბურველად, არცხუენს იგი თავსა თჯსსა, რამეთუ ერთ არს და იგივე არს დაყუენილიცა იგი.
6. რამეთუ უკუეთუ არა დაიბურავს დედაკაცი იგი, და იკუეცენა; ხოლო უკუეთუ საძაგელ არს დედაკაცისა კუეცაჲ გინა დაყუენვაჲ, დაიბურენ მან.
7. მამაკაცისაჲ უკუე არა ჯერ-არს დაბურვაჲ თაჳისაჲ, რამეთუ სატი და დიდებაჲ ღმრთისაჲ არს, ხოლო დედაკაცი დიდებაჲ ქრისა არს.
8. რამეთუ არა არს მამაკაცი დედაკაცისაგან, არამედ დედაკაცი მამაკაცისაგან;
9. და რამეთუ არა დაებადა მამაკაცი დედაკაცისათჯს, არამედ დედაკაცი მამაკაცისათჯს.
10. ამისთჯს ჯერ-არს დედაკაცისა, რაჲთა ფლობაჲ აქუნდეს თავსა თჯსსა გედა ანგელოზთათჯს.
11. სოლო არცა მამაკაცი თჯნიერ დედაკაცისა, არცა დედაკაცი თჯნიერ მამაკაცისა უფლისა მიერ.
12. რამეთუ ვითარცა-იგი დედაკაცი ქრისაგან არს, ეგრეთცა ქმარი — ცოლისათჯს; ხოლო ყოველივე ღმრთისაგან არს.
13. თჯთ თქუენ შორისღა განიკითხეთ ესე: ჰშუენისა დედაკაცსა დაუბურველად წინაშე ღმრთისა ლოცვაჲ?
14. არცაღა თჯთ იგი ბუნებაჲ გასწაევებს თქუენ, რამეთუ, მამაკაცმან თუ გარდაუტეოს თმაჲ გრძელად, უშუერება არს მისა.
15. ხოლო დედაკაცმან თუ გარდაუტეოს, დიდება არს მისა, რა-

მეთუ თმაჲ იგი სამკაულად მოეცა მას.
16. სოლო უკუეთუ ვისმე ცილობის ჰნებავს, ჩუენ ეგევითარი ჩუეულებაჲ არა გუაქუს, არცა ეკლესიათა ღმრთისათა.
17. ამას რაჲ გამცნებ, არა გაქებ, რამეთუ არა უმჯობესად, არამედ უნაკლულეანესად შეჰკრბებით.
18. პირველად უკუე, რამეთუ შეკრებასა მას თქუენსა ეკლესიად მესმის, ვითარმედ წვალება არიან თქუენ შორის, და ზოგს-რაჲმე მრწამს.
19. რამეთუ წვალებაცა ყოფად არიან თქუენ შორის, რაჲთა რჩეულნი იგი თქუენ შორის გამოჩნდენ.
20. შეკრებასა მას უკუე თქუენსა ერთად არა არს ეკლესიაჲ პურის საჭმელ.
21. რამეთუ კაცად-კაცადმან თჳსი იგი სერი წინაწარ წარიღის ჭამად, და რომელსამე სთრავნ.
22. ნუუკუე სახლებ არა გიდგსა ჭამად და სუმად? ანუ ეკლესიასა ღმრთისასა შეურაცხ-ჰყოფთ და არცხუენთ მათ, რომელთა არარაჲ აქუს? რაჲ-მე გრქუა თქუენ? გაქებდეა ამისთჳს? არა გაქებ.
23. რამეთუ მე მოვიღე უფლისაგან, რომელიცა მიგეც თქუენ, რამეთუ უფალი იესუ ქრისტე ღამესა მას რომელსა მიეცემოდა, მოიღო პური.
24. ჰმადლობდა, განტეხა და თქუა: მიიღეთ და ჭამეთ; ესე არს კორცი ჩემი, თქუენთჳს განტეხილი; ამას ჰყოფდით მოსაკსენებელად ჩემდა.
25. ეგრეთვე სასუმელი იგი შემდგომად სერობისა, და თქუა: ესე სასუმელი ახალი რჩული არს სისხლისა ჩემისაჲ: ამას ჰყოფდით, რაოდენ-გზისცა სუმიდეთ ჩემდა მოსაკსენებელად.
26. რამეთუ რაოდენ-გზისცა შჭამდეთ პურსა ამას და სუმიდეთ სასუმელსა ამას, სიკუდილსა უფლისასა მიუთხრობდით, ვიდრემდის მოვიდეს.
27. ამიერითგან, რომელი ჭამდეს პურსა ამას და სუმიდეს სასუმელსა ამას უფლისასა უღირსებით, თანამდებ არს იგი კორცსა და სისხლსა უფლისასა.
28. გამო-ღა-იცადენ კაცმან თავი თჳსი და ესრეთ პურისა მისგან ჭამენ და სასუმელისა მისგან სუნ.
29. ხოლო რომელი არა-ღირსად ჭამდეს და სუმიდეს, დასაშჯელად თავისა თჳსისა ჭამს და სუამს, რამეთუ არა გამოიკითხნა კორცნი უფლისანი.
30. ამისთჳს მრავალ არიან თქუენ შორის უძლურ და სნეულ, და წვანან მრავალნი.
31. რამეთუ უკუეთუმცა თავთა თჳსთა განვიკითხეედით, არამცა განვიკითხენით.

32. ხოლო გან-თუ-ეიკითხვით, უფლისა მიერ განვისწაელებით, რაჲთა არა სოფლისა თანა დაეისაჯნეთ.
33. ამიერითგან, ძმანო ჩემნო, შე-რაჲ-ჰკრბებოდით ჭამად, ურთიერთარს ჰგებდით.
34. ხოლო უკუეთუ ვისმე შიოდის, სახლსა შინა ჭამენ, რაჲთა არა დასაშჯელად შეჰკრბეთ. ხოლო სხუაჲ იგი, ოდეს მოვიდე, მაშინ ვბრძანო.

12

1. ხოლო სულიერთა მათთჳს, ძმანო, არა მნებავს უმეცრებაჲ თქუენი.
2. უწყით, რამეთუ ვიდრე-იგი წარმართღა იყვენით, კერპთა მათ მიმართ უკმოთა ვითარ-იგი შეუდეგით, მიმოყვანებულ იყვენით.
3. ამისთჳს გაუწყებ თქუენ, რამეთუ არავინ სულითა ღმრთისაჲთა იტყოდის და თქუას: შეჩუენებულ იესუ; და არავის კელ-ეწიფების თქუმად უფალი იესუ, გარნა სულითა წმიდითა.
4. ხოლო განყოფანი მაღლთანი არიან, და იგივე სული არს.
5. და განყოფანი მსახურებათანი არიან, და იგივე თავადი უფალი არს.
6. და განყოფანი შეწევნათანი არიან, და იგივე თავადი ღმერთი არს, რომელი შეიქმს ყოველსა ყოველთა შორის.
7. ხოლო თჳთოეულსა ჩუენსა მიცემულ არს გამოცხადებაჲ იგი სულისაჲ უმჯობესისათჳს.
8. რომელსამე სულისა მისგან მიცემულ არს სიტყუაჲ სიბრძნისაჲ, ხოლო სხუასა სიტყუაჲ მეცნიერებისაჲ მითვე სულითა,
9. და სხუასა სარწმუნოებაჲ მისვე სულისაგან, რომელსამე მაღლი კურნებათაჲ მისგანვე სულისა,
10. რომელსამე შეწევნანი ძალთანი, რომელსამე წინაწარმეტყუელებაჲ, რომელსამე განკითხვაჲ სულთაჲ, და სხუასა თესლად-თესლაღი ენათაჲ, და სხუასა თარგმანებაჲ ენათაჲ.
11. ხოლო ამას ყოველსა შეეწევის ერთი და იგივე სული, განუყოფს თჳთოეულად კაცად-კაცადსა, ვითარცა ჰნებავს.
12. ვითარცა-იგი გუამი ერთ არს, და მრავალი ასოები აქუს, და ყოველი იგი ასოები ერთისა მის გუამისაჲ მრავალ ღათუ არს, ერთგუამვე არს, ეგრეცა ქრისტე.
13. რამეთუ ერთითა სულითა ჩუენ ყოველთა ერთისა მიმართ გუამისა ნათელ-ვიღეთ, გინა თუ ჰურიათა, გინა თუ წარმართთა, გინა თუ მონათა, გინა თუ აზნაურთა; და ყოველთავე ერთისა მიმართ სულისა გჳსუამს.
14. და რამეთუ გუამი იგი არა არს ერთ ასო, არამედ მრავალ.
15. უკუეთუ თქუას ფერჴმან, ვი-

ნაჲთგან არა ვარ კელ, არა ვარ მის გუამისაგანი, ამისგანმე არა არსა მის გუამისაგანი?
16. ანუ თუ თქუას ყურმან, რამეთუ არა ვარ თუალ, არა ვარ მის გუამისაგანი, ნუ ამისთჳს არა არსა მის გუამისაგანი?
17. უკუეთუ ყოველი გუამი თუალ იყოს, სადა არს სასმენელი? უკუეთუ ყოველი სასმენელ იყოს, სადა არიან საყნოსელნი?
18. აწ ესერა ღმერთმან დასხნა ასონი იგი თჳთოეულად გუამსა მას შინა, ვითარცა ინება.
19. ხოლო უკუეთუმცა იყო ყოველი ერთ ასო, სადამცა იყო გუამი იგი?
20. ხოლო აწ მრავალ არს ასოები და ერთ – გუამი.
21. ხოლო ვერ კელ-ეწიფების თუალსა, ვითარმცა ჰრქუა კელსა: არა მიკმ შენ; ანუ კუალად თავსა – ფერკთა, ვითარმედ: არა მიკმთ თქუენ.
22. არამედ უფროჲსღა უმეტეს, რომელი-იგი საგონებელ არს ასოჲ გუამისაჲ მის უუძლურესად, იგი უსაკმარეს არს.
23. და რომლისასა ეპგონებთ უპატიო-ყოფად გუამისაგან, ამათ პატივსა უმეტესსა მივსცემთ.
24. და უშუერსა მას ჩუენსა შუენიერებაჲ უმეტესი აქუს, ხოლო შუენიერსა მას ჩუენსა არ არაჲ უკმს. არამედ ღმერთმან შეგჳა გუამი იგი და ნაკლულსა მას უმეტესი მისცა პატივი,
25. რაჲთა არა იყოს წუალება კორცთა მათ შინა, არამედ მასვე ერთიერთისათჳს ზრუნეიდენ ასონი იგი.
26. და თუ ევნებინ რაჲ ერთსა ასოსა, მის თანა ელმინ ყოველთა ასოთა; და თუ იდიდებინ ერთი ასოჲ, მის თანა იდიდებიედ ყოველნი ასონი.
27. თქუენ ხართ კორცნი ქრისტესნი და ასონი ასოთა მისთაგანნი.
28. და რომელნიმე დაადგინნა ღმერთმან ეკლესიათა: პირველად მოციქულნი, მეორედ – წინაწარმეტყუელნი, მესამედ – მოძღუარნი, მერმე – ძალნი, მაშინღა მაღლნი კურნებათანი, შეწევნანი, ღუწოლანი, თესლად-თესლადი ენათაჲ.
29. ნუ ყოველნი მოციქულ იყუნენა? ნუ ყოველნი წინაწარმეტყუელ? ნუ ყოველნი მოძღუარ? ნუ ყოველნი ძალ?
30. ნუ ყოველთა მაღლი აქუნდეს კურნებათაჲ? ნუ ყოველნი ენათა იტყოდიან? ნუ ყოველნი გამოსთარგმანებდენ?
31. ხოლო ჰბაძევდით მაღლთა მათ უფროჲსთა, და მერმე აღმატებულსა გზად გიჩუენო თქუენ.

13

1. ენასა ღათუ კაცთასა და ანგელოზთასა ვიტყოდი, ხოლო სიყუარული არა მაქუნდეს, ვიქ-

მენ მე, ვითარცა რვალი, რომელი ოხრინ, გინა წინწილანი, რომელნი კმობედ.
2. და მაქუნდეს ღათუ წინაწარმეტყუელებაჲ და უწყოდი ყოველი საიდუმლოჲ და ყოველი მეცნიერებაჲ და მაქუნდეს ღათუ ყოველი სარწმუნოებაჲ ვიდრე მთათაცა ცვალებადმდე, და სიყუარული თუ არა მაქუნდეს, არა-ვე-რაჲ ვარ.
3. და შე-ღათუ-ვაჭამო ყოველი მონაგები ჩემი და მიესცნე კორცნი ჩემნი დასაწუველად, და სიყუარული არა მაქუნდეს, არარაჲვე სარგებელ არს ჩემდა.
4. სიყუარული სულგრძელ არს და ტკბილ; სიყუარულსა არა შურნ, სიყუარული არა მაღლობინ, არა განლაღნის,
5. არა სარცხჯნელ იქმნის, არა ეძიებნ თაეისასა, არა განრისხნის, არად შეჰრაცხის ბოროტი,
6. არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა;
7. ყოველსა თაეს-იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესაენ, ყოველსა მოითმენნ.
8. სიყუარული არასადა დავარდების, გინა თუ წინაწარმეტყუელებანი განქარდენ, ანუ თუ ენანი და-ვე-სცხრენ, გინა თუ მეცნიერებანი განქარდენ.
9. რამეთუ მცირედ-რაჲმე ვიცით და მცირედ-რაჲმე ეწინაწარმეტყუელებთ.
10. ხოლო რაჟამს მოიწიოს სრული იგი, მაშინ მცირეღიცა იგი განქარდეს-ევე.
11. ოდეს-იგი ვიყაე ყრმა, ვიტყოდე ვითარცა ყრმაჲ, შერაცხილ ვიყაე ვითარცა ყრმაჲ; ხოლო ოდეს ვიქმენ მამაკაც, დაუტეე სიყრმისაჲ იგი.
12. რამეთუ ესეღაე აწ, ვითარცა სარკითა და სახითა, ხოლო მაშინ პირსა პირისპირ; აწ ვიცი მცირედ, ხოლო მერმე ვიცნა, ვითარცა შეეემეცნე.
13. ხოლო აწ ესერა ჰგიეს სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყუარული, სამი ესე; ხოლო უფროჲს ამათსა სიყუარული არს.

14

1. შეუდეგით სიყუარულსა და ჰბაძეედით სულიერსა მას, უფროჲსღა, რაჲთა სწინაწარმეტყუელებდეთ.
2. რამეთუ რომელი-იგი იტყჳნ ენითა, არა კაცთა ეტყჳნ, არამედ ღმერთსა, რამეთუ არაეის ესმის, რამეთუ სულითა იტყჳს საიდუმლოთა.
3. ხოლო რომელი წინაწარმეტყუელებნ, კაცთა ეტყჳს აღშენებასა, ეედრებასა და ნუგეშინის-ცემასა.
4. რომელი იტყჳნ ენითა, თაესა თჳსსა აღაშენებნ; ხოლო რომელი წინაწარმეტყუელებდეს, კრებულსა აღაშენებს.

5. მნებავს თქუენ ყოველთაჲ ენათა სიტყუაჲ, უფროჲსღა, რაჲთა სწინაწარმეტყუელებდეთ, რამეთუ უფროჲს არს რომელი წინაწარმეტყუელებდეს, ეიდრეღა არა რომელი იტყოდის ენათა, გარნა თუ რაჲთა გამოსთარგმანებდეს, რაჲთა კრებული აღეშენოს.
6. სოლო აწ, ძმანო, მო-თუ-ვიდე თქუენდა და ენათა ვიტყოდი, რაჲ-მე გარგო თქუენ, არა თუ გეტყოდი თქუენ გამოცსაღებითა ანუ მეცნიერებითა ანუ წინაწარმეტყუელებითა ანუ მოძღურებითა?
7. ეგრეთვე უსულოთა მათ კმაჲ გამოსციან – ანუ თუ ნესტუმან ანუ ებანმან; უკუეთუ გამოცხადებაჲ კმათაჲ მათ ვერ გამოსცენ, ვითარ-მე საცნაურ იქმნეს სტუნჯაჲ იგი ანუ ებნაჲ?
8. და უკუეთუ საყურმან უჩინოდ კმაჲ გამოსცეს, ვინ-მე განემზადოს ბრძოლად?
9. ეგრეცა თქუენ ენისა მიერ უკუეთუ არა-გამოცხადებულად სიტყუაჲ იგი გამოსცეთ, ვითარ საცნაურ იქმნეს თქუმული იგი? რამეთუ იყვნეთ ვითარცა პაერსა მეტყუელნი.
10. ესოდენნი სახენი თესლაღნი კმათანი არიან სოფელსა შინა და არცა ერთი მათგანი არს უკმო.
11. უკუეთუ არა ვიცოდი ძალი იგი კმისაჲ მის, ვიყო მე მეტყუელისა მის ჩემისა ვითარცა სსუაჲ ენაჲ, და რომელი-იგი მეტყოდეს მე – ვითარცა სხუაჲ ენაჲ.
12. ეგრეთცა თქუენ, ვინაჲთგან მოშურნე ხართ სულთა, აღსაშენებელად ეკლესიისასა ეძიებდით, რაჲთა აღემატებოდით.
13. ამისთჳსცა, რომელი იტყოდის ენითა, ილოცევდინ, რაჲთა გამო-ცა-თარგმანოს.
14. რამეთუ უკუეთუ ვილოცევიდე ენითა, სული ჩემი ილოცავს, ხოლო გონებაჲ ჩემი უნაყოფო არს.
15. აწ უკუე რაჲ არს? ვილოცვიდე თუ სულითა, ვილოცვიდე გონებითაცა; ვგალობდე თუ სულითა, ვგალობდე გონებითაცა.
16. ხოლო უკუეთუ აკურთხევდე სულითა, რომელი-იგი აღასრულებდეს ადგილსა მას უცბისასა ვითარ-მე თქუას „ამინი“ შენსა მას ზედა მადლობასა? ვინაჲთგან რასა-იგი იტყჳს, არა იცის.
17. რამეთუ შენ სამე კეთილად ჰმადლობ, არამედ მოყუასი შენი არა აღეშენების.
18. ვჰმადლობ ღმერთსა ჩემსა, რამეთუ უფროჲს თქუენ ყოველთასა ენათა ვიტყჳ.
19. არამედ ეკლესიასა შინა მნებავს ხუთ სიტყუა გონებითა ჩემითა სიტყუად, რაჲთა სხუათაცა უმოძღურო, ვიდრე ბევრთა სიტყუათა ენითა.
20. ძმანო, ნუ ყრმა იქმნებით

გონებითა, არამედ ბოროტისათჳს ყრმა იყვენით, ხოლო გონებითა სრულ იყვენით.
21. რამეთუ შჯულსა წერილ არს, ვითარმედ: უცხოჲთა ენითა და ბაგითა უცხოჲთა ვეტყოდი ერსა ამას, და არცაღა ეს-რეთ ისმინონ ჩემი, იტყჳს უფალი.
22. ამისთჳსცა ენანი სასწაულად არიან არა მორწმუნეთათჳს, არამედ ურწმუნოთათჳს; ხოლო წინაწარმეტყველებაჲ არა ურწმუნოთათჳს, არამედ მორწმუნეთათჳს.
23. აწ უკუეთუ შეკრბეს ყოველი კრებული ერთბამად, და ყოველნი ენათა იტყოდიან, და შევიდენ ვინმე ურწმუნონი გინა უცებნი, არა-მე თქუანა, ვითარმედ: სცთებით გინა თუ ჰბორგთ?
24. ხოლო უკუეთუ ყოველნი წინაწარმეტყუელებდენ, და შე--ვინმე-ვიდეს ურწმუნოჲ გინა უცები,ემხილოს ყოველთა მიერ, განიკითხოს ყოველთა მიერ.
25. და ესრეთ დაფარულნი გულისა მისისანი განცხადნენ, და ესრეთ დავარდეს პირსა ზედა თჳსსა და თაყუანის-სცეს ღმერთსა და აღიაროს, ვითარმედ: ნანდჳლვე ღმერთი თქუენ შორის არს.
26. რაჲ-მე უკუე არს, ძმანო? რაჟამს შეჰკრბეთ ერთბამად, კაცად-კაცადსა თქუენსა ფსალმუნი აქუს, მოძღურებაჲ აქუს, გამოცხადებაჲ აქუს, თარგმანებაჲ აქუს, ენათა მეტყუელებაჲ აქუს, – ყოველივე ესე აღსაშენებელად იქმნებოდენ.
27. უკუეთუ ენითა ვინმე იტყოდის, ორნი გინა თუ უმრაელეს სამნი, და ერთი გამოსთარგმანებდინ.
28. ხოლო უკუეთუ არა იყოს თარგმანი, დუმენინ ეკლესიასა შინა, თავსსა თჳსსა ეტყოდენ და ღმერთსა.
29. ხოლო წინაწარმეტყუელნი ორნი გინა სამნი იტყოდედ და სხუანი იგი სცნობედ.
30. უკუეთუ სხუასა გამოეცხადოს მუნ მჯდომარეთაგანსა, პირეელი იგი დუმენინ.
31. რამეთუ შემძლებელ ხართ ესრეთ თჳთოეულად ყოველნი წინაწარმეტყუელებად, რაჲთა ყოველნი ისწავებდენ და ყოველნი ნუგეშინის-ცემულ იყვენენ.
32. და სულები წინაწარმეტყუელთაჲ წინაწარმეტყუელთა დაემორჩილენ,
33. რამეთუ არა არს ღმერთი შფოთისაჲ, არამედ მშჳდობისაჲ, ვითარცა-იგი ყოველთა ეკლესიათა წმიდათასა.
34. დედანი თქუენნი ეკლესიასა შინა დუმენედ, რამეთუ არა ბრძანებულ არს მათდა სიტყუად, არამედ დამორჩილებად, ვითარცა შჯულიცა იტყჳს.

35. ხოლო უკუეთუ სწავლის რამე უნდეს, სახლსა შინა თჳსთა ქმართა ჰკითხედ მათ; რამეთუ საძაგელ არს დედათაჲ ეკლესიასა შინა ზრახვად.
36. ანუ თქუენ მიერ სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ გამოვიდა? ანუ თქუენდამდე ხოლო მიიწია?
37. უკუეთუ ვისმე ეგონოს თავი თჳსი წინაწარმეტყუელ გინა სულიერ, უწყოდენ, რომელსა-ესე მიგსწერ თქუენდა, რამეთუ უფლისანი არიან მცნებანი.
38. ხოლო უკუეთუ ვინმე უმეცარ არს, უმეცარ იყავნ.
39. ეინაჲცა, ძმანო ჩემნო, გშურდინ წინაწარმეტყუელებად და სიტყუად ენათა ნუ დაეყენებით.
40. ყოველივე შუენიერად და წესიერად იქმნებოდენ.

15

1. ხოლო გაუწყებთ თქუენ, ძმანო, სახარებასა მას, რომელი გახარე თქუენ, რომელცა-იგი მიგიღებიეს, რომელსაცა ზედა სდგათ,
2. რომლითაცა სცხონდებით, რომელი სიტყუაჲ გახარე თქუენ, უკუეთუ გაკსოვს, გარნა თუ ცუდად რაჲმე გრწმენა.
3. რამეთუ მიგეც თქუენ პირველად, რომელცა-იგი მოვიღე, რამეთუ ქრისტე მოკუდა ცოდეათა ჩუენთათჳს, ვითარცა წერილ არს,
4. და რამეთუ დაეფლა და რამეთუ აღდგა მესამესა დღესა, ვითარცა წერილ არს,
5. და რამეთუ ეჩუენა კეფას და მერმე ათორმეტთა მათ,
6. და მერმე ეჩუენა უმრაელეს ხუთასისა ძმათა ერთ-გზის, რომელთაგანნი უმრაელესნი ცოცხალ არიან აქამომდე და რომელთამე შეისუენეს,
7. მერმე ეჩუენა იაკობს და მერმე მოციქულთა ყოველთა,
8. უკუანაჲსკნელ ყოველთასა, ვითარცა ნარჩევსა, მეჩუენა მეცა.
9. რამეთუ მე ვარ ნარჩევი მოციქულთაჲ, რომელი არა ვარ ღირს წოდებად მოციქულად, რამეთუ ვსდევნიდ ეკლესიათა ღმრთისათა.
10. ხოლო მაღლითა ღმრთისაჲთა ვარ, რაჲ-იგი ვარ; და მაღლი იგი მისი, რომელი ჩემდა მომართ იყო, არა ცუდად რაჲ იყო, არამედ უმეტეს მათ ყოველთასა დავშუერ; არა მე, არამედ მაღლი იგი ღმრთისაჲ, რომელი იყო ჩემ თანა.
11. აწ უკუე გინა თუ მე, გინა თუ იგინი ესრეთ ვქადაგებთ, და ესრეთ გრწმენა თქუენ.
12. ხოლო უკუეთუ ქრისტე იქადაგების, ვითარმედ მკუდრეთით აღდგომილ არს, ვითარ იტყჳან ეინმე თქუენ შორის, ვითარმედ აღდგომაჲ მკუდართაჲ არა არს?
13. უკუეთუ აღდგომაჲ მკუდარ-

თაჲ არა არს, არცა ქრისტე აღდგომილ არს.
14. უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ცუდად სამე არს ქადაგებაჲ ესე ჩუენი და ცუდად არს სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი.
15. ვიპოვენით უკუე ცრუ-მოწამეცა ღმრთისა, რამეთუ ვწამებთ ღმრთისათჳს, ვითარმედ აღადგინა ქრისტე, რომელი არა აღადგინა, უკუეთუ ნანდჳლეე მკუდარნი არა აღდგებიან.
16. რამეთუ უკუეთუ მკუდარნი არა აღდგებიან, არცა ქრისტე აღდგომილ არს.
17. და უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ამაო არს სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი; ცოდვათაევე სამელა შინა თქუენთა ხართ აქამომდე.
18. და შესუენებულნი იგი ქრისტეს მიერ წარ-ვე სამე-წყმდენ
19. უკუეთუ ამას ხოლო ცხორებასა ვართ მოსავ ქრისტესა, უსაწყალობელეს ყოველთა კაცთასა ვართ.
20. ხოლო აწ ქრისტე აღდგა მკუდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესუენებულთა.
21. რამეთუ კაცისა მიერ იყო სიკუდილი და კაცისა მიერ — აღდგომაჲ მკუდართაჲ.
22. და ვითარცა-იგი ადამის გამო ყოველნი მოსწყდებიან, ეგრეთცა ქრისტეს მიერ ყოველნი ცხოელ იქმნენ.
23. ხოლო თჳთოეული თჳსითა წესითა: პირველად ქრისტე და მერმე ქრისტესნი იგი მოსლვასა მას მისსა.
24. მაშინღა აღსასრული, რაჟამს მოსცეს სუფევაჲ ღმერთსა და მამასა, რაჟამს განაქარვნეს ყოველნი მთავრობანი და ყოველნი კელმწიფებანი და ძალნი.
25. რამეთუ ჯერ-არს მისა სუფევაჲ, ვიდრემდის დაისხნეს ყოველნი მტერნი მისნი ქუეშე ფერჴთა მისთა.
26. უკუანაჲსკნელ მტერი იგი განქარდეს — სიკუდილი,
27. რამეთუ ყოველივე დაამორჩილა ქუეშე ფერჴთა მისთა. ხოლო რაჟამს თქუას, ვითარმედ: ყოველივე დაამორჩილა, ცხად არს, რამეთუ თჳნიერ მისა, რომელმან-იგი დაამორჩილა მას ყოველი.
28. ხოლო რაჟამს დაემორჩილოს მას ყოველი, მაშინ თავადიცა ძე დაემორჩილოს მას, რომელმან-იგი დაამორჩილა მას ყოველი, რაჲთა იყოს ღმერთი ყოლად ყოველსა შინა.
29. უკუეთუ არა, რაჲ-მე ყონ, რომელნი-იგი ნათელს-იღებენ მკუდართათჳს? უკუეთუ ყოლად მკუდარნი არა აღდგებიან, რაჲსაღა ნათელს-იღებენ მკუდართათჳს?
30. ანუ ჩუენ რაჲსა-ღა-მე ვიჭირვებით ყოველსა ჟამსა?

31. მარადღე მოვკუდები, ვფუცავ თქუენსა სიქადულსა, რომელ მაქუს ქრისტე იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა.
32. უკუეთუ კაცობრივ მკეცთა ბრძოლა-ეყავ ეფესოს, რაჲ-მე სარგებელ არს ჩემდა, უკუეთუ მკუდარნი არაჲ აღდგენ? ვჭამოთ და ვსუათ, რამეთუ ხვალე მოვსწყდებით!
33. ნუ სცთებით: განსრწნიან წესთა კეთილთა ზრასვანი ბოროტნი.
34. განიფრთხევეთ სიმართლით და ნუ სცოდავთ; რამეთუ უმეცრებაჲ ღმრთისაჲ ვიეთმე აქუს, საკლემელად თქუენდა ვიტყჳ.
35. არამედ თქუას ვინმე, ვითარმედ: ვითარ-მე აღდგენ მკუდარნი? ანუ რომლითა-მე კორცითა მოვიდენ?
36. უგუნურო, შენ, რომელ დასთესი, არა ცხოვნდის, ვიდრემდე არა მოკუდის.
37. და რომელი-იგი დასთესი, არა თუ იგი გუამი რომელ ყოფად არნ დასთესი, არამედ შიშუელი მარცუალი გინა თუ იფქლისაჲ, ანუ თუ სხუაჲ რომელიმე თესლი.
38. ხოლო ღმერთმან მოსცის მას გუამი, ვითარცა უნებნ, და თჳთოეულსა თესლსა თჳსი გუამი.
39. არა ყოველი კორცი ერთ კორც არს, არამედ სხუაჲ არს კაცთაჲ და სხუაჲ კორცი არს პირუტყუთაჲ და სხუაჲ კორცი არს მფრინველთაჲ და სხუაჲ კორცი არს თევზთაჲ,
40. და კორცნი იგი ზეცისათანი და კორცნი იგი ქუეყანისათანი; არამედ სხუაჲ არს ზეცისათა მათ დიდებაჲ და სხუაჲ არს ქუეყანისათაჲ.
41. სხუაჲ დიდებაჲ არს მზისაჲ და სხუაჲ დიდებაჲ არს მთოვარისაჲ და სხუაჲ დიდებაჲ არს ვარსკულავთაჲ; რამეთუ ვითარცა-იგი ვარსკულავი ვარსკულაესა ჰმატს დიდებითა,
42. ეგრეთცა აღდგომაჲ მკუდართაჲ: დაეთესვის ხრწნილებით და აღდგების უხრწნელებით;
43. დაეთესვის გინებით და აღდგების დიდებით; დაეთესვის უძლურებით და აღდგების ძლიერებით;
44. დაეთესვის კორცი მშჯნვიერი და აღდგების კორცი სულიერი. არს კორცი მშჯნვიერი და არს კორცი სულიერი.
45. ეგრეცა წერილ არს: იყო პირველი იგი კაცი ადამ სამშჯნველად ცხოველად, ხოლო უკუანაჲსკნელი ადამ – სულად განმაცხოველებელად.
46. არამედ არა პირველად სულიერი იგი, არამედ მშჯნვიერი, მაშინღა სულიერი.
47. პირველი იგი კაცი ქუეყანისაგან მიწისაჲ, ხოლო მეორე იგი კაცი უფალი ზეცით.

48. ვითარცა-იგი მიწისაგანი, ეგრეთცა მიწისაგანნი, და ვითარცა-იგი ზეცისაჲ, ეგრეთცა ზეცისაგანნი იგი.
49. და ვითარცა იგი შევიმოსეთ ხატი იგი მიწისაგანისაჲ, შევიმოსოთ ხატიცა იგი ზეცისაგანისაჲ.
50. ხოლო ამას ვიტყჳ, ძმანო, რამეთუ ჴორცთა და სისხლთა სასუფეველი ღმრთისაჲ დამკჳდრებად ვერ ძალ-უც, არცა ხრწნილებაჲთან უხრწნელებაჲ დაიმკჳდროს.
51. აჰა ესერა საიდუმლოსა გითხრობ თქუენ: ყოველთაევე უკუე არა შევისუენოთ, ხოლო ყოველივე განვახლდეთ
52. მეყსა შინა წამსა თუალისასა უკუანაჲსკნელითა მით საყურითა, რამეთუ საყურსა დაეცეს, და მკუდარნი იგი აღდგენ უხრწნელნი, და ჩუენ განვახლდეთ.
53. რამეთუ ჯერ-არს ხრწნილისა ამის შემოსად უხრწნელებაჲ, და მოკუდავისა ამის შემოსად უკუდავებაჲ.
54. ხოლო რაჟამს განხრწნადმან ამან შეიმოსოს უხრწნელებაჲ და მოკუდავმან ამან შეიმოსოს უკუდავებაჲ, მაშინ აღესრულოს სიტყუაჲ იგი წერილისაჲ: დაინთქა სიკუდილი ძლევითა.
55. სადა არს, სიკუდილო, საწერტელი შენი? სადა არს, ჯოხეთო, ძლევაჲ შენი?
56. რამეთუ საწერტელ სიკუდილისა – ცოდვაჲ, ხოლო ძალ ცოდვისა – შჯული.
57. ხოლო ღმერთსა მადლი, რომელმან მომცა ჩუენ ძლევაჲ ქრისტე იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა.
58. ამიერითგან, ძმანო ჩემნო საყუარელნო, მტკიცე იყევნით და შეურყეველ და ჰმატებდით საქმესა უფლისასა. მარადის უწყოდეთ, რამეთუ შრომაჲ ეგე თქუენი არა ცუდად იყოს უფლისა მიერ.

16

1. ხოლო შესაწირაჲსა მისთჳს წმიდათაჲსა, ვითარცა-იგი უბრძანე ეკლესიათა გალატიისათა, ეგრეცა თქუენ ჰყოფდით.
2. ერთშაბათად-ერთშაბათად კაცად-კაცადი თქუენი თჳს თანა დაიკრებდინ და იუნჯებდინ, რაჲცა-იგი განემარჯოს, რაჲთა არა, ოდეს მოვიდე, მაშინღა იქმნას შეკრებაჲ.
3. ხოლო რაჟამს მოვიდე, რომელნიცა-იგი გამოსცადნეთ წიგნებითა, ესენი წარვაელინნე მიღებად მადლისა მის თქუენისა იერუსალჵმდ.
4. და უკუეთუ ღირდეს ჩემიცა წარსლვაჲ, ჩემ თანა მოვიდენ.
5. ხოლო მოვიდე თქუენდა, რაჟამს მაკედონიაჲ განვლო, რა-

მეთუ მაკედონიასა განვჰვლი.
6. და, ვინ უწყის, თუ თქუენ თანა დავადგრე, გინა თუ და-ცა-ვიზამთრო, რაჲთა თქუენ წარ-მგზავნოთ მე, ვიდრეცა ვიდღდი.
7. რამეთუ არა მნებავს აწ მგზავრ ხილვაჲ თქუენი; ხოლო ვესავ რაოდენისამე ჟამისა და-ყოფასა თქუენ თანა, უფალმან თუ გჳბრძანოს.
8. ხოლო დავადგრე ეფესოს შინა ვიდრე მარტჳლიადმდე,
9. რამეთუ კარი განმეღო მე დიდი და შემწე, და მჯდომნი მრავალ არიან.
10. და უკუეთუ მოვიდეს ტიმოთე, ისილეთ, რაჲთა უშიშად იყოს თქუენ თანა, რამეთუ საქ-მესა უფლისასა იქმს, ვითარცა-ესე მე.
11. ნუუკუე ვინმე შეურაცხ-ყოს იგი, და წარმომიგზავნეთ იგი მშჳდობით, რაჲთა მოვიდეს ჩემდა, რამეთუ ველი მას ძმათა თანა.
12. ხოლო აპოლოჲსთჳს ძმისა ფრიად ვჰლოცევდი მას, რაჲ-თამცა მოვიდა თქუენდა ძმათა თანა; და არა სამე იყო ნებაჲ, რაჲთამცა აწ მოვიდა, ხოლო მოვიდეს, ოდეს მოიცალოს.
13. მღჳძარე იყვენით, მტკიცედ დეგით სარწმუნოებასა ზედა, მკნე იყვენით და განძლიერ-დით;
14. ყოველივე თქუენი სიყუა-რულით იყავნ.
15. ხოლო გლოცაე თქუენ, ძმა-ნო, რამეთუ იცით სახლი იგი სტეფანაჲსი, ვითარმედ არს პირველი აქაიაჲსაჲ, და მსახუ-რად წმიდათა დააწესნეს თავ-ნი თჳსნი.
16. რაჲთა თქუენცა დაემორ-ჩილნეთ ეგევითართა მათ და ყოველსავე თანა-შემწესა და მშრომელსა.
17. ხოლო მისარის მოსლვასა მას ზედა სტეფანაჲსსა და ფურ-ტონატესსა და აქაიკესსა, რა-მეთუ თქუენი იგი დაკლებული ამათ აღავსეს,
18. რამეთუ განუსუენეს ჩემსა-ცა სულსა და თქუენსაცა. იც-ნით-მცა უკუე ეგევითარნი იგი.
19. გიკითხვენ თქუენ ეკლესია-ნი ასიისანი; გიკითხვენ თქუენ ფრიად უფლისა მიერ აკჳლა და პრისკილა თანა-მკჳდრითურთ მათით კრებულით.
20. გიკითხვენ თქუენ ძმანი ყო-ველნი. მოიკითხევდით ურთი-ერთარს ამბორის-ყოფითა წმი-დითა.
21. კითხვაჲ კელითა ჩემითა პავლესითა.
22. რომელსა არა უყუარდეს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, იყავნ შეჩუენებულ, მარანათა.
23. მადლი უფლისა ჩუენისა იე-სუ ქრისტესი თქუენ თანა.
24. სიყუარული ჩემი თქუენ ყო-ველთა თანა ქრისტე იესუჲს მიერ. ამინ.

უწყებანი კორინთელთა მიმართ მეორისა ეპისტოლისა წმიდისა მოციქულისა პავლესი

ამას მიუგზავნის მაკედონიით, ხოლო მიზეზი ეპისტოლისა ესე არს რამეთუ შეიწყნარეს კორინთელთა პირველი ეპისტოლე, და შეჰსწუხნეს ცოდვასა მას ზედა, რომელსა მამის-ცოლი შეერთო, თუ ვითარ უგულებელს-ეყოთ ესე-ვითარი ცოდუაჲ, რამეთუ აღიტაცებოდეს მათ მიერ, რომელნი-იგი იყუნეს მიზეგნი შფოთთა და კდომათანი, რაჲთა შეიტკბობდენ წერილსა ჰსჯულისასა რაჲთა არა უმეტეს შეერაცხოს ქრისტეს მიერი ესე მაღლი და უფროს ერჩდეს რომელნი წინაშე პირსა იქადოდეს, და იყუნეს მსახურებისათჳს წმიდათასა კეთილად მზრუნველ, მათდა მიმართ უკუე მიუწერს, და პირველად აქებს მათ განკდისათჳს რომელმან უსჯულოებაჲ ჰქმნა, ეგრეთვე ნუგეშინის-ჰსცემს მათ, და ასწაევებს შენანებულისა მის შეწყნარებად, ხოლო ასწაევებს შჯულისათჳსცა განყოფასა წერილისასა, და აჩუენებს რამეთუ არა ჯერ-არს შეწყნარებად ჰსჯულისა ხოლო წერილისა, არამედ ძალისა და გონებისა წერილთასა საკმარ არს გამოძიებაჲ, რამეთუ სიტყუათა შინა არს გონებაჲ სულისა წმიდისაჲ, და მერმე იტყჳს რამეთუ ქრისტეს მოსლეითა იქმნა ახალი ჰსჯული და არა ჯერ-არს ძუელისა მისებრ ცხოერებაჲ, არამედ ვითარცა ახალსა დაბადებულსა შინა ყოველით-კერძო განახლება და ვითარმედ ამიერითგან უქმ-არს წინა-დაცეთილება, ხოლო მაღლიერ არს მათდა მსახურებისათჳსცა წმიდათასა, და უბრძანებს მათ უმეტეს განმრაელებად მისა და ბრალეულ-ჰყოფს წინაშე პირსა მოქადულთასა, და წარმოიტყჳს ყოველსა, რაოდენი ევნო ქრისტესთჳს, და მოიკსენებს ჩუენებათა რომელნი იხილა და სამოთხედ და მესამედ ცად აღტაცებასა, და ამცნებს რაჲთა არა ჰსცოდეიდენ, შეცოდებულთა შენანებად, და ესრეთ მაღლობით აღასრულებს ეპისტოლესა.

ხოლო ეპისტოლისა ამის უმრაელესი სიტყუა არს თაჳსა თჳსისათჳს, და კორინთელთა მიმართ, და ცრუთა მოციქულთა, და ამათ მიზეზთაგან აღეალს მაღლისათჳს ღმრთისა და კეთილისა მოქალაქობისა და კეთილისა სჳინდისისა, და მოღუაწებითა სულიერითა, და რაჲთა არა უყუარდენ საკმარნი, წარმატებისათჳს სათნოებისა, სიბოროტისათჳს და ამპარტაჳნებისათჳს ცრუთა მოციქულთა.

პავლე მოციქულისა წიგნი კორინთელთაჲ მეორე

1

1. პავლე, მოციქული იესუ ქრისტესი ნებითა ღმრთისაჲთა, და ტიმოთე ძმაჲ ეკლესიათა ღმრთისათა, რომელნი არიან კორინთეს შინა ყოველთა თანა წმიდათა, რომელნი არიან ყოველსა აქაიასა:
2. მაღლი თქუენდა და მშჳდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა.
3. კურთხეულ არს ღმერთი და მამაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, მამაჲ მოწყალებათაჲ და ღმერთი ყოველისა ნუგეშინის-ცემისაჲ,
4. რომელი ნუგეშინის-მცემს ჩუენ ყოველთა შინა ჭირთა ჩუენთა, რაჲთა შეუძლოთ ჩუენცა ნუგეშინის-ცემად ყოველთა მათ ჭირვეულთა ნუგეშინის-ცემითა მით, რომლითა ნუგეშინის-ცემულ ვართ ჩუენ ღმრთისა მიერ.
5. რამეთუ ვითარცა-იგი ჰმატან ვნებანი ქრისტესნი ჩუენდა მომართ, ეგრეთცა ქრისტეს მიერ ჰმატან ნუგეშინის-ცემანიცა ჩუენნი.
6. რამეთუ გინა თუ ვიჭირვით, თქუენისათჳს ნუგეშინის-ცემისა და ცხორებისა, რომელი შეიქმნების მოთმინებითა მითვე ვნებათაჲთა, რომლითა-ესე ჩუენცა გუეენების. და სასოებაჲ ჩუენი მტკიცე არს თქუენთჳს.
7. გინა თუ ნუგეშინის-ცემულ ვართ, თქუენისათჳს ნუგეშინის-ცემისა და ცხორებისა; უწყით, რამეთუ ვითარცა-იგი ბიარ ხართ ვნებათა მათ ჩუენთა, ეგრეთცა ნუგეშინის-ცემასა.
8. რამეთუ არა მნებავს უმეცრებაჲ თქუენი, ძმანო, ჭირისა მისთჳს ჩუენისა, რომელი-იგი შეგუემთხჳა ჩუენ ასიას შინა; რამეთუ გარდარეულად დაგჳმძიმდა ჩუენ უფროჲს ძალისა ჩუენისა ვიდრე წარწირვაძდე ჩუენდა ცხორებისაცა.
9. არამედ თჳთ თავით თჳსით განჩინებაჲ იგი სიკუდილისაჲ მოგუეღო, რაჲთა არა ვესეიდეთ თავთა ჩუენთა, არამედ ღმერთსა, რომელმან-იგი აღადგინნის მკუდარნი,
10. რომელმან ესევითარისა მის სიკუდილისაგან მიჴსნნა ჩუენ და მიჴსნის, რომელსა-იგი ვესაჳთ, ვითარმედ მერმეცა მიჴსნნეს,
11. თანა-შეწევნითა ლოცვათა თქუენთაჲთა ჩუენთჳს, რაჲთა მრაელითა პირითა ჩუენდა მოართი იგი მაღლი მრავალთა მიერ სამადლობელ იქმნას თქუენთჳს.
12. რამეთუ სიქადული ჩუენი ესე არს, წამებაჲ გონებისა ჩუენისაჲ, რამეთუ სიწრფოებითა

და ჭეშმარიტებითა ღმრთისაჲთა და არა სიბრძნითა კორციელითა, არამედ მადლითა ღმრთისაჲთა ვიქცეოღეთ სოფელსა შინა, ხოლო უმეტესაღ ღა თქუენდა მიმართ.
13. რამეთუ არა თუ სხუასა რასამე მიესწერთ თქუენდა, არამედ რომელსაცა-იგი იკითხავთ და რომელიცა-იგი გიცნობიეს; ხოლო ეესავ, ვითარმედ სრულაღცა გულისკმა-ჰყოთ,
14. ვითარცა-იგი მიცნენით ჩუენ ჟამად-ჟამად, რამეთუ სიქაღულ თქუენდა ვართ, ვითარცა თქუენ — ჩუენდა, ღღესა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა.
15. და ამით სასოებითა მინდა მისლვაღ თქუენდა პირველაღ, რაჲთა მეორე სიხარული გაქუნდეს,
16. და თქუენ მიერ წარსლვაჲ მაკედონიაღ და კუალაღ მაკედონიაჲთ მოსლეაღ თქუენდაეე და თქუენ მიერ წარგზავნაღ ჰურიასტანაღ.
17. ამას უკუე რაჲ განვიზრახეღ, მცირეღ რაჲ-მე ნუუკუე შემერაცხა? ანუ რომელსა-ესე ვზრახავ, კორციელაღ-მე რას ვზრახავა, რაჲთა იყოს ჩემ მიერი იგი ჰეჲ ჰე და არაჲ — არა?
18. ხოლო სარწმუნო არს ღმერთი, რამეთუ სიტყუაჲ იგი ჩუენი, რომელი იყო თქუენდა მიმართ, არა იყო ჰე და არა.
19. რამეთუ ძე ღმრთისაჲ, იესუ ქრისტე, რომელი ჩუენ მიერ თქუენ შორის იქადაგა ჩემ მიერ, და ტიმოთეს და სილოანეს, არა იყო ჰე და არა, არამედ ჰე იგი მას შინა იქმნა.
20. რამეთუ რაოდენნი იგი აღთქუმანი ღმრთისანი არიან, მას შინა არს ჰე იგი და მას შინა ამინი ღმრთისა საღიდებელაღ ჩუენ მიერ.
21. რომელმან-იგი განმამტკიცნა ჩუენ თქუენ თანა ქრისტეს მიმართ და ცხებულ გუყვნა ჩუენ ღმერთმან,
22. და აღგუბეჭდნა ჩუენ და მომცა წინდი იგი სულისაჲ გულთა შინა ჩუენთა.
23. ხოლო მე მოწამეღ ღმერთსა ეხადი სულისა ჩემისა, რამეთუ გერიდებოდე თქუენ და მისთჳს არღარა მოვეღ კორინთეღ.
24. არა თუ უფლებთ რას სარწმუნოებასა თქუენსა, არამედ თანა-შემწენი ვართ სიხარულისა თქუენისანი, და რამეთუ სარწმუნოებითა სდგათ.

2

1. და ესე ვსაჯე თავისა ჩემისა, რაჲთა არა კუალაღ მწუხარებით მოვიდე თქუენდა.
2. რამეთუ უკუეთუ მე შეგაწუხნე თქუენ, და ვინ არს იგი, რომელმან მახაროს მე, არა თუ მან, რომელი-იგი შეწუხებულ იყოს ჩემ მიერ?
3. და მივწერე თქუენდა ესეე,

რაჲთა არა, რაჟამს მოვიდე, მწუხარებაჲ მაქუნდეს, რომელთაგან ღირდა ჩემდა სისარული; გესაე თქუენ ყოველთა, რამეთუ სიხარული ჩემი თქუენ ყოველთაჲ არს.

4. რამეთუ მრაელისაგან მწუხარებისა და შეურევებულისა გულისა მიეწერე თქუენდა მრავლითა ცრემლითა, არა რაჲთა შესწუხნეთ, არამედ რაჲთა სცნათ სიყუარული იგი გარდარეული, რომელ მაქუს თქუენდა მიმართ.

5. ხოლო უკუეთუ ვინმე შემაწუხა, არა მე შემაწუსა, არამედ ზოგს-რაჲმე, – რაჲთა არა დაგამძიმო, – თქუენ ყოველთა.

6. კმა-არს ეგეითარისა მის შერისხვაჲ ესე მრავალთაჲ.

7. ხოლო აწ წინააღმდგომი უფროჲსღა თქუენდა მიმადლებად და ნუგეშინის-ცემად, ნუუკუე უმეტესითა მწუხარებითა დაინთქას ეგეითარი იგი.

8.ამისთჳს გლოცავ თქუენ, განამტკიცეთ მის ზედა სიყუარული.

9. რამეთუ მი-ვე ამისთჳს-ვწერე, რაჲთა ვცნა გამოცდილებაჲ თქუენი, უკუეთუ ყოელისათჳს-ძი მორჩილ ხართა?

10. ხოლო რაჲ-იგი მომმადლოთ თქუენ, და მეცა; და რამეთუ მეცა რაჲ-იგი მიმიმადლებიეს, მი-ვე-მიმადლებიეს თქუენ ძლით წინაშე პირსა ქრისტესსა,

11. რაჲთა არა მივიანგაპრნეთ ჩუენ ეშმაკისაგან, რამეთუ არა გონებასა მისსა უმეცარ ვართ.

12. ხოლო მო-რაჲ-ვედ ტროადად სასარებითა ქრისტესითა და კარი განმეღო მე უფლისა მიერ,

13. არა მაქუნდა ლხინებაჲ სულისა ჩემისაჲ, რამეთუ არა ვპოვე მე ტიტე, ძმაჲ იგი ჩემი, არამედ ვიჴმენ მათგან და გამოვედ მაკედონიად.

14. ხოლო მადლი ღმერთსა, რომელმან მარადის განმაცხადნის ჩუენ ქრისტეს მიერ და სული იგი მეცნიერებისა მისისაჲ გამოაჩინის ჩუენ მიერ ყოველსა ადგილსა.

15. რამეთუ ქრისტეს სურნელებანი ვართ ღმრთისა მიერ ცხორებულთა მათ შორის და წარწყმედულთა:

16. რომელთამე სულად სიკუდილითი სიკუდილად და რომელთამე სულად ცხორებითი ცხორებად. და ამის მიმართ ვინ-მე შემძლებელ არს?

17. რამეთუ არა ვართ ვითარცა-იგი მრავალნი ვაჭარ სიტყუასა მას ღმრთისასა, არამედ ვითარცა წადიერებისაგან, არამედ ვითარცა ღმრთისაგან, წინაშე ღმრთისა ქრისტეს მიერ ვიტყჳთ.

3

1. კუალად ვიწყებთ თაეთა

თჳსთა წამებად. ანუ გჯერს-მე რაჲ, ვითარ-იგი ვიეთმე საწამებელი წიგნი აქუს თქუენდა მიმართ ანუ თუ თქუენგან ეგრეთვე საწამებელი?

2. ანუ არა წიგნ ჩუენდა თქუენ ხართა უულისა მიერ, დაწერილ გულთა შინა ჩუენთა, უწყებულ და აღმოკითხულ ყოველთა მიერ კაცთა?

3. საცნაურ ქმნილ, რამეთუ ხართ წიგნ სამოციქულო ქრისტესა, რომელი იმსახურა ჩუენ მიერ, დაწერილნი არა მელნითა, არამედ სულითა ღმრთისა ცხოველისაჲთა, არა ფიცართა შინა ქვისათა, არამედ ფიცართა შინა გულისა კორციელისათა.

4. ხოლო სასოებაჲ ესევითარი გუაქუს ქრისტეს მიერ ღმრთისა მიმართ.

5. არა თუ თავით თჳსით შემძლებელ ვართ შერაცხად რასმე რეცათუ ჩუენგან, არამედ შეძლებაჲ ჩუენი ღმრთისაგან არს,

6. რომელმან-იგი შემძლებელ მყენა ჩუენ მსახურებად ახლისა შჯულისა, არა წიგნისა, არამედ სულისა, რამეთუ წიგნი მოაკუდინებს, ხოლო სული აცხოვნებს.

7. ხოლო უკუეთუ მსახურებაჲ იგი სიკუდილისაჲ, წიგნითა გამოსახული ფიცართა შინა, იქმნა დიდებულ, ვიდრეღა ვერ შემძლებელ იყვნეს ძენი ისრაჱლისანი თუალთა შედგმად პირსა მოსესსა დიდებითა მით პირისა მისისაჲთა, რომელ განქარეებად იყო,

8. რაოდენ-მე არა უფროჲს მსახურებაჲ იგი სულისაჲ იყოს დიდებით?

9. რამეთუ უკუეთუ მსახურებაჲ იგი დაშჯისაჲ დიდება, რაოდენ უფროჲს აღემატოს მსახურებაჲ იგი სიმართლისაჲ დიდებითა.

10. და რამეთუ არღა დიდებულ არს დიდებაჲი იგი ამით ჯერითა გარდარეულისა მისთჳს დიდებისა.

11. რამეთუ უკუეთუ განქარეებაჲი იგი იყო დიდებით, რაოდენ უფროჲს, რომელი-იგი ჰგიეს დიდებით.

12. ვინაჲთგან უკუე გუაქუს ესევითარი სასოებაჲ, მრავალი განცხადებულებაჲ ეიკუმიოთ.

13. და არა ვითარ-იგი მოსე საფარველი დაიბურის პირსა თჳსსა, რაჲთა არა ხედვიდენ ძენი ისრაჱლისანი დასასრულსა მას განქარეებისასა.

14. არამედ დაბრმეს გონებანი მათნი, რამეთუ ვიდრე დღეინდელად დღედმდე იგივე საბურველი საკითხაჲსა მას ზედა ძუელისა შჯულისასა ჰგიეს აღუძრცუელად, რამეთუ ქრისტეს მიერ განქარდების.

15. არამედ დღეინდელად დღედმდე, რაჟამს აღმოიკითხვის მოსესთჳს, საბურველი გულსა მათსა ძეს.

16. ხოლო რაჟამს მოიქცეს უფლისა, მოეძარცუვის საბურველი იგი.
17. ხოლო უფალი სულ არს; ხოლო სადა სული უფლისაჲ, მუნ აზნაურებაჲ არს.
18. ხოლო ჩუენ ყოველნი განცხადებულითა პირითა დიდებასა უფლისასა განვიცდით, მასვე სატსა მივიცვალებით დიდებითი დიდებად, ვითარცა-იგი უფლისაგან სულად.

4

1. ამისთჳს მაქუს ჩუენ მსახურებაჲ ესე, ვითარცა შევიწყალენით და არა გუეწყინების,
2. არამედ განვიშორენით დაფარულნი იგი სირცხჳლისანი და არა ვალთ ჩუენ ვერაგობით, არცა ვზაკუავთ სიტყუასა ღმრთისასა, არამედ განცხადებულებითა ჭეშმარიტებისაჲთა წარუდგინებთ თაეთა თჳსთა ყოველისა მიმართ გონებისა კაცთაჲსა წინაშე ღმრთისა.
3. ხოლო უკუეთუ არს დაფარულ სახარებაჲ ესე ჩუენი, წარწყმედულთა მათ შორის არს დაფარულ,
4. რომელთანი-იგი ღმერთმან ამის სოფლისათა დაუბრმნა გონებანი ურწმუნოთანი, რაჲთა არა გამოუბრწყინდეს მათ ნათელი იგი სახარებისა დიდებისა ქრისტესი, რომელი-იგი არს ხატი ღმრთისა უხილავისაჲ.
5. რამეთუ არა თუ თავთა თჳსთა ექადაგებთ, არამედ ქრისტესა იესუს, უფალსა; ხოლო თავთა ჩუენთა – მონად თქუენდა იესუჲსთჳს.
6. რამეთუ ღმერთმან, რომელმან თქუა ბნელისაგან ნათელი გამობრწყინვებად, რომელმან გამოაბრწყინვა გულთა შინა ჩუენთა განსანათლებელად მეცნიერებისა დიდებისა ღმრთისა წინაშე პირსა იესუ ქრისტესსა.
7. ხოლო გუაქუს ჩუენ საფასე ესე კეცის ჭურებითა, რაჲთა გარდარეული იგი ძლიერებისაჲ იყოს ღმრთისაჲ და არა ჩუენგან.
8. ყოველსა შინა ვიჭირვით, არამედ არა იწროება გუჩნს; წარ-ღათუ-წირულ ვართ, არამედ არა განწირულება გუჩნს.
9. დევნულ ღათუ ვართ, არამედ არა დატევებულ ვართ; და-ღათუ-ვრდომილ ვართ, არამედ არა წარწყმედულ ვართ.
10. მარადის სიკუდილი იგი უფლისა იესუჲსი კორცთა შინა ჩუენთა გუტჯრთავს, რაჲთა ცხორებაჲცა იგი იესუჲსი კორცთა ამათ შინა ჩუენთა გამოცსადნეს.
11. რამეთუ მარადის ჩუენ, ცხოველნი ესე, სიკუდილსა მივეცემით იესუჲსთჳს, რაჲთა ცხორებაჲცა იგი იესუჲსი მოკუდავთა ამათ შინა კორცთა ჩუენთა გამოცხადნეს;

12. ვინაჲცა სიკუდილი ჩუენ თანა შეიქმნების, ხოლო ცხორებაჲ – თქუენ შორის.
13. ხოლო გუაქუს ჩუენ იგიეე სული სარწმუნოებისაჲ, ვითარცა წერილ არს: მრწმენა მე, რომლისათჳსცა ვიტყოდე, და ჩუენცა გურწამს, რომლისათჳსცა ვიტყჳთ.
14. ესე უწყით, რამეთუ რომელმან აღადგინა უფალი იესუ, ჩუენცა იესუჲს მიერ აღმადგინნეს, წარმადგინნეს თქუენ თანა.
15. რამეთუ ყოველიეე თქუენთჳს არს, რაჲთა მაღლი იგი აღემატოს მრავალთათჳს, და მადლობაჲ იგი გარდაერიოს სადიდებელად ღმრთისა.
16. ამისთჳს არა გუეწყინების, არამედ დაღათუ გარეშე ესე კაცი ჩუენი განიხრწნების, არამედ შინაგანი განასლდების დღითი-დღედ.
17. რამეთუ საწუთროჲ ესე მცირე ჭირი ჩუენი გარდამეტებულსა და გარდარეულსა დიდსა დიდებასა საუკუნესა შეიქმს ჩუენთჳს.
18. რამეთუ არა ვსჳდავთ ჩუენ ხილულსა ამას, არამედ უხილავსა მას, რამეთუ ხილული ესე საწუთრო არს, ხოლო არახილული იგი – საუკუნო.

5

1. რამეთუ უწყით, ვითარმედ უკუეთუ ქუეყანისა ესე სახლი, საყოფელი ჩუენი, დაირღუეს, აღშენებული ღმრთისა მიერ მაქუს ჩუენ სახლი ქელით-უქმნელი საუკუნოჲ ცათა შინა.
2. და რამეთუ ამას შინა ვკუნესით და საყოფელი იგი ჩუენი ზეცით გამო შემოსაღ გუსურის;
3. რომელი-იგი შე-თუ-ვიმოსოთ, არღარა შიშულ ვიპოვნეთ.
4. და რამეთუ რომელნი-ესე ვართ საყოფელსა ამას შინა, ვკუნესით და დაგჳმძიმდების, რომელი-ესე არა გუნებავს განძარცუვაღ, არამედ შემოსაღ, რაჲთა დაინთქას მოკუდაჲი იგი ცხორებისაგან.
5. ხოლო რომელმან-იგი შემქმნა ჩუენ ამისთჳს მებრეე ღმერთმან, რომელმან მომცა ჩუენ წინდი იგი სულისაჲ.
6. მინდობილ ვართ უკუე მარადის და უწყით, რამეთუ შემოვედით კორცითა ამით და განვიდეთ უფლისა მიერ.
7. რამეთუ სარწმუნოებით ვიქცევით და არა იჭჳთ.
8. ხოლო ვიკადრებთ და ჯერ-გჳჩნს უფროჲსღა განსლეაჲ კორცთა ამათგან და მისლეად უფლისა.
9. ამისთჳსცა პატივცემულ ვართ, გინა თუ შემოვიდეთ გინა თუ განვიდეთ, სათნომცა ხოლო ვართ მისა.
10. რამეთუ ჩუენ ყოველნი განცხადებად ვართ წინაშე საყდართა ქრისტესთა, რაჲთა მო-

იღოს კაცად-კაცადმან კორცთა ამათგან, რაჲცა-იგი ქმნა, გინა თუ კეთილი გინა თუ ბოროტი.
11. უწყით უკუე შიში უფლისაჲ, კაცთა-მე ვერწმუნნეთა? რამეთუ ღმრთისა წინაშე განცსაღებულ ვართ; და ვესავეთ გონებათაცა თქუენთა შინა განცხადებად.
12. და არა თუ კუალად თავთა თჳსთა შეგასწავებთ თქუენ, არამედ მიზეზსა გცემთ თქუენ სიქადულისასა ჩუენთჳს, რაჲთა გაქუნდეს მათდა მიმართ, რომელნი-იგი პირსა წინაშე ხოლო იქადიან და არა გულითაცა.
13. რამეთუ გინა თუ განვცჳბრდით,— ღმრთისა, გინა თუ განვბრძნდით, — თქუენდა.
14. რამეთუ სიყუარული იგი ქრისტესი მაწუევს ჩუენ გამორჩევად ამას, ვითარმედ: ერთი იგი ყოველთათჳს მოკუდა, ყოველნიე სამე მოსწყდეს.
15. და ყოველთათჳს მოკუდა, რაჲთა ცხოველნი იგი არღარა თავთა თჳსთათჳს ცხოველ იყუნენ, არამედ მათთჳს მომკუდრისა მის და აღდგომილისა.
16. ამიერითგან ჩუენ არღარავინ ვიცით კორციელად; რამეთუ დაღაცათუ ვიცოდეთ ქრისტე კორციელად, არამედ აწ არღარა ვიცით,
17. არამედ რაჲ-იგი არს ქრისტეს მიერ ახალი დაბადებული; პირველი იგი წარჴდა, აჰა ესერა იქმნა ყოველიე ახალ.
18. და ყოველივე ღმრთისა მიერ, რომელმან-იგი დამაგნა ჩუენ თავსა თჳსსა ქრისტე იესუჲს მიერ და მომცა ჩუენ მსახურებაჲ იგი დაგებისაჲ.
19. რამეთუ ღმერთი იყო ქრისტეს თანა, სოფელი დააგო თავსა თჳსსა და არა შეურაცხნა მათ ცოდვანი მათნი, და დაღვა ჩუენ თანა სიტყუაჲ იგი დაგებისაჲ.
20. ქრისტესთჳს უკუე ვიქუთ, ვითარცა ღმერთი გლოცავს ჩუენ მიერ; გევედრებით ქრისტესთჳს: დაეგენით ღმერთსა.
21. რამეთუ, რომელმან-იგი არა იცოდა ცოდვაჲ, ჩუენთჳს ცოდვაჲ ქმნა, რაჲთა ჩუენ ვიქმნეთ სიმართლე ღმრთისა მას შინა.

6

1. ხოლო თანა-შეგეწევით და გლოცავეთ, რაჲთა არა ამაოდ მაღლი იგი ღმრთისაჲ შეიწყნაროთ თქუენ.
2. რამეთუ იტყჳს: ჟამსა შეწყნარებისასა ვისმინე შენი და დღესა ცხორებისასა შეგეწიე შენ. აჰა ესერა, აწ არს ჟამი იგი შეწყნარებისაჲ, აჰა ესერა აწ არს დღე იგი ცხორებისაჲ.
3. ნურაჲვინ ნურარაჲთ ნუცა ერთსა დაბრკოლებასა ვის სცემთ, რაჲთა არა იგმოს მსახურებაჲ ეგე თქუენი.
4. არამედ ყოველსა შინა წა-

რუდგინენით თავნი თქუენნი, ვითარცა ღმრთისა მსახურთა, მოთმინებითა მრაელითა, ჭირთა შინა და ურეათა, იწროებათა შინა
5. და ტანჯეათა, პყრობილებათა შინა და შფოთებათა, შრომითა და მღჳძარებითა, მარხვითა
6. და სიწმიდითა, მეცნიერებითა და სულგრძელებითა, სიტკბოებითა და სულითა წმიდითა, სიყუარულითა შეუორგულებელითა,
7. სიტყჳთა ჭეშმარიტებისაჲთა, ძალითა ღმრთისაჲთა, საჭურველითა მით სიმართლისაჲთა მარჯუენისაჲთა და მარცხენისაჲთა,
8. დიდებითა და გინებითა, გმობითა და ქებითა; ვითარცა მატურნი, და ჭეშმარიტნი;
9. ვითარცა უცნაურნი, და საცნაურნი; ვითარცა მოსიკუდიდნი, და აჰა ესერა ცხოველ ვართ; ვითარცა სწაელულნი, და არა სიკუდიდნი;
10. ვითარცა მწუხარენი, და მარადის გჳხარის; ვითარცა გლახაკნი, და მრავალთა განვამდიდრებთ; ვითარცა არარაჲ გუაქუს, და ყოველივე გუაქუს.
11. პირი ჩუენი აღებულ არს თქუენდა მიმართ, კორინთელნო, და გული ჩუენი განვრცომილ არს.
12. არა შეიწრებულ სართ ჩუენ მიერ, არამედ შეიწრებულ სართ ნაწლეთაგან თქუენთა.
13. მასვე სასყიდლის კუალად-გებასა, ვითარცა შვილთა გეტყჳ: განვრცენით თქუენცა.
14. ნუ იქმნებით თანა-მეუღლე ურწმუნოთა, რამეთუ რაჲ მოყუსება არს სიმართლისა და უშჯულოებისაჲ? ანუ რაჲ ზიარებაჲ არს ნათლისა და ბნელისა?
15. ანუ რაჲ შეტყუება არს ქრისტესი ბელიარის თანა? ანუ რაჲ ნაწილ უც მორწმუნესა ურწმუნოჲსა თანა?
16. ანუ რაჲ სწორება არს ტაძრისა ღმრთისა კერპთა თანა? რამეთუ თქუენ ტაძარნი ღმრთისა ცხოველისანი სართ, ვითარცა თქუა ღმერთმან: დავიმკჳდრო და ვიქცეოდი მათ შორის და ვიყო მე მათა ღმერთ და იგინი იყვნენ ჩემდა ერად.
17. ამისთჳს გამოვედით შორის მათსა და გამოეშორენით, იტყჳს უფალი, და არაწმიდასა ნუ შეეხებით, და მე შეგიწყნარნე თქუენ.
18. და ვიყო მე თქუენდა მამა და თქუენ იყვნეთ ჩემდა ძენი და ასულნი, იტყჳს უფალი ყოველისა მპყრობელი.

7

1. ესე რაჲ უკუე გუქონან აღთქუმანი, საყუარელნო, განვიწმიდნეთ თავნი ჩუენნი ყოველი-

საგან შეგინებისა ჴორცთაჲსა და სულისა და აღვასრულებდეთ სიწმიდესა შიშითა ღმრთისაჲთა.

2. შემინდვეთ ჩუენ: არავის რაჲ ვაენეთ, არავინ განესრწენით, არავინ მოვიანგაჰრეთ.

3. არა დასაშჯელად ვიტყჳ, რამეთუ წინაწარ ვთქუ, ვითარმედ: გულთა შინა ჩუენთა ხართ თანამოსიკუდიდ და თანა-ცხორებად.

4. მრავალი კაძნიერებაჲ მაქუს თქუენდა მიმართ, მრავალი სიქადული თქუენთჳს, სავსე ვარ ნუგეშინის-ცემითა, გარდამრევიეს სისარული ყოველთა ზედა ჭირთა ჩუენთა.

5. და რამეთუ რაჟამს მოვედით ჩუენ მაკედონიად, არცა ერთი რაჲ ლხინებაჲ აქუნდა ჴორცთა ჩუენთა, არამედ ყოველითაჱე ვიჭირეოდეთ: გარეშე — ბრძოლანი, შინაგან — შიშნი.

6. არამედ რომელმან-იგი ნუგეშინის-სცის მდაბალთა, ნუგეშინის-მცა ჩუენ ღმერთმან მოსლვასა მას ტიტესსა;

7. არა ხოლო მოსლვითა მისითა, არამედ ნუგეშინის-ცემითა მით, რომლითა ნუგეშინის-ცემულ იქმნა თქუენ ზედა: მითხრობდა ჩუენ თქუენსა მას სურვილსა, თქუენსა მას გოდებასა, თქუენსა მას შურსა ჩუენთჳს, ვიდრეღა მე უფროჲსად განვიხარე.

8. რამეთუ დაღათუ შეგაწუსენ თქუენ წიგნითა მით, არა ვინანი, დაღათუმცა ვინანდი; ვხედავ, რამეთუ წიგნმან მან დაღათუ შეგაწუსნა თქუენ, ჟამ ერთ.

9. აწ მიხარის, არა თუ რომელ შესწუხენით, არამედ რამეთუ შესწუხენით სინანულად; და რამეთუ ღმრთისათჳს შესწუხენით, რაჲთა არარაჲთ იზღვინეთ ჩუენგან.

10. რამეთუ ღმრთისა მიერი იგი მწუხარებაჲ სინანულსა ცხორებისასა შეუნანებელსა შეიქმს, ხოლო სოფლისა ამის მწუხარებაჲ სიკუდილსა შეიქმს.

11. რამეთუ აჰა ესერა მანვე ღმრთისა მიერმან მწუხარებამან მაგან თქუენმან რაოდენი შექმნა თქუენ შორის სწრაფაჲ, რაოდენი სიტყჳს-გებაჲ, რაოდენი შერისხვაჲ, რაოდენი შიში, რაოდენი სურვილი, რაოდენი შური, რაოდენი შურის-გებაჲ, რაოდენი მომადლებაჲ, გინა რაოდენი ლხინი! ყოველსა შინა წარუდგინენით თავნი თქუენნი წმიდად საქმესა მას.

12. დაღაცათუ მივწერე თქუენდა, გარნა არა სამე მაენებელისა მისთჳს, არცა ენებულისა, არამედ ამისთჳს, რაჲთა გამოჩნდეს მოსწრაფებაჲ თქუენი ჩუენდა მომართი თქუენდა მიმართ წინაშე ღმრთისა.

13. ამისათჳს ნუგეშინის-ცემულ ვართ ნუგეშინის-ცემასა მას

თქუენსა ზედა; უმეტესადღა და უფროჲს განეისარეთ სიხარულსა მას ზედა ტიტესსა, რამეთუ განსუენებულ არს სული მისი თქუენ ყოველთაგან.
14. რამეთუ რაჲცა-იგი მისა მიმართ ვიქადე თქუენთჳს, არა მრცხუენა, არამედ ვითარცა ყოველსავე ჭეშმარიტებით გეტყოდეთ თქუენ, ეგრეთცა სიქადული იგი ჩუენი ტიტეს მიმართ ჭეშმარიტ იქმნა.
15. და მოწყალებაჲ მისი უმეტესადღა თქუენდა მიმართ არს, მოეკსენების თქუენ ყოველთა იგი მორჩილებაჲ, ვითარ-იგი შიშით და ძრწოლით შეიწყნარეთ იგი.
16. მიხარის, რამეთუ ყოვლითავე კადნიერ ვარ თქუენ შორის.

8

1. ხოლო გაუწყებ თქუენ, ძმანო, მადლსა მას ღმრთისასა, რომელი-იგი მოცემულ არს ეკლესიათა მათ მაკედონიაჲსათა,
2. რამეთუ მრავალმან მან გამოცდილებამან ჭირისამან და უმეტესმან სიხარულმან მათმან და დიდძალმან სიღარიბემან მათმან გარდაჰმატა სიმდიდრესა მას უხუებისა მათისასა;
3. რამეთუ მსგავსად ძალისა მათისა, ვეწამები, და უფროჲს ძალისაცა ნებსით თჳსით.
4. მრავლითა ვედრებითა გუეველრნეს მადლსა მას და ზიარებასა მსახურებისასა წმიდათა მიმართ.
5. და არა ხოლო ვითარ-იგი ეესევდით, არამედ თავნი თჳსნი მისცნეს პირველად უფალსა და მერმე ჩუენ ნებითა ღმრთისაჲთა,
6. რაჲთა ეჰლოცეიდეთ ჩუენ ტიტეს, რაჲთა ვითარცა-იგი წინაწარ იწყო, ეგრეთვე აღასრულოს თქუენდა მიმართ ესეცა მადლი.
7. არამედ ვითარცა-იგი ყოველსა შინა წარემატებით: სარწმუნოებითა და სიტყჳთა და მეცნიერებითა და ყოვლითა მოსწრაფებითა და ჩუენ მიერითა მით თქუენ შორის სიყუარულითა, რაჲთა ამითცა მადლითა აღემატნეთ.
8. არა თუ ბრძანებით გეტყჳ, არამედ სხუათა მოსწრაფებისათჳს, თქუენისა მისცა სიყუარულისა გულითადობასა გამოვიცდი.
9. რამეთუ იცით მადლი იგი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რამეთუ თქუენთჳს დაგლახაკნა მდიდარი იგი, რაჲთა თქუენ მისითა მით სიგლახაკითა განჰმდიდრდეთ.
10. და ამისათჳს გაგზრახებ, რამეთუ ესე უმჯობეს არს თქუენდა, რომელთა-ეგე არა ხოლო თუ ყოფად, არამედ ნებადცა წინაწარ იწყეთ შრანდითგან.
11. ხოლო აწ ესერა ყოფადცა

აღასრულეთ, რაჲთა ვითარცა-იგი გულს-მოდგინებაჲ ნებისათჳს, ეგრეცა აღსრულებაჲ მისგან, რომელი-იგი გაქუს.
12. რამეთუ უკუეთუ გულს-მოდგინებაჲ იგი წინა ძეს, რაჲცა-იგი ვის აქუს, შეწირულ არს, არა რომელი-იგი არა აქუს.
13. რამეთუ არა რაჲთა სხუათა ლხინი, ხოლო თქუენ ჭირი, არამედ განსწორებით.
14. ამას ჟამსა თქუენი იგი ნამეტნავი მათისა მის ნაკლულევანებისა, რაჲთა მათიცა იგი ნამეტნავი იყოს თქუენისა მის ნაკლულევანებისა, რაჲთა იყოს განსწორებულ.
15. ვითარცა წერილ არს: რომელმან ფრიად მიიღო, არაჲ ემატა, და რომელმან მცირედ, არაჲ დააკლდა.
16. ხოლო მადლი ღმერთსა, რომელმან მოსცა იგივე სწრაფაჲ თქუენთჳს გულსა ტიტესსა.
17. რამეთუ ვედრებაჲ იგი შეიწყნარა და უმოსწრაფეს რაჲ იყო, ნებსით თჳსით განვიდა თქუენდა მიმართ.
18. და მის თანა მივაველინეთ ძმაჲ, რომლისა-იგი ქებაჲ სახარებასა შინა ყოველთა მიერ ეკლესიათა,
19. და არა ხოლო თუ ესე, არამედ კელთ-დასხმითაცა იკურთხა ეკლესიათაგან თანა-გუნდად ჩუენდა მაძღრითა ამით, რომელი იმსახურების ჩუენ მიერ თავადისა უფლისა საღიდებელად და გულს-მოდგინებისა თქუენისათჳს.
20. ეერიდებით ამას, ნუ ვინმე გუგმობდეს ჩუენ სიმტკიცისა ამისათჳს, რომელი იმსახურების ჩუენ მიერ.
21. რამეთუ წინაწარ განვიზრახავთ კეთილსა, არა ხოლო წინაშე უფლისა, არამედ კაცთაცა.
22. და ამათ თანა მივაველინეთ ძმაჲ ჩუენი, რომელი გამოგუეცადა მრავალსა შინა მრავალ-გზის, და არს იგი მოსწრაფე, ხოლო აწ ფრიად უმოსწრაფეს სასოებითა მრავლითა თქუენდა მიმართ.
23. გინა თუ ტიტესთჳს, საქმის მიარისა მის ჩუენისა და თქუენისა შემწისა, გინა თუ ძმანი ჩუენნი, მოციქულნი ეკლესიათანი, დიდებანი ქრისტესნი.
24. აწ უკუე გამოჩინებაჲ იგი სიყუარულისა თქუენისაჲ და ჩუენისა სიქადულისაჲ თქუენთჳს მათა მიმართ აჩუენეთ წინაშე პირსა ეკლესიათასა.

9

1. რამეთუ მსახურებისა მისთჳს წმიდათაჲსა ნამეტნავ არს ჩემდა მიწერად თქუენდა.
2. რამეთუ ვიცი გულს-მოდგინებაჲ თქუენი, რომელი-იგი თქუენთჳს ვიქადე მაკედონელთა თანა, ვითარმედ აქაჲაჲ განმზადებულ არს შრანდითგან, და

თქუენმან მან შურმან აღაბაძენა მრაჳალნი.
3. ხოლო მივაჳლინენ ძმანი, რაჲთა არა სიქადული იგი ჩუენი თქუენთჳს ცუდ იყოს ამის ჯერისათჳს, რაჲთა, ვითარცა-იგი ვიტყოდე, განმზადებულ იყენეთ.
4. ნუუკუე, მო-რაჲ-ვიდენ ჩემ თანა მაკედონელნი და გპოვნენ თქუენ განუმზადებელნი, მრცხუენოდის ჩუენ,– რაჲთა არა გეტყოდით თქუენ, – ამის ჯერისათჳს სიქადულისა.
5. უმჯობესად უკუე შეეპრაცხე, რაჲთა ვეველდრო ძმათა, რაჲთა წინაწარ მივიდენ თქუენდა და წინაწარ განგაკრძალნენ და დაამტკიცონ პირველ აღთქუმული იგი ეულოგიაჲ თქუენი, რაჲთა ესე განმზადებულ იყოს, ვითარცა ეულოგიაჲ და არა ვითარცა ანგაჰრებაჲ.
6. ხოლო ესე: რომელმან სთესოს რიდობით, რიდობითცა მოიმკოს, და რომელმან სთესოს კურთხევით, კურთხევითცა მოიმკოს.
7. კაცად-კაცადსა ვითარცა გამოურჩევიეს გულითა, ნუ მწუხარებით, ნუცა უნებლებით; რამეთუ მხიარულებით მისაცემელი უყუარს უფალსა.
8. ხოლო ძალ-უც ღმერთსა ყოველივე საკმარი გარდამატებად თქუენდა, რაჲთა ყოველსა შინა მარადის ყოველივე უნაკლულოდ გაქუნდეს, და ჰმატებდეთ ყოველსა ზედა საქმესა კეთილსა.
9. ვითარცა წერილ არს: განაბნია და მისცა იგი გლახაკთა, და სიმართლე მისი ჰგიეს უკუნითი უკუნისამდე.
10. ხოლო რომელმან იგი მოსცის თესლი მთესეარსა და პური საზრდელად, მოგეცინ და განამრაველენ თესლი თქუენი და აღაორძინენ ნაყოფი სიმართლისა თქუენისაჲ.
11. ყოველსა შინა განგამდიდრენინ ყოვლითა უხუებითა, რომელი-იგი შეიქმნების ჩუენ მიერ სამადლობელად ღმრთისა.
12. რამეთუ მსახურებაჲ ესე შესაწირაჲისაჲ ამის არა თუ აღმაესებელ სოლო არს ნაკლულევანებისა მის წმიდათაჲსა, არამედ აღმატებაცა მრავალთათჳს სამადლობელად ღმრთისა.
13. გამოცდილებითა მით ამის მსახურებისაჲთა აღიდებდით ღმერთსა, დამორჩილებითა მით აღსარებისა თქუენისაჲთა სახარებასა მას ქრისტესსა და უხუებითა მით ზიარებისაჲთა მათა მიმართ და ყოველთა.
14. და მათი იგი ლოცვაჲ თქუენთჳს პსურის მათ თქუენდა გარდარეულისა მისთჳს მადლისა ღმრთისა, რომელ არს თქუენ ზედა.
15. ხოლო მადლი ღმერთსა გამოუთქუმელთა მათ ნიჭთა მისთა ზედა.

10

1. მე, თავადი პავლე, გლოცავ თქუენ სიმშჳდითა მით და სახიერებითა ქრისტესითა, რომელი-ესე პირისპირ მდაბალ თქუენ შორის, ხოლო შორით ვიკადრებ თქუენდა მიმართ.
2. ხოლო გლოცავ, რაჲთა არა პირისპირ ვიკადრო სასოებით, გინა შე-რაჲმე-ვჰრაცხო კადრებად ვიეთმე ბედა, რომელთა ეჰგონიეთ ჩუენ ვითარცა კორციელად მავალნი.
3. რამეთუ კორციელად თუ ვიქცევით, არამედ არა კორციელად განწესებულ ვართ,
4. რამეთუ საჭურველი ჩუენისა მის მკედრობისაჲ – არა კორციელ არს, არამედ ძლიერ ღმრთისა მიერ დასარღუეველად ძნელოვანთა; გულის სიტყუათა დავარღუევთ
5. და ყოველსა სიმაღლესა, აღმაღლებულსა მეცნიერებასა ზედა ღმრთისასა, და წარმოვსტყუენავთ ყოველსავე ცნობასა მორჩილებად ქრისტესა,
6. და განმზადებულად გუაქუს შურის-გებად ყოელისა ურჩებისა, რაჟამს აღესრულოს თქუენი ეგე მორჩილებაჲ.
7. კაცად-კაცადისა პირსა ხედევდით. ვინ-იგი ესავს თავსა თჳსსა ქრისტესა ყოფად, ესე განიზრახენ კუალად თავით თჳსით, რამეთუ ვითარცა იგი ქრისტესი არს, ეგრეთცა ჩუენ ქრისტესნი.
8. რამეთუ, უკუეთუ უმეტეს რაჲ ვიქადო კელმწიფებისა ამის ჩუენისათჳს, რომელი მომცა ჩუენ უფალმან აღსაშენებელად და არა დასარღუეველად თქუენდა, არა მრცხუენეს,
9. ხოლო, რაჲთა არა საგონებელ ვიქმნა, ვითარმედ გაშინებ რასმე თქუენ წიგნითა ამით.
10. რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: წიგნები ესე რეცა მძიმე და ძლიერ, ხოლო მოსლვაჲ კორცითა უძლურ, და სიტყუაჲ შეურაცს.
11. და ესე განიზრახენ ეგევითარმან მან, რამეთუ ვითარცა-იგი ვართ სიტყჳთა წიგნებისაჲთა შორით, ეგრეთცა მახლობელად საქმითა.
12. რამეთუ ვერ ვიკადრებთ თავთა თჳსთა განკითხვად გინა შეტყუებად ვიეთმე თანა, რომელნი-იგი თავთა თჳსთა ეწამებიან. არამედ იგინი თჳთ თავთა თჳსთა განიზომენ და თანა-შეატყუებენ თავთა თჳსთა თავით თჳსით და ვერ გულის-ჴმა-ჰყოფენ.
13. ხოლო ჩუენ არა უსაზომოდ ვიქადოთ, არამედ საზომითა მით წესისაჲთა, რომელი-იგი განგჳყო ჩუენ ღმერთმან საზომითა მით მიწდომად ვიდრე თქუენდამდე.
14. რამეთუ არა ვითარცა ვერ მიწდომილნი თქუენდა მიმართ

უმეტეს განვირთხამთ თავთა თჳსთა, რამეთუ ვიდრე თქუენდამდეცა მივსწუეთით სახარებითა ქრისტესითა.
15. არა უსაზომოდ მოქადულნი სხჳსა შრომილსა ზედა, არამედ სასოებაჲ გუაქუს ჩუენ აღორძინებულისა მის სარწმუნოებისა თქუენისა თქუენ შორის განდიდებად კანონისაებრ ჩუენისა ნამეტნავად,
16. მიერ კერძო თქუენსა სახარებად არა სხჳსა კანონსა ზედა მზასა სიქადულად.
17. ხოლო რომელი-იგი იქადოდის, უფლისა მიერ იქადოდენ.
18. რამეთუ არა რომელი-იგი თავსა თჳსსა ეწამებოდის იგი არს გამოცდილ, არამედ რომელსა-იგი უფალი ეწამოს.

11

1. ჯერ-იყო, თაეს-თუმცა-იდეოთ ჩემი მცირედ უგუნურებისაჲ, არამედ თავს-ცა-იდეათ ჩემი,
2. რამეთუ გაშურებ თქუენ ღმრთისა შურსა, რამეთუ მიგათხოვენ თქუენ ერთსა მამაკაცსა ქალწულად წმიდად წარდგინებად ქრისტესა.
3. ხოლო მეშინის, ნუუკუე, ეითარცა-იგი გუელმან აცთუნა ევა ზაკულებითა თჳსითა, ეგრეთცა განხრწნნეს გონებანი თქუენნი სიწრფოებისაგან ქრისტეს მიმართ.
4. უკუეთუ რომელი-იგი მოვიდეს და სხუასა იესუს ქადაგებდეს, რომელი არა ვქადაგეთ, გინა სხუაჲ სული მოაქუნდეს, რომელი არა მიიღეთ, გინა სახარებაჲ სხუაჲ, რომელი არა შეიწყნარეთ, კეთილად სამე ჰყავთ.
5. რამეთუ ეპგონებ, ეითარმედ არარაჲ დაეაკლდი ურიად მოციქულთა მათ.
6. და დაღათუ უცებ ვარ სიტყჳთა, არამედ არა ცნობითაცა, არამედ ყოელითავე განეცხადენით ყოველსა შინა თქუენდა მიმართ.
7. ანუ ცოდეაჲ-მე რაჲ ექმენა, რამეთუ თავი თჳსი დავიმდაბლე, რაჲთა თქუენ აჰმაღლდეთ, რამეთუ უსასყიდლოდ სახარებაჲ იგი ღმრთისაჲ გასარე თქუენ?
8. სხუანი ეკლესიანი წარმოვტყუენენ და მოვიღე საგზალი თქუენდა სამსახურებელად; და მო-რაჲ-ვედ თქუენდა და ნაკლულევან ვიქმენ, არაჲვე-რაჲ ვის თქუენგანსა დაუმძიმე.
9. რამეთუ ნაკლულევანებაჲ ჩემი აღავსეს ძმათა, მო-რაჲ-ვიდეს მაკედონიაჲთ; და ყოელითავე დაუმძიმებელად თქუენდა თავი ჩემი დავიმარხე და დავიმარხო.
10. არს ჭეშმარიტებაჲ ქრისტესი ჩემ თანა, ეითარმედ სიქადული ესე არა დაეყენოს ჩემდა მომართ ადგილთა მათ აქაჲაჲ-

სათა.
11. რაჲსათჳს-მე? რამეთუ არა მიყუართ თქუენ? ღმერთმან იცის.
12. სოლო რომელსა-ესე ვჰყოფ, და ვყო, რაჲთა წარეკუეთო მიზეზი, რომელთა-იგი ჰნებავს მიზეზი, რაჲთა, რომლითა-იგი იქადიან, იპოენენ ვითარცა-იგი ჩუენ.
13. რამეთუ ეგევითარნი იგი ცრუ-მოციქულნი, მუშაკნი ბაკულნი, გარდაიცვალნიან მოციქულად ქრისტესად.
14. და არა საკჳრველ არს, რამეთუ თჳთ იგიცა ეშმაკი იცვალეისვე ანგელოზად ნათლისა.
15. არა უკუე დიდ არს, მსახურნიცა თუ მისნი გარდაიცვალნენ ვითარცა მსახურნი სიმართლისანი, რომელთა აღსასრული იყოს საქმეთა მათთაებრ.
16. კუალად ვიტყჳ: ნუ ვინმე უგუნურად შემრაცხოს მე, უკუეთუ არა, მაშა ვითარცა უგუნური თავს-მიდევით მე, რაჲთა მეცა მცირედ რაჲმე ვიქადო.
17. რომელსა-ესე ვიტყჳ, არა ვიტყჳ უფლისა მიერ, არამედ ვითარცა უგუნურებით ჯერითა ამით სიქადულისაჲთა.
18. ვინაჲთგან მრავალნი იქადიან კორციელად, მეცა ვიქადოდი.
19. რამეთუ კეთილად თავს-იდვათ უგუნურთაჲ გონიერთა მაგათ:
20. რამეთუ თავსცა-იდებთ, უკუეთუ ვინმე დაგიმონებს, უკუეთუ ვინმე შეგჭამს, უკუეთუ ვინმე მიგიღებს, უკუეთუ ვინმე ამაღლდების თქუენ გედა, უკუეთუ ვინმე პირსა გცემს.
21. საკდემელად თქუენდა გეტყჳ, ვითარმედ ჩუენ რეცა მოუძლურდით; რომლითა-იგი ვინმე იკადრებს სიქადულსა, უგუნურებით ვიტყჳ, ვიკადრო მეცა.
22. ებრაელ თუ არიან? მეცა. ისრაიტელ თუ არიან? მეცა. ნათესავნი თუ აბრაჰამისნი არიან? მეცა;
23. მსახურნი თუ ქრისტესნი არიან? უგუნურესადრე ვიტყჳ: უფროჲსღა მე. შრომითა უმეტეს, ტანჯვითა უმეტეს, პყრობილებითა გარდარეულად, სიკუდილთა შინა მრავალ-გზის.
24. ჰურიათაგან ხუთ-გზის ორმეოცსა ერთი მოკლებული ცემაჲ მოვიღე.
25. სამ-გზის კუერთხითა ვიეც, ერთ-გზის ქვითა განვიტჳნე, სამ-გზის ნავი დამექცა, ღამე და დღე უფსკრულთა შინა დავყავ.
26. გზისა სლვანი მრავალ-გზის, ჭირნი მდინარეთანი, ჭირნი ავაზაკთანი, ჭირნი ნათესავთაგან, ჭირნი წარმართთაგან, ჭირნი ქალაქთა შინა, ჭირნი უდაბნოთა ზედა, ჭირნი ზღუათა შინა, ჭირნი ძმათა-მტყუვართაგან,
27. შრომითა და რუდუნებითა, მღჳძარებითა მრავალ-გზის,

შიმშილითა და წყურილითა, მარხვითა მრავალ-გზის, ყინულითა და შიშულოებითა.
28. გარეშე მისა, რომელი მოიწევის ჩემ ზედა დღითი დღედ, ზრუნვაჲ ყოველთა ეკლესიათაჲ.
29. ვინ უძლურ არნ, და მე არა უძლურ ვიყვი? ვინ დაჰბრკოლდებინ, და მე არა ვკურვიდი?
30. უკუეთუ ჯერ-არს სიქადული, უძლურებისა ჩემისასა ვიქადოდი.
31. ღმერთმან და მამამან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესმან იცის, რომელი-იგი არს კურთხეულ უკუნისამდე, რამეთუ არა ვტყუი.
32. დამასკეს შინა მთავარსა არეტა მეფისასა მოეცა ქალაქი დამასკელთაჲ, შეპყრობაჲ ჩემი უნდა;
33. და სარკუმლით სარგნითა გარდავჰკედ ზღუდესა და განვერი კელთაგან მისთა.

12

1. უკუეთუ სიქადული ჯერ-არს, შე-არა-ჰგავს ჩემდა, ხოლო მოვიდე ხილვასა და გამოცხადებასა უფლისასა.
2. ვიცი კაცი ქრისტეს მიერ უწინარეს ათოთხმეტისა წლისა, გინა თუ კორცითა, არა ვიცი, გინა თუ თჯნიერ კორცთაჲსა, არა ვიცი, ღმერთმან იცის, აღიტაცა ესევითარი კაცი ვიდრე მესამედ ცადმდე.
3. და ვიცი ესევითარი კაცი, გინა თუ კორცითა გინა თუ გარეშე კორცთაჲსა, არა ვიცი, ღმერთმან იცის,
4. რამეთუ მიიტაცა სამოთხედ და ესმნეს უთქუმელნი სიტყუანი, რომელ არა ჯერ-არიან კაცთა სიტყუად.
5. ესევითარისათჯს ვიქადი; ხოლო თავისა ჩემისათჯს არა ვიქადი, გარნა უძლურებათა შინა ჩემთა.
6. ხოლო უკუეთუ მინდეს სიქადულის, არა ვიყო უგუნურ, რამეთუ ჭეშმარიტი ვთქუა; ხოლო ვერიდები, ნუ ვინმე ჩემდა შეჰრაცხოს, რომლისათჯს-ესე მხედავს მე, გინა თუ ესმის რაჲმე ჩემგან.
7. და გარდარეულებითა ამით გამოცხადებათაჲთა რაჲთა არა აღვიმაღლო, მომეცა მე საწერტელი კორცთაჲ — ანგელოზ სატან, რაჲთა დამქენჯნიდეს მე, რაჲთა არა აღვიმაღლო.
8. და ამისთჯს სამ-გზის ვეველდრე უფალსა, რაჲთა განმაშოროს ჩემგან.
9. და მრქუა მე: კმა არს შენდა მადლი ჩემი, რამეთუ ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნების, უმჯობესღა უკუე და უფროჲს ვიქადი უძლურებათა შინა ჩემთა, რაჲთა დაიმკუდროს ჩემ თანა ძალმან ქრის-

ტესმან.
10. ამისთჳს სათნო-მიჩნს უძლურებათა შინა, გინებათა, ჭირთა, დევნულებათა და იწროებათა ქრისტესთჳს, რამეთუ რაჟამს მოუძლურდე, მაშინ განვძლიერდები.
11. ვიქმენ უგუნურ სიქადულისათჳს, რამეთუ თქუენ მაიძულეთ მე. რამეთუ ჯერ-იყო ჩემდა, რაჲთამცა თქუენ მეწამენით მე, რამეთუ არარაჲ დავაკლდი ფრიად მოციქულთა მათ, დაღათუ არარაჲ ვარ.
12. არამედ სასწაული იგი მოციქულისაჲვე იქმნა თქუენ შორის ყოელითა მოთმინებითა, სასწაულებითა და ნიშებითა და ძალითა.
13. რამეთუ რაჲ არს, რომლითა-იგი იძლიენით უფროჲს სხუათა მათ ეკლესიათა, გარნა თუ, რამეთუ მე თჳთ არარაჲ დაგიმძიმე თქუენ? მომმადლეთ მე შეცოდებაჲ ესე.
14. აჰა ესერა მესამედ განმზადებულ ვარ მისლვად თქუენდა არა არაჲვე დაგიმძიმო თქუენ, რამეთუ არა ვეძიებ თქუენსა, არამედ თქუენ. რამეთუ არა შვილნი მამა-დედათა უნჯებედ, არამედ მამა-დედანი შვილთა.
15. ხოლო მე ჯეროვნად განვიღიო და განვკუდე სულთა თქუენთათჳს; რაოდენ უფროჲს მიყუართ თქუენ, უმცირეს გიყუარ მე.
16. იყავნ უკუე, რამეთუ მე თჳთ არაჲ დაგიმძიმე თქუენ; არამედ ვიყავ მეცნიერ და ზაკუვით მოგიყვანენ თქუენ.
17. ნუუკუე რომელი-იგი მიეავლინე თქუენდა, მის მიერ მო-მე რაჲ-გაანგაჰრე თქუენ?
18. ვჰლოცევედ ტიტეს და თანა-მივაყვანე ძმაჲ; ნუ მო-მე რაჲ-გხუეჭა ტიტე? ანუ არა მითვე სულითა ვიდოდეთა? ანუ არა მათვე კუალთა შეუდეგითა?
19. კუალად ეგონიეს, ვითარმედ თქუენ სიტყუა-გიგებთ. წინაშე ღმრთისა ქრისტეს მიერ ვიტყჳთ, ხოლო ყოველივე, საყუარელნო, თქუენისა აღშენებისათჳს არს.
20. რამეთუ მეშინის, ნუუკუე მოვიდე და არა ვითარ-იგი მნებაეს გპოვნე თქუენ, და მე გეპოო თქუენ, ვითარ-იგი თქუენ არა გნებავს, ნუუკუე იყვნენ თქუენ შორის კდომაჲ და შური, გულის წყრომანი, ძჯრის გრახვანი, წვალებანი, ცუნდრუკებანი, განლაღებანი, შფოთებანი.
21. ნუ კუალად, მო-რაჲ-ვიდე, დამამდაბლოს მე ღმერთმან ჩემმან თქუენდა მიმართ, და ვეგლოვდე მრავალთა წინაწარ შეცოდებულთა მათ და არა შენანებულთა არაწმიდებასა მათსა ზედა, სიძვასა და სიბილწესა, რომელ ქმნეს.

13

1. აჰა ესერა მესამედ მოვალ თქუენდა. პირითა ორისა და სამისა მოწამისაჲთა დაემტკიცების ყოველი სიტყუაჲ.
2. წინაწარ ვთქუ და აწცა წინაწარ ვიტყჳ, ვითარცა-იგი პირისპირ მეორედ მაშინ, და აწ შორით მიესწერ წინაწარ შეცოდებულთა მათდა და სხუათა ყოველთა: და რამეთუ უკუეთუ მოვიდე კუალად, არღარა ვჰრიდო.
3. ვინაჲთგან გამოცდასა ეძიებთ მისსა, რომელი-იგი ჩემ მიერ იტყჳს ქრისტე; რომელი-იგი თქუენდა მიმართ არა უძლურ არს, არამედ ძლიერ თქუენ შორის.
4. რამეთუ დაღაცათუ ჯუარს-ეცუა უძლურებით, არამედ ცხოველ არს ძალითა ღმრთისაჲთა; და რამეთუ ჩუენცა უძლურ ვართ მისა მიმართ, არამედ ვცხონდეთ მის თანა ძალისაგან ღმრთისა თქუენითურთ.
5. თავნი თჳსნი გამოიცადენით, უკუეთუ ხართ სარწმუნოებასა შინა. თავნი თჳსნი განიკითხენით. ანუ არა უწყნითა თავნი თჳსნი, რამეთუ იესუ ქრისტე თქუენ შორის არს? გარნა თუ გამოუცდელ რაჲმე სართ.
6. ხოლო ვესავ, ვითარმედ სცნათ, რამეთუ ჩუენ არა ვართ გამოუცდელ.
7. ხოლო ეილოცავ ღმრთისა მიმართ, რაჲთა არარაჲ ბოროტი გიყოს თქუენ, რაჲთა არა ჩუენ გამოცდილად გამოვჩნდეთ; არამედ რაჲთა თქუენ კეთილი ჰქმნეთ, ხოლო ჩუენ ვითარცა გამოუცდელნი ვიყვენეთ.
8. რამეთუ არა კელ-გუეწიფების ჭეშმარიტებისა ძჳრის სიტყუაჲ, არამედ ჭეშმარიტებისა კერძო.
9. რამეთუ გჳხარის, რაჟამს ჩუენ უძლურ ვიყვნეთ, და თქუენ ძლიერ იყვენეთ; რამეთუ ამასცა ვილოცავთ, თქუენსა დამტკიცებასა.
10. და ამისთჳს ამას შორით მივსწერ, რაჲთა, მი-რაჲ-ვიდე, არა თუალ-უხუავად ვიკუმიო კელმწიფებისა მისებრ, რომელ მომცა მე უფალმან აღსაშენებელად და არა დასარღუეველად.
11. ამიერითგან, ძმანო, გიხაროდენ, განმტკიცენით, ნუგეშინის-ცემულ იქმნენით, ნუგეშინის-სცემდით, მასვე ზრახევდით, მშჳდობასა ჰყოფდით; და ღმერთი სიყუარულისაჲ და მშჳდობისაჲ იყავენ თქუენ თანა.
12. მოიკითხევდით ურთიერთას ამბორის-ყოფითა წმიდითა, გიკითხვენ თქუენ წმიდანი ყოველნი.
13. მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, და სიყუარული ღმრთისა და მამისაჲ, და ზიარებაჲ სულისა წმიდისაჲ თქუენ ყოველთა თანა. ამინ.

უწყებანი გალატელთა მიმართ ეპისტოლისა წმიდისა მოციქულისა პავლესნი

სოლო გალატელთა მიმართ მიჰსწერს პრომით, ესილენეს ივინი და ესწავა მათდა, და მის პირისათჳს დაჰსწერს ამას, რამეთუ სწაელულ-იყუნეს გალატელნი მოციქულისა მიერ კეთილად, და გულ-სავსებით მორწმუნე ქრისტესა ქმნილ-იყუნეს, ხოლო შევბად მათგან მოციქულისა წარსლვისა შეჰსცთეს ვიეთგანმე რაჲთა წინა-დაიცჳთონ, ესე უკუე ჰსცნა მოციქულმან და მიჰსწერა მათ. ხოლო პირველად ეწამების მათ სარწმუნოებისა მისთჳს, რომელ-აქუნდათ ერთგულებით სიყუარული ქრისტეს-მიერი, სოლო აბრალებს მათ გარდაქცევისა მისთჳს, და მერმე წინა-მოიღებს მითხრობასა ჰსჯულისათჳს, და სიტყვისა აბრამის სარწმუნოებისათჳს, და უჩუენებს ჰსჯულისაგან და ცოლთაგანცა აბრაამის სახის-მეტყუელებისა, ვიდრე ჟამადმდე მოცემულ-იყო აჩრდილი იგი წინა-დაცუეთა, და მიერითგან დაცხრომილ-არიან მოსლვითა ქრისტესითა, და ესრეთ გამოაჩინებს და ამცნებს რაჲთა არღარა ერჩდენ მაცთურთა მათ, არამედ უფროჲსღა ეგნენ ქრისტეს-მიერსა სარწმუნოებასა, რაჲთა უწყოდენ, რამეთუ ქრისტეს-მიერი მაღლი განაქარვებს წინა-დაცუეთილებასა, და ჩუეულებისაებრ კვალად იწყებს სწაელად მათდა, და ესრეთ აღასრულებს ეპისტოლესა.

პავლე მოციქულისა წიგნი გალატელთა მიმართ

1

1. პაელე მოციქული არა კაცთაგან, არცა კაცთა მიერ, არამედ იესუ ქრისტეს მიერ და ღმრთისა მამისა, რომელმან აღადგინა იგი მკუდრეთით,
2. და ჩემ თანა ყოველნი ძმანი ეკლესიათა გალატიაჲსათა:
3. მაღლი თქუენდა და მშჳდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა და უფლისა იესუ ქრისტესა,
4. რომელმან მისცა თავი თჳსი ცოდვათა ჩუენთათჳს, რაჲთა განმარინნეს ჩუენ სოფლისა ამის ბოროტისაგან ნებითა ღმრთისა და მამისა ჩუენისაჲთა.
5. რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამინ.
6. მიკჳრს, რამეთუ ესრეთ აღრე გარდაიქცევით მისგან, რომელმან-იგი გიჩინნა თქუენ მაღლითა ქრისტესითა, სხუად სახარებად.

7. რომელ სხუა არა არს, გარნა არიან ვინმე, რომელნი აღგძრვენ თქუენ და ჰნებავს გარდაქცევად სახარებაჲ იგი ქრისტესი.
8. არამედ დაღათუ ჩუენ, გინა თუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისსა, რომელი-იგი გახარეთ თქუენ, შეჩუენებულ იყავნ!
9. ვითარცა წინაწარ ვთქუ და აწ კუალად ვიტყჳ: უკუეთუ ვინმე გახარებდეს თქუენ მისა გარეშე, რომელი-იგი მიიღეთ, შეჩუენებულ იყავნ!
10. აწ კაცთა-მე ვერწმუნო ანუ ღმერთსა? ანუ ვეძიებ რას კაცთა მოთნებასა? რამეთუ უკუეთუმცა კაცთაღა სათნო-ვეყოფ-ვოდე, ქრისტეს მონამცა არა ვიყავ.
11. ხოლო გაუწყებ თქუენ, ძმანო, სახარებასა მას, რომელი-იგი გეხარა ჩემ მიერ, რამეთუ არა არს კაცობრიე,
12. და რამეთუ არცაღა მე კაცისა მიერ მოვიღე იგი გინა ვისწავე, არამედ გამოცხადებითა იესუ ქრისტესითა.
13. რამეთუ გესმინა თქუენ ოდესმე სლვაჲ ჩემი ჰურიაებასა შინა, რამეთუ გარდარეულად ვსდევნიდ ეკლესიათა ღმრთისათა და ვსტყუენევდი მათ.
14. და წარვემატებოდე ჰურიაებასა შინა უფროჲს მრავალთა ჰასაკისა სწორთა ჩემთა ნათესავთა შინა ჩემთა, უმეტეს მოშურნე ვიყავ მამულთა ჩემთაჲს მოძღურებათა.
15. ხოლო რაჟამს სათნო-იყო ღმერთმან, რომელმან გამომირჩია მე დედის მუცლით ჩემითგან და მიწოდა მე მაღლითა მისითა
16. გამოცხადებად ძე მისი ჩემ მიერ, რაჲთა ვასარო იგი წარმართთა შორის, მეყსეულად არა ვაუწყე იგი კორცითა და სისხლითა,
17. არცა აღვედ იერუსალჵმდ მათდა, რომელნი-იგი იყვნეს უწინარეს ჩემსა მოციქულნი, არამედ მივედ არაბიად და კუალად მოვიქეც დამასკედ.
18. და მერმე შემდგომად სამისა წლისა აღვედ იერუსალჵმდ ხილვად პეტრესა და ვიყავ მის თანა ათხუთმეტ დღე.
19. ხოლო სხუაჲ მოციქულთაგანი არავინ ვიხილე, გარნა იაკობ, ძმაჲ უფლისაჲ.
20. და რომელსა-ესე მივსწერ თქუენდა, აჰა ესერა წინაშე უფლისა, რამეთუ არა ვტყუევი.
21. და მერმე მოვედ აღგილთა მათ ასურეთისა და კილიკიაჲსათა.
22. ხოლო ვიყავ შეუსწავებელ წინაშე პირსა ეკლესიათა მათ ჰურიასტანისათა, რომელნი იყვნეს ქრისტეს მიმართ;
23. გარნა სმენით ხოლო ესმინა, ვითარმედ რომელი-იგი გუდევ-

ნიდა ჩუენ ოდესმე, აწ ახარებს სარწმუნოებასა მას, რომელსა-ი-ა ოდესმე ტყუენეიდა.
24. და ადიდებდეს ჩემთჳს ღმერთსა.

2

1. მერმე მეათოთხმეტესა წელსა კუალად აღვედ იერუსალჵმდ ბარნაბაჲს თანა; ჩემ თანა წარვიყვანე ტიტეცა.
2. ხოლო აღვედ გამოცხადებით და ვაუწყე მათ სახარებაჲ იგი, რომელსა ექადაგებდ წარმართთა შორის, ხოლო თჳსაგან მათ, რომელნი-იგი საგონებელ იყუენეს, ნუუკუე ცუდად ვრბიოდე ანუ ერბი.
3. არამედ არცაღა ტიტე, რომელი-იგი იყო ჩემ თანა, რამეთუ წარმართღა იყო, იიძულა წინა-დაცუეთად.
4. შემოსრულთა მათთჳს ძმათა-მტყუართა, რომელნი შემოვიდეს განმსტურობად აზნაურებასა მას ჩუენსა, რომელი მაქუს ქრისტე იესუჲს მიერ, რაჲთა ჩუენ დაგჳმონნენ,
5. რომელთაჲ ყამ ერთცა არა თავს-ვიდევით დამორჩილებაჲ, რაჲთა ჭეშმარიტებაჲ იგი სახარებისაჲ დააღგრეს თქუენ თანა.
6. ხოლო მათ, რომელნი-იგი ჰგონებდეს, ვითარმედ არიან რაჲმე, რომელნი-იგი ყოფილ ოდესმე იყვნეს, არარაჲ უმჯობეს ჩემსა. პირსა კაცისასა ღმერთმან არა თუალ-ახუნის. რამეთუ მე, რომელნი-იგი საგონებელ იყვნეს, არარაჲვე მითხრეს,
7. არამედ წინააღმდგომი, უწყოდეს, რამეთუ რწმუნებულ არს ჩემდა სახარებაჲ იგი წინა-დაუცუეთილებისაჲ, ვითარცა-იგი პეტრეს — წინა-დაცუეთილებისაჲ.
8. რამეთუ რომელი შეეწია პეტრეს მოციქულად წინა-დაცუეთილებისა, შემეწია მეცა წარმართთა მიმართ.
9. და ვითარცა ცნეს მაღლი იგი, რომელ მოცემულ იყო ჩემდა, იაკობ და კეფა და იოვანე, რომელნი-იგი ჰგონებდეს სუეტად თავთა თჳსთა, მარჯუენე მოგუცეს მე და ბარნაბას ზიარებისაჲ, რაჲთა ჩუენ წარმართთა მიმართ, ხოლო იგინი წინა-დაცუეთილებისა მიმართ.
10. გარნა რაჲთა გლახაკნი ხოლომცა გუაკსოენან, რომელცა-იგი ვისწრაფეთ ამისა ყოფად.
11. და რაჟამს მოვიდა პეტრე ანტიოქიად, წინაშე პირსა მისსა აღუდეგ, რამეთუ შეკდემულ იყო.
12. და რამეთუ პირველ მოსლვაღმდე ვიეთამე იაკობისგან წარმართთა თანა ჭამდა; ხოლო რაჟამს მოვიდეს, იჯმნა და განაშორა თავი თჳსი, რამეთუ ეშინოდა წინა-დაცუეთილ-

თა მათგან.
13. და მის თანა ორგულ იქმნნეს სხუანიცა ჰურიანი, ვიდრე ბარნაბაცა მიერჩდა მათსა მას ორგულებასა.
14. არამედ რაჟამს ვიხილე, ვითარმედ არა მართლ წარმართებულ არიან ჭეშმარიტებისა მიმართ სახარებისა, ვარქუ პეტრეს წინაშე ყოველთაჲსა: უკუეთუ შენ ჰურიაჲ ხარ და წარმართებრ და არა ჰურიაებრ სცხონდები, ვითარ აიძულებ წარმართთა ჰურიაებად?
15. ჩუენ ბუნებით ჰურიანი ვართ და არა წარმართთაგანნი ცოდეილნი;
16. და უწყით, რამეთუ არა განმართლდების კაცი საქმეთაგან შჯულისათა, გარნა სარწმუნოებითა იესუ ქრისტესითა, და ჩუენ იესუ ქრისტეს მიმართ გურწმენა, რაჲთა განემართლდეთ სარწმუნოებითა ქრისტესითა და არა საქმეთაგან შჯულისათა; რამეთუ საქმეთაგან შჯულისათა არა განმართლდების ყოველი კორციელი.
17. უკუეთუ მით ვეძიებდეთ განმართლებასა ქრისტეს მიმართ, ვიპოვნეთ ჩუენცა ცოდვილ; აწ უკუე ქრისტე ცოდვისა-მე მსახურ იქმნა? ნუ იყოფინ!
18. რამეთუ უკუეთუ რომელი-იგი დავარღუე და კუალად მასვე ვაშენებდე, გარდამავალად შჯულისა თავი ჩემი შევირაცხო.
19. რამეთუ მე შჯულისათჳს შჯულითა მოვკუედ, რაჲთა ღმრთისა ვცხოვნდე. ქრისტეს თანა ჯუარ-ცუმულ ვარ.
20. ხოლო ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემ თანა ქრისტე. ხოლო რომელ-ესე აწ ცხოველ ვარ კორცითა, სარწმუნოებითა ცხოველ ვარ ძისა ღმრთისაჲთა, რომელმან შემიყუარა მე და მისცა თავი თჳსი ჩემთჳს.
21. არა შეურაცხ-ვჰყოფ მადლსა მას ღმრთისასა. რამეთუ უკუეთუ შჯულისაგან არს სიმართლე, ქრისტე სამე ცუდად მოკუდა?

3

1. ჲ უცნობელნო გალატელნო, ვინ გეშურებოდა თქუენ ჭეშმარიტებისა არა-მორჩილებად, რომელთა თუალთა წინაშე პირველვე გამოიწერა თქუენ შორის იესუ ქრისტე ჯუარ-ცუმული?
2. ესე ხოლო მნებავს თქუენგან უწყებად: საქმეთაგან შჯულისათა სული იგი მიიღეთ ანუ სმენითა მით სარწმუნოებისაჲთა?
3. ესრეთ უცნობელ ხართ, იწყეთ სულიერად და აწ კორციელად აღასრულებთ?
4. ესოდენი გევნო ცუდად? და თუმცა ცუდად!
5. აწ უკუე რომელმან-იგი მოგ-

ცა თქუენ სული და იქმს ძალთა თქუენ შორის, საქმეთაგან-მე შჯულისათა ანუ სმენითა მით სარწმუნოებისაჲთა?

6. ვითარცა აბრაჰამს ჰრწმენა ღმერთი და შეერაცხა მას სიმართლედ.

7. უწყით-მეა, რამეთუ სარწმუნოებისაგანნი იგი არიან შვილნი აბრაჰამისნი?

8. რამეთუ წინაწარ იცოდა წიგნმან, ვითარმედ სარწმუნოებითა განამართლებს წარმართთა ღმერთი, წინაწარ ახარა აბრაჰამს, ვითარმედ: შენდამი იკურთხეოდიან ყოველნი წარმართნი.

9. აწ უკუე სარწმუნოებისაგანნი იგი იკურთხევიან მორწმუნისა მის აბრაჰამის თანა.

10. რამეთუ რაოდენნი-იგი საქმეთაგან შჯულისათა არიან, წყევასა ქუეშე არიან. რამეთუ წერილ არს: წყეულ იყავნ ყოველი, რომელი არა დაადგრეს ყოველსა წერილსა წიგნისა ამის შჯულისასა ყოფად მისა.

11. და რამეთუ შჯულითა არავინ განმართლდების ღმრთისა წინაშე, ცხად არს, რამეთუ: მართალი სარწმუნოებითა ცხონდეს.

12. ხოლო შჯული არა არს სარწმუნოებისაგან, არამედ, ყოს თუ ვინმე იგი კაცმან, ცხონდეს მას შინა.

13. ქრისტემან ჩუენ მოგუყიდნა წყევისა მისგან შჯულისა და იქმნა ჩუენთჳს წყევასა ქუეშე. რამეთუ წერილ არს: წყეულ იყავნ ყოველი, რომელი დამოეკიდოს ძელსა.

14. რაჲთა წარმართთა მიმართ კურთხევაჲ იგი აბრაჰამისი იყოს ქრისტე იესუჲს მიერ, რაჲთა აღთქუმაჲ იგი სულისაჲ მოვიღოთ სარწმუნოებითა.

15. ძმანო, კაცობრიე ვიტყჳ, ვითარმედ: კაცისა დამტკიცებული წიგნი არავინ შეურაცხ-ყოს, გინა სხუაჲ ბრძანებაჲ ბრძანის მის გედა.

16. ხოლო აბრაჰამის მიმართ ითქუნეს აღთქუმანი ესე და ნათესავისა მისისა. არა ეტყჳს: „და ნათესავთა“ ვითარცა მრავალთასა, არამედ ვითარცა ერთისასა: „და ნათესავისა შენისა“, რომელ არს ქრისტე.

17. ხოლო ამას ვიტყჳ წიგნად აღთქუმისა, დამტკიცებულად ღმრთისა მიერ ქრისტეს მიმართ, რომელ შემდგომად ოთხას ოცდაათისა წლისა იყოს შჯული, არა დაუმტკიცებელ ჰყოფს, რაჲთამცა განაქარვა აღთქუმაჲ იგი.

18. რამეთუ უკუეთუ შჯულისაგან არს მკჳდრობაჲ იგი, არღარა აღთქუმისაგან არს; ხოლო აბრაჰამს აღთქუმისა მიერ მოჰმადღლა ღმერთმან.

19. აწ უკუე რაჲ შჯული? გარდასლვისათჳს-მე მოეცა, ვიდ-

რემდის მოვიდეს ნათესავი იგი, რომელ აღთქუმულ არს, ბრძანებული ანგელოზთაგან კელითა შუამდგომელისაჲთა?
20. ხოლო შუამდგომელი ერთისაჲ არა არს; ხოლო ღმერთი ერთ არს.
21. აწ უკუე შჯული მტერ-მე არსა აღთქუმათა მათ ღმრთისაჲთა? ნუ იყოფინ! რამეთუ უკუეთუმცა მოცემ-ულ იყო შჯული, შემძლებელი ცხორებად, ნანდჯლვე სამე შჯულისაგანმცა იყო სიმართლე.
22. არამედ შეაყენა წიგნმან ყოველივე ცოდვასა ქუეშე, რაჲთა აღთქუმაჲ იგი სარწმუნოებისაგან იესუ ქრისტესისა მოეცეს მორწმუნეთა.
23. ხოლო პირველ მოწევნადმდე სარწმუნოებისა შჯულსა ქუეშე მოცულ ვიყვენით და შეყენებულ მერმისა მისთჯს სარწმუნოებისა გამოჩინებადმდე.
24. ვინაჲცა შჯული იგი მწარდულ გუექმნა ჩუენ ქრისტეს მიმართ, რაჲთა სარწმუნოებითა განემართლდეთ.
25. ხოლო მო-რაჲ-იწია სარწმუნოებაჲ, არღარა მწარდულთა ქუეშე ვართ.
26. რამეთუ ყოველნი შვილნი ღმრთისანი ხართ სარწმუნოებითა ქრისტე იესუჲსითა.
27. რამეთუ რაოდენთა ქრისტეს მიმართ ნათელ-იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ.
28. არა არს ჰურიაება, არცა წარმართება; არა არს მონება, არცა აზნაურება; არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესუჲს მიერ.
29. ხოლო უკუეთუ თქუენ ქრისტესნი ხართ, აბრაჰამისნი ვიდრემე შვილნი ხართ და აღთქუმისა მისგან მკჯდრნი.

4

1. ხოლო ამას ვიტყჳ: რაოდენ ჟამ მკჯდრი იგი ყრმა არნ, არარაჲთ ჰმატნ მონასა, უფალ ღათუ არნ ყოვლისა.
2. არამედ ეზოჲს-მოძღუართა და მნეთა ქუეშე არნ ვიდრე აღგილად მოდგომადმდე მამისა თჯსისა.
3. ეგრეცა ჩუენ, ვიდრე-იგი ყრმაღა ვიყვენით, წესთა მათ ქუეშე ამის სოფლისათა ვიყვენით დაკირთებულ.
4. ხოლო ოდეს მოიწია აღსასრული ჟამთაჲ, მოაელინა ღმერთმან ძე თჯსი, შობილი დედაკაცისაგან, და იქმნა იგი შჯულსა ქუეშე.
5. რაჲთა შჯულსა ქუეშე მყოფნი გამოიკსნნეს, და რაჲთა შვილებაჲ იგი მოვიღოთ.
6. და რამეთუ ხართ შვილნი, გამოაელინა ღმერთმან სული ძისა თჯსისაჲ გულთა შინა ჩუენთა, რომლითა ვღაღადებთ:

აბბა, მამაო.

7. ამიერითგან არღარა სართ მონა, არამედ შვილ; ხოლო უკუეთუ შვილ, მკუდრცა ღმრთისა ქრისტეს მიერ.

8. არამედ მაშინ არა იცოდეთ ღმერთი და ჰმონებდით მათ, რომელნი-იგი არა იყვნეს ბუნებით ღმერთ.

9. ხოლო აწ იცანთ ღმერთი, უფროჲსღა, გიცნა თქუენ ღმერთმან, ვითარ მიიქცევით კუალად უძლურისა მის და გლახაკისა წესისა, რომელთაჲ კუალად ზემოჲთვე გნებავს მონებად?

10. დღეთა იზმნით და თთუეთა, ჟამთა და წელთა.

11. მეშინის მე თქუენთჳს, ნუუკუე ცუღად დავშუერ თქუენდა მიმართ.

12. იქმნენით, ვითარცა მე, რამეთუ მე ვიყავ, ვითარცა თქუენ. ძმანო, გევედრები თქუენ, არარაჲ შემცოდეთ მე.

13. ხოლო ესე იცით, რამეთუ უძლურებითა კორცთაჲთა გახარე თქუენ პირველად;

14. და განსაცდელი იგი კორცთა ჩემთაჲ არა შეურაცხ-ჰყავთ, არცა მოიძაგეთ, არამედ ვითარცა ანგელოზი ღმრთისაჲ შემიწყნარეთ მე, ვითარცა ქრისტე იესუ.

15. რაჲ-მე უკუე იყო ნეტარებაჲ იგი თქუენი? რამეთუ გეწამები თქუენ, ვითარმედ, შეთუმცა-საძლებელ იყო, თუალნიმცა თქუენნი აღმოიკაღენით და მომცენით მე,

16. ვითარცა მტერ რაჲ-მე გექმენ თქუენ, რომელი-ესე ჭეშმარიტსა გეტყოდე თქუენ?

17. გეშურებიან თქუენ არა კეთილისათჳს, არამედ გარდაქცევაჲ თქუენი ჰნებავს, რაჲთა მათ ჰბაძვიდეთ.

18. ხოლო კეთილ არს ბაძვაჲ კეთილისათჳს მარადის, და ნუ მისლვასა მას სოლო ჩემსა თქუენდა მიმართ.

19. შვილნო ჩემნო, რომელთათჳს კუალად მელმის, ვიდრემდე გამოიხატოს ქრისტე თქუენ შორის.

20. ხოლო მინდა მისლვად თქუენდა აწ და ცვალებად ჴმაჲ ჩემი, რამეთუ განკჳრვებულ ვარ მე თქუენთჳს.

21. მითხართ-ღა მე, რომელთა-ეგე შჯულსა ქუეშე გნებავს ყოფაჲ, შჯული არა აღმოგიკითხავსა?

22. რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: აბრაჰამს ორ ძე ესხნეს: ერთი მკევლისაგან და ერთი აზნაურისაგან.

23. არამედ მკევლისაგანი იგი კორციელად შობილი იყო, ხოლო აზნაურისაჲ იგი — აღთქუმისაგან.

24. რომელი-იგი არს იგავად, რამეთუ ესე არიან ორნი შჯულნი: ერთი იგი სინა მთით-შობილი მონებად, რომელ არს

აგარ.
25. რამეთუ აგარ სინაჲ მთაჲ არს არაბიას, ხოლო თანა-შეეტყუების ამას იერუსალჱმსა, რამეთუ ჰმონებს იგი შვილთა მისთა თანა.
26. ხოლო ზეცისა იგი იერუსალჱმი აწნაურ არს, რომელ არს დედაჲ ჩუენ ყოველთაჲ.
27. რამეთუ წერილ არს: იხარებდ, ბერწი ეგე, რომელი არა შობდ; აღიმაღლე და ჰმობდ, რომელსა არა გელმოდა, რამეთუ მრავალ არიან შვილნი ოჯრისანი უფროჲს, ვიდრე რომელსა-იგი ესუა ქმარი.
28. ხოლო ჩუენ, ძმანო, ისაკისგან აღთქუმისა შვილნი ვართ.
29. არამედ ვითარცა-იგი მაშინ ჯორციელად შობილი იგი სდევნიდა სულიერსა მას, ეგრეთცა აწ.
30. არამედ რასა იტყჳს წიგნი? განაძე მკეცალი ეგე და ძე მაგისი, რამეთუ არა დაიმკჳდროს შვილმან მკეცლისამან ძისა თანა აწნაურისაჲსა.
31. ხოლო ჩუენ, ძმანო, არა ვართ შვილნი მკეცლისანი, არამედ აწნაურისანი.

5

1. აწნაურებითა მით, რომლითა ქრისტემან ჩუენ განგუააწნაურნა, მტკიცედ დეგით და ნუ კუალად უღელსა მას მონებისასა თაეს-იდებთ.
2. აჰა ესერა მე, პაელე, გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: უკუეთუ წინა-დაიცჳთოთ, ქრისტემან თქუენ არარაჲ გარგოს.
3. ხოლო კუალად უწამებ ყოველსა კაცსა წინა-დაცუეთილსა, ვითარმედ თანა-მდებ არს იგი ყოველსა შჯულსა ყოფად.
4. განქარეებულ ხართ ქრისტესგან, რომელნი-ეგე შჯულითა განპმართლდებით, მაღლისა მისგან განვრდომილ სართ.
5. რამეთუ ჩუენ სულითა სარწმუნოებისაგან სასოებასა სიმართლისასა მოველით.
6. რამეთუ ქრისტე იესუჲს მიერ არცა წინა-დაცუეთილებაჲ რას შემძლებელ არს, არცა წინა-დაუცუეთილებაჲ, არამედ სარწმუნოებაჲ, სიყუარულისაგან შეწეული.
7. ჰრბიოდეთ კეთილად; ვინ დაგაბრკოლნა თქუენ ჭეშმარიტებისა არა-მორჩილებად?
8. მორჩილებაჲ ეგე არა მისგან არს, რომელმან-იგი გიჩინნა თქუენ.
9. მცირემან ცომმან ყოველიე შესუარული აღაფუენის.
10. მე გესავ თქუენ უფლისა მიერ, ვითარმედ სხუასა არარას ზრახჳდეთ; ხოლო რომელი-იგი აღგბრაჳს თქუენ, მან იტჯრთოს სასჯელი, ვინცა-იგი არს.
11. ხოლო მე, ძმანო, წინა-დაცუეთასა ღათუ ექადაგებდე,

რაჲსაღა-მე ვიდევნები? გან-მე-ქარდა საცთური იგი ჯუარისაჲ?
12. ჯერ-იყო, გან-თუმცა-გეშორნეს, რომელნი-იგი გაშფოთებენ თქუენ.
13. რამეთუ თქუენ აზნაურებასა ჩინებულ სართ, ძმანო; გარნა ხოლო აზნაურებაჲ ეგე ნუ მიგეგზად კორცთა, არამედ სიყუარულისა მისთჳს ჰმონებდით ურთიერთარს.
14. რამეთუ ყოველი შჯული ერთითა სიტყჳთა აღესრულების: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი.
15. ხოლო უკუეთუ ურთიერთარს იკბინებოდით და შეიჭამებოდით, იხილეთ, ნუუკუე ურთიერთარს განიღინეთ.
16. ხოლო ამას გეტყჳ: სულითა ვიდოდეთ და კორცთა გულის თქუმასა ნუ აღასრულებთ.
17. რამეთუ კორცთა გული უთქუამს სულისათჳს და სულსა – კორცთათჳს; და ესენი მჴდომ არიან ურთიერთარს, რაჲთა არა რაჲ-იგი გინდეს, და მას ჰყოფდეთ.
18. უკუეთუ სულითა იქცეოდით, არა ხართ შჯულსა ქუეშე.
19. ხოლო ცხად არიან საქმენი კორცთანი, რომელ არიან: სიძვანი, მრუშებანი, არაწმიდებანი, ბილწებანი,
20. კერპთ-მსახურებანი, მწამლველობანი, მტერობანი, კდომანი, შურობანი, გულის წყრომანი, წვალებანი, შფოთებანი,
21. შურნი, კაცის-კლვანი, ლირწებანი, მთრვალობანი, სიღდანი და მსგავსნი ამათნი. რომელსა წინაწარ გეტყჳ თქუენ, ვითარცა პირველ გარქუ, ვითარმედ ესევითარისა მოქმედთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკჳდრონ.
22. ხოლო ნაყოფი სულისაჲ არს: სიყუარული, სიხარული, მშჳდობაჲ, სულგრძელებაჲ, სიტკბოებაჲ, სახიერებაჲ, სარწმუნოებაჲ,
23. მყუდროებაჲ, მარხვაჲ, მოთმინებაჲ. ესევითართათჳს არა ძეს შჯული.
24. ხოლო ქრისტესთა მათ კორცნი თჳსნი ჯუარს-აცუნეს ვნებითურთ და გულის თქუმით.
25. უკუეთუ სულითა ცხოველ ვართ, სულითაცა ვევნეთ.
26. ნუმცა ვართ მშუაობარ, ურთიერთარს მაბრალობელ, ურთიერთარს მოშურნე.

6

1. ძმანო, უკუეთუ ვინმე დაეპყრას კაცი რომელსამე ბრალსა, თქუენ, სულიერთა მაგათ, დაამტკიცეთ ეგევითარი იგი სულითა მით მშჳდობისაჲთა; ეკრძალე თავსა შენსა, ნუუკუე შენცა განიცადო.
2. ურთიერთარს სიმძიმე იტჳრთეთ და ესრეთ აღასრულეთ

შჯული იგი ქრისტესი.
3. რამეთუ უკუეთუ ვისმე ეგონოს, ვითარმედ არს რაჲმე, და იგი არაჲ იყოს, თავსა თჳსსა აცთუნებს.
4. არამედ საქმენი თჳსნი გამოიცადენინ კაცად-კაცადმან, და მაშინ თავისა თჳსისა ხოლო ქებაჲ აქუნდეს და არა მოყუსისა მიმართ,
5. რამეთუ კაცად-კაცადმან თჳსი ტჳრთი იტჳრთოს.
6. ხოლო ეზიარებოდენ უმეცარი იგი სიტყუასა მასწაველელისასა ყოველსა შინა კეთილსა.
7. ნუ სცთებით, ღმერთი არა შეურაცხ-იქმნების. რამეთუ რაჲცა-იგი სთესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს.
8. რამეთუ რომელმან სთესოს კორცთა შინა თჳსთა, კორცთა მიერ თჳსთა მოიმკოს ხრწნილებაჲ; ხოლო რომელმან სთესოს სულსა თჳსსა, სულისაგან თჳსისა მოიმკოს ცხორებაჲ საუკუნოჲ.
9. ხოლო კეთილისა საქმე ნუმცა გუეწყინების, რამეთუ თჳსსა ჟამსა მოვიმკოთ, არა თუ მოვმედგრდეთ.
10. აწ უკუე, ვიდრე ჟამი გუაქუსღა, ვიქმოდით კეთილსა ყოველთაგე მიმართ, ხოლო უფროჲსად სახლეულთა მათ მიმართ სარწმუნოებისათა.
11. აწ იხილეთ, რაოდენი წიგნები მიეწერე თქუენდა კელითა ჩემითა.
12. რომელთა-იგი ჰნებაეს პირ-შუენიერებაჲ კორცითა, იგინი გაიძულებენ თქუენ წინა-დაცუეთად, გარნა ხოლო რაჲთა ჯუარსა ქრისტესსა არა შეუდგენ.
13. რამეთუ არცაღა თჳთ იგი წინა-დაცუეთილნი შჯულსა იმარხეენ, არამედ ჰნებაეს თქუენი წინა-დაცუეთაჲ, რაჲთა თქუენითა მით კორცით იქადოდიან.
14. ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ სიქადულ, გარნა ჯუარითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისათჳს სოფელი ჩემდამო ჯუარ-ცუმულ არს და მე – სოფლისა.
15. რამეთუ ქრისტე იესუჲს მიერ არცა წინა-დაცუეთილებაჲ რას შემძლებელ არს, არცა წინა-დაუცუეთელობაჲ, არამედ ახალი დაბადებული.
16. და რაოდენნი წესსა ამას ზედა ეგნენ, მშჳდობაჲ მათ ზედა და წყალობაჲ და ისრაელსა ზედა ღმრთისასა.
17. ამიერითგან შრომასა ნუვინ შემამთხუევნ მე; რამეთუ მე საწერტელნი იგი უფლისა იესუჲსნი კორცთა შინა ჩემთა მიტჳრთვან.
18. მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი სულისა თქუენისა თანა, ძმანო. ამინ.

უწყებანი ეფესელთა მიმართ ეპისტოლისა წმიდისა მოციქულისა პავლესი

სოლო ეფესელთა მიმართ წარჰსცემს ჰრომით, არღარა უკუე ესილენეს იგინი, არამედ ასმიოდა მათთჳს, და ესე არს მიზეზი ეპისტოლისაჲ ამის, რამეთუ ეფესელთა ჰრწმენათ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა და მტკიცედ ეგნეს სარწმუნოებასა გედა მისსა და სიყუარულსა ყოველთა წმიდათასა, და უნებდათ, რაჲთა პაელეს მიერცა დაემტკიცნენ. ჰსცნა ესე მოციქულმან და მიჰსწერს მათდა სამოციქულოსა ამას სამოძღურებელსა და პირველად უკუე აუწყებს, არა ახლად გამოჩინებულ-არს ძალი საიდუმლოჲსა ჩუენისაჲ, არამედ პირველითგან და უწინარეს პირველ, სოფლის-დაბადებისა განჩებულ-იყო ესე ნებითა ღმრთისაჲთა, რაჲთა ივნოს ჩუენთჳს ქრისტემან და ჩუენ გუაცხოვნეს. მით ეგრეთვე, წოდებისათჳს წარმართთაჲსა წარმოიტყჳს, რაჲთა უჩუენოს ვითარმედ ჯეროვნად ჰრწმენა მათ. და გამოუჩენს რამეთუ ჩინებაჲ ჩუენი არა კაცთაგან იქმნა, არამედ იესუ ქრისტეს მიერ, რომელი არს ძე ღმრთისაჲ, რაჲთა ისწაონ, რამეთუ არა კაცის-მსახურ-იქმნნეს, ჰრწმენეს რაჲ ქრისტე, არამედ ჭეშმარიტად ღმრთის-მსახურ, და აუწყებს თავისა თჳსისა თჳსცა, რამეთუ ამის ჯერისათჳს წარიელინა, რაჲთა ჰქადაგოს სახარება, და რამეთუ მათ თჳსცა ჰგრუნვიდეს, და შემდგომად სწაელისა სიტყუათა მიუწერს მამათა და დედათა, მშობელთა და შვილთა, უფალთა და მონათა, და ყოველთაჳე ერთბამად აღსჭურავს სატანასა გედა, და ეშმაკთა მისთა, და იტყჳს მათდა მიმართ ყოფასა ბრძოლისა ჩუენისასა, და ვითარცა კეთილმან მოღუაწემან აღჰსჭურნა ყოველნივე სიტყუთა ეშმაკისა კელოვნებასა გედა, და ესრეთ აღასრულებს ეპისტოლესა.

პაჳლე მოციქულისა წიგნი ეფესელთა მიმართ

1

1. პაჳლე, მოციქული ნებითა ღმრთისაჲთა, წმიდათა მაგათ, რომელნი ხართ ეფესოს შინა, და სარწმუნოთა ქრისტე იესუჲს მიერ:

2. მადლი თქუენდა და მშჳდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა იესუ ქრისტესა.

3. კურთხეულ არს ღმერთი და მამაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რომელმან მაკურთხნა ჩუენ ყოვლითა კურთხევითა სულიერითა ცათა შინა ქრისტეს მიერ.

4. ვითარცა-იგი გამოგჳრჩინა ჩუენ მის მიერ უწინარეს სოფლის დაბადებისა, რაჲთა ვიყ-

ენეთ ჩუენ წმიდა და უბიწო წინაშე მისსა სიყუარულით.
5. წინაწარ გუჩინნა ჩუენ შვილებად იესუ ქრისტეს მიერ მისა მიმართ სათნოებისაებრ ნებისა მისისა,
6. საქებელად დიდებისა მადლისა მისისა, რომლითა მოგუმადლა ჩუენ საყუარელისა მის მიერ,
7. რომლისა მიერ გუაქუს ჩუენ გამოსყიდაჲ სისხლითა მისითა და მოტეეებაჲ ცოდვათა ჩუენთაჲ სიმდიდრისაებრ მადლისა მისისა,
8. რომელი-იგი გარდაჰმატა ჩუენდა მომართ ყოელითა სიბრძნითა და გონიერებითა.
9. გუაუწყა ჩუენ საიდუმლოჲ იგი ნებისა მისისაჲ სათნოებისაებრ მისისა, რომელი-იგი წინაჲთვე განაჩინა მას შინა
10. განგებულად აღსებისა მის ჟამთაჲსა, თავ-ყოფად ყოველივე ქრისტეს მიმართ, რაჲ-იგი არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა;
11. მისა მიმართ, რომელსა შინაცა განეეწესენით და წინაწარ ვიჩინენით ნებითა ღმრთისაჲთა, რომელმან-იგი ყოველივე შექმნა ბრახეისაებრ ნებისა მისისა,
12. რაჲთა ვიყენეთ ჩუენ საქებელად დიდებისა მისისა, რომელნი-ესე წინაწარ მოსავ ვიყენეთ ქრისტესა.
13. რომლისა მიერ და თქუენცა გესმა სიტყუაჲ იგი ჭეშმარიტებისაჲ, სახარებაჲ იგი ცხორებისა თქუენისაჲ, რომლითაცა-იგი გრწმენა და აღიბეჭდენით სულითა მით წმიდითა აღთქუმისაჲთა,
14. რომელ-იგი არს წინდი მკჳდრობისა ჩუენისაჲ გამო-საკსრად შეწეენისა ჩუენისა, საქებელად დიდებისა მისისა.
15. ამისთჳს მეცა მესმა თქუენი ეგე სარწმუნოებაჲ უფლისა იესუჲს მიერ და სიყუარული იგი, რომელ გაქუს ყოველთა მიმართ წმიდათა.
16. არა დავსცხრები მადლობითა თქუენთჳს, კსენებასა თქუენსა ეჰყოფ ლოცვათა შინა ჩემთა,
17. რაჲთა ღმერთმან და მამამან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესმან, ღმერთმან დიდებისამან, მოგცეს თქუენ სული სიბრძნისა და გამოცსადებისაჲ მეცნიერებითა მისითა.
18. და განანათლნეს თუალნი გულისა თქუენისანი, რაჲთა იცოდით თქუენ, რაჲ-იგი არს სასოებაჲ ჩინებისა მისისაჲ, და რაჲ-იგი არს სიმდიდრე დიდებისა მკჳდრობისა მისისაჲ წმიდათა შორის,
19. და რაჲ-იგი არს გარდამატებული სიმდიდრე ძლიერებისა მისისაჲ ჩუენდა მომართ მორწმუნეთა შეწეენისაებრ სიმტკიცისა ძლიერებისა მისისა,

20. რომელ ქმნა ქრისტეს თანა, რამეთუ აღადგინა იგი მკუდრეთით და დასუა მარჯუენით მისა ზეცათა შინა,
21. უზეშთაეს ყოველთა მთავრობათა და კელმწიფებათა და ძალთა და უფლებათა და ყოველისავე სახელისა, რომელი სახელ-დებულ არს არა ხოლო თუ ამას სოფელსა, არამედ მერმესაცა მას.
22. და ყოველივე დაამორჩილა ქუეშე ფერჯთა მისთა და იგი მოსცა მთავრობად ზეშთა ყოველთა ეკლესიასა.
23. რომელ-იგი არს გუამი მისი, აღსავსებაჲ იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო.

2

1. და თქუენცა, რომელნი-ეგე მკუდარ იყვენით ბრალითა და ცოდვითა თქუენითა,
2. რომელთა შინა ოდესმე ხჯდოდეთ მსგავსად ჟამთა მათ ამის სოფლისათა, მთავრისა მისებრ კელმწიფებისა აერისა, სულისა, რომელი-იგი აწ იქმს ნაშობთა მათ შორის ურჩებისათა,
3. რომელთა შინა და ჩუენცა ყოველნი ვიქცეოდეთ ოდესმე გულის თქუმათა შინა კორცთა ჩუენთასა, ვჰყოფდით ნებასა კორცთა და გონებათასა და ვიყვენით ბუნებით შვილნი რისხვისანი, ვითარცა-იგი სხუანი.
4. ხოლო ღმერთმან, რამეთუ მდიდარ არს წყალობითა, მრავლითა სიყუარულითა მისითა, რომლითა-იგი შემიყუარნა ჩუენ,
5. და რამეთუ ვიყვენით ჩუენ მკუდარ შეცოდებითა, ქრისტეს თანა განგუაცხოველნა, – მადლითა ხართ თქუენ გამოკსნილ, –
6. და თანა-აღმადგინნა და თანა-დამსხნა გეცათა შინა ქრისტე იესუჲს მიერ,
7. რაჲთა აჩუენოს ჟამთა მათ მომავალთა გარდამატებული იგი სიმდიდრე მადლისა მისისაჲ სიტკბოებით ჩუენ ზედა ქრისტე იესუჲს მიერ.
8. რამეთუ მადლითა ხართ გამოკსნილ სარწმუნოებისა მიერ, და ესე არა თქუენგან, არამედ ღმრთისა ნიჭი არს:
9. არა საქმეთაგან, რაჲთა არავინ იქადოს.
10. რამეთუ მისნი შექმნულნი ვართ და დაბადებულნი ქრისტე იესუჲს მიერ საქმეთათჳს კეთილთა, რომელთათჳს წინაწარ განჰმზადა ღმერთმან, რაჲთა მათ შინა ვიდოდით.
11. ამისთჳს მოიკსენეთ, რამეთუ თქუენ, ოდესმე წარმართნი ეგე კორცითა, რომელთა გერქუა წინა-დაუცუეთელ მის გამო, რომელსა-იგი ერქუა წინა-დაცუეთილება კორცითა მით კელით ქმნულითა,
12. რამეთუ იყვენით მას ჟამ-

სა შინა თჳნიერად ქრისტესა, უცხო-ქმნულნი მოქალაქობისა მისგან ისრაჱლისა და უცხო რჩულთა მათგან აღთქუმათაჲსა, სასოებაჲ არა გაქუნდა, და უღმრთო იყვენით სოფელსა შინა.

13. ხოლო აწ ქრისტე იესუჲს მიერ თქუენ, რომელნი-ეგე ოდეს-მე იყვენით შორს, იქმნენით მასლობელ სისხლითა მით ქრისტესითა.

14. რამეთუ იგი თავადი არს მშჳდობაჲ ჩ·უენი, რომელმან შექმნა ორივე ერთად და შუა-კედელი ბღუდისაჲ მის დაჰ-კსნა,

15. მტერობაჲ იგი კორცითა მისითა, შჯული იგი მცნებათაჲ მათ ბრძანებითა განაქარვა, რაჲთა ორივე იგი დაჰბადოს მას შინა ერთად ახლად კაცად ყოფად მშჳდობისა.

16. და დააგნეს ორნივე იგი ერთითა მით კორცითა ღმერთსა ჯუარისა მიერ, მოკლა მტერობაჲ იგი მას შინა,

17. და მოვიდა და გახარა მშჳდობაჲ თქუენ, შორიელთა და მახლობელთა,

18. რამეთუ მის მიერ მაქუს ჩუენ მიახლებაჲ იგი ურთიერთარს ერთითა სულითა მამისა მიმართ.

19. ამიერითგან უკუე არღარა ხართ უცხო და მწირ, არამედ თანა-მოქალაქე წმიდათა და სახლეულ ღმრთისა,

20. აღშენებულ საფუძველსა წედა მოციქულთასა და წინაწარმეტყუელთასა, რომლისა თავ საკიდურთა მისთა არს ქრისტე იესუ,

21. რომლითა ყოველი შენებული, შენაწევრებული, ორძის ტაძრად წმიდად უფლისა მიერ,

22. რომელსა წედა თქუენცა თანა-აღშენებულ ხართ სამკჳდრებელად ღმრთისა სულითა.

3

1. ამისთჳს მე, პაველე, კრული ქრისტე იესუჲსი, თქუენ წარმართთათჳს.

2. უკუეთუ გასმიეს მოღუაწებაჲ იგი მადლისა ღმრთისაჲ, რომელ მოცემულ არს ჩემდა თქუენდა მიმართ,

3. რამეთუ გამოცხადებით მაუწყა მე საიდუმლოჲ იგი, ვითარცა-იგი უწინარეს მიეწერე თქუენდა მცირედრე,

4. რომლითა შემძლებელ ხართ, აღმოიკითხოთ რაჲ, ცნობად გულისჴმის-ყოფისა მის ჩემისა საიდუმლოჲთა მით ქრისტესითა,

5. რომელი ნათესაესა სხუასა არა გამოეცხადა ძეთა კაცთასა, ვითარ-ეს აწ გამოეცხადა წმიდათა მისთა მოციქულთა და წინაწარმეტყუელთა სულითა წმიდითა,

6. რაჲთა იყვნენ წარმართნი თანა-მკჳდრ და თანა-კორც და

თანა-მყოფ აღთქუმისა მის ღმრთისა ქრისტეს მიერ სახარებითა მით,
7. რომლისა ვიქმენ მე მსახურ ნიჭისა მისებრ მადლისა ღმრთისა, მოცემულისა ჩემდა შეწევნისაებრ ძალისა მისისა.
8. მე, უმრწემესსა ამას ყოველთა წმიდათასა, მომეცა მადლი ესე წარმართთა შორის სარებად გამოუკუღეელი იგი სიმდიდრე ქრისტესი.
9. და განათლებად ყოველთა, რაჲ-იგი არს განგებულებაჲ იგი საიდუმლოჲსაჲ მის დაფარულისაჲ საუკუნითგან ღმრთისა თანა, რომელმან ყოველივე დაჰბადა იესუ ქრისტეს მიერ,
10. რაჲთა ეუწყოს აწ მთავრობათა მათ და კელმწიფებათა ეკლესიისაგან მრავალფერი იგი სიბრძნე ღმრთისაჲ
11. გულს-მოდგინებისაებრ საუკუნეთაჲსა, რომელ-იგი ქმნა ქრისტე იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა,
12. რომლითა მაქუს ჩუენ განცხადებულებაჲ და მოსლვაჲ სასოებით სარწმუნოებითა მისითა.
13. ამისთჳს ვითხოვ, რაჲთა არა გეწყინებოდის ჭირთა შინა ჩემთა თქუენთჳს, რომელ-იგი არს დიდებაჲ თქუენდა.
14. ამის ჴერისათჳს მოვიდრეკ მუკლთა ჩემთა მამისა მიმართ,
15. რომლისაგან ყოველნი ნათესავნი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა სახელ-დებულ არიან,
16. რაჲთა მოგცეს თქუენ სიმდიდრისაებრ დიდებისა მისისა, ძალითა განმტკიცებად სულისა მიერ მისისა შინაგანსა კაცსა,
17. დამკჳდრებად ქრისტე სარწმუნოებითა გულთა შინა თქუენთა,
18. სიყუარულითა დამტკიცებულნი და დაფუძნებულნი, რაჲთა შეუძლოთ წარწევნად ყოველთა თანა წმიდათა, რაჲ-იგი არს სიერცე და სიგრძე, სიმაღლე და სიღრმე,
19. ცნობად გარდარეული იგი მეცნიერებისა სიყუარული ქრისტესი, რაჲთა აღიესნეთ თქუენ ყოველითა სავსებითა ღმრთისაჲთა.
20. ხოლო რომელი-იგი შემძლებელ არს უფროჲს ყოველისა ყოფად უმეტეს, რომელსა-იგი ვითხოვთ გინა თუ ვსცნობთ ძალისა მისებრ შეწევნისა ჩუენ შორის,
21. მისა დიდებაჲ ეკლესიასა შინა ქრისტე იესუჲს მიერ ყოველთა ნათესავთა მიმართ საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.

4

1. გლოცავ თქუენ მე, კრული ესე უფლისა მიერ, რაჲთა ღირსად ხუდოდით ჩინებითა მით, რომლითა იჩინენით,
2. ყოველითა სიმდაბლითა და

სიმშჳდითა და სულგრძელებითა, თავს-იდებდით ურთიერთარს სიყუარულითა,
3. ისწრაფდით დამარხვად ერთობასა მას სულისასა საკრველითა მით მშჳდობისაჲთა.
4. ერთ კორც და ერთ სულ, ეითარცა-იგი იჩინენით ერთითა მით სასოებითა ჩინებისა თქუენისაჲთა;
5. ერთ არს უფალ, ერთ სარწმუნოება, ერთ ნათლის-ღება,
6. ერთ არს ღმერთი და მამაჲ ყოველთაჲ, რომელი ყოველთა ზედა არს და ყოველთა მიერ და ჩუენ ყოველთა შორის.
7. ხოლო თჳთოეულსა კაცად-კაცადსა ჩუენსა მოცემულ არს მადლი საგომისაებრ ნიჭისა ქრისტესისა.
8. რომლისათჳს იტყჳს: აჴდა მაღალსა, წარმოტყუენა ტყუე და მისცა იგი ნიჭად კაცთა.
9. ხოლო „აღსლვაჲ იგი" რაჲ-მე არს, არა თუ ესე, რამეთუ შთაჴდა იგი პირველად ქუესკნელთა ქუეყანისათა?
10. რომელი გარდამოჴდა, იგივე არს, რომელი ამაღლდა ზედა ყოველთა ცათა, რაჲთა აღავსნეს ყოველნი.
11. და მან მოსცნა რომელნიმე მოციქულნი, რომელნიმე წინაწარმეტყუელნი, რომელნიმე მახარებელნი, რომელნიმე მწყემსნი და მოძღუარნი
12. დასამტკიცებელად წმიდათა, საქმედ მსახურებისა, აღსაშენებელად გუამისა ქრისტესისა,
13. ვიდრემდე მივიწინეთ ყოველნი ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ღმრთისასა, მამაკაცად სრულად, საზომად პასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა,
14. რაჲთა არღარა ვიყვნეთ ყრმა ჩჩულ, ღელვა-აღტესილ და მიმოტაცებულ ყოველსა მას ქარსა მოძღურებისასა სივერაგითა კაცთაჲთა და ზაკულებითა მანქანებისა მის მიმართ საცთურებისა,
15. არამედ ჭეშმარიტ ვიყვნეთ სიყუარულსა ზედა და აღვაორძინებდეთ მისა მიმართ ყოველსა, რომელ არს თავ მისა ქრისტე,
16. რომლისაგან ყოველი გუამი შენაწევრებულ და შემტკიცებულ არს ყოველითა შეახლებითა უსუებისაჲთა შეწევნისაებრ საზომისა თჳთოეულისა ასოჲსა; სიორძილსა მას გუამისასა ჰყოფდით აღსაშენებელად თავისა თქუენისა სიყუარულით.
17. ამას უკუე ვიტყჳ და ვწამებ უფლისა მიერ, რაჲთა ნუღარამცა ხუალთ, ეითარცა სხუანი იგი წარმართნი ვლენან ამაოებითა გონებისა მათისაჲთა,
18. დაბნელებულნი გულითა, უცხო-ქმნულნი ცხორებისაგან ღმრთისა უმეცრებითა მით, რომელ არს მათ თანა სიბრმი-

თა გულისა მათისაჲთა,
19. რომელთა წარიწირნეს თავნი მათნი და მისცნეს ბილწებასა საქმედ არაწმიდებისა ყოველისა ანგაჰრებისა.
20. ხოლო თქუენ არა ეგრეთ გისწავიეს ქრისტე.
21. უკუეთუ გასმიეს იგი და მისა მიმართ გისწავიეს, ვითარცა-იგი არს ჭეშმარიტებაჲ იესუჲს თანა,
22. განიშორეთ თქუენგან პირველისა მისებრ სლვისა თქუენისა ძუელი იგი კაცი, განსრწნილი გულის თქუმისა მისებრ საცთურისა,
23. და განახლდებოდეთ თქუენ სულითა მით გონებისა თქუენისაჲთა
24. და შეიმოსეთ ახალი იგი კაცი, ღმრთისა მიერ დაბადებული სიმართლითა და სიწმიდითა ჭეშმარიტებისაჲთა.
25. ამისთჳს განიშორეთ ტყუილი, იტყოდეთ ჭეშმარიტსა კაცად-კაცადი მოყუსისა თჳსისა თანა, რამეთუ ვართ ურთიერთარს ასოებ.
26. გული გიწყრებოდენ, და ნუ სცოდავთ: მზე ნუ დაჰვალნ განრისხებასა თქუენსა.
27. ნუცა სცემთ აღგილ ეშმაკსა.
28. მპარავი იგი ნუღარა იპარაენ, არამედ უფროჲსღა შურებოდენ და იქმოდენ კეთილსა თჳსითა კელითა, რაჲთა აქუნდეს მიცემაღ, ვის-იგი უკმდეს.
29. ყოველი სიტყუაჲ უშუერი პირით თქუენით ნუ გამოვალნ, არამედ რაჲ-იგი იყოს კეთილ აღსაშენებელად საკმრისა მის, რაჲთა მისცეს მაღლი მსმენელთა მათ.
30. და ნუ შეაწუხებთ სულსა წმიდასა ღმრთისასა, რომლითაცა-იგი აღიბეჭდენით ღღედ გამოჯსნისა.
31. ყოველი სიმწარე და რისხვაჲ და გულის წყრომაჲ და ღაღადებაჲ და გმობაჲ მოისპენ თქუენ შორის ყოველითურთ უკეთურებით.
32. იყვენით ურთიერთარს ტკბილ, მოწყალე, მიმმადლებელ თავთა თჳსთა, ვითარცა-იგი ღმერთმან ქრისტეს მიერ მოგუმადლა ჩუენ.

5

1. იყვენით უკუე მობაძავ ღმრთისა, ვითარცა შვილნი საყუარელნი,
2. და ვიდოდეთ სიყუარულით, ვითარცა-იგი ქრისტემან შემიყუარნა ჩუენ და მისცა თავი თჳსი ჩუენთჳს შესაწირავად და მსხუერპლად ღმრთისა, სულად სურნელად.
3. ხოლო სიძვაჲ და ყოველი არაწმიდებაჲ გინა ანგაჰრებაჲ ნუცაღა სახელ-ედებინ თქუენ შორის, ვითარცა შუენის წმიდათა,
4. და საძაგელებაჲ და სიტყუაჲ

სიცოფისაჲ გინა ლაღობაჲ, რომელი არა ჯერ-არს, არამედ უფროჲსად მადლობაჲ.
5. და ესემცა უწყით, რამეთუ ყოველსა მეძავსა და არაწმიდასა და ანგაჰრსა, რომელ არს კერპთ-მსახური, არა აქუს მკჳდრობა სასუფეველსა ქრისტესსა და ღმრთისასა.
6. ნუმცა ვინ გაცთუნებს თქუენ ცუდითა სიტყჳთა, რამეთუ ამისთჳს მიიწევის რისხვაჲ ღმრთისაჲ ნაშობთა მათ ზედა ურჩებისათა.
7. ნუუკუე იქმნებით მსგავს მათა,
8. რამეთუ იყუენით ოდესმე ბნელ, ხოლო აწ ნათელი სართ უფლისა მიერ; ვითარცა შვილნი ნათლისანი, ვიდოდეთ,
9. რამეთუ ნაყოფი სულისაჲ ყოველითა კეთილითა და სიმართლითა და ჭეშმარიტებითა.
10. გამოიცადეთ, რაჲ-იგი არს სათნო უფლისა,
11. და ნუ თანა-ეზიარებით საქმეთა მათ უნაყოფოთა ბნელისათა, არამედ უფროჲსღა ამხილებდითცა.
12. რამეთუ რაჲ-იგი ფარულად იქმნების მათ მიერ, საძაგელ არს სიტყუადცა.
13. ხოლო ყოველივე მხილებული ნათლისაგან გამოცხადნების, რამეთუ ყოველივე განცხადებული ნათელ არს,
14. რომლისათჳს იტყჳს: განიღჳძე რომელსა-ეგე გძინაეს, და აღდეგ მკუდრეთით, და განგანათლოს შენ ქრისტემან.
15. ეკრძალებოდეთ უკუე, ვითარ-ძი განკრძალულად ხუალთ, ნუ ვითარცა უგუნურნი, არამედ ვითარცა ბრძენნი;
16. გამოიყრღიდით ჟამთა, რამეთუ დღენი ბოროტნი არიან.
17. ამისთჳს ნუ იყოფით უგუნურ, არამედ გულისჴმა-ჰყოფდით, რაჲ-იგი არს ნებაჲ უფლისაჲ.
18. და ნუ დაითრევებით ღჳნითა, რომლითა არს სიბილწე, არამედ აღიესენით სულითა.
19. ეტყოდეთ თავთა თჳსთა ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა, უგალობდით და აქებდით გულითა თქუენითა უფალსა.
20. ჰმადლობდით ყოველადვე ყოველთათჳს სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა ღმერთსა და მამასა.
21. დაემორჩილენით ურთიერთარს შიშითა ქრისტესითა.
22. ცოლნი თჳსთა ქმართა დაემორჩილენით, ვითარცა უფალსა.
23. რამეთუ ქმარი არს თავ ცოლისა, ვითარცა ქრისტე თავ არს ეკლესიისა, და იგი თავადი არს მაცხოვარი გუამისაჲ.
24. არამედ ვითარცა ეკლესიაჲ დამორჩილებულ არს ქრისტესა, ეგრეცა ცოლნი — თჳსთა ქმართა ყოველითა.

25. ქმართა გიყუარდედ ცოლნი თჳსნი, ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკლესიაჲ და თავი თჳსი მისცა მისთჳს,
26. რაჲთა იგი წმიდა-ყოს, განწმიდა იგი საბანელითა მით წყლისაჲთა და სიტყჳთა,
27. რაჲთა წარუდგინოს თავად-მან თავსა თჳსსა დიდებულად ეკლესიაჲ, რაჲთა არა აქუნდეს მწინკულეანება, არცა ნაოჭ ბრძჳლისა, არცა სხუაჲ რაჲ ესეითარი, არამედ რაჲთა იყოს წმიდა და უბიწო.
28. ესრეთ ჯერ-არს ქმართაჲ ცოლთა თჳსთა სიყუარული, ვითარცა კორცთა თჳსთაჲ, რამეთუ რომელსა უყუარდეს ცოლი თჳსი, თავი თჳსი უყუარს.
29. რამეთუ არავინ სადა თავი თჳსი მოიძულის, არამედ ბრდინ და ჰუუფუნებ მას, ვითარცა ქრისტე ეკლესიასა,
30. რამეთუ ასონი ვართ გუამისა მისისანი, კორცთა მისთაგანნი და ძუალთა მისთაგანნი.
31. ამისთჳს დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და შეეყოს ცოლსა თჳსსა და იყვნენ ორნიე იგი ერთ კორც.
32. საიდუმლოჲ ესე დიდი არს; ხოლო მე ვიტყჳ ქრისტესთჳს და ეკლესიისა.
33. გარნა თქუენცა კაცად-კაცადმან თჳსი ცოლი ეგრეთ შეიყუარეთ, ვითარცა თავი თჳსი; ხოლო ცოლსა მას რაჲთა ეშინოდის ქმრისა.

6

1. შვილნი მორჩილ იყვენით მამა-დედათა თქუენთა უფლისა მიერ, რამეთუ ესე არს სამართალი.
2. პატიე-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რომელ-ესე არს მცნებაჲ პირველი აღთქუმასა შინა,
3. რაჲთა კეთილი გეყოს შენ, და იყო დღეგრძელ ქუეყანასა ზედა.
4. და მამანი ნუ განარისხებთ შვილთა თქუენთა, არამედ განგზარდენით იგინი სწავლითა და მოძღურებითა უფლისაჲთა.
5. მონანი ერჩდით კორციელთა უფალთა თქუენთა შიშით და ძრწოლით, სიწრფოებითა გულისა თქუენისაჲთა, ვითარცა ქრისტესა,
6. ნუ თუალთა წინაშე თუალთ-ღებით მონებად, ვითარცა კაცთ-მოთნენი, არამედ ვითარცა მონანი ქრისტესნი, ჰყოფდით ნებასა ღმრთისასა გულითად;
7. გონიერად ჰმონებდით ვითარცა უფალსა, და არა კაცთა;
8. უწყოდეთ, რამეთუ რაჲცა ვინ ქმნეს კაცად-კაცადმან კეთილი, იგიცა მოიღოს უფლისა მიერ, გინა თუ მონამან გინა თუ აზნაურმან.
9. და უფალნი ეგე ეგრეთვე ჰყოფდით მათა მიმართ, შეუნ-

დობდით რისხვასა, უწყოდეთ, რამეთუ თქუენი და მათი უფალი ცათა შინა არს, და თუალთ-ღება არა არს მის თანა.

10. ამიერითგან, ძმანო ჩემნო, განძლიერდით უფლისა მიერ და სიმტკიცითა ძლიერებისა მისისაჲთა;

11. შეიმოსეთ ყოველად საჭურველი იგი ღმრთისაჲ,რაჲთა შეუძლოთ თქუენ წინა-დადგომად მანქანებათა მათ ეშმაკისათა,

12. რამეთუ არა არს ბრძოლაჲ ჩუენი სისხლთა მიმართ და ჯორცთა, არამედ მთავრობათა მიმართ და ქელმწიფებათა,სოფლის მპყრობელთა მიმართ ბნელისა მის ამის საწუთროჲსათა, სულთა მიმართ უკეთურებისათა, რომელნი არიან ცასა ქუეშე.

13. ამისთჳს აღიღეთ ყოელად-საჭურველი იგი ღმრთისაჲ,რაჲთა შეუძლოთ წინა-დადგომად დღესა მას ბოროტსა, და ყოველსავე იქმოდეთ, რაჲთა სდგეთ.

14. მტკიცედ უკუე დეგით, მოირტყენით წელნი თქუენნი ჭეშმარიტებითა და შეიმოსეთ ჯაჭუ იგი სიმართლისაჲ.

15. და შეისხენით ფერჴთა თქუენთა განმზადებულებაჲ იგი სახარებისა მის მშუდობისაჲ.

16. ყოველსა შინა აღიღეთ ფარი იგი სარწმუნოებისაჲ, რომლითა შეუძლოთ ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა განკურებულთა დაშრეტად;

17. და ჩაფხუტი იგი ცხორებისაჲ დაიდგთ და მახჳლი იგი სულისაჲ, რომელ არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ;

18. ყოელითა ლოცვითა და ვედრებითა ილოცევედით ყოველსა ჟამსა სულითა და მებრვე ამისთჳს იღჳძებდით ყოელითა კრძალულებითა და ვედრებითა ყოველთა წმიდათათჳს

19. და ჩემთჳსცა,რაჲთა მომეცეს მე სიტყუაჲ აღებასა პირისა ჩემისასა განცხადებულად უწყებად საიდუმლოჲ იგი სახარებისაჲ,

20. რომლისათჳს-ესე ვიქუ ჯაჭუთურთ, რაჲთა მას შინა განვცხადნე, ვითარ-იგი ღირს ჩემდა სიტყუად.

21. ხოლო თქუენცა რაჲთა უწყოდით ჩემთჳს, რასა-იგი ვიქმ, ყოველივე გაუწყოს თქუენ ტუქიკოს,საყუარელმან ძმამან და სარწმუნომან მსახურმან უფლისა მიერ,

22. რომელი-იგი მივავლინე თქუენდა ამისთჳს მებრ, რაჲთა უწყოდით ჩუენთჳს და ნუგეშინის-სცეს გულთა თქუენთა.

23. მშუდობაჲ ძმათა და სიყუარული სარწმუნოებითურთ ღმრთისა მიერ მამისა და უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა.

24. მადლი ყოველთა თანა მოყუარეთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა უხრწნელებით. ამინ.

უწყებანი ფილიპპელთა მიმართ ეპისტოლისა წმიდისა მოციქულისა პავლესნი

სოლო ფილიპპელთა მიმართ წარპსცემს ჰრომით რამეთუ ესილენეს იგინი და ესწავაცა ერთბამად, სოლო მიზეზი ეპისტოლისაჲ ესე არს, წარეგზავნა ფილიპპელთა სამსახურებელი პავლესდა, და ვიეთნიმე მიმომავალნი განჰრყუნიდეს სასმენელთა უმანკოთასა მიზეზითა ჰსჯულისა აჩრდილისა და წინა-დაცუეთილებისაჲთა რომელნი იტყოდეს თუნიერ ამათსა შეუძლებელ-არს განმართლებაჲ, ჰსცნა მოციქულმან და მიუწერს ფილიპპელთა, და პირველად აქებს სარწმუნოებასა მათსა, და აუწყებს თავისა თუსისა კსენებასა მათ, და მერმე მიუგებს, რამეთუ შეპყრობილ-იქმნა ჰრომს, და სიტყუა-უგო, და ვითარცა ვიეთნიმე მძიმე-ექმნეს მას კრულებასა შინა, და აღმძრველ შურისა მას ზედა, და მერმე უბრძანებს მათ ურთიერთისა სიყუარულად, მიუთხრობს მაცხოვრისა კაცთ-მოყუარებასა, ვითარმედ ღმერთი იყო და კაც-იქმნა ჩუენთუს, ეგრეთვე წინა-დაცუეთისათუს და ძუელისა ჰსჯულისათუს აუწყა და გამოუჩინა რამეთუ ამიერითგან უქმ-იქმნა წინა-დაცუეთილება და თავსა თუსსა წინა-უყოფს მათ, და ეტყუს რამეთუ ესე ყოველი შემირაცხიეს ქრისტესთუს მღუეველად, ამისთუს აბრალებს რომელნი აწუეღეს მათ წინა-დაცუეთასა, და ენებაცა თუნებაჲ მათი, და იტყუს, ეგე-ვითარნი მტერ-არიან ქრისტესნი და ჰმაღლობს ფილიპპელთა მიარებისა მისთუს მიცემისა, და ასწაევებს მათ კუალად ჩუეულებისაებრ და აღასრულებს ეპისტოლესა.

პავლე მოციქულისა წიგნი ფილიპელთა მიმართ

1

1. პაელე და ტიმოთე, მონანი იესუ ქრისტესნი, ყოველთა წმიდათა ქრისტე იესუჲს მიერ, რომელნი ხართ ფილიპეს შინა, ეპისკოპოსთა თანა და დიაკონთა:

2. მადლი თქუენდა და მშუდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა იესუ ქრისტესა.

3. ეჰმადლობ ღმერთსა ყოველსა ზედა კსენებასა თქუენსა;

4. მარადის ყოველთა შინა ლოცვათა ჩემთა თქუენ ყოველთათუს სიხარულით ლოცვასა ვჰყოფ

5. ზიარებისა მაგის თქუენისათუს სახარებასა მას პირველით ღღითგან მოაქამდე.

6. და ამის მებრვე სასოებისათჳს, ვითარმედ რომელმან იწყოს თქუენ შორის საქმე კეთილისაჲ, აღასრულენ ეიღრე დღედმდე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა.
7. ვითარცა არს სამართალ ჩემდა ზრახვად ესე თქუენ ყოველთათჳს, რამეთუ მაქსოვთ მე თქუენ გულსა ჩემსა კრულებათა შინა ჩემთა და სიტყჳს-გებათა და დამტკიცებასა მას სახარებისასა, რაჲთა ზიარ ჩემ თანა მაღლისა მის თქუენ ყოველნი იყვნეთ.
8. რამეთუ მოწამე ჩემდა არს ღმერთი, ვითარ-იგი მსურის თქუენ ყოველთათჳს მოწყალებითა ქრისტე იესუჲსითა;
9. და ამას ვილოცაე, რაჲთა სიყუარული ეგე თქუენი უფროჲს და უმეტეს გარდაერიოს მეცნიერებითა და ყოვლითა ფრთხილებითა,
10. რაჲთა გამოიცადოთ თქუენ უმჯობესი იგი, რაჲთა იყვნეთ თქუენ ჭეშმარიტ და დაუბრკოლებელ ღეღმდე ქრისტე იესუჲსა,
11. აღსავსენი ნაყოფითა სიმართლისაჲთა იესუ ქრისტეს მიერ სადიდებელად და საქებელად ღმრთისა.
12. უწყებაჲ თქუენი მნებავს, ძმანო, რამეთუ ჩემთჳს უფროჲსღა წარსამატებელად სახარებისა მისთჳს მოიელინა,
13. ვიდრეღა კრულებანი ესე ჩემნი განცხადებულ იქმნნეს ქრისტეს მიერ ყოველსა მას ტაძარსა და სხუათა მიმართ ყოველთა,
14. და უმრაელესთა ძმათა უფლისა მიერ, მოსავთა მათ ჩემთა კრულებათასა, უმეტესღა ეიკადრებ უშიშად სიტყუასა მას ღმრთისასა სიტყუად.
15. რომელნიმე შურით და კღომით, რომელნიმე და სათნოებისათჳსცა ქრისტესა ქადაგებენ.
16. რომელნი-იგი კღომით ქრისტესა მიუთსრობენ არაწმიდებით, ჰგონებენ ჭირთა მოწევნად კრულებათა ამათ ჩემთა;
17. სოლო რომელნიმე – სიყუარულით: უწყიან, რამეთუ სიტყჳს-გებად სახარებისა მის ვდგა მე.
18. აწ უკუე რაჲ? ყოელითაევე სახითა, გინა თუ მიზეზით გინა თუ ჭეშმარიტებით, ქრისტე იქადაგების, და ამისთჳს მიხარის და მიხაროდისცა.
19. რამეთუ უწყი, ვითარმედ ესე მექმნას მე საცხორებელად თქუენითა ვედრებითა და შეწევნითა სულისა ქრისტე იესუჲსითა,
20. მოსალოდებელითა მით და სასოებითა ჩემითა, რამეთუ არარაჲთ მრცხუენეს მე, არამედ ყოველითა კადნიერებითა, ვითარცა მარადის და აწცა იდიდოს ქრისტე კორცთა ზედა ჩემთა, გინა თუ ცხორებით გინა

თუ სიკუდილით.
21. რამეთუ ჩემდა ცხორება ქრისტე არს, და სიკუდილი – შესაძინელ.
22. ხოლო ცხორებაჲ ესე კორცითა ამით ესე არს ჩემდა ნაყოფ საქმისა, და რომელი გამოვირჩიო, არა უწყი.
23. ხოლო შეპყრობილ ვარ ორთა ამათგან: გული მეტყჳს განსლვად და ქრისტეს თანა ყოფად უფროჲს და უმჯობეს ფრიად,
24. ხოლო დადგრომაჲ კორცთა შინა უნებელადრე თქუენთჳს.
25. და ესე სასოებით უწყი, რამეთუ დავადგრე და გგებდე თქუენ ყოველთა წარმატებისა თქუენისათჳს და სიხარულისა მის სარწმუნოებისა,
26. რაჲთა სიქადული ეგე თქუენი აღემატოს ქრისტე იესუჲს მიერ ჩემდა მომართ ჩემითა მით მისლვითა კუალად თქუენდა მიმართ.
27. გარნა ღირსად ხოლო სახარებისა მის ქრისტესისა ვიდოდეთ, რაჲთა გინა თუ მოვიდე და გიხილნე თქუენ, გინა თუ შორს ვიყო და მესმას თქუენთჳს, ვითარმედ სდგათ თქუენ ერთითა სულითა და ერთითა გონებითა და თანა-იღუწით სარწმუნოებასა მას სახარებისასა,
28. და არა ჰფრთხებით არარაჲთ მჯდომთა მათგან, რომელი-იგი არს მათდა სახე წარწყმედისაჲ, ხოლო თქუენდა – ცხორებისა; და ესე ღმრთისა მიერ.
29. რამეთუ თქუენ მიგემადლა ქრისტჱსთჳს არა ხოლო მისა მიმართ სარწმუნოებაჲ, არამედ მისთჳს ვნებაჲცა.
30. იგიეე ღუაწლი გაქუნდით, რომელი ისილეთ ჩემ თანა და აწ გესმის ჩემ მიერ.

2

1. რაოდენი რაჲ ნუგეშინის-ცემაჲ არს ქრისტეს მიერ და რაოდენი ნუგეშინის-ცემაჲ სიყუარულისაჲ, რაოდენი რაჲ ზიარებაჲ სულისაჲ, რაოდენი რაჲ მოწყალებაჲ და წყალობაჲ,
2. აღაესეთ სიხარული ჩემი, რაჲთა მასვე ჰგრახვიდეთ და იგივე სიყუარული გაქუნდეს; ერთ-სულ და ერთ-ზრახვა იყვენით,
3. ნურარაჲთ კდომით გინა ბუაობით, არამედ სიმდაბლით ურთიერთარს უმეტეს შეჰრაცხდით თჳთოეული თავისა თჳსისა.
4. ნუ თავისა თჳსისასა ხოლო კაცად-კაცადი თქუენი ეძიებნ, არამედ მოყუსისასაცა თჳთოეული თქუენი.
5. ესე გრახვაჲ იგრახებოდენ თქუენ შორის, რომელცა-იგი ქრისტე იესუჲს მიერ.
6. რომელი-იგი ხატი ღმრთისაჲ

იყო, არა ნატაცებად შეირაცხა ყოფად იგი სწორებად ღმრთისა,
7. არამედ თავი თჳსი დაიმდაბლა და ხატი მონისაჲ მიიღო და მსგაეს კაცთა იქმნა და ხატითა იპოვა ვითარცა კაცი;
8. დაიმდაბლა თავი თჳსი და იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკუდილდმდე და სიკუდილითა მით ჯუარისაჲთა.
9. ამისთჳსცა იგი ღმერთმან უმეტესად აღამაღლა და მიანიჭა მას სახელი უზეშთაესი უფროჲს ყოველთა სახელთაჲსა,
10. რაჲთა სახელისა მიმართ იესუ ქრისტესისა ყოველი მუჯლი მოდრკეს ზეცისათანი და ქუეყანისათანი და ქუესკნელთანი,
11. და ყოველმან ენამან აღუაროს, რამეთუ უფალი იესუ ქრისტე სადიდებელად ღმრთისა მამისა.
12. ვინაჲცა, საყუარელნო ჩემნო, ვითარცა-ეგე ყოველადვე მორჩილ ხართ, ნუ ხოლო მისლვასა მას ჩემსა, არამედ აწ უფროჲსღა შორს ყოფასა ამას ჩემსა შიშით და ძრწოლით თჳსსა ცხორებასა იქმოდეთ.
13. რამეთუ ღმერთი არს, რომელი შეიქმს თქუენ თანა ნებასაცა და შეწევნასა სათნოებისათჳს.
14. ყოველსავე იქმოდეთ თჳნიერ დრტჳნვისა და გულის სიტყუათა,
15. რაჲთა იყენეთ უბრალო და უმანკო, შვილ ღმრთისა, შეუგინებელ შორის ნათესაესა დრკუსა და გულარძნილსა, რომელთა მიერ შჩნდეთ, ვითარცა მთიებნი სოფელსა შინა.
16. სიტყუაჲ ცხორებისაჲ გაქუნდინ სიქადულად ჩემდა ღღესა მას ქრისტესსა, რამეთუ არა ცუდად ვრბიოდე, არცა ცუღად დავშუერ.
17. არამედ დაღათუ შეივწირევი მსხუერპლსა მას ზედა და მსახურებასა სარწმუნოებისა თქუენისასა, მიხარის და მიხაროდისცა თქუენ ყოველთა თანა.
18. ეგრეთვე და თქუენცა გიხაროდენ და ჩემ თანა გიხაროდენ.
19. ხოლო ვესავ ქრისტე იესუჲს მიერ ტიმოთესსაცა აღრე მივლინებასა თქუენდა, რაჲთა მეცა გულ-მხიარულად ვცნა თქუენთჳს.
20. რამეთუ არავინ მაქუს სხუაჲ ერთგული, რომელმანმცა თქუენთჳს გულითად იზრუნა.
21. რამეთუ ყოველნი თავთა თჳსთასა ეძიებენ და არა ქრისტე იესუჲსსა.
22. ხოლო გამოცდილებაჲ იგი მისი იცით, რამეთუ ვითარცა მამასა შვილმან, ეგრე ჰმონა ჩემ თანა სახარებასა მას.
23. ამისსა უკუე ვესავ მივლინებასა, რაჟამს განვიგო თავისა

ჩემისაჲ მისგან.
24. სოლო ვესავ უფალსა, ეითარმედ მეცა აღრე მოვიდე.
25. უმჯობესად-რე შევჰრაცხე ეპაფროდიტეს, ძმისა ჩემისა და თანა-შემწისა და თანა-მოსაგრისა ჩემისა, სოლო თქუენისა მოციქულისა და მსახურისა მის საქმართა ჩემთაჲსა, მივლინებად თქუენდა,
26. ვინაჲთგან სურვიელცა იყო თქუენ ყოველთა სილვად და ბრუნვიდა, რამეთუ გასმიოდა, ეითარმედ დასნეულდა.
27. და ნანდჯლვე დასნეულდა ეიდრე სიკუდილდმდე; არამედ ღმერთმან შეიწყალა იგი და არა სოლო თუ იგი, არამედ მეცა, რაჲთა არა მწუხარებაჲ მწუხარებასა ზედა დამერთოს.
28. მოსწრაფედ უკუე მივაველინე ეგე, რაჲთა ისილოთ ეგე და კუალად გიხაროდის, და მე უჭუეარ ვიყო.
29. შეიწყნარეთ ეგე უფლისა მიერ ყოელითა სიხარულითა, და ეგეეითარნი ეგე პაგიოსნად იპყრენით,
30. რამეთუ საქმისათჳს ქრისტესისა სიკუდილადმდე მიიწია წინა-დაპყრობად სულითა, რაჲთა აღავსოს თქუენი იგი დაკლებული ჩემდა მომართ მსახურებისაჲ.

3

1. ამიერითგან, ძმანო, გიხაროდენ უფლისა მიერ! იგივე მიწერად თქუენდა ჩემდა არა სიცონილ არს, და თქუენდა კრძალულება არს.
2. ეკრძალებოდეთ ძაღლთა მათგან, ეკრძალებოდეთ ბოროტთა მათგან მუშაკთა, სედევდით განკუეთილებასა მას,
3. რამეთუ ჩუენ ვართ წინაღაცუეთილებაჲ იგი, რომელნი სულითა ღმრთისა ეჰმსახურებთ და ვიქადით ქრისტე იესუჲს მიერ და არა კორცთა ვესავთ,
4. და ღათუ მაქუს მე კორცთაგანცა სასოებაჲ, უკუეთუ ვინმე ჰგონებდეს სხუად სასოებად კორციתა, მე – უფროჲსღა:
5. წინა-დაცუეთილებაჲ რვა ღღისამან, ნათესავით ისრაჱლისაჲ, ტომისაგან ბენიამენისა, ებრაელი ებრაელთაგან, შჯულითა ფარისეველი,
6. შურით ვსდევნიდ ეკლესიათა და სიმართლითა შჯულისაჲთა ვიყავ მე უბრალო.
7. არამედ რომელი-იგი იყო ჩემდა შესაძინელ, ესე შემირაცხიეს ქრისტესთჳს ზღეევად.
8. არამედ და შე-ცა-ვჰრაცხო ყოველიეე ზღეევად გარდამატებულისა მისთჳს მეცნიერებისა ქრისტე იესუჲს უფლისა ჩუენისაჲთა, რომლისათჳს ყოელისაგან ვიზღვიე და შემირაცხიეს იგი ნაგეევად, რაჲთა ქრისტე შეეიძინო.
9. და ვიპოო მას შინა, რაჲთა

არა მაქუნდეს ჩემი სიმართლე შჯულისაგან, არამედ სარწმუნოებითა ქრისტესითა, ღმრთისა მიერი იგი სიმართლე სარწმუნოებით,
10. ცნობად მისა და ძალსა მას აღდგომისა მისისასა და მიარებასა მას ენებათა მისთასა, თანა-ხატ ქმნად სიკუდილსა მას მისსა,
11. რაჲთა მი-ვითარ-რაჲ-ვსწუდე აღდგომასა მასცა მკუდართასა.
12. არა თუ ვითარმედ აწვე მომიღებიეს, ანუ თუ აწვე სრულ ქმნულ ვარ; ხოლო ესდევ ეგრეთ, რაჲთა ეწიო, რომლითაცა წევნულ ვიქმენ ქრისტე იესუჲს მიერ.
13. ძმანო, მე არღარა შემირაცხიეს თავი ჩემი წარწევნულად; ხოლო ერთი ესე: უკუანასა მას დავივიწყებ და წინასა მას მივსწუდები,
14. და კრძალულებით ესდევ გურგჯნსა მას ზეცისა ჩინებისა ღმრთისასა ქრისტე იესუჲს მიერ.
15. რაოდენნი უკუე სრულნი ვართ, ამას ვზრახვიდეთ; და სხუასა თუ რასმე ზრახვიდეთ, და იგიცა ღმერთმან გამო-ვე-გიცხადოს თქუენ.
16. გარნა, რომელსა-ესე მივსწუეთით, მასვე ვზრახვიდეთ და მასვე წესსა ზედა ვეგნეთ.
17. მობაძავ ჩემდა იქმნენით, ძმანო, და ხედევდით, რომელნი-იგი ესრეთ ვლენან, ვითარცა-ესე ვართ ჩუენ სახე თქუენდა.
18. რამეთუ მრაჳალნი ვინმე ვლენან, რომელთათჳს მრაჳალ-გზის გეტყოდე თქუენ, ხოლო აწ ტირილით გითხრობ თქუენ მტერთა მათთჳს ქრისტეს ჯუარისათა,
19. რომელთა აღსასრული წარწყმედაჲ არს, რომელთა ღმერთ მუცელი არს და დიდებაჲ — სირცხჳლსა შინა მათსა, რომელნი ქუეყანისასა ზრახვენ.
20. ხოლო ჩუენი მოქალაქობაჲ ცათა შინა არს, ვინაჲცა მაცხოვარსა მოველით, უფალსა იესუ ქრისტესა,
21. რომელმან გარდაცვალნეს კორცნი ესე სიმდაბლისა ჩუენისანი, რაჲთა იყვენენ იგინი თანა-ხატ კორცთა მათ დიდებისა მისისათა შეწევნისაებრ ძლიერებისა მისისა, დამორჩილებად მისა ყოველი.

4

1. ვინაჲცა, ძმანო ჩემნო საყუარელნო და სასურველნო, სიხარულნო და გურგჯნო ჩემნო, ესრეთ მტკიცედ დეგით უფლისა მიერ, საყუარელნო.
2. ევოდიას გლოცავ და სუნტჳქოს გლოცავ, რაჲთა მასვე ჰზრახვიდეთ უფლისა მიერ;
3. ჰე, გლოცავ შენცა, ერთგულ-

სა თანა-მეუღლესა, შეიწყნარენ ეგენი, რომელნი-ეგე სახარებასა მას თანა-მოღუაწე მექმნეს მე კლემენტოსითურთ, და სხუათა მათ თანა-შემწეთა ჩემთა, რომელთა სახელები წერილ არს წიგნსა მას ცხორებისასა.

4. გიხაროდენ მარადის უფლისა მიერ, კუალად გეტყჳ: გიხაროდენ.

5. სიმდაბლე ეგე თქუენი ცხად იყავენ ყოველთა კაცთა. უფალი ასლოს არს.

6. ნურარას ჰზრუნავთ, არამედ ყოველითა ლოცვითა და ვედრებითა მადლობით თხოვანი ეგე თქუენნი საცნაურ იყუნედ ღმრთისა მიმართ,

7. და მშუდობამან ღმრთისამან, რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა, შეგღუდენინ გულნი თქუენნი და გონებანი თქუენნი ქრისტე იესუჲს მიერ.

8. ამიერითგან, ძმანო, რაოდენი არს ჭეშმარიტ, რაოდენი პატიოსან, რაოდენი მართალ, რაოდენი წმიდა, რაოდენი საყუარელ, რაოდენი საქებელ, რაოდენი სათნო და რაოდენი ქებულ, მას გრახეედით.

9. რომელცა-იგი ისწავეთ და მიიღეთ და გესმა და იხილეთ ჩემ თანა, მას იქმოდეთ; და ღმერთი მშუდობისაჲ იყავენ თქუენ თანა.

10. ხოლო განვიხარე უფლისა მიერ დიდად, რამეთუ აწვე ეგერა აღმოცენებულ ხართ ჩემ კერძო გრასვად, რომელსაცა-იგი გრასევდით, ხოლო დაჰყდუნდით.

11. არა თუ ნაკლულეევანებისათჳს რაჲსმე გეტყჳ თქუენ, რამეთუ მე მისწავიეს: რომელთა შინა ვარ, რაჲთა კმა-ვიყო.

12. ვიცი დამდაბლებაჲცა და ვიცი გარდამატებაჲცა; ყოველთა მიმართ და ყოველსა შინა შეგმნილ ვარ: განძღებად და შიმშიდ, აღმატებად და დაკლებად.

13. ყოველივე ძალ-მიც განმაძლიერებელისა ჩემისა ქრისტეს მიერ.

14. გარნა კეთილად ჰყავთ, რამეთუ ეზიარენით ჭირთა ამათ ჩემთა.

15. ხოლო ესე თქუენცა უწყით, ფილიპელნო, რამეთუ დასაბამსა მას სახარებისასა, რაჟამს გამოვედ მაკედონიაჲთ, არცა ერთი ეკლესიაჲ მეზიარა მე მოცემისათჳს და მოღებისა, გარნა ხოლო თქუენ მარტოდ.

16. რამეთუ თესალონიკედცა ერთგზის და ორგზისცა საჭმრად ჩემდა მომიძღუანეთ.

17. არა თუ რამეთუ საცემელსა ეძიებ, არამედ ვეძიებ ნაყოფსა მას, რომელი აღემატების სახელად თქუენდა.

18. მაქუს მე ყოველი და გარდამრევიეს; და აღსავსე ვარ მოღებითა ეპაფროდიტესგან თქუენ მიერ სულითა სურნელებისაჲთა, მსხუერპლითა მით შეწირული-

თა სათნოჲთა ღმრთისაჲთა.
19. ხოლო ღმერთმან ჩემმან აღავსენ ყოველი საკმარი თქუენი სიმდიდრისაებრ მისისა დიდებითა ქრისტე იესუჲს მიერ.
20. ხოლო ღმერთსა და მამასა ჩუენსა დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამინ.
21. მოიკითხეედით ყოველთა წმიდათა ქრისტე იესუჲს მიერ. გიკითხვენ თქუენ ჩემთანანი ძმანი.
22. გიკითხვენ თქუენ ყოველნი წმიდანი, უფროჲსღა სახლისა მის კეისრისანი.
23. მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი სულისა თქუენისა თანა. ამინ.

უწყებანი კოლასელთა ეპისტოლისა წმიდისა მოციქულისა პავლესი

სოლო კოლასელთა მიმართ წარჰსცემს ჰრომით არღარა სადა ესილვნეს იგინი,არამედ ასმიოდა მათთჳს,სოლო ესე არს მიზეზი ეპისტოლისაჲ ამის, რამეთუ კოლასელთა ენება ვიეთმე ცთუნებაჲ საწარმართოსა სიტყჳსა ხელოვნებითა ქრისტეს სარწმუნოებისაგან, და ჰსჯულიერთა ჭამადთათჳს და წინა-დაცუეთისა,ესე უკუე ჰსცნა მოციქულმან,და მიჰსწერს კათოლიკესა ამას მათდა სახითა სწაელისაჲთა და პირველად ჰმადლობს ღმერთსა, და აუწყებს მოქცევასა მათსა ბნელისაგან მოსლვად ნათლად ჭეშმარიტებისა, ვითარმედ ქრისტე,რომლისა მიმართ ჰრწმენა ხატი არს ღმრთისაჲ და სიტყუაჲ რომლისა მიერ ყოველივე შეიქმნა, ვითარმედ ჰშუენოდა მას ვითარცა შემოქმედსა ჭეშმარიტსა ყოფად მის პირველ-შობილისა დაბადებულთასა და პირმშოსა მკუდართაგან რაჲთა ორივე შეაერთოს,და ცხოველ ჰყუნეს ყოველნი,და უბრძანებს მათ, რაჲთა დაადგრენ სარწმუნოებასა ზედა და აუწყებს რამეთუ თჳთ იგი პაელე მსახურ-არს სახარებისა რომელი ასწავა მათ, ეგრეთვე ჰსჯულისათჳს და მას შინა ჭამადთა და დღეთა და წელთათჳს მიუთხრობს და უჩუენებს დაცხრომასა პირველისა ჰსჯულისასა,და წინა-დაცუეთილებისასა, და განაბრახებს მათ არა ცთუნებად მანქანებათაგან,და რომელნი დააბრკოლებდენ მათ, და აქაცა უბრძანებს მშობელთა და შვილთა, მამათა და დედათა,უფალთა და მონათა და სხუებრ ჩუეულებათა ასწავა მათ, და ესრეთ აღასრულებს ეპისტოლესა,და ამცნებს მათ რათა ოდეს აღმოიკითხონ მათ თანა ეპისტოლე ესე, ლავდიკიასაცა ეკკლესიასა შინა წარუკითხონ, რაჲთა ლავდიკელთაცა კუალად აღმოიკითხონ.

პავლე მოციქულისა წიგნი კოლასელთა მიმართ

1

1. პავლე მოციქული იესუ ქრისტესი ნებითა ღმრთისაჲთა, და ტიმოთე ძმაჲ
2. კოლასეს შინა წმიდათა და მორწმუნეთა ძმათა ქრისტე იესუჲს მიერ:
3. მადლი თქუენდა და მშჳდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა იესუ ქრისტესა. ვჰმადლობთ ღმერთსა და მამასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, მარადის თქუენთჳს ვილოცავთ.

4. გუესმა სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი ქრისტე იესუჲს მიმართ და სიყუარული ყოველთა მიმართ წმიდათა.
5. სასოებისა მისთჳს, განმზადებულისა თქუენთჳს ცათა შინა, რომელი-იგი წინაწარ გესმა სიტყუასა მას შინა ჭეშმარიტებისა სახარებისასა,
6. რომელი-იგი მოიწია თქუენდა, ვითარცა ყოველსა შინა სოფელსა, და არს ნაყოფიერ და აღორძინებულ, ვითარცა-ეგე თქუენ შორის, ვინაჲ დღითგან გესმა და სცანთ მადლი იგი ღმრთისაჲ ჭეშმარიტებით,
7. ვითარცა-იგი ისწავეთ ეპაფრაჲსგან, საყუარელისა თანა-მონისა ჩუენისა, რომელ-იგი არს სარწმუნოჲ თქუენდა მიმართ მსახური ქრისტესი,
8. რომელმანცა მაუწყა ჩუენ თქუენი ეგე სიყუარული სულითა.
9. ამისთჳს ჩუენცა, ვინაჲთ დღითგან გუესმა, არა დავსცხრებით თქუენთჳს ლოცვითა და თხოვითა, რაჲთა აღივსნეთ მეცნიერებითა ნებისა მისისაჲთა, ყოველითა სიბრძნითა და გულისკმის-ყოფითა სულიერითა,
10. რაჲთა ხჳდოდით თქუენ ღირსად ღმრთისა ყოველსავე სათნოებასა ყოველითა საქმითა კეთილითა ნაყოფიერნი და აღორძინებულნი მეცნიერებასა ღმრთისასა,
11. ყოველითა ძალითა განძლიერებულნი სიმტკიცისაებრ დიდებისა მისისა, ყოველისა მიმართ მოთმინებისა და სულგრძელებისა, სიხარულით,
12. ჰმადლობდით მამასა, რომელმან ღირს გუყენა ჩუენ ნაწილსა მას მკჳდრობისა წმიდათაჲსა ნათელსა შინა,
13. რომელმან მიჰსნნა ჩუენ ჯელმწიფებისა მისგან ბნელისა და მიმცვალნა ჩუენ სასუფეველსა ძისა მისისა საყუარელისასა,
14. რომლისაგან მაქუს ჩუენ გამოჯსნაჲ და მოტევებაჲ ცოდვათა ჩუენთაჲ,
15. რომელი-იგი არს ხატი ღმრთისა უსილავისაჲ, პირმშოჲ ყოველთა დაბადებულთაჲ.
16. რამეთუ მის მიერ დაებადა ყოველივე ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, ხილულნი და არა-ხილულნი, ანუ თუ საყდარნი, ანუ თუ უფლებანი, გინა თუ მთავრობანი, გინა თუ ჯელმწიფებანი, – ყოველივე მის მიერ და მისა მიმართ დაებადა.
17. და იგი თავადი არს ყოველთა წინა, და ყოველივე მის მიერ დამტკიცნა.
18. და იგი არს თავი გუამისა მის ეკლესიისაჲ, რომელი არს დასაბამი, პირმშოჲ მკუდრეთით, რაჲთა იყოს იგი თავადი ყოველსა შინა მთავარ;
19. რამეთუ მას შინა სათნო-

-იყო ყოველივე სავსებაჲ დამკჳდრებად.
20. და მის მიერ დაგებად ყოველი მისა მიმართ, მშჯდობა-ყო სისხლითა მით ჯუარისა მისისაჲთა მის მიერ, გინა თუ ქუეყანასა ზედა, გინა თუ ცათა შინა.
21. და თქუენ ოდესმე იყვენით უცხო-ქმნულ და მტერ გონებითა თქუენითა საქმეთა მათ შინა ბოროტთა,
22. სოლო აწ დაგიგნა გუამითა მით ჴორცთა მისთაჲთა სიკუდილისა მიერ და წარგადგინნა თქუენ წმიდად და უბიწოდ და უბრალოდ წინაშე მისსა,
23. უკუეთუ ეგნეთ სარწმუნოებასა ზედა დაფუძნებულნი და დამტკიცებულნი და შეურყეველნი სასოებისა მისგან სახარებისა, რომლისაჲ გესმა, ქადაგებულისაჲ ყოვლისა შორის დაბაღებულისა ცასა ქუეშე, რომლისა ვიქმენ მე, პაველე, მსახურ.
24. აწ მიხარის ენებათა მათ შინა თქუენთჳს და აღვასრულებ დაკლებულთა მათ ჭირთა ქრისტესთა ჴორცითა ჩემითა გუამისათჳს მისისა,რომელ არს ეკლესიაჲ,
25. რომლისა ვიქმენ მე მსახურ მოღუაწებითა ღმრთისაჲთა, რომელი მომეცა მე თქუენდა მიმართ აღსრულებად სიტყჳსა ღმრთისა
26. საიდუმლოჲ იგი, დაფარული საუკუნითგან და ნათესავითგან, ხოლო აწ გამოეცხადა წმიდათა მისთა,
27. რომელთაჲ-იგი ინება ღმერთმან უწყებად, რაჲ-იგი არს სიმდიდრე დიდებისა საიდუმლოჲსაჲ მის წარმართთა შორის, რომელ არს ქრისტე თქუენ შორის, სასოებაჲ იგი დიდებისაჲ,
28. რომელსა-ესე ჩუენ ვქადაგებთ, ვასწავებთ ყოველსა კაცსა და ვჰმოძღურით ყოველსა კაცსა ყოვლითა სიბრძნითა,რაჲთა წარუღგინოთ ყოველი კაცი სრული ქრისტე იესუჲს მიერ.
29. რომლისათჳსცა ეშურები და ვიღუწი შეწევნისაებრ მისისა, შეწევნულისა ჩემ შორის ძალითა.

2

1. რამეთუ მნებავს უწყებად თქუენდა, რაბამი ღუაწლი მაქუს თქუენთჳს და ლაოდიკელთა მათ და რაოდენთა არა უხილაეს პირი ჩემი ჴორციელად,
2. რაჲთა ნუგეშინის-ცემულ იქმნენ გულნი მათნი, თანა-შეტყუებულნი სიყუარულით ყოველისა მიმართ სიმდიდრისა გულ-სავსებისა,გულის‌ჴმის-ყოფისა მეცნიერად საიდუმლოსა მას ღმრთისასა და მამისასა და ქრისტესსა,
3. რომელსა შინა არიან ყოველნი საუნჯენი სიბრძნისანი

და მეცნიერებისანი დაფარულნი.

4. ხოლო ამას ვიტყჳ, რაჲთა ნუ ვინმე შეურაცს-გყენეს თქუენ სიტყჳთა მეტნობისაჲთა;

5. რამეთუ დაღათუ კორცითა შორს ვარ, არამედ სულითა თქუენთანა ვარ; მიხარის და ვხედაე თქუენსა მაგას წესიერებასა და სიმტკიცესა მაგას ქრისტეს მიმართ სარწმუნოებისა თქუენისასა.

6. ვითარცა-ეგე გისწავიეს ქრისტე იესუ უფალი, მას შინა ვიდოდეთ,

7. დაფუძნებულნი და აღშენებულნი მას გედა და დამტკიცებულნი სარწმუნოებითა, ვითარცა-იგი ისწაეეთ, აღემატებოდეთ მას შინა მადლობითა.

8. ეკრძალენით, ნუ ვინმე იყოს წარმტყუენველ თქუენდა სიბრძნის მოყუარებითა და ცუდითა საცთურითა მოძღურებისა მისებრ კაცთაჲსა, წესთა მათებრ ამის სოფლისათა და არა ქრისტეს მიერ,

9. რამეთუ მას შინა დამკჳდრებულ არს ყოველივე საესებაჲ ღმრთეებისაჲ კორციელად.

10. და სართ თქუენ მას შინა აღსავსე, რომელ-იგი არს თავი ყოველისა მთავრობისა და კელმწიფებისაჲ,

11. რომლითაცა წინა-დაიცუთეთ წინა-დაცუეთითა მით კელით უქმნელითა განძარცუვითა მით გუამისა მის კორცთა მათ ცოდვათაჲსა წინა-დაცუეთითა ქრისტესითა.

12. მის თანა დაეფლენით ნათლის-ღებითა მით, რომლისა თანაცა აღსდეგით სარწმუნოებითა მით შეწევნითა ღმრთისაჲთა, რომელმან-იგი აღადგინა მკუდრეთით.

13. და თქუენცა მკუდარ იყეენით შეცოდებათა შინა და წინა-დაუცუეთილებითა მით კორცთა თქუენთაჲთა, მის თანა განგაცხოველნა თქუენ, მოგჳტევნა ჩუენ ყოელნი შეცოდებანი.

14. და აკოცა ჩუენთჳს კელით წერილი ბრძანებით, რომელი იყო ანტაკრად ჩუენდა, და იგი აღიღო შორის და შეჰმსჭუალა ჯუარსა,

15. განძარცუნა მთავრობანი იგი და კელმწიფებანი და საჩუენებელ ქმნნა იგინი კადნიერებით და განაქიქნა იგინი მას შინა.

16. ნუმცა ვინ უკუე განგაკითხავს თქუენ საჭმლითა და სასუმლითა, გინა კერძო დღესასწაულისაჲთა, გინა თჳს თავითა, გინა შაბათობითა,

17. რომელი-იგი არს აჩრდილი მერმეთაჲ მათ, ხოლო კორცთა — ქრისტესთა.

18. ნუვინ თქუენ მძლე გექმნებინ, უნდეს თუ სიმდაბლითა და წესითა ანგელოზთაჲთა, რომელი-იგი არა იხილა, განიკითხვიდეს

ამაოდ განლაღებული გონებითა მით კორცთა მისთაჲთა
19. და არა შეეკრძალოს თავი, რომლისაგან ყოველი გუამი, სსეულთაგან და ნაწევართა შექმნული და შეერთებული, ორძის სიორძილსა მას ღმრთისასა.
20. უკუეთუ მოჰკუედით ქრისტეს თანა ნიეთთა მათგან ამის სოფლისათა, რაჲსაღა ვითარცა ცხოველნი სოფელსა შინა ჰბრძანებთ:
21. „ნუ მიეახლები, ნუცა გემოსა იხილავ, ნუცა შეეხები“,
22. რომელ-იგი არს ყოველივე განსარყუნელად კუმეეითა მით მცნებისა მისებრ და მოძღურებისა კაცთაჲსა?
23. რომელ-იგი არს, რეცა სიტყუაჲ რაჲმე აქუს სიბრძნისაჲ ნეფსითითა მით წესითა და სიმდაბლითა და ურიდებითა კორცთაჲთა, არა თუ პატივითა რაჲთმე განსაძღებელად კორცთა.

3

1. უკუეთუ ქრისტეს თანა აღსდეგით, ზეცისასა ეძიებდით, სადაცა-იგი ქრისტე არს მარჯუენით ღმრთისა მჯდომარე.
2. ზეცისასა ზრახეედით და ნუ ქუეყანისასა.
3. რამეთუ მოჰკუედით, და ცხორებაჲ თქუენი დაფარულ არს ქრისტეთურთ ღმრთისა თანა.
4. რაჟამს ქრისტე გამოცხადნეს, ცხორებაჲ იგი ჩუენი, მაშინ თქუენცა მის თანა გამოსცხადნეთ დიდებითა.
5. მოაკუდინენით უკუე ასონი თქუენნი ქუეყანასა ზედა: სიძვაჲ, არაწმიდებაჲ, ვნებაჲ, გულის თქუმაჲ ბოროტი და ანგაჰრებაჲ, რომელ არს კერპთ-მსახურებაჲ,
6. რომელთათჯს მოიწევის რისხვაჲ ღმრთისაჲ ნაშობთა მათ ზედა ურჩებისათა,
7. რომელთა-იგი შინა თქუენცა სადმე იქცეოდეთ, ოდეს-იგი სცხონდებოდეთ მათ შინა.
8. ხოლო აწ განიშორეთ თქუენცა ყოველივე: რისხვაჲ, გულის წყრომაჲ, უკეთურებაჲ, გმობაჲ, უშუერი სიტყუაჲ პირისაგან თქუენისა.
9. ნუ უტყუით ერთი-ერთსა, განიძარცუეთ ძუელი იგი კაცი საქმით მისითურთ
10. და შეიმოსეთ ახალი იგი, განახლებული მეცნიერებად მსგავსად ხატისა მის დამბადებელისა მისისა,
11. სადა-იგი არა არს წარმართ და ჰურია, წინადაცუეთილება და წინადაუცუეთილება, ბარბაროზ, სკჳთელ, მონება, აზნაურება, არამედ ყოვლად ყოველსა შინა ქრისტე.
12. შეიმოსეთ უკუე, ვითარცა რჩეულთა ღმრთისათა, წმიდათა და საყუარელთა, მოწყალებაჲ, შეწყნარებაჲ, სიტკბოებაჲ,

სიმდაბლე, სიმშუღე, სულგრძელებაჲ,
13. თავს-იდებდით ურთიერთარს და მიჰმადლებდით თავთა თჳსთა, უკუეთუ ეისმე აქუნდეს ვისთჳსმე ბრალი. ეითარცა-იგი ქრისტემან მიგმადლა თქუენ, ეგრეთცა თქუენ მიჰმადლეთ მათ.
14. და ამას ყოველსა ზედა სიყუარული, რომელ-იგი არს სიმტკიცე სრულებისაჲ,
15. და მშუღობაჲ იგი ღმრთისაჲ განმტკიცენინ გულთა შინა თქუენთა, რომლისა მიმართცა-იგი ჩინებულ ხართ ერთითა კორცითა, და მადლის მიმცემელ იყვენით.
16. და სიტყუაჲ იგი ქრისტესი დამკუდრებულ იყავენ თქუენ თანა მდიდრად ყოველითა სიბრძნითა; ასწავებდით და ჰმოძღურიდით თავთა თქუენთა ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა, მადლითურთ უგალობდით გულთა შინა თქუენთა უფალსა;
17. და ყოველსავე, რასაცა იქმოდით სიტყუთ გინა თუ საქმით, ყოველსავე სახელითა უფლისა იესუჲსითა, ჰმადლობდით ღმერთსა და მამასა მის მიერ.
18. ცოლნი დაემორჩილენით თჳსთა ქმართა, ეითარცა-იგი სათნო არს უფლისა.
19. ქმართა გიყუარდედ ცოლნი თჳსნი და ნუ განჰმწარდებით მათა მიმართ.
20. შეილნი დაემორჩილენით მამა-დედათა თქუენთა ყოველითავე, რამეთუ ესე არს სათნო უფლისა მიერ.
21. მამანი ნუ განაროსხებთ შეილთა თქუენთა, რაჲთა არა ეურჳოდინ.
22. მონანი ერჩდით ყოველითავე კორციელთა უფალთა თქუენთა, ნუ ხოლო თუალთა წინაშე თუალ-ღებით, ეითარცა კაცთ მოთნენი, არამედ მარტივობითა გულისაჲთა გეშინოდენ ღმრთისა.
23. და ყოველსაეე, რასაცა იქმოდით, გულითად იქმოდეთ ეითარცა უფლისასა, და ნუ ეითარცა კაცთასა.
24. უწყოდეთ, რამეთუ უფლისა მიერ მოიღოთ მოსაგებელი მკჳდრობისა მის თქუენისაჲ, რამეთუ უფალსა ქრისტესა ჰმონებთ.
25. ხოლო რომელი-იგი მავნებელ იყოს, მოეგოს, რაჲცა-იგი ავნო, და არა არს თუალთ-ხუმა.

4

1. უფალნი ეგე სამართალსა და სწორსა მისცემდით მონათა მათ; უწყოდეთ, რამეთუ თქუენცა უფალივე გივის ცათა შინა.
2. ლოცვასა განეკრძალენით, იღჳძებდით მას შინა მადლობით;
3. ილოცევდით მის თანა და ჩუ-

ენთჳსცა,რაჲთა ღმერთმან განმიღოს ჩუენ კარი სიტყჳსაჲ სიტყუად საიდუმლოთა მათ ქრისტჱსთა, რომლისათჳსცა პყრობილ ვარ,
4. რაჲთა განვაცხადო იგი, ვითარ-იგი ჯერ-არს ჩემდა სიტყუად.
5. სიბრძნით იქცეოდეთ გარეშეთა მათ მიმართ, ჟამთა გამოიფრდიდით.
6. სიტყუაჲ თქუენი მარადის მაღლითა ვითარცა მარილითა შეზავებულ იყავნ, რაჲთა უწყოდით, ვითარ იგი შეჰგავს თქუენდა თჳთოეულისა სიტყჳს-მიგებაჲ.
7. ჩემთჳს ყოველივე გაუწყოს თქუენ ტჳქიკოს, საყუარელმან ძმამან და სარწმუნომან მსახურმან და თანა-მონამან ჩუენმან უფლისა მიერ,
8. რომელი მივაველინე თქუენდა მებრძე ამისთჳს, რაჲთა ცნას თქუენთჳს და ნუგეშინის-სცეს გულთა თქუენთა
9. ონესიმეს თანა,სარწმუნოჲსა და საყუარელისა ძმისა, რომელ-იგი არს თქუენგანი; ყოველივე აქაჲ გაუწყოს თქუენ.
10. გიკითხავს თქუენ არისტარხოს, თანა-ტყუე ჩუენი, და მარკოზ, მამის ძმის წული ბარნაბაჲსი,— რომლისათჳს მიიღეთ მცნებაჲ; უკუეთუ მოვიდეს თქუენდა, შეიწყნარეთ იგი,—
11. და ისუ, რომელსა-იგი ერქუა იოსტოს, რომელნი-იგი იყვნეს წინა-დაცუეთილებისაგანნი; ესენი ხოლო შემწე არიან ჩემდა სასუფეველისათჳს ღმრთისა, რომელნი მექმნნეს მე ნუგეშინის-მცემელ.
12. გიკითხავს თქუენ ეპაფრა თქუენგანი, მონაჲ ქრისტჱსი, მარადის იღუწის თქუენთჳს ლოცვათა შინა მისთა, რაჲთა მტკიცედ სდგეთ სრულნი და აღსებულნი ყოელითა ნებითა ღმრთისაჲთა.
13. რამეთუ ეწამები მას, ვითარმედ აქუს შური ფრიადი თქუენთჳს და ლაოდიკელთა მათთჳს და იერაპოლელთა.
14. გიკითხავს თქუენ ლუკა, მკურნალი საყუარელი,და დიმა.
15. კითხვაჲ არქუთ ლაოდიკელთა მათ ძმათა და ნუმფას და სახლად-სახლად სახლისა მათისა კრებულთა.
16. და რაჟამს აღმოიკითხოთ თქუენ წიგნი ესე, ეგრეთ ყავთ, რაჲთა ლაოდიკელთაცა ეკლესიასა აღმოიკითხოს, და ლაოდიკიაჲთ კუალად რაჲთა თქუენვე აღმოიკითხოთ.
17. და არქუთ არქიპოსს: ეკრძალე მსახურებასა მას, რომელი მიიღე უფლისა მიერ, რაჲთა იგი აღასრულო.
18. კითხვაჲ კელითა ჩემითა პავლესითა. მოიკსენენით კრულებანი ჩემნი, მაღლი თქუენ თანა. ამინ.

უწყებანი თესალონიკელთა მიმართ პირველისა ეპისტოლისა წმიდისა მოციქულისა პავლესნი

ხოლო თესალონიკელთა მიმართ პირველი ეპისტოლე წარჰსცა ათონით, ეხილენა იგინი პირველ და ყოფილ-იყო მათ თანა, ხოლო მიმეგზი კათოლიკისა ამის, რამეთუ მრავალნი ჭირნი შეემთხუენეს მოციქულსა ბერიას და ფილიპიასა მაკედონიას და კორინთესა, და უწყოდა რაოდენი ევნო თესალონიკესაცა შინა, და შეეშინა ნუ უკუე ესმეს თესალონიკელთა რაოდენი პირველ-თქმულსა ქალაქებსა შინა, და დაჰბრკოლდენ მაკჳთა მოშურნისათა განცდილნი საგანასნი, ხოლო ჰსცნა ესეცა რამეთუ მკუდართა ზედა ფრიად ჰსწუხდეს. ამისთჳს წარაველინა ტიმოთე ეპისტოლითურთ ამით, და პირველად უკუე დაამტკიცებს მათ სარწმუნოებასა ზედა რაჲთა არა შეირყეოდენ ჭირთათჳს, ვითარმედ არა რაჲ უცხო შემთხუევია მათ ჰურიათაგან რომელთა უფალიცა მოკლეს რამეთუ ქრისტიანეთა საქმე არს რაჲთა ეჭირვოდენ ცხოვრებასა ამას შინა, ხოლო მრავალნი აუწყა მათ ესრეთ ვითარცა მიიღეს მისგან ეგრეთ ჰსცხოვრებდენ, მიჰსწერს მკუდართათჳს და ნუგეშინისჰსცემს მათ, და ასწავებს ნუ დიდათ შეაჭირვებენ რამეთუ არა არს სიკუდილი წარწყმედად, არამედ გმაჲ აღდგომისაჲ, ეგრეთ ქამთათჳსცა ასწავებს მათ, რაჲთა უცნაურად უწყოდენ დღე იგი და მარადის მზა-იყუნენ, და რაჲთა არავის ერჩდნენ, რომელნი აუწყებდენ მისთჳს, და იტყჳს ესრეთ იქმნას მოსლვა, რამეთუ დაშთომილნი და მოქცეულნი დღესა მას შინა ცხოველნი ვერ მიეწიფნენ მკუდრეთით-აღდგომილთა, რამეთუ ერთბამად იყოს ყოველთა შეცუალება, ხოლო აუწყებს მათ რაჲთა უმჯობეს-იქმნებოდენ სწავლათა შინა და მარადის უხაროდეს სასოებით, და ილოცვიდენ და მაღლობდენ უფალსა და აფუცებს მათ წარკითხუად ეპისტოლისა ამის წინაშე ყოველთა ძმათასა, და ესრეთ აღასრულებს ეპისტოლესა ამას.

პავლე მოციქულისა წიგნი თესალონიკელთა მიმართ პირველი

1

1. პავლე და სილოანე და ტიმოთე ეკლესიასა თესალონიკელთასა ღმრთისა მიერ მამისა და უფლისა იესუ ქრისტესა: მაღლი თქუენდა და მშჳდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა იესუ ქრისტესა.

2. ვჰმადლობთ ღმერთსა მარადის თქუენ ყოველთათჳს, ქსენებასა თქუენსა ვჰყოფთ ლოცვათა შინა ჩუენთა.
3. მოუკლებელად მოვიჯსენებთ თქუენთა მათ საქმეთა სარწმუნოებისათა და შრომასა სიყუარულისასა და მოთმინებასა მას სასოებისასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა წინაშე ღმრთისა და მამისა ჩუენისა.
4. უწყოდეთ, ძმანო საყუარელნო ღმრთისანო, რჩეულებაჲ ეგე თქუენი.
5. რამეთუ სახარებაჲ ესე ჩუენი არა იყო თქუენდა მიმართ სიტყჳთ ხოლო, არამედ ძალითაცა და სულითა წმიდითა და გულ-სავსებითა მრაელითა, ვითარცა-იგი იცით, რაბამ ვიქმნენით ჩუენ თქუენდა მიმართ თქუენთჳსვე.
6. და თქუენ მობაძაე ჩუენდა იქმნენით და უფლისა, და შეიწყნარეთ სიტყუაჲ იგი ჭირსა შინა მრაჳალსა სიხარულითა სულისა წმიდისაჲთა,
7. ვიდრეღა იქმნენითცა თქუენ სახე ყოველთა მათ მორწმუნეთა, რომელნი არიან მაკედონიას შინა და აქაჲას.
8. რამეთუ თქუენ მიერ განეფინა სიტყუაჲ იგი უფლისაჲ არა ხოლო მაკედონიას შინა და აქაიას, არამედ ყოველთა ადგილთა სარწმუნოებაჲ თქუენი ღმრთისა მიმართ განკდა, ვიდრემდის არღარა გჳკმს ჩუენ სიტყუად რაჲმე.
9. მაგათ თჳთ გითხრან ჩუენთჳს, ვითარი შესლვაჲ გუაქუნდა თქუენდა მიმართ, და ვითარ მოიქეცით კერპთაგან ღმრთისა მიმართ მონებად ღმრთისა ცხოველისა და ჭეშმარიტისა
10. და მოლოდებად ძისა მისისა ზეცით, რომელი-იგი აღადგინა მკუდრეთით, იესუ, მკსნელი ჩუენი, რისხჳისა მისგან მომავალისა.

2

1. რამეთუ თქუენ თჳთ უწყით, ძმანო, შემოსლვაჲ იგი ჩუენი თქუენდა მიმართ, რამეთუ არა ცუდად რაჲ იყო;
2. არამედ წინაწარ ვივნეთ და ვიგინენით, ვითარცა-იგი უწყით, ფილიპეს შინა, განვეცხადენით ღმრთისა ჩუენისა მიერ სიტყუად თქუენდა მიმართ სახარებასა მას ღმრთისასა მრაელითა ღუაწლითა.
3. რამეთუ ნუგეშინის-ცემაჲ ესე ჩუენი არა საცთურისაგან, არცა არაწმიდებისა, არცა მაკუჳთ,
4. არამედ ვითარცა-იგი გამოცდილ ვართ ღმრთისა მიერ რწმუნებად ჩუენდა სახარებაჲ იგი, ეგრეთცა ვიტყჳთ, არა ვითარცა კაცთა სათნო-ვეყოფვით, არამედ ღმერთსა, რომელი-იგი არს გამომცდელი გულთა ჩუენთაჲ.
5. რამეთუ არცა სადა სიტყჳთა

ლიქნისაჲთა ვიყვენით, ვითარცა-იგი თქუენ უწყით, არცა მიზეზითა ანგაპრებისაჲთა, ღმერთი მოწამე არს.

6. არცა ვეძიებთ კაცთაგან დიდებასა, არცა თქუენგან და არცა სხუათაგან; და ესეღა კელ-
-გუეწიფების და-თუმცა რაჲმე-
-გიმძიმეთ, ვითარცა ქრისტეს მოციქულთა,

7. არამედ ვიქმნენით ჩუენ მშჳდ და მყუდრო თქუენ შორის, ვითარცა მგრძელი რაჲ ჰფუფუნებს თჳსთა შვილთა.

8. ეგრეთ მოსურნე ვიყვენით თქუენდა და ჯერ-გჳჩნდა მიცემად თქუენდა არა ხოლო სახარებაჲ იგი ღმრთისაჲ, არამედ თჳსთაცა სულთა, რამეთუ საყუარელ ჩუენდა იქმნენით.

9. მოიკსენენით, ძმანო, შრომანი ჩუენნი და რუდუნებანი, რამეთუ ღამე და დღე ვიქმოდეთ, რაჲთა არავის დაუმძიმოთ თქუენგანსა, და ესრეთ ექადაგეთ თქუენდა მიმართ სახარებაჲ იგი ღმრთისაჲ.

10. თქუენ მოწამე ხართ და ღმერთი, ვითარ-იგი ღირსად და მართლად და უბიწოდ თქუენ მორწმუნეთა მიმართ ვიყვენით,

11. ვითარცა-ეგე იცით, ვითარ კაცად-კაცადსა თქუენსა, ვითარცა მამაჲ თჳსსა შვილსა, ეგრეთ გლოცევედით თქუენ და ნუგეშინის-გცემდით

12. და გიწამებდით, რაჲთა ხჳდოდით თქუენ ღირსად ღმრთისა, რომელმან-იგი გიჩინნა თქუენ თჳსსა მას სასუფეველსა და დიდებასა.

13. ამისთჳს ჩუენცა ვჰმადლობთ ღმერთსა მოუკლებელად, რამეთუ მიიღეთ თქუენ სიტყუაჲ იგი სმენისა ღმრთისაჲ ჩუენ მიერ და შეიწყნარეთ არა თუ სიტყუაჲ კაცთაჲ, არამედ ვითარცა არს ჭეშმარიტად სიტყუაჲ ღმრთისაჲ, რომელიცა-იგი შეწევენასა აჩუენებს თქუენ შორის მორწმუნეთა მაგათ.

14. რამეთუ თქუენ მობაძაე იქმნენით, ძმანო, ეკლესიათა მათ ღმრთისათა, რომელნი არიან ჰურიასტანს ქრისტე იესჳს მიერ, რამეთუ ეგრეთეე გევნო თქუენცა თჳსთაგან ტომთა, ვითარცა-იგი მათ ჰურიათაგან,

15. რომელთა-იგი უფალი მოკლეს იესუ და თჳსნი წინაწარმეტყუელნი და ჩუენ გამოგუდევნეს და ღმერთსა არა სათნო-ეყენეს და ყოველთა კაცთა წინააღმდგომ არიან

16. და ჩუენ მაბრკოლებენ წარმართთა მიმართ სიტყუაჲ, რაჲთა ცხონდენ, რაჲთა აღესრულნენ ცოდვანი მათნი მარადის; რამეთუ მოიწია მათ ზედა რისხვაჲ სრულად.

17. ხოლო ჩუენ, ძმანო, ობოლ ღათუ ვიქმნენით თქუენგან წუთერთ ჟამ პირითა და არა გულითა, უმეტესად ვისწრაფეთ

პირისა თქუენისა ხილვად მრავლითა წადიერებითა.
18. ვინაჲცა ვინებეთ მისლვაჲ თქუენდა მე, პავლე, ერთგზის და ორგზის, და დამაბრკოლნა ჩუენ სატანა.
19. რამეთუ რაჲ-მე არს სასოებაჲ ჩუენი ანუ სიხარული ანუ გჳრგჳნი სიქადულისაჲ? ანუ არა-მე თქუენა წინაშე უფლისა იესუ ქრისტესა მისსა მას მოსლვასა?
20. რამეთუ თქუენ ხართ დიდებანი ჩუენნი და სიხარულნი.

3

1. ვინაჲცა ვერღარა დავთმეთ, ჯერ-ვიჩინეთ ათინას შინა დაშთომაჲ მარტოთა
2. და მივაველინეთ ტიმოთე,ძმაჲ ჩუენი და მსახური ღმრთისაჲ და თანა-შემწე ჩუენი სახარებასა მას ქრისტესსა, რაჲთა დაგამტკიცნეს თქუენ და ნუგეშინის-გცეს თქუენ სარწმუნოებისა მაგის თქუენისათჳს,
3. რაჲთა არას იურვოდით ჭირთა ამათ შინა, რამეთუ თქუენ თჳთ უწყით, ვითარმედ ვდგათ-ვე ამისთჳს.
4. და ვიდრე-იგი თქუენ თანა ვიყვენით, წინაწარ გითხრობდით თქუენ, ვითარმედ ჭირთა შესლვად ვართ, ვითარცა-ესე იქმნაცა და იხილეთ.
5. ამისთჳს მეცა ვერღარა დავთმე და მივაველინე ტიმოთე, რაჲთა ვცნა თქუენი ეგე სარწმუნოებაჲ, ნუუკუე განგცადნა თქუენ განმცდელმან,და ცუდად იყოს შრომაჲ იგი ჩუენი.
6. ხოლო აწღა მოვიდა ტიმოთე თქუენით და მახარა ჩუენ სარწმუნოებაჲ და სიყუარული თქუენი, და რამეთუ გაქუს კსენებაჲ ჩუენი კეთილი მარადის და გსურის ხილვად ჩუენდა, ითარცა-ესე ჩუენ თქუენდა.
7. ამისთჳს ნუგეშინის-ცემულ ვიქმნენით, ძმანო, თქუენ ზედა ყოველთა მათგან ურვათა და ჭირთა ჩუენთა თქუენითა მაგით სარწმუნოებითა,
8. რამეთუ აწ ვცხონდით, უკუეთუ თქუენ მტკიცედ სდგეთ უფლისა მიერ.
9. რამეთუ რომელსა-მე მადლობასა შემძლებელ ვართ მიცემად ღმრთისა თქუენთჳს ყოველისა მისთჳს სიხარულისა, რომლითა გჳხარის თქუენთჳს წინაშე ღმრთისა ჩუენისა.
10. ღამე და დღე უფროჲს და უმეტეს ვეეედრებით ხილვად პირისა თქუენისა და განმტკიცებად დაკლებული იგი სარწმუნოებისა თქუენისაჲ.
11. ხოლო თავადმან ღმერთმან და მამამან ჩუენმან და უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან წარჰმართენ გზაჲ ჩუენი თქუენდა მიმართ.
12. ხოლო თქუენ უფალმან გარდაგრიენ და გარდაგმატენ სი-

ყუარულითა ურთიერთარს და ყოველთა მიმართ, ვითარცა-ესე ჩუენ თქუენდა მიმართ,
13. განმტკიცებად გულთა თქუენთა სიწმიდით და უბიწოდ წინაშე ღმრთისა და მამისა ჩუენისა მოსლვასა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა ყოველთა თანა წმიდათა მისთა.

4

1. ამიერითგან, ძმანო ჩემნო, გიკითხავთ და გლოცავთ უფლისა მიერ იესუ ქრისტესა, რაჲთა ვითარცა-იგი ისწაევეთ ჩუენგან, ვითარ ჯერ-არს თქუენდა სლვაჲ და სათნო-ყოფაჲ ღმრთისაჲ, რაჲთა უფროჲს ჰმატებდეთ;
2. რამეთუ იცით, ვითარნი მცნებანი მიგცენით თქუენ უფლისა მიერ იესუ ქრისტესა.
3. რამეთუ ესე არს ნებაჲ ღმრთისაჲ, სიწმიდე ეგე თქუენი, განშორებად თქუენდა სიძვისაგან,
4. ცნობად კაცად-კაცადისა თქუენისა თავისა თჳსისა ჭურჭელი მოგებად სიწმიდით და პატივით,
5. ნუ ვნებითა გულის თქუმისაჲთა, ვითარცა-იგი წარმართნი, რომელთა არა იციან ღმერთი,
6. არა გარდასლვად და მოაგებრებად საქმესა ძმისა თჳსისასა, რამეთუ შურის-მებიებელ არს ღმერთი ამათ ყოველთათჳს, ვითარცა-იგი წინაწარ გარქუთ თქუენ და გიწამებიეთ.
7. რამეთუ არა გჳჩინნა ჩუენ ღმერთმან არაწმიდებად, არამედ სიწმიდედ.
8. აწ უკუე რომელმან შეურაცხ-ყოს, არა კაცსა შეურაცხ-ჰყოფს, არამედ ღმერთსა, რომელმან-ცა მოგცა სული წმიდაჲ მისი თქუენ გედა.
9. ხოლო ძმათ-მოყუარებისათჳს არა გჳკმს მიწერად თქუენდა, რამეთუ თქუენ თჳთ ღმრთიე სწაელულნი სართ სიყუარულისათჳს ურთიერთარს
10. და რამეთუ ჰყოფთცა მას ყოველთა მიმართ ძმათა, რომელნი არიან ყოველსა მაკედონიასა. ხოლო გლოცავ თქუენ, ძმანო, გარდამატებად უფროჲსღა
11. და პატივის-ცემის მოყუარე იყვენით და მყუდრო და იქმოდეთ თჳსსა და შურებოდეთ კელითა თქუენითა, ვითარცა-იგი გამცენით თქუენ,
12. რაჲთა ხჯდოდით შუენიერად გარეშეთა მათ მიმართ, და ნურარაჲ ვისი გიკმნ.
13. ხოლო არა გუნებავს უმეცრებაჲ თქუენი, ძმანო, შესუენებულთა მათთჳს, რაჲთა არა სწუხდეთ, ვითარცა-იგი სხუანი, რომელთა არა აქუს სასოებაჲ.
14. რამეთუ უკუეთუ გურწამს, ვითარმედ იესუ მოკუდა და აღდგა, ეგრეცა ღმერთმან შესუე-

ნებულნი იგი იესუჲს მიერ მოიყვანნეს მის თანა.
15. ხოლო ამას გეტყჳ თქუენ სიტყჳთა უფლისაჲთა, ვითარმედ ჩუენ, ცხოველნი ესე, რომელ დაშთომილ ვიყვნეთ მოსლვასა მას უფლისასა, ვერ მივეწიუნეთ შესუენებულთა მათ,
16. რამეთუ თავადი უფალი ბრძანებითა და ჴმითა ანგელოზთ-მთავრისაჲთა და საყურითა ღმრთისაჲთა გარდამოჴდეს ზეცით, და მკუდარნი იგი ქრისტეს მიერნი აღდგენ პირველად;
17. და მაშინღა ჩუენ, ცხოველნი ესე, რომელნი დაშთომილ ვიყვნეთ, მათ თანავე აღვიტაცნეთ ღრუბლითა შემთხუევად უფლისა ჰაერთა ზედა და ესრეთ მარადის უფლისა თანა ვიყოფჳოდით.
18. ვინაჲცა ნუგეშინის-სცემდით ურთიერთარს სიტყუათა ამათ მიერ.

5

1. ხოლო ჟამთა მათთჳს და წელთა, ძმანო, არა გჳკმს მიწერად თქუენდა,
2. რამეთუ თქუენ თჳთ გამოწულილვით იცით, რამეთუ დღე იგი უფლისაჲ, ვითარცა მპარავი ღამისაჲ, ეგრეთ მოიწევის.
3. რამეთუ რაჟამს თქუან: „მშჳდობაჲ და კრძალულებაჲ“, მაშინ მეყსეულად მოიწიოს მათ ზედა მომსრეელი, ვითარცა სალმობაჲ შობადისაჲ, და ვერ განერნენ.
4. ხოლო თქუენ, ძმანო, არა ხართ ბნელსა შინა, რაჲთა დღე იგი ვითარცა მპარავი გეწიოს თქუენ.
5. რამეთუ თქუენ ყოველნი შვილნი ნათლისანი ხართ და შვილნი დღისანი, და არა ვართ ღამისანი, არცა ბნელისაგანი.
6. აწ უკუე ნუმცა გუძინავს, ვითარცა-იგი სხუათა, არამედ მღჳძარე ვიყვნეთ და განვიფრთხოთ.
7. რამეთუ რომელთა-იგი სძინავნ, ღამე სძინავნ, და რომელნი-იგი დაითრვნიან, ღამე დაითრვნიან.
8. ხოლო ჩუენ, რამეთუ დღისანი ვართ ნაშობნი, განვიფრთხოთ, შევიმოსოთ ჯაჭჳ იგი სარწმუნოებისა და სიყუარულისაჲ და ჩაფხუტი იგი სასოებისაჲ და ცხორებისაჲ.
9. რამეთუ არა შემქმნა ჩუენ ღმერთმან რისხვისათჳს, არამედ შესაწევნელად ცხორებისა უფლისა ჩუენისა მიერ იესუ ქრისტესა,
10. რომელი მოკუდა ჩუენთჳს, რაჲთა გინა თუ გუეძინოს გინა თუ გუეღჳძოს, ერთბამად მის თანა ვცხონდეთ.
11. ამისთჳს ნუგეშინის-სცემდით ურთიერთარს და აღაშენებდით ურთიერთსა, ვითარ-

ცა-ეგე ჰყოფთცა.
12. ხოლო გლოცავ თქუენ, ძმანო, იცნითმცა მშრომელნი იგი თქუენ შორის და წინამძღუარნი იგი თქუენნი უფლისა მიერ და მასწავლელნი იგი თქუენნი.
13. და უმეტესად შეჰრაცხენით იგინი სიყუარულით უფროჲს საქმისათჳს მათისა; და მშჳდობასა ჰყოფდით მათ თანა.
14. გლოცავ თქუენ, ძმანო, სწავლიდით უწესოთა მათ, ნუგეშინის-სცემდით სულმოკლეთა, თავს-იდებდით უძლურთა მათ, სულგრძელ იყეენით ყოველთა მიმართ.
15. ეკრძალენით, ნუუკუე ბოროტისა წილ ბოროტი ვისმე მიაგოთ; არამედ მარადის კეთილსა შეუდეგით ურთიერთარს და ყოველთა მიმართ.
16. მარადის გიხაროდენ.
17. მოუკლებელად ილოცევდით.
18. ყოველსა შინა ჰმადლობდით, რამეთუ ესე არს ნებაჲ ღმრთისაჲ ქრისტე იესუჲს მიერ თქუენდა მიმართ.
19. სულსა ნუ დაავსებთ.
20. წინაწარმეტყუელებათა ნუ შეურაცხ-ჰყოფთ.
21. ყოველივე გამოიცადეთ და უკეთესი იგი შეიკრძალეთ.
22. ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა განეშორენით.
23. ხოლო თავადმან ღმერთმან მშჳდობისამან წმიდა გყენინ თქუენ ყოვლითა სრულებითა და ყოვლითა სიცოცხლითა, სული თქუენი, სამშჳნეელი და გუამი უბიწოდ მოსლვასა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა დაჰმარხენინ.
24. სარწმუნო არს, რომელმან-იგი გიჩინნა თქუენ, ვითარმედ და ყოსცა.
25. ძმანო, ილოცევდით ჩუენთჳსცა.
26. მოიკითხენით ძმანი ყოველნი ამბორის-ყოფითა წმიდითა.
27. გაფუცებ თქუენ უფალსა, წარუკითხეთ წიგნი ესე ყოველთა ძმათა წმიდათა.
28. მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი თქუენ თანა. ამინ.

უწყება თესალონიკელთა ძალართ მეორისა ეპისტოლისა წმიდისა მოციქულისა პავლესი

ეგრეთვე მეორესა ამას ეპისტოლესა მიჰსწერს თესალონიკელთა ჰრომით ამის მიზეზისათჳს, რამეთუ ვიეთნიმე თესალონიკელთაგანნი უქმნი და უწესონი მოვიდოდეს და აცთუნებდეს ძმათა,ვი- თარმედ აწვე მოწევნულ-არს მოსლვაჲ უფლისაჲ და იტყოდეს მოციქულისა არს ესე უწყებულ ჩუენდა და სულისა მიერ გვასმიეს,ესე უკუე ჰსცნა მოციქულმან, და მიჰსწერს ეპისტოლესა ამას, და პირველად უკუე აქებს აღორძინებისათჳს სარწმუნოებისა მათისა, და რამეთუ მათთჳს იქადოდა ასოვნად ჭირთა მოთმინებასა ქრისტესთჳს, და ნუგეშინის-ჰსცემს მათ ვითარმედ იქმნეს შურის-გება მავნებელთა მათთაჲ ღმრთისა მიერ,მერმე მოსლვისათჳს უფლისა ასწაევებს,რაჲთა არავის ერჩდენ, არცა შეშფოთებოდენ არცა სულისა, არცა ვითარცა რა თუთ წიგნითა მისითა არცა რაჲთა რომლით ჰგონებდენ ვითარმედ აწვე მოწევნულ-იყოს მოსლვაჲ მისი, რამეთუ არა იქმნესო იგი უწინარეს პირველ განდგომილებისა მის გედა შემდგომად ანტი-ქრისტესა, ძისა წარსაწყმედელისა რომლისა მოსლვასა იტყჳს სასწაულებითა და ნიშებითა ტყუილისათა მოქმედებითა ეშმაკისა,მერმე აცნო მათ რაჲთა მტკიცედ ეგნენ და იმარხვიდენ სწაელათა მისთა,და რაჲთა არცა ერთი ზიარებაჲ აქუნდესთ უწესოთა მათ თანა,არამედ გარეცა-მიაქცევდენ მათ,და აუწყებს მათ თჳს რამეთუ არიან იგინი უწესო და მაცთურ, ხოლო ამიერითგან უბრძანებს რომელი არა ერჩდეს სიტყუასა მისსა კრებულისაგან განჰკიდიდენ მათ,და შემდგომად ულოცავს მათ მშჳდობისათჳს,და ესრეთ აღასრულებს ეპისტოლესა, ხოლო მოკითხუასა თჳსითა კელითა დაჰსწერს,რომლისათჳს აუწყებს ვითარმედ იგი არს სასწაული ყოველის ეპისტოლისა.

პავლე მოციქულისა წიგნი თესალონიკელთა ძალართ მეორე

1

1. პავლე და სილოანე და ტიმოთე ეკლესიასა თესალონიკელთასა ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა იესუ ქრისტესა:

2. მადლი თქუენდა და მშჳდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა იესუ ქრისტესა.

3. მადლობაჲ გჳღირს ღმრთისა მარადის თქუენთჳს, ძმანო, ვითარცა-იგი ღირს არს,რამეთუ უმეტესად აღორძნდების სარ-

წმუნოებაჲ ეგე თქუენი და განმრაელდების სიყუარული კაცად-კაცადისა თქუენისაჲ ურთიერთარს,
4. ვიდრეღა ჩუენ თჳთ თქუენთჳს ვიქაღეთ ეკლესიათა შინა ღმრთისათა მოთმინებისა მის თქუენისათჳს და სარწმუნოებისა ყოველთა მათ შინა დევნულებათა თქუენთა და ჭირთა, რომელთა თაეს-იდებთ
5. სახედ სიმართლისა საშჯელისა ღმრთისა, რაჲთა ღირს იქმნეთ თქუენ სასუფეველსა ღმრთისასა, რომლისათჳსცა გევნების.
6. უკუეთუ სამართალ არს ღმრთისა მიერ მიგებად მაჭირვებელთა თქუენთა ჭირი,
7. და თქუენ ჭირეულთა ლხინი, ჩუენ თანა გამოჩინებასა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა გეცით ანგელოზთა თანა ძლიერებისა მისისათა,
8. ცეცხლითა ალისაჲთა მიგებად შურის-გებისა, რომელთა-იგი არა იციან ღმერთი და რომელნი-იგი არა დაემორჩილებიან სახარებასა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა,
9. რომელთა-იგი საშჯელი მოეკაღოს, მომსრველი საუკუნოჲ, პირისაგან უფლისა და დიდებისაგან ძლიერებისა მისისა,
10. რაჟამს მოვიდეს დიდებად შორის წმიდათა მისთა და საკჳრველებად ყოველთა შორის მორწმუნეთა მისთა, რამეთუ სარწმუნო იქმნა წამებაჲ ჩუენი თქუენდა მიმართ მას დღესა შინა,
11. რომლისათჳს ვილოცავთ მარადის თქუენთჳს, რაჲთა ღირს გყვნეს თქუენ ღმერთმან ჩინებისა მის და აღგაესნეს ყოველითა სათნოებითა სახარებისაჲთა, საქმითა სარწმუნოებისაჲთა და ძალითა,
12. რაჲთა იდიდოს სახელი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი თქუენ შორის, და თქუენ მის მიერ, მაღლითა მით ღმრთისა ჩუენისაჲთა და უფლისა იესუ ქრისტესითა.

2

1. ხოლო გეტყჳ თქუენ, ძმანო, მოსლეისა მისთჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა და ჩუენისა შეკრებისათჳს მისა მიმართ,
2. რაჲთა არა აღრე აღიძრნეთ თქუენ გონებითა, არცა შეშფოთნეთ არცა სულითა, არცა სიტყჳთა, არცა წიგნითა, ვითარცა ჩუენ მიერ, ვითარმცა მოწევნულ იყო დღე იგი უფლისაჲ.
3. ნუმცა ვინ გაცთუნებს თქუენ ნუ რომლითა სახითა, რამეთუ უკუეთუ არა მოვიდეს განდგომილებაჲ იგი პირველად, და გამოჩნდეს კაცი იგი უშჯულოებისაჲ, შვილი იგი წარსაწყმედელისაჲ,
4. მკდომი იგი და განლაღებუ-

ლი ყოველთა ზედა, რომელნი სასელ-დებულ არიან ღმრთად გინა სამსახურებელად, ვითარმედ და-ცა-ჯდეს იგი ტაძარსა მას ღმრთისასა და გამოაჩინებდეს თავსა თჳსსა, ვითარცა ღმერთი.

5. არა გაკსოვსა, რამეთუ, ვიდრე-იგიღა ვიყავ თქუენ თანა, ამასვე გეტყოდე თქუენ?

6. და აწ, რომელი-იგი დაგისწავიეს, იცით გამოჩინებადი იგი თჳსსა მას ჟამსა.

7. რამეთუ საიდუმლოჲ იგი აწვე იქმნების უშჯულოებისაჲ, გარნა სოლო, რომელსა-ესე უპყრიეს აწ, ვიდრემდე შორს განეიღეს,

8. და მაშინ გამოჩნდეს უშჯულოჲ იგი, რომელი-იგი უფალმან აღკოცოს სულითა პირისა მისისაჲთა და განაქარვოს იგი გამოჩინებითა მით მოსლვისა მისისაჲთა,

9. რომლისა-იგი მოსლვაჲ არს შეწევნითა ეშმაკისაჲთა, ყოველითავე ძალითა და ნიშებითა სასწაულებითა ტყუილისაჲთა

10. და ყოველითავე საცთურითა სიცრუისაჲთა და წარწყმედულთა მათ შორის, რამეთუ ვინაჲთგან სიყუარული იგი ჭეშმარიტებისაჲ არა შეიწყნარეს, რაჲთამცა ცხონდეს იგინი,

11. ამისთჳს მოუვლინოს მათ ღმერთმან შემწე საცთურებისაჲ, რაჲთა ჰრწმენეს მათ ტყუილისაჲ,

12. რაჲთა ისაჯნენ ყოველნი, რომელთა არა ჰრწმენა ჭეშმარიტებისაჲ მის, არამედ სათნოეყვნეს სიცრუესა შინა.

13. სოლო ჩუენ თანა-გუაც მადლობაჲ ღმრთისაჲ მარადის თქუენთჳს, ძმანო საყუარელნო, უფლისა მიერ, რამეთუ გამოგირჩინა თქუენ ღმერთმან პირველად ნაყოფად ცხორებისად განწმედითა სულისაჲთა და სარწმუნოებითა ჭეშმარიტებისაჲთა,

14. რომელსაცა გიჩინნა თქუენ სახარებისა მიერ ჩუენისა შესაწევნელად დიდებისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა.

15. ამიერითგან, ძმანო, მტკიცედ დეგით და შეიკრძალეთ მოძღურებაჲ ესე, რომელიცა გისწავიეს გინა სიტყჳთა, გინა წიგნითა ჩუენითა.

16. ხოლო თავადმან უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან და ღმერთმან და მამამან ჩუენმან, რომელმან შემიყუარნა ჩუენ და მოგუცა ნუგეშინის-ცემაჲ საუკუნოჲ და სასოებაჲ კეთილი მადლითა მით,

17. ნუგეშინის-ეცინ გულთა თქუენთა და განგამტკიცენინ თქუენ ყოველითა სიტყჳთა და საქმითა კეთილითა.

3

1. ამიერითგან, ძმანო, ილოცევ-

დით ჩუენთჳს, რაჲთა სიტყუაჲ ღმრთისაჲ რბიოდეს და იდიდებოდის, ვითარცა-იგი თქუენდა მიმართ,
2. და რაჲთა განვერნეთ უწესოთა და უკეთურთა კაცთაგან, რამეთუ არა ყოველთაჲ არს სარწმუნოებაჲ.
3. ხოლო სარწმუნო არს უფალი, რომელმან მტკიცე გყენეს თქუენ და დაგიცვნეს ბოროტისაგან.
4. ხოლო ვესაით უფალსა თქუენთჳს, რამეთუ რომელსა-ესე გამცნებთ თქუენ, და ჰყოფთცა და ჰყოთცა.
5. ხოლო უფალმან წარუმართენ გულთა თქუენთა სიყუარულსა ღმრთისასა და მოთმინებასა ქრისტესსა.
6. გამცნებ თქუენ, ძმანო, სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა განშორებად თქუენდა ყოელისაევე მისგან ძმისა, რომელი უწესოდ ვიდოდის, და არა მოძღურებისა მისებრ, რომელი ისწავა ჩუენგან.
7. რამეთუ თქუენ უწყით, ვითარ-იგი ღირს ბაძვად ჩუენდა; რამეთუ არარაჲ უჯეროჲ ვყავთ თქუენ შორის;
8. და არცაღა ცუდად პური ვისგანმე ვჭამეთ, არამედ შრომითა და რუდუნებითა ღამე და ღღე ვიქმოდეთ, რაჲთა არავის თქუენგანსა დაუმძიმოთ,
9. არათუ რამეთუ არა გუაქუს კელმწიფებაჲ, არამედ რაჲთა თავნი თჳსნი სახედ მიგცნეთ თქუენ, რაჲთა მბაძვიდეთ ჩუენ.
10. და რამეთუ რაჟამს-იგი ვიყავ თქუენ თანა, ამასვე გამცნებდი თქუენ, ვითარმედ: უკუეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცაღა ჭამნ.
11. რამეთუ მესმის ვიეთთჳსმე, რომელნი იქცევიან თქუენ შორის უწესოდ, არარას იქმან, არამედ მიმოიწულილევენ.
12. ესეეითართა უკუე მათ ვამცნებთ და ვპლოცავთ უფლისა ჩუენისა მიერ იესუ ქრისტესა, რაჲთა მყუდროებით შურებოდინ და თჳსსა პურსა ჭამდენ.
13. ხოლო თქუენ, ძმანო, ნუ გეწყინების კეთილის ყოფად.
14. და უკუეთუ ვინმე არა ერჩის სიტყუასა ჩუენსა წიგნითა ამით, იგი შეისწავეთ და ნუ თანა-აღერევით მას, რაჲთა შეიკდიმოს.
15. და ნუ ვითარცა მტერსა შეპრაცხთ მას, არამედ ასწავებდით ვითარცა ძმასა.
16. ხოლო თავადმან ღმერთმან მშუდობისამან მოგეცინ თქუენ მშუდობაჲ მარადის ყოველითავე სახითა; უფალი თქუენ ყოველთა თანა!
17. კითხვაჲ ჩემითა კელითა პაელესითა, რომელ არს სასწაული ყოველსა წიგნსა; ესრეთ მიეწერე:
18. მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი თქუენ ყოველთა თანა. ამინ.

უწყებანი ტიმოთეს მიმართ პირველისა ეპისტოლისა წმიდისა მოციქულისა პავლესნი

ხოლო ტიმოთეს მიმართ პირველი ეპისტოლე წარჰსცა ლაოდიკით და ესე იყო მიზეზი, რამეთუ ეფესოს შინა ვიეთმე ჰურიათაგანთა კელ-ჰყუეს გულარძნილად მოძღურებად და ცთუნებად უმანკოთა მიზეზითა შჯულისაჲთა,ხოლო ესე ჰსცნა მოციქულმან, და უბრძანებს ტიმოთეს მუნ დადგრომასა წარმართებად მათდა, ხოლო მიჰსწერს ეპისტოლესა ამას, და პირველად მოიკსენებს ტიმოთეს რამეთუ იცის მან ქრისტეს სარწმუნოებაჲ და ასწავებს მას ჰსჯულისათჳს დაყენებად რომელნი იტყჳან არა ჭეშმარიტებისაებრ მოძღურებისა, და შერისხუად მათდა, ვითარცა იგი ჳმენოსს და ალექსანდრეს, შეცოდებულთა სარწმუნოებისათჳს, და მისცნა ეშმაკსა რაჲთა ისწავლნეს არა გმობად, ესე მოახსენა მერმე, დაუდებს მას წესსა საეკლესიოსა ლოცვისათჳს ვითარ და სადა და ვიეთთათჳს ჯერ-არს ლოცუაჲ,და რაჲთა დასდუმნენ დედანი ეკკლესიასა შინა და უფროსღა რაჲთა ისწავებდენ და არა პმოძღურიდენ იგინი, და ეპისკოპოსთათჳს და ხუცესთა და დიაკონთა, თუ ვითარ და ვითართა ჯერ-არს კრძალვა მათი,და ვითარითა რათა იყუნენ. კუალად იტყჳს ქურივთათჳს და რაოდენ წლითგან ჯერ-არს კრძალვაჲ მათი და ვითართა მათ უხმს ყოფაჲ და ვითარ მათი ჯერ-არს კრძალვა, და კუალად სიწმიდისათჳს ჭაბუკთა უბრძანებს უფროს ქორწინებად ვიდრე უწესოდ ცხოვრებად, და რომლისათჳსცა ჰმოძღურის მდიდართა არა გჳაობად არცა სასოებად სიმდიდრისა წარწყმედადისა, ესე რა განუწესა უბრძანებს მას ესრეთ სწავლად და მერმეღა არა ოდენ სმად წყლისა, ხოლო ეკრძალოს თავსა თჳსსა და მოძღურებასა მას რაჲთა უწყოდეს, რამეთუ ყოფად არიან ჟამნი რომელთა შინა განჰსდგენ ვიეთნიმე სარწმუნოებისაგან ხოლო ასწავა რამეთუ წმიდა არიან ჭამადნი, და ამცნო მას გარე-მიქცევა ამაოთა და ბილწთა ცილობათა ვითარცა შეგინებულთა,რომელთა თჳს ვიეთნიმე იქადოდეს და სარწმუნოებისაგან მართლისა განვარდეს,ესრეთ აღასრულებს ეპისტოლესა.

პავლე მოციქულისა წიგნი ტიმოთეს მიმართ პირველი

1

1. პავლე, მოციქული იესუ ქრისტესი, ბრძანებითა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისაჲთა, და უფლისა იესუ ქრისტეს – სასოებისა ჩუენისაჲთა,
2. ტიმოთეს, ერთგულსა შვილსა სარწმუნოებით, მადლი, წყალობაჲ, მშჳდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა და ქრისტე იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა.
3. ვითარცა-იგი გლოცევედ შენ დადგრომად ეფესოს შინა, მი-რაჲ-ვიდოდე მაკედონიად, რაჲთა ამცნო ვიეთმე, რაჲთა არა სხუასა რასმე მოძღურებდენ,
4. არცა ერჩდენ ბღაპართა და ტომის-რაცხათა დაუსრულებელთა, რომელთა-იგი ძიებაჲ შეამთხჳიან უფროჲს, ვიდრე მოღუაწებაჲ ღმრთისაჲ, რომელ არს სარწმუნოებით.
5. ხოლო დასასრული მცნებისაჲ არს სიყუარული გულისაგან წმიდისა და გონებისა კეთილისა და სარწმუნოებისა შეუორგულებელისა,
6. რომელსა-იგი ვინმე ვერ მიემთხჳნეს და გარდაიქცეს ამაოჲსა სიტყუად.
7. უნდა მათ, რაჲთამცა იყვნეს შჯულის მოძღუარ, და არა იცოდეს, არცა რასა-იგი იტყჳან, არცა ვიეთთჳს დაამტკიცებენ.
8. ხოლო ესე უწყით, ვითარმედ კეთილ არს შჯული, უკუეთუ ვინმე წესიერად იპყრას იგი;
9. უწყი ესე, რამეთუ მართალსა შჯულ არა უც, არამედ უშჯულოთა და ურჩთა, უმსახურებელთა და ცოდვილთა, უღირსთა და ბილწთა, მამის მაგინებელთა და დედის მაგინებელთა, კაცის-მკლველთა,
10. მეძავთა, მამათმავალთა, კაცის მსყიდელთა, მტყუართა, ცრუფიცთა და სხუაჲ, რომელი რაჲმე სიცოცხლისა ამის მოძღურებასა უკდების,
11. სახარებისა მისებრ დიდებისა ნეტარისა ღმრთისა, რომელი მერწმუნა მე.
12. და მადლიერ ვარ მისა, რომელმან-იგი განმაძლიერა მე, ქრისტე იესუჲს უფლისა ჩუენისა, რამეთუ სარწმუნოდ შემრაცხა მე და დამადგინა მე მსახურებასა ამას,
13. რომელი პირველად ვიყავ მგმობარ და მდევნელ და მაგინებელ, არამედ შევიწყალე, რამეთუ უმეცრებით ვიყავ ურწმუნოებასა შინა.
14. ხოლო უფროჲს გარდაემატა მადლი იგი უფლისა ჩუენისაჲ სარწმუნოებითურთ და სიყუარულით ქრისტჳ იესუჲს მიერ.
15. სარწმუნო არს სიტყუაჲ და

ყოელისა შეწყნარებისა ღირს, რამეთუ ქრისტე იესუ მოვიდა სოფლად ცოდვილთათჳს ცხორებად, რომელთაჲ პირველი მე ვარ.
16. არამედ ამისთჳს შევიწყალე, რაჲთა ჩემდა მომართ აჩუენოს პირველად იესუ ქრისტემან ყოველი სულგრძელებაჲ მისი სახედ მერმეთა მათ მორწმუნეთა მისა მიმართ ცხორებად საუკუნოდ.
17. სოლო მეუფესა მას საუკუნეთასა უსრწნელსა, უსილაესსა, მხოლოსა ბრძენსა ღმერთსა პატივი და დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამინ.
18. ამას მცნებასა შეგვედრებ შენ, შვილო ტიმოთე, მსგავსად მიძღუნებულთა მათ შენდა წინაწარმეტყუელებათა, რაჲთა ჰსაგრობდე მას შინა კეთილსა მას საგრობასა,
19. და გაქუნდეს სარწმუნოებაჲ და კეთილი გონებაჲ, რომელი-იგი ვიეთმე განიშორეს და სარწმუნოებისაგან განცჳვეს;
20. რომელ არიან ჴმენეოს და ალექსანდროს, რომელნი-იგი მივსცენ ეშმაკსა, რაჲთა განისწავლნენ არა გმობად.

2

1. გლოცავ უკუე ყოელისა წინა, რაჲთა ჰყოფდე ვედრებასა, ლოცვასა, თაყუანის-ცემასა და მადლობასა ყოველთა კაცთათჳს,
2. მეფეთათჳს და ყოველთა მთავართა, რაჲთა მშჳდობით და მყუდროებით ვცხონდებოდით ყოელითა ღმრთის მსახურებითა და სიწმიდითა,
3. რამეთუ ესე არს კეთილ და სათნო წინაშე მაცხოვრისა ჩუენისა ღმრთისა,
4. რომელსა ყოველთა კაცთაჲ ჰნებავს ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ.
5. რამეთუ ერთ არს ღმერთი და ერთ არს შუა-მდგომელ ღმრთისა და კაცთა, კაცი იესუ ქრისტე,
6. რომელმან მისცა თავი თჳსი საჴსრად ყოველთა საწამებელად ჟამთა თჳსთა,
7. რომლისათჳს დაიდგინებულ ვარ მე ქადაგად და მოციქულად,— ჭეშმარიტსა ვიტყჳ ქრისტეს მიერ და არა ვტყუი, — მოძღუარი წარმართთაჲ სარწმუნოებითა და ჭეშმარიტებითა.
8. მნებავს უკუე ლოცვაჲ მამათაჲ ყოველსა აღგილსა აპყრობად წმიდად ქელთა თჳნიერ რისხვისა და გულის ზრახვისა;
9. ეგრეთვე დედათაჲ წესიერებისა სამკაულითა მორცხუედ და ღირსებით შემკობად თავთა თჳსთა, არა განთხზვითა, ანუ ოქროჲთა ანუ მარგალიტითა ანუ სამოსლითა დიდფასისაჲ-

თა,
10. არამედ, რომელი-იგი ჰშუენის დედათა, რომელთა აღეთქუას ღმრთის მსახურებაჲ საქმეთა მიერ კეთილთა.
11. დედაკაცი მდუმრიად ისწაეებდინ ყოელითა დამორჩილებითა.
12. მოძღურებად დედათა არა უბრძანებ, არცა მთავრობად ქმრისა, არამედ რაჲთა იყოს იგი მყუდროებით.
13. რამეთუ ადამ პირეელად დაიბადა და მერმე – ევა.
14. და ადამ არცა სცთა, ხოლო დედაკაცი იგი სცთა და შჯულსა გარდაჰკდა.
15. არამედ ცხონდების შვილთა სხმისაგან, უკუეთუ ეგნენ სარწმუნოებით და სიყუარულით და სიწმიდით ღირსებასა შედა.

3

1. სარწმუნო არს სიტყუაჲ: უკუეთუ ვისმე ეპისკოპოსობის უნდეს, კეთილისა საქმესა გული ეტყჳს.
2. ჯერ-არს ეპისკოპოსისაჲ, რაჲთა უბრალო იყოს, ერთის ცოლის ქმარ, ფრთხილ, წმიდა, შემკულ, სტუმართ მოყუარე, სწავლულ,
3. არა მეღჳნე, არა ანგაჰრ, არა საძაგელის შემძინელ, არამედ მყუდრო, ულალველ, ეეცხლის უყუარულ,
4. თჳსისა სახლისა კეთილად განმგებელ, შვილნიმცა უსხენ დამორჩილებულნი ყოელითა ღირსებითა.
5. ხოლო უკუეთუ ვინმე თჳსისა სახლისა განგებაჲ არა იცის, ვითარ-მე ეკლესიათა ღმრთისათა მოღუაწებაჲ აგოს?
6. ნუ ახალნერგ, რაჲთა არა განლაღნეს და საშჯელსა შეეარდეს ეშმაკისასა.
7. არამედ ჯერ-არს მისა, რაჲთა წამებაჲცა კეთილი აქუნდეს გარეშეთაგან, რაჲთა არა ყუედრებასა შეეარდეს და საფრკესა ეშმაკისასა.
8. დიაკონნი ეგრეთვე წმიდა, ნუ ორისმეტყუელ, ნუ ღჳნოსა ფრიადსა მორჩილ, ნუ საძაგელის შემძინელ,
9. აქუსმცა საიდუმლოჲ იგი სარწმუნოებისაჲ წმიდითა გონებითა.
10. და ესენი გამო-ღა-იცადნენ პირეელად, და მაშინღა დიაკონებდედ, უბრალომცა არიან.
11. ცოლნი მათნი ეგრეთვე ღირსმცა არიან, ნუ მასმენელ, ფრთხილ, მორწმუნე ყოეელსა შინა.
12. დიაკონნიმცა არიან ერთის ცოლის ქმარ, შვილთა კეთილად ზედამდგომელ და თჳსისა სახლისა.
13. რამეთუ რომელნი კეთილად დიაკონობდენ, პატივი თავთა თჳსთა კეთილი მოუგონ და მრავალი განცხადებულებაჲ

სარწმუნოებითა ქრისტე იესუ-
ჲსითა.
14. ამას მივსწერ შენდა და ვე-
სავ ადრე მოსლვასა ჩემსა;
15. სოლო უკუეთუ ვყოვნო, რა-
ჲთა უწყოდი, ეითარ-იგი ჯერ-
-არს სახლსა შინა ღმრთისასა
სლვაჲ, რომელ არს ეკლესიაჲ
ღმრთისა ცხოველისაჲ, სუეტი
და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაჲ.
16. და, აღსარებულად, დიდ არს
ღმრთის მსახურებისა საიდუმ-
ლოჲ; ღმერთი გამოჩნდა ჴორ-
ცითა და განმართლდა სულითა,
ეჩუენა ანგელოზთა, იქადაგა
წარმართთა შორის, ჰრწმენა
სოფელსა და ამაღლდა დიდე-
ბითა.

4

1.სოლო სული წმიდაჲ ცხადად
იტყჳს, რამეთუ უკუანაჲსკნელ-
თა ჟამთა გან-ვინმე-დგენ სარ-
წმუნოებისაგან და ერჩდენ იგი-
ნი სულთა მათ მაცთურთა და
მოძღურებასა ეშმაკთასა
2. ორგულებითა სიტყჳთა ტყუ-
ილისაჲთა, შემწუარნი თჳსითა
გონებითა,
3. აყენებდენ ქორწილსა და გა-
ნაშორებდენ საჭმელთა, რო-
მელნი ღმერთმან დაჰბადნა
მისაღებელად მადლობით მორ-
წმუნეთათჳს და რომელთა იცი-
ან ჭეშმარიტებაჲ.
4. რამეთუ ყოველი დაბადე-
ბული ღმრთისაჲ კეთილ არს,
და არარაჲ არს განსაგდებელ,
მადლობით მიღებული,
5. რამეთუ განწმიდნების სიტყ-
ჳთა ღმრთისაჲთა და ლოცვი-
თა.
6. ამას ასწავებდ ძმათა და იყო
კეთილად მსახურ ქრისტე იე-
სუჲსა და იზარდებოდი სიტყ-
ჳთა სარწმუნოებისაჲთა და კე-
თილითა მოძღურებითა, რო-
მელსაცა შეუდეგ.
7. ხოლო შეგინებულთა მათ და
დედაბერებრთა ზღაპართაგან
იჯმენ. ხოლო იწუართე თავი
შენი ღმრთის მსახურებასა,
8. რამეთუ კორციელი წურთი-
ლებაჲ წუთ ერთ-ჟამ სარგებელ
არს; ხოლო ღმრთის მსახურე-
ბაჲ ყოელითავე სარგებელ არს,
რამეთუ აღთქუმაჲ აქუს ცხო-
რებისაჲ აწინდელისა და მერ-
მისაჲ.
9. სარწმუნო არს სიტყუაჲ და
ყოელისა შეწყნარებისა ღირს.
10. რამეთუ ამისთჳს ვშურებით
და ვიყუედრებით, რამეთუ ვე-
საით ღმერთსა ცხოველსა, რო-
მელ არს მაცხოვარი ყოველ-
თა კაცთაჲ, უფროჲსღა მორწ-
მუნეთაჲ.
11. ამცნებდ ამას და ასწავებდ.
12. ნუმცა ვინ სიჭაბუკესა შენსა
შეურაცხ-ჰყოფნ; არამედ სახე
ექმენ მორწმუნეთა მათ სიტყ-
ჳთა, სლვითა, სიყუარულითა,
სულითა, სარწმუნოებითა, სი-
წმიდითა.

13. ვიდრემდე მოვიდე, ეკრძალე საკითხავსა, ნუგეშინის-ცემასა, მოძღურებასა;
14. ნუ უდებ-ჰყოფ, რომელ-ეგე არს შენ თანა მადლი, რომელი მოგეცა შენ წინაწარმეტყველებითა, დასხმითა კელთა ხუცობისათა.
15. ამას იწურთიდ და ამას შინა იყავ, რაჲთა წარმატებულებაჲ ეგე შენი ცხად იყოს ყოველსა შინა.
16. ეკრძალე თავსა შენსა და მოძღურებითა მით დააღგერ მათ გედა, რამეთუ ამას რაჲ ჰყოფდე, თავიცა შენი აცხოვნო და მორჩილნიცა შენნი.

5

1. მოხუცებულსა ნუ ჰრისხავ, არამედ ჰლოცევდ ვითარცა მამასა, ჭაბუკთა – ვითარცა ძმათა,
2. მოხუცებულთა დედათა – ვითარცა დედათა, ჭაბუკთა – ვითარცა დათა, ყოველითა სიწმიდითა.
3. ქურიეთა პატივ-ეც, ჭეშმარიტად ქურიეთა.
4. უკუეთუ ვისმე ქურიესა შვილ გინა შვილის შვილ ესხნენ, ისწავებედ პირველად თჳსსა სახლსა ღმრთის მსახურებასა და პატივ-სცემედ მამა-დედათა, რამეთუ ესე არს კეთილ და სათნო წინაშე ღმრთისა.
5. ხოლო ჭეშმარიტი ქურიე და მარტო-ქმნული ესაეს უფალსა და დადგრომილ არს ვედრებასა და ლოცვასა ღამე და დღე.
6. ხოლო რომელი-იგი იშუებდეს, ცოცხლიევე მკუდარ არს.
7. და ამას ამცნებდ, რაჲთა უბრალო იყვნენ.
8. ხოლო უკუეთუ ვინმე თჳსთა და უფროჲსღა სახლეულთა არა მოღუაწე იყოს, სარწმუნოებაჲ უარ-უყოფიეს და არს იგი ურწმუნოჲსა უძჯრეს.
9. ქურივაძმცა შერაცხილ არს ნუ უნაკლულესი სამეოცისა წლისაჲ, რომელი ყოფილ არს ერთის ქმრის ცოლ,
10. და საქმეთა შინა კეთილთა წამებულ: უკუეთუ შვილნი განზარდნა, უკუეთუ სტუმარნი ისტუმრნა, უკუეთუ წმიდათა ფერჴნი დაპბანნა, უკუეთუ ჭირეულთა შეეწია, უკუეთუ ყოველსა საქმესა კეთილსა შეუდგა.
11. ხოლო ქურიეთა ჭაბუკთა განეშორე, რამეთუ რაჟამს დაიმღერნიან ქრისტესნი იგი, ქორწინების უნებნ.
12. აქუს მათ საშჯელი, რამეთუ პირველი იგი სარწმუნოებაჲ შეურაცხ-ყვეს
13. და მას თანა უქმობასა ისწავებენ და მიმოსლვასა სახლითი სახლად; არა ხოლო უქმობასა, არამედ სიჩქურესა და გამოწულილვასა და იტყჳედ უჯეროსა.
14. მნებავს უკუე ჭაბუკთა ქორ-

წინებაჲ, შვილთა სხმაჲ, სახლისა პყრობაჲ და არცა ერთისა მიზეზისა ცემად მკდომისა ადგილად გინებისა.
15. რამეთუ აწვე ვინმე გარდაიქცეს შედგომად ეშმაკისა.
16. უკუეთუ ვინმე მორწმუნე ესუას ქურივთა, იგი კმა-ეყავნ მათ და ნუ დაუმძიმებედ იგი ეკლესიასა, რაჲთა სხუათა ქურივთა კმა-ეყოს.
17. რომელნი კეთილად ძღოდიან სუცესნი, ორის ნაწილის პატივის ღირს იყვნედ, უფროჲს სოლო რომელნი შურებოდიან სიტყუთა და მოძღურებითა.
18. რამეთუ იტყჳს წიგნი: ჯარსა მეკალოესა არა დაუკრა პირი; და: ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა.
19. სუცისათჳს შესმენასა ნუ თავს-იდებ, გარნა ორითა და სამითა მოწამითა.
20. და რომელნი-იგი ცოდვიდენ, წინაშე ყოველთაჲსა ამხილე, რაჲთა სხუათა მათ ეშინოდის.
21. ვწამებ წინაშე ღმრთისა და უფლისა იესუ ქრისტესა და რჩეულთა ანგელოზთასა, რაჲთა-ესე დაიმარხო თჳნიერ ორგულებისა, ნურარას ჰყოფ თუალთ-ღებით.
22. კელთა აღრე-აღრე ნუვის დაასხამ, ნუცა ეზიარები სხჳსა ცოდვათა; თავი შენი წმიდად დაიმარხე.
23. ნუ წყალსა ხოლო სუამ, არამედ ღჳნოჲცა მცირედ იკუმიე სტომაქისათჳს და შეღაჲსმედა უძლურებისა შენისათჳს.
24. რომელთამე კაცთა ცოდვანი წინაწარ ცხად არიან და წინა უძღჳან საშჯელად, ხოლო რომელთამე უკუანა შეუდგან.
25. ეგრეევე საქმენი კეთილნი წინაწარ ცხად არიან; და სხუებრ თუ ვისმე აქუნდეს, დაფარვად ვერ კელ-ეწიფების.

6

1. რაოდენნი-იგი არიან უღელსა ქუეშე მონებისასა, თჳსნი იგი უფალნი ყოვლისავე პატივისა ღირსად შეჰრაცსნედ, რაჲთა არა სახელი ღმრთისაჲ და მოძღურებაჲ ესე იგმოს.
2. რომელთა მორწმუნენი ესხნენ უფალნი, ნუ შეურაცს-ჰყოფედ, რამეთუ ძმანი არიან; არამედ უფროჲსად ჰმონებდედ, რამეთუ მორწმუნენი არიან და საყუარელნი და ქველის საქმესა შემწენი. ამას ასწავებდ და ნუგეშინის-სცემდ.
3. უკუეთუ ვინმე სხუასა მოძღურებდეს და არა მოვიდეს სიცოცხლისა მათ მოძღურებათა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა და ღმრთის მსახურებისა ამის მოძღურებასა ზედა,
4. განლაღებულ არს, არარაჲ იცის. არამედ სნეულ არს ძიებისა.იჳს და სიტყუათა ლალვისათა, რომლისაგან იქმნებიან

შურნი, ქდომანი, გმობანი, იჭუნი ბოროტნი,
5. გულის წყრომანი, განხრწნილთა კაცთა გონებაჲ და ნაკლულევანთაჲ ჭეშმარიტებისაგან, რომელნი ჰგონებენ, ვითარმედ სარეწაე არს ღმრთის მსახურებაჲ. განეშორე ესეეთართა მათგან.
6. ხოლო ნანდჳლე არს სარეწაე დიდ ღმრთის მსახურებაჲ უნაკლულოებით.
7. რამეთუ არარაჲ შემოვიღეთ სოფლად; ჩანს, რამეთუ არცა განღებად რას კელ-გუეწიფების.
8. ხოლო მაქუნდეს თუ საზრდელ და საფარველ კორცთა, ამათ კმა-ვიყოფდეთ ჩუენ.
9. ხოლო რომელთა ჰნებავს სიმდიდრე, შეცჯვიან განსაცდელსა და საფრჯესა და გულის თქუმათა მრავალთა უცნაურთა და მავნებელთა, რომელთა დაანთქნიან კაცნი მოსასრეველად და წარსაწყმედელად.
10. რამეთუ ძირი არს ყოველთა ბოროტთაჲ ვეცსლის მოყუარებაჲ, რომლისა-იგი ვიეთმე გული უთქუმიდა და შესცთეს სარწმუნოებისაგან და თავნი თჳსნი შესთხინეს სალმობათა მრავალთა.
11. ხოლო შენ, ჲ კაცო ღმრთისაო, ამას ევლტოდე და შეუდევ სიმართლესა, ღმრთის მსახურებასა, სარწმუნოებასა, სიყუარულსა, მოთმინებასა, სიმშჳდესა;
12. მოიღუაწე ღუაწლი იგი კეთილი სარწმუნოებისაჲ, შეიტკბე საუკუნოჲ იგი ცხორებაჲ, რომელსაცა იჩინე, და აღიარე კეთილი იგი აღსარებაჲ წინაშე მრავალთა მოწამეთა.
13. გამცნებ შენ წინაშე ღმრთისა, რომელმან ცხოველ ყენის ყოველნი, და ქრისტე იესუჲსა, რომელმან-იგი წამა პონტოელისა პილატეს ზე კეთილი იგი აღსარებაჲ
14. დამარხეად შენდა მცნებაჲ იგი უბიწოდ და უბრალოდ ვიდრე გამოჩინებადმდე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა,
15. რომელ-იგი ჟამთა თჳსთა აჩუენოს ნეტარმან მან და მხოლომან ძლიერმან მეუფემან მეუფეთამან და უფალმან უფლებათამან,
16. რომელსა მხოლოსა აქუს უკუდაებაჲ და ნათელსა მყოფ არს მიუწდომელსა, რომელი არავინ იხილა კაცთაგანმან, არცა ხილვად კელ-ეწიფების, რომლისაჲ არს პატივი და ძალი საუკუნოჲ. ამინ.
17. მდიდართა მათ ამას სოფელსა ამცენ, რაჲთა არა მაღლოოდიან, არცა ესვიდენ სიმდიდრესა მას უჩინოსა, არამედ ღმერთსა ცხოველსა, რომელმან მომცის ჩუენ ყოველივე მდიდრად საშუებელად,
18. კეთილისა საქმედ, განმდიდ-

რებად საქმეთა შინა კეთილთა, უსუად მიმცემელ იყვნედ, ეზიარებოდედ
19. და იუნჯებდინ თავისა მათისა საფუძველსა კეთილსა მერმისა მისთჳს ჟამისა, რაჲთა შეეკრძალნენ საუკუნესა მას ცხორებასა.
20. ჱ ტიმოთე, ვედრი იგი დაიმარხე და განეშორე ბილწთა მათგან ცუდთა კმათა და სიტყჳს-გებათა მათგან ტყუვილით სახელის მეცნიერებისასა,
21. რომელსა-იგი ვიეთნიმე აღუთქუმიდეს და სარწმუნოებისაგან ცუდნი განვარდეს.
მადლი შენ თანა. ამინ.

უწყებანი ტიმოთეს მიმართ მეორისა ეპისტოლისა წმიდისა მოციქულისა პავლესი

ამას წარჰსცემს ჰრომით,ხოლო მიზეზი ეპისტოლისა ამის წარსულთა პაელესთანა დაუტევეს იგი,და ენება მოციქულსა მისლვად მისა მიმართ ტიმოთეს და მიჰსწერს ეპისტოლესა ამას,და პირეველად უკუე აუწყებს თავისა თჳსისათჳს რამეთუ აკსენებს მარადის მისა ღმრთის-მოშიშებასა და სარწმუნოებასა მშობელთა მისთასა, ეგრეთცა აუწყებს ვითარმედ მყოფნი ასიასაგან რომელთაგანი არს ფირგჳლე და ერმოგინე გარე-მიაქციეს მისგან, ჰხედვიდეს მას რა ჯაჭჳთა,ხოლო ონისიფორეს აქებს,ვითარმედ მიეიდა ჰრომად და დაადგრა ჩუენთანა ხოლო ამცნებს მას ჯმნად სიცოფისა ძიებითა რამეთუ მათგან იშუებიან შფოთნი ვითარმედ ჯმენოს და ფილიტოს ესრეთ განაგდეს და განჰსცჳნეს ჭეშმარიტებისაგან რომელნი იტყოდეს აწვე იყო აღდგომა, და ვიეთნიმე გარდააქცევდეს, ხოლო უფროს უბრძანებს მას კრძალვად თავისა თჳსისა და მოძღურებისა,რათამცა უწყოდეს რამეთუ უკანასკნელთა ჟამთა შინა იქმნებიან კაცნი თავთ-მოყუარენი და გემოთ-მოყუარენი, უფროჲსღა ვიდრე ღმრთის-მოყუარენი,რაჲთა წინასწარ ჰსედვიდეს ამას, და განამტკიცებდეს სხუათაცა რაჲთა არა ოდეს მათგანი ჰსცთეს და მერმე აუწყებს და ამცნებს რაჲთა ფრთხილიყოს მოძღურებასა მას შინა ჭეშმარიტებისასა, და აუწყებს ვითარმედ ჟამი მიქცევისა მისისა მოწევნულ-არს და ეგულვების ტანჯვად და მოწამე-ყოფად,და უბრძანებს რაჲთა მოსწრაფედ მივიდეს მისა და მიიღოს ფელონი და წიგნები, და ამცნებს მას რაჲთა ეკრძალოს ალექსანდრე მჭედელსა,და რამეთუ მრავალი ძური შემამთხჳა მე, და ესრეთ აღასრულებს ეპისტოლესა ამას.

პავლე მოციქულისა წიგნი ტიმოთეს მიმართ მეორე

1

1. პაელე, მოციქული ქრისტე იესუჲსი ნებითა ღმრთისაჲთა, აღთქუმისა მისებრ ცხორებისა ქრისტე იესუჲს მიერ,
2. ტიმოთეს,საყუარელსა შვილსა, მაღლი, წყალობაჲ, მშჳდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა და ქრისტე იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა.
3. ვჰმადლობ ღმერთსა, რომელსა ვჰმსახურებ დასაბამითგან წმიდითა გონებითა, ვითარ-იგი მოუკლებელად მაქუს

შენთჳს კსენებაჲ ლოცვათა შინა ჩემთა ღამე და დღე,
4. და მსურის სილვაჲ შენი, – მომეკსენებიან ცრემლნი ეგე შენნი, – რაჲთა სისარულითა აღვივსო.
5. მოვიკსენებ, რომელ-ეგე არს შენ თანა შეუორგულებული სარწმუნოებაჲ, რომელმან დაიმკჳდრა პირველად დედის დედისა შენისა ლუდიაჲს თანა და დედისა შენისა ევნიკის თანა; და მრწამს, რამეთუ შენ თანაცა.
6. რომლისათჳს მოგაკსენებ შენ განცხოველებად მკურვალედ მაღლსა მას ღმრთისასა, რომელ არს შენ თანა დასხმითა კელთა ჩემთაჲთა.
7. რამეთუ არა მომცა ჩუენ ღმერთმან სული მოშიშებისაჲ, არამედ ძლიერებისაჲ და სიყუარულისა და სიწმიდისაჲ.
8. ნუ უკუე გრცხუენინ წამებაჲ იგი უფლისა ჩუენისაჲ, ნუცა მე, კრული ესე მისი, არამედ თანა-იჭირეოდე სახარებასა მას ძალითა ღმრთისაჲთა,
9. რომელმან-იგი მიკსნნა ჩუენ და მიჩინნა ჩუენ ჩინებითა მით წმიდითა არა საქმეთა ჩუენთათჳს, არამედ თჳსითა ნებითა და მაღლითა, რომელი მომცა ჩუენ ქრისტე იესუჲს მიერ უპირატეს ჟამთა მათ საუკუნეთა,
10. რომელ გამოცხადნა აწ გამოჩინებითა მით მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომელმან-იგი განაქარეა სიკუდილი და განანათლა ცხორებაჲ და უხრწნელებაჲ სახარებითა მით,
11. რომლისათჳს დადგინებულ ვარ მე ქადაგად და მოციქულად და მოძღურად წარმართთა.
12. რომლისათჳსცა ესე მევნების, არამედ არა მრცხუნის. რამეთუ ვიცი, რომელი-იგი მრწმენა და მრწამს, რამეთუ ძალ-უც ვედრისა მის ჩემისა დამარხვად მერმესა მას დღესა.
13. სახედ გაქუნდინ ცოცხლებისა სიტყუაჲ იგი, რომელი გესმა ჩემგან სარწმუნოებითა და სიყუარულითა ქრისტე იესუჲსითა.
14. კეთილი იგი ედრი დაიმარხე სულითა წმიდითა, რომელმან დაიმკჳდრა ჩუენ თანა.
15. უწყი სამე ესე, რამეთუ დამიტევეს მე ყოველთა, რომელნი არიან ასიას შინა, რომელ არიან ფიგელოს და ერმოგენი.
16. მოეცინ უფალმან წყალობაჲ ონესიფორეს სახლსა, რამეთუ მრავალ-გზის მე განმისუნა, და ჯაჭჳ ესე ჩემი არა სირცხჳლ-უჩნდა;
17. არამედ მოვიდა ჰრომედ და მოსწრაფედ მეძიებდა მე და მპოვა.
18. მოეცინ მას უფალმან პოვნად წყალობაჲ უფლისა მიერ მას დღესა შინა; და რაოდენი-

-იგი ეფესოს შინა მმსახურა, უმჯობეს შენ უწყი.

2

1. ხოლო შენ, შვილო ჩემო, განძლიერდი მადლითა იესუ ქრისტესითა,
2. და რაჲ-იგი გესმა ჩემგან მრავლითა მოწამებითა, ესე შეჰვედრე მორწმუნეთა კაცთა, რომელნი შემძლებელ იყვნენ სხუათაცა სწავლაღ.
3. შენ უკუე ჭირი დაითმინე, ვითარცა კეთილმან მოღუაწემან ქრისტე იესუჲსმან.
4. არაეინ მოღუაწე შეეყოფვის სოფლისა საქმეთა, რაჲთა ერისთავესა მას სათნო-ეყოს.
5. და უკუეთუ ვინმე იღუწიდესცა, არა გჳრგჳნოსან იქმნების, არა თუ შჯულიერად იღუაწოს.
6. მშრომელისა მის ქუეყანის მოქმედისაჲ ჯერ-არს პირველად ნაყოფისა მოღებაჲ.
7. სცნობდ, რომელსა-ესე გეტყჳ. რამეთუ მოგცეს შენ უფალმან გულისჴმის-ყოფაჲ ყოველსა შინა.
8. მოიჯსენე იესუ ქრისტე, აღდგომილი მკუდრეთით, ნათესაჲისაგან დავითისა, მსგავსად სასარებისა მის ჩემისა,
9. რომელსა შინა ძჳრს ვიხილავ ვიდრე კრულებაღმდე, ვითარცა ძჳრის მოქმედი; არამედ სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ არა შეკრულ არს.
10. ამისთჳს ყოველსა დავითმენ რჩეულთა მათთჳს, რაჲთა მათცა ცხორებაჲ პოეონ ქრისტე იესუჲს მიერ დიდებასა თანა საუკუნესა.
11. სარწმუნო არს სიტყუაჲ, რამეთუ უკუეთუ მის თანა მოეწყდეთ, მის თანაცა ვცხონდეთ.
12. უკუეთუ დავითმინოთ, მის თანა ესუეედეთ; უკუეთუ უარ-ვყოთ, მანცა უარ-მყვნეს ჩუენ.
13. უკუეთუ არა გურწმენეს, იგი სარწმუნოდ ჰგიეს; უარ-ყოფად თავისა თჳსისა ვერ ძალ-უც.
14. ამას მოაკსენებდ წინაშე ღმრთისა და უწამებდ ნუ სიტყუთა ლალვისაჲთა არად საქმარად, განსაძრეკელად მსმენელთა მათ.
15. ისწრაფე თავისა შენისა რჩეულად წარდგინებად წინაშე ღმრთისა, მუშაკად ურცხჳნელად, წარმართებად სიტყუასა მას ჭეშმარიტებისასა.
16. ხოლო ბილწთა მათ და ცუდთა კმათა განეშორე, რამეთუ უმეტეს წარემატნიან უშჯულოებითა,
17. და სიტყუამან მათმან, ვითარცა სრსჳლმან, საძოვარი პოოს. რომელ არიან ჳმენეოს და ფილიტოს,
18. რომელნი-იგი ჭეშმარიტებასა განუდგეს, იტყჳან, ვითარმედ: აღდგომაჲ აწვე იყოო, და გარდააქცევენ რომელთამე

სარწმუნოებასა.
19. სოლო მტკიცე იგი საფუძველი ღმრთისაჲ ჰგიეს და აქუს ბეჭედი ესე: „იცნის უფალმან, რომელნი-იგი არიან მისნი“. და: „განეშორენ სიცრუისაგან ყოველი, რომელი სახელ-სდებდეს სახელსა უფლისასა“.
20. სახლსა შინა დიდსა არა არს ჭურჭელი ოქროჲსაჲ სოლო და ვეცხლისაჲ, არამედ ძელისაჲცა და კეცისაჲცა, რომელნიმე პატიოსნად და რომელნიმე უპატიოდ.
21. უკუეთუ ვინმე განიწმიდოს თავი თჳსი ამათგან, იყოს იგი ჭურ პატიოსან, წმიდა და საქმარ უფლისა, ყოველისავეთჳს საქმისა კეთილისა განმზადებულ.
22. სოლო სიჭაბუკისა მათ გულის თქუმათა ეელტოდე და შეუდეგ სიმართლესა, სარწმუნოებასა, სიყუარულსა, მშჳდობასა მათ თანა, რომელნი ხადიან უფალსა გულითა წმიდითა.
23. სოლო სიცოფისათა მათ და უსწაელელთა ძიებათაგან იჯმენ, უწყი, რამეთუ შვნიან ლალვანი.
24. სოლო მონისა უფლისა არა ჯერ-არს ლალვაჲ, არამედ რაჲთა იყოს მყუდრო და სახიერ ყოველთა მიმართ, მასწაელელ, უმანკო,
25. მშჳდობით მასწაელელ წინააღმდგომთა მათ, მო-სოლო თუ-სცეს მათ უფალმან სინანული მეცნიერებად ჭეშმარიტებისა,
26. და განიფრთხონ საფრჴისა მისგან ეშმაკისა მონადირებულთა მათ მის მიერ ნებისაებრ მისისა.

3

1. სოლო ესე უწყოდე, რამეთუ უკუანაჲსკნელთა ღღეთა მოიწინენ ჟამნი ბოროტნი.
2. და იყვნენ კაცნი თავის მოყუარე, ვეცხლის მოყუარე, ლაღ, თავ მოთნე, ამპარტავან, მგმობარ, მამა-დედისა ურჩ, უმადლო, უღირს, უყუარულ,
3. უწირავ, მასმენელ, უთმინო, დაუმჭირველ, უმავ, დაუმშჯდებელ, კეთილის მოძულე,
4. შინა-განმცემელ, წარმდებ, აღზუაებულ, გულის თქუმის მოყუარე უფროჲს, ვიდრე ღმრთის მოყუარე.
5. აქუნდეს ხატი ღმრთის მსახურებისაჲ და ძალსა მისსა უარ-ჰყოფდენ. და ამათგანცა განეშორე.
6. რამეთუ ამათგანნი არიან, რომელნი შეველენან სახლებსა და გამოსტყუენვენ დედათა, შეკრებულთა ცოდვითა, მოიპოვებენ გულის თქუმათა თჳთო-სახეთა
7. და ყოვლადვე ისწაებენ და არასადა მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა შემძლებელ არიან

მოსლვად.
8. ვითარცა-იგი იანე და იამბრე უკდებოდეს მოსეს, ეგრეთცა ესენი უკდებიან ჭეშმარიტებასა, კაცნი განხრწნილნი გონებითა, გამოუცდელნი სარწმუნოებითა.
9. გარნა არა წარემატნენ უფროჲს, რამეთუ უგუნურებაჲ მათი ცხად იყოს ყოველთაღა, ვითარცა-იგი მათი იყო.
10. ხოლო შენ შემოდგომილ ხარ ჩემსა მოძღურებასა, გულს-მოდგინებასა, სარწმუნოებასა, სულგრძელებასა, სიყუარულსა, მოთმინებასა,
11. დევნულებათა, ვნებათა, რაოდენი შემემთხჳა მე ანტიოქიას შინა, იკონიას, ლუსტრას; რაოდენნი დევნანი დავითმინენ, და ყოველთაგან მიკსნა მე უფალმან.
12. და ყოველთავე რომელთა ჰნებავს ღმრთის მსახურებით ცხორებაჲ ქრისტე იესუჲს მიერ, იდევნნენ.
13. ხოლო უკეთურნი კაცნი და გრძნეულნი წარემატებოდიან უძჳრესისა მიმართ, აცთუნებდენ და სცთებოდიან.
14. ხოლო შენ დააღგერ მას ზედა, რომელიცა გისწავიეს და გრწმენა, უწყი, ვისგან გისწავიეს;
15. და რამეთუ სიყრმითგან საღმრთონი წიგნნი იცნი, რომელნი შემძლებელ არიან განბრძნობად შენდა ცხორებისათჳს სარწმუნოებითა ქრისტე იესუჲსთა.
16. ყოველი წიგნი ღმრთიე სულიერი და სარგებელი სამოძღურებელად არს და სამხილებელად და განსამართლებელად და სასწავლელად სიმართლისა,
17. რაჲთა აწვე იყოს ღმრთისა იგი კაცი, ყოელისა მიმართ საქმისა კეთილისა განმტკიცებულ.

4

1. ვწამებ მე წინაშე ღმრთისა და უფლისა იესუ ქრისტესა, რომელმან განსაჯნეს ცხოველნი და მკუდარნი გამოჩინებისაებრ მისისა და სუფევისა მისისა.
2. ქადაგე სიტყუაჲ, ზედა-ადეგ ჟამითი-უჟამოდ, ამხილე, შეჰრისხენ და ნუგეშინის-ეც ყოველითა სულგრძელებითა და მოძღურებითა.
3. რამეთუ იყოს ჟამი, ოდეს სიცოცხლისა ამას მოძღურობასა არა თავს-იდებდენ, არამედ გულის თქუმისაებრ თავისა თჳსისა შეიკრებდენ მოძღუართა ქავილითა ყურთაჲთა;
4. და ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი თჳსნი გარე-მიიქცინენ და ზღაპრებსა მიექცენ.
5. ხოლო შენ ფრთხილ იყავ ყოველსა შინა, ძჳრსა ისიღევდ, საქმე ქმენ მახარებელისაჲ, მსა-

სურებაჲ შენი კეთილად აღასრულე.
6. რამეთუ მე აწ ესერა შევიწირები, და ჟამი იგი მიქცევისა ჩემისაჲ მოიწია.
7. ღუაწლი კეთილი მომიღუაწებიეს, სრბაჲ აღმისრულებიეს, სარწმუნოებაჲ დამიმარხავს.
8. ამიერითგან მიმელის მე სიმართლისა იგი გჳრგჳნი, რომელი მომცეს მე უფალმან მას დღესა შინა, მართალმან მან მსაჯულმან; არა ხოლო თუ მე, არამედ ყოველთა, რომელთა შეიყუარეს გამოჩინებაჲ მისი.
9. ისწრაფე ჩემდა მოსლვად ადრე,
10. რამეთუ დიმა დამიტეა მე და შეიყუარა სოფელი ესე და წარვიდა თესალონიკედ, კრისკე – გალატიად, ტიტე – დალმატიად, ლუკა არს მარტოჲ ჩემ თანა.
11. მარკოზ აღადგინე და მოიყვანე შენ თანა, რამეთუ საკმარ არს იგი ჩემდა მსახურებასა.
12. ტჳქიკოს წარაელინე ეფესოდ.
13. ფელონი, რომელ დაუტევე ტროადას კარპოსს თანა, მო-რაჲ-ხუდოდი, მოიღე, და წიგნებიცა იგი, უფროჲსღა წიგნის ტყავები.
14. ალექსანდრე მჭედელმან მრავალი ბოროტი შემაჩუენა მე. მიაგოს მას უფალმან საქმეთა მისთაებრ.
15. რომელსა შენცა ეკრძალე, რამეთუ ფრიად წინა-აღუდგა იგი ჩუენთა სიტყუათა.
16. პირველსა მას სიტყჳს-გებასა ჩემსა არავინ თანა-დამიდგა მე, არამედ ყოველთა დამიტევეს მე. ნუ შეერაცხებინ მათ.
17. ხოლო უფალი თანა-დამიდგა და განმაძლიერა მე, რაჲთა ჩემ მიერ ქადაგებაჲ იგი აღესრულოს და ესმეს ყოველთა წარმართთა, და განვერი პირისაგან ლომისა.
18. და მიჰსნეს მე უფალმან ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა და მაცხოვნოს მე სასუფეველსა მისსა ზეცათასა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამინ.
19. კითხვაჲ არქუ პრისკილას და აკჳლას და ონესიფორეს სახლსა.
20. ერასტოს დადგა კორინთეს შინა; ხოლო ტროფიმე დაუტევე მელიტონს შინა უძლური.
21. ისწრაფე ზამთრისა წინა მოსლვად.
გიკითხვენ შენ ევვულოს და პუდის და ლინოს და კლაედია და ძმანი ყოველნი.
22. უფალი იესუ ქრისტე სულისა შენისა თანა. მადლი ჩუენ თანა. ამინ.

უწყებანი ტიტეს მიმართ ეპისტოლისა წმიდისა პავლე მოციქულისანი

სოლო ტიტეს მიუწერს ნიკოპოლით, რამეთუ მუნ დაემამთრა, სოლო ესე არს მიზეზი ეპისტოლისა ამის, რამეთუ ტიტე დაეტევა კრიტეს რაჲთა დაადგინნეს ქალაქად-ქალაქად სუეცსნი, სოლო მრავალნი იყუნეს მუნ რომელნი ასწაელიდეს მიზეზითა ჰსჯულისათა ცთუნებად ერისა, ესე ჰსცნა პაელე სოლო მიჰსწერს ტიტეს და პირველად უკუე ჰმადლობს ღმერთსა მისისა ღმრთის-მოშიშებისათჳს და აუწყებს რომელ ქრისტეს მიერი სარწმუნოება, არა ახალ-არს არამედ საუკუნიდგან განმზადებულ და აღთქმულ ღმრთისა მიერ, და მერმე დადგინებისათჳს სუეცსთასა და ამისთჳს ასწაევებს, ვითარ და ვითარითა მათი ყოუა ჯერ-არს, და შერისხუად უბრძანებს მას მაცილობელთა მართლისა სარწმუნოებისათა, და უფროსღა წინა-დაცუეთილებისაგანთა, სოლო ცნობად კრიტელთა რამეთუ უქმ-არიან უკმსთ მხილებაჲ, და ყოველივე ასწავა, რამეთუ ყოველივე ჭამადი წმიდა არს წმიდათა თჳს, თუ ვითარ ჯერ-არს, რაჲთა იყუნენ თჳთ იგი მოხუცებულნი, და თანა-მდებ-არიან განშორებად ჭაბუკთა, და აუწყებს ვითარ ჯერ არს მონათა მსახურებაჲ თჳსთა უფალთა, და მოკლედ თქმითა მოაჯსენებს ვითარმედ მაღლმან მაცხოვრისამან არა საქმეთა ჩუენთათჳს განგეამართლა, არამედ თჳსისა კაცთ-მოყუარებისათჳს ამცნებს რაჲთა ჰსჯულისა ლალვა გარე მიაქციონ ვითარცა უსარგებლოდ მყოფი, და აუწყებს მას წარგზავნად მისა არტემისა, რაჲთა თჳთცა მიეიდეს მისა მიმართ უბრძანებს მას, და ასწაევებს თჳსთაცა კეთილთა საქმეთა ზედა დგომად და ესრეთ აღასრულებს ეპისტოლესა.

პავლე მოციქულისა წიგნი ტიტეს მიმართ

1

1. პაელე, მონაჲ ღმრთისაჲ და მოციქული ქრისტე იესუჲსი, სარწმუნოებისაებრ რჩეულთა ღმრთისათა და მეცნიერებითა ჭეშმარიტებისაჲთა, რომელ არს ღმრთის მსახურებისაჲ,
2. სასოებითა ცხორებისა საუკუნოჲსაჲთა, რომელი-იგი აღუთქუა უტყუველმან ღმერთმან უწინარეს ქამთა საუკუნეთა,
3. ხოლო გამოაცხადა ქამთა თჳსთა სიტყუაჲ იგი მისი ქადაგებითა, რომელი მარწმუნა მე ბრძანებითა ღმრთისა, მაცხოვრისა ჩუენისაჲთა,

4. ტიტეს, ერთგულსა შვილსა ზოგადისაებრ სარწმუნოებისა, მადლი, წყალობაჲ და მშჳდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა და უფლისა იესუ ქრისტეს მიერ, მაცხოვრისა ჩუენისა.
5. ამისთჳს დაგიტევე შენ კრიტს შინა, რაჲთა ნაკლულევანი იგი განაგო და დაადგინნე ქალაქად-ქალაქად ხუცესნი, ვითარცა-იგი მე გიბრძანე შენ:
6. რომელი იყოს უბრალო, ერთის ცოლის ქმარ, შვილნიმცა უსსენ მორწმუნენი, ნუმცა შესმენილ არიან ბილწებისათჳს გინა ურჩებისა.
7. რამეთუ ჯერ-არს ეპისკოპოსისა უბიწო ყოფაჲ, ვითარცა ღმრთისა მნისაჲ, ნუ თავკჳდ, ნუ გულ-მწყრალ, ნუ მოღჳნე, ნუ მოლალე, ნუ საძაგელის შემძინელ,
8. არამედ სტუმრის მოყუარე, კეთილის მოყუარე, წმიდა, მართალ, ღირს, მოთმინე, თავს-მდებელ მსგავსად მოძღურებისა მის
9. სარწმუნოებისა სიტყჳსა, რაჲთა შემძლებელ იყოს ნუგეშინის-ცემაღცა მოძღურებასა მას შინა სიცოცხლისასა და სიტყჳს-მგებელთა მათ მამხილებელ.
10. რამეთუ არიან მრავალნი დაუმორჩილებელცა და ამაოჲსა მეტყუელ და გონება-მაცთურ, უფროჲს ხოლოღა წინადაცუეთილებისაგანნი იგი,
11. რომელთაჲ ჯერ-არს პირსა დაყოფაჲ, რომელნი ყოველსა სახლებსა გარდააქცევენ, ასწავებენ, რომელი-იგი არა ჯერ-არს, საძაგელისა შეძინებისათჳს.
12. თქუა ვინმე მათგანმან, თჳსმანვე მათმან წინაწარმეტყუელმან: კრიტელნი მარადის მტყუვარნი, მკეცნი ბოროტნი, მუცელნი უქმნი.
13. წამებაჲ ესე არს ჭეშმარიტ. ამისთჳს ამხილე მათ თუალ-უხუავად, რაჲთა ცოცხალ იყუნენ სარწმუნოებითა
14. და ნუ ერჩიედ ჰურიაებრთა ბღაპართა და მცნებასა კაცთასა, რომელნი გარე-მოქცეულ იყუნენ ჭეშმარიტებისაგან.
15. რამეთუ ყოველივე წმიდა არს წმიდათათჳს; ხოლო შეგინებულთათჳს და ურწმუნოთა არარაჲ არს წმიდა, არამედ შეგინებულ არს მათი გულიცა და გონებაჲცა.
16. ღმერთსა აღიარებენ ვითარმედ იციან, ხოლო საქმით უარ-ჰყოფენ, საძაგელნი არიან და ურჩნი და ყოვლისა მიმართ საქმისა კეთილისა გამოუცდელ.

2

1. ხოლო შენ იტყოდე, რომელი შუენის სიცოცხლისა მას მოძღურებასა:
2. ხუცესნი ფრთხილ იყუნედ, ღირს, წმიდა, ცოცხალ სარწმუ-

ნოებითა, სიყუარულითა, მოთმინებითა;
3. მოხუცებულნი დედანი ეგრეთვე დაწყნარებულებითა შუენიერ, ნუ მასმენელ, ნუ ღჳნოსა ფრიადსა მორჩილ, კეთილის მოძღუარ,
4. რაჲთა განაბრძნობდენ ჭაბუკთა მათ ქმართ მოყუარე ყოფად, შვილთ მოყუარე,
5. წმიდა, უბიწო, სახლის მპყრობელ, სახიერ, დამორჩილებულ თჳსთა ქმართა, რაჲთა არა სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ იგმობოდის.
6. ჭაბუკთა მათ ეგრეთვე ჰლოცევდ, რაჲთა წმიდა იყვნენ.
7. ყოველისათჳსვე თავსა შენსა სასედ მისცემდი კეთილთა საქმეთა, მოძღურებასა მას შინა უხრწნელებაჲ, ღირსებაჲ, განურყუნელობაჲ,
8. სიტყუაჲ ცოცხალი, უგმობელი, რაჲთა წინააღმდგომსა მას პრცხუენოდის და რაჲთა არა აქუნდეს ჩუენდა მომართ სიტყუად ბოროტისა.
9. მონანი თჳსთა უფალთა დაემორჩილნედ და ყოველსა შინა სათნო ეყვნედ, ნუ სიტყჳს-მგებელ.
10. ნუ მომხუეჭელ, არამედ ყოველსავე სარწმუნოებასა აჩუენებედ კეთილსა, რაჲთა მოძღურებაჲ იგი მაცხოვრისა ჩუენისა ღმრთისაჲ შეამკონ ყოველითა.
11. რამეთუ გამოჩნდა მადლი იგი ღმრთისაჲ მაცხოვრად ყოველთა კაცთა
12. სამოძღურებელად ჩუენდა, რაჲთა უარ-ეყოთ უღმრთოებაჲ და სოფლისა გულის თქუმაჲ, სიწმიდით და სამართლით და ღმრთის მსახურებით ვცხოვნდებოდით ამას სოფელსა
13. და მოველოდით ნეტარსა მას სასოებასა და გამოჩინებასა დიდებასა დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა,
14. რომელმან-იგი მისცა თავი თჳსი ჩუენთჳს, რაჲთა მიჰსნნეს ჩუენ ყოველისაგან ურჩულოებისა და განწმიდნეს თავისა თჳსისა ერად მოგებულად, მობაძავად კეთილთა საქმეთა.
15. ამას ეტყოდე და ნუგეშინის-სცემდ და ამხილებდ ყოველითა ბრძანებითა, ნუმცა ვინ შეურაცხ-გყოფს შენ.

3

1. მოაჴსენებდ მათ მთავრობათა და ჴელმწიფებათა დამორჩილებად და სარწმუნო-ყოფად და რაჲთა ყოვლისა მიმართ საქმისა კეთილისა განმზადებულ იყვნენ,
2. ნუმცა ვის ჰგმობენ, ულალველ იყვნედ, სახიერ, ყოველსავე აჩუენებედ სიმშჳდესა ყოველთა მიმართ კაცთა.
3. რამეთუ ვიყვენით ოდესმე

ჩუენცა უცნობელ და ურჩ, შეცთომილ და ეპმონებდით გულის თქუმათა და გემოთა მრავალთა, უკეთურებასა და შურსა შინა ვიყვენით, შემაწუხებელ და მოძულე ურთიერთარს.

4.სოლო რაჟამს სიტკბოებაჲ და კაცთ მოყუარებაჲ გამოჩნდა მაცხოვრისა ჩუენისა ღმრთისაჲ,

5. არა საქმეთაგან სიმართლისათა, რომელნი-იგი ექმნენით ჩუენ, არამედ წყალობითა თჳსითა მიჰსნნა ჩუენ, ბანითა მით მეორედ შობისაჲთა და განახლებითა სულისა წმიდისაჲთა,

6. რომელი-იგი მოჰფინა ჩუენ გედა მდიდრად იესუ ქრისტეს მიერ, მაცხოვრისა ჩუენისა,

7. რაჲთა განვმართლდეთ მადლითა მით მისითა და მკჳდრ ვიქმნნეთ სასოებასა მას ცხორებისა საუკუნოჲსასა.

8. სარწმუნო არს სიტყუაჲ; და მათთჳსცა მნებავს შენდა განმტკიცებად, რაჲთა ზრუნვიდენ კეთილთა საქმეთა ზედა-დგომად მორწმუნენი ღმრთისანი: რამეთუ ესე არს კეთილ და სარგებელ კაცთა.

9. სოლო სიცოფისათა მათ ძიებათა და ტომის რაცხათა და კდომათა და ლალვათა შჯულისათა განეშორე, რამეთუ არიან ურგებ და ამაო.

10. მწუალებელსა კაცსა შემდგომად ერთისა და ორისა სწავლისა განეშორე.

11. უწყოდე, რამეთუ გარდაგულარძნილ არს ეგევითარი იგი და ცოდავს და არს იგი თჳთ დაშჯილ.

12. ოდეს მოვავლინო შენდა არტემან ანუ ტჳქიკოს, ისწრაფე მოსლვად ჩემდა ნიკოპოლის, რამეთუ მუნ ვირჩიე დაზამთრებაჲ.

13. ზინან შჯულის მწერალი და აპოლო აღრე წარმოგზავნენ, და ნუმცა რაჲ აკლს მათ.

14. ისწაევებდედ ჩუენნიცა იგი კეთილისა საქმესა წარდგინებად საჭიროთა მათთჳს საკმართა, რაჲთა არა იყვნენ უნაყოფო.

15. გიკითხვენ შენ ჩემ თანანი ყოველნი. კითხვაჲ არქუ, რომელნი გუყუარობენ ჩუენ სარწმუნოებით.

მადლი თქუენ ყოველთა თანა. ამინ.

უწყებანი ფილიმონის მიმართისა ეპისტოლისა წმიდისა მოციქულისა პავლესნი

ხოლო ფილიმონს მიუწერს პრომით, ხოლო მიმგები ეპისტოლისა ესე არს, ონისიმე მონა ფილიმონისი ივლტოდა და წარვიდა მოციქული საძიებელად და სწაელულ-იქმნა მისგან, და იქმნა მისა სახმარ მსახურებისა ამისთჳს უკუე მიპსწერს ფილიმონს და შეჰვედრებს მას ონისიმეს რაჲთა ეკრძალოს მოსწრაფედ, და არღარა ჰყუეს იგი მერმეღა მონად, არამედ ვითარცა ძმა, და უბრძანა მას რაჲთა საეანეცა განუმშადოს მას უკუეთუ მიეიღეს მუნ, ჰპოვოს და ეგოს სადა ესრეთ აღასრულებს ეპისტოლესა.

პავლე მოციქულისა წიგნი ფილიმონის მიმართ

1

1. პავლე, კრული ქრისტე იესუჲსი, და ტიმოთე ძმაჲ ფილიმონს, საყუარელსა და თანა-შემწესა ჩუენსა,
2. და აპფიას, დასა და საყუარელსა, და არქიპოსს, თანა-მოსაგრესა ჩუენსა, და სახლისა შენისა კრებულთა.
3. მაღლი თქუენდა და მშჳდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა იესუ ქრისტესა.
4. ეპმადლობ ღმერთსა ჩემსა მარადის და კსენებასა შენსა ვჰყოფ ლოცვათა შინა ჩემთა.
5. მესმის შენი ეგე სიყუარული და სარწმუნოებაჲ, რომელი გაქუს უფლისა მიმართ იესუ ქრისტესა და ყოველთა მიმართ წმიდათა,
6. რაჲთა ზიარებაჲ ეგე სარწმუნოებისა შენისაჲ შეწევნულ იყოს მეცნიერებითა ყოელისა კეთილისაჲთა, რომელ არს ჩუენ შორის ქრისტე იესუჲს მიმართ.
7. რამეთუ სიხარული დიდი მაქუს და ნუგეშინის-ცემაჲ სიყუარულისა შენისათჳს, რამეთუ ნაწლევნი წმიდათანი განსუენებულ არიან შენთჳს, ძმაო.
8. ეინაჲცა მრავალი კადნიერებაჲ მაქუს ქრისტეს მიერ ბრძანებად შენდა ჯეროვნისა;
9. სიყუარულისათჳს უფროჲსღა გლოცავ ესეეითარი ესე, ვითარცა პაელე მოხუცებული, ხოლო აწ კრულიცა ქრისტე იესუჲსი.
10. გლოცავ შენ შვილისა ჩემისათჳს, რომელი ვშეე კრულებათა შინა ჩემთა, ონისიმე,
11. რომელი-იგი ოდესმე უკმარ

შენდა, ხოლო აწ შენდა და ჩემდა საკმარ, რომელი-იგი მიევალინე შენდა,
12. სოლო შენ შეიწყნარე, ესე იგი არს ნაწლევი ჩემი,
13. რომლისაჲ მეგულებოდა დაყენებად ჩემ თანა, რაჲთა შენ წილ მმსახურებდეს მე კრულებათა ამათ შინა სახარებისათა.
14. ხოლო თჳნიერ ცნობისა შენისა არა ვინებე ყოფად, რაჲთა არა უნებლებით კეთილი იგი შენი იყოს, არამედ ნეფსით.
15. ვინ უწყის, გან-ეე ამისთჳს-გეშორა ჟამ ერთ, რაჲთა საუკუნოდ მიიყვანო იგი
16. არა-არა ვითარცა მონაჲ, არ[illegible]ა უფროჲსღა მონისა, საყუარელ[illegible] ძმაჲ. ვინაჲთგან ჩემდა ესრეთ, რაოდენ უფროჲს შენდა კორციელადცა და უფლისა მიერცა!
17. უკუეთუ შეგირაცხიე მე თანა-ზიარად, შეიწყნარე ეგე, ვითარცა მე.
18. ხოლო უკუეთუ რაჲმე შეგცოდა გინა თანა-აც, იგი მე შემირაცხე.
19. მე, პაელე, დაეწერე კელითა ჩემითა: მე გარდავიკაღო; რაჲთა არა გრქუა შენ, ვითარმედ თავიცა შენი თანა-გაც ჩემდა.
20. ჰე, ძმაო, მე მოგიპოვე შენ უფლისა მიერ; განუსუენე ნაწლევთა ჩემთა ქრისტეს მიერ.
21. სასოებითა მორჩილებისა შენისაჲთა მიგწერე შენდა, უწყი, რამეთუ რომლისათჳს-ესე გეტყჳ, ჰყოცა.
22. და მის თანა განმიმზადე მე ვანიცა; რამეთუ ვესავ, ვითარმედ ლოცვითა თქუენითა მიგემაღლო თქუენ.
23. გიკითხვენ შენ ეპაფრა, თანა-ტყუე ჩემი ქრისტე იესუჲს მიერ,
24. მარკოზ, არისტარხოს, დიმა, ლუკა, თანა-შემწენი ჩემნი.
25. მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი სულისა თქუენისა თანა. ამინ.

უწყებანი ებრაელთა მიმართისა ეპისტოლისა წმიდისა მოციქულისა პავლესნი

სოლო ებრაელთა მიმართ ეპისტოლესა მიპსწერს იტალიით; და ესე არს მიზეზი ეპისტოლისა ამის, ვინათგან პურიანი დაღგრომილ-იყუნეს აჩრდილსა ზედა ჰსჯულისასა ამისთჳს მოციქული პაელე მოძღუარ წარმართთა იქმნა, და წარმართთა მიმართ წარიელინა ქადაგებად სახარებისა, ეპისტოლე წარუელინა ყოველთა მიმართ წარმართთა, ამისა შემდგომად მიპსწერს ყოველთა მიმართ წინა-დაცუეთილებისაგანთა მორწმუნეთა პურიათა რაჲთა უჩუენოს ეპისტოლისა ამის მიერ მოსლეაჲ ქრისტესი, და დაცსრომა აჩრდილთა ჰსჯულისათა, და პირველად უჩუენებს, ვითარმედ ამისთჳს მოიელინნეს წინასწარ-მეტყუელნი, და მაუწყებელნი მოსლეისა მისისანი, ხოლო ქრისტე ძე ღმრთისა რომლისა მიერ ყოველი შეიქმნა, და ვითარმედ ჯერ-იყო მისა რაჲთა ძე კაცისა იქმნეს, რაჲთა მსხუერპლითა მით ხორცთა მისთათა განაქარეოს სიკუდილი, რამეთუ არა სისხლითა ვეარაკთა ანუ ეაცთათა, არამედ სისხლითა ქრისტესითა ენება ყოფაჲ კაცთა ცხოერებისა, და უჩუენებს, რამეთუ ჰსჯულმან არა რაჲ სრული საქმე ჰქმნა, არამედ აჩრდილი აქუნდა მომაჳალთა კეთილთა. ვითარმედ არა განისუენა ერმან, არამედ ზოგად ყოველთა ჩუენ დაგჳშთა ღღე განსუენებისა, ეგრეთვე აუწყებს, რამეთუ მღდელთ-მთავრობისა მსახურება მიიცვალა აპრონისგან ქრისტეს მიმართ რომლისა სახე იყო მელქისედეკ, რომელი არა იყო ლევისაგან და აუწყებს რამეთუ სარწმუნოებით განმართლდენ მამანი, და არა საქმეთაგან ჰსჯულისათა, ეგრეთ კუალად იწყებს სწაელად მათდა და აქებს ქრისტესთჳს მოთმინებასა მათსა და ამცნებს პატივის-ცემად ხუცესთა, და დაასრულებს ეპისტოლესა.

პავლე მოციქულის წიგნი ებრაელთა მიმართ

1

1. მრავლით კერძო და მრავლით სახით მაშინვე ღმერთი ეტყოდა მამათა წინაწარმეტყუელთა მიერ, ხოლო უკუანაჲსკნელთა ამათ ღღეთა მეტყოდა ჩუენ ძისა მიერ თჳსისა,
2. რომელი-იგი დაადგინა მკჳდრად ყოველთა, რომლისაგანცა შექმნნა საუკუნენი,

3. რომელი-იგი არს ბრწყინვალებაჲ დიდებისაჲ და ხატი ძლიერებისა მისისაჲ, უტყრთვან ყოველნივე სიტყუთა მით ძლიერებისა მისისაჲთა, თავისა მიერ თჳსისა განწმედაჲ ცოდვათა ჩუენთაჲ ყო; და დაჯდა იგი მარჯუენით სიმდიდრესა მისსა მაღალთა შინა;
4. ესოდენ უმჯობეს იყო ანგელოზთა, რაოდენცა უმჯობესი მათსა დაიმკჳდრა სახელი.
5. რამეთუ ოდეს-საღა ვის ჰრქუა ანგელოზთაგანსა: ძე ჩემი სარი შენ, და მე დღეს მიშობიე შენ? და მერმე იტყჳს: მე ვიყო მისა მამა, და იგი იყოს ჩემდა ძე.
6. და ოდეს კუალად შემოჰყავს პირმშოჲ იგი სოფლად, იტყჳს: და თაყუანის-სცემდენ მას ყოველნი ანგელოზნი ღმრთისანი.
7. ხოლო ანგელოზთათჳს იტყჳს: რომელმან შექმნნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა.
8. ხოლო ძისათჳს იტყჳს: საყდარი შენი, ღმერთო, უკუნითი უკუნისამდე; კუერთხი განგებისაჲ და კუერთხი სუფევისა შენისაჲ.
9. შეყუარე სიმართლე და მოიძულე უშჯულოებაჲ. ამისთჳს ცხოს შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან საცხებელი სიხარულისაჲ უმეტეს მოყუასთა შენთა.
10. და: შენ დასაბამსა, უფალო, ქუეყანაჲ დააფუძნე, და ქმნულნი კელთა შენთანი ცანი არიან;
11. იგინი წარკდენ, ხოლო შენ ეგო უკუნისამდე; და ყოველნი ვითარცა სამოსელნი დაძუელდენ,
12. და ვითარცა შესამოსელნი სცვალნე იგინი, და იცვალნენ. ხოლო შენ თავადი იგივე ხარ, და წელიწადთა შენთა არაჲ მოაკლდეს.
13. ოდეს-საღა ვის ანგელოზთაგანსა ჰრქუა საღამე: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერჴთა შენთა?
14. ანუ არა ყოველნივე არიანა მოხარკე სულებ, მსახურად მოვლინებულ მათთჳს, რომელთა-იგი დამკჳდრებად არს ცხორებაჲ?

2

1. ამისთჳს ჯერ-არს უმეტესად კრძალვაჲ ჩუენი, რომელთა-ესე გუასმიეს, რაჲთა არა მოუძლურდეთ.
2. რამეთუ უკუეთუ რომელი-იგი ანგელოზთა მიერ ითქუა სიტყუაჲ, იქმნა მტკიცე და ყოველმან შჯულისა გარდამავალმან და ურჩმან მიიღო საშჯელი კუალად-გებისაჲ,
3. ვითარ-მე ჩუენ განვერნეთ, უკუეთუ ესოდენი-ესე უდებ ვყოთ ცხორებაჲ, რომელმან-

-იგი დასაბამი მოიღო სიტყუად უფლისა მიერ, მსმენელთა მათგან ჩუენდა მომართ დამტკიცნა,
4. თანა-მოწამებითა ღმრთისაჲთა, სასწაულებითა და ნიშებითა და ფერად-ფერადითა ძალითა და სულისა წმიდისა განყოფითა ნებისაებრ მისისა?
5. რამეთუ არა ანგელოზთა დაამორჩილა მერმე იგი სოფელი, რომლისათჳს-ესე ვიტყჳთ;
6. სოლო უწამებიეს სადამე ეისმე და იტყჳს: რაჲ არს კაცი, რამეთუ მოიკსენე იგი? ანუ ძე კაცისაჲ, რამეთუ მოხედე მას?
7. დააკლე იგი მცირედ რაჲმე ანგელოზთა შენთა; დიდებითა და პატივითა გჳრგჳნოსან ჰყავ იგი,
8. ყოველივე დაამორჩილე ქუეშე ფერკთა მისთა. რამეთუ დამორჩილებასა მას ყოვლისასა არარაჲ დაუშთა მისა დაუმორჩილებელად. ხოლო აწ არღა ვხედავთ ყოველსავე დასამორჩილებელად.
9. ხოლო მცირედ რაჲმე ანგელოზთა დაკლებულად ვხედავთ იესუს ენებითა მით სიკუდილისაჲთა და დიდებითა და პატივითა გჳრგჳნოსანსა, რაჲთა მადლითა ღმრთისაჲთა ყოველისაჲთჳს იხილოს გემოჲ სიკუდილისაჲ.
10. რამეთუ შე-ეე მისა-ჰგუანდა, რომლისათჳს არს ყოველი და რომლისაგან არს ყოველი, რომელმან მრავალნი შეილნი დიდებად მოიყვანნა, და წინამძღუარი იგი ცხორებისა ჩუენისაჲ ენებითა სრულ ყოფად.
11. რამეთუ განმწმედელი იგი და განწმედილნი იგი ერთისაგან არიან ყოველნი, რომლისათჳსცა არა ჰრცხუენის ძმაღ წოდებაჲ მათი და იტყჳს:
12. მიუთხრა სახელი შენი ძმათა ჩემთა და შორის კრებულსა გიგალობდე შენ.
13. და მერმე იტყჳს: მე ვიყო მოსავ მისსა; და კუალად: აჰა ესერა მე და ყრმანი, რომელნი მომცნა მე ღმერთმან.
14. რამეთუ ყრმათაცა ეზიარა ჴორცითა და სისხლითა, და თავადმან მსგავსად მოიღო მათივე, რაჲთა სიკუდილითა მით განაქარჳოს, რომლისა-იგი ჴელმწიფებაჲ აქუნდა სიკუდილისაჲ, ესე იგი არს ეშმაკი,
15. და განათავისუფლნეს ესენი, რაოდენნი შიშითა სიკუდილისაჲთა სამარადისოდ ცხორებად თანა-მდებ იყვნეს კირთებისა.
16. რამეთუ არასადაჲთ ანგელოზთაჲთ იწყო, არამედ ნათესავისაგან აბრაჰამისა იწყო.
17. ამისთჳს ჯერ-იყო მისა ყოველითავე ძმათა მსგავსებაჲ. რაჲთა მოწყალე ექმნეს და სარწმუნო მღდელთ-მოძღუარ ღმრთისა მიმართ, რაჲთა ულხინებდეს ცოდვათა ერისათა.

18. რამეთუ რომლითა-იგი იესო თავადმან და გამოიცადა, ძალ--უც, რომელნი-იგი განიცადებოდიან, მათდაცა შეწევნად.

3

1. ვინაჲცა, ძმანო წმიდანო, ჩინებისა მის ზეცათაჲსა ზიარნო, განიცადეთ მოციქული იგი და მღელთ-მოძღუარი აღსარებისა ჩუენისაჲ, იესუ ქრისტე,
2. რომელი სარწმუნო არს შემოქმედისა თჳსისა, ვითარცა--იგი მოსეცა ყოველსა მას სახლსა მისსა.
3. რამეთუ უმრაელესსა დიდებასა ესე ღირს იყო უფროჲს მოსესსა, ვითარცა-იგი უფროჲსი პატიჲი აქუნ სახლისაჲ მის მაშენებელსა მას მისსა.
4. რამეთუ ყოველი სახლი აღეშენის ვისგანმე; ხოლო რომელმან ყოველიეე აღაშენა, ღმერთი არს.
5. და მოსეცა სარწმუნო იყო ყოველსაეე სახლსა მისსა, ვითარცა მსახური მოწამედ თქუმულთა მათ.
6. ხოლო ქრისტე,— ვითარცა ძე სახლსა ზედა მისსა; რომლისა სახლ ვართ ჩუენ, უკუეთუ კადნიერებაჲ იგი და სიქადული სასოებისაჲ მის ვიდრე აღსასრულადმდე მტკიცედ შევიკრძალოთ.
7. ამისთჳს, ვითარცა იტყჳს სული წმიდაჲ, დღეს თუ ჴმისა მისისაჲ ისმინოთ,
8. ნუ განიფიცხებთ გულთა თქუენთა, ვითარცა-იგი განმწარებასა მას დღისა მისებრ გამოცდისა უდაბნოსა ზედა,
9. სადა-იგი განმცადეს მე მამათა თქუენთა; გამომცადეს მე და იხილნეს საქმენი ჩემნი ორმეოც წელ.
10. ამისთჳს მოვიწყინე ნათესავი იგი და ეთქუ: მარადის სცთებიან იგინი გულითა მათითა და მათ არა იცნნეს გზანი ჩემნი.
11. ვითარცა ვფუცე რისხვითა ჩემითა, ვერ შევიდენ იგინი განსასუენებელსა ჩემსა.
12. ეკრძალენით, ძმანო, ნუუკუე სადამე იყოს ვისმე თქუენთაგანსა თანა გული უკეთური ურწმუნოებისაჲ განდგომად ღმრთისაგან ცხოველისა.
13. არამედ ნუგეშინის-სცემდით თავთა თჳსთა დღითი-დღედ, ვიდრე-ესე დღესღა ჰრქჳან, რაჲთა არა გან-ვინმე-ფიცხნეს თქუენგანი საცთურითა მით ცოდვისაჲთა.
14. რამეთუ თანა-ზიარ ქრისტესა ვიქმნენით, უკუეთუ დასაბამი იგი ძლიერებისაჲ აღსასრულადმდე მტკიცედ შევიკრძალოთ.
15. რაჟამს იტყოდის: დღეს თუ ჴმისა მისისაჲ ისმინოთ, ნუ განიფიცხებთ გულთა თქუენთა, ვითარცა-იგი განმწარებასა მას.

16. რამეთუ ესმა ვიეთმე და განამწარეს, არამედ არა ყოველთა, რომელნი გამოვიდეს ეგჳპტით მოსეს მიერ.
17. ხოლო ვიეთი მოიწყინა ორმეოც წელ? ანუ არა რომელთა-იგი შესცოდესა, რომელთაჲ-იგი ძუალები დაცჳვა უდაბნოსა ზედა?
18. ანუ ვიეთ ეფუცა არა-შესლვაღ განსასუენებელსა მისსა? არა-მე ურჩთა მათ?
19. და ვხედავთ, რამეთუ ვერ შეუძლეს შესლვაღ ურწმუნოებითა.

4

1. გუეშინოდენ უკუე, ნუსაღა, დატევებასა მას აღთქუმისასა შესლვაღ განსასუენებელსა მისსა, ჰგონებდეს ვინმე თქუენგანი დაკლებულად თავსა თჳსსა.
2. და რამეთუ ვართ ჩუენ ხარებულ, ვითარცა-იგი იგინი; არამედ არარაჲ არგო მათ სიტყუამან მან სმენისამან, ვინაჲთგან არა თანა-შეეზავა სარწმუნოებაჲ იგი მსმენელთა მათ.
3. ხოლო ჩუენ შევიდეთ განსასუენებელსა მას, მორწმუნენი ესე, ვითარცა-იგი თქუა: ვითარცა ვფუცე რისხეითა ჩემითა, ვერ შევიდენ იგინი განსასუენებელსა ჩემსა; და დაღათუ საქმენი იგი დასაბამითგან სოფლისაჲთ ქმნულ იყვნეს.
4. რამეთუ უთქუამს საღამე მეშჳდისა მისთჳს ესრეთ: და განისუენა ღმერთმან დღესა მას მეშჳდესა ყოველთაგან საქმეთა მისთა.
5. და ამისა შემდგომად კუალად იტყჳს: ვერ შევიდენ იგინი განსასუენებელსა ჩემსა.
6. ვინაჲთგან უკუე და-ვიეთმე-აკლებს შესლვაღ მას შინა, და რომელნი-იგი წინაწარ სარებულ იქმნეს, ვერ შევიდეს ურწმუნოებითა.
7. კუალად რასმე განაჩინებს დღესა დავითის მიერ და იტყჳს, შემდგომად ესოდენისა ჟამისა, ვითარცა-იგი თქუმულ არს: დღეს თუ კმისა მისისაჲ ისმინოთ, ნუ განიჟიცხებთ გულთა თქუენთა.
8. რამეთუ უკუეთუმცა ისოს, ძესა ნაევსსა, განესუენა მათდა, არამცა სხჳსა დღისათჳს ამისა შემდგომად იტყოდა.
9. და-სამე-აკლდების შაბათობაჲ იგი ერსა მას ღმრთისასა.
10. რამეთუ რომელი-იგი შეიდა განსასუენებელსა მისსა, მანცა განისუენა საქმეთაგან მისთა, ვითარცა-იგი თჳსთაგან ღმერთმან.
11. ვისწრაფოდ უკუე შესლვაღ განსასუენებელსა მას, რაჲთა არა მასვე სახესა ურწმუნოებისასა ვინმე შთავარდეს.
12. რამეთუ ცხოველ არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ და ძლიერ და

უმკუეთელეს უუროჲს ყოელისა მასჯლისა ორპირისა: და მისწუდების იგი ვიდრე განსაყოფელადმდე სამშუნველისა და სულისა, ნაწევართა და ტჯნთა, და განმკითხველ გონებათა და ზრასვათა გულისათა.

13. და არარაჲ არს დაბადებული დაფარულ წინაშე მისსა, არამედ ყოველივე შიშველ და ქედ-დაღრეკილ არს წინაშე თუალთა მისთა, რომლისათჯს არს სიტყუაჲ ესე ჩუენი.

14. მივის ჩუენ მღდელთ-მოძღუარი დიდი, რომელმან განვლნა ცანი, იესუ, ძე ღმრთისაჲ, შევიკრძალოთ აღსარებაჲ იგი მართლ.

15. რამეთუ არა ეგევითარი გჯეის მღდელთ-მოძღუარი, რომელიმცა ვერ შემძლებელ იყო შეწყალებად უძლურებათა ჩუენთა, გამოცდილი ყოვლითავე მსგავსებითა, თჯნიერ ცოდვისა.

16. მოუკდეთ უკუე განცხადებულად საყდარსა მას მაღლისათა, რაჲთა მოვიღოთ წყალობაჲ და ვპოოთ მაღლი ჟამსა შეწევნისასა.

5

1. რამეთუ ყოველივე მღდელთ-მოძღუარი, კაცთაგან მოყვანებული, კაცთათჯს დადგის იგი ღმრთისა მიმართ, რაჲთა შესწირვიდეს შესაწირავთა და მსხუერპლთა ცოდვათათჯს შენდობით

2. და სწორად წყალობად შემძლებელ არს უმეცართა მათ და შეცთომილთა, ვინაჲთგან მასცა გედა-აც უძლურებაჲ;

3. და ამისთჯს თანა-აც ვითარცა ერისათჯს, ეგრეცა თავისა თჯსისათჯს შეწირვად მსხუერპლი ცოდვათათჯს.

4. და არაეინ თავით თჯსით მოიღის პატივი, არამედ რომელი წოდებულ არნ ღმრთისა მიერ, ვითარცა-იგი აჰრონ.

5. ეგრეთცა ქრისტე არა თავი თჯსი ადიდა ყოფად იგი მღდელთ-მოძღუარად, არამედ რომელი-იგი ეტყოდა მას: ძე ჩემი ხარი შენ, და მე დღეს მიშობიე შენ.

6. ვითარცა-იგი სხუასაცა ადგილსა იტყჯს: შენ სარ მღდელ უკუნისამდე წესსა მას გედა მელქისედეკისსა.

7. ვითარცა-იგი დღეთა მათ ჯორცთა მისთასა ვედრებასა და ლოცვასა შემძლებელისა მის მიმართ კსნად მისა სიკუდილისაგან კმითა მაღლითა და ცრემლითა შესწირვიდა, და შეისმინა მისი მოშიშებისა მისგან.

8. და რამეთუ ძელა იყო, ისწაეა, ვინაჲთგან იგი ივნო, მორჩილებაჲ.

9. და სრულ იქმნა და ექმნა ყოველთა მორჩილთა მისთა მიზეზ ცხორებისა საუკუნოჲსა;

10. და სახელ-ედვა ღმრთისა მი-

ერ მღდელთ-მოძღუარ წესსა მას გედა მელქისედეკისსა.
11. რომლისათჳს მრავალ არს ჩუენდა სიტყუად და ძნიად სათარგმანებელ თქუმად, ვინაჲთგან უძლურ იქმნენით სასმენელითა.
12. და რამეთუ თანა-გედეა, რაჲთამცა იყეენით მოძღუარ ჟამისა ამისგან; კუალად გიკმს-ეე-ღა მოძღურებაჲ თქუენ ასოთა რათმე დასაბამისა სიტყუათა ღმრთისათა; და იქმნენით მოქენე სძისა და არა მტკიცისა საბრდელისა.
13. რამეთუ ყოველი, რომელი მიიღებენ სძესა, უმეცარ არს სიტყუასა მას სიმართლისასა, რამეთუ ჩჩჳლ არს.
14. ხოლო სრულთაჲ არს მტკიცე იგი საბრდელი, რომელთა წესითა მით გონებანი წურთილნი ჰქონედ განრჩევად კეთილისა და ბოროტისა.

6

1. ამისთჳს დაუტეოთ დასაბამისა მის ქრისტეს სიტყუათაჲ და სისრულისა მიმართ მოვიდეთ; ნუ კუალად საძირკულსა დავსდებთ სინანულისასა მკუდართაგან საქმეთა და სარწმუნოებისა ღმრთისა მიმართ,
2. ნათლის-ღებისა სწავლისა, დასხმისა კელთაჲსა და აღდგომისა მკუდართაჲსა და საშჯელისა მის საუკუნოჲსა.
3. და ესე ვყოთ, უკუეთუ გჳბრძანოს ღმერთმან.
4. რამეთუ შეუძლებელ არს ერთგზის განათლებულთა მათ, რომელთა გემოჲ ეხილეოს ნიჭთა მათ ზეცისათაჲ და ზიარ-ქმნულ იყვნენ სულისა წმიდისა
5. და კეთილი გემოჲ ეხილეოს სიტყჳსა ღმრთისაჲ და ძალი იგი მერმისა მის საუკუნოჲსაჲ
6. და დაცემულთა კუალად განახლებაჲ სინანულად, თანა-ჯუარ-ცუმად თავთა მათთა ძესა ღმრთისასა და განქიქებად.
7. რამეთუ ქუეყანამან რომელმან სჳს მრავალგზის მის ზედა მოსრული წჳმაჲ და გამოიღის მწუანეილი, სარგებელი მათთჳს, რომელთათჳსცა იქმნების, მიიღებს კურთხევასა ღმრთისა მიერ.
8. ხოლო უკუეთუ მოიღის ეკალი და კუროჲსთავი ურგები და წყევისა მახლობელი, რომლისა უკუანაჲსკნელი დასაწუველად არნ.
9. ხოლო ჩუენ გურწამს თქუენთჳს, საყუარელნო, უმჯობესი და მახლობელი ცხორებისაჲ, ესრეთ ღათუ ვიტყჳთ.
10. რამეთუ არა არს სიცრუე ღმრთისა თანა, ვითარმცა დაიეწყნა საქმენი თქუენნი და შრომაჲ სიყუარულისა თქუენისაჲ, რომელი აჩუენეთ სახელისა მისისათჳს, რამეთუ ჰმსახუ-

რებდით წმიდათა მათ და ჰმსახურებთცა.
11. გუსურის კაცად-კაცადისა თქუენისაჲ, რაჲთა მასვე აჩუენებდეთ მოსწრაფებასა გულ-სავსებისა მის მიმართ სასოებისა ვიდრე აღსასრულადმდე,
12. რაჲთა არა მოჰმედგრდეთ, არამედ მობაძაე იყენეთ მათდა, რომელთა-იგი სარწმუნოებითა და სულგრძელებითა დაიმკჳდრნეს აღთქუმანი.
13. რამეთუ აბრაჰამს აღუთქუა ღმერთმან, ვინაჲთგან არავინ იყო უფროჲსი,რომელსამცა ფუცა, ფუცა თავისა თჳსისა;
14. და თქუა, ვითარმედ: კურთხევით გაკურთხო შენ და განმრავლებით განგამრავლო შენ.
15. და ესრეთ სულგრძელ იქმნა და მიემთხჳა აღთქუმასა.
16. რამეთუ კაცთა უფროჲსისა მიმართ ფუციან და ყოველისა ცილობისა მათისა დასასრულსა დასამტკიცებელად ფიცი არს.
17. რომლითა უმეტესად უნდა ღმერთსა ჩუენებად მკჳდრთა მათ მის აღთქუმისათა შეუძრეველობაჲ ზრახვისა მისისაჲ, შუამდგომელ ყო ფიცი,
18. რაჲთა ორთავე მათ საქმეთა მიერ შეუძრავთა, რომელთა შინა შეუძლებელ იყო ცრუებად ღმერთი, ძლიერი ნუგეშინის-ცემაჲ გუაქუნდეს ჩუენ, რომელნი-ესე შეველედრენით შეკრძალვად წინა-განმზადებულსა მას სასოებასა,
19. რომელი ვითარცა სარისხი გჳპჳრიეს სულისაჲ კრძალული და მტკიცე და შემავალი შინაგანსა მას კრეტსაბმელსა,
20. საღა-იგი წინამორბედად ჩუენთჳს შევიდა იესუ, წესსა მას ზედა მელქისედეკისსა მღდელთ-მოძღუარ იქმნა იგი უკუნისამდე.

7

1. რამეთუ ესე მელქისედეკ, მეფე სალემისაჲ, მღდელი ღმრთისა მაღლისაჲ, რომელი შეემთხჳა აბრაჰამს, მო-რაჲ-ქცეულ იყო იგი მოწყუედისა მისგან მეფეთაჲსა, და აკურთხა იგი,
2. რომელსაცა-იგი ათეული მისცა ყოველისა მისგან ნაწილად აბრაჰამ,პირველად უკუე ითარგმანების „მეუფე სიმართლისაჲ“, და მერმე – „მეფე სალემისაჲ“, რომელ არს მეუფე მშჳდობისაჲ,
3. უმამო, უდედო, ნათესავ-მოუჴსენებელ; არცა დასაბამი დღეთაჲ, არცა აღსასრული ცხორებისაჲ აქუს, ხოლო მიმსგავსებულ არს იგი ძესა ღმრთისასა და ჰგიეს იგი მღდელად სამარადისოდ.
4. იხილეთ-ღა, რაბამ იყო ესე, რომელსა-იგი ათეულიცა მისცა აბრაჰამ რჩეულთა მათგან მამათ-მთავარმან.
5. და რომელნი-იგი ლევის ძე-

თაგანნი მღდელობასა მიიღებენ, მცნებაჲ აქუს ათეულისა მიღებად ერისაგან მსგავსად რჩულისა, ესე იგი არს ძმათაგან თჳსთა, და გამოსრულთა მათგანღა წელთაგან აბრაჰამისთა.

6. ხოლო ნათესავ-მოუკსენებელმან მან მათგან ათეული მიიღო აბრაჰამისგან, და აკურთხა, რომელსა-იგი აღთქუმანი აქუნდეს.

7. ხოლო თჳნიერ ყოელისა ცილობისა უმცირესი იგი უმჯობესისაგან იკურთხევის.

8. და აქა რომელნი-იგი მოსწყდებიან კაცნი, ათეულსა მიიღებენ; ხოლო მუნ წამებულ არს, ეითარმედ ცხოველ არს,

9. და რაჲთა მოკლედ ვთქუათ, აბრაჰამისთჳს და ლევისთჳს, რომელი ათეულსა მიიღებს, ათეულადვე შეწირულ არს;

10. რამეთუ წელთაღა შინა მამისათა იყო, ოდეს-იგი შეემთხჳა მას მელქისედეკ.

11. რამეთუ უკუეთუმცა განსრულებაჲ ლევიტელთაგან მღდელობისაჲ იყო, — რამეთუ ერი იგი მას ზედა შჯულ-დებულ არს, — რაღღა საკმარ იყო მერმე წესსა მას ზედა მელქისედეკისა სხუაჲ აღდგინებად მღდელი და არა წესსა მას ზედა აჰრონისსა თქუმად?

12. რამეთუ ცვალებასა თანა მღდელობისასა ჩანს იძულებით, რამეთუ შჯულისაცა ცვალებაჲ იქმნების,

13. რომელსა ზედა თქუმულ არს ესე: სხჳსა ნათესავისამან დაიპყრა, რომლისაგანი არასადა საკურთხეველსა წარღგომილ იყო.

14. წინაწარ ჩანს, რამეთუ იუდაჲს ნათესავისაგან აღმოგჳბრწყინდა უფალი ჩუენი, რომლისა ნათესავისაჲ მღდელობისათჳს არაჲ აკსენა მოსე.

15. და უმეტესადღა ცხად არს, უკუეთუ მსგაესად მელქისედეკისსა აღდგეს სხუაჲ მღდელთ-მოძღუარი,

16. რომელი არა შჯულისა მისებრ მცნებისა ჯორციელისა იყოს, არამედ ძალისა მისებრ ცხორებისა წარუვალისა.

17. რამეთუ ეწამების, ეითარმედ: შენ ხარ მღდელ უკუნისამდე წესსა მას ზედა მელქისედეკისსა.

18. რამეთუ შეურაცხებაჲ იქმნების პირველისა მის მცნებისაჲ უძლურებისა მისისათჳს და ურგებობისა,

19. რამეთუ არარაჲ სრულ ყო შჯულმან; ხოლო შემოსლვაჲ უმჯობესისა სასოებისაჲ, რომლისა მიერ მივეახლებით ღმერთსა.

20. და რაოდენ-იგი არა თჳნიერ ფიცისა, — რამეთუ რომელნიმე თჳნიერ ფიცისა არიან მღდელ ყოფილ;

21. ხოლო ესე – ფიცით მის მიერ, რომელმან-იგი ჰრქუა მას: ფუცა უფალმან და არა შეინანოს; შენ სარ მღდელ უკუნისამდე წესსა მას ზედა მელქისედეკისსა, –
22. ესოდენ უმჯობესისა აღთქუმისა იქმნა თაეს-მდებ იესუ.
23. და რომელნიმე მრავალნი არიან მღდელად დადგინებულნი სიკუდილისაგან დაყენებითა დადგრომად.
24. ხოლო ამას დადგრომისათჳს მისისა უკუნისამდე წარუვალად აქუს მღდელობაჲ იგი,
25. ვინაჲცა ყოველითურთ ცხორებად შემძლებელ არს მათდა, რომელნი-იგი მის მიერ მოუჯდებიან ღმერთსა, და სამარადისოდ ცხოველ არს მეოხად მათთჳს.
26. რამეთუ შე-ვე ესეეითარი-ჰგუანდა ჩუენდა მღდელთ-მოძღუარი: წმიდაჲ, უმანკოჲ, შეუგინებელი, განშორებული ცოდვათაგან და უმაღლესი ცათაჲ,
27. რომელსა არა უკმს დღითი-დღედ, ვითარცა მღდელთ-მოძღუართა მათ, პირველად თჳსთა ცოდვათათჳს მსხუერპლისა შეწირვაჲ და მერმე ერისათჳს, რამეთუ თავადმან ერთგზის ყო ესე და თავი თჳსი შეწირა.
28. რამეთუ შჯულმან კაცნი დაადგინნა მღდელთ-მოძღურად, რომელთა აქუნდა უძლურებაჲ, ხოლო სიტყუამან ფიცისამან, რომელი-იგი შემდგომად შჯულისა იყო, – ძე, უკუნისამდე განსრულებული.

8

1. ხოლო თავად თქუმულთა მათ ზედა ესე არს: ესეეითარი გჳვის ჩუენ მღდელთ-მოძღუარი, რომელი დაჯდა მარჯუენით საყდართა დიდებისათა ზეცათა შინა,
2. წმიდათა მსახური და კარვისა მის ჭეშმარიტისაჲ, რომელი აღაშენა უფალმან და არა კაცმან.
3. რამეთუ ყოველივე მღდელთ-მოძღუარი შეწირვად მსხუერპლისა და შესაწირავისა დადგინებულ არს, ვინაჲცა უღირს მასცა, რაჲთა აქუნდეს რაჲმე, რომელი-იგი შეწიროს თავისა თჳსისათჳს.
4. რამეთუ უკუეთუმცა იყო ქუეყანასა ზედა, არამცა იყო მღდელი, ყოფილთა მათ მღდელთა შემწირველთა, მსგავსად შჯულისა, მსხუერპლთა,
5. რომელნი-იგი სახედ და აჩრდილად ჰმსახურებენ ზეცისაჲსა მის, ვითარცა-იგი ბრძანებაჲ მოიღო მოსე საქმესა მას კარვისასა, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: იხილე და ქმენ ყოველივე მსგავსად სახისა მის, რომელი გიჩუენე შენ მთასა ზედა.
6. ხოლო აწ უმჯობესსა მიიწია მსახურებასა, ვითარცა-იგი არს

უმჯობესისა აღთქუმისა შუა-მდგომელ, რომელი-იგი უმჯობესსა მას აღთქუმასა ზედა შჯულ-დებულ არს.
7. რამეთუ უკუეთუმცა პირველი იგი იყო უბიწო, არღარამცა მეორისაჲ მის საძიებელ იყო აღგილი.
8. რამეთუ აბრალებს მათ და ეტყჳს: აჰა ესერა დღენი მოელენან, იტყჳს უფალი, და აღვასრულო სახლსა ზედა ისრაჱლისასა და სახლსა ზედა იუდაჲსსა აღთქუმაჲ ახალი
9. არა აღთქუმისა მისებრ, რომელი-იგი აღუთქუ მამათა მათთა დღესა მას, რომელსა უპყარ კელი მათი გამოყვანებად მათდა ქუეყანით ეგჳპტით, რამეთუ იგინი არა დააღგრეს შჯულსა ჩემსა, და მე შეურაცხ-ვყევნ იგინი, იტყჳს უფალი.
10. რამეთუ ესე არს აღთქუმაჲ, რომელი აღუთქუა სახლსა ისრაჱლისასა შემდგომად დღეთა მათ, იტყჳს უფალი: მივსცნე შჯულნი ჩემნი გონებათა მათთა, და გულთა მათთა ზედა გამოვწერნე იგინი; და ვიყო მე მათა ღმრთად, და იგინი იყვნენ ჩემდა ერად.
11. და არა ასწაევებდეს კაცად-კაცადი მოქალაქესა თჳსსა და კაცად-კაცადი ძმასა თჳსსა და ჰრქუას: „იცან უფალი“, რამეთუ ყოველთა მიცოდიან მე მცირითგან მათით ვიდრე დიდად მათამდე.
12. რამეთუ ულხინო სიცრუეთა მათთა და უშჯულოებანი მათნი და ცოდვანი მათნი არღარა მოვიკსენნე მერმე,
13. რაჟამს-იგი თქუას „ახალიო“, დააძუელა პირველი იგი; ხოლო დაძუელებადი იგი და დაბერებადი მახლობელ არს განრყუნისა.

9

1. რამეთუ აქუნდა პირველსა მასცა სჯულსა სამართალი მსახურებათაჲ წმიდაჲ იგი სოფლიოჲ;
2. რამეთუ კარავი შეიმზადა პირველი, რომელსა შინა იყო სასანთლე იგი და ტაბლაჲ და დაგებაჲ იგი პურთაჲ, რომელსა ერქუა „წმიდა“.
3. ხოლო შემდგომად მეორე იგი კრეტსაბმელი კარვისაჲ, რომელსა ერქუა „წმიდაჲ წმიდათაჲ“.
4. ოქროჲსაჲ აქუნდა სასაკუმეელე და კიდობანი იგი შჯულისაჲ, შემოსილი გარეთ და შინაჲთ ოქროჲთა, რომელსა შინა იყო ტაკუკი იგი ოქროჲსაჲ, საესე მანანაჲთა, და კუერთხი იგი აჰრონისი, რომელი განეღლდა, და ფიცარნი იგი შჯულისანი,
5. ხოლო ზედა კერძო მისა ქერობინი დიდებისაჲ, რომელი აგრილობდა სალხინებელსა

მას; რომელთათჳს არა არს აწ თჳთოეულად სიტყუად.
6. და ესე რაჲ ესრეთ აღმართებულ იყო, პირველსა მას კარავსა მარადის შეელენედ მღდელნი და მსახურებასა მას აღასრულებედ.
7. ხოლო შინაგანსა მას ერთგზის წელიწადსა მღდელთ-მოძღუარი იგი ხოლო შეიდის და არა თჳნიერ სისხლისა, რომელი-იგი შეწირის თავისა თჳსისათჳს და ერისა უმეცრებისათჳს.
8. და ესე უწყებითა სულისა წმიდისაჲთა, რამეთუ არღა გამოჩინებულ იყო წმიდათა იგი გზაჲ, არამედ პირველისა მისღა კარეისაჲ აქუნდა წესი.
9. რომელი-იგი იგავი იყო ჟამისა მის მოწევნადისაჲ, რომელსა შინა მსხუერპლნი და შესაწირავნი შეიწირვოდეს,რომელნი ვერ შემძლებელ იყუნეს გულითად სრულყოფად შემწირველთა მათ,
10. გარნა საჭმელთა ხოლო ზედა და სასუმელთა და პირად-პირადთა ბანათა და სამართალითა კორცთაჲთა ვიდრე ჟამადმდე განგებისა მის მოწევნადისა.
11. ხოლო ქრისტე მოვიდა, მღდელთ-მოძღუარი იგი ყოფადთა მათ კეთილთაჲ,უფროჲსითა მით და უსრულესითა კარეითა, კელით უქმნელითა, ესე იგი არს,არა ამის დაბადებულისაჲთა,
12. არცა სისხლითა ვაცთა და ზუარაკთაჲთა, არამედ თჳსითა სისხლითა შევიდა ერთგზის სიწმიდესა მას და საუკუნოჲ გამოჴსნაჲ პოვა.
13. რამეთუ უკუეთუ სისხლი იგი ვაცთა და ზუარაკთაჲ და ნაცარი იგი დიაკეულთაჲ,რომელი ეპკურებოდა შეგინებულთა მათ და განსწმედდა მსგაესად ჴორცთა მათ განწმედისათა,
14. რაოდენ უფროჲს სისხლმან ქრისტესმან, რომელმან-იგი სულითა საუკუნოდ თავი თჳსი შეწირა უბიწოდ ღმრთისა, განწმიდნეს გონებანი თქუენნი მკუდართაგან საქმეთა მსახურებად ღმრთისა ცხოველისა!
15. და ამისთჳს ახლისა აღთქუმისა შუა-მდგომელ არს, რაჲთა სიკუდილიღა მოიწიოს გამოსაჴსრად პირველისა მის შჯულისა გარდასრულთა, აღთქუმაჲ იგი მოიღონ ჩინებულთა მათ საუკუნოჲსა მის მკჳდრობისათა.
16. რამეთუ სადა-იგი წიგნის წერაჲ არს, სიკუდილი უნებლიად ზედა-აც წიგნის მწერალსა მას,
17. რამეთუ ანდერძი დაწერილი მკუდართა შემდგომადღა მტკიცე არს; უკუეთუ არა, ვერსადა მტკიცე არნ, ვიდრე ცოცხალღა არნ ანდერძის მწერალი იგი.
18. ვინაჲცა არცა პირველი იგი

თუნიერ სისხლისა განასლდებოდა.
19. რამეთუ ითქუნეს ყოველნი იგი მცნებანი მსგავსად შჯულისა მოსეს მიერ ყოელისა მიმართ ერისა, მოიღის სისხლი იგი ზუარაკთა და ვაცთაჲ წყალსა თანა მატყლითა მეწამულითა და უსუპითა, თუთ მასვე წიგნსა და ყოველსა ერსა აპკურის
20. და თქჳს: ესე სისხლი აღთქუმისაჲ, რომელი გამცნო თქუენ ღმერთმან.
21. თუთ მას კარაესა და ყოველსა მას ჭურჭელსა სამსახურებელისასა ეგრეთვე მსგავსად სისხლი ასხურის.
22. და კნინღა ყოველიე იგი სისხლითა განწმიდნებოდა მსგავსად შჯულისა მის, და თუნიერ სისხლის დათხევისა არა იყო მოტევებაჲ.
23. საჭირო არს უკუე, ვინაჲთგან სახენი იგი ზეცისათანი ამით განწმდებოდეს, რაჲთა ზეცისანი იგი ამათსა უმჯობესითა მსხუერპლითა განწმდენ.
24. რამეთუ არა ქელით ქმნულთა სიწმიდეთა შევიდა ქრისტე სახედ ჭეშმარიტთა მათ, არამედ თუთ მათ ცათა, აწვე ჩუენებად პირსა ღმრთისასა ჩუენთჳს,
25. არცა რაჲთა მრავალგზის შეწიროს თავი თუსი, ვითარცა-იგი მღდელთ-მოძღუარი იგი შეიდის წელიწადსა ერთგზის სიწმიდესა მას სისხლითა სხჳსაჲთა;
26. უკუეთუ ჯერ-ვიდრემე-იყო მისა მრაჲალგზის ვნებად სოფლის დაბადებითგან; ხოლო აწ ერთგზის აღსასრულსა ჟამთასა შეურაცხის-ყოფად ცოდეათა მსხუერპლითა თჳსითა გამოჩნდა.
27. და ვითარცა-იგი წინა-უც კაცთა ერთგზის სიკუდილი და მისა შემდგომად საშჯელი,
28. ეგრეცა ქრისტე ერთგზის შეიწირა მრაჲალთათჳს აკოცად ცოდეათა, ხოლო მეორედ თუნიერ ცოდეათა გამოეცხადოს, რომელნი-იგი მოელიან მას მაცხოერად.

10

1. რამეთუ აჩრდილი აქუნდა შჯულსა მერმეთა მათ კეთილთაჲ, არა თუთ იგი ხატი საქმეთაჲ მათ წლითი წლად მსხუერპლთა მათ, რომელთა შესწირეედ სამარადისოდ, ვერსაჲ შემძლებელ იყუნეს იგინი შემწირველთა მათ განსრულებად.
2. უკუეთუმცა არა, არასადა დასცხრეს შეწირვისაგან, ვინაჲთგან არცა ერთიღა-მცა რაჲ იჭუ აქუნდა ცოდეათაჲ შემწირველთა მათ ერთგზის განწმედილთა,
3. არამედ მათ შინა კუალად

მოკსენებაჲ ცოდვათაჲ წლითი წლად,
4. რამეთუ ვერ შემძლებელ არს სისხლი ვაცთა და კუროთაჲ აკოცად ცოდვათა.
5. ამისთჳს შემო-რაჲ-ვალს სოფლად, იტყჳს: შესაწირავი და მსხუერპლი არა გთნდა, სოლო კორცნი დამამტკიცენ მე.
6. საკუერთხი ცოდვათათჳს არა ინებე.
7. მაშინ ვთქუ: ესერა მოვალ, თაესა წიგნთასა წერილ არს ჩემთჳს ყოფად, ღმერთო ჩემო, ნებისა შენისა.
8. ზემო კერძო იტყჳს, ვითარმედ: მსხუერპლი და შესაწირავი და საკუერთხი, და ცოდვათათჳს არა ინებე, არცა სათნო-იყავ, რომელნი-იგი მსგავსად შჯულისა შეიწირვიან,
9. მაშინ თქუა: ესერა მოვალ ყოფად ნებისა შენისა, აიღებს პირველსა მას, რაჲთა მეორე იგი დაამტკიცოს.
10. რომლისა ნებითა ჩუენ განწმედილ ვართ შესაწირავითა მით კორცითა იესუ ქრისტესითა ერთგზის.
11. და ყოველი იგი მღდელი დგან დღითი-დღე მსახურებასა მას და მათვე მსხუერპლთა შესწირავნ მრავალგზის, რომელნი-იგი არასადა შემძლებელ არიან აკოცად ცოდვათა.
12. ხოლო თავაღმან ერთგზის შეწირა მსხუერპლი ცოდვათათჳს სამარადისოდ და დაჯდა იგი მარჯუენით ღმრთისა
13. და მიერითგან მოელის, ვიდრემდის დაისხნენ მტერნი მისნი ქუეშე ფერჴთა მისთა.
14. რამეთუ ერთი მსხუერპლი სრულ იქმნა სამარადისოდ განწმედილთა მათთჳს,
15. სოლო მეწამების ჩუენ სული წმიდაჲცა, რამეთუ შემდგომად სიტყჳსა მის,
16. ვითარმედ: ესე არს აღთქუმაჲ ჩემი, რომელ აღვთქუა მათა მიმართ შემდგომად დღეთა მათ, იტყჳს უფალი: მიესცნე შჯულნი ჩემნი გულთა მათთა და გონებათა მათთა ზედა გამოეწერნე იგინი
17. და უშჯულოებანი მათნი და ცოდვანი მათნი არღარა მოვიჯსენნე.
18. ხოლო სადა ამათი მოტევებაჲ არს, არღარა ჴამს მსხუერპლი ცოდვათათჳს.
19. გუაქუს უკუე, ძმანო, კადნიერებაჲ შესლვად სიწმიდეთა მათ სისხლითა იესუჲსითა,
20. რომელ-იგი განგჳახლა ჩუენ გზაჲ ახალი და ცხოველი კრეტსაბმელითა მით, ესე იგი არს კორცთა მისთაჲთა,
21. და მღდელთ-მოძღუარი დიდი სახლსა შინა ღმრთისასა,
22. მოუკდეთ მას ჭეშმარიტითა გულითა, გულ-სავსებითა სარწმუნოებისაჲთა, სხურებულნი გულითა იჭუსაგან ბოროტისა

23. და განბანილნი გუამითა წყლითა წმიდითა, შევიკრძალოთ აღსარებაჲ იგი სასოებისაჲ მოუდრეკელად, რამეთუ სარწმუნო არს, რომელმან-იგი აღმითქუა.
24. და განვიცდიდეთ ურთიერთარს აღბაძებად სიყუარულსა და კეთილთა საქმეთა.
25. ნუ დაუტეებთ შესაკრებელსა თჳსსა, ვითარცა-იგი ჩუეულებაჲ არს ვიეთიმე, არამედ ნუგეშინის-სცემდით და ესოდენ უფროჲს, რაოდენ-ესე ხედავთ მოახლებულსა ამას დღესა.
26. რამეთუ ნეფსით შეცოდებათა ჩუენთათჳს, შემდგომად მოღებისა მის ცნობისა ჭეშმარიტებისა, არღარა ცოდვათათჳს მოაკლდების მსხუერპლი,
27. არამედ საშინელი რაჲმე მოლოდებაჲ საშჯელისაჲ და ცეცხლისა შური შესჭამდეს მტერთა მათ.
28. უკუეთუ ვინმე შეურაცხ-ყოს შჯული მოსესი, თჳნიერ წყალობისა, ორითა ანუ სამითა მოწამითა, მოკუდების,
29. რაოდენ ჰგონებთ უძჯრესისა ტანჯვისა ღირს-ყოფად, რომელმან ძე ღმრთისაჲ დათრგუნოს და სისხლი იგი აღთქუმისაჲ არა-ღირსად შეჰრაცხოს, რომლითა განწმიდნა, და სული იგი მადლისაჲ აგინა?
30. რამეთუ ვიცით, რომელმან-იგი თქუა: ჩემი არს შურის-გებაჲ, და მე მიეაგო, იტყჳს უფალი. და კუალად იტყჳს, რამეთუ: განიკითხოს უფალმან ერი თჳსი.
31. საშინელ არს შევრდომაჲ კელთა ღმრთისა ცხოველისათა.
32. მოიკსენებდით პირველთა მათ დღეთა, რომელთა-იგი შინა ნათელ-იღეთ და მრაჲალი ღუაწლი დაითმინეთ ენებათაჲ,
33. ესე არს, ყუედრებათა და ჭირთა შინა სოფლის სახილველ იქმნენით და ესე, რამეთუ ეზიარენით მათ, რომელნი-იგი მათ შინა იქცეოდეს;
34. რამეთუ კრულებათა მათ ჩემთათჳს გელმოდა, და იავარის-ყოფაჲ იგი მონაგებთა თქუენთაჲ სიხარულით შეიწყნარეთ; უწყით, რამეთუ გაქუს თავისა თქუენისა საუნჯე უმჯობესი, ცათა შინა დადგრომილი.
35. ნუ განიშორებთ განცხადებულებასა მაგას თქუენსა, რომელსა აქუს დიდი სასყიდლის მოგებაჲ.
36. რამეთუ მოთმინებაჲ გიკმს თქუენ, რაჲთა ნებაჲ ღმრთისაჲ ჰყოთ და მოიღოთ აღნათქუემი იგი.
37. რამეთუ მცირედ, წუთ ერთღა, და მომავალი იგი მოვიდეს და არა ყოვნოს.
38. ხოლო მართალი სარწმუნოებითა ცხონდეს; და უკუეთუ იჯ-

მნეთ მისგან, არა სთნავს სულსა ჩემსა მას შინა.
39. ხოლო ჩუენ არა ვართ ჯმნულებისანი მის წარსაწყმედელად, არამედ სარწმუნოებისანი შესაწევნელად სულისა.

11

1. ხოლო არს სარწმუნოებაჲ მოსავთა მათ ძალ,საქმეთა მამსილებელ არა-სილულთა,
2. რამეთუ ამას შინა იწამნეს მოხუცებულნი.
3. სარწმუნოებით გუცნობიეს დამყარებად საუკუნეთა სიტყუთა ღმრთისაჲთა, არა-საჩინოჲსაგან სილულად შექმნულად.
4. სარწმუნოებით უმრაელესი მსხუერპლები შეწირა ღმრთისა აბელ კაინისა, რომლისაგან იწამა, ეითარმედ მართალ არს წამებითა ღმრთისაჲთა მსხუერპლთა მათ მისთა ზედა; და ამისთჳს მო-ღათუ-კუდა, მერმე იტყჳსვე-ღა.
5. სარწმუნოებით ენუქ გარდაიცვალა, რაჲთა არა იხილოს სიკუდილი; და არა იპოვა, რამეთუ გარდაცვალა იგი ღმერთმან. რამეთუ პირველ გარდაცვალებისა მისისა წამებულ არს, ეითარმედ სათნო-იყო იგი ღმერთმან.
6. ხოლო თჳნიერ სარწმუნოებისა ვერ შესაძლებელ არს სათნო-ყოფაჲ; რამეთუ სარწმუნოებაჲ უღირს რომელი მოუჯდების ღმერთსა, რამეთუ არს, და მეძიებელთა მისთა სასყიდლის მიმცემელ ექმნების.
7. სარწმუნოებით ბრძანებაჲ მოიღო ნოე არღასადა ხილულთა მათთჳს, შეეშინა და ქმნა კიდობანი საცხორებელად სახლისა თჳსისა, რომლითა დასაჯა სოფელი, და სარწმუნოებითა მით სიმართლისაჲთა იქმნა იგი მკჳდრ.
8. სარწმუნოებით იწოდა რაჲ აბრაჰამ, ერჩდა გამოსლვად ადგილსა მას, რომელი დაჰჳრობად იყო მისა სამკჳდრებელად; და გამოვიდა და არა უწყოდა, ვიდრე მოვიდოდა.
9. სარწმუნოებით მწირობდა ქუეყანასა მას აღთქუმისასა, ვითარცა უცხოსა, კარავსა შინა მკჳდრობდა ისაკ და იაკობის თანა, მკჳდრთა მათ თანა მისვე აღთქუმისათა;
10. რამეთუ მოელოდა მას, რომელსა-იგი საფუძველ უსხენ ქალაქსა, რომლისა-იგი ხუროთმოძღუარ და შემოქმედ ღმერთი არს.
11. სარწმუნოებით იგიცა სარრა, ბერწ ღათუ იყო, ძალი მიიღო შესაწყნარებელად თესლისა და ჟამთა გარდასრულმან შვა, რამეთუ სარწმუნოდ შეჰრაცხა, რომელმან-იგი აღუთქუა მას.
12. ვინაჲცა ერთისაგან იშვნეს და ესე მკუდრისა მისგან, ვი-

თარცა ეარსკულავნი ცისანი სიმრავლითა და ეითარცა ქუშაჲ ზღუსაჲ ურიცხუ.
13. სარწმუნოებით მოსწყღეს ესე ყოველნი და არღა მოეღო მათ აღნათქუემი იგი, არამედ შორით ისილეს იგი და მოიკითხეს და აღიარეს, რამეთუ სტუმარ და წარმავალ არიან იგინი ქუეყანასა ზედა.
14. რამეთუ რომელნი-იგი ესე ეითარსა იტყჳენ, გამოაჩინებენ, ვითარმედ მამულსა ეძიებენ.
15. და თუმცა მას მოიკსენებდეს, ვინაჲ-იგი გამოვიდეს, აქუნდამცა ჟამი მუნ მიქცეულისაჲ.
16. ხოლო აწ უმჯობესსა მას ჳული ეტყუჳს, ესე იგი არს ზეცისასა; ამისთჳსცა არა სირცხუ-ჳჩნს მათი ღმერთსა სახელის-ებად მათდა ღმრთად, რამეთუ განუმზადა მათ ქალაქი.
17. სარწმუნოებით შეწირა აბრაჰამ ისაკი გამოცდასა მას და მსოლოდშობილსა მას შესწირვიდა, რომელმან აღთქუმაჲ იგი მოიღო,
18. რომლისა მიმართ ითქუა, ვითარმედ: ისაკისგან გეწოდოს შენ ნათესაჲად.
19. ესრეთ შეჰრაცხა, ვითარმედ მკუდრეთითცა აღდგინებად შემძლებელ არს ღმერთი, რომლისათჳსცა იგავით მოიყვანა იგი.
20. სარწმუნოებით მერმეთა მათთჳს ისაკმან აკურთხა იაკობი და ესაჲ.
21. სარწმუნოებით იაკობმან, მო-რაჲ-კუდებოდა, თჳთოეულად ძენი იოსებისნი აკურთხნა და თაყუანის-სცა წუერსა ზედა კუერთხისა მისისასა.
22. სარწმუნოებით იოსებ, აღ-რაჲ-ესრულებოდა, გამოსლეისათჳს ძეთა ისრაჱლისათა მოიკსენა და ძუალთა თჳსთათჳს ამცნო.
23. სარწმუნოებით მოსე, იშვა რაჲ, დამალეს სამ თუე მამა-დედათა მისთა, რამეთუ იხილეს მკურცხლ ყრმაჲ იგი, და არა შეიშინეს ბრძანებისა მისგან მეფისა.
24. სარწმუნოებით მოსე, განრაჲ-მწჳსნა, უარ-ყო სახელის-ებად შეილად ასულისა ფარაოჲსა,
25. უფროჲსღა გამოირჩია თანა-ძურისხილვაჲ ერსა თანა ღმრთისასა, ვიდრეღა რაჲთა აქუნდეს მას საწუთროჲ იგი საშუებელი ცოდვისაჲ;
26. უფროჲსად სიმდიდრედ შეჰრაცხა ეგჳპტისა საფასეთა ყუედრებაჲ იგი ქრისტესი, რამეთუ ჰხედვიდა იგი სასყიდლის კუალად-გებასა.
27. სარწმუნოებით დაუტევა ეგჳპტე და არა შეიშინა გულის წყრომისა მისგან მეფისა, რამეთუ უხილავი იგი ვითარცა ხილული შეჰრაცხა.
28. სარწმუნოებით ყო ზატიკი

იგი და პკურებაჲ იგი სისხლისაჲ, რაჲთა არა მომსრველი იგი პირმშოთაჲ შეეხოს მათ.
29. სარწმუნოებით წიაღ-ჴდეს ზღუასა მას მეწამულსა, ვითარცა კმელსა ქუეყანასა, რომლისა-იგი აზმნეს მეგჳპტელთა და დაინთქნეს.
30. სარწმუნოებით ზღუდენი იერიქოჲსანი დაეცნეს გარე-მოდგომითა შჳდ დღე.
31. სარწმუნოებით რააბ, მეძავი იგი, არა წარწყმდა ურჩთა მათ თანა, რამეთუ შეიწყნარნა მსტუარნი იგი მშჳდობით.
32. და რაჲღა-მე ვთქუა? რამეთუ დამაკლებს მე ჟამი ესე მითხრობად გედეონისთჳს, ბარაკისთჳს და სამფსონისთჳს და იეფუთაჲსთჳს, დავითისთჳს და სამოელისთჳს და წინაწარმეტყუელთა,
33. რომელნი სარწმუნოებით ერეოდეს მეფეთა; იქმოდეს სიმართლესა; მიემთხჳნეს აღთქუმათა; დაუყვნეს პირნი ლომთანი;
34. დაშრიტეს ძალი ცეცხლისაჲ; განერნეს პირსა მახჳლისასა; განძლიერდეს უძლურებისაგან; იქმნეს ძლიერ ბრძოლასა შინა; ბანაკები აოტეს უცხო თესლთაჲ;
35. მოიყვანნეს დედათა აღდგომილნი მკუდარნი მათნი; ხოლო სხუანი წარკუეთითა თავთაჲთა აღესრულნეს; და არა მოიღეს მათ გამოჴსნაჲ, რაჲთა უმჯობესსა აღდგომასა ღირს იქმნენ.
36. ხოლო სხუანი ტანჯვითა და გუემითა განიცადნეს; მერმე კუალად ბორკილებითა და საპყრობილითა;
37. ქვითა განიტჳნნეს; განიხერხნეს; განიცადნეს; სიკუდილითა მახჳლისაჲთა მოსწყდეს; იქცეოდეს ხალენებითა და თხის ტყავებითა ნაკლულევანნი, ჭირვეულნი, ძჯრ-სილულნი,
38. რომელთა ღირსვე არა იყო სოფელი ესე, უდაბნოთა ზედა შეცთომილნი, მთათა და ქუაბთა შინა და კურელთა ქუეყანისათა.
39. და ესე ყოველნი იწამნეს სარწმუნოებით და არღა მოიღეს აღნათქუემი იგი,
40. რამეთუ ღმერთმან ჩუენთჳს უმჯობესი წინაწარ განიგულა, რაჲთა არა თჳნიერ ჩუენსა სრულ იქმნენ.

12

1. აწ უკუე ჩუენცა, ესოდენი ამაქუს გარე-მოდგომილი ჩუენდა სიმრავლე წმიდათა მოწამეთაჲ, სიმძიმე ყოველი განვიშოროთ და მსწრაფლ მომავალი იგი ცოდვაჲ და მოთმინებით ერბიოდით წინა-განმზადებულსა მას ჩუენსა ღუაწლსა.
2. და ვხედვიდეთ სარწმუნოებისა ჩუენისა წინამძღუარსა

და სრულებისა მოქმედსა იესუს, რომელმან-იგი წინა-განმზადებულისა მის წილ სიხარულისა დაითმინა ჯუარი და სირცხვლი შეურაცხ-ყო და მარჯუენით საყდართა ღმრთისათა დაჯდა.
3. გან-უკუე-იზრახეთ, რომელმან-იგი ესეითარი დაითმინა ცოდვილთაგან მისა მიმართი იგი სიტყჳს-გებაჲ, რაჲთა არა დაშურეთ სულითა თქუენითა და მოჰმედგრდეთ.
4. რამეთუ არღა სისხლთამდე წინა-დადგრომილ ხართ თქუენ ცოდეისა მიმართ ასოვნად
5. და მოჰმედგრდეთ ნუგეშინის-ცემისაგან, რომელი ეითარცა შვილთა გეტყჳს თქუენ: შვილო ჩემო, ნუ სულ-მოკლე იქმნები სწავლასა უფლისასა, ნუცაღა დაჰკსნდები მის მიერ მხილებასა.
6. რამეთუ რომელი უყუარს უფალსა, სწავლის; და ტანჯის ყოველი შვილი, რომელი შეიწყნარის.
7. უკუეთუ სწავლასა დაუთმოთ, ვითარცა შვილთა შეგიწყნარებს თქუენ ღმერთი. რამეთუ ვინ-მე არს შვილი, რომელი არა სწავლის მამამან?
8. ხოლო უკუეთუ შორს ხართ სწავლასა, რომლისა ზიარ-ქმნულ არიან ყოველნი, მწირნი ვიდრემე ხართ და არა შვილნი.
9. აწ უკუეთუმცა გუესხნეს კორციელნი მამა-დედანი მასწაველელად, გუეკდიმებოღა სამემცა; არა-მე უფროჲს ღაჲე-მორჩილნეთა მამასა მას სულთასა და ვცხონდეთ?
10. რამეთუ რომელნიმე იგი მცირედთა დღეთა მათისაებრ ნებისა სწაელიდეს, ხოლო ესე უმჯობესისათჳს, რაჲთა მოიღონ სიწმიდისაგან მისისა.
11. ყოველიე სწაელაჲ მეყსეულად არა არს სიხარულ, არამედ მწუხარება; ხოლო უკუანაჲსკნელ ნაყოფი მშჳდობისაჲ მის მიერ წურთილთა მათ მოაგის — სიმართლე.
12. ამისთჳს დაშთომილნი ქელნი და დაკსნილნი მუკლნი აღემართენით.
13. და ალაგნი მართლ ყეენით ფერჴთა თქუენთანი, რაჲთა არა მკელობელი იგი დაეცეს, არამედ უფროჲსღა განიკურნოს.
14. მშჳდობასა შეუდეგით ყოველთა თანა და სიწმიდესა, რომლისა თჳნიერ ეერვინ იხილოს უფალი.
15. ეკრძალენით, ნუ ვინმე დაკლებულ იყოს მაღლისაგან ღმრთისა; ნუ ვისმე თანა ძირი სიმწარისაჲ აღმოცენებულ იყოს შემაურეებელი, და მის მიერ შეიგინნენ მრავალნი.
16. ნუვინ მეძაე და ბილწ არნ, ვითარცა-იგი ესავ, რომელმან ერთისა წილ საჭმლისა განყიდა პირმშოებაჲ თჳსი.

17. უწყით, რამეთუ ამისა შემდგომად უნდა დამკჳდრებად კურთხევაჲ და შეურაცხ-იქმნა, რამეთუ სინანულისა ადგილი არა პოვა, და ცრემლით ღათუ ითხოვდა მას.
18. რამეთუ არა მოსრულ ხართ თქუენ მთასა მას კელით შესახებელსა და აღგზნებულსა ცეცხლითა და წყუდიადითა და ბნელითა და ნისლითა
19. და საყურისა ოხრასა და კმასა სიტყუათასა, რომელთაჲ რომელთა-იცი ესმა, იჯმნეს, რაჲთა არღარა შეეძინოს მათ სიტყუაჲ.
20. რამეთუ ვერ ითმენდეს ბრძანებულსა მას; მკეცი ღათუ შეეხებოდა მთასა მას, ქვითა განიდევნებოდა.
21. და ესრეთ საშინელ იყო საუცრებაჲ იგი, მოსე თქუა: შეშინებულ ვარ და შეძრწუნებულ.
22. არამედ მოსრულ ხართ თქუენ მთასა სიონსა და ქალაქსა ღმრთისა ცხოველისასა, იერუსალჱმსა ზეცისასა, და ბევრეულსა ანგელოზთა კრებულსა
23. და ეკლესიასა პირმშოთასა, აღწერილსა ცათა შინა, და ღმრთისა მსაჯულისა ყოველთაჲსა და სულებისა მართალთა მათ აღსრულებულთაჲსა.
24. და შჯულისა მის საღმრთოჲსა შუა-მდგომელისა იესუჲსა და სისხლითა პკურებასა, უმჯობესსა თქუმულისა მის აბელის მიერ.
25. ეკრძალენით, ნუუკუე იჯმნათ მეტყუელისა მისგან. რამეთუ უკუეთუ იგინი ვერ განერნეს, რომელთა ქუეყანასა ზედა იჯმნეს ბრძანებისაგან, რაოდენ უფროჲს ჩუენ, უკუეთუ ზეცისასა მას გარე-მოვექცეთ,
26. რომლისა კმამან ქუეყანაჲ შეძრა მაშინ და აწ აღუთქუამს და იტყჳს: მერმე ერთგზისღა შევძრა მე არა ხოლო ქუეყანაჲ, არამედ ცანიცა.
27. ხოლო ესე „მერმე ერთგზისღა“ აუწყებს შეძრულთა მათ ცვალებასა, ვითარცა ქმნულთასა, რაჲთა ეგოს შეუძრეველი იგი.
28. ამისთჳსცა სასუფეველი შეუძრეველი დავიპყრათ; მაქუს ჩუენ მადლი, რომლითა ეჰმსახურებთ სათნოდ ღმერთსა, მოშიშებით და ღირსებითა,
29. რამეთუ ღმერთი ჩუენი ცეცხლ განმლეველ არს.

13

1. ძმათ მოყუარებაჲ ეგენ.
2. სტუმრის მოყუარებასა ნუ დაივიწყებთ, რამეთუ ამისგან ვიეთმე რეცა არა უწყოდეს და ანგელოზნი ისტუმრნეს.
3. მოიკსენენით კრულებანი იგი, ვითარცა მათ თანავე კრულთა, და ძჯრ-ხილულნი იგი, რამეთუ თქუენცა კორცნივე გასხენ.

4. პატიოსან არს ქორწილი ყოველითავე და საწოლი შეუგინებელ; ხოლო მეძავნი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან.
5. ვეცხლის უყუარულ იყვენით სახითა, კმა-გეყავნ, რომელი-იგი გაქუნდეს; რამეთუ თავადმან თქუა: არა დაგიტეო, არცა დაგაგდო შენ.
6. ეინაჲცა საკადრებელ არს ჩუენდა თქუმად: უფალი არს მწყე ჩემდა, არა შემეშინოს; რაჲ მიყოს მე კაცმან?
7. მოიკსენენით წინამძღუარნი იგი თქუენნი, რომელნი გეტყოდეს თქუენ სიტყუათა მათ ღმრთისათა, და ჰსედევდით გამოსლვასა მას ცხორებისა მათისასა და ჰბაძევდით სარწმუნოებასა მათსა.
8. იესუ ქრისტე გუშინ და დღეს და იგი თავადი არს უკუნისამდე.
9. მოძღურებასა მრავალ-სახესა და უცხოსა ნუ შეიწყნარებთ, რამეთუ კეთილად მადლითა განმტკიცებულ ხართ გულითა და არა საჭმლითა, რომლითა ვერაჲ ირგეს, რომელნი ვიდოდეს მას შინა.
10. მაქუს ჩუენ საკურთხეველი, რომლისაგან ჭამად ვერ კელ-ეწიფების, რომელნი-იგი კარავსა მას ჰმსახურებენ
11. რომელსა-იგი შეიწირვის საცხოვართა სისხლი ცოდვათათჳს სიწმიდესა მას შინა მღდელთ-მოძღურისა მიერ, ამათნი იგი კორცნი დაიწუებოდეს გარეშე ბანაკსა მას.
12. ამისთჳსცა იესუ, რაჲთა წმიდა-ყოს თჳსითა სისხლითა ერი, გარეშე ბჭეთა ივნო.
13. აწ უკუე განვიდეთ მისა გარეშე ბანაკსა მას და ყუედრებაჲ იგი მისი მოვიღოთ.
14. რამეთუ არა მაქუს ჩუენ აქა საყოფლად ქალაქი, არამედ მერმესა მას ვეძიებთ.
15. ამისთჳს შევსწირავთ მსხუერპლსა ქებისასა მარადის ღმრთისა, ესე იგი არს ნაყოფსა ბაგეთა და აღსარებასა სახელისა მისისასა.
16. ხოლო კეთილისა საქმესა და გიარებასა ნუ დაიეიწყებთ, რამეთუ ესევითარნი მსხუერპლნი სათნო არიან ღმრთისა.
17. დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენთა და ერჩდით მათ, რამეთუ იგინი იღუძებენ სულთა თქუენთათჳს, ვითარცა-იგი სიტყუაჲ მისცენ; რაჲთა სიხარულით ამას ჰყოფდენ და არა სულთ-ითქუმიდენ, რამეთუ არა აღვილ არს ესე თქუენდა.
18. ილოცევდით ჩუენთჳსცა, რამეთუ გურწამს, ვითარმედ კეთილი გონებაჲ გუაქუს ყოველსა შინა და კეთილად გუნებავს სლვად.
19. უმეტესადღა გლოცავ ამას ყოფად, რაჲთა აღრე მოვიდე თქუენდა.

20. ხოლო ღმერთმან მშჳდობისამან, რომელმან აღმოიყვანა მკუდრეთით მწყემსი იგი ცხოვართაჲ დიდი სისხლითა მით აღთქუმისა საუკუნოჲსაჲთა — უფალი ჩუენი იესუ ქრისტე,
21. და გამტკიცენინ თქუენ ყოველითა საქმითა კეთილითა ყოფად ნებისა მისისა, რომელმან ყჳის სათნოებაჲ მისი ჩუენ შორის წინაშე მისსა ქრისტე იესუჲს მიერ, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამინ.
22. ხოლო გლოცავ თქუენ, ძმანო, თავს-იდევით სიტყუაჲ ესე ვედრებისაჲ, დაღათუ მცირედ მივწერე თქუენდა.
23. იცით, ტიმოთე, ძმაჲ ჩუენი, რომელი მიეავლინე, რომლისა თანა, ადრე თუ მოვიდეს, გიხილნე თქუენ.
24. კითხვაჲ არქუთ ყოველთა წინამძღუართა თქუენთა და ყოველთა წმიდათა. გიკითხვენ თქუენ, რომელნი-იგი არიან იტალიაჲთ.
25. მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი თქუენ ყოველთა თანა. ამინ.



წმიდა გიორგი მთაწმიდელი.
ახტალის ტაძრის მოხატულობა. XIII ს.

გამოცხადებაჲ წმიდისა მახარებლისა და ღმრთისმეტყუელისა იოვანესი, რომელი გამოუცხადა მას ღმერთმან



იოვანე მახარებელი პროხორესთან ერთად. ლაშსყალდის ოთხთავი. XIII ს.

1

1. გამოცხადებაჲ იესუ ქრისტესი, რომელ-იგი მოსცა მას ღმერთმან ჩუენებად მონათა მისთა საქმეთა მათ, რომელთაჲ ჯერ-არს აღრე აღსრულებაჲ, და გამოუცხადა მოელინებითა ანგელოზისა მისისაჲთა მონასა მისსა იოვანეს,
2. რომელმანცა წამა სიტყუაჲ ღმრთისაჲ და წამებაჲ იესუ ქრისტესი, რაოდენიცა იხილა და რომელიცა არს და რომელსა ეგულების ყოფად.
3. ნეტარ არს, რომელი იკითხვიდეს და რომელნი ისმენდენ სიტყუათა ამის წინაწარმეტყუელებისათა და დაიმარხონ, რაჲ-იგი მას შინა წერილ არს, რამეთუ ჟამი ახლოს არს.
4. იოვანე შჳდთა ეკლესიათა ასიაჲსათა: მაღლი თქუენდა და მშჳდობაჲ ღმრთისაგან, რომელი არს და რომელი იყო და რომელი მომავალ არს, და შჳდთა მათ სულთაგან, რომელნი წინაშე საყდარსა მისსა არიან.
5. და იესუ ქრისტესგან, მოწამისა მის სარწმუნოჲსა, პირმშოჲსა შესუენებულთაჲსა და მთავრისა მეფეთა ქუეყანისათა, რომელმან შემიყუარნა ჩუენ და განგუბანნა ცოდვათა ჩუენთაგან სისხლითა თჳსითა.
6. და მყენა ჩუენ სამეუფო მღდელ ღმრთისა და მამისა თჳსისა, რამეთუ მისი არს დიდებაჲ და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე. ამინ.
7. აჰა ესერა მოვალს ღრუბელთა თანა, და იხილოს იგი ყოველმან თუალმან და რომელთა-იგი უგუმირეს მას; და გოდებდენ ტომნი ქუეყანისანი: ჰე, ამინ.
8. მე ვარ ანი და მ, იტყჳს უფალი ღმერთი, რომელი არს და რომელი იყო და რომელი მომავალ არს, ყოველისა მპყრობელი.
9. მე, იოვანე, ძმაჲ თქუენი და ზიარი ჭირსა და სუფევასა და მოთმინებასა თქუენსა ქრისტე იესუს მიერ, ვიყავ ჭალაკსა მას, რომელსა ეწოდების პატმო, სიტყჳსათჳს ღმრთისა და წამებისათჳს იესუ ქრისტესისა.
10. ვიქმენ სულითა დღესა კჳრიაკესსა და მესმა უკუანაჲთ კერძო ჩემსა ქმაჲ დიდი, ვითარცა საყჳრისაჲ,
11. რომელი მეტყოდა, ვითარმედ: რომელსა-ესე ჰხედავ, დაწერე წიგნსა შინა და წარეც შჳდთა მათ ეკლესიათა ეფესოს და გმირნას და პერღამოს და თჳატრის და სარდეს და ფილადელფიას და ლაოდიკის.
12. და მივიქეც მუნ ხილვაღ ქმისა მის, რომელი მეტყოდა მე. და ვითარცა მივიქეც, ვიხილენ შჳდნი სასანთლენი ოქროჲსანი,
13. და შორის შჳდთა მათ სასანთლეთა მსგავსი ძისა კაცისაჲ,

შემოსილი ᲒᲔᲩრითა, და ერტყა სარტყელი ოქროჲსაჲ ძუძუთა თანა მისთა.
14. და თავი და თმანი მისნი სპეტაკ, ვითარცა მატყლი სპეტაკი, ვითარცა თოვლი, და თუალნი მისნი, ვითარცა ალი ცეცხლისაჲ.
15. და ფერკნი მისნი მსგავს იყენეს რვალსა გუნდრუკსა, ვითარცა ცეცხლსა შინა გამოკურებულნი, და ქმაჲ მისი, ვითარცა ქმაჲ წყალთა მრავალთაჲ.
16. და მარჯუენესა კელსა მისსა აქუნდეს ვარსკულავნი შჳდნი, და პირისა მისისაგან გამოვიდოდა მახჳლი ორპირი აღლესული; და პირი მისი, ვითარცა მზე,ბრწყინავს ძალითა თჳსითა.
17. და რაჟამს ვიხილე იგი, დავეარდი ფერკთა თანა მისთა, ვითარცა მკუდარი. და დადვა მან მარჯუენე მისი ჩემ ზედა და თქუა: ნუ გეშინინ: მე ვარ პირველი და უკუანაჲსკნელი;
18. და რომელი ცხოველ ვარ და ვიქმენ მკუდარ, და აჰა ესერა ცხოველ ვარ უკუნითი უკუნისამდე. ამინ. და მქონან კლიტენი სიკუდილისა და ჯოჯოხეთისანი.
19. დაწერე უკუე, რაჲ-ესე იხილე და რაჲ-ესე არს და რაჲ ეგულების ყოფად შემდგომად ამისა.
20. საიდუმლოჲ შჳდთა ამათ ვარსკულავთაჲ, რომელნი იხილენ მარჯუენესა ჩემსა, და შჳდნი ესე სასანთლენი ოქროჲსანი. შჳდნი ესე ვარსკულავნი ანგელოზნი შჳდთა ეკლესიათანი არიან, და შჳდნი ესე სასანთლენი შჳდნი ეკლესიანი არიან.

2

1. ანგელოზსა ეფესოჲსა ეკლესიისასა არქუ, ეითარმედ: ამას იტყჳს, რომელსა უპყრიან შჳდნი იგი ვარსკულავნი მარჯუენესა მისსა, რომელი-იგი ვალს შჳდთა მათ სასანთლეთა შორის ოქროჲსათა:
2. ვიცნი საქმენი შენნი და შრომაჲ შენი და მოთმინებაჲ შენი და ეითარმედ ვერ ძალ-გიც ტჳრთვად უკეთურთა მათ და გამოსცადენ იგინი, რომელნი იტყჳან თავთა თჳსთა მოციქულად, და არა არიან, და პპოვენ იგინი მტყუვარ.
3. და მოთმინებაჲ გაქუს და იტჳრთე სახელისა ჩემისათჳს და არა დაშურე.
4. არამედ მაქუს შენდა მომართ, რამეთუ სიყუარული იგი შენი პირველი დაუტეე.
5. მოიკსენებდ, უკუეთუ სადაჲთ დაეცი, და შეინანე და პირველნივე საქმენი ქმნენ; უკუეთუ არა, მოვალ აღრე და აღეძრა სასანთლე შენი აღგილისაგან თჳსისა, უკუეთუ არა შეინანო.
6. არამედ ესე გაქუს, რამეთუ

გბულან საქმენი იგი ნიკოლა-
ელთანი, რომელნი-იგი მე მძუ-
ლან.
7. რომელსა ჰქონან ყურნი, ის-
მინენ, რასა ეტყუს სული ეკლე-
სიათა: რომელმან სძლოს, მივ-
სცე მას ჭამად ძელისა მისგან
ცხორებისა, რომელი არს შო-
რის სამოთხესა ღმრთისა ჩემი-
სასა.
8. და ანგელოზსა გმირნისა ეკ-
ლესიისასა მიუწერე: ამას იტყუს
პირველი და უკუანაჲსკნელი
იგი, რომელი იქმნა მკუდარ და
ცხონდა:
9. ეიცნი საქმენი შენნი და ჭირი
და სიღატაკე, არამედ მდიდარ
ხარ. და გმობაჲ იგი მათი, რო-
მელნი იტყუან თავთა თჳსთა
ჰურიად, და არა არიან, არამედ
შესაკრებელი ეშმაკისაჲ.
10. ნუ გეშინის საქმეთაგან, რო-
მელთა ეგულების მოწევნად
შენ ზედა, რამეთუ აჰა ესერა
ეგულების ეშმაკსა თქუენგანთა
შთაგდებად საპყრობილესა, რა-
ჲთა გამოიცადნეთ ათ დღე. იქ-
მენ მორწმუნე ვიდრე სიკუდი-
ლადმდე, და მოგცე შენ გჳრგჳნი
იგი ცხორებისაჲ.
11. რომელსა ჰქონან ყურნი, ის-
მინენ, რასა ეტყუს სული ეკლე-
სიათა: რომელმან სძლოს, არაჲ
ევნოს მას სიკუდილისა მისგან
მეორისა.
12. და ანგელოზსა პერღამისა
ეკლესიისასა მიუწერე: ამას იტ-
ყჳს, რომელსა-იგი აქუს მახჳლ
ორპირი აღლესული:
13. ეიცნი საქმენი შენნი, და თ
საღა მკჳდრ სარ, სადა-იგი არ
საყდარი ეშმაკისაჲ, და გიპყრ
ეს სახელი ჩემი და არა უარ
-ჰყავ სარწმუნოებაჲ ჩემი დღ
თა მათ ანტიპაჲს, მოწამისა ჩ
მისა სარწმუნოჲსათა, რომ
ლი-იგი მოიკლა თქუენ შორ
საღა-იგი ეშმაკი მკჳდრ არს.
14. არამედ მაქუს შენდა მ
მართ მცირედი, რამეთუ გყე
ნან ვინმე, რომელთა უპყრიე
სწაელაჲ იგი ბალამისი, რომ
ლი ასწავა ბალაკს, რაჲთა დაც
ევას დაბრკოლებაჲ წინაშე ძეთ
ისრაჱლისათა, და ჭამად კერ
თა ნაზორევისა და სიძვად.
15. ეგრეთვე შენცა გყეანან, რო
მელთა უპყრიეს სწაელაჲ იგ
ნიკოლაელთაჲ.
16. შეინანე; უკუეთუ არა, მო
ვალ შენდა აღრე და ბრძოლა
-ვყო მათ თანა მახჳლითა პი
რისა ჩემისაჲთა.
17. რომელსა ჰქონან ყურნი, ის
მინენ, რასა ეტყუს სული ეკლ
სიათა, ვითარმედ: რომელმა
სძლოს, მივსცე მას მანანაჲს
მისგან დაფარულისა და მივსც
რიცხჳ სპეტაკი და რიცხუსა მა
თანა სახელი ახალი დაწერილ
რომელი არავინ უწყის, გარნ
რომელმან მიიღოს.
18. და ანგელოზსა თჳატრის
ეკლესიისასა მიუწერე, ვითარ

მელ: ამას იტყჳს ძე ღმრთისაჲ: რომლისა თუალნი არიან, ვითარცა ალი ცეცხლისაჲ, და ფერკნი მისნი მსგავს არიან რეალსა გუნდრუკსა:

19. ვიცნი საქმენი შენნი და სიყუარული შენი და სარწმუნოებაჲ და მსახურებაჲ და მოთმინებაჲ და საქმენი შენნი უკუანაჲსკნელნი უმრავლეს პირველისა.

20. არამედ მაქუს შენდა მომართ, რამეთუ უტევე ცოლი შენი იეზაბელ, რომელი იტყჳს თავსა თჳსსა წინაწარმეტყუელად და ასწავლის და აცთუნებს ჩემთა მონათა სიძეად და ჭამად კერპთა ნაზორევისა.

21. და მიევეც მას ჟამი, რაჲთა შეინანოს, და არა ჰნებავს სინანულად სიძეისაგან მისისა.

22. აჰა ესერა დავამკჳა იგი სარეცელსა ზედა, და რომელნი იმრუშებდეს მის თანა, შთავყარნე ჭირსა დიდსა, უკუეთუ არა შეინანონ საქმეთაგან მათთა.

23. და შვილნი მისნი მოვსწყჳდნე სიკუდილითა, და ცნან ყოველთა ეკლესიათა, ვითარმედ მე ვარ, რომელი განვიკითხავ გულსა და თირკუმელთა; და მიგცე თქუენ თჳთოეულსა საქმეთა თქუენთაებრ.

24. ხოლო თქუენ გეტყჳ, სხუათა მაგათ, რომელნი ხართ თჳატირს შინა, რომელთა არა გაქუს სწაელაჲ ესე, რომელთა არა გიცნობიან სიღრმენი ეშმაკისანი, ვითარ იტყჳან, არღარა მოვაწიო თქუენ ზედა სხუაჲ სიმძიმე.

25. არამედ რომელი-ეგე გაქუს, დაიმჭირეთ, ვიდრემდის მოვიდე.

26. და რომელმან სძლოს და დაიმარხნეს ვიდრე აღსასრულადმდე საქმენი ჩემნი, მიესცე მას კელმწიფებაჲ წარმართთა ზედა.

27. და ჰმწყსიდეს მათ კუერთხითა რკინისაჲთა; ვითარცა ჭურნი იგი მეკეცეთანი შეიმუსრნიან, ვითარცა მე მოვიღე მამისაგან.

28. და მივსცე მას ვარსკულავი იგი განთიადისაჲ.

29. რომელსა ჰქონან ყურნი, ისმინენ, რასა ეტყჳს სული ეკლესიათა.

3

1. და ანგელოზსა სარდისა ეკლესიისასა მიუწერე, ვითარმედ: ამას იტყჳს, რომელსა ჰქონან შჳდნი იგი სულნი ღმრთისანი და შჳდნი იგი ვარსკულავნი: ვიცნი საქმენი შენნი, რამეთუ სახელი გაქუს და ცხოველ ხარ და მკუდარ ხარ.

2. იქმენ მღჳძარე და დაამტკიცენ სხუანი იგი, რომელთაჲ გეგულებოდა განგდებაჲ, რამეთუ არა მიპოვნიან საქმენი

შენნი აღსრულებულად წინაშე ღმრთისა ჩემისა.
3. იკსენებდ, უკუეთუ ვითარ მიიღე და შეინახე. ხოლო უკუეთუ არა მღუძარე იყო, მოვიდე შენ ზედა, ვითარცა მპარავი, და ვერ სცნა, რომელსა ჟამსა მოვიდე შენ ზედა.
4. არამედ მცირედი სახელები გყავს სარდეს შინა, რომელთა არა შეუგინებიეს სამოსლები მათი, და ივლოდინ იგინი ჩემ თანა სამოსლითა სპეტაკითა, რამეთუ ღირს არიან.
5. რომელმან სძლოს, ესრეთ შეიმოსოს სამოსელი სპეტაკი და არა აღეკოცო სახელი მისი წიგნისაგან ცხოველთაჲსა და აღვიარო სახელი მისი წინაშე მამისა ჩემისა და წინაშე ანგელოზთა მისთა.
6. რომელსა ჰქონან ყურნი, ისმინენ, რასა ეტყჳს სული ეკლესიათა.
7. და ანგელოზსა ფილადელფიისა ეკლესიისასა მიუწერე: ამას იტყჳს წმიდაჲ იგი და ჭეშმარიტი, რომელსა აქუს კლიტე დავითისი, რომელი-იგი განაღებს, და არავინ დაჰკშას, გარნა განმღებელმან მან, და არავინ განაღოს დაკშული იგი.
8. აჰა ესერა მიმიცემია წინაშე შენსა კარი განღებული, რომლისა დაკშად ვერვინ შემძლებელ არს, რამეთუ მცირე ძალი გაქუს, და დაიმარხე სიტყუაჲ ჩემი და არა უარ-ჰყავ სახელი ჩემი.
9. აჰა ესერა მიგცემ კრებულისაგან ეშმაკისა, რომელნი იტყჳან თავსა თჳსსა ჰურიად, და არა არიან, არამედ ტყუვიან; აჰა ესერა ვყვნე იგინი, რაჲთა მოვიდენ და თაყუანის-გცენ წინაშე ფერჴთა შენთა და ცნან, რამეთუ შეგიყუარე შენ.
10. რამეთუ დაიმარხე შენ სიტყუაჲ მოთმინებისა ჩემისაჲ, და მეცა დაგიცვა შენ ჟამისა მისგან განსაცდელისა, რომელსა ეგულების მოსლვად ყოველსა ზედა სოფელსა გამოცდად მკჳდრთა მათ ქუეყანისათა.
11. აჰა მოვალ აღრე. იპყარ, რომელ-ეგე გაქუს, რაჲთა არავინ მიგიღოს გჳრგჳნი შენი.
12. რომელმან სძლოს, ვყო იგი სუეტად ტაძარსა შინა ღმრთისა ჩემისასა, და გარე არღარა განვიდეს და დავწერო მას ზედა სახელი ღმრთისა ჩემისაჲ და სახელი ქალაქისა ღმრთისა ჩემისაჲ ახლისა იერუსალჱმისაჲ, რომელი გარდამოვალს ზეცით ღმრთისაგან ჩემისა, და სახელი იგი ახალი.
13. რომელსა ჰქონან ყურნი, ისმინენ, რასა ეტყჳს სული ეკლესიათა.
14. და ანგელოზსა ლაოდიკიისა ეკლესიისასა მიუწერე, ვითარმედ: ამას იტყჳს ამინ, მოწამე იგი სარწმუნოჲ და ჭეშმა-

რიტი, დასაბამი დაბადებულთა ღმრთისათაჲ:
15. ვიცნი საქმენი შენნი, რამეთუ არცა ცრილი სარ, არცა ტუილი. ჯერ-იყო,რაჲთამცა ანუ ცრილი იყავ, ანუ ტუილი.
16. არამედ ესრეთ ნელ-ტუილი სარ და არცა ცრილი, არცა ტუილი; მეცულების აღმოგღებაჲ შენი პირისაგან ჩემისა.
17. რამეთუ იტყჳ: მდიდარ ვარ და განმდიდრდი და არაჲრაჲ მეკმარების. და არა უწყი,რამეთუ შენ სარ უბადრუკ და საწყალობელ და ცლასაკ და ბრმა და შიშველ.
18. განვაგზრახებ შენ,რაჲთა იყიდო ჩემგან ოქროჲ გამოკურვებული ცეცხლითა, რაჲთა განპმდიდრდე,და სამოსელი სპეტაკი, რაჲთა შეიმოსო,და არა გამოცხადნეს სირცხჳლი სიშიშულისა შენისაჲ,და საოლავი,რაჲთა იოლნე თუალნი შენნი და ჰხედვიდე.
19. მე რომელნიცა მიყუარდენ, ვამხილებ და ვასწავებ. ეშურებოდე უკუე და შეინანე.
20. აჰა ესერა ვდგა კარსა ზედა და ვჰრეკ. უკუეთუ ვინ ისმინოს ჴმისა ჩემისაჲ და განაღოს კარი, და შევიდე მის თანა და ვჭამო მის თანა სერი, და მან – ჩემ თანა.
21. რომელმან სძლოს, მიესცე მას დაჯდომაჲ ჩემ თანა საყდარსა ჩემსა, ვითარცა-იგი მე ვსძლე და დავჯედ მამისა ჩემისა თანა საყდარსა მისსა,
22. რომელსა ჰქონან ყურნი, ისმინენ, რასა ეტყჳს სული ეკლესიათა.

4

1. შემდგომად ამისა,ვიხილე, და აჰა კარი განღებული ცათა შინა, და ჴმაჲ იგი,რომელ მესმა პირველ, ვითარცა საყურისაჲ, მეტყოდა მე,ვითარმედ: აღმოველ აქა, და გიჩუენო, რაჲ-იგი ყოფად არს შემდგომად ამისა.
2. მეყსეულად ვიქმენ სულითა. და აჰა ღგა საყდარი ცათა შინა და საყდარსა ზედა მჯდომარე.
3. და მჯდომარე იგი იყო მსგავსი ქჳასა მას იასპსა და სარდიონსა; და ირისე იყო გარემო საყდრისა მის,და ეგრეთვე ხილვაჲ სამარაგდეთაჲ.
4. გარემო საყდრისა საყდარნი ოც და ოთხნი,და საყდართა მათ ზედა ოც და ოთხნი მღდელნი მსხდომარენი, შემოსილნი სამოსლითა სპეტაკითა, და თაეთა მათთა ზედა გჳრგჳნნი ოქროჲსანი.
5. და საყდრისა მისგან გამოვლენ ელვანი და ქმანი და ქუხილნი; და შჯდნი ლამპარნი ცეცხლისანი იწუებოდეს წინაშე საყდარსა მისსა, რომელ არიან შჯდნი იგი სულნი ღმრთისანი.
6. და წინაშე საყდარსა მისსა, ვითარცა ბღუაჲ ჰჳისაჲ, მსგავ-

სი ბროლისაჲ; და შორის საყდრისა და გარემო საყდრისა ოთხნი ცხოველნი, სავსენი თუალითა წინაჲთ და უკუანაჲთ.
7. და პირველი იგი ცხოველი მსგავსი იყო ლომისაჲ, და მეორე ცხოველი მსგაესი იყო კურო‹სა›ჲ, და მესამესა ცხოველსა აქუნდა პირი კაცისაჲ, და მეოთხე მსგავსი არწივსა მფრინვალესა.
8. და ოთხთა მათ ცხოველთა თჳთოეულსა აქუნდეს ექუსნი ფრთენი გარემო, და შინაგან სავსე არიან თუალითა. და განსუენებაჲ არა აქუს ღღე და ღამე, არამედ იტყჳან: წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი ღმერთი, ყოელისა მპყრობელი, რომელი იყო და რომელი არს და რომელი მომავალ არს.
9. და რაჟამს მისცენ ცხოველთა მათ დიდებაჲ და პატივი და მადლობაჲ მჯდომარესა მას საყდარსა ზედა, რომელი ცხოველ არს უკუნითი უკუნისამდე,
10. დავარდებიან ოც და ოთხნი იგი მღდელნი წინაშე საყდართა ზედა მჯდომარისა მის და თაყუანის-სცემენ მას, რომელი-ჲ-იგი ცხოველ არს უკუნითი უკუნისამდე, და დასხმენ გჳრგჳნთა მათთა წინაშე საყდრისა მის და იტყჳან:
11. ღირს ხარ შენ, უფალო ღმერთო ჩუენო წმიდაო, მიღებად დიდებისა და პატივისა და ძლიერებისა, რამეთუ შენ დაჰბადენ ყოველნიე, და ნებითა შენითა იყუნეს და დაებადნეს.

5

1. და ვიხილე მარჯუენით საყდართა ზედა მჯდომარისა მის წიგნი, დაწერილი შინაგან და გარეგან, დაბეჭდული ბეჭდითა შჳდითა.
2. და ვიხილე ანგელოზი ძლიერი, რომელი ქადაგებდა ქმითა დიდითა, ვითარმედ: ვინ-მე ღირს არს განღებად წიგნისა ამის და განკსნად ბეჭედთა მისთა?
3. და ვერვინ შემძლებელ იყო ზეცათა შინა, არცა ქუეყანასა ზედა, არცა უფსკრულთა შინა განღებად წიგნისა მის და არცა მისხედვად მისა.
4. და მე ვტიროდე ფრიად, რამეთუ არავინ იპოვა, რომელსამცა განეღო წიგნი იგი, ანუმცა მიეხედნეს მისა.
5. და ერთმან მღდელთა მათგანმან მრქუა მე: ნუ სტირ, აჰა ესერა სძლო ლომმან თესლისაგან იუდაჲსა, ძირმან დავითისმან, რომელმან აღაღოს წიგნი და შჳდნი იგი ბეჭედნი მისნი.
6. და ვიხილე შორის საყდრისა და ოთხთა მათ ცხოველთა და მღდელთაჲსა კრავი მდგომარე, ვითარცა დაკლული. და აქუნდეს შჳდნი რქანი და შჳდნი თუალნი, რომელ არიან შჳდნი იგი

სულნი ღმრთისანი, რომელნი მოიელინებიან ყოველსაჲე ქუეყანასა.
7. და მოვიდა და მიიღო წიგნი მარჯუენისაგან საყდართა ზედა მჯდომარისა.
8. და რაჟამს მიიღო მან წიგნი იგი, ოთხნი იგი ცხოველნი და ოც და ოთხნი მღდელნი დაჲარდეს წინაშე კრაჲისა მის. და აქუნდა თითოეულსა ათძალი და ლანკნანი ოქროჲსანი, სავსენი საკუმეველითა, რომელ არიან ლოცჲანი წმიდათანი.
9. და გალობდეს გალობასა ახალსა და იტყოდეს: ღირს ხარ შენ მიღებად წიგნისა მის და აღებად ბეჭედთა მისთა, რამეთუ დაიკალ და გჳყიდენ ჩუენ ღმრთისა სისხლითა შენითა ყოველისაგანვე თესლისა და ენისა და ერთა და წარმართთა,
10. და ჰყვენ იგინი ღმრთისა ჩუენისა მეუფედ და მღდელად, და სუფევდენ იგინი ქუეყანასა ზედა.
11. და ვიხილე და მესმა, ვითარცა ჴმაჲ ანგელოზთა მრაჲალთაჲ გარემო საყდრისა და ცხოველთა და მღდელთაჲსა. და იყო რიცხჳ მათი ბევრნი ბევრთანი და ათასნი ათასთანი,
12. რომელნი იტყოდეს ჴმითა დიდითა: ღირს არს კრაჲი იგი დაკლული მიღებად ძალისა და სიმდიდრისა და სიბრძნისა და პატიჲისა და დიდებისა და კურთხევისა.
13. და ყოველთაჲე დაბადებულთაჲ, რომელნი არიან ცათა შინა და ქუეყანასა ზედა და უფსკრულთა შინა და ზღუათა, ყოველთაჲ მესმა, რომელნი იტყოდეს: რომელი მის საყდართა ზედა და კრაჲისა, კურთხეულაჲ და პატიჲი და დიდებაჲ და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე. ამინ.
14. და ოთხთა მათ ცხოველთა თქუეს: ამინ. და მღდელნი იგი დაჲარდეს და თაყუანის-სცეს.

6

1. და ვიხილე, რამეთუ აღაღო კრავმან მან ერთი შჯდთა მათ ბეჭედთაგანი, და მესმა ერთისა ცხოველთა მათგანისაჲ, რომელი იტყოდა, ვითარცა ჴმითა ქუხილისაჲთა, ვითარმედ: მოვედ და იხილე.
2. და აჰა ცხენი სპეტაკი, და მჯდომარესა მას ზედა აქუნდა მშჳლდი, და მიეცა მას გჳრგჳნი, და განვიდა ძლევითა და სძლოსცა.
3. და რაჟამს აღაღო მეორე ბეჭედი, მესმა მეორისა მის ცხოველისაჲ, რომელი იტყოდა, ვითარმედ: მოედ!
4. და გამოვიდა სხუაჲ ცხენი წითელი, და მჯდომარესა მას ზედა მიეცა აღებად მშჳლობაჲ ქუეყანით, რაჲთა ერთმანერთი მოსწყჳდონ, და მიეცა მას მახჳლი დიდი.

5. და რაჟამს აღაღო მესამე ბეჭედი, მესმა მესამისა მის ცხოველისაჲ, რომელი იტყოდა: მოვედ და იხილე. და აჰა ცხენი შაეი, და მჯდომარესა მას ზედა აქუნდა კელთა მისთა უღელი.
6. და მესმა კმაჲ შორის ოთხთა მათ ცხოველთაჲსა, რომელი იტყოდა: სამადგანი იფქლი დრაჰკნის, და სამი სამადგანი ქერი დრაჰკნის, და ღუნოსა და ზეთისა ნუ ავნებ.
7. და რაჟამს აღაღო მეოთხე ბეჭედი, მესმა მეოთხისა ცხოველისაჲ, რომელი იტყოდა: მოვედ და იხილე,
8. და აჰა ცხენი მწუანე, და მჯდომარესა მას ზედა სახელი მისი სიკუდილი; და ჯოჯოხეთი შეუდგა მას, და მიეცა მას კელმწიფებაჲ მეოთხედსა ზედა ქუეყანისასა მოსრვად მათდა მახჳლითა და სიყმილითა და სიკუდილითა და მკეცთა მიერ ქუეყანისათა.
9. და რაჟამს აღაღო მეხუთე ბეჭედი, ეიხილენ საკურთხეველსა ქუეშე სულნი იგი მკუდართანი სიტყჳსათჳს ღმრთისა და წამებისათჳს კრაეისა მის, რომელ აქუნდა.
10. და კმა-ყვეს კმითა დიდითა და თქუეს: ეიდრემდის, მეუფეო წმიდაო და ჭეშმარიტო, არა შჯი სისხლსა ჩუენსა მკჳდრთაგან ქუეყანისათა?
11. და მიეცა მათ სამოსლები სპეტაკები, და ითქუა მათდა მიმართ, რაჲთა განისუენონ მცირედ ჟამღა, ეიდრემდის აღესრულნენ მათ თანა მონანი და ძმანი მათნი და რომელთა ეგულებოდა სიკუდილი, ეითარცა მათ.
12. და ეიხილე, რაჟამს აღაღო მეექუსე ბეჭედი, და ძრეაჲ იქმნა დიდი, და მზე შავ იქმნა, ეითარცა ძაძაჲ ბალნისაჲ, და მთოვარე ყოვლითურთ იქმნა, ეითარცა სისხლი.
13. და ვარსკულავნი ცისანი გარდამოცუენეს ქუეყანაჲ, ეითარცა ლეღუმან რაჲ დაყარის ყუაეილი თჯსი, ქარისაგან დიდისა შერყეულმან.
14. და ცაჲ წარიგრაგნა, ეითარცა წიგნი წარგრაგნილი. და ყოველნი მთანი და ბორცუნი აღგილთა თჯსთაგან შეიძრნეს.
15. და მეფეთა ქუეყანისათა და მთავართა და ათასის-თაეთა და მდიდართა და ძლიერთა და ყოველმან მონამან და აზნაურმან დამალნეს თავნი მათნი ქუაბთა შინა და კლდეთა შინა მთათასა.
16. და ეტყოდეს მთათა და კლდეთა: დამეცენით ჩუენ ზედა და დაგუფარენით ჩუენ პირისაგან საყდართა ზედა მჯდომარისა და რისხვისაგან კრაეისა.
17. რამეთუ მოვიდა დღე იგი დიდი რისხვისა მისისაჲ და ვინ

შემძლებელ არს დაღგომაღ?

7

1. და შემდგომად ამისა ეიხილენ ოთხნი ანგელოზნი, მღგომარენი ოთხთა კიდეთა ქუეყანისათა. და ეპყრნეს ოთხნი იგი ქარნი ქუეყანისანი, რაჲთა არა ქროდიან ქუეყანასა ზედა, არცა ზღუასა, არცა ხეთა.
2. და ეიხილე სხუაჲ ანგელოზი, აღმომავალი აღმოსავალით მზისაჲთ, და აქუნდა ბეჭედი ღმრთისა ცხოველისაჲ. და ქმა-ყო ქმითა დიდითა ოთხთა მათ ანგელოზთა, რომელთა მიეცა ვნებაჲ ქუეყანისა და ზღუსაჲ, ვითარმედ:
3. ნუ აენებთ ქუეყანასა, ნუცა ზღუასა, ნუცა ხეთა, ეიდრემდის დაეჰბეჭდნეთ მონანი ღმრთისა ჩუენისანი შუბლთა ზედა მათთა.
4. და მესმა რიცხჳ დაბეჭდულთაჲ მათ: ას ორმეოც და ოთხი ათასი დაბეჭდულთაჲ ყოველისაგან ტომისა ძეთა ისრაჱლისათა:
5. თესლისაგან იუდაჲსა ათორმეტი ათასი დაბეჭდულთაჲ, თესლისაგან რუბენისა ათორმეტი ათასი, თესლისაგან გადისა ათორმეტი ათასი,
6. თესლისაგან ასერისა ათორმეტი ათასი, თესლისაგან ნეფთალემისა ათორმეტი ათასი, თესლისაგან მანასესა ათორმეტი ათასი,
7. თესლისაგან სჳმეონისა ათორმეტი ათასი, თესლისაგან ლევისა ათორმეტი ათასი, თესლისაგან იზაქარისა ათორმეტი ათასი,
8. თესლისაგან ზაბულონისა ათორმეტი ათასი, თესლისაგან იოსებისა ათორმეტი ათასი, თესლისაგან ბენიამენისა ათორმეტი ათასი დაბეჭდულთაჲ.
9. და შემდგომად ამისა ეიხილე, და აჰა ერი ფრიადი, რომლისა აღრიცხუად ეერეინ შემძლებელ იყო, ყოველთაგან წარმართთა და ტომთა და ერთა და ენათა, მდგომარენი წინაშე საყდრისა და წინაშე კრაეისა, შემოსილნი სამოსლითა სპეტაკებითა, და კელთა მათთა აქუნდა ფინიკები.
10. და ქმობდეს ქმითა დიდითა და იტყოდეს: მაცხოვარებაჲ ღმრთისა ჩუენისაჲ, მჯდომარისა საყდართა ზედა, და კრაეისა.
11. და ყოველნიე ანგელოზნი დგეს გარემოჲს საყდრისა და მღდელთაჲსა და ოთხთა მათ ცხოველთაჲსა და დაეარდეს წინაშე საყდრისა მისისა პირთა ზედა მათთა და თაყუანის-სცეს ღმერთსა.
12. და იტყოდეს: ამინ. კურთხევაჲ და დიდებაჲ და სიბრძნე და მადლობაჲ და პატივი და ძალი ღმრთისა ჩუენისაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

13. და მომიგო ერთმან მღდელთაგანმან და მრქუა: ესენი, რომელთა პმოსიეს სამოსლები სპეტაკები, ვიეთნი არიან, ანუ ვინაჲ მოსრულ არიან?
14. და ვარქუ მას: უფალო ჩემო, შენ უწყი. და მრქუა მე: ესენი არიან, რომელნი მოსრულ არიან ჭირისა მისგან დიდისა, და განრცხნეს მათ სამოსელნი მათნი და განასპეტაკნეს სისხლითა მით კრავისაჲთა.
15. ამისთჳს არიან წინაშე საყდარსა ღმრთისასა და ჰმსახურებენ მას დღე და ღამე ტაძარსა შინა მისსა. და მჯდომარემან მან საყდართა ზედა დაიმკჳდროს მათ შორის.
16. არღარა მოემშიოს მათ, არცაღა მოეწყუროს, არცაღა მოვიდეს მათ ზედა მზე, არცა ყოველივე სიცხე,
17. რამეთუ კრავი იგი, რომელ არს შორის საყდრისა, ჰმწყსის მათ და უძღუს წყაროთა მიმართ წყლისა ცხოველისათა, და აღჰკოცოს ღმერთმან ყოველივე ცრემლი თუალთაგან მათთა.

8

1. და რაჟამს აღაღო მეშჳდე ბეჭედი, იქმნა დუმილი ცათა შინა, ვითარ ნახევარსა ჟამისასა.
2. და ვიხილენ შჳდნი იგი ანგელოზნი, რომელნი წინაშე ღმრთისა დგანან, და მიეცნეს მათ შჳდნი საყჳრნი.
3. და სხუაჲ ანგელოზი მოვიდა და დადგა საკურთხეველსა ზედა, რომელსა აქუნდა სასაკუმეელე ოქროჲსაჲ; და მიეცა მას საკუმეველი ფრიადი, რაჲთა მისცეს იგი ლოცვასა წმიდათასა საკურთხეველსა მას ზედა ოქროჲსასა, რომელი არს წინაშე საყდარსა.
4. და აღჴდა კუამლი იგი საკუმეველთაჲ ლოცვისა მიმართ წმიდათაჲსა ჴელისაგან ანგელოზისა მის წინაშე ღმრთისა.
5. და აღიღო ანგელოზმან მან სასაკუმეველე იგი და აღავსო ცეცხლისა მისგან საკურთხეველისა და დაასხა იგი ქუეყანასა ზედა, და იქმნნეს ქუხილნი და ჴმანი და ელვანი და ძრვაჲ.
6. და ანგელოზთა მათ, რომელთა აქუნდეს შჳდნი იგი საყჳრნი, განჰმზადნეს თავნი თჳსნი ცემად.
7. და პირველმან მან დასცა, და იქმნა სეტყუაჲ და ცეცხლი, შერთებული სისხლითა, და მოვიდა ქუეყანად, და მესამედი ქუეყანისაჲ დაიწუა და მესამედი ხეთაჲ დაიწუა და ყოველივე თივაჲ ნედლი დაიწუა.
8. და მეორემან ანგელოზმან დასცა საყჳრსა და, ვითარცა მთაჲ დიდი, მოტყინარე ცეცხლითა, შთავარდა ზღუად, და მესამედი ზღჳსაჲ იქმნა სისხლ.
9. და მოსწყდა მესამედი დაბა-

დებულთა ბღჳსათაჲ, რომელთა თანა არს სული, და მესამედი ნაეთაჲ განისრ̃ნა.
10. და მესამემან ანგელოზმან დასცა, და გარდამოვარდა ზეცით ვარსკ̃ულავი დიდი მოტყინარე, ვითარცა ლამპარი,და და ვარდა მესამედსა ზედა მდინარეთასა და ̃ყაროთა ზედა ̃ყალთასა.
11. და სახელი ვარსკულავისაჲ მის არს აფსინთი. და გარდაიქცა მესამედი ̃ყალთაჲ აფსინთად, და მრავალნი კაცთაგანნი მოს̃ყდეს ̃ყალთა მიერ, რამეთუ დამ̃არდეს.
12. და მეოთხემან ანგელოზმან დასცა საყ̃ურსა, და ი̃ყლა მესამედი მზისაჲ და მესამედი მთოვარისაჲ და მესამედი ვარსკულავთაჲ, რაჲთა დაბნელდეს მესამედი მათი და მესამედი მისი არღარა გამოჩნდეს, და ღღე და ღამე ეგრეთვე.
13. და ვიხილე და მესმა ერთისა არ̃ვიისა მფრინვალისაჲ პაერთა შინა, რომელი იტყოდა ჴმითა დიდითა: ვაჲ არს, ვაჲ არს, ვაჲ არს მკ̃ღრთა ქუეყანისათა სხუათა მათ ჴმათაგან საყ̃ურთაჲსა სამთა მათ ანგელოზთა, რომელთა ეგულების ჴმობად.

9

1. და მეხუთემან ანგელოზმან დასცა საყ̃ურსა, და ვისილე ვარსკულავი, რომელი გარდამოვარდა ზეცით ქუეყანად, და მიეცა მას კლიტე ჯ̃ურღმულისა მის უფსკრულისაჲ.
2. და აღჴდა კუამლი ჯ̃ურღმულისა მისგან, ვითარცა კუამლი ცეცხლისა მოტყინარისაჲ, და დაბნელდა მზე და პაერი კუამლისა მისგან ჯ̃ურღმულისა.
3. და კუამლისა მისგან გამოვიდეს მკალნი ქუეყანად. და მიეცა მათ კელმ̃იფებაჲ, ვითარცა აქუს კელმ̃იფებაჲ ღრიაკალთა ქუეყანისათა.
4. და ითქუა მათდა მიმართ, რაჲთა არა ავნონ თივასა ქუეყანისასა, არცა ყოველსა მ̃უანვილსა, არცა ხეთა, არამედ კაცთა, რომელთა არა აქუს ბეჭედი ღმრთისაჲ შუბლთა ზედა მათთა.
5. და მიეცა მათ, რაჲთა არა მოკლნენ იგინი, არამედ რაჲთა იტანჯ̃ნენ ხუთ თთუე. და ტანჯ̃ვაჲ მათი, ვითარცა ტანჯ̃ვაჲ ღრიაკალისაჲ, რაჟამს უცეს კაცსა.
6. და მათ ღღეთა შინა ეძიებდენ კაცნი სიკუდილსა და ვერ პოონ, და სუროდის მოკუდომად, და იელტოდის მათგან სიკუდილი.
7. და მსგავსებაჲ იგი მკალთაჲ ესევითარი იყო: მსგავს იყვნეს ცხენთა, განმზადებულთა ბრძოლად. და თავთა ზედა მათთა, ვითარცა გ̃ირგ̃ვნი ოქროჲსანი, და პირნი მათნი, ვითარცა პირ-

ნი კაცთანი.
8. და აქუნდა თმები, ვითარცა თმანი დედათანი, და კბილნი მათნი ვითარცა ლომთანი იყუნეს.
9. და აქუნდა ჯაჭუები ვითარცა ჯაჭუები რკინისაჲ, და ქმაჲ ფრთეთა მათთაჲ ვითარცა ქმაჲ ეტლთა ცხენთა მრავალთაჲ, რომელნი რბიოდიან ბრძოლაჲ.
10. და აქუს კუდები, მსგავსი ღრიაკალთაჲ, და საწერტლები. და კუდებითა მათითა აქუს ქელმწიფებაჲ ვნებაჲ კაცთა ხუთ თუე.
11. და აქუს მათ ზედა მეფედ ანგელოზი იგი უფსკრულისაჲ. სახელი მისი ებრაელებრ: ავადონ, ხოლო ბერძლებრ აქუს სახელი აპოლიონ.
12. ერთი იგი ვაებაჲ წარკდა. აჰა ესერა მოვლენ ორნიღა ვაებანი შემდგომად ამისა.
13. მეექუსემან ანგელოზმან დასცა საყურსა თჳსსა,და მესმა ქმაჲ ერთი ოთხთა მათ რქათაგან საკურთხეველისა მის ოქროჲსაჲთა, რომელ არს წინაშე ღმრთისა,
14. რომელი ეტყოდა მეექუსესა მას ანგელოზსა,ვითარმედ: რომელსა-ეგე გაქუს საყური, განკსნენ ოთხნი იგი ანგელოზნი, რომელნი შეკრულ არიან მდინარესა მას ზედა დიდსა ევფრატსა.
15. და განიკსნნეს ოთხნი იგი ანგელოზნი, განმზადებულნი ჟამისა მისთჳს და დღისა და თთჳსა და წელიწადისა, რაჲთა მოსრან მესამედი კაცთაჲ.
16. და რიცხჳ მჯედრობათაჲ მათ ცხენთაჲ ბევრნი ბევრთანი, მესმა რიცხჳ მათი.
17. და ესრეთ ვისილენ ცხენნი იგი სილეითა, და მსხდომარეთა მათ ზედა აქუნდა ჯაჭუები ცეცხლისა და ვაკინთისა და წუმწუბის სახენი; და თავნი ცხენთანი ვითარცა თავნი ლომთანი; და პირთა მათთაგან გამოვალს ცეცხლი და კუამლი და წუმწუბაჲ.
18. სამთა ამათ წყლულებათაგან მოსწყდა მესამედი კაცთაჲ — ცეცხლისაგან და კუამლისა და წუმწუბისა, რომელ-იგი გამოვიდოდეს პირთაგან მათთა.
19. რამეთუ ქელმწიფებაჲ იგი ცხენთაჲ მათ პირთა შინა მათთა არს და კუდთა, რამეთუ კუდნი მათნი მსგავს არიან გუელთა, და აქუს თავები და მით ავნებენ.
20. და სხუათა მათ კაცთა, რომელნი-იგი არა მოიკლნეს ამათ წყლულებათაგან, არა შეინანეს მათ საქმეთაგან ქელთა მათთაჲსა, რაჲთამცა არა თაყუანის-სცემდეს ეშმაკთა და კერპთა ოქროჲსა და ვეცხლისა და ქვისა და შეშისათა, რომელთა ვერცა ხედვაჲ ძალ-უც, ვერცა

სმენად, ვერცა სლეად.
21. და არა შეინანეს კაცის-
-კლველობათა მათთაგან და არცა მწამლველობათა მათთაგან, არცა სიძვისა მათისაგან, არცა მპარვობათა მათთაგან.

10

1. და ვიხილე ანგელოზი ძლიერი, გარდამომავალი ზეცით, და ემოსა ღრუბელი; და ირისე, რომელ არს მშჯლდი ცისაჲ ბერძლებრ, იყო თაესა ზედა მისსა; და პირი მისი, ვითარცა მზე, და ფერჴნი მისნი, ვითარცა სუეტნი ცეცხლისანი.
2. და აქუნდა კელთა მისთა წიგნი განღებული. და დადვა ფერჴი მისი მარჯუენე ზღუასა ზედა და მარცხენე – ქუეყანასა ზედა.
3. და კმა-ყო კმითა დიდითა, ვითარცა ლომი რაჲ ყჯრინ. და რაჟამს კმა-ყო, თქუნეს შჯდთა ქუსილთა კმანი მათნი.
4. და რაჟამს თქუნეს შჯდთა მათ ქუხილთა, მეგულებოდა წერად. და მესმა კმაჲ ზეცით, რომელი მეტყოდა: დაჰბეჭდე, რაჲ-ეგე თქუეს შჯდთა მათ ქუხილთა, და ნუ დასწერ.
5. და ანგელოზმან მან, რომელი-იგი ვიხილე ქუეყანასა ზედა და ზღუასა ზედა მდგომარე, აღიღო კელი თჯსი მარჯუენე ზეცად
6. და ფუცა მისა, რომელი-იგი ცხოველ არს უკუნითი უკუნისამდე, რომელმან დაჰბადა ცაჲ და რაჲ არს მას შინა, და ქუეყანაჲ და რაჲ არს მას შინა, და ზღუაჲ და რაჲ არს მას შინა, ვითარმედ: ჟამი არღა იყოს.
7. არამედ ღღეთა მათ კმისა მეშჯდისა ანგელოზისა, რომელსა ეგულების დაცემაღ საყჯრისა, და აღესრულა საიდუმლოჲ ღმრთისაჲ, ვითარცა ასარა მოწათა თჯსთა წინაწარმეტყუელთა.
8. და კმაჲ იგი, რომელი მესმა პირველ, კუალად მეტყოდა მე, ვითარმედ: წარეედ და აღიღე წიგნი იგი განღებული კელთა შინა ანგელოზისა მის, მდგომარისა ზღუასა ზედა და კმელსა.
9. და წარეედ ანგელოზისა მის და ვარქუ მას მოცემაღ ჩემდა წიგნი იგი. და მრქუა მე, ვითარმედ: აღიღე და შეჭამე წიგნი ესე, და დაამწაროს მუცელი შენი, არამედ პირსა შენსა ტკბილ იყოს ვითარცა თაფლი.
10. და აღვიღე წიგნი იგი კელთაგან ანგელოზისათა და შევჭამე. და იყო პირსა შინა ჩემსა ტკბილ ვითარცა თაფლი. და რაჟამს შევჭამე იგი, დაამწარა მუცელი ჩემი.
11. და მრქუა მე: ჯერ-არს შენდა კუალად წინაწარმეტყუელებაჲ ერთა ზედა და წარმართთა და ენათა და მეფეთა ქუეყანისათა.

11

1.და მომეცა მე ლერწამი, მსგავსი კუერთხისაჲ, და მრქუა: აღდეგ და განზომე ტაძარი ღმრთისაჲ და საკურთხეველი და თაყუანის-მცემელნი მას შინა.
2. და ეზოჲ იგი, რომელი არს გარეგან ტაძრისა, განაგდე გარე და ნუ განჰზომ მას, რამეთუ მიეცა იგი წარმართთა, და ქალაქი იგი წმიდაჲ დათრგუნონ ორმეოც და ორ თთუე.
3. და მიესცე ორთა მათ მოწამეთა ჩემთა, და წინაწარმეტყუელებდენ ათას ორას და სამეოც დღე, შემოსილნი ძაძითა.
4. ესენი არიან ორნი იგი ზეთისსილნი და ორნი სასანთლენი, მდგომარენი წინაშე უფლისა ყოელისა ქუეყანისა.
5. და რომელსა უნდეს ვნებად მათდა, ცეცხლი გამოვალს პირისაგან მათისა და შეშჭამს მტერთა მათთა; და რომელსაცა ენებოს ვნებაჲ მათი, ესრეთ ჯერ-არს მოკუდომაჲ მისი.
6. ამათ აქუს კელმწიფებაჲ დაკშეად ცათა, რაჲთა არა წუმდეს დღეთა მათ წინაწარმეტყუელებისა მათისათა; და კელმწიფებაჲ აქუს წყალთა ზედა, რაჲთა გარდააქციონ სისხლად და რაჲთა შემუსრონ ქუეყანაჲ, რაოდენ-გზისცა ენებოს, ყოელითაეე წყლულებითა.
7. და რაჟამს აღასრულონ წამებაჲ მათი, მკეცმან მან, რომელი აღმოვალს უფსკრულით, ბრძოლა-ყოს მათ თანა და სძლოს და მოკლნეს იგინი.
8. და მძორები მათი უბანთა ზედა ქალაქისა მის დიდისათა, რომელსა ეწოდების სულიერად სოდომი და ეგჳპტე, სადა-იგი უფალი მათი ჯუარს-ეცუა.
9. და იხილონ ერთა და ტომთა და ენათა და წარმართთა მძორები მათი სამ დღე და ნახევარ და არა უტეონ მძორებსა მათსა დაღებად სამარესა შინა.
10. და მკჳდრთა ქუეყანისათა განისარონ მათ ზედა და იშუებდენ და ძღუენი მისცენ ურთიერთას, რამეთუ ამათ ორთა წინაწარმეტყუელთა ტანჯნეს მკჳდრნი ქუეყანისანი.
11. და შემდგომად სამისა მის და ნახევრისა დღისა სული ღმრთისაჲ ცხოველი შევიდა მათ თანა; და აღდგეს ფერჴთა ზედა მათთა. და შიში დიდი დაეცა მათ ზედა, რომელნი ჰსედვიდეს მათ.
12. და მესმა კმაჲ დიდი ზეცით, რომელი ეტყოდა მათ: აღმოვედით აქა. და აღვიდეს ზეცად ღრუბლითა. და იხილნეს იგინი მტერთა მათთა.
13. მას ღესა შინა იქმნა ძრვაჲ დიდი, და მეათედი ქალაქისაჲ დაეცა, და მოსწყდეს ძრვისა მისგან კაცნი შჳდ ათასნი, და სხუანი იგი შეშინებულ იქმნეს და მისცეს დიდებაჲ ღმერთსა

ცათასა.

14. ვაებაჲ იგი მეორე წარკდა, და აჰა ესერა ვაებაჲ იგი მესამე მოვალს აღრე.

15. და მეშჳდემან მან ანგელოზ-მან დასცა საყჳრსა, და იქმნეს ჴმანი დიდნი ცათა შინა, რომელნი იტყოდეს: იქმნა სუფევაჲ სოფლისაჲ უფლისა ჩუენისაჲ და ქრისტეს მისისაჲ.

16. და კუალად ოც და ოთხნი იგი მღდელნი, რომელნი სხენან წინაშე საყდარსა ღმრთისასა საყდართა ზედა მათთა, დავარდეს პირსა ზედა და თაყუანის-სცეს ღმერთსა

17. და თქუეს: გმადლობთ შენ, უფალო ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, რომელი სარ და რომელი-ეგე იყავ, რამეთუ მიიღე ძალი ეგე შენი დიდი და ჰსუფევე.

18. და წარმართნი განრისხნეს. და მოვიდა რისხვაჲ შენი და ჟამი მკუდართა შჯისაჲ და მიცემად სასყიდელი მონათა შენთა წინაწარმეტყუელთა და წმიდათა და მოშიშთა სახელისა შენისათა, მცირეთა და დიდთა.

19. და განეღო ტაძარი ღმრთისაჲ ცათა შინა, და იხილვა კიდობანი იგი აღთქუმისა ღმრთისაჲ ტაძარსა შინა მისსა. და იქმნეს ელვანი და ქუხილნი და ჴმანი და სეტყუაჲ დიდი.

12

1. და სასწაული დიდი გამოჩნდა ცათა შინა: დედაკაცი, რომელსა ემოსა მზე, და მთოვარე იყო ქუეშე ფერჴთა მისთა, და თავსა ზედა მისსა გჳრგჳნი ვარსკულავთა ათორმეტთაჲ.

2. და მუცლად-ეღო და ღაღადებდა, რამეთუ ელმოღა და იგუემებოდა შობად.

3. და იხილვა სხუაჲ სასწაული ცათა შინა. და აჰა ეშაპი ცეცხლისაჲ დიდი, რომელსა ეღგნეს თავნი შჳდნი და რქანი ათნი, და თავთა ზედა მისთა შჳდნი გჳრგჳნნი.

4. და კუდი მისი მიითრევდა მესამედსა ვარსკულავთა ცისათა, და გარდამოყარნა იგინი ქუეყანად. და ეშაპი იგი დგა წინაშე დედაკაცისა მის, რომელსა ეგულებოდა შობაჲ, რაჲთა, ოდეს შვეს, შთანთქას შვილი მისი.

5. და შვა მან ძე წული, რომელსა ეგულების მწყსაჲ ყოველთა წარმართთაჲ კუერთხითა რკინისაჲთა, და წარტაცებულ იქმნა შვილი მისი ღმრთისა მიმართ და საყდრისა მიმართ მისისა.

6. და დედაკაცი იგი იელტოდა უდაბნოდ, სადა-იგი აქუს მუნ ადგილი განმზადებული ღმრთისა მიერ, რაჲთა მუნ გამოზარდონ იგი ათას ორას და სამეოც დღე.

7. და იქმნა ბრძოლაჲ ცათა ში-

ნა: მიქაელ და ანგელოზნი მისნი ჰბრძოდეს ვეშაპსა მას, და ვეშაპი და ანგელოზნი მისნი ებრძოდეს მათ.
8. და ვერ შეუძლო და არცაღა ეპოვა მას აღგილი ცათა შინა.
9. და გარდამოვარდა ვეშაპი იგი დიდი, გუელი დასაბამისაჲ, რომელსა ეწოდების ეშმაკი და საგანა, რომელი აცთუნებს ყოველსა სოფელსა; გარდამოვარდა ქუეყანად და ანგელოზნი მისნი მის თანა გარდამოცვივნეს.
10. და მესმა ჴმაჲ დიდი ცათა შინა, რომელი იტყოდა, ეითარმედ: აწ იქმნა მაცხოვარებაჲ და ძალი და სუფევაჲ ღმრთისა ჩუენისაჲ და კელმწიფებაჲ ქრისტეს მისისაჲ, რამეთუ გარდამოვარდა შემასმენელი ძმათა ჩუენთაჲ, რომელი შეასმენდა მათ წინაშე ღმრთისა ჩუენისა დღე და ღამე.
11. და მათ სძლეს მას სისხლითა მით კრავისაჲთა და სიტყუთა წამებისა მისისაჲთა და არა შეიყუარნეს სულნი მათნი ვიდრე სიკუდილადმდე.
12. ამისთჳს ისარებდით ცანი და ყოველნი დამკჳდრებულნი მას შინა. ვაჲ არს ქუეყანისა და ზღჳსა, რამეთუ გარდამოჴდა ეშმაკი თქუენდა მომართ სავსე გულის-წყრომითა დიდითა, რამეთუ უწყის, ვითარმედ მცირედი ჟამი უც მას.
13. და რაჟამს ისილა ვეშაპმან მან, ვითარმედ გარდამოვარდა ქუეყანად, დევნა-უყო დედაკაცსა მას, რომელმან შვა ძე იგი წული.
14. და მიეცნეს დედაკაცსა მას ორნი ფრთენი არწივისა მის დიდისანი, რაჲთა ფრინვიდეს უდაბნოდ აღგილსა მისსა, რაჲთა გამოიგზარდოს მუნ წელსა და წელთა და კერძოსა წელიწდისასა პირისაგან გუელისა მის.
15. და აღმოასხა გუელმან მან პირისაგან თჳსისა წყალი, ვითარცა მდინარე, შემდგომად დედაკაცისა მის, რაჲთამცა წარიღო დედაკაცი იგი მდინარემან მან.
16. და შეეწია ქუეყანაჲ დედაკაცსა მას. და აღაღო ქუეყანამან პირი თჳსი და შთანთქა მდინარე იგი, რომელი აღმოასხა ვეშაპმან მან პირით თჳსით.
17. და განრისხნა ვეშაპი იგი დედაკაცისა მისთჳს და წარვიდა ბრძოლის-ყოფად სხუათა მათ თანა თესლისა მისისათა, რომელნი იმარხვენ მცნებასა ღმრთისასა და აქუს წამებაჲ იესუჲსი.

13

1. და დავდეგ მე ქჳშასა ზედა ზღჳსასა და ვიხილე მკეცი ერთი აღმომავალი ზღჳთ, რომელსა აქუნდეს ათნი რქანი და შჳდნი თავნი და რქათა ზედა

მისთა ათნი გჳრგჳნნი და თავთა მისთა სახელნი გმობისანი.
2. და მკეცი იგი, რომელ ვიხილე, იყო მსგავსი ვეფხისაჲ,და ფერკნი მისნი, ვითარცა დათჳსანი, და პირი მისი, ვითარცა პირი ლომისაჲ. და მისცა მას ვეშაპმან მან ძალი თჳსი და საყდრად თჳსი და კელმწიფებაჲ დიდი.
3. და ერთი თავთა მისთაგანი, რომელი-იგი დაკლულ იყო სიკუდილდ, და წყლულებაჲ იგი სიკუდილისა მისისაჲ განიკურნა. და დაუკჳრდა ყოველსავე ქუეყანასა მკეცისა მისთჳს.
4. და თაყუანის-სცეს ვეშაპსა მას, რომელმანცა მისცა კელმწიფებაჲ იგი მკეცსა მას; და თაყუანის-სცეს მკეცსა და იტყოდეს: ვინ არს მსგავს მკეცისა მის? ვინ შემძლებელ არს ბრძოლად მისა?
5. და მიეცა მას პირი დიდად მეტყუელი და მგმობარი, და მიეცა მას კელმწიფებაჲ ყოფად ბრძოლისა ორმეოც და ორ თთუე.
6. და აღაღო პირი თჳსი გმობად ღმრთისა მიმართ, გმობად სახელისა მისისა და სამკჳდრებელისა მისისა და ცათა შინა დამკჳდრებულთა მათ.
7. და მიეცა მას ბრძოლისაცა-ყოფად წმიდათა მიმართ და ძლევად მათდა; მიეცა მას კელმწიფებაჲ ყოველსა ზედა ტომსა და ერსა და ენასა და ნათესავსა.
8. და თაყუანის-სცენ მას ყოველთა მკჳდრთა ქუეყანისათა, რომელთა სახელები არა დაწერილ არს დასაბამითგან სოფლისაჲთ წიგნსა მას ცხორებისასა კრავისა მის დაკლულისა.
9. რომელსა პქონან ყურნი, ისმინენ.
10. რომელსა აქუს ტყუეობაჲ, წარეალს ტყუეობაჲ; რომელი მახჳლითა ჴერ-არს მისი მოკლეაჲ, მახჳლითა თჳსითა მოიკლას. აქა არს მოთმინებაჲ და სარწმუნოებაჲ წმიდათაჲ.
11. და ვიხილე სხუაჲ მკეცი, აღმომავალი ქუეყანით, და აქუნდეს რქანი, მსგავსნი კრავისა, და გრასჳიდა, ვითარცა ვეშაპი.
12. და კელმწიფებასა პირველისა მის მკეცისასა ყოველსა იქმნ წინაშე მისსა და ჰყოფდა ქუეყანასა და ყოველთა მკჳდრთა მისთა, რაჲთა თაყუანის-სცენ მკეცსა მას პირველსა, რომლისა წყლულებაჲ სიკუდილისა მისისაჲ განიკურნა.
13. და იქმნ სასწაულთა დიდთა, და რაჲთა ცეცხლი გარდამოჰდეს ზეცით წინაშე კაცთა
14. და აცთუნებს მკჳდრთა მათ, რომელნი არიან ქუეყანასა ზედა, სასწაულთა მათთჳს, რომელ მიეცნეს მას ქმნად წინაშე მკეცისა მის, და ეტყჳს მკჳდრთა ქუეყანისათა, რაჲთა ქმნან

სატი მკეცისაჲ მის, რომელსა-იგი აქუნდა წყლულებაჲ და ცხონდა მახჯლისაგან.
15. და მიეცა მას სული მიცემად სატსა მას მკეცისასა, რაჲთა იტყოდის სატი მკეცისაჲ მის და ქმნას. ყოველნი, რომელთა არა თაყუანის-სცენ სატსა მკეცისასა, მოიკლნენ.
16. და ყენეს ყოველნიენი – მცირენი და დიდნი და მდიდარნი და გლახაკნი და აზნაურნი და მონანი, – რაჲთა მიიღონ ბეჭედი კელსა მათსა მარჯუენესა ზედა, ანუ შუბლსა ზედა მათსა.
17. და რაჲთა არავის კელ-ეწიფებოდეს სყიდად, ანუ განსყიდად, გარნა რომელთა აქუნდეს ბეჭედი სახელისა მკეცისა მის, ანუ რიცხჳ სახელისა მისისაჲ.
18. აქა არს სიბრძნე; რომელსა აქუს გონებაჲ, აღიპყარნ რიცხჳ იგი მკეცისაჲ, რამეთუ რიცხჳ კაცისაჲ არს რიცხჳ მისი ექუსას სამეოც და ექუს.

14

1. და ვიხილე, და აჰა კრავი იგი მდგომარე მთასა ზედა სიონსა, და მის თანა რიცხჳ ას ორმეოც და ოთხი ათასი, რომელთა აქუნდა სახელი მისი და სახელი მამისა მისისაჲ დაწერილი შუბლთა ზედა მათთა.
2. და მესმა ზეცით ქმაჲ, ვითარცა ქმაჲ წყალთა მრავალთაჲ და ვითარცა ქმაჲ ქუხილისა დიდისაჲ; და ქმაჲ იგი, რომელი მესმა, ვითარცა მეათძალეთაჲ, რომელნი სცემდეს ათძალთა მათთა.
3. და გალობდეს გალობასა ასალსა წინაშე საყდრისა და წინაშე ოთხთა მათ ცხოველთა და მღდელთასა. და ვერვინ შემძლებელ იყო ცნობად გალობისა მის, გარნა ას ორმეოც და ოთხნი იგი ათასნი სყიდულნი ქუეყანისაგან.
4. ესენი არიან, რომელნი-იგი დედათა თანა არა შეიგინნეს, რამეთუ ქალწულ არიან; ესენი არიან, რომელნი შეუდგენ კრავსა მას, სადაცა ვიდოდის; ესენი იესუჲს მიერ სყიდულ არიან კაცთაგან შესაწირავად ღმრთისა და კრავისა.
5. და არა იპოვა პირსა მათსა ტყუეილი, რამეთუ უბიწო არიან წინაშე საყდრისა ღმრთისაჲსა.
6. და ვისილე ანგელოზი მფრინვალე შორის ცისა და ქუეყანისა, და აქუნდა სახარებაჲ საუკუნოჲ ხარებად მკჳდრთა ქუეყანისათა და ყოველსა ერსა ზედა და ტომთა და ენათა და წარმართთა.
7. იტყოდა კმითა დიდითა: გეშინოდენ უფლისა და მიეცით მას დიდებაჲ, რამეთუ მოვიდა ჟამი საშჯელისა მისისაჲ, და თაყუანის-ეცით მას, რომელმან ქმნა ცაჲ და ქუეყანაჲ და ზღუაჲ და

წყარონი წყალთანი.
8. და სხუაჲ, მეორე ანგელოზი შეუდგა მას და იტყოდა: დაეცა ბაბილონი იგი დიდი, რამეთუ ღუინისა მისგან გულის-წყრომისა სიძვისა მისისა ასუა ყოველთა წარმართთა.
9. და სხუაჲ ანგელოზი მესამე შეუდგა მას და იტყოდა კმითა დიდითა: რომელმანცა თაყუანის-სცეს მკეცსა მას და სატჲსა მისსა და მიიღოს ბეჭედი შუბლსა მისსა, ანუ კელსა მისსა,
10. მანცა სუას ღუინისა მისგან გულის-წყრომისა ღმრთისა, რომელი-იგი წდეულ არს ურწყულად სასუმელსა მას შინა რისხჳსა მისისასა,და იტანჯოს ცეცხლითა და წუმწუბითა წინაშე წმიდათა ანგელოზთა და წინაშე კრავისა.
11. და კუამლი ტანჯჳსა მისისაჲ უკუნითი უკუნისამდე აღვიდოდის, და არა აქუნდეს განსუენებაჲ დღე და ღამე, რომელთაცა თაყუანის-სცენ მკეცსა მას და ხატსა მისსა, ანუ მიიღონ ბეჭედი სახელისა მისისაჲ.
12. აქა არს მოთმინებაჲ წმიდათაჲ, რომელთა დაიცვნენ მცნებანი ღმრთისანი და სარწმუნოებაჲ იესუჲსი.
13. და მესმა კმაჲ გეცით, რომელი მეტყოდა, ეითარმედ: დაწერე: ნეტარ არიან მკუდარნი იგი, რომელნი უფლისა მიერ მოკუდენ ამიერითგან. იტყჳს სული: პე, რაჲთა განისუენონ შრომათაგან მათთა, და საქმე მათი შეუდგეს შათ თანა.
14. და ვიხილე, და აპა ღრუბელი სპეტაკი, და ღრუბელსა მას ზედა მჯდომარე, მსგაესი ძისა კაცისაჲ. და აქუნდა თავსა ზედა თჳსსა გჳრგჳნი ოქროჲსაჲ და კელთა მისთა მანგალი აღლესული.
15. და სხუაჲ ანგელოზი გამოვიდა ტაძრისაგან და კმა-უყო კმითა დიდითა მჯდომარესა მას ღრუბელსა ზედა: მიყავ მანგალი ეგე შენი და მომკე, რამეთუ მოვიდა ჟამი მკისაჲ,და განკმა სამკალი იგი ქუეყანისაჲ.
16. და მიყო მჯდომარემან მან ღრუბელსა ზედა მანგალი თჳსი ქუეყანად და მომკო ქუეყანაჲ.
17. და სხუაჲ ანგელოზი გამოვიდა ტაძრისა მისგან ზეცათაჲსა, და აქუნდა მასცა მანგალი მახჳლი.
18. და სხუაჲ ანგელოზი გამოვიდა საკურთხეველისაგან, რომელსა აქუნდა კელმწიფებაჲ ცეცხლსა ზედა, და კმა-უყო კმითა დიდითა,რომელსა-იგი აქუნდა მანგალი მახჳლი, ეითარმედ: მიჰყავ მანგალი ეგე მახჳლი და მოისთულენ ტევანნი იგი ვენაკისა მის ქუეყანისანი, რამეთუ დამწიფებულ არს ყურძენი იგი ქუეყანისაჲ.
19. და გამოიღო ანგელოზმან მან მანგალი თჳსი ქუეყანად და

მოკრიბა ვენაკი ქუეყანისაჲ და შთაღვა საწნესელსა მას გულის წყრომისა ღმრთისა დიდისასა.
20. და დაიწნისა საწნესელი იგი გარეშე ქალაქისა, და გამოჴდა სისხლი საწნესელისა მისგან ვიდრე აღჳრაღმდე ცხენთა ათას ექუსასით უტეევანით შორს.

15

1. და ვიხილე სხუაჲ სასწაული ცათა შინა დიდი და საკჳრველი: ანგელოზნი შჳდნი, რომელთა აქუნდეს შჳდნი იგი წყლულებანი უკუანაჲსკნელნი, რამეთუ მათ წყლულებათა ზედა აღესრულა გულის-წყრომაჲ ღმრთისაჲ.
2. და ვისილე, ვითარცა ბღუაჲ ჭიქისაჲ, შერეული ცეცხლითა. და რომელთაცა სძლიან ხატსა მას და მკეცსა და რიცხუსა მას სახელისა მისისასა, მდგომარე იყუნეს ბღუასა მას ზედა ჭიქისასა და აქუნდა ათძალები ღმრთისაჲ.
3. და გალობენ გალობასა მოსეს, მონისა ღმრთისასა, და გალობასა მას კრავისასა და იტყჳან: დიდ და საკჳრველ არიან საქმენი შენნი, უფალო ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო; მართალ და ჭეშმარიტ არიან გზანი შენნი, მეუფეო წმიდათაო.
4. ვინ არა შეუშინდეს, უფალო, და ადიდებდეს სახელსა შენსა? რამეთუ შენ მხოლოჲ ხარ წმიდა, და ყოველნი მოვიდენ და თაყუანის-გცენ წინაშე შენსა, რამეთუ სიმართლენი შენნი გამოცხადნეს.
5. და შემდგომად ამისა ვიხილე, რამეთუ განეღო ტაძარი კარვისაჲ მის საწამებელისაჲ ცათა შინა.
6. და გამოვიდეს შჳდნი იგი ანგელოზნი, რომელთა აქუნდეს შჳდნი იგი წყლულებანი, რომელთა ემოსა სამოსელი სელისაჲ წმიდაჲ და ბრწყინვალე, და მკერდთა მათთა ზედა ერტყა სარტყელები ოქროჲსაჲ.
7. და ერთმან ოთხთა მათ ცხოველთაგანმან მისცნა შჳდთა მათ ანგელოზთა შჳდნი ლანკნანი ოქროჲსანი, საესენი გულის-წყრომითა ღმრთისაჲთა, რომელი-იგი ცხოველ არს უკუნითი უკუნისამდე.
8. და აღიესო ტაძარი იგი კუამლითა დიდებისაგან ღმრთისა და ძლიერებისაგან მისისა. და ვერვინ შემძლებელ იყო შესლვად ტაძარსა, ვიდრემდის აღესრულნეს შჳდნი იგი წყლულებანი შჳდთა მათ ანგელოზთანი.

16

1. და მესმა კმაჲ დიდი, რომელი ეტყოდა შჳდთა მათ ანგელოზთა, ვითარმედ: წარვედით და დასთხიენით შჳდნი ეგე ლანკნანი გულის-წყრომისა

ღმრთისანი ქუეყანასა ზედა.
2. და ერთი იგი წარეიდა და დასთხია ლანკნაჲ თჳსი ქუეყანასა ზედა, და იქმნა მრაველი ბოროტი კაცთა ზედა, რომელთაცა აქუნდა ბეჭედი იგი მკეცისაჲ მათ ზედა; და თაყუანის-
-სცემდეს ხატსა მისსა.
3. და მეორემან ანგელოზმან დასთხია ზღუასა ზედა, და იქმნა სისხლი, ვითარცა მკუდრისაჲ; და ყოველი სული, რომელი იყო ზღუასა შინა, მოკუდა.
4. და მესამემან დასთხია მდინარეთა ზედა და წყაროთა ზედა წყალთასა, და გარდაიქცეს სისხლად.
5. და მესმა ანგელოზისა მისგან წყალთაჲსა, რომელი იტყოდა: მართალ ხარ, რომელი-ეგე ხარ და იყავე წმიდა, რამეთუ ესე საჯე.
6. რამეთუ სისხლი წმიდათაჲ და წინაწარმეტყუელთაჲ დასთხიეს, და სისხლი ასუ მათ, რამეთუ ღირს არიან.
7. და მესმა საკურთხეველისაჲ, რომელი იტყოდა: ჰე, უფალო ღმერთო, ყოელისა მპყრობელო, მართალ და ჭეშმარიტ არიან საშჯელნი შენნი.
8. და მეოთხემან ანგელოზმან დასთხია ლანკნაჲ თჳსი მზესა ზედა, და მიეცა მას ცეცხლითა დაწუვად კაცთა.
9. და დაიწუნეს კაცნი სიცხითა დიდითა და ჰგმობდეს კაცნი სახელსა ღმრთისასა. რომელსა- იგი აქუს კელმწიფებაჲ წყლულებათა ზედა მათთა, და არა შეინანეს, რაჲთამცა მისცეს მას დიდებაჲ.
10. და მეხუთემან დასთხია საყდარსა მას ზედა მკეცისა მის, და იქმნა მეუფებაჲ მისი დაბნელებულ. და იცოხნიდეს ენათა თჳსთა ტკივილისაგან
11. და ჰგმობდეს ღმერთსა ცათასა ტკივილთა მათთაგან და წყლულებათა, და არა შეინანეს საქმეთა მათთაგან.
12. და მეექუსემან დასთხია მდინარესა ზედა დიდსა ევფრატსა, და განკმა წყალი მისი, რაჲთა განემზადოს გზაჲ მეფეთაჲ მათ, აღმოსავალით მზისაჲთ მომავალთაჲ.
13. და ვიხილენ პირისაგან ეშაპისა და პირისაგან მკეცისა და პირისაგან ცრუ-წინაწარმეტყუელისა მის სულნი არაწმიდანი სამნი, ვითარცა მყუარნი.
14. რამეთუ არიან სულნიცა საეშმაკონი, მოქმედნი სასწაულთანი, რომელნი გამოელენ მეფეთა ზედა ყოელისა ქუეყანისათა შემოკრებად მათდა ბრძოლასა მას დიდისა მის დღისა ღმრთისა ყოელისა მპყრობელისასა.
15. აჰა ესერა მოვალ, ვითარცა მპარავი. ნეტარ არს, რომელმან იღუძოს და დაიმარხოს სამოსელი თჳსი, რაჲთა არა შიშულად

ვიდოდის, და პსედვიდენ უშუერებასა მისსა.
16. და შემოკრიბნა იგინი ადგილსა მას, რომელსა ეწოდების ებრაელებრ მაგედონ.
17. და მეშჳდემან მან ანგელოზმან დასთხია ლანკნაჲ თჳსი ჰაერსა ზედა, და გამოჴდა ქმაჲ დიდი ტაძრისაგან ზეცათაჲსა და საყდრისაგან, რომელი იტყოდა, ეითარმედ: იქმნა.
18. და იქმნეს ელვანი და ქუსილნი და ქმანი და ძრვაჲ დიდი, რომელ არა ქმნულ არს, ვინაჲთგან კაცნი დაებადნეს ქუეყანასა ზედა, ესეეითარი ძრვაჲ, ესრეთ დიდი.
19. და განიყო ქალაქი იგი დიდი სამად, და ქალაქნი წარმართთანი დაეცნეს, და ბაბილონი დიდი მოჴსენებულ იქმნა წინაშე ღმრთისა მიცემად მისდა სასუმელი იგი ღჳნისაჲ გულის-წყრომისა რისხვისა მისისაჲ.
20. და ყოველივე ჭალაკი ლტოლვილ იქმნა, და მთანი არა იპოვნეს.
21. და სეტყუაჲ დიდი მოვიდა ზეცით კაცთა ზედა და გმეს კაცთა სახელი ღმრთისაჲ წყლულებისა მისგან სეტყჳსა მის, რამეთუ დიდ არს წყლულებაჲ მისი ფრიად.

17

1. და მოვიდა ერთი შჳდთა მათ ანგელოზთაგანი, რომელთა აქუნდა შჳდი იგი ლანკნები, და იტყოდა ჩემ თანა და თქუა: მოვედ, და გიჩუენო შენ საშჯელი იგი მეძვისა მის დიდისაჲ, რომელი-იგი ზის წყალთა მათ ზედა მრავალთა,
2. რომლისა თანა ისიძვეს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა, და დაითრენეს მკჳდრნი ქუეყანისანი ღჳნისა მისგან სიძვისა მისისა.
3. და წარმიყვანა მე სულითა უდაბნოს, და ვიხილე დედაკაცი მჯდომარე მკეცსა ზედა წითელსა, სავსესა სახელებითა გმობისაჲთა, რომელსა ედგნეს შჳდნი თავნი და ათნი რქანი.
4. და დედაკაცსა მას ემოსა პორფირი და ძოწეული, შემკული ოქროჲთა და ქვითა პატიოსნითა და მარგალიტითა. და აქუნდა კელთა მისთა ბარძიმი ოქროჲსაჲ, სავსე საძაგელებითა და არაწმიდებითა სიძვისა ქუეყანისაჲთა.
5. და შუბლსა მისსა ზედა სახელი დაწერილი: საიდუმლოჲ, ბაბილონი დიდი, დედაჲ მეძაოთაჲ და საძაგელებათა ქუეყანისათაჲ.
6. და ვიხილე დედაკაცი იგი დამთრეალი სისხლითა წმიდათაჲთა და სისხლითა მით მოწამეთა იესუჲსთაჲთა. და დამიკჳრდა, ვიხილე რაჲ იგი, საკჳრველებითა დიდითა.
7. და მრქუა მე ანგელოზმან

მან: რად დაგიკურდა? მე გითხრა შენ საიდუმლოდ დედაკაცისად მის და მკეცისად,რომელსა-იგი უტურთავს, რომელსა ჰქონან შუდნი თავნი და ათნი რქანი.
8. მკეცი ეგე, რომელ იხილე, იყო და არა არს და ეგულების აღმოსლვად უფსკრულით და წარსაწყმედელად წარსლვად. და დაუკურდეს მკუდრთა ქუეყანისათა, რომელთა სახელები არა წერილ არს წიგნსა მას ცხორებისასა დასაბამითგან სოფლისადთ,რაჟამს-იგი ჰხედვიდენ, რამეთუ იყო მკეცი იგი და არა არს და მოვიდეს.
9. აქა არს გონებად, რომელსა აქუნდეს სიბრძნე. შუდნი იგი თავნი შუდნი მთანი არიან, რომელთა ზედა დედაკაცი მის.
10. და მეფენი არიან შუდნი: ხუთნი იგი დაეცნეს, და ერთი არს, და სხუად იგი არღა მოსრულ არს, და მო-რად-ვიდეს, მცირედ ჯერ-არს მისი ყოფად.
11. და მკეცი იგი, რომელი იყო და არა არს,და ესე მერვე არს და შუდთაგანი არს და წარსაწყმედელად წარვალს.
12. და ათნი იგი რქანი, რომელ იხილენ, ათნი მეფენი არიან, რომელთა მეფობად არღა მიუღია, არამედ კელმწიფებასა ვითარცა მეფენი ერთსა ჟამსა მიიღებენ მკეცისა მის თანა.
13. ამათ ერთი ნებად აქუს და ძალსა და კელმწიფებასა მათსა მკეცსა მისცემენ.
14. ესენი კრავსა მას ებრძოლნენ, და კრავმან სძლოს მათ, რამეთუ უფალი უფლებათად არს და მეუფე მეუფეთად, და მის თანა წოდებულნი იგი და რჩეულნი და მორწმუნენი.
15. და მრქუა მე: წყალნი იგი, რომელ იხილენ, ერნი არიან და წარმართნი და ენანი.
16. და ათნი იგი რქანი, რომელ იხილენ, და მკეცი — მათ მოიძულონ მეძაჲი იგი, განრყუნილ და შიშუელ ყონ იგი და კორცნი მისნი შეჭამნენ და იგი დაწუან ცეცხლითა.
17. რამეთუ ღმერთმან მოსცა გულთა მათთა ყოფად ნებისა მისისა და ყოფად ნებისა ერთისა და მიცემად მეფობად მათი მკეცსა, ვიდრემდის აღესრულნენ სიტყუანი ღმრთისანი.
18. და დედაკაცი იგი, რომელ იხილე, არს ქალაქი იგი დიდი, რომელსა აქუს მეფობად მეუეთად ქუეყანასა ზედა.

18

1. შემდგომად ამისა ვიხილე სხუად ანგელოზი, გარდამომავალი ზეცით, რომელსა აქუნდა კელმწიფებად დიდი. და ქუეყანად განათლდა დიდებისაგან მისისა.
2. და კმა-ყო კმითა დიდითა, ვითარმედ: დაეცა ბაბილონი დი-

დი და იქმნა სამკჳდრებელ ეშმაკთა და საყოფელ ყოველისაგე სულისა არაწმიდისა და საყოფელ ყოველისა მფრინველისა არაწმიდისა და მოძულებულისა.

3. რამეთუ ღჳნისა მისგან გულის-წყრომისა სიძვისა მისისა სუეს ყოველთა წარმართთა, და მეფეთა ქუეყანისათა მის თანა ისიძვეს, და ვაჭარნი ქუეყანისანი ძალისაგან სიბორგილისა მისისა განმდიდრდეს.

4. და მესმა სხუაჲ კმაჲ გეცით, რომელი იტყოდა: გამოვედით მისგან, ერო ჩემო, რაჲთა არა ეზიარნეთ ცოდვათა მისთა და წყლულებათა მისთაგან არა მიიღოთ.

5. რამეთუ მისწუღეს ცოდვანი მისნი ცაღმდე, და მოიკსენნა ღმერთმან უშჯულოებანი მისნი.

6. მიაგეთ მას, ვითარცა-იგი მან მოგაგო, და შეკეცეთ ორკეცი იგი, ვითარცა მან ქმნა, და საქმეთა მისთაებრ ბარძიმსა შინა მისსა, რომელ გიწდია, უწდიეთ მას ორკეცი.

7. ვითარ-იგი ადიდა თავი თჳსი და განცოფნა, ესეზომად მიეცა მას ტანჯვაჲ და ტკივილი, რამეთუ გულსა თჳსსა იტყჳს, ვითარმედ: ვჰი დედუფლად და ქუ[illegible]ე არა ვარ და გლოვაჲ არა [illegible]ილო.

[illegible] თჳს ერთსა დღესა მოვიდენ წყლულებანი მისნი, სიკუდილი, გლოვაჲ და სიყმილი, და ცეცხლითა დაიწუას, რამეთუ ძლიერ არს უფალი ღმერთი, რომელმან განიკითხა იგი.

9. და ტიროდიან და გოდებდენ მის ზედა მეფენი ქუეყანისანი, რომელთა მის თანა ისიძვეს და განკურდეს, რაჟამს ჰსჳდჳდენ კუამლსა მას კურებისა მისისასა.

10. შორით მდგომარენი შიშისათჳს ტანჯვისა მისისა იტყოდიან: ვაჲ, ვაჲ, ქალაქო დიდო ბაბილონო, ქალაქო ძლიერო! რამეთუ ერთსა ჟამსა მოვიდა საშჯელი შენი.

11. და ვაჭარნი ქუეყანისანი ტიროდიან და იგლოვდენ მის ზედა, რამეთუ ტჳრთსა მათსა არღარავინ იყიდდეს.

12. არღარა იყოს ტჳრთები ოქროჲსა და ვეცხლისაჲ და ქვისა პატიოსნისა და მარგალიტისაჲ და ბისონისა და პორფირისა და მეწამულისა და ძოწეულისაჲ და ყოველივე შეშაჲ სულნელი და ყოველივე ჭურჭელი პილოჲს-ძუალისაჲ და ყოველივე ჭურჭელი შეშისა პატიოსნისაჲ და რვალისა და რკინისა და მარმარილოჲსა

13. და კილამონისა და საკუმეველნი და მიჰრონი და გუნდრუკი და ზეთი და სიმინდი და იფქლი და ცხოვარი და ზროხაჲ და ცხენნი და ეტლნი და კორ-

ცნი დᲔᲡ სულნი კაცთანი.
14. და სიღი გულის-თქუმისად სულისა შენისად Წარვიდა შენგან და ყოველი პოსილი და ბრᲬყინეალე Წარკდა შენგან და ველრღარა ჰპოვნე ესე ყოველნი.
15. ვაჭარნი ამის ყოელისანი, რომელნი განმდიდრდეს მისგან, შორს დადგენ შიშისათჳს ტანჯეისა მისისა და ტიროდიან და იგლოვდენ.
16. და იტყოდიან: ვაჲ ქალაქი იგი დიდი, შემოსილი ბისონითა და პორფირითა და ძოᲬეულითა და შემკული ოქროჲთა და ქვითა პატიოსნითა და მარგალიტითა! რამეთუ ერთსა ჟამსა განირყუნა ესოდენი იგი სიმდიდრე.
17. და ყოველივე Წყალთა ზედა მაეალი და მენაევნი და რომელნიცა შურებიან ბღუასა ზედა, შორით დგეს
18. და სედვიდეს კუამლსა მას კურვებისა მისისასა და იტყოდეს: ვინ არს მსგავს ქალაქსა მას დიდსა?!
19. და დაისხეს მიწაჲ თავთა ზედა მათთა და ღაღადებდეს ტირილით და გლოვით და იტყოდეს: ვაჲ,ვაჲ ქალაქი იგი დიდი, რომელსა შინა განმდიდრდეს ყოველნი, რომელთა აქუნდა ნაევბი ბღუასა შინა პატიოსნებისაგან მისისა! რამეთუ ერთსა ჟამსა აღოკრდა.
20. იხარებდი მის ზედა, ცაო და Წმიდანო მოციქულნო და ᲬინაᲬარმეტყუელნო, რამეთუ საჯა ღმერთმან სამჯელი თქუენი მისგან.
21. და აღიღო ერთმან ანგელოზმან ძლიერმან ქვაჲ, ვითარცა Წისქული დიდი, და შთააგდო იგი ბღუასა და თქუა: ესრეთ შთაეარდეს ბაბილონ, ქალაქი იგი დიდი, და არღარა იპოოს.
22. და კმაჲ მეათძალეთაჲ და მეᲬინᲬილეთაჲ და მესტურეთაჲ და მესაყურეთაჲ არღარა ისმეს შორის შენსა, და ყოველი კელოეანი ყოელისა კელოენებისაჲ არღარა იპოოს შენ შორის, და კმაჲ Წისქულისაჲ არღარა ისმეს შენ შორის.
23. და ნათელი სანთლისაჲ არღარა იხილეოს შენ შორის, და კმაჲ სიძისა და სძლისაჲ არღარა ისმეს შენ შორის, რამეთუ ვაჭარნი შენნი იყენეს მთავარნი ქუეყანისანი, რამეთუ მᲬამლველობითა შენითა სცთეს ყოველნი Წარმართნი.
24. და შენ შორის სისხლნი ᲬინაᲬარმეტყუელთანი და Ჭმიდათანი იპოვნეს და ყოველთა მოკლულთაჲ ქუეყანასა ზედა.

19

1. შემდგომად ამისა მესმა, ვითარცა კმაჲ დიდი ერისა მრავლისაჲ ცათა შინა, რომელნი იტყოდეს: ალელუჲაჲ, მაცხოვა-

რებაჲ და ძალი და დიდებაჲ ღმრთისა ჩუენისაჲ!
2. რამეთუ ჭეშმარიტებით და სიმართლით არიან საშჯელნი მისნი, რამეთუ საჯა მეძავი იგი დიდი, რომელმან განსრწნა ქუეყანაჲ სიძვითა თჳსითა, და გამოიძია სისხლი მონათა თჳსთაჲ კელისაგან მისისა.
3. და მეორედ თქუეს: ალელუჲა. და კუამლი მისი აღეალს უკუნითი უკუნისამდე.
4. და დაეარდეს ოც და ოთხნი იგი მღდელნი და ოთხნი ცხოველნი და თაყუანის-სცეს ღმერთსა, მჯდომარესა საყდართა ზედა, და თქუეს: ამინ! ალელუჲა!
5. და კმაჲ გამოვიდა საყდრით, რომელი იტყოდა: აქებდით ღმერთსა ჩუენსა ყოველნი მონანი მისნი და მოშიშნი მისნი – მცირენი და დიდნი.
6. და მესმა ვითარცა კმაჲ ერისა მრაველისაჲ და ვითარცა კმაჲ წყალთა მრაჳალთაჲ და ვითარცა კმაჲ ქუხილთა ძლიერთაჲ, რომელნი იტყოდეს: ალელუჲა! რამეთუ სუფევს უფალი ღმერთი ჩუენი, ყოელისა მპყრობელი.
7. ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ და მივსცეთ მას დიდებაჲ, რამეთუ მოვიდა ქორწილი კრავისაჲ, და ცოლმან მისმან განმზადა თავი თჳსი.
8. და მიეცა მას, რაჲთა შეიმოსოს ძოწეული წმიდაჲ და ბრწყინვალე, რამეთუ ძოწეული სიმართლენი წმიდათანი არიან.
9. და მრქუა მე: დაწერე, ვითარმედ: ნეტარ არიან წოდებულნი სერობასა მას კრავისასა, და მრქუა მე: ესე სიტყუანი ჭეშმარიტნი ღმრთისანი არიან.
10. და დავვარდი წინაშე ფერჴთა მისთა თაყუანის-ცემად მისა, და მრქუა მე: ისილე ნუ, შენ თანა მონაჲ ვარ მე და ძმათა შენთა, რომელთა აქუს წამებაჲ იესუჲსი; ღმერთსა თაყუანის-ეც, რამეთუ წამებაჲ იესუჲსი არს სული იგი წინაწარმეტყუელებისაჲ.
11. და ვიხილენ ცანი განსუმულნი. და აჰა ცხენი სპეტაკი, და მჯდომარესა მას ზედა ეწოდებოდა სარწმუნოჲ და ჭეშმარიტი, და სიმართლით შჯის და იბრძვის.
12. და თუალნი მისნი იყენეს ვითარცა ალი ცეცხლისაჲ, და ოაესა ზედა მისსა გჳრგჳნნი მრაჳალნი, რომელთა ზედა წერილ იყო სახელები, და სახელი წერილი, რომელი არავინ უწყის, გარნა მან თავადმან.
13. და ემოსა სამოსელი შეღებული სისხლითა, და წოდებულ არს სახელი მისი: სიტყუაჲ ღმრთისაჲ.
14. და მჴედრობანი ცათანი შეუდგეს მას, მსხდომარენი ცხენ-

თა გედა სპეტაკთა, შემოსილნი ბისონითა სპეტაკითა და ბრწყინვალითა.
15. და პირისაგან მისისა გამოვიდოდა მახჳლი ორპირი აღლესული, რაჲთა მით მოსრნეს წარმართნი, და იგი ჰმწყსიდეს მათ კუერთხითა რკინისაჲთა. და იგი დასწნეხს საწნებელსა მას ღჳნისა მის გულის-წყრომისა და რისხჳისა ღმრთისა, ყოელისა მპყრობელისასა.
16. და არს წერილ სამოსელსა მისსა გედა და თეძოსა მისსა სახელი, ვითარმედ: მეუფე მეუფეთაჲ და უფალი უფლებათაჲ.
17. და ვიხილე ანგელოზი, მდგომარე მზესა გედა, და ეტყოდა ყოველთა მფრინველთა, მფრინვალეთა ცათა შინა: მოვედით და შემოკერბით სერსა მას დიდისა ღმრთისასა,
18. რაჲთა შჭამნეთ კორცნი მეფეთანი და კორცნი ათასის-თაეთანი და კორცნი ძლიერთანი და კორცნი ცხენთანი და მათ გედა მსხდომარეთანი და კორცნი ყოველთა აზნაურთა და მონათა და მცირეთა დ დიდთ̃ანი.
19. და ვიხილე მკეცი იგი და მეფენი ქუეყანისანი და მკედრობანი მათნი, შეკრებულნი ბრძოლის-ყოფად მჯდომარისა მის ცხენსა გედა და მკედრობისა მისისა მიმართ.
20. და შეპყრობილ იქმნა მკეცი იგი და მის თანა ცრუ-წინაწარმეტყუელი იგი, რომელმან ქმნნა წინაშე მისსა სასწაულნი, რომლითა აცთუნნა იგინი, რომელთა მიიღეს ბეჭედი იგი მკეცისაჲ და თაყუანის-სცეს სატჲსა მისსა. და ცოცხლივე შთავარდეს ორნივე იგი ტბასა მას ცეცხლისასა, რომელი-იგი იწუების წუმწუბითა.
21. და სხუანი იგი მოისრნეს მახჳლითა ცხენსა მას გედა მჯდომარისაჲთა, რომელი გამოვიდოდა პირით მისით, და ყოველნი მფრინველნი განძღეს კორცითა მათითა.

20

1. და ვიხილე ანგელოზი, გარდამოვალი ზეცით, და აქუნდა კლიტე უფსკრულისაჲ და ჯაჭჳ დიდი კელსა მისსა.
2. და შეიპყრა ეშაპი იგი — გუელი დასაბამისაჲ, რომელ არს ეშმაკი და სატანა, რომელი აცთუნებს ყოველსა სოფელსა, და შეკრა იგი ათას წელ.
3. და შთააგდო იგი უფსკრულსა შინა და დაჰკშა კარი და დაჰბეჭდა მის გედა, რაჲთა ვერღარა აცთუნებდეს წარმართთა, ვიდრემდე აღესრულოს ათასი წელი. შემდგომად ამისა ჯერ-არს განჴსნაჲ მისი მცირედ ჟამ.
4. და ვიხილენ საყდარნი, და დასხდეს მათ გედა, და საშჯე-

ლი მიეცა მათ და სულნი იგი მოკლულთანი წამებისათჳს იესუჲსა და სიტყჳსათჳს ღმრთისა, და რომელთაცა არა თაყუანის-ცეს საგსა მას მკეცისასა და არცა მიიღეს ბეჭედი მისი შუბლთა ზედა, ანუ კელთა მათთა, და ცხონდეს და სუფევდეს ქრისტეს თანა ათასსა მას წელსა.

5. და სხუანი იგი მკუდარნი არა ცხონდეს ათასსა მას წელსა. ესე არს აღდგომაჲ იგი პირველი.

6. ნეტარ არს და წმიდა, რომელსა აქუნდეს ნაწილი აღდგომასა მას შინა პირველსა. მათ ზედა მეორესა მას სიკუდილსა არა აქუს ქელმწიფებაჲ, არამედ იყვნენ მღდელ ღმრთისა და ქრისტესა და სუფევდენ მის თანა ათასსა მას წელსა.

7. და შემდგომად ათასისა მის წლისა განიკსნას ეშმაკი საპყრობილისაგან თჳსისა.

8. და გამოვიდეს ცთუნებად წარმართთა, რომელნი არიან ოთხთა კიდეთა ქუეყანისათა, გოგს და მაგოგს, შემოკრებად მათდა და ბრძოლად, რომელთა სიმრავლე ვითარცა ქჳშაჲ ზღუსაჲ.

9. და აღმოვიდეს სივრცესა ზედა ქუეყანისასა და გარე-მოადგეს ბანაკსა წმიდათასა და ქალაქსა მას შეყუარებულსა. და გარდამოჴდა ცეცხლი ზეცით და შეჭამნა იგინი.

10. და ეშმაკი, რომელი-იგი აცთუნებდა მათ, შთავარდა ტბასა მას ცეცხლისა და წუმწუბისასა, სადა იყვნეს მკეცი იგი და ცრუ-წინაწარმეტყუელი და იტანჯებოდიან ღღე და ღამე უკუნითი უკუნისამდე.

11. და ვიხილე საყდარი დიდი სპეტაკი და მჯდომარე მას ზედა, რომლისა პირისაგან ლტოლვილ იქმნა ქუეყანაჲ და ცაჲ, და ადგილი არა ეპოვა მათ.

12. და ვიხილენ მკუდარნი, მდგომარენი წინაშე საყდრისა მის. და წიგნნი განეხუნეს და სხუაჲ წიგნი განეღო, რომელ არს ცხორებისაჲ. და განისაჯნეს მკუდარნი წერილთა მათგან წიგნთა მათ შინა საქმეთაებრ მათთა.

13. და მოსცნა ზღუამან მკუდარნი, რომელნი იყვნეს მას შინა, და სიკუდილმან და ჯოჯოხეთმან მოსცნეს მკუდარნი, რომელნი იყვნეს მათ შორის. და განისაჯა თითოეული საქმეთაებრ თჳსთა.

14. და სიკუდილი და ჯოჯოხეთი შთავარდეს ტბასა მას ცეცხლისასა. ესე სიკუდილი მეორე არს ტბაჲ იგი ცეცხლისაჲ.

15. და რომელიცა არა იპოვა წიგნსა მას ცხორებისასა დაწერილ, შთავარდა ტბასა მას ცეცხლისასა.

21

1. და ვიხილე ცაჲ ახალი და ქუეყანაჲ ახალი, რამეთუ პირველი იგი ცაჲ და პირველი იგი ქუეყანაჲ წარკჳდეს, და ზღუაჲ არღარა არს.
2. და ქალაქი იგი წმიდაჲ, იერუსალჱმი ახალი ვიხილე, გარდამომავალი ზეცით ღმრთისაგან, განმზადებულ, ვითარცა სძალი შემკული ქმრისა მიმართ თჳსისა.
3. და მესმა ჴმაჲ დიდი ზეცით, რომელი იტყოდა: აჰა სამკჳდრებელი ღმრთისაჲ კაცთა თანა, და დაიმკჳდროს მათ თანა, და იგინი იყვნენ ერ მისსა, და იგი ღმერთი თავადი მკჳდრ იყოს მათ შორის
4. და აჴოცოს ყოველივე ცრემლი თუალთაგან მათთა, და სიკუდილი არღარა იყოს, არცა გლოვაჲ, არცა ღაღადებაჲ, არცა ტკივილი,რამეთუ პირველნი იგი წარკჳდეს.
5. თქუა მჯდომარემან მან საყდარსა ზედა: აჰა ესერა ყოველსაცა ახალ-ეჰყოფ. და თქუა: დაწერე, ვითარმედ: ესე სიტყუანი სარწმუნონი და ჭეშმარიტნი ღმრთისანი არიან.
6. და მრქუა მე: ვიქმენ მე ანი და ჲ, დასაბამი და დასასრული. მე წყურიელსა მივსცე წყაროჲსა მისგან წყლისა ცხოველისა უსასყიდლოდ.
7. რომელმან სძლოს, მიესცე მას ესე ყოველი და ვიყო მისა ღმერთ, და იგი იყოს ჩემღა ძე.
8. ხოლო მოშიშთა და ურწმუნოთა და ცოდვილთა და საძაგელთა და კაცის-მკლველთა და მეძავთა და მწამლველთა და კერპთ-მსახურთა და ყოველთა მტყუვართაჲ ნაწილი მათი იყოს ტბასა მას ცეცხლითა და წუმწუბითა მოტყინარესა, რომელ არს სიკუდილი იგი მეორე.
9. და მოვიდა ერთი შჳდთა მათ ანგელოზთაგანი, რომელთა-იგი აქუნდეს შჳდნი იგი ლანკანი, სავსენი წყლულებათა მათ მიერ უკუანაჲსკნელთა, და იტყოდა ჩემ თანა და მრქუა მე: მოვედ, და გიჩუენო მენ დედაკაცი იგი, სძალი კრავისაჲ.
10. და წარმიყვანა მე სულითა მთასა მაღალსა და დიდსა და მიჩუენა მე ქალაქი წმიდაჲ იერუსალჱმი, გარდამომავალი ზეცით ღმრთისაგან.
11. და აქუნდა დიდებაჲ ღმრთისაჲ. მნათობი მისი მსგავს იყო ქვასა პატიოსანსა, ვითარცა ქვასა იასპსა ბროლის-სახესა.
12. და აქუნდა ზღუდე დიდი და მაღალი და ბჭენი ათორმეტნი და სახელები წერილი, რომელ არს სახელები ძეთა ისრაჱლისათაჲ.
13. აღმოსავალით ბჭენი სამნი და სამხრით სამნი და ჩრდილოჲთ სამნი და დასავალით სამნი.

14. და ზღუდესა მას ქალაქისასა აქუნდეს ათორმეტნი საფუძველნი და მათ ზედა ათორმეტნი სახელნი ათორმეტთა მათ მოციქულთა კრავისათანი.
15. და რომელი-იგი იტყოდა ჩემ თანა, აქუნდა საზომი ლერწამი ოქროჲსაჲ, რაჲთამცა განზომა ქალაქი იგი და ბჭენი მისნი და ზღუდენი მისნი.
16. და ქალაქი იგი მოთხვითად არს; და სიგრძე მისი, ვითარცა სიერცე. და განზომა ქალაქი იგი ლერწმითა მით ათორმეტსა ათასსა უტევანსა. ათორმეტი სიგრძე და სიერცე და სიმაღლე მისი სწორ არიან.
17. და ზღუდე მისი ას ორმეოც და ოთხი წყრთაჲ საზომითა კაცისაჲთა, რომელ არს ანგელოზისაჲ.
18. და იყო მოსწორებაჲ ნაშენები ზღუდისა მისისაჲ იასპი, და ქალაქი იგი ოქროჲ წმიდაჲ, მსგავსი ჭიქასა წმიდასა.
19. და საფუძველნი ზღუდისანი ყოველითა ქვითა პატიოსნითა შემკულნი. საფუძველი პირველი იასპი, მეორე საფირონი, მესამე ქალკიდონი, მეოთხე სამარაგდე,
20. მესუთე სარდონიხოჲ, მექუსე სარდიოჲ, მეშჯდე ოქრო-ქვაჲ, მერვე ბიერილი, მეცხრე ტოპაზი, მეათე ხრუსოპასოჲ, მეთერთმეტე იაკინთი, მეთორმეტე ამეთჳსოჲ.
21. და ათორმეტნი იგი ბჭენი იყვნეს ათორმეტნი მარგალიტნი, თითოეული ბჭე იყო ერთისა და ერთისა მარგალიტისაჲ. და უბანი ქალაქისაჲ მის ოქროჲ წმიდაჲ და ჭიქაჲ ბრწყინვალე.
22. და ტაძარი არა მიხილავს მას შორის, რამეთუ უფალი ღმერთი, ყოვლისა მპყრობელი, ტაძარ მისა არს და კრავი იგი.
23. და ქალაქსა მას არა უკმს მზე, ანუ მთოვარე მნათობად, რამეთუ დიდებამან ღმრთისამან განანათლა იგი, და სანთელ მისა არს კრავი იგი.
24. და ვიდოდიან წარმართნი ნათლითა მისითა, და მეფეთა ქუეყანისათა დიდებაჲ და პატივი წარმართთაჲ მისა მიიღონ.
25. და ბჭენი მისნი არა დაეკშნენ დღისი, რამეთუ ღამე მუნ არა იყოს.
26. და მიიღონ დიდებაჲ და პატივი წარმართთაჲ მუნ, რაჲთამცა შევიდეს.
27. და არა შეევიდეს მუნ ყოველივე შეგინებული და მოქმედი ბოროტისაჲ და ტყუვილისაჲ, გარნა დაწერილნი იგი წიგნსა მას ცხორებისა კრავისასა.

22

1. და მიჩუენა მდინარე ერთი წყლისა ცხოველისაჲ ბრწყინვალე, ვითარცა ბროლი, გამომავალი საყდრისაგან ღმრთისა და კრავისა.

2. შორის სივრცესა მის ქალაქისასა და მდინარისა მის ამიერ და წიაღ ძელი ცხორებისაჲ, გამომღებელი ათორმეტსა ნაყოფსა, ყოველთა თთუეთა მომცემელი თჳსისა მის ნაყოფისაჲ, და ფურცელნი იგი მის ხისანი საკურნებელად წარმართთა.
3. და ყოველი წყევაჲ არა იყოს მუნ, და საყდარი იგი ღმრთისაჲ და კრაეისაჲ მას შინა იყოს, და მონანი მისნი ჰმსახურებდენ მას.
4. და იხილონ პირი მისი და სახელი მისი შუბლთა ზედა მათთა.
5. და ღამე არა იყოს მუნ, და არა საკმარ იყოს ნათელი და მზე, რამეთუ უფალმან ღმერთმან განანათლნეს იგინი, და სუფევდენ უკუნითი უკუნისამდე.
6. და მრქუა მე: ესე სიტყუანი სარწმუნო და ჭეშმარიტ არიან, და უფალმან ღმერთმან სულთა წინაწარმეტყუელთამან მოაველინა ანგელოზი თჳსი ჩუენებად, რაჲ-იგი ყოფად არს აღრე.
7. და აჰა ესერა მოვალ აღრე. ნეტარ არს, რომელმან დაიმარხნეს სიტყუანი წინაწარმეტყუელებისა ამის წიგნისანი.
8. და მე, იოვანე, რომელსა მესმოდა და ვხედევდი ამას ყოველსა, და რაჟამს მესმა და რაჟამს ვიხილე, დავვარდი თაყუანის-ცემად წინაშე ფერჴთა ანგელოზისა მის, რომელი მიჩუენებდა ამათ.
9. და მრქუა მე: იხილე ნუ, რამეთუ შენ თანა მონაჲ ვარ და ძმათა შენთა თანა წინაწარმეტყუელთა და რომელთა დაიცვენენ სიტყუანი ამის წიგნისანი. ღმერთსა თაყუანის-ეც.
10. და მრქუა მე: ნუ დაპბეჭდაე სიტყუათა წინაწარმეტყუელებისა ამის წიგნისათა, რამეთუ ჟამი ახლოს არს.
11. უსამართლოჲ იგი უსამართლოებდინ ჯერეთ, და შეგინებული შეიგინებოდენ ჯერეთ, და მართალი სიმართლესა იქმოდენ ჯერეთ, და წმიდაჲ იგი წმიდა იქმნებოდენ ჯერეთ.
12. და აჰა ესერა მოვალ აღრე, და სასყიდელი ჩემი ჩემ თანა მიგებად თითოეულსა, ვითარცა საქმე მისი იყოს.
13. მე ვარ ანი და ჲ, პირველი და უკუანაჲსკნელი, დასაბამი და დასასრული.
14. ნეტარ არიან, რომელნი იქმოდიან მცნებათა მისთა, რაჲთა იყოს კელმწიფებაჲ მათი ძელსა მას ზედა ცხორებისასა, და ბჭეთა მათ მიერ შევიდენ ქალაქად.
15. გარე იყვნენ შეგინებულნი და მწამლველნი და მეძავნი და კაცის-მკლველნი და კერპთ-მსახურნი და ყოველი მოყუარე და მოქმედი ტყუეილისაჲ.
16. მე, იესუ, მოვაველინე ანგელოზი ჩემი, რაჲთა გიწამოს ესე

ყოველი თქუენ, ეკლესიათა. მე ვარ ძირი და ნათესავი დავითისი, ვარსკულავი ბრწყინვალე განთიადისაჲ.

17. და სული და სძალი იტყჳან: მოვიდოდე! და რომელსა ესმას, თქუნ: მოვიდოდე! და რომელსა სწყუროდის, მოვიდოდენ, რომელსა ჰნებავს მიღებად წყლისა მის ცხოველისა უსასყიდლოდ.

18. ვწამებ მე ყოელისა მიმართ, რომელსა ესმოდიან სიტყუანი წინაწარმეტყუელებისა ამის წიგნისანი: უკუეთუ ვინ შესძინოს ამათ ზედა, შესძინენ ღმერთმან მის ზედა წყლულებანი იგი, რომელ წერილ არიან ამას წიგნსა.

19. და უკუეთუ ვინ მოაკლოს სიტყუათა წიგნისა ამის წინაწარმეტყუელებისათა, მოაკლენ ღმერთმან ნაწილი მისი ძელისა მისგან ცხორებისა და ქალაქისა მისგან წმიდისა, რომელ წერილ არიან ამას წიგნსა.

20. იტყჳს, რომელი წამებს ამას: ჰე, მოვალ ადრე! ჰე, მოვიდოდე, უფალო იესუ!

21. მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი ყოველთა წმიდათა თანა. ამინ.



წმიდა ექვთიმე მთაწმიდელი.
ახტალის ტაძრის მოხატულობა. XIII ს.

დანართი

სალმრთო წერილის შესახებ

* * *

ქრისტეზე წინასწარმეტყველება ძველ ალთქმაში
და მათი აღსრულება

* * *

სახარებისეული ქრონოლოგიური ცხრილები

* * *

ცნობები ბიბლიურ პატრიარქთა შესახებ

* * *

ბიბლიური ქრონოლოგიის შედარება ძველი
მსოფლიოს ისტორიასთან

* * *

ჯალენდარი და ზომა-წონის ერთეულები

* * *

წმიდა მიწა იესო ქრისტეს დროს

* * *

სრული განმარტებითი ლექსიკონი

* * *

რუკები და
წმინდა ადგილების ილუსტრაციები

საღმრთო წერილის შესახებ

წმიდა იოანე ოქროპირის განმარტებით, „ბიბლია არის მრავალი წიგნი, რომელიც ქმნის ერთ მთლიანს". ბერძნული სიტყვა „ბიბლია" ანუ წიგნები წარმოდგენას გვიქმნის ერთ დიდ წიგნზე, რომელიც მოიცავს ძველ და ახალ აღთქმას, თუმცა, თავისი არსით, ეს არ არის ერთი წიგნი, არამედ ეკლესიის მიერ მკაცრად განსაზღვრული კრებული წიგნებისა, რომლებიც დაიწერა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა მიზნით.

ძირითადი იდეა ბიბლიური წიგნებისა, რომლის გარშემო ერთიანდება ყოველივე, არის სწავლება მესიის, იესო ქრისტეს – ძე ღმერთის შესახებ. ის არის ალფა და ომეგა. იესო ქრისტე ორივე აღთქმის მსაზღვრელია: ძველი აღთქმა, როგორც მესიის მოლოდინი; ახალი აღთქმა, როგორც მისი განხორციელება.

სიტყვა ბიბლია საყოველთაო ხმარებაში შემოდის ორიგენეს (III ს.) და განსაკუთრებით წმიდა იოანე ოქროპირის (IV ს.) დროს.

საღმრთო წერილის წიგნების ანუ ბიბლიის დაყოფა ძველ და ახალ აღთქმად სდება ამ ორი ნაწილის მიმართებისდა მიხედვით ბიბლიის მთავარი მსაზღვრელის – მესიის პიროვნებისადმი:

წიგნებს, რომლებიც დაიწერა ქრისტეს მოსვლამდე, წინასწარმეტყველებდნენ მესიაზე და ადამის მოდგმას, განსაკუთრებით კი ებრაელ ერს ამზადებდნენ მის მისაღებად – **ძველი აღთქმა** ეწოდა.

სოლო იმ წიგნებს, რომლებიც შეიქმნა მაცხოვრის მოღვაწეობის შემდეგ და მიძღვნილია მისი გამომსყიდველი მსახურების, მსხნელი ჯვარცმისა და მაცხოვნებელი აღდგომისადმი, ასევე გადმოცემულია იესო ქრისტეს და მის წმიდა მოციქულთა მიერ დაარსებული ეკლესიის საფუძვლები, **ახალი აღთქმა** ეწოდა.

სიტყვა „აღთქმა" (ებრ. – „ბერით", ბერძნ. – „დიათიკი", ლათინ. – „ტესტამენტუმ", სლავ. – „ზავეტ") წმიდა წერილის ენაზე და ბიბლიური გამოყენებით უპირველესად ნიშნავს დადგენილებას, პირობას, კანონს, რომელზეც თანხმდება ორი მსარე. აქედან გამომდინარეობს უკვე თვით შეთანხმება და კავშირი, ასევე მისი გარეგანი ნიშნები, რომლებიც მის დამოწმებას ემსახურება როგორც ბეჭედი (ლათ. ტესტამენტუმ).

რამდენადაც წმიდა წიგნები, რომლებშიც აღწერილი იყო ეს აღთქმა ანუ კავშირი ღმერთისა ადამიანთან, წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას ამ კავშირის დასამოწმებლად და დასამტკიცებლად ხალხის მეხსიერებაში, ამიტომ მათზე ადრევე გადატანილ იქნა სახელი „აღთქმა“. ის უკვე არსებობდა მოსეს ეპოქაში (გამ. 24, 7), როდესაც სინას მთაზე მიღებულ სჯულდებას „აღთქმის წიგნი“ ეწოდა. ძველ აღთქმასვე ეკუთვნის წინასწარმეტყველური მითითება „ახალ აღთქმაზე“ იერემიას წინასწარმეტყველებაში (იერ. 31, 31): „აჰა დღენი მოვლენ,— იტყჳს უფალი, — და აღუთქუა სახლსა ისრაჱლისასა და სახლსა იუდაჲსასა აღთქუმაჲ ახალი“.

ტერმინი „ახალი აღთქმა“ არაერთხელ გამოიყენეს თვით იესო ქრისტემ და მისმა მოწაფეებმა გამოსყიდული და მაღლფენილი კაცობრიობის ასაღდაწყებული ისტორიის აღსანიშნავად (მთ. 26, 28; მრკ. 14, 24; ლკ. 22, 20; 1 კორ. 11,25; 2 კორ. 3,6 და ა.შ.).

იმის შესაბამისად, როგორადაც ათ მცნებას ან მთელ რჯულს უწოდებენ აღთქმას, ზუსტად ასევე გამოთქმას „ახალი აღთქმა“ იყენებენ ქრისტიანულ ეკლესიაში წმიდა წიგნებისადმი, რომლებშიც მოწაფეთა მიერ გაღმოცემულია ქრისტეს სწაველა-მოძღვრება. ასალი აღთქმის წიგნებს ძველად „წერილს“ უწოდებდნენ (ლკ. 4, 21; ინ. 20, 9; საქმე 8, 32; გალ. 3, 22), ასევე გამოიყენებოდა „წმიდა წერილიც“ (2 ტიმ. 3,15).

ახალი აღთქმის საღმრთო წერილის წიგნები იესო ქრისტეს წმიდა მოწაფეთა – მოციქულთა მიერ დაიწერა. ახალი აღთქმის კანონიკური წიგნები ღმრთიესულიერია, ე.ი. დაწერილია ღმრთიეგამოცხადებით, ღმრთიეშთაგონებით, სულიწმიდის კარნახით და არა ადამიანის ნება-სურვილით. იგი არ არის ადამიანის ცნობიერების ნაყოფი, არამედ დაიწერა ღმრთის კურთხევითა და მადლით.

წმიდა პეტრე მოციქული გვასწაელის: „რამეთუ არა ნებითა კაცთაჲთა მო-სადამე--იწია წინაწარმეტყუელებაჲ, არამედ წუევითა სულისა წმიდისაჲთა იტყოდეს წმიდანი ღმრთისა კაცნი“ (2 პეტრ. 1, 21).

წმიდა პაველე მოციქული ამბობს: „ყოველი წიგნი ღმრთივ სულიერი და სარგებელი სამოძღურებელად არს“ (2 ტიმ. 3,16).

გრიგოლ ღმრთისმეტყველი გვმოძღვრავს: „წინასწარმეტყველთა და მოციქულთა ენით თავად უფალი გვემეტყველება“.

მათში მოცემულია მაცხოვრის ღმრთაებრივი სწავლება სულიერი ცხოვრების შესახებ, რომელსაც მოწმობენ და მოგვითხრობენ უფლის მოწაფენი (1 ინ. 1, 2). ეს სწავლება განმტკიცებულია მათში სული წმიდის მოქმედებით, შესაბამისად უფლის აღთქმისა (ინ. 14, 26) და მოციქულთა მიერ გადმოცემულია ყველა დროის ადამიანისთვის (მთ. 28, 19-20; მრკ. 16,15).

წმიდა წერილის ღმრთივსულიერი წიგნები დაწერილია საეკლესიო ცხოვრების მოსაწესრიგებლად, რაც თითოეული ადამიანის სწორ, ჭეშმარიტ, ეკლესიურ ცხოვრებას ნიშნავს. ეს წიგნები სწორად იქნება აღქმული მხოლოდ ეკლესიის წიაღში, მისი უწყვეტი სულიერი გამოცდილებით, წმიდა გარდამოცემით.

საღმრთო წერილის და წმიდა გარდამოცემის სწორად გაგებისა და შემეცნებისათვის საჭიროა ქრისტიანის ეკლესიური ცხოვრება საღმრთო მცნებებისა და საეკლესიო წესების დაცვით. ეკლესიური ცხოვრების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ღმრთისმსახურების საერთო წესებში მონაწილეობა, სადაც ლოცვით, აღსარებითა და ქრისტეს წმიდა სისხლისა და ხორცის მიარებით – ამ დიდი საიდუმლოს მეშვეობით ქრისტიანი შედის მადლიან ეკლესიურ ერთობაში უფალ იესო ქრისტესთან, ყოველთა წმიდათა მადლმოსილ სამყაროსთან და მთელ ზეციურ ეკლესიასთან.

ახალი აღთქმის საღმრთო წიგნები I საუკუნის მეორე ნახევარში დაიწერა. ვიდრე ერთ წიგნად შეკრული მოგვევლინებოდა, მათ თანდათან უყრიდნენ თავს საეპისკოპოსო კათედრებზე შედგენილ კრებულებში თვითმხილველთა ზეპირი და წერილობითი მოწმობის საფუძველზე. ღმრთისმსახურებისას მათი კითხვა, როგორც რწმენისა და ქრისტიანული ცხოვრების ძირითადი წყაროსი, ამოწმებს მათ კანონიკურობას, სამოციქულო წარმომავლობას. ეს კრებულები II ს-ის შუა წლებიდან ხდება ცნობილი ეკლესიის ჩამოყალიბებისა და გავრცელების კვალობაზე. ჯერ კიდევ წმიდა ირინეოს ლიონელი ეპისკოპოსი (130-202) თავის თხზულებაში „ერესების წინააღმდეგ“ ციტირებას ახდენს ახალი აღთქმის კანონის თითქმის ყველა წიგნიდან.

სიტყვა „კანონი“ (ბერძნ. – კანონ; სემიტ. – კანე) თავდაპირველად სწორ ჯოხს აღნიშნავდა, შემდეგ იმას, რითიც უნდა გასწორდეს ცხოვრება, ე.ი. წესი – ნიმუში (გალ. 6, 16; 2 კორ. 10,13-16). ეკლესიის მამები

და კრებები ამ ტერმინით აღნიშნავდნენ წმიდა ღვთიესულიერ წერილთა კრებულს.

წმიდა ეკლესია კანონში ამა თუ იმ ახალაღთქმისეული წიგნის მიღებისას, პირველ რიგში, ე.წ. ისტორიული გადმოცემით ხელმძღვანელობდა. ჯერ გამოიკვლევდნენ, ესა თუ ის წიგნი პირდაპირ მოციქულთაგან იქნა მიღებული თუ მოციქულის თანამოღვაწისგან და შემდეგ შეიტანდნენ მას ახალი აღთქმის ჩამონათვალში. ამავე დროს, ყურადღებას აქცევდნენ იმას, ეთანხმებოდა თუ არა განსახილველი წიგნის სწავლება პირველ რიგში ერთიანი ეკლესიის სწავლებას და შემდეგ, იმ მოციქულის სწაელებას, ვის სახელსაც ატარებდა წიგნი, ეს ე.წ. დოგმატური გადმოცემა.

ამრიგად, წმიდა ეკლესია ძალზედ მკაცრი, კრიტიკული შემოწმებით საერთო ხმარებიდან იღებდა არაკანონიკურ ან აპოკრიფულ წიგნებს, მეორე მხრივ, ადგენდა საყოველთაო წესს, რომ ყოველ ეკლესიაში ეცნოთ ნამდვილად მოციქულებრივი წიგნები, რომლებიც ზოგიერთი ადგილობრივი ეკლესიისათვის არ იყო ცნობილი. აქედან ცხადია, რომ მოხდა არა „წარმოქმნა“ წმიდა წერილისა, არამედ დადგენა კანონისა. ეკლესიას არაფერი შეუქმნია თავისით, არამედ ამა თუ იმ წმიდა წიგნის გამოჩენისას მხოლოდ კონსტატირებას ახდენდა გუსტად შემოწმებული ფაქტებისა.

„კანონის დადგენა“ გრძელდებოდა დიდხანს, თუმცა, მოციქულთა დროსვე არსებობდა ქრისტეს სიტყვების კრებული (I კორ. 7, 25), ასევე პაელე მოციქულის ეპისტოლეებიც, რაზეც პეტრე მოციქული მიუთითებს (2 პეტრ. 3,15-16).

200-210 წლებს მიკუთვნებული ფრაგმენტები, რომელიც მეცნიერმა მურატორმა მილანის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა, თითქმის ყველა ახალაღთქმისეული წიგნების ისტორიულ მიმოხილვას გვაძლევს. მასში არ მოიხსენიება იაკობის, პეტრეს II და ებრაელთა მიმართ ეპისტოლეები. იგი გვიჩვენებს, თუ როგორ დგინდებოდა კანონი II საუკუნეში დასაელეთის ეკლესიაში.

აღმოსაელეთის ეკლესიაში კანონის მდგომარეობას მოწმობს სირიული თარგმანი ახალი აღთქმისა, რომელსაც პეშიტო ეწოდა. აქ მოცემულია ყველა კანონიკური წიგნი პეტრეს მეორე, იოანეს მეორე და მესამე, იუდას ეპისტოლეების და აპოკალიფსის გარდა.

ტერტულიანე გვაწვდის კართაგენის ეკლესიის შეხედულე-

ბას კანონის შესახებ. იგი იაკობის ეპისტოლესა და პეტრეს მეორე ეპისტოლეს გამორიცხავს.

წმიდა ირინეოს ლიონელი გალიის ეკლესიის მოწმობას გვაწვდის და გამორიცხავს მხოლოდ პეტრეს მეორე ეპისტოლეს, იუდას ეპისტოლეს და პავლე მოციქულის ეპისტოლეს ფილიმონის მიმართ.

ალექსანდრიის ეკლესიის მოწმობას გვაძლევს წმიდა კლიმენტი ალექსანდრიელი და ორიგენე.

წმიდა ათანასე ალექსანდრიელი 367 წლის სააღდგომო ეპისტოლეში გარკვევით ჩამოთვლის ოცდაშვიდივე წიგნს. დასავლეთ ეკლესიაში კი საბოლოოდ ჩამოყალიბდა აფრიკაში იპონიის (393 წ.) და კართაგენის (397 წ. და 419 წ.) კრებებზე.

მაღლით შემოსილნი წმიდა მოციქულნი, როგორც ღმერთის მიერ წარგზავნილნი და ღმრთისმსახურნი, უფლის სიტყვას უქადაგებდნენ და ახარებდნენ მთელ მსოფლიოს.

პირველ ეტაპზე – I საუკუნის შუა წლებიდან II საუკუნის I მეოთხედის ჩათვლით, მოციქულების მიერ დაიწერა როგორც წმიდა ოთხთავი, ისე დანარჩენი ნაწილი ახალი აღთქმისა, ხოლო მათი მოწაფეების მიერ მოხდა გადაწერა და გავრცელება, ციტირება წერილებში.

მეორე ეტაპზე – II საუკუნის I მეოთხედიდან II საუკუნის ბოლომდე, როდესაც აღგილობრივ ეკლესიებს შორის კავშირი უფრო მჭიდრო ხდება, ერთმანეთში ცვლიან ეპისტოლეებს და ეცნობიან მათ სხვადასხვა ეკლესიებში, ამის შემდეგ ყალიბდება კოდექსები.

მესამე ეტაპზე – II საუკუნის ბოლოს და III საუკუნის I ნახევრისათვის არსებობს სხვადასხვა ხელნაწერი და სდება მათი ერთმანეთთან შედარება. ამ პერიოდში იწყება წერილობითი კომენტირება ახალი აღთქმის წერილებისა (მაგ. კლიმენტი ალექსანდრიელი, ორიგენე და სხვ.). III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნეში ამ ტექსტების შესწავლისა და ურთიერთშედარების საფუძველზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ეკლესიის ერთიანი კოდექსი წმიდა წერილის წიგნებისა, და I მსოფლიო საეკლესიო კრების სხდომების ბოლოსათვის იგი უკვე სრული სახით გვხვდება.

ახალი აღთქმის საღმრთო წიგნების კანონი შედგება მოციქულთა 27 წიგნისგან: ოთხი სახარება, საქმე წმიდათა მოციქულთა, შვიდი კათოლიკე ეპისტოლე წმიდა მოციქულებისა, თოთხმეტი ეპისტოლე პავლე მოციქულისა და გამოცხადე-

ბა წმიდა მოციქულისა იოანე ღმრთისმეტყველისა.

ახალი აღთქმის კოდექსში არ არის შესული არაკანონიკური წიგნები: მოციქულ ბარნაბასეპისტოლე, კლიმენტი რომაელის ეპისტოლეები, II საუკუნეში მოღვაწე მოციქულთა მოწაფე ჰერმესის „მოძღვარი“ და სხვა, რომლებიც ადგილობრივ ეკლესიებში იკითხებოდა I-II სს-ში IV ს-მდე. არაკანონიკურ წიგნებში იგრძნობა ადამიანური ცნობიერების ელემენტები. ეს წიგნები მორწმუნე, სულიერად და ზნეობრივად ამაღლებული ადამიანების მიერ დაწერილია ერის დასამოძღვრად; არ ეწინააღმდეგება კანონიკურს, მის სწავლა-მოძღვრებას, მაგრამ არ ხასიათდება ისეთი მთლიანობით, როგორც კანონიკური წიგნები.

კანონიკური წიგნები შინაარსის მიხედვით 4 ნაწილად იყოფა:

1) **რჯულდებითი** – ოთხი სახარება. რადგან სახარების შინაარსის საგანს წარმოადგენს ჩვენი სარწმუნოების დამფუძნებლის – უფალ იესო ქრისტეს ცხოვრება და სწავლება და ამასთან, სახარებაშია მთელი ჩვენი ცხოვრებისა და რწმენის საფუძველი, ამიტომ წმიდა ოთხთავს რჯულდებითს ეუწოდებთ. ეს სახელწოდება გვიჩვენებს, რომ სახარებას ქრისტიანობისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ებრაელებისთვის მოსეს რჯულს – სუთ- წიგნეულს ჰქონდა;

2) **ისტორიული** – ოთხი სახარება და საქმე მოციქულთა, რომლებიც გვაძლევს ისტორიულ სახეს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, ასევე მოცემულია მოციქულთა ცხოვრება-მოღვაწეობა, რომელთაც ქრისტეს ეკლესია მთელ ქვეყანაზე განაერცეს;

3) **სწავლა-მოძღვრებითი** – სხვადასხვა ეკლესიებისადმი მოციქულთა მიერ მიწერილი ეპისტოლენი (წერილები). მათში მოციქულები განმარტავენ ქრისტიანული რწმენისა და ცხოვრების არსს და მკითხველს განანათლებენ მათ მიერ დაშვებული შეცდომების გამო, არწმუნებენ მათ, მტკიცედ იდგნენ მოციქულების მიერ მათდამი ნაქადაგებ სარწმუნოებაზე და ამხელენ ცრუმასწავლებლებს, რომლებიც არღვევენ ეკლესიის სიმშვიდეს.

ერთი სიტყვით, ეპისტოლეებიდან ჩანს, რომ მოციქულები არიან მათდამი მინდობილი ქრისტეს სამწყსოს მზრუნველი მოძღვრები.

მოციქულები ეპისტოლეებით მიმართავდნენ იმ ეკლესიებს, რომლებიც მათ მიერ

იყო დაფუძნებული და იმ პირებს, რომელთა აღმზრდელნიც თეითონ იყვნენ;

4) **წინასწარმეტყველებითი** – იოანეს გამოცხადება. იოანე მოციქულის – ღმრთისმეტყველის აპოკალიფსში მოცემულია ღმრთისმიერი სხვადასხვა ხილვები და გამოცხადებები, რომელთა ჭვრეტის ღირსი გახდა მოციქული და რომლებშიც ნაწინასწარმეტყველებია ქრისტეს ეკლესიის ბედი მის განდიდებამდე ე.ი. დიდების საუფლოს განცხადებამდე.

კანონიკურ წიგნებში განასხვაებენ აგრეთვე ხუთ შრეს:

1. საღმრთო წერილს პირდაპირი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ ფაქტები რეალურად მომხდარია;

2. მას ასევე გადატანითი მნიშვნელობაც აქვს. ყოველ დროს, ყოველ ადგილზე ჩვენ შეგვიძლია შესატყვისი გამოვლინება, ამ მოვლენის სხვადასხვა ფორმით განმეორება დავინახოთ. ამის საფუძველს თვით ღმრთის სიტყვის მარადიულობა იძლევა;

3. სიმბოლური – ეს ეხება არა მარტო იგავებს, არამედ ღვთის განგებით მომხდარ მოვლენებსაც (მაგ. 5 პურით 5 ათასის დაპურება; მისი სიმბოლური გამოხატულებაა ამ ფაქტის გადატანითი მნიშვნელობით გასხენება ეკლესიაში 5 პურის კურთხევისას);

4. ანალოგიური ანუ აღმგრდელობითი მნიშვნელობა წერილისა, რომელიც ადამიანის ცნობიერებასა და გონებას აღამაღლებს. წმიდა წერილი ითვალისწინებს, რომ გონება უნდა განიკურნოს, სდება ადამიანის გონების განწმენდა ზედმეტი ემოციური ზეგაელენისგან. მასში აქცენტირებულია ის არსებითი, რაც აღამაღლებს ჩვენ გონებას (მაგ. მაცხოვრის მიერ ბღვის დაწყნარებისას არ სდება აღწერა ბღვის ღელვისა, ქარის ქროლვისა, არამედ მოკლედ გადმოცემულია არსებითი, ის, რაც არა გრძნობების, არამედ სულის საბრდოა);

5. მისტიური მნიშვნელობა – წმიდა წერილი გვაუწყებს იმ წმიდა საიდუმლოებებს, რომლებიც ადამიანის გონებისათვის მიუწედომელია და მათი მიღება მხოლოდ რწმენითაა შესაძლებელი.

კანონიკურ წიგნებში ეს სუთივე შრე შეთანსმებულია, არაკანონიკურში კი ამ შრეთა შორის შეთანსმება არ არის. აქ შეიძლება აღწერილი იყოს ისეთი დეტალები, რომლებსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ახალი აღთქმის წიგნებში რიგით პირველია ოთხი კანონიკური სახარება: მათეს, მარ-

კოზის, ლუკასი და იოანესი. ისინი აღრმავებენ და ავსებენ ერთმანეთს და ერთობლიობაში ქმნიან ძე ღმერთის, იესო ქრისტეს ერთიან სახარებას (მრკ. 1,1).

ახალი აღთქმის წიგნებს ძველად „ევანგელიეს“ უწოდებდნენ. „ევანგელიე“ ბერძნული სიტყვაა; თავდაპირველად აღნიშნავდა ძღვენს ანუ ჯილდოს კარგი ამბის მომტანისათვის. შემდეგ თვით ამ ამბის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. „სახარება“ – ესაა სასიხარულო, კეთილი ამბის ხარება ქრისტიანებისათვის, რომ ქრისტემ ადამიანი ღმერთთან შეარიგა და უდიდესი მადლი მოგვიტანა – ღვთის სასუფეველი დაგვიმკვიდრა (მთ. 4,23) – ეს არის გამოცხადება ღმერთთან შერიგების, ადამიანთა გამოხსნისა და ცხონების შესახებ; ახალი აღთქმის ანუ ღმერთის ადამიანთან ახალი კავშირის შესახებ; ძე ღმერთის – იესო ქრისტეს მიერ ცოდვის ხელმწიფებისაგან დაცემული კაცობრიობის გამოსყიდვის და მაცხოვრის მიერ მსხვერპლის გაღების – ჯვარზე ენების, მის მიერ ამ ქვეყნად დაარსებული ეკლესიის, მისი მადლით ადამიანის განღმრთობის და ახალი ზეციური ცხოვრების შესახებ.

სახარება ეწოდება წიგნებს, რომლებშიც გადმოცემულია მიწიერი ცხოვრება და სწავლება იესო ქრისტესი. სახარების პირველი მკითხველნი და მსმენელნი იყვნენ ქრისტიანული თემის წევრები, რომლებისთვისაც აღწერილი ამბები ცნობილი იყო მოციქულთა გვპირი ქადაგებებით (ლკ. 1,1) და მათი ღვთივსულიერება ეჭვს არ იწვევდა (მრკ. 1,1; ინ. 1,1). მახარებლებმა წერილობით დაამტკიცეს და დაამოწმეს ეს სწავლება.

საყოველთაო სამოციქულო გარდამოცემის საფუძველზე ოთხივე მახარებელი დამოუკიდებლად წერდა. ყოველი მათგანი ქადაგებდა თავისი სამწყსოსათვის ისტორიული ვითარებისა და გარემოს თავისებურებების შესაბამისად. პირველი სამი მახარებელი თხრობისას მიჰყვება ერთიან გეგმას: პროლოგი, იესო ქრისტეს ნათლისღება, მისი ქადაგება გალილეაში, მოგზაურობა იერუსალიმისაკენ, ჯვარცმასა და მკვდრეთით აღდგომასთან დაკავშირებული მოვლენები. ამ მახარებლებს სინოპტიკოსებს უწოდებენ, ხოლო მათ სახარებებს სინოპტიკურს (ბერძნ. სინოპტიკოს – ერთად მაყურებელი – მთელის ყველა ნაწილის ერთად განხილვა), რადგან ისინი გვაძლევენ ერთობლივ პარალელურ გადმოცემას იესო

ქრისტეს ცხოვრების შესახებ. მათ თხრობაში პრინციპული განსხვავება არ არის, რაც იმით აისხნება, რომ მახარებლებს ერთი სტილი აქვთ და საერთო გეპირწყაროებს ანუ გადმოცემებს იყენებენ.

იოანეს სახარება შესამჩნევად განსხვავდება პირველი სამისაგან. იგი ავსებს სინოპტიკოსებს როგორც თხრობით, ისე საღმრთისმეტყველო თვალსაზრისით. ახალი აღთქმის კანონის ისტორიაში მისით დასრულდა სამოციქულო ეკლესიის წერილობითი შემოქმედება. წმინდა იოანე მოციქულმა, როგორც სახარებისეული მოვლენების უკანასკნელმა მოწმემ და მონაწილემ, დაამტკიცა სიწმიდე და უტყუარობა გადმოცემებისა და სხვა მოციქულთა წიგნებისა.

მართლმადიდებელი ეკლესია თვლის, რომ სახარების კანონიკური რიგი ემთხვევა მათი დაწერის ქრონოლოგიურ მიმდევრობას. ზოგიერთი დასავლეთელი ღმრთისმეტყველი მიიჩნევს, რომ მარკოზმა მახარებელთაგან პირველმა დაწერა თავისი მცირე მოცულობის სახარება. სარწმუნო საფუძველი ასეთი დასკვნისათვის არ არსებობს.

სახარებათა რაოდენობა — ოთხი — ეკლესიის შეხედულებით არის ჭეშმარიტი სარწმუნოების და ქრისტეს ეკლესიის მტკიცე და შეურყეველი საფუძვლის ნიშანი.

ძველმა იკონოგრაფიულმა ტრადიციამ სახარების დამწერ მახარებლებს ოთხი ცოცხალი არსების სიმბოლო მიაკუთვნა, რომლებიც ნასესხებია იოანე ღმრთისმეტყველის გამოცხადებიდან (გამოცს. 4,7; ეზეკ. 1,10). ეს სიმბოლოები განაცხადებს მაცხოვრის მოძღვრებისა და გამომსყიდველი ღვაწლის განსხვავებულ მხარეებს მახარებელთა მიერ გადმოცემულ სახარებებში.

მათე მახარებელი ახალაღთქმისეულ სიმბოლიკაში გამოისახება ანგელოზის სახით, როგორც სიმბოლო ძე ღმერთის ამქვეყნად მესიანური წარმოგზავნისა, როგორადაც გვაუწყებდნენ წინასწარმეტყველები. მათეს სახარების სიმბოლო მიგვანიშნებს, რომ იესო ქრისტე არის მსსნელი: „დიდისა განგზრახვისა ანგელოზი", ანგელოზი არა სუბსტანციურად როგორც ცხრა დასი, არამედ მისიით, როგორც მაუწყებელი კაცობრიობის სსნისა. მათე მახარებელი გენეალოგიაშიც ხაზს უსვამს, რომ იესო ქრისტე არის მსსნელი.

მარკოზი სიმბოლიზირებულია ლომით ქრისტეს ძლევამოსილების და მეუფური ღირ-

სების აღსანიშნავად (გამოცს. 5, 5), რომ იესო ქრისტე არის „მეუფე ყოველთა“. მარკოზის სახარება დაიწერა რომში 62 წლამდე, რომაელი ქრისტიანების თხოვნით.

წმიდა ლუკას გამოსახავენ ზვარაკით, მაცხოვრის მსხვერპლშეწირვითი, გამომსყიდველი მსახურების ხაზგასასმელად. მის სახარებაში მეტადაა აღწერილი უფლის მსხვერპლად შეწირვა ებრაელთა და საერთოდ, კაცთა მოდგმისათვის. მარკოზის და ლუკას სახარებები თითქმის ერთდროულად დაიწერა.

არწივი, იოანე მახარებელის სიმბოლო გამოსახავს სახარების სწავლების და მასში გადმოცემული საღმრთო საიდუმლოებების სიმაღლეს, რომელიც ზეამაღლებული სულიერი სახარების სიმბოლოა. იგი დაიწერა ეფესოში 100-ანი წლების ბოლოს. სიყვარულის მოციქულად წოდებულმა იოანე მახარებელმა მიიღო კიდევ ერთი წოდება – ღმრთისმეტყველი. მან არწივივით შორსმხედველურად ამომწურავად შეავსო და დააგვირგვინა უფლისმიერი სახარება – წმინდა წერილი. ამიტომაც გვეუბნება სახარებაში: „მრავალნი სხუანიცა სასწაულნი ქმნა იესუ... ხოლო ესე დაიწერა, რაჲთა გრწმენეს... და ცხორებაჲ გაქუნდეს სახელითა მისითა“ (ინ. 20, 30-31).

უფლის პირველი მოწაფე ანდრია მოციქული იყო, რომელიც პირველწოდებულად მოიხსენიება, რამეთუ მან პირველმა შეიცნო, მიიღო უფალი და გაპყვა მას, ამასთან მოუწოდა თვით მოციქულ პეტრესაც. მადლობა ღმერთს, რომ მან ანდრია პირველწოდებული გამოირჩია საქართველოს და ქართველი ხალხის განმანათლებლად სიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად. ვარაუდია, რომ სხვა მოციქულებმაც იქადაგეს საქართველოში.

უფალმა ანდრია პირველწოდებულის ძმას – სიმონს უწოდა პეტრე – კლდე სარწმუნოებისა, რამეთუ მან პირველმა აღიარა იგი ღმერთად: „შენ ხარ ძე ღმრთისა“ და მსურვალედ იცავდა ამ რწმენას.

იაკობ ზებედესი, ძმა უფლის საყვარელი მოწაფისა იოანე ღმრთისმეტყველისა, იწოდება ძედ ქუხილისა, რამეთუ მან ძმასთან ერთად გამოითხოვა უფლისაგან ცეცხლი მისი მტრების აღსაგველად. იმდენად თავდადებული იყო უფალ იესო ქრისტესთვის, რომ პირველმა მიიღო მოწამეობრივი სიკვდილი საყვარელი მოძღვრისადმი რწმენისა და მისი ღვთაებრივი სწავლებისათვის.

წმიდა პაველსა და წმიდა

პეტრე მოციქულებს ეწოდებათ მოციქულთა თავნი. წმიდა პავლე არის წარმართთა მოციქული, რამეთუ რაჟამს შეიცნო ჭეშმარიტება, თავდაუზოგავად განანათლებდა წარმართებს. შეიძლება ითქვას, რომ მან თითქმის მთელი რომის იმპერია მოაქცია და ქრისტეს სამწყსოს შეუერთა.

მაცხოვრის დროს რომის იმპერიაში ბერძნული ენა იყო გაბატონებული. გასაგებია, რომ ასალი აღთქმის წიგნებიც, რომლებიც ღმრთის განგებით ყველა ეკლესიაში უნდა გავრცელებულიყო, დაიწერა ბერძნულ ენაზე, გარდა მათეს სახარებისა, რომელიც დაიწერა ებრაული ენის სირიულ-ქალდეურ ანუ არამეულ დიალექტზე, რომელზეც იესო ქრისტეს თანამედროვე ებრაელები მეტყველებდნენ და უმალ ითარგმნა ბერძნულად. წმიდა ლუკას გარდა, სხვა მახარებლები ებრაელები იყვნენ.

ეს ბერძნული ენა არ იყო კლასიკური ბერძნული, რომელზეც ბერძნული კულტურის აყვავების ჟამს წერდნენ. ეს ენა, რომელსაც ალექსანდრიულ დიალექტს უწოდებენ (გავრცელდა ალექსანდრე მაკედონელის დროს), ახლოსაა ძველ ატიკურ, კოინე (ბერძნ. – საერთო) დიალექტთან, მაგრამ სხვა დიალექტებისგან დიდად არ განსხვავდება. ამასთან მასში შეიდა მრაეალი არამეული და სხვა უცხო სიტყვები. ბოლოს კი, ზოგიერთმა ძველმა ბერძნულმა სიტყვამ განსაკუთრებული, ახალაღთქმისეული გაგება, ქრისტიანული მნიშვნელობა შეიძინა.

როგორც სხვა ძველი ტექსტები, თავდაპირველად საღმრთო წერილის ტექსტი უწყვეტი იყო, სიტყვებსა და წინადადებებს შორის დაყოფის გარეშე, სიტყვები ერთიმეორეზე იყო მიბმული, ასოებსა და სიტყვებს შორის ერთნაირი ინტერვალით. მათი გამოყოფა მკითხველის მიერ წაკითხვის ჟამს ხდებოდა. სიტყვების ერთმანეთისაგან გამოყოფა იწყება III ს-ის შუა წლებიდან. სხვადასხვა მკითხველს შეიძლება ერთნაირად ვერ გამოეყო სიტყვები და აზრი დაეკარგა. რადგანაც წმიდა წერილი ლიტურგიკულ მნიშვნელობას იძენდა, ამიტომ ერთნაირად უნდა წაკითხულიყო. ამას მოჰყვა მუსლებად დაყოფა არა წინადადების შინაარსის მიხედვით, არამედ სუნთქვის რიტმის მიხედვით – ერთი ამოსუნთქვით წაკითხული ერთ მუხლს შეადგენდა. ამ სახით პირველად ალექსანდრიის ეკლესიაში გამოიყო მუხლები და ტექსტში წერტილები გაჩნდა. მასთან ერთად იწყება

ტექსტის დაყოფა თავებად. პირველად თავებად დაყოფა ხდებოდა შინაარსის მიხედვით; თითოეული იგავი ან სასწაული თავებად იყო გამოყოფილი. V საუკუნიდან კი თავებად აერთიანებენ შინაარსობრივად ერთნაირ, მსგავს იგავებს, რაც უახლოვდება დღეანდელ წმიდა წერილს. რადგან მას ჰქონდა ლიტურგიკული მნიშვნელობაც, ე.ი. წირვა-ლოცვის დროს რომ იკითხებოდა, ამიტომ ჩვენ გვაქვს წმიდა წერილის ლიტურგიკული ფორმა – ლექციონარი, რომელშიც თავებად გამოყოფა დღესასწაულების მიხედვით ხდებოდა. ძირითადად V-VII საუკუნეებში დღესასწაულების მიხედვით თანამედროვე სახით დაყოფა ყალიბდება. VIII საუკუნეში აღმოსავლეთში ლექციონარების ფორმა დასავლეთიდან შემოდის. დღეს სახარებაში იგი არ გვაქვს, მაგრამ არის ფრაგმენტები ტრაპეზის სახარების ბოლოში დიდი პარასკევის 12 საცისკრო სახარებისა და მწუხრის საკითხავის სახით. ხოლო თვითონ ტრაპეზის სახარება დაყოფილია თავებად და მუსლებად, ასევე საკითხავებად. ეს არის ძველი ფორმა, რომელიც შინაარსობრივად არის დაყოფილი. ვიდრე იგი დღეანდელი გაგებით თავებად იქნებოდა დაყოფილი, საკითხავებად იყო დანაწილებული.

V საუკუნიდან ჩნდება წითელი სტრიქონი და სინგურის ასოები, რომლებითაც ღაიწყეს ტექსტის საღმრთისმსახურო ნაწყვეტების ე.წ. „პერიკოპის“ (ბერძნ. – მონაკვეთი, სლაევურ-ეკლესიური აღნიშვნით – „ზაჩალო“, ქართულში კი – დასაწყისი) გამოყოფა. დასაწყისები იყო სხვადასხვა; თავდაპირველად ლიტურგიკული საკითხების გამორჩევა წინამძღვარს ევალებოდა. მოგვიანებით, წლის ციკლის მსახურების მუდმივად გამორჩეული საღღესასწაულო და რიგითი საკითხავები დამკვიდრდა. ტექსტის ლოგიკის და საკითხავების მიხედვით, სახარებები, საქმე მოციქულთა, ასევე ფსალმუნიც მთლიანად იკითხება მთელი წლის მანძილზე, წმიდა წერილის დანარჩენი ნაწილი კი – ნაწილობრივ. ამასთან ერთად, წმიდა წერილი ყოველთვის იყო სამეცნიერო-საღმრთისმეტყველო შესწავლის საგანი, კერძოდ, სახარებისეული ჰარმონია-სიმფონიის შესადგენად ანუ მახარებელთა გაღმოცემების, განსაკუთრებით პარალელური აღგილების შესათანხმებლად. ესეც მოითხოვდა ტექსტის დაყოფას სხვადასხვა ზომის თემატურ ფრაგმენტებად.

წმიდა იუსტინე ფილოსოფოსის მოწაფე ტატიანემ (II ს.) შეადგინა „დიატესერონი“ (ბერძნ. ოთხთაეის მისედვით). მასში სახარებები დაყოფილია „დიდ თავებად“, რომლებიც სხვაგვარად „ტიტულებად“, „სათაურებად“ იწოდებოდა, რადგანაც თითოეულ „თავს“ მისი მოკლე შინაარსი ჰქონდა წამძღვარებული.

ალექსანდრიის ეკლესიის დიაკონმა – ამონიუსმა (II-III სს.) ტექსტი დაყო ძალიან მცირე პერიკოპებად (მონაკვეთებად), ე. ი. მუხლებად, რომლებიც მხოლოდ ერთ წინადადებას შეიცავდა. ამონიუსის დაყოფა საშუალებას გვაძლევს, ერთმანეთს შევაჯეროთ ასალი აღთქმის პარალელური გადმოცემანი – როგორც იგივეობრივნი, ასევე ანალოგიურნი. ამისთვის IV საუკუნის საეკლესიო მემატიანემ და ღმრთისმეტყველმა, კესარიის ეპისკოპოსმა ევსევი პამფილელმა შეადგინა 10 „კანონი“ ანუ ცხრილი, რომლებშიც შეჯერებულია სახარებების შინაარსის მიხედვით იგივეობრივი და თანსვედრი ადგილები. მაგალითად, მათეს სახარება დაყო 356 ნაწილად და შენიშნა, რომ მათგან 111 ნაწილი სამივე სინოპტიკოსს აქვს მოცემული. ორივე დაყოფას თავისი მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავს.

XIII საუკუნეში კენტერბერიის არქიეპისკოპოსმა სტეფანე ლანგტონმა (+1227) 1205 წელს პირველად დაყო ვულგატა (წმიდა წერილის ლათინური თარგმანი, ლათ. სასალხო) თავებად. ამ დაყოფით თავისი ბიბლიური სიმფონიისათვის – კონკორდაციისათვის (გამოიცა 124 წ.) ისარგებლა ესპანელმა დომინიკანელმა კარდინალმა ჰუგო დე სენ შერმა (+1262), რის გამოც იგი ხშირად ბიბლიის თავებად დაყოფის ავტორად ითვლება.

ტექსტის თანამედროვე სახით დაყოფა კი XVI საუკუნეში მოხდა. XIII საუკუნისთვის სასვენი ნიშნების სისტემა სრულად არის ჩამოყალიბებული კარდინალ ჰუგოს მიერ. მას შემდეგ, რაც ევროპაში სტამბური ბეჭდვა შემოიღეს, წმიდა წერილის მასიური გამოცემა იწყება. ამ დროს მრავალი ხელნაწერი არსებობდა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. დადგა საკითხი შეცდომების გასწორებისა. მოხდა უძველეს ხელნაწერთა შეჯერება და გამოიცა ორი ტექსტი: ქენევაში არაბმ როტერდამელის მიერ, 1544 წელს კი ქ. კომპლიუტში „კომპლიუტის პოლიგლოტად“ ცნობილი კარდინალ ქსიმენეძის მიერ, რამეთუ მრავალ ხელნაწერზე მიუწვდებოდა ხე-

ლი. ამიტომ ეს ტექსტი ავტორიტეტულად ითვლებოდა.

პარიზელმა მეცნიერმა, წიგნების გამომცემელმა რობერტ სტეფანიმ ასალი აღთქმის გამოცემისას ჰუგოს მიერ დაყოფილი თავები 1551 წელს დაყო მუხლებად, 1555 წელს კი ლათინური ბიბლია გამოსცა სრული სახით. ეს დაყოფა თავებად და მუხლებად სტერეოტიპულად შენარჩუნებულია ბიბლიის ყველა გამოცემაში. დასაელეთისა და აღმოსაელეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გამოცემებს შორის არის უმნიშვნელო განსხვავება მუხლების რაოდენობას შორის.

სახარება ყველაზე დიდი ტირაჟით XVI-XVII საუკუნეებში იყიდებოდა. წმიდა წერილის გამოცემას მრავალმა მიჰყო ხელი, იყენებდნენ სხვადასხვა ხელნაწერებს. XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში გამომცემლებს აეკრძალათ წმიდა წერილის გამოცემა.

იწყება ახალი პერიოდი, როდესაც ხდება ტექსტის დადგენა, შეჯერება და წმიდა წერილის გამოცემის მეცნიერულ-ლინგვისტურ დონეზე აყვანა. ბიბლიის ავტორიტეტული თარგმანებია: ბერძნული – სეპტუაგინტა (ძვ. წ. აღ.-ით III ს-ში ფილადელფოს II პტოლემეოსის ბრძანებით ალექსანდრიაში შესრულებული თარგმანი) და ლათინური – ვულგატა (ნეტარ იერონიმეს მიერ IV საუკუნის ბოლოს უშუალოდ ებრაული ტექსტიდან შესრულებული თარგმანი; თარგმნაში სხვა საუკეთესო მთარგმნელებიც მონაწილეობდნენ).

ახალი აღთქმის პირველი თარგმანი იყო ტატიანესეული (დაახლ. 175 წ.) „დიატესერონის“ (ოთხი სახარების შეჯერება) სირიული თარგმანი. შემდეგ მოდის სირიულ-სინაის კოდექსი, რომელიც 1892 წელს აღმოაჩინეს სინაიზე. მნიშვნელოვანი თარგმანია პეშიტოს (სირიულ. უბრალო) სახელით ცნობილი თარგმანი, რომელიც II საუკუნეს მიეკუთვნება. ბოგიერთი მეცნიერის თვალსაზრისით, იგი ედესის ეპისკოპოს რაბულის (411-435 წ.წ.) ნაშრომია. დიდი მნიშვნელობა აქვს ეგვიპტურ თარგმანს (საიდის, ფაიუმის), აგრეთვე ეთიოპიურსა და ძველლათინურს, შემდეგში ნეტარ იერონიმეს მიერ შესწორებულს, რომელსაც ვულგატა ეწოდება. რუსეთში ბიბლიის ხელნაწერი სრული სახით გვხვდება ნოვგოროდელ არქიეპისკოპოს გენადის მიერ გადაწერილი 1499 წელს, სტამბური სახით კი – 1581 წელს.

საქართველოში ტექსტის ის-

ტორია ასეთია: სახარება V საუკუნემდე ნათარგმნია, რაც „შუშანიკის წამებაშიც“ ჩანს. V საუკუნეში გვაქვს სანმეტური სახარება; IX საუკუნეში – ადიშის (სვანეთში ინახებოდა), დაწერილია ტაო-კლარჯეთში 897 წელს; ჯრუჭის ოთხთავი – 936 წელს და პარხალის ოთხთავი – 976 წელს. ეს ტექსტები წარმოადგენდა იმ საფუძველს, რაზეც შემდეგ იქმნება ექვთიმე და გიორგი ათონელების თარგმანები. გიორგი ათონელის თარგმანი ითვლება კანონიკურად. ბიბლიის თარგმანებია: ოშკური (978 წ.) (ა. შანიძის მიერ გამოცემული „წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი“), რომელიც ათონზეა დაცული; იერუსალიმური (X საუკუნის II ნახევარი); გელათის (XII ს.), რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული, მცხეთური ხელნაწერები ანუ საბასეული, რომელიც გადაწერილია XVIII ს-ის დამდეგს. გვაქვს ასევე ლიტურგიკული კრებულები, ე.წ. ლექციონარები კალის (IX-X ს.ს.), ლატალის (X ს.), სინური (X ს.), პარიზული (XI ს.) და ა.შ.

<u>მათეს სახარება.</u> პირველ სახარებას საეკლესიო გარდამოცემა უკავშირებს მათე მეზვერის სახელს (მთ. 9, 9; 10, 3), რომელიც მოციქულთაგანს (მრკ. 3, 18; ლკ. 6,45; საქმე 1,13), რომელსაც ერქვა ლევი (მრკ. 2,14; ლკ. 5,27), ძე ალფესი (მრკ. 2,14). მისი ხსენება 16 ნოემბერსაა.

სახარების დაწერის აღგილად ასახელებენ პალესტინას, დროდ კი – 42 წელს. მათეს მიერ სახარება თანამედროვე ებრაულ ენაზეა დაწერილი და ნათარგმნია ბერძნულად. ებრაულმა ტექსტმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ მასზე მიუთითებს ბერძნული თარგმანის ლინგვისტიკური და კულტურულ-ისტორიული თავისებურებანი.

მათე უქადაგებდა ხალხს, რომელსაც საკმაოდ განსაზღვრული რელიგიური წარმოდგენა ჰქონდა მესიაზე. მახარებლის ამოცანა მდგომარეობდა იმის დამტკიცებაში, რომ იესო ქრისტე არის წინასწარმეტყველთა მიერ ნაწინასწარმეტყველები ნამდვილი მესია და სხვა არ იქნება (11, 3). ამ მიზნით მათე ქრისტეს სიტყვას და საქმეს გადმოგვცემს სამ ნაწილად, რომელიც შეესაბამება მესიის მსახურების სამ მხარეს: როგორც წინასწარმეტყველის და სჯულმდებლის (თ. 5-7), ხილული და უხილავი სამყაროს მეუფის (თ. 8-25) და მღვდელმთავრის, რომელმაც თითოეული ადამიანის ცოდვებისათვის საკუთარი თავი მსხვერპლად შეწირა (თ. 26-27).

სახარების ღმრთისმეტყვე-

ლური შინაარსი არ შემოიფარგლება ქრისტეოლოგიური თემით. მის მეორე თემას წარმოადგენს სწავლება ღმრთის სასუფეველსა და ეკლესიაზე, რომელსაც უფალი გაღმოგვცემს იგავებში: ცათა სასუფეველში შესასვლელად შინაგან მზადყოფნაზე (თ. 5-7); ამ სოფლად ცათა სასუფევლის მსახურთა ღირსების შესახებ (თ. 10-11); ღმერთის სასუფეველის ნიშანთვისებათა და ადამიანთა სულებში მისი აღორძინებისა და ზრდის შესახებ (თ. 13); სასუფევლის მემკვიდრეების თაემდაბლობისა და უზაკეელობის შესახებ (18, 1-35; 19, 13-30; 20, 1-16; 25-27; 23, 1-28); ცათა სასუფევლის ესქატოლოგიური განცხადების შესახებ ქრისტეს მეორედ მოსვლის დროს და ეკლესიის ყოველდღიურ სულიერ ცხოვრებაში (თ. 24-25).

ზეცათა სასუფეველი და ეკლესია განუყრელადაა დაკავშირებული ქრისტიანობის ისტორიაში: ეკლესია არის ზეციური სამყაროს ისტორიული განსხეულება ამ ქვეყნად, ხოლო ცათა სასუფეველი არის ქრისტეს ეკლესია მისი ესქატოლოგიური აღსრულებით (16, 18-19; 18-20).

მარკოზის სახარება. წმიდა მახარებელი მარკოზი, რომელსაც ერქვა ასევე იოვანე მარკოზი (საქმე 12, 12), არის 70 მოციქულთაგანი, ბარნაბას ძმისწული (კოლ. 4, 10), პეტრეს სულიერი შვილი (1 პეტრ. 5, 13) და პავლეს თანამოღვაწე (საქმე 12, 25; 2 ტიმ. 4, 11).

წმიდა მარკოზმა სახარება რომში დაახლ. 62-63 წლებში დაწერა. მოწამეობრივად აღესრულა ალექსანდრიაში 63 წ. მისი ხსენება იდღესასწაულება 25 აპრილს.

მარკოზის სახარების თხრობის ბევრი თავისებურება შეიძლება აიხსნას პეტრე მოციქულთან მისი სიახლოვით. ძველი დროის საეკლესიო მწერლები მოწმობენ, რომ მარკოზი იყო პეტრეს თანამგზავრი და მთარგმნელი, რომ მარკოზის სახარება წარმოადგენს მოციქულთა თავის მონათხრობის და ქადაგებების მოკლე ჩანაწერს. მარკოზის სახარება ყველაზე მცირეა სინოპტიკური სახარებებიდან. მარკოზი მიჰყვება მოვლენების სწორ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას. ამასთან, ის ნაკლებად აკავშირებს ამ მოვლენებს ერთმანეთთან. ასე რომ, ყოველი ეპიზოდი შეიძლება განიხილებოდეს განცალკევებულად. მახარებლის ენა და სტილი განსაკუთრებული სიმკაცრითა და უბრალოებით გამოირჩევა. თხრობა ძალ-

ზე დინამიურია. მარკოზის საყვარელი სიტყვაა „მეყსეულად“ (1 თაეის 10,12,18,20,31 მუსლები და სხვ.) ამაშიც შეიძლება დავინახოთ პეტრე მოციქულის პირდაპირი ზეგაელენა, რომელიც უშუალო, ცოცხალი სასიათით გამოირჩეოდა.

მარკოზი სახარებას წარმართობიდან მოქცეულ ქრისტიანთათვის წერდა. ის ყურადღებას ამახვილებს უპირატესად მაცხოერის სიტყვებსა და საქმეებზე, რომლებშიც განსაკუთრებით ელინდება უფლის ღმრთეებრივი ყოელისშემძლეობა და ამასთან, ცდილობს, აღნიშნოს გარშემომყოფებზე მისი ზემოქმედების ხარისხი – მათი გაკვირვება, აღტაცება,შეძრწუნება, გაოცება.

ასეთიე უშუალობით ახასიათებს მარკოზი მაცხოერის მოწაფეებს და მათ დამოკიდებულებას მოძღვრისადმი. ამასთანავე, მხედველობიდან არ უშვებს მოწაფეთა ბუნებრივ,ადამიანურ თვისებებს და სისუსტეებს.

ერთ-ერთ ცენტრალურ საღმრთისმეტყველო თემას მარკოზის სახარებაში წარმოადგენს ზეციურ და კაცობრივ საწყისთა ურთიერთმიმართების საკითხი ეკლესიაში, თემა საღმრთო ძლიერებისა,რომელიც სრულიქმნება ადამიანის უძლურებისას.

ადამიანისთვის შეუძლებელი ღმრთისთვის შესაძლებელია (10,27); ქრისტეს (16,20) და სულიწმიდის (13,11) შემწეობით მოციქულები სახარებას ამ ქვეყნად ყეელა ადამიანს უქადაგებენ (13,10; 16,15).

<u>ლუკას სახარება.</u> წმიდა ლუკა მასარებელი არის 70 მოციქულთაგანი (10,1),პავლე მოციქულის თანამოღვაწე (ფილ. 1, 24; 2 ტიმ. 4,10), ექიმი,განათლებულ ბერძენთა წრიდან (კოლ. 4,14). გარდამოცემით,ღმრთისმშობლის პირეელი სატები დაწერილია მის მიერ. სახარება დაწერა 62-63 წლებში ქ. რომში პავლე მოციქულის ხელმძღვანელობით. პავლე მოციქულის მოწამეობის შემდეგ ლუკა აქაიაში (საბერძნეთში) ქადაგებდა და 84 წ. მოწამეობრივად აღესრულა. მის სსენებას ვდღესასწაულობთ 18 ოქტომბერს.

ლუკამ სახარების დაწერის მიზანი პირველივე მუხლებში მკაფიოდ გამოხატა: ყეელაზე უფრო სრულად და მიმდეროებითაა აღწერილი ყოველივე (1, 3),რაც ცნობილია ქრისტიანებისათვის მაცხოვარსა და მის სწავლებაზე და ამით ეძლევა მყარი ისტორიული საფუძველი ეკლესიის მიერ ამ მოძღვრების ხარებას (1, 4). ის ირჩევს საგულდაგულო გამოკვლევის მე-

თოდს (1, 3); ფართოდ, ეიდრე სხვა სინოპტიკოსები, იყენებს სამოციქულო თემის ზეპირ გარდამოცემებს და თვით ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამის მონათხრობს (2,19; 2,51),ასევე,შესაძლოა, პირველ წერილობით გადმოცემებს სახარებისეულ მოვლენებზე. მოვლენების გადმოცემისას მიუთითებს მათ ურთიერთკავშირს და ზოგიერთს ათარიღებს კიდეც მისი თანამედროვე ქრონოლოგიის შესაბამისად (1,5; 2,1-2; 3,1-2). ენის და სტილის მიხედვით, ლუკას სახარება მთელი ახალი აღთქმის კანონში ყველაზე ახლოს დგას კლასიკურ თხზულებებთან.

მათესა და მარკოზთან შედარებით, ლუკა უფრო ვრცლად მოგვითხრობს იესო ქრისტეს უკანასკნელი მოგზაურობის შესახებ იერუსალიმში (9,51-19,28), იორდანეს უდაბურ მხარეს, სადაც ნაკლები ხალხის თავმოყრის გამო მას შეეძლო უკეთ მომზადება მოწაფეებისა ჯვარზე ვნებისა და აღდგომის ჯეროვანი აღქმისათვის (12,49-50; 17,22-25 და სხვ.). ლუკა მახარებელი უფრო დაწვრილებით აღწერს საიდუმლო სერობას (თ. 22) და მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს გამოცხადებას (თ. 24).

ლუკას სახარების საღმრთისმეტყველო შინაარსი გამოირჩევა, უპირველეს ყოლისა, გამოხსნის საყოველთაობისა (რომელიც აღასრულა უფალმა იესო ქრისტემ) და სახარების ქადაგების მსოფლიო მნიშვნელობის შესახებ სწავლებით. ქრისტე სიხარულია ყველა ერისათვის (2,10), სხნაა, მაცხოვარებაა ყოველთა ხორციელთა (3, 6), ნათელია წარმართთა განსანათლებლად (2,32). შემდეგ ლუკა გამუდმებით მიუთითებს გამოხსნის საღმრთო განგებულებაში სულიწმიდის მონაწილეობაზე (1,35; 3,16; 4,1 და სხვ.) და ლოცვაზე, როგორც სულიწმიდის მოხვეჭის ჭეშმარიტ გზაზე (3,22; 11,13). რწმენისა და ლოცვის მეშვეობით თითოეული ადამიანისთვის ყოველთვის შესაძლებელია ისეთივე სრული სულიერი ერთობა იესო ქრისტესთან და ზეციერ მამასთან, როგორიც ჰქონდათ ქრისტეს მოწაფეებს (11, 1-13). ჩვენშია გზა ღმრთის სასუფევლის მოპოვებისაკენ (17, 21).

<u>იოანეს სახარება.</u> წმიდა მოციქული იოანე ღმრთისმეტყველი, „ძე ქუხილისა“ (მრკ. 3, 17), იესო ქრისტეს საყვარელი მოწაფე (13,23 და სხვ.) და ნათესავი, უფალთან იყო მისი ნათლისღებისა და კაპერნაუმში ქადაგების დაწყების მომენტიდან. იოანე ესწრება სახარებაში აღ-

წერილ ყველა მოელენას და ერთადერთია მოწაფეთაგან, რომელიც ჯვარცმულ მოძღვართან დგას ღმრთისმშობელთან ერთად, რომელზე მზრუნველობაც მას დაევალა (19,27). ღმრთისმშობლის მიძინების შემდეგ იოანე ტოვებს იერუსალიმს და მცირე აზიის ბერძენთა შორის ქადაგებს. მან დაითმინა მოწამეობრივი ხვედრი, კუნძულ პატმოსზე გადასახლება და გარდაიცვალა ეფესოში I-II საუკუნეების მიჯნაზე. მის ხსენებას ვდღესასწაულობთ 8 მაისს და 26 სექტემბერს.

იოანემ სახარება დაწერა ეფესოში დაახლოებით 95-100 წელს. იგი უნდა განვიხილოთ იოანეს I კათოლიკე ეპისტოლესთან ერთად. ორივე ქმნილება მიეკუთვნება მოციქულის, საიდუმლოთა მჭვრეტელის, სიცოცხლის ბოლო პერიოდს და დაწერილია ქრისტიანული თემის რწმენაში განმტკიცებისათვის და მწვალებლებისა და ცრუმასწავლებლების ანტიქრისტიანული ზემოქმედების საწინააღმდეგოდ. არის რა ახალი აღთქმის კანონის დამასრულებელი, იოანე განსაკუთრებით ხაზს უსვამს იესო ქრისტესთან პირადი ურთიერთობის მნიშვნელობას და თავის განსაკუთრებულ უფლებას პირადი მოწმობისა ქრისტეს და მისი სწავლების შესახებ.

მოვლენათა გადმოცემის მხრივ, იოანე აესებს სინოპტიკოსების თხრობას იერუსალიმში მიმდინარე მოვლენებითა და უფლის მიერ იქ წარმოთქმული სიტყვებით. მახარებლის მითითებები საშუალებას იძლევა განისაზღვროს იესო ქრისტეს ქადაგების ხანგრძლივობა სამი პასექით, ე.ი. დაახლოებით სამი წლით.

იოანეს ერთ-ერთი თავისებურებაა საღმრთისმეტყველო სწავლების მისეული მეთოდი. იგი მოგვითხრობს მოვლენის შესახებ, შემდეგ კი გადმოგვცემს მაცხოვრის საუბრებს მასთან დაკავშირებით. მაგალითად, ყველა მახარებელი გვამცნობს ხუთი პურით ხუთი ათასი კაცის დაპურებას. იოანესთვის ეს სასწაული ხდება მიზეზი იმისა, რომ გადმოგვცეს იესო ქრისტეს ვრცელი სიტყვა ცხოვრების პურის შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო სწავლებას ევქარისტიაზე (თ. 6). ანალოგიურად არის აგებული უფალ იესო ქრისტეს საუბრები ნიკოდიმოსთან (თ. 3), და სამარიტელ დედაკაცთან (თ. 4), კეთილი მწყემსის შესახებ (თ. 10), დღესასწაულზე მოსულ წარმართებთან (12,20), საიდუმლო სერობაზე (თ. 13) და ზეთისხილის (ელეონის) მთაზე მოწაფე-

ებთან საუბრისას (თ. 14-16).

საღმრთისმეტყველო სწავლების სიღრმემ, რომელსაც შეიცავს იოანეს სახარება, ეკლესიას საფუძველი მისცა, მისთვის სულიერი ეწოდებინა, თვით იოანეს კი მიაკუთვნა ღმრთისმეტყველის სახელი.

მთელი სახარება გამსჭვალულია ღმერთის სამგვამოვნების მოწმობით – მამის, ძის და სული წმიდის. ცენტრალური თემაა მოძღვრება ღმერთკაცზე, ღმერთის მყოფობაზე ყოველდღიურ სამების სახით, ახალ მადლმოსილ ცხოვრებაზე, რომელიც მოგვანიჭა ქრისტე მაცხოვარმა და განხორციელებადია მხოლოდ ეკლესიაში (იხ. განსაკუთრებით თ. 17).

<u>საქმე წმიდათა მოციქულთა.</u> წიგნი დაწერილია ლუკა მახარებლის, მესამე სახარების ავტორის მიერ (1,1-3) რომში, 62-63 წლებში. როგორც საეკლესიო-ისტორიული, ასევე საღმრთისმეტყველო შინაარსით წიგნი „საქმეთა“ წარმოადგენს წმიდა ოთხთავის გაგრძელებას.

ეს წიგნი არის წმიდა მოციქულთა მუშაკობისა და ღვაწლის გადმოცემა. 1-11 თავებში ლუკა აღწერს იერუსალიმის პირველქრისტიანული თემის მდგომარეობას, მის წევრებს შორის ურთიერთობას, მოციქულების ქადაგებას და მოწამეობას. აღაესეს რა ქრისტეს მოძღვრებით იერუსალიმი (5, 28), მოციქულები ავრცელებენ ქრისტიანობას მოსაზღვრე მხარეებშიც. მონათხრობის გულისგულია მოციქულთა კრება (51 წ.), როგორც ფუნდამენტური საეკლესიო მოვლენა, რომელიც დოგმატურ საფუძვლად დაედო ქრისტიანობის იუდაიზმისაგან გამიჯნას და მის დამოუკიდებლად გავრცელებას მსოფლიოში (15, 6-29). ავტორი ზედმიწევნით აღწერს პაველე მოციქულის მოღვაწეობას (7,58; 8,1-3; 9,1-30 და ა.შ.), მის სამ მოციქულებრივ მოგზაურობას და პყრობილებას. პაველეს ჩასვლა რომში და იმჟამინდელი ცივილიზაციის დედაქალაქში მისი ქადაგება (28,30-31) წარმოადგენს წიგნის ლოგიკურ დასასრულს.

„საქმეთა“ წიგნის საღმრთისმეტყველო საგანია უპირატესად სულიწმიდის განგებულება, რაც უფალ იესო ქრისტეს მიერ დაარსებულ ეკლესიაში აღესრულება ამაღლებიდან (1, 1-11) და სულთმოფენობიდან (2, 1-41) ქრისტეს მეორედ მოსვლამდე (1,11; 17,31).

წმიდა ლუკას ეკლესიოლოგია გვისახავს ეკლესიის ოთხ დოგმატურ განსაზღვრებას, მოცემულს სარწმუნოების სიმბოლოში. ეკლესია ერთია, რო-

გორც ერთია უფალი, რომელმაც თავისი სისხლით მოიპოვა იგი (20,28). ეკლესია წმიდაა. მონათელა და ეკლესიაში შესელა ნიშნავს,იყო ცხონების მემკვიდრე (2,40; 2,47),შეუერთდე უფალს (5,14) და წმიდანებს (9,13),მიიღო სული წმიდის მადლი (1,5; 8,15; 9,17 და სხვ.). სწორედ სული წმიდით ცხოერობს,მოქმედებს და აბროვნებს ეკლესია (4,31; 5,32 და სხვ.) და მისი ყოველი წევრი. ეკლესია საყოველთაოა. მის მორწმუნეებს ერთი გული და ერთი სული აქვთ (3,32). საყოველთაოდ ხდება მოციქულების (1,15-26) და დიაკონთა (6,2-6) შერჩევა, მიიღება დოგმატიკური განსაზღერებები (15,28). ეკლესია საყოველთაოდ ყველა ადამიანისათვის წარგზაენის მათ მსახურების აღსასრულებლად (8,14; 11,22; 13,2-3), ლოცულობს მათზე (12,5). ეკლესია სამოციქულოა. მოციქულებს მიენდოთ მოწმობა ქრისტეს ღმრთის ძეობასა და მკედრეთით აღდგომაზე (1,8,22; 2,32; 26,16 და სხვ.). სული წმიდის მიერ მოციქულთა მემკვიდრეობით ხელდასხმის საშუალებით ხდება წმიდა სამღვდელო იერარქიის დადგინება,რომელმაც უნდა დამწყსოს და დაიცვას ეკლესია (6,6; 14,23; 20,28).

კათოლიკე ეპისტოლენი

– შემდეგი ნაწილი ასალი აღთქმის სალმრთო წერილში შედგება შვიდი სამოციქულო ეპისტოლესაგან,რომლებსაც ეკლესიამ მიაკუთვნა სახელწოდება „კათოლიკე“ (ბერძ. – საყოველთაო). ესენია: იაკობის ეპისტოლე, პეტრესი – ორი, იოანესი – სამი და იუდასი – ერთი. მათ ეწოდებათ კათოლიკე,რადგან არ არის მიმართული რომელიმე კონკრეტული თემისადმი, არამედ თავიანთი ხასიათით წარმოადგენს საყოველთაოს, ანუ მთელი მსოფლიო ეკლესიისადმი არის განკუთვნილი.

წმიდა მოციქულ იაკობის ეპისტოლე (იაკ.). წმიდა იაკობი, 70 მოციქულთაგანი, ებრაელთა მიერ მართლად წოდებული ღირს იქმნა საეკლესიო წოდებისა „ძმა უფლისა“ (გალ. 1,19). იგია იერუსალიმის ეკლესიის პირველი ეპისკოპოსი (33-63 წწ.). მას მიაკუთვნებენ საღმრთო ლიტურგიის წესის შექმნას. მოწამეობრივად აღესრულა 63 წელს. მის ხსენებას ვდღესასწაულობთ 23 ოქტომბერს.

ეპისტოლე დაწერილია მის მიერ იერუსალიმში (დაახლ. 60-62 წ.წ.) და მიმართულია ქრისტიანობაზე მოქცეული ებრაელებისადმი,რომლებიც პალესტინის გარეთ ცხოვრობენ (1,1). ეპისტოლეს მთავარი თემა

ქრისტეს რწმენაა, რომელიც ქრისტიანს აქცევს სრულყოფილად (1, 4), ბრძნად (1, 5-6) და მტკიცედ (1, 6-8), ანიჭებს სისარულს (1,2) და საუკუნო ცხოვრებას (1,12).

მოციქული იაკობი გვასწავლის რწმენისა და საქმის განუყოფელ ერთიანობას (2,14-26). როგორც საეკლესიო მოქმედებანი შეუძლებელია რწმენის გარეშე, ასევე ჭეშმარიტი რწმენა შეუძლებელია ქრისტიანულ საქმეებში მონაწილეობის გარეშე. „სარწმუნოებაჲ თჳნიერ საქმეთასა მკუდარ არს“ (2,17; 2, 20; 2,22; 2,26).

წმიდა პეტრე მოციქულის I კათოლიკე ეპისტოლე.

წმიდა მოციქული პეტრე (რომელსაც ერქვა, აგრეთვე, სიმონ, ძე იონასი და კეფა), ეკლესიის მიერ პაველე მოციქულთან ერთად ღირსქმნილი წოდებისა მოციქულთა თავნი, მოწოდების დროის მიხედვით ერთ-ერთი პირველ მოწაფეთაგანი იყო (მრკ. 1,16; ინ. 1,40-42). უფლის ამაღლების შემდეგ ქადაგებდა იერუსალიმში (საქმე 1,12), იყო ერთ-ერთი ბურჯი პირველქრისტიანული თემისა იაკობთან და იოანესთან ერთად (გალ. 2,9); შემდეგ, საეკლესიო გარდამოცემით, ანტიოქიის პირველი ეპისკოპოსი იყო, მოწამეობრიეად აღესრულა (ჯვარს აცეს თავდაღმა, რაღგან თავი ღირსად არ ჩათვალა, ქრისტეს მსგავსად ენებულიყო) ქ. რომში. მისი გარდაცვალების თარიღი საეკლესიო წყაროების მიხედვით არის 67 წ.

წმიდა პეტრე და წმიდა პაველე მოციქულების ხსენებას ვდღესასწაულობთ 29 ივნისს.

ეპისტოლე დაწერილია დაახლოებით 63 წელს „ბაბილონიდან“ (5, 13), როგორც ქრისტიანები უწოდებენ რომს და გაგზავნილია სილოანეს ხელით (5,12) მცირე აზიის ეკლესიების ქრისტიანეთათვის (1, 1). მოციქული გადმოგვცემს ქრისტიანული რწმენის საფუძველს და სულიერი ცხოვრების წესებს. ეპისტოლეს ცენტრშია იესო ქრისტეს პიროვნება და მისი გამომსყიდველი ღვაწლის არსობრიობა. ამ მიმართებით ეპისტოლეს შინაარსი ახლოსაა მოციქულ პეტრეს ზეპირ ქადაგებებთან (საქმე 2, 14-40; 3, 12-26).

ეპისტოლეში ნათლადაა გამოხატული დოგმატური სწავლება ყოვლადწმიდა სამებაზე:

— მამისა, რომელმაც წინასაუკუნოდ აგვირჩია (1,2), შექმნა (4,19) და მიიღო ქრისტეს მიერ საუკუნო დიდება (5,10);

ძისა — ღვთის ტარიგისა (1, 20), რომელმან აღიხვნა კაცობრიობის ცოდვები და ძელის

ჯვარს მიამსჭვალა ისინი (2,21-24), ევნო ჩვენთვის (3,18),აღსდგა მკვდრეთით (3,21), ამაღლდა ზეცად და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა (3,22);

და სული წმიდისა,რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა (1,11) და მოციქულთა მიერ (1,12), განწმენდს მორწმუნეთა სულებს (1,22), განანათლებს მათ (1, 2) და დაიევანებს წმიდანებზე (4,14).

ეპისტოლეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეკლესიის თემას. მოციქული ქრისტეს მოწაფეებს ეკლესიის „ლოდად ცხოველად“ მოიხსენიებს (2, 5). აქ ამკარაა პარალელი პეტრე მოციქულის მიერ ფილიპეს კესარიაში სარწმუნოების აღსარებასთან (მთ. 16, 13-19), რომლის პასუხად მაცხოვარმა უთხრა,რომ რწმენის ამ კლდეზე ის აღაშენებს თავის ეკლესიას.

ეპისტოლეს დასკვნით ნაწილში (თ. 5) მოციქული განსაკუთრებული დარიგებით მიმართავს ეკლესიის მოძღვრებს და წერილობით გადმოსცემს ყოველი ქრისტიანისთვის აუცილებელ სათნო ცხოვრების წესებს.

წმიდა პეტრე მოციქულის II კათოლიკე ეპისტოლე. დაწერილია მოციქულის მიერ რომში 66-67 წ.წ.,როცა უფალმა მას აღსასრულის მოახლოება აუწყა (1,14).

ეპისტოლე მიმართულია ყველა ადამიანისადმი,ვინც მოციქულების დარად მიიღო უძვირფასესი რწმენა ქრისტესი (2,2), ე.ი. ყოველი ქრისტიანისადმი და წარმოადგენს მოციქულის სულიერ ანდერძს (1,12-15).

წმიდა პეტრეს მიზანია, შეასსენოს მორწმუნეებს ჭეშმარიტი მნიშვნელობა (3,1) ქრისტიანული მოძღვრებისა, წინასწარ ნაუწყები სული წმიდის მიერ წინასწარმეტყველთა მეშვეობით (1, 19-21) და დამოწმებული მოციქულთა მიერ (1,16-18; 3, 2, 15-16),ცრუმოძღვრების (2,1-3) და სარწმუნოებისგან განდგომილთა სამხილებლად (2,20-22), რომელნიც უარყოფენ იესო ქრისტეს (2, 1) და მის მეორედ მოსვლას (3,3-4).

მოციქული ეპისტოლეში საუბრობს თაბორის მთაზე უფლის ფერისცვალების თვითმხილველობის შესახებ (1,16-18), რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სახარების ისტორიული მტკიცებულებისთვის.

ეპისტოლეს II თავი შინაარსობრივად მჭიდროდ უკავშირდება წმიდა მოციქულ იუდას ეპისტოლეს.

წმიდა მოციქულ იოანეს I კათოლიკე ეპისტოლე დაწერილია ეფესოში. საეკლესიო

გარდამოცემის მიხედვით, მაშინ იოანე ღმრთისმეტყველი 90 წლის იყო. დარჩა რა სამოციქულო გარდამოცემის უკანასკნელ ცოცხალ მემატიანედ, იოანე წერს ქრისტეს ღვაწლის ყველა მოწმისა და თვითმხილველის სახელით (1,1-3; 4,14), ე.ი. მთელი სამოციქულო ეკლესიის სახელით. ეპისტოლე მიმართულია ყველა ქრისტიანისადმი, რაც ხაზს უსვამს მის საყოველთაო – კათოლიკე მნიშვნელობას.

ეპისტოლეს დაწერა გამოწვეული იყო ერეტიკოსთა ცრუწავლების გავრცელებით. მოციქული ადასტურებს საეკლესიო ცხოერების მთავარ პრინციპს – ეკლესიაში სამოციქულო გარდამოცემის უწყვეტობას: „რაჲთა თქუენცა გიარებაჲ გაქუნდეს ჩუენ თანა და გიარებაჲ ჩუენი მამისა თანა და ძისა მისისა თანა იესუ ქრისტესსა“ (1,3).

ეპისტოლეში მოცემულია სწავლება ღმერთის, როგორც ნათელის (1, 5) და სიყვარულის შესახებ (4, 8, 16), და მასზედ, რომ გზა ნათლისა და ღმერთის შეცნებისაკენ სიყვარულზე გადის.

განსაკუთრებით ღრმად გადმოგვცემს იოანე მოციქული სწავლებას ქრისტეს შესახებ, რომელიც განხილულ უნდა იქნას გამოცხადებისა და მეოთხე სახარების ქრისტოლოგიასთან შეჯერებით.

წმიდა მოციქულ იოანეს II კათოლიკე ეპისტოლე დაწერილია ეფესოში, როგორც ჩანს, იმ დროს, როცა I ეპისტოლე დაიწერა ან ოღნაე მოგვიანებით. მიმართულია ეფესოს მმართველის გამგებლობაში შემავალი მცირე აზიის ერთერთი ეკლესიისადმი (1,1). შინაარსით ეხმიანება I ეპისტოლეს. მოციქული გამოთქვამს კმაყოფილებას, რომ ეკლესიის შვილები ჭეშმარიტებით ელენან (1,4) და ცხოვრობენ სიყვარულის მცნებებით (1, 5-6) და აფრთხილებს, ერეტიკოსებთან და განდგომილებთან არ იქონიონ ურთიერთობა (1,10-11).

წმიდა მოციქულ იოანეს III კათოლიკე ეპისტოლე დაწერილია ეფესოში, როგორც ჩანს, I და II ეპისტოლეებთან ერთად, რომლებთან შინაარსითაც ახლოსაა და მიმართულია მისი სულიერი შვილის გაიოზისადმი, (1,1), მცირე აზიის ერთერთი ეკლესიის წევრისადმი, და აქვს კონკრეტული მიზანი – გაიოზის გამხნევება და ვინმე დიოტროფეს ანტიეკლესიური საქმიანობის დაგმობა (1,9).

წმიდა მოციქულ იუდას კათოლიკე ეპისტოლე. ავტო-

რი თავის თავს უწოდებს „იუდა, ძმაჲ იაკობისი“ (1,1), იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსისა. მას მოისსენებენ ასეც: „ძმაჲ უფლისაჲ“ (გალ. 1,19). ეპისტოლე დაწერილია იერუსალიმში, იაკობის სიკვდილის, ე.ი. 63 წლის შემდეგ, მაგრამ 66 წლამდე, რადგანაც 67 წ. აღსრულებული პეტრე მოციქული თავის II კათოლიკე ეპისტოლეში იუდას ეპისტოლეს იმოწმებს.

შინაარსის მიხედვით, ეპისტოლე მიმართულია გნოსტიკოს-მწვალებელთა წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფდნენ იესო ქრისტეს ღმრთაებრიობას (1,4) და საეკლესიო იერარქიას (1,8).

ეპისტოლეს მთავარი თემაა ქრისტიანული ესქატოლოგია (1, 14-24).

წმიდა პავლე მოციქულის ეპისტოლენი. პავლე მოციქული (მისი ებრაული სახელი იყო საულე) დაიბადა კილიკიის ქ. ტარსში (საქმე 22,3) ებრაელი ფარისეველის ოჯახში ბენიამენის ტომიდან (ფილ. 3,5). მიღებული ჰქონდა რომის მოქალაქეობა, სწავლობდა იერუსალიმში გამალიელის სასწავლებელში (საქმე 22, 3), რომელშიც სჯულთან ერთად ბერძნული ენა და ლიტერატურა ისწავლებოდა. გამოირჩეოდა სჯულის გულმოდგინე შესრულებით და ქრისტიანებისადმი ფანატიკური შეუწყნარებლობით.

როცა მაცხოვრის ამაღლების შემდეგ იერუსალიმში მალევე დაიწყო პირველი დევნა უფლის მოწაფეებისა, საულე იყო ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი მდევნელი (გალ. 1, 13). მაგრამ გზაში დამასკოსაკენ, სადაც ქრისტიანების საძევნელად მიდიოდა, მოხდა მისი სასწაულებრივი მოქცევა. საულეს გამოეცხადა თავად იესო ქრისტე და სამოციქულო მსახურებისკენ მოუწოდა (საქმე 9, 3-9; 22, 4-11; 26, 12-18). იმ დროიდან პავლე სახარების მგზნებარე მქადაგებელი გახდა, მრავალი განსაცდელი გადაიტანა, სხვა მოციქულებზე მეტად გაისარჯა (2 კორ. 11, 23-32) და ღირს იქმნა, ეკლესიის მიერ პეტრესთან ერთად წოდებულიყო მოციქულთა თავად. ამასთან, ეკლესიის მიერ აღიარებულ იქნა უპირატესად როგორც წარმართთა მოციქული, მაშინ როცა პეტრე იყო ებრაელთაგან მოქცეული ქრისტიანების მოციქული (გალ. 2,7). პავლეს სამოციქულო მოღვაწეობა აღწერილია წმიდა ლუკას მიერ წიგნში „საქმე მოციქულთა“. პავლე მოციქული მოწამეობრივად აღესრულა ქ. რომში 67 ან 68 წ. მისი ხსენების დღეა 29 იენისი.

ცნობილია პავლე მოციქუ-

ლის 14 ეპისტოლე. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში გაერთიანებულნი, ისინი პირველთა შორის შეიდნენ ახალი აღთქმის საღმრთო წერილის კანონში. ვარაუდობენ, რომ მოციქულის ზოგიერთი ეპისტოლე არ შემოინახა. ეპისტოლეების ზოგიერთი ადგილებიდან გამომდინარე, თვით მოციქულის მითითებით თუ ვიმსჯელებთ,შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ჩვენამდე ვერ მოაღწია კორინთელთა მიმართ ოთხი ეპისტოლედან ორმა და ეპისტოლემ ლაოდიკიელთა მიმართ,რომელიც დაწერილი უნდა ყოფილიყო ეფესელთა და კოლასელთა მიმართ ეპისტოლეებთან ერთად (კოლ. 4,16). არ არის გამორიცხული ისიც, რომ მოციქულმა ერთზე მეტი წერილი მისწერა ფილიპელებს (ფილ. 3, 1). დაბოლოს, ძველი საეკლესიო მწერლები საუბრობენ პაელე მოციქულსა და რომის ფილოსოფოს სენეკას, „საქმე მოციქულთადან“ ცნობილი პროკონსულის აქაიას მთავრის, გალიონის ძმას შორის მიმოწერაზე (საქმე 18, 12), თუმცა ამ წერილების ჩვენამდე მოღწეული ძველი ტექსტები აპოკრიფულადაა მიჩნეული.

პაელე მოციქულის კანონიკური ეპისტოლეები მიმართულია შვიდი ეკლესიისადმი: რომაელთა, კორინთელთა, გალატელთა, ეფესელთა,ფილიპელთა, კოლასელთა,თესალონიკელთა და სამი პიროვნებისადმი: ტიმოთეს, ტიტეს და ფილიმონის მიმართ. კანონში მათი მიმდევრობა არ ემთხვევა ქრონოლოგიურს. აშკარაა, რომ ასეთი რიგით განლაგებისას წმიდა მამები ითვალისწინებდნენ ეკლესიების და პიროვნებების შედარებით ღირსებებს.

ქრონოლოგიურად უფრო ადრეულია I და II თესალონიკელთა ეპისტოლეები, წმიდა პაელეს მეორე მოციქულებრივი მოგზაურობის დროს დაწერილი და მიძღვნილია ქრისტიანული ესქატოლოგიისადმი.

მესამე მოგზაურობის დროს განეკუთვნება ე.წ. დიადი ანუ ერცელი ეპისტოლეები – I კორინთელთა, II კორინთელთა, გალატელთა და რომაელთა მიმართ. მათში გადმოცემულია პაელე მოციქულის სოტერიოლოგია (მოძღვრება ცხოვნების შესახებ).

პაელე მოციქულის რომში პირველი პატიმრობის პერიოდს მიეკუთვნება ფილიპელთა, ეფესელთა,კოლასელთა და ფილიმონის მიმართ ეპისტოლეები. წმიდა მამები ასე უწოდებდნენ მათ: „საკვრელთაგან მიწერილი ეპისტოლეები“.

ებრაელთა მიმართ ეპის-

ტოლე გათავისუფლებისთანავე, ჯერ კიდევ იტალიაშია დაწერილი. საღმრთისმეტყველო შინაარსით იგი ეუსელთა და კოლასელთა მიმართ ეპისტოლეებთან ერთად მიეკუთვნება მოციქულის ქრისტეოლოგიურ ნაწერებს.

და ბოლოს, უკანასკნელ ნაწილს შეადგენს I ტიმოთეს, ტიტეს და II ტიმოთეს მიმართ ეპისტოლეები. პირველი ორი დაწერილია ორ პატიმრობას შორის პერიოდში, ბოლო კი – რომის საპყრობილეში მოციქულის მოწამეობრივ აღსასრულამდე. თავიანი შინაარსით ისინი სამოძღვრო ეპისტოლეებად იწოდება.

პაელე მოციქულის ღმრთისმეტყველება არ არის განყენებული თეორიული სისტემა. ის იქმნებოდა და იზრდებოდა ორგანულად – პირველქრისტიანული თემების სულიერი გრძნის კვალობაზე, ეკლესიების მდგომარეობისა და საჭიროების, მის წინაშე წამოჭრილი ცხოვრებისეულ-პრაქტიკული და საღმრთისმეტყველო პრობლემების შესაბამისად. პირველ ქრისტიანულ თემებში გამეფებული მოლოდინი მეორედ მოსვლისა მოითხოვდა ქრისტიანული ესქატოლოგიის განმარტებას. სასარების წარმატებული ქადაგება წარმართთა შორის და ამის გამო გაჩენილი ეჭვები იუდეველთაგან მოქცეულ სჯულის მოშურნე ქრისტიანებისა (საქმე 21,20) მოითხოვდა ცხონების შესახებ ქრისტიანული სწავლების მკაფიო ფორმულირებას, რაც პაელე მოციქულს აიძულებდა იუდეველობისკენ გადახრილ ქრისტიანებთან პოლემიკის გამართვას. გნოსტიკური ერესის წარმოქმნამ და ამ პრობლემატიკამ ქრისტოლოგიური ეპისტოლეები წარმოშვა; და ბოლოს, ეკლესიების ჯეროვანი მოწყობა-დამკვიდრების აუცილებლობამ განაპირობა სამოძღვრო ეპისტოლეების დაწერა.

მთლიანობაში პაელე მოციქულის ეპისტოლეები წარმოადგენს ქრისტიანული მოძღვრების საფუძველთა ღრმა და ყოველმხრივ გადმოცემას. ეს არის თვით ეკლესიის ცხოვრება, აღბეჭდილი საღმრთისმეტყველო სახეებით და ცნებებით.

<u>ეპისტოლე რომაელთა მიმართ</u> დაწერილია 58 წ. აღდგომის წინ, კორინთოში პაელე მოციქულის სამთვიანი ყოფნის დროს (საქმე 20, 3).

ამ ეპისტოლეს ძირითადი თემები (ისევე, როგორც ეპისტოლეში გალატელთა მიმართ) გაცხადებულია სჯულის და მადლის, ცოდვის და ცხონების, სხეულის და სულის, ჯერის და

აღდგომის ცნებების შეპირისპირების გზით. ამ ანტინომიებზე შენდება მწყობრი თეოდიცეა (ღმრთიე დადგინებული წესრიგის საღმრთისმეტყველო განმარტება), რაც ეპისტოლეს ქრისტიანობის საფუძვლების გადმოცემად წარმოგვიდგენს.

წმიდა პავლე მოციქულის ღმრთისმეტყველების გულისგულია იესო ქრისტეს გამომსყიდველი ღვაწლი (4,24–5,11), ცოდვისა და სიკვდილის მძლეველის, მადლის მეუფებისა და საუკუნო ცხოვრების განმცხადებლისა (5,12-21). ქრისტესთან ერთად თანაჯვარცმა არის გზა მასთან ერთად განდიდებისა (8, 17-18).

განსაკუთრებული ადგილი (თ. 10-12) ორი აღთქმის თანაფარდობის საკითხს უკავია. ღმრთის ერისადმი კუთვნილება განისაზღვრება არა გარეგანი ნიშან-თვისებებით, არამედ შინაგანი ღირსებით (2, 28-29). ბუნებრივ მდგომარეობაში ყველა ცოდვილია, ყველა მოკლებულია ღმრთის დიდებას (3, 23) – როგორც წარმართნი, ისე იუდეველნი, მაგრამ ერთადერთი ჭეშმარიტი რწმენის მეშვეობით, ღმრთის მადლით ყველა მართლმორწმუნე ცხონდება (1, 16), ყველა გამართლდება (3,24-30).

ძველმა სჯულმა, რომელიც მოცემული იყო მოსეს მიერ,დაკარგა ძალა, ქრისტემ მას წერტილი დაუსვა (10,4). ამიერიდან ღმრთის ერი არის ეკლესია – ე.ი. ყველა, ვისაც სწამს ქრისტე და მისი მკვდრეთით აღდგომა (10, 9). ეკლესიაში არ არის ტომობრივი განსხვავება იუდეველებსა და წარმართებს შორის (10,12).

ეკლესიის არსი იმაშია,რომ მორწმუნეები შეადგენენ ერთ სხეულს ქრისტეს მიერ (12, 5). თითოეული მოვალეა შეასრულოს ქრისტეს მცნებები (12, 9-20),ბოროტებას სიკეთით სძლიოს (12, 21), იცხოვროს სიმართლით უბიწოდ და სიხარულით, სული წმიდის მიერ (14, 17). სჯულის ჭეშმარიტი შესრულება არის სიყვარული (13, 10). ამიტომ მოციქული მოგვიწოდებს, ვემსახუროთ მშვიდობის დამკვიდრებას და ერთმანეთის აღშენებას (14,9), ერთი პირით და ერთი გულით ვადიდოთ ღმერთი (15,6), შევიწყნაროთ ერთმანეთი, როგორც შეგვიწყნარა ქრისტემ საღმრთო დიდებაში (15,7).

<u>I ეპისტოლე კორინთელთა მიმართ.</u> კორინთოს ეკლესიას საფუძველი ჩაუყარა წმიდა პავლე მოციქულმა მეორე სამოციქულო მოგზაურობის დროს, როცა მან კორინთოში დაჰყო წელიწადნახევარი (52 წ.

შემოდგომა – 54 წ. გაბაფხულის).

კორინთელებთან მიმოწერა მოციქულის მესამე მოგზაურობის წლებით თარიღდება. ვარაუდობენ, რომ მან კორინთელებს არა ორჯერ, არამედ ოთხჯერ მისწერა. პირველი ეპისტოლე, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია (დაახლ. 55 წ.), არის ნახსენები თვით მოციქულის მიერ (1 კორ. 5,9). ამ ეპისტოლეს ნაწყვეტად თვლიან ზოგჯერ 2 კორ. 6, 14 – 7, 1. მეორე ეპისტოლე იყო ის, რომელიც ცნობილია როგორც კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლე. ის დაწერილია ეფესოში 55 წ. გაბაფხულზე. ეფესოში მოციქული იმყოფებოდა 54 წლის ბოლოს – 55 წლის დასაწყისში (საქმე 19,1). ამ ეპისტოლეს წინ უძღოდა კორინთელთა წერილი შეკითხვებით პაელე მოციქულისადმი (იხ. 1 კორ. 7,1), რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. მესამე ეპისტოლე, დაწერილი იმავე წელს კორინთოს ეკლესიის მოუწყობლობის გამო (იხ. 2 კორ. 2,3-4; 7, 8, 12), სავარაუდოდ, მთლიანად ან ნაწილობრივ შენარჩუნებულია კორინთელთა მიმართ მეორე ეპისტოლეს ბოლო თავებში (თ. 10-13). და ბოლოს, 57 წ. მიწურულს, გზად კორინთოსკენ, მიიღო რა დამამშვიდებელი ცნობა ტიტესგან კორინთოს ეკლესიის მდგომარეობაზე (2 კორ. 7, 6-7), პაველე მოციქული წერს მეოთხე ეპისტოლეს, ცნობილს როგორც კორინთელთა მიმართ მეორე ეპისტოლე.

პირველი ეპისტოლეს დაწერის საბაბად იქცა გათიშვა და კამათი კორინთოს ეკლესიაში (1, 11-12). შეაგონებს რა კორინთელებს, მოციქული მათ ყურადღებას მიაპყრობს ეკლესიის, ურთიერთსიყვარულისა და ერთმანეთისთვის თავგანწირვის შესახებ მოძღვრებას, რომლის წყაროც ქრისტეს ჯვრის გამომსყიდველი ძალაა (1, 18-31; 2,2).

მოციქულის მიერ ეკლესიის არსი მჟღავნდება ეკლესიის საღმრთისმეტყველო სახეებში: ეკლესია – ღმრთის ტაძარი (3, 9-17; 19-20) და ეკლესია – სხეული ქრისტესი (3,21-23; 6,13-20; 10, 16-17; 11,3; 12,12-27). ეპისტოლეში გადმოცემულია მოძღვრება ევქარისტიის, როგორც საეკლესიო ცხოვრების გულისგულის (10, 16-17; 11, 23-29), ეკლესიაში სულიწმიდის ძალმოქმედებისა და მრავალფეროვნების შესახებ (12,3-11, 28-30), სიყვარულის – იმ მთავარი ძალის შესახებ, რომელიც ეკლესიის წევრებს ქრისტეს სხეულში აერთიანებს (თ. 13), ეკლესიაში ურთიერთმსახურებისა და შეგონების შე-

სახებ (თ. 14). და ბოლოს,სამყაროსა და ეკლესიის მომავლის შესახებ (თ. 15).

ეპისტოლეს ესქატოლოგიური თემები (7, 29-31; 15, 20-55) თესალონიკელთა მიმართ პირველი და მეორე ეპისტოლეების თემების გაგრძელებაა; ახალი აღთქმის უპირატესობის და ძველი აღთქმის განმანათლებლური მნიშვნელობის თემა (თ. 10) გახსნილია გალატელთა, რომაელთა და ებრაელთა მიმართ ეპისტოლეებში; ქრისტეს როგორც ადამის ახალი სახე (15, 21-22) – რომაელთა მიმართ ეპისტოლეში; მოძღვრება ეკლესიაზე, როგორც ქრისტეს სხეულის შესახებ – ეპისტოლეებში ეფესელთა და კოლასელთა მიმართ.

ამრიგად,პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ წმიდა პავლე მოციქულის საღმრთისმეტყველო სისტემის გასაღებს წარმოადგენს.

II ეპისტოლე კორინთელთა მიმართ დაწერილია წმიდა პავლე მოციქულის მიერ მაკედონიაში (7;5; 8,1-5) და ტიტეს ხელით გაგზავნილია კორინთოში (8,6) 57 წლის შემოდგომაზე.

მასში გაერცობილია კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში დაწყებული და გალატელთა მიმართ ეპისტოლეში გაგრძელებული სწავლება საეკლესიო მსახურების,როგორც ქრისტეს მიერ ჯვარზე აღსრულებულ გამომსყიდველ მსხვერპლშეწირვაში თანამონაწილეობის შესახებ. ეკლესია ერთიანი ღმრთაებრიეი ორგანიზმია, რომლის მთავარი ცხოველმყოფელი ძალაა სულიერი თაეგანწირვა და ქრისტესთან თანაჯვარცმა (1, 3-7; 2,2-8,15-16). ეკლესიაში ქრისტეს სიყვარული ყოველ ჩვენგანს მოიცავს: ქრისტე ყველასთვის მოკვდა, რათა ჩვენ ყველანი მისით და მისთვის ვცხოვრობდეთ (5, 14-15). ვინც ქრისტეში და მის ეკლესიაშია, ის ახალი ქმნილებაა (5,17),ღმერთის ახალი ერია (6, 16). ღმერთი მამაა ჩვენი, ჩვენ კი – მისი ძენი და ასულნი (6, 18).

ეპისტოლე მნიშვნელოვანია აგრეთვე პავლე მოციქულის ავტობიოგრაფიული ცნობების (თ. 11-12) და მისი სულიერი გამოცდილების გამო (12,1-5).

ეპისტოლე გალატელთა მიმართ. გალატელთა ეკლესია მცირე აზიაში დაარსებულია წმიდა პავლე მოციქულის მიერ მეორე და მესამე სამოციქულო მოგზაურობებისას 52 და 54 წლებში. ეპისტოლე გალატელთა მიმართ დაწერილია მესამე

მოგზაურობის დროს, 57 წელს ან 58 წლის დასაწყისში.

ეპისტოლეს დაწერის საბაბად იქცა მორწმუნე გალატელთა ნაწილის ჰურიადმყოფელთა ერესისკენ გადახრის საშიშროება. ერეტიკოსთა ბელადები მთავარ დარტყმას ასორციელებდნენ „ერების, წარმართთა მოციქულის“ წინააღმდეგ, მისი სამოციქულო ღირსების მნიშვნელობის დამცირების მცდელობით. ამიტომ პირველ ორ თავში პაელე მოციქული მოგვითხრობს თავისი სამოციქულო მოღვაწეობის დასაწყისის შესახებ (1,15-17), პირველ (1,18-20) და მეორე (2,1) მოგზაურობაზე იერუსალიმში, სამოციქულო კრებაზე (2,1-10) და მის კამათზე პეტრე მოციქულთან ანტიოქიაში (2, 11-14). შემდეგ მოციქული მოკლედ და მტკიცედ გადმოგვცემს ღმრთისმეტყველების არსს, რომლის ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს წარმოადგენს ძველი და ახალი აღთქმის თანაფარდობის განმარტება, როგორც რომაელთა მიმართ ეპისტოლეშია განცხადებული რწმენის და სჯულის (2,15-3,29), ღმრთის ძეობის და მონობის (4,1-7,21-31), სულის და სხეულის (5,13-6,10) დაპირისპირებით. ქრისტეს ჯვარცმამ სამარადჟამოდ სჯულის მეუფებაზე მაღლა მადლის მეუფება დაამკვიდრა.

ქრისტიანები განთავისუფლებულნი არიან სჯულისაგან, ისინი არ ასრულებენ ხორცთა საქმეებს, არამედ ცხოვრობენ და მოქმედებენ სულიწმიდით (5,16-18). ეს დაწვრილებით ახსნილია ქრისტიანის მნეობრივ კოდექსში, რომელიც პავლე მოციქულის მიერაა ფორმირებული (5,19-6,10).

ძველი და ახალი აღთქმის ბიბლიურ სიმბოლოს წარმოადგენს აბრაამის ორი ძე: ხორციელი – მონა ქალის აგარისგან და აღთქმისეული – თავისუფალი სარრასგან (4, 22-26). მონა ქალის შვილები ძველაღთქმისეული იუდეველებია, მათ არ შეუძლიათ იყვნენ მეცნიერი სასუფევლის შვილები ეკლესიის შვილებთან ერთად (4, 26-31).

<u>ეპისტოლე ეფესელთა მიმართ.</u> როგორც კოლასელთა და ფილიმონის მიმართ ეპისტოლეები, ეს ეპისტოლეც დაწერილია დაახლ. 63 წელს ქ. რომში, წმიდა პავლე მოციქულის პირველი პყრობილების დროს და გაგზავნილია ტვიქიკოს და ონისიმეს ხელით (კოლ. 4, 7-9). არსებობს მოსაზრება, რომ ეპისტოლე ეფესელთა მიმართ იყო საოლქო ეპისტოლე აზიის ეკლესიებისადმი, ამიტომ მოციქული ეფესოს ეკლესიის

არც ერთ წევრს სახელით არ მიმართავს.

ეპისტოლეს შინაარსი შეადგენს დოგმატურ მოძღვრებას ქრისტესა და ეკლესიის შესახებ და აქედან გამომდინარე, ქრისტიანთათვის მნეობრივ მითითებებს (4,1-3; 4,25 - 6,18). ისევე, როგორც I ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ, აქაც ეკლესიოლოგია აგებულია ეკლესიის – ღმერთის ტაძრის სულიერი სახეებით, თავკიდური ლოდით – ქრისტეთი (2,19-22) და ეკლესიით – ქრისტეს სხეულით (1, 10, 22-23; 3,6; 4,4-7,11-16; 25,5,30).

ეპისტოლეს ცენტრალური თემაა წინა საუკუნო ბრახვა წმიდა სამებისა, აზრი და ნება ღმრთისა ქვეყანასა ზედა და ეკლესიაზე (1, 3-10; 2,10; 3,2-12).

ეპისტოლე გამსჭვალულია ერთობის იდეით. მოციქული გვასწავლის ერთობას ქმნილებისა (1,10), ერთობას ეკლესიისა (4,3-6), ერთობას ხალხისა ეკლესიაში (2,11-22), ერთობას რწმენისა და ცოდნისა (4,13).

მოციქულის საწინასწარმეტყველო შემეცნებაში ეკლესია წარმოჩენილია როგორც ახალი ქმნილება, შექმნილი იესო ქრისტეს მიერ (2,10,13-16; 3, 14-21; 4,20-24,5,8), როგორც სისრულე და განხორციელება სამყაროს ყოფიერებისა: ღმერთმა მიჰმადლა ეკლესიას ქრისტე, მეუფე ყველა ქმნილებისა (1,20-22; 4, 10), როგორც თავი – სხეულს (1,23; 4, 15-16) და ქმარი – ცოლს (5,24-25). ეკლესიის მისტიკური განსაზღვრება, როგორც კრავის სძალი (5,23-32), აახლოებს პაელე მოციქულის ღმრთისმეტყველებას წმიდა იოანე ღმრთისმეტყველის გამოცხადების ესქატოლოგიასთან.

<u>ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ.</u> პაელე მოციქულის მიერ ევროპაში დაარსებულთაგან პირველია ეკლესია ქ. ფილიპეაში, მაკედონიაში (52 წ.) (საქმე 16,12). მოციქული არაერთხელ იმყოფებოდა იქ და თავის სამოციქულო მოღვაწეობაში ფილიპელთა დახმარებას მაღალ შეფასებას აძლევდა (1, 5). ფილიპეაში მან გაატარა აღდგომის უკანასკნელი დღესასწაული პატიმრობამდე (საქმე 20, 6) და განთავისუფლებისთანავე ისევ იქით აპირებდა გამგზავრებას (2, 24).

ეპისტოლე დაწერილია დაახლ. 63 წელს ქ. რომში (4,3; 4, 22), მოციქულის პირველი ორწლიანი პყრობილების ბოლოს (1,12-17; 2,23-24).

ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ უმეტესწილად ავტობიოგრაფიულია. მის საღმრთისმეტყველო შინაარსს შეადგენს პაელე მოციქულის მოძღვრება

ქრისტეს, როგორც ქრისტიანების სულიერ მისწრაფებათა ღერძის შესახებ. ქრისტეს ყველა მორწმუნე მოწოდებულია თავის თავში განასხეულოს მისი სახე. ასეთი შესაძლებლობა მოგვცა ჩვენ ქრისტემ, რისთვისაც თვითონ, მამის სახემ, შეითვისა ადამიანური ბუნება. მოციქული აფრთხილებს ფილიპელებს ერესების გავრცელების საშიშროებაზე, ასწავლის, ყველაფერი ამაოებად ჩათვალონ იესო ქრისტეს შემეცნების წინაშე (3,2-16), განსაკუთრებით მოერიდონ უფლის ჯვრის მტრებს (3,17-19), რადგან ჩვენი ნამდვილი ცხოვრება არის ცათა შინა, საიდანაც ქრისტეს მეორედ დიდებით მოსვლას მოველით (3, 20-21).

ეპისტოლე კოლასელთა მიმართ. მცირე აზიის ქ. კოლასეში, ანუ ხონაში ეკლესია დაარსებული იყო წმიდა პავლე მოციქულის მოწაფის ეპაფრას მიერ (1,7) მაშინ, როცა თვითონ (წმ. პავლე მოც.) ცხოვრობდა ეფესოში (54-57 წწ.). ეპისტოლე კოლასელთა მიმართ გაატანა ტვიქიკოსს რომიდან, ეფესელთა და ფილიმონის მიმართ ეპისტოლეებთან ერთად (დაახლ. 63 წ.).

ეპისტოლეს დაწერის მიზეზი გახდა ცნობა კოლასეში ერესის გავრცელების შესახებ (2,8), რომელიც, როგორც ჩანს, გნოსტიკური ხასიათისა იყო (2,18).

ეპისტოლეს ღმრთისმეტყველურ შინაარსში ცენტრალური ადგილი უჭირავს ქრისტეოლოგიურ თემებს: ქრისტე – ღმერთის საყვარელი ძე (1, 13), შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა (1, 15), უხილავი ღმერთის ხატი (1, 15); მასში ხორციელად სუფევს სავსება ღმრთისა (2,9); ხაზგასმულია მისი მონაწილეობა სამყაროს შექმნაში (1, 16-17), კაცობრიობის გამოსყიდვაში (1,20; 2, 14-15), მართალთა დიდებაში (3,4). ეკლესია არის ქრისტეს სხეული (1, 18, 22, 24; 2, 18-19), რომლის წევრებში იგულისხმებიან მორწმუნენი, წარმომავლობისა და მდგომარეობის განურჩევლად (3,11).

მიმართავს რა წარმართობიდან მოქცეულ ქრისტიანებს, მოციქული გვერდს უვლის ბიბლიური ღმრთისმეტყველების მათთვის ჯერ კიდევ უცნობ თემებს – მაძღლის მიერ ცხონების, ღმრთის ერის, სული წმიდის შესახებ.

მოციქულის მიერ დოგმატიკური ჭეშმარიტება გადმოცემულია, ჩვეულებისაებრ, მნეობრივ-სამოძღვრებო ჭეშმარიტებებთან შეთანხმებითა და ურთიერთკავშირით (განსაკუთრებით თ.3-4), რომ სიყვარულია ქრისტიანის სრულყოფილებათა

ერთობლიობა (3,12) და საეკლესიო ცხოვრების საფუძველი (3, 15-16).

I ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ. ეკლესია თესალონიკში, რომის იმპერიის მაკედონიის პროვინციის დედაქალაქში, ფილიპეას შემდეგ მეორეა წმიდა პაელე მოციქულის მიერ საბერძნეთში დაარსებულთაგან.

I ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ წარმოადგენს მოციქულის პირველ ეპისტოლეს და ახალი აღთქმის კანონის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ წერილს. იგი დაწერილია დაახლ. 53 წელს, მეორე სამოციქულო მოგზაურობის დროს კორინთოში ჩამოსვლისთანავე (საქმე 18, 1).

ეპისტოლეში ჩანს თესალონიკელთა მიმართ მისი მამობრივი მოწონება ქრისტესადმი მათი გულწრფელი დამოკიდებულების გამო. იესო ქრისტეს და მისი მეორედ მოსვლის რწმენა წარმოადგენს ეპისტოლეს ძირითად დოგმატურ თემას. ესქატოლოგიურ მოლოდინს, რომელიც ქრისტიანული მსოფლშეგრძნების განსაკუთრებულობას წარმოადგენს (1, 10; 3, 13; 4, 16; 5, 23), არაფერი აქვს საერთო მკითხაობასთან და მარჩიელობასთან „ყამთა და წელთა“ შესახებ (5, 1); იგი დაფუძნებულია სულიერ მღვიძარებასა და სიფხიზლეზე (5,6), ქრისტიანული მოვალეობის ყოველდღიურ შესრულებაზე (4,11). პაელეს მოძღვრება აქ გადმოცემულია მცნებების და დარიგებების სისტემის სახით (4,1-12; 5, 11-22).

II ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ დაწერილია წმიდა პაელე მოციქულის მიერ კორინთოში 53 ან 54 წელს და წარმოადგენს თესალონიკელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში გადმოცემული თემების შემდგომ განვითარებას. პირველი თავი ეხება სწავლებას ეკლესიაზე, მეორე – აღრმავებს ესქატოლოგიურ საკითხს, მესამე – შეიცავს ზნეობრივ დასკვნებს.

ესქატოლოგიურ ნაწილში მოციქული გვაფრთხილებს, რომ უფლის მეორედ მოსვლის დღე არ არის მოწევნული (2,2). კაცობრიობას არ დაუსრულებია თავისი მიწიერი გზა, ეკლესიას ელის მრავალი განსაცდელი, კერძოდ, მასიური განდგომა სარწმუნოებისაგან – აპოსტასია (2,3), მოსელა მაცდური წარსაწყმედელის ძისა – ანტიქრისტესი ცრუ ნიშნებით და ცრუ სასწაულებით (1,9).

I ეპისტოლე ტიმოთეს მი-

მარკ მიეკუთვნება სამოძღვრო ეპისტოლეთა რიცხვს და დაწერილია წმიდა პავლე მოციქულის მიერ რომში, პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, 64 და 67 წლებს შორის. მოციქულის ზუსტი ადგილსამყოფელი ამ დროს უცნობია, მაგრამ ეპისტოლეს ტექსტიდან ჩანს, რომ ის ცოტა სნის წინ ეწვია ეფესოს, სადაც ტიმოთე ეპისკოპოსად დაადგინა, ამჟამად კი მაკედონიისკენ მიემართება (1,3).

ტიმოთე პავლე მოციქულის მეშვეობით შეუერთდა ეკლესიას ლუსტრში 52 წ. (საქმე 16,1-3; 2 ტიმ. 1,5). საეკლესიო გარდამოცემის მიხედვით, დაახლ. 80 წელს იგი ღირსი გახდა მოწამეობრივი აღსასრულისა. მისი ხსენება არის 22 იანვარს.

ეპისტოლეს შინაარსი დაკავშირებულია ეფესოს ეკლესიაში ცრუსწავლებების წარმოქმნასთან (1,3-4; 1,6-7),რომელნიც ძირს უთხრიდნენ ქრისტიანული ცნობრიობის საფუძვლებს (1,8-10). მოციქული შეგვასსენებს, რომ ერთადერთი შესაძლო გზა ხსნისა და საუკუნო ცხოვრებისა იესო ქრისტეს რწმენაზე (1, 15-16; 2,3-6; 4,10; 6,12),ლოცვაზე (2,1-4, 8; 4,5),მოწყალებაზე (2,9; 6,3-10,17-19),საეკლესიო ცხოვრების სრულყოფაზე გადის. ეკლესია ღმერთის სახლია, ჭეშმარიტების სვეტი და სიმტკიცეა (3,15).

ეპისტოლეს ეკლესიოლოგიური მნიშვნელობა მდგომარეობს ეპისკოპოსის წოდების სიწმინდის დამტკიცებასა და საეპისკოპოსო მსახურებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ რეკომენდაციებში (3,1-15; 4,6-16; 5,1-22; 6,5; 6,11-12).

II ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ წმიდა პავლე მოციქულის ბოლო ეპისტოლეა,რომელიც დაწერა 67 წელს რომის საპყრობილეში ყოფნისას, მოწამეობრივი გვირგვინის მოლოდინში (4, 6-8). დარჩა რა რამდენიმე მოწაფესთან (მათ რიცხვში იყო ლუკა მასარებელი), ის მოუწოდებს ტიმოთეს, მასთან გამოსათხოვებლად მივიდეს (4, 9-10).

წარმოადგენს რა წმიდა მოციქულის ანდერძს ყოველი ქრისტიანისადმი, ეპისტოლე ასწავლის „განცხოველებად მხურვალედ მადლსა მას ღმრთისასა“ (1,6), გაბედულად, როგორც ქრისტეს მხედრებმა (1,7-12; 2,3-4) დაითმინონ ჭირი რწმენისთვის (1, 8-13). პავლე მოციქულის მთავარი აღთქმაა – წმიდად მიჰყვნენ საღმრთო წერილს და გარდამოცემას, იყვნენ ფხიზლად.

ეპისტოლე შეიცავს მნიშვნე-

ლოვან აეტობიოგრაფიულ ცნობებს.

ეპისტოლე ტიტეს მიმართ დაწერილია წმიდა მოციქულ პაელეს მიერ რომში ორ პატიმრობას შორის დაახლ. 65 წელს კუნძულ კრეტის ეპისკოპოსის მიმართ. ეპისტოლე აგრძელებს ტიმოთეს მიმართ I ეპისტოლეში გადმოცემულ სწაელებას საეპისკოპოსო მსახურებაზე.

ტიტეს კონკრეტული დარიგებისას (1,13-15; 2, 1-15; 3,1-2, 8-11) განსაკუთრებით ხაზგასმულია ეპისკოპოსების სამოძღვრო-დოგმატური დანიშნულება, საღმრთო გარდამოცემათა შენახვა (1,9), ცსონების სარება (3, 8), მწვალებელთა მხილება (1,10-16; 3,9-11).

ეპისტოლე ფილიმონის მიმართ დაწერილია რომში 63 წელს, ეფესელთა და კოლასელთა მიმართ ეპისტოლეებთან ერთად. იგი იძლევა შესაძლებლობას, დავინახოთ მოციქულის ჭეშმარიტი ქრისტიანული დამოკიდებულება მონობისადმი. ეპისტოლეს დაწერის საბაბად იქცა მონათლულ ონისიმეს დაბრუნება ყოფილ ბატონთან. მოციქული სთხოვს ფილიმონს, გაათავისუფლოს ონისიმე (1,13-14) ან მიიღოს იგი, როგორც თვით მოციქული (1, 17), როგორც საყვარელი ძმა – სორციელი ან სულიერი (1,16).

ეპისტოლე ებრაელთა მიმართ დაწერილია დაახლ. 64-65 წწ. (13,24), ქ. რომში იერუსალიმის ეკლესიის წევრ, იუდეველთაგან მოქცეულ ქრისტიანებისადმი. ძველმა საეკლესიო მწერლებმა შემოგვინახეს მოწმობა, რომ მოციქულმა პაელემ პირველად დაწერა იგი ებრაულად, შემდეგ კი ლუკამ ან, უფრო სარწმუნოა, წმიდა კლიმენტი რომაელმა თარგმნა ბერძნულ ენაზე.

ეპისტოლეს ცენტრშია იუდეველთაგან მოქცეულ მორწმუნეთათეის მოძღერება ცსოვრების შესახებ, მათთეის გასაგები სახეებითა და ცნებებით (სკინია, მსხვერპლი ცოდვებისთვის, შემწირველი მღდელმთავარი, მსხვერპლის გამღებელი). უბრალო შედარებებით მოციქული მკაფიოდ აელებს რელიგიურ-ისტორიულ საზღვარს იუდაიზმსა და ქრისტიანობას შორის, ასაბუთებს ღმერთთან ახალი აღთქმის აუცილებლობას და მის უპირატესობას ყოფილ გაუქმებულ ძველ აღთქმასთან შედარებით (10, 9), რომელსაც პაელე მოციქული პირველად უწოდებს აქ „ძველს“ (8,13).

ქრისტე არის თავმდები და შუამდგომელი ახალი აღთქმისა

(7,22; 8,6) არა როგორც ადამიანი, არამედ როგორც ძე ღმრთისა (3,6; 5,5-6), პირველი მღვდელმთავარი, დადგენილი მამის მიერ და სუფევს საუკუნოდ (7, 24-25). ის ეწევა მღვდელმსახურებას არა მიწიერ ტაძარში, არამედ ჭეშმარიტების სკინიაში, რომელიც აღმართულია ღმერთის მიერ და არა ადამიანის მიერ (8, 1-2) და მორჩილად შეიწირეის თვითონ იგი (2, 17; 5, 9 და სხვა). ჩვენი სულები თავისი სისხლით განბანა (9,12-14) და ჩვენი ცოდვები საუკუნოდ გამოისყიდა (7,27).

ამიტომ ქრისტეს გარეშე, ეკლესიის გარეშე სხნა არ არსებობს. ეკლესიის წევრად გახდომა ერთადერთი და უკანასკნელი შესაძლებლობაა, აღსრულდეს საღმრთო შაბათი – განსვენება (4, 9), ანუ ღმრთის მიერ აღთქმულ განსასვენებელში შესვლა (4, 1-11). საეკლესიო საიდუმლოებებში და უპირველესად ექარისტიაში (10, 19-20; 12,22-24) ჩვენ ვხდებით თანაზიარნი ქრისტესი (3,14) და სული წმიდისა (2, 4; 6, 4), საღმრთო სიწმინდისა (12, 10) და ძალისა „მერმისა მის საუკუნოჲსაჲ“ (6, 5). თავის ესქატოლოგიურ აღსრულებაღობაში ეკლესია არის მართალთა მედღესასწაულე ეკლესია (12, 23), (11, 10-16; 13, 14), მეციური იერუსალიმი (12, 22), რომლის ხუროთმოძღვარი და შემოქმედი თავად ღმერთია (11, 10).

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პავლე მოციქულის მოძღვრება რწმენაზე, რომელიც ებრაელთა პატრიარქების კეთილმსახურებისა და წმინდანობის საფუძველი იყო (თ. 11).

<u>წმიდა იოანე ღმრთისმეტყველის გამოცხადება</u> – ბერძნულად აპოკალიფსი, დაწერილია მოციქულის მიერ კუნძულ პატმოსზე (1, 9) 68-69 წწ. ქრ. შ.-დან (სხვა ვარაუდით 95 წელს).

აპოკალიფსი დაწერილია ეპისტოლეს ფორმით აზიის შვიდი ეკლესიისადმი (შესაძლოა, ბოლო ჟამის შვიდი ეკლესიისადმი) (1, 4–3, 22), რომლებიც სხვადასხვა თვისების მისედვით სიმბოლოა მსოფლიო ეკლესიისა და წარმოადგენს არა მარტო წინასწარმეტყველურ, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ქრისტოლოგიურ-დოგმატურ წიგნს.

საიდუმლოთმჭვრეტელი ძე ღმერთს წარმოგვიდგენს (1, 11-18) მისი ღმრთაებრივი განგებულების სამი მთავარი გამოვლინებით:

პირველ რიგში, ის როგორც შემოქმედი და ყოვლისმპყრობელი, რომელიც არის, იყო და იქნება, დასაბამი დაბადებულ-

თა (3,14) და სიტყვა ღმრთისა (19,13), ალფა და ომეგა, დასაწყისი და დასასრული, პირველი და უკანასკნელი (1,8; 1,17; 2,8; 21, 6; 22,13).

მეორე მხრივ, ძე ღმრთისა როგორც სამყაროს მხსნელი. გამოხსნის, ცხოვნების საკითხი წიგნის ძირითადი თემაა პირველიდან ბოლო თავამდე. ქრისტე არის სამსხვერპლოდ გამზადებული კრავი, სამყაროს შექმნიდან (5,6,9; 13,8), თავისი სისხლით ჩვენი გამომსყიდველი და განმწმედელი (1,5; 5,9), პირმშო შესვენებულთა (1,5,18; 2,8), რომელმაც მამისაგან მიიღო ხელმწიფება (2,23) და კლიტენი სიკვდილისა და ჯოჯოხეთისანი (1, 18; 3, 7); ცხოვრების მიმნიჭებელი (2,7; 2,10; 2,17; 3,5 და ა. შ.).

მესამე მხრივ, ქრისტემ – დაცემული სამყაროს ხელახლა აღმდგენელმა, სიკვდილი და ჯოჯოხეთი ცეცხლის ტბაში შთააგდო (20,14) და შექმნის ახალ ცას და ახალ ქვეყანას (21, 1).

გამოცხადების ქრისტოლოგიური თემა მჭიდროდაა გადაჯაჭვული ეკლესიოლოგიურთან. ეკლესია არის ადამიანთა შემადგენლობით და ისტორიული გზით ყველა ტომის და ერის ადამიანთა სიმრავლე (5,9-10; 7, 9), რომლებმაც „განრცხნეს მათ სამოსელნი მათნი და განასპეტაკნეს სისხლითა მით კრავისაჲთა“ (7,14; 12,11; 15,2) და რომელნიც ღაბეჭდილნი არიან ბეჭდითა „ღმრთისა ცხოველისა“ (7,2-17). ეკლესია არის ღმერთის ახალი ერი, რომელთა შორის მკვიდრობს ღმერთი (21,3), ესაა ერთობა წმიდათა, რომელთა ლოცვები როგორც გუნდრუკი აღეელინება ღმრთის წინაშე (8, 3-4) და რომლებიც წირვის დროს (ექარისტიაში) იხმენენ გემოს ცხოვრების ხისა (2,7) და ცხოველი წყლის წყაროსაგან (21,6).

თავის საბოლოო ესქატოლოგიურ აღსრულებადობაში ეკლესია არის კრებული ღმრთის შვილთა (21,7), რომლებიც სძლევენ სიკვდილს (2,7და შემდეგი) და მიიღებენ ცხოვრების გვირგვინს (2,10).

წინასწარმეტყველების სული (19, 10) მსჭვალავს წმიდა იოანეს მთელ წიგნს. საეკლესიო ისტორიის საიდუმლო სვლა გაცხადებულია საიდუმლოთა მხილველის გამოცხადებათა შვიდჯერად მიმდევრობაში: შვიდი ბეჭედი (6, 1–8, 1), შვიდი ანგელოზი, რომლებიც საყვირს არისხებენ (8, 2-11, 15), შვიდი ქუხილი (10, 3-4), შვიდი თასი ღმრთის გულისწყრომისა (თ. 15-16). არ არის აუცილებელი, ოთხი შვიდეული გავიგოთ, როგორც ესქატოლოგიური პროცე-

სის ოთხი ეტაპი. როგორც ჩანს, დიდაქტიკური თვალსაზრისით, მორწმუნეთა უკეთესი დარიგებისათვის, მოციქული ოთხჯერ უბრუნდება მათ, აუწყებს რა მომავალს სხვადასხვა სახით. ამით აიხსნება ცნობილი პარალელურობა აპოკალიფსის კომპოზიციურ სტრუქტურაში. შესაძლოა, იოანე ღმრთისმეტყველი წარმოგვიდგენს ერთიან ისტორიულ-ესქატოლოგიურ სინამდვილეს, წინასწარმეტყველურად დაყოფილს ღმრთის ხანგრძლივი მოთმინების და ეკლესიური მსახურების შეიდ საფეხურად.

გამოცხადების მართებული გაგებისათვის აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ, რომ მასში დროის პერიოდები – ახლანდელი, წარსული და მომავალი წინასწარმეტყველურად შეთავსებულია ჭვრეტის ერთიან მომენტში. მომავალი უკვე აღსრულდა ქრისტეს გამომსყიდველი თავგანწირვით და განცხადდება ეკლესიის ცხოვრების ნებისმიერ მომენტში. ეს ხაზგასმულია სამჯერადი გამოცხადებით: „აღსრულდა!“, მაცხოვრის ღაღადით ჯვარზე გაკერისას (ინ. 19,30) მეშვიდე თასის დათხევისას (16, 17) და „თქუა მჯდომარემან მან საყდარსა ზედა“ (21, 5). ქვეყნიური ეკლესია მისი სხვადასხვა ნიშანთვისებებით და საღმრთისმეტყველო განსაზღვრებებით, და ზეციური იერუსალიმი (21,10-22, 5) – სხვადასხვა რეალობები კი არ არის, არამედ ერთიანი ღმერთ-კაცობრივი ქმედება და ერთიანი საღმრთისმეტყველო ცნებაა.

გამოცხადებაში ასე წარმოსდგება უმაღლესი სულიერი შინაარსით აღსავსე სახე ეკლესიისა – სასძლო კრავისა (19,7; 21,2-9; 22,17), სული წმიდით განუწყვეტლივ მხმობელი: „მოსვიდოდე!“ (22, 17-20) და ეკლესიისა, როგორც დედისა მზეშემოსილისა (12,1), რომელმაც შვა ქრისტე ჩვენთვის (12,5).

წმიდა იოანე ღმრთისმეტყველის გამოცხადება ახალი აღთქმის დამამთავრებელი წიგნია არა მარტო ქრისტიანულ კანონში მისი რიგით, არამედ ღრმა, საიდუმლო საღმრთისმეტყველო შინაარსითაც.

წმიდა წერილის ნაშდვილობის შესახებ

ყოველივე გადმოცემულ იქნა მოციქულთა მიერ სიტყვით და წერილობით და დაბეჭდილი შემდეგი სიტყვებით: „ჯერ უჩნდა სულსა წმიდასა და ჩუენცა“ (საქმე 15, 28).

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ჯერ ევროპაში და შემდეგ კი მთელ მსოფლიოში ურწმუნოების გავრცელებას თან მოჰყვა ეჭვი წმიდა წერილის, ახალი აღთქმის ტექსტის ნამდვილობის შესახებ. ამ კრიტიკულმა მიდგომამ ძველი აღთქმის წიგნების მიმართაც დიდი დაბნეულობა შემოიტანა, რადგან ურწმუნო ადამიანი ვერ იტევს თავის თაში წინასწარმეტყველების ბუნებას, ვერ წარმოუდგენია, რომ ღმერთს შეუძლია ადამიანს გამოუცხადოს მომავალი რამოდენიმე საუკუნით ადრე. თავიანთ სიყალბეს და სიცრუეს, ეჭვიანობას ისინი მიაწერდნენ ეკლესიას. ეკლესიური პრინციპები აქაც გამოიყენეს, თითქოს II ს-ში იყო მცდელობა წიგნის შექმნისა და შემდეგ თანდათან ჩამოყალიბდა.

ეკლესიამ შეიმუშავა ახალი აღთქმის ტექსტების ნამდვილობის დამადასტურებელი მტკიცებები. ისინი ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: 1) დოგმატური და 2) ისტორიული სასიათის დასაბუთება.

დოგმატური დასაბუთება ემყარება იმას, რომ სწაელა-მოძღვრება, რომელიც მოცემულია ახალი აღთქმის წმიდა წერილში, ეთანხმება იმ სწაელებას, რომელიც ეკლესიაში პირველივე საუკუნიდან იყო მიღებული და აქედან მომდინარეობს ის დასკვნა, რომ თუკი პირველივე საუკუნეში მოციქულებმა იქადაგეს ერთი და იგივე სწაელა-მოძღვრება ე.ი. მათ ჰქონდათ საფუძველი, ჩამოყალიბებული სისტემა ქრისტესმიერი სწავლებისა, რომელიც მიიღეს მოციქულთა კრებაზე 51 წელს სულიწმიდის მიერ და ურთიერთშეთანხმებით. ეს საფუძველი მათ უკვე გააჩნდათ, ამას მოწმობს ეპისტოლეები, რომლითაც მოციქულები მიმართავდნენ ამა თუ იმ ეკლესიას. მოციქულებმა ჯერ იქადაგეს და შემდეგ უკვე წერილობით გადმოგვცეს ღვთის სიტყვა. მათ ქადაგებასა და წერილებს შორის არის გენეტიკური კავშირი საწყისიდან გამომდინარე, საწყისის მიერი; შეუძლებელია ერთი ექადაგათ და სხვა დაეწერათ.

უფრო მეტად არის ცნობილი ისტორიული დასაბუთება ტექსტის ნამდვილობისა. იგი შეი-

ცაეს მთელ რიგ არგუმენტებს: 1) მოციქულთა მოწაფეების – კლიმენტი რომაელის, ეგნატე ღმერთშემოსილის, პოლიკარპე სმირნელის ეპისტოლეები მოწმობენ, რომ მათ იცოდნენ სახარების ტექსტი და ციტირებასაც ახდენდნენ, იცოდნენ ასევე მოციქულთა ეპისტოლეებიც. ჩვენამდე სრული სახით მოღწეული ახალი აღთქმის წიგნების ხელნაწერთა ფრაგმენტები II საუკუნიდან არის ცნობილი და რა გასაკვირია, რომ ის ერთეული ხელნაწერები I საუკუნისა არ შემორჩენილიყო, მით უმეტეს, მაშინ ტექნიკურად შეუძლებელი იყო დიდი რაოდენობით გადაწერა. ამიტომ I საუკუნეში პაპირუსზე დაწერილი ორიგინალები ახალი აღთქმისა ჟამთა სვლის გამო არ შემორჩა, მაგრამ მათი ასლები დროულად იქნა გადაწერილი. აღგილობრივ ეკლესიებში გადაწერა ხდებოდა მხოლოდ იმისა, რაც იმ ეკლესიაში იყო დაწერილი: პალესტინის ეკლესიაში – მათეს სახარება, რომელიც იერუსალიმში 42 წელს ებრაულ ენაზე დაიწერა; რომის ეკლესიაში – მარკოზის სახარება, რომელიც ადგილობრივი ქრისტიანების თხოვნით და პეტრე მოციქულის ლოცვა-კურთხევით დაახლ. 62 წლამდე დაიწერა; აქაიაში 62 წლამდე დაიწერა ლუკას სახარება, ამიტომ საბერძნეთის ეკლესიაში ის იყო მიღებული. ეს ლუკა მახარებლის პირველი წიგნია, რადგან 62 წელს დაწერა „საქმე წმიდათა მოციქულთაჲ“. ვარაუდობენ, რომ იგი დაიწერა ესპანეთში მოგზაურობისას, სანამ პაელე მოციქულს აწამებდნენ რომში. ხოლო იოანეს სახარება I საუკუნის ბოლოს დაიწერა ეფესოში (მცირე აზია) მოციქულის მოღვაწეობის ბოლო წლებში (გნოსტიკოსებისა* და ებიონიტების** წინააღმდეგ). მანამდე კი კუნძულ პატმოსზე გადასახლებულმა 95 წელს დაწერა იოანეს გამოცხადება ანუ „აპოკალიფსი“.

** ბერძ. – გნოსის – ცოდნა, ხედვა; გნოსტიკოსები ცდილობდნენ, ქრისტიანული სწავლება შეეერთებინათ აღმოსავლურ რელიგიურ მსოფლშემეცნებასთან, ან ბერძნულ ფილოსოფიასთან და წარმოექმნათ შერეული რელიგიური სისტემა. პირველი ერესიარქი იყო სიმონ მოგვი, კვიპროსელი იუდეველი.*

*** იუდეველთაგან მოქცეულ ქრისტიანთა ნაწილი ცდილობდა, ქრისტიანობა იუდაიზმთან შეერწყა, ამასთან, დაექვემდებარებინათ კიდეც. მოსეს რჯულის მკაცრ დამცველებს – ებიონიტებს, ხოლო ლოიალურებს – ნაზორეველებს უწოდებდნენ.*

პირველი საუკუნეების მამები იმოწმებენ იმჟამინდელ ხელნაწერებს და ციტირებას ახდენენ იქიდან. ერთდროულად ახალი აღთქმის ყველა წიგნი ყველა ადგილობრივ ეკლესიაში ვერ იქნებოდა გავრცელებული. II საუკუნეში კი ტექსტის ხელნაწერები ერთი კრებულად ყალიბდება.

XIX ს-ის II ნახევარში ერთი დოკუმენტის აღმოჩენამ შუქი მოჰფინა ახალი აღთქმის ტექსტების ნამდვილობას. ვენის უნივერსიტეტის პროფესორ მურატორის მიერ აღმოჩენილ იქნა II საუკუნის II ნახევრის ხელნაწერი, რომელიც წარმოადგენდა ახალი აღთქმის წიგნების ჩამონათვალს – კოდექსს. ეს დოკუმენტი ცნობილი გახდა როგორც მურატორის კოდექსი. იგი დასაელეთ ეკლესიაში მიღებულია და აღიარებულია კანონიკური წიგნების კრებულად. აქ ჩამოთვლილია 4 თავი სახარებისა, საქმე მოციქულთა და თითქმის ყველა ეპისტოლე – ებრაელთა მიმართ ეპისტოლესა და იოანეს II და III ეპისტოლეების გარდა.

მეორე კოდექსი არის აღმოსაელური ეკლესიისა, სადაც, პირიქით, ეპისტოლე ებრაელთა მიმართ აღიარებულია კანონიკურად, ხოლო იოანეს გამოცხადების მიმართ სათუო დამოკიდებულებაა გამოხატული.

ისტორიული მტკიცებები ტექსტის უტყუარობისა ტექსტიდანაც გამომდინარეობს. მაგალითად:

სახარებაში ნახსენებია, რომ იესოს განსჯის დროს პილატეს სასახლის ეზო ქვაფენილისა იყო, რომელსაც ეწოდებოდა „კაპჟათა“. ამის დაწერა მხოლოდ თვითმხილველს შეეძლო. 70 წელს იერუსალიმი დაიწვა ტიტეს მიერ, განადგურდა ნაგებობაც, ამასთან მოსახლეობაც გაწყდა. მომდევნო თაობებს არ ეცოდინებოდა, რა იყო პილატეს სასახლის შიგნით, ამ წერილმანს თაობიდან თაობას არ გადასცემდნენ. შემდეგში, გათხრების დროს აღმოაჩინეს ეს ქვაფენილიც;

სახარება ასსენებს კაპერნაუმში ასისთავის მსახურის განკურნებას. იგი არ იყო ებრაელი. თუ იქ რომაელი ასისთავია, იქ უნდა ყოფილიყო გარნიზონიც. ეს ისეთი დეტალია, რომელიც იერუსალიმის დანგრევის შემდეგ არავის ეცოდინებოდა. რომაელთა დოკუმენტებში კი ნახსენებია, რომ რამოდენიმე ადგილზე იუდეაში გარნიზონი იდგა, მათ შორის კაპერნაუმში;

ცხვართ საბანელში – ბითეზდაში რომ ხუთი სტოვა იყო და არა მეტი ან ნაკლები, იერუსალიმის დანგრევის შემდეგ არა-

ვის ეცოდინებოდა. არქეოლოგიამ ესეც აღმოაჩინა და დაამტკიცა.

ისტორიული ხასიათის არგუმენტად უნდა იყოს მიჩნეული თითოეული ადგილობრივი ეკლესიის მოწმობა. მაგ.: მოციქულმა პავლემ ეპისტოლე მისწერა თესალონიკელებს,რაც იქ იყო შენახული და ეს ეკლესია მოწმობდა,რომ ეპისტოლე პავლე მოციქულისაა. ასევე თითოეული ეკლესია მოწმობდა მათდამი მიწერილი წერილის ნამდვილობაზე. პავლე მოციქულის ეპისტოლეებს ახლავს რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი, რომლითაც ადგილობრივ ეკლესიებს ეპისტოლეები უნდა ეცნოთ: „მე პავლე“,„პავლე მონა ღმრთისა“„დავწერე ეს ეპისტოლე“ და გარკვეული ფრაზა, რომელიც მას კოდივით ჰქონდა. წერილს მუდამ თავისი თანამოღვაწე მოწაფის ხელით აგზავნიდა.

ტექსტუალური და ფსიქოლოგიური ხასიათის მოწმობა

როგორც წესი,ვინც ცრუობს, ამას თავისი სახელის განდიდებისთვის აკეთებს. მოციქულთა მიერ ეს წერილები ახალდაარსებული ეკლესიის ან საკუთარი თავის უფრო დიდად და დიდებულად წარმოჩენისათვის რომ ყოფილიყო დაწერილი, იქ ადგილი არ ექნებოდა საკუთარი უძლურების,შეცდომების აღიარებას – „ცოდვილთა შორის პირველი მე ვარ“; არც პეტრე მოციქულის უარყოფა იქნებოდა დაფიქსირებული,არც სხვა ამგვარი ნიშნები იქნებოდა ჩართული, რომლებიც თავმდაბლობაზე, სინანულზე მიანიშნებენ.

წმიდა წერილის ენის სისადავე, უბრალოება, გულწრფელობა, ასე მარტივად მაღალ მნეობრივ კატეგორიებზე მსჯელობა მოწმობს,რომ ეს მართალი ადამიანის მიერ იქნება დაწერილი.

ჩვენ ვხედავთ შინაარსობრივ კავშირს სხვადასხვა ეპისტოლესა და სახარებას შორის. პეტრე მოციქული ფერისცვალებას იხსენებს,პავლე მოციქული კი დამასკოს გზაზე მოქცევას და საქმე მოციქულთაც ამასვე მოწმობს. სწავლება, რომელიც მოცემულია ოთხთავში, განმარტებულია ეპისტოლეებში. ეს არის საწყისი,უფალი ჩვენი იესო ქრისტე,მისი სიტყვა, მისი ძალა და მადლი, მოციქულნი კი, როგორც მისი მსახურნი და მნენი, მის მიერ მადლით შემოსილნი მის სიტყვას ახარებენ, უქადაგებენ მთელ მსოფლიოს.

მთლიანობა და ნამდვილობა წმიდა წიგნებისა, უპირველეს ყოვლისა, მტკიცდება მისი შინაარსის ანალიზისას. რაც უფრო ღრმად ჩაეწვდებით მის შინაარსს,მიუხედავად მისი შემჭიდროებულობისა, აღვილი შესამჩნევია გასაკვირი სიმწყობრე და შეთანხმებულობა თხრობისას, სადაც ერთი გამომდინარეობს მეორედან, სადაც არ არის შეუთანხმებლობა და წინააღმდეგობა, ყველაფერი თავსდება სრულ ჰარმონიულ ერთობასა და მიზანმიმართულ გეგმაში.

წმიდა წიგნების ნამდვილობას აქვს როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი საფუძველი. პირველს მიეკუთვნება დამწერლობის ენა,რომელიც ატარებს ღრმა სიძველის კვალს და, განსაკუთრებით, მასში არსებული ბიბლიური არქაიზმები. მეორეს მიეკუთვნება ბიბლიური მონაცემების თანხმობა საბუნებისმეტყველო-მეცნიერულ და ძველ-ისტორიულ ცნობებთან, რომლებიც სხვადასხვა სამეცნიერო წყაროებიდან მომდინარეობს.

და ბოლოს,წმიდა წიგნების მნიშვნელობა გასაგებია თავისთავად: არის რა მსოფლიოსა და კაცობრიობის უძველესი მატიანე – გვაძლევს ყველაზე ავტორიტეტულ პასუხს საკაცობრიო კითხვებისა ყოველიეე არსებულის შესახებ.

სახარების ნამდვილობა

ძირითადი, საერთო საფუძვლები, რომელთა მისედვითაც ვთელით სახარებას სრულიაღ სანდო დოკუმენტად – პირველ რიგში, ესაა არსებობა თვითმხილველთა გაღმოცემისა, რომელთაგან ბევრმა მიაღწია იმ ეპოქას,როდესაც დაიწერა ჩვენი სახარებები. სიცრუე გამორიცხულია, რადგან ყველა სახარებას და ასალი აღთქმის ყველა წიგნს აქვს წმიდა ისტორიული ხასიათი. მათი ნამდვილობა ორი ათეული საუკუნის მანძილზე ვერც ერთმა ერესმა და ერესიარქმა ვერ უარყო. მეორე – მხოლოდ იესო ქრისტეა მესია და ძე ღმერთი და არა სხვა, რადგან სხვა ასეთ სასწაულებს ვერ ახდენდა. რადგან იესო ქრისტეზეა ნათქვამი,რომ ისაა დიდი სასწაულმოქმედი, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ნამდვილად ასეთია. და რატომ უნდა უარვყოთ ქრისტესმიერი სასწაულების სინამდვილე, როცა ყოველ სასწაულს აღმატებული – მისი მკვდრეთით აღდგომა დამტკიცებულია ისე,როგორც არც ერთი სხვა მოვლენა ძველი მსოფლიოს ისტორიაში (1 კორ. თ. 14).

სახარებების უტყუარობა და ნამდვილობა. იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრება უღიდესი ისტორიული მოვლენა იყო, რაც განსაკუთრებით აღნიშნეს თანამედროვეებმა და შემდგომმა თაობებმა როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით. ასევე, თავიანთი ცილისწამებებით ებრაელებმა წარმართულ სამყაროს ყურადღება მიაქცევინეს ქრისტეს მოძღვრებისაკენ, რომელსაც ძალზე საშიშ და ბოროტმოქმედ სექტად წარმოაჩენდნენ. ამან ქრისტიანთა დევნა გამოიწვია. გაჩნდა მრავალი ცრუსწავლება. ყოველივე ამის გამო ქრისტიანები იძულებულნი გახდნენ, სიტყვითა და წერილობით დაეცვათ თავი.

I საუკუნის II ნახევარში გამოჩნდა მრავალი წერილობითი თხზულება ახლო წარსულში მომხდარი არაჩვეულებრივი, მაცხოვრისეული მოვლენებისა. ეს თხზულებები განიხილება როგორც მათი ავტორების წერილობითი მოწმობა. ქრისტიანობის დევნის გამო მსოლოდ მცირეოდენმა ხელნაწერმა მოაღწია ჩვენამდე,რომლებიც მათი ნამდვილობისა და უტყუარობის, მათ დამწერთა აეტორობის იოტისოდენა ეჭვსაც კი არ აღძრავს. ესენი უშუალოდ მოციქულნი და მათი მოწაფეები არიან: წმიდა ბარნაბა მოციქული, წმიდა კლიმენტი რომაელი, წმიდა ეგნატე ღმერთშემოსილი, წმიდა პოლიკარპე სმირნელი და მისი თანამებრძოლი პაპიუს იერაპოლელი; მეორენი – მოწაფეთა მოწაფენი: წმიდა იუსტინე ფილოსოფოსი, წმიდა ირინეოს ლიონელი,წმიდა კლიმენტი ალექსანდრიელი, წმიდა თეოფილე ანტიოქიელი, ტატიანე, ათინაგორა ათინელი,ტერტულიანე და ორიგენე; მესამენი – უმეტესწილად განათლებული წარმართები და ერეტიკოსები: ვასილიდე,კარპოკრატე,ვალენტინე, ჰერაკლიონი და მარკიონი, წარმართი ცელსუსი; და ბოლოს, დაუძინებელი მტრები ქრისტიანობისა.

ცელსუსი II საუკუნის შუა წლებში თავის თხზულებაში იმეორებს სახარებაში ნათქვამს და იმოწმებს იესოს მოწაფეთა წერილებს.

წმიდა იუსტინე ფილოსოფოსს თავის პირველ აპოლოგიაში 150 წ. მოჰყავს სახარების ტექსტები და გვიხსნის, რომ ასე „გადმოგვცეს მოციქულებმა მათ მიერ დაწერილ თქმულებებში, რომლებიც სახარებებად იწოდებიან“.

წმიდა ეგნატე ღმერთშემოსილს 107 წელს თავის ეპისტოლეებში ოთხივე სახარებიდან მოჰყავს ციტატები და გვეუბნება, რომ სახარება უფალ იესო

ქრისტეს მოსელას, მის ტანჯვას და მკვდრეთით აღდგომას შეიცავს.

იოანე მახარებლის მოწაფის პოლიკარპე სმირნელის მოწაფე წმიდა ირინეოს ლიონელი თხზულებაში „სუთი წიგნი ერესების წინააღმდეგ“ მოწმობს, რომ სახარება ჯერ მათემ დაწერა, შემდეგ – მარკოზმა და ლუკამ, ამის შემდეგ – იოანემ. ის ამტკიცებს, რომ მათემ სახარება დაწერა მაშინ, როცა წმიდა პეტრე და პავლე მოციქული მახარობლობდნენ რომში; – რომ მარკოზმა, პეტრე მოციქულის მოწაფემ, წერილობით გადმოსცა ის, რაც პეტრემ იქადაგა; – რომ ლუკამ, პავლე მოციქულის მეგზურმა, პავლე მოციქულის ნაქადაგები გადმოსცა; და რომ იოანემ სახარება ეფესოში ყოფნის დროს დაწერა (წიგნი 3 თ 1,1).

როგორც პეტრე მოციქულის II ეპისტოლეში (3, 15-16) ჩანს მისთვის ცნობილია პავლე მოციქულის ეპისტოლეთა კრებული, ასევე მოციქულთა სხვა წერილებიც.

უნდა დავასკვნათ, რომ მოციქულთა წერილების კრებული შეიქმნა იმ დროს, როცა ცოცხლები იყვნენ მათი ავტორები, სხვა თვითმხილველნი და მსახურები ღვთის სიტყვისა, რომელთაც მათი ნამდვილობის და უტყუარობის დამოწმება შეეძლოთ. რომელიმე წერილის სიყალბე კი იმ წამსვე იქნებოდა შემჩნეული, როგორც არაკანონიკური და აპოკრიფული ნაწილები, ანუ ეკლესიის და სხვათა მიერ უარყოფილი.

„და ჰრქუა ესე იგი სიტყუანი არიან, რომელთა გეტყოდე თქუენ, ვიდრე-იგი ვიყავღა თქუენ თანა, ვითარმედ: ჯერ-არს აღსრულებად ყოველი წერილი შჯულსა მოსესსა და წინაწარმეტყუელთასა და ფსალმუნთა ჩემთჳს.

მაშინ განუხუნა გონებანი მათნი გულისჴმის-ყოფად წიგნთა“ (ლკ. 24, 44-45).

დაუსაბამო, მარადიული სიტყუაჲ – განხორციელებული და განდიდებული

დაუსაბამო, მარადიული ძე ღმრთისა თავის განხორციელებამდე

I. დაუსაბამო სიტყუაჲ (ლოგოსი)

1. პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი – ინ. 1, 1.

2. იყო უწინარეს სოფლის (სამყაროს) დაბადებისა (შექმნისა) – ინ. 17, 5.

3. პირველ აბრაჰამის ყოფადმდე მე ვარ – ინ. 8, 58.

4. იგი თავადი არს უკუნისამდე (საუკუნოდ ერთი და იგივეა) – ებრ. 13, 8.

5. არცა დასაბამი დღეთაჲ, არცა აღსასრული ცხორებისაჲ აქუს – ებრ. 7, 3.

6. და გამოსავალნი მისნი დასაბამით დღეთაგან საუკუნოჲსათა – მიქ. 5, 2.

II. ქრისტე ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებში

1. დაბ. 3,15
2. დაბ. 22,18
3. დაბ. 49,10
4. რჯლ. 18,15
5. ფსალმ. 2
6. ფსალმ. 15, 10
7. ფსალმ. 44, 3
8. ფსალმ. 67,19
9. ფსალმ. 68
10. ფსალმ. 109,1
11. ფსალმ. 117, 22
12. ფსალმ. 131,10-11
13. ეს. 2,4
14. ეს. 7,14
15. ეს. 9,6
16. ეს. 11,1
17. ეს. 28,16
18. ეს. 42,1
19. ეს. 53
20. ეს. 59,20
21. ეს. 61,1
22. ეს. 63,1
23. იერ. 23,5-6
24. დან. 9,25-27
25. მიქ. 5,2
26. ანგ. 2,7
27. ზაქ. 3,8
28. ზაქ. 6,12
29. ზაქ. 9,9
30. ზაქ. 11,12
31. ზაქ. 12,10
32. ზაქ. 13,7
33. მალ. 3,1

III. ქრისტეზე წინასწარმეტყველება ძველ აღთქმაში

1. მისი პირველი მოსვლა

თვით მოვლენა:

დაბ. 3, 15; რჯლ. 18, 15; ფსალმ. 88, 21; ეს. 2, 2; 28, 16; 32, 1; 35, 4; 42, 6; 49, 1; 55, 4; ეზეკ. 32, 24; დან. 2, 44; მიქ. 4, 1; ზაქ. 3, 8.

მოვლინების დრო:

დაბ. 49, 10; რიცხ. 24, 17; დან. 9, 24; მალ. 3, 1.

მისი ღმრთეება:

ფსალმ. 2, 7, 11; 44, 7, 8, 12; 71, 9; 88, 27-28; 101, 25-28; 109, 1; ეს. 9, 6; 25, 9; 40, 10; იერ. 23, 6; მიქ. 5, 2; მალ. 3, 1.

მისი ადამიანური სრულყოფილება:

დაბ. 12, 3; 18, 18; 21, 12; 22, 18; 26, 4; 28, 14; 49, 10; 2 მეფ. 7, 14; ფსალმ. 17, 5-7, 51; 21, 21-23; 88, 5; 30, 37; 131, 11; ეს. 11, 1; იერ. 23, 5; 33, 15.

2. მისი წინამორბედი

ეს. 40, 3; მალ. 3, 1; 4, 5.

3. მისი შობა და ყრმობა

თვით მოვლენა:

დაბ. 3, 15; ეს. 7, 14; იერ. 31, 22.

შობის ადგილი:
რიცხ. 24, 17; 19; მიქ. 5, 2.
მოგეთა თაყვანისცემა:
ფსალმ. 71, 10, 15; ეს. 60, 3, 6.
ლტოლვა ეგვიპტეში:
ოს. 11, 1
ყრმათა დახოცვა:
იერ. 31, 15.

4. მისი წარგზავნა და მსახურება

წარგზავნილება:
დაბ. 12, 3; 49, 10; რიცხ. 24, 19; რჯლ. 18, 18; ფსალმ. 20, 2; ეს. 59, 20; იერ. 33, 16.
„შენ სარ მღდელ უკუნისამდე წესსა მას ზედა მელქისედეკისსა" – ფსალმ. 109, 4.
წინასწარმეტყველი როგორც მოსე:
რჯლ. 18, 15.
წარმართთა მოქცევა:
ეს. 11, 10; რჯლ. 32, 43; ფსალმ. 17, 50;18, 4; 116, 1; ეს. 42, 1; 45, 23; 49, 6; ოს. 1, 10.
მისი მსახურება გალილეაში:
ეს. 9, 1-2.
მისი სასწაულები:
ეს. 35, 5, 6; 42, 7; 53, 4.
სულიერი სრულყოფილება:
ფსალმ. 44, 7; ეს. 11, 2; 42, 1; 53, 9; 61, 1-2.
ქადაგება:
ფსალმ. 2, 7; 77, 2; ეს. 2, 3; 61, 1; მიქ. 4, 2.
ტაძრის განწმენდა:
ფსალმ. 68, 10.

5. მისი ვნებები

იუდეველებისა და წარმართების მიერ მისი უარყოფა:
ფსალმ. 2, 1; 21, 12; 40, 6; 55, 7; 68, 1; 117, 22-23; ეს. 6, 9, 10; 8, 14; 29, 13; 53, 1; 65, 2.
დევნილობა:
ფსალმ. 21, 7; 34, 7, 11-12; 55, 6-7; 70, 10-11; 108, 2; ეს. 49, 7; 53, 1.

დიდებით შესვლა იერუსალიმში:
ფსალმ. 8, 3; 117, 25-26; ზაქ. 9, 9.
მეგობრის ღალატი:
ფსალმ. 40, 9; 54, 13-15; ზაქ. 13, 6.
გაცემა 30 ვერცხლად:
ზაქ. 11, 12.
გამცემის სიკვდილი:
ფსალმ. 54, 16, 24; 108, 8-9.
„აგარაკი სისხლისა“:
ზაქ. 11, 13.
მოწაფეების მიერ მისი მიტოვება:
ზაქ. 13, 7.
ცრუ ბრალდებანი:
ფსალმ. 26, 12; 34, 11; 108, 2; 2, 1-2.
დუმილი ბრალდების მიმართ:
ფსალმ. 37, 14; ეს. 53, 7.
დაცინვა და დამცირება:
ფსალმ. 21, 8-9, 17; 108, 25.
შეურაცხყოფა და შენერწყვება:
ფსალმ. 34, 15-21; ეს. 50, 6.
ტანჯვათა დათმენა:
ეს. 53, 7-9.
ჯვარცმა:
ფსალმ. 13-17.
ნაღველი და ძმარი:
ფსალმ. 68, 22.
ლოცვა მტრებისთვის:
ფსალმ. 108, 4.
ღაღადი ჯვარიდან:
ფსალმ. 21, 2; 30, 6.
უდროოდ სიკვდილი:
ფსალმ. 88, 46; 101, 24.
სიკვდილი ავაზაკთა გვერდით:
ეს. 53. 9, 12.
სიკვდილი დამოწმებულია ბუნების შეძვრით:
გამ. 5, 20; ზაქ. 14, 4, 6.

წილის ყრა კვართისთვის:
ფსალმ. 21, 18.
მისი ძვალი არ შეიმუსრება:
ფსალმ. 33, 20.
განგმირვა:
ფსალმ. 21, 17; ზაქ. 12, 10; 13, 6.
ნებაყოფლობითი სიკვდილი:
ფსალმ. 39, 7-9.
მსხვერპლად შეწირვა:
ეს. 53, 4-6, 12; დან. 9, 26.
დაფლვა მდიდრის მიერ:
ეს. 53, 9.

6. მისი აღდგომა

ფსალმ. 15, 9-11; 29, 4; 40, 11-13; 117, 17; ოს. 6, 2.

7. მისი ზეცად ამაღლება

ფსალმ. 15, 11; 23, 7; 67, 19; 109, 1; 117, 19.
მსოფლიო საუკუნო სუფევა:
1 ნეშტ. 17, 11-14; ფსალმ. 2, 6-8; 8, 6; 44, 6-7; 71, 8; 109, 1-3; ეს. 9, 7; დან. 7, 14.

8. მისი მეორედ მოსვლა დიდებით

ფსალმ. 49, 3-6; ეს. 9, 6-7; 66, 18; დან. 7, 13-14; ზაქ. 12, 10; 14, 4-8.

IV. ქრისტეზე წინასწარმეტყველებათა აღსრულება

ძვ. აღთქმა (წინასწარმეტყველება) — ახ. აღთქმა (აღსრულება):

ფსალმ. 2, 7 — ლკ. 1, 32, 35.
დაბ. 3, 15 — გალ. 4, 4.
დაბ. 17, 7; 22, 18 — გალ. 3, 16.
დაბ. 21, 12 — ებრ. 11, 17-19.
ფსალმ. 131, 11; იერ. 23, 5 — საქმე 13, 23; რომ. 1, 3.
დაბ. 49, 10; დან. 9, 24-25 — ლკ. 2, 1; 7, 14; მთ. 1, 18; 2, 7.
ეს. 7, 14 — მთ. 1, 23.
მიქ. 5, 2 — მთ. 2, 1; ლკ. 2, 4-6.
ფსალმ. 71, 10-11 — მთ. 2, 1-11.
ეს. 40, 3; მალ. 3, 1 — მთ. 3, 1, 3;

ლკ. 1, 17.
ფსალმ. 44, 7; ეს. 11, 2; 61, 1 – მთ. 3, 16; ინ. 3, 34; საქმე 10, 38.
რჯლ. 18, 15-18 – საქმე 3, 20-22.
ფსალმ. 109, 4 – ებრ. 5, 5-6.
ფსალმ. 61, 1-2 – ლკ. 4, 16-21,43; 9, 1-2.
ბაქ. 9, 9 – მთ. 21, 1-5; მრკ. 2, 7-9.
მალ. 3, 1 – მთ. 21, 12; ლკ. 2, 27-32; ინ. 2, 13-16.
ეს. 53, 2 – მრკ. 6, 3. ლკ. 9, 58.
ეს. 53, 7 ეს. 42, 2 – მთ. 12, 15, 20; ებრ. 4, 15.
ეს. 53, 9 – 1 პეტრ. 2, 22
ფსალმ. 68, 10 – ინ. 2, 17; მთ. 13, 34-35.
ფსალმ. 77, 2; 35, 5 -6 – მთ. 11, 4-6; ინ.11, 47.
ფსალმ. 21, 7; 68, 8, 10, 21 – რომ. 15, 3.
ფსალმ. 68, 9; ეს. 63, 3 – ინ. 1, 11; 7, 5.
ეს. 8, 14 – რომ. 9, 32; 1 პეტრ. 2, 8.
ფსალმ. 68, 5; ეს. 49, 7 – ინ. 15, 24-25.
ფსალმ. 117, 22 – მთ. 21, 42; ინ. 7, 48.
ფსალმ. 2, 1-2 – ლკ. 23, 12; საქმე 4, 27.
ფსალმ. 40, 10; 54, 13-15 – ინ. 13, 18, 21.
ბაქ. 13, 7 – მთ. 26, 31, 56.
ბაქ. 11, 12 – მთ. 26, 15.
ბაქ. 11, 13 – მთ. 27, 7.
ფსალმ. 21, 15-16 – ლკ. 22, 42, 44.
ეს. 53, 4-6, 12; დან. 9, 26 – მთ. 20, 28.
ეს. 53, 7 – მთ. 26, 63; 27, 12-14.
მიქ. 5, 1 – მთ. 27, 30.
ეს. 52, 14; 53, 3 – ინ. 19, 5
ეს. 50, 6 – მრკ. 14, 65; ინ. 19, 1.
ფსალმ. 21, 17 – ინ. 19, 18; 20, 25.
ფსალმ. 21, 2 – მთ. 27, 46
ფსალმ. 67, 19 – ლკ. 24, 51; საქმე 1, 9.
ფსალმ. 109, 1 – ებრ. 1, 3.
ბაქ. 6, 13 – რომ. 8, 34.
ფსალმ. 21, 8-9 – მთ. 27, 39-44.
ფსალმ. 68, 22 – მთ. 27, 34.
ფსალმ. 21, 19 – მთ. 27, 35.
ეს. 53, 12 – მრკ. 15, 28.
ეს. 53, 12 – ლკ. 23, 34.
ეს. 53, 12 – მთ. 27, 50.
გამ. 12, 46; ფსალმ. 33, 21 – ინ. 19, 33, 36.
ბაქ. 12, 10 – ინ. 19, 34, 37.
ეს. 53, 9 – მთ. 27, 57-60.
ფსალმ. 15, 10 – საქმე 2, 31.
ფსალმ. 15, 10; ეს. 26, 19 – ლკ. 24, 6, 31, 34.
ეს. 28, 16 – 1 პეტრ. 2, 6, 7.
ფსალმ. 2, 6 – ლკ. 1, 32; ინ. 18, 33-37.
ეს. 11, 10; 42, 1 – მთ. 1, 17, 2; ინ. 10, 16; საქმე 10, 45, 47.
ფსალმ. 44, 4-8 – ინ. 5, 30; გამოცხ. 19, 11.
ფსალმ. 71, 8; დან. 7, 14 – ფილიპ. 2, 9, 11.
ეს. 9, 7; დან. 7, 14 – ლკ. 1, 32-33.

V. სახარებისეულ მოვლენათა თანაძიძღვრობა

ოთხივე სახარების მიხედვით შეკრებული

იხილეთ გეოგრაფიული რუკა 4, 5

ამბავი	ადგილი	მათე	მარკ.	ლუკა	იოანე
1. შესავალი			1 1	1 1-4	
2. პირველითგან იყო სიტყუაჲ					1 1-18
3. იესო ქრისტეს გენეალოგია		1 1-17		3 23-38	
4. ხარება ზაქარიასადმი იოანე წინამორბედის შობის შესახებ	იერუსალიმის ტაძარი			1 5-25	
5. ხარება ღმრთისმშობელისადმი	ნაზარეთი			1 26-38	
6. ქალწული მარიამი ელისაბედის სახლში	იუდეას ქალაქი			1 39-56	
7. იოანე ნათლისმცემლის შობა	იუდეას ქალაქი			1 57-58	
8. იოანე ნათლისმცემლის წინადაცვეთა და სახელდება	იუდეას ქალაქი			1 59-79	
9. ხარება მართალ იოსებს ღმრთისგანხორციელების შესახებ	ნაზარეთი	1 18-25			
10. იესო ქრისტეს შობა	ბეთლემი			2 1-7	
11. ხარება მწყემსებისადმი	ბეთლემის შემოგარენი			2 8-14	
12. მწყემსთა მიერ თაყვანისცემა	ბეთლემი			2 15-20	
13. იესო ქრისტეს წინადაცვეთა და სახელდება	ბეთლემი	1 2-25		2 21	
14. მირქმა; მართალ სჯმეონისა და ანნას წინასწარმეტყველებანი	იერუსალიმი			2 22-38	
15. მოგვებისაგან თაყვანისცემა	ბეთლემი	2 1-12			
16. ეგვიპტეში ლტოლვა	ბეთლემიდან	2 13-15			
17. ჰეროდეს მიერ ჩვილთა დახოცვა	ბეთლემი	2 16-18			
18. დაბრუნება და ნაზარეთში დასახლება	ეგვიპტიდან	2 19-23		2 39	
19. იესო ქრისტეს ცხოვრება ნაზარეთში	ნაზარეთი			2 40-41	
20. თორმეტი წლის ყრმა იესო	ტაძარში			2 42-52	
21. იოანე ნათლისმცემელი უდაბნოში				1 80	

იხილეთ გეოგრაფიული რუკა 4, 5

ამბავი	ადგილი	მათე	მარკ.	ლუკა	იოანე
22. იოანე წინამორბედის ქადაგება უდაბნოში; მისი მოწმობა იესოს შესახებ	იორდანეზე	3 1-12	1 2-8	3 1-18	1 19-28
23. იესო ქრისტეს ნათლისღება	იორდანეზე	3 13-17	1 9-11	3 21-23	1 29-34
24. იესო ქრისტეს გამოცდა	იუდეას უდაბნო	4 1-11	1 12-13	4 1-13	
უშალი იესო ქრისტე იუდეას უდაბნოში გამოცდის შემდეგ პირველ პასექამდე					
25. იოანე ნათლისმცემლის შემდგომი მოწმობა. ანდრიას, იოანესა და სიმონ-პეტრეს დამოწაფება იესო ქრისტესადმი	იორდანეს ახლოს				1 35-42
26. ფილიპესა და ნათანაელის მოწოდება	გზად გალილეასკენ				1 43-51
27. იესო ქრისტეს პირველი სასწაული: წყლის გარდაქმნა ღვინოდ ქორწილში	გალილეას კანა				2 1-11
28. კაპერნაუმში ჩასვლა	კაპერნაუმი				2 12
უშალ იესო ქრისტეს მსახურება პირველი პასექიდან მეორემდე; მსახურების დასაწყისი					
29. მოვაჭრეთა განდევნა ტაძრიდან; იესო ქრისტეს მოწმობა, რომ თვითონაა ძე ღმერთი	იერუსალიმი				2 13-25
30. საუბარი ნიკოდიმოსთან	იერუსალიმი				3 1-21
31. იესოს ქადაგება პურიასტანში	იუდეა				3 22
32. იოანე ნათლისმცემლის მეორედ მოწმობა იესო ქრისტეს შესახებ	იუდეა				3 23-26

იხილეთ გეოგრაფიული რუკა 4, 5

ამბავი	ადგილი	მათე	მარკ.	ლუკა	იოანე
მოვლენები გზად იუდეადან გალილეასკენ					
33. იესოს მოგზაურობა გალილეაში	იუდეადან გალილეაში				4 1-3
34. საუბარი სამარიტელ დედაკაცთან	სექარი				4 4-42
35. სამეუფო კაცის ძის განკურნება	გალილეას კანა				4 43-54
36. იოანე ნათლისმცემლის შეპყრობა	ტაქერონის ციხე-სიმაგრე	14 3-5	6 17-20	3 19-20	
გალილეაში მსახურების დასაწყისი					
37. გალილეაში ქრისტეს მიერ სახარების ქადაგების დასაწყისი	გალილეა	4 12-17	1 14-15	4 14-15	
38. ქრისტეს პირველი ქადაგება და იესოს უარყოფა ნაზარეთის სინაგოგაში	ნაზარეთი			4 16-30	
39. ქრისტეს მიერ ანდრიას, სიმონ-პეტრეს, იაკობისა და იოანეს მოწოდება სამოციქულო მსახურებისათვის	კაპერნაუმის ახლოს	4 18-22	1 16-20	5 1-11	
40. არაწმიდა სულით შეპყრობილის განკურნება სინაგოგაში	კაპერნაუმი		1 21-28	4 31-37	
41. პეტრეს სიდედრის განკურნება	კაპერნაუმი	8 14-15	1 29-31	4 38-39	
42. მრავალი სნეულის განკურნება	კაპერნაუმი	8 16-17	1 32-34	4 40-41	
43. სახარების ქადაგება	გალილეა	4 23-25	1 35-39	4 42-44	
44. კეთროვნის განკურნება	გალილეა	8 2-4	1 40-45	5 12-16	
45. განრღვეულის განკურნება	კაპერნაუმი	9 1-8	2 1-12	5 17-26	
46. მათეს (ლევი მეზვერეს) მოწოდება სამოციქულო მსახურებისათვის; იესო მის სახლში	კაპერნაუმი	9 9-13	2 13-17	5 27-32	
47. უფლის პასუხი იოანეს მოწაფეებს და ფარისეველებს მარხვის შესახებ	კაპერნაუმი	9 14-17	2 18-22	5 33-39	

იხილეთ გეოგრაფიული რუკა 4, 5

ამბავი	ადგილი	მათე	მარკ.	ლუკა	იოანე
უშალ იესო ქრისტეს მსახურება მეორე პასექიდან მესამემდე; მოვლენები იუდეაში					
48. ბითეზდას აუზთან სნეულის განკურნება	იერუსალიმი				5 1-16
49. იესო ქრისტეს მიერ თავის თავზე ღმერთის ძეობის შესახებ განცხადება	გალილეა				5 17-47
იესო ქრისტეს ქადაგება და სასწაულები					
50. თავთავების შეჭმა და სწავლება შაბათის მნიშვნელობის შესახებ	გზად გალილეასკენ	12 1-8	2 23-28	6 1-5	
51. ხელგამხმარის კაცის განკურნება შაბათს	კაპერნაუმი	12 9-13	3 1-5	6 6-11	
52. ფარისეველთა გაბოროტება; ხალხის სწრაფვა იესოსკენ	კაპერნაუმის ახლოს	12 14-21	3 6-12	6 17-19	
53. თორმეტი მოციქულის გამორჩევა	კაპერნაუმის ახლოს	10 2-4	3 13-19	6 12-16	
54. ქადაგება მთაზე	კაპერნაუმის ახლოს	5 1 - 8 1		6 20-49	
55. ასისთავის მონის განკურნება	კაპერნაუმი	8 5-13		7 1-10	
56. მოგზაურობა გალილეაში	გალილეა	11 1			
57. ქვრივი დედაკაცის ერთადერთი ძის მკვდრეთით აღდგენა	ნაინი			7 11-17	
58. იესოს პასუხი საკუთარი თავისა და იოანე ნათლისმცემელის შესახებ იოანეს მოწაფეთა წინაშე	გალილეა	11 2-19		7 18-35	
59. მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მოწოდება	გალილეა	11 27-30			
60. ცოდვილი დედაკაცის მიერ ცრემლით იესოს ფეხთა განბანა სიმონ ფარისეველის სახლში	გალილეა			7 36-50	

იხილეთ გეოგრაფიული რუკა 4, 5

ამბავი	ადგილი	მათე	მარკ.	ლუკა	იოანე
61. ახალი მოგვაურობა გალილეაში მოწაფეებთან ერთად	გალილეა			8 1-3	
62. ეშმაკეულის განკურნება	კაპერნაუმი	12 22-23		11 14	
63. ფარისეველთა მიერ იესოს გმობა; სულიწმიდის გმობის მხილება	კაპერნაუმი	12 24-37	3 20-30	11 15-26	
64. ფარისევლები და მწიგნობრები მოითხოვენ ნიშანს ციდან; იესოს უარი	კაპერნაუმი	12 38-45		11 16, 29-32	
65. მინაგანი ნათლის შესახებ	კაპერნაუმი			11 33-36	
66. იესოს დედასა და ძმებს სურთ მისი ნახვა; შექება მათი, ვინც აღასრულებს ღვთის სიტყვას	კაპერნაუმი	12 46-50	3 31-35	8 19-21 11 27-28	
67. ფარისეველთა გარეგანი მართლობის და მინაგანი ორგულობის მხილება	კაპერნაუმი			11 37-54	
68. იესოს მიერ მღვის პირას ერის სწავლება ღმრთის შიშის, მასზე მინდობისა და ცათა სასუფევლის შესახებ	კაპერნაუმი			12 1-59	
69. „უკეთუ არა შეინანოთ“	კაპერნაუმი			13 1-5	
70. იგავები მთესველის, ღვარძლის დათესვისა და აღმოცენების; მდოგვის მარცვლის; საფუარის; საუნჯის	კაპერნაუმი	13 1-53	4 1-34	8 4-18; 13 18-21	
71. იესოსადმი შედგომის შესახებ	გენესარეთის ტბის ნაპირი	8 18-22			
72. ქარისა და მღვის დამორჩილება	გენესარეთის ტბა	8 23-27	4 35-41	8 22-25	
73. ღადარინელ ეშმაკეულთა განკურნება	გენესარეთის ტბის აღმოსავლეთი ნაპირი	8 28-34	5 1-20	8 26-39	
74. იაიროსის ქალიშვილის მკვდრეთით აღდგენა და სისხლმდინარი დედაკაცის განკურნება	კაპერნაუმი	9 18-26	5 21-43	8 40-56	

იხილეთ გეოგრაფიული რუკა 4, 5

ამბავი	ადგილი	მათე	მარკ.	ლუკა	იოანე
75. ორი ბრმის განკურნება	კაპერნაუმი	9 27-31			
76. ეშმაკეული ყრუ-მუნჯის განკურნება	კაპერნაუმი	9 32-34			
77. იესოს ქადაგება სინაგოგაში და მისი უარყოფა	ნაზარეთი	13 54-58	6 1-5		
78. იესოს ქადაგება გარშემო დაბა-სოფლებში	ნაზარეთი	13 35-38	6 6		
79. თორმეტი მოციქულის გაგზავნა საქადაგებლად	გალილეა	10 1-42	6 7-13		
80. ჰეროდეს შეშფოთება, ხმები იესო ქრისტეს შესახებ; იოანე ნათლისმცემლის შეპყრობა და თავისკვეთა	გალილეა	14 1-2, 6-12	6 14-16, 21-29	9 7-9	
81. 12 მოციქულის დაბრუნება; 5 000 კაცის დაპურება	გენესარეთის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაპირი	14 13-21	6 30-44	9 10-17	6 1-14
82. იესოს სვლა ზღვაზე	გენესარეთის ტბა	14 22-33	6 45-52		6 15-21
83. სნეულთა განკურნება	გენესარეთის მხარე	14 34-36	6 53-56		
84. სიტყვა ზეციდან გადმოსულ პურზე	კაპერნაუმი				6 22-71
85. იესო ამხელს ფარისეველთა ორგულობას, სწავლება გულიდან გამომავალის შესახებ	კაპერნაუმი	15 1-20	7 1-23		7 1

იხილეთ გეოგრაფიული რუკა 4, 5

ამბავი	ადგილი	მათე	მარკ.	ლუკა	იოანე
მსახურების დამთავრება გალილეაში; მოვლენები მესამე პასექიდან მეოთხე, ვნების პასექამდე					
86. ქანაანელი დედაკაცის ასულის განკურნება	ტვიროსისა და სიდონის საზღვრები	15 21-28	7 24-30		
87. ყრუ-მუნჯისა და სხვა სნეულთა განკურნება	ათქალაქი	15 29-31	7 31-37		
88. 4000 კაცის დაპურება	ათქალაქი	15 32-38	8 1-9		
89. პასუხი ფარისეველთა ქამთა ნიშნების გამოცნობის შესახებ	მაგდალას საზღვრები	15 39 — 16 6	8 10-12		
90. გაფრთხილება მოწაფეებს ფარისეველთა და სადუკეველთა საფუარის შესახებ	გენესარეთის ტბა	16 5-12	8 13-21		
91. ბრმის განკურნება	ბეთსაიდა		8 22-26		
92. პეტრეს მიერ იესო ქრისტეს ძე ღმრთისად აღიარება	ფილიპეს კესარიას მახლობლად	16 13-20	8 27-30	9 18-21	
93. ქრისტეს პირველი წინასწარმეტყველება და დამოძღვრა მისი სიკვდილის, აღდგომის და ჯვრის ტვირთვის შესახებ	ფილიპეს კესარიას მახლობლად	16 21-28	8 31-9 1	9 22-27	
94. უფლის ფერისცვალება	ფილიპეს კესარიას მახლობლად	17 1-13	9 2-9	9 28-36	
95. იესო ქრისტეს მეორედ წინასწარმეტყველება	ფილიპეს კესარიას მახლობლად		9 10-13		
96. მთვარეულის განკურნება	ფილიპეს კესარიას მახლობლად	17 14-21	9 14-29	9 37-43	
97. ქრისტე მესამედ წინასწარმეტყველებს მისი ჯვარზე ვნებისა და აღდგომის შესახებ	გალილეა	17 22-23	9 30-32	9 36-45	

იხილეთ გეოგრაფიული რუკა 4, 5

ამბავი	ადგილი	მათე	მარკ.	ლუკა	იოანე
98. სასწაული თევზის პირიდან ამოღებულ სტატირზე	კაპერნაუმი	17 24-27			
99. დარიგება ზეცათა სასუფეველში უპირატესობის შესახებ	კაპერნაუმი	18 1-11	9 33-37	9 46-50	
100. იგავი დაკარგულ ცხოვარზე		18 12-14			
101. სწავლება მიტევების შესახებ და იგავი მოწყალე მეუფესა და უმოწყალო მონაზე		18 15-22; 18 23-35			
უკანასკნელი მსვლელობა იერუსალიმში (მსახურება იუდეაში და იორდანეს გაღმა)					
102. იესოს უარი თავისი ძმების თხოვნაზე					7 2-9
103. იესო საბოლოოდ ტოვებს გალილეას	გალილეადან იუდეას გზაზე	19 1	10 1	9 51	
104. სამარიტელთაგან უარყოფა	გალილეადან იუდეას გზაზე			9 52-56	
105. იესოს პასუხი მათ, ვისაც მისდამი შედგომა სურდა	გალილეადან იუდეას გზაზე			9 57-62	
106. სამოცდაათი მოწაფის გამორჩევა და წარგზავნა საქადაგებლად	გალილეადან იუდეას გზაზე	11 20-24		10 1-16	
107. მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მოწოდება	იერუსალიმი	11 25-30			
108. სამოცდაათის დაბრუნება: იესო მათ ელაპარაკება მამასთან თავისი ერთარსობის შესახებ	იუდეა			10 17-24	
109. იგავი მოწყალე სამარიტელზე	იუდეა			10 25-37	
110. იესო მართასა და მარიამის სახლში	ბეთანია			10 38-42	
111. იესო ქრისტეს სწავლება ლოცვის შესახებ	იუდეა			11 1-13	

იხილეთ გეოგრაფიული რუკა 4, 5

ამბავი	ადგილი	მათე	მარკ.	ლუკა	იოანე
იესო ქრისტე კარვობის დღესასწაულზე იერუსალიმში					
112. იესო ქრისტე ამხელს ფარისევლებს					11 37-54
113. დამოძღვრა კეთილმსახური ცხოვრებისათვის					1 21-59
114. ქრისტე კარვობის დღესასწაულზე	იერუსალიმი				7 10-53
115. შეგონება მრუში დედაკაცისადმი	იერუსალიმი				8 1-11
116. იუდეველებთან კამათი დღესასწაულის დროს	იერუსალიმი				8 12-59
117. ტაძრის განახლების დღესასწაული; ბრმად-შობილის განკურნება	იერუსალიმი				9 1-41
118. იგავი კეთილ მწყემსზე					10 1-21
119. იუდეველების მიერ ძე ღმერთის უარყოფა; იესოს წასვლა იორდანეს გაღმა					10 22-39
120. მსახურება იორდანეს გაღმა მხარეში – პერეიაში	იორდანეს გაღმა	19 1-2	10 15		10 39-41
121. იგავი უნაყოფო ლეღვის ხის შესახებ	იორდანეს გაღმა			13 6-9	
122. წელში მოხრილი დედაკაცის განკურნება შაბათს	იორდანეს გაღმა			13 10-17	
123. დარიგებანი იერუსალიმის გზაზე ცათა სასუფევლის შესახებ; გაფრთხილება ჰეროდეს მცდელობაზე	იორდანეს გაღმა			13 22-35	
124. იესო ფარისეველის სახლში; წყალმანკით დაავადებულის განკურნება; იგავი მიწვეულთა შესახებ	იორდანეს გაღმა			14 1-24	
125. დარიგება საკუთარი ჯვრის მიდევის და მაცხოვრისადმი შედგომის შესახებ	იორდანეს გაღმა			14 25-35	

იხილეთ გეოგრაფიული რუკა 4, 5

ამბავი	აღგილი	მათე	მარკ.	ლუკა	იოანე
126. იგავები დაკარგულ ცხვარზე, დრაქმაზე, უძღებ შვილზე	იორდანეს გაღმა			15	
127. იგავი ორგულ მნეზე	იორდანეს გაღმა			16 1-13	
128. ფარისეველთა მხილება; იგავი მდიდარსა და ლაზარეზე	იორდანეს გაღმა			16 14-31	
129. მოწაფეთა დამოძღვრა მიტევების, რწმენის ძალისა და მორჩილების შესახებ	იორდანეს გაღმა			17 1-10	
130. ათი კეთროვნის განკურნება	სამარიასა და გალილეას საზღვარი			17 11-19	
131. უფლის მეორედ, მოულოდნელი მოსვლის შესახებ	იორდანეს გაღმა			17 20-37	
132. იგავი უსამართლო მსაჯულზე	იორდანეს გაღმა			18 1-8	
133. იგავი მეზვერესა და ფარისეველზე	იორდანეს გაღმა			18 9-14	
134. ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება	ბეთანია				11 1-46
135. კაიაფას რჩევა; სინედრიონის შეთქმულება იესოს წინააღმდეგ	იერუსალიმი				11 47-54
136. ქრისტე ქორწინების დაურღვეველობის შესახებ	იორდანეს გაღმა	19 3-12	10 2-12	16 18	
137. ბავშვების დალოცვა	იორდანეს გაღმა	19 13-15	10 13-16	18 15-17	
138. პასუხი საუკუნო ცხოვრების მსურველ მდიდარ ჭაბუკს	იორდანეს გაღმა	19 16-26	10 17-27	18 18-27	
139. უფლისადმი მიდგომის საზღაურის შესახებ	იორდანეს გაღმა	19 27-30	10 28-31	18 28-30	

იხილეთ გეოგრაფიული რუკა 4, 5

ამბავი	ადგილი	მათე	მარკ.	ლუკა	იოანე
140. იგავი ვენახის მუშაკთა საზღაურზე	იორდანეს გაღმა	20 1-16			
141. იესო მესამედ წინას-წარმეტყველებს თავის ჯვარ-ცმასა და აღდგომაზე	იორდანეს გაღმა	20 17-19	10 32-34	18 31-34	
142. იესო მიემართება იერუ-სალიმს; ზებედეს ძეთა თხოვ-ნა	იორდანეს გაღმა	20 20-28	10 35-45		
143. ორი ბრმის განკურნება	იერიქო	20 29-34	10 46-52	18 35-43	
144. მეზვერე ზაქეს მოქცევა	იერიქო			19 1-10	
145. იგავი ათ მნასა და ბო-როტ მონაზე	იერიქო	25 13-30		19 11-28	
146. პასექამდე ექვსი დღით ადრე იესო ჩადის ბეთანია-ში	იერიქო				11 55 – 12 1
147. სერობა ბეთანიაში: მა-რიამის მიერ ნელსაცხებლის ცხება	ბეთანია	26 6-13	14 3-9		12 2-11
148. უფლის დიდებით შესვ-ლა იერუსალიმში; ღამე ბე-თანიაში	ზეთისხილის მთა იერუსალიმი ბეთანია	21 1-11	11 1-11	19 29-44 21 37-38	12 12-19
ვნების კვირა					
დიდი ორშაბათი					
149. უნაყოფო ლეღვის ხის გახმობა	გზად იერუსა-ლიმისკენ	21 18-22	11 12-14; 11 20-26		
150. მოვაჭრეთა განდევნა ტაძრიდან	იერუსალიმი	21 12-13	11 15-19	19 45-46	
დიდი სამშაბათი					
151. დაეჭვება იესო ქრისტე-ში; მაცხოვარი ამხელს სი-ნედრიონს: იგავები ორ ძეზე, ბოროტ მევენახეებზე, საქორ-წილო ნადიმზე	იერუსალიმი	21 23-32, 33-46; 22 1-14	11 27-33; 12 1-12	20 1-8, 9-19	

იხილეთ გეოგრაფიული რუკა 4, 5

ამბავი	ადგილი	მათე	მარკ.	ლუკა	იოანე
152. შეკითხვები: ფარისეველთა – კეისრის ხარკზე; სადუკეველთა – მკვდრეთით აღდგომაზე, ღმერთი ცოცხალთა (სულის უკვდავების შესახებ); სჯულის მოძღვრისა – უდიდესი მცნების შესახებ; იესოს შეკითხვა ქრისტეს ძეობის შესახებ	იერუსალიმი	22 15-22, 23-33, 33-40, 41-46	12 13-17, 18-27, 38-34, 35-37	20 20-26, 27-40, 41-44	
153. გაფრთხილება მწიგნობართა და ფარისეველთა საქმეთაგან მორიდების შესახებ	იერუსალიმი	23	12 38-40	20 45-47	
154. ქვრივის ორი მწულილი	იერუსალიმი		12 41-44	21 1-4	
155. შეხვედრა წარმართებთან; უკანასკნელი დარიგებანი	იერუსალიმი				12 20-50
156. ქრისტეს წინასწარმეტყველება იერუსალიმის დანგრევაზე, მომავალ ეკლესიასა და მის მეორედ მოსვლაზე	ზეთისხილის მთა	24 1-31	13 1-27	21 5-28	
157. შეგონება სიფხიზლეზე; იგავები ათ ქალწულზე, ტალანტებზე; საყოველთაო აღდგომასა და საშინელ სამსჯავროზე	ზეთისხილის მთა	24 32-25 46	13 28-37	21 29-36	
დიდი ოთხშაბათი					
158. იუდეველთა შეთქმულება იესოს წინააღმდეგ; იუდას გამცემლობა	იერუსალიმი	26 1-5, 14-16	14 1-2, 10-11	22 1-6	

იხილეთ გეოგრაფიული რუკა 4, 5

ამბავი	ადგილი	მათე	მარკ.	ლუკა	იოანე
დიდი ხუთშაბათი და უკანასკნელი პასექი					
159. პასექის მომზადება;	ბეთანია და იერუსალიმი	26 17-19	14 12-16	22 7-13	
160. მოწაფეთა დავა პირველობისათვის	იერუსალიმი	26 20	14 17	22 14-18 22 24-30	
161. ფეხთბანვა	იერუსალიმი				13 1-20
162. გამცემის გამოაშკარავება; იუდას წასვლა	იერუსალიმი	26 21-25	14 18-21	22 21-23	13 21-35
163. საიდუმლო სერობა — ზიარების საიდუმლოს დადგენა	იერუსალიმი	26 26-29	14 22-25	22 19-20	
164. წინასწარმეტყველება პეტრეს მიერ იესოს უარყოფაზე და სხვა გაფრთხილებანი	იერუსალიმი			22 31-38	13 36-38
165. გამოსათხოვარი საუბარი მოწაფეებთან ღმრთის სიყვარულის შესახებ	იერუსალიმი				14 1-16--17 26
166. ახალი წინასწარმეტყველება პეტრეს მიერ იესოს უარყოფასა და მოწაფეთა გაფანტვაზე	გზად გეთსიმანიისკენ	26 30-35	14 26-31		
167. ლოცვა გეთსიმანიის ბაღში	გეთსიმანია	26 36-46	14 32-42	22 39-46	17 1--18 1
დიდი პარასკევი					
168. იესოს შეპყრობა; მოწაფეთა გაფანტვა	გეთსიმანია	26 47-56	14 43-52	22 47-53	18 2-12
169. იესო ქრისტე ანას წინაშე	მღვდელმთავრის სასახლე იერუსალიმში				18 13, 19-24
170. იესო ქრისტე სინედრიონის წინაშე; დაცინვა და შეურაცხყოფა	მღვდელმთავრის სასახლე იერუსალიმში	26 57-68	14 53-65	22 54, 63-65	18 14
171. პეტრეს მიერ იესოს სამგზის უარყოფა	მღვდელმთავრის სასახლე იერუსალიმში	26 58, 69-75	14 54, 66-72	22 56-62	18 15-18, 25-27

იხილეთ გეოგრაფიული რუკა 4, 5

ამბავი	ადგილი	მათე	მარკ.	ლუკა	იოანე
172. სინედრიონის საბოლოო განაჩენი	მღვდელმთავრის სასახლე იერუსალიმში	27 1	15 1	22 66-71	
173. იუდას თვითმკვლელობა (საქმე 1, 16-19)	იერუსალიმი	27 3-10			
174. იესო პილატეს წინაშე; პილატე ცდილობს, გაათავისუფლოს იესო	რომაელი მმართველის სასახლე	27 2, 11-14	15 16-5	23 1-5	18 28-30
175. იესო ჰეროდეს წინაშე	იერუსალიმი			23 6-12	
176. პილატე კვლავ ცდილობს იესოს გაშვებას; იუდეველები ითხოვენ ბარაბას	რომაელი მმართველის სასახლე	27 15-26	15 6-15	23 13-25	18 39-40
177. პილატეს მიერ იესოს გადაცემა სასიკვდილოდ	რომაელი მმართველის სასახლე	27 26-30	15 15-19		19 1-3
178. პილატე კვლავ ცდილობს იესოს გათავისუფლებას	რომაელი მმართველის სასახლე				19 4-16
179. ჯვრით მსვლელობა და გოლგოთა	იერუსალიმი	27 31-34	15 20-23	23 26-33	19 16-17
180. ჯვარცმა	გოლგოთაზე, იერუსალიმის ახლოს	27 35-38	15 24-28	23 33, 34,38	19 18-24
181. ჯვარცმის დროს	გოლგოთაზე, იერუსალიმის ახლოს	27 39-49	15 29-36	23 35-37, 39-45	19 25-29
182. იესოს სიკვდილი		27 50	15 37	23 46	19 30
183. ამბები იესოს სიკვდილის შემდეგ	იერუსალიმი და მისი შემოგარენი	27 51-56	15 38-41	23 45, 47-49	
184. გარდამოხსნა; დასაფლავება	იერუსალიმთან	27 57-61	15 42-47	23 50-56	19 31-42
185. გუშაგები საფლავთან		27 62-66			
იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა					
186. მენელსაცხებლე დედები საფლავთან, ანგელოზთა მიერ უფლის მკვდრეთით აღდგომის ხარება	იერუსალიმი და მისი შემოგარენი	28 1-8	16 1-8	24 1-11	

იხილეთ გეოგრაფიული რუკა 4, 5

ამბავი	ადგილი	მათე	მარკ.	ლუკა	იოანე
187. იოანე და პეტრე საფლავთან; მარიამ მაგდალინელი საფლავთან, მკვდრეთით აღმდგარ იესო ქრისტეს გამოცხადება		28 9-10	16 9-11	24 12	20 1-18
188. გუშაგთა მონათხრობი და მღვდელმთავართა მიერ მათი მოსყიდვა		28 11-15			
189. უფლის გამოცხადება პეტრესადმი				24 34	
190. იესო ქრისტეს გამოცხადება	ემაუსის გზაზე		16 12,13	24 13-35	
191. ქრისტე გამოეცხადა თერთმეტ მოწაფეს; თომა არ იყო	იერუსალიმი		16 14	24 36-49	20 19-24
192. ქრისტე ხელახლა ეცხადება თერთმეტს, თომას თანდასწრებით	იერუსალიმი				20 25-29
193. უფლის გამოცხადება 7 მოწაფისადმი. იესოს საუბარი პეტრესთან	გენესარეთის (ტიბერიადის) ტბა				21 1-23
194. მოციქულთა კურთხევა წარმართთა დამოწაფებაზე, მათ ნათლისცემასა და ღმრთის სახელის განცხადებაზე	მთაზე, გალილეაში	28 16-20	16 15-18		
195. უფლის ზეცად ამაღლება, და ღმრთის მარჯვენით დაჯდომა, მოციქულთა მიერ სახარების ქადაგება (საქმე 1, 1-14; 2, 1-4)	ზეთისხილის მთა ბეთანიასთან		16 19-20	24 50-53	
196. იოანეს დამოწმება სახარების ჭეშმარიტების შესახებ					21 24-25

VI. უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს სასწაულები

სასწაულები	მათე	მარკ.	ლუკა	იოანე
ერთ სახარებაში მოხსენიებული სასწაულები:				
1. ორი ბრმის განკურნება	9 27-31			
2. ყრუ-მუნჯი ეშმაკეულის განკურნება	9 32-33			
3. თევზის პირიდან ამოღებული სტატერი	17 24-27			
4. ძნელადმეტყველის განკურნება		7 31-37		
5. ბრმის განკურნება ბეთსაიდაში		8 22-26		
6. ქრისტეს უჩინრად გავლა მტრებს შორის			4 30	
7. პირველი სასწაულებრივი თევზჭერა			5 1-11	
8. ნაინელი ქვრივის ძის გაცოცხლება			7 11-15	
9. ქვედადრეკილი დედაკაცის განკურნება			13 11-13	
10. წყალმანკით დაავადებულის განკურნება			14 1-4	
11. ათი კეთროვანის განკურნება			17 1-4	
12. მღვდელმთავრის მონის მალქოზის მოკვეთილი ყურის გამრთელება			22 50-51	
13. წყლის გადაქცევა ღვინოდ				2 1-11
14. სამეუფო კაცის ძის განკურნება				4 46-54
15. 38 წელი უძლურებაში მყოფი კაცის განკურნება				5 1-9
16. ბრმადშობილის განკურნება				9 1-7
17. ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება				11 43-44
18. მეორე სასწაულებრივი თევზჭერა				21 1-11

სასწაულები	მათე	მარკ.	ლუკა	იოანე
ორ სახარებაში მოხსენიებული სასწაულები:				
1. ემმაკეულის განკურნება სინაგოგაში		1 23-26	4 33-35	
2. ასისთავის მსახურის განკურნება	8 5-13		7 1-10	
3. ემმაკეულის (ყრუ-მუნჯის) განკურნება	12 22		11 14	
4. ქანაანელი დედაკაცის ასულის განკურნება	15 21-28	7 24-30		
5. ოთხი ათასის დაპურება	15 32-38	8 1-8		
6. უნაყოფო ლეღვის ხის გახმობა	21 18-22	11 12-14		
სამ სახარებაში მოხსენიებული სასწაულები:				
1. კეთროვანის განკურნება	8 2-3	1 40-42	5 12-13	
2. პეტრეს სიდედრის განკურნება	8 14-15	1 30-31	4 38-39	
3. ზღვისა და ქარიშხლის დაყუდება	8 26	4 37-39	8 22-24	
4. ლეგეონის გამოდევნა ღადარინელი ემმაკეულიდან	8 28-34	5 1-15	8 27-35	
5. დაუძლურებულის განკურნება	9 2-7	2 3-12	5 18-25	
6. სისხლდენით დაავადებული დედაკაცის განკურნება	9 20-22	5 25-29	8 43-48	
7. იაიროსის ქალიშვილის გაცოცხლება	9 23-25	5 38-42	8 49-56	
8. ხელგამხმარის განკურნება	12 10-13	3 1-5	6 6-10	6 19-21
9. ზღვაზე სვლა	14 25	6 48-51		
10. მთვარეული ყმაწვილის განკურნება	17 14-18	9 17-29	9 38-42	
11. ბრმა ბარტიმეოსის (2 ბრმის – მთ. 20) განკურნება	20 30-34	10 46-52	18 35-43	
ოთხივე სახარებაში მოხსენიებული სასწაული:				
1. ხუთი ათასის დაპურება	14 15-20	6 35-44	9 12-17	6 5-13

VII. უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს იგავები

იგავები	მათე	მარკ.	ლუკა
იგავები თითო სახარებაში:			
1. ღვარძლზე	13 24		
2. დაფარულ საუნჯეზე	13 44		
3. ძვირფას მარგალიტზე	13 45		
4. ბადეზე	13 47		
5. უმოწყალო გამსესხებელზე	18 23		
6. ვენახის მუშაკებზე	20 1		
7. ორ ვაჟიშვილზე	21 28		
8. საქორწინო ნადიმზე	22 2		
9. ათ ქალწულზე	25 1		
10. ტალანტებზე	25 14		
11. ცხვრებსა და თხებზე	25 31		
12. დათესვასა და აღმოცენებაზე		4 26	
13. სახლის პატრონის მოლოდინზე		13 34	
14. ორ მოვალეზე			7 41
15. გულმოწყალე სამარიტელზე			10 30
16. აბეზარ მეგობარზე			11 5
17. მდიდრის უგუნურებაზე			12 16
18. ფხიზელ მონებზე			12 35
19. ერთგულ მნეზე			12 42
20. უნაყოფო ლეღვის ხეზე			13 6
21. სერობად მოწვეულებზე			14 16
22. გოდლის შენებაზე; ომში მიმავალ მეფეზე			14 28
23. დაკარგულ დრაქმაზე			15 8
24. უძღებ შვილზე			15 11
25. ორგულ მნეზე			16 1
26. მდიდარსა და ლაზარეზე			16 19
27. უხმარი მონების შესახებ			17 7
28. უსამართლო მსაჯულზე			18 2
29. მეზვერესა და ფარისეველზე			18 10
30. ათ ტალანტზე			19 12

იგავები	მათე	მარკ.	ლუკა
იგავები ორ სახარებაში:			
1. ამენებულ სახლზე	7 24		6 47
2. საფუარზე	13 33		13 20
3. დაკარგულ ცხვარზე	18 22		15 4
იგავები სამ სახარებაში:			
1. სანთელი სასანთლეზე	5 15	4 21	8 16, 11 33
2. ახალი ქსოვილის საკერებელი ძველ სამოსელზე	9 16	2 21	5 36
3. ახალი ღვინო ძველ ტიკებში	9 17	2 22	5 37
4. მთესველზე	13 3	4 3	8 5
5. მდოგვის მარცვალზე	13 31	4 30	13 18
6. ბოროტ მევენახეებზე	21 33	12 1	20 9
7. ლეღვსა და ყველა ხეზე	24 32	13 28	21 29

VIII. ამაღლების შემდგომ განდიდებული მაცხოვარი

1. პირველმოწამე სტეფანეს ხილვა – საქმე 7, 55-65.
2. მოციქულ პავლეს ხილვა – საქმე 26, 13-15.
3. მოციქულ იოანე ღმრთისმეტყველის ხილვა – გამოცხ. 1, 12-16.

ქრისტე – მარჯვენით მამისა

4. ქრისტე აღვიცლს განუმზადებს ჭეშმარიტ მორწმუნეებს – ინ. 14, 2-5.
5. ქრისტე – შუამდგომელი (მეოხმყოფელი) და მღვდელმთავარი – ებრ. 4, 14-16; 5, 1-6; 6, 20; 7; 8, 1-6; 9, 11-28; 10, 1-23.
6. ქრისტე მოავლენს სულიწმიდას მამისა მიერ, რომელი მამისაგან გამოვალს – ინ. 15, 26; 16, 7; საქმე 1, 4; 1, 5; 1, 8; 2, 1-39. 1 კორ. 12, 12-13; რომ. 8, 9-17; 26-27.
7. ქრისტე შეეწევა თავის მოწაფეებს – მთ. 28, 20; მრკ. 16, 19-20; საქმე 18, 9-11; 23, 10-11; 27, 21-25.

8. ქრისტე კეთილ საბღაურს მიაგებს ერთგულ მორწმუნეებს – 1 პეტრ. 5, 4; გამოცხ. 2,10.
9. ქრისტე სძლევს მტრის ყოველ ძალას – გამოცხ. 17, 14.
10. ქრისტე და ეკლესია:
ა) ეკლესიის თავი – ეფეს. 1, 22; 4, 15; 5, 23; კოლ. 1, 18; 2, 19.
ბ) ეკლესიის სიძე – მთ. 9, 15; 25, 1, 6; ინ. 3, 29; გამოცხ. 21, 2.
გ) ეკლესია ქრისტეს სძალი – ეს. 62, 5; 2 კორ. 11, 2; გამოცხ. 19, 7; 21, 2; 22, 17.
დ) ქრისტე – ეკლესიის ცხოვრება – რომ. 7, 4; 1 კორ. 6, 15; 2 კორ. 11, 2; ეფეს. 5, 30; 1 ინ. 2, 24; ინ. 15, 4-7, 10; 1 ინ. 1, 2, 6, 28; 36; 2 ინ. 9; ინ. 14, 20; 17, 23; რომ. 8, 10; გალ. 2, 20; ეფეს. 3, 17-19; კოლ. 1, 27; 1 ინ. 3, 24; გამოცხ. 3, 20; ინ. 6, 27-63.

IX. ქრისტეს მეორე მოსვლა

1. ჟამი დაფარულია – მთ. 24, 36; ლკ. 12, 40; 1 თეს. 5, 2; 2 პეტრ. 3, 10.
2. ჟამი ახლოს არს – ფილიმ. 4, 5; გამოცხ. 3, 11.
3. იქნება ანაბდეული და მოულოდნელი – მთ. 24, 37-44; ლკ. 17, 26-32; გამოცხ. 16, 15.
4. იქნება ეკლესიის გაძლასარჩენად – ინ. 14, 3; კოლ. 3, 4; 1 ინ. 3, 2.
5. იქნება ვითარცა ძისა კაცისა და მეუფისა – დან. 7, 9, 22, 27; გამოცხ. 20, 4-6.
6. იქნება ვითარცა მსაჯული თითოეულისა, ცოცხალთა და მკვდართა – მთ. 25, 31-46; 2 ტიმ. 4, 1; გამოცხ. 20, 11-15; ინ. 5, 22; საქმე 10, 42; 17, 31; რომ. 2, 16; 14, 10.

X. იესო ქრისტეს საუკუნო დიდება

1. მისი ჩვენება დიდებაში – გამოცხ. 1, 13-16.
2. უზეშთაესად განდიდებული, ვითარცა მეუფე მეუფეთა და უფალი უფლებათა – ეფეს. 1, 20-21; გამოცხ. 5, 11-14; 19, 16.
3. „მის წინაშე დაძრკეს ყოველი ქმნილება“ და „იყოს ღმერთი ყოველად ყოველსა შინა“ – ფილიპ. 2, 9-10; 1 პეტრ. 3, 22; 1 კორ, 15, 23-28.

XI. კაცობრიობის ბიბლიური ქრონოლოგია

პატრიარქები წარღვნამდე (დაბადება 5, 3-32)

სახელი	წლოვანება უფროსი ვაჟის დაბადებისას		დარჩენილი წლები		სრული წლოვანება		დაბადების წელი ადამის შექმნიდან		გარდაცვალების წელი	
	წყარო		წყარო		წყარო		წყარო		წყარო	
	ბერძნ	ებრ.	ბერძნ	ებრ.	ბერძნ	ებრ.	ბერძნ	ებრ.	ბერძნ	ებრ.
ადამი	230	130	700	800	930	930	1	1	930	930
სეითი	205	105	707	807	912	912	230	130	1142	1042
ენოს	190	90	715	815	905	905	435	235	1340	1140
კაინან	170	70	740	840	910	910	625	325	1535	1235
მალელეილ	165	65	730	830	895	895	795	395	1690	1290
იარედ	162	162	800	800	962	962	960	460	1922	1422
ენუქ	165	65	200	300	365	365	1122	622	1487	987
[შენიშვნა: აღტაცებულ იქნა ზეცად]										
მათუსალა	167	187	802	782	969	969	1287	687	2256	1656
ლამექ	188	182	565	595	753	777	1454	874	2207	1651
ნოე	500	500	450	450	950	950	1642	1056	2592	2006

დასაბამიდან ქრისტეს შობამდე ქართული წელთაღრიცხვით არის 5508 წ. (ბერძნ. 5604), წარღვნიდან ქრისტეშობამდე ≈ 3246 წ.

ბიბლიის მიხედვით, ნოე 600 წლის იყო, წარღვნა რომ დაიწყო. ადამიდან წარღვნამდე 2 256 წელი (ებრ. წყ. 1 656 წ.) გავიდა. მათუსალამ ყველაზე დიდხანს იცოცხლა და გარდაიცვალა წარღვნის დაწყების წელს. მან ნოესთან ერთად 614 წელი იცხოვრა. მალელეილმა – 48, იარედმა – 280, მამამისმა ლამექმა კი – 565 წელი. შესაბამისად, ნოემ მათგან მიიღო ზუსტი და უშუალო გადმოცემა კაცობრიობის უძველესი ისტორიის შესახებ, მან კი გაღასცა თავის შთამომავლობას, რომელნიც წარღვნის შემდეგ ცხოვრობდნენ.

პატრიარქები წარღვნის შემდეგ აბრაამის ჩათვლით (დაბადება 11, 10-32)

სახელი	წლოვანება უფროსი ვაჟის დაბადებისას		დარჩენილი წლები		სრული წლოვანება		დაბადების წელი ადამის შექმნიდან		გარდაცვალების წელი	
	წყარო		წყარო		წყარო		წყარო		წყარო	
	ბერძნ	ებრ.	ბერძნ	ებრ.	ბერძნ	ებრ.	ბერძნ	ებრ.	ბერძნ	ებრ.
სემი	100	100	500	500	600	600	2142	1556	2742	2156
არფაქსად	135	35	330	403	465	438	2242	1656	2559	2094
კაინან (ბერძნ.)	130	——	330	——	460	——	2377	——	2837	——
სალა	130	30	350	403	483	433	2507	1691	2990	2124
ებერ	134	34	270	430	404	464	2637	1721	3041	2185
ფალეგ	120	30	209	209	343	239	2771	1755	3114	1994
რაგავ	132	32	207	207	341	239	2891	1785	3232	2024
სერუქ	130	30	200	200	330	230	3023	1817	3353	2047
ნაქორ	79	29	129	119	208	148	3153	1847	3361	1995
თარრა	70	70	135	135	205	205	3232	1876	3437	2081
აბრაამი	100	100	75	75	175	175	3302	1946	3477	2121

ბიბლიური ისტორიის ქრონოლოგია		ძველი მსოფლიოს ისტორიის ქრონოლოგია	
სამყაროს შექმნა ძვ. წ. აღ.		ძვ. წ. აღ.	
5508/5604 ბერძ.წ.აღ/ ქართ.წ.აღ.	დასაბამიდან ქრისტეს შობამდე	1, 85 მლნ.წ.	დმანისში აღმოჩენილი უძველესი თავის ქალები
		1, 65მლნ.წ.	აფრიკის ერთადერთი პომინიდი
დაახლ. 3246	წარღვნიდან ქრისტეშობამდე	IV ათასწლ.	შუმერების ქალაქ-სახელმწიფოები სამხრეთ მუამდინარეთში,ჩრდილოეთში სემიტები სახლობენ.
		IV ს-ის ბოლოს	წარმოიშვა ეგვიპტის ორი სახელმწიფო: სამხრეთი და ჩრდილოეთი
		IV-III ათასწლ.	მტკვარ-არაქსის კულტურა
დაახლ. 2716	ბაბილონის გოდოლის შენება და ენათა აღრევა	III ათასწლეულის II ნახ.	თრიალეთის კულტურა
		II-I ათასწლ.	კოლხეთის კულტურა
		3100-2300	ეგვიპტის ძველი სამეფოს ხანა
დაახლ. 2040-2015	აბრამი (75 წლის) მიდის შუამდინარეთიდან და ქანაანში მკვიდრდება, აღთქმა ღმრთისა აბრამთან (99 წ.)	III ათასწლეულის II ნახ.	მდ. ტიგროსსა და ევფრატს შორის სემიტურმა ტომებმა ასურეთის სამეფო შექმნეს.
		IV-II ათასწლეულები	ინდის დაბლობის უძველესი მცხოვრებლების — დრავიდების ხანა, ისინი ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა არიულმა ტომებმა ეაანადგურეს.
2015	სოდომ-გომორის დასჯა	II ათასწლეულის II ნახ.	ხუანხეს აუზში ჩინეთის პირველი სახელმწიფო შეიქმნა.
		2040 – 1785 2024 წ.	ეგვიპტის შუა სამეფოს ხანა ჩრდ. მესოპოტამიიდან მოსულმა სემიტურმა ტომებმა დაიპყრეს მაღალგანვითარებული შუმერები

ბიბლიური ისტორიის ქრონოლოგია		ძველი მსოფლიოს ისტორიის ქრონოლოგია	
ძვ. წ. აღ.		ძვ. წ. აღ.	
დაახლ. 1800	მამამთავარი იაკობი (ისრაელი)	II ათასწლ. დასაწყისი	XII დინასტიის ფარაონები ეგვიპტეში. მცირე აზიაში ხეთების ათამდე ქალაქ-სახელმწიფოს წარმოიშვა
		1728-1686	ჰამურაბი, ბაბილონის მეფე
დაახლ. 1700	იოსების მმართველობა ეგვიპტეში. ისრაელის გოშენის ქვეყანაში დასახლება	დაახლ. 1720-1560	ჰიქსოსები ეგვიპტეში
		1560-1070	ეგვიპტის ახალი სამეფოს ხანა
		დაახლ. 1400	პაპირუსები თელ-ელამარნადან
		1364-1347	ეხნატონი (ამენოფის IV)
		დაახლ. 1350	თიხის ფირფიტები უგარიტიდან (რას-შამრა)
დაახლ. 1250-1240	მოსე, ისრაელიანთა ეგვიპტიდან გამოსვლა, სინას მთაზე რჯულის მიღება. მოსეს აღსასრული	1301-1234	რამზეს II
		XIII ს-ში	ეგვიპტელებმა ებრაელები მონებად აქციეს
დაახლ. 1210-1200	ისუ ნავეს ძე; ისრაელიანთა შესვლა ქანაანში		
დაახლ. 1200-1050	მსაჯულთა მმართველობის ხანა		
დაახლ. 1050	სამოელის მოღვაწეობა	დაახლ. 1100	ტიგლათ-ფილესერ I, ასურის მეფე

ბიბლიური ისტორიის ქრონოლოგია				ძველი მსოფლიოს ისტორიის ქრონოლოგია	
ძვ. წ. აღ.				ძვ. წ. აღ.	
				II ათასწლ.	შიდა ქართლის და იორ-ალაზნის კულტ
≈1040-1010	საული				
≈1010-970	დავითის მეფობა			X-VIII სს.	ძვ. კოლხეთის სამეფო
970-931	სოლომონი. ტაძრის აგება			945-924	შეშონქ (შიშაქ) I ეგვიპტეში
929	ისრაელის სამეფოს ორად გაყოფა:				
იუდას სამეფო		ისრაელის სამეფო			
დაახლ.		დაახლ.		VIII ს-ის II ნახ.	სკვითების და კიმერიელების ლაშქრობები
931-914	რობოამი	931-909	იერობოამ I		
914-911	აბია	909-908	ნაბატი	VIII ს-ის II ნახ.	დიაოხი წყვეტს არსებობას
911-870	ასა	908-885	ბაასა		
		885-884	ელა		
		884	ზამბრი (7 დღე)		
		884-873	ამრი (სამარია — ისრაელის სატახტო ქალაქი)	884-858	ამურბანიფალ II, ასურის მეფე.
				გარდ. ≈ 875	ბენ-ჰადად I არამში.
870-848	იოსაფატი	873-853	აქაბი. წინასწარმეტყველი ელია	გარდ.≈ 844	ბენ-ჰადად II არამში
				858-823	სალმანასარ III ასურში
847-840	იორამი	854-853	ოქოზია	854	ბრძოლა კარკართან.
		852-841	იორამი		
841	ოქოზია	841-813	იუ	≈844-797	ხაზაელი არამში
841-835	გოთოლია				
835-796	იოასი	813-797	იოაქაზი	809-781	ადადნინარ III ასურში
796-767 (781)	ამასია	797-782	იოასი	≈ 797-735	ბენ-ჰადად II არამში
(781) 767-739	ოზია წინასწარმეტყველები: ესაია, მიქა	782-753	იერობოამ II. წინასწარმეტყველები: ოსია, ამოსი		

ბიბლიური ისტორიის ქრონოლოგია				ძველი მსოფლიოს ისტორიის ქრონოლოგია	
			ზაქარია	753	რომის დაარსება
		753	სელუმი		
		753	მენაიმი	745-726	ტიგლათფილესერ III ასურში
		752-742			
				735	რეტინი არამში
739-734	იოათამი		ფეხასია	726-722	სალმანასარ V ასურში
734-728	აქაზი	741-739	ფეკასი		
		739-731	იოსია	722-705	სარგონ II ასურში. ქარხემიშის აღება (717)
		731-722			
728-697	ეზეკია		ისრაელის სამეფოს დამხობა		
		721			
				721-710	მეროდაქ-ბალადანი, ბაბილონის მეფე
701	ასურელთა წაშქრობა იუდას სამეფოზე		ასურელთა მიერ ებრაელების გადასახლება და სამარიტელთა წარმოშობა (1 ეზრ. 1-2; 9-10)	705-681	სანხერიბი, ასურის მეფე
		680		689-664	თირჰაკა, XXV დინასტია
				681-668	ასარქადონი, ასურის მეფე
699-643	მანასე			668-625	ამურბანიფალი, ასურის მეფე

ბიბლიური ისტორიის ქრონოლოგია		ძველი მსოფლიოს ისტორიის ქრონოლოგია	
ძვ. წ. აღ.	იუდას სამეფო	ძვ. წ. აღ.	
643-641	ამონი. წინასწარმეტყველი სოფონია. იოსია. რელიგიური რეფორმა	≈ 640-559	სოლონ ათენელი
		625	ახალბაბილონური სახელმწიფოს წარმოშობა
		625-605	ნაბოფალასარი
		612	ნინევიის დანგრევა
609	იოსიას დაღუპვა მეგიდოსთან	609-594	ნექო, XXVI დინასტია
609	იოაქაზი (3 თვე). წინასწარმეტყველები: ნაუმი, აბაკუმი, იერემია.		
608-508	იოაკიმი		
605/604	ნაბუქოდონოსორის პირველი ლაშქრობა პალესტინაში	605(604)-562	ნაბუქოდონოსორი, ბაბილონის მეფე
		605	ბრძოლა ქარხემიშთან
598/597	იოაკიმი (სამი თვე). პირველი გადასახლება ბაბილონში	590	ურარტუს განადგურება
597-586	ციდკია. წინასწარმეტყველი ეზეკიელი	588-568	ფარაონი ხოფრა
587/581	იერუსალიმის აღება. ტაძრის დაქცევა. ებრაელთა მეორე გადასახლება	685-526	ფარაონი ამასისი
		562-560	ევილ-მეროდაქი
582/581	ებრაელთა მესამე გადასახლება	560-556	ნერიგილასარი
560	იოაკინის შეწყალება	559-529	კიროს სპარსელი; ბაბილონის დაპყრობა (538)
		555-539	ნაბონიდი და მისი ძე ბელტეშაცარი ბაბილონში
538	კიროს სპარსელის ედიქტი. ისრაელიანთა შინ დაბრუნება. სპარსელთა ბატონობა პალესტინაში	529-522	კამბიზი სპარსეთში; ეგვიპტის დამორჩილება (525).

ბიბლიური ისტორიის ქრონოლოგია		ძველი მსოფლიოს ისტორიის ქრონოლოგია	
ძვ. წ. აღ.	იუდას სამეფო	ძვ. წ. აღ.	
536-535	იერუსალიმის ტაძრის აღდგენა და სატფურება. წინასწარმეტყველები: ზაქარია, ანგია	521-485	დარიოს I
		494-339	პაპირუსები ელეფანტინედან
		485-465	ქსერქსე I
		464-424	არტაქსერქსე
458	ებრაელების შინ დაბრუნება ეზრას წინამძღოლობით. იუდაიზმის ჩამოყალიბება	424-404	დარიოს II
		360-336	ფილიპე მაკედონელი
445	ნეემია, სპარსეთის მეფისნაცვალი იუდეაში; იერუსალიმის გაფართოება, ახალი გალავნის აშენება	358-338	არტაქსერქსე III
		336-331	დარიოს III
		IV-III სს.	ქართლის სამეფოს წარმოქმნა
332	ალექსანდრე მაკედონელი იერუსალიმში	336-323	ალექსანდრე მაკედონელი
		309-265	არიოსი სპარსეთში
323-300	მღვდელმთავარი ონიაშ I	≈ 301	ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დამლაგიდთა, სელევკიდთა და ანტიგონიდთა სამეფოებად
		311-283	პტოლემაიოს I
≈ 300	პალესტინა ლაგიდთა ბატონობის უღელქვეშ	285-246	პტოლემაიოს II, ფილადელფოსი, ძველი აღთქმის ბერძნულად თარგმნა (სეპტუაგინტა)
		246-221	პტოლემაიოს III, ევერგეტოსი
		223-187	ანტიოქოს III დიდი, არამში
		221-205	პტოლემაიოს IV, ფილოპატერი
220-195	მღვდელმთავარი სიმონ II	190	ბრძოლა მაგნეზიასთან

ბიბლიური ისტორიის ქრონოლოგია		ძველი მსოფლიოს ისტორიის ქრონოლოგია	
ძვ. წ. აღ.	იუდას სამეფო	ძვ. წ. აღ.	
198	პალესტინა სელევკიდთა ბატონობის უღელქვეშ	203-180	პტოლემაიოს V, ეპიფანესი
		187-175	სელევკოს IV, ფილოპატორი
		180-145	პტოლემაიოს VI, ფილოპატორი
= 170	მღვდელმთავარ ონიაშ III სიკვდილი	175-164/163	ანტიოქოს VI, ეპიფანესი.
167-164	ებრაელთა სარწმუნოებრივი დევნა. ამბოხება		
166-161	იუდა მაკაბელი. ბრძოლა სელევკიდთა უღლის გადასაგდებად	163-162	ანტიოქოს V, ევპატორი
		162-150	დემეტრიოს I, სოტერი
164	იერუსალიმის გათავისუფლება, ტაძრის განახლება და სატფურების („ხანუქას") დღესასწაულის დაწესება	150-145	ალექსანდრე ბალასი
		145-116	პტოლემაიოს VIII, ევერგეტოსი
		145-140	დემეტრიოს II, ნიკატორი
160-143	იონათანი, იუდას მემკვიდრე	145-138	ტრიფონი
145-143	ანტიოქოს IV, დიონისოსი		
143-134	სიმონ მაკაბელი მღვდელმთავარი; ჰაშმონიანთა დინასტიის დასაწყისი	139-129	ანტიოქოს VII, სიდეტესი
134-104	იოანე ჰირკან I. ფარისეველთა, სადუკეველთა და ესეელთა დასების (სექტების) წარმოშობა.		
104-103	იუდა არისტობულ I	65	პონტოს ძლიერი სამეფოს განადგურება. ქართლის და ეგრისის დაპყრობა
103-77	იანიუს ალექსანდრე		
76-67	ალექსანდრა-სალომეა		
67-63	არისტობულ II	64	სელევკიდთა სამეფოს დაცემა. არამის (სირია) რომის პროვინციად გადაქცევა

ბიბლიური ისტორიის ქრონოლოგია		ძველი მსოფლიოს ისტორიის ქრონოლოგია	
ძვ. წ. აღ.	იუდას სამეფო	ძვ. წ. აღ.	
63	იერუსალიმის აღება პომპეუსის მიერ	45/44	იულიუს კეისარი, რომის ერთპიროვნული ხელისუფალი
63-40	იოანე ჰირკან II (მისი შვილიშვილი მარიამნა ცოლად მეორთო ჰეროდემ 37 წელს, რომ მეუფედ გახდომა შეძლებოდა)		
40-37 ძვ. წ.	ანტიგონი	31/30 ძვ.წ.აღ.	ბრძოლა აქციუმთან.
37-ახ.წ.აღ.4	ჰეროდე დიდი	30 ძვ.წ. აღ. - ახ.წ. აღ.14	ოქტავიანე ავგუსტუსი
იესო ქრისტეს შობა			
ახ. წ. აღ	ჰეროდე დიდის სიკვდილის შემდეგ პალესტინა გაიყვეს მისმა ვაჟებმა:	ახ. წ. აღ	
4 - 6	არქელაოსი (იუდეა-სამარია)		
4 - 39	ჰეროდე ანტიპა (გალილეა-პერეია)		
4 - 34	ჰეროდე ფილიპე (ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე)		
დაახლ. 8	საველე ტარსელის დაბადება		
18-36/37	მღვდელმთავარი კაიაფა	14-37	ტიბერიუსი
26-36	პროკურატორი პონტიუს პილატე	30-იანი წლები	ქართლი იბრძვის სომხეთისთვის
30	იოანე ნათლისმცემლის ქადაგება. იესო ქრისტეს მოღვაწეობის დასაწყისი		
32	იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთა		
33	იესო ქრისტეს ჯვარცმა, სიკვდილი, აღდგომა და ამაღლება (საქმე 1,1-14). მატათას გამორჩევა მე-12 მოციქულად (საქმე 1,21-26), მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლა (საქმე 2,1-41) და ეკლესიის დაარსება		

ბიბლიური ისტორიის ქრონოლოგია		ძველი მსოფლიოს ისტორიის ქრონოლოგია	
ახ. წ. აღ.		ახ. წ. აღ.	
34	დაიწყო მოციქულთა დევნა სინედრიონის მხრიდან; შეიდი პიროვნების გამორჩევა და დიაკვნად კურთხევა. პირველმოწამე სტეფანეს მოკვდინება. საულეს პირველი მოხსენიება (საქმე 7,58 - 8,1).		
35	ანანიამ დამასკოში ეკლესია დააარსა.		
37-40	საულეს მოქცევა დამასკოს გზაზე (საქმე 9, 3-9) და ხელდასხმა (9,17-19); ქადაგება დამასკოსა და არაბეთში (საქმე 9, 23-29; 2 კორ. 11, 37; გალ. 1, 17)		
40-44	საულე ბარნაბას საშუალებით წარუდგა მოციქულებს. ქადაგება ტარსსა და ანტიოქიაში (საქმე 9, 30; 11, 22-26; გალ. 1, 21). ამ დროს ანტიოქიაში წარმოიშვა სახელი — ქრისტიანი		
42	მათეს სახარების შედგენა ებრაულ-არამეულ ენაზე მორწმუნე ებრაელთა თხოვნით		
44	ჰეროდე აგრიპა I-ის მიერ ეკლესიის დევნა იუდეველთა საამებლად, მეფის სიკვდილი	37-41	კალიგულა
44	იაკობ ზებედეს ძის მოწამეობრივი აღსასრული	41-54	კლავდიუსი
45	პეტრე მოციქულის შეპყრობა და ანგელოზის მიერ მისი გამოხსნა. ბარნაბასა და საულეს დაბრუნება ანტიოქიაში მარკოზთან ერთად (საქმე 12, 1-25) და სახელად პავლეს დარქმევა		

ბიბლიური ისტორიის ქრონოლოგია		ძველი მსოფლიოს ისტორიის ქრონოლოგია	
ახ. წ. აღ.		ახ. წ. აღ.	
45-46	პავლე მოციქულის პირველი სამახარებლო მოგზაურობა (საქმე 13, 4 – 14, 27)		
46-51	პავლე და ბარნაბა ანტიოქიაში (საქმე 14, 28)		
48	ღმრთისმშობლის მიძინება		
51	მოციქულთა კრება იერუსალიმში; მოსეს სჯულისაგან ქრისტიანთა გათავისუფლება და მისი მხოლოდ ზნეობრივ კანონად აღიარება (15, 2-29; გალ. 2, 1-10)		
52-54	პავლე მოციქულის მეორე მოციქულებრივი მოგზაურობა (15, 40 - 18, 22). აქედან იწყება პავლე მოციქულის წერილობითი (ეპისტ.) მოღვაწეობა		
52-53	მოციქულ პავლეს პირველი და მეორე ეპისტოლეები თესალონიკელთა მიმართ		
52-60	ანტონიუს ფელიქსი – პროკურატორი		
54 აღდგომა	პავლე მოციქული ასურეთში, ეფესოში (18, 18-21)		
54 სულთმოფენობა	პავლე მოციქული იერუსალიმში, დაბრუნება ანტიოქიაში (18, 22)		
54-58	მოციქულ პავლეს მესამე მისიონერული მოგზაურობა (18, 23 - 21, 37).	54-68	ნერონი
56-58	ეფესოდან პავლეს ეპისტოლეები: კორინთელთა მიმართ პირველი, გალატელთა და რომაელთა მიმართ.		
58 აღდგომა	პავლე მოციქული ქალაქ ფილიპეაში (20,6). ეპისტოლეები: კორინთელთა მიმართ მეორე და ტიმოთეს მიმართ პირველი		

ბიბლიური ისტორიის ქრონოლოგია		ძველი მსოფლიოს ისტორიის ქრონოლოგია	
ახ. წ. აღ.		ახ. წ. აღ.	
58 სულთმოფენობა	მოციქულ პავლეს შეპყრობა იერუსალიმში ტაძართან (საქმე 21, 17 – 23, 35)		
58-60	მოციქულ პავლეს პატიმრობა კესარიაში (საქმე 24, 1-26)		
60-62	იაკობის ეპისტოლე		
60 წლის ზაფხული	პავლე მოციქული პროკურატორ პორციუს ფესტუსისა და აგრიპას სამსჯავროზე		
61-63	პირველი რომაული პყრობილობა (საქმე 28, 30-31)		
63	ეპისტოლეები რომიდან: კოლასელთა, ეფესელთა, ფილიპელთა და ფილიმონის მიმართ. იაკობის, უფლის ძმის ჩაქოლვა		
62-63	სახარება მარკოზისა (ქ. რომში)	64	ხანძარი რომში; ქრისტიანთა ფართომასშტაბიანი დევნა
62-63	სახარება ლუკასი (ქ. რომში)		
63	პავლეს გათავისუფლება		
63	მოციქულ პეტრეს I ეპისტოლე		
64	ეპისტოლე ებრაელთა მიმართ		
65	პავლე მოციქული ეფესოში		
64-66	პავლე მოციქულის მახარებლური ღვაწლი ესპანეთში, ეფესოში, მაკედონიაში, ტროასა და კრეტაზე (1 ტიმ. 1, 3 ; 2 ტიმ. 1, 18 ; 4, 13-19; ტიტ.1,5)		
65-66	ეპისტოლე ტიტეს მიმართ		
70 წლამდე	სახარება მათესი ბერძნულ ენაზე		
67	მოციქულ პეტრეს მოწამეობრივი აღსასრული რომში, ჯვარცმა თავდაღმა		
67	პავლე მოციქულის ხელახლა შეპყრობა და სამსჯავრო რომში (2 ტიმ. 4, 6-8; 16-17). ტიმოთეს მიმართ მეორე ეპისტოლე		

ბიბლიური ისტორიის ქრონოლოგია		ძველი მსოფლიოს ისტორიის ქრონოლოგია	
ახ. წ. აღ.		ახ. წ. აღ.	
67	პავლე მოციქულის თავისკვეთა (მოქცევიდან 30 წელი დაუღალავად მოღვაწეობდა)		
66-70	იუდაელთა ომები	69-79	ვესპასიანე
70	ტიტე იერიშით იღებს იერუსალიმს, ქალაქს ანგრევს და ტაძარს გადაწვავს		
70-80	იუდას ეპისტოლე	დაახლ. 78-93	იოსებ ფლავიუსის შრომები: „იუდაელთა ომები“ და „იუდაელთა სიძველენი“
		79-81	ტიტე
		81-96	დომიციანე
95	მოციქულ იოანეს გადასახლება დომიციანეს მიერ კუნძულ პატმოსზე და გამოცხადების დაწერა		
96	ნერვამ გაათავისუფლა იოანე		
97-98	იოანეს პირველი ეპისტოლე (მეორე და მესამე ეპისტოლეები უფრო ადრე უნდა იყოს დაწერილი)	96-98	ნერვა
100	სახარება იოანესი	98-117	ტრაიანე
II ს. დასაწყ. (101 წ.)	მოციქულ იოანეს აღსასრული ტრაიანეს დროს		

XII. იესო ქრისტეს დროინდელი ებრაული კალენდარი

ძველებრაული კალენდრით ახალი წელიწადი შემოდგომით იწყებოდა. ძვ. წ. აღ. 721 წლის შემდეგ სავაჭრო მიზნებისათვის დაიწყეს ასურული კალენდრის გამოყენება, რომლის მიხედვით, ახალი წელიწადი გაზაფხულზე იწყებოდა. ამავე დროს, ებრაულ დღესასწაულებს კვლავ ძველი კალენდრით ზეიმობდნენ. ბიბლიის ტექსტებში შემორჩენილია ძველი ქანაანური კალენდრის 4 თვის სახელი: ეთანიმი – I თვის, ბული (3 მეფ. 6, 38) – II თვის, აბიბი (გამ. 13, 14) – VII თვის, ზიფი (3 მეფ. 6, 1, 37) – VIII თვის.

ებრაულ თვეს 29 ან 30 დღე შეადგენდა – როცა საკრებულო 29-ე დღის შემდეგ დგებოდა, მაშინვე იწყებოდა ახალი თვე; თუ არადა უმატებდნენ კიდევ ერთ დღეს. ამგვარად, თორმეტი თვე შეადგენდა მზის წელიწადზე ნაკლებს. აქედან გამომდინარე, იძულებულნი იყვნენ დროდადრო დამატებითი – მეცამეტე თვე – ეკადარ ჩაერთოთ. ამიტომაც, წლის დასაწყისი, ანდა თვის დასაწყისი ჩვენი კალენდრის სხვადასხვა რიცხვზე მოდიოდა. ქვემოთ მოცემულ კალენდარში მითითებულია ჩვენი კალენდრის თვეები, რომელზეც შეიძლებოდა მოსულიყო ებრაული თვის პირველი დღე.

თვის რიგითობა		თვის დასახელება	დღესასწაულები	თვის დასაწყისი	მიმართულებები
საძღვდ.	საშოქ.				
I.	7.	ნისანი, ანუ აბიბი (მწვანე თავთავები) 30 დღე (გამ. 12, 2; ნეემ. 2, 1)	(1) ახალმთვარეობა (14) პასექი (გამ. 12, 1-5; 13, 3-10). (16) პირველი ძნის მოტანა ქერის მკის პერიოდიდან (ლევ. 23, 10-12)	დაახლ. მარტის ნახევრიდან აპრილამდე	გვიანი ანუ საგაზაფხულო წვიმები (რჯლ. 11, 14); იორდანე დიდება (ისუ ნავესი 3, 15); ქერი მწიფს იერიქონთან
II.	8.	ზიფი ანუ აიარი (ებრ. ყვავილოვან) 29 დღე (3 მეფ. 6,1.37)	(1) ახალმთვარეობა; (14) მეორე პასექი იმათთვისაც, ვისაც არ შეეძლო პირველის აღსრულება (რიცხ. 9, 10-11)	დაახლ. აპრილის ნახევრიდან მაისამდე	ხორბალი თავთავს იკეთებს
III.	9.	სივანი 30 დღე (ესთ. 8, 9)	(1) ახალმთვარეობა (6) ერგასობა, ანუ შვიდეულთა დღესასწაული. პურის მკის პირველ ნაყოფთა მოტანა (ლევ. 23, 17, 20) და მიწის ყველა ნაყოფთა (გამ. 23, 19; რჯლ. 26, 2, 10)	დაახლ. მაისის ნახევრიდან ივნისამდე	ქერის აღება (რუთ. 1, 22); ხორბალი მწიფდება; ხორბლის აღება; გაფხული იწყება; წვიმა არ იცის აპრილიდან სექტემბრამდე (1 მეფ. 12, 17)
IV.	10.	თამუზი 29 დღე (ზაქ. 8, 19)	(1) ახალმთვარეობა (17) მარხვა. იერუსალიმის აღება	დაახლ. ივნისის ნახევრიდან ივლისამდე	სიცხე ძლიერდება
V.	11.	აბი 30 დღე (1 ეზრ. 7, 9)	(1) ახალმთვარეობა (9) მარხვა. ტაძრის დანგრევა.	დაახლ. ივლისის ნახევრიდან აგვისტომდე	მდინარეები შრება, პაპანაქებაა; რთველია (ლევ. 26, 5)

იესო ქრისტეს დროინდელი ებრაული კალენდარი

თვის რიგითობა		თვის დასახელება	დღესასწაულები	თვის დასაწყისი	მიწათმოქმედება
საშღვრ.	საშოქ.				
VI.	12.	ელული 29 დღე (ნეემ. 6, 15)	(1) ახალმთვარეობა	დაახლ. აგვისტოს ნახევრიდან სექტემბრამდე	ჯერ კიდევ ძალიან ცხელა (4 მეფ. 4, 18-20); რთველი მთავრდება (რიცხ. 13, 23)
VII.	1.	ეთანიმი, ანუ თიშრი 30 დღე (3 მეფ. 8,2; 2 ნეშტ. 5,3)	(1) საყვირთა დღე-სასწაული (რიცხ. 29, 1) ახალი წელი. (10) განწმენდის დღე (ლევ. 16), (15) კარავთა დღე-სასწაულის I დღე (ლევ. 23, 34); ღვინისა და ზეთის პირველნაყოფთა შეწირვა (რჯლ. 16, 13)	დაახლ. სექტემბრის ნახევრიდან ოქტომბრამდე	იწყება აღრეული წვიმები (იოვ. 2, 23); იწყება ხვნა-თესვა
VIII.	2.	ბული ანუ მარხეშვანი (წვიმა) 29 დღე (3 მეფ. 6, 38)	(1) ახალმთვარეობა	დაახლ. ოქტომბრის ნახევრიდან ნოემბრამდე	იწყება წვიმები; ხორბალი და ქერი დათესილია; რთველი ჩრდილოეთ პალესტინაში
IX.	3.	ქისლევი 30 დღე (ნეემ. 1, 1)	(1) ახალმთვარეობა (25) განახლების დღესასწაული (კურთხევის) (1 მაკ. 4, 52-59; ინ. 10, 22-23)	დაახლ. ნოემბრის ნახევრიდან დეკემბრამდე	იწყება შამთარი; მთებში ჩამოთოვს
X.	4.	თებეთ 29 დღე (ესთ. 2,16)	(1) ახალმთვარეობა	დაახლ. დეკემბრის ნახევრიდან იანვრამდე	ყველაზე ცივი თვე; სეტყვა, თოვლი (ისუ ნავესი 10,11)

იესო ქრისტეს დროინდელი ებრაული კალენდარი

თვის რიგითობა		თვის დასახელება	დღესასწაულები	თვის დასაწყისი	მოწათმოუხმელება
საძღვ.	სამოქ.				
XI.	5.	შევატი 30 დღე (ზაქ. 1, 7)	(I)ახალმთვარეობა	დაახლ. იანვრის ნახევრიდან თებერვლამდე	სიცივე კლებულობს
XII.	6.	აღარი 29 დღე (ესთ. 3, 7; 9, 27)	(I)ახალმთვარეობა (14) (15) პურიმის დღესასწაული (ესთ. 3, 7; 9, 21-24)	დაახლ. თებერვლის ნახევრიდან მარტამდე	ხშირია ქუხილი, სეტყვა; ნუში აყვავდა.
XIII.	7.	ვეადარი (დამატებითი თვე)	(I)ახალმთვარეობა (2) ესთერის მარხვა. (14) (15) პურიმი	მარტის ბოლოსა და აპრილის დასაწყისში	

XIII. ზომა-წონის ერთეულები ძველ აღთქმაში

ისრაელიანებს ზომა-წონის საკუთარი სისტემა არ გააჩნდათ. ისინი წინა აზიაში გავრცელებული ტრადიციული სისტემებით სარგებლობდნენ:

ა) სიგრძის საზომი ერთეულები: წყრთა – 43 სმ; დიდი წყრთა – 52 სმ; ლერწამი (ეზეკ. 40, 5) –3,3 მ; მხარი (საქმე 27, 28) – 4 წყრთა – 180 სმ; უტევანი (ლკ. 24, 13) – 185 მ; მილი (მთ. 5, 41) – 8 უტევანი – 1480 მ; შაბათის გზა (საქმე 1, 12) – 2000 წყრთა 1040 მ.

ბ) სითხის საზომი ერთეულები: ბათი (ეს. 5,10) – 36,44 ლ; ჰინი (გამ. 29, 40) – 1/6 ბათი – 6,074 ლ; ლოგი (ლევ. 14, 10) – 1/12 ჰინი – 0,506 ლ; ქვის სარწყული (ინ. 2,6) – 39,39 ლ; სამაგდანი (გამოცხ. 6,6) 1,094 ლ.

გ) ფხვიერი ნივთიერების საზომი ერთეულები: ეფა (მსაჯ.6,19) – 36,44 ლ; სეა (დაბ. 18, 6) – 1/3 ეფა –12,148 ლ; ქაბი (4 მეფ. 6, 25) – 1/6 სეა – 2,024 ლ; გომერი (გამ. 16, 16) – 1/10 ეფა – 3,64 ლ; ხომერი (ლევ. 27,16) – 364,4 ლ; ქორი (3 მეფ. 5,12) – 364,4 ლ.

დ) წონის საზომი ერთეულები – ბაბილონური წონითი სისტემა, რომლითაც ებრაელები სარგებლობდნენ, სამოცობითი სისტემა იყო:

1 ქანქარი უდრიდა 60 მინას, 60 მინა – 3600 შეკელს. ამასთანავე, განირჩეოდა მძიმე და მსუბუქი ქანქარი. ბიბლიურ ტექსტებში უფრო ხშირად ეს უკანასკნელი იხმარება. აღნიშნულ სამოცობით სისტემას მოგვიანებით შეენაცვლა ათობითი სისტემა – 1 ქანქარი – 58,944 კგ; 1 მინა (ეზეკ. 45, 12) – 982,4 გ; 1 შეკელი (დაბ. 23,16) – 16,373 გ; 1 ბეკაყი (დაბ. 24, 22) - 1/2 შეკელი – 8,187 გ; 1 გერა (ეზეკ. 45, 12) – 1/20 შეკელი – 0,819 გ.

XIV. ფულის ერთეულები, წონისა და ზომის (სიგრძის) საწყაოი, რომელნიც ახალ აღთქმაში გვხვდება

როგორც აღვნიშნეთ, ისრაელიანებს ზომა-წონის სისტემა არ გააჩნდათ და წინა აზიაში გავრცელებული სისტემებით სარგებლობდნენ. ძველად, ვიდრე ფულის მოჭრას მიყოფდნენ ხელს, ფასს ლითონის წონით განსაზღვრავდნენ. აღებ-მიცემობაში იყენებდნენ ოქრო-ვერცხლის ნივთებს, ზოდებს, სხმულებს, რომელთა წონაც ქისაში გამოკრული სპეციალური საწონი ქვების წონას შეესაბამებოდა (შჯ. 25, 13). მიმოქცევაში ძირითადად ვერცხლი იყო გავრცელებული. ახალაღთქმისეულ დროს პალესტინაში ვაჭრობისას ძირითადად ბერძნულ ან რომაულ მონეტებს იყენებდნენ: 1

იუდაურ, 5 ბერძნულ და 4 რომაულს.

ფულის ერთეულები:

ა) ვერცხლის მონეტები:

მაკაბელთა მიერ მღვდელმთავარ სიმონის დროს მოჭრილი და შემორჩენილი ადრეული მონეტები

1 ოქროს ქანქარი - 49, 16 კგ.

1 ვერცხლის ქანქარი - 43, 65 კგ.

ტალანტი (მთ. 25, 28) – ტალანტი არის არა თვით მონეტის აღნიშვნა, არამედ ლითონის წონისა, ჩვეულებრივ – ვერცხლისა უდრის დაახლოებით 26 კილოგრამს. ტალანტის ღირებულება იცვლებოდა სხვადასხვა ეპოქებში. რომის ბატონობის დროისათვის პალესტინაში ტალანტი დაახლოებით 1500 ამერიკულ დოლარს (1963 წლის კურსით) უდრიდა.

მინა, ანუ ფუნტი (ცირეანქა) – ლკ. 19, 13 – უდრის ტალანტის 1/60-ს ვერცხლის მონეტა, უდრის 100 დრაქმას.

ბერძნული დრაჰმა, უდრიდა რომაულ დინარს (ლკ. 15, 8; მთ. 18, 28), მინას 1/100,

ვერცხლის მონეტა, უდრის 6 ობოლს.

დიდრაქმა უდრის 2 დრაქმას (მთ. 17, 24).

სტატირი (მთ. 17, 27) – ბერძნული მონეტა, უდრიდა 2 დიდრაქმას, იყო ვერცხლისაც და ოქროსიც. ყველაზე გავრცელებული იყო ატიკური ვერცხლის სტატირი, რომელიც უდრიდა 4 დრაქმას.

ბ) სპილენძის მონეტები:

ასსარი (მთ. 10, 29) უდრიდა 4 კოდრატს.

კოდრატი (მთ. 5, 26) – ასსარის 1/4 უდრიდა 2 მწულილს.

ლეპა ანუ მწულილი (მრკ.12, 42).

საწყაოს ერთეულად ახალ აღთქმაში (გამოცხ. 6,6) მოხსენიებულია სამაგდანი (ხინიკი), რომელიც იყო პურის მცირე საწყაო და უდრიდა 1,10 ლიტრს.

სიგრძის საზომები:

წყრთა – (მთ. 6,27) – უდრის 6 ოთხკოჯს, ანუ დაახლ. 50 სმ-ს.

ოთხკოჯი (გამოს. 25, 26) (წყრთის 1/6), – უდრის 4 თითს, დაახლ. 8სმ-ს.

წერხი (წუტი) – (მეორე მჯ. 2, 5) – უდრის 4 ოთხკოჯეულს, ანდა დაახლოებით 33 სანტიმეტრს.

უტეევანი (ლკ. 24,13), დაახლოებით 185 მეტრი.

„მაბათის გზა“ (საქმე 1, 12), უდრის 6 უტეევანს, ანუ 1110 მეტრს.

XV. დღისა და ღამის დაყოფა

ებრაელები აღრიცხავენ დღეს მზის ჩასვლიდან მომდევნო ჩასვლამდე. ჩვეულებრივ, დღედ ითვლება დროის მონაკვეთი მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე, ხოლო ღამედ – მზის ჩასვლიდან ამოსვლამდე.

ძველ დროში ღამე და დღე იყოფა სამ ნაწილად, მაგრამ იესო ქრისტეს ქვეყნიური ცხოვრე-

ბის დროს დღე და ღამე იყოფოდა ოთხ ნაწილად.

დღის (დილის 6 სთ-დან საღამოს 6 სთ-მდე, ჟამი – ერთი საათი) დაყოფა შემდეგი იყო:

მესამე ჟამი – დილის 6 საათიდან 9 საათამდე;

მეექვსე ჟამი – დღის 9 საათიდან 12 საათამდე.

მეცხრე ჟამი – შუადღის 12 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

მეთორმეტე ჟამი – ნაშუადღევის 3 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

ღამის დაყოფა შემდეგნაირი იყო:

პირველი სახუმილავი (საყარაულო) – საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე.

მეორე სახუმილავი – საღამოს 9 საათიდან 12 საათამდე.

მესამე სახუმილავი – საღამოს 12 საათიდან დილის 3 საათამდე.

მეოთხე სახუმილავი – დილის 3 საათიდან 6 საათამდე.

წიგნში გამოყენებული შემოკლებები

წმიდა ოთხთავი

მთ. – მათეს სახარება
მრკ. – მარკოზის სახარება
ლკ. – ლუკას სახარება
ით. – იოანეს სახარება

საქმე – მოციქულთა საქმენი

კათოლიკე ეპისტოლენი

იაკ. – იაკობის ეპისტოლე
1 პეტრ. – პირველი პეტრესი
2 პეტრ. – მეორე პეტრესი
1 ით. – პირველი იოანესი
2 ით. – მეორე იოანესი
3 ით. – მესამე იოანესი
იუდ. – იუდასი

პავლეს ეპისტოლენი

რომ. – რომაელთა მიმართ
1 კორ. – პირველი კორინთელთა მიმართ
2 კორ. – მეორე კორინთელთა მიმართ
გალ. – გალატელთა მიმართ
ეფეს. – ეფესელთა მიმართ
ფილიპ. – ფილიპელთა მიმართ
კოლ. – კოლასელთა მიმართ
1 თეს. – პირველი თესალონიკელთა მიმართ
2 თეს. – მეორე თესალონიკელთა მიმართ
1 ტიმ. – პირველი ტიმოთეს მიმართ
2 ტიმ. – მეორე ტიმოთეს მიმართ
ტიტ. – ტიტეს მიმართ
ფილიმ. – ფილიმონის მიმართ
ებრ. – ებრაელთა მიმართ

გამოცხ. – იოანეს გამოცხადება

წმიდა მიწა ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს დროს

I. პალესტინის გეოგრაფიული მდებარეობა

სიდიდე

პალესტინის ტერიტორია მოიცავს 25 124 კვ.კმ-ს; სიდიდით ერთ-ერთი პატარა ქვეყანაა მსოფლიოში. ევროპის ისეთი მომცრო სახელმწიფოები, როგორიცაა შვეიცარია და ბელგია, ტერიტორიულად მასზე დიდია.

მდებარეობა და საზღვრები

პალესტინა მდებარეობს სირიის სამხრეთ ნაწილში. ჩრდილოეთით ლიბანი, ანტილიბანი და ერმონის მთის სამხრეთის ფერდობები ესაზღვრება; აღმოსავლეთით — სირია-არაბეთის უდაბნო; სამხრეთით მრუდე ხაზითაა გამოყოფილი სინაის ნახევარკუნძულის უდაბნოსგან, ხოლო დასავლეთით ესაზღვრება ხმელთაშუა ზღვა.

იორდანეს ველი

პალესტინას ჩრდილოეთიდან სამხრეთით მთელ სიგრძეზე ორ ნაწილად ყოფს იორდანეს ველი. იორდანეს ველი წარმოადგენს ვეება ნაპრალში აღმართულ ფრიალო კლდეებს შორის გაშლილ სივრცეს. მდინარის კალაპოტს ათას მეტრზე მეტით აღემატება კლდოვანი მთების თხემები. ამ ხეობაში წლის განმავლობაში უმეტესად სულის შემხუთველი სიცხე დგას; ტემპერატურა ზოგჯერ ჩრდილშიც კი 50 გრადუსს აღწევს. იორდანეს ნაპირებზე არასდროს გაუშენებიათ ქალაქები და არ გაუყვანიათ გზები. იორდანე პატარა მდინარეა, სანაოსნოდ არ გამოიყენება, რის გამოც მახლობლად მცხოვრებ ხალხთათვის იგი მიმოსვლის სამუალება არასდროს ყოფილა.

იორდანე სათავეს იღებს ერმონის მთაგრეხილის ჩრდილოეთიდან. მას მთის მთელი რიგი ღელეები უერთდება და ბობოქრად ეშვება მორემის ტბაში, ხოლო 16 კილომეტრის ქვემოთ ერთვის ულამაზეს, მტკნარწყლიან და თევზით მდიდარ გენესარეთის, ანუ ტიბერიადის ტბას, რომელსაც გალილეას ტბასაც უწოდებენ.

ტიბერიადის ტბიდან იორდანე მკვდარი ზღვისკენ მიედინება. ერმონის მთიდან მკვდარ ზღვამდე მდინარის ვარდნის სიმაღლე 914 მეტრს აღწევს და თავის შესართავში მისი დონე 392 მეტრით დაბალია ხმელთაშუა ზღვასთან შედარებით.

მკვდარი ზღვა, რომელსაც იორდანე ერთვის, 920 კვ. კმ-ზე მეტი ფართობის უზარმაზარი ტბაა. ბერძნები ასფალტის ზღვასაც უწოდებდნენ, რადგან მისი წყალი შეიცავს მაე ფისს, ასფალტს, რომელიც ზედაპირზე ტივტივებს. მკვდარი ზღვა ღირს-

შესანიშნავია იმით, რომ ბევრ მარილებსა და სხვა მკვრივ ნივთიერებებს შეიცავს, მთელი მისი მოცულობის დაახლოებით 25%-ს. მასში თევზები, მოლუსკები და წყალმცენარეები არ ცოცხლობს. მკვდარი ზღვის გამჭვირვალე წყალი მწარეა და ისეთი მძიმე, რომ ძლიერი ქარიც კი ძლივს არხევს მის ზედაპირს. ზღვის ნაპირზე ვერც ფრინველსა და მცენარეულობას ნახავთ.

მკვდარი ზღვა ორი აუზისაგან შედგება, რომელთაგან ქვედა, უფრო ღრმა, როგორც ვარაუდობენ, წარმოიქმნა არცთუ ისე დიდი ხნის წინათ; მან შეაესო სოდომის ველი (დაბ. 14, 3), სადაც ზეციურმა ცეცხლმა ქალაქები სოდომი და გომორი მოსპო.

პალესტინის ოლქები

მდინარე იორდანე მთელ პალესტინას ბუნებითა და ისტორიული ბედ-იღბლით მეტად განსხვავებულ ორ ნაწილად ყოფს: იორდანეს დასავლეთით მდებარე ოლქად და იორდანეს აღმოსავლეთით მდებარე მხარედ.

ა) იორდანეს დასავლეთი მხარე

ქვეყნის ეს ნაწილი წარმოადგენს მთაგორიან მხარეს, სადაც მრავლადაა საკმაოდ ვრცელი, მთის ნაკადებით მორწყული ხეობები. იგი იყოფა სამ ოლქად: გალილეად, სამარიად და იუდეად.

1. გალილეა

გალილეა ნაყოფიერებითა და წარმტაცი პეიზაჟით იყო ცნობილი. მასში საკმაოდ ბევრია მცირე შემაღლებანი, რომელთაგან უმთავრესია თაბორის მთა, სადაც უფალმა ფერი იცვალა. ეზდრილონის ვრცელი დაბლობი, რომელსაც ქისონის ღელე რწყავს, ქარმელის ქედისაგან გამოყოფს ამ შემაღლებებს.

გალილეა მრავალრიცხოვანი, შეძლებული და შრომისმოყვარე მოსახლეობისაგან შედგებოდა. გალილეველნი სიცოცხლისუნარიანნი, შემთვისებელნი და ფიცხი ხასიათისანი იყვნენ. უყვარდათ ყოველივე სიახლე და გაბედულად აჰყვებოდნენ ხოლმე ახალ იდეებს. ამავე დროს, ისინი ღრმა რელიგიურობითაც გამოირჩეოდნენ.

გალილეაში ბევრი წარმართიც ცხოვრობდა. მათთან განუწყვეტელმა ურთიერთობამ შემწყნარებელი სული ჩამოუყალიბა გალილეველებს, რაც ასე აკლდათ იუდეას მცხოვრებთ, რომელნიც წერილმანი ფორმალიზმით გამოირჩეოდნენ. იერუსალიმის მცხოვრებნი საყვედურობდნენ გალილეველთ წარმართებთან ურთიერთობისათვის და დასცინოდნენ მათ კუთხურ კილოს. სწორედ ასეთი კილოთი გამოააშკარავა თავი პეტრემ, როცა კაიაფას ეზოში იდგა და მოძღვრის გასამართლების დასრულებას ელოდა (მთ. 26, 73).

გალილეას მთავარი ქალაქები იყო: გენესარეთის ტბის ნაპირას — ტიბერიადა, ქორაზინი

და ბეთსაიდა, რომელიც წმიდა მოციქულების პეტრესა და ანდრიას, აგრეთვე, ზებედეს ძეთა – იოანესა და იაკობის სამშობლო იყო. აქვე მდებარეობდა ქალაქი კაპერნაუმი, სადაც უფალმა საზოგადო მსახურების უდიდესი ნაწილი გაატარა. ნაზარეთში უფალმა თავისი ქვეყნიური ცხოვრების 30 წელიწადი დაჰყო. კანაში მან პირველი სასწაული აღასრულა (ინ. 2, 1-11), ნაინში კი ქვრივი დედაკაცის ძე მკვდრეთით აღადგინა (ლკ. 7, 11-16).

2. სამარია

ეს ოლქი გალილეას სამხრეთით მდებარეობდა. სამარიას მთელი ტერიტორია ხმელთაშუა ზღვის ნაპირას სარონის დაბლობიდან იერუსალიმის სანახებამდე დაფარულია კირქვის მცირე შემაღლებებით. მათგან ყველაზე ცნობილი თხემებია გებალი და გარიზიმი, სადაც მდებარეობდა სამარიტელთა ტაძარი, გელბუის მთები და ბეთილის ბორცვი. ეს მხარე ძველ დროში დღევანდელთან შედარებით ნაკლებად მკაცრი იყო.

სამარიას მთავარ ქალაქს ასევე სამარია წარმოადგენდა. მოსახლეობა აქ სხვადასხვა რასების შერევის შედეგად წარმოიქმნა. ქრისტეს შობამდე 721 წელს ასირიის მეფე სარგონმა ტყვედ წაიყვანა ისრაელიანთა ათი ტომი, რომელთა საცხოვრებელ ადგილებზეც ასირიის სამეფოს სხვადასხვა ადგილებიდან გადმოსახლებულ იქნენ სამხედრო ტყვეთა მთელი კოლონიები. ჩამოსახლებულნი ქვეყანაში დარჩენილ მცირერიცხოვან ისრაელიანებს აღერიენენ, შეითვისეს მათი რელიგიური იდეები, მიიღეს მოსეს ხუთწიგნეული, თაყვანი სცეს იაჰვეს, მაგრამ არც თავიანთი ღმერთებისადმი მსახურება მიუტოვებიათ. ამგვარად, სამარიტელთა რელიგია იყო ჭეშმარიტებისა და ცდომილებების ერთგვარი ნაზავი.

ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნებულმა იუდეველებმა ტაძრის მშენებლობა დაიწყეს. სამარიტელებსაც სურდათ მონაწილეობის მიღება, მაგრამ იუდეველებმა არ მისცეს ნება. მაშინ მათ თავიანთთვის გარიზიმის მთაზე განცალკევებული ტაძარი ააგეს. სამარიტელებმა მხოლოდ მოსეს ხუთწიგნეული მიიღეს, ხოლო წინასწარმეტყველთა ნაწერები და ყველა გადმოცემა უარყვეს. ამიტომ ებრაელები მათ წარმართებად თვლიდნენ და წარმართებზე უარესებადაც; არ იღებდნენ თავიანთ საზოგადოებაში და მათთან არანაირი ურთიერთობა არ ჰქონდათ.

მაცხოვრის ქვეყნიური ცხოვრებისა და საზოგადო მსახურების ჟამს სამარიტელთა ტაძარი პარიზიმის მთაზე უკვე აღარ არსებობდა. იგი ქრისტეს შობამდე 134 წელს იუდეას მეფე იოანე გირკანმა დაანგრია. გამუდმებულმა მგრობამ ამ ორ ხალხს შორის ღრმა უფსკრული წარმოშვა.

3. იუდეა

საზღვარი სამარიასა და იუდეას შორის მეტად პირობითია, მისი ზუსტი დადგენა შეუძლებელია. რელიეფი ზოგადად ისეთივეა, როგორიც სამარიასი, იუდეას მთები სამარიას მთების გაგრძელებაა, მაგრამ მისი ბუნება გაცილებით უფრო ღარიბი და მკაცრია გალილეასა და სამარიას ბუნებასთან შედარებით. დასავლეთით იუდეას მთების ფერდობები სოფილის დაბლობში მთავრდება, სადაც უწინ ფილისტიმელები ცხოვრობდნენ. დაბლობის ხმელთაშუაზღვისპირა ნაწილში ზოგან ქვიშნარი დიუნებია, ხოლო მისი შიდა ნაწილი ნაყოფიერია და უხვ მოსავალს იძლევა.

მცირე გამონაკლისის გარდა, იუდეა მხოლოდ ებრაელებით იყო დასახლებული. მაღლობებსა და მთებზე გაშენებული იერუსალიმი ამ ოლქის ცენტრია. მისი მოსახლეობა 200 000-ს აღწევდა. აქ მდებარეობდა იუდეველთა ტაძარი და ათასობით შესაკრებელი-სინაგოგა, რომლებშიც მრავალი მღვდელი, ლევიტელი და მოძღვარი მსახურობდა. ყოველწლიურად დიდ დღესასწაულებზე იერუსალიმში მთელი იმჟამინდელი მსოფლიოდან ებრაელ მომლოცველთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები ჩამოდიოდნენ.

იდუმეა (მრკ. 3, 8)

ეს არის ედომის ბერძნულ-რომაული სახელწოდება. იგი მოიცავდა იუდეას სამხრეთ ნაწილს და ედომის სანახებს. ქრისტეს მობამდე 126 წელს იდუმეა იოანე გირკალ I-მა (135-104 წწ.) დაიპყრო და მისი მოსახლეობა იუდეველებად მოაქცია.

ბ) იორდანეს მიღმა მხარე (აღმოსავლეთი)

იორდანეს აღმოსავლეთი მხარე წარმოადგენდა ზეგანს, რომელიც მღვის დონიდან 1000 მეტრზე იყო ამაღლებული. იგი უხვწყლიანობითა და ძველთაგანვე მდიდარი საძოვრებით გამოირჩეოდა.

ჩრდილოეთ ნაწილში პალესტინის ეს მხარე მოიცავდა ხუთ ოლქს: იტურიას, გოლანს (ტიბერიადის ტბის აღმოსავლეთით) ქალაქებით – ფილიპეს კესარიათი და იულიათი; ტრაქონიტიდას, უფრო აღმოსავლეთით რომ მდებარეობდა; ბათანეას, რომელიც მოიცავდა მთიან მხარეს – ბასანს და ავრანს.

გოლანის სამხრეთით და ავრანის დასავლეთით იყო მთელი რიგი ქალაქები, რომლებიც სახარებაში ათქალაქადაა წოდებული (ბერძნულად დეკაპოლისი). ეს ქალაქები იავოკის ღელის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა, თუმცა მათი საზღვრების ზუსტი დადგენა დღეს შეუძლებელია.

იორდანეს მიღმა მხარის სამხრეთი ნაწილი იწოდებოდა გალაადად, ანდა პერეიად, თუმცა ამ სახელით ხშირად მთელი ეს მხარეც მოიხსენიებოდა. იგი გამოირჩეოდა არათანაბარი, უსწორმასწორო ზედაპირითა და ველური

ბუნებით, ასევე დიდი ნაყოფიერებით. პერეას უმნიშვნელოვანესი ქალაქები იყო: პელა და ფილადელფია, ანუ ამონიტისრაბა.

წმიდა მახარებელი ლუკა იხსენიებს აბილინეასაც (აბილენე). ასე იწოდებოდა დამასკოს ჩრდილოეთით მდებარე მხარე, რომლის მთავარი ქალაქი იყო აბილა; თუმცა ეს ოლქი პალესტინას არ ეკუთვნოდა.

როდესაც უფალი იორდანეს მიღმა მხარეში ქადაგებდა, მის მოსასმენად მისულ მრავალრიცხოვან ერს უმეტესწილად, ალბათ, სწორედ ამ ადგილებში მცხოვრები ებრაელები შეადგენდნენ, აგრეთვე ის წარმართებიც, რომლებიც თანაუგრძნობდნენ და ესწრაფოდნენ იუდაიზმს.

II. პალესტინის პოლიტიკური მდგომარეობა ქრისტეს დროისთვის

ქრისტეს შობამდე 63 წელს პალესტინა რომაელებმა დაიპყრეს და რომის იმპერიის სირიის პროვინციას შეუერთეს. გარკვეული ხნის შემდეგ, 37 წელს, იუდაური რელიგიის აღმსარებელმა იდუმეას მთავარმა პეროდემ, დიდად წოდებულმა, რომის სენატისაგან მეფის ტიტული მიიღო და ორმოცი წლის მანძილზე განაგებდა მთელ პალესტინასა და იდუმეას (ცნობილია, იდუმეა სამხრეთით ესაზღვრება იუდეას; იდუმეელნი ისააკის უფროსი ძის – ესავის შთამომავალნი არიან, რომელმაც ერთი ულუფა ოსპის შეჭამადის ფასად დაუთმო თავისი პირმშოობა ძმას – იაკობს). ქვეშევრდომთა მიმართ პეროდე სასტიკი და სისხლისმსმელი ტირანი იყო, მაგრამ ამასთანავე მოხერხებული მმართველი. ბერძენ მეფეთა მიბაძვით, იგი ახალ ქალაქებს აარსებდა. იმისათვის, რომ პოპულარული ყოფილიყო, აგებდა თეატრონებს, ბერძნულ გიმნაზიებს, შენობებს – სხეულის წვრთნა-ვარჯიშისათვის. მანვე ააშენა იპოდრომი, გააფართოვა მსოფლიომი თავისი დიდებულებით ცნობილი იერუსალიმის ტაძრის გალავანი.

სწორედ ამ პეროდეს მმართველობისას იშვა ხორციელად უფალი ჩვენი იესო ქრისტე და მისივე ბრძანებით ამოწყვიტეს ბეთლემელი ყრმები.

პეროდეს სიკვდილის შემდეგ სამეფო მისმა სამმა ძემ გაიყო: უფროსმა არქელაოსმა იუდეა, სამარია და იდუმეა მიიღო; პეროდე ანტიპამ – გალილეა და პერეა; ხოლო ფილიპემ – პალესტინის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი (ტრაქონიტიდა მიმდებარე ოლქებითურთ). თუმცა, როცა ასეთ დაყოფას ამტკიცებდა, რომის იმპერატორმა ავგუსტოსმა არ ისურვა

სამეფო ღირსებაც მიენიჭებინა არქელაოსისათვის და მხოლოდ ეთნარქის ტიტული დაუტოვა (ეს სიტყვა, საკუთრივ, მმართველს, გუბერნატორს ნიშნავს), მისმა ძმებმა კი ტეტრარქების ტიტული მიიღეს (ეს სიტყვა თავდაპირველად პროვინციის მეოთხედის მმართველს აღნიშნავდა, მოგვიანებით კი ასე უწოდებდნენ სხვადასხვა წვრილ მმართველთ, რომელთა ღირსებაც მეფისაზე ნაკლები იყო).

არქელაოსი მალე დაამხვეს (6 წ. ქრისტეს შემდგომ), რადგან მეტად ავიწროებდა ქვეშევრდომთ. მისი სამფლობელო რომის პროკურატორის (გუბერნატორის) გამგებლობაში გადავიდა. იუდეას, სამარიას და იდუმეას რომაელი მმართველი განაგებდა, რომელიც მეთაურობდა ჯარებს, კრეფდა გადასახადებს; უმძიმესი ბოროტმოქმედებისათვის დამნაშავის სიკვდილით დასჯის უფლებაც ჰქონდა მინიჭებული, ამასთან იგი რომის იმპერატორის სახელით მოქმედებდა. იუდეას რომაელი პროკურატორი ამავე დროს დამოკიდებული იყო რომის სხვა მმართველზე – სირიის ლეგატზე, რადგან პალესტინა სწორედ ამ პროვინციაში შედიოდა.

იუდეას პროკურატორთა ძირითადი ადგილსამყოფელი ქალაქი კესარია იყო, მაგრამ დღესასწაულებზე, განსაკუთრებით კი პასექის დროს, ისინი იერუსალიმს გადასახლდებოდნენ ხოლმე, რათა ახლოდან ედევნებინათ თვალყური წესრიგისათვის და მალე ჩაეხშოთ შფოთი და აჯანყება, რომლებიც ხშირად იფეთქებდა ხოლმე დღესასწაულთა დროს. რომის მეხუთე ასეთი პროკურატორი იყო პილატე პონტოელი (26-36 წწ.). სულ მალე უფლის ჯვარცმის შემდეგ, იგი გადაყენეს სამარიტელთა დახოცვისათვის და გალიის ქალაქ ვიენში (დღევანდელი საფრანგეთი) გადაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

გალილეას და პერეას ტეტრარქი ჰეროდე ანტიპა (4-39 წწ.) მოხერხებული, ქედმაღალი და გარყვნილი მმართველი იყო. მოიშორა რა სჯულიერი მეუღლე, თავისი ძმის, ფილიპეს ცოლ ჰეროდიადაზე დაქორწინდა, რამიც იგი წმიდა იოანე ნათლისმცემელმა ამხილა (მრკ. 6, 18). ამით გაბოროტებულმა ჰეროდიადამ მიაღწია იმას, რომ უფლის წინამორბედი სიკვდილით დაესაჯათ. სწორედ ამ ჰეროდე ანტიპასთან წარგზავნა პილატემ იესო ქრისტე, როცა იუდეველებმა განსასჯელად მიუყვანეს და მისი ჯვარცმა სთხოვეს.

სახარების მოვლენებიდან რამდენიმე წლის შემდეგ რომის იმპერატორმა კალიგულამ ჰეროდე ანტიპა გალიის ქალაქ ლიონში გადაასახლა. გადმოცემით, სწორედ იქ დაიღუპა მისი ახალგაზრდა ქალიშვილი, რომლის თხოვნითაც ჰეროდემ იოანე ნათლისმცემელის სიკვდილით დასჯა ბრძანა: ზამთარში ყმაწვილი ქა-

ლი გაყინულ მდინარეზე გადაღიოდა, ყინული ჩატყდა და ყინულის დაბრულმა ლოდმა თავი მოპკვეთა. მისი სხეული ვეღარ იპოვეს. ასე მიეზღო მას წმინდანის თავის მოკვეთისათვის.

ხალხის ჩვეულებისამებრ, წმიდა მარკოზ მახარებელი „მეფეს“ უწოდებს ანტიპას (6,14), ხოლო წმიდა მათე მახარებელი მას ნამდვილი ტიტულით – „ოთხთა მათ სამთავროთა მთავრად“ – მოიხსენიებს.

იტურეას მთავარი ფილიპე ხანგრძლივი მეფობის მემდგომ უმეილოდ მოკვდა (34 წ.). მის შესახებ მწირი ცნობებია შემორჩენილი. ფილიპეს სამფლობელო რომის იმპერიის სირიის პროვინციას შეუერთეს.

III. ქრისტე მაცხოვრის საყოველთაო ქადაგება. განთესილი უდაბნოში. წარმართული მსოფლიოს მდგომარეობა

ებრაელი ერის ბაბილონის ტყვეობაში ყოფნას, გარდა იმისა, რომ იგი იუდეველთათვის მათ მიერ საღმრთო მცნებების დარღვევის გამო მოვლენილი სასჯელი იყო, ჰქონდა კიდევ სხვა, მთელი კაცობრიობისათვის უფრო ღრმა და დიდი მნიშვნელობა. მანამდე ღვთის რჩეული ერი მთელი მსოფლიოსაგან განსხვავებით მეტ-ნაკლებად განკერძოებულად ცხოვრობდა და ჭეშმარიტი სარწმუნოების ნათელიც მხოლოდ იშვიათად, ცალკეულ შემთხვევებში თუ აღწევდა აღთქმული ქვეყნის საზღვრებს გარეთ. „ჟამთა აღსრულების“ მოახლოებასთან ერთად, რწმენის ნათელს უნდა გამოებრწყინა მათთვის, ვინც კი წყვდიადსა და სიკვდილის აჩრდილქვეშ ცხოვრობდა, ანუ ყველა წარმართთათვის, რომელნიც მანამდე კერპთაყვანისმცემლობის სიბნელით იყვნენ გარემოცულნი. მრისხანე ასირიელ-ბაბილონელი დამპყრობლები ამ დიად საქმეს საკვირველი სახით უნებლიედ (ისე, რომ არ ჰქონდათ ეს შეგნებული) შეეწივნენ და მძლავრ იარაღად ემსახურნენ უზენაეს საღმრთო განგებულებას. როცა ღვთის რჩეული ერის საუკეთესო ნაწილი ტყვედ წაასხეს თავიანთ ქვეყანაში, რომელიც წარმართული რელიგიისა და განათლების ცენტრს წარმოადგენდა, ამით ჭეშმარიტი სარწმუნოების მქადაგებლები და მისიონერები დაასახლეს იქ, რათა რწმენის ნათელს კერპთაყვანისმცემლობის წყვდიადი გაეფანტა.

ებრაელების გავლენა ნაწილობრივ დამპყრობ მეფეებზეც ვრცელდებოდა, როგორც ეს ნაბუ-

ქოდონოსორისა და კიროსის მაგალითიდან ჩანს. იმ დროიდან მოყოლებული ებრაელი ერი ერთგვარად მსოფლიო ერად ჩამოყალიბდა: ბაბილონის ტყვეობიდან აღთქმულ მიწაზე მხოლოდ მისი უმნიშვნელო ნაწილი დაბრუნდა; უმრავლესობა მესოპოტამიაში დარჩა, იუდეველთა ნაწილი ყველა მიმართულებით განითესა. მათ ყველგან დიდი ზეგავლენა მოახდინეს წარმართული მსოფლიოს ბედ-იღბალზე.

თავდაპირველად განთესილი იუდეველები სამ დიდ ნაწილად დაიყვნენ: ბაბილონის, სირიისა და ეგვიპტის იუდეველებად. შემდგომში ალექსანდრე დიდისა (მაკედონელი) და რომაელთა დაპყრობითმა ომებმა მნიშვნელოვნად გააფართოვა იუდეველთა განთესვის არეალი. მსოფლიოში მომხდარმა შემდგომმა გადატრიალებებმა უჩვეულოდ აამოძრავა ერები. დამპყრობთა გადასახლებებსა თუ რეწვის მძლავრ ნაკადებს იუდეველი ხალხის გაფანტული, დაშორიშორებული ნაწილები უმორეს ქვეყნებში გადაჰყავდა. ალექსანდრე დიდის მემკვიდრემ აზიაში, სირიის ახალი სამეფოს დამაარსებელმა სელევკიოს ნიკატორმა მრავალი მათგანი თავისი სამეფოს უმთავრეს ქალაქებში გადაასახლა იმ იმედით, რომ იუდეველთა ფხიანობა, რეწვითი ნიჭი და აღმშენებლობითი უნარი სამეფოს აყვავებას შეუწყობდა ხელს. რამდენიმე ხნის შემდეგ დამასკოში უკვე ათასობით ებრაელი ცხოვრობდა, რომელთაც რამდენიმე სინაგოგა ჰქონდათ. უფრო მეტნი იყვნენ ისინი ანტიოქიაში, რომელიც შემდგომ აღმოსავლეთში ბერძნული კულტურის ცენტრად იქცა. ანტიოქე ეპიფანეს დევნამ ებრაელები კი არ გაანადგურა, არამედ მხოლოდ ის გამოიწვია, რომ ებრაელთა გავლენამ შეაღწია სახელმწიფოს უშორეს ნაწილებში, სადაც დევნილი იუდეველები თავშესაფრის საძებრად გარბოდნენ. სწორედ ამ დროს შეაღწიეს მათ აღმოსავლეთით—მიდიაში და განსაკუთრებით ადიაბენის სამეფოში (დღევანდელი ქურთისტანი, მდინარე ტიგროსის ჩრდილო-აღმოსავლეთით), სადაც ებრაელთა გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ თვით დედოფალი ელენე და მეფისწული იზატი იუდაიზმის პროზელიტები გახდნენ.

მდინარე ევფრატის ერთ მხარეს იუდეველები მრავალ აღგილას იყვნენ გაბნეულნი, განსაკუთრებით პალმირაში და თვით სვებედნიერ არაბეთის ქალაქებშიც. ბევრი ებრაელი ცხოვრობდა საქართველოს — იბერიის, არმენიისა და მცირე აზიის ქალაქებსა და სოფლებში. ანტიოქე დიდმა (223-187 წწ.) ებრაელთა რამდენიმე ათასი ოჯახი მესოპოტამიიდან (შუამდინარეთიდან) ფრიგიასა და ლიდიაში გადაასახლა და საგანგებო შეღავათებიც მიანიჭა. მცირე აზიიდან იუდეველები უკვე საკუთარი რეწვით და გერგილიანობით ეგეოსისა და ხმელთაშუა

ზღვის ყველა კუნძულზე განიბნენ და საბერძნეთისა და მაკედონიის უმთავრეს ქალაქებშიც შეაღწიეს – ფილიპეს, თესალონიკს, ბერიას, ათენსა და კორინთოში, სადაც მათ სინაგოგები ან სამლოცველო სახლები ჰქონდათ. სამეწარმეოვაჭრულმა სულმა ისინი უფრო შორს დასავლეთისაკენ წაიყვანა. მათ ახალი მსოფლიო მონარქიის ცენტრს – რომსაც მიაღწიეს; ესპანეთში, ოქროსა და ვერცხლის მაღაროებით მდიდარ ქვეყანაში მათ დიდი გამორჩენის იმედი ჰქონდათ.

პომპეუსმა ბევრი იუდეველი გადაასახლა რომში როგორც ტყვეები, რომლებიც გაათავისუფლეს (ამატი – თავისუფალი) შემდგომ რომის მოქალაქეები გახდნენ და მათთვის საგანგებოდ გამოყოფილ კვარტალში, მდინარე ტიბრის გაღმა ცხოვრობდნენ. იმპერატორ ავგუსტუსის დროს მათი რაოდენობა რომში უკვე რვა ათასს აღწევდა, მერე კი ისე გამრავლდნენ, რომ მომდევნო იმპერატორები იძულებულნი გახდნენ, ისეთი მკვეთრი ზომებისათვის მიემართათ, როგორიც იყო ებრაელთა განდევნა რომიდან (ცნობილია იმპერატორების – ტიბერიუსისა და კლავდიუსის ბრძანებულებანი, რომლებიც იუდეველებს რომის დატოვებას განუჩინებდა).

შემდგომში იუდეველნი ჩრდილოეთ აფრიკის მთელ სანაპიროზეც დასახლდნენ, განსაკუთრებით კი დიდ ქალაქ კვირინეაში, საიდანაც იუდეველი მომლოცველები ხშირად ჩადიოდნენ იერუსალიმში (მთ. 27, 32 – სვიმონ კვირინელი), და ბოლოს, იუდეველთა დასახლებანი, ფილონის მოწმობით, იყო ლიბანის მთათაგან თვით ეთიოპიამდეც კი, სადაც ისინი, ალბათ, არაბეთიდან გადავიდნენ, რომელთაც მუდმივი სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ამ ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი ეგვიპტესთან. დედოფალ კანდაკიას მეჭურჭლეთუხუცესი ეთიოპიიდან იყო და ის გარემოება, რომ იგი იუდაიზმის პროზელიტი გახდა, იუდეველთა დიდ გავლენაზე მიუთითებს.

უეჭველია, რომ იუდეველთა გაბნევის ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი ეგვიპტეში ქალაქი ალექსანდრია იყო. ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქრისტეს შობამდე 332 წელს დაარსებული ეს ქალაქი რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში მსოფლიოს ერთერთ ყველაზე ცნობილ ცენტრად ითვლებოდა. იმ დროს, როცა საკუთრივ ნილოსის ველზე ძველ ეგვიპტელთა მთამომავლები თავიანთი რელიგიითა და წეს-ჩვეულებებით კელავაც განაგრძობდნენ ცხოვრებას, დელტის ქალაქები და განსაკუთრებით ალექსანდრია ბერძნებითა და ებრაელებით გაივსო. მატერიალური სიმდიდრის, ულამაზესი ქუჩა-მოედნებისა და შენობების გარდა, ალექსანდრია სახელგანთქმული იყო მეცნიერული ცხოვრების უჩვეულო გამოცოცხლებითაც.

პტოლომეოს I-მა იქ ცნობილი

მუზეუმი დააარსა, სადაც მოთავსებული იყო ალექსანდრიის ბიბლიოთეკა ძვირფასი წიგნების დიდი სიმრავლით. აქვე იყო სამყოფელი მეცნიერთა, მხატვართა და პოეტთათვის, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიოდნენ ალექსანდრიაში, რათა ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძარში დაეყოთ ხანი.

მეცნიერულ ცხოვრებასთან ერთად ალექსანდრიაში რეწვითხელოსნური და სავაჭრო საქმიანობაც დუღდა. ამ ქალაქის სავაჭრო ურთიერთობათა არეალი არაბეთსა და ინდოეთს, მცირე აზიის ქვეყნებსა და ხმელთაშუა ზღვის ნაპირებს მოიცავდა. იუდეველთა მდგომარეობა მსოფლიო ცხოვრების ცენტრში, სადაც მათი პირველი ნაკადი ამ ქალაქის დამაარსებელმა – ალექსანდრე დიდმა გადმოასახლა, ძალზე სასურველი იყო. ებრაელები მთავრობის მფარველობით სარგებლობდნენ და ყველა სახის რეწვით-სავაჭრო საქმიანობას მისდევდნენ; ცხოვრობდნენ დამოუკიდებელ, განკერძოებულ თემად და თავიანთი წინამძღოლის – ალაბარქის მიერ იმართებოდნენ, რომელმაც შემდგომში თავისი ხელისუფლება უხუცესთა საგანგებო საბჭოსთან გაიანაწილა. ისინი აღმსარებლობის მხრივაც მეტად ხელსაყრელ მდგომარეობაში იყვნენ, რადგან ილიოგოპოლის ქალაქ ლეონტოპოლში საკუთარი ტაძარი ჰქონდათ აგებული პირველმღვდელმთავარ ონიას მიერ ქრისტეს შობამდე 150 წელს მოსეს სჯულის კარავის მიხედვით. მასში ღვთისმსახურება იმავე წესით აღესრულებოდა, როგორც იერუსალიმის ტაძარში.

ერთი სიტყვით, ბაბილონის ტყვეობის შემდეგ იუდეველები მთელ იმჟამინდელ მსოფლიოში განიბნენ. რომაელი გეოგრაფი სტრაბონი არც თუ უსაფუძვლოდ აღნიშნავს: „ალბათ ვერც ვნახავთ ქვეყნად ისეთ ადგილს, სადაც ეს ნათესავი არ იქნებოდა და რომელსაც იგი არ ეუფლებოდა“. ალექსანდრიელი იუდეველი მწერალი ფილონი დასძენს: „იუდეველნი ისე როდი არიან, როგორც სხვა ერები – ჩაკეტილნი თავიანთი ქვეყნის საზღვრებში: ისინი თითქმის მთელ ქვეყნიერებაზე მკვიდრობენ და განთესულნი არიან ყველა მატერიკასა და კუნძულზე“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მთელ მსოფლიოში მათი ასეთი გაფანტულობისა, იუდეველები არ ჩაკარგულან უცხოტომელთა შორის და მაინც ერთ მთლიან ერს შეადგენენ, შეკავშირებულს მტკიცე შესაკრავით. მართალია, მათ მიივიწყეს მშობლიური ენა, ლაპარაკობდნენ და წერდნენ უპირატესად ბერძნულ ენაზე, რის გამოც იწოდებოდნენ კიდეც ელინისტებად, მაგრამ საერთო რწმენა ერთი ცხოველი ღმრთისა, რომელიც მარადის ბრუნავდა თავის რჩეულ ერზე, იუდეველებს არა მხოლოდ

უპირატესობის გრძნობას უნერგავდა სხვა წარმართ ხალხებზე მათი მკვდარი და არარა „ღმერთებითურთ“, არამედ მათთან შერევისგანაც იცავდა. მათი მიჯაჭვულობა მოსეს სჯულისადმი ასევე ხელს უწყობდა ებრაელთა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას, შეგრძნებას იმისას, რომ ეს ერი განსხვავდებოდა გარშემო მყოფი ერებისგან და აღემატებოდა მათ. ამ სჯულით განისაზღვრებოდა მათი ცხოვრების ყოველი ნაბიჯი, დადგენილი იყო მათი წეს-ჩვეულებები და ცხოვრებისა და საქმიანობის ნებისმიერ გამოვლინებას ენიჭებოდა რელიგიური მნიშვნელობა. ამ ყველაფერმა აღმართა ის გაუვალი კედელი, რომელიც სამუალებას არ აძლევდა ებრაელებს, წარმართ ერებს აღრეოდნენ. გარდა ამისა, მათ ჰქონდათ საერთო წმიდა წერილი, რომელზეც მთელი ერი აღიზრდებოდა, განიმსჭვალებოდა იმ სულით, რომელსაც წარმართულ სამყაროსთან საერთო არაფერი ჰქონდა. წმიდა წიგნებისაგან მიღებული სწავლების შევსება სინაგოგაში ხდებოდა. სადაც უნდა ეცხოვრათ იუდეველებს, ისინი შაბათობით იკრიბებოდნენ თავიანთ სინაგოგებში,რომლებიც მათთვის საღმრთო სჯულის სკოლებს წარმოადგენდა, რათა ერთად ელოცათ, ერთურთი დაემოძღვრათ და საღმრთო წერილის ახსნა-განმარტებანიც მოესმინათ. ეს შეკრებები ხელს უწყობდა და განამტკიცებდა ებრაელი ერის ერთობას და ურთიერთკავშირს.

ებრაელი ერის ერთიანობის მესანარჩუნებლად ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი საშუალება იყო ის, რომ იუდეველთ გამუდმებული ურთიერთობა ჰქონდათ იერუსალიმთან, როგორც იუდაიზმის ცენტრთან. მსოფლიოს ყველა კუთხიდან სხვადასხვა ებრაული თემები საგანგებოდ უფლებამოსილ პირთა მეშვეობით იერუსალიმში ყოველწლიურად აგზავნიდნენ დაკანონებულ ხარკს ნახევარი წონა ვერცხლის ოდენობით, აგრეთვე უხვ ძღვენს. იერუსალიმში ჩადიოდა ყველა, ვისაც კი მნიშვნელოვანი საქმეები უნდა გადაეწყვიტა პირველმღვდელმთავართან, ანდა სინედრიონის წინაშე, აგრეთვე ის იუდეველნიც, რომელთაც სკოლებში უმაღლესი განათლების მიღება სურდათ. და ბოლოს, ყოველწლიური იუდაური დღესასწაულები ათასობით მომლოცველთ იზიდავდა იერუსალიმში და ისინიც ქვეყნიერების ყველა კუთხიდან მოედინებოდნენ აქეთ. იერუსალიმიდანაც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მიემგზავრებოდნენ მწიგნობარნი, რომელნიც „ბრძენთა“ სკოლებში განათლების მიღების შემდეგ თავიანთი საქმიანობისათვის ასპარეზს სხვადასხვა ქვეყნებში განთესულ თანატომელთა შორის ეძებდნენ. იერუსალიმიდან ყოველწლიურად ყველა იუდაურ თემს ეგზავნებოდა კალენდრები, რომლებშიც განსაზღვრული იყო სამღვდელმსა-

ხურო ქამნი. ასევე წარიგზავნებოდნენ საგანგებო მაცნეები უწყებით მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, რომელნიც იუდაურ სამყაროს შეეხებოდა.

ამგვარი გაცხოველებული ურთიერთკავშირის შედეგი იყო ის, რომ მთელ ქვეყანაში გაბნეულ იუდეველებს ცხადად ჰქონდათ შეგნებული, რომ ისინი წარმოადგენდნენ ერთიან ერს. საკმარისი იყო იერუსალიმს უწყება ჩასულიყო, რომ რომელიმე იუდაური თემი სადმე დუნაისპირას, ან ლიბიის უდაბნოში მიმშილს ან გაჭირვებას განიცდიდა, რომ მთელი იუდაური სამყარო ამოძრავდებოდა და შეჭირვებული ძმების დასახმარებლად იჩქაროდა.

ებრაელთა ეროვნულმა გამორჩეულობამ და იუდეველთა მჭიდრო ურთიერთკავშირებმა იმთავითვე ეჭვისა და მტრობის გაღვივება დაიწყო წარმართ ერებში. ამ უსიამოვნო გრძნობამ მეტი ძალით იფეთქა, როცა იუდეველებმა სავაჭრო საქმეებშიც ძლიერ მეტოქეებად გამოავლინეს თავი და ხელში ჩაიგდეს ამა თუ იმ ქვეყნის მრეწველობა. მათი საქმიანობის მთავარ საგანს ვაჭრობა წარმოადგენდა. წერილი ვაჭრობა და მცირე მოცულობის ფულადი მიმოქცევა თითქმის მთლიანად ებრაელთა ხელში იყო. ალექსანდრიაში პურით ვაჭრობა თითქმის მათ მიერ კონტროლდებოდა. ებრაელებივე იყვნენ ლამის ის ერთადერთი შუამავლები, რომელთა მეშვეობითაც რომს ურთიერთობა ჰქონდა მორეულ აღმოსავლეთთან. საერთოდაც, სადაც ფულის შოვნა შეიძლებოდა, იქ უსათუოდ გამოჩნდებოდა ხოლმე იუდეველი. ჩვენ ვხედავთ მათ რომში მეცნიერების, პოეტების, მსახიობებისა და მომღერლების ამპლუაში. მრავალმა მათგანმა უმარმაზარი ქონების მოგროვება მოასწრო და ებრაელთა გაელენა სამეფო სასახლეებშიც კი იგრძნობოდა. ყოველივე ეს ბუნებრივად აღძრავდა იუდეველთა წინააღმდეგ ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას, რომელიც ხშირად მათ ფულად კაბალამი ხვდებოდა.

ქრისტეს მობისათვის მთელი წარმართული სამყარო, თვით მათი საუკეთესო მწერლებიც კი, ებრაელთა მიმართ უკვე მტრულად და ზიზღით იყვნენ განწყობილნი. მათ შესახებ სამინელი თქმულებანი ვრცელდებოდა. ებრაელთა წინაპრებად მიიჩნეოდნენ ეგვიპტიდან გაძევებული კეთროვნები. უდაბნოში, როცა ისინი უწყლოობისაგან ევნებოდნენ, ერთმა სახედარმა უჩვენა მათ წყარო და ამიტომაცაა, რომ ებრაელები ვირს ეთაყვანებიან, როგორც ღმერთსო. ისეთი სერიოზული მწერალი, როგორიც მემატიანე ტაციტუსია, ფიქრობდა, რომ მოსემ მათ ყოველგვარი ადამიანური ნორმებისა და ზნეობის საწინააღმდეგო კანონები მისცა. ღორის ხორცის ჭამის აკრძალვა კი რომაელ იუმორისტთა გონებამახვილობის ამოუწურავი თემა გახლდათ. სა-

დაც არ უნდა გამოჩენილიყო იუდეველი, მას უსათუოდ თან სდევდა დაცინვა წარმართთა მხრიდან. თეატრალურ სცენაზე იგი მუდმივად უკბილო მახვილსიტყვაობის საგანს წარმოადგენდა და ყოველთვის სიცილ-ხარხარს იწვევდა, ხოლო ქუჩაში ებრაელი იძულებული იყო, საკმაოდ უხეში უსიამოვნებანი დაეთმინა ბრბოსაგან, რაც ხშირად ხოცვა-ჟლეტაში გადაზრდილა და აუცილებელი ხდებოდა ხელისუფლების ჩარევა, რაც არაერთხელ მომხდარა ალექსანდრიასა და ანტიოქიაში.

მიუხედავად წარმართული სამყაროს ასეთი მიმართებისა იუდეველთადმი, წარმართებიც არ უარყოფდნენ ამ სამყაროზე მათ გავლენას, რომელიც წლიდან წლამდე იზრდებოდა. ამას ხელს უწყობდა წარმართული მსოფლიოს მდგომარეობაც. იგი უკვე დაცემისა და გახრწნის საფრთხის წინაშე იდგა. აღმოსავლეთის დიდი მონარქიები — ეგვიპტის, ასირიის, ბაბილონისა და სპარსეთის — ერთმანეთის მიყოლებით ქრებოდნენ. ალექსანდრე მაკედონელმა სცადა თავისი მონარქიის აღდგენა ბერძნული კულტურის ნიადაგზე, თუმცა მის მიერ შექმნილი მონარქია სულ მალე ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე ნაწილად დაიშალა და რომის ნადავლად იქცა. და აი, სწორედ წარმართული რომი გახდა მთელი მსოფლიოს მბრძანებელი. რომაულმა არწივებმა ძლევამოსილად გადაიარეს უზარმაზარი ტერიტორია ევფრატის ნაპირებიდან აღმოსავლეთში, პერკულესის სვეტებამდე დასავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროდან სამხრეთში, ბრიტანეთის კუნძულებამდე ჩრდილოეთში. მათი მონაპოვარი გახდა თითქმის მთელი იმჟამინდელი მსოფლიო, სადაც კაცობრიობის ძველი ისტორია წარიმართა; იგი მოიცავდა ახალ ქვეყნებსაც ნახევრად ველური ხალხებითურთ, რომელნიც კულტურულ აღორძინებას მოელოდნენ. რომაელთა მიერ გაკეთებულმა შესანიშნავმა სამხედრო გზებმა ერთმანეთს დააკავშირა უშორესი ქვეყნები. რომაულმა მმართველობამ და საყოველთაოდ გავრცელებულმა ენამ ერთმანეთთან დააახლოვა მთელი ცივილიზებული მსოფლიოს ხალხი და დასაბამი მისცა რელიგიის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მრეწველობის საოცარ, არნახულ განვითარებას კაცობრიობის ისტორიაში.

რომი, ვითარცა მსოფლიოს დედაქალაქი, ყოველივე საუკეთესოს შეიწოვდა და შეკრებდა, რაც კი იყო მაშინდელ მსოფლიოში, მისგან კი ყველა მიმართულებით ვრცელდებოდა თავისებური რომაული ცივილიზაცია, ჩატანილი რომის ლეგიონების, მმართველების, მწერლების, ვაჭრებისა და ყველა სახის მრეწველების მიერ. ხალხთა ამ უჩვეულო ურთიერთგამდიდრებამ დიდი გეგავლენა მოახდინა წარმართული სამყაროს რელიგიურ-მნეობრივ მდგო-

მარეობაზე. რომში ერთმანეთს შეეჯახა ყველანაირი წარმართული კულტურა. მათ უსასრულო მრავალფეროვნებას უცილობლად უნდა მიეყვანა ადამიანები იმ მეგნებამდე, რომ წარმართული „ღმერთები" თვით ამ ხალხთა მიერ შექმნილი კერპებია და მათ სულაც არ ძალუძთ დააკმაყოფილონ ადამიანის მოთხოვნილება, ეპყრას და სწამდეს რელიგიის უპირობო ჭეშმარიტება.

ყველაზე მძაფრად ამან რომაელებზე იმოქმედა, რომელთა რწმენასაც თავიანთი ღმერთებისადმი ჯერ კიდევ მანამდე ბერძნული ფილოსოფიური თხზულებების გავრცელებით გამოეცალა საფუძველი, რომლებმიც პირდაპირ დასცინოდნენ ოლიმპოს მკვიდრთ, ვითარცა ყრმათა გონების აღმონაცენთ. რადგან ადამიანს არ ძალუძს რელიგიის გარეშე არსებობა, დაიწყო მტანჯველი ძიება ჭეშმარიტი ღმერთისა. სათითაოდ გადასინჯულ იქნა იმჟამად ცნობილი ყველა რელიგია და კულტი. რაც მეტი საიდუმლოებით იყო მოცული რომელიმე კულტი, მაგალითად ეგვიპტური, მით მეტი მიმდევარი ჰყავდა. ამავე დროს, მრავალნი საიდუმლოებით მოცულ იაჰვესაც აქცევდნენ ყურადღებას, რომლის რელიგიაც იმით განაკვირვებდა თავის „ღმერთებში" იმედგაცრუებულ წარმართებს, რომ უარყოფდა ყველანაირ სიმბოლოს ამ ღმერთის გამოსახატავად. იუდეველებიც სარგებლობდნენ ამით და თავიანთ მიმდევრებსა და პროზელიტებს ამრავლებდნენ, რომელთა შორის იმპერატორის ოჯახის წევრებიც იყვნენ (დედოფალი პოპეია საბინა).

პროზელიტები ორ ჯგუფად იყოფოდნენ: კარიბჭის უცხოებად და სიმართლის უცხოებად, რომლებიც ერთმანეთისაგან იუდაიზმის მიღების ხარისხით განსხვავდებოდნენ. პირველთათვის საკმარისი იყო ზოგადი რწმენა იაჰვესი ე.წ. „ნოეს მცნებათა" მიღებითურთ, ხოლო მეორეთათვის აუცილებელი იყო სრული მორჩილება მოსეს სჯულისა. წარმართთა უმრავლესობა პირველი საფეხურით შემოიფარგლებოდა, მაგრამ მათ შორის ბევრი იყო ისეთი, ვინც მთლიანად იღებდა იუდაიზმს. ამ მოძრაობას კიდევ უფრო უწყობდა ხელს წარმართული სამყაროს დაცემა, როგორც სულიერი სიცარიელის გარდუვალი შედეგი. აღმოსავლეთის წარმართულ კულტებთან ერთად რომში იჭრებოდა უზნეობა, გახრწნილობა, რომელიც განუყრელი იყო მათგან. აქედან დაიწყო სამინელი საზოგადოებრივი გახრწნა, რის გამოც საუკეთესო ადამიანებიც კი სასოწარკვეთამდე იყვნენ მისულნი (რომ. 1, 26-32). რაკი ვერანაირ შვებას ვერ ხედავდნენ აწმყოში და მომავლის რწმენაც დაკარგული ჰქონდათ, ადამიანებს სული ეხუთებოდათ გამეფებულ სულიერ სიცარიელეში და ისინი გამოსავალს ეძებდნენ ან სიამტკბილობათა თავაშვებულ ორგიებში, ანდა თვითმკვლელო-

ბამი, რომელიც ჩვეულებრივ მოვლენად ქცეულიყო.

სახელგანთქმული ფილოსოფოსი სენეკა, დათრგუნული სამწუხარო სინამდვილით, მიუთითებდა თვითმკვლელობაზე, როგორც აუტანელი მდგომარეობიდან თავდახსნის საუკეთესო საშუალებაზე, მაგრამ თავის შენარჩუნების ინსტინქტი ეწინააღმდეგებოდა ასეთი სამინელი საშუალების გამოყენებას და ბუნებრივია, ადამიანთა უმრავლესობა სხვა გამოსავალს ეძებდა და პოულობდა კიდეც, ადამიანისთვის ეგზომ დამახასიათებელ უმჯობესი მომავლის იმედში.

წარმართთაგან საუკეთესო ადამიანები იმედოვნებდნენ, რომ საიდანღაც უსათუოდ მოვიდოდა ხსნა – ადამიანთაგან თუ არა, ზეციდან მაინც და ეს იმედი თანხვდებოდა სწორედ იმ მოლოდინს კაცობრიობის მხსნელისა, რომელიც სულ უფრო ძალუმად იჩენდა თავს იუდაიზმის სამყაროში და უფრო ფართოდ ვრცელდებოდა წარმართ ხალხებს შორის იუდეველთა მეშვეობით.

რომაელი ისტორიკოსების სვეტონიუსისა და ტაციტუსის მოწმობით, იმ დროს რომაელებსა და სხვა წარმართ ხალხებს შორის გავრცელებული იყო ხმები, რომ აღმოსავლეთში მალე გამოჩნდება მძლეთამძლე მეფე, რომელიც მთელ მსოფლიოს დაიმორჩილებსო. რომაელი პოეტები საკვირველი მხსნელის მოახლოებულ მოვლინებას უმღეროდნენ. ეერგილიუსი თავის ცნობილ მეოთხე ეკლოგაში იმ ყრმას განადიდებდა, ვისაც ოქროს საუკუნე უნდა აეღორძინებინა. ეს ყრმა ცათაგან უნდა გარდმომხდარიყო, რის მემდეგაც ამ ქვეყნად მშვიდობა გამეფდებოდა. იგი უხვად გადმოულვრიდა კაცობრიობას თავის საბოძვართ: ფარებსა და ნახირებს აღარ მეეშინდებოდათ ლომების, მხვნელ ხარს მოსცილდებოდა მძიმე უღელი და მიწადმოქმედიც უკვე აღარ იმუშავებდა ოფლისღვრითა და სიმძიმილით. რომაელი პოეტის ეს ჩინებული ოცნება, უეჭველია, გამოძახილი იყო წმინდა ესაიას ცნობილი წინასწარმეტყველებისა: „ყრმა იშვა ჩუენდა ძე, და მოგუეცა ჩუენ, რომლისა მთავრობაჲ იქმნა მკარსა ზედა მისსა და პრქუან სახელი მისი – დიდისა განზრახვისა ანგელოზი, „საკურველი თანაგანმზრახი, ღმერთი ძლიერი, კელმწიფე, მთავარი მშუდობისა, მამა მერმეთა მათ საუკუნოსა“ (9,6), „მაშინ ძოვდეს მგელი კრავთა თანა და ვეფხი თიკანთა თანა განისუენებდეს, და ზუარაკი და ლომი და კუროჲ ერთად ძოვდენ, და ყრმამან მცირემან მოიყვანნეს იგინი“(11, 6).

ამგვარად, ყოველიეველან ჩანდა, რომ მოახლოებული იყო ჟამთა აღსრულება. მხსნელის, მაცხოვრის, ანუ მესია-ქრისტეს მოვლინების მოლოდინი იუდეველთა შორისაც უკიდურესად იყო გამძაფრებული. წინასწარმეტყველთა ძველი უწყებანი გულმოდგინე მესწავლისა და ახსნა-განმარტე-

ბის საგნად იქცა. უსაყვარლესი წიგნი წმიდა დანიელის წინასწარმეტყველება გახდა მესიის მოვლინების დროის ზედმიწევნით ზუსტი განსაზღვრით. მეორადი კანონიკური წიგნები ადასტურებდა და განმარტავდა ამ წინასწარმეტყველებებს, ამასთან საკუთარი მოსაზრებებითაც ავსებდა მათ და აცხადებდა, რომ მალე ისრაელის ძენი კვლავ თავს მოიყრიდნენ იერუსალიმში უშორესი ქვეყნებიდან, რათა თაყვანი ეცათ თავიანთი უფალი ღმერთისათვის (2 მაკ. 2,18) და რომ დავითის შთამომავლობა საუკუნოდ იქნება ტახტის მპყრობელი (1 მაკ. 11, 57). ამ წინასწარმეტყველებებმა კიდევ უფრო მეტი განვითარება, გამოძახილი, ასახვა ჰპოვა ე.წ. „სიბილურ წიგნებში“, რომლებიც ლექსად დაწერილი წინასწარმეტყველური გამონათქვამების კრებულს წარმოადგენს, მსგავსად წარმართული ორაკულებისა. ვარაუდობენ, რომ იგი დაწერილია დაახლოებით ქრისტეს შობამდე 140 წელს ვინმე ალექსანდრიელი ებრაელის მიერ. მასში ნათქვამია, რომ მალე გამოჩნდება მეფე, რომელიც ამქვეყნად ყოველგვარ ომებს ბოლოს მოუღებს; იერუსალიმის წინააღმდეგ აღმდგარი წარმართები მოისრებიან. ზეციდან მოვლენილი მეფის მფარველობის ქვეშ ისრაელს მშვიდობა და კეთილდღეობა მიენიჭება; წარმართი ხალხებიც იქნებიან მოყვანილნი ჭეშმარიტი ღმერთისა და მისი წმიდა ტაძრის თაყვანისსაცემად.

და ბოლოს, ღმერთი ამქვეყნად მშვიდობის საუკუნო სუფევას დაამკვიდრებს, „რომელშიც ყოველნი ერნი იქნებიან შეკრებილნი“. მხსნელი მეუფის მოლოდინი იმდენად ცხოველი იყო, რომ ებრაელი ერის თვითმმართველნიც კი მაკაბელთა დროს მხოლოდ პირობითად იღებდნენ ძალაუფლებას, „ვიდრეღა აღდგება წინასწარმეტყველი მართალი“(1 მაკ. 14, 41). ერშიც ყველა გრძნობდა, რომ მოახლოებულიყო ჟამთა აღსრულება და ისრაელის ხსნა. ცნობილი მქადაგებლისა თუ წინასწარმეტყველის გამოჩენისთანავე, ყველა უნებურად კითხულობდა — ეს ხომ არ არის ქრისტე-მესია, ცხებული (ინ. 1, 19, 20; მთ. 11,3). ნახევრად წარმართი სამარიტელნიც მოელოდნენ მესიის მალე მოსვლას, რომელიც მათსა და იუდეველებს შორის სარწმუნოებასთან დაკავშირებით ყველა სადავო საკითხს გადაწყვეტდა (ინ. 4, 25).

მრავალს ნათლად ვერ წარმოედგინა, თუ როგორი სახით გამოჩნდებოდა მესია; ბევრნი მასში მსოფლიოს დამპყრობი მბრძანებლის დანახვას მოელოდნენ, რომელიც მთელ ქვეყნიერებას და მასში მცხოვრებ ყველა ხალხს იუდეველებს დაუმორჩილებდა და სამუდამო ებრაულ სამეფოს დაამკვიდრებდა, მაგრამ სულიერად უფრო განათლებული ადამიანები მასში ჭეშმარიტ ქრისტე-მესიას მოელოდნენ, რომელიც გამოის-

ყიდდა ადამიანს ცოდვის მონობისაგან, მშვიდობას დაამყარებდა მის შფოთიან სულში, თავისთან მოუწოდებდა მაშვრალთა და ტვირთმძიმეთ, ცხონების საუკუნო ჭეშმარიტებას განუცხადებდა ადამიანებს და ამქვეყნად ღმერთის საუკუნო სუფევას დაამყარებდა.

მართლაც, ჭეშმარიტი მესია-ქრისტე მოვიდა ამქვეყნად; მისი ხორციელად შობის ღამეს ზეცა ბეთლემის თავზე ანგელოზთა საზეიმო გალობამ მოიცვა, რაც მოასწავებდა, რომ დადგა ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

IV. ებრაელთა რელიგიურ-ზნეობრივი ძგერვარეობა

ა) პარტიები და სექტები

1. ფარისეველნი

უფალ იესო ქრისტეს ამქვეყნად მოვლინების დროინდელმა რელიგიურ-პოლიტიკურმა მიმდინარეობებმა და მისწრაფებებმა თავისი გამოხატულება ჰპოვა თანადროული რელიგიური პარტიების, ანუ სექტების საქმიანობაში. მათგან უმთავრესნი იყვნენ ფარისეველნი და სადუკეველნი; მათ შეიძლება დავუმატოთ ესეველნიც.

ფარისეველთა სექტას ყველაზე დიდი გავლენა და მნიშვნელობა ჰქონდა. სიტყვა „ფარისეველი“ ნიშნავს „განკერძოებულთ“, ანუ „გამოყოფილთ“ იმ გაგებით, რომ მათი მტკიცებით ეს იყო იუდეველი ხალხის საუკეთესო, რჩეული ნაწილი, ყველა ჭეშმარიტი რელიგიურ-ეროვნული ტრადიციის ნამდვილი შემნახავი და დამცველი.

ფარისეველნი თვლიდნენ, რომ იუდეველთა ხსნა სარწმუნოების წესების მკაცრ აღსრულებაშია. ისინი არამც და არამც არ უნდა მოექცნენ უცხოტომელთა წარმართული ზეგავლენის ქვეშ. აქედან გამომდინარე, მათ მტკიცედ ეპყრათ ჭეშმარიტი სარწმუნოების ძირითადი დასაბამნი, გამოცხადებულნი უფლის მიერ თავისი რჩეული ერისათვის.

ფარისეველებს სწამდათ სულის უკვდავება, საუკუნო საიქიო მისაგებელი, მკედრეთით აღდგომა (ყოველ შემთხვევაში – მართალ მორწმუნეთა მაინც), ანგელოზთა და დემონთა არსებობა.

ჭეშმარიტებას ისინი შეცდომებსაც ურევდნენ და პირველ ყოვლისა, ცრუ სწავლებას მომავალი მესიის მესახებ, რომელიც მათ ძლევამოსილი მებრძოლი მონარქის სახით წარმოედგინათ. მათი აზრით, მესიას უნდა გაეთავისუფლებინა იუდეველები წარმართთა ხელმწიფებისაგან, დასაბამი დაედო ღმერთის მომავალი სამეფოსათვის ქვეყნად და ცოდვილებიც განედევნა იქიდან. ამ სამეფოს ერთადერთ ჭეშმარიტ

მემკვიდრეებად ფარისეველნი მხოლოდ საკუთარ თავს მიიჩნევდნენ.

ფარისეველთა ზნეობრივი სწავლება ვიწრო ფორმალიზმითა და წვრილმანობით გამოირჩეოდა. ისინი აუცილებლობად მიიჩნევდნენ არა მხოლოდ მოსეს სჯულის ყველა წესისა და დადგინების შესრულებას, არამედ ყველა იმ მწიგნობრის გადმოცემისაც, რომელთაც კი ოდესმე სჯული განუმარტავთ. ეს გადმოცემანი, ზოგიერთი ფარისევლის განმარტებით, თვით საღმრთო სჯულზე მეტად აუცილებელი იყო იუდეველთათვის და ეს მაშინ, როცა ისინი შეიცავდნენ განწესებათა ურიცხვ რაოდენობას წარმოუდგენელი დეტალებით: მაგალითად, შესაძლებელი იყო შაბათის მოსვენების დაურღვეველად ემუშავა იუდეველს ცალი და არა ორივე ხელით, ანდა ნებადართული იყო სათლის მიბმა ჭასთან სარტყელით და არა თოკით, და ა.შ.

ფარისეველთა რელიგიურობა ხშირად წეს-ჩვეულებათა გარეგანი შესრულებით შემოიფარგლებოდა; თუკი გარეგანი განწესებანი შესრულებულია, ადამიანს სხვა არც არაფერი მართებს ღმერთისა. ფარისეველნი გულგრილნი იყვნენ ადამიანის სულის შინაგანი მოძრაობის – მორჩილი, თავმდაბლური და გულმოდგინე ლოცვის, გულწრფელი სინანულის მიმართ. გადმოცემათა წვრილმანები ფარავდა მათ წინაშე საღმრთო სჯულის ყველაზე მნიშვნელოვან საფუძვლებს. „წინამძღუარნო ბრმანო, რომელნი დასწურავთ ბურნაკასა (მწერს), ხოლო აქლემსა შთანსთქამთ!“ – ეუბნებოდა მათ მაცხოვარი (მთ. 23, 24). აქედან გამომდინარე, ფარისეველთა ზნეობრივი სახე მათთვის მეტად არასახარბიელოდაა გაშუქებული და არა მხოლოდ სახარებაში, არამედ თალმუდში, ტრაქტატში „ბერაკოტი“ ნათქვამია, რომ შვიდი ფარისეველიდან მხოლოდ ერთი მოქმედებს სიყვარულის აღძვრით.

ნიშან-თვისებანი, რომლებითაც ფარისეველთა ზნეობრივი სახე ყალიბდებოდა, სამამდე შეიძლება იქნას დაყვანილი. ესენია: პირმოთნეობა (საკუთრივ „ფარისევლობა“), უკიდურესი ამპარტავნება და ბიზღი „ბრბოსადმი“. ქვეყლის საქმეთა და სათნოებათა ნიღბის ქვეშ ფარისევლები ხშირად მალავდნენ ყველაზე მღაბალ მანკიერებებს: „ვაჲ თქუენდა მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მიმსგავსებულ სართ საფლავთა განგოზილთა, რომელნი ჩანედ გარეშე შუენიერ, ხოლო შინაგან სავსე არიედ ძუალებითა მკუდართაჲთა და ყოვლითა არაწმიდებითა!“ – ამხელს მათ უფალი (მთ. 23, 27).

ფარისეველთა რელიგიური გულმოდგინება მხოლოდ და მხოლოდ გარეგნული ხასიათისა იყო. მართალია, გარედან ისე ჩანდა, თითქოს ისინი ღმერთის სადიდებლად ცხოვრობდნენ და მოქმედებდნენ, მაგრამ სინამდვილეში

დიდება-პატივს მხოლოდ საკუთარი თავისთვის ეძიებდნენ. მთელ მათ საქმიანობას საფუძვლად მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო იდეა ედო: ჩვენ, ფარისეველნი აბრაჰამის ძენი ვართ; ღმერთი მხოლოდ ჩვენზე ზრუნვით უნდა იყოს დაკავებული, სხვაგვარად მისი აღთქმანი ვერ აღსრულდებაო. მთელი ეს ფარისევლური ამპარტავნება მკაფიოდაა ასახული სახარების იგავში მეზვერისა და ფარისეველის მაგალითზე (ლკ.18,9-14).

ამპარტავნება და უკიდურესი თავის მოყვარეობა ზიზღით აღავსებდა ფარისეველის სულს ნებისმიერი სხვა ადამიანისადმი,რომელიც არ იყო ფარისეველთა სექტის წევრი, ვინც იყო „ბოგანო“, „უცნობელი“, ანუ ვინც არ შეისწავლიდა სჯულს და არ იცავდა გადმოცემის ყველა წვრილმან წესს.

იდეალის ამაღლებულობა, რომელსაც ფარისეველები თავიანთი საქმიანობის მიზნად ისახავდნენ, მათი ეროვნულ-რელიგიური მისწრაფებები და განსაკუთრებით ის, რომ ისინი გამუდმებით უნერგავდნენ ხალხს მგრობას რომაელებისადმი, აგრეთვე მათი მოძღვრების შინაარსი, სჯულის წვრილმანი შესრულება, მათი ცხოვრების გარეგანი სიმკაცრე და პირქუშობა, დინჯი და საკუთარი ღირსების წარმომჩენი თავდაჭერა, სადუკეველებზე უფრო ხაგგასმული ყურადღებიანობა უბრალო ხალხის მიმართ,– ყოველივე ეს მეტად უწყობდა ხელს ფარისეველთა მნიშვნელობისა და მათი გავლენის ზრდას ხალხის მასებზე. ისინი ძალზე პრეტენზიულნი იყვნენ, როცა საქმე მათ ავტორიტეტს ეხებოდა. ბუნებრიეია, მგრად ეკიდებოდნენ ყველას, ვისაც შეეძლო ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაემსახურებინა. ახალგაზრდა ნაზარეველ წინასწარმეტყველში, რომელიც ერს ფარისეველთა სწავლების სრულიად საწინააღმდეგო მოძღვრებას უქადაგებდა და რომელიც მკაცრად ამხელდა მათ პირმოთნეობასა და ამპარტავნებას, თვითონ კი ეგზომ აღმატებული იყო მათზე თავისი პიროვნების ზნეობრივი დიდებულებით და მის მიერ აღსრულებულ სასწაულთა ძალით, ფარისეველნი თავიანთ მოწინააღმდეგეს და მეტოქეს ხედავდნენ, ხოლო მისი აღიარება ღმერთის მიერ წარმოგზავნილ, მოველენილ ქრისტე-მესიად ფარისეველებს არ ძალეძვათ, რადგან იგი მათ ღარიბი და დამცირებული წარუდგა,რაც ეწინააღმდეგებოდა მათ მესიანურ წარმოდგენებსა და მოლოდინს. ამიტომ ფარისეველებში მხოლოდ ორი გრძნობის – შურისა და მისგან მობილი სიძულვილისათვის რჩებოდა ადგილი.

ფარისეველთა მგრობის სურვილი ქრისტესადმი იმ დღეს იქნა დაკმაყოფილებული, როცა იგი ჯვარზე მომაკვდავი იხილეს ორ ავაზაკს შორის.

მიუხედავად ყოველივე ამისა, იუდეველი ხალხის სამი რელიგიური პარტიიდან, ანუ სექტიდან

ქრისტესთან ყველაზე ახლოს ფარისეველები იყვნენ – ნიკოდიმოსი, იოსებ არიმათიელი და შესაძლოა სხვებიც, რომელნიც თავიანთ სიახლოვეს უფლისადმი „იუდეველთა შიშისათვის“ მალავდნენ. სინედრიონის წევრთაგანაც მხოლოდ ერთი ფარისეველი გამალიელი ურჩევდა იუდეველ მთავართ, შეეწყვიტათ ქრისტეს მოძღვრების მქადაგებელ მოციქულთა დევნა, რათა „ნუუკუე ღმრთის მოლალეცა (მოწინააღმდეგეც) იპოვნეთ“ (საქმე 5, 39). უნდა ვივარაუდოთ, რომ ქრისტეს პირველი ეკლესიის უდიდეს ნაწილს იერუსალიმში სწორედ ყოფილი ფარისეველები შეადგენდნენ (შდრ. საქმე 15,5). სწორედ ფარისეველთა სექტიდან იყო გამალიელის მოწაფე, წმიდა პავლე მოციქული.

მეორე მხრივ, ჩვენთვის სრულიად უცნობია ქრისტესაკენ სადუკეველთა მოქცევის შემთხვევები. უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ გარკვეულწილად სწორედ ფარისეველთა მთელ მსოფლიოში გამლილმა პროპაგანდამ გაუხსნა გზა მოგვიანებით ქრისტიანობის ქადაგებას: აკი ფარისეველნიც სასოებდნენ ქრისტე-მესიის მოსვლას, ასწავლიდნენ სულის უკვდავების, მკვდრეთით აღდგომისა და მომავალი ღვთის სამსჯავროს შესახებ; სწორედ ისინი ლაპარაკობდნენ სახელმწიფოსაგან სარწმუნოების დამოუკიდებლობის შესახებ.

2. სადუკეველნი

სადუკეველნი ფარისეველთა მოწინააღმდეგენი იყვნენ. მათი სექტა პოლიტიკურ პარტიას უფრო ჰგავდა, ვიდრე რელიგიურ გაერთიანებას. დღევანდელ ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, სადუკეველთათვის შეიძლებოდა გვეწოდებინა ლიბერალური, ანდა კოსმოპოლიტური პარტია. ისინი სისულელედ მიიჩნევდნენ იუდეველი ხალხის როგორც ღმერთის რჩეული ერის ამაღლება-განდიდებას. სადუკეველნი თელიდნენ: უნდა დავუშვათ და ვაღიაროთ, რომ უპირატესი ერი მსოფლიოში რომაელებია და რომ ერთადერთი ჭეშმარიტი ცივილიზაცია ბერძნულ-რომაული ცივილიზაციაა. ამგვარი შეხედულების მიღების შემდეგ, მათი აზრით, შესაძლებელი იქნებოდა მძიმე გართულებათა თავიდან აცილების იმედი ჰქონოდათ. ამ დებულებიდან გამომდინარე, სადუკეველნი წმინდა წერილის უფრო თავისუფალი– „ლიბერალური“ განმარტების აუცილებლობამდე მივიდნენ. მათ დაუშვეს ბიბლიის სხვადასხვა აღგილების შეთანხმებულობა ბერძენ ფილოსოფოსთა მოძღვრებებთან. ასეთ შეჯერებებს სადუკეველნი ხშირად იქამდე მიჰყავდა, რომ, მათი განმარტებით,ებრაელი ერის წმინდა წიგნები იმ მითებისა და ლეგენდების გამოხატვის ახლებურ ფორმად იქცეოდნენ, რომლებიც სხვა ხალხებთანაც გვხვდება.

ამიტომ გასაგებია, რომ სადუკეველთა სწავლება ძირფესვიანად განსხვავებული უნდა ყოფილიყო ფარისეველთა სწავლები-

საგან: საღუკეველნი აღიარებდნენ მხოლოდ დაწერილ სჯულს, გადმოცემებს კი მთლიანად უარყოფდნენ. ასევე უარყოფდნენ ისინი ანგელოზებისა და დემონების არსებობას, მკვდრეთით აღდგომას, შესაძლოა საიქიო ცხოვრებასაც და მისაგებელსაც. გარდა ამისა, საღუკეველებს არ სწამდათ ღვთის განგებულება, რადგან შეგნებული თუ შეუგნებელი მატერიალისტები იყვნენ.

საღუკეველთა პარტიის შემადგენლობაში იყვნენ მმართველი იუდაური არისტოკრატიის წარმომადგენლები. პირველმღვდელმთავრები, რომელთაც უმაღლესი მდგომარეობა ეკავათ სინედრიონში, სწორედ საღუკეველები იყვნენ.

ზნეობრივი თვალსაზრისითაც ფარისეველებთან შედარებით საღუკეველნი უფრო დაბლა იდგნენ. მათი საქმიანობის მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ როგორმე ქვეყანაში გაბატონებული მდგომარეობა შეენარჩუნებინათ. თუკი ფარისეველი მაინც ცდილობდა, მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად დაეჭირა თავი რომის ხელისუფლებასთან მიმართებაში, საღუკეველნი — პირიქით, ყოველთვის მზად იყვნენ ქედი მოედრიკათ ნებისმიერი ხელისუფლების წინაშე, ოღონდ მათი პირადი ინტერესები დაცული ყოფილიყო. უარყოფდნენ რა მომავალ საუკუნო ცხოვრებას და მკვდრეთით აღდგომას, ისინი ბუნებრივად მიდიოდნენ იმ დასკვნამდე, რომ ადამიანის არსებობის ერთადერთი მიზანი მხოლოდ ქვეყნიურ სიკეთეთა მიღწევა შეიძლება ყოფილიყო: ამქვეყნად რაც შეიძლება მოხერხებულად უნდა მოეწყო და ყველანაირად ეცადო, განიმტკიცო აწინდელი ცხოვრების უპირატესობანი.

წმინდა იოანე ნათლისმცემელი მათ „იქედნეთა ნამობთ“ უწოდებდა (მთ. 3, 7). საღუკეველები ქრისტეს მძვინვარე მოწინააღმდეგენი იყვნენ (მთ. 16.1,6-12; მრკ. 8,15; მთ. 23, 23 და შემდგომი; ლკ. 20, 27). უფლის სასიკვდილოდ განსჯა, უმთავრესად, სწორედ მათი საქმე იყო. საღუკეველნივე იყვნენ შემდგომში იერუსალიმის ეკლესიისადა პირველ ქრისტიანთა ყველაზე მძვინვარე მტრები(საქმე 4,1).

ფარისეველები და საღუკეველები ეკამათებოდნენ, მეტოქეობას უწევდნენ და მტრობდნენ კიდეც ერთმანეთს, მაგრამ ერთ საკითხში ერთსულოვანნი იყვნენ: ისინი მტრობდნენ ქრისტეს და ქრისტიანებისადმი სიძულვილით იყვნენ აღსავსენი.

3. ესეველნი

ესეველთა სექტა მცირერიცხოვან რელიგიურ თემს წარმოადგენდა (მისი წევრი 4 ათასამდე ადამიანი იყო), რომელიც დანარჩენ ისრაელიანთაგან გამოცალკევებული იყო. მათ თავიანთთვის აუცილებელი უქორწინებლობა დაადგინეს, ქონება საერთო ჰქონდათ და საბრძოსაც კი ყველანი ერთად იღებდნენ. აღიარებდნენ რა უპირობო აუცილებლობად

მოსეს სჯულის ყველა დადგინებისა და წესის ზედმიწევნით მკაცრ შესრულებას, ამავე დროს უარყოფდნენ სისხლიან მსხვერპლშეწირვას. ესეველთა ფორმალიზმი კიდევ უფრო წვრილმანი და მკაცრი იყო, ვიდრე ფარისეველებისა: ისინი თავის შებილწვად მიიჩნევდნენ შეხებას და ურთიერთობას არა მხოლოდ წარმართებთან, არამედ ყველასთან, ვინც მათ სექტას არ ეკუთვნოდა.

ესეველთა შესახებ იხ. ძალზე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენის მიმოხილვა ქვემოთ, 691 გვ-ზე (ე.წ. ყუმრანის უდაბნოს მანუსკრიპტები, აღმოჩენილი 1947 წელს).

4. პეროდიანნი

პეროდიანნი – ასე იწოდებოდნენ პეროდეს დინასტიის მომხრეები. ისინი მხოლოდ პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენდნენ და არაფერი ეცხოთ რელიგიური სექტისა. აღიარებდნენ რა რომის იმპერიის ბატონობას აღსრულებულ ფაქტად, ისინი თავიანთი ლოიალობის ამკარა დემონსტრირებას ახდენდნენ და იმპერატორისაგან წყალობის მიღებას ესწრაფოდნენ; იმედოვნებდნენ, რომ რომის მბრძანებლისგან ოდესმე სრულ ავტონომიასაც მიიღებდნენ. იესო ქრისტე მათაც სახიფათო პიროვნებად ესახებოდა, რადგანაც მასში თავიანთი მიზნების განხორციელებისათვის დაბრკოლებას ხედავდნენ: იესო ნაზარეველი მათთვის ერთ-ერთი რეალური პრედენდენტი იყო პეროდეს სამეფო ტახტის დაკავებაში (აკი ბრალდებაც ასეთი წაუყენეს ჯვარცმისას, თითქოს იგი თავს პურიათა მეუფედ ხმობდა). თუმცა, როგორნიც არ უნდა ყოფილიყვნენ პეროდიანები, იესო ქრისტეს უბოროტესი მტრები იყვნენ.

5. მწიგნობარნი, ანუ სჯულის მოძღვარნი

სახარებაში მწიგნობარნი პირველმღვდელმთავრებთან (მთ. 2, 4; 21, 15), ან ფარისეველებთან ერთად არიან მოხსენიებულნი (მთ. 15, 1; 20, 4). თითქმის ყველა მწიგნობარი ფარისეველთა სექტის წევრი იყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ფარისეველი ამავე დროს მწიგნობარიც იყო. მწიგნობარნი შეადგენდნენ განათლებულ ადამიანთა კლასს, რომელთაც სჯული კარგად ჰქონდათ შესწავლილი. ფარისევლები კი იმ პარტიას წარმოადგენდნენ, რომელიც განსაზღვრულ რელიგიურ მიმდინარეობას გამოხატავდა.

მწიგნობარნი გადაწერდნენ წმიდა წერილის წიგნებს და ხსოვნაში ინახავდნენ გადმოცემებს. სინაგოგაში მწიგნობარი განმარტავდა ხოლმე იმ დღეს წაკითხულ ნაწყვეტს ბიბლიიდან.

მწიგნობრები ამავე დროს იურისტებიც იყვნენ, რომლებიც განმარტავდნენ ხოლმე სჯულისა და გადმოცემის განწესებათა გამო-

ყენების ყველა შემთხვევას. სწორედ ისინი ხელმძღვანელობდნენ სკოლებს, სადაც მოზარდებსა და ჭაბუკებს საღმრთო სჯულსა და გადმოცემებს შეასწავლიდნენ.

მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მწიგნობრები სინედრიონშიც, სადაც ერთგვარი მსაჯულ-ექსპერტები იყვნენ, ყოველ საჭირო შემთხვევაში მიუთითებდნენ სჯულისა და გადმოცემის შესაბამის ნორმებს.

ამრიგად, მწიგნობარი ერთდროულად იყო სჯულის მეცნიერიც, მასწავლებელიც, იურისტიც და მსაჯულიც.

მწიგნობარნი სჯულის დადგინებებს სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით განმარტავდნენ და მკაცრად მისდევდნენ გადმოცემის განწესებებს. რელიგიაში ფორმალისტები იყვნენ და ყველა გარეგანი წესების მხოლოდ დაწვრილებით აღსრულებით კმაყოფილდებოდნენ. უფალი იესო ქრისტე კი, პირიქით, თავისი სახელით ლაპარაკობდა, მიუთითებდა სჯულის შინაგან მნიშვნელობაზე და განასულიერებდა მას, ათავისუფლებდა ყველა იმ წვრილმანი არასაჭირო დამატებებისგან, რომელიც მწიგნობრების მიერ იყო მოგონილი. ამიტომაც მათ მალე დაინახეს, რომ ქრისტეს ქადაგების სული სრულიად განსხვავდებოდა მათი სწავლებისაგან. რაკი შეიგნეს ეს, არ შეეძლოთ ქრისტეს მტრები არ გამხდარიყვნენ. მწიგნობრებმა ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი იმას, რომ პილატეს სასიკვდილოდ განესაჯა ქრისტე. თვით ჯვარზეც კი აბუჩად იგდებდნენ და შეურაცხყოფდნენ მაცხოვარს (მრკ. 15, 31).

6. მღვდელმსახურება (მღვდლობა)

იუდეველებში მღვდლობა მემკვიდრეობით გადაეცემოდა. ლევიანთა მთელი ტომი ღმერთის სამსახურად ტაძარში იყო განწესებული. ყველა მღვდელმსახურის წინამძღვარი იყო მღვდელმთავარი, რომელიც აარონის პირდაპირი ჩამომავალი უნდა ყოფილიყო. თავის წოდებას მღვდელმთავარი სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა, მაგრამ ჰეროდე მეფემ და მისმა მემკვიდრეებმა მიითვისეს უფლება, თვითნებურად დაენიშნათ და გადაეყენებინათ ისინი. მაგალითად, მაცხოვრის ქვეყნიური ცხოვრების დროს კანონიერი მღვდელმთავარი ანნა გადაყენებულ იქნა და მის ადგილზე მისივე სიძე კაიაფა დაადგინეს.

დანარჩენი მღვდელმსახურები განიყოფებოდნენ მღვდლებად და ლევიტელებად. მღვდლები აარონის ტომიდან უნდა ყოფილიყვნენ გამოსულნი,თუნდაც არაპირდაპირი ხაზით. ყველა ისინი 24 კლასად იყოფოდნენ, რომელთაგან თითოეული მთელი კვირის განმავლობაში ტაძარში მსახურებას რიგრიგობით აღასრულებდა (ლკ. 1, 5, 9). თავდაპირველად მოსეს სჯულის სწავლება მღვდელმსახურებს ევალებოდა. ბაბილონის ტყვეობის შემდეგ კი მათ ეს

მოვალეობა მწიგნობრებს დააკისრეს, თვითონ კი მხოლოდ და მხოლოდ ღვთისმსახურების აღსრულებით შემოიფარგლნენ.

ლევიტელები ლევის ტომს მიეკუთვნებოდნენ,მაგრამ არ იყვნენ აარონის შთამომავალნი. ისინი ტაძრის მსახურთა მოვალეობებს ასრულებდნენ: ალაგებდნენ, ასუფთავებდნენ ტაძარს და წესრიგსაც იცავდნენ.

7. სინედრიონი

სინედრიონი, ანუ დიდი საბჭო, მოხსენიებული სახარების მონათხრობში მაცხოვრის ვნების შესახებ, იყო ებრაელთა უმაღლესი სამსჯავრო. სინედრიონის წევრთა რიცხვი თავმჯდომარის ჩათვლით 71-ს აღწევდა. ისინი სამ კატეგორიად იყოფოდნენ:

1.მღვდელმთავრები,ანუ მმართველი (მოქმედი) მღვდელმთავარი და ყველა ყოფილი მღვდელმთავარი, აგრეთვე ყველაზე მნიშვნელოვანი სამღვდელმსახურო ოჯახების მეთაურები;

2. უხუცესნი, ანუ ის სამღვდელონი და ერისკაცნი, რომლებიც ებრაელი ერის ყველაზე გავლენიან და მდიდარ ოჯახებს წარმოადგენდნენ;

3. მწიგნობრები, ანუ სჯულის მოძღვარნი, სჯულისმეცნიერნი.

ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ დაარსებული სინედრიონი გადაწყვეტილებებს იღებდა როგორც რელიგიურ, ასევე პოლიტიკური ხასიათის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. მაცხოვრის ქვეყნიური ცხოვრების დროისათვის რომაელებმა მნიშვნელოვნად შეზღუდეს სინედრიონის ძალაუფლება, კერძოდ, წაართვეს მას სიკვდილით დასჯის, განაჩენის გამოტანის უფლება. თუკი სინედრიონის შეხედულებით დამნაშავე სიკვდილით უნდა დასჯილიყო, სინედრიონს უნდა ჩამოეყალიბებინა ბრალდების პუნქტები და საქმე რომის პროკურატორისათვის განსახილველად გადაეცა.

ბ) ტაძარი

იერუსალიმის ტაძარს უზარმაზარი ფართობი ეკავა. ყოველი მხრიდან შემოვლებული იყო პორტიკებით, რომელთა თაღებიც მას მცხუნვარე მზისა და ავდრისგან იცავდა. ამ პორტიკთა თაღებქვეშ სჯულის მოძღვარნი ერს ასწავლიდნენ. საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას მოვაჭრენი ჰყიდდნენ მსხვერპლშესაწირად განკუთვნილ პირუტყვსა და ფრინველს, ხოლო მოფარდაგენი, ანუ ფულის გადამცვლელნი უცხოურ ფულს ებრაულ მონეტებზე ცვლიდნენ და ახურდავებდნენ, რომელიც ტაძარში ერთადერთი საგადამხდელო საშუალება იყო. ხშირად სწორედ ამ ვაჭართა და ფულის გადამცვლელთა ხელში იყო ჩავარდნილი ტაძრის კარიბჭეები; გასაყიდ-შესაწირი ხარებისა და ცხვრების ბღავილი, ვაჭრების ყვირილი და ხმაურიანი შეხლა-შემოხლა არღვევდა ტაძარში მყოფ მლოცველთა ლოცვით განწყობას. ამიგო-

მაც, სავსებით გასაგებია მაცხოვრის რისხვა,შოლტით რომ გამოაძევა ვაჭრები სამლოცველო სახლიდან (მრკ. 11, 15-17).

პორტიკებით შემოზღუდული სივრცე სამ ტერასას შეიცავდა ღია ცის ქვეშ; ეს ტერასები ერთმანეთის მიყოლებით მაღლდებოდა და ერთმანეთთან საფეხურებით იყო დაკავშირებული.

პირველი ტერასა წარმართთა ეზოდ, ანუ კარიბჭედ (სტოადა) იწოდებოდა, რადგან ნებისმიერ ადამიანს, თვით წარმართსაც კი შეეძლო მასში შესვლა;

მეორე ტერასა ეზოდ, ანუ ისრაელის კარიბჭედ იწოდებოდა. იგი, თავის მხრივ, იყოფოდა დედაკაცთა ეზოდ, რომელიც ასე იწოდებოდა იმის გამო, რომ ქალებს მხოლოდ აქ შეეძლოთ შესვლა, ამის იქით კი აღარ.

მესამე ტერასა – მღვდელმსახურთა ეზოდ. მის სიღრმეში მდებარეობდა ტაძრის უმთავრესი ნაწილი, რომელიც მოიცავდა განსაწმედელს (საკურთხეველს) და წმიდათა წმიდას.

საკურთხეველში (განსაწმედელში) იდგა ოქროს შვიდსასანთლე, საგუნდრუკე სამსხვერპლო (კმევის საკურთხეველი), ასევე ოქროსი და ოქროთი მოჭედილი ხის მაგიდა წინადასაგებ პურთათვის.

ტაძრის ბოლო ნაწილი იყო წმიდათა წმიდა. მასში შესვლის უფლება მხოლოდ მღვდელმთავარს ჰქონდა და ისიც წელიწადში ერთხელ, განწმედის დღესასწაულზე, როცა მას იქ საპკურებლად სამსხვერპლო სისხლი შეჰქონდა. წმიდათა წმიდა სრულიად ცარიელი იყო მას შემდეგ, რაც სჯულის კიდობანი დაიკარგა ნაბუქოდონოსორის მიერ ტაძრის დანგრევის დროს, ქრისტეს შობამდე 586 წელს. წმიდათა წმიდა კრეტსაბმელით (ფარდით) იყო გამოყოფილი განსაწმედელისაგან. როგორც სახარებიდან ვიცით, ეს კრეტსაბმელი შუაზე გაიპო უფლის ჯვარზე სიკვდილის ჟამს.

გ) სინაგოგები

ებრაელებს მხოლოდ ერთი ტაძარი უნდა ჰქონოდათ. ეს ემსახურებოდა მათი რწმენის განმტკიცებას, რომ არსებობს ერთი ჭეშმარიტი ღმერთი, მაგრამ ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდგომ ებრაელებმა ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვან ქალაქში ე. წ. სინაგოგების აგება დაიწყეს. სიტყვა სინაგოგა „შესაკრებელ სახლს“ ნიშნავს. ეს სახლები შედგებოდა საკმაოდ ვრცელი დარბაზებისაგან, ჩვეულებრივ სწორკუთხა ფორმისა, რომლებიც ზოგჯერ სამ ნაწილად (ეგვტესად) იყო გაყოფილი კოლონადების მეშვეობით. დარბაზის სიღრმეში საგანგებო კარადა იდგა, რომელსაც ბეწარი ჰქონდა გადაფარებული. მასში ინახავდნენ სჯულის გრაგნილებსა და საღმრთო წერილის სხვა წიგნებს. სინაგოგის შუა ადგილას აღმართული იყო კათედრა მკითხველის ან მქადაგებლის

დასაჯდომელით და ანალოღიათი (საწიგნე გრაგნილთათვის).

საერთო ღოცვითი შეკრებები სინაგოგებში შაბათობით ხდებოდა. გარდა ამისა, ნაკლებად საზეიმო და არააუცილებელი შეკრებები იმართებოდა ორშაბათობით და ხუთშაბათობით. კერძო ღოცვისთვის კი ყოველდღე შეიძლებოდა სინაგოგაში შესვლა.

შეკრება იწყებოდა საერთო ღოცვით. შემდეგ კითხულობდნენ ნაწყვეტს წმინდა წერილიდან, რასაც მოსდევდა მისი ახსნა-განმარტება. სინაგოგის მთავარი ამ მოვალეობას თავისი შეხედულებისამებრ აკისრებდა მას, ვისაც შეეძლო ამ საქმის დამაკმაყოფილებლად შესრულება.

გარდა ამისა, სინაგოგა იუდეველთ სკოლადაც ემსახურებოდა, რომელშიც მათი შვილები საღმრთო წერილის შესწავლაში თავდაპირველ დამოძღვრას იღებდნენ.

დ) მღვდელმსახურები

სამღვდელო პირნი ღვთის რჩეული ერის რჩეულნი იყვნენ და განდობის რიტუალს იღებდნენ იმისთვის, რომ მხოლოდ და მხოლოდ ღმერთისთვის ემსახურათ. ყველა ისინი ლევის ტომს შეადგენდნენ და სჯულის კარავის სამი ნაწილის შესაბამისად განიყოფებოდნენ სამ ხარისხად: ლევიტელებად, მღვდლებად და მღვდელმთავრებად.

ლევიტელნი უბრალო საეკლესიო მსახურნი იყვნენ, დანიშნულნი სჯულის კარავთან უდაბლესი მოვალეობების შესასრულებლად. სოლომონის მიერ ტაძრის აშენებამდე მათ ევალებოდათ სჯულის კარვის ტარება ყველაფრით, რაც კი იყო მასში; ასევე თვალყური ედევნებინათ წესრიგის, სისუფთავის, წმიდა სამღვდელო საგნებისა და ჭურჭლის დაცვა-შენახვისათვის. ლევიტელნი ამზადებდნენ აუცილებელ მასალებს სამღვდელო მოქმედებებისათვის და მრუნავდნენ მასზედ, რომ საჭირო შემოსავალი მიეღოთ სჯულის კარვისა და მისი დაწესებულებების შესანახად.

ლევიტელებად ითვლებოდნენ ლევის ტომის ყველა მამრობითი სქესის წევრები, გარდა აარონის ოჯახისა, 30-დან 50 წლამდე. ისინი განიყოფოდნენ სამ ჯგუფად, შესაბამისად მათი გვაროვნული წარმომავლობისა, ლევის სამი ძისაგან – გირსონის, კააფისა და მერარისაგან და თითოეულ ამ ჯგუფს განწესებული ჰქონდა განსაკუთრებული მოვალეობანი მსახურებისა და პირველ ყოვლისა, სჯულის კარვის გადატანის დროს. ისინი მსახურებას იწყებდნენ საგანგებო განდობის რიტუალის შემდეგ, რომელიც შედგებოდა მათი განწმედის, ხელდასხმისა და მსხვერპლის შეწირვისაგან.

მღვდლებად იყვნენ თავიდან აარონის ყველა ძენი, შემდგომში კი – მთამომავალნი, რომლებიც ღირსეულნი იქნებოდნენ ამ წმიდა წოდებისა თავიანთი ზნეობრივი და პიროვნული თვისებებით. მსახურებაზე მათი განდობა აღეს-

რულებოდა სისხლმერეული წმიდა მირონის პკურებით. მღვდელმსახურებს ევალებოდათ, სჯულის კარავის ეზოში განსაზღვრულ დროს მსხვერპლი მეეწირათ ღმერთისთვის და გუნდრუკი ეკმიათ განსაწმედელში (საკურთხეველში), ყოველ საღამოს აენთოთ მასში კანდელი, ყოველ შაბათს გამოეცვალათ წინადაგების პურები, საჭირო ჟამს ხალხის მესაკრებად საყვირისთვის ჩაებერათ, საგანგებო წესის აღსრულებით განეწმიდათ კეთრით დაავადებულნი და სხვა უწმიდურობანი და საღმრთო სჯული ხალხისთვის ესწავლებინათ. როგორც მღვდელმსახურებს, მათ მიცემული ჰქონდათ განსაკუთრებული შესამოსელნი, რომლითაც ღვთის მსახურებათა ჟამს უნდა შემოსილიყვნენ. მათი შესამოსელი შედგებოდა:

1) ქვედა სელის კაბის – ნაძრაგისაგან, „სხეულებრივი სიმიმველის დასაფარავად წელიდან ვიდრე წვივებამდე";

2) ზედა თეთრი შესამოსელის – პერანგის, ანუ კვართისგან, რომელიც ტერფებამდე ემეებოდა და

3) წელზე შემოჭერილი იყო თეთრი სარტყელით, რომელიც შემკული იყო მრავალფერი ნაქარგით;

4) კიდარისაგან, რომელიც აგვირგვინებდა მღვდელმსახურთა მთლიან შესამოსელს.

მღვდლებს არ უნდა სცმოდათ უეხსაცმელი, რადგანაც ღვთისმსახურების აღსრულების ადგილის სიწმინდე მათ ფეხშიშველა ყოფნას მოითხოვდა.

მღვდელმსახური პირების მეთაური იყო მღვდელმთავარი, რომლის უმაღლესი წოდება თავდაპირველად მოსეს ძმას, აარონს მიენიჭა, ხოლო შემდეგ მემკვიდრეობით გადაეცემოდა უხუცესს (უფროს ძეს) მის გვარში. მხოლოდ მღვდელმთავარს ჰქონდა უფლება სჯულის კარვის წმიდათა წმიდა ნაწილში შესულიყო წელიწადში ერთხელ, განწმედის დღეს, როცა წმიდათა წმიდაში სამსხვერპლო სისხლს აპკურებდა. მღვდელმთავარს თავისი უმაღლესი სამღვდელო წოდების ღირსება უფლებას არ აძლევდა, მონაწილეობა მიეღო გარდაცვლილი იუდეველის დაკრძალვაში, ანდა თავისი შესამოსელი დაეპო დიდი მწუხარებისა და გლოვის ნიშნად, როგორც ამას სხვა იუდეველნი იქმოდნენ. მღვდელმთავრად განდობა ხდებოდა სჯულის კარავში შენახული მირონის უხვი გადასხმით გასანდობელის თავზე (მირონცხებით), რომელიც ამ დროს საგანგებო შესამოსელით იყო მემოსილი,როგორც მღვდელმთავრის წოდებას შეეფერებოდა. ეს შესამოსელი გაცილებით უფრო ძვირფასი და დიდებული იყო, ვიდრე მღვდლის შესამოსელი.

ჩვეულებრივი სამღვდელო შესამოსელის გარდა, მღვდელმთავარს ემოსა:

1) განსაკუთრებული უსახელო ზევითა სამოსი, მოქსოვილი მეწამული და ლურჯი მატყლისაგან,

არშიამემოვლებული ნატიფი საყელოთი და კალთებზე ნაქარგი მრავალფერი ვამლებითა და ოქროს პატარა ზანზალაკებით.

2) მის ზემოდან მღვდელმთავარი იმოსებოდა ეფოდით, ანუ განსაკუთრებული მოკლე სამოსით, მხრებზე ოქროს შესაკრავით, რომელთაგან თითოეულზე დამაგრებული იყო ონიქსის (ფრცხილის) ქვა, რომლებზეც ამოკვეთილი იყო ებრაელი ერის თორმეტი ტომის სახელი, ე.ი. თითოეულზე 6 სახელი. ეფოდი საგანგებო სარტყელით იყო შემოჭერილი და მას ფერითა და ნაქარგით შეესატყვისებოდა.

3) შემდეგ მოდიოდა განსაკუთრებული სამკერდე გულსაკიდი, რომელიც ცისფერი ზონრებითა და ოქროს რგოლებით იყო დამაგრებული; გულსაკიდზე სამ რიგად ჩამწკრივებული 12 ძვირფასი ქვა ბრწყინავდა, მათზეც ისრაელის თორმეტი ტომის სახელწოდება იყო ამოკვეთილი. სამკერდესთან იყო დაკავშირებული საიდუმლო „ურიმი“ და „ტუმიმი“ (ებრ. „ნათელნი“ და „სრულყოფილებანი“), რომელთა მეშვეობითაც მღვდელმთავარს ღვთის ნება ეუწყებოდა.

4) მღვდელმთავრის ქუდი — კიდარი უბრალო მღვდელმსახურის ქუდისაგან არა მხოლოდ მდიდრული მორთულობით განსხვავდებოდა, არამედ განსაკუთრებით იმითაც, რომ მის წინა ნაწილზე მიმაგრებული იყო ოქროს მომცრო დაფა მასზე ამოკვეთილი წარწერით: „სიწმიდე უფლისა“. ღვთის რჩეული ერის მღვდელმთავარი თავისი მსახურების აღმატებულობითა და დიდებულებით იყო წინა სახე და მომასწავებელი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელზეც პავლე მოციქული ამბობს: „მიეის ჩუენ მღდელთმოძღუარი დიდი, რომელმან განვლნა ცანი, იესუ, ძე ღმრთისაჲ“ (ებრ. 4, 14).

ე) წმიდა საღმრთო დრონი:

1. შაბათი, ვითარცა მოსვენების დღე, ერთ-ერთი პირველთაგანია ღმერთის მიერ დადგენილ წმიდა დროთაგან და იგი თავის დასაბამს ქვეყნის შექმნიდანვე იღებს. „და აკურთხა ღმერთმან დღე მეშვიდე და წმიდა-ჰყო იგი, რამეთუ მას შინა დასცხრა ყოველთაგან საქმეთა მისთა“ (დაბ. 2, 3). ხოლო სინაის მთაზე აღსრულებული სჯულისდებით მხოლოდ დადასტურებულ იქნა შაბათის დადგინება, როგორც ამას ეს საღმრთო მცნება გვიჩვენებს: „მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა ჰყავ იგი: ექვს დღე იქმოდე და ჰქმენ ყოველი საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი არს უფლისა ღვთისა შენისა“. ამ მცნებით უქმობისმოყვარება, მცონარება კი არ წახალისდება, არამედ აკრძალულია მხოლოდ შრომა ანგარებიანი მიზნით, ანუ მამონას მსახურება. ამგვარი შრომის სანაცვლოდ შაბათი ღმერთისადმი მსახურებას უნდა მიეძღ-

ვნას. ამ დღეს ებრაელი ერი იკრიბებოდა სჯულის კარავთან ღვთისმსახურებისათვის, რაც ორმაგ მსხვერპლის შეწირვაში და წინადაგების პურთა განახლებაში მდგომარეობდა.

შაბათის დღესასწაული საუუძველად დაედო სხვა სამეიმო დღესასწაულებს, რომელთაგან აღსანიშნავია:

ა)ახალმთვარეობის დღესასწაული — მთვარის ყოველი ახალი გამოჩენისას აღესრულებოდა. ამ დღესასწაულის დადგომას ებრაელ ერს აუწყებდნენ ვერცხლის ორი საყვირით, რაც გამოხატავდა გაძლიერებულ მსხვერპლშეწირვას;

ბ) საყვირთა დღესასწაული; იგი აღესრულებოდა თირმის თვის პირველ დღეს, რომლითაც სამოქალაქო წელიწადი იწყებოდა, მაგრამ იგი საღმრთო (საეკლესიო) წელიწადის, მეშვიდე, ასე ვთქვათ, შაბათის თვე იყო. რაკი ეს დღე ყოველთვის შაბათზე მოდიოდა, ამიტომ თვით მისი დღესასწაულობაც შაბათის აღნიშვნის ხასიათს ატარებდა. მის დადგომას საყვირის დაცემით იუწყებოდნენ, საიდანაც მიიღო კიდეც ეს სახელწოდება.

გ) შაბათის წელიწადი, მსგავსად იმისა, როგორადაც ყოველი კვირის მეშვიდე დღე და წლის მეშვიდე თვე იკურთხებოდა, ასევე უნდა კურთხეულიყო ყოველი მეშვიდე წელიწადიც. შაბათის წელიწადის თავისებურება ის იყო, რომ იმ წლის განმავლობაში მიწასაც კი, ვითარცა მთლიანად უფლის კუთვნილებას შაბათი უნდა დაეცვა, ანუ დასვენებული ყოფილიყო და არ დამუშავებულიყო, ხოლო მასზე თავისით მოსული ნაყოფი ღარიბ-გლახაკთ და პირუტყვებს უნდა დარიგებოდათ. შაბათის წელი „შენდობის წელიწადადაც“ იწოდებოდა, რადგან ამ წელს სესხის მიმცემთ უნდა ეპატიებინათ ვალი მევალეებისათვის. ამავე წელიწადს ნებისმიერი ისრაიტელიც, რომელიც მონობაში იყო ჩავარდნილი,შაბათის წელიწადს თავისუფლდებოდა.

დ) საიუბილეო წელიწადის დღესასწაული აღესრულებოდა ყოველ 50-ე წელიწადს. იგი იწყებოდა მეშვიდე თვის — თირმის მე-10 დღეს, ანუ განწმენდა-კურთხევის დიად დღეს. ამ დროს, საზეიმო მსხვერპლშეწირვის შემდგომ, გაისმოდა ხოლმე საიუბილეო საყვირის ხმა, რომელიც მთელ ქვეყნიერებაზე თავისუფლების შესახებ აუწყებდა მის ყველა მკვიდრს. ამ წლის განმავლობაშიც მიწას ასვენებდნენ, არ ამუშავებდნენ, ისევე, როგორც ყოველ მეშვიდე შაბათის წელიწადს. ყველა ის მიწა, რომელიც გასული ორმოცდაცხრა წლის განმავლობაში დაეკარგათ ღარიბ-ღატაკ ისრაელიანთ,ამ წელიწადს კვლავ სრულ საკუთრებაში უბრუნდებოდათ სრულიად უსასყიდლოდ. უკლებლივ ყველა მონას ათავისუფლებდნენ. ყველაფერს იმ სახით აღადგენდნენ, როგორც თავდაპირველად იყო აღთქმული მიწის

განაწილებისას. საიუბილეო წელი აგვირგვინებდა შაბათის წლების დიდ წრეს, რის შემდეგაც, გარკვეული აზრით, ყოველივე განახლდებოდა და ხალხიც თითქოს ახალ ცხოვრებას იწყებდა.

განწესებანი შაბათისა და საიუბილეო წლებთან დაკავშირებით მკაცრად არ სრულდებოდა, რის შესახებაც წინასწარმეტყველთა საყვედურებიც მოწმობენ.

გარდა შაბათისმიერი დღესასწაულთა ციკლისა, არსებობდა კიდევ სამი უდიდესი ისტორიული დღესასწაული:

1. პასექი, უდიდესი სამ ყოველწლიურ დღესასწაულთაგან, აღსრულებოდა შვიდი დღის განმავლობაში, დაწყებული იმ მწუხრიდან, რომელიც ამთავრებდა წლის პირველი თვის ნისანის, ანუ აბიბის თვის მეთოთხმეტე დღეს. ეს დღესასწაული დაწესდა ეგვიპტიდან ებრაელი ერის გამოსვლის ღამეს. პასექს უდიდესი წინამომასწავებელი მნიშვნელობა ჰქონდა. თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით იგი, ერთსა და იმავე დროს, იყო მსხვერპლი — მთელ ისრაელში ყველაზე უმანკო პირუტყვი მსხვერპლად შეიწირებოდა დანაშაულის მქონეთათვის ცოდვის გამოსასყიდად, — სასიხარულო დღესასწაული, სიკვდილისაგან ხსნის გამო და ამასთანავე ისტორიული დღესასწაულიც. ამიტომაც, პასექს მწარე ბალახეულით (საკმაზითა) და უფუარი პურით — ხმიაძით ჭამდნენ (მოსახსენიებლად მწარე ეგვიპტური ტყვეობისა და მისგან თავდასაღწევად საჩქარო შეკრებისა) მსგავსად გასამგზავრებლად მოჩქარე მსხემთა მდგომარეობისა.

თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობით პასექი იყო ცხადი წინასახე იესო ქრისტეს გამომსყიდველი ღვაწლისა, „ზატიკად ჩუენთჳს დაიკლა ქრისტე“ (1 კორ. 5, 7) და ამასთან, დაიკლა სწორედ პასექის დღესასწაულის აღსრულების დროს, ვითარცა „ტარიგი უბიწოჲ“ (1 პეტრ. 1, 19).

2. ერგასის, ანუ მკის დღესასწაული იყო ერთგვარი დამატება, შევსება პასექისა. იგი მხოლოდ ერთი დღე გრძელდებოდა, 50 დღის გასვლის შემდეგ ნისანის მე-16 დღიდან, მაისის ბოლოს. შუალედი მათ შორის ალოობაზე მოდიოდა, როცა პურს მკიდნენ და ერგასის დღესასწაულზეც შესაწირად მოჰქონდათ პირველი პური ახლადმომკილი ყანებისა. ამავე დღესასწაულთან იყო შეერთებული მოხსენიებაც სინას მთაზე მომადლებული საღმრთო სჯულისდებისა, რომელიც ეგვიპტიდან ისრაელი ერის გამოსვლის 50-ე დღეს აღსრულდა (მეწამულ ზღვაზე გასვლის შემდეგ).

3. კარავთა დღესასწაული აგვირგვინებდა ყოველწლიური დღესასწაულების წრეს და გამოირჩეოდა უდიდესი მხიარულებით. კარვობის დღესასწაული, ერთსა და იმავე დროს, იყო მადლობის მიძღვნა მოწეული მოსავლისათვის და მოხსენიება იმ დროისა, როცა ისრაელიანნი კარვებში

ცხოვრობდნენ თავიანთი ორმოცწლიანი მოგზაურობისას უდაბნოში. იგი შემოდგომაზე იდღესასწაულებოდა, როცა უკვე აღებულ-დაბინავებული იყო მიწის ყველა მოწეული ნაყოფი; შვიდი დღის განმავლობაში გრძელდებოდა და მთავრდებოდა „წმიდა შეკრების“ მერვე დღით. ამ შვიდი დღის განმავლობაში (თირშის თვის 15-დან 22 რიცხვამდე) ხალხი ცხოვრობდა ხის ტოტებისაგან გაკეთებულ ქოხებში (კარვებში), რის გამოც მიიღო კიდეც სახელწოდება — „კარვობის დღესასწაული“.

4. ამ საზეიმო დღესასწაულთაგან სრულიად განსხვაებული იყო განწმედის დღე, ერთადერთი დღე სინანულისა და მარხვისათვის მოსეს სჯულის მიხედვით. მას აღასრულებდნენ ხუთი დღის განმავლობაში კარვობის დღესასწაულამდე და საზეიმო მაბათის ხასიათი ჰქონდა, როცა ყველას უნდა შეეწყვიტა მუშაობა და „დაემდაბლებინა სული“ ხალხისაგან განკვეთის შიშით. ამ დღესასწაულის წეს-ჩვეულებანი (რიტუალები) მოასწავებდა გულმემუსვრილობას გასული წლის განმავლობაში ჩადენილი ცოდვებისათვის და მათ მიტევებასაც, აღსრულებულს მღვდელმთავრის მიერ წმიდათა წმიდაში, სადაც იგი მხოლოდ ამ დღეს შედიოდა. ამ დღის ყველა მსხვერპლი თვით მღვდელმთავრის მიერ შეიწირებოდა და მთავრდებოდა უდაბნოში „განტევების ვაცის“ გაგდებით, რომელსაც თითქოს თან მიჰქონდა ხალხის ცოდვათა მძიმე ტვირთი. წინამომასწავებელი მნიშვნელობა ამ სიმბოლური წეს-ჩვეულებისა იმაში მდგომარეობდა, რომ კაცთა მოდგმის საბოლოო და სრული გამოსყიდვა აღესრულებოდა „არა სისხლითა ვაცთაჲთა და ზვარაკთაჲთა“, არამედ „მეოხ-მყოფელისა მიერ ახალი აღთქმისა“ — იესო ქრისტეს მიერ.

წმიდა საღმრთო დღესასწაულებთან დაკავშირებული იყო სამღვდელო მოქმედებანიც. ისინი თითქმის მთლიანად მსხვერპლშეწირვებისაგან შედგებოდა; მსხვერპლად შეიწირებოდა პირუტყვი ან მიწის ნაყოფი. მათ შორის აშკარად გამოირჩეოდა მსხვერპლშეწირვანი საკუთრივი მნიშვნელობით, როცა მსხვერპლად მოტანილი საგანი მთლიანად ან ნაწილობრივ ნადგურდებოდა სამსხვერპლო ცეცხლზე და მიძღვნა, როცა ძღვენი მხოლოდ იკურთხებოდა იაჰვეს წინაშე და შემდეგ კვლავ მიმტანის მიერ მოიხმარებოდა.

მსხვერპლშეწირვანი ხუთ სახეობად განიყოფებოდა:

1)ყოველად დასაწველი მსხვერპლი. ასე იწოდებოდა იმიტომ, რომ მსხვერპლად მიტანილი სამსხვერპლოზე მთლიანად დაიწვებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მსხვერპლის მიმტანი მთლიანად ღმერთს ეკუთვნოდა, სულითაც და სხეულითაც ღმერთის ნებას მიუძღვნიდა საკუთარ თავს. ეს მსხვერპლი შეიძლებოდა შეწირულიყო მთელი ერისათვის, ან-

და ცალკეული პირების საოხად, რომელთაც სამსხვერპლო პირუტყვი კეთილგანწყობილი გულით უნდა მიეტანათ მსხვერპლად და ამასთან სამსხვერპლო პირუტყვის შერჩევის შესახებ კანონით (სჯულით) დადგენილი ყველა წესის დაცვით. ასეთი პირუტყვი შეიძლებოდა ყოფილიყო: მოზვერი, ცხვარი, თხა (ვაცი), გვრიტი ან მტრედი. მსხვერპლის მიმტანნი ხელებს დასხამდნენ სამსხვერპლო პირუტყვზე სამსხვერპლოს – საკურთხეველის წინაშე ნიშნად იმისა, რომ თავიანთი ცოდვები მასზე გადაპქონდათ. შემდეგ სამსხვერპლო პირუტყვი ან ფრინველი დაიკვლებოდა და მის სისხლს მღვდელი საკურთხეველზე აპკურებდა. ბოლოს კი დაწვავდა მთელ მსხვერპლს, გარდა მისი ტყავისა, რომელიც მღვდელს ეძლეოდა.

2) მსხვერპლშეწირვა ცოდვათა გამო, იმ ცოდვათა გამოსასყიდად, რომლებიც ჩადენილი იყო ან უცნობლად, ანდა უძლურებისა გამო როგორც მღვდელმსახურის, ასევე ერისკაცის მიერ, განსაწმედელად ყოველგვარი შესაძლო ცოდვისაგან თუ შებილწვისაგან.

3) დანამაულის გამოსასყიდი მსხვერპლი შეიწირებოდა შეგნებული ცოდვების – ბოროტმოქმედებისა და წაბილწვასთან დაკავშირებული ყველა ქმედებისათვის. ეს ორი მსხვერპლშეწირვა იმით განსხვავდებოდა ყოველდღიური მსხვერპლისაგან, რომ მსხვერპლად მიტანილი პირუტყვის ხორცი (გარდა სისხლისა და ქონისა) მღვდლებს ეძლეოდათ, რომლებიც სჯულის კარვის ეზოშივე მიიღებდნენ მას საზრდოდ.

4) მშვიდობის მსხვერპლი შეიწირებოდა განსაკუთრებული მადლიერების გამოსახატავად ღმერთისადმი, ან აღთქმისამებრ, დადებული აღთქმის აღსასრულებლად, ანდა, როგორც საგანგებო ძღვენი სიხარულისა და სიყვარულისათვის. მსხვერპლად მიტანილიდან ნაწილი დაიწვებოდა, მკერდისა და ბეჭის ნაწილი მღვდელმსახურთ მიერთმეოდათ, ხოლო დანარჩენი ნაწილები შეიძლებოდა საზრდოდ მიეღოთ ძღვენის შემწირველთ.

5) უსისხლო მსხვერპლი მდგომარეობდა ფქვილის, ზეთის, ღვინისა და საკმევლის შეწირვაში. ეს პროდუქტები ზოგჯერ პირველი ოთხი სახეობის მსხვერპლშეწირვის დროსაც მოჰქონდათ. როგორც პირველი ოთხი მსხვერპლშეწირვა მოასწავებდა სიცოცხლის მიძღვნას ღმერთისადმი, ასევე ეს უკანასკნელი სახეობაც ნიშნავდა ღმერთისათვის მიწის ნაყოფთა მირთმევას. ამ სახეობასვე უახლოვდება სხვადასხვა ნაყოფთა მიძღვნა, რომელნიც თითოეულ ნაყოფთაგან აღებული მცირედი ნაწილის სახით სჯულისკარავში ან ტაძარში იკურთხებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ ხდებოდა მათი საზრდოდ გამოყენება. ყველა ეს სამღვდელო მოქმედებანი მღვდელმსახურთა მიერ აღესრულებოდა ლოცვებისა და დაწესებული წესების თანხლე-

ბით, რომლებიც დაწვრილებითაა აღწერილი ლევიტელთა წიგნში.

ყველა ამ მღვდელმოქმედების მიზანი იყო სიწმიდისა და კეთილკრძალულების დაცვა ხალხში, რადგან ვითარცა ღვთის რჩეული ერი „წმიდა ერი“ უნდა ყოფილიყო.

ამავე მიზნით იყო დაწესებული საგანგებო კანონები და რიტუალები, რომელთა აღსრულებასაც ხელი უნდა შეეწყო ხალხში სიწმიდის დაცვისათვის. ეს ზნეობრივი ნორმების დამდგენი კანონები იყო. მათი არსობრიობა გამოხატულია ღვთის მიერ მოცემული ათი მცნების მეორე ნაწილში (V-X მცნებები) და ყოველი ადამიანისაგან მოითხოვს როგორც პიროვნულ და სხეულებრივ უზაკველობას — სიწმიდეს, ასევე სიმართლესა და კაცთმოყვარეობას მოყვასისადმი. კერძოდ, ამას განეკუთვნებოდა:

1) უძველესი კანონი წინაბაცვეთისა, რომელიც დადასტურებულია სინას მთის სჯულისდებით;

2) კანონი მამრობითი სქესის პირველშობილთა (პირმშოთა) ღმერთისადმი მიძღვნის შესახებ;

3) კანონი პირადი სიწმიდისა და კეთილკრძალულების დაცვის შესახებ არაწმიდა საგნებისადმი შეხების აკრძალვის გზით;

4) კანონი პირუტყეთა წმიდა და არაწმიდა პირუტყეებად დაყოფის, მათი საზრდოდ გამოყენების, ან მხოლოდ პირველთა მსხვერპლად შეწირვის ნებართვის შესახებ.

გარდა თანამდებობრივი სამღვდელო პირებისა — მღვდელმსახურებისა, არსებობდნენ აგრეთვე საღმრთო პირები აღთქმის დადებით, ე. წ. ნაზორეველნი, ანუ ღმერთის სამსახურებლად გამოყოფილნი. ნაზორეველნი ვალდებულნი იყვნენ, თავი შეეკავებინათ ყურძნისა და ღვინის მიღებისაგან, არ შეეკვეცათ თმა, თავი შემოეზღუდათ ნებისმიერი შებილწვისაგან.

ნაზორეველნი აღთქმას დებდნენ ან სიცოცხლის ბოლომდე, ანდა მხოლოდ განსაზღვრული დროით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნაზორეველის აღთქმა ნებადართული იყო სამმაგი მსხვერპლშეწირვით და აღთქმის დამდების თმების დაწვით სამსხვერპლოზე (საკურთხეველზე).

V. ბიბლიური არქეოლოგიის შესახებ

„უკანასკნელი ასი წლის მანძილზე ჩვენი ცოდნა ძველ ისტორიაში უჩვეულოდ გაფართოვდა, — წერდა 1950 წელს პარიზელი პროფესორი ა. დიუპონ-სომერი, — უძველესი კულტურები, რომელთა შესახებაც ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა, ან საერთოდ არაფერი იყო ცნობილი, გამოვიდნენ იმ წყვდიადიდან, მათ

რომ მოიცავდა: ეგვიპტელნი, შუმერიელნი, ბაბილონელნი, ასირიელნი, ხეთები, ხურიტები, ელამიტელნი, ფინიკიელნი, ეგეველნი, – ყველა ეს ხალხი, შორეულ აღმოსავლეთზე რომ აღარაფერი ვთქვათ, – ახლა მკვდრეთით წამოდგება თითქოს ჩვენ წინაშე... ყოველგნით, წლიდან წლამდე, ახლადაღმოჩენილი დოკუმენტები ნათელს ჰფენს კაცობრიობის წარსულის დიად ფურცლებს, რომლებიც აქამდე ბნელით იყო მოცული.

ეს აღმოჩენები გვიჩვენებს, თუ როგორი იყო ადამიანი წარსულში. ხშირად იმაშიც გვეხმარება, რომ უკეთესად გავიგოთ ადამიანი აწინდელ დროშიც. ბევრ აღმოჩენას შემთხვევითობას უნდა ვუმადლოდეთ. მკვდარი ზღვის რაიონში ნაპოვნი ებრაული ხელნაწერების შემთხვევაშიც ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე.

1947 წელს ერთმა არაბმა ბედუინმა უდაბნოში შემთხვევით აღმოაჩინა უძველესი სამალავი, დაახლოებით 2000 წლის წინანდელი. მართალია, შემდგომში იგი გაიძარცვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღმოჩენილია უძველესი ებრაული სექტის ბიბლიოთეკიდან დარჩენილი რამდენიმე წიგნი. ეს ძველი დოკუმენტები ყველაზე სენსაციურია დანარჩენ მასალათაგან, რომელნიც კი ოდესმე მოხვედრილა ფილოლოგებისა და ისტორიკოსების ხელთ და ისინი ყველაზე მეტად იმსახურებს მათ ინტერესს, ვისაც უყვარს განსჯა უდიდესი ისტორიული ფაქტებისა!"

სანამ ამ აღმოჩენათა მნიშვნელობაზე ვისაუბრებთ, გავიხსენოთ შემდეგი ფაქტები:

იერუსალიმიდან იერიქონისაკენ მიმავალი გზა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ეშვება და მცხუნვარე, ველურ და უდაბურ ადგილებს გადაკვეთს, რომლებიც დაახლოებით 20 კილომეტრის სიგანისაა და იერუსალიმის, ბეთლემისა და ქებრონის მთაგორიან რელიეფს გამოყოფს ღრმა ველისაგან, სადაც იორდანე მიედინება და მკვდარი ზღვა მდებარეობს. ეს არის ცნობილი იუდეას უდაბნო, რომელიც პალესტინის ისტორიაში უძველესი დროიდანვე ავაზაკებისა და ყველა სჯულის დევნილი ადამიანის თავშესაფარი იყო. აქ, კირქვის კლდეებში მდებარე მრავალრიცხოვანი გამოქვაბული წარმოქმნის შესანიშნავ ბუნებრივ სამალავებს.

ჩვენ დროში იუდეას უდაბნო დასახლებულია რამდენიმე არაბული მომთაბარე ტომით, რომელნიც აქ თავიანთ ფარა-ნახირს აძოვებენ. პირველი გამოქვაბული, სადაც ხელნაწერები იპოვეს, აღმოჩენილ იქნა 1947 წლის გაზაფხულზე თაამირის ტომის ერთერთი ბედუინის მიერ, როცა ის დაკარგულ თხას ეძებდა. ეს გამოქვაბული კლდეშია გამოკვეთილი, 300 მეტრით მაღლა მკვდარი ზღვის ზედაპირიდან, მის დასავლეთ ნაპირზე, დაახლოებით ორ კილომეტრზე მისგან. ეს ადგილი იერიქონის სამხრეთით, 12 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.

გამოქვაბული ორი ნაპრალით გასცქერის ველს: ერთი საკმაოდ მაღალია და ერთგვარ სარკმელს წარმოქმნის, მეორე კი კლდის ძირასაა და მისი მეშვეობით შიგნით შეღწევა მხოლოდ ხოხვითაა შესაძლებელი. თავად გამოქვაბული წარმოადგენს ხვეულ ტალანს, რომლის სიგრძე 8 მეტრია, სიგანე — 2 მეტრი და სიმაღლე 2,5-დან 3 მეტრამდე.

ამ ვიწრო გასასვლელში მიწაზე მრავლად ეყარა თიხის ჭურჭლის ნამსხვრევები, მაგრამ სიღრმეში რვა ჭურჭელი ჩამწკრივებულიყო, სავსებით შენახულნი და თავდაცულნი, ყველა ცარიელი იყო გარდა ერთისა, რომელშიც ბედუინმა ტყავის სამი გრაგნილი აღმოაჩინა — ერთი დიდი და ორი მომცრო, სამივე გახვეული იყო ქსოვილში. გრაგნილები იყო ერთგვარი „ტომები“ უძველესი ხელნაწერი წიგნებისა, რომლებზეც ოდესღაც სვეტებად და საოცრად მტკიცე მელნით გადაწერდნენ ხოლმე ებრაულ საღმრთო წიგნებს.

ბედუინს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა უცნაური გრაგნილების შინაარსის შესახებ. მოეთათბირა თანატომელებს და მათი გაყიდვა გადაწყვიტა. მან ბეთლემში წაიღო ანტიკვართან, რომელმაც, თავის მხრივ, წმიდა მარკოზის სახელობის სირიულ მონასტერს შესთავაზა ისინი იერუსალიმის არქაულ ნაწილში. რაკი წინასწარ იგრძნეს, რომ ამ საქონელს მყიდველები გამოუჩნდებოდა, ბედუინებმა განაგრძეს ძიება. გამოქვაბულსა და მიწაზე გაბნეულ ნამსხვრევებს შორის კიდევ რამდენიმე გრაგნილი და ნაგლეჯი იპოვეს,მეტნაკლებად შენახულ მდგომარეობაში. ამავე, 1947 წლის შემოდგომაზე ბედუინებმა და ანტიკვარებმა იერუსალიმის სამეცნიერო დაწესებულებების შემოელა დაიწყეს, სადაც ყველას თავიანთ მანუსკრიპტებს სთავაზობდნენ. მალე იერუსალიმის ებრაულმა უნივერსიტეტმა სამი მათგანი შეისყიდა და იქ მომუშავე პროფესორმა სუკენიკმა პირველმა დაადგინა მათი უაღრესი სიძველე. წმიდა მარკოზის მონასტრის სირიელმა მიტროპოლიტმა ოთხი ხელნაწერი იყიდა და 1948 წლის თებერვალში იერუსალიმში არსებულ აღმოსავლური კვლევა-ძიების ამერიკული სკოლის თანამშრომლებს ჯ. ტრევერსა და უ. ბროუნლის აჩვენა. ისინიც მიხვდნენ, რომ საქმე ჰქონდათ უმნიშვნელოვანეს აღმოჩენასთან და ნებართვაც მიიღეს, ხელნაწერთა ფოტო გადაეღოთ.

პალესტინაში იმ დროს რთული ვითარება იყო. რამდენიმე კვირის შემდეგ ომმა იფეთქა. სირიელი მიტროპოლიტი თავისი მანუსკრიპტებითურთ აშშ-ში გაემგზავრა და მხოლოდ 1954 წელს ისრაელის სახელმწიფომ შეიძინა ისინი მსხვილი თანხის — 250 ათასი დოლარის საფასურად. ამჟამად ისრაელში საგანგებოდაა ამენებული „წიგნის სასახლე“ ამ ხელნაწერების შესანახად.

ამავე არეულ, მუთიან პერიოდში, როცა იერუსალიმის ქუჩებში ბრძოლები მიმდინარეობდა, ებრაულმა უნივერსიტეტმა, თავის მხრივ, შეძლო ერთ წელიწადზე ნაკლები დროის განმავლობაში მის განკარგულებაში არსებული ხელნაწერების ნაწილის გამოცემა. 1948 წლის სექტემბერში მან გამოსცა არა თარგმანი და კომენტარები, არამედ გაცილებით უფრო ღირებული – ცამეტი ფოტოსურათი მანუსკრიპტების მოგიერთი ადგილისა. საერთო რაოდენობასთან შედარებით ეს ბევრი არ იყო, მაგრამ სპეციალისტებს საშუალება მიეცათ, ტექსტი ენახათ და მისი სიძველის ხარისხის შესახებ ემსჯელათ.

როდესაც ისრაელის ომი არაბებთან ზავის დადებით დამთავრდა, არქეოლოგებს შესაძლებლობა მიეცათ, გამოეკვლიათ ყუმრანის რაიონი, სადაც გრაგნილები იპოვეს და რომელიც იორდანიის ახალი სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. მათ იმ სამალავის ძიება დაიწყეს, სადაც მცირე ხნის წინ ბედუინებმა ხელნაწერები აღმოაჩინეს. ბედუინებს არ უნდოდათ, მისი ადგილმდებარეობა ვინმესთვის ეცნობებინათ. გამოქვაბულის პოვნა მხოლოდ 1949 წლის იანვარში შეძლეს. იორდანიის სიძველეთა დეპარტამენტი, ფრანგული ბიბლიოთეკა, არქეოლოგიური სკოლა იერუსალიმში და პალესტინის არქეოლოგიური მუზეუმი გამოქვაბულის სისტემატურ კვლევა-ძიებას შეუდგა. სულ შეკრებილ იქნა დაახლოებით 50 ჭურჭლის ნამსხვრევი და ხელნაწერთა 600-მდე ნაგლეჯი. არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის ვარაუდით, ამ 50 ჭურჭელში შენახული უნდა ყოფილიყო 150 გრაგნილი. სამწუხაროდ, ძველი დროის მძარცველთ მათი უდიდესი ნაწილი ვერ გადაურჩა.

ამ პირველ აღმოჩენას მოჰყვა მთელი რიგი სხვა აღმოჩენებისა. როცა არქეოლოგები ყუმრანის გამოქვაბულში ჯერ კიდევ პირველი გათხრებით იყვნენ დაკავებულნი, ბედუინებმა მანუსკრიპტების ახალი სერია ჩაიტანეს იერუსალიმში. ამჯერად, ისინი ნაპოვნი იყო „ვადი მურაბაატი“ ხეობაში მდებარე გამოქვაბულებში, რომელიც მკვდარი ზღვისკენ ეშვება 20-ოდე კილომეტრში ყუმრანიდან. აქ ნახეს ოთხი მღვიმე, რომლებიც 60 მეტრს აღწევდა კლდის შიგნით. მღვიმეებიდან გამოიტანეს ხელნაწერები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პალესტინის ისტორიისათვის, მაგრამ არანაირი კავშირი არ გააჩნდა პირველი გამოქვაბულის მანუსკრიპტებთან.

1952 წლის თებერვალში ბედუინები ყუმრანის რაიონში დაბრუნდნენ და სხვა გამოქვაბული აღმოაჩინეს ხელნაწერებითურთ. ამჯერად ნაპოვნი ფრაგმენტები კავშირში აღმოჩნდა პირველ მანუსკრიპტებთან, თუმცა კი ნაკლებად საინტერესო იყო.

არქეოლოგები გაცხარებით

აგრძელებდნენ ძიებას. ცხადი შეიქნა, რომ აუცილებელი იყო სისტემატური გამოკვლევა. სამი კვირის განმავლობაში ზემოთ ჩამოთვლილმა სამეცნიერო დაწესებულებებმა გულდაგულ შეისწავლეს მთელი მიდამო 8 კილომეტრის რადიუსში. ორმოც მღვიმესა და კლდოვან ნაპრალებში ნაპოვნი იქნა კერამიკა. უმეტესად იგი იმავე ტიპისა იყო, როგორიც პირველ გამოქვაბულში. უწინ, ძველ დროში ეს რაიონი დასახლებული უნდა ყოფილიყო, როგორც ამას ასკვნიდნენ, მაგრამ მკვლევართ წინ უფრო მოულოდნელი აღმოჩენა ელოდა. ეს იყო მესამე გამოქვაბული ხელნაწერებითურთ, რომელთაგან ორი სპილენძის ფურცლის გრაგნილებს წარმოადგენდა. ტექსტი ამოკვეთილი იყო ოთხკუთხა ებრაული ასოებით, რომლებიც გამობურცული იყო დაგრაგნილ ლითონზე. იგი შეიცავდა მთელი პალესტინის აღგილების ჩამონათვალს, სადაც თითქოსდა ზღაპრული საუნჯეები იყო დამალული. ეს ტექსტი, როგორც ჩანს, მხოლოდ ფოლკლორული ხასიათისაა.

მესამე გამოქვაბულის აღმოჩენა უკანასკნელი არ ყოფილა 1952 წელს. საქმე იმაშია, რომ ბედუინები ახლა უკვე მთელი იუდეას უდაბნოს ტერიტორიაზე დაეძებდნენ გრაგნილებს. მათ იცოდნენ, რომ მეცნიერებს ხელნაწერთა უმცირესი ნაგლეჯიც კი აინტერესებდათ და მათი თითოეული სანტიმეტრისათვის კარგ ფულსაც იხდიდნენ.

14 კილომეტრზე იერუსალიმის სამხრეთით, ჰირბეთ მირდად წოდებულ აღგილას (ჰირბეთი ნანგრევებს ნიშნავს) ბედუინებმა იპოვეს მანამდე ნაპოვნი მანუსკრიპტებისაგან მეტად განსხვავებული ფრაგმენტები. ამჯერად, ეს აღმოჩნდა ქრისტიანული მონასტრის ბიბლიოთეკის ნარჩენები, რომელიც აქ V-დან VIII საუკუნემდე არსებობდა. ფრაგმენტები შეიცავდა ტექსტებს სახარებებიდან, საქმე მოციქულთადან, პავლე მოციქულის ეპისტოლედან კოლასელთადმი და ევრიპიდეს „ანდრომაქედანაც“ კი.

პირველი მღვიმის აღმოჩენის შემდეგ ყველაზე სენსაციური აღმოჩენა 1952 წლის სექტემბერში არაჩვეულებრივი შემთხვევის წყალობით მოხდა. საღამოთი ერთად შეკრებილი ბედუინები ახლად აღმოჩენილ მასალათა შესახებ მსჯელობდნენ. ერთმა ბერიკაცმა გაიხსენა ჭაბუკობისდროინდელი შემთხვევა: ერთხელ, როცა იგი ყუმრანის რაიონში ნადირობდა, დაჭრილ კაკაბს გამოეკიდა, რომელიც კლდის ნაპრალში მიიმალა. მონადირემ ძლივს შეაღწია გამოქვაბულის სიღრმეში და იქ, თავისდა გასაკვირად, ათასნაირ თიხის ნამტვრევებსა და ჭურჭელს შორის მიწაზე თიხის ლამპარი დაინახა. ბედუინებმა ყურები ცქვიტეს და გამოქვაბულის საძიებლად გაეშურნენ ბერიკაცისაგან მიღებული ტოპოგრაფიული მითითებებით. მალე ერთ-ერთ მღვიმე-

მი ხელნაწერთა ათასობით ფრაგმენტი აღმოაჩინეს. მათ კიდევ ერთხელ სცადეს ნადავლის გაყიდვა, ამასთან, ისინი ცრუ ცნობებს იძლეოდნენ ნაპოვნის აღგილმდებარეობის შესახებ, რათა მასზე თავიანთი მონოპოლია შეენარჩუნებინათ, მაგრამ ეშმაკობა არ გაუვიდათ და მეცნიერებმა მალე მიაგნეს იმ ადგილს. ამ ძიებათა დროს აღმოჩენილმა ორმა მეზობელმა მღვიმემ კიდევ თორმეტიოდე ხელნაწერი ფრაგმენტი მისცა მეცნიერებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ნესტით ძალზე დაზიანებული იყო.

საბოლოო ჯამში, ნაპოვნი ფრაგმენტები, განსაკუთრებით კი „კაკბის მღვიმეში“ აღმოჩენილი, იმდენად მრავალრიცხოვანი და ისეთი ხარისხისაა, რომ ამ აღმოჩენამ, აღძრული ინტერესის მიხედვით, 1947 წლის უდიდეს აღმოჩენასაც კი გადაამეტა. შეკრებილ იქნა დაახლოებით 10 000 ფრაგმენტი არანაკლებ ოთხასი სხვადასხვა ნაწარმოებისა. ბედუინების მიერ მანამდე მოგროვილი ფრაგმენტების გამოსყიდვა მხოლოდ თანდათანობით მოხერხდა და რთული მოლაპარაკებები ამის თაობაზე 1956 წლამდე გრძელდებოდა. საჭირო იყო მნიშვნელოვანი ფულადი სახსრები. დახმარებისათვის მიმართეს მთელი მსოფლიოს სამეცნიერო დაწესებულებებს. გარდა იორდანიის მთავრობისა, რომელმაც 15 ათასი გირვანქა სტერლინგი გაიღო, მყიდველებად გამოვიდნენ მონრეალის, მანჩესტერისა და პაიდელბერგის უნივერსიტეტები, ჩიკაგოს საღვთისმეტყველო სემინარია, აგრეთვე ვატიკანის ბიბლიოთეკა. მთელი ეს მასალა (გარდა მცირედი გამონაკლისისა, რაც კერძო პირთა ხელში აღმოჩნდა) ამჟამად შეკრებილია იერუსალიმის პალესტინურ მუზეუმში.

1952 წლის ბოლოსთვის შეკრებილი დოკუმენტების მასა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მათი კლასიფიცირების, დაჯგუფებისა და თარგმნისათვის საჭირო გახდა საგანგებო სამეცნიერო ორგანიზაციის შექმნა. იგი შეგნებულად შეადგინეს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთაგან, რომლებიც სხვადასხვა აღმსარებლობას განეკუთვნებოდნენ. მისი წევრები იყვნენ: პროფ. პ.უ. სკეგანი (ვაშინგტონის კათოლიკური უნივერსიტეტი), ფ.მ. კროს უმცროსი (ჩიკაგოს საღვთისმეტყველო სემინარია),ჟ.სტგარკი (სამეცნიერო კვლევა-ძიების პარიზის ცენტრი), ჯ. სტრანგელი (ოქსფორდის იესოს კოლეჯი), ც.გ. გუნცინგერი (დელეგირებული გიოტინგენის უნივერსიტეტის მიერ) და ჟ.ტ. მილიკი (სამეცნიერო კვლევა-ძიების იმავე პარიზის ცენტრის თანამშრომელი).

ეს უდიდესი საქმე კოლოსალურ შრომას მოითხოვს: თითოეული ნაგლეჯი წყლის ორთქლით უნდა დამუშავდეს და გასწორდეს, შემდეგ გადაღებულ იქნას მისი ფოტო ინფრა-წითელი სხივებით, რათა ნაწერის წაკით-

ხვა გაადვილდეს. შემდეგ ხდება ფრაგმენტის კლასიფიცირება ნაწერის ხასიათისა და ტყავის ხარისხის მიხედვით, და ბოლოს, მას უნდა მოეძებნოს და მიუერთდეს იმავე მანუსკრიპტის სხვა ნაწილები, რათა შეძლებისდაგვარად აღდგენილ იქნას თავდაპირველი გრაგნილი. ამის შემდეგ გრაგნილის ფოტოფირი ტექსტის შესწავლის, თარგმნისა და კომენტარისათვის მთელი მსოფლიოს მეცნიერთა განკარგულებაში გადადის.

სანამ ეს სამუშაოები მიმდინარეობდა, 1955 წლის გამაფხულზე აღმოჩენილ იქნა კიდევ ოთხი გამოქვაბული, თუმცა იქ ძალზე ცოტა ხელნაწერის ფრაგმენტები იპოვეს. სამაგიეროდ, 1956 წლის დასაწყისში ბედუინებმა მეთერთმეტე გამოქვაბულში შეაღწიეს, რომელიც ხელნაწერებს შეიცავდა და თავისი მნიშვნელობით I და IV მღვიმეებს უტოლდებოდა.

1952 წლის დადგომამდე აღმოჩენათა სხვა წყებამ ნათელი მოპფინა კითხვას: როდის იყო დაწერილი ეს მანუსკრიპტები და ვინ დამალა ისინი?

აქამდე არავინ აქცევდა რაიმე განსაკუთრებულ ყურადღებას პირველი გამოქვაბულიდან სამხრეთით 1000 მეტრში მდებარე ნანგრევებს „ვადი ყუმრანი“, ზაფხულობით დამშრალ მეზობელ ღელეში, რომელსაც „ხირბეთ-ყუმრანი“ ერქვა. იქვე მახლობლად მდებარეობდა ძველისძველი სასაფლაო, რომელსაც მუსლიმთა რომელიღაც სექტას მიაკუთვნებდნენ.

მღვიმის აღმოჩენამ, ბუნებრივია, არქეოლოგთა ყურადღება მიაპყრო ამ ადგილებს. ხელნაწერთა დამალვა მხოლოდ იმ ადამიანებს შეეძლოთ, რომლებიც მახლობლად ცხოვრობდნენ. განა შეიძლებოდა აქვე მდებარე „ხირბეთ-ყუმრანის“ ნანგრევებით არ დაინტერესებულიყვნენ მეცნიერები?!

პირველი გათხრები აქ 1951 წლის ნოემბერში დაიწყო იერუსალიმში არსებული საფრანგეთის ბიბლიურ-არქეოლოგიური სკოლის დირექტორის ო.რ. დევოსა და იორდანიის სახელმწიფოს სიძველეთა სამმართველოს დირექტორის ჯ.ლ. ჰარდინგის ხელმძღვანელობით. გათხრებმა დამაჯერობლობა შესძინა იმ ვარაუდს, რომ ნამდვილად არსებობდა კავშირი ამ ნანგრევებსა და ხელნაწერების დამმალავ ადამიანებს შორის. ნაპოვნი იქნა ზუსტად ისეთივე დაუზიანებელი ამფორა (თიხის ჭურჭელი), როგორიც პირველ გამოქვაბულში აღმოჩენილი რვა ამფორა იყო; მეორე მხრივ, კერამიკის ნამსხვრევები, მოგროვილი ნანგრევებსა და გამოქვაბულებში, სრულიად იდენტური იყო. გათხრების დროს იპოვეს მონეტები მმართველთა გამოსახულებით. ისინი განეკუთვნებოდნენ ქრისტიანული ერის პირველ ათწლეულებს 70 წლამდე, ანუ რომის წინააღმდეგ იუდეას პირველ აჯანყებამდე. ამგვარად, ამ მონეტების წყალობით, დადგენილ იქნა ამ

რაიონის ძირითადი განსახლების დრო: ქრისტეს შემდგომ I საუკუნის პირველი ორი მესამედი. უკვე ეჭვი აღარ იყო, რომ ხელნაწერები გამოქვაბულებში სწორედ ადგილობრივმა მკვიდრებმა დამალეს.

1953-1956 წლებში აქ კიდევ ოთხი არქეოლოგიური ექსპედიცია ჩატარდა. მთლიანად გათხრილ იქნა ხირბეთ-ყუმრანის კედლები. აღმოჩენილ იქნა დიდი პალატი 22 X 4,50 მ, რომელიც სანახევროდ ოთხ სვეტზე დაფუძნებული სახურავით უნდა ყოფილიყო გადახურული. სხვა სათავსოში სამმარეულოს ნივთების უხვი მასალა იქნა მოპოვებული: დაახლოებით ათასი ქოთანი, ამფორი, ჯამი, დოქი, თასი, თეფში, სასმისი. ნივთები მწკრივებად იყო დალაგებული და ალბათ, ჭურჭლის მარაგს შეადგენდა. სხვა ადგილას ნახეს მექოთნის სახელოსნო, ფიცარნაგი თიხის მოსაშელად, აუზი მის შესანახად და ორი ღუმელი. ნაგებობათა ერთ-ერთ ნაწილში თავმოყრილი იყო ბელღები და პურის საცხობი ღუმელი (ფურნე).

დიდ სათავსოში 14 X 4 მ, თაროებჩამენებული კედლების გასწვრივ გრძელი მერხი იდგა, ხოლო გაბნეულ ნამსხვრევებს შორის ვიწრო მაგიდების ნამთები აღმოჩნდა. ისინი აგურისა და თაბაშირისგან იყო გაკეთებული და სიგრძე ხუთ მეტრს აღწევდა. ჯერ იფიქრეს, რომ ეს დარბაზი შეკრებათა ადგილი ან სასადილო იყო, მაგრამ ღორღში არქეოლოგებმა ბრინჯაოს სამელნეები აღმოაჩინეს, რომელთაგან ერთ-ერთი გამხმარ მცენარეულ მელანსაც კი შეიცავდა. ამგვარად, გაირკვა, რომ ამ დარბაზში გადამწერნი მუშაობდნენ.

მეორე მხრივ, თვალში საცემი იყო ცისტერნებისა და აუზების უჩვეულოდ დიდი რაოდენობა, რომლებშიც წყალი მეზობლად მდებარე „ვადი“-დან – ღელედან ჩაედინებოდა, საიდანაც იგი საკმაოდ სრულყოფილი წყალსადენის სისტემით მოდიოდა.

აღმოსავლეთ მხარეს საცხოვრებელთაგან მიწაყრილით გამოყოფილი სასაფლაო მდებარეობდა. მწყობრ რიგებად ჩამწკრივებული და ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ ორიენტირებული ათასზე მეტი საფლავი სათითაოდ მსხვილი ქვით იყო დაფარული. სხვადასხვა ადგილას მდებარე თერთმეტი საფლავი შერჩევით გაითხარა: გვამები დაკრძალული იყო ერთ მეტრზე მეტ სიღრმეზე, გულაღმა, პირით სამხრეთისაკენ. ებრაული წეს-ჩვეულების საწინააღმდეგოდ მათ გვერდით არ ტოვებდნენ არც სამკაულებს, არც ჭურჭელს და არც ფულს. მხოლოდ ზემოდან დაყრილ მიწაში იყო ნაპოვნი კერამიკის ნამსხვრევები, რომლებიც ადასტურებს, რომ სასაფლაო იმავე ეპოქას ეკუთვნის, რომელსაც მეზობლად მდებარე ნანგრევები. მაშასადამე, ეს სასაფლაო სულაც არ იყო მუსლიმანებისა: აქ თავიანთ მიცვალებულთ ხირბეთ-ყუმრანის ძველი მკვიდრნი მარხავდნენ.

ოთხ კილომეტრში, უფრო სამხრეთით, აინ-ფესკაში აღმოჩენილ იქნა განკერძოებული საცხოვრებლის ნანგრევები, რომელიც, სავარაუდოა, იმავე ადამიანებს ეკუთვნოდა, რადგანაც რაიონი ყუმრანსა და აინ-ფესკას შორის ირწყვება იქ არსებული რამდენიმე წყაროთი და ვარგისია მიწათმოქმედებისათვის, განსაკუთრებით კი ფინიკის პალმის გასამენებლად. ყუმრანის ნაგებობათა ნანგრევებში აღმოჩენილ იქნა კიდეც ამ ხის მრავალრიცხოვანი ნაწილები.

ვინ იყვნენ იუდეას უდაბნოს უცნაური მცხოვრებნი, ასეთი მძიმე ცხოვრების ჭაპანს რომ ეწეოდნენ თავიანთ თემში, რომელთა ცხოვრებაც იმგვარად იყო მოწყობილი, რომ გარე სამყაროს დახმარებისათვის არ მიემართათ; და სადაც ამფორებსაც და ყველა სხვა ჭურჭელსაც ადგილზევე ამზადებდნენ, ხოლო მთავარი საქმიანობა წიგნების წერა და გადაწერა იყო.

ორი გამონაკლისის გარდა, ყველა ის ადგილი, სადაც ნაპოვნ იქნა ხელნაწერთა გრაგნილები თუ მათი ნაგლეჯები, მდებარეობს 1-2 კილომეტრის რადიუსში ხირბეთ-ყუმრანიდან. მეორე მხრივ, გამოქვაბულებში ნაპოვნი კერამიკაც იმავე წარმოებისაა, რაც ყუმრანისა. ცნობილია, რომ კერამიკის წარმოების ხელოვნება ძალზე სწრაფად იცვლება. მისი სტილი, ფორმა, გამოყენებული მასალა და გამოწვის ხერხი არქეოლოგებს საშუალებას აძლევს, დიდი სიზუსტით დაადგინონ მათი წარმოების თარიღი. მართალია, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს იმგვარ კერამიკასთან, რომელიც განკუთვნილი იყო ფართო მოხმარებისათვის და ამიტომ ნაკლები თავისებურებებით გამოირჩეოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სპეციალისტებმა მაინც დარწმუნებით დაათარიღეს იგი რომის ეპოქით – ქრისტიანული ერის I საუკუნით.

გათხრების დროს ნაპოვნი იქნა 153 მონეტა, რომლებიც ეკუთვნის ქრისტეს შობამდე 125 წლიდან ქრისტეს შობიდან 70 წლამდე პერიოდს. პეროდე მეფის ზეობა, რომელიც 38 წელიწადს გრძელდებოდა, 35 წლიდან ქრისტეს შობამდე, 4 წლამდე ქრისტეს შობის შემდეგ, წარმოდგენილი იყო ერთადერთი მონეტით, მაშინ, როდესაც პეროდემდელ, მთელი 100 წლის პერიოდს განეკუთვნებოდა 72 მონეტა, ხოლო დანარჩენი 80 მონეტა მის შემდგომ 70-წლიან პერიოდს ეკუთვნოდა. ამრიგად, ყველაფერი მეტყველებდა იმაზე, რომ შენობა მიაგოვეს პეროდეს მეფობის დასაწყისში და შემდეგ კვლავ დაუბრუნდნენ მას მისი სიკვდილისთანავე. ამავე დროს, ცნობილია, რომ პეროდეს მეფობის მე-7 წელს პალესტინაში მიწისძვრა მოხდა, რაც ხირბეთის გათხრებმაც დაადასტურა. აქ მართლაც აღმოჩნდა მიწაში 15 მეტრის სიგრძის ღრმა ნაპრალი, რომელსაც დაუზიანებია კედლებიც,

მოკირწყლული იატაკიც, ერთი კიბეც და წყალსატევებიც. მიწა დაახლოებით 50 სანტიმეტრზე დამჯდარა და ამის ნაკვალევის ნახვა შეიძლებოდა ერთი ნაგებობის კიდიდან მეორე ნაგებობის კიდემდე; ამავე დროს, აღვილი შესამჩნევი იყო, რომ შემდგომში კედლები შეაკეთეს და აღადგინეს. მეორე მხრივ, ასევე ცხადი იყო, რომ შენობა ხელახლა და უკვე საბოლოოდ გაუკაცრიელდა რომის წინააღმდეგ იუდეას პირველი აჯანყების დროს, 67-70 წლებში. დანგრეული კედლები, ხანძრისაგან აღგილ-აღგილ ჩამავებულ-ჩანახშირებულნი, სამფრთიანი რკინის წვერები (შუბისა თუ ისრისა), რომელიც ტიპიური იყო რომაული შეიარაღებისთვის, — ეს ცხადად მეტყველებს, რომ რომაელმა მეომრებმა შენობა ძალის გამოყენებით აიღეს და დაანგრიეს.

სწორედ იმ არეულ დროში, წინ რომ უსწრებდა აჯანყების ჩახშობას, ყუმრანის მცხოვრებლებმა დამალეს კიდეც კლდოვან მღვიმეებში თავიანთი ძვირფასი ხელნაწერები: გულდაგულ შეახვიეს ისინი ქსოვილში, რომელიც გაჟღენთილი იყო გახრწნისაგან დამცავი შემადგენლობით; შემდეგ ჩააწყვეს თიხის ჭურჭელში, რომელსაც თვითონვე აკეთებდნენ და ყოველდღიურად ხმარობდნენ და მეზობლად მდებარე კლდეების გამოქვაბულებში დამალეს, რომლებსაც ხშირად მოინახულებდნენ ხოლმე და ამიტომ კარგად უწყოდნენ მათი მდებარეობა. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ოდესმე უკანვე დაიბრუნებდნენ თავიანთ საუნჯეს, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს, რადგან ან გაიფანტნენ, ანდა მოკლულ იქნენ.

წერის ფორმა და ორთოგრაფია მანუსკრიპტების ზუსტი დათარიღების საშუალებას იძლევა. ისინი დაწერილია კვადრატული, ებრაული დამწერლობით, რომელშიც ბევრი დეტალი მიუთითებს მათ სიძველეზე. უეჭველია, ისინი იმავე ეპოქას ეკუთვნიან, რომელსაც ეგვიპტის ქვიშაში 50 წლის წინათ ნაპოვნი პაპირუსი განეკუთვნება — პაპირუსი „ნამ"-ი დათარიღებულია I საუკუნით.

სელის ქსოვილიც, რომელშიც გრაგნილები იყო გახვეული და ერთი შეხედვით ძალზე ძველი ჩანდა, ასევე დაექვემდებარა მეცნიერულ ანალიზს. 1951 წლის იანვარში ჩიკაგოს თერმობირთვული შესწავლის ინსტიტუტში გამოკვლეულ იქნა ამ ქსოვილთა რადიოაქტიურობა. ცნობილია, რომ ყოველი ცოცხალი ორგანიზმი შეიცავს ნახშირბადის ორ სახეობას, რომელნიც მეცნიერთა მიერ იწოდებიან ნახშირბად 12-ად და ნახშირბად 14-ად. სანამ ორგანიზმი ცოცხლობს, რაოდენობრივი მიმართება ამ ორ იზოტოპს შორის უცვლელი რჩება, ხოლო ორგანიზმის სიკვდილის შემდეგ რადიოაქტიური ნახშირბადი 14 თანდათანობით გადაიქცევა ნახშირბად 12-ად. სელის ქსოვილში ნახშირბად 12-ისა და ნახშირბად 14-ის ამჟამად არსებული პროპორციის

გაზომვით შეგვიძლია შედარებითი სიზუსტით განვსაზღვროთ, როდის შეწყვიტა სიცოცხლე ამ ორგანულმა მატერიამ, ანუ რა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ეს ხელი მინდვრიდან აიღეს. ცხადია, ქსოვილიც ამ ხელისგან იქნა მოქსოვილი. ცდამ აჩვენა, რომ მოცემულ შემთხვევაში ხელი მინდვრიდან აღებულ იქნა დაახლოებით 38 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით.

მართალია, დათარიღების განსაზღვრის ყველა მეთოდი ერთნაირად ზუსტი არ არის, მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყუმრანის ხელნაწერთა შემთხვევაში ისინი საოცრად თანხვდება ერთმანეთს: ხელნაწერები, მონეტები, კერამიკა, ქსოვილები, – ყველაფერი ერთსა და იმავე პერიოდზე მიუთითებს: 150 წლიდან ქრისტეს შობამდე – 70 წლამდე ჩვენი წელთაღრიცხვისა. ყოველივე ის, რაც ამ ეპოქაში პალესტინის ისტორიის შესახებ არის ცნობილი, მთლიანად ემთხვევა ამ მონაცემებს.

პლინიუს უფროსს, ლათინელ ავტორს, რომელიც ბუნებისმეტყველებას შეისწავლიდა (79 წელს ვეზუვის ამოფრქვევის დროს დაიღუპა), აქვს ერთი საგულისხმო ტექსტი. იგი გვაძლევს მოგიერთ ცნობას ადამიანთა იმ ჯგუფის – ესეველთა სექტის შესახებ, რომელიც ხსენებულ პერიოდში მკვდარი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე საკმაოდ უცნაური ცხოვრებით ცხოვრობდა. „ბუნების ისტორიის“ სახელგანთქმულმა ავტორმა მაშინ შეიტყო მათ შესახებ, როცა აღმოსავლეთში მოგზაურობდა და პალესტინაც მოინახულა. საქმე ეხებოდა ესეველთა სექტას. აი, ეს ტექსტიც:

„მკვდარი ზღვის დასავლეთით, ენებისმომგანი სანაპირო ზონიდან გარკვეულ მანძილზე და მის გარეთაც, მკვიდრობენ ესეველები, განმარტოებულნი და ყველა ხალხზე უფრო საკვირველი, უქალებოდ, უსიყვარულოდ, უფულოდ – მცხოვრებნი პალმების საზოგადოებაში. მაგრამ ისინი სულ ყოველ დროს განახლდებიან და მათთან მრავლად მოდიან ახალწვეულები, ამა ცხოვრებისაგან დაღლილი ადამიანები, ან ისინი, ვინც ბედის უკუღმართობით აღშფოთებულნი მათი ცხოვრების წესს ირჩევენ. ამგვარად, უკვე ათასობით საუკუნეა არსებობს, როგორ დაუჯერებლადაც არ უნდა მოგეჩვენოს, მარადიული ხალხი, რომლის წიაღშიც არავინ არ იბადება. ასე მოაქვს მათი წყალობით, თავისი ნაყოფები სინანულს, რომელიც მათნაირი ცხოვრების სურვილს სხვებსაც აღუძრავს“.

არქეოლოგიურმა გათხრებმა, მოკლედ გადმოცემულმა ზემოთ მონათხრობმა და ხელნაწერთა შესწავლამ მალე დაარწმუნა მთელი მეცნიერული სამყარო, რომ სწორედ ესეველები იყვნენ ხირბეთ-ყუმრანის მცხოვრებნი, რომელთა შესახებაც პლინიუსი ლაპარაკობს და რომ აღმოჩენილი გრაგნილები სწორედ მათი ბიბ-

ლიოთეკის ნაშთს შეადგენდა.

ესეველები წარმოადგენდნენ რელიგიურ სექტას, რომელიც ოფიციალური იუდაიზმის ჩარჩოებს გარეთ ესწრაფოდა ცხოვრებას ღმერთის მსახურებაში და ისინი მთელ თავიანთ სიცოცხლეს უძღვნიდნენ მას. ეტყობა, ყუმრანში მათი მთავარი ცენტრი მდებარეობდა, თუმცა ყველა ესეველი როდი ცხოვრობდა აქ, როგორც ეს I საუკუნის ორი სხვა ავტორის, ფილონ ალექსანდრიელისა და იოსებ ფლავიოსის ცნობიდან ჩანს. ესეველთა ბიბლიოთეკის წიგნები მათ ინტერესებს გვაცნობს. გამოქვაბულებში უმეტესწილად ფრაგმენტების სახით ნაპოვნი 600-ვე ნაწარმოები და დაახლოებით სრული სახის თორმეტი ნაწარმოები რელიგიური შინაარსის წიგნებია. მათგან მეოთხედი შეადგენს ბიბლიურ წიგნებს: წარმოდგენილია თითქმის სრული ებრაული ბიბლია, ამასთან ზოგიერთი მისი წიგნი — 10-ზე მეტი მანუსკრიპტით. ეს ტექსტები, უეჭველია, 70 წელზე უადრესია, მაგრამ ყველა ისინი როდი განეკუთვნება იმავე ეპოქას. ზოგიერთი მათგანი ბევრად ადრე, მანამდე იყო გადაწერილი, ვიდრე მათ გამოქვაბულში დამალავდნენ. დროის მხრივ, ძალზე ახლოსაა ორიგინალთან, მაგალითად, წმიდა დანიელის წინასწარმეტყველების წიგნის ეგზემპლარი, რომელიც მხოლოდ 50 წლითაა დაცილებული ორიგინალის შექმნის თარიღს (164 წ. ქრისტეს შობამდე); ასევე, მე-4 გამოქვაბულში ნაპოვნი და ქრისტეს შობამდე II საუკუნით დათარიღებული სოლომონის სიბრძნის წიგნის ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ტექსტის შედგენიდან ასიოდე წლის შემდეგ იყო გადაწერილი.

ყუმრანის მანუსკრიპტების სხვა, მნიშვნელოვან კატეგორიას შეადგენს „აპოკრიფები“. ასე ეწოდება ანონიმურ ნაწარმოებებს, რომლებიც ებრაელების მიერ სამოძღვრებო მიზნითაა შედგენილი; ისინი არ ითვლება ღმერთის მიერ შთაგონებულად, რის გამოც არ იქნენ შეტანილი ბიბლიაში. აპოკრიფები დაწერილია ქრისტეს შობამდე უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში და გამოხატავს ებრაელთა გარკვეული წრეების რწმენას, შეხედულებებსა და მისწრაფებებს.

ბიბლიურ წიგნებთან და აპოკრიფებთან ერთად, ყუმრანის გათხრების დასაწყისშივე აღმოჩენილ იქნა სულ სხვა ხასიათის ტექსტებიც. უმრავლეს შემთხვევაში, მანამდე, მათი არსებობის შესახებ არაფერი იყო ცნობილი და ამ ტექსტებმა გაცილებით უფრო ზუსტი ცნობები მოგვაწოდეს იმის შესახებ, თუ როგორი იყო ყუმრანის მკვიდრთა საქმიანობა, წარმომავლობა და მისწრაფებანი. ეს წიგნები მხოლოდ განდობილთათვის იყო განკუთვნილი. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია „თემის წესდების“ ტექსტი, ნაპოვნი ათ ეგზემპლარად (ერთი მათგანი სრულია და მომდინარე-

ობს I გამოქვაბულიდან, ხოლო ათი ეგზემპლარი ნაპოვნი იქნა ფრაგმენტებად IV გამოქვაბულში). ტექსტი საკმაოდ ვრცელია და გვაცნობს თემში გაწევრიანების რიტუალს, თემის ორგანიზებისა და ცხოვრების წესებს. ჯგუფის წევრების რელიგიური სრულყოფისათვის წესდება მათგან მოითხოვდა თემში ცხოვრებას და საერთო ქონებას, ამასთანავე საღმრთო სჯულის შესწავლას, რომელიც ღმერთისაგან იყო მოცემული და რომელსაც ბიბლია შეიცავდა; იგი განაწესებდა საღმრთო განბანვას, როგორც წმიდა და უმაკელი ცხოვრების სიმბოლოს, რითაც აიხსნება კიდეც ნაგებობაში რამდენიმე წყალსატევის არსებობა; წესდება ადგენდა შეკრებებისა და ლოცვის რიგს, აგრეთვე საბრძოს მიღების წესს. და ბოლოს, იგი შეიცავდა სისხლის სამართლის კოდექსის მსგავს ნაწილსაც, რომლითაც გათვალისწინებული იყო სასჯელები სხვადასხვა დანამაულისათვის. . .

ყუმრანის მანუსკრიპტები მხოლოდ იმ ცნობებით კი არ არის საინტერესო ჩვენთვის, რომლებსაც ისინი ესენელთა სექტის შესახებ გვაწვდიან და განამდიდრებენ სხვადასხვა მეცნიერებებს: ენათმეცნიერებას (ებრაულენოვანი ტექსტების ძირითად ნაწილთან ერთად მათში წარმოდგენილია შვიდი სხვა ენაც), პალეოგრაფიას—დამწერლობათმცოდნეობას (რომელიც გვერდს ვერ აუვლის ძველ ხელნაწერთა ესოდენ დიდ ნაწილს), ისტორიას ზოგადად, კერძოდ, ლიტერატურისა და სამართლის ისტორიას (ზოგიერთი ტექსტი წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტს), არამედ იმითაც, რომ მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწორედ რელიგიის ისტორიისთვის. ამ გარემოებამ განაპირობა კიდეც ყუმრანის ხელნაწერთა მსოფლიო მნიშვნელობა, რაც შორს სცილდება ოდენ მეცნიერულ სამყაროს და ამიტომ გასაგებია, რომ მათდამი ინტერესი, პირველ რიგში, გამოწვეული იყო ესეველთა მოძრაობასა და ქრისტიანობას შორის არსებული კავშირით.

ლიტერატურული კავშირი ესეველობასა და ქრისტიანობას შორის განსაკუთრებით ცნობილია ახალი აღთქმის ორი ავტორის ტექსტებში. ესენი არიან წმიდა მოციქული იოანე ღვთისმეტყველი, რომლისაგანაც გვაქვს სახარება, სამი საბოგადო ეპისტოლე და გამოცხადება (აპოკალიფსისი) და წმიდა მოციქული პავლე, რომელსაც თოთხმეტი ეპისტოლე ეკუთვნის. ერთი მხრივ, ეს ლიტერატურული დამოკიდებულება სავსებით გასაგებია. სავარაუდოა, რომ იოანეს ახალგაზრდობაში და პავლეს, ქრისტეს რწმენაზე მოქცევამდე ურთიერთობა ჰქონდათ ესეველებთან.

მეორე მხრივ, ორგანიზაციული თვალსაზრისით, თავდაპირველი ეკლესიის მოწყობა, რომელიც ჩვენთვის ცნობილია მოციქულთა საქმეების წიგნიდან და პავლე

მოციქულის ეპისტოლეებიდან, როგორც ახლა აღმოჩნდა, მეტნაკლებად ესეველთა სექტიდან იყო ნასესხები: ეს იყო საერთო ქონება, ლოცვის, სწავლების, საღმრთო ტრაპეზის წესი.

სარწმუნოებრივი სწავლების თვალსაზრისითაც ზოგი რამ ორივეგან პარალელური აღმოჩნდა: ბრძოლა კეთილ და ბოროტ სულთა შორის უკვე ამქვეყნიურ ცხოვრებაშივე იმ ნეტარების წინასწარი განჭვრეტაა, რომელიც საუკუნეთა დასასრულს უნდა დადგეს და ცათა სასუფევლის დამკვიდრება ღმერთის ნამდვილი ერის – ჰეშმარიტი ისრაელის მიერ.

„ქრისტიანობაში ყველა ეს ცნება და ბევრი სხვაც აღიქმება მთლიან სარწმუნოებრივ მოძღვრებასთან კავშირში, რომელიც თვით მათ არსობრიობას ცვლის. ასე მაგალითად, ესქატოლოგიური ერა (ქვეყნის მოახლოებული დასასრულისა და მომავალი ცხოვრების ერა) ქრისტიანებისათვის უკვე განხორციელდა იმ ადამიანის მოსვლით, რომელშიც ისინი ღმერთის ძეს ხედავენ. მოწოდება ხსნისაკენ საყოველთაო ხდება, განურჩეველად ეროვნული, სოციალური თუ ფიზიკური ნიშან-თვისებებისა. ადამიანთა შორის ურთიერთობები გადაიქცევა ღმერთსა და ყველა ადამიანს – მამასა და შვილებს შორის ურთიერთობებად; ამის შედეგად რჩეულთა თემი ვითარდება სიყვარულისა და ურთიერთშენდობის მაცოცხლებელ ატმოსფეროში. ღმერთის შეხვედრა ადამიანთან ხდება ადამიანური არსების უღრმეს წიაღში და გამოხატულია „ახალი შობით“, რომლის დროსაც „ზეგარდმო იშვება ახალი არსება“.

ამრიგად, მართალია, ესეველობამ თავისი შემადგენელი ელემენტებით გაანაყოფიერა ნიადაგი, რომელზეც შემდგომში ქრისტიანობა აღმოცენდა, მაგრამ არანაკლებ ცხადია ის გარემოებაც, რომ ქრისტიანობა წარმოადგენს რაღაც სრულიად ახალს, იესო ქრისტეს მიერ დაარსებულს.

ყუმრანის მანუსკრიპტები, რომელთა შესახებაც აქამდე ვსაუბრობდით, გამოქვაბულებში იმ ეპოქაში იქნა გადამალული, როცა ის-ის იყო იწყებოდა სახარებების შედგენა და, როდესაც სულ ახალი წარმოჩენილი იყო ახალ აღთქმაში შესული პირველი ქმნილებანი. ამიტომაც, გასაკვირი არ არის, რომ მათი ნაკვალევი არ ჩანს ხირბეთ-ყუმრანში ნაპოვნ ხელნაწერებში, მით უმეტეს, რომ იქ არსებული თემი ეკუთვნოდა ტრადიციული იუდაიზმისადმი ერთგულ სექტას, რაზეც მეტყველებს ბიბლიოთეკის შედგენილობა. თუკი რომელიმე მისი წევრი ქრისტეს რწმენაზე მოიქცეოდა, იგი, ალბათ, ტოვებდა თავის უწინდელ თანაამხანაგებს, რათა ქრისტიანულ თემს შეერთებოდა.

ამრიგად, იუდეას უდაბნოს ამ უდიდესმა აღმოჩენამ ბიბლიური ლიტერატურიდან მხოლოდ ძველი აღთქმის წიგნების შემცველი ხელნაწერები მოგვცა.

რა ვითარებაა ქრისტიანულ წიგნების – სახარებებთან, მოციქულთა საქმეებთან, პავლე მოციქულის ეპისტოლეებთან და ახალი აღთქმის სხვა წიგნებთან მიმართებაში? გვაქვს თუ არა მათი ტექსტების ასევე უძველესი და უეჭველად ნამდვილი მანუსკრიპტები?

რასაკვირველია, გვაქვს და ეს სრულიად უეჭველია: ამ მიმართებით ეს წიგნები განსაკუთრებულ ხელსაყრელ მდგომარეობასაც ინარჩუნებს.

ეს უძველესი ტექსტები ჩვენამდე ორი სხვადასხვა ფორმითაა მოღწეული: პაპირუსზე და პერგამენტზე დაწერილნი. ყუმრანში, როგორც ვთქვით, გრაგნილები დამზადებული იყო სპილენძისაგან, ანუ იმ მასალისაგან, რომელიც ებრაელების მიერ ძველთაგანვე გამოიყენებოდა საღმრთო ტექსტების გადასაწერად. სპილენძის გრაგნილები ხანგრძლივი გამოყენებისას უკეთესად ინახებოდა თემში, წაკითხვა იქნებოდა ეს თუ ღვთისმსახურებათა აღსრულება, მაგრამ დამტკიცებულია, რომ სახარების დედნები იწერებოდა პაპირუსზე – მასალაზე, რომელიც ასევე ფართოდ გამოიყენებოდა იმ ეპოქის დამწერლობაში.

პაპირუსი წარმოადგენს ბოჭკოვან ლერწამს, რომელიც ძველ დროში მრავლად იზრდებოდა ნილოსის ჭაობიან ნაპირებზე. ჩვენს წელთაღრიცხვამდე უკვე მესამე ათასწლეულში ეგვიპტელები პაპირუსს საწერ მასალად იყენებდნენ. ლერწმის მიგნითა ნაწილს საკმაოდ ვიწრო ზოლებად სიგრძეზე ჭრიდნენ. ზოლებს ორ ფენად აწყობდნენ – ერთს ვერტიკალურად, მეორეს – ჰორიზონტალურად, ნილოსის წყლით ქღენთავდნენ და შემდეგ წნეხდნენ. ასე მიიღებოდა ფურცელი, რომელიც უნდა გაეშროთ, გაეპრიალებინათ და წებოვანი ნივთიერებით გაეპოხათ. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში მხოლოდ პაპირუსზე წერდნენ.

პაპირუსი შემდეგ პერიოდში პერგამენტმა შესცვალა. პირუტყვთა ტყავი (ვირისა, თხისა, ან ცხვრისა) მოთრიმვლის ნაცვლად რბილდებოდა კირის ხსნარში, შემდეგ მას ფხეკდნენ თმიან-ბეწვიანი, ანდა ქონიანი ნაწილების მოსაცილებლად და ბოლოს, პემზით – მინქაფით აპრიალებდნენ. რაც ეგვიპტე არაბებმა დაიპყრეს (VII ს), პაპირუსი იშვიათობას წარმოადგენდა და ამან განაპირობა პერგამენტის ბატონობა XV საუკუნემდე, როცა წიგნის ბეჭდვის გამოგონებასთან ერთად საბოლოო გამარჯვება ქაღალდმა იზეიმა.

პერგამენტის, მით უმეტეს, პაპირუსის ცალკეულ ფურცლებზე შეიძლებოდა შედარებით მოკლე დოკუმენტების მოთავსება: ანგარიშის, წერილისა, ან კონტრაქტისა. უფრო ვრცელი ტექსტების გადმოსაცემად ფურცლებს ერთმანეთს უერთებდნენ. ამგვარად, წარმოიქმნებოდა გრაგნილი და უფრო მოსახერხებელიც იყო გა-

მოსაყენებლად. იგი სიგრძეში ათ მეტრს, ხან კი უფრო მეტსაც აღწევდა. წერდნენ მელნით, ვერტიკალურ სვეტებად, როგორც ეს თანამედროვე გაზეთებშია. გრაგნილის ორივე წვერი მაგრდებოდა ცილინდრული ფორმის ჯოხზე და მთელი გრაგნილი მარცხენა ჯოხზე ეხვეოდა. გრაგნილის კითხვისას, ხსნიდნენ ჯერ ერთ სვეტს, ხოლო როცა დაასრულებდნენ მის კითხვას, სვეტს დაახვევდნენ მარჯვენა ჯოხზე და შემდეგ სვეტს ხსნიდნენ. ისევე, როგორც ყუმრანის ეპოქაში, დღემდე ებრაელები თავიანთ სინაგოგებში კითხულობენ და ეთაყვანებიან საღმრთო სჯულის სწორედ ამგვარ გრაგნილებს. ეს ჩვეულება დამახასიათებელია ებრაელთათვის.

ამჟამად დამტკიცებულია, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან არსებობდა ე.წ. „კოდექსები“, ანუ შუაზე გადაკეცილ და ერთურთში ჩადებული ფურცლებისაგან შექმნილი წიგნები (ფურცელთა რაოდენობა, ბუნებრივია, სხვადასხვა იყო ხოლმე). ამგვარი კოდექსები, სავარაუდოა, თავდაპირველად დასავლეთში გაჩნდა. ტრადიციული გრაგნილი გამოიყენებოდა იმ დრომდე, სანამ III საუკუნის ბოლოდან კოდექსმა საბოლოოდ არ გამოდევნა თავისი უპირატესობების წყალობით: მეტი ტევადობით, ადვილი მოხმარებითა და მეტი სიმტკიცით. ამის შემდეგ, პაპირუსის გრაგნილთა გამოყენება შეწყდა.

გრაგნილისა და კოდექსის (წიგნის) ამ შეჯიბრში ქრისტიანულმა თემებმა ძალზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს, როცა ადრე, შესაძლოა თავიდანვეც კი სახარების ტექსტების ჩაწერისას სწორედ კოდექსს მიანიჭეს უპირატესობა. პაპირუსს, უპირატესად, რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში იყენებდნენ.

ჩვენამდე მოღწეულია ახალი აღთქმის მრავალი მანუსკრიპტი, სრული სახით თუ ფრაგმენტებად. XIX საუკუნის ბოლოდან, ანუ იმ დროიდან, როცა არქეოლოგიური გათხრები დაიწყო აღმოსავლეთში, თითქმის არც ერთი აღმოჩენა არ ხდება ახალი ბიბლიური მანუსკრიპტების პოვნის გარეშე. მანამდე ყველაზე ადრინდელი ცნობილი ხელნაწერები განეკუთვნებოდა IV-V საუკუნეებს, რაც არც თუ ურიგო მიღწევა იყო, მაგრამ 1931 წლიდან III საუკუნის ტექსტების მთელი კრებულების პოვნა დაიწყეს, ამის შემდეგ კი – ფრაგმენტებისა, რომელთაგანაც ერთერთი – საკმაოდ ვრცელი განეკუთვნება II საუკუნეს.

ჩვენამდე მოაღწია ჰორაციუსის 250-მა მანუსკრიპტმა, ჰომეროსის 110-მა, ვერგილიუსისა და სოფოკლეს ასამდე, ესქილეს 50-მა, პლატონის მხოლოდ 11-მა, ევრიპიდეს 2-მა და ტაციტუსის „ანალების“ დიდი ნაწილის შემცველმა ერთადერთმა მანუსკრიპტმა.

თუკი ვიკითხავთ, დროის რა მონაკვეთი აშორებს ჩვენამდე მოღწეულ უძველეს მანუსკრიპტებს ორიგინალებისაგან, აღმოჩ-

ნდება, რომ ვერგილიუსის შემთხვევაში ესაა 400 წ., ჰორაციუსის შემთხვევაში – 700 წ., იულიუს კეისრისა – 900 წ., კორნელიუს ნეპოსისა – 1200 წ., სოფოკლესი – 1400 წ., ესქილესათვის – 1500 წ., ევრიპიდესათვის – 1600 წ. და ჰომეროსის შემთხვევაში – 2000 წ.

შედეგი ასეთია: 1-დან 250-მდე მანუსკრიპტი, რომლებიც თავიანთ შემქმნელ ავტორს დაშორებულნი არიან პერიოდით 400 წლიდან – 2000 წლამდე და არავის აზრადაც არ მოსდის, ეჭვი შეეპაროს მათ ნამდვილობაში, არავის არასდროს უფიქრია კითხვის ქვეშ დაეყენებინა ევრიპიდეს ნაწარმოებთა სინამდვილე, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ორი ასლით და ეს ასლები ორიგინალს 1600 წლით არიან დაცილებულნი. რამდენიმე ნაწყვეტის გარდა ბერძენ კლასიკოსთაგან არ შემონახულა IX საუკუნეზე უადრესი ხელნაწერები და მათგანაც მხოლოდ მცირედია XII საუკუნეზე უადრესი. კლასიკური ლიტერატურის შესწავლაში მთავარი სიძნელე, რასაც ტექსტის კრიტიკა აწყდება, არის დოკუმენტების იშვიათობა, ხოლო სახარების შესწავლისას ამის პირდაპირ საწინააღმდეგო სიძნელე წარმოიშობა: აქ მასალის უდიდეს მასაში ჩაკარგვაც შეიძლება. ჩვენ გვაქვს ახალი აღთქმის ტექსტის შემცველი 5237 კოდექსი (წიგნი). მათგან 53 შეიცავს ახალი აღთქმის ყველა წიგნს, დანარჩენები კი წარმოგვიდგენს მის ამა თუ იმ ნაწილს. მხოლოდ სახარებების შემცველი ბერძნულენოვანი მანუსკრიპტები 2500-ია, რომელთაგან 40 არის ათას წელზე მეტი ხნის. გარდა ამისა, არსებობს კიდევ 2135 რამდენადმე შემოკლებული ვერსია, რომლებიც შეიცავს სახარების ტექსტის უდიდეს ნაწილს, განლაგებულს კითხვის წლიური ციკლის წესით. უძველეს დროშივე ტექსტი ითარგმნა სირიულად, ლათინურად, კოპტურად, გოთურად, ქართულად, სომხურად, ეთიოპურად. ამ თარგმანთა ზოგიერთი მანუსკრიპტი ბერძნულ ხელნაწერებზე ძველიც კია (არსებობს კოპტური თარგმანის ნაწყვეტები III საუკუნისა). მხოლოდ ძველი ლათინური თარგმანი ჩვენთვის ცნობილია 50 მანუსკრიპტით, ხოლო ლათინური თარგმანი სახელწოდებით „ვულგატა" – 2000 ხელნაწერით; საერთო ჯამში ახალი აღთქმის თარგმანებმა ჩვენამდე მოაღწია 30 000 ძველი ხელნაწერის ოდენობით.

XX საუკუნეში ნაპოვნი ტექსტების უმრავლესობა ეგვიპტური წარმომავლობისაა. ამ ქვეყნის განსაკუთრებული კლიმატური პირობების წყალობით, პაპირუსზე დაწერილი ხელნაწერები აქ უკეთ შენარჩუნდა, ვიდრე სხვა აღგილებში. პაპირუსი ვერ უძლებს სინესტეს. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენთვის ცნობილი ტექსტების უმრავლესობა არაა ისეთ დიდ ქალაქებსა და სამეცნიერო ცენტრებში, როგორიცაა ალექსანდრია, არამედ უმნიშვნელო აღგილებსა

და სოფლებშია, – სადაც ძნელი იყო გვევარაუდა უძველესი ქრისტიანული თემების არსებობა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკანასკნელ ხანებში ნაპოვნი ტექსტების უმრავლესობა, სავარაუდოდ, ბიბლიის, ან თუნდაც, მხოლოდ, ახალი აღთქმის სრული მანუსკრიპტებისაგან როდი მომდინარეობს. ცხადია, რომ დიდი ეკლესიები და მნიშვნელოვანი მონასტრები საკმარისად მდიდარნი იყვნენ იმისთვის, რომ შეეძინათ და შეენახათ სრული მანუსკრიპტები, რომლებიც, სავარაუდოდ, ღვთისმსახურთა საჭიროებათათვის იყო განკუთვნილი, ხოლო კერძო პირებს უხდებოდათ ნაწილობრივი კრებულებით დაკმაყოფილებულიყვნენ, მხოლოდ იმ წიგნებს რომ შეიცავდა, რომლებიც ყველაზე ხშირად იკითხებოდა, ასეთია მაგალითად, ფსალმუნნი, სახარება, სამოციქულო.

მართლაც, სწორედ, ეს წიგნებია ყველაზე ხშირად წარმოდგენილი პაპირუსებზე დაწერილთა შორის. მათში ბევრი ორთოგრაფიული შეცდომაა; დაწერილია დაბალი ხარისხის პაპირუსზე და ცხადია, რომ ისინი უბრალო ადამიანებისათვის იწერებოდა, რაც ასევე იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას; როგორც არ უნდა იყოს ეს, უბრალო, თავმდაბალი მორწმუნეები, უდიდეს სიუხვესავით რომ უფრთხილდებოდნენ ამ ხელნაწერებს, ალექსანდრიელ მდიდრებზე ნაკლებად როდი ისწრაფოდნენ სახარებებში დაცული ღვთის სიტყვის წაკითხვას.

შემორჩენილი 76 პაპირუსი უმეტესწილად ფრაგმენტებს წარმოგვიდგენს, მაგრამ სიძველის გამო ამ ხელნაწერების მნიშვნელობა უდიდესია. მაგალითად, „რაილენდის პაპირუსი 457“ (ჯონ რაილენდის ბიბლიოთეკა მანჩესტერში) განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს იმით, რომ ადასტურებს იოანეს სახარების არსებობას იმ სახით, როგორითაც იგი ამჟამადაა ცნობილი. იგი დაწერილია 120-130 წლებში, II საუკუნის პირველ ნახევარში. ეს არის სულ მცირე ზომის ნაწყვეტი – 8,9X5,8 სმ; შეძენილ იქნა ეგვიპტეში 1920 წელს, შემდეგ ნაყიდი იქნა რაილენდის ბიბლიოთეკის მიერ და გამოქვეყნდა 1935 წელს. როგორც ჩანს, ფრაგმენტი მომდინარეობს ქალაქ ოქსირინხიდან (ქვემო ეგვიპტე). იგი იპოვეს იმ მეომართა წერილებს შორის, რომელთა გარნიზონიც ოდესღაც აქ იდგა. ირკვევა, რომ ერთ-ერთმა მხედარმა თავის საჭურველთან ერთად სახარებაც მოიტანა. ფრაგმენტი დაწერილია ორივე მხარეს (ამით დასტურდება, რომ იგი კოდექსიდან მომდინარეობს; გრაგნილები ხომ ფურცლის ცალ მხარეზე იწერებოდა). შემორჩენილი სიტყვები ბევრი არ არის, მაგრამ ისინი ძალზე გამოკვეთილად წერია და ეჭვს გარეშეა, რომ ეს არის იოანეს სახარების მე-18 თავის ნაწყვეტი. თუკი გავიხსენებთ, რომ ეს სახარება იო-

ანემ I საუკუნის მიწურულს დაწერა, მაშინ შეგვიძლია გავისიგრძეგანოთ ის, თუ რა სისწრაფით ვრცელდებოდა იგი ქრისტიანულ თემებს შორის, – რაკი მას მცირე აზიაში მისი დაწერის დროიდან 20 თუ 30 წლის შემდეგ კითხულობდნენ ეგვიპტეში.

გაცილებით დიდი მოცულობით გამოირჩევა ჩესტერ ბიტის პაპირუსები, რომელთა ნაწილი ლონდონში ინახება, ნაწილი – მიჩიგანში, დანარჩენი – დუბლინში. ისინი შეიცავს ძველი აღთქმიდან ბერძნულ ენაზე თარგმნილ მრავალრიცხოვან ნაწყვეტებს, ასევე სახარებათა მნიშვნელოვან ნაწილს, პაველე მოციქულის თითქმის ყველა ეპისტოლეს (აქ წარმოდგენილია 86 ფურცელი 104-დან, რომლებიც უნდა ყოფილიყო კოდექსში) და განეკუთვნება III საუკუნეს.

ერთ-ერთი ნაპოვნი და გამოქვეყნებული პაპირუსის კოდექსი, ცნობილი პირობითი აღნიშვნით –„პ.66“, განსაკუთრებით კარგად შენახულს წარმოგვიდგენს იოანეს სახარების 21-ე თავს. სინაის მონასტრის ბიბლიოთეკის ეს ახალი კოდექსი შეძენილ იქნა მ. ბოდმერის მიერ ჟენევის მახლობლად მდებარე კოლინის სახელობის ბიბლიოთეკისათვის. მისი განსაკუთრებული ფასეულობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი დაწერილ იქნა დაახლოებით 200 წელს, ანუ შედარებით ახლო იმ ეპოქასთან, როცა წმიდა იოანე ღვთისმეტყველი თავის სახარებას წერდა. ეს „მანუსკრიპტი – ბოდმერ II“, როგორც მას ამჟამად უწოდებენ, წარმოადგენს 108 გვერდისგან შემდგარ პაპირუსის კოდექსს; გვერდები რიგის მიხედვით მიყვება ერთმანეთს, ოთხგვერდიანი ნაკლული აღგილის გამოკლებით. მისი ფორმატი თითქმის კვადრატულია: 18,2X16,2სმ. მანუსკრიპტი დაწერილია სინგური (წითელი) მთავრული ასოებით, რომლებიც ძალზე მკაფიოდ მოჩანს და ადვილი გასარჩევია. წერის ეს სტილი მისთვის ჩვეული სხვა დამახასიათებელი თავისებურებებით მეცნიერებს საშუალებას აძლევს, II საუკუნის მიწურულით დაათარიღონ იგი. ეს სწორედ ქრისტიანთა დიდი დევნის ეპოქაა იმპერატორების სეპტიმუს სევერიუსისა და მაქსიმიანეს დროს. ეკლესიებს სამიმროება ემუქრებათ მიგნიდანაც და გარედანაც, მაგრამ ქრისტიანობა მაინც შეუწყვეტლივ ვრცელდება. ვითარებათა ასეთი ერთობლიობით აიხსნება, ალბათ, ამ კოდექსის მომცრო ფორმატი, მისი მოხმარება აღვილია, მოსახერხებელია მისი წაღება და გადამალვაც კი, რაც ხმირად ხდებოდა დევნილებათა ეპოქაში. შორს აღარ არის ის დრო, როცა რომის ხელისუფლება საჭიროდ ჩათვლის საგანგებო ზომები მიიღოს ქრისტიანული წმინდა წიგნების წინააღმდეგ.

პაპირუსი – ბოდმერ II ბერძნულ ტექსტთან შეჯერებისას, რომელიც ტრადიციითაა შემონახული ჩვენამდე, მრავალრიცხოვან

ვარიანტებს გვაძლევს; სიტყვათა რიგი ზოგჯერ სხვადასხვაგვარია, ზოგჯერ არ გვხვდება ნაწევრები და წინსართები, მაგრამ მასში არ არის ერთი სხვაგვარად წაკითხული აღგილიც კი, რომელიც საღმრთო წერილის აზრს შეცვლიდა, ან თუნდაც სხვაგვარ ელფერს მისცემდა. დასკვნაც ცხადია: იმ დროიდან მოყოლებული, ის უმცირესი ცვლილებები, რომელსაც ტექსტი დაექვემდებარა, სტილის უმნიშვნელო გასწორებას წარმოადგენს.

ახალი აღთქმის ათასობით პერგამენტულ მანუსკრიპტს შორის 250 არის „უნციალური, ანუ მთავრული“. ასე ეწოდებოდა იმის გამო, რომ დაწერილია უნციებით, ანუ მთავრული, მაღალი, ოთხკუთხა და ერთმანეთისაგან გამოცალკევებული ასოებით, როგორც ეს ეპიგრაფიკულ წარწერებშია. ისინი განეკუთვნება IV-X საუკუნეებს. ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებით ცნობილი გახდა თავისი სიძველითა და მშვენიერებით.

„ვატიკანის კოდექსი“734 ფურცლისგან შედგება, შეიცავს ორივე აღთქმის – ძველისა და ახლის თითქმის სრულ ტექსტს. იგი ეგვიპტური წარმომავლობისაა, დაწერილია IV საუკუნეში. 1475 წლიდან ვატიკანის ბიბლიოთეკაში დაცული ეს კოდექსი შემდგომში ნაპოლეონმა პარიზში წაიღო, მაგრამ მალევე უკან იქნა დაბრუნებული.

„სინაის კოდექსს“ გრძელი ისტორია აქვს. ღმერთმა უწყის, რამდენ ხანს იდო იგი სინაის მთის მონასტერში, სადაც 60 ბერი ცხოვრობდა, რომლებიც ნაკლებად ზრუნავდნენ, თავიანთი ბიბლიოთეკით ესარგებლათ. როცა საინტერესო მანუსკრიპტების ძიებაში ეს ადგილები ცნობილმა მეცნიერმა თიშენდორფმა მოინახულა, მან ბიბლიოთეკის დარბაზის შუაგულში, გადაყრილი ქაღალდების კალათაში პერგამენტის ნაგლეჯები შენიშნა, რომლებიც ღუმელში დასაწვავად იყო განკუთვნილი. ერთ-ერთი ფურცელი აიღო და მასში ბიბლიის ძალზე ძველი ხელნაწერის ფრაგმენტი შეიცნო: ამავე ხელნაწერს განეკუთვნებოდა შემდგომი 120 ფურცელიც, რომლებიც ასევე გადასაყრელად გამზადებული ნაგლეჯებიდან ამოიღო. თიშენდორფმა მოახერხა 43 ფურცლის შეძენა. მან ურჩია ბერებს, გულმოდგინედ შეენახათ დანარჩენი ფურცლები, თვითონ კი თავისი აღმოჩენითურთ ლაიფციგში დაბრუნდა. მეორე მოგზაურობის დროს, 1853 წელს თიშენდორფმა ვერ მიაღწია იმას, რომ ბერებს მისთვის დარჩენილი ფურცლები დაეთმოთ. ასი წლის წინათ სინაიმდე ჩაღწევა, წმიდა ეკატერინეს მონასტერში შესვლა და მისი ბიბლიოთეკის შესწავლა სულაც არ იყო იოლი საქმე. ამისთვის აუცილებელი იყო ფირმანი – სამეფო თურქეთის ხელისუფლებისაგან, აგრეთვე ეგვიპტის მთავრობის ნებართვა და მართლმადიდებელი მთავარეპისკოპოსის თანხმობა; ბოლოს, სა-

ჭირო იყო ხანგრძლივი და სახიფათო მოგზაურობის სიძნელეთა დაძლევაც. მიუხედავად ამისა, 1859 წელს თიშენდორფი მესამედაც დაბრუნდა სინაის ნახევარკუნძულზე და თან ჩაიტანა მის მიერ გამოცემული ძველი და ახალი აღთქმის ტექსტების რამდენიმე ეგზემპლარი, რომლებიც ბერებს აჩუქა. სტუმრის თავაზიანობით ნასიამოვნებმა ბერმა – მონასტრის იკონომოსმა მეცნიერს თავის სენაკში დაცული წითელ მაუდში შეხვეული მანუსკრიპტი უჩვენა. როგორც კი გახსნა იგი, თიშენდორფმა, თავისდა გასაკვირად, უმალვე შეიცნო მის მიერ 1844 წელს ცეცხლისაგან გადარჩენილი ხელნაწერი და მისი დანარჩენი ნაწილიც, რომლის არსებობასაც იგი ხვდებოდა, მაგრამ აქამდე ვერ ეპოვა. სახელგანთქმულმა გერმანელმა მკვლევარმა ბერს სთხოვა – კოდექსი დამითმეო, მაგრამ რაკი მონასტრის წინამძღვარი კაიროს იყო გამგზავრებული, უარი მიიღო. ამასობაში მანუსკრიპტის ყიდვა ერთ-ერთმა ინგლისელმა მეცნიერმა სცადა, მაგრამ მონასტრის წინამძღვრის ნაცვლად დატოვებულმა ბერმა თიშენდორფს უთხრა, რომ ძმები ამჯობინებენ რუსეთის მართლმადიდებელ ხელმწიფეს მიუძღვნან მანუსკრიპტი, ვიდრე ინგლისურ ოქროზე გაყიდონ იგიო. მოლაპარაკებათა დასასრულს, სწორედ თიშენდორფს დაავალეს მანუსკრიპტის გადაცემა რუსი მეფისათვის. მაგრამ ამის შემდეგაც მანუსკრიპტი არ იქნა მოთავსებული საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკაში, არამედ შესანახად დატოვებულ იქნა საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ სეიფში, – მანამდე, სანამ ხელნაწერის დათმობა რუსეთის მთავრობისათვის საბოლოოდ არ გადაწყდა. „აღმოსავლეთში ძღვენი საპასუხო საჩუქარს მოითხოვს და ზოგჯერ ეს საპასუხო ძღვენი, შესაძლოა, ისევე ძვირი დაჯდეს, როგორც თვით საჩუქარი“. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მოლაპარაკება ამის თაობაზე დიდხანს გრძელდებოდა. 1869 წლის 18 ნოემბერს მიძღვნის აქტი ხელმოწერილ იქნა სინაის მონასტრის ბერების მიერ, რომლებიც აცხადებდნენ, რომ „საჩუქრად“ უძღვნიან სრულიად რუსეთის იმპერატორს ძველი და ახალი აღთქმის ხელნაწერს, ხოლო სანაცვლოდ მისი უდიდებულესობისაგან ასევე საჩუქრად იღებენ 7000 მანეთს თავიანთი ბიბლიოთეკისათვის და 2000 მანეთს – თაბორის მთის მონასტრის სასარგებლოდ. საერთო ჯამში თანხამ შეადგინა 1350 გირვანქა სტერლინგი, რაც იმ დროისათვის არც თუ მცირე თანხას წარმოადგენდა.

სინაის მონასტრის კოდექსის შეძენის თაობაზე მოლაპარაკება მიმდინარეობდა საბჭოთა მთავრობასა და ლონდონის ბრიტანული მუზეუმის სამმართველოს შორის. 1933 წელს საბჭოთა მთავრობამ 100 000 გირვანქა სტერლინგად მიჰყიდა მანუსკრიპტი

ბრიტანულ მუზეუმს ხელმოწერებით, ბრიტანეთის ხაზინის მიერ გაცემული ავანსის დასაფარად, რომლის ნახევარი – 50 000 გირვანქა სტერლინგი ბრიტანეთის მუზეუმის დირექტორის მოწოდებით შეგროვდა.

ზოგიერთი უძველესი კოდექსი ხელოვნების უდიდებულეს ნაწარმოებს წარმოადგენს, როგორიცაა, მაგალითად, VI საუკუნის დასასრულის „ძოწეულის კოდექსი“, რომელიც სახარებებს შეიცავს და ძოწისფრად შეღებილ პერგამენტზე ოქროსა და ვერცხლის ასოებითაა დაწერილი. მისი ფრაგმენტები მსოფლიოს სხვადასხვა ბიბლიოთეკებშია გაბნეული, მაგრამ უდიდესი ნაწილი (182 გვ.) სანკტ-პეტერბურგშია.

ამასთანავე, აუცილებელია გავიხსენოთ ისეთი თითქოსდა უმნიშვნელო მოწმობები, როგორიც „ოსტრაკონებია“. მიუხედავად მცირე მომისა, ისინი ჩვენთვის მრავალმხრივ საინტერესოა. ძნელია წარმოვიდგინოთ უფრო ნაკლებ ღირებული მასალა ბიბლიური ტექსტების გადასაწერად, როგორიცაა: კრამიტი, აგურის, ჭურჭლის და თიხის სხვა ნაკეთობები. რადგან იყვნენ ღარიბი ადამიანები, რომლებიც სწორედ ამ ნაწილებით სარგებლობდნენ არა მხოლოდ ანგარიშებისა თუ კერძო წერილების, არამედ ბიბლიური ტექსტების ნაწყვეტების ჩასაწერადაც. ცნობილია, მაგალითად ასეთი ოსტრაკონებისაგან შემდგარი ოცი სერია, რომლებზეც გადაწერილი იყო სახარების ტექსტები. მათგან ათი წარმოგვიდგენს ლუკას სახარების 22-ე თავის მნიშვნელოვან ნაწილს. ეს არის გრძელი ნაწყვეტი, რომელშიც აღწერილია უფლის ვნებები. უეჭველია, რომ ჩანაწერები თიხის ნატეხებზე ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე ადამიანის მიერაა შესრულებული.

წერილობით დოკუმენტებს უნდა შევადაროთ უადრესი ქრისტიანული საუკუნეების გამომსახველობითი დოკუმენტებიც, პირველ ყოვლისა კი კატაკომბების მხატვრობა. უმრავლეს შემთხვევაში ამ გამოსახულებებს მხატვრული ღირებულება არა აქვთ, მაგრამ თავიანთ ისტორიულ უტყუარობასთან ერთად, ისინი ცხადად გვიჩვენებს, თუ რამდენად ღრმად შეუღწევიათ საღმრთო წიგნებს მორწმუნეთა ცხოვრებაში.

ძველი აღთქმა აქ ფართოდაა წარმოდგენილი: ხშირად გვხვდება ადამისა და ევას, ნოეს, აბრაჰამის, დანიელის, დავითის გამოსახულებანი. ახალი აღთქმა ავსებს და ხსნის ამ ძველაღთქმისეულ სიმბოლიკას.

ყველა ეს დოკუმენტი, ყუმრანის აღმოჩენათა წყალობით, უკეთ შეგვეიძლია დავუკავშიროთ პალესტინურ სოციალურ გარემოს, პაპირუსების, კოდექსებისა და სხვა მანუსკრიპტების ყველა უთვალავ მოწმობას, რომლებიც სახარების ტექსტის გადმოცემის სრულ შენახვასა და სიზუსტეს ადასტურებს; ამას უნდა დავუმა-

ტოთ ის მტკიცებულებანიც, რომელთაც ისტორიული კრიტიკა თვით ამ ტექსტში ნახულობს.

ის ვითარება, რომელშიც სახარებათა თანახმად იესო ქრისტე ცხოვრობდა, სავსებით ისტორიულად წარმოგვიდგება. ტექსტებს არ გადაპყავს იგი ლეგენდარულ წარსულში, როგორც ეს მითიურ თქმულებებშია მითრასთან, ორფეოსთან თუ ოზირისთან დაკავშირებით.

რომაული გარემო, რომელშიც ქრისტიანობა აღმოცენდა, ცნობილია ჩვენთვის ქრისტეს თანამედროვე, ქრისტემდე და შემდგომი თაობის ავტორთა ნაწარმოებების მიხედვით. პორაციუსი, ტიტუს ლიბიუსი, ოვიდიუსი, პროპერციუსი, სენეკა, პლინიუს უფროსი იესო ქრისტეს თანამედროვენი იყვნენ. ვერგილიუსი უფრო ადრე ცხოვრობდა, იოსებ ფლავიოსი, ეპიქტიტე, პლუტარქე, ტაციტუსი, პლინიუს უმცროსი – ოდნავ მოგვიანებით.

სახარებებსა თუ მოციქულთა საქმეებში მოხსენიებული მრავალი პიროვნება ჩვენთვის ცნობილია საერო წყაროების მიხედვითაც, რომლებიც სავსებით ადასტურებს საღმრთო წერილის ცნობებს: ტიბერიუსი, პილატე პონტოელი, ჰეროდეს დინასტიის წარმომადგენლები, იოსებ ფლავიოსი მოგვითხრობენ იოანე ნათლისმცემლის ქადაგების, სიკვდილის შესახებ. რომაელი ისტორიკოსების მოწმობანიც, თავიანთი სიმშრალითა და გულგრილი დამოკიდებულებით, რაც ამტკ
მათ უინტერესობას, ასევე
ხურებს ყურადღებას. მათგა
ხი განეკუთვნება II საუ
პირველ მეოთხედს. სვეტო
მოიხსენიებს ქრისტიანობა
მის დამაარსებელსაც, როცა
მოსცემს იმპერატორ კლავდ
საგარეო პოლიტიკას. იგი ა
ნავს, რომ ამ იმპერატორმა
მიდან განდევნა ის იუდეველ
რომლებიც არეულობათა მიზ
შექმნილიყვნენ „ქრისტუსის
გაელენით. ეს ცნობა განეკუთ
ბა 51-52 წლებს და აიხსნება
რომ სვეტონიუსი შეცდომით
წერდა თავად ქრისტეს იმ
რიგობებს, რომლებიც მაშინ
მის იუდაურ კოლონიაში ხდ
და ქრისტიანებთან დავა-კამ
ნიადაგზე. სხვა ადგილას, იგი
ვრით მოიხსენიებს სიკვდი
დასჯის შემთხვევებსაც, რასაც
იწვევდნენ თავზე ქრისტიანე
ის ადამიანები, ვინც, მისი აზ
ახალ და ბოროტ ცრურწმ
იყო მიცემული. ამავე ფაქტ
ტაციტუსი უფრო დაწვრილ
საუბრობს დაახლოებით 116 წ
დაწერილ ანალებში. მან
ქრისტიანთა არსებობის შეს
რომლებიც ყველასათვის სა
ველნი იყვნენ და ნერონმა ძა
მკაცრად დასაჯა. თავისი სი
ლითა და ოდენ რომაელთა
დამახასიათებელი წინასწარ
ვიატებული მტრული დამოკ
ბულებით უცხოტომელთა ცრ
მენებისადმი, ტაციტუსის ჩან
რი ხუთ ფაქტობრივ ცნობას

ცავს, ამასთან საკმაოდ ზუსტადაც, სულ ერთია, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ის წყარო, საიდანაც მან აიღო ისინი. რომში, ნერონის ზეობისას, 64 წელს სიკვდილით დასჯილი ქრისტიანები აქ წარმოდგენილნი არიან ქრისტესთან კავშირში, რომელიც თავად იქნა სიკვდილით დასჯილი იუდეაში ტიბერიუსის დროს რომის პროკურატორის პილატე პონტოელის ბრძანებით.

პლინიუს უმცროსის წერილი ტრაიანესადმი, სადაც საუბარია ქრისტიანების შესახებ და დაწერილია ტაციტუსის ანალებზე ადრე – 111–113 წლებს შორის, საინტერესოა ჩვენთვის, როგორც უტყუარი დოკუმენტი და უშუალო ჩანაწერი მისი შთაბეჭდილებისა, იგი ამავე დროს მეტად განათლებული ადამიანიც იყო. პლინიუსს მანამდე არასდროს ჰქონია შემთხვევა, გამოძიება ეწარმოებინა ქრისტიანთა წინააღმდეგ, რომელთაც იგი მხოლოდ სახელწოდებით იცნობდა. პლინიუსი ლეგატად დაინიშნა ბითვინიაში და იძულებული გახდა, მოკლევა ეწარმოებინა მასთან შემოსული განმეორებითი დასმენების გამო. აქედან გამომდინარე, თავის მეგობარს – იმპერატორს, საკუთარ აზრს მოახსენებს: საჭიროა კი იდევნებოდეს თვით ფაქტი ქრისტიანობის აღსარებისა? ტრაიანე თავის პასუხში, რომელიც შემორჩენილია პლინიუსის წერილთა კრებულში, განაჩინებს ზოგად გამოძიებას: დასმენის შემთხვევაში ჯერ არს თავისაზე ჯიუტად მდგომთა დასჯა, მაგრამ არამც და არამც იმათი, ვინც თანხმდება ქრისტეს უარყოფაზე. დაუშვებელია, აგრეთვე, ანონიმური დასმენებიც, – ეს „მოქმედების ბარბაროსული ხერხია, რომელსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენ დროში“. რამდენიმე წლის შემდეგ, დაახლოებით 125 წელს, იმპერატორმა ადრიანემ ასეთივე ინსტრუქციები მისცა აზიის პროკონსულს – მინუციუს ფუნდატუსს.

თავიანთი წარმომავლობის, ფაქტებისა და ვითარებათა გადმოცემის სიცხადის მიხედვით, ყველა ეს ცნობა, გადმოცემული წარმართების მიერ, სერიოზულ ყურადღებას იპყრობს, რადგან იმ ისტორიულ გარემოს გვაცნობს, რომელშიც ქრისტიანობა იშვა.

წმიდათა მიმართ საკითხავი სამოციქულო და სახარებები საზიარონი:

ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა

სამოციქულო: ფილ. 2, 5-11; 240 დას.; ან – ებრ. 9, 1-7; 320 დას.

სახარება: ცისკრად: ლკ. 1, 39-49, 56; 4 დას. ლიტურგიაზე: ლკ. 10, 38-42; 11, 27-28; 54 დას.

წმიდისა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისა

სამოციქულო: I კორ. 1, 18-24; 125 დას.

სახარება: ცისკრად: ინ. 12, 28-36; 42 დას. ლიტურგიაზე: ინ. 19, 6-11, 13-20, 23-35; 125 დას.

წმიდათა გეცისა უსხეულოთა ძალთა

სამოციქულო: ებრ. 2, 2-10; 305 დას.

სახარება: ლკ. 10, 16-21; 51 დას.; ან მთ 13, 24-30, 36-43; 52 დას.

წმიდისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი

სამოციქულო: საქმე მოც.: 13, 25-32.

სახარება: მთ. 11, 2-15; 40 დას.

წმიდათა წინასწარმეტყველთა

სამოციქულო: I კორ. 14, 20-25; 156 დას.; ან ებრ. 6, 13-20; 314 დას.; ან იაკ. 5, 10-20; 57 დას.

სახარება: მთ. 23, 29-39; 96 დას.; ან ლკ. 11, 47-54; 62 დას.

წმიდისა მოციქულისა

სამოციქულო: I კორ. 4, 9-16; 131 დას.

სახარება: მთ. 9, 36-38; 10, 1-2, 5-8; 34 დას.

წმიდათა მოციქულთა (მრავალთა)

სამოციქულო: I კორ. 4, 9-16; 131 დას.

სახარება: ლკ. 10, 1-15; 50 დას.; ან ლკ. 10, 16-21; 51 დას.

წმიდისა მღვდელმთავრისა

სამოციქულო: ებრ. 7, 26 – 8, 2; 318 დას.

სახარება: ინ. 10, 9-16; 36 დას.

წმიდათა მღვდელმთავართა

სამოციქულო: ებრ. 13, 17-21; 335 დას.

სახარება ცისკრად: ინ. 10, 1-9; 35 დას. ლიტურგიაზე: მთ. 5,14-19; 11 დას.; ან ინ. 10, 9-16; 36 დას.

წმიდისა მოწამისა

სამოციქულო: 2 ტიმ. 2, 1-10; 292 დას.

სახარება: ლკ. 12, 2-12; 63 დას.; ან: ინ. 15, 17 – 16, 2; 52 დას.

წმიდათა მოწამეთა (მრავალთა)

სამოციქულო: რომ. 8, 28-39; 99 დას.; ან ებრ. 11, 33-40; 330 დას.

სახარება: მთ. 10, 16-22; 36 დას.; ან ლკ. 21, 12-19; 106 დას.

წმიდისა მღვდელმოწამისა

სამოციქულო: ებრ. 13, 7-16; 334 დას.

სახარება: ლკ. 12, 32-40; 67 დას.; ან ლკ. 12, 2-12; 63 დას.

წმიდათა მღვდელმოწამეთა

სამოციქულო: ებრ. 5, 4-10; 311 დას.; ან: ფილიპ. 3, 20 – 4, 3; 246 დას.

სახარება: ლკ. 6, 17-23; 24 დას.; ან: ლკ. 10, 22-24; 52 დას.; ან ლკ. 14, 25-35; 77 დას.

ღირსისა მოწამისა

სამოციქულო: 2 ტიმ. 1, 8-18; 291 დას.

სახარება: მრკ. 8, 34-38; 37 დას. (ღირსი და ღმერთშემოსილი მამისა)

ღირსი დედისა: მთ. 25, 1-13; 104 დას.

წმიდათა აღმსარებელთა

სამოციქულო: ეფეს. 6, 10-17; 233 დას.

სახარება: ლკ. 12, 8-12; 64 დას.

ღირსთა მოწამეთა

სამოციქულო: რომ. 8, 28-39; 99 დას.

სახარება: მთ. 10, 32-33, 37-38; 19, 27-30; 38 დას.; ან ლკ. 12, 8-12; 64 დას. (წმიდა მოწამე მამისა).

წმიდა მოწამე დედისა: მრკ. 5, 24-34; დას. 21.

ღირსისა (ან ღირსთა) და ქრისტესთვის სალოსთა

სამოციქულო: გალ. 5, 22 – 6, 2; 213 დას.

სახარება: მთ. 11, 27-30; 43 დას.; ან ლკ. 6, 17-23; 24 დას.

წმიდათა უვეცხლოთა მკურნალთა

სამოციქულო: 1 კორ. 12, 27 – 13, 8; 153 დას.

სახარება: მთ. 10, 1, 5-8; 34 (შუათგან) დას.

მართლისა

სამოციქულო: გალატ. 4, 22-31; 210 (შუათგან) დას.

სახარება: ლკ. 8, 16-21; 36 დას.

წმიდა წერილი დაგეხმარებათ:

გაჭირვების ჟამს
ფსალმ. 15
ფსალმ. 30
ინ 14, 1-4
ებრ. 7, 25

მაღლიერების გამოსახატავად
ფსალმ. 99
1 თეს. 5, 18
ებრ. 13, 15

შიშის ჟამს
ფსალმ. 33, 5
მთ. 10, 28
2 ტიმ. 1, 7
ებრ. 13, 5-6

ღმრთის მფარველობისათვის
ფსალმ. 26, 1-6
ფსალმ. 90
ფილ. 4, 19

ავადმყოფობის ჟამს
ფსალმ. 37
მთ. 26, 39
რომ. 5, 3-5
2 კორ. 12. 9-10
1 პეტრ. 4, 12-13,19

ცდუნებისგან დაცვისათვის
ფსალმ. 1
ფსალმ. 138, 23-24
მთ. 26, 41
1 კორ. 10, 12-14
ფილ. 48
იაკ. 4, 7
2 პეტრ. 2, 9
2 პეტრ. 3, 17

სასოწარკვეთის ჟამს
ფსალმ. 120
მთ. 6, 25-34
ებრ. 4, 16

ახლობლის გარდაცვალების ჟამს
მთ. 5, 4
2 კორ. 1, 3-4

ცხოვრების წარმართვისათვის
ფსალმ. 318
რომ. 12

მარგოობის ჟამს
ფსალმ. 22
ებრ. 13, 5-6

წუთისოფლის საზრუნავით შეწუხებულთათვის
მთ. 6, 19-34
1 პეტრ. 5, 6-7

საშიშროების ჟამს
ფსალმ. 90
ფსალმ. 117, 5-6
ლკ. 8, 22-25

თუ თქვენ განსჯით სხვას
1 კორ. 13

რწმენის მიმართ გულგრილობის ჟამს
ფსალმ. 50
ინ. 1, 4-9

წუხილის ჟამს
ფსალმ. 50
მთ. 5, 4
ინ. 14
2 კორ. 1, 3-4
1 თეს. 4, 13-18

დათრგუნვის ჟამს
ფსალმ. 33

მეგობრის ღალატის ჟამს
ფსალმ. 40, 10-14
ლკ. 17, 3-4
რომ. 12, 14, 17, 19, 21
2 ტიმ. 4, 16-18

სახლის მიტოვებისას
ფსალმ. 120
მთ. 10, 16-20

სიმშვიდის საჭიროებისათვის
ინ. 14, 1-4
ინ 16, 33
რომ 5, 1-5
ფილიპ. 4, 6-7

საფრთხისგან დაცვისათვის
ფსალმ. 17, 2-4
ებრ. 11

დამარცხების ჟამს
ფსალმ. 6
რომ. 8, 31-39
1 ინ. 1, 4-9

მოგზაურობისას
ფსალმ. 120

გაწბილების ჟამს
ფსალმ. 22
ფსალმ. 41,7-12
ფსალმ. 54, 23
მთ. 5, 11-12
2 კორ. 4, 8-18
ფილ. 4, 4-7

ლოცვის სწავლისათვის
ფსალმ. 4
ფსალმ. 41
ლკ. 11, 1-13
ინ. 17
1 ინ. 5, 14-15

რწმენის შესუსტებისას
ფსალმ. 41, 6
ებრ. 11

შფოთვის ჟამს
ფსალმ. 45
მთ. 6, 19-34
ფილიპ. 4, 6
1 პეტრ. 5, 6-7

დაღლილობის ჟამს
ფსალმ. 89
მთ. 11, 28-30
1 კორ. 15, 58
გალ. 6, 9-10

განმარტებითი ლექსიკონი

ა

აბა, აბბა, ამბა, ანბა – მამა, ბერი, წინამძღვარი (პატივისცემის აღმნიშვნელი სიტყვა): „და იტყოდა: აბბა მამაო...“ (მრკ. 14, 36).

აგარაკი – სახნავ-სათესი ადგილი, საკენახე, სოფელი: „წარვიდენ გარემო დაბნებსა და აგარაკებსა...“ (ლკ. 9, 12).

ადგილის-პყრობა – დადგრომა, შედგომა, შეჩერება: „და-ღა-ადგრა ადგილსა მას, სადაცა იყო, ორ დღე“ (ინ. 11, 6).

ადრე – მეყსეულად, მალე, სწრაფად, მაშინვე: „განვედ ადრე უბანთა“ (ლკ. 14, 21); „მოვიდე თქუენდა ადრე“ (1 კორ. 4, 9).

ავაზაკი – ყაჩაღი, მძარცველი, ბოროტმოქმედი, დამნაშავე: „ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოსრულ ხართ მახვილითა და წათებითა“ (ლკ. 22, 52).

აზმნობა, ზმნობა (ვაზმნობ) – განზრახვა, ცდა, ცდილობა: „აზმნობდა შედგომად მოწაფეთა მათ“ (საქმე 9, 26).

აზნაური – თავისუფალი; წარჩინებული წოდებისა ან გვარისა, დიდებული: „კაცი ვინმე აზნაური წარვიდა შორსა სოფელსა“ (ლკ. 19, 12).

აზნაურება – თავისუფლება; კეთილშობილება, პატივი: „აზნაურებითა მით, რომლითა ქრისტემან ჩუენ განგუააზნაურნა, მტკიცედ დეგით“ (გალატ. 5, 1).

ათეული – მეათედი: „ათეულსა შეესწირავ ყოველისაგან მონაგებისა ჩემისა“ (ლკ. 18, 12).

აკელდამა, აკლდამა – „დაბაჲ სისხლისაჲ“ (სიტყვა-სიტყვით): „ეწოდაცა დაბასა მას თჳსითა სიტყჳთა მათითა აკელდამა, ესე იგი არს დაბაჲ სისხლისაჲ“ (საქმე 1, 19).

ალაბასტრი – ჭურჭელი (ქილა), რომელსაც ნელსაცხებლის შესანახად ხმარობდნენ: „რომელსა აქუნდა ალაბასტრი ნელსაცხებლისა“ (მთ. 26, 7).

ალაგი – ბილიკი, გზა; კვალი: „წრფელ ყვენით ალაგნი მისნი“ (მთ. 3, 3).

ალელუია, ალილუია – (ებრ.) აქებდით ღმერთსა.

ამბორის-ყოფა – კოცნა: „ამბორს-უყო მას“ (მრკ. 14, 45).

ამენ, ამინ, ამჱნ – **„მართლიად“***, ჭეშმარიტად, ნამდვილად: „ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ“ (ინ. 1, 51); „დიდებაჲ საუკუნეთა მიმართ. ამენ“

** ბრჭყალებში ჩასმული და გამუქებული სიტყვები ლექსიკონში განმარტებული სიტყვების თანაფარდი და იგივე მნიშვნელობის მქონეა და გამოყენებულია წმიდა წერილის ამ ან სხვა რედაქციებში.*

(მთ. 6, 13).

ამეთჳსტო, ამეთჳსტონი – თვალი პატიოსანი, მოიისფრო: „საფუძველი ... მეთორმეტე ამეთჳსოჲ“ (გამოცხ. 21, 20).

ამიერ – აქედან; ამ: „აღდეგით და წარვიდეთ ამიერ“ (მრკ. 14, 42); „განვიდეს ამიერ სოფლით“ (ინ. 13, 1).

ამიერითგან – ამ დროიდან, ამის შემდეგ, ამას იქით: „არღარა მიხილოთ მე ამიერითგან“ (მთ. 23, 39).

ანგაჰრება – სიხარბე, გაუმაძღრობა: „დაიცევენით თავნი თქუენნი ყოველისაგან ანგაჰრებისა“ (ლკ. 12, 15).

ანგელოზი – გონიერი, უსხეულო, დასაბამიერი, ღვთისგან სულად შექმნილი გონიერი არსება, ღვთის წინაშე მდგომი, ღვთის მცნებათა მიმტანი, მაუწყებელი, ღვთის მსახური: „ანგელოზი უფლისაჲ ჩუენებით გამოუჩნდა მას“ (მთ. 1, 20).

ანდერძი – დანაბარები; წინა ან ბოლოსიტყვაობა გადამწერისა ან ავტორისა: „რამეთუ ანდერძი დაწერილი მკუდართა შემდგომადღა მტკიცე არს“ (ებრ. 9, 17).

ანთჳპატი – პიტიახშის ნაცვალი, პროკონსული: „რომელი-იგი იყო მთავრისა მის ანთჳპატისა თანა სერგისა... ეძიებდა გარდაქცევასა ანთჳპატისასა სარწმუნოებისაგან“ (საქმე 13, 7-8).

ანტაკრად – პირისპირ მებრძოლად, მოწინააღმდეგედ: „ანტაკრად წინა-აღუდგებით“ (საქმე 7, 51).

ანტიქრისტე – ქრისტეს მთავარი და უკანასკნელი მტერი, რომელიც ქრისტეს მეორედ მოსვლისას ქვეყანას მოევლინება და სასტიკად დამარცხდება ქრისტეს მიერ: „ესე არს ანტიქრისტე“(1 ინ. 2, 22).

აპოკალიფსი – (ბერძნ.) გამოცხადება, წიგნი წმიდისა იოანე მახარებელისა.

არასადა – არასოდეს: „არასადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდაჲსთა“ (მთ. 2, 6).

არდაბაგება, „შინა-განცემა“ – გაცემა, ღალატი: „ურთიერთას შინა-განსცემდენ“ (მთ. 24, 10).

არდაგი, „ამრენაკი“ – ბამბის ქსოვილი, ტილო, სუდარა: „წარგრაგნა იგი ამრენაკსა წმიდასა“ (მთ. 27, 59); „მოიღო არდაგი და მოირტყა იგი“ (ინ. 13, 4).

არმური, არმული, ალმური – „ნისლი“, ბურუსი, ბინდი; ალი, ბუღი; გრიგალი: „გარდამოჴდა არმური ქარისაჲ ტბასა მას ზედა“ (ლკ. 8, 23).

არღა – ჯერ არ; აღარ: „ერგასის წლის არღა ხარ და შენ აბრაჰამი გიხილავსა“ (ინ. 8, 57).

ასარი – ფულის ერთეული, 4 კოდრანტი (დაახლ. 2 გრ. ვერცხლის ღირებულება): „ანუ არა ორი სირი ასარის განისყიდებისა“ (მთ. 10,

29).

ასერგასის და სამი – 153: „გამოითრევდა ბადესა მას ქუეყანად, სავსესა დიდ-დიდითა თევზითა, რომელი იყო ას ერგასის და სამ“ (ინ. 21, 11).

ასო – სხეული, ტანი, სხეულის ნაწილი: „ერთსა მას გუამსა მრავალ ასოებ აქუს“ (რომ. 12, 4).

ასპარეზი – „უტევანი“, მანძილი – 195 ნაბიჯი; მოედანი, სტადიონი: „შორავს იერუსალჵმსა სამეოც უტევან“ (ლკ. 24, 13).

ასური – ასურელი, სირიელი, აისორი: „დედაკაცი იგი იყო წარმართი, ნათესავით ასური ფინიკელი“ (მრკ. 7, 26).

აღგება, აგება – გასწორება, გამართვა: „აღიგნეს ლამპარნი მათნი“ (მთ. 25, 7).

აღვსება – ავსება, გავსება; **„აღსრულება“**, შესრულება, დასრულება, გათავება: „აღაესენით სარწყულნი ეგე წყლითა“ (ინ. 2, 7); „ჟამი ჩემი არღა აღსრულებულ არს“ (ინ. 7, 8).

აღთქუმა – დაპირება, აღთქმის დადება, აღიარება: „მე აღგითქუამ თქუენ, ვითარცა მე აღმითქუა მამამან ჩემმან, სასუფეველსა“ (ლკ. 22, 29); „აღუთქუეს მას მიცემად ვეცხლი“ (მრკ. 14, 11).

აღთქუმა, აღთქმა – „შჯული“; პირობა; ზავი: „და აღუთქუა მათ სასყიდელი“ (მთ. 20, 2); „ამას ვიტყჳ წიგნად აღთქუმისა, დამტკიცებულად ღმრთისა მიერ“ (გალატ. 3, 17).

აღმოგუალ – ამოსელა: „აღმოგუალე ზემოკერძო“ (ლკ. 14, 10).

აღმოვსება – ავსება; ამოღება წყლისა, ღვინისა: „აღმოავსეთ აწ და მოართუთ პურისა უფალსა“ (ინ. 2, 8).

აღმოსავალი – აღმოსავლეთი: „რომელი იხილეს აღმოსავალით“ (მთ. 2, 9).

აღმოტევება – ამოშვება, განტევება: „განუტევა სული“ (მთ. 27, 50).

აღმოქუმა – ამოყვანა: „არა-მე მეყსეულად აღმოიქუას იგი“ (ლკ. 14, 5).

აღმოჴდომა – აღმობრწყინება; აღმოცენება; ამოსელა: „ვითარცა მზე აღმოჴდა“ (მრკ. 4, 6); „ოდეს დაეთესის, და აღმოჴდის“ (მრკ. 4, 32).

აღმსთობა, ამსთობა, მსთობა – ადრე ადგომა; სწრაფვა; დილა-ადრიანად მისელა: „ყოველმან ერმან აღიმსთჳს მისა ტაძარსა მას შინა სმენად სიტყუათა“ (ლკ. 21, 38).

აღნადგინები – „ვახშმი“, სარგებელი, პროცენტი: „მო-მცა-ვედ მე და ვახშითურთ ვქმენ იგი“ (ლკ. 19, 23).

აღპყრობა, აპყრობა – „განპყრობა“, აღმართვა, აწევა, აშვერა (ხელისა), აღება, გაშლა: „აღიპყრნა ჴელნი თჳსნი და აკურთხნა იგინი“ (ლკ. 24, 50); „განიპყრნე ჴელნი შენნი“ (ინ. 21, 18).

აღსასრული – ბოლო; სიკვდილი: „აღსასრული ამის სოფლისაჲ“

(მთ. 24, 3); „აღსასრული მათი სიკუდილი არს“ (რომ. 6, 21).

აღსრულება – 1. შესრულება, გათავება, ქმნა: „ვითარცა აღესრულნეს დღენი იგი რვანი“ (ლკ. 2, 21); „ვითარცა აღასრულებდა იოვანე სრბასა თჳსსა“ (საქმე 13, 25); 2. გარდაცვალება, მოსპობა: „ვიდრე აღსრულებადმდე ჰეროდესა“ (მთ. 2, 14).

აღტეხა, ატეხა – აღშფოთება, აღელვება; ხმობა: „აღაშფოთეს ერი იგი და მთავარნი ქალაქისანი, ესმოდა რაჲ ესე“ (საქმე 17, 8).

აღყვანება – **„აღმოყვანება“**, აყვანა, წაყვანა: „შემდგომად ზატიკისა აღიყვანოს იგი“ (საქმე 12, 4); „აღმოიყვანეს ყრმაჲ იგი იერუსალჱმდ“ (ლკ. 2, 22).

აღცრა – განთესვა, გაბნევა, გაცრა, მიმობნევა: „ეშმაკმან გამოგითხოვნა თქუენ აღცრად, ვითარცა იფქლი“ (ლკ. 22, 31).

აღძარცუა – დარღვევა; ართმევა, ახდა: „აღსძარცუეს სართული სახლისაჲ მის“ [ახადეს იმ სახლის სახურავი] (მრკ. 2, 4).

აღძრვა – **„აღშფოთება“**, შეძრვა, აღელვება; ამოძრავება; მიმართვა; აჯანყება: „აღაშფოთებს ერსა“ (ლკ. 23, 5); „მღდელთ-მოძღუართა მათ აღძრეს ერი იგი“ (მრკ. 15, 11).

აღხილვა, ახილვა – თვალის ახელა, გახელა; შეხედვა; ხედვა: „აღიხილნა თუალნი ზეცად“ (ლკ. 9, 16); „ბრმანი აღიხილვენ“ (ლკ. 7, 22).

აღხუმა, ახუმა – **„მოხუმა“**, აღება, აღმართვა: „მიიხუნეს სულელთა მათ ლამპარნი მათნი“ (მთ. 25, 3); „რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“(ინ. 1, 29); 2. გაღება: „საფლავნი აღეხუნეს“ (მთ. 27, 52).

აღჴდომა, აჴდომა – **„აღსლვა“**, ასვლა: „აღვიდა მთასა ლოცვად“ (მრკ. 6, 46).

აღჴოცა, აჴოცა –**„მოსპოლვა“**, აღფხვრა, აღება, ამოშლა, მოსპობა; დალევა: „რაჲთა აღიჴოცნენ ცოდვანი თქუენნი“ (საქმე 3, 19); „მოსპოლვად ყუედრებაჲ ჩემი“ (ლკ. 1, 25).

აწ – ეხლა: „აცადე აწ“ (მთ. 3, 15).

აწღა – ეხლახან: „აწღა აღესრულა“ (მთ. 9, 18).

ახს, ახ – ახლოს ყოფნა: „ახს ლუდიაჲ იოპესა“ [ლუდია ახლოსაა იოპესთან] (საქმე 9, 38).

ახლის პირით გუემული – **„ცისად-ცისად გუემული“**, მთვარეული: „მოჰგურიდეს მას... ეშმაკეულთა და ცისად-ცისად გუემულთა“ (მთ. 4, 24).

აჰა ეგერა – აი (ითქმის II პირთან მდებარე საგანზე): „აჰა ეგერა დჳრე თუალსა შინა შენსა“ (მთ. 7, 4).

აჰა ესერა – აი აქ (ითქმის I პირთან მდებარე საგანზე); ეხლა: „აჰა ესერა მე და მამაჲ შენი ვრორინებთ“ (ლკ. 2, 48).

ბ

ბაგა — ბოსელში კედელს მიშენებული ადგილი დაბმული საქონლისათვის საკვების ჩასაყრელად (წნული ან ფიცრული): „მიაწვინა იგი ბაგასა“ (ლკ. 2, 7); „შეხუეული და მწოლარე ბაგასა“ (ლკ. 2, 12).

ბაკი — 1. **„ეზო“**, საჩეხი, საქონლის დასამწყედეი ადგილი ირგვლივ შემოზღუდული, უსახურავო: „სხუანიცა ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა არიან ამის ეზოჲსაგანნი“ (ინ. 10, 16); 2. მზის ან მთვარის გარშემო ზოგჯერ ხილული ნათლის სარტყელი.

ბალანტი — მცირე ჩანთა: „ოდეს-იგი წარგაელინენ თქუენ თჳნიერ ბალანტისა და ეაშკარანისა“ (ლკ. 22, 35).

ბანაკი — გუნდი სპისა, ლაშქარი, მხედრობა, ლაშქართა სადგური, ბინა, ურდო: „ბრძანა შეყუანებაჲ მისი ბანაკად“ (საქმე 21, 34); „მათნი იგი ჴორცნი დაიწუებოდეს გარეშე ბანაკსა მას“ (ებრ. 13, 11).

ბასრება, ბასრობა — დაცინვა, **„კიცხევა“**, **„გმობა“**: „ოდეს განკიცხეს იგი“ (მრკ. 15, 20); „ჰგმობდეს მას“ (მთ. 27, 39).

ბევრი — ათი ათასი; მრავალი: „თანა-მდები ბევრისა ტალანტისაჲ“ (მთ. 18, 24); „პოვეს ვეცხლი ხუთი ბევრი“ (საქმე 19, 19).

ბელზებული, ბერზებული — ეშმაკთმთავარი, სატანა: „ბელზებულითა, მთავრითა მით ეშმაკთაჲთა, განასხამს ეშმაკთა“ (ლკ. 11, 15).

ბელიარი — სატანა, ეშმაკი, ანტიქრისტე: „რაჲ შეტყუება არს ქრისტესი ბელიარის თანა“ (2 კორ. 6, 15).

ბერი — მოხუცებული, ხანდაზმული, ბერი კაცი; მონაზონი კაცი; უფროსი, როგორც ხევის ბერი: „ვითარ ჴელ-ეწიფების კაცსა ბერსა შობად“ (ინ. 3, 4).

ბერწი — უნაყოფო, უშვილო: „ელისაბედ იყო ბერწ“ (ლკ. 1, 7); „იხარებდ, ბერწი ეგე, რომელი არა შობდ“ (გალატ. 4, 27).

ბილწება, ბილწა — **„არაწმიდება“**, უწმინდურება, საძაგელება, ბიწი, გარყვნილება: „შინაგან გულისაგან კაცთაჲსა გამოვლენან... არაწმიდებანი“ (მრკ. 7, 21-22).

ბისონი, ბჳსონი — (ბერძნ.) სუფთა ტილო; ბამბის თეთრი ფერის წმინდა ქსოვილი, ხმარობდნენ შიგნით ჩასაცმელად: „იმოსებოდა ძოწეულითა და ბისონითა“ (ლკ. 16, 19).

ბიწიერი — **„ბილწი“**, ლაქიანი, ზადიანი, ნაკლიანი: „შეგინებულნი და ბილწნი იშუებენ საცთურსა შინა მათსა“ (2 პეტრ. 2, 13).

ბობღანი — დაფი, დაირა, ტყავგადაკრული საკრავი.

ბომონი, ბაგინი — კერპთა ტაძარი, სვეტი კერპთა აღსამართავი: „ვპოვე ბომონიცა“ (საქმე 17, 23).

ბორბალი — გრიგალი, ქარიშხალი: „იწყო ქროლად მის თანა ქარმან მან ბორბალმან“ (საქმე 27, 14).

ბორგა — **„ცბა“**, გიჟივით უაზროდ ლაპარაკი: „ეშმაკეულ არს და

ცბის“ (ინ. 10, 20).

ბრალი – დანაშაული, ბრალი: „არარას ბრალსა ვჰპოებ კაცისა ამის თანა“ (ლკ. 23, 4); „მძიმესა ბრალსა დასდებდეს“ (საქმე 25, 7).

ბრკუმა – „ფერჭისა წარსცემა“, წაბორძიკება, ფეხის წაკვრა, ფეხის წატეხა: „უკუეთუ ვინმე ვიდოდის დღისი, არა წარსცეს ფერჭი“ (ინ. 11, 9).

ბრჭალი – 1. თითების მოკაკვა რაიმეს დასაჭერად: „აღიღო ჩემ ზედა ბრჭალი მისი“ (ინ. 13, 18); 2. ქუსლი, ტერფი.

ბურნაკი, ბურნა – კოღო, ღვინის ქინქლა: „რომელნი დასწურავთ ბურნაკსა“ (მთ. 23, 24).

ბჭე, ბჭენი – სასახლეთა, ტაძართა, გალავანთა, ციხეთა, ქალაქთა შესასვლელი, მთავარი კარი: „ვითარ მიეახლა ბჭეთა ქალაქისათა“ (ლკ. 7, 12).

ბჭე, ბრჭე – „მთავარი“, მსაჯული, მოსამართლე: „იესუ დადგა წინაშე მთავრისა მის“ (მთ. 27, 11).

გ

გამოგუალ – „გარე გამოსლვა“, გამოსვლა: „ლაზარე, გამოვედ გარე“ (ინ. 11, 43)

გამოგურა – „გამოყვანება“, გამოყვანა: „გამოიყვანა იესუ გარე“ (ინ. 19, 13).

გამოთარგმანება – ახსნა, განმარტება; თარგმნა: „ვითარ-იგი გამომითარგმანებდა ჩუენ წიგნთა“ (ლკ. 24, 32); „გამოგუთარგმანე ჩუენ იგავი ესე“ (მთ. 15, 15); „რომელი გამოითარგმანების ძე ნუგეშინისცემისაჲ“ (საქმე 4, 36).

გამოკიდებული – დამოკიდებული: „ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინაწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან“ (მთ. 22, 40).

გამოკოდილი – „გამოკუეთილი“, გამოჭრილი: „დადგა იგი საფლავსა გამოკუეთილსა“ (ლკ. 23, 53).

გამოპარვა – მოპარვა: „არცა მპარავთა დათხარიან და განიპარიან“ (მთ. 6, 20).

გამოსხმა – გამოყრა: „გამოასხა ყოველი იგი განმსყიდელი“ (მთ. 21, 12); „ოდეს გამოგასხნენ თქუენ“ (ლკ. 6, 22).

გამოფრდა – ყიდვა; დაფასება, მოგება, გამოცდა, მოხმარება: „გამოიფრდიდით ჟამთა, რამეთუ დღენი ბოროტნი არიან“ (ეფეს. 5, 16).

გამოცხადება – „განცხადება“, დაფარულის გამოაშკარავება, გამომჟღავნება, განმარტება, ჩვენება, გამოჩენა, გაშიშვლება, გაცნობა: „[illegible]ხადე ესე ჩჩულთა“ (მთ. 11, 25); „გამოეცხადნეს მრავალთა“ (მთ. 53); „გამოცხადებასა იესუ ქრისტესსა“ (1 პეტრ. 1, 13); „განცხადა სახელი მისი“ (მრკ. 6, 14); „რაჲთა განვაცხადო იგი“ (კოლ. 4, 4).

გამოხატვა – სტიგმა, წერტილი; უმცირესი (დრო): „უჩუენნა მას ყოველნი სუფევანი სოფლისანი გამოხატვითა ჟამთაჲთა“ [გამოხატვითა ჟამთაჲთა – წერტილსავით მცირე დროში] (ლკ. 4, 5).

გამოჴდომა – 1. **„გამოსლვა“**, ამოსვლა, გამოსელა: „ვითარცა გამოვიდა იგი ნავით“ (მრკ. 5, 2); „გამოჴდა ბრძანებაჲ აგუსტოს კეისრისაგან“ (ლკ. 2, 1); 2. ხედომა: „გამოუჴდა წილი მატათიას“ (საქმე 1, 26).

განბასრება – **„გინება“**, **„განკიცხვა“**, დაცინვა, შეურაცხყოფა: „ხოლო იგინი აგინებდეს მას“ (ინ. 9, 28); „განკიცხეს იგი“ (ლკ. 23, 11).

განბოკლება – კეთრი: „განეყარა მას კეთროვნებაჲ იგი“ (მრკ. 1, 42).

განბჭობა, განბრჭობა – განსჯა, საქმის გარჩევა, განჩინება.

განგება – 1. შეკეთება, გასწორება, გამართვა: „განაგებდეს ბადეთა ნავსა შინა“ (მრკ. 1, 19); 2. ანგარიშის გასწორება: „ვითარცა იწყო განგებად, წარმოუდგინეს მას ერთი თანამდები ბევრისა ტალანტისაჲ“ (მთ. 18, 24).

განგება, განგებულება – **„განგებულება“**, ღვთის ნება, გადაწყვეტილება, მზრუნველობა ღვთისა დაბადებულთათვის: „განგებულებაჲ იგი საიდუმლოჲსაჲ მის დაფარულისაჲ“ (ეფეს. 3, 9).

განგოზილი – განგლეორწნილი, განგლესილი, კირითა და ცარცით შეგლესილი; გადატ. გალამაზებული: „მიმსგავსებულ ხართ საფლაჲთა განგოზილთა“ (მთ. 23, 27).

განდგომა – ღალატი; აჯანყება; გაცლა, ჩამოცილება: „ჟამსა განსაცდელისასა განდგიან“ (ლკ. 8, 13).

განვთომა, გავთომა, განვლთომა – **„განყოფა“**, განხეთქილება, განყოფა: „განყოფად მამაჲ ძისაგან“ (ლკ. 12, 53); „იყო შფოთი სადუკეველთა და ფარისეველთაჲ და განიელთა სიმრავლე იგი“ (საქმე 23, 7).

განვლინება – გაშვება, გაგზავნა: „მდიდარნი განავლინნა ცუდნი“ (ლკ. 1, 53).

განვლტოლა – გაქცევა, გაცლა, თავის დაღწევა: „რომელნი იყვნენ შორის მისა, განიელტოდედ“ (ლკ. 21, 21).

განვრცობა, გავრცობა, განვრცომა – გადიდება, გაფართოება: „განივრცნიან საცონი მათნი და განიდიდნიან ფესუნი სამოსელთა მათთანი“ (მთ. 23, 5).

განზოგება – განახევრება, გაშუალედება: „ვითარცა დღესასწაული იგი გან-ოდენ-ზოგებულ იყო [როცა დღესასწაულის ნახევარი გასული იყო], აღვიდა იესუ ტაძრად“ (ინ. 7, 14).

განზრახება, გაზრახება – დარიგება, რჩევა.

განზრქომა – გასქელება; გადატ. გაქვავება, გახევება: „განზრქნა გული ერისაჲ ამის“ (მთ. 13, 15).

განთესული – გაფანტული, გაბნეული: „ნუკუე განთესულთა მათ

წარმართთასა ეგულების მისლვად“ (ინ. 7, 35).

განთხოვილი – „თხოვილი“, დანიშნული: „მოიყვანა გაბრიელ... ქალწულისა, თხოილისა ქმრისა“ (ლკ. 1, 26-27).

განკეთრებული – კეთრიანი, კეთრით შეპყრობილი: „მოუვდა მას ერთი განკეთროვნებული“ (მრკ. 1, 40).

განკითხვა – გამოძიება, განსჯა, გასამართლება: „მაშინ განიკითხნა მცუელნი იგი და ბრძანა მოკლვაჲ მათი“ (საქმე 12, 19); „არამჭამელი იგი მჭამელსა მას ნუ განიკითხავნ“ (რომ. 14, 3).

განკრთომა – შეშინება: „ნუ განჰკრთებით“ (მრკ. 16, 6).

განკრძალულ-ყოფა – „განძლიერება“, ბეჯითობა: „ლოცვასა განკრძალულ იყვენით“ (რომ. 12, 12).

განკუეთა, გაკუეთა – 1. გაჭრა, გაკვეთა: „ორგან განკუეთოს იგი“ (მთ. 24, 51); „ერისგანთა მათ განუკუეთნეს საბელნი იგი ჴუამალდისანი“ (საქმე 27, 32); 2. ჩამოშორება.

განმსტრობა, განმსტურობა, განმსტუვრობა – თვალთვალი, ჯაშუშობა, დაზვერვა: „რომელნი შემოვიდეს განმსტურობად“ (გალ. 2, 4).

განპება – „განხვევა“, გაპობა, განხეთქილება: „არა განვხიოთ ესე“ (ინ. 19, 24).

განპყრობა – გაშლა, გაშვერა, გაჭიმვა, აღმართვა: „განიპყრნე ჴელნი შენნი“ (ინ. 21, 18).

განრთხმა – გაშლა, გაჭიმვა: „ვითარცა განართხმიდეს“ (საქმე 22, 25); „განირთხ ჴელი შენი“ (მთ. 12, 13).

განრინება – „ცხოვნება“, ხსნა, გადარჩენა, თავის დაღწევა: „რომელსა უნდეს სულისა თჳსისა განრინებაჲ“ (მრკ. 8, 35); „სხუანი აცხოვნა, იცხოვნენ თავიცა თჳსი“ [სხვები იხსნა, იხსნას თავისი თავიც] (ლკ. 23, 35).

განრომა – გადარჩენა, თავის დაღწევა, ხიფათს აცდენა: „არამცა განერა ყოველი ჴორციელი“ (მთ. 24, 22).

განრისხება, გარისხება – გაწყრომა, გაგულისება, აღშფოთება, გაჯავრება: „განრისხნეს ორთა მათ ძმათათჳს“ (მთ. 20, 24).

განრღვეული – დავარდნილი, კუტი, საპყარი: „მონაჲ ჩემი დაცემულ არს სახლსა შინა ჩემსა განრღუეული“ (მთ. 8, 6).

განრყუნა – გაფუჭება, წახდენა: „განირყუნნიან პირნი მათნი“ (მთ. 6, 16); „არცა მღილმან განრყუნის“ (ლკ. 12, 33).

განსუენება, გასუენება – მოსვენება, დასვენება: „განისუენეთ მცირედ“ (მრკ. 6, 31); „ჰპოოთ განსუენებაჲ სულთა თქუენთაჲ“ (მთ. 11, 29).

განსლვა – სულისა და ხორცის გაყრა, სიკვდილი, გარდაცვალება; გარეთ გამოსვლა, გაღმა გასვლა: „გალობაჲ წართქუეს და განვიდეს“ (მთ. 26, 30); „ბრძანეს განსლვაჲ მათი გარეშე კრებულისაგან“ (საქმე 4, 15).

განსპეტაკება – გათეთრება: „ვერ ძალ-გიც ერთისაცა თმისა განსპეტაკებად“ (მთ. 5, 36); „ყოველსავე მმურკნვალსა ქუეყანასა ზედა ვერ ჴელ-ეწიფების ეგრეთ განსპეტაკებად“ (მრკ. 9, 3).

განსხმა, გასხმა – **„განჴდა“**, განდევნა, გაძევება, გაყრა: „კრებულისაგან განგასხნენ თქუენ“ (ინ. 16, 2); „ვითარ ჴელ-ეწიფების ეშმაკისა ეშმაკისა განჴდად“ (მრკ. 3, 23).

განსჯა, განშჯა – **„განკითხვა“**, გასამართლება: „განსჯად ათორმეტთა ტომთა ისრაჱლისათა“ (მთ. 19, 28).

განტევება – გაშვება: „უკუეთუ ჯერ-არს კაცისა ცოლისა თჳსისა განტევებაჲ“ (მრკ. 10, 2); „განტეეებულ ხარ უძლურებისაგან შენისა“ (ლკ. 13, 12).

განქარ(ჳ)ება – გაუჩინარება, განბნევა ქარივით, გაქრობა, მოსპობა: „უკუეთუ მარილი იგი განქარდეს“ (მთ. 5, 13); „რომელმან-იგი განაქარვა სიკუდილი“ (2 ტიმ. 1, 10).

განცდა – 1. გამოცდა: „არა განსცადო უფალი ღმერთი შენი“ (მთ. 4, 7); 2. შეხედვა, დანახვა, შენიშვნა: „განიცადენით ყორანნი“ (ლკ. 12, 24); „რომელმან განიცადის პირი ქმნულებისა თჳსისაჲ სარკითა“ (იაკ. 1, 23).

განცემა – გაცემა, ღალატი: „რომელმანცა განსცა იგი“ (მთ. 10, 4).

განცთომა – **„განკრთომა“**, სიგიჟე, შეშლილობა: „გამოვიდეს შეპყრობად მისა, რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: განკრთომილ არს“ (მრკ. 3, 21).

განცოფება – გაგიჟება, გასულელება: „იტყოდეს თავთა თჳსთა ბრძენ და განცოფნეს“ (რომ. 1, 22); „ანუ არა განაცოფაა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისაჲ“ (1 კორ. 1, 20).

განცოცხლება – **„კუალად მოგება“**, გაჯანსაღება, მორჩენა: „ყოველადვე განვაცოცხლე კაცი შაბათსა“ (ინ. 7, 23); „კუალად მოეგო ჴელი იგი“ (მრკ. 3, 5).

განძარცუა – ტანისამოსის გახდა: „განძარცუეს იგი“ (მთ. 27, 28); „არა გუნებაჳს განძარცუად, არამედ შემოსად“ (2 კორ. 5, 4).

განძება, გაძება – **„დარღუევა“**, გაძევება, გაგდება, განდევნა: „რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაძო გარე“ (ინ. 6, 37); „დაგარღუონ შენ“ (ლკ. 19, 44).

განწვალება – განხეთქილება, დავა, აზრთა სხვადასხვაობა: „განწვალებაჲ იყო მისთჳს ერსა შორის“ (ინ. 7, 43).

განჴდა – **„განძება“**, **„განსხმა“**, **„განვლინება“**, გაძევება, გაგდება: „ჩუენ ვერ შეუძლეთ განძებად მას“ (მრკ. 9, 28); „კრებულისაგან განგასხნენ თქუენ“ (ინ. 16, 2); „უკუეთუ მე ბელზებულითა განვასხამ ეშმაკთა“ (მთ. 12, 27); „განჴადეთ ბნელსა მას“ (მთ. 25, 30).

განჴდომა – 1. **„განსლვა“**, გასვლა: „სული ეგე არაწმიდაჲ, განეჴედ კაცისა მაგისგან“ (მრკ. 5, 8); 2. **„განთქუმა“**, გავრცელება (ამბისა):

„განჴადონ სახელი თქუენი“ (ლკ. 6, 22); „განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა ქუეყანასა ასურასტანისასა“ (მთ. 4, 24).

განჴსნა, გაჴსნა – გახსნა: „ყოველთა კრულებანი განიჴსნნეს“ (საქმე 16, 26); „რომელი განჰჴსნა ქუეყანასა ზედა“ (მთ. 16, 19).

განძჳნება – განმწარება, განრისხება, გაკაპასება: „ეძჳნებოდა სულსა მისსა მის თანა“ (საქმე 17, 16).

გარდამოჴდომა – გადმოსელა (ზეციდან), ჩამოხტომა: „გარდამოჴედ ზეცით“ (ინ. 6, 38); „გარდამოჴდა წჳმაჲ“ (მთ. 7, 25).

გარდამოჴსნა – გადმოხსნა, ჩამოხსნა: „გარდამოჰჴსნა იგი ჯუარისა მისგან“ (მრკ. 15, 46).

გარდარევა – **„მატება“**, გადამეტება; გამრავლება: „რაოდენთა სასყიდლით-დადგინებულთა მამისა ჩემისათა ჰმატს [რჩება, მეტი აქვს] პური“ (ლკ. 15, 17); „გარდამრეეიეს სიხარული ყოველთა ზედა ჭირთა ჩუენთა“ (2 კორ. 7, 4).

გარდასლვა – 1. **„გარდახდომა“**, გადასვლა: „გარდამოვიდა პეტრე ნავით“ (მთ. 14, 29); 2. გარდახდომა სჯულისა, შეცოდება, დარღვევა, უარყოფა: „გარდაჰვლენ მოძღურებასა ხუცესთასა“ (მთ. 15, 2); „არა გარდასლვად და მოანგაჰრებად საქმესა ძმისა თჳსისასა“ (1 თეს. 4, 6).

გარდაქცევა – 1. **„ყოფა“**, გადაქცევა, შეცვლა: „მზე გარდაიქცეს ბნელად“ (საქმე 2, 20); „სიცილი თქუენი გლოვად გარდაიქცეს“ (იაკ. 4, 9); „სადა-იგი ქმნა წყალი ღჳნოდ“ (ინ. 4, 46); 2. გადასვლა, გადაბირება: „ეძიებდა გარდაქცევასა ანთჳპატისასა სარწმუნოებისაგან“ (საქმე 13, 8); 3. წაქეზება, აღშფოთება, აჯანყება: „მომგუარეთ მე კაცი ესე, ვითარცა გარდამაქცეველი ერისაჲ“ (ლკ. 23, 14); „რომელნი ყოველსა სახლებსა გარდააქცევენ“ (ტიტ. 1, 11).

გარე-მიქცევა – მიბრუნება: „ნუ გარე-მიიქცევი“ (მთ. 5, 42).

გარე-მოდგომილი – ალყაშემორტყმული: „რაჟამს იხილოთ იერუსალჱმსა გარე-მოდგომილი ერი“ (ლკ. 21, 20).

გარესკნელი – გარეგანი, გარეშე: „განითხინენ ბნელსა მას გარესკნელსა“ (მთ. 8, 12).

გარეშე – 1. **„გარე“**, გარეთ: „განვიდოდა გარეშე ქალაქსა“ (მრკ. 11, 19); „დედაჲ შენი და ძმანი შენნი გარე დგანან“ (ლკ. 8, 20); 2. „თუნიერ“, გარდა: „თუნიერ იგავისა არარას ეტყოდა მათ“ (მრკ. 4, 34); 3. გარეგანი: „რომელნი ჩანედ გარეშე შუენიერ“ (მთ. 23, 27); „რომელმან-იგი გარეშე შექმნა, მანვე შინაგანი შექმნა“ (ლკ. 11, 40); 4. გარეშე: „თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ იგი სასუფეველისა ღმრთისაჲ, ხოლო გარეშეთა მათ – ყოველივე იგავით სიტყუად“ (მრკ. 4, 11).

გარეშემოუწერელი – უსაზღვრო, უზომო, შეუცნობელი.

გარნა – 1. თუ არა; თუნიერ, გარდა, გარეშე: „არავინ იცის ძე, გარ-

ნა მამამან“ (მთ. 11, 27); „ვის ჴელ-ეწიფების მიტევებად ცოდვათა, გარნა მხოლოსა ღმერთსა“ (მრკ. 2, 7); 2. მაგრამ, მხოლოდ, არამედ: „გარნა თუ ჩუენ წარვიდეთ და უყიდოთ... საზრდელი“ (ლკ. 9, 13); „გარნა ესემცა უწყით“ (ლკ. 10, 11).

გასრულებული – „ჰასაკი“, ასაკოვანი, სრულწლოვანი: „ჰასაკი აქუს“ (ინ. 9, 21).

გება (ჲგებე, ჲგებს, გეგები) – დგომა, ყოფნა, **„დადგრომა“**: „ქრისტე უკუნისამდე ეგოს“ (ინ. 12, 34); „უკუეთუ ეგნეთ სარწმუნოებასა ზედა დაფუძნებულნი“ (კოლ. 1, 23).

გება – 1. ლოდინი, დაცდა, დათმენა: „ურთიერთარს ჰგებდით“ (1 კორ. 11, 33); 2. **„შეძლება“**, ეგების, **„ჯერ-ყოფა“**: „ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილისა რაისამე ყოფად“ (ინ. 1, 46); „ვერ ეგების“ (ლკ. 13, 33); „არა ჯერ-არს კაცისა ჰურიისა მიახლებად წარმართთა“ (საქმე 10, 28); 3. მოწესრიგება, მოგვარება, მოწყობა, განკარგვა: „ელია მოვიდეს პირველად და კუალად-აგოს ყოველი“ (მთ. 17, 11); 4. **„ზორვა“**, შეწირვა; 5. შეძენა, მოგება; 6. პასუხი: მიგება, მოგება.

გეჰენია – ისტორიულად ადგილი იერუსალიმის სამხრეთით, სადაც ადრე სრულდებოდა კერპთმსახურება, ხოლო მაცხოვრის დროს იყო ნაგავსაყრელი, სადაც გაჰქონდათ დასჯილთა გვამები, ცხოველთა ლეში და ყოველგვარი უწმინდურება. ამ ადგილს მუდმივად ცეცხლი ეკიდა, ბოლავდა, ყარდა იქაურობა და საზარელი სანახავი იყო.

გეჰენია – ადგილი ჯოჯოხეთისა, ცეცხლით სატანჯველი ცოდვილთა: „თანა-მდებ არს იგი გეჰენიასა მას ცეცხლისასა“ (მთ. 5, 22); „ჴელ-ეწიფების შთაგდებად გეჰენიასა“ (ლკ. 12, 5).

გზება, გზნება – დანთება: „ნაკუერცხალი აღეგზნა, რამეთუ ყინელი იყო“ (ინ. 18, 18).

გინა – ანუ, თუნდ: „დაჴსნად სჯულისა გინა წინაწარმეტყუელთა“ (მთ. 5, 17); „რაჟამს მოიწიის ჭირი ანუ დევნულებაჲ“ (მრკ. 4, 17).

გინება – შეურაცხყოფა; ურიგოდ ხსენება, ლანძღვა: „დაეთესვის გინებით და აღდგების დიდებით“ (1 კორ. 15, 43).

გიხაროდენ – მისალმების ფორმულა ჩვენი წინაპრებისა, ნიშნავს „გამარჯობას“: „რომელმან ჰრქუას მას „გიხაროდენ“ [ვინც მას მიესალმება], ეზიარების საქმეთა მისთა ბოროტთა“ (2 ინ. 1, 11).

გლახაკი – 1. ღარიბი, ღატაკი: „ქურივმან ამან გლახაკმან უფროის ყოველთასა დადვა“ (მრკ. 12, 43); 2. მათხოვარი, უქონელი.

გმობა – „ბასრობა“, შეურაცხყოფა, გინება, ლანძღვა, ძაგება, უარყოფა: „ნუმცა უკუე იგმობვის კეთილი იგი თქუენი“ (რომ. 14, 16); „ყოველი ცოდვაჲ და გმობაჲ მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობაჲ არა მიეტეოს კაცთა“ (მთ. 12, 31).

გოდება – **„ტირილი“, „ტყეება“**, მოთქმა: „ტიროდეთ და გოდებდით უბადრუკებათა მათთჳს“ (იაკ. 5, 1); „რომელნი ეტყებდეს და სტიროდეს მას“ (ლკ. 23, 27); „ჴმაჲ ჰრამაჲთ ისმა გოდებისა და ტირილისა და ტყებისაჲ“ (მთ. 2, 18).

გოდოლი – 1. კოშკი: „აღაშენა გოდოლი“ (მთ. 21, 33); 2. სახლის სახურავი: „დაადგინა იგი სართულსა მას ზედა ტაძრისასა“ (მთ. 4, 5).

გოლგოთა – (არაბ. თავის ქალა) გორაკი იერუსალიმის ახლოს, სადაც ჯვარს აცვეს იესო ქრისტე. ამ ადგილს თხემის ადგილს ეძახდნენ, რადგან აქ იყო ჩამარხული ადამის თავი.

გონებული – **„გონიერი“**: „იხილეს ეშმაკეული იგი მჯდომარე, შემოსილი და გონიერი“ (მრკ. 5, 15).

გრძნება – მისნობა, გრძნეულება, ჯადოქრობა, კუდიანობა: „ჰგრძნებდა და განაკჳრვებდა ნათესავსა მას სამარიტელთასა“ (საქმე 8, 9).

გრძნობა, აგრძნა – **„გულისჴმა-ყო“**, ცნობა, შეტყობა: „აგრძნა ესე ყოველმან იოპემან“ (საქმე 9, 42).

გუადრუცი – კოლოფი, ყულაბა: „გუადრუცი იგი მას აქუნდა“ (ინ. 12, 6).

გუამი – სხეული: „ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს“ (მთ. 6, 22).

გუემა – ცემა, **„ტანჯვა“**: „ნუ მტანჯავ მე“ (მრკ. 5, 7); „დაჰბურეს მას თავსა და სცემდეს“ (ლკ. 22, 64).

გუემულება – ავადმყოფობა: „მოჰგურიდეს მას... გუემითა შეპყრობილთა“ (მთ. 4, 24); „განიკურნა გუემულებისაგან“ (მრკ. 5, 29).

გულთმეცნიერი – გულთამხილველი, დაფარულთა გულისათა მხედველი ღმერთი: „უფალო, ყოველთა გულთა მეცნიერო“ (საქმე 1, 24); „გულთ მეცნიერი ღმერთი ეწამა“ (საქმე 15, 8).

გულის თქუმა – **„თნევა“**, სურვილი, წადილი: „გულის-თქუმათა მამისა თქუენისათა გნებავს ყოფად“ (ინ. 8, 44).

გულის სიტყუა – განზრახვა, აზრი: „გული-ეტყოდა განძღებად“ (ლკ. 15, 16); „გულის-სიტყუთ გული-მითქუმიდა პასექსა ამას ჭამად თქუენ თანა“ (ლკ. 22, 15); „ყოველსავე იქმოდეთ თუნიერ დრტჳნვისა და გულის სიტყუათა“ (ფილიპ. 2, 14).

გულის სიტყუა – **„გულის-თქუმა“, „გულის-ჴმა“**, გულის ზრახვა, გულის პასუხი (ვისაც რა ფიქრი აქვს გულში, სხვათაგან დაფარული), **„დასუსლება“**, აზრი, ფიქრი: „იწყო დასუსლებად და ურვად“ (მრკ. 14, 33); „გულისაგან გამოვლენ გულის-სიტყუანი“ (მთ. 15, 19); „გულის სიტყუათა დაჳარღუეთ“ (2 კორ. 10, 4).

გულის წყრომა – გაჯავრება, **„რისხვა“**; გულის მოსვლა: „იწყეს რისხვად იაკობისა“ (მრკ. 10, 41); „აღივსნეს ყოველნი გულის-წყრომითა“ (ლკ. 4, 28).

გულისხმა, გულისჴმა – **„გულისჴმის-ყოფა“**, სიბრძნე, გონება, გა-

გება: „შეყუარებად იგი... ყოველითა გულისჴმის-ყოფითა“ (მრკ. 12, 33).

გულისსმის-ყოფა, გულისჴმის-ყოფა – „ცნობა“, „დადება (გულსა)“, გაგება, მიხვედრა, შეტყობა: „ცნეს, რამეთუ ჩუენებაჲ რაჲმე იხილა“ (ლკ. 1, 22); „რომელი-იგი აღმოიკითხვიდეს, სცნობდინ“ (მრკ. 13, 14); „გულისჴმა-ყო, რამეთუ ჴელმწიფებისაგან ჰეროდესისა არს“ (ლკ. 23, 7); „დაედვა გულსა თჳსსა“ (ლკ. 2, 19).

გულ-პყრობილი – „მტკიცე“, მხნე, უშიშარი: „გულ-პყრობილ იყვენით“ (მრკ. 6, 50).

გულს-დება, გულსა დება – „გულება“, „ზრუნვისა დება“, ფიქრი; ნდომა, განზრახვა: „რომელსა ეგულებოდა [სურდა, გულში ჰქონდა, განზრახული ჰქონდა] მიცემაჲ მისი“ (ინ. 12, 4); „არა თუ გლახაკთაჲ რაჲმე ზრუნვაჲ ედვა გულსა მისსა“ (ინ. 12, 6).

გულს-მოდგინება – „ნეფსითობა“, სწრაფვა, გულდადება, ნდომა: „ჰლოცვიდა ყოველთა გულს-მოდგინებითა გულისაჲთა“ (საქმე 11, 23).

გულ-ფიცხელობა – „სიფიცხლე გულთა“, გულქვაობა, უგულობა, უწყალოება, სიმკაცრე, სისასტიკე: „მოსე გულ-ფიცხელობისა თქუენისათჳს გიბრძანა განტევებაჲ ცოლთა თქუენთაჲ“ (მთ. 19, 8).

გულწყებული – შეწუხებული, მწუხარე.

გუნდრუკი – სუნნელი, საკმეველი: „შეწირეს მისა ძღუენი: ოქროჲ, გუნდრუკი და მური“ (მთ. 2, 11).

დ

დაბა – სოფელი: „მოჰველიდა იესუ ქალაქებსა ყოველსა და დაბნებსა“ (მთ. 9, 35); „მი-რაჲ-ვიდოდეს დაბასა“ (მრკ. 16, 12).

დაბეჭდვა – ბეჭდის დასმა: „დაჰბეჭდეს ლოდსა მას დასისა თანა“ (მთ. 27, 66).

დაბურვა – დახურვა: „მამაკაცისაჲ უკუე არა ჯერ-არს დაბურვაჲ თავისაჲ“ (1 კორ. 11, 7); „დაჰბურეს მას თავსა და სცემდეს“ (ლკ. 22, 64).

დაგება – 1. დარიგება, წინ დაყრა, წინ დადება: „არარაჲ მაქუს, რაჲ დაუგო მას“ (ლკ. 11, 6); „დაუგო მათ ტაბლაჲ“ (საქმე 16, 34); 2. შერიგება: „დაეგე პირველად ძმასა შენსა“ (მთ. 5, 24); „დამაგნა ჩუენ თავსა თჳსსა ქრისტე იესუს მიერ“ (2 კორ. 5, 18); „დაგებაჲ ესე მოვიღეთ“ (რომ. 5, 11); 3. მიქცევა, მიმართვა: „დააგებდა მათ მშჳდობად“ (საქმე 7, 26).

დადგომა – „დგომა“, „დამტკიცება“, გაჩერება: „რაჟამს სდგეთ ლოცვასა შინა“ (მრკ. 11, 25); „რომელი განეველთის თავსა თჳსსა, ვერ დაემტკიცოს“ (მთ. 12, 25).

დადგრომა – გაჩერება, დარჩენა, დადგომა: „დაადგრა ადგილსა

მას“ (მთ. 2, 9).

დადრეკა – დახრა: „დაედრიკნეს პირნი მათნი ქუეყანად“ (ლკ. 24,5).

დავრდომა – დავარდნა: „დავარდა ფერჴთა მისთა თანა“ (ინ. 11, 32); „სიდედრი სიმონისი დავრდომილ იყო მჴურვალებითა“ (მრკ. 1, 30).

დაზულება, დაზღულება – დარღვევა, ჩამოწოლა, დაქცევა, დანგრევა: „წესნი იგი დაიწუნენ და დაზულენ“ (2 პეტრ. 3, 10); „რაჟამს ესე ყოველნი ესრეთ დაზულებოდიან“ (2 პეტრ. 3, 11).

დათმენა – მოთმენა, გაძლება, ატანა, ტვირთვა: „რომელმან დაითმინოს სრულიად“ (მთ. 10, 22); „რომელ დაუთმენიეს მრავლითა სულგრძელებითა“ (რომ. 9, 22).

დათმობა – მოთმენა, ატანა, გაძლება: „რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს“ (მთ. 10, 22); „ნეტარ არს კაცი იგი, რომელმან დაუთმოს განსაცდელსა“ (იაკ. 1, 12).

დათრგუნვა – „დატკებნა“, გათელვა, ფეხით შედგომა: „ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერჴითა მათითა“ (მთ. 7, 6).

დათხევა – დაღვრა, დაქცევა: „თჳნიერ სისხლის დათხევისა არა იყო მოტევებაჲ“ (ებრ. 9, 22).

დათხევა – გადაყრა: „კერმის-მსყიდელთა მათ დაუთხია კერმაჲ“ (ინ. 2, 15).

დაკარვება – დამკვიდრება, დავანება, დადგომა სადმე კარვებით.

დაკრება – „შეკრება“, შეგროვება, თავის მოყრა: „არა მაქუს, სადა შევიკრიბო ნაყოფი ჩემი“ (ლკ. 12, 17).

დაკრება ქვისა – ქვით ჩაქოლვა: „აღიღეს ქუები ჰურიათა მათ, რაჲთა დაჰკრიბონ მას“ (ინ. 8, 59).

დალტობა, დავლტობა – დასველება, დანამვა: „ცრემლითა დაალტვნა ფერჴნი ჩემნი“ (ლკ. 7, 44).

დამარხვა – შენახვა, დაცვა, დამახსოვრება: „დაემარხნეს ყოველნი ესე სიტყუანი გულსა თჳსსა“ (ლკ. 2, 51).

დამდაბლება – მდაბლად ქცევა, დამცირება: „ხოლო რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, დამდაბლდეს“ (მთ. 23, 12).

დამედგრება – „შინება“, შეშინება: „ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი, ნუცა ეშინინ“ (ინ. 14, 27).

დამსჭუალვა, დამშჭუალვა, დამრჭუალვა – დალურსმვა, ლურსმნით მიჭედება.

დამუსრვა – „განტეხა“, დამსხვრევა, დამტვრევა: „რაჲთა წჯვნი მათნი განუტეხნენ“ (ინ. 19, 31); „დამუსრა პური იგი“ (მრკ. 6, 41).

დამღიერებული – დამუწუკებული.

დამშთვარი – დამხრჩვალი, გაგუდული, მომკვდარი: „რაჲთა ეკრძალნენ კერპთა კლულისაგან და სისხლისა დამშთვრისა და სიძვისა“ (საქმე 21, 25).

დამწუხრება – **„შემწუხრება“**, შესაღამოება, დაღამება: „ეითარცა შემწუხრდებოდა“ (მრკ. 15, 42).

დამწყსა – მოვლა-პატრონობა, მომწყემსვა; გადატ. ადამიანთა დამოძღვრა: „აძოენ კრაენი ჩემნი“ (ინ. 21, 15); „რომელმან დამწყსოს ერი ჩემი“ (მთ. 2, 6); „ყოველივე ბუნებაჲ მჴეცთა და მფრინველთაჲ და ქუეწარმავალთაჲ და მცურვალთაჲ დაიმწყსების“ (იაკ. 3, 7).

დანაკი, დანა – დანა, ხელად სახმარი საჭრელი, მცირე მახვილი: „აჰა ესერა არიან აქა ორ დანაკ“ (ლკ. 22, 38).

დანაკის-კუდი, დანაჲს-კუდი – ფინიკი: „მოიღეს რტოები დანაკის-კუდთაგან და განვიდეს მიგებებად მისა“ (ინ. 12, 13).

დანახეთქი – **„მთხრებელი“**, ნაპრალი, უფსკრული: „ამას ყოველსა თანა შორის ჩუენსა და შენსა დანახეთქი დიდი დამტკიცებულ არს“ (ლკ. 16, 26).

დანთქმა – ჩანთქმა, ჩაძირვა: „შეეშინა და იწყო დანთქმად“ (მთ. 14, 30).

დაპება, დაპეპა – დახევა, დაპობა: „მღდელთ-მოძღუარმან მან დაიპო სამოსელი თჳსი“ (მრკ. 14, 63).

დარბაისელი, დარბაზისერი – წარჩინებული, დარბაზს მქონებელი ადგილისა, დიდებული.

დასაბამი – დასაწყისი: „დასაბამითგან სოფლისაჲთ“ (მთ. 13, 35); „დასაბამი სახარებისაჲ“ (მრკ. 1, 1); „ესე ქმნა დასაბამად სასწაულთა“ (ინ. 2, 11).

დასავალი – დასაელეთი, მზის დასაბუდი: „მზისა-აღმოსავალით და დასავალით“ (მთ. 8, 11).

დასი – 1. გუნდი, წესი ანუ ხარისხი ანგელოზთა, რომელნიც არიან ცხრანი: საყდარნი, ხელმწიფებანი, ძალნი, მთავრობანი, უფლებანი, ხერუვიმნი, სერაფიმნი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი; გუნდი მხედრობათა ანუ კრებული: „გაქუს თქუენ დასი“ (მთ. 27, 65); 2. გვარი, მოდგმა.

დასლვა – ჩასვლა (მნათობისა): „დასლვასა ოდენ მზისასა ყოველთა რაოდენთა აქუნდა უძლურები..., მოიყვანნეს მისა“ (ლკ. 4, 40).

დასხმა – დასმა; დადება; დასხმა: „დასხნეს იგინი, წარმოუდგეს და ჰმსახურებდეს მათ“ (ლკ. 12, 37); „დასხნა ორნი მწულილნი“ (მრკ. 12, 42); „დაასხა ზეთი და ღუნოჲ“ (ლკ. 10, 34).

დასხმა – **„დანერგვა“**, დარგვა, ჩაყრა (ვენახის): „კაცმან ვინმე დაასხა ვენაჯი“ (ლკ. 20, 9).

დასხმა ჴელისა – ხელთ დასხმა, კურთხევა თავზე ხელის დადებით: „დაასხნეს ჴელნი მათნი მოციქულთა ზედა“ (საქმე 5, 18).

დატევება – **„დაშდომა“**, დატოვება: „არა დაშთა შეილი“ (მრკ. 12, 20); „დაუტეა ნაზარეთი“ (მთ. 4, 13).

დატევება, დატეობა – **„განტევება“**; დატოვება: „ცოლისა თჳსისა

განტევებაჲ“ (მრკ. 10, 2).

დაუნჯება – დაგროვება, შენახვა: „დაიუნჯეთ დღეთა მათ უკუანაჲსკნელთა“ (იაკ. 5, 3); „გაქუს მრავალი კეთილი დაუნჯებული მრავალთა წელთა“ (ლკ. 12, 19).

დაყენება – გაჩერება: „არარაჲ დავაყენე, რომელიმცა არა გითხარ თქუენ“ (საქმე 20, 27); „არავის ეძლო დაყენებად მისა“ (მრკ. 5, 4).

დაყოფა – 1. **„დავანება“**, ყოფნა, დარჩენა, დგომა, გატარება, **„დადგრომა“**: „დაყოთ მუნ წელიწადი ერთი“ (იაკ. 4, 13); 2. დახშვა, დახურვა, დადუმება, დაყრუება: „დაუყენეს პირნი ლომთანი“ (ებრ. 11, 33); „პირი დაიყავ და განვედ მაგისგან“ (მრკ. 1, 25).

დაყუდება, დაყუდნება – მყუდროება, სიჩუმე: „იქმნა მეყსეულად დაყუდება დიდ“ (მთ. 8, 26).

დაყუენა –მოპარსვა: „საძაგელ არს დედაკაცისა კუეცაჲ გინა დაყუენვაჲ“(1 კორ. 11, 6).

დაშენება, დაშმნება – დამკუდრება, დასახლება: „მივიდა და დაეშენა ქალაქსა შინა“ (მთ. 2, 23).

დაშრეტა – ჩაქრობა: „ლამპარნი ჩუენნი დაშრტებიან“ (მთ. 25, 8).

დაშტნობა – **„გუემა წყაროჲთა სისხლისაჲთა“**, სისხლის დენა (ქალისა), დედათა წესი: „იყო წყაროჲთა სისხლისაჲთა გუემულ ათორმეტ წელ“ (მრკ. 5, 25).

დაცადება – დაცხრომა, გაჩერება, შეწყვეტა: „არა დასცხრების ამბორის-ყოფითა ფერჴთა ჩემთაჲთა“ (ლკ. 7, 45); „დააცადეს ცემაჲ პაულესი“ [შეწყვიტეს პაულეს ცემა] (საქმე 21, 32).

დაწყლვა – დაჭრა: „დაწყლეს და წარვიდეს“ (ლკ. 10, 30).

დაჭსნა – **„მომედგრება“**, დარღვევა, გაუქმება: „თჳსსა ჟამსა მოვიმკოთ, არა თუ მოემედგრდეთ“ (გალატ. 6, 9); „რომელი დაჰჭსნიდ ტაძარსა ამას“ (მთ. 27, 40); „დაჰჭსნნა სალმობანი სიკუდილისანი“ (საქმე 2, 24).

დაჭსნილი – **„განრღუეული“**, დავარდნილი, კუტი, საპყარი: „მონაჲ ჩემი დაცემულ არს სახლსა შინა ჩემსა განრღუეული“ (მთ. 8, 6).

დაჭშვა, დაჭსვა – დახშვა, დახურვა: „დაჰჭშავთ სასუფეველსა ცათასა“ (მთ. 23, 14); „დაეჭშა ცაჲ“ (ლკ. 4, 25).

დგმა – ყოლა, ქონება: „ნუუკუე სახლებ არა გიდგსა ჭამად და სუმად“ (1 კორ. 11, 22); „რომელსა ედგას ცხოვარი ერთი“ (მთ. 12, 11).

დგმა – „ედგა ეკლისა იგი გჳრგჳნი“ (ინ. 19, 5).

დიდებულ – განდიდებული, ჩინებული, წარჩინებული, მეფეთ წინაშე მდგომი: „იესუ არღა იყო დიდებულ“ (ინ. 7, 39).

დიდროჲა – ღვარი, წყალდიდობა, წყლის მოდიდება: „დიდროჲაჲ რაჲ იყო, ეკუეთა მდინარე იგი სახლსა მას“ (ლკ. 6, 48).

დირე, დჳრე – ტივის ხე, გაუთლელი ძელი, საძირკვლის კოჭი:

„დღრესა თუალსა შინა შენსა არა განიცდი“ (მთ. 7, 3).

დრამა, დრაქმე – ძველებური წერილი ვერცხლის ფული: „რო
სა აქუნდა დრაქმაი ათი“ (ლკ. 15, 8).

დრაჰკანი – ოქროს ფული: „თანა-ედვა მისი ასი დრაჰკანი“ (მ
28).

დრკუ – ურჩი, ვერაგი, მრუდე: „ჰლოცვიდა მათ და ეტყოდა: (
ნდით ნათესავისა ამის დრკუჲსაგან“ (საქმე 2, 40).

დრტჳნვა, ტრტჳნვა – უკმაყოფილება, პროტესტი, საჩივარი: „დრ
ვიდეს ფარისეველნი“ (ლკ. 5, 30); „იყო მრავალი დრტჳნვაი მი
ერსა შორის“ (ინ. 7, 12).

დღითი-დღე – მარადღე, ყოველ დღე: „იყო მუნ და ასწავებდა
თი-დღედ ტაძარსა მას შინა“ (ლკ. 19, 47).

ე

ებანი – ქნარი, ჩანგი.

ეგების, ეგება – იქმნების, შეიძლება, მოხდება: „ეგების-მეა... ვი
მცა ლეღუმან ზეთის ხილი გამოიღო“ (იაკ. 3, 12).

ეგევითარი – მაგნაირი: „ეგევითართაი არს სასუფეველი ც
(მთ. 19, 14); „აღიღე ქუეყანით ეგევითარი“ (საქმე 22, 22).

ეგრეთ, ეგრჱთ – ამგვარად, მაგნაირად: „ეგრეთ იყოს ძე კა
გულსა ქუეყანისასა“ (მთ. 12, 40).

ევლოგია – კურთხევა, მოსაკითხი: „დაამტკიცონ პირველ აღთ
ლი იგი ევლოგიაი თქუენი“ (2 კორ. 9, 5).

ეზოჲს მოძღუარი – ათასის-თავი, სასახლის მთავარი, სა
გამგებელი, ნაზირი, მნე, მოხელე: „იოანნა, ცოლი ქოზაჲსი, ე
მოძღურისა ჰეროდესი“ (ლკ. 8, 3); „არღარა ჴელ-გეწიფების ა
ითგან მნეობად“ (ლკ. 16, 2).

ეპისტოლე, ებისტოლე – წიგნი, წერილი: „ამას მეორესა ებ
ლესა მიევსწერ თქუენდა“ (2 პეტ. 3, 1).

ერგასისი, ერგასი – ორმოცდაათი: „დასხდა... ას-ასი და ერ
ერგასისი“ (მრკ. 6, 40); „ერთსა თანა-ედვა ხუთასი დრაჰკან
ლო ერთსა მას – ერგასისი“ (ლკ. 7, 41); „დაწერე ერგასისი“
16, 6).

ერდო – „სჳენი“, სახლის სწორი სახურავი, ბანი: „ქადაგ
ერდოთა ზედა“ (მთ. 10, 27); „აღჴდა პეტრე ერდოსა ზედა ლო
(საქმე 10, 9).

ერთბამად – „ერთგზის“, „ერთად“, საერთოდ, ერთხელვე: „ყ
ნი იყვნეს განკრძალულ ლოცვასა და ვედრებასა ერთბამად
ბითურთ“ (საქმე 1, 14); „მივიდეს ერთბამად სახლისველსა
(საქმე 19, 29); „ერთბამად ერთითა პირითა ადიდებდეთ ღმე
(რომ. 15, 6).

ერთშაბათი – კვირის ძველი სახელწოდება, კვირა დღე: „რომელი განთენდებოდა ერთშაბათად“ (მთ. 28, 1).

ერი – ხალხი (ადამიანთა ერთობა ენით, შთამომავლობით, სარწმუნოებით და სხ.), ერთად შეკრებილ ადამიანთა სიმრავლე; მხედრობა, ჯარი; გუნდი, კრებული (ანგელოზთა): „იხილა იესუ ერი იგი“ (მთ. 5, 1); „მიუტევის ერსა მას ერთი პყრობილი“ (მთ. 27, 15); „მიავლინა ერი თჳსი“ (მთ. 22, 7); „იყო ანგელოზისა მის თანა სიმრავლე ერთა ცისათაჲ“ (ლკ. 2, 13).

ერისაგანი, ერისგანი, ერის-კაცი – **„სტრატიოტი“**, ჯარისკაცი, მხედარი, მოლაშქრე: „ერისაგანთა მათ მთავრისათა წარიყვანეს“ (მთ. 27, 27); „სტრატიოტთა მათ... წარიყვანეს პაველე“ (საქმე 23, 31); „ერისაგანთა მათ, რომელთა ჯუარს-აცუეს იესუ“ (ინ. 19, 23).

ერის მთავარი – 1. ერისთავი: „მთავარსა ერისა შენისასა არა ჰრქუა ბოროტი“ (საქმე 23, 5); „ასისთავმან მან მისცნა პყრობილნი იგი ერის მთავარსა მას“ (საქმე 28, 16); 2. მხედართმთავარი.

ესევითარი – ამისთანა, ამგვარი: „ესევითარისა მის თანა არცაღა ჭამად“ (I კორ. 5, 11); „ესევითარისათჳს ვიქადი“ (2 კორ. 12, 5).

ესოდენი, ესდენი, ესთენი – ამდენი; ასეთი; **„ესევითარი“**: „ვპოვე ესევითარი სარწმუნოებაჲ“ (ლკ. 7, 9); „ესოდენნი სასწაულნი ქმნნა წინაშე მათსა“ (ინ. 12, 37).

ესრეთ, ესერეთ, ესრჱთ – ასე, ამნაირად, ამგვარად: „არცა ესრეთ ერთ იყვნეს წამებანი მათნი“ (მრკ. 14, 59).

ეშმაკეული – ეშმაკისგან გვემული, მთვარეული; ეშმაკისეული: „ვითარცა შემწუხრდა, მოჰგუარეს მას ეშმაკეულები მრავალი“ (მთ. 8, 16); „ვითარ-იგი ცხოენდა ეშმაკეული“ (ლკ. 8, 36).

ვ

ვანი – სადგომი, სახლი, დაბა, საყოფელი, მონასტერი, საცხოვრებელი: „შემოეყიდით ვანად ჩემდა და მუნ დაადგერით“ (საქმე 16, 15); „მოვიდეს ვანად მისა მრავალნი“ (საქმე 28, 23); „სადა არს სავანე“ (მრკ. 14, 14).

ვარშამაგი – 1. მიცვალებულის მოსახვევი ტილო, სუდარა: „სუდარი იგი, რომელი იყო თავსა მისსა“ (ინ. 20, 7); 2. თავმოსახვევი მანდილი, საბურველი, ანუ ბეჭებზე ჩამოსაფარებელი სამხრე, ბარტყული: „უძლურთაცა ზედა მიაქუნდა ოფლისა მისისაგან ვარშამაგებითა და ოლარებითა“(საქმე 19, 12).

ვაშკარანი – ნაქსოვი ან ტყავისგან შეკერილი ჩანთა: „ნურარაჲ გაქუნ გზასა ზედა, ნუცა კუერთხი, ნუცა ვაშკარანი, ნუცა პური“ (ლკ. 9, 3).

ვახში – **„აღნადგინები“**, გარდამეტებული სარგებელი ვალისა, პროცენტი: „მო-მცა-ვედ მე და ვახშითურთ ვქმენ იგი“ (ლკ. 19, 23).

ვედრი — 1. ანდერძი, აღთქმა, მიბარებული: „ვედრი იგი დაიმარხე“ (1 ტიმ. 6, 20); 2. მწირი, უცხო, გადმოხვეწილი; 3. თხოვნა.

ვეცხლის-მოყუარე — ფულის მოყვარე, ხარბი: „ვეცხლის-მოყუარე იყვნეს“ (ლკ. 16, 14).

ვიდრე, ვიდრემე — საით, სად: „არა იცი, ვინაჲ მოვალს და ვიდრე ვალს“ [არ იცი, საიდან მოდის და სად (საით) მიდის] (ინ. 3, 8).

ვიდრე-ღა — ვინემ, -ზე: „ვიდრეღა სჯულისა ერთი რქაჲ დაერდომად“ (ლკ. 16, 17).

ვიდრემდე, ვიდრე-ღა, ვიდრე-იგი — სანამ: „ვიდრემდე ხარ მის თანა გზასა ზედა“ (მთ. 5, 25); „ვიდრე ქათმისა ჴმობადმდე“ (მთ. 26, 75); „ვიდრე იგი ეტყოდაღა ერსა მას“ (მთ. 12, 46).

ვიეთმე, ვიეთნიმე — ვინმე: „მეფენი ქუეყანისანი ვიეთგან მიიღებენ ხარკსა“ (მთ. 17, 25); „ანუ ვიეთ ეფუცა არა შესლვად განსასუენებელსა მისსა“ (ებრ. 3, 18).

ვითარ, რა — 1. როგორც, როგორ; როგორც კი, როცა: „ვითარ ჰრქუა ძმასა შენსა“ (მთ. 7, 4); „ვითარ-მე იტყჳან მწიგნობარნი“ (მრკ. 9, 11); „აწ ვითარ ჰგონებთ თქუენ“ (მთ. 21, 28); „დაჯდა რაჲ იგი მთასა მას“ (მრკ. 13, 3); 2. ასე, დაახლოებით: „იყუნეს ვითარ ორ ათას“ (მრკ. 5, 13).

ვითარმედ — რომ; ასე: „ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დაჴსნად სჯულისა“ (მთ. 5, 17); „გრწამსა, ვითარმედ ძალ-მიც ესე ყოფად“ (მთ. 9, 28).

ვითარცა — როგორც, როცა, როგორც კი: „ვითარ წერილ არს ძისა კაცისათჳს“ (მრკ. 9, 12); „ვითარცა ესმა ესე ჰეროდეს“ (მთ. 2, 3).

ვინ უწყის — ეგებოს: „კეთილისათჳს, ვინ უწყის, ნუუკუე და იკადრისცა ვინმე სიკუდილი“ (ჰრომ. 5, 7).

ვინა, ვინაჲ — საიდან; სადაური: „არა გიცნი თქუენ, ვინანი ხართ“ (ლკ. 13, 25); „ვინაჲ აღმოსცენდა ღუარძლი“ (მთ. 13, 27).

ვინაჲთგან — 1. როდიდან, რა დროიდანაც, მას შემდეგ, რაც: „ვინაჲთგან შეემთხჳა ესე“ (მრკ. 9, 21); 2. რადგან, რამეთუ: „ვინაჲთგან უკუე მრავალთა ჴელ-ყვეს აღწერად“ (ლკ. 1, 1).

ვინაჲცა, ვინაჲთცა — საითკენაც, საიდანაც: „მიეიქცე სახედ ჩემდა, ვინაჲცა გამოვედ“ (მთ. 12, 44); „ვინაჲცა ვერღარა დავთმეთ“ (1 თეს. 3, 1); „ვინაჲცა ყოელითურთ ცხორებად შემძლებელ არს მათდა“ (ებრ. 7, 25).

ვლტოლა — გაქცევა, რბენა: „იელტოდე ეგჳპტედ“ (მთ. 2, 13); „სიჭაბუკისა მათ გულის თქუმათა ევლტოდე“ (2 ტიმ. 2, 22).

ვნება (ვავნებ) — 1. შეცოდება, ზიანის მიყენება, ტკივილი, თავსგადახდომა, დაჩაგვრა, დაჯაბნა, დასჯა, **„მიხუეჭა“**: „მრავალი მევნო მე დღეს ჩუენებით მაგისთჳს“(მთ. 27, 19); „ესოდენი გევნო ცუდად“ (გალატ. 3, 4); „რაჲსათჳს არა უფროჲსად თქუენ გევნე-

ბის? რაჲსათჳს არა უფროჲსღა თქუენ მიგებხუეჭებისა?“ (1 კორ. 6, 7); 2. ზატიკი, **„პასექი“, „პასქა“**: „იყო პასქაჲ იგი, რომელ არს ვნებაჲ“ (მრკ. 14, 1); „შემდგომად ორისა დღისა ვნებაჲ იყოს“ (მთ. 26, 2); „იყო მახლობელ პასექი იგი ჰურიათაჲ“ (ინ. 11, 55); 3. საპასექოდ დასაკლავი კრავი, **„პასქა“**: „მოუმზადეს პასქაჲ იგი“ (მთ. 26, 19); „სადა გნებავს..., რაჲთა სჭამო ვნებაჲ ესე?“ (მრკ. 14, 12); „სადა არს სავანე, სადა-იგი პასექი მოწაფეთა ჩემთა თანა ვჭამო“ (მრკ. 14,14).

ვნება ხორციელი – სნეულება, ტანჯვა.

ვნება სულიერი – მწუხარება, რისხვა, გულისთქმა, განკვირვება, სინანული.

ვრცელი – განიერი, ფართო: „ვრცელ არს ბჭე და ფართო არს გზაჲ“ (მთ. 7, 13).

ზ

ზაკუაჲ, ზაკჳა – ცბიერება, ვერაგობა, თვალთმაქცობა, ღალატი: „არცა ეზაკუაჲთ სიტყუასა ღმრთისასა“ (2 კორ. 4, 2).

ზატიკი – 1. **„ვნება“**, პასექი, დღესასწაული ჰურიათაჲ: „შემდგომად ზატიკისა აღიყუანოს იგი“ (საქმე 12, 4); 2. საპასექოდ დასაკლავი კრაჲი: „ზატიკად ჩუენთჳს დაიკლა ქრისტე“ (1 კორ. 5, 7); 3. წიგნი საგალობელთა პასექიდან ვიდრე ყოველთა წმიდათა კურიაკედმდე.

ზეგარდამო – 1. **„მეორედ“**, ზეციდან, ზევიდან: „უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ჴელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ცათაჲ“(ინ. 3, 3); 2. ზემო, ზეციერი: „ხოლო ზეგარდამოჲ სიბრძნე პირველად სიწმიდე არს და მერმე მშუდობაჲ“ (იაკ. 3, 17).

ზემო-ჯდომა – წინ ჯდომა, პირველ ადგილზე დაჯდომა: „უყუარს ზემოჯდომაჲ სერსა ზედა“ (მთ. 23, 6); „რომელთა ჰნებავს... ზემო-ჯდომაჲ კრებულსა შორის“ (მრკ. 12, 39).

ზენა – ზევითა, **„ზე“**: „კრეტსაბმელი... განიპო ორად ზეითგან, ვიდრე ქუემდე“ (მთ. 27, 51).

ზესკნელი – **„ზეცა“**, უმაღლესი ადგილი ზეცისა; ზევითა, ზედა, ზედაური: „ხოლო მე ზეცისაგანი ვარ“ (ინ. 8, 23).

ზჳარი – ვენახი; ადგილი, სადაც მზე დიდხანს ადგება და ამგვარი ადგილი უკეთესია საევენახედ.

ზმნა – მიყურადება, დაკვირვება: „არა მოვიდეს სასუფეველი ღმრთისაჲ ზმნით“ (ლკ. 17, 20).

ზორგა – შეწირვა (მსხვერპლისა).

ზოსტერი – ქამარი, სარტყელი.

ზრახვა – 1. ლაპარაკი, საუბარი: „იყვნეს იესუჲს თანა და ზრახვიდეს“ (მრკ. 9, 4); 2. ფიქრი, თათბირი, განზრახვა: „რამეთუ არა ჰზრახავ ღმრთისასა, არამედ კაცთასა“ (მთ. 16, 23).

ზუაობა – ამპარტავნება, დიდების-მოყვარება, გაამაყება.

ზუარაკი – მოზვერი, შესაწირი პირუტყვი: „მოიბთ ზუარაკი იგი ჭამებული“ (ლკ. 15, 23).

ზუერი – ბაჟი, ხარკი, გადასახადი: „მეფენი ქუეყანისანი ვიეთგან მიიღებენ ხარკსა ანუ ზუერსა“ (მთ. 17, 25).

ზღვევა – ვნება, ზიანის მიყენება: „რაჲ სარგებელ არს კაცისა, შე-ოუ-იძინოს სოფელი ყოველი და თავი თჳსი წარიწყმიდოს, გინა იზღვიოს“ (ლკ. 9, 25).

ზღუდე – გარემოვლებული კედელი, ან სხვა რამ სიმაგრე: „კაცმან ვინმე დაასხა ვენაჯი და ზღუდე გარე-მოსდვა“ (მრკ. 12, 1).

თ

თავადი – თვითონ, იგი: „ხოლო თავადი მიექცა და იხილნა მოწაფენი თჳსნი“ (მრკ. 8, 33); „და იგი თავადი პირველად განვიდეს“ (ლკ. 1, 17).

თავით თჳსით – სხვის დაუხმარებლად, თვითონ: „იესუ გულისჴმა-ყო მეყსეულად თავით თჳსით განსრული იგი ძალი მისგან“ (მრკ. 5, 30); „ვერ ჴელ-ეწიფების კაცსა მოღებად თავით თჳსით არცა ერთი რაჲ“(ინ. 3, 27).

თავკიდე – ქვაკუთხედი, შენობის კუთხეში საფუძვლად დადებული ლოდი: „ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა“ (მთ. 21, 42).

თავს-დება – თავის თავზე მიღება, კისრება: „ვიდრემდის თავს-ვიდებდე თქუენსა“ (მთ. 17, 17).

თავ-ყოფა – დაფასება, პატივისცემა: „პატივ-ეც მამასა შენსა“ (მთ. 15, 4).

თანა-ზრახვა – ლაპარაკი, საუბარი: „ეჩუენნეს მათ მოსე და ელია მის თანა, და თანა-ზრახვიდეს“ (მთ. 17, 3).

თანამდები – მოვალე; ღირსი: „ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანა-მდებთა მათ ჩუენთა“ (მთ. 6, 12); „თანა-მდებ არს სასჯელისა“ (მთ. 5, 21).

თანამეინაკე – თანამესუფრე, სხვასთან ერთად სუფრასთან მჯდომი: „ფიცისა მისთჳს და მის თანა მეინაკეთა ბრძანა მიცემად იგი მას“ (მთ. 14, 9).

თანანადები – ვალი: „განუტევა იგი და თანა-ნადებიცა იგი მიუტევა მას“ (მთ. 18, 27); „მომიტევენ ჩუენ თანა-ნადებნი ჩუენნი“ (მთ. 6, 12).

თანა-სათნო-ყოფა – მოწონება, დათანხმება: „თანა-სათნო-ეყოფვით საქმესა მამათა თქუენთასა“ (ლკ. 11, 48).

თანა-წარვლა, თანა-წარჴდომა – გეერდის ავლა, აცილება: „თანა-წარჰვალთ სამართალსა და სიყუარულსა ღმრთისასა“ (ლკ. 11, 42); „მღდელი ვინმე შთავიდოდა მასვე გზასა და იხილა იგი და თანა-

წარჰვდა“ (ლკ. 10, 31); „ინება პაელე ეფესოჲსა თანა-წარსლვაჲ“ (საქმე 20, 16).

თაფლუჭი – ერთგვარი სათრობელი სასმელი: „ღუნოჲ და თაფლუჭი არა სუას“ (ლკ. 1, 15).

თბე – ხაში, პურის ცომი, საფუარი: „ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთაჲსა“ (მრკ. 8, 15).

თესლად-თესლად – ჯიში, ჯური.

თესლის მოფარდული – ფულის დამხურდაებელი, მეკერმე: „და კერმის-მსყიდელთა მათ დაუთხია კერმაჲ“ (ინ. 2, 15); „ტაბლები იგი მეკერმეთაჲ მათ დაამჯუა“ (მთ. 21, 12).

თესლი – 1. თესლი: „კაცმან დასთესის თესლი“ (მრკ. 4, 26); „თესლი იგი არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ“ (ლკ. 8, 11); 2. მკვიდრი, მემკვიდრე: „აღუდგინენ თესლი ძმასა თჳსსა“ (მთ. 22, 24); „თესლისაგან დავითისა და ბეთლემით დაბით, სადა იყო დავით, მოვიდეს ქრისტე“ (ინ. 7, 42); 3. ტომი, ხალხი, ნათესავი: „მოიქცეს და მისცეს დიდებაჲ ღმერთსა, გარნა უცხო-თესლი ხოლო ესე“ (ლკ. 17, 18); „შეკრიბეს ყოველიე იგი თესლები“ (მრკ. 15, 16); „ამიერითგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი“ (ლკ. 1, 48).

თჳნიერ, თჳნიერად – გარდა, გარეშე: „თჳნიერ მამისა თქუენისა“ (მთ. 10, 29); „თჳნიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა“ (ინ. 1, 3).

თჳსაგან – მარტო, ცალკე: „წარვიდა უდაბნოსა ადგილსა თჳსაგან“ (მთ. 14, 13); „აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა თჳსაგან მარტონი“ (მრკ. 9, 2); „არა ტილოთა თანა მდებარე, არამედ თჳსაგან შეკეცილი ერთსა ადგილსა“ (ინ. 20, 7).

თჳსთანა – მასთან მყოფი, მისი მხლებელი.

თჳსი – თავისიანი: „აცადენ მკუდარნი დაფლვად თჳსთა მკუდართა“ (მთ. 8, 22); „წარვედ სახიდ შენდა თჳსთა შენთა თანა“ (მრკ. 5, 19).

თნევა, თნება – მოწონება: „სთნდა ჰეროდეს როკვაჲ იგი მისი“ (მთ. 14, 6); „რომელი მე სათნო-ვიყავ“ (მთ. 3, 17).

თუალ-ბოროტება – შური; ავი, შურიანი თვალი: „შინაგან გულისაგან კაცთაჲსა გამოვლენან... თუალ-ბოროტებანი, გმობანი, ამპარტავანებანი, უგუნურებანი“ (მრკ. 7, 22).

თუალ(თ)-ღება, თუალ(თ)-ხუმა – მორიდება, ხათრი, პირფერობა: „ნურარას ჰყოფ თუალთ-ღებით“ (1 ტიმ. 5, 21); „პირსა კაცისასა ღმერთმან არა თუალ-ახუნის“ (გალ. 2, 6).

თხევლა – თევზაობა (ბადით): „სიმონ და ანდრეა, ძმაჲ მისი, ითხევლიდეს“ (მრკ. 1, 16).

თხემი – მთის წვერი, მწვერვალი: „ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან თხემისა ადგილი“ (ლკ. 23, 33); „გოლგოთა,რომელ არს თხემისა ადგილ“ (მთ. 27, 33).

თხიერი – ტიკი: „ღუნოდ ახალი თხიერთა ახალთა შთაასხიან“ (მრკ. 2, 22).

თხოვა – 1. დანიშვნა, გათხოვება: „თხოვილ იყო დედაჲ მისი მარიამ იოსებისა“ (მთ. 1, 18); „ქალწულისა, თხოილისა ქმრისა“ (ლკ. 1, 27); 2. თხოვა: „სასწაულსა ზეცით ითხოვდეს მისგან“ (ლკ. 11, 13); „რაჲ-იგი სთხოოთ მამასა ჩემსა“ (ინ. 15, 16).

ი

იდუმალ – ჩუმად, ფარულად: „მაშინ ჰეროდე იდუმალ მოუწოდა მოგუთა მათ“ (მთ. 2, 7).

ინაჭით-ჯდომა, ინაჭით-სხდომა, ინაჭის-დგმა – მხართეძოზე წოლა: „ინაჭით-ჯდა იგი“ (მრკ. 14, 3); „მოვიდოდიან და ინაჭ-იდგმიდენ აბრაჰამის თანა“ (მთ. 8, 11).

იფქლი – ხორბალი: „შეკრიბოს იფქლი საუნჯესა“ (მთ. 3, 12).

იქედნე – ერთგვარი შხამიანი გველი: „ნაშობნო იქედნეთანო“ (მთ. 3, 7).

იძულება –ძალის დატანება, შეწუხება, შევიწროება: „ყოველივე მისა მიმართ იიძულების“ (ლკ. 16, 16); „ვითარ აიძულებ წარმართთა ჰურიაებად“ (გალ. 2, 14); „ვიიძულე ღაღადის-გდებაჲ კეისრისაჲ“ (საქმე 28, 19).

იწრო – ვიწრო; მძიმე, საჭირველი, შეჭირვებული, მწუხარე, წუხილის განმცდელი: „იღუაწეთ შესლვად იწროჲსა მისგან კარისა“ (ლკ. 13, 24).

იწროება – შევიწროება, მწუხარება, გაჭირვება; **„ჭირი“**: „სოფელსა ამას ჭირი გაქუს“ (ინ. 16, 33).

კ

კადნიერი – გამბედავი, მხნე, უშიშარი: „კადნიერ იყვენით, მე ვარ, ნუ გეშინინ“ (მთ. 14, 27).

კადნიერება, კადნიერობა – სითამამე, გაბედვა: „მრავალი კადნიერებაჲ მაქუს თქუენდა მიმართ“ (2 კორ. 7, 4).

კადრება – გაბედვა, შეძლება: „არა იკადრებდა თუალთაცა ზე ახილვად“ (ლკ. 18, 13); „არავინ იკადრა მოწაფეთაგანმან კითხვად მისა“ (ინ. 21, 12); „იკადრა და შევიდა პილატესა“ (მრკ. 15, 43).

კარაული – სახედარი, ვირი: „აღსუა იგი კარაულსა თჳსსა“ (მთ. 21, 5).

კარგობა – ებრაელთა დღესასწაული: „იყო მახლობელ დღესასწაული იგი ჰურიათაჲ, რომელ არს კარეობისაჲ“ (ინ. 7, 2).

კაცად-კაცადი – კაცი, ყოველი კაცი, ყოველი ერთი, ცალკეული: „წარვიდოდეს ყოველნი აღწერად კაცად-კაცადი თჳსსა ქალაქსა“ (ლკ. 2, 3); „უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცად-კაცადმან ძმასა თჳსსა“

(მთ. 18, 35).

კაცთ-მოთნე – პირფერობით მასიამოვნებელი სხვათა სავნებელად: „ნუ თუალთა წინაშე თუალთ-ღებით მონებად, ვითარცა კაცთ-მოთნენი“ (ეფეს. 6, 6).

კაცობრივი – კაცური: „არცა კაცობრივთა ჴელთა მიერ იმსახურების“ (საქმე 17, 25).

კდემა, კდემულება – მორცხვობა, ფრიადი სირცხვილი, შიში გმობისა.

კეთროვანი – კეთრიანი ავადმყოფი: „კეთროვანი ვინმე მოუჴდა“ (მთ. 8, 2); „სახლსა სიმონ კეთროვნისასა“ (მრკ. 14, 3).

კერმა – ხურდა ფული; **„რვალი“** (მეკერმე – ფულის დამხურდავებელი): „დაუთხია კერმაჲ“ (ინ. 2, 15); „დასდებდა რვალსა ფასის-საცავსა მას“ (მრკ. 12, 41).

კერძო – მხარეს; -კენ: „რომელი არა ჩუენდა მტერ არს, იგი ჩუენ კერძო არს“ (მრკ. 9, 40); „იხილეს ჭაბუკი მჯდომარე მარჯუენით კერძო“ (მრკ. 16, 5). **მიერ კერძო** – იმ მხარეს.

კიდე – 1. ნაპირი: „გამოიღიან იგი ზღუს-კიდესა“ (მთ. 13, 48); 2. კიდე: „მოვიდა კიდით ქუეყანისაჲთ“ (მთ. 12, 42); 3. კუთხე: „ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა“ (მთ. 21, 42).

კიცხევა, კიცხვა – „მღერა“, „ბასრობა“, გმობა, დაცინვა: „ემღერდეს მას და ეტყოდეს“ (მთ. 27, 29); „იგინი ჰბასრობდეს მას“ (მრკ. 5, 40); „ეკიცხევდეს მას“ (ლკ. 22, 63).

კმა არს – საკმარისია, სამყოფია: „კმა არს დღისა მის სიბოროტე თჳსი“ (მთ. 6, 34); „ორასისა დრაჰკნისა პური ვერ კმა არს ამათა“ (ინ. 6, 7).

კმა-ყოფა – დაკმაყოფილება, დაჯერება: „კმა-ეყოს მას აღსრულებადმდე“ (ლკ. 14, 28).

კმევა – საცეცხლურით საკმეველის სუნნელის დაკვამლება: „მსგავსად ჩუეულებისა მღდელობისა ჰხუდა მას საკუმეველისა კუმევაჲ“ (ლკ. 1, 9).

კნინ – „მცირედ-და“, „მცირედ“: „წარვიდა მცირედ“ (მრკ. 14, 35); „მცირედღა, და მიხილოთ მე“ (ინ. 16, 16).

კოდრატი, კოდრანტე – წვრილი ფული: „მისცე უკუანაჲსკნელი კოდრატი“ (მთ. 5, 26); „დასხნა ორნი მწულილნი, რომელ არს კოდრანტე“ (მრკ. 12, 42).

კოლტი – ღორის ჯოგი: „იყო შორს მათგან კოლტი ღორთაჲ“ (მთ. 8, 30); „იყო მუნ კოლტი ღორთაჲ დიდძალი“ (მრკ. 5, 11).

კრებული – 1. შეკრებილი: „შეკრებულ რაჲ იყვნეს ფარისეველნი“ (მთ. 22, 41); „პოვნეს კრებულად ათერთმეტნი იგი“ (ლკ. 24, 33); 2. ხალხი: „იყო კრებული დიდი მეზუერეთაჲ“ (ლკ. 5, 29); 3. ჯარის-

კაცთა რაზმი: „ხოლო კრებულმან მან და ათასისთავმან“ (ინ. 18, 12); 4. უმაღლესი სასამართლო: „მღდელთ-მოძღუარნი იგი და მოხუცებულნი და ყოველი კრებული ეძიებდეს ცრუ-მოწამეთა იესუჲსთჳს“ (მთ. 26, 59); 5. სინაგოგა: „ეკრძალენით მწიგნობართა მათგან, რომელთა ჰნებავს სამკაულითა სლვაჲ და... ზემოჯდომაჲ კრებულსა შორის“ (მრკ. 12, 39); „მთავართაგანთაცა მრავალთა ჰრწმენა მისა მიმართ, არამედ ფარისეველთათჳს ვერ აღიარეს, რაჲთა არა კრებულისაგან განასხნენ“ (ინ. 11, 47); 6. ეკლესია: „უკუეთუ მათიცა არა ისმინოს, უთხარ კრებულსა“ (მთ. 18, 17).

კრეტსაბმელი – ფარდა: „განიპო კრეტსაბმელი ტაძრისაჲ“ (ლკ. 23, 45).

კრთომა, ჰკრთებოდა – შეიძრა, შეხტა: „ჰკრთებოდა ყრმაჲ იგი მუცელსა მისსა“ (ლკ. 1, 41).

კრული – შეკრული: „იყო ვინმე ბარაბა მეშფოთეთა თანა კრული“ (მრკ. 15, 7); „გამოვიდა მკუდარი იგი, შეკრული ჴელით“ (ინ. 11, 44).

კრძალვა – რიდება, გაფრთხილება: „ეკრძალენით და დაიცევენით თავნი თქუენნი ყოველისაგან ანგაჰრებისა“ (ლკ. 12, 15).

კრძალულება – მოწონება, მორიდება: „ისწავე სიტყუათა მათ კრძალულებაჲ“ (ლკ. 1, 4).

კსინვა – მოღუშვა, საავდროდ მოღრუბლვა: „კსინავს მწუხარედ ცაჲ“ (მთ. 16, 3).

კუალად, კუალად – კვლავ, ისევ, **„მეორედ“**, კიდევ: „ელია მოვიდეს და კუალად-აგოს ყოველი“ (მრკ. 9, 12); „კუალად ჰკითხვიდეს მას ფარისეველნიცა იგი“ (ინ. 9, 15).

კუალად-გება – „ადგიდ-გება“, დამყარება, მოწყობა, მოწესრიგება, გასწორება: „ელია მოვიდეს და კუალად-აგოს ყოველი“ (მრკ. 9, 12).

კუართი – „სამოსელი“, პერანგი; ზემო ტანსაცმელი: „დაიპო სამოსელი თჳსი“(მრკ. 14, 63); „გამოიღეთ სამოსელი პირველი და შეჰმოსეთ მას“ (ლკ. 15, 22); „კუართი იგი, რამეთუ იყო უკერველ“ (ინ. 19, 23).

კუარცხლბეკი – ფეხის დასაყრდნობი: „...ნუცა ქუეყანასა, რამეთუ კუარცხლბეკი არს ფერჴთა მისთაჲ“ (მთ. 5, 35).

კუბასტი – ქალთა თავსაბურავი, ლეჩაქი, თავზე შემოსაკრავი: „ყოველნი ტიროდეს და უჩუენებდეს კუბასტებსა და სამოსლებსა“ (საქმე 9, 39).

კუერთხი – ხელის ჯოხი, სიმბოლო ძალაუფლებისა: „ნუ მოიგებთ ოქროსა... ნუცა კუერთხსა“ (მთ. 10, 10).

კუეთება – დატაკება, შებმა, ჯახება: „ეკუეთა მდინარე იგი სახლსა მას“ (ლკ. 6, 48).

კურნება – მორჩენა, განკურნება: „ჯერ-არს შაბათსა კურნებაჲ“ (მთ. 12, 10); „კურნებათა აღვასრულებ“ (ლკ. 13, 32).

კუროს თავი – ეკლიანი ბალახი, თავცეცხლა, ტატაში, შავი ნარი: „ნუუკუე შეკრიბიან ეკალთაგან ყურძენი ანუ კუროჲსთავთაგან ლეღჳ?“ (მთ. 7, 16).

ლ

ლაგჳნი – დოქი: „კაცი,რომელსა ლაგჳნი წყლითა ზე ედგას“ (ლკ. 22, 10).

ლალვა – „ბრალობა“, დავა, შეკამათება, წინააღმდეგობა (სიტყვით): „ილალვიდეს ურთიერთას ჰურიანი“(ინ. 6, 52); „იწყო ბრალობად მისა“ (მთ. 16, 22).

ლამპარი – სანთელი, კანდელი: „მოვიდა მუნ სანთლებითა და ლამპრებითა“(ინ. 18, 3).

ლანკლა, ლანკნა – ლანგარი, დიდი თეფში: „მომეც მე აქა ლანკნითა თავი იოვანესი“ (მთ. 14, 8).

ლეგეონი – ლეგიონი, ჯარი,გუნდი: „ლეგეონ არს სახელი ჩემი“ (მრკ. 5, 9).

ლევიტელი – ტაძრის მსახურად დადგენილი ლევის ჩამომავალი: „ეგრეთვე ლევიტელი მასვე ადგილსა მივიდა“ (ლკ. 10, 32).

ლირწება – ურცხვობა, უწესობა: „რომელ არიან: ... შურნი, კაცისკლვანი, ლირწებანი, მთრვალობანი, სიღრდანი და მსგავსნი ამათნი“ (გალ. 5, 21).

ლიტრა – საწყაოს ერთეული, დაახლოებით გირვანქა: „მარიამ მოიღო ლიტრაჲ ერთი ნელსაცხებელი ნარდისა სარწმუნოჲსაჲ“(ინ. 12, 3).

ლიქნა – პირფერობა, მლიქვნელობა: „არცა სადა სიტყჳთა ლიქნისაჲთა ვიყუენით, ვითარცა-იგი თქუენ უწყით“ (1 თეს. 2, 5).

ლმობა – ტკივილი: „ელმოდა უფროჲსღა სიტყჳსა მისთჳს“ (საქმე 20, 38); „რომელთათჳს კუალად მელმის“ (გალ. 4, 19).

ლოცვა – 1. ვედრება, თხოვნა: „გლოცავ [გთხოვ] შენ, განმიტევე“ (ლკ. 14, 18); „ჰლოცვიდეს მას მსწრაფლ“ (ლკ. 7, 4); „აღჴდა პეტრე ერდოსა ზედა ლოცვად“ (საქმე 10, 9); „ვჰლოცევედ [ვთხოვდი] ტიტეს“ (2 კორ. 12, 18); 2. ღმერთთან საუბარი (ლოცვა სამგვარია: სახოტბო, თხოვნითი, სამადლობელი): „რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით“ (მთ. 21, 22).

ლუსკუმა – კიდობანი, მიცვალებულის ნაწილების დასაცავი კუბო; სამარხი.

ლხინება – შემსუბუქება, პატიება, შენდობა, შველა: „ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას“ (ლკ. 18, 13).

ლხინი – მოსვენება, უზრუნველობა; მხიარულება: „სხუათა ლხინი, ხოლო თქუენ ჭირი“ (2 კორ. 8, 13); „თქუენ, ჭირეულთა, ლხინი ჩუენ თანა“ (2 თეს. 1, 7).

მ

მადლი – 1. ნიჭი ანუ ძალი, ზეგარდმო მოცემული კაცისადმი აღსასრულებლად ღვთის ნებისა: „მოვიღეთ მადლი“ (რომ. 1, 5); „მადლი იგი ღმრთისაჲ, რომელი იყო ჩემ თანა“ (1 კორ. 15, 10); 2. მადლობა, საჩუქარი, პატივი; წყალობა, მოწყალება: „ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა“ (ლკ. 1, 30); „მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა გურწამს ჩუენ ცხორებაჲ“ (საქმე 15, 11).

მავასხებელი – გამსესხებელი: „ორნი თანამდებნი იყვნეს მასესხებელისა ვისინიმე“ (ლკ. 7, 41).

მალ, ჰმალდა – „განკვირვება“, გაოცება: „მრავალთა, რომელთა ესმოდა, განუკჳრდებოდა“ (მრკ. 6, 2).

მალაკი – წყლის ჭურჭელი, მათარა; აბგა.

მამათმთავარი – მამათმამა, წინაპარი ნათესაობისა ანუ ერისა, პატრიარქი, მეთაური, უფროსი, წინამძღოლი: „ჯერ-არს თქუმად განცხადებულად თქუენდა მიმართ მამათმთავრისა დავითისთჳს“ (საქმე 2, 29); „მამათმთავარნი იგი ეშურებოდეს იოსებს“ (საქმე 7, 8).

მამონა – ანგარება, ვერცხლისმოყვარეობა (ძველი აღმოსავლეთის ზოგ ხალხში სიმდიდრის ღვთაება): „ისხენით თავისა თქუენისა მეგობარნი მამონაჲსა მისგან სიცრუისა“ (ლკ. 16, 9); „ვერ ჴელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაჲსა“ (ლკ. 16, 13).

მანა – 1. პალო, სარი; 2. შუშა, ჭიქა; ჭურჭელი, რომელშიც ინახავდნენ ნელსაცხებელს.

მანანა – საჭმელი, რომელიც ეგვიპტიდან გამოსულ ებრაელებს უდაბნოში მოგზაურობის დროს ციდან უცვიოდათ ყოველ დილით 40 წლის განმავლობაში: „მამათა თქუენთა ჭამეს მანანაჲ უდაბნოსა“ (იხ. 6, 49).

მანგალი – ნამგალი: „მოაქლინის მანგალი, რამეთუ მოიწია მკაჲ“ (მრკ. 4, 29).

მანკიერება – უგუნურობა, განუსჯელობა, სისულელე: „იგინი აღიესნეს მანკიერებითა“ (ლკ. 6, 11); „სავსეო ყოველითა ზაკუეითა და ყოველითა მანკიერებითა“ (საქმე 13, 10).

მანქანება – ღონე, ხერხი, ხრიკი, ბოროტგამზრახველობა: „რაჲთა შეუძლოთ თქუენ წინა-დადგომად მანქანებათა მათ ეშმაკისათა“ (ეფეს. 6, 11).

მარადღე – „მარადის“, „ყოველსა დღესა“, „დღითიდღე“, მუდამ, ყოველდღე: „დღითი-დღე თქუენ თანა ტაძარსა მას შინა ვჯედ და გასწავებდ“ (მთ. 26, 55); „შენ მარადის ჩემ თანა ხარ“ (ლკ. 15, 31).

მართალი – „ამენ“, სწორი, ნამდვილი: „იყვნეს ორნივე ესე წინაშე ღმრთისა მართალ“ (ლკ. 1, 6); „სასჯელი ჩემი მართალ არს“ (იხ. 5, 30).

მართუე – ფრინველის შვილი, ბარტყი: „შეიკრიბნის მფრინველმან

მართუენი თუსნი“ (მთ. 23, 37).

მარჩბივი – ტყუპი, ტყუპის ცალი: „ჰრქუა უკუე თომა, რომელსა ერქუა მარჩბივ“ (ინ. 11, 16).

მარხვა – 1. დაცვა, შენახვა; დაფლვა: „სიტყუასა მისსა ვიმარხავ“ (ინ. 8, 55); „რაოდენსა გეტყოდიან თქუენ დამარხვად, დაიმარხეთ“ (მთ. 23, 3); 2. მარხვის შენახვა: „იყვნეს მოწაფენი იოვანესნი და ფარისეველთანი მარხვასა შინა“ (მრკ. 2, 18).

მაყულოვანი – მაყვლის ბუჩქი: „მაყულოვანსა ზედა ვითარ-იგი ღმერთი ეტყოდა მას“ (მრკ. 12, 26).

მაშურალი – დაღლილი, დაქანცული; მშრომელი: „მაშურალი გზისა სლვისაგან“ (ინ. 4, 6); „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი“ (მთ. 11, 28).

მაცხოვარი – მხსნელი, მესია, ცხოვრების მომნიჭებელი: „იშვა დღეს თქუენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი“ (ლკ. 2, 11); „ესე არს ჭეშმარიტად მაცხოვარი სოფლისაჲ, ქრისტე“ (ინ. 4, 42).

მაცხოვარება – ცხოვრების მონიჭება, გადარჩენა, ხსნა: „იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი“ (ლკ. 2, 30).

მბნდჳნვარე, მბდვინვარე – **„მკუმოლვარე“**, ანთებული: „პატრუკი მბნდჳნვარე არა დაშრიტოს“ (მთ. 12, 20).

მბრძოლი – მებრძოლი ანუ წინააღმდეგი.

მგმობარი – მაგინებელი, შეურაცხმყოფელი: „სულისა წმიდისა მგმობარსა არა მიეტეოს“ (ლკ. 12, 10).

მდაბალი – მშვიდი, არაამპარტავანი, მოკრძალებული, მორიდებული: „მშჳდ ვარ და მდაბალ გულითა“ (მთ. 11, 29).

მდღევრი, მდღევარი – დღიური, ყოველდღიური შემოსავალი: „რამეთუ უკუეთუ ძმაჲ გინა დაჲ შიშუელ იყვნენ და ნაკლულევან მდღევრისა საზრდელისა“ (იაკ. 2, 15).

მედგარი – ავი, გაანჩხლებული; ზარმაცი, მზაკვარი: „ბოროტო მონაო და მედგარო“ (მთ. 25, 26).

მეინახე – თანამესუფრე, წვეული: „ესმა ვისმე მის თანა მეინაჴესა ესე“ (ლკ. 14, 15).

მეკიცხეველი – დამცინავი: „მოიწინენ უკუანაჲსკნელთა დღეთა მეკიცხევარნი გულის თქუმისაებრ თუსისა მავალნი“ (2 პეტრ. 3, 3).

მემრუშე – მრუში: „ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს“ (მთ. 12, 39).

მეოხი – შუამდგომელი, შემწე: „არამედ თუთ იგი სული მეოხ არს ჩუენთუს სულ-თქუმითა მით უსიტყუელითა“ (რომ. 8, 26).

მეპრატაკე – 1. დაბაღი, მეტყავე: „ამისი ვანი არს სიმონის ვისმე თანა მეპრატაკისა“ (საქმე 10, 6); 2. მკერავი კარვისა: „რამეთუ იყვნეს ჴელოვნებით მეპრატაკე“ (საქმე 18, 3).

მესია – (ებრ.) მხსნელი, ცხებული: „ვპოეთ მესია, რომელ არს თარგმანებით „ქრისტე“ (ინ. 1, 41); „მესია მოვალს“ (ინ. 4, 25).
მეტნობა, მეტობა – ნამეტნაობა, სიჭარბე; შემპარაობა, ცთუნება: „არა მოვედ მეტნობისა სიტყუთა სიბრძნისაჲთა მითხრობად თქუენდა წამებაჲ იგი ღმრთისაჲ“ (1 კორ. 2, 1).
მეტყუელი – მთქმელი, მოლაპარაკე; გონიერი: „წარუდგინენით ჴორცნი ეგე თქუენნი მსხუერპლად ცხოველად, წმიდად, სათნოდ ღმრთისა მეტყუელი ეგე მსახურებაჲ თქუენი“ (რომ. 12, 1).
მეუფე – მეფე, მბრძანებელი: „იტყოდა თავსა თჳსსა ქრისტედ და მეუფე ყოფად“ (ლკ. 23, 2); „მეუფემ ჰურიათაჲ ვარი მე“ (ინ. 19, 21).
მეჭრმელე – ჯალათი: „მეყსეულად წარავლინა მეჭრმელე მისი“ (მრკ. 6, 27).
მზირი – მოთვალთვალე, ჯაშუში, მსტოვარი: „მიაელინნეს მზირნი“ (ლკ. 20, 20).
მზრახვალ – უმაღლესი სასამართლოს საბჭოს წევრი: „მოვიდა იოსებ არიმათიელი, შუენიერი მზრახვალი“ (მრკ. 15, 43).
მთხოველი – მათხოვარი: „ბრმაჲ, ჯდა გზასა თანა მთხოველად“ (მრკ. 10, 46).
მთხრებელი, მთხრემელი – **„დანახეთქი“**, თხრილი, ორმო; უფსკრული: „შორის ჩუენსა და შენსა დანახეთქი დიდი დამტკიცებულ არს“ (ლკ. 16, 26); „ბრმაჲ ბრმასა თუ წინა-უძღუნ, ორნივე მთხრებელსა შთაცუვიან“ (მთ. 15, 14).
მიგება – სამაგიეროს გადახდა: „მაშინ მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ“ (მთ. 16, 27).
მიგება – პასუხის გაცემა: „არარას მიუგება, რასა-ესე შეგწამებენ შენ“ (მთ. 26, 62).
მიდგომილი – ორსული: „ვიდრე შერთვადმდე მათა იპოვა იგი მიდგომილ“ (მთ. 1, 18).
მიდრეკა – დახრა: „ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“ (მთ. 8, 20); „მიიდრიკა თავი და განუტევა სული“ (ინ. 19, 30).
მიერვე – იქიდანვე: „პირველსა მას სოფელსა არავე ჰრიდა, არამედ მიერვე ნოე, სიმართლისა ქადაგი, დაჰმარხა და წყლით რღუნაჲ იგი უღმრთოთა სოფელსა ზედა მოაწია“ (2 პეტრ. 2, 5).
მივის – მყავს.
მიქცევლტოლა – გაქცევა: „რაჟამს გდევნიდენ თქუენ ამიერ ქალაქით, მიივლტოდეთ სხუად“ (მთ. 10, 23).
მიზეზ-ყოფა – მომიზეზება: „თავადმან მიზეზ-ყო უშორესადრე წარსლვაჲ“ (ლკ. 24, 28).
მიზიდვა – წაყვანა (ძალით); წაღება, წათრევა: „შეიპყრნეს პავლე და შილა და მიზიდვიდეს მათ ურაკპარაკად მთავართა მათთა“ (საქმე 16, 19).

მიმთხუევა, დამთხუევა – შეხვედრა, შეყრა, შეხება, მიწევნა; ცემა, კერა; შეხვდომა: „ვერ ძალ-გიც მიმთხუევად“ (იაკ. 4, 2).
მიმოდადება – ამბის გავრცელება, განთქმა, მოფენა: „რაოდენ იგი ამცნებდა მათ, იგინი უფროჲს მიმოდასდებდეს“ (მრკ. 7, 26).
მიმოდაქონება – „მიმოქონება“, ჩამოტარება, მიმოტარება: „გარდაუტევეს ჭურჭელი და ესრეთ მიმოაქუნდა“ (საქმე 27, 17).
მიმოდაჭდომა, მიმოდაბნევა, მიმოგება – მიმოსვლა: „და რომელნი-იგი მიმოდაიბნინეს, ვიდოდეს და ახარებდეს სიტყუასა მას ცხორებისასა“ (საქმე 8, 4).
მიმოდება – ამბის გავრცელება, მოდება: „შენ წარვედ და მიმოსდევ სასუფეველი ღმრთისაჲ“ (ლკ. 9, 60).
მიმოფენა – მოდება, მოფენა: „მიმოეფინებოდა ჰამბავი მისთჳს ყოველთა მათ ადგილთა“ (ლკ. 4, 37).
მიპყრობა – მიწოდება, მიშვერა, მირთმევა, მიბრუნება, მიცემა: „მიუპყრა მათ ფასი“ (საქმე 8, 18).
მიქუმა – აყვანა, ჩახუტება; მიყვანა: „მიიქუა იგი მკლავთა თჳსთა ზედა“ (ლკ. 2, 28).
მისაცემელი – საჩუქარი: „იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუენთა“ (ლკ. 11, 13); „მხიარულებით მისაცემელი უყუარს უფალსა“ (2 კორ. 9, 7).
მიუთხრობელი – უთქმელი.
მიქცევა – მიბრუნება, დაბრუნება: „მიაქცია ოც და ათი იგი ვეცხლი მღდელთ-მოძღუართა მათ მიმართ და მოხუცებულთა“ (მთ. 27, 3); „მოიღეს ბრძანებაჲ ჩუენებით, რაჲთა არა მიაქციონ ჰეროდესა, არამედ სხუთ გზით წარვიდენ სოფლად თჳსა“ (მთ. 2, 12).
მიცემა – 1. მიცემა: „მცნებასა ახალსა მიგცემ თქუენ“ (ინ. 13, 34); „მისცემდა ჴელმწიფებასა სულთა ზედა არაწმიდათა“ (მრკ. 6, 7); 2. გაცემა, ღალატი: „იუდა, ამბორის-ყოფითა მისცემა ძესა კაცისასა“ (ლკ. 22, 48).
მიცვალება – ადგილის ცვლა: „ჰრქუათ მთასა ამას: მიიცვალე ამიერ იქი, და მიიცვალოს“ (მთ. 17, 20).
მიწევნა – მიღწევა, მისვლა: „ეითარცა მიიწია იგი შთასავალსა მას მთისა“ (ლკ. 19, 37).
მიწიფება – მიწევნა, გათანასწორება: „ვერ მივეწიფნეთ შესუენებულთა მათ“ (1 თეს. 4, 15).
მიწოდება – მიწევება, დაძახება: „კაცმან ვინმე ყო პური დიდი და მოუწოდა მრავალთა“ (ლკ. 14, 16).
მიხუმა – მიღება: „მათ მიიხუნეს და ცნეს ჭეშმარიტად“ (ინ. 17, 8).
მიჯდომა – მისვლა (მასთან): „მოუჯდა მას ერთი მჴევალი“ (მთ. 26, 69).
მკალი – კალია (დღესაც ჭამენ არაბნი): „ჭამდა იგი მკალსა“ (მრკ.

1, 6).

მკელობელი – კოჭლი: „უმჯობეს არს შენდა მკელობელისაჲ შესლვად ცხორებასა“(მრკ. 9, 45); „ამას შინა ისხა სიმრავლე უძლურთაჲ, ბრმები, მკელობლები“ (ინ. 5, 3).

მნა – ფულის ერთეული: „მისცა მათ ათი მნაჲ“ (ლკ. 19, 13).

მნე – მოურავი: „ვინ-მე არს მნე იგი სარწმუნოჲ“(ლკ. 12, 42).

მოანგაჰრება – დაკლება: „შემინდვეთ ჩუენ: არავის რაჲ ვაენეთ, არავინ განვხრწენით, არავინ მოვიანგაჰრეთ“ (2 კორ. 7, 2).

მობაძავა – მიმბაძველი, მიმსგავსებული; მოშურნე: „და თქუენ მობაძავ ჩუენდა იქმნენით და უფლისა“ (1 თეს. 1, 6); „ვინ-მე არს ბოროტის მყოფელ თქუენდა, უკუეთუ თქუენ კეთილის მობაძავ იქმნენით“ (1 პეტრ. 3, 13); „რაჲთა მიჴსნნეს ჩუენ ყოველისაგან ურჩუ- ლოებისა და განწმიდნეს თავისა თჳსისა ერად მოგებულად, მობაძავად კეთილთა საქმეთა“ (ტიტ. 2, 14).

მოგება – 1. სამაგიეროს გადახდა, ზღეევა: „არარაჲ აქუს, რაიმცა მოგაგეს შენ“ (ლკ. 14, 14); 2. **„მომართება“**, წესრიგში მოყვანა, მოწყობა: „ელია მოვიდეს და კუალად-აგოს ყოველი“ (მრკ. 9, 12); „არა-მე აღანთისა სანთელი და მოჰმართის სახლი“ (ლკ. 15, 8); 3. შეძენა, ქონება: „ნუ მოიგებთ ოქროსა“ (მთ. 10, 9); 4. **„მიგება“**, პასუხის გაცემა: „არარას მიუგება რასა-ესე შეგწამებენ შენ?“(მრკ. 14, 60); „მართლ მომიგე“ (ლკ. 10, 28); 5. გამრთელება, გაჯანსაღება, გასწორება, მორჩენა: „მან განირთხა ჴელი, და კუალად მოეგო ცოცხალი, ვითარცა ერთი იგი“ (მთ. 12, 13); „მერმე კუალად დაასხნა ჴელნი თუალთა მისთა და აღუხილნა; და მან აღიხილნა და კუალად მოეგო და ხედვიდა ბრწყინვალედ ყოველთა“ (მრკ. 8, 25).

მოგუ – ასტროლოგი, ვარსკვლავთმრიცხველი: „მოგუნი აღმოსავალით მოვიდეს იერუსალჵმდ“ (მთ. 2, 1); „პოვეს კაცი ვინმე მოგჳ“ (საქმე 13, 6).

მოგუალ – **„მო“**, მოსვლა: „არამედ მოგუალეთ, მივიდეთ მისა“ (ინ. 11, 15).

მოკიცხვა – საცინლად აგდება, შერცხვენა, დამდაბლება; მოტყუება: „მოიკიცხა მოგუთა მათგან“ (მთ. 2, 16).

მონაგები – ქონება, შენაძენი; საქონელი, პირუტყვი: „წარვედ და განყიდე მონაგები შენი“ (მთ. 19, 21); „აქუნდა მონაგები ფრიად“ (მრკ. 10, 22).

მოსავი – მოიმედე, დანდობილი: „ამას ხოლო ცხორებასა ვართ მოსავ ქრისტესა“ (1 კორ. 15, 19).

მოსაჯული – მოსარჩლე, მომჩივანი, მოდავე: „იყავ კეთილად მცნობელ წინამოსაჯულისა მის შენისა“ (მთ. 5, 25); „ოდეს მიხუალ მოსაჯულისა შენისა თანა“ (ლკ. 12, 58).

მოსთულა – მოკრეფა: „არცა მაყუალთაგან მოისთულიან ყურძენი“

(ლკ. 6, 44).

მოსრვა – ამოწყვეტა, დახოცვა: „მიაელინა ერი თჳსი და მოსრნა კაცის-მკლველნი იგი“ (მთ. 22, 7); „მოსრნეს ქუეყანის-მოქმედნი იგი“ (მრკ. 12, 9).

მოტევება – შენდობა, პატიება (ცოდვისა, ვალისა, დანაშაულისა): „მომიტევენ ჩუენ თანა-ნადებნი ჩუენნი“ (მთ. 6, 12); „მომიტევენ ჩუენ ცოდვანი ჩუენნი“ (ლკ. 11, 4).

მოტყინარე – აღგზნებული, ანთებული, ავარვარებული.

მოქალაქობა – ცხოვრება, მოღვაწეობა, ზნეობა, ღირსება მოქალაქისა: „მრაველითა საფასითა მოქალაქობაჲ ესე მოვიპოვე“ (საქმე 22, 28).

მოქარება – „უმოლხინე ქმნა“, ავადმყოფობის გაქრობა, გაქარვება, მორჩენა, გამოკეთება: „ჰკითხვიდა მათ: რომელსა ჟამსა უმოლხინეს იქმნა“ (ინ. 4, 52).

მოქენე – „ნაკლულევანი“, მახვეწარი, მვედრებელი, მთხოველი: „იქმნენით მოქენე სძისა და არა მტკიცისა საზრდელისა“ (ებრ. 5, 12).

მიქუმა – აყვანა, ჩახუტება: „მკლავთა მიიქუა იგი“ (მრკ. 9, 36).

მოქცევა – მობრუნება, სწორ გზაზე დაყენება: „მრავალნი ძეთა ისრაჱლისათაგანნი მოაქცინეს უფლისა, ღმრთისა მათისა“ (ლკ. 1, 16).

მოღება – 1. მოტანა, მიღება: „მე წამებაჲ კაცისაგან არა მოვიღო“ (ინ. 5, 34); 2. წართმევა: „მოუღეთ მაგას ქანქარი ეგე“ (მთ. 25, 28).

მოყუასი – ამხანაგი, მახლობელი, თანატოლი: „ვინ არს მოყუას ჩემდა?“ (ლკ. 10, 29); „შეიყუარო მოყუასი შენი“ (მრკ. 12, 31).

მოშურნე – ძალიან მონდომებული: „სიმონ, რომელსა ერქუა მოშურნე“ (ლკ. 6, 15).

მოშურომა – გარჯა: „უფალო, ნუ მოშურები“ (ლკ. 7, 6).

მოციქული – მიგზავნილი, მივლინებული, მაუწყებელი: „მოციქული მიუვლინის და მოიკითხის იგი მშჳდობით“ (ლკ. 14, 32).

მოძმე – მეზობელი: „ხოლო მოძმენი და რომელთა ეხილვა იგი პირველ... იტყოდეს“ (ინ. 9, 8); „მოუწოდოს მეგობართა და მოძმეთა და ჰრქუას მათ“ (ლკ. 15, 6).

მოწამე – მოწმე, დამადასტურებელი: „თქუენ ხართ მოწამე ამის ყოვლისა“ (ლკ. 24, 48).

მრისუველი – მპარველი, გამკრეჭი ცხოვართა: „ვითარცა ტარიგი წინაშე მრისუველისა უჴმობელად, ესრეთ არა აღაღებს პირსა თჳსსა“ (საქმე 8, 32).

მრჩობლი – „ორი“, ორმაგი: „ნუცა შემოსად ორი სამოსელი“ (მრკ. 6, 9).

მრწემი – უმცროსი: „იყოს იგი ყოველთა მრწემ და ყოველთა მსახურ“ (მრკ. 9, 35).

მსახრჳელი – მისანი, შემლოცავი, გრძნეულებით მხეცთა შემკვრელი.

მსთუად – მალე, ჩქარა: „ცისკარსა მსთუად მოვიდეს საფლავსა მას“ (ლკ. 24, 1).

მსთუა, მსთო(გ)ა, მსთუგა – ადრეული, ადრე მოწეული: „ვიდრემდის მოიღოს წჳმაჲ მსთუაჲ და მცხუედი“ (იაკ. 5, 7).

მსხემი – მწირი, უბინაო კაცი, უცხო, ყარიბი.

მტილი – ბაღი, ყვავილნარი, ბოსტანი (მემტილე – მებაღე): „რომელი მოიღო კაცმან და დასთესა იგი მტილსა თჳსსა“ (ლკ. 13, 19); „სადაცა-იგი იყო მტილი“ (ინ. 18, 1).

მტჳუგარი, მტჳუარი – **„ცრუ“**, მატჳუარა: „მტჳუგარ არს, და რამეთუ მამაჲცა მისი მტჳუგარი არს“ (ინ. 8, 44).

მუნ – იქ: „იცლტოდე ეგჳპტედ და იყავ მუნ“ (მთ. 2, 13); „იყო მუნ კაცი“ (მრკ. 3, 1).

მუნთქუესვე, მუნქუეს, მუნქუესვე – მაშინვე, იმ წამსვე, მყის, სასწრაფოდ: „მუნთქუესვე წარმოვაელინენ შენდა“ (საქმე 10, 33).

მუნი – იქაური: „მუნამდე არა იყო... მოწეენულ სული წმიდაჲ“ (საქმე 8, 16).

მური – ერთგვარი სურნელოვანი ზეთი: „შეწირეს მისა ძღუენი: ოქროჲ, გუნდრუკი და მური“ (მთ. 2, 11).

მუშაკი – მიწის მოქმედი; **„მორეწე“**, მუშა, დაქირავებული; **„მოქმედი“**: „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა“ (მთ. 10, 10); „მყავ მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი“ (ლკ. 15, 19); „მუშაკნი ზაკულნი“ (2 კორ. 11, 13).

მუცელქმნული – **„მიდგომილი“**, ფეხმძიმე, ორსული: „ვაჲ მიდგომილთა“ (მთ. 24, 19).

მუცლადღება – **„მიდგომა“**, დაორსულება: „აჰა ესერა შენ მუცლად-იღო“ (ლკ. 1, 31).

მუხლ-დადგმა – მუხლის მოყრა: „განკეთროვნებული, ეეედრებოდა მას და მუჴლნი დაიდგნა და ეტყოდა“ (მრკ. 1, 40).

მღადებელი – მქადაგებელი, მხმობელი, მომთხრობელი.

მღდელი – 1. მღვდელი, ქრისტეს ქვეყნიური მოადგილე, შუამავალი ღმერთსა და კაცს შორის: „მღდელი ვინმე შთავიდოდა მასვე გზასა“ (ლკ. 10, 31); „უჩუენე თავი შენი მღდელსა“ (მრკ. 1, 44); 2. **„ხუცესი“**, ქურუმი: „მღდელმან მან დიოს კერპისამან“ (საქმე 14, 13).

მღილი – ჩრჩილი: „ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა ქუეყანასა ზედა, სადა მღილმან და მჭამელმან განრყუნის“ (მთ. 6, 19); „მპარავი არა მიეხების, არცა მღილმან განრყუნის“ (ლკ. 12, 33).

მღჳძარება – ფხიზლობა, უძილობა: „ესოდენ ეერ უძლეთ ჟამ ერთ მღჳძარებად ჩემ თანა“ (მთ. 26, 40).

მყის – **„მეყსეულად“**, მაშინვე, საჩქაროდ: „ნუუკუე მოვიდეს მეყსე-

ულად“ (მრკ. 13, 36); „მეყსეულად ადიდოს იგი“ (ინ. 13, 32).

მყოვარჟამ – ხანდაზმით, დროის გაყვანით: „ვითარ-იგი მყოვარ ჟამ ჰგებდეს და ჰხედვიდეს, რამეთუ არარაჲ ბოროტი შეემთხჳა მას, მოიქცეს და იტყოდეს, ვითარმედ ღმერთი არს“ (საქმე 28, 6).

მცონარი, მცონარე – ზარმაცი, გაუბედავი: „სწრაფასა ნუ მცონარე ხართ“ (რომ. 12, 11).

მცხუედი – „მცირე“, გვიანი, ზარმაცი: „ვიდრემდის მოიღოს წჳმაჲ მსთუაჲ და მცხუედი“ (იაკ. 5, 7).

მძლავრობა, მძლავრება – ძალის დატანება, ძალადობა, ძალმომრეობა, ტირანობა, ჩაგვრა: „ილოცევდით მათთჳს, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ“ (ლკ. 6, 28).

მწამლველობა – გრძნეულება, კუდიანობა: „ცხად არიან საქმენი ჴორცთანი... მწამლველობანი“ (გალ. 5, 20).

მწირი – უცხო, მოსული, უცხოელი, გერი, ყარიბი, შორიელი ქვეყნისა: „შენ ხოლო მწირ ხარ იერუსალჱმს“ (ლკ. 24, 18); „მწირ იყოს ნათესავი შენი ქუეყანასა უცხოსა“ (საქმე 7, 6).

მწიკული, მწიკულევანება – ჭუჭყი, ტანის უწმინდურება; სულიერი ბიწი: „ამისთჳს განიშორეთ ყოველი მწიკულევანებაჲ“ (იაკ. 1, 21).

მწოვარი – ძუძუმწოვარი (ბავშვი): „პირითა ყრმათა ჩჩჳლთა მწოვართაჲთა დაამტკიცე ქებაჲ“ (მთ. 21, 16).

მწუანვილი – მწვანე, მწვანილი, ბალახი: „უბრძანა მან დასხდომაჲ მათ... მწუანვილსა ზედა თივისასა“ (მრკ. 6, 39).

მწუარი – შემწვარი: „მათ მიუპყრეს მას თევზისა მწურისა ნახევარი და თაფლისაგან გოლი“ (ლკ. 24, 42).

მწულილი – წერილი ფული: „იხილა ვინმე ქურივი გლახაკი, რომელმან დადგა ორი მწულილი“ (ლკ. 21, 2).

მწუხრი – საღამო, საღამოს: „ვითარცა იყო მწუხრი“ (მრკ. 11, 19); „მწუხრ არს, და მიდრეკილ არს დღე“ (ლკ. 24, 29).

მწყსა – ძოვნა, დამწყსა, მწყემსვა: „ვის-მე თქუენგანსა მონაჲ ესუას მჴნეელი გინა მწყემსი“ (ლკ. 17, 7).

მხალი – ფხალი, მწვანილი, ბოსტნეული: „აღმოჰდის და იქმნის იგი უფროჲს ყოველთა მხალთა“ (მრკ. 4, 32).

მხილება – ყვედრება, პირში თქმა, განცხადება, **„უწყება“**: „ვინ თქუენგანმან მამხილოს მე ცოდვისათჳს“ (ინ. 8, 46); „ეუწყა საელეს“ (საქმე 9, 24); „რამეთუ ამხილებდა მას ჰეროდიაჲსთჳს“ (ლკ. 3, 19).

მხოლო – მარტო: „ვის ჴელ-ეწიფების მიტევებად ცოდვათა, გარნა მხოლოსა ღმერთსა“ (მრკ. 2, 7); „უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე“ (მთ. 4, 10).

მხოლოდ-შობილი – დედისერთა: „აჰა ესერა გამოაქუნდა მკუდარი, ძე მხოლოდ-შობილი დედისა თჳსისაჲ“ (ლკ. 7, 12), „ძეცა თჳსი მხოლოდ-შობილი მოსცა მას“ (ინ. 3, 16).

მჭდომი – მოწინააღმდეგე, მტერი: „ესენი მჭდომ არიან ურთიერთარს“ (გალ. 5, 17).

მჭურვალება – ცხელება, ციებ-ცხელება: „მეყსეულად დაუტევა იგი მჭურვალებამან“(მრკ. 1, 31); „იხილა სიდედრი იგი მისი, დაერდომილი მჭურვალებითა“ (მთ. 8, 14).

ნ

ნაბიჭი, ნაბიჭევი – ნამცეცები (პურის): „ძაღლნიცა ჭამედ ნაბიჭევისაგან“ (მთ. 15, 27).

ნავღელი – ნაღველი, ზაფრა, სიმწარე, **„უსუპი“**: „ღრუბელი აღავსეს ძმრითა მით უსუპსა თანა“ (ინ. 19, 29); „მისცეს მას ძმარი ნავღლითა აღზავებული“ (მთ. 27, 34); „სიმწარედ ნავღლისა და თანა შეკრულ ცოდვისა გხედავ“ (საქმე 8, 23).

ნათესავი – 1. თაობა, მოდგმა, ჩამომავლობა: „ყოველი ნათესავი აბრაჰამისითგან ვიდრე დავითისამდე ნათესავი ათოთხმეტ; და დავითისითგან ვიდრე ტყუენვადმდე ბაბილოვნისა ნათესავი ათოთხმეტ; და ტყუენვითგან ბაბილოვნისაჲთ ვიდრე ქრისტესამდე ნათესავი ათოთხმეტ“ (მთ. 1, 17); 2. ხალხი, ერი: „აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა“ (მრკ. 13, 8); 3. ნათესავი დღევანდელი მნიშვნელობით: „ეძიებდეს მას ნათესავთა შორის“ (ლკ. 2, 44); 4. თესლი, ტომი: „ვითარცა ეტყოდა მამათა ჩუენთა აბრაჰამსა და ნათესავსა მისსა საუკუნოდ“ (ლკ. 1, 55); 5. ტომი: „იყო ანნა წინაწარმეტყუელი, ასული ფანოელისი, ტომისაგან ასერისა“ (ლკ. 2, 36); 6. გვარი: „ესე ნათესავი ვერ შესაძლებელ არს განსლვად, გარნა ლოცვითა და მარხვითა“ (მრკ. 9, 29); „იყო იგი სახლისაგან და ტომისა დავითისა“ (ლკ. 2, 4); 7. ჯარისკაცთა რაზმი, გუნდი: „შეკრიბეს მის ზედა ნათესავები იგი ყოველი“ (მთ. 27, 27).

ნაკლულევანება – ნაკლებობა, ხელმოკლეობა, სიღარიბე: „ნაკლულევანებისაგან თუსისა ყოველი, რაიცა აქუნდა, დადვა“ (მრკ. 12, 44).

ნამეტავი, ნამეტნავი – სიჭარბე, სიუხვე, სავსება: „რამეთუ ნამეტავისაგან გულისა პირი იტყჳნ“ (მთ. 12, 34); „ამათ ყოველთა ნამეტავისაგან მათისა დადვეს შესაწირავსა ამას ღმრთისასა“ (ლკ. 21, 4).

ნამუსრევი – პურის ნატეხები, ნაფხვენები, ნამცეცები: „აღიღეს ნეშტი ნამუსრევი ათორმეტი გოდორი სავსე“(მთ. 14, 20); „გული ეტყოდა განძღებად ნამუსრევისაგან გარდამოცუენებულისა ტაბლისაგან მის მდიდრისა“ (ლკ. 16, 21).

ნარდ, ნარდიონ – სურნელოვანი ზეთი ინდოეთის მცენარისა: „აქუნდა ალაბასტრითა ნელსაცხებელი ნარდისა“ (მრკ. 14, 3).

ნარჩევი – უდარესი, უღირსი, უკანასკნელი: „მე ვარ ნარჩევი მოციქულთაჲ“ (1 კორ. 15, 9); „ნარჩევნი სოფლისანი შევიქმნენით“ (1

კორ. 4, 13).

ნაქურცენი – ნაფცქვენივით გარსი: „მყის გარდამოვარდეს თუალთაგან მისთა ეითარცა ნაქურცენნი და მეყსეულად აღიხილნა“ (საქმე 9, 18).

ნაყოფი – 1. ნაყოფი; შედეგი: „ყავთ უკუე აწ ნაყოფი, ღირსი სინანულისაჲ“ (ლკ. 3, 8); „ვეძიებ ნაყოფსა ლელუსა ამას შინა“ (ლკ. 13, 7); 2. ქონება: „შეეიკრიბო მუნ ყოველი ნაყოფი და კეთილი ჩემი“ (მთ. 19, 21).

ნაძოვანი – ნაძენარი: „გამოვიდა მოწფითურთ თჳსით წიაღ ჴევსა მას ნაძოვანსა“ (ინ. 18, 1).

ნაწლევი – ნაწლავი, **„შინაგანი“, „მუცლიერი“; „ეზოჲ გულისაჲ“**: „განიბნინეს ყოველნი ნაწლევნი მისნი“ (საქმე 1, 18); „შეიწრებულ ხართ ნაწლევთაგან თქუენთა“ (2 კორ. 6, 12).

ნელსაცხებელი – ერთგვარი ხის (მურისა თუ მურტის) სურნელოვანი სითხე: „მოუჴდა დედაკაცი, რომელსა აქუნდა ალაბასტრი ნელსაცხებლისა მრავალ-სასყიდლისაჲ“ (მთ. 26, 7); „ამბორს-უყოფდა ფერჴთა მისთა და სცხებდა ნელსაცხებელსა“ (ლკ. 7, 38).

ნერწყუა – ფურთხება: „ჰნერწყუვიდეს მას“ (მრკ. 15, 19); „ჰნერწყუა ქუეყანასა და შექმნა თიჴაჲ ნერწყჳსაგან“ (ინ. 9, 6).

ნესტუ – **„საყვირი“**, სალამური; არტერია, ვენა: „წარავლინნეს ანგელოზნი თჳსნი საყურითა ჴმისა დიდისაჲთა“ (მთ. 24, 31).

ნეტარი – ბედნიერი: „ნეტარ არს, რომელი არა დაბრკოლდეს ჩემდა მომართ“ (მთ. 11, 6); „ნეტარ არს მუცელი, რომელმან გიტჳრთა შენ“ (ლკ. 11, 27); „ნეტარ არს, რომელმან ჭამოს პური სასუფეველსა ღმრთისასა“ (ლკ. 14, 15).

ნეშტ – ნაშთი, ნარჩენი, დარჩენილი: „აღიღეს ნეშტი ნამუსრევი ათორმეტი გოდორი სავსე“ (მთ. 14, 20).

ნიად – ადრე, ოდნავ, -თანავე; ცოტათი, ძლივს: „და ნიად განთიადსა მას ერთ-შაბათისასა მოვიდეს საფლავსა მას ზედა მერმეცა აღმოსლვასა ოდენ მზისასა“ (მრკ. 16, 2).

ნიში – სასწაული, ნიშანი (რაიმეს მომასწავებელი): „მაშინ გამოჩნდეს სასწაული ძისა კაცისაჲ ცათა შინა“ (მთ. 24, 30); „ჴელითა მოციქულთაჲთა იქმნებოდა სასწაულები და ნიშები“ (საქმე 5, 12).

ნიჭი – 1. საჩუქარი, საბოძვარი, ჯილდო, დასადებელი: „ყოველნივე რბიედ, ხოლო ერთმან მიიღის ნიჭი“ (1 კორ. 9, 25); „რომელ არს ნიჭი“ (მრკ. 7, 11); 2. მადლი, კაცთადმი ზეგარდმო მონიჭებული ძალი, ანუ ტალანტი: „უკუეთუმცა იცოდე შენ ნიჭი ღმრთისაჲ“ (ინ. 4, 10).

ნუკვა, ვენუკვი – მუდარა, ვედრება, ხვეწნა, სურვილით და ფერებით ვედრება, ფრიადი ნდომა (მენუკება – მენატრება).

ნუსადა – არსად: „ნუსადა წარსცე ქვასა ფერჴი შენი“ (მთ. 4, 6).

ნუუკუე – რომ არ, ვაითუ: „ნუუკუე მიგცეს შენ წინამოსაჯულმან მან შენმან მსაჯულსა“ (მთ. 5, 25); „ნუუკუე მოვიდენ მოწაფენი მისნი და წარიპაროონ იგი“ (მთ. 27, 64); „ნუუკუე ნათელი იგი შენ შორის ბნელ იყოს“ (ლკ. 11, 35).

ნუუკუე – ნუ: „ნუ ჰზრუნავთ და იტყჳთ, რაჲ ვჭამოთ“ (მთ. 6, 31); „ნუუკუე გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ“ (ლკ. 12, 7).

ნქრეგა – ქროლა: „ქროდეს ქარნი“ (მთ. 7, 25).

ო

ოდენ – 1. მარტო, მხოლოდ, სწორედ: „ვითარ იგი ამას განიზრახვიდა ოდენ“ (მთ. 1, 20); „დღესასწაული იგი გან-ოდენ-ზოგებულ იყო“ (ინ. 7, 14); 2. ოდენი, ტოლი: „თავადი განეშორა მათგან ვითარ ქვის-სატყორცებელ ოდენ“ (ლკ. 22, 41).

ოდეს – 1. როცა, როდესაც: „არა იცით, ოდეს-იგი უფალი სახლისაჲ მის მოვიდეს“ (მრკ. 13, 35); 2. როდის: „ოდეს ყოფად არს ესე, და რაჲ იყვნენ სასწაულნი, ოდეს ესე ყოველნი აღესრულნენ“ (მრკ. 13, 4); „ოდეს მოვიდეს ქორწილისაგან“ (ლკ. 12, 36).

ოდესვე – ყოველთვის: „ჟამი თქუენი ოდესვე განმზადებულ არს“ (ინ. 7, 6).

ოდესმე – ოდესღაც, ერთხელ: „შენ ოდესმე მიიქეც და განამტკიცენ ძმანი შენნი“ (ლკ. 22, 32).

ოთხთავი – ძველი ქართული სახელწოდება სახარებისა, რომელშიც თითოეული სახარება (მათესი, მარკოზისი, ლუკასი და იოვანესი) ცალკე თავად არის წარმოდგენილი.

ორგულება – ცბიერება, პირმოთნეობა, ორპირობა, თვალთმაქცობა: „თავადმან იცოდა ორგულებაჲ მათი“ (მრკ. 12, 15); „მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო“ (მთ. 23, 23).

ოსანა – არამეული სიტყვაა, ნიშნავს: გვიშველე ჩვენ, მაცხოვნე ჩვენ, ვაშა: „ოსანა მაღალთა შინა“ (მრკ. 11, 9).

ოხა – შუამავლობით შველა, მიხმარება; საეკლესიო წიგნებში ოხითა ეწოდება დღის წმინდანის ტროპარს, რომლითაც ვითხოვთ ამ წმინდანის მეოხებას (დახმარებას) ღვთის წინაშე.

ოხრა – დიდი ხმაურობა: „ქუეყანასა ზედა შეკრებაჲ თესლებისაჲ განკურვებითა ოხრისაჲთა ზღუსაგან და ძრვისა“ (ლკ. 21, 25).

ოჴრება – აოხრება, განადგურება, ყვირილი, დიდი ხმაური, შფოთი: „რაჟამს იხილოთ საძაგელი იგი მოოჴრებისაჲ“ (მთ. 24, 15).

პ

პავლენნი – პაველე მოციქულის მიერ დაწერილი ეპისტოლეები.

პალატი – **„განსაკითხავი“**, სასახლე, დარბაზი, სამეფო სახლი

დიდი და ვრცელი: „შეეიდა განსაკითხავსა მას“ (საქმე 25, 23).

პანაშვიდი – საეკლესიო მსახურების შესრულება მიცვალებულისათვის.

პარაკლისი – სავედრებელი ან სამადლობელი ლოცვა.

პარაფსიდი, პარაფსიტი – ყუთი; თეფში; ჭურჭელი: „განსწმედთ გარეშესა სასუმლისასა და პაროფსიდისასა“ (მთ. 23, 25).

პარეხი – ნაპრალი კლდეთა შორის; კიბის საფეხური.

პასექი, პასქა – 1. ებრაელთა უმთავრესი რელიგიური დღესასწაული, დაწესებული ეგვიპტიდან გამოსვლის აღსანიშნავად: „იყო მახლობელ პასექი იგი ჰურიათაჲ, და აღვიდეს მრავალნი იერუსალჱმ სოფლებისაგან უწინარეს მის პასექისა, რაჲთა განიწმიდნენ თავნი თჳსნი“ (ინ. 11, 55); 2. საპასექოდ დასაკლავი კრავი; საპასექო საჭმელი: „სადა-იგი პასექი მოწაფეთა ჩემთა თანა ვჭამო“ (მრკ. 14, 14).

პატივი – ღირსება, ჩინებულება, სახელოვნება: „დიდებაჲ და პატივი და მშჳდობაჲ ყოველსა მოქმედსა კეთილისასა“ (რომ. 2, 10).

პატიჟი – უპატიოება, დასჯა, გარდახდევინება, სარჯელი.

პატრუკი, პატრუქი – ფთილა, სანთელი ზეთისა: „პატრუკი მბნდჳნვარე არა დაშრიტოს“ (მთ. 12, 20).

პაჰრაკად – ბერძნული ზმნისზედაა, ნიშნავს გზად ანუ წინაშე; იძულებით, დაჭერა: „პაჰრაკად წარიყვანეს თანა-წარმავალი სიმონ ვინმე კურინელი“ (მრკ. 15, 21).

პეროჲ (პეროინ) – დუჟის, ქაფის მოსვლა: „სულმან უკეთურმან შეიპყრის იგი... და დააკუეთის იგი, და პეროინ“ (ლკ. 9, 39).

პინაკი – ჯამი: „რომელმან შთამოყოს ჩემ თანა ჴელი პინაკსა ამას“ (მთ. 26, 23).

პინაქსი – ზანდუკი, საძიებელი, სარჩევი წიგნისა.

პირად-პირადი – მრავალნაირი, ფერად-ფერადი.

პირველი – 1. რიცხვითი სახელი – პირველი: „ვის უნდეს თქუენგანსა პირველ ყოფაჲ“ (მრკ. 9, 35); 2. ძველი, ადრინდელი, უწინდელი: „კუალად გესმა, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ“ (მთ. 5, 33); „ელია არს გინა ვითარცა ერთი წინაწარმეტყუელთაგანი პირველთაჲ“ (მრკ. 6, 15); 3. პირველხარისხოვანი, უკეთესი: „გამოიღეთ სამოსელი პირველი და შეჰმოსეთ მას“ (ლკ. 15, 22).

პირველ, პირველად – წინ, წინათ, უწინ, ძველად, პირველად: „იგი თავადი პირველად განვიდეს წინაშე მისსა“ (ლკ. 1, 17); „ჰრქუეს მას, რომელი-იგი პირველ ბრმაჲ იყო“ (ინ. 9, 17).

პირით კერძო – საწინააღმდეგო, პირიქითი: „რამეთუ იყო ქარი იგი პირით კერძო მათსა“ (მრკ. 6, 48).

პირის დაკრვა – დადუმება, გაჩუმება: „ხოლო იგი დუმნა“ (მთ. 22, 12).

პირის დაყოფა – დადუმება, გაჩუმება: „პირი დაიყავ და განვედ მაგისგან“ (მრკ. 1, 25); „დადუმენ და პირი დაიყავ“ (მრკ. 4, 39).
პირისპირ – პირამდე: „მათ აღავსნეს იგინი პირისპირ“ (ინ. 2, 7).
პიტნაკი – პიტნა: „ათეულსა მიიღებთ პიტნაკისასა და ცერეცოჰისასა“ (მთ. 23, 23).
პოხილი – ზრქელი, მსუქანი.
პურისა უფალი – უფროსი სუფრაზე, ლხინის მეთაური: „მოართუთ პურისა უფალსა“ (ინ. 2, 8); „ვითარცა გემოჲ იხილა პურისა უფალმან“ (ინ. 2, 9).
პურისმტედ – თანამესუფრედ რიგ-რიგად, ჯგუფ-ჯგუფად: „უბრძანა მან დასხდომაჲ მათ ყოველთაჲ პურისმტედ-პურისმტედ“ (მრკ. 6, 39).
პყრობილი – დაჭერილი, ტუსაღი, პატიმარი: „ჰყვა ვინმე მაშინ პყრობილი შესწავებული“ (მთ. 27, 16).

ჟ

ჟამად ჟამად – დროდადრო, ხანდახან: „რამეთუ სიბრმე ჟამად-ჟამად შეჰყვა ისრაჱლსა, ვიდრემდე სავსებაჲ იგი წარმართთაჲ შემოჴდეს“ (რომ. 11, 25).
ჟამი – 1. დრო, ხანი: „განეშორა მას ეიდრე ჟამადმდე“ (ლკ. 4, 13); „თქუენ ინებეთ ჟამ ერთ სიხარული ნათელსა მისსა“ (ინ. 5, 35); 2. საათი: „უკუანაჲსკნელთა მათ ერთი ხოლო ჟამი დაყვეს“ (მთ. 20, 12); „იყო ჟამი მეექუსე“ (მრკ. 15, 33); „ამისთჳს მოვედ ჟამსა ამას“ (ინ. 12, 27).
ჟამი, ჟამობა – ჭირი, მომსვრელი სენი.
ჟამნ-გულანი – თთვენი ჟამნითურთ.
ჟამნი – ლოცვის წიგნი ცხრა ჟამნისა, ასევე ცისკრისა, მწუხრისა, სერობისა და სხვ.

რ

რაბამ – როგორი: „რაბამ ვინმე არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ზღუაჲ ერჩიან მას“ (მთ. 8, 27); „უწყოდამცა, ვინ და რაბამი დედაკაცი შეეხების მას“ (ლკ. 7, 39).
რაბი, რაბბუნი – (ებრ.) მასწავლებელი, მოძღვარი: „მათ ჰრქუეს მას: რაბი (რომელი ითარგმანების „მოძღუარ“)“ (ინ. 1, 38); „რაბი, რომელი-იგი იყო შენ თანა“ (ინ. 3, 26).
რაკა – (არამეული სიტყვაა) სულელი: „რომელმან ჰრქუას ძმასა თჳსსა რაკა, თანა-მდებ არს იგი კრებულისაგან განსლვად“ (მთ. 5, 22).
რამეთუ – რადგანაც: „რამეთუ რომელი-იგი მისგან იშვეს, სულისაგან წმიდისა არს“ (მთ. 1, 20); „შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ

არს სასუფეველი ცათაჲ“ (მთ. 3, 2).

რამეთუ – რომ: „ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ: არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი“ (მთ. 16, 28).

რაოდენი, რაგდენი – რამდენად: „რაოდენ უფროჲსღა მამამან თქუენმან ზეცათამან მოსცეს კეთილი“ (მთ. 7, 11); „რაოდენ-გზის მინდა შეკრებაჲ შვილთა შენთაჲ“ (ლკ. 13, 34).

რაჟამს – როდესაც, როცა: „რაჟამს ჰპოოთ იგი, მითხართ მე“ (მთ. 2, 8); „რაჟამს აღესრულნეს დღენი იგი განწმედისა მათისანი“ (ლკ. 2, 22); „დედაკაცი რაჟამს შობნ, მწუხარე არნ“ (ინ. 16, 21).

რეკა – რეკვა, კაკუნი: „ირეკდით, და განგეღოს თქუენ“ (მთ. 7, 7); „რაჟამს მოვიდეს და ირეკოს, მეყსეულად განუღონ მას“ (ლკ. 12, 36).

რეცა – ვითომ, თითქოს.

რვალი – სპილენძი; სპილენძის წვრილი ფული: „ამცნებდა მათ, რაჲთა არარაჲ მიიღონ გზასა ზედა, გარნა კუერთხი ხოლო: ნუცა ვაშკარანი, ნუცა პური, ნუცა სარტყელსა რვალი“ (მრკ. 6, 8); „ხედვიდა, ვითარ-იგი ერი დასდებდა რვალსა ფასის-საცავსა მას“ (მრკ. 12, 41).

რიდობა – სიძუნწე, ნაკლულევანება: „რომელმან სთესოს რიდობით, რიდობითცა მოიმკოს“ [ვინც სიძუნწით თესოს, მან მცირედი მოიმკოს] (2 კორ. 9, 6).

რისხვა – რისხვა, გაჯავრება: „ერი იგი ჰრისხვიდა მათ“ (მთ. 20, 31); „ჰრისხვიდეს მას“ (მრკ. 14, 5); „რომელნი წინა-უძღოდეს, ჰრისხვიდეს მას“ (ლკ. 18, 39).

როკვა – ცეკვა: „როკვიდა ასული ჰეროდიაჲსი შორის, და სთნდა ჰეროდეს როკვაჲ იგი მისი“ (მთ. 14, 6); „გისტჯნევდით თქუენ, და არა ჰროკვევდით“ (ლკ. 7, 32).

რომელ – რომელი, რომელიც; იგი: „სახელი მისი ემმანუელ, რომელ არს თარგმანებით: ჩუენ თანა ღმერთი“ (მთ. 1, 23); „უკუეთუ ველსა გარე, რომელი დღეს თივა არს“ (ლკ. 12, 28).

რომელ – რომ, რომელიც, რომელნიც: „რომელ ყოველსავე მმურკნეალსა ქუეყანასა ზედა ვერ ჰელ-ეწიფების ეგრეთ განსპეტაკებად“ (მრკ. 9, 3); „ნუჰკუე უმრავლესნი სასწაულნი ქმნნესა, რომელნი ამან ქმნა“ (ინ. 7, 31); „რომელნი მის მიერ იქმნებოდეს“ (ლკ. 9, 7).

რომელ-ეგე – რომელიც; ითქმის II პირთან მყოფ საგანზე: „ეგე, რომელ მოიმზადე, ვისა იყოს“ (ლკ. 12, 20).

რომელ-ესე – რომელიც; ითქმის I პირთან მყოფ საგანზე: „მამაო, რომელნი-ესე მომცენ მე“ (ინ. 17, 24).

რომელ-იგი – რომელიც; ითქმის III პირთან (შორს) მყოფ საგანზე: „ხოლო რომელ-იგი კლდესა ზედა, – რომელთა-იგი რაჟამს ისმინ-

იან“ (ლკ. 8, 13).

რორინება – სიარული, ხეტიალი: „მე და მამაჲ შენი ვრორინებთ და გეძიებთ შენ“ (ლკ. 2, 48).

როჭიკი – 1. სასმელი, საზრდო; 2. ჯამაგირი: „კმა-გეყავნ როჭიკი თქუენი“ (ლკ. 3, 14).

რქა – სასვენი ნიშანი: წერტილი, მძიმე; ხაზი. სიმცირეს გამოხატავს: „იოტაჲ ერთი გინა რქაჲ ერთი არა წარჴდეს სჯულისაგან“ (მთ. 5, 18).

რქა – სიმაგრე, ძალა: „აღმიდგინა ჩუენ რქაჲ ცხორებისაჲ“ (ლკ. 1, 69).

რქა – რკო: „გული-ეტყოდა განძღებად მუცლისა რქისა მისგან, რომელსა ჭამედ ღორნი“ (ლკ. 15, 16).

რქუმა – თხრობა: „გარქუ შენ“ (ინ. 1, 50); „წინაჲსწარ გარქუ თქუენ“ (მთ. 24, 25); „შევიდა და ჰრქუა მათ“ (მრკ. 5, 36).

რქუმა – წოდება, დარქმევა: „თქუენ გარქუ მეგობრად“ (ინ. 15, 15); „რომელსა ერქუა იუდა ისკარიოტელი“ (მთ. 26, 14).

რღუნა – წარღვნა: „მოიწია წყლით-რღუნაჲ იგი“ (მთ. 24, 39).

ს

საბანელ – საბანაო (ადგილი), აბანო: „კაცი არა მაქუს, რაჲთა... შთა-მცა-მაგდო საბანელსა ამას“ (ინ. 5, 7).

საბანელ – პირსაბანი: „მოიღო წყალი და შთაასხა საბანელსა მას და იწყო ბანად ფერჴთა მოწაფეთა თჳსთა“ (ინ. 13, 5).

საბასრობელი – საკიცხველი, დასაცინი, შესაგინებელი.

საბელი – ღვედი, თასმა, თოკი: „რაითა განეჰჴსნნე საბელნი ჴამლთა მისთანი“ (ინ. 1, 27); „შექმნა შოლტი საბლისაჲ“ (ინ. 2, 15).

საბრხე, საფრჴე – საფრთხე, მახე: „საფრჴე მოუჴდეს მსხდომარეთა ზედა პირსა ყოელისა ქუეყანისასა“ (ლკ. 21, 35).

საბურველი – 1. სახეველი, რიდე, პირბადე, თავსაბურავი, ლეჩაქი: „მოსე საფარველი დაიბურის პირსა თჳსსა“ (2 კორ. 3, 13); 2. გადასაფარებელი: „დღენდელად დღედმდე იგივე საბურველი საკითხავსა მას ზედა ძუელისა შჯულისასა ჰგიეს აღუძრცუელად“ (2 კორ. 3, 14).

საგრილი – ჩრდილი, ჩერო: „შესაძლებელ არნცა ქუეშე საგრილსა მისსა მფრინველთა ცისათა დადგრომად“ (მრკ. 4, 32).

სადაგი – (სპარს.) 1. მარტივი, სადა; სანიადაგო, სამარადღეო; 2. არა უქმე, სამუშაო (დღე).

სადგმელი – საკერებელი: „არავინ სადგმელი ახალი დაადგის სამოსელსა ძუელსა“ (მრკ. 2, 21).

სადგური – **„სავანე“, „საყოფელი“**, დასადგომი, გასაჩერებელი ადგილი; სახლი, ბინა: „სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არი-

ან“(ინ. 14, 2); „მელთა ჴურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი“ (მთ. 8, 20).

სადუკეველი – ებრაელთა ერთი რელიგიური მიმართულება, რომელიც უარყოფდა სულის უკვდავებას, მკედრეთით აღდგომასა და ანგელოზებისა და სულის არსებობას: „იხილნა მრავალნი ფარისეველნი და სადუკეველნი“ (მთ. 3, 7); „მოვიდეს მისა სადუკეველნი, რომელნი იტყჳან, ვითარმედ: აღდგომაჲ არა არს“ (მრკ. 12, 18).

სავანე – ბინა, სამყოფელი: „სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიან“ (ინ. 14, 2); „სადა არს სავანე, რომელსა პასქაჲ ესე მოწაფეთა ჩემთა თანა ეჭამო“ (ლკ. 22, 11).

სავაჭრო – ბაზარი, დუქანი, სავაჭრო მოედანი, სავაჭრო: „ნუ ჰყოფთ სახლსა მამისა ჩემისასა სახლ სავაჭრო“ (ინ. 2, 16); „ჯერ იყო შენდა დადებად ვეცხლი ჩემი სავაჭროსა“ (მთ. 25, 27).

სავსება – 1. სისრულე; 2. სისავსე, სიუხვე: „სავსებისაგან მისისა ჩუენ ყოველთა მოვიღეთ, და მადლი მადლისა წილ“ (ინ. 1, 16).

სავსებელი – ჭიდან წყლის ამოსაღები ვედრო: „არცა სავსებელი გაქუს, და ჯურღმული ესე ღრმა არს“ (ინ. 4, 11).

საზარელი – საშინელი; მკაცრი, მძვინვარე: „შეემთხჳნეს მას ორნი ეშმაკეულნი, რომელნი გამოვიდოდეს საფლავებისაგან, ფრიად ბოროტნი“ (მთ. 8, 28).

საზუერე – საბაჟე ადგილი, სადაც აკრეფილი ბაჟი და ხარკი მიჰქონდათ: „იხილა კაცი, რომელი ჯდა საზუერესა“ (მთ. 9, 9); „იხილა მეზუერე, სახელით ლევი, მჯდომარე საზუერესა ზედა“ (ლკ. 5, 27).

სათი – გიშერი.

სათნო-ყოფა – მოწონება: „შენ სათნო-გიყავ“ (მოგიწონე) (მრკ. 1, 11); „რამეთუ სათნო-იყო მამამან თქუენმან ზეცათამან მოცემად თქუენდა სასუფეველი“ (ლკ. 12, 32).

სათრომელი – (სათრევი) ბადე, გრძელი და შორს საგდები: „მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ სათრომელსა ბადესა, რომელი სდვიან ზღუასა“ (მთ. 13, 47).

სათხეველი – (სასროლი) ბადე: „ითხეველიდეს რაჲ ზღუასა მას ზედა, რამეთუ იყუნეს იგინი მესათხეველე“ (მრკ. 1, 16).

სათხეველება – თევზაობა: „ითხეველიდეს რაჲ სათხეველითა ზღუასა მას, რამეთუ იყუნეს მესათხეველე“ (მთ. 4, 18).

საინაჭე – წვეულებაში დასაჯდომი ადგილი: „ნუ დასჯდები პირველსა საინაჭესა“ (ლკ. 14, 8).

საკრებულო – შესაკრებელი ადგილი, უმაღლესი სასამართლო (სინედრიონი): „აღიყვანეს იგი საკრებულოსა მას მათსა“ (ლკ. 22, 66).

საკრველი – ბორკილი: „შებორკილიან იგი ჯაჭუთა და საკრველი-

თა და სცევედ და განხეთქნის საკრველნი და იდევნებინ ეშმაკისა მისგან უდაბნოთა“ (ლკ. 8, 29).

საკურთხეველი – ეკლესიის ნაწილი აღმოსაელეთის მხარეს, რომელიც ოდნავ ამაღლებულია: „რომელი უდიდეს არს: შესაწირავი ანუ საკურთხეველი“ (მთ. 23, 19); „ეჩუენა მას ანგელოზი უფლისაჲ, მდგომარე მარჯუენით საკურთხეველისა მის საკუმეველთაჲსა“ (ლკ. 1, 11).

სალმობა – „უძლურება“, ავადმყოფობა, ტკივილი: „რაოდენთა აქუნდა უძლურებაჲ და შეეხნეს, განიკურნებოდეს“ (მრკ. 3, 10); „განკურნნა მრავალნი სნეულებათაგან და სალმობათა“ (ლკ. 7, 21).

სამე – 1. მართლაც, ნამდვილად; კიდეც; კი; მაშ, აბა, მაშასადამე, სადმე: „აწ უკუე თავისუფალ სამე არიან შვილნი“ (მთ. 17, 26); „ნაყოფთა სამე მათთაგან იცნნეთ იგინი“ (მთ. 7, 20).

სამკჳდრებელი – მემკვიდრეობა, სამემკვიდრეო ქონება: „ესე არს მკჳდრი, მოვედით და მოვკლათ იგი, რაჲთა ჩუენდა იყოს სამკჳდრებელი“ (ლკ. 20, 14); „არქუ ძმასა ჩემსა, რაჲთა განმეყოს მე სამკჳდრებელსა“ (ლკ. 12, 13).

სამნო – სამოურავო: „უფალი ჩემი მიმიღებს სამნოსა ჩემსა“ (ლკ. 16, 3); „მომეც მე სიტყუაჲ სამნოჲსა შენისაჲ, რამეთუ არღარა ჴელგეწიფების ამიერითგან მნეობად“ (ლკ. 16, 2).

სამოციქულო – ახალი აღთქმის ნაწილი – მოციქულთა საქმენი და ეპისტოლენი.

სამსჭუალი, სამშჭუალი – ლურსმანი: „უკუეთუ არა ვიხილო ჭელთა მისთა სახე იგი სამშჭუალთაჲ და დავსხნე თითი ჩემი ადგილსა მას სამშჭუალთასა... არასადა მრწმენეს“ (ინ. 20, 25).

სამჭედური – ანკესი: „წარეედ ზღუად და შთააგდე სამჭედური“ (მთ. 17, 27).

სამხარი – სამხრეთი: „რაჟამს სამხრით ქარი ქრინ“ (ლკ. 12, 55); „დედოფალი იგი სამხრისაჲ აღდგეს სასჯელსა მას ნათესავისა ამის თანა“ (მთ. 12, 42).

სანახები – მიდამო, არემარე: „წარავლინნეს ყოველსა მას სანახებსა“ (მთ. 14, 35).

სანდალი – ერთგვარი ფეხსაცმელი; ის შედგებოდა ხის ან ტყავის ძირისაგან, რომელიც ფეხზე თასმებით იყო მიმაგრებული: „რაჲთა ესხნენ სანდალნი“ (მრკ. 6, 9).

სარეცელი – საწოლი, ლოგინი, ქვეშაგები. „ყრმანი ჩემნი ჩემ თანა არიან სარეცელსა ზედა“ (ლკ. 11, 7).

სართული – სახურავი: „აღსძარცუეს სართული სახლისაჲ მის“ (მრკ. 2, 4).

სარწყული – წყლის ჭურჭელი: „დაუტევა უკუე სარწყული იგი მისი დედაკაცმან“ (ინ. 4, 28).

სასთაული – 1. ბუმბულის ბალიში; 2. (ნავის) თავი: „თავადი იყო პირით კერძო თაესა მის ნავისასა და ეძინა“ (მრკ. 4, 38).

სასუმელი – 1. სასმელი: „ჴორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასუმელი არს“ (ინ. 6, 55); 2. სასმისი, თასი, ფიალა: „რომელმან ასუას ერთსა მცირეთაგანსა სასუმელი ერთი წყალი გრილი“ (მთ. 10, 42).

სასუფეველი – „სოფელი“, სამეფო; სუფევა ღვთისა, საშეებელი ადგილი ზეცათა შინა, სადაც წმიდანთა სულები და ანგელოზები ხარობენ ღვთის წინაშე: „მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ“ (მთ. 3, 2).

სასყიდელი – ფასი, ჯამაგირი, გასამრჯელო: „სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა“ (მთ. 5, 12).

სასყიდლითი, სასყიდლით დადგინებული – დაქირავებული; მოჯამაგირე: „რამეთუ სასყიდლით-დადგინებული არნ და არარაჲ სჭირნ მას ცხოვართათჳს“ (ინ. 10, 13).

სასძლო – 1. სარძლო, გასათხოვარი ქალი; 2. საქორწინოდ მომზადებული სახლი, სამეფო პალატი.

სასწაული – 1. ნიშანი: „არა ეცეს ნათესავსა ამას სასწაული“ (მრკ. 8, 12); „ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს, და სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იგი იონა წინაწარმეტყუელისაჲ“ (მთ. 12, 39); 2. სასწაული, საკვირველება: „ვითარ ჴელ-ეწიფების კაცსა ცოდვილსა ესევითარისა სასწაულისა საქმედ“ (ინ. 9, 16).

სასჯელი, საშჯელი, სარჩელი – 1. სამართალი, გასამართლება, განაჩენი, დასჯა: „ამისთჳს მიიღოთ უმეტესი სასჯელი“ (მთ. 23, 13); 2. ვნება, წამება, გვემა: „ვითარ-მე განერნეთ სასჯელსა მას გეჰენიისასა“ (მთ. 23, 33).

სატანა – ებრაულად მხდომი ანუ წინააღმდგომი, რომელიც არის მთავარი ეშმაკთა: „წარვედ ჩემგან მართლუკუნ, სატანა“ (მთ. 4, 10).

სატირი (სტატირი) – ფულის ერთეული: „აღუღე პირი მისი და ჰპოო მის შორის სტატირი“ (მთ. 17, 27).

სატფურ, სატფურება – ებრაელთა დღესასწაული „განახლება“, რომელიც მოდიოდა დეკემბერში: „იყო მაშინ სატფურებაჲ იერუსალჱმს“ (ინ. 10, 22).

საუკუნე – (არს. სახელი): „რომელმან არა მიიღოს მრავალი წილი ჟამსა ამას და საუკუნესა მომავალსა ცხორებაჲ საუკუნოჲ“ (ლკ. 18, 30).

საუკუნო, საუკუნე – მუდმივი, მარადიული, დაუსრულებელი: „მისცეს მათ ცხორებაჲ საუკუნოჲ“ (ინ. 17, 2); „თანა-მდებ არს საუკუნოჲსა სასჯელისა“ (მრკ. 3, 29).

საუნჯე – 1. განძი, ქონება, საგანძური: „გაქუნდეს საუნჯე ცათა ში-

ნა“ (მთ. 19, 21); 2. საწყობი, ბეღელი: „შეკრიბოს იფქლი საუნჯესა“ (მთ. 3, 12); 3. დახურული, დახშული ადგილი, ოთახი: „რაჟამს ილოცევიდე, შეევედ საუნჯესა შენსა და დაჰკაშ კარი შენი და ილოცე“ (მთ. 6, 6).

საფასე – 1. განძი, ქონება, საგანძური: „ვითარ ძნიად შევიდენ სასუფეველსა ღმრთისასა, რომელთა აქუნდეს საფასე“ (ლკ. 18, 24); 2. საფულე: „ყავთ თავისა თქუენისა საფასე, რომელი არა დაძუელდეს“ (ლკ. 12, 33).

საფქველი – წისქვილის ქვა: „უმჯობეს არს მისა, დამო-თუ-იკიდოს წისქუილი ვირით საფქველი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღუასა“ (მთ. 18, 6).

საქმარის მიცემა – ცდა: „მიეც საქმარი განთავისუფლებად მისგან“ (ლკ. 12, 58).

საქუფთე – საფულე, ქისა: „რომელსა აქუნდეს საქუფთე, აღიღენ“ (ლკ. 22, 36).

საყდარი – 1. ტახტი უფლის (საკურთხეველის ტრაპეზი, ტაძარი), მეფის, კათალიკოსის: „მისცეს მას უფალმან ღმერთმან საყდარი დავითის“ (ლკ. 1, 32).

საყოფელი – ბინა, სადგომი, საყუდელი, სამყოფი (ადგილი): „მელთა ჴურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი“ (მთ. 8, 20).

საშუებელი – საუცხოო, მშვენიერი, მდიდრული: „რომელნი სამოსლითა დიდებულითა და საშუებლითა არიან, სამეუფოთა შინა არიან“ (ლკ. 7, 25).

საცნაური – საცნობი, ცხადი, გამოსაცნობი: „ნაყოფისაგან ხე იგი საცნაურ არს“ (მთ. 12, 33).

საცხოვარი – საქონელი, ცხოველი: „იგი თავადი ამისგან სუმიდა და ძენი მისნი და საცხოვარი მისი“ (ინ. 4, 12).

საწამებელი – სამოწმებელი, დასაჭეშმარიტებელი.

საწუთრო – ხანმოკლე, დროებითი, მერყევი, არამტკიცე: „ძირი არა აქუნ გულსა თჳსსა, არამედ საწუთო არნ“ (მთ. 13, 21).

საწყაული – საწყაო, საზომი: „რომელთა შთაისხიან საწყაული ორორი გინა სამ-სამი“ (ინ. 2, 6).

საჭირველი – ძნელი, გაჭირვებით გასასელელი: „ვითარ-იგი იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაჲ“ (მთ. 7, 14).

საჭურველი – იარაღი: „სძლის მას და საჭურველი მისი მოუღის“ (ლკ. 11, 22).

საჭურისი – 1. დაკოდილი ანუ მცევდანი: „არიან საჭურისნი, რომელნი მუცლითგან დედისა თჳსისაჲთ საჭურისნი იშენეს; და არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს; და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თჳსნი სასუფეველისათჳს ცათაჲსა“ (მთ. 19, 12); 2. მეფის სასახლეში საჭურისებ-

თან ერთად მომსახურე (მაგ., პენტეფრე, ფარაონის მზარეულთ- უხუცესი, რომელსაც ცოლი ჰყავდა (დაბ. 39, 1)).

საჭურჭლე – 1. საგანძური, სალარო, საცავი ხაზინისა; 2. საცავი აბჯართა და სხვა საჭურველთა.

სახარება – 1. სასიხარულო ამბავი; 2. მოძღვრება მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, მის მიერ ჩვენდამი მონიჭებული სასუფეველისათვის: „მოვიდა იესუ გალილეად, ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისა ღმრთისასა; და იტყოდა, ვითარმედ: აღსრულებულ არს ჟამი და მოახლებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ; შეინანეთ და გრწმენინ სახარებისაჲ“ (მრკ.1, 14-15); 3. ოთხი მახარებლის მიერ აღწერილი წიგნები, ქრისტეს ამქვეყნად ცხოვრებისა და აღსრულებული საქმეების შესახებ; 4. ამ წიგნიდან თითოეული დღის საკითხავი ეკლესიაში.

სახელის-დება – სახელის დარქმევა: „წამ-უყოფდეს მამასა მისსა, რაჲ-ძი უნდეს სახელის-დებად მისა“ (ლკ. 1, 62).

სახიდ, სახედ – სახლად, სახლისაკენ, შინ, სადგომი: „აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახედ შენდა“ (მთ. 9, 6).

სახიერი – (ღმერთის ეპითეტია) კეთილსანახავი, კეთილი, მოწყალე, სულგრძელი, ძვირუხსენებელი: „არავინ არს სახიერ, გარნა ღმერთი მხოლოჲ“ (მრკ. 10, 18).

სახლეულნი – შინაურები, ოჯახობა, ოჯახის წევრები: „მტერ იყვნენ კაცისა სახლეულნი თჳსნი“ (მთ. 10, 36).

სახლის უფალი – სახლის (ოჯახის) უფროსი: „კაცი ვინმე იყო სახლისა უფალი“ (მთ. 21, 33).

საჴნველი – გუთანი: „არავინ დასდვის ჴელი საჴნველსა“ (ლკ. 9, 62).

საჴსარი – გამოხსნის ფასი: „(ძე კაცისაჲ მოვიდა) მსახურებად და მიცემად სული თჳსი საჴსრად მრავალთათჳს“ (მთ. 20, 28).

საჴუმილი – კოცონი, ღუმელი: „შესთხინენ იგინი საჴუმილსა მას ცეცხლისასა“ (მთ. 13, 42).

საჴუმილავი – 1. რომაელებს ღამის საყარაულო 4 ცვლად ჰქონდათ დაყოფილი; თითოეული ცვლა 3 საათს ყარაულობდა. ეს სამსაათიანი ცვლა ყარაულობისა არის „საჴუმილავი“: „მეოთხესა საჴუმილავსა ღამისასა მოვიდა მათა იესუ“ (მთ. 14, 25); 2. სადარაჯო ადგილი: „ვითარ განვლეს მათ პირველი საჴუმილავი“ (საქმე 12, 10).

სერი – ვახშამი; „**ტაძრობა**“, პურობა, ლხინი, ნადიმი დღესასწაულობით: „უყუარს ზემოჯდომაჲ სერსა ზედა“ (მთ. 23, 6); „აღდგა სერობისა მისგან“ (ინ. 13, 4).

სერობა – ვახშმობა: „მზა-მიყავ მე, რაჲთა ვისერო“ (ლკ. 17, 8).

სვე – 1. ბედი ანუ რაც ღმერთმა წინასწარ თითოეული ჩვენთაგა-

ნისთვის განსაზღერა; 2. რომელიმე საჭიროება ნივთთა ამქვეყნად; 3. მაიძულებელი ძალა რაიმე საქმის აღსასრულებლად.

სთგა – რთვა: „არა შურებინ, არცა სთაენ“ (მთ. 6, 28).

სთველი – რთველი, შემოდგომა, მოსაელის მოწევა, მოკრეფა.

სთრვა, თრვა – თრობა, შეღვინიანება, შებრუჟება ღვინისგან: „თქუენ ჰგონებთ, ვითარმედ ამათ სთრავს“ (საქმე 2, 15).

სიელტოლა – გაქცევა: „არა იყოს სიელტოლაჲ თქუენი ზამთარსა“ (მრკ. 13, 18).

სირი – ჩიტი, ბარტყი: „რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ თქუენ“ (მთ. 10, 31).

სისრა – სროლა, განგმერა, განწონა ისრისა.

სიტყუა – 1. ლაპარაკი, თქმა: „მრავალი მაქუს თქუენდა სიტყუად და განკითხვად“ (ინ. 8, 26); 2. ბრალი: „რომელმან განუტეოს ცოლი თუსი თუნიერ სიტყჳსა სიძვისა, მან ამრუშა იგი“ (მთ. 5, 32); 3. კილო: „სიტყუაჲცა შენი გამოგაჩინებს შენ“ (მთ. 26, 73).

სიტყჳსა ადგინება, სიტყჳსა განგება – ანგარიშის გასწორება: „რომელმან ინება სიტყჳსა განგებაჲ მონათა თუსთა თანა“ (მთ. 18, 23).

სიტყჳს გამოძიება – კამათი, დავა: „ესმოდა რაჲ მათი, ვითარ-იგი გამოეძიებდეს მის თანა“ (მრკ. 12, 28); „იწყეს გამოძიებად მის თანა“ (მრკ. 8, 11).

სიტყჳს გება – პასუხის გაცემა: „რომელი მეუფედ იტყჳნ თავსა თუსსა, სიტყუას-უგებნ კეისარსა“ (ინ. 19, 12); „განუკჳრდებოდა მათ ყოველთა, რომელთა ესმოდა... სიტყჳს-მიგებაჲ მისი“ (ლკ. 2, 47).

სიტყჳს-ყოფა – ანგარიშის გასწორება: „მოვიდა უფალი იგი მათ მონათაჲ და სიტყუაჲ ყო მონათა მათ თანა“ (მთ. 25, 19).

სიუცბე – უმეცრება, უვიცობა.

სიქადული – 1. სიამაყე; მუქარა: „ხოლო აწ იქადით სილაღითა თქუენითა, ყოველივე სიქადული ესევითარი ბოროტ არს“ (იაკ. 4, 16); 2. ქების ღირსი საქმე: „უმჯობეს არს ჩემდა სიკუდილი უფროჲს, ვიდრეღა სიქადული ჩემი, და-თუ ვინმე-აცუდოს იგი“ (1 კორ. 9, 15).

სიღრდა – უწესობა, უშვერი ხმიანობა, ცუდი და უწესო მასხარაობით სიცილი მთვრალთაგან: „შურნი, კაცის-კლვანი, ლირწებანი, მთრვალობანი, სიღრდანი და მსგავსნი ამათნი“ (გალ. 5, 21).

სიყმილი – შიმშილი: „იყვნენ ძრვანი ადგილ-ადგილ, და იყვნენ სიყმილნი და შფოთნი“ (მრკ. 13, 8).

სიჩქურე – ჭორი, ჩმახი: „უჩნდეს სიტყუანი მათნი, ვითარცა სიჩქურისანი“ (ლკ. 24, 11).

სიცონილი – მცონარება, სიზარმაცე: „იგივე მიწერად თქუენდა ჩემდა არა სიცონილ არს“ (ფილიპ. 3, 1).

სიცოფე – სისულელე, უგუნურება: „სიტყუაჲ იგი ჯუარისაჲ წარწყმედულთა მათთჳს სიცოფე არს, ხოლო ჩუენ ცხორებულთა ამ-

ათთუს ძალ ღმრთისა არს“ (1 კორ. 1, 18).

სიცრუე – უსამართლობა, სიცრუე: „სიცრუჱ არა არს მის თანა“ (იო. 7, 18); „თქუან ყოველი სიტყუაჲ ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუით ჩემთუს“ (მთ. 5, 11).

სიძე – 1. ქმარი ვისიმე ნათესავი ქალისა: „ვერ ჴელ-ეწიფების ძეთა სიძისათა, ვიდრე სიძე იგი მათ თანა არს, მარხვად“ (მრკ. 2, 19); 2. სასიძო: „ესერა სიძე მოვალს, გამოვედით მიგებებად მისა“ (მთ. 25, 6).

სიწრფოება – სიმართლე, სიმარტივე.

სკორე – განავალი (საქონლისა), ნეხვი.

სმენა – 1. დღევანდელი მნიშვნელობით: „რომელი მოვალს ჩემდა და ისმენს სიტყუათა ჩემთა“ (ლკ. 6, 47); 2. დასმენა, დაბეზღება, ბრალის დადება: „შესმენასა მას მღდელთ-მოძღუართასა და მოხუცებულთასა არარაჲ მიუგო“ (მთ. 26, 62).

სოფელი – 1. ქვეყანა: „რამეთუ იყოს მაშინ ჭირი დიდი, რომელი არა იყო დასაბამითგან სოფლისაჲთ“ (მთ. 24, 21); 2. სამყარო, დედამიწა: „მათ დღეთა შინა გამოჴდა ბრძანებაჲ აგუსტოს კეისრისაგან აღწერად ყოველისა სოფლისა“ (ლკ. 2, 1); 3. ამქვეყნად მცხოვრებნი: „უკუეთუ სოფელი გძულობს თქუენ, უწყოდეთ, რამეთუ პირველად მე მომიძულა“ (იო. 15, 18); 4. მხარე ქვეყნისა: „არა არს წინაწარმეტყუელი შეურაცხ, გარნა სოფელსა თჳსსა“ (მთ. 13, 57); 5. დაბა, მცირე შენობა: „ადგილთა მათ იყო სოფლები მთავრისა ვისიმე მის ჭალაკისაჲ, რომელსა სახელი ერქუა პოპლიოს, რომელმან შემიწყნარნა ჩუენ და სამ დღე სიყუარულით მოწლედ მისტუმრნა“ (საქმე 28, 7).

სპეტაკი – თეთრი: „სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი“ (მთ. 17, 2).

სრბა – 1. სირბილი: „მირბიოდა იგი“ (ლკ. 15, 20); 2. ცხოვრება, განგრძობა სიცოცხლისა: „ვითარცა აღასრულებდა იოვანე სრბასა თჳსსა, იტყოდა: ვინ-იგი გგონიე მე ყოფად“ (საქმე 13, 25).

სრვა – 1. ხოცვა-ჟლეტა, მოსპობა; 2. შავი ჭირი: „იყვნენ სიყმილნი და სრვანი და ძრვანი ადგილად-ადგილად“ (მთ. 24, 7).

სრსჳლი – სირსვილი (კანის დაავადება), „ხორცთ მძოარი“ (საბა): „სიტყუამან მათმან, ვითარცა სრსჳლმან, საძოვარი პოოს“ (2 ტიმ. 2, 17).

სტავრა – ფარჩა, სირმა, ოქრომკედით ნაქსოვი.

სტამანი – პირფართო სარწყული, ტოლჩა, ქილა, კოკა: „განრცხაჲ სასუმლებისაჲ და სტამნებისაჲ და ქუაბებისაჲ და ცხედრებისაჲ“ (მრკ. 7, 4).

სტოვა, სტოა – სვეტებიანი მინაშენი ეკლესიისა, განყოფილება: „არს იერუსალჱმს ცხოვართა საბანელსა მას ტბაჲ, რომელსა

ჰრქუან ებრაელებრ ბითეზდა, და ხუთ სტოვა იყო“ (ინ. 5, 2).
სტრატიოტი – ჯარისკაცი: „სტრატიოტთა მათ შეიყვანეს იგი შინაგან ეზოსა მას“ (მრკ. 15, 16).
სუდარა – 1. ცხედრის გასახვევი ტილო: „პირი მისი დაბურვილ იყო სუდარითა“ (ინ. 11, 44); 2. ტილო, ცხვირსახოცი: „აჰა ვეცხლი შენი, რომელი მაქუნდა დაკრძალული სუდარსა“ (ლკ. 19, 20).
სულგრძელი – მომთმენი: „სულგრძელ არს მათ ზედა“ (ლკ. 18, 7).
სულთ-თქუმა – კვნესა, ამოოხვრა, ამოხვნეშა: „აღიხილნა ზეცად და სულთ-ითქუნა“ (მრკ. 7, 34).
სფურიდი – გოდორი: „აღიღეს ნეშტი იგი ნამუსრევი შუდი სფურიდი საესე“ (მთ. 15, 37).
სძალი – 1. რძალი, ცოლი ძისა ანუ ძმისა: „განყოფად... დედამთილი ძის-ცოლისაგან მისისა და სძალი დედამთილისაგან“ (ლკ. 12, 53); 2. დაწინდული ქალი: „რომელსა აქუნდეს სძალი, იგი სიძე არს“ (ინ. 3, 29).
სჯა, შჯა – 1. მსჯელობა, განსჯა; 2. განბჭობა, გასამართლება: „რამეთუ შრომასა შემამთხუევს მე მარადის ქურივი ესე, უსაჯო მას, რაჲთა არა მარადის მოვიდოდის და მაწყინებდეს მე“ (ლკ. 18, 5); 3. სამაგიეროს გადახდა, დასჯა: „არა მოვედ მე სჯად სოფლისა, არამედ რაჲთა ვაცხოვნო სოფელი“ (ინ. 12, 47).

ტ

ტაბაკი – ჭურჭელი, ხისგან გამოთლილი ლანკანი დიდი, მრგვალი და გაშლილი.
ტაბლა – 1. მაგიდა, წინდასადგმელი ფეხედი ფიცარი: „ტაბლები იგი მეკერმეთაჲ მათ დაამჭუა“ (მთ. 21, 12); 2. მასზე დალაგებული სასმელ-საჭმელი: „აღიყვანნა იგინი სახედ თჳსა და დაუგო მათ ტაბლაჲ“ (საქმე 16, 34).
ტაგარი – საწნეხელი: „ქმნა მას შინა საწნეხელი“ (მთ. 21, 33).
ტაკუკი – მომცრო ტარიანი თასი ოქროსი ან ვერცხლისა: „ოქროჲსაჲ აქუნდა სასაკუმეველე და კიდობანი იგი შჯულისაჲ, შემოსილი გარეთ და შინაჲთ ოქროჲთა, რომელსა შინა იყო ტაკუკი იგი ოქროჲსაჲ, საავსე მანანაჲთა“ (ებრ. 9, 4).
ტალავარი – საჩრდილობელი, კარავი: „ვქმნეთ აქა სამ ტალავარ“ (მრკ. 9, 5).
ტალანტი – 1. ძველებური ოქროს ან ვერცხლის წონა, მაშინ დათვლის მაგიერ წონიდნენ მას; 2. საღმრთო წერილში ტალანტად იგულისხმება ნიჭი ანუ მადლი, ზაგარდმო უფასოდ მონიჭებული: „ვითარცა იწყო განგებად, წარმოუდგინეს მას ერთი თანა-მდები ბევრისა ტალანტისაჲ“ (მთ. 18, 24).
ტარიგი – კრავი, ბატკანი (სამსხვერპლო): „აჰა ტარიგი ღმრთისაჲ“

(ინ. 1, 36).

ტაძარი – 1. სახლი სალოცავი ღვთისა: „შევიდა იესუ ტაძარსა მას ღმრთისასა“ (მთ. 21, 12); 2. კერპთა სალოცავი: „რამეთუ დემეტრეოს ვინმე სახელით, ვეცხლის მჭედელი, იქმოდა ტაძართა ვეცხლისათა არტემისთა და მისცემდა ხუროთა მათ სარეწავსა არა მცირედსა“ (საქმე 19, 24); 3. სასახლე, პალატი მეფეთა ანუ მთავართა, სადაც ისინი ბჭობდნენ და სამართლობდნენ, ამის გამო ეწოდება ბჭე და პრეტორიაც: „სტრატიოტთა მათ შეიყვანეს იგი შინაგან ეზოსა მას, რომელ არს ტაძარი“ (მრკ. 15, 16); 4. საწვეულო სახლი.

ტახტი – 1. მაღალი გალავაკიანი დასაჯდომელი მეფეთა და დიდებულთა; 2. აზიურ სახლებში დასასხდომად შეკრულნი ფიცარნი (დივანი).

ტეგანი – (მცენ.) ტარხუნა: „ათეულსა აღიღებთ პიტნაკისა და ტეგანისასა და ყოვლისა მხლისასა“ (ლკ. 11, 42).

ტევება, ტეობა – ფლობა, განტევება, უფლება, გაშვება, ნების რთვა: „არა უტევა დათხრად სახლისა თჳსისა“ (მთ. 24, 43).

ტრაპეზი – 1. მაღალი ადგილი საკურთხეველის შუაში, რომელზეც აღესრულება საღვთო ჟამის წირვა; 2. მონასტრის საკრებულო სახლი, სადაც მიიღებენ საზრდელს.

ტრედი – მტრედი: „იხილა სული ღმრთისაჲ, გარდამომავალი, ვითარცა ტრედი“ (მთ. 3, 16).

ტჳრთმძიმე – მძიმე ტვირთის მზიდველი; მძიმე შრომით დაქანცული: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტჳრთმძიმენი“ (მთ. 11, 28).

ტჳრთვა – „თავს-დება“, „დატევა“, აღება, ზიდვა: „რომელმან გიტჳრთა შენ“ (ლკ. 11, 27); „მან იტჳრთოს სასჯელი“ (გალატ. 5, 10).

ტჳჭი – სიმაგრე; მაღალი სასხდომელი მრავალთა; ბემონი, ამფითეატრი.

ტყება – ტირილი პირის ხოკითა თავში ხელის შემოკვრით: „მაშინ იტყებდენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი“ (მთ. 24, 30).

ტყუენვა – ძალით აყრა და გადასახლება: „ტყუენვითგან ბაბილოვნისაჲთ ვიდრე ქრისტესამდე ნათესავი ათოთხმეტ“ (მთ. 1, 17).

უ

უბანი – ქუჩა, მოედანი; ხალხის კრება: „გიყუარს თქუენ ზემოჯდომაჲ შესაკრებელთა შორის და მოკითხვაჲ უბანთა ზედა“ (მრკ. 11, 4).

უბიწო – უმანკო, უზადო, წმინდა, უცოდველი: „ვიდოდეს ყოველთა მცნებათა სიმართლისა უფლისათა უბიწონი“ (ლკ. 1, 6).

უგულისჴმო – მიუხვედრელი, გაუგებელი: „ეგრეთვე თქუენცა უგუ-

ლისწმოვე ხართა“ (მრკ. 7, 18).

უდარესი – უმცროსი, უდაბლესი: „მოსწყჳდა ყოველი ყრმები... ორით წლითგანი და უდარესი“ (მთ. 2, 16).

უდებ-ყოფა – არად ჩაგდება, დაზარება: „მათ უდებ-ყვეს და წარვიდეს“ (მთ. 22, 5).

უზაკუელი – უტყუარი, მართალი, ნამდვილი, ერთგული: „ვითარცა აწინდელ შობილთა ყრმათა, სიტყჳერისა მის უზაკუელისა სძისა გსუროდენ“ (1 პეტრ. 2, 2).

უზმა – დაუნაყრებელი, უჭმელი, მშიერი: „განტეეებაჲ მათი უზმათაჲ არა მნებავს, ნუუკუე დაცუვენ გზასა ზედა“ (მთ. 15, 32).

უკეთურება – ბოროტება, ცბიერება, ვერაგობა: „გულისჴმა-ყო იესუ უკეთურებაჲ მათი“ (მთ. 22, 18).

უკუე – „ამიერითგან“, მაშასადამე; ეხლა; და: „ყავთ უკუე აწ ნაყოფი“ (ლკ. 3, 8); „ ნუ უკუე სუფევენ ცოდვაჲ“ (რომ. 6, 12). **აწ უკუე, „აწ უკუე სამე“** – მაშ, მაშასადამე: „აწ უკუე თავისუფალ სამე არიან შვილნი“ (მთ.17, 26).

უკუეთუ – თუ; როცა; ეგების: „უკუეთუ მითხრათ მე“ (მთ. 21, 24).

უკუეთუმცა – თუ; რომ: „უკუეთუმცა შვილნი აბრაჰამისნი იყვენით“ (ინ. 8, 39).

უმანკო – უცოდველი, უბიწო: „იყვენით... უმანკო, ვითარცა ტრედნი“ (მთ. 10, 16).

უმეცარი – 1. გამოუცდელი, უცოდინარი, გაუგებარი: „იგინი უმეცარ იყვნეს სიტყუასა ამას“ (მრკ. 9, 32); 2. უცნობი: „ჰხადე გლახაკთა უმეცართა, მკელობელთა და ბრმათა“ (ლკ. 14, 13).

უმოლხინე, უმოლხინეს – უკეთეს მდგომარეობაში მყოფი, უფრო ლაღი: „სოდომელთაჲ უმოლხინეს იყოს მას დღესა შინა, ვიდრე ქალაქისა მის“ (ლკ. 10, 12).

უმრწემესი – უმცროსი (ხნით): „ჰრქუა უმრწემესმან მან მამასა თჳსსა“ (ლკ. 15, 12).

უმურკნველი, უმურკველი – გაურეცხავი, გაუთეთრებელი, ახალი: „არავინ დაადგის სადგმელი უმურკნველი სამოსელსა ძუელსა“ (მთ. 9, 16).

უმჯობესად-რე – უკეთესად, უსაჭიროესად: „უმჯობესად-რე შეევჰრაცხე ეპაფროდიტეს, ძმისა ჩემისა და თანა-შემწისა და თანა-მოსაგრისა ჩემისა, ხოლო თქუენისა მოციქულისა და მსახურისა მის საჭმართა ჩემთაჲსა, მიელინებად თქუენდა“ (ფილიპ. 2, 25).

უნებელი – უნებურად საჭირო, აუცილებელი: „აგარაკი ვიყიდე და უნებელი ზედა-მაც მისლვად და ხილვად იგი“ (ლკ. 14, 18).

უნებელად-რე – უფრო საჭირო, უმეტესად: „დადგრომაჲ ჴორცთა შინა უნებელადრე თქუენთჳს“ (ფილიპ. 1, 24).

უნებლება – იძულება, ნების გარეშეობა: „არა უნებლებით კეთილი

იგი შენი იყოს, არამედ ნეფსით“ (ფილიმ. 1, 14).

უპატიო, უპატივო – „შეურაცხი“, უღირსი, უპატივცემულო: „შესაქმედ რომელიმე პატიოსნად ჭურჭლად და რომელიმე უპატიოდ“ (რომ. 9, 21).

უპატიოსნესი – უპატივცემულესი, უფრო პატიოსანი, უძვირფასესი: „ნუუკუე უპატიოსნესი შენსა იყოს ჩინებული მისგან“ (ლკ. 14, 8).

უპირატესი – უპირველესი, უფრო ადრინდელი, ნასწრევი: „რომელი პირველ ჩემსა იყო, რამეთუ უპირატეს ჩემსა არს“ (ინ. 1, 30).

ურაკპარაკი, ჰურაკპარაკი – ქუჩა, მოედანი, ხალხის შესაკრებელი ადგილი: „გუგუემნეს ჩუენ ურაკპარაკთა ზედა კაცნი უბიწონი ჰრომნი“ (საქმე 16, 37).

ურვა – შეწუხება, შეჭირვება, მწუხარება: „იურვოდეს სლვასა მას ნავისასა“ (მრკ. 6, 48).

ურთიერთას – ერთმანეთს, ერთმანეთში: „ხოლო იგინი... განიზრახვიდეს ურთიერთას“ (ლკ. 6, 11).

ურია – იუდეანი, ნათესავი ებრაელთა გინა ისრაილთა: „ხოლო ესე კაიაფა იყო, რომელმან აზრახა ჰურიათა“ (ინ. 18, 14).

ურიასტანი, ჰურიასტანი – ქვეყანა ისრაილთა: „არქელაოს მეფობს ჰურიასტანს ჰეროდეს წილ“ (მთ. 2, 22).

ურგები – გამოუსადეგარი, უსარგებლო, უნაყოფო: „მოიღის ეკალი და კუროსთავი ურგები“ (ებრ. 6, 8).

ურწყული – უწყლო: „მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა“ (მთ. 12, 43).

უსასო – უიმედო: „ნურარას უსასო ჰყოფთ“ (ლკ. 6, 35).

უსუპი – სურნელოვანი ბალახი, რომლისგანაც სასხურებელი კეთდება: „მათ ღრუბელი აღავსეს ძმრითა მით უსუპსა თანა“ (ინ. 19, 29).

უსხი – ნასუქი საქონელი (საკლავი): „ზუარაკები და უსხები ჩემი დაკლულ არიან“ (მთ. 22, 4).

უსჯულო, უშჯულო, ურჩული – უკანონო, ბოროტმოქმედი: „უსჯულოთა თანა შეირაცხა“ (მრკ. 15, 28).

უტევანი – სიგრძის საზომი ერთეული: „ნავი იგი განშორებულ იყო ქუეყანით მრავალ უტევან“ (მთ. 14, 24).

უტყუება – უთქმელობა, ვერ მთქმელობა, სიმუნჯე: „რომლისა თანა არს სული უტყუებისაჲ“ (მრკ. 9, 17).

უფალი – უფროსი, პატრონი, მბრძანებელი, ბატონი: „უფალ არს ძე კაცისაჲ შაბათსაცა“ (მთ. 12, 8).

უფალი სახლისა – სახლის (ოჯახის) უფროსი: „არქუთ სახლისა უფალსა მას“ (ლკ. 22, 11).

უფროჲს – უფრო მეტად, მით უფრო: „უკუეთუ არა აღემატოს სიმართლე თქუენი უფროჲს მწიგნობართა და ფარისეველთა“ (მთ. 5, 20).

უქმი – ფუჭი, უსაქმო, დაუმუშავებელი: „ყოველი სიტყუაჲ უქმი რომელსა იტყოდიან კაცნი, მისცენ სიტყუაჲ მისთჳს დღესა მას სასჯელისასა“ (მთ. 12, 36).

უცომობა – „ბალარჯობა“, ებრაელთა დღესასწაული, როცა ისინი სჯულისამებრ ბალარჯს (უფუარ პურს, ხმიადს) ჭამენ: „პირველსა მას დღესა უცომობისასა“ (მთ. 26, 17).

უცხო – სტუმარი, გარეშე, სხვა ქვეყნიდან მოსული, უცხოელი: „უცხო ვიყავ, და შემიწყნარეთ მე“ (მთ. 25, 35).

უძურჱს, უძურეს – უარესი, უფრო ცუდი: „...უძურეს პირველისა“ (ლკ. 11, 26).

უწყება – ცოდნა, ისტორია, მოთხრობა, შეტყობინება: „გაუწყებთ თქუენ, ძმანო, სახარებასა მას, რომელი გახარე თქუენ“ (1 კორ. 15, 1).

უწყი – იცი: „უწყია, რამეთუ ფარისეველთა რაჲ ესმა სიტყუაჲ იგი, დაჰბრკოლდეს“ (მთ. 15, 12).

უხუცესი – უფროსი (ხნით): „იყო ძე იგი მისი უხუცესი ველსა გარე“ (ლკ. 15, 25).

უხმარი – უვარგისი, უსარგებლო, გამოუყენებელი: „მონანი ვართ უჯმარნი“ (ლკ. 17, 10).

უჯერეს – უცუდესი, უარესი: „ყოველმან კაცმან კეთილი ღუნოჲ პირველად წარმოდგის და, ოდეს დაითრენიან, მაშინ უჯერესიცა“ (ინ. 2, 10).

ფ

ფარისეველი – ძველ ებრაელთა რელიგიური სექტა (მისი მიმდევრები გარეგნულად, ფორმალურად ასრულებდნენ საეკლესიო წესებს, სინამდვილეში კი სრულიად საწინააღმდეგოს სჩადიოდნენ): „შეკრბეს მღდელთ-მოძღუართა მათ და ფარისეველთა კრებული“ (ინ. 11, 47).

ფასის საცავი – საგანძური: „ერი დასდებდა რვალსა ფასის-საცავსა მას“ (მრკ. 12, 41).

ფერჴი – ფეხი: „ნუსადა წარსცე ქვასა ფერჴი შენი“ (მთ. 4, 6).

ფერჴთ შესასხმელი – ფეხსაცმელი: „ოდეს-იგი წარგავლინენ თქუენ თჳნიერ ბალანტისა და ვაშკარანისა და ფერჴთა-შესასხმელთა“ (ლკ. 22, 35).

ფესუ – ტანისამოსის ქვედა ნაწილი, კალთა: „შეახო ფესუსა სამოსლისა მისისასა“ (მთ. 9, 20).

ფეშხუენი – დიდი თეფში, ლანგარი: „მოიღო თავი მისი ფეშხუენითა“ (მრკ. 6, 28).

ფიცხელი – მკაცრი, სასტიკი: „ფიცხელი კაცი ხარ შენ“ (მთ. 25, 24).

ფლობა – უფლება, ნება, ხელმწიფება, ძალაუფლება: „ამისთჳს

ჯერ-არს დედაკაცისა, რაჲთა ფლობაჲ აქუნდეს თავსა თჳსსა ზედა ანგელოზთათჳს“ (1 კორ. 11, 10).

ფოლოცი – შუკა, ქუჩა, ჩიხი: „განვედ გზათა ზედა და ფოლოცთა“ (ლკ. 14, 23).

ფრთე – 1. ფრთა: „შეიკრიბნის მფრინველმან მართუენი თჳსნი ქუეშე ფრთეთა თჳსთა“ (მთ. 23, 37); 2. შენობის სახურავი: „დაადგინა იგი ფრთესა მას ზედა მის ტაძრისასა“ (ლკ. 4, 9).

ფსალმუნი – (ბერძნ.) ებრაელთა მეფისა და წინასწარმეტყველის დავითის მიერ შეთხზული საგალობელი, შედგება 150 ფსალმუნისაგან: „დავით იტყჳს წიგნსა ფსალმუნთასა“ (ლკ. 20, 42).

ფუცვა – დაფიცება: „ნუცა თავსა შენსა ჰფუცავ“ (მთ. 5, 36).

ქ

ქადაგება – ხმამაღლა წარმოთქმული მოძღვრება, სწავლა: „ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისასა“ (მთ. 4, 23).

ქათამი – შინაური ფრინველი, მამალი: „ქათამმან ჴმა-ყო“ (მრკ. 14, 68).

ქალწულება – უმანკოება: „ცხორებულ იყო ქმრისა თანა შჳდ წელ სიქალწულითგან თჳსით“ (ლკ. 2, 36).

ქალწული – ქალი უქმრო, უბიწო: „ემსგავსოს სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა“ (მთ. 25, 1).

ქანქარი – ოქროს ან ვერცხლის წონა, ფულის ერთგვარი თანხა, ტალანტი, მნა: „რომელსამე მისცა ხუთი ქანქარი“ (მთ. 25, 15).

ქარქუეტი – ხმელი კაჭკაჭი, ფიჩხი, ნაფოტი: „ვითარ შეჰკრებდა პავლე ფრიადსა ქარქუეტსა და დაასხმიდა ცეცხლსა მას ზედა“ (საქმე 28, 3).

ქედი – 1. კისერი, ქეჩო: „გამო-თუმცა-იბა ქედსა მისსა წისქჳლის ქვაჲ ვირით საფქველი“ (მრკ. 9, 42); 2. თხემი გორათა, მთის; ზღვის კონცხი.

ქვაფენილი – ქვით დაზღვევებული: „დაჯდა იგი საყდართა ზედა, ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან ქვაფენილ“ (ინ. 19, 13).

ქველის საქმე – მოწყალება, კეთილი საქმე: „ეკრძალენით ქველის-საქმესა თქუენსა“ (მთ. 6, 1).

ქვისა დაკრება – ქვების ცემა, ჩაქოლვა: „კეთილისა საქმისათჳს ქვასა არა დაგკრებთ შენ“ (ინ. 10, 33).

ქლამინდი – პორფირი, ძოწეული, წითელი ფერის ზევითა ტანისამოსი, რომელსაც მეფეები და მთავარსარდლები იცვამდნენ: „ქლამინდი მეწამული შეჰმოსეს მას“ (მთ. 27, 28).

ქმნულ-კეთილი – „კეთილი“, „კეთილი ქმნულებითა“, ლამაზი, მშვენიერი: „იყო კეთილ ხილვითა და შუენიერ პირითა“ (დაბ. 29, 17).

ქორი – დიდი ოთახი, ზალა, დარბაზი: „მან გიჩუენოს თქუენ ქორი

დიდი დაგებული“ (მრკ. 14, 15).

ქრთილი – ქერი: „აღავსეს ათორმეტი გოდორი ნამუსრევითა ხუთთა მათ პურთაგან ქრთილისათა“ (ინ. 6, 13).

ქრისტე – (ბერძნ.) ცხებული, საკუთრივ მიეწერება მაცხოვარს, იესოს: „ესე არს ჭეშმარიტად მაცხოვარი სოფლისაჲ, ქრისტე“ (ინ. 4, 42).

ქრისტიანე, ქრისტეანე – ქრისტეს მოსავი: „და იყო მათი წელიწად ერთ შეკრებაჲ ეკლესიად და სწავლად ერისა მრავლისა და წოდებად პირველად ანტიოქიას შინა მოწაფეთა მათ ქრისტეანედ“ (საქმე 11, 26).

ქრისტე-მტყუარი – ცრუ ქრისტე: „აღდგენ ქრისტე-მტყუარნი და ცრუ-წინაწარმეტყველნი“ (მთ. 24, 24).

ქუაბ – 1. მღვიმე, გამოქვაბული: „სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს, ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა“ (მთ. 21, 13); 2. ქვაბი: „სხუაჲცა მრავალი არს, რომელი მოეღო პყრობად: განრცხაჲ სასუმლებისაჲ და სტამნებისაჲ და ქუაბებისაჲ და ცხედრებისაჲ“ (მრკ. 7, 4).

ქუეყანა – 1. მიწა, მიწა-წყალი; მხარე, ქვეყანა: „ქუეყანაჲ ზაბულონისი და ქუეყანაჲ ნეფთალემისი“ (მთ. 4, 15); 2. ნიადაგი, (მიწის) ზედაპირი: „თჳსით თავით ქუეყანაჲ ნაყოფსა გამოიღებს“(მრკ. 4, 28); 3. ხმელეთი, ნაპირი: „ყოველი იგი ერი ზღუს-კიდესა ქუეყანასა ზედა დგა“ (მრკ. 4, 1).

ქუეყანის მოქმედი – მუშა, მიწის მუშა: „მოვიდეს და მოსრნეს ქუეყანის-მოქმედნი იგი“ (მრკ. 12, 9).

ქუეწარმძრომელი – ხეიბარი, საპყარი, კუტი: „რომელთა ჰყვა მათ თანა მკელობლები, ბრმები, ყრუნი, ქუეწარმძრომელნი“ (მთ. 15, 30).

ქცევა – 1. ყოფნა, მიმოსვლა: „ღამე და დღე საფლავებსა და მთათა გარე იქცევიან“ (მრკ. 5, 5); 2. მოქცევა, მობრუნება, გადაქცევა: „უკუეთუ არა მოიქცეთ და იქმნეთ, ვითარცა ყრმანი“ (მთ. 18, 3).

ღ

ღათუ – თუმცა, კიდეც რომ: „არარაჲთ ჰმატნ მონასა, უფალ ღათუ არნ ყოვლისა“ (გალატ. 4, 1).

ღაღადება – ყვირილი, ხმამაღლა ძახილი: „რომელნი ღაღადებენ მისა დღე და ღამე“ (ლკ. 18, 7); „იხილა შფოთი და ტირილი და ღაღადებაჲ ფრიადი“ (მრკ. 5, 38).

ღაღად-ყოფა – ყვირილი, ხმამაღლა ძახილი: „ღაღატ-ყო და თქუა“ (მთ. 14, 30).

ღაღადის-გდება – შეჩივლება, ხმამაღლა თქმა: „ვიიძულე ღაღადის-გდებაჲ კეისრისაჲ“ (საქმე 28, 19).

ღელვა-აღტეხილი – აღელვებული: „რაჲთა არღარა ვიყვნეთ ყრმა

ჩჩულ, ღელვა-აღტეხილ და მიმოტაცებულ ყოველსა მას ქარსა მოძღურებისასა“ (ეფეს. 4, 14).

ღელვა – ზვირთი, ტალღა: „შეჰრისხნა ქარსა მას და ღელვასა წყალთასა“ (ლკ. 8, 24).

ღვაწლი, ღუაწლი – ყოფა გაჭირვებაში, შრომაში ანუ ბრძოლაში: „იყო იგი ღუაწლსა შინა, უმეტესღა ილოცვიდა. და იქმნა ოფლი მისი, ვითარცა ცუარი სისხლისაჲ გარდამომავალი ქუეყანასა ზედა“ (ლკ. 22, 44).

ღირ – „შეგვანება“, „შესაძლებელ-ყოფა“, „ჯერ-ყოფა“, მოვალედ ყოფნა, საჭირო ყოფნა, ფასის ქონება: „რაჲ მიღირს მე ყოფად, რაჲთა ვცხონდე?“ (საქმე 16, 30); „ვითარ იგი შეჰგაეს თქუენდა თუთოეულისა სიტყუს-მიგებაჲ“ (კოლ. 4, 6).

ღირსი – კმა, საკმაო, საჭირო, შესაფერისი: „რაჲთა ხუდოდით თქუენ ღირსად ღმრთისა“ (1 თეს. 2, 12).

ღმერთი – არსება პირველსაუკუნო, უზენაესი, მიზეზი არსთა დასაბამიერთა: „პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“ (ინ. 1, 1).

ღმრთისმოლალე, ღმრთისმბრძოლი – ურჩი და წინააღმდგომი ღვთისა: „ხოლო უკუეთუ ღმრთისაგან არს, ვერ ჴელ-გეწიფების დაჴსნად მისა, ნუუკუე ღმრთის მოლალეცა იპოვნეთ“ (საქმე 5, 39).

ღრეკილი – საპყარი, ხეიბარი, კუტი: „ღრეკილნი განიკურნებოდეს“ (მთ. 15, 31).

ღუარძლი – (სარეველა ბალახი) ხორბალი მაწყინარი: „დასთესა ღუარძლი შორის იფქლსა მას“ (მთ. 13, 25).

ღუწა – ცდა, ზრუნვა, წუხილი, მოვლა: „უფალო, არა იღუწი [არ სწუხხარ], რამეთუ დამან ჩემმან მარტოჲ დამიტევა მე მსახურებად“ (ლკ. 10, 40).

ყ

ყანობიერი – ყანები: „იხილეთ ყანები, რამეთუ სპეტაკ არიან სამკალად აწვე“ (ინ. 4, 35); „წარვიდოდა იესუ ღღესა შაბათსა ყანობირსა მათსა“ (მთ. 12, 1).

ყენება – გაჩერება, დაყენება: „მოწაფენი აყენებდეს მათ“ (მრკ. 10, 13).

ყვრიმალი – ღაწვი, ლოყა: „მსახურთა მათ მოიყვანეს იგი ყურიმლის ცემად“ (მრკ. 14, 65).

ყინელი – ყინვა: „ნაკუერცხალი აღეგზნა, რამეთუ ყინელი იყო, და ტფებოდეს“ (ინ. 18, 18).

ყოველთა სადგური – სასტუმრო: „მოიყვანა იგი ყოველთასა მას სადგურსა და იღუაწა იგი“ (ლკ. 10, 34).

ყოვლადვე – ყოველთვის, მუდამ, სრულებით.

ყოფა – 1. ქმნა, კეთება: „არავინ თქუენგანი ჰყოფს სჯულსა“ (ინ. 7, 19); 2. ყოფნა: „რაბი (რომელი ითარგმანების „მოძღუარ“), სადა იყოფი“ (ინ. 1, 38).

ყრმა – 1. ბავშვი: „რომელმან შეიწყნაროს ერთი ყრმაჲ“ (მთ. 18, 5); 2. ვაჟი: „ყრმანო, საჭმელი ნუ გაქუს რაჲა“ (ინ. 21, 5).

ყუდრო, მყუდრო – დარი; კარგი, წყნარი ამინდი: „შე-რაჲ-მწუხრდის, სთქუთ: ყუდრო იყოს, რამეთუ წითს ცაჲ“ (მთ. 16, 2).

ყურად-ხუმა, ყურისა მოყოფა – გაგონება: „ყურად-იხუენით სიტყუანი ჩემნი“ (საქმე 2, 14).

ყურე – შესახვევი, მივარდნილი ადგილი ქალაქში: „განვედ ადრე უბანთა და ყურეთა ქალაქისათა“ (ლკ. 14, 21).

შ

შაბათი, შაფათი – 1. (ებრ.) განსვენება, ეწოდება შვიდეულის უკანასკნელ დღეს: „შაბათთა შინა მღდელთა ტაძარსა მას შინა შაბათი შეურაცხ-ყვიან და უბრალო იყვნიან“ (მთ. 12, 5); 2. როგორც კვირა, შვიდი დღე: „ვიმარხავ ორ-გზის შაბათსა შინა“ (ლკ. 18, 12).

შაბათის გზა – ებრაელთა რჯული კრძალავდა შაბათობით შორს წასვლას, გარდა გზისა სახლიდან ტაძრამდე (1000 ნაბიჯამდე) ამას ეწოდებოდა შაბათის გზა: „მაშინ მოიქცეს იერუსალჵმდ მთისა მისგან, რომელსა ჰრქუან ზეთის ხილთაჲ, რომელ არს მახლობელ იერუსალჵმსა შაბათის გზა ოდენ“ (საქმე 1, 12).

შეახლება – მიახლოება: „ყოველი იგი ერი ეძიებდა შეახლებად მისა“ (ლკ. 6, 19).

შეგვანება – შეშვენება, შეფერება: „უკუეთუ ესოდენი ბრალი არს კაცისაჲ დედაკაცისა თანა, არა შეჰგავს [არ შეშვენის, არ შეეფერება, არ შეიძლება] ქორწინებაჲ“ (მთ. 19, 10).

შეგინება – შეგინება, წაბილწვა, გაუწმინდურება: „არა თუ პირით შემავალი შეაგინებს კაცსა, არამედ პირით გამომავალი შეაგინებს კაცსა“ (მთ. 15, 11).

შევრდომა – მუხლდადგმით შევედრება: „იხილა იგი და შეუვრდა ფერჴთა მისთა [ჩაუვარდა ფეხებში]“ (მრკ. 5, 22).

შეთქუმა – აღთქმის დადება, შეერთხმება, პირობის შეკვრა: „უკუეთუ ორნი თქუენგანნი შეითქუნენ ქუეყანასა ზედა ყოელისათუსვე საქმისა“ (მთ. 18, 19).

შეკდემა – შერცხვენა, მორიდება: „მივაელინო ძე ჩემი საყუარელი, ვინ უწყის, შეიკდიმონ“ (ლკ. 20, 13).

შეკრვა – დაბმა, გაკოჭვა, ერთმანეთში პირობის დადება: „შეკრეს იგი და მიიყუანეს და მისცეს იგი პონტიელსა პილატეს მთავარსა“ (მთ. 27, 2); „რომელი შეეკრა ეშმაკსა“ (ლკ. 13, 16).

შემდგომითი-შემდგომად – თანმიმდევრობით: „რომელი შეუდეგ

პირველითგან ყოვლითა ჭეშმარიტებითა შემდგომითი შემდგომად მიწერად შენდა“ (ლკ. 1, 3).

შემურვა – მიცვალებულისთვის ნელსაცხებლის (ხის ნაწვეთი სუნნელის) წასმა: „შეწირეს მისა ძღუენი: ოქროჲ, გუნდრუკი და მური“ (მთ. 2, 11).

შემურვილი – მურით (ნელსაცხებლით) გაზავებული: „მისცემდეს მას სუმად შემურვილსა ღჳნოსა“ (მრკ. 15, 23).

შემუსრვა – გატეხა: „შემუსრა ალაბასტრი იგი“ (მრკ. 14, 3).

შემშევა – მოშივება: „იმარხა ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე და მერმე შეემშია“ (მთ. 4, 2).

შენდობა – მიტევება, პატიება: „შენდობა იყავნ შენდა, უფალო, არა იყოს ეგრე“ (მთ. 16, 22).

შეორგულება – შეეჯვება, დაეჯვება: „მცირედ-მორწმუნეო, რაჲსა შეორგულდი“ (მთ. 14, 31).

შერაცხვა – ჩათვლა, მიჩნევა: „უფალო, ნუ შეურაცხ ამათ ცოდვასა ამას“ (საქმე 7, 60).

შერიყუება – შეღამება, შებინდება: „ვითარ შე-ოდენ-რიყუდებოდა, და არღა მოსრულ იყო მათა იესუ“ (ინ. 6, 17).

შერისხვა – გაჯავრება, დატუქსვა: „თავადმან შეჰრისხნა მათ“ (ლკ. 9, 21).

შესაკრებელი – ებრაელთა სამლოცველო, სინაგოგა: „ებრაელთა სამლოცველო“ (ლკ. 7, 5).

შესმენა – დასმენა, დაბეზღება, ბრალის დადება: „რასა-იგი შეასმენდით მას“ (ლკ. 23, 14).

შესულება – არევა, სულიერად არევა, შეშფოთება, გაშეშება, დაბნედა: „დაუბრმეს მათ თუალნი მათნი, რაჲთა ვერ იხილონ თუალითა, და დაუსულბეს გულნი მათნი“ (ინ. 12, 40).

შესულებული – გაშეშებული, შეშფოთებული, დაბნედილი, გონებაარეული, გონებადაკარგული, გრძნობადაკარგული: „იყვნეს გულნი მათნი დასულებულ“ (მრკ. 6, 52).

შესაძინელი – სარგებელი, შენაძენი: „რამეთუ ჩემდა ცხორება ქრისტე არს, და სიკუდილი – შესაძინელ“ (ფილიპ. 1, 21).

შესწავება – დაკვირვება, შენიშვნა: „შეასწავებდა, ვითარ-იგი ზემოჯდომასა ირჩევდეს“ (ლკ. 14, 7).

შესწავებული – შესანიშნავი, ცნობილი: „ჰყვა ვინმე მაშინ პყრობილი შესწავებული, რომელსა ერქუა ბარაბა“ (მთ. 27, 16).

შესხმა – 1. დადება, ჩასმა: „შესხნეს იგინი საპყრობილესა შინა“ (საქმე 5, 18); 2. შექება, გალობა; ხოტბა.

შეურაცხი – არად ჩასაგდები, უპატიო: „არა არს წინაწარმეტყუელი შეურაცხ, გარნა თჳსსა სოფელსა და ნათესავთა შორის მისთა“ (მრკ. 6, 4).

შეშთობა – დახრჩობა: „შეიპყრა იგი და შეაშთობდა მას“ (მთ. 18, 28).
შეწამება – დაწამება, დაბრალება, დასმენა: „არარას მიუგება, რასა-ესე შეგწამებენ შენ“ (მთ. 26, 62).
შეწყალება – შებრალება, შეცოდება: „ვითარცა მე შენ შეგიწყალე“ (მთ. 18, 33).
შეწყნარება – მიღება, მფარველობის გაწევა: „ცოდვილთა შეიწყნარებს“ (ლკ. 15, 2).
შთაგზნება – ცეცხლში ჩაგდება და დაწვა: „თივაჲ იგი ველისაჲ, რომელი დღეს არს და ხვალე თორნესა შთაეგზნის“ (მთ. 6, 30).
შინა-განცემა – ღალატი, გაცემა: „ურთიერთას შინა-განსცემდენ“ (მთ. 24, 10).
შიშთვილის-ბმა – თავის ჩამოხრჩობა: „დააბნია ეცხლი იგი ტაძარსა მას შინა და განეშორა და წარვიდა და შიშთვილ-იბა“ (მთ. 27, 5).
შობა, შობნ, შვა, შვეს, შვნიან, შვის – დაბადება: „დედაკაცი რაჟამს შობნ, მწუხარე არნ“ (ინ. 16, 21); „შენიან ლალვანი“ (2 ტიმ. 2, 23).
შური – მწუხარება სხვის სიკეთეზე; რისხვა: „შურითა მისცეს იგი მღდელთ-მოძღუართა მათ“ (მრკ. 15, 10).
შურის-გება – სამაგიეროს გადახდა ბოროტებაზე: „ღმერთმან არამე ყოსა შურის-გებაჲ რჩეულთა მისთაჲ“ (ლკ. 18, 7).
შურისძიება – ბოროტებაზე სამაგიეროს გადახდის მცდელობა.

ჩ

ჩაფხუტი – თავზე დასაფარებელი საომარი რკინა, უზარადო (ჯაჭვის ბადის გარეშე), თხემზე აქვს მცირე რკინის ჯაჭვი ანუ ჯავშანი: „ჩაფხუტი იგი ცხორებისაჲ დაიდგთ“ (ეფეს. 6, 17).
ჩენა – თვალით დანახულობა: „რომელნი ჩანედ გარეშე შუენიერ“ (მთ. 23, 27).
ჩუენება – 1. დანახვება, გამოცხადება: „რასა სასწაულსა მიჩუენებ ჩუენ“(ინ. 2, 18); 2. ხილვა, მოჩვენება: „ჩუენებაჲ რაჲმე იხილა ტაძარსა მას შინა“ (ლკ. 1, 22); 3. მოჩვენება ანუ სიზმარი: „ბრძანებაჲ მოიღო ჩუენებით“ (მთ. 2, 22).
ჩინება – გამორჩევა, მოწოდება ანუ დანიშვნა რაიმე საქმეზე: „უფროჲსღა ისწრაფეთ, რაჲთა კეთილთაგან საქმეთა მტკიცე ჰყოთ ჩინებაჲ იგი თქუენი და რჩეულებაჲ“ (2 პეტ. 1, 10).
ჩინებული – 1. მოწოდებული, მიწვეული, განჩინებული: „მრავალნი არიან ჩინებულ, და მცირედნი რჩეულ“ (მთ. 20, 16); 2. პატიოსანი, უაღრესი, განჩინებული.
ჩჩული – 1. რბილი, ნაზი, ჩვილი: „რაჲსა გამოხუედით ხილვად? კა-

ცისა, ჩჩულითა სამოსლითა შემოსილისა“ (მთ. 11, 8); 2. ძუძუმწოვარი, ჩვილი (ბავშვი): „პირითა ყრმათა ჩჩულთა მწოვართაჲთა დაამტკიცე ქებაჲ“ (მთ. 21, 16).

ც

ცალიერი – 1. ცარიელი, ხელცარიელი: „მათ შეიპყრეს და გუემეს იგი და წარაველინეს ცალიერი“ (მრკ. 12, 3); 2. მოცლილი, უსაქმო: „მო-რაჲ-ვიდის, პოვის იგი მოცალე, განშუენებული და შემკული“ (მთ. 20, 3).

ცბა – **„ბორგა“**, გაგიჟება, გადარევა: „იტყოდეს მრავალნი მათგანი: ეშმაკეულ არს და ცბის“ (ინ. 10, 20).

ცთომა – **„ბრალება“**, **„შეცთომა“**, **„დაბრკოლება“**, მოტყუება, შეცდენა, წაბორძიკება, წაცდენა, დანაშაულება: „თქუენ ფრიად სცთებით“ (მრკ. 12, 27); „იხილეთ, ნუუკუე სცთეთ“ (ლკ. 21, 8); „დედაკაცი იგი სცთა და შჯულსა გარდაჰჴდა“ (1 ტიმ. 2, 14).

ცილება – მოტყუება.

ცილობა – **„ურჩება“**, წინააღმდეგობა, **„ჴდომა“**, **„სიტყჳს-გება“**, დავა, კამათი: „რაჲ არიან სიტყუანი ესე, რომელთა იცილობით ურთიერთას სლვასა შინა“ (ლკ. 24, 17); „იყო ცილობაჲცა მათ შორის“ (ლკ. 22, 24).

ცისად-ცისად გუემა – მთვარის ავადმყოფობა, მთვარეულობა: „უფალო, შეიწყალე ძე ჩემი, რამეთუ ცისად-ცისად ბოროტად იგუემების, რამეთუ მრავალ-გზის შთავარდის იგი ცეცხლსა და მრავალ-გზის წყალსა“ (მთ. 17, 15).

ციქუა – მოციქულობა, მსახურება, ოხა, მეოხება, შუამდგომლობა, შუამავლობა: „ქრისტესთჳს უკუე ვციქუთ, ვითარცა ღმერთი გლოცავს ჩუენ მიერ“ (2 კორ. 5, 20); „რომლისათჳს-ესე ვციქუ ჯაჭჳთურთ“ (ეფეს. 6, 20).

ცომი – საფუარი, ხაში: „ვამსგავსო იგი (სასუფეველი ღმრთისაჲ) ცომსა, რომელი მოიღო დედაკაცმან და შეჰრთო იგი ფქვილსა სამსა საწყაულსა“ (ლკ. 13, 21); „არა ჰრქუა მათ კრძალვაჲ ცომისაგან პურისა“ (მთ. 16, 12).

ცოფი – 1. სულელი, ბორგნეული, უგუნური, უცნობო, შეუგნებელი: „ემსგავსოს იგი კაცსა ცოფსა, რომელმან აღაშენა სახლი თჳსი ქჳშასა ზედა“ (მთ. 7, 26); 2. ძაღლთა ბრაზი, გადამდები სენი.

ცოცხალი – 1. ჯანმრთელი, საღი, მთელი, ჯანსაღი: „მან განირთხა ჴელი, და კუალად მოეგო ცოცხალი, ვითარცა ერთი იგი“ (მთ. 12, 13); 2. სულდგმული: „ამის მიერ დგას ესე წინაშე თქუენსა ცოცხალი“ (საქმე 4, 10).

ცოცხლებით – ჯანმრთელად, ჯანსაღად: „იყავ შენ ცოცხალ გუემულებისაგან შენისა“ (მრკ. 5, 34).

ცუნდრუკი – თვალ-წარბის მოძრაობით ლაპარაკი, ბოროტის მზრახველი: „ნუუკუე იყვნენ თქუენ შორის ჭდომაჲ და შური, გულის წყრომანი, ძყრის ზრახვანი, წვალებანი, ცუნდრუკებანი, განლაღებანი, შფოთებანი“ (2 კორ. 12, 20).

ცხებაჲ – წასმა ზეთისა, მირონისა: „რაჟამს იმარხვიდე, იცხე თაჳ შენი“ (მთ. 6, 17).

ცხებული უფლისა – (ებრ.) მესსია, (ბერძნ.) ქრისტე: „ვიდრემდე იხილოს ცხებული უფლისაჲ“ (ლკ. 2, 26).

ცხედარი – საწოლი, ლოგინი, ტახტი: „აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახედ შენდა“ (მთ. 9, 6).

ცხოვარი – ცხვარი: „მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დადვის ცხოვართათჳს“ (ინ. 10, 11).

ცხოველი – 1. სულიერი, ცოცხალი ანუ უკვდავი: „მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით გარდამოვჴედ“ (ინ. 6, 51); 2. საჩინო, ცხადი.

ცხოვნება, ცხონება – სიცოცხლე (აცოცხლებს, ცოცხლდება); ცხოვრება (აცხოვრებს, ცხოვრობს); გამოხსნა, განრინება, გადარჩენა, მორჩენა: „სხუანი აცხოვნნა, თავი თჳსი ვერ ძალ-უც ცხოვნებად“ (მთ. 27, 42); 2. წვრთნა საუკუნო ნეტარებისათვის: „რამეთუ რაჲ იცი, დედაკაცო, აცხოვნო თუ ქმარი შენი? ანუ შენ რაჲ იცი, მამაკაცო, აცხოვნო თუ ცოლი შენი“ (1 კორ. 7, 16).

ცხორება საუკუნო – სასუფეველი, საუკუნო ნეტარება: „რაჲ ექმნე, რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოჲ დავიმკჳდრო“ (ლკ. 10, 25).

ძ

ძალი – 1. ძალა, ღონე, ძლიერება, სიმტკიცე, ლაშქარი; 2. სასწაული ანუ მადლი სასწაულთმოქმედებისა: „სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ექმნენით“ (მთ. 7, 22); 3. ლარი, სიმი; აქედან ითქმის ათძალი, ხუთძალი და რამდენი სიმიც ექნება საკრავს.

ძალი – სამყარო, სამყაროს სხეულები: „ვარსკულავნი ზეცით გარდამოცჳენ, და ძალნი, რომელნი იყვნენ ცათა შინა, შეიძრნენ“ (მრკ. 13, 25).

ძალნი ანგელოზნი – მესამე დასის ანგელოზები: „რამეთუ მრწამს მე, ვითარმედ არცა სიკუდილმან, არცა ცხორებამან, არცა ანგელოზთა, არცა მთავრობათა, არცა ძალთა, არცა ამან სოფელმან, არცა მან სოფელმან“ (რომ. 8, 38).

ძალნი ცათანი – მხედრობა ზეცისა: „ვარსკულავნი დამოცჳენ ზეცით, და ძალნი ცათანი შეიძრნენ“ (მთ. 24, 29).

ძალ-დება – შეძლება (შემიძლია): „გრწამსა, ვითარმედ ძალ-მიც ესე ყოფად“ (მთ. 9, 28).

ძაძა – უხეში ქსოვილი: „ძაძითა და ნაცარსა ზედა მსხდომარეთა

შეინანეს“ (ლკ. 10, 3).

ძე – ვაჟიშვილი: „კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე“ (ლკ. 15, 11).

ძე – დება (ძევს): „ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს“ (მთ. 3, 10).

ძელი – მოკვეთილი ხე: „უკუეთუ ნედლსა ხესა ესრეთ უყოფენ, ჴმელსა მას რაჲ-მე ეყოს“ (ლკ. 23, 31).

ძირაკი – (მცენარე) ზირა, ძირა, კვლიავი: „რამეთუ ათეულსა მიიღებთ პიტნაკისასა და ცერეცოჲსასა და ძირაკისასა“ (მთ. 23, 23).

ძმაცუვა – მზაკვრობა, ცუდის განზრახვა.

ძნ, უძნდა – ძნელად მიჩნევა, ძნელება, წუხილი: „უძნდა სიტყუაჲ იგი და ჰგმობდეს მას მრავალსა მისთჳს სიტყჳსა“ (ლკ. 11, 53).

ძნიად – ძნელად, გაჭირვებით: „ძნიად შეიდენ სასუფეველსა ღმრთისასა, რომელთა აქუს საფასე“ (მრკ. 10, 23).

ჭ

ჭად, სჭადინ – სურდა ხოლმე, ენატრებოდა ხოლმე: „სჭადოდა ხილვად რაჲსამე სასწაულისა ყოფასა მისგან“ (ლკ. 15, 16).

ჭათი – გრძელი შუბი ანუ კეტი წაწვეტებული: „ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოხუედით მახჳლითა და ჭათებითა შეპყრობად ჩემდა“ (მთ. 26, 55).

ჭამება – დადასტურება, დამოწმება, სარწმუნოდ გამოჩენა: „რამეთუ ვწამებ მისთჳს“ (ინ. 7, 7).

ჭარგება – დახარჯვა, გაბნევა: „სხუაჲ თუ რაჲმე ჭარაგო უმეტესი, მო-რაჲ-ვიდე, მიგცე შენ“ (ლკ. 10, 35).

ჭარგრაგნა – შეხვევა: „მოიღო გუამი იგი მისი იოსებ და ჭარგრაგნა იგი ამრენაკსა წმიდასა“ (მთ. 27, 59).

ჭარვლინება – გაგზავნა: „აჰა ესერა ჭარვავლინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა“ (მთ. 11, 10).

ჭარვლტოლა – გაქცევა: „მაშინ რომელნი იყვნენ ჰურიასტანს, იქლტოდედ მთად“ (მრკ. 13, 14).

ჭართქუმა – თქმა: „გალობაჲ ჭართქუეს და განვიდეს მთასა მას ზეთისხილთასა“ (მთ. 26, 30).

ჭარმართი – კერპთაყვანისმცემელი, არაქრისტიანი: „გზასა ჭარმართთასა ნუ მიხუალთ“ (მთ. 10, 5).

ჭარმდები – თავხედი, განუსჯელი, წინდაუხედავი, გარეწარი: „შინაგანმცემელ, ჭარმდებ, აღზუავებულ, გულის თქუმის მოყუარე უფროჲს, ვიდრე ღმრთის მოყუარე“ (2 ტიმ. 3, 4).

ჭარპარვა – მოპარვა: „მოწაფენი მისნი ღამე მოვიდეს და ჭარიპარეს იგი“ (მთ. 28, 13).

ჭარტყუენა – სრულიად დატყვევება, იავარქმნა: „ჭარიტყუენნენ ყოველთა მიერ ჭარმართთა“ (ლკ. 21, 24).

ჭარწყმედა – დაკარგვა, დაღუპვა, გამოხვება ნეტარებისგან: „მოი-

წია წყლით-რღუნაჲ და წარწყმიდნა ყოველნი“ (ლკ. 17, 27).

წარჴდა – ამოხდა, წაძრობა, გახდა: „ვიდრემდის სულთა ჩუენთა წარგუჴდი“ (ინ. 10, 24); „წარიჴადენ სანდალნი ფერჴთაგან შენთა“ (საქმე 7, 33).

წარჴდომა – 1. წასელა, გასელა: „ვითარცა წარჴდა ჟამი ერთი“ [როცა გავიდა ერთი საათი] (ლკ. 22, 59); 2. გადასელა, დაკარგვა, დაღუპვა: „იოტაჲ ერთი გინა რქაჲ ერთი არა წარჴდეს სჯულისაგან და წინაწარმეტყუელთა“ (მთ. 5, 18).

წესა, წესვა – მოწოდება, დაძახება: „აღდეგ, გიწესს შენ“ (მრკ. 10, 49); „მოძღუარი მოსრულ არს და გიწესს შენ“ (ინ. 11, 28).

წესი – 1. მტკიცე რიგი; 2. ტრადიცია; 3. ზნე-ჩვეულება; 4. განწესება, წესრიგი; 5. კანონი: „რაოდენნი წესსა ამას ზედა ეგნენ, მშჯობაჲ მათ ზედა და წყალობაჲ“ (გალატ. 6, 16) ; 6. რიგი მღვდელმსახურებისა ანუ განგება აღსრულებისა: „იყო... წესსა მას დღითიდღედისა მისისასა წინაშე ღმრთისა“ (ლკ. 1, 8).

წვალება – 1. ტანჯვა, არმოსვენება; 2. განყოფა, განწვალება: „განწვალებაჲ იყო მისთჳს ერსა შორის“ (ინ. 7, 43); 3. განხეთქილება, ერესი.

წიაღ – 1. კალთა, უბე: „იხილა აბრაჰამი შორით და ლაზარე წიაღთა მისთა“ (ლკ. 16, 23); 2. გაღმა, გადაღმა (ითქმის წყალზე): „გზაჲ ზღუსაჲ წიაღ-იორდანესა“ (მთ. 4, 15); 3. გამოღმა: „მო-რაჲ-ვიდეს მოწაფენი მისნი მიერ წიაღ“ (მთ. 16, 5).

წიგნი – 1. წიგნი: „წიგნი შობისა იესუ ქრისტესი“ (მთ. 1, 1); „ვითარცა თქუა წიგნმან“ (ინ. 7, 38); 2. წერილი, ხელწერილი: „მოსე ამცნო წიგნი განტეევებისაჲ მიცემად და განტეევებად“ (მთ. 19, 7); 3. ნაწერი, დაწერილი: „რომელი დაწერილ იყო მას ზედა წიგნითა ბერძულითა და ჰრომაელებრითა და ებრაელებრითა“ (ლკ. 23, 38).

წითს – წითლად არის, გაწითლებულია: „ყუდრო იყოს, რამეთუ წითს ცაჲ“ (მთ. 16, 2).

წილ – 1. წილი, -ჯერ მეტი: „უკუეთუ ვისმე ცილი დაესდევ, მიევაგო ოთხი წილი“ (ლკ. 19, 8); 2. ნაცვლად, მაგივრად: „თუალი თუალისა წილ და კბილი კბილისა წილ“ (მთ. 5, 38); 3. თავისი წილი, ხვედრი, ნაწილი: „განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს წილი“ (მთ. 27, 35).

წილგდება, წილისყრა – შეხვედრა წილის გდებით, წილში რგებული: „განიყოფდეს სამოსელსა მისსა და განიგდებდეს მას ზედა წილსა, ვინ-ძი რაჲ აღიღოს“ (მრკ. 15, 24).

წინა-დაგებული – წინ დარიგებული, წინ დადებული (საჭმელი): „ჭამდით წინა-დაგებულსა თქუენსა“ (ლკ. 10, 8).

წინადაცუეთა – ებრაელთა რელიგიური წესი, რომლის მიხედვითაც ახლადშობილ ვაჟს დაბადებიდან მე-8 დღეზე მოაჭრი-

ხოლმე კანს სასქესო ასოს წვერზე: „შაბათსა წინადაიცუთის კაცმან“ (ინ. 7, 22).

წინა-დება – ლოდნა, წინ დება: „ვითარცა-იგი წინა-უც კაცთა ერთგზის სიკუდილი“ (ჰებრ. 9, 27).

წინამოსაჯული – მეტოქე, მოცილე, მოწინააღმდეგე: „მისაჯე მე წინამოსაჯულისაგან ჩემისა“ (ლკ. 18, 3).

წინდი – საწინდარი ანუ გირაო, ვალისთვის მიცემული ნივთი; ნიშანი დარწმუნებისა: „რომელმან მომცა ჩუენ წინდი იგი სულისაჲ“ (2 კორ. 5, 5).

წმინდა, წმიდა – წმიდა იხმარება საღმრთო ან საუფლო ლექსთა ზედა, ხოლო წმინდა კაცობრივთა ანუ მსოფლიოთა ნივთთა ზედა; 1. უბიწო, უზადო, ყოვლად სრული, თაყვანის საცემელი: „წმიდა იყავნ სახელი შენი“ (მთ. 6, 9); 2. ღირსი, მართალი, უმანკო; 3. წვრილი, თხელი (ნემსი ან ძაფი).

წოდება – 1. დარქმევა (სახელის): „უწოდა სახელი მისი იესუ“ (მთ. 1, 25); 2. მოწოდება, მოხმობა, დაძახება: „ეგუპტით უწოდე ძესა ჩემსა“ (მთ. 2, 15).

წუთერთ – „მცირედ“, მეყსეულად, მაშინვე, მცირე ხანს: „მცირედ ჟამ თქუენ თანა ვარ“ (ინ. 13, 33).

წული – ვაჟიშვილი: „ყოველმან წულმან რომელმან განაღოს საშოჲ, წმიდა უფლისა ეწოდოს“ (ლკ. 2, 23).

წუნწუბა, წუმწუბ – გოგირდი: „აწუმა ცეცხლი და წუნწუბაჲ ზეცით და წარწყმიდნა ყოველნი“ (ლკ. 17, 29).

წყლვა – დაჭრა, ჭრილობის მიყენება მახვილით: „განძარცუეს იგი, დაწყლეს და წარვიდეს და დაუტეევს მწყდარი“ (ლკ. 10, 30).

წყრთა – სიგრძის ზომა: იდაყვიდან თითის წვერამდე: „შეუძლოს შეძინებად ჰასაკსა თჳსსა წყრთა ერთ“ (მთ. 6, 27).

წყურიელი – მწყურვალი: „უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი ანუ წყურიელი“ (მთ. 25, 44).

ჭ

ჭაბუკი, ჭაპუკი – ახალგაზრდა, ყმაწვილი: „ოდეს იყავ ჭაბუკ“ (ინ. 21, 18).

ჭალაკი – ჭალა, კუნძული: „მელიტონი ერქუა ჭალაკსა მას“ (საქმე 28, 1).

ჭამადი – საზრდელი, სანოვაგე, საჭმელი: „უბრძანა მათ, რაჲთა სცენ მას ჭამადი“ (მრკ. 5, 43).

ჭამებული – ნასუქი, ნაკვები, გასუქებული საკლავი, **„უსხო“**: „მამამან შენმან დაკლა ზუარაკი იგი ჭამებული“ (ლკ. 15, 27).

ჭეშმარიტება – სისწორე, ნამდვილი სიმართლე: „ჭეშმარიტებაჲ არა არს მის თანა“ (1 ინ. 2, 4).

ჭირვება, ჭირვობა – **„ზრუნვა“**, შეეიწროება, ძალმომრეობა: „ჩუენ რაჲსა-ღა-მე ვიჭირვით ყოველსა ჟამსა“ (1 კორ. 15, 30); „არა ჰზრუნავ არაჲსთჳს“ (მთ. 22, 16).

ჭირვეული – მწუხარე, უძლური, გაჭირვებული, ხელმოკლე: „იქცეოდეს ხალენებითა და თხის ტყავებითა ნაკლულევანნი, ჭირვეულნი“ (ებრ. 11, 37).

ჭური – 1. საჭურველი, აბჯარი, თოფ-იარაღი; 2. რკინის ან ხის ჭურჭელი, იარაღი, მოკაზმულობა ხელოსანთათჳის: „უკუეთუ ვინმე განიწმიდოს თავი თჳსი ამათგან, იყოს იგი ჭურ პატიოსან, წმიდა და საკმარ უფლისა, ყოვლისაჲვეთჳს საქმისა კეთილისა განმზადებულ“ (2 ტიმ. 2, 21); **3.** საკუთრივ ღვინის ჩასასხმელი ჭურჭელი.

ხ

ხადა, ხდა – წოდება, ძახილი, მოხმობა, მიწვევა, დაძახება: „ხადიან უფალსა გულითა წმიდითა“ (2 ტიმ. 2, 22).

ხალენი – წამოსასხამი ტყავი, ქურთუკი: „იქცეოდეს ხალენებითა და თხის ტყავებითა“ (ებრ. 11, 37).

ხარისხი – 1. **„ალსაგალი“**, ქვითკირის კიბეთა ფეხის დასადგმელი ანუ საფეხური; 2. მაღალი ღირსება სამღვდელოთა ან საეროთა წესთა შინა.

ხატი – გამოსახულება, ნახატი, მსგავსება, **„ფერი“**, სახე, სურათი, შესახედაობა: „ვისი არს ხატი ესე ანუ ზედაწერილი“ (მთ. 22, 20); „ხატი და დიდებაჲ ღმრთისაჲ არს“ (1 კორ. 11, 7); „იცვალა სხუად ხატად წინაშე მათსა“ (მრკ. 9, 2).

ხენეში – ცუდი, ურგები: „ხემან ხენეშმან ნაყოფი ხენეში გამოიღის“ (მთ. 7, 17); „ყავთ ხე იგი ხენეშ და ნაყოფიცა მისი ხენეშ“ (მთ. 12, 33).

ხვალისაგან – „განთიად“, დილას; ხვალ: „იყო ხვალისაგან შეკრებაჲ მთავართა მათთაჲ“ (საქმე 4, 5).

ხოლო თუ – ეგების: „ეევდრე უფალსა, მი-ხოლო თუ-გეტეოს შენ უსჯულოებაჲ ეგე გულისა შენისაჲ“ (საქმე 8, 22).

ხუდომა – წილად ნარგები, ხვედრებული: „მომეც მე, რომელი მხუდების ნაწილი სამკჳდრებელისაჲ“ (ლკ. 15, 12).

ხურო – დურგალი: „არა ესე არსა ხუროჲსაჲ მის და ძე მარიამისი“ (მრკ. 6, 3).

ხუცესი – 1. ხალხის უხუცესი წევრი, თავი, უფროსი პატივით: „რაჲსათჳს მოწაფენი შენნი გარდაჰვლენ მოძღურებასა ხუცესთასა?“ (მთ. 15, 2); „რამეთუ ეპყრა მათ მოცემული იგი მოძღურებაჲ ხუცესთაჲ“ (მრკ. 7, 3); 2. მღვდელი: „უძლურ თუ ვინმე არს თქუენ შორის, მოუწოდენ ხუცესთა ეკლესიისათა და ილოცონ მის ზედა“ (იაკ. 5, 14).

ჭ

ჭამლი – ფეხსაცმელი: „ნუ მოიგებთ ოქროსა... ნუცა ჭამლთა“ (მთ. 10, 10); „ვერ ღირს ვარ განჭსნად საბელსა ჭამლთა მისთასა“ (მრკ. 1, 7).

ჭდომა – 1. მიხდომა, წინააღდგომა, წინააღმდეგობა, დავა, კამათი, **„ლალვა“**, მტრობა: „ვითარცა-იგი იანე და იამბრე უჭდებოდეს მოსეს, ეგრეთცა ესენი უჭდებიან ჭეშმარიტებასა“ (2 ტიმ. 3, 8); „ჭდომათა და ლალვათა შჯულისათა განეშორე“ (ტიტ. 3, 9); 2. შეხდომა, შეხვედრა, შემთხვევა, ხვედრება, რგება წილად: „ჰხუდა მას საკუმეველისა კუმევაჲ“ (ლკ. 1, 9).

ჭელთდასხმა – 1. კურთხევა ვინმესი თავზე ხელის დადებით, ანუ ეპისკოპოსთაგან შემოსვა სამღვდელო ხარისხით: „ჭელთა ადრე-ადრე ნუვის დაასხამ“ (1 ტიმ. 5, 22); „ჭელთ-დასხმითა მით მოციქულთაჲთა მოეცემის სული წმიდაჲ“ (საქმე 8, 18); 2. ვინმეს შეპყრობა პატიმრად: „მოუჭდეს და დაასხნეს ჭელნი მათნი იესუს ზედა და შეიპყრეს იგი“ (მთ. 26, 50).

ჭელმწიფება – 1. უფლება, უმაღლესი მთავრობა: „რამეთუ ჭელმწიფებაჲ აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა“ (მთ. 9, 6); 2. შეძლება, უფლების ქონა: „ვერ ჭელ-ეწიფების ქალაქსა დაფარვად, მთასა ზედა დაშენებულსა“ (მთ. 5, 14).

ჭელის-ამპყრობელი – ხელის დამჭერი, მხსნელი, მშველელი, შემწე.

ჭუვილი, ჭოვილი – თაველი, **„თავი ჭუვილისა“**, **„მჭელეული“**, პურის თავთავი: „მოსჭრიდეს თავსა ჭუვილისასა, მუსრვიდეს ჭელითა და ჭამდეს“ (ლკ. 6, 1).

ჭჳმირ – ერთგვარი ჭურჭელი, პურეულის საწყაო: „არცა აღანთიან სანთელი და დადგიან ქუეშე ჭჳმირსა“ (მთ. 5, 15).

ჭურთი, ჭკრთი – მჯიღი: „ჭურთითა სცემდეს თავსა მისსა“ (მთ. 26, 67); „და იწყეს... ჭურთითა ცემად მისა“ (მრკ. 14, 65).

ჭურელი – ხერელი, ბუნაგი, სორო, ნაპრალი; **„ქუაბი“**, გამოქვაბული: „მელთა ჭურელი უჩნს“ (ლკ. 9, 58); „რომელთა ღირსვე არა იყო სოფელი ესე, უდაბნოთა ზედა შეცთომილნი, მთათა და ქუაბთა შინა და ჭურელთა ქუეყანისათა“ (ებრ. 11, 38).

ჭშული – დახშული, დაკეტილი, დახურული: „შეევიდა იესუ კართა ჭშულთა“ (ინ. 20, 26).

ჯ

ჯადაგობა, ჯადაგება – ფილოსოფოსობა, მჭევრმეტყველება, რიტორობა, მოსარჩლეობა, დამცველობა.

ჯეკმა – ძლიერ, ძალიან.

ჯერ-ყოფა, ჯერ-არს – საჭიროა, **„შუენის“**, შეჰფერის, უნდა: „ესრეთ შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე“ (მთ. 3, 15); „ჯერ-

არს ჩემდა დღეს და ხვალე და ზეგე წარსლვად“ (ლკ. 13, 33).

ჯერეთ, ჯერერთ, ჯერეთის – „ღა“, „ვიდრე“, „ვიდრე-ღა“, ჯერ კიდევ.

ჯერკუალი – „უშუერი“, „უჯერესი“, ცუდი: „ოდეს დაითრევნიან, მაშინ უჯერესიცა“ (იხ. 2, 10).

ჯერ-ჩინება – „ნება“, მიჩნევა (საჭიროდ), „გულგება“: „ჯერ-მიჩნდა მეცა“ (ლკ. 1, 3); „ჯერ-ვიჩინეთ ათინას შინა დაშთომაჲ მარტოთა“ (1 თეს. 3, 1).

ჯუარს-ცუმა, ჯუარ-ცუმა – ჯვარზე გაკვრა: „წარიყვანეს იგი, რაჲთა ჯუარს-აცუან“ (მთ. 27, 31); „იესუ, რომელი თქუენ ჯუარს-აცუთ“ (საქმე 2, 36); „ძველი იგი კაცი ჩუენი მის თანა ჯუარს-ეცუა“ (რომ. 6, 6).

ჯმნა – განშორება, გაცლა, გამოთხოვება, გაცილება, გასტუმრება, გამომშვიდობება, გაცალკევება, დათხოვნა: „პირველად მიბრძანე მე ჯმნაჲ სახლეულთა ჩემთაგან“ (ლკ. 9, 61).

ჯურღმულ, ჯურღმულ – ჭა, ორმო (წყლიანი): „ნუკუე შენ უფროჲს ხარა მამისა ჩუენისა იაკობისა, რომელმან ესე ჯურღმული მომცა ჩუენ“ (იხ. 4, 12).

ჰ

ჰალო, ალოვე, ალოე, ალო – სურნელოვანი მცენარე, ხმარობდნენ საკმეველად: „მოიღო აღრეული მურისა და ალოჲსაჲ“ (იხ. 19, 39).

ჰაერის მცველნი – ბოროტნი სულნი ჰაერისანი, რომელთაც ალად და ჭინკად მოიხსენიებენ.

ჰასაკი – 1. ასაკი, წლოვანება: „მაგას ჰკითხეთ, ჰასაკი აქუს“ (იხ. 9, 21); 2. სიმაღლე, ტანი: „ვინ-მე თქუენგანი ზრუნვიდეს და შეუძლოს შეძინებად ჰასაკსა თუსსა წყრთა ერთ?“ (მთ. 6, 27).

ჰასაკისა სწორი – თანამოასაკე, ერთი ხნისა: „წარვემატებოდე ჰურიაებასა შინა უფროჲს მრავალთა ჰასაკისა სწორთა ჩემთა“ (გალ. 1, 14).

ჰე – ჰო, კი, დიახ: „იყავენ სიტყუაჲ თქუენი ჰჷ ჰე და არაჲ არა“ (მთ. 5, 37); „ჰე, გეტყჳ თქუენ, იძიოს ნათესავისა ამისგან“ (ლკ. 11, 51).

ჰეროდეანნი, ჰეროდიანი – მეფე ჰეროდეს მომხრენი და მიმდევრები: „მი-ვინმე-აელინნეს მისა ფარისეველნი და ჰეროდიანნი“ (მრკ. 12, 13); „ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთაჲსა და ცომისაგან ჰეროდიანთაჲსა“ (მრკ. 8, 15).

ჰინდო – ინდოელი, ეთიოპიელი: „აჰა ესერა კაცი ჰინდოჲ საჭურისი“ (საქმე 8, 27).

ჰრომი – რომაელი: „ჰრომი ხარა შენ“ (საქმე 22, 27).

ჰურიება – გახდომა ჰურიად: „ეითარ აიძულებ წარმართთა ჰურიაებად“ (გალ. 2, 14).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1981.

2. ახალი აღთქუმაჲ, საკათალიკოსო საბჭოს გამოცემა, თბ., 1963.

3. ახალი ათქუმაჲ, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 1995.

4. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ივ. იმნაიშვილი, თსუ გამომცემლობა, თბ., 1979.

5. მცხეთური ხელნაწერები, ე. დოჩანაშვილი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1981.

6. წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკეთი I, ბ. გიგინეიშვილი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1987.

7. საქართველოს სამოთხე, მ. საბინინი, სანკტ-პეტერბურგი, 1882.

8. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გამომცემლობა „სახელგამი“, თბ., 1955; ტ. II, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1959.

9. ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ი. აბულაძე, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1973.

10. ლექსიკონი ქართული ორ წიგნად, სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 1966.

11. ძველი აღთქმის საღვთო ისტორია, დეკ. ნ. ყუბანეიშვილი, ქუთაისი, 1908.

12. საღმრთო სჯული, კრებული, გამომცემლობა „ნობათი“, თბ., 1993.

13. სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად, 1991.

14. სახელმძღვანელო ძველ და ახალ აღთქმის წიგნთა მესასწავლად, შედგენილი ა.პ.-სის მიერ, გამომცემლობა „მწყემსი“, 1909.

15. ახალი აღთქმა, გამოიცა საქართველო-იმერეთის უწმინდესის სინოდის ნებართვით, თბ. 1874.

16. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, ილია აბულაძე, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1973.

17. ქართული ლექსიკონი, ნიკო ჩუბინაშვილი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1961.

18. ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ი. იმნაიშვილი, თსუ გამომცემლობა, თბ., 1986.

19. საღმრთო სამოციქულო, სინოდალური გამოცემა, მოსკოვი, 1825.

20. ჟურნალი „რელიგია“; № 1-2, 1992.

გამოყენებული ლიტერატურა

21. წმიდა ანდრია მოციქული საქართველოში, მიხეილ თამარაშვილი, რომი, 1910.

22. ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილი, თბ.,1955.

23. ჟურნალი „საქართველოს საპატრიარქო", 4, 2001.

24. მცხეთა და მისი ტაძარი სვეტიცხოველი, ა. ნატრიევი.

25. საქართველოს სამოთხე, მიხეილ საბინინი.

26. Библия, книги Священного Писания Ветхого и Нового Завета, изд. Московской патриархии. М., 1968.

27. Библия, книги Священного Писания Ветхого и Нового Завета, изд. Московской патриархии. М., 1979.

28. Библия, книги Священного Писания Ветхого и Нового Завета, с параллельными местами и указателем церковных чтений, изд. Московской патриархии. М., 1956.

29. Библия, книги Священного Писания Ветхого и Нового Завета, юбилейное изд. Московской патриархии. М., 1988.

30. Библия, изд. Б. Геце, по благословлению правительственного синода. 1939.

31. Библия, каноническое, с параллельными местами,обьединение библейского общества, Ньо-Йорк, Женева, Лондон.

32. Библейский Атлас, сост. Д.М. Березкинъ, 1907.

33. Новый Завет Господа нашего Иисуса Христа. Русская православная церковь, изд. Московской патриархии. М., 2001.

34. Новый Завет Господа нашего Иисуса Христа, русский перевод. Библейское общество. Брюссель, 1965.

35. Новый Завет. Псалтирь. Притчи, русское Библейское общество, М., 2001.

36. Православная энциклопедия. т. II. М., 2001.

37. Толковая Библия, А. П. Лопухин, С-Петербург, кн. I, 1904-1907; кн. III 1911-1913

38. Толкование Евангелия, Б.И. Гладков, С-Петербург, 1913.

39. Путеводитель православного христианства по местам паломничества Святой Земли, Василиос Цаферис, 1999.

ზანდუკი

1. წმიდაჲ ოთხთავი

შესხმა წმიდისა მახარებელისა მატთესი, ქმნილი სოფრონის მიერ....5
სახარებაჲ მათეს თავისაჲ....6
შესხმა სოფრონის მიერ წმიდისა მარკოს მახარებელისა....73
სახარებაჲ მარკოზის თავი....74
შესხმა წმიდისა მახარებელისა ლუკასი სოფრონის მიერ....117
სახარებაჲ ლუკაჲს თავი....117
შესხმა წმიდისა მახარებელისა იოვანესი, თქმული სოფრონის მიერ....189
სახარებაჲ იოვანეს თავი....190

2. საქმე წმიდათა მოციქულთაჲ

უწყებანი მოციქულთა საქმეთა....244
საქმე წმიდათა მოციქულთაჲ თავი....245

3. კათოლიკე ეპისტოლენი

უწყება კათოლიკე სამოციქულოსა იაკობისა....316
იაკობ მოციქულისა წიგნი კათოლიკე....317
უწყებაჲ კათოლიკისა პეტრეს ეპისტოლისა პირველისა....324
პეტრე მოციქულისა წიგნი კათოლიკე პირველი....325
უწყება კათოლიკე ეპისტოლისა პეტრესი მეორისა....333
პეტრე მოციქულისა წიგნი კათოლიკე მეორე....334
უწყება პირველისა კათოლიკე სამოციქულოჲსა იოვანესნი....339
იოვანე მოციქულისა წიგნი კათოლიკე პირველი....341
უწყებანი მეორისა კათოლიკე სამოციქულოჲსა იოვანესი....348
იოვანე მოციქულისა წიგნი კათოლიკე მეორე....349
უწყებანი მესამისა კათოლიკისა იოვანესა....350
იოვანე მოციქულისა წიგნი კათოლიკე მესამე....350
უწყებანი იუდას კათოლიკისა, პირველი სამოციქულოსა....352
იუდა მოციქულისა წიგნი კათოლიკე....352

4. ეპისტოლენი წმიდისა მოციქულისა პავლესნი

პავლე მოციქულის ეპისტოლეები ქრონოლოგიისა და შინაარსის მიხედვით....356
უწყებანი რომელი არს რომაელთა მიმართა ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პავლესი....357
პავლე მოციქულისა წიგნი პრომაელთა მიმართ....359

უწყება რომელი არს კორინთელთა მიმართ სამოციქულოსა პირველისა წმიდისა მოციქულისა პავლესი....387
პავლე მოციქულისა წიგნი კორინთელთა მიმართ პირველი...388
უწყებანი კორინთელთა მიმართ მეორისა ეპისტოლისა წმიდისა მოციქულისა პავლესი....415
პავლე მოციქულისა წიგნი კორინთელთაჲ მეორე....416
უწყებანი გალატელთა მიმართ ეპისტოლისა წმიდისა მოციქულისა პავლესნი....434
პავლე მოციქულისა წიგნი გალატელთა მიმართ....434
უწყებანი ეფესელთა მიმართ ეპისტოლისა წმიდისა მოციქულისა პავლესი....444
პავლე მოციქულისა წიგნი ეფესელთა მიმართ.... 444
უწყებანი ფილიპპელთა მიმართ ეპისტოლისა წმიდისა მოციქულისა პავლესნი....454
პავლე მოციქულისა წიგნი ფილიპელთა მიმართ....454
უწყებანი კოლასელთა ეპისტოლისა წმიდისა მოციქულისა პავლესი....462
პავლე მოციქულისა წიგნი კოლასელთა მიმართ....462
უწყებანი თესალონიკელთა მიმართ პირველისა ეპისტოლისა წმიდისა მოციქულისა პავლესნი....469
პავლე მოციქულისა წიგნი თესალონიკელთა მიმართ პირველი.469
უწყება თესალონიკელთა მიმართ მეორისა ეპისტოლისა წმიდისა მოციქულისა პავლესი....476
პავლე მოციქულისა წიგნი თესალონიკელთა მიმართ მეორე...476
უწყებანი ტიმოთეს მიმართ პირველისა ეპისტოლისა წმიდისა მოციქულისა პავლესნი....480
პავლე მოციქულისა წიგნი ტიმოთეს მიმართ პირველი....481
უწყებანი ტიმოთეს მიმართ მეორისა ეპისტოლისა წმიდისა მოციქულისა პავლესი....489
პავლე მოციქულისა წიგნი ტიმოთეს მიმართ მეორე....489
უწყებანი ტიტეს მიმართ ეპისტოლისა წმიდისა პავლე მოციქულისანი....495
პავლე მოციქულისა წიგნი ტიტეს მიმართ....495
უწყებანი ფილიმონის მიმართისა ეპისტოლისა წმიდისა მოციქულისა პავლესნი....499
პავლე მოციქულისა წიგნი ფილიმონის მიმართ....499
უწყებანი ებრაელთა მიმართისა ეპისტოლისა წმიდისა მოციქულისა პავლესნი....501
პავლე მოციქულისა წიგნი ებრაელთა მიმართ....501

5. ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲗ ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐ ᲛᲐᲮᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲦᲛᲠᲗᲘᲡᲛᲔᲢ-ᲧᲕᲔᲚᲘᲡᲐ ᲘᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ, რომელი გამოუცხადა მას ღმერთმან..... 523
6. ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ
საღმრთო წერილის შესახებ.....558
დაუსაბამო მარადიული სიტყუაჲ – განხორციელებული და განდიდებული.....604
I. დაუსაბამო სიტყუაჲ (ლოგოსი).....604
II. ქრისტე ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებებში.....605
III. ქრისტეზე წინასწარმეტყველება ძველ აღთქმაში.....605
IV. ქრისტეზე წინასწარმეტყველებათა აღსრულება.....608
V. სახარებისეულ მოვლენათა თანმიმდევრობა ოთხივე სახარების მიხედვით შეჯერებული.....610
VI. უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს სასწაულები.....625
VII. უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს იგავები.....627
VIII. ამაღლების შემდგომ განდიდებული მაცხოვარი.....628
IX. ქრისტეს მეორედ მოსვლა.....629
X. იესო ქრისტეს საუკუნო დიდება.....629
XI. კაცთა მოდგმის ბიბლიური ქრონოლოგია.....630
XII. იესო ქრისტეს დროინდელი ებრაული კალენდარი.....644
XIII. ზომა-წონის ერთეულები ძველ აღთქმაში.....648
XIV. ფულის ერთეულების, წონისა და ზომის (სიგრძის) საწყაონი, რომლებიც ძველ აღთქმაში გვხვდება.....648
XV. დღისა და ღამის დაყოფა.....650
წიგნში გამოყენებული შემოკლებები.....650
ᲬᲛᲘᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲤᲚᲘᲡ, ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲓᲠᲝᲡ
I. პალესტინის გეოგრაფიული მდებარეობა.....651
II. პალესტინის პოლიტიკური მდგომარეობა ქრისტეს დროისათვის.....655
III. ქრისტე-მაცხოვრის საყოველთაო მოლოდინი. განთესული იუდეველები. წარმართული მსოფლიოს მდგომარეობა.....657
IV. ხალხის რელიგიურ-ზნეობრივი მდგომარეობა.....667
V. ბიბლიური არქეოლოგიის შესახებ.....684
წმიდათა მიმართ საკითხავი სახარებები.....707
წმიდა წერილი დაგეხმარებათ.....709
7. ᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ.....711
გამოყენებული ლიტერატურა.....778
რუკები.....785
ᲬᲛᲘᲓᲐ ᲐᲦᲒᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ.....792

გთავაზობთ 2003 წელს ჩვენს მიერ გამოცემული წიგნის –
„ახალი აღთქმაჲ დანაითით“ შევსებულ გამოცემას.

შემდგენელ-გამომცემელი მღვდელი გიორგი სამსონიძე
მადლობას უხდის დახმარებისათვის
მიტროპოლიტ იოანეს (გამხეჯელი),

ქეთევან ჯაჯანიძეს, მარიამ ყვავიაშვილს, ელენა ბაბუნაშვილს,
ვასილ ბუჩაძეს, მანანა შეყილაძეს, სანდრო ჯავრიშვილს.

გამოცემაზე მუშაობდნენ:

მღვდელი გიორგი სამსონიძე
ირინე ქებურია
მარიამ სამსონიძე
ლია სამხაძე

განსრულდა საღიდებლად ღმრთისა,
ამინ.

შენდობას ვითხოვთ უნებლიე შეცდომებისათვის

საკონტაქტო ტელეფონი: 599 555 138
258 69 34


2013 წ.

რუკები


ჩუკა 1
ჯაცობჰიობის განსახღება ბაბიღონის გოდოღის შემდგომ
ჩუკა 2
ასუჰეთისა და ბაბიღონის იმპეჰიები
ჩუკა 3
ძველი სპაჰსეთისა და აღექსანდჩე მაკედონეღის იმპეჰიები
ჩუკა 4
ის ადგიღები,
სადაც იესო ქჩისტემ მიწიეჩი ცხოვჩება განვღო
ჩუკა 5
ძველი იეჩუსაღიმის გეგმა
ჩუკა 6
პავეე მოციქეღის მისიონეჩული მოგზაუჩობები
ჩუკა 7
საქაჩთვეღო ახ. წ. პიჩველ საუკუნეებში


წმიდა ადგილების ილუსტრაციები

იესო ქჩისტეს, ღვთისმშობღისა და იოანე ნათღისმცემღის მიწიეჩ ცხოვჩებასთან დაკავშიჩებული წმინდა ადგიღების სუჩათები წმიდა ნეჩიღის შესაბამისი ადგიღების მითითებით; იეჩუსაღიმის აღდგომისა და ჯვჩის მონასტჩის ხედები



კაცობრიობის განსახლება ბაბილონის
ბოდოლის (ენათა აღრევის) შემდგომ
ბოშარი
რიფათი
თირასი
შავი ზღვა
კასპიის ზღვა
ელიშა
ასპანი
ლუდი
ელამი
ასურეთის ზღვა
სპარსეთის ყურე
ნებროთისა და ასურის მიერ დაარსებული ქალაქები
ასური
ნინევია
რესენი
ქალახი
ბაბილონი
ნებროთის სამეფო
ქალაქები
ურუქი
ერექი
აქადი
კალნე
ქალანე
სპეტები
ქამტები
იაფეტები
რუკა 1
სემის, ქამისა და იაფეტის
ვაჟიშვილები
გომერი, იავანი, ქუში, ლუდი
შვილიშვილები
აშქენაზი, ფარსისი, ნებაროთი
შვილთაშვილები და შორ.შთამომავლები
კაფთორიმი, ლუდა
დაბ. 5,3-32;
დაბ. 11,10-32;
მთ. 1,1-17;
ლკ. 3,23-38.

რუკა 2


ასურეთისა და ბაბილონის იმპერიები
მხარეთა გაყოფილი სამეფო
ასურეთის იმპერია
ბაბილონის იმპერია



რუკა 3
ძველი სპარსეთის (აქემენიდების) იმპერია
და მისი დაპყრობა ალექსანდრე მაკედონელის მიერ
ევროპა
აზია
სპარსეთის ზღვა
ეგვიპტე
ბაბილონი
სუსა
პასარგადი
პერსეპოლისი
ეკბატანა
ნინევია
ტარსი
ტროა
ათენი
სპარტა
მემფისი
ალექსანდრიის ბიბლიოთეკა
ალექსანდრიის ფარო
ალექსანდრიის ბიბლიოთეკა
ალექსანდრიის ფარო
აეროპითი ციფრები
1 - 20 სპარსეთის იმპერიის ფრ. VI - IV სს. სატრაპების რიგითობა. ფ-ბი 18 და ფ-ბი 19 სატრაპები დასახლებული იყო ქართველური მოდგმის ტომებით
ალექსანდრე მაკედონელის მიერ სპარსეთის იმპერიაზე ლაშქრობა ძვ.წ. 334-323 წწ.
ალ. მაკედონელის იმპერიის საზღვრები
დედაქალაქები
ქალაქები
© M.Shatberashvili, 2003


რუკა 4
ის ადგილები,
სადაც განელო მიმიერი ცხოვრება
უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ
ალაფის მიღმიდან გაეროზანელი
ლაშქრის განეიანალებულად დაწყებისას
პირველი ასაქიდან მეორემდე
მეორე ასაქიდან მესამემდე
მესამე ასაქიდან ჯვარცმამდე
მასშტაბი: 1:900.000
კმ
იერუსალიმის
შემოგარენი
1 : 140 000
კმ


რუკა 5
ძველი იერუსალიმის გეგმა




რუკა 6



წმიდა პაველე მოციქული
ეძღვნის წმიდა გიორგის ტაძრის საკურთხეველის ფრესკა

ხატმწერი: ზურაბ ქორდიოშვილი







რუკა 7
საქართველოს ა.რ.-ის. კურორტული ხასიათის
შავი ზღვა




ნაზარეთი. მღვიმის ხედი, სადაც მოხდა ღვთისმშობლისადმი ხარება მთავარანგელოზ გაბრიელის მიერ (ლკ. 1, 26-38)



ბეთლემი. ქრისტეს შობისა და ბაგაში მიწყენის ადგილი (ლკ. 2, 1-7)



ენ კარიმი. მღვიმე, იოანე ნათლისმცემლის შობის ადგილი (ლკ. 1, 57-58)




უფლის გამოცდის მთა (მთ. 4, 1-11; ლკ. 4, 1-13)



მდ. იორდანე - იესო ქრისტეს ნათლისღების ადგილი (მთ. 3, 13-17; ლკ. 3, 21-23; იბ. 1, 29-34)



კანა. სარწყული, რომელშიც მაცხოვარმა წყალი ღვინოდ გარდაქმნა (ინ. 2, 1-11)



მთაზე ქადაგების ადგილი, სადაც წარმოთქვა 9 ნეგარება (მთ. 5,1-8,1)



ბეთანია. ლაზარეს საფლავის შიდა და გარე ხედი (ინ. 11, 1-46)







თაბორის მთა - ფერისცვალების ადგილი (მთ. 17, 1-13; მკ. 9, 2-9; ლკ. 9, 28-36)





იერუსალიმის ხელი მთისასხლის მთიდან
(იერუსალიმში უფლის დიდებით შესვლის გზა)
(მთ. 21,1-11; მკ. 11,1-11; ლკ. 19,29-44; ინ. 12,12-19)





იერუსალიმის პარიბჰები:
I დამასკოს, II ოქროს, სადაც უფალი დიდებით შევიდა და კელაევაც შევა იერუსალიმში, III იერიქოს, IV სიონის, V ლომების













ცხოვართა საბანელი (ინ. 5,1-9)




სილოამის აუზი (ინ. 9, 3-11)




მაკაბეონის კედელი, რომლის გასწვრივ უძველესი ქალაქი ხეთშაბათის დამეს გეთსიმანიის ბაღში მიიყვანა სალოცავად (მთ. 26, 36-46; მრკ. 14, 43-52; ლკ. 22, 47-53; ინ. 18, 2-12)




ცხვრის ჭიშკარი (ინ. 5, 1-16)




გეთსიმანიის ბაღი და კიბაყა მღვდელმთავრის ადგილსამყოფელი (ინ. 11, 47-54)



იერუსალიმი. ენების ქუჩა. I მეჭვრება (ინ. 19, 1-13)
(განაჩენის გამოტანის ადგილი)




ადგილი, სადაც უფალს მისცეს ჯვარი (ინ. 19, 16-17)



იერუსალიმი, ღვთისმშობლის მიძინების ადგილი




იერუსალიმი. ენების ქუჩის ქვემო
განთავსებული საპყრობილეები
(ერთ-ერთ მათგანში მაცხოვარი ჩაყვეათ დაპატიმრებული)




მეოთხე მეჭვრება, სადაც
ღვთისმშობელი შეხვდა მაცხოვარს




ენების ქუჩის ერთ-ერთი ხედი (მთ. 27, 31-33; ლკ. 23, 25-29)




იერუსალიმი. აღდგომის გაძრისა და სამრეკლოს ხედი
(ლეთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლით გამაბადი სეეგო ჭეშმარიტების დამამტკიცებელად ცეცხლი გაძრიდან გამოქვეყნებული მართლმადიდებელი პატრიარქის ხელში ანთია)




გოლგოთა - ჯვარცმის ადგილი (მთ. 27,33; მრკ.15,22; ლკ. 23,33; იო. 19,17-18



წმიდა საფლავი (გარდამოხსნის ადგილი)
(მთ. 27,57-59; მკ. 15,42-46; ლკ. 23,50-54; იო. 19,36-40)



უფლის საფლავის -კუბუკლიის ხედი



უფლის საფლავის მიღა ხედი




უფლის ფეხის ანაბეჭდი




უფლის საფლავი (მთ. 27, 59-61; მკ. 23, 53-56; ინ. 19, 41-42)




უფლის საპყრობილის გარე ხედი და აღამის სამლოცველო




ბაღი, სადაც უფლის საფლავი მდებარეობს (მთ. 28, 1-10; მრკ. 16, 1-11; ლკ. 24, 1-12; ინ. 20, 1-18)



ემმაუსი - აღგილი, სადაც უფალი ორ მოწაფეს განეცხადა (მრკ. 16, 12-13; ლკ. 24, 13-35)



დავითის კოშკი (ქალაქი) იერუსალიმში



იერუსალიმის ჯვრის მონასტერი (ქართველთა), სადაც ინახებოდა უფლის ჯვარი